კიტა აბაშიძე

ცხოვრება
და
ხელოვნება

პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა
და შესავალი წერილით

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1971

კ. აბაშიძის „ცხოვრება და ხელოვნება“

კიტა აბაშიძის უდიდესი დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში საყოველთაოდ აღიარებულია. მისი «ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ» არის გასული საუკუნის მდიდარი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული წარმოჩენის წარმატებით დამთავრებული პირველი ცდა. უაღრესად საინტერესო ეს ნაშრომი დაედო საფუძვლად შემდეგდროინდელ კვლევას ამ მიმართულებით და დღემდე ასრულებს თავის დიდ დანიშნულებას. მაგრამ კ. აბაშიძე არ იყო მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსი. იგი მისი თანამედროვე მწერლობის ნიჭიერი მემატიანე და გზის მაჩვენებელია, რის გამოც მან დამსახურებულად დაისაკუთრა დიდი ქართველი კრიტიკოსის სახელი. მიუხედავად ამისა, კ. აბაშიძის კრიტიკული წერილების კრებული დღემდე არ მიუღია ჩვენს მკითხველს, ხოლო ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც გაფანტულია მისი სტატიები, თავის დროზეც ძნელად მისაწვდომი იყო; ბევრი მათგანი სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა. და ცენზურის მიერ დაიხურა.

სათაური — «ცხოვრება და ხელოვნება», რომლის ქვეშაც ჩვენ გავაერთიანეთ კ. აბაშიძის რჩეული კრიტიკული წერილები, თვით ავტორს ეკუთვნის. ამ რუბრიკით დაიწყო მან თავისი კრიტიკული სტატიების ბეჭდვა გაზეთ «ივერიაში» 1894 წელს და ასე გააგრძელა შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც.

ჩანს, კ. აბაშიძეს შემთხვევით არ შეურჩევია ეს სათაური. მის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კრიტიკულ სტატიებს პირველ ყოვლისა აერთიანებს ავტორის მტკიცე რწმენა, რომ ყოველი ნაწარმოების ღირსებასა და მნიშვნელობას განაპირობებს სინამდვილის ასახვის სიღრმე და მხატვრულობა, ის მიმართება, რომელიც მწერალსა და ცხოვრებას შორის არსებობს. ამ კუთხით აქვს შესწავლილი და შეფასებული კრიტიკოსს მისთვის საინტერესო თითქმის ყველა მწერალი და ნაწარმოები.

კრებულში სტატიების თანმიმდევრობა ქრონოლოგიური პრინციპითაა განსაზღვრული. საჭიროდ დავინახეთ აგრეთვე წერილები თემატიკურადაც გაგვენაწილებინა ოთხ განყოფილებად. ამ გზით მკითხველს უფრო გაუადვილდება ამ საკმაოდ დიდი მოცულობის კრებულით სარგებლობა.

*

კ. აბაშიძის «ცხოვრება და ხელოვნება» აშკარად მეტუველებს მისი ავტორის ფართო ერუდიციასა და მაღალ ლიტერატურულ გემოვნებაზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში კ. აბაშიძის გამოსვლა ქართული მწერლობის ასპარეზზე უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მას წილად ხვდა იმ ხარვეზის შევსება, რომელიც ქართული ლიტერატურული კრიტიკის სისუსტეს განაპირობებდა. ეს კი ფრიად საყურადღებო შტრიხი იყო ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს ძალიან აწუხებდათ ქართული კრიტიკის ბედი და საგანგებოდ მსჯელობდნენ მის შესახებ. ისინი იძულებულნი ხდებოდნენ თვითონ ეკისრათ ხოლმე კრიტიკოსის მოვალეობა, რათა მწერლობის ეს უბანი კრიზისიდან გამოეყვანათ; ქართული კრიტიკის ისტორია საგრძნობლადაა დავალებული მათი კრიტიკული ნაზრევით. მის განვითარებას განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ნიკო ნიკოლაძემ, მაგრამ მას მეტწილად რუსულ პრესაში უხდებოდა თანამშრომლობა. ამასთან, მისი უმთავრესი ინტერესები პუბლიცისტიკის სფეროს განეკუთვნებოდა.

კ. აბაშიძემ იმთავითვე სწორად განსაზღვრა თავისი — როგორც ქართველი კრიტიკოსის — დანიშნულება. ვითარების მართებული შეფასებისა და ფართო შესაძლებლობის წყალობით, თავისი სამოღვაწეო პროგრამა მან დიდი წინდახედულებითა და პასუხისმგებლობით მოსაზა; იგი კარგად ხედავდა, რომ აუცილებელი იყო არა მხოლოდ მიმდინარე ლიტერატურული პროცესების თვალის მიდევნება და პირუთვნელი შეფასება, არამედ იმ დამსახურების ჩვენებაც, რომელიც შემოქმედთა წინა თაობებს მიუძღოდათ ახალი ქართული ლიტერატურის შექმნასა და განვითარებაში, ე. ი. მას ერთსა და იმავე დროს უნდა ეტვირთა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსობა და იმდროინდელი მწერლობის კრიტიკოსობაც.

კ. აბაშიძისათვის უდავო იყო ისიც, რომ ქართული მწერლობის

აქტუალური პრობლემების საფუძვლიანი გარკვევა კრიტიკოსისაგან მოითხოვდა მათ შესწავლას არა იზოლირებულად, არამედ რუსული და ევროპული ლიტერატურული მოვლენების შუქზე. ამიტომ არის, რომ კ. აბაშიძე საკმაოდ დიდ დროსა და ენერგიას უთმობს რუსული და ევროპული მწერლობის განვითარების შესწავლასა და გაშუქებას. ამ უბანზეც იგი გვევლინება არა უბრალო პოპულარიზატორად და დილეტანტ-ლიტერატურათმცოდნედ, არამედ საკუთარი მრწამსისა და თვალთახედვის მქონე კრიტიკოსად, რომელიც, ენებისა და ესთეტიკის ზოგადი მოძღვრების ღრმა ცოდნის წყალობით, მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კურსში იმყოფება.

მართალია, მატერიალისტური ესთეტიკის ძირითადი პრინციპები უცხო აღარ იყო მაშინდელი მკითხველისათვის, მაგრამ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ სკოლათა და დაჯგუფებათა არსებობა მაინც აუცილებელს ხდიდა ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის მთავარ პრობლემებზე მსჯელობას. ამ მიმართულებითაც კ. აბაშიძე თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და არაერთი საინტერესო და სადავო პრობლემა გააშუქა ჩვენი პრესის ფურცლებზე.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ კ. აბაშიძე თავის კრიტიკულ მოღვაწეობაში არ იფარგლებოდა მხოლოდ ლიტერატურით. იგი დაინტერესებული იყო ხელოვნების ყველა დარგით (თეატრი, მხატვრობა, მუსიკა) და ბევრი საყურადღებო შეხედულებაც გამოთქვა მათ შესახებ.

«ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ» და «ცხოვრება და ხელოვნება» უდავოს ხდიან, რომ კ. აბაშიძე იყო დიდი ერუდიციისა და ფართო მასშტაბის კრიტიკოსი, რომელიც იმდროინდელი მსოფლიო კრიტიკული აზრის დონეზე იდგა და საკუთარი თვალთახედვითა და გემოვნებით აფასებდა როგორც მშობლიური, ასევე რუსული და ევროპული მწერლობის საყურადღებო მოვლენებს.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ კ. აბაშიძის როლი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისა და ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების საქმეში.

მის მიერ თითქმის ტრადიციად დამკვიდრებული ყოველწლიური ლიტერატურული მიმოხილვები, თუ ცალკეულ მწერალთა შესახებ დაწერილი კრიტიკული სტატიები გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და გულწრფელობით, ჩვენი მწერლობის ჭეშმარიტი სიყვარულითა და მისი უკეთესი მომავლის რწმენით. ეცნობით ამ წერილებს და ზოგჯერ გა-

კვირვებულიც კი რჩებით, თუ როგორი თანაგრძნობითა და წამქეზებელი ტონით წერს ხოლმე იგი სრულიად ახალგაზრდა მწერლის შესახებ, მაშინ, როცა სასტიკი მომთხოვნია უკვე სახელმოხვეჭილ და მოწიფულ შემოქმედთა მიმართ. იგი ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ახალი სახელების გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე და საოცარი სიფაქიზით აფასებდა მათ მოკრძალებულ განაცხადს; ხშირად, სრულიად შეგნებულად, გადაჭარბებულადაც კი წარუდგენდა ხოლმე მკითხველს მათ მხატვრულ შესაძლებლობას.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ კ. აბაშიძეს მეტად რთულ ისტორიულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. ოცდასამი წლის მანძილზე ეწეოდა იგი კრიტიკოსის მძიმე ჯაპანს და ამ არც თუ დიდი დროის განმავლობაში მას წილად ხვდა მოწმე და უშუალო მონაწილე ყოფილიყო ისეთი რთული სოციალ-პოლიტიკური სიტუაციებისა, როგორიც იყო 1905 წლის რევოლუცია და მის შემდგომ გაბატონებული რეაქციის წლები, პირველი მსოფლიო ომი და მისი მომდევნო ხანა, ოქტომბრის დიდი რევოლუციისათვის მზადების გრანდიოზული ეპოპეა და სხვ. ამ გარემოებამ, ცხადია, თავისი ანარეკლი ჰპოვა კ. აბაშიძის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაშიც, მით უმეტეს, რომ იგი არ ყოფილა პოლიტიკური მოვლენების გულგრილი მეთვალყურე და საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული პარტიათა შორის გამართულ ბრძოლებში; ფედერალისტური პარტიის მცდარმა პოლიტიკურმა კონცეფციამ მისი მსოფლმხედველობაც, ცხადია, დააზარალა.

კ. აბაშიძე ვერ აცდა ვერც წმინდა ლიტერატურული ხასიათის ცდუნებას. მან მეტად ბეჯითად იწამა ბრუნეტიერის ევოლუციური თეორია და სწორედ ამ თეორიის პროპაგანდით დაიწყო თავისი კრიტიკული მოღვაწეობა. ყოველივე ეს, ცხადია, სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რათა არა მხოლოდ კრიტიკულად მიუდგეს კ. აბაშიძის შემოქმედებას, არამედ მართებულად შეაფასოს და გამოიყენოს იგი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კ. აბაშიძის მიერ ბრუნეტიერის თხზულებათა პოპულარიზაციას სერიოზული გაუგებრობაც მოჰყვა. მხედველობაში გვაქვს ნაშრომი «ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში», რომელიც პირველად ჟურნალ «მოამბეში» (1894 წ., № 12, 1895 წ., №№ 1, 2) დაიბეჭდა, ხოლო 1919 წელს, კ. აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, ცალკე წიგნად გამოვიდა ქუთაისში. წიგნი გამოსცა მეტად უჩვეულო «გამომცემლობამ» — «აკ-სიმ-კოლი»-მ, რაც ნიშნავს: აკაკი (ბელიაშვილი), სიმონ (ჩიქოვა-

ნი), კოლია (ჩაჩავა). ამის შემდეგ ბევრი მკითხველი, მათ შორის, სამწუხაროდ, მკვლევარებიც აღნიშნულ ნაშრომს კ. აბაშიძისად მიიჩნევენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

კ. აბაშიძის მიერ «მოამბეში» დაბეჭდილი წერილების სერია «ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-XIX საუკუნეში» წარმოადგენს ფ. ბრუნეტიერის ნაშრომის — «L'evolution de la poesie lyrique en France au dix-neuvième siecle» — შინაარსის გადმოცემას. ეს გარემოება კ. აბაშიძეს, ცხადია, არც დაუმალავს. პირიქით, მას მიზნად ჰქონდა გაეცნო მკითხველისათვის თავისი მასწავლებლის ნაშრომი, რათა მისთვის შეემატებია მიმდევრები და პატივისმცემელნი.

ჯერ კიდევ უფრო ადრე (გაზ. «ივერია» 1894 წ., №№ 165, 166) კ. აბაშიძემ ქართველ მკითხველს გააცნო ფ. ბრუნეტიერის მთავარი ნაშრომის — «L'evolution des genres dans I'histoire de la literature» — შინაარსი და თავისი დამოკიდებულება მასთან. აღნიშნული წერილის («მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში») შეტანა წინამდებარე კრებულში ჩვენ მაინც შესაძლებლად დავინახეთ, ვინაიდან მასში გარკვეულად ჩანს, რატომ მიიღო კ. აბაშიძემ ფ. ბრუნეტიერის ევოლუციური მეთოდი და როგორ ესმის მას მისი არსი. რაც შეეხება ნაშრომს «ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში», მისი შეტანა ამ კრებულში მიზანშეწონილად ვერ ვცანით, ვინაიდან იგი ბრუნეტიერის თხზულების შემოკლებულ თარგმანს წარმოადგენს მხოლოდ და მეტად მცირეა ის ლირიკული წიაღსვლები, რომლებიც თვით კ. აბაშიძეს ეკუთვნის. მით უმეტეს, რომ ყველა მათგანი მას კვლავ განმეორებული აქვს თავის «ეტიუდებში...» ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების დახასიათებისას.

თვითონ კ. აბაშიძე, წამძღვარებულ მოკლე შესავალში, გარკვევით წერს: «ამ თხზულებაში («ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში» — დ. გ.), რ ო მ ლ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ს ა ც ე ხ ლ ა ვ უ ა მ ბ ო ბ თ მ კ ი თ ხ ვ ე ლ ე ბ ს (ხაზი ჩვენია—დ. გ.), ავტორი გვიხატავს სალირიკო პოეზიის ევოლუციას. აქ გვიჩვენებს იგი მაგალითს იმ მოვლენისას, თუ ერთი ფორმა (საეკლესიო მჭევრმეტყველება) როგორ გადაიცვლება მეორე ნათესავ ფორმად (სალირიკო პოეზიად); გვიხსნის, რა გარემოებანი უშლიდა ხელს, მაგალითად, სალირიკო პოეზიის განვითარებას XVII და XVIII საუკუნეებში და რა ვითარებანი უწყობდა შემდეგ ხელს მის აყვავებას მეცხრამე-

ტე საუკუნეში, ავტორი გვითვალისწინებს აგრეთვე რა მიზეზების გამო მოგვცა მეჩვიდმეტე საუკუნემ საუკეთესო ნიმუშები საეკლესიო მჭევრმეტყველებისა და რა მოხდა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში სრულიად გაქრა სალიტერატურო ნაწარმოების ეს გვარი» («მოამბე», 1894 წ., № 12).

ამ შესავალს მოსდევს ფ. ბრუნეტიერის დასახელებული თხზულების შინაარსის გადმოცემა ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით (ეს ადგილები წინწკლებშია), ზოგჯერ — შემოკლებით, — ძირითადი აზრის თხრობით.

ასეთივე ხასიათისაა გაზეთ «ივერიაში» (1895 წ., № 3) გამოქვეყნებული წერილიც «აზრი რუსულის ლიტერატურის შესახებ ფრანგი კრიტიკოსისა», რომელშიც ლემეტრის ნაშრომის შინაარსია გადმოცემული.

კ. აბაშიძის ამგვარი ხასიათის წერილებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი საერთო კონცეფციის გასათვალისწინებლად, მაგრამ ამ ნაშრომთა მის ორიგინალურ ნაწერებად გამოცხადება აშკარა გაუგებრობაა.

მოკლე შესავალ წერილში შეუძლებელია სრულად და ამომწურავად ვილაპარაკოთ კ. აბაშიძის კრიტიკული მემკვიდრეობის როგორც ღირსება-მნიშვნელობაზე, ასევე სუსტ მხარეებზე, მაგრამ დაინტერესებული მკითხველი მათ შესახებ პასუხს იპოვის ჩვენს მონოგრაფიაში — «კიტა აბაშიძე», რომელიც მოკლე დროში გამოვა.

წიგნში შეტანილი კ. აბაშიძის სტატიები დაბეჭდილი იყო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა ენა, ცხადია, განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამიტომ, რედაქციის დროს ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, წერილები განგვეტვირთა ორთოგრაფიული სიჭრელისაგან. საჭიროდ ვცანით აგრეთვე ზოგიერთი წერილიდან ამოგვეღო დღევანდელი მკითხველისათვის უკვე არაფრისმთქმელი ცალკეული ფრაზები და მათი ადგილი მრავალწერტილისათვის დაგვეთმო.

პროფ. დ. გამეზარდაშვილი

ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის საკითხები

1. მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საფრანგეთის აკადემიაში უკვდავთა თანა შერიცხულ იქმნა საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ფერდინანდ ბრუნეტიერი. თუმცა მან de jure ჟურნალისტ ლემუანის სავარძელი დაიკავა, მაგრამ de facto ბრუნეტიერს ტენის ადგილი ეკუთვნის და თუკი ვინმე არის იმ ადგილის დაკავების ღირსი, ბრუნეტიერია. როგორც ნიჭით, ისე გასაოცარი ცოდნისა და არაჩვეულებრივი მეხსიერებით იგი გაცილებით მაღლა დგას დღევანდელ საფრანგეთის ყველა კრიტიკოსზე (ჟიულ ლემეტრსა, ანატოლ ფრანსსა, ემილ ფაგესა და განსვენებულ ემილ ჰენეკენზეც). ამას თვით ემილ ფაგე მოწმობს თავის ეტიუდში ბრუნეტიერის შესახებ, რომელიც ახლადდაარსებული ფრანგული ჟურნალის „Revue de Paris"-ის პირველ ნომერშია მოქცეული. ახლახან მაინც საზოგადოდ საფრანგეთის ლიტერატურამ და ფილოსოფიამ ისეთი სიცოცხლე გამოიჩინა, რომ გაცილებით წინ გაუსწრო ევროპის სხვა ქვეყნებისას. ამიტომ მე მგონია ჩვენის ლიტერატურისათვის აუცილებლად საჭიროა თვალყური ადევნოს ამ ლიტერატურასა და კრიტიკას. მართალია, ჩვენ სრულიად ვეთანხმებით „კვალის" რეცენზიას „მოამბის" პირველი ნომრის უცხოეთის მიმოხილვის შესახებ, მაგრამ ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთის ზემოხსენებულ წარმატებას ლიტერატურისა და ფილოსოფიის მხრივ, მაშინ ჩვენ ბევრს წავაგებთ, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ამ ქვეყნის ლიტერატურას. მხოლოდ ჩვენი განშორება, ნებსით თუ უნებლიეთ, საერთაშორისო პოლიტიკიდან იმ სარგებლობას გვაძლევს, რომ შეგვიძლია გავარჩიოთ ის დღიური ინტერესების გატაცებით გამოწვეული ნაკლოვანებანი, რომელიც შეეპარა საფრანგეთის ცხოვრებას, მრავალ უეჭველ ღირსებასთან ერთად, რაც შედეგია იმ მაღალი აზრებით გატაცებისა, რომლის მაგალითი ყოფილა ყოველთვის ეს ქვეყანა. რაკი ეს ყოველთვის სახეში გვექმნება, შეიძლება ვერავინ ისე ვერ ისარგებლოს კეთილად ეხლანდელი ლი-

ტერატურული და ფილოსოფიური მიმართულებით, (რომლისაც ვიმეორებთ, საფრანგეთი საუკეთესო წარმომადგენელია), როგორც ჩვენ. ასეა, ბატონებო, ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ ცუდი მდგომარეობა ერთ რამეში არის საფუძველი მეორეს მხრივ წარმატებისა და კეთილის შეძენისა.

რაკი ეს შენიშვნები წინ წავიმძღვარეთ, ეხლა შეგვიძლია შევუდგეთ ჩვენს საგანს. ჩვენ გვსურს პატარა წერილში გამოვხატოთ ის, თუ ევოლუციის მოძღვრებას ბრუნეტიერი რა რიგად ხმარობს საზოგადოდ ლიტერატურისა და მისი ისტორიის შესასწავლად. ეს აზრები მან გამოთქვა პირველად 1890 წელს გამოცემულ წიგნში, რომელსაც ეწოდება: **L'évolution des genres dans l'histoire de la literature.** ეხლახან კი მან გამოსცა პირველი ტომი იმ ლექციებისა, რომლებსაც შარშან კითხულობდა სორბონში: **L'évolution de la poésie lyrique en France,** იგი შეადგენს პირველის გაგრძელებას.

1890 წელს გამოცემულ წიგნში ბრუნეტიერი გვპირდებოდა, რომ 1892 წელს მთლად დავამთავრებ ჩემს თხზულებასაო, რომლის შესავალს შეადგენდა ეს პირველი წიგნი. ამ შესავალში ის აგვიწერს კრიტიკის ევოლუციით მსვლელობას განახლების ეპოქიდგან დღევანდელ დღემდე, მეორე ტომში უნდა ყოფილიყო ევოლუცია ლიტერატურულ ჟანრთა (გვართა), მესამეში იქნებოდა მაგალითები და მეოთხეში კი — დასკვნა და მეთოდი. მაგრამ ჩანს ძალიან შორს გაიტაცა ამ შრომამ შესანიშნავი კრიტიკოსი, რადგან აგერ 1894 წელია და ჯერ გამოსცა მხოლოდ მეორე ტომი, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ნაწილი მეორე ტომისა, რადგან იქ, როგორც გვპირდებოდა, სხვაც ბევრი რამ უნდა ყოფილიყო შოქცეული. ეჰვი არ არის, ბრუნეტიერი, რომელიც ცნობილია თავისი გატაცებული შრომისმოყვარეობით და სინიდისიერი შრომით, რომლის ცოდნა და ნიჭი უეჭველი საფუძველია, რომ ძალა შესწევს ამგვარის დიადი შრომის ასასრულებლად და, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფილოსოფოსია (სულ 45 წლის თუ იქნება და ეს ხანა ფრანგისათვის და საზოგადოდ ევროპელისათვის საუკეთესო ხანაა შრომისათვის), ადრე იქნება თუ გვიან თავის აღთქმას შეასრულებს და თუ შეასრულა, დიდ სახელს უქადიან, როგორც მისი თანამემამულეები, ისე უცხოელი მწერლებიც. „მე მინდა, — ამბობს იგი, — რადგან ევოლუციის თეორია ეხლა მეფობს და რადგან ამ თეორიამ დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ბუნებისმეტყველებას, არამედ საზოგადოდ ისტორიასა და ფილოსოფიას, ეს თეორია მოვახ-

შარო ლიტერატურის ისტორიას და კრიტიკას, გამოვცადო იმათთვისაც ისეთივე ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება თუ არაო"[1]. „თუკი ტენმა ლიტერატურის ისტორიას მოახმარა ჟოფრუა სენტჰილერისა და კიუვიეს თეორიები, ჩვენ, ჩვენი მხრივ, გვინდა ვსცადოთ შეიძლება თუ არა ამ თეორიების ნაცვლად, ანუ, უკეთა ვსთქვათ, მათ შესავსებად და შესასწორებლად კაცმა იხმაროს დარვინისა და ჰეკელის თეორია"[2].

პირველად ყოვლისა, ავტორი აღიარებს, რომ, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაშიაც არის გვარი — ლიტერატურული ჟანრი. ეს ჟანრები, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადებიან, იზრდებიან და მერე გადაიცვლებიან სხვა მონათესავე ჟანრებშიო. იმათ დაბადებას, როგორც მათ აყვავებასა და გადაცვლა-ტრანსფორმაციას ან ხელს უშლიდა და ან ხელს უწყობდა ზოგიერთი ვითარება, ზოგიერთი გარემოება, მათ შორის მხოლოდ ისინი რჩებოდნენ და ძლიერდებოდნენ, რომელნიც უფრო ღონიერნი იყვნენ და რომელთაც ამ ვითარების თავის სასარგებლოდ მოხმარების უნარი შესწევდათ. ერთი სიტყვით, ბუნებრივ შერჩევას ექვემდებარებოდნენ. მათ შორისაც წარმოებდა ცხოვრებისათვის ჭიდილი, საუკეთესო და იდეალური, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რომელიც იმითი თავდებოდა, რომ ერთი ჟანრი (გვარი ლიტერატურული ნაწარმოებისა) გზას უთმობდა მეორეს, მაგრამ მთლად-კი არ აღიგვებოდა პირისაგან ქვეყნისა, არამედ გადაიცვლებოდა ამ მეორეში. ამნაირად, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურის მსვლელობაშიც ხდებოდა ევოლუცია, ცხოვრებისათვის ჭიდილისა და ბუნებრივი შერჩევის შემწეობით.

ზემოხსენებული თეზისებიდან თავისთავად იბადება ათასი სხვადასხვა კითხვა. მართლაც, თუ ლიტერატურული ჟანრები, ლიტერატურული ფორმები, ერთიმეორეს მოსდევენ, ერთიმეორეში გადიცვლებიან, ეს შემთხვევით ხდება თუ რაიმე კანონს ექვემდებარება? ეს თანასვლა უბრალოდ ქრონოლოგიურია, ე. ი. გარეგანი თუ გენეალოგიურია და შინაგან თვისებაზეა დამყარებული? ამის შემდეგ, რა ესთეტიკური კავშირი არსებობს ორ, ერთიმეორის მიმდევარ ლიტერატურულ ჟანრს შორის? მაგალითად, ის ფორმა დგას უმაღლეს ხარისხზე, ესთეტიკური მხრით, რომელიც წინ იყო, თუ რომელიც შემდეგ წარმოიშო? რაში-მდგომარეობს ეს უმჯობესობა? ანდა, შეიძლე-

[1] იხ. L'évolution des genres..., გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 278.

ბა თითოეულ მათგანს ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული ღირსება და ნაკლოვანება, რომელიც მეორეს არ ექნება? თუ ერთი ფორმა მეორეში გადაიცვლება, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ახალ ფორმას ნასესხები აქვს ძველი ფორმის თვისებანი, მასთან შედარებით წარმატების, პროგრესის გზაზე დგას, თუ, წინააღმდეგ, ხელოვნების ახალი ფორმა წარმომადგენელია რეგრესისა და დაცემისა, დამცირებისა და გათახსირებისა?

შემდეგ გენეალოგიური და ესთეტიკური დამოკიდებულებისა, რა მეცნიერული კავშირია ამ სხვადასხვა გვარს შორის. მათი ცვლა ექვემდებარება თუ არა რაიმე კანონებს და შეგვიძლია თუ არა ამ კანონების გამორკვევა? იქნებ აქ ჩვენ დავინახოთ იგივე, რასაც ბუნების მეტყველები პროგრესულ დიფერენციაციას უწოდებენ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი გვარი გადაიცვლება ხოლმე მრავალგვარად, მარტივი — რთულად?

ამგვარად, ბრუნეტიერმა, მთელი თავისი თხზულებით, პასუხი უნდა გაგვცეს მისგანვე წამოყენებულ შემდეგ კითხვებზე:

1. არის თუ არა ლიტერატურული ფორმა, ჟანრი, თუ შეიძლება ეს ტყუილად თავისშესაქცევად მოგონილი სიტყვები იყოს?

2. პირველ კითხვას თუ „ჰო“ მოჰყვება პასუხად, მაშინ უნდა გაირკვეს დიფერენციაცია ლიტერატურული ფორმებისა: რით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან სხვადასხვა გვარი ლიტერატურული ნაწარმოებისა, რა რიგად ნაწილდებიან ისინი, მარტივისაგან ხდებიან რთულნი და რანაირად ღებულობენ ინდივიდუალურ სახეს?

3. რა გარემოებანი შველიან ლიტერატურული ჟანრის ხანგრძლივ არსებობას, მათ ფიქსაციას? ბუნებაშიც ხომ ყოველი გვარი, ცოტად თუ ბევრად, ხანგრძელია და ჩამდგარია კალაპოტში?

4. რა პირობანი უწყობენ ხელს ლიტერატურულ ჟანრთა ცვლილებას?

5. ტრანსფორმაცია (გადაცვლა ჟანრთა). თუკი ყოველ ჟანრს ცალკე აქვს თავის ევოლუცია, რატომ არ უნდა ჰქონდეს აგრეთვე ევოლუცია საზოგადოდ ყველა ლიტერატურულ ფორმას ერთად. ბუნებაშიაც ხომ ყოველ გვარს აქვს თავისი განსაკუთრებული ევოლუცია, მაგრამ თანაც ყველა გვარი ემორჩილება საერთო ევოლუციას. თუ ევოლუცია უფორმოდ ჩასახულ ბავშვს ბოლოს მშვენიერი და და მკაფიოდ გამოსახული სახის კაცად ჰხდის, ისიც ხომ იცით, რომ კაცი არის ევოლუციის უმაღლესი წერტილი პირუტყვთა და რომ

ეს აუარებელი ცხოველთა სხვადასხვაობა მხოლოდ ორი ან სამი წყვილისაგან წარმოსდგება.

პირველი კითხვა დამტკიცდება და განირჩევა საფრანგეთის ტრაგედიის ისტორიის შესწავლით. ეს არის ის ჟანრი, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და მიაღწია თავის უმაღლეს ხარისხამდე რასინისა და კორნელის ხელში, მერე კი დაეცა და ეხლა სულიც დალია.

იმის მაგალითს, თუ ერთი ფორმა როგორ გადიცვლება ხოლმე მეორედ, წარმოადგენს, ავტორის სიტყვით, ეხლანდელი სალირიკო პოეზია, რომელიც არის ნაშობი სასულიერო მჭერმეტყველებისა.

იმის დასამტკიცებლად, თუ ერთი ფორმა როგორ შედგება სხვადასხვა ფორმის ნამსხვრევებიდან, იკმარებს ისტორია ფრანგული რომანისა. ამნაირად, ეს თხზულება იქნება ისტორია საფრანგეთის ლიტერატურისა: ისტორია კრიტიკისა, ისტორია ტრაგედიისა, სალირიკო პოეზიისა და რომანისა. ჯერ გამოვიდა მხოლოდ პირველი ტომი და მეორე ტომის ნაწილი. ფრანგული ტრაგედიის ევოლუცია იბეჭდებოდა შარშანწინ — „Revue Bleue"-ში. საფრანგეთის სასულიერო მჭერმეტყველების შესახებ ავტორი წელს კითხულობდა ლექციებს სორბონში და მეორე ტომის ნაწილი შეიცავს სალირიკო პოეზიის შესწავლას. ამნაირად, ჯერ მისი დიდი შრომა წესრიგში არ არის მოყვანილი, თუმცა თითქმის უმეტესი და უძნელესი ნაწილი დამთავრებულია.

როგორც ხედავთ, ძლიერ ორიგინალური, საინტერესო და ნაყოფიერი შრომისათვის მოუკიდნია ხელი ბ-ნ ბრუნეტიერს. განმეორებით ვიტყვით, მით უფრო საიმედოა მისი შრომა, რომ იგი ნამდვილი ხელოვანია ლიტერატურაში, ზედმიწევნით იცის იგი და მოსალოდნელია, რომ ლიტერატურის ისტორიას არ დაანგრევს და არ დაამსხვრევს, არ შეაწებებს ერთმანეთს უვარგისი წებოთი, რომ მაინცადამაინც თავისი თეორია გაიყვანოს.

ის ცდილობს მხოლოდ ამ თეორიით ახსნას მსვლელობა მწერლობისა; იგი შორს არის ფატალისტური დეტერმინიზმისაგან, და ეს იმედს გვაძლევს, რომ კაცის სულიერ-ფსიქოლოგიურ მხარეს დიდ ყურადღებას მიაქცევს, და აქცევს კიდეც. და ამით მექანიკურ, გარეგან ევოლუციის თეორიას არ შეიტანს იქ, სადაც მას სრულიად არა აქვს ადგილი. ამას გარდა, დიდი მეცნიერია და ეს უეჭველი საბუთია იმის, რომ იმის დასკვნის საძირკველი ძალიან მტკიცე ნიადაგზედ იქნება აშენებული.

პირველი ტომი, როგორც მოგახსენეთ, გვიჩვენებს კრიტიკის ევოლუციას. აქ არის წარმოდგენილი ლიტერატურის ერთი გვარის— კრიტიკის — ევოლუცია; არის ნაჩვენები კრიტიკა, რომელიც პირველად უბრალო, თავისი აზრის გამოთქმა იყო ამა თუ იმ თხზულების შესახებ, რანაირად გადაიქცა არა მეცნიერების შტოდ, არამედ — ნამდვილ მეცნიერებად, რომელიც ბუნებისმეტყველებას წააგავს. კრიტიკის ისტორია, ბრუნეტიერის აზრით, იყოფა სამ უმთავრეს ეპოქად: 1. ანტიკლასიკური; 2. კლასიკური, და 3. ისტორია ეხლანდელი კრიტიკისა.

პირველ ეპოქაში, რომელიც განახლების ეპოქიდან იწყება, კრიტიკოსები ცდილობენ კლასიკური ლიტერატურის შესწავლასთან ერთად გამოიძიონ და გამოირკვიონ, რა საშუალებას ხმარობენ ძველი მწერლები ესა თუ ის მოქმედება რომ იქონიონ, ანდა რა არის უმთავრესი მიზეზები ამ მოქმედებისა?

მეორე ეპოქაში ისინი ცდილობენ დაადგინონ ლიტერატურული კანონები, რომლებიც შედგენილია ძველი მწერლობის შესწავლის შემწეობით და, რომელიც დღეის ამას იქით უნდა შეიქმნას ყოველი მწერლის სახელმძღვანელოდ (ბუალო, მაგალითად). ყველა მწერალს ვალად ედება დაემორჩილოს ამ კანონს, იხმაროს ისეთივე საშუალება, როგორც ძველ მწერლებს სჩვევიათ რომელისამე მოქმედების გამოსაწვევად. იმას-კი ყურადღებას არ აქცევენ, თუ რამდენად შესაფერია ძველი იარაღი ახალი დროისათვის. აქედან დაიბადა მთელი ცრუ-კლასიკური მიმართულება ლიტერატურაში.

მესამე, ეხლანდელ ეპოქაში კრიტიკოსები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენელნი ქალბატონი სტალი და ბ-ნი შატობრიანი არიან, იწყებენ უცხოეთის და თავისი ძველი, ხალხური ლიტერატურის შესწავლას. ამ შესწავლიდან იბადება ეჭვის თვალით ყურება კლასიკური კრიტიკისაგან შედგენილ კანონებისადმი, რადგან უცხოეთის და თავისი სახალხო ლიტერატურის შესწავლამ მათ ისეთი მშვენიერებანი აღმოუჩინა, რომელიც არ მოეპოვებოდათ არც ფრანგულ ცრუ-კლასიცისტებს და არც ძველ მწერლებსა.

შემდეგ, ვილმენთან ერთად, კრიტიკა არ სჯერდება მარტო უცხო ქვეყნების ლიტერატურისა და თავისი ძველი სახალხო ლიტერატურის შესწავლას. იგი ცდილობს შეისწავლოს და გამოარკვიოს, თუ რა კავშირია ლიტერატურულ ნაწარმოებსა და მისგან გამოხატული დროის, პოლიტიკური წყობილებისა და საზოგადოების სტრუქტურას

შორის. უკვე იბადება მეცნიერული ხანა. აქ გამოჩნდება სენტ-ბევი და კრიტიკაში შემოაქვს ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია. ეხლა კრიტიკა აღარ კმაყოფილდება მარტო იმის შესწავლით, თუ რა კავშირია დროსა და ლიტერატურას შორის, იგი ცდილობს გამოიძიოს, რა კავშირი არსებობს ლიტერატურულ ნაწარმოებსა და მის ავტორს შორის; რა დამოკიდებულება აქვს ლიტერატურულ ნაწარმოებს მისი ავტორის აგებულებასთან, მის შთამომავლობასთან, მის აღზრდასთან? სენტ-ბევი მამამთავარია საბიოგრაფიო კრიტიკისა. აი, რას სწერს იგი თავის წერილში დიდროს შესახებ 1831 წელს:

„მე ყოველთვის მიყვარდა წაკითხვა გამოჩენილ კაცთა მიწერ-მოწერისა, საუბრისა, ფიქრისა და შენიშვნისა. მსურდა გამეგო ხოლმე ყოველივე, რაც-კი შეეხებოდა მათ ხასიათს, ზნე-ჩვეულებას. ერთი სიტყვით, ვცდილობდი შემეტყო მათი ვრცელი ბიოგრაფია... დავიკეტებოდი ხოლმე ერთ-ორ კვირას ოთახში და შემოვიწყობდი გარეშემო რომელიმე შესანიშნავი პოეტის ან ფილოსოფოსის ნაწერებს. შევისწავლიდი, დავეკითხებოდი ამ ნაწერებს, როგორც ცოცხალს, და თვალწინ წარმოვიდგენდი ხოლმე მათ დიდებულ ცხოველ სურათებს“[1]. ბიოგრაფიებს ეტანებოდა მისთვის, რომ მეცნიერული ინტერესი ჰქონდა. ბიოგრაფიების შემწეობით იგი შეისწავლიდა მწერალს ყოველი მხრით. ანატომიურად იგი გებულობდა, თუ რა აგებულებისა იყო ესა თუ ის მწერალი და იძიებდა, რა გავლენა ჰქონდა მათ ფიზიკურ სიმხნევეს თუ სისუსტეს ნაწერებზე. ფიზიოლოგიურად იგი შეისწავლიდა, რა ქვეყანაში იყო მწერალი დაბადებული რათა გაეგო ჰავისა და ბუნების გავლენა. იძიებდა, როგორი შთამომავლობისა იყო, რათა გაეგო მშობლებმა რა და რა თვისებანი გადასცეს ამა თუ იმ მწერალს. ფსიქოლოგიური მხრით აინტერესებდა. რასა გრძნობდა მწერალი და რა აზრები უტრიალებდა თავში, როგორ გრძნობდა იგი, ან რას ფიქრობდა ცხოვრების, სარწმუნოების, სიყვარულის, ხელოვნებისა და კაცობრიობის სხვადასხვა ზნეობრივი მოვლენის შესახებ. ამგვარად, ის ტყუილს არ ამბობდა, როცა წერდა, რომ მე ვადგენ გონებათა ბუნებისმეტყველებასო.

მაგრამ სენტ-ბევი მეტისმეტი არტისტი იყო და ამიტომაც თაყვანსა სცემდა „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“. სწამდა ზნეობრივი

---

[1] L'évolution des genres, გვ. 228.

თავისუფლება კაცისა და ამიტომაც მისი კრიტიკა კიდევ შორს იყო ჯერ იმ კრიტიკისაგან, რომელიც ტენის ხელში მთლად ერთიანად ბუნებისმეტყველებას დაემსგავსა.

ტენი აღზრდილია საფრანგეთის პოზიტივიზმისა და ინგლისის ნატურალიზმის ნიადაგზე. იმის ხელში კრიტიკა გარდაქმნილია ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ ნაწილად, როგორც ბოტანიკაა, ანდა ზოოლოგია. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ტენი კრიტიკაში ნამდვილი შვილია სენტ-ბევისა. ის მისდევს სენტ-ბევის გაკვალულ გზას და თვითვე აღიარებს მას თავისს მოძღვრად. მხოლოდ მოძღვართან შედარებით უფრო თამამი და გაბედული მოწაფეა, ეს უფრო ლოგიკური მიმდევარია სენტ-ბევისაგან დანერგილი ნატურალისტური კრიტიკისა. აი, რას ამბობს ტენი კრიტიკის შესახებ ერთ თავის თხზულებაში: „ნატურალისტებმა შენიშნეს, — სწერს იგი, — რომ ცხოველის სხეულის სხვადასხვა ნაწილი არის დამოკიდებული ერთიმეორეზედ, ასე რომ, მაგალითად, კბილები, კუჭი, ფეხი და სხვადასხვა ინსტიქტი, ალღო ერთსა და იმავე დროს იცვლებიან. თუ ერთი მათგანი გამოიცვალა, უთუოდ დანარჩენებიც გამოიცვლებიან, რადგან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან. აგრეთვე ისტორიკოსსაც შეუძლია შენიშნოს, რომ სხვადასხვა ნიჭი და მისწრაფება ინდივიდისა, მთელი რასისა და მთელი ეპოქისა ერთიმეორეზედაა დაკავშირებული. ასე რომ, რომელიმე ამ ნიჭთაგანის ცვლილება გინდ ინდივიდში, გინდ მჭიდროდ შეერთებულ ჯგუფში და გინდ რომელსამე ეპოქაში. იწვევს ცვლილებას მთელი სისტემისას. ნატურალისტებმა დაგვანახვეს, რომ თუ სხეულის რომელიმე ნაწილმა გადააჭარბა განვითარებით სხვა ნაწილებს, მაშინ ეს უკანასკნელნი ან ჩლუნგდებიან, ანდა მთლად ისპობიან სხეულში. ამგვარადვე ისტორიკოსსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ რომელიმე ნიჭის ნამეტნავი განვითარება, როგორც, მაგალითად, ზნეობრივი თვისებისა გერმანელებისა და ინდუსების მეტაფიზიკური და რელიგიური ნიჭისა, აჩლუნგებს სხვა წინააღმდეგ თვისებათა ნიჭს. ნატურალისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ ცხოველისა და მცენარის ზოგიერთ თვისებათაგანს უკავია უმცირესი ადგილი მის ორგანიზაციაში, ამიტომ ხშირად იცვლებიან, ხანდახან დაჩლუნგებულნი არიან და ხან სულ არ შეიმჩნევიან; ზოგი კი მთავარი თვისებაა, რომლისგანაც დამოკიდებულია მთელი ორგანიზაციის სახე. ამნაირადვე, ისტორიკოსს შეუძლია დაამტკიცოს, რომ რომელიმე ადამიანის, ანუ ჯგუფის ზოგიერთი თვისება არის უმცირესი

და უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ზოგი კი, როგორც მაგალითად იდეების ქონება· არის უმთავრესი და წინდაწინვე განსაზღვრავს მისი ცხოვრებისა და აზრების მიმართულებას. ამას უწოდებს ტენი „კანონს ურთიერთშორის დამოკიდებულებისას“[1].

მიაქციეთ ამ ადგილს ყურადღება და სთქვით: განა შესაძლებელია უფრო მეტი დამორჩილება ბუნებისმეტყველებისათვის კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიისა? რაკი, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში, მოიძებნება თვისებანი, რომელთაც ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომელთა ცვლილებაზეც დამოკიდებულია სხვა ცვლილებანი· მაშ როგორც ბუნებისმეტყველის, ისე ისტორიკოსის და ლიტერატორის საქმეა ამ უმთავრეს თვისებათა მოძებნა. როდესაც რომელიმე ლიტერატურას ყურადღებას მიაქცევთ· უნდა მონახოთ ის მთავარი თვისება და მერმე გამოიძიოთ, თუ რა მიზეზთა ზეგავლენითა აქვს ამა თუ იმ ლიტერატურას ეს და არა სხვა რაიმე თვისება. ყოველი ლიტერატურა იბადება და იზრდება სამი ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ: რასისა, გარემოებისა და დრო-ჟამისა. ყოველ ხელოვანს, მწერალია იგი თუ მხატვარი, მოქანდაკე თუ ხუროთმოძღვარი, ასვია ბეჭედი მისი ერის უმთავრესი თვისებისა, იმ გარემოებისა—საზოგადოებრივი თუ ბუნებრივი წრისა, რომელშიაც ხელოვანი სცხოვრობს, და იმ ეპოქისა, რომელსაც ეკუთვნის მისი გონების ნაწარმოები.

რა არის რასა? „რასას რომ უძახით, ეს არის თანდაყოლილი ანუ მემკვიდრეობით მოპოვებული განწყობილება, რომელიც კაცს მოაქვს თან პირველი სინათლის დანახვისთანავე. ეს თვისებანი დაკავშირებული არიან ხოლმე ტემპერამენტთან და სხეულის აგებულებასთან... ეჭვი არ არის· რომ არის კაცთა გვარიც, ისევე, როგორც არის სხვადასხვაგვარი ცხენი და ხარი. ზოგნი არიან მამაცნი და გონიერნი. ზოგნი — მხდალნი და უნიჭონი. ზოგთ შეუძლიათ შეთხზან და შეჰქმნან უმაღლესი ნაწარმოები კაცის გონებისა, ზოგთ მარტივი, უმნიშვნელო აზრების შეგნებაც კი ეძნელებათ. ზოგი მათგანი განსაკუთრებით შერჩეული და გაწვრთნილი არის ამა თუ იმ საქმისათვის, როგორც მაგალითად· ჩვენ ვხედავთ, რასას მონადირე ძაღლებისას, ეზოს და ჯოგის დამცველისას და ეტლების მატარებლისას“[2]. აქედან

---

[1] L'évolution des genres, გვ. 249.

[2] იქვე, 258.

გამომდინარე, ტენის შეხედულებით, დახელოვნებული კრიტიკოსი მაშინვე იცნობს ვის ეკუთვნის უსახელო თხზულება. ფრანგ მწერალს, — ცოცხალი და ნათელი გონებისას, თუ — მძიმე, დაბურული მეტაფიზიკური ტვინის პატრონ გერმანელს.

მეორე ფაქტორი არის გარემოება — წრე საზოგადოებრივი და ბუნებრივი. გარემოებას აქვს დიდი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე და ხშირად ცვლის თვით რასის თვისებასაც ხოლმე. როგორც ბუნების შვილნი, ჩვენ ვექვემდებარებით ბუნების გავლენას (ბუნებრივი წრის ზემოქმედებას), როგორც საზოგადოების წევრნი — საზოგადოების წრეს და როგორც შვილნი ამა თუ იმ დროისა — ისტორიულ გარემოებებს. საქართველოს ბუნება ისე მოქმედებს ჩვენზე, რომ ფიზიკურად და ფსიქიკურადაც გვარჩევს ყველა სხვა ქვეყნის შვილებთაგან. მაგრამ თვით ქართველებიც ვირჩევით ერთმანეთში. ვინ არ იცის, რომ დღევანდელი ქართველები ძლიერ შორს დგანან თამარ მეფის დროის ქართველებთან შედარებით. ხოლო იმის მიხედვით, თუ რომელი საზოგადოების წრეს ვეკუთვნით, ჩვენ ვირჩევით დღესაც ერთიმეორისაგან... შეხედეთ რომელიმე მუზეუმში ტილოზე ნახატ სურათს, მაშინვე განარჩევთ, თუ მხატვრობისა რამე გესმით, ვის ეკუთვნის სურათი — მშვენიერი პეიზაჟებითა და ლამაზი შვილებით სავსე იტალიას, თუ უბადრუკი და ძუნწი ბუნების შვილს ჰოლანდიელს. აქ მოქმედებს ბუნება. გადაათვალიერეთ რასინის და კორნელის ტრაგედიები და ნახავთ სასახლის ცხოვრებას, რომელსაც შთანთქმული ჰქონდა მთელი ხალხის ცხოვრება, რა გავლენა ჰქონია იმ დიადი ნიჭის პატრონ მწერლებზე. აი საზოგადოებრივი წრის ზეგავლენა. ნახეთ დიდებული შექსპირის ტრაგედიები და დარწმუნდებით, რომ ეს დიდებული ფილოსოფოსი და კაცის გულისმცოდნეც კი ვერ აშორებია თავის დროის ცრუმორწმუნეობას. აქ თქვენ ნახავთ დროის და ისტორიის გავლენას.

რაღაა ეს მომენტი: „როდესაც ნაციონალური თვისება და გარემოებანი მოქმედებენ, ისინი დაუწერელ დაფაზე კი არ მოქმედებენ, — ამბობს ტენი, — არა, ისინი ისეთ დაფაზე სწერენ, რომელზეც უკვე რამდენიმე ბეჭედია დასმული. იმის მიხედვით, თუ რომელ მომენტში, რომელ დროს აიღებთ დაფას, ზედ ნახავთ სხვადასხვა ნაბეჭდს, და ეს საკმაოა, რომ ჯამიც სულ სხვანაირი იქნეს სხვადასხვა მომენტში. ხალხი, ამ მხრით, შეედრება მცენარეს, ერთი და იგივე თესლი, ერთსა და იმავე ჰაერში, ერთსა და იმავე ნიადაგზე, მაგრამ

სხვადასხვა დროს მცენარის აღზრდისას, გამოიღებს ხოლმე ჯერ ფოთოლს, მერე ყვავილს და მერე ხილს, ასე რომ, პირველნი წარმოშობენ უკანასკნელს და უკანასკნელი იბადება პირველის სიკვდილის შემდეგ"[1].

რასაკვირველია, XIX საუკუნე არ არის ის, რაც იყო XVII ან XVIII საუკუნე, ამიტომ, რაც უნდა მსგავსი იყოს ნაწარმოები მეცხრამეტე საუკუნისა საფრანგეთში, მაინც დიდი განსხვავება იქნება იმას და XVIII საუკუნის ნაწარმოებთ შორის. პირველი კრიტიკის დამთესნი არიან ბუალო, შატობრიანი და ქ-ნი სტალი, ფოთოლი კრიტიკისა არის სენტ-ბევი, ყვავილი —ტენი და ხილი—ბრუნეტიერი. რასაკვირველია, ამ ხილს გულში კიდევ ექნება თესლი, რომელიც სხვა ფოთოლსა და სხვა ხილს გამოიღებს და, ამგვარად, დაუსრულებელი ევოლუცია იქნება. თქმა არ უნდა, ტენის კრიტიკა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ მომენტში, რომელსაც წინ უსწრებდა სენტ-ბევი. ბრუნეტიერიც ხომ უტენოდ შეუძლებელი იქნებოდა. ასე უნდა ვიფიქროთ ამ თეორიით მაინც. ამნაირად, ტენის ხელში ლიტერატურული კრიტიკა ხდება ბოტანიკად და ზოოლოგიად. ამიტომაც, კრიტიკა, რომლის სახელწოდებაც გვაუწყებს, რომ ეს არის განსჯა ლიტერატურულის ნაწარმოებისა, ტენის ხელში იქცევა მხოლოდ ისტორიად, რომლიდანაც ყოველივე მსჯელობა, აზრი და შეხედულება უნდა განდევნილ იქმნას. „ახლანდელი მეთოდი (კრიტიკისა), რომელსაც მე მივსდევ, — ამბობს ტენი, — კაცთა გონების ნაწარმოებს უყურებს ისე, როგორც რომელსამე უბრალო ფაქტს, რომლის თვისება და ხასიათიც უნდა დაგვანახვოს და რომლის მიზეზებიც უნდა ეძიოს. ეს არის მისი საქმე და სხვა არაფერი. ამნაირად გაგებული მეცნიერება არაფერს არ განაძევებს და არაფერს არ შეუნდობს არავის. იგი მხოლოდ გვაჩვენებს და გვიხსნის... იგი იქცევა იმ გვარად, როგორც ბოტანიკა... იგი არის ბოტანიკა, რომელსაც შესწავლის საგნად მცენარე კი არა აქვს, არამედ კაცთა გონების ნაწარმოები"[2].

თვით სენტ-ბევიც მივიდოდა ამ აზრამდე, კაცის ზნეობრივი თავისუფლების რწმენა რომ არა ჰქონოდა. ეს რწმენა უშლიდა, კრიტიკა და ბოტანიკა შეეერთებინა. ხოლო ტენი კი, წარმომადგენელი ახლანდელი პოზიტივიზმისა, უარსა ჰყოფს ყოველივე ზნეობრივ თავი-

---

[1] La moralité de la doctrine évolutive, R.d.d. m., 1 მაისი, 95 წ., გვ. 261.
[2] იქვე.

სუფლებას და ამიტომაც თეორიულად დიდი ნაბიჯი გადადგა მეცნიერული კრიტიკისაკენ: მან შეაერთა ბოტანიკა და კრიტიკა. რა კრიტიკაც გამოვიდა ამ შეერთებისაგან, ამის ნიმუშებს ნახავთ ტენის უნიჭო მიმდევართა ნაჯღაბნებში. ხოლო ტენი კი დიდი ხელოვანი იყო სულითა და გულით, პოეტი იყო გრძნობით და დიდი ჭკუა-გონების პატრონი კაცი. ამიტომაც, თეორიულად თუ ასეთ მშრალ მეთოდს გვიქადაგებდა, პრაქტიკულად გატაცებული კრიტიკოსი იყო. იგი თეორიულად გვარწმუნებდა, რომ არც უნდა მოგწონდეს და არც უნდა გძაგდეს რამეო, პრაქტიკულად კი ძალიანაც მოსწონდა ზოგიერთი თხზულება და ზოგიერთი არ ეჭაშნიკებოდა. ამის დასამტკიცებლად საკმაოა გადაიკითხოთ ზოგიერთი გვერდი მისი შესანიშნავი თხზულებისა L'histoire de la literature anglaise.

უკანასკნელ ხარისხს, სტადიას ევოლუციისას დღევანდელ კრიტიკაში წარმოადგენს ბრუნეტიერი. მართლაც, თუ ტენი ყურადღებას აქცევს მხოლოდ რასას და გარემოებას, ბრუნეტიერს შეაქვს კრიტიკაში „ბუნებრივი შერჩევა“ და „ცხოვრებისათვის ჭიდილი“, რომლითაც ახსნა დარვინმა მსოფლიო ევოლუცია, და რომლითაც უნდა ახსნას ბრუნეტიერმა ლიტერატურის მსვლელობა.

2. მეცნიერება და სარწმუნოება

1895 წლის იანვარში ფრანგული ცნობილი ჟურნალის- „Revue des deux mondes"-ის ფურცლებზე დასტამბული იყო წერილი იმავე ჟურნალის რედაქტორის, გამოჩენილი კრიტიკოსის ბრუნეტიერისა. ამ წერილს მეტად საინტერესო სათაური ჰქონდა: მეცნიერება და სარწმუნოება. იგი ეხლა ცალკე ბროშურად გამოიცა[1].

ბრუნეტიერმა დაიმსახურა სახელი ნიჭიერი და მეცნიერი მწერლისა. მის ნაწერს ყველა ყურადღებას აქცევს, — მტერიცა და მოყვარეც. მაგინებელიცა და თაყვანისმცემელიც. ზემოხსენებული წერილი მით უფრო საყურადღებო შეიქნა, რომ ბრუნეტიერმა ის იყო რომი მოიარა და მისი უწმინდესობის პაპისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო. ყველა ელოდა რას წარმოსთქვამდა ახალი აკადემიკოსი, რომის, — ამ კათოლიკეთა სარწმუნოების მეორე იერუსალიმის, — მოვლის შემდეგ.

ამ ნაწერმა ყველა გააოცა, გააკვირვა. ეს არ იკმარეს, მეცნიერების ქურუმებმა საშინელი ალიაქოთი ასტეხეს იმ ფაქტის გამო. რომელიც ან სულ უყურადღებოდ უნდა დაეტოვებინათ, ანდა სხვაგვარად განემარტათ. ერთი სიტყვისათვის მწერლის მთელ მოღვაწეობას ზურგი შეაქციეს და ისეთი ზარითა და ზეიმით მიიტანეს იერიში მასზედ, რომ არავინ ამას არ მოელოდა მეცნიერების წარმომადგენლებისაგან. მათი მოქმედება უფრო ინკვიზიციის ხანას შეეფერებოდა, როცა ყოველივე, თვით უმნიშვნელო სიტყვა ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე სარწმუნოების „დამცველთა შორის". მეცნიერება საკმაოდ ძლიერია, მეცნიერებსაც აქვს საკმაო გონების ძალა და რაღა საჭიროა წისქვილებს ებრძოლონ და ყოველ მათთვის არასასიამოვნო სიტყვაში, რაღაც უცნაური გველეშაპი ეჩვენებოდეთ. რომელიც შთანთქმას უპირებს მათ წმიდათა წმიდას.

დაიბეჭდა თუ არა ეს წერილი, მას მაშინვე პასუხი გასცა გამოჩენილმა ქიმიკოსმა, ახლანდელმა გარეშესაქმეთა მინისტრმა ბერ-

---

[1] La science et la religion, F. Brunetière, P., 1895.

ტლომ. ბრუნეტიერის წინააღმდეგ გაილაშქრა, ჟურნალისავე საშუალებით, ცნობილმა მეცნიერმა, — ფიზიოლოგმა და ფსიქოლოგმა-რიშემ. კლემანსომ თავის გაზეთში წყევლა-კრულვით მოიხსენია ავტორი ზემოხსენებული წერილისა.

ეს კიდევ ყოველივე ჩვეულებრივია, ხოლო სიცილს ვეღარ იკავებს კაცი, როცა გაიხსენებს, რომ მეცნიერებმა და საპოლიტიკო მოღვაწეებმა, ლიტერატორებმა და ჟურნალისტებმა გაუმართეს ნადიმი ბერტლოს; ნადიმი, რომელსაც აზრად ჰქონდა საქვეყნოდ განეცხადებია პროტესტი ბრუნეტიერის წერილის გამო. ნადიმზედ ბრუნეტიერი შეჩვენებულ იქნა და ექსორია უქმნეს მას. ღმერთო. რა არ დასწამეს: სამშობლოს ღალატი, რესპუბლიკის მტრობა; პაპის საპოლიტიკო უფლებათა მოსარჩლედ მიიჩნიეს, მეცნიერების გაცაბ-ტვერების სურვილი მიაწერეს... დაიხარჯა ბევრი სიტყვა, ბევრი დრო და უთუოდ ბევრი ღვინოც და ყოველივე ეს კი რისთვის?

მეცნიერება გაკოტრდაო, — ამბობდა ბრუნეტიერი ამ წერილში, — ვეღარ აღგვისრულა ის, რაც დაგვპირდა, ვერ გაგვიმართლა იმედები, რომელნიც დაგვიბადა მისმა შარავანდედით მოსილმა. ბრწყინვალე დასაწყისმაო. შეიძლება მითხრან, არც არას დაგპირებივართ და თუ დაგპირდით, კიდევაც შევასრულეთო; ჩვენი მეცნიერება გუშინ დაიბადა და დღეს უკვე მთელი ქვეყნის, მთელი ცხოვრების ელფერი შესცვალაო. მეო, — უპასუხებს ბრუნეტიერი, — კარგად ვიცი, რომ ბევრი რამ აგვისრულეს, მაგრამ რა აგვისრულეს? მხოლოდ მექანიკური აღმოჩენით შეუძლიათ დაიკვეხონ ეხლანდელმა მეცნიერებმა, თორემ კაცის ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ ცხოვრების შინაარსის გამოცნობას ხომ ვერ დაიჩემებენო.

მეცნიერება დაგვპირდა, — განაგრძობს ავტორი, — რომ „საიდუმლოებას“ ფარდას ავხდით და განგიმარტავთ, თქვენთვის მიუწვდომელი აღარა იქნებარაო. საუბედუროდ, ვერ განმარტეს „საიდუმლოება“, ვერ მოსპეს მისი მეუფება და. როგორც დღეს ვრწმუნდებით, თავის დღეშიც ვერ მიაღწევენ იქამდე. მეცნიერებამ ვერ დაგვანახვა ნათლად, როგორი იყო დასაბამი ქვეყნისა, ვერ აგვიხსნა და ვერ განმარტა როგორია, ან რა არის თავი და თავი მიზეზი ყოველივესი; ვერ დაგვანახვა ის გზა, რომლითაც მიდის კაცობრიობა; ვერ აგვიხსნა კაცობრიობის ცხოვრების საგანი. რომელიც იმ ცხოვრების შინაარსს შეადგენს, რომლისაკენაც მიის-

წრაფვის კაცობრიობა; ვერ განმარტა რაში მდგომარეობს და რა იქნება მომავალი ბედიღბალი კაცობრიობისა.

რა ვიყავით და რა ვიქნებით, აი ორი უსაშინელესი, „დაწყევლილი“ საკითხი, რომელზედაც მეცნიერებამ პასუხი ვერ გვიგო და ვერც გვიგებს მომავალში. რომ ვამბობთ, ვერ გვიგებს, — წერს ბრუნეტიერი, — ამის საფუძველი მოგვცა თვით მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებამო. „მიუწვდომელი“ (l'inconnaissable), გამოუცნობელი გარს გვარტყია, ჩვენი ცხოვრება მას მოუცავს, მაგრამ ვერც ფიზიკა და ვერც ფიზიოლოგია ვერას გამხდარან და ვერ აუხსნიათ იგი.

დარვინის უკვდავ შრომას მე თაყვანსა ვსცემო, — ამბობს ბრუნეტიერი, — ქედს ვიხრი მის წინაშე, იმის შრომას ჩემზე უფრო აღტაცებაში იქნებ არავინ არ მოეყვანოს, მაგრამ რა გამოვიდა ან აქედან? ვიცით, რომ მაიმუნებიდან მოვმდინარეობთ, უკეთა ვთქვათ, ჩვენ და მაიმუნებს ერთი წინაპარი გვყოლია, მაგრამ განა ვიცით მაინც რამ შექმნა ეს წინაპარი, როგორი იყო იგი? თუ ეს არ ვიცით, მაშ არც ჩვენი წარმოშობის ამბავი ვიცით. მეცნიერებას შეუძლია აგვიხსნას პირუტყვული მხარე ჩვენის ბუნებისა. ადამიანური მხარე კი მისთვის კვლავ მიუწვდომელია. რა ვართ ჩვენ, როგორც ადამიანნი? საიდან და როგორ გაჩნდა ენა, საზოგადოება, ზნეობა? ვინც კი სცადა ამ საუკუნეში ამ კითხვების გადაწყვეტა, ყველა დამარცხდა, გამარჯვებული არავინ გვინახავს, ასეც იქნება მომავალშიც. ადამიანი უენოდ, უზნეოდ, საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია. მაშ, თუ გვინდა ადამიანის ცხოვრება კარგად გამოვირკვიოთ, უნდა ნათლად ვხედავდეთ, სავსებით ვიცოდეთ ენის, ზნეობისა და საზოგადოების წარმოშობა, მათი შინაარსი, უამისოდ ადამიანის გაგებას ვერ მოვახერხებთ. მათი შეგნება კი დღესდღეობით, ხვალაც და შეიძლება დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, შეუძლებელია.

ცალ-ცალკე რომ გავსინჯოთ ყოველი შტო მეცნიერებისა, იმათაც ასეთი საყვედური ეთქმის. თუნდაც ფილოლოგია და მისი წარმომადგენლები, რომელთაც საბერძნეთისა და რომის ისტორიის შესწავლა ითავეს, დაგვპირდნენ ქრისტეს მოძღვრების მთავარ აზრებს ეპიქტეტისა და მარკ ავრელიუსის ნაწერებში აღმოგიჩენთო, მაგრამ თუ ერთი-ორი სიტყვა ნახეს სახარებისა ზემოხსენებულ ნაწერებში, ის მაინც ვერ აგვიხსნეს, რატომ არის რომ ქრისტეს მოძღვრებას რაღაც უფრო მომხიბვლელი ძალა აქვს?

ვერც აღმოსავლეთის ისტორიის მცოდნეთ შეგვისრულეს პირობა. უნდოდათ დაემტკიცებიათ რომ ბუდიზმი და ქრისტიანობა ერთი და იგივეა, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ მათ არსებით განსხვავებას უფრო დიდი საფუძველი მოუძებნეს, ასე რომ სრულიად საწინააღმდეგოში დაგვარწმუნეს. რაც შეეხება საზოგადოდ ისტორიას, მართალია, ბევრი რამ, გვამცნო, ბევრი ისეთი რამ აგვიხსნა. რაც არ ვიცოდით, მაგრამ მრავალი საგანი გამოუურკვეველი დარჩა, იმიტომ-კი არა, რომ არა ჰქონდეს სურვილი მათი გამორკვევისა, არა, ვერ შეძლეს. ეს კიდევ არაფერი, უმთავრესი კითხვა -- არსებობს თუ არა ისტორიული კანონი — გარდაუწყვეტელი დარჩა, და ვაი თუ ასე დარჩეს სამუდამოდ. თუ არის ასეთი კანონი, რა დამოკიდებულება არსებობს ამ კანონსა და ჩვენს შორის? ჩვენი თავის ბატონი, ჩვენი მოქმედების უფალი ჩვენვე ვართ, თუ ყურმოჭრილი მონა ვართ ულმობელი და უძლეველი ძალისა? აქვს რაიმე აზრი ჩვენს ისტორიულ ცხოვრებას, თუ ისტორია არის მხოლოდ არეულ-დარეული და აწეწილ-დაწეწილი რამ? ისტორია და სხვადასხვა შტო ამ მეცნიერებისა მხოლოდ დუმილით გვიგებს პასუხს მათზე. მართალი რომ ვთქვათ, თავი დიდად არ გაიტეხეს ისტორიკოსებმა, როცა იგრძნეს, რომ ეს საგანი ძნელი გამოსარკვევია. თითქო ასურელნი, ანდა ზენდნი იმიტომ შეუქმნია განგებას, რომ საფრანგეთის და გერმანიის უნივერსიტეტის პროფესორებს ლექციების თემა ექნეთ.

ყველა ეს ნუთუ არ ამტკიცებს, რომ მეცნიერება გაკოტრდა, თუ მთლად არა, ნახევრად მაინცო, — დასძენს ავტორი... უნდა ვთქვათ, რომ არ ვიცით რა იქნება ასი, ათასი, ანუ ორი ათასის წლის შემდეგ; ჩვენ დღევანდელ დღეზე ვლაპარაკობთო და ვამბობთ, რომ კაცის გონება ისეთივე სუსტია „მიუწვდომელის“ გამოსაცნობად, როგორც უწინ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ თუმც ამ ასი წლის განმავლობაში „მეცნიერებას“ უნდოდა „სარწმუნოების“ ადგილი დაეჭირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საწადელს ვერ მიაღწია, და დიდი ხანიც. ძალიან დიდი ხანიც, გაივლის ვიდრე მიაღწევდეს. მან ვერ შეძლო პასუხი ეგო იმ კითხვებზე, რომელნიც ყველაზე უფრო აშფოთებს, აღელვებს და აინტერესებს კაცობრიობას. ამიტომაც, არც მეცნიერებას საზოგადოდ და არც ერთ მის შტოს აღარა აქვს ნება მოითხოვოს უპირატესობა ჩვენი ცხოვრების მართვა-გამგეობაში. ეხლა ცხოვრებაში რევოლუცია ხდება, ევოლუციის ახალ ხანაში შეეედი-

ოო. ამის დასამტკიცებლად საჭიროა უკანასკნელი ათის წლის ნაწარმოები განიხილოთ. რასაკვირველია, — განაგრძობს ავტორი, — არა მწამს, რომ ახალმა ბუდისტებმა, ახალმა კათოლიკებმა და ქრისტიანმა დეკადენტებმა ცხოვრება გარდაქმნან; დიდს არას მოველი „მისტიკებიდან“ და „სიმბოლისტებიდან“ და კარგად ვიცი, რომ იგინი მოდას უფრო მისდევენო. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ცხოვრებას, კარგად განიხილავთ თვით ამ მოვლენებს, დაინახავთ, რომ ახალი ცხოვრება იწყება, აზრი ახალს გზას ადგება. ეს კი იმაში იხატებაო, რომ მეცნიერებამ თავისი დიდი პრესტიჟი დაჰკარგა, ხოლო სარწმუნოებამ თავისი დაკარგული სახელი ცოტათი მაინც აღიდგინა.

ამ ახალ მოძრაობაში საპატიო ადგილი უჭირავს რომის პაპს ლეონ XIII-ეს, — განაგრძნობს ავტორი, — მან შეიგნო დიადი დანიშნულება სარწმუნოებისა, გაიგო წადილი და სულისკვეთება ეხლანდელი კაცობრიობისა და თავის ტახტიდან განაცხადა აღმაფრთოვანებელი, მომხიბვლელი და ნამდვილი მშობლიური სიტყვები. სამი დიდებული საქმე გააკეთაო პაპმა და ამით კათოლიციზმს დიდი პრესტიჟი მოუპოვა ხალხის თვალში. სარწმუნოების აზრიც განახორციელა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცა მას.

პაპის 1891 წლის ეპისტოლეში სამოქალაქო მთავრობის შესახებ შემდეგი სიტყვები ეწერა: „ეკლესიას არა აქვს არავითარი საფუძველი, არ აღიაროს სამართლიანად რომელიმე მთავრობა, გინდ ერთი კაცისაგან შედგებოდეს იგი და გინდ რამოდენიმესაგან. ოღონდ კი ყოველივე მთავრობა ხალხისათვის სასარგებლო იყოს. ხალხს ვერავინ ვერ აუკრძალავს, როგორიც სურს ისეთი მმართველობის შემოღებას. მის სურვილზე არის დამოკიდებული აირჩიოს ისეთი მმართველობა, რომელიც უფრო ეწყობა მის ნაციონალურ ხასიათს, მის ისტორიულ ტრადიციას და ზნეჩვეულებას“. ამგვარად, კათოლიციზმის უმაღლესმა წარმომადგენელმა უარყო ის შემცდარი აზრი (რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მისი წინანდელი წარმომადგენელნი) — მხოლოდ მონარქიული მთავრობა არის ღვთისაგან ნაკურთხი და მისი სასურველიო, — და აღიარა სულ ერთია სარწმუნოებისათვის რანაირი მმართველობაც იქმნება, ოღონდ კი ხალხის სულიერი და ქონებრივი მოთხოვნილება დააკმაყოფილოსო. 1892 წელს პაპმა ეპისტოლე გაუგზავნა საფრანგეთის ეპისკოპოსებს და აქ უკვე პრაქტიკულად აღასრულა ის, რაც უწინ მხოლოდ აზრად

გამოთქვა. იგი უბრძანებდა საფრანგეთის სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელთ:

„დაემორჩილეთ რესპუბლიკას, ე. ი. იმ მთავრობას, რომელიც თქვენს ქვეყანაში არსებობს; პატივი ეცით და იყავით მისი ერთგული მსახურნი, როგორც წარმომადგენელნი საღმრთო ძალისა“.

ამას არ დასჯერდა პაპი და 1891 წლის შესანიშნავ ეპისტოლეში „მუშათა მდგომარეობის შესახებ“, ასეთი სიტყვით მიმართა ევროპის მთავრობათ: „დიდი უმეცრება იქნება, რომ ხალხის ერთ ნაწილს აღმოუჩინოთ მარტო შემწეობა და მფარველობა. ამიტომაც საჭიროა, მთავრობა მიეშველოს მუშათა წოდებას და იძიოს ღონე და საშუალება მათი ინტერესების დასაცავად. ეს მფარველობა მთავრობისა გამოიხატება მასში, რომ ბედ-შავი მუშები უნდა გამოგლიჯონ ხელიდან იმ ჩარჩებსა და სპეკულიანტებს, რომელნიც კაცსა და მაშინას ერთნაირად უყურებენ და სისხლსა სწოვენ, რათა თავიანთი ხარბი სურვილი დაიკმაყოფილონ. ვინც თხოულობს სხვისაგან ისეთ მუშაობას, რომელიც სულიერად სტანჯავს, ხორციელად სისხლს უშრობს და ყოველ ძალსა და ღონეს უსპობს კაცს, იგი ღვთის წინააღმდეგი არის. მის მოქმედებას გულგრილად ვერ უყურებს ის, ვისაც სწამს სიმართლე და ადამიანობა“.

ბოლოს პაპმა კიდევ ერთი შესანიშნავი ეპისტოლე დასწერა, რომლითაც მიმართა მთელ კაცობრიობას და მის მთავრობათ და რომელშიაც თხოულობდა სარწმუნოებრივი ერთობა და თანხმობა დაედგინათ.

რასაკვირველია, პაპი დიდი პატივის ღირსია, რომ კაცობრიობის ეხლანდელ მოთხოვნილებებს ყურადღებას აქცევს, სარწმუნოებიდან ის განკერძოება და ფანატიზმი განაგდო, რომელიც ჩვეულებად ჰქონდათ მის წარმომადგენლებს; შეიტანა სარწმუნოებაში სიცოცხლე და ცდილობს მორალურ ძალაზე ააგოს იგი. შეიძლება აქ მისი პოლიტიკური სიბრძნე იყოს მიზეზი, იქნებ უნდა შეიძინოს ახალი და ძლიერი გუნდი მორწმუნეთა. მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენთვის იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ეხლანდელობას ზურგი არ შეაქცია და ლეონ XIII-ემ გაიგო ღრმა აზრი დღევანდელი ცხოვრებისა და მიუცილებლად იცნო ამ აზრის სამსახური. მართალია ბრუნეტიერი, როცა პაპის მოღვაწეობას დიდი თანაგრძნობით იხსენიებს. მაგრამ ის კი მეტისმეტი და გაუგებარია, რომ ამ მოქმედებით

გატაცებული ავტორი მართლმორწმუნე კათოლიკედ გარდაქმნილა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ.

„იმას ნურავინ იფიქრებს, — განაგრძობს ბრუნეტიერი, — რომ ჩვენ მეცნიერება გავაძევოთ და მსხვერპლად შევწიროთ სარწმუნოებას. ჩვენ არაფრისთვის არ გავწირავთ და არავის დავუთმობთ ჩვენი აზრის დამოუკიდებლობას". ჩვენ არა გვგონია, რომ ზოგიერთ სფეროში მეცნიერებას შეეძლოს სარწმუნოების ადგილი დაიჭიროს, მაგრამ სარწმუნოებასაც არა აქვს ნება მეცნიერების საქმეში ჩაერიოს და ხელი შეუშალოს მას. მეცნიერებამ დაამტკიცა თავისი უძლურება ქვეყნის დასაბამისა და დასასრულის გამორკვევაში, ამიტომაც, ადგილი დარჩა რწმუნებას ზეშთაგონების ძალისადმი. სარწმუნოება, ხომ მოგეხსენებათ, დამტკიცებაზედ არ არის დამყარებულიო. მეცნიერებასა და სარწმუნოებას თავიანთი საკუთარი სფერო აქვთ, სადაც განცალკევებულად მოქმედებენ.

იგივე არ შეიძლება ითქვას სარწმუნოებისა და მორალის შესახებ. ედ. შერერისა არ იყოს, მორალისათვის, ხეირიანი და რიგიანი მორალისათვის მიუცილებელია აბსოლუტი: იგი დაუსრულებელი კეთილისაკენ მიისწრაფის, თავის საფუძველს იძიებს გარეშე იმ ქვეყნისა, რომლის გამოცნობა და შეგნება ჩვენ ხელთ არის; იგი მხოლოდ ღვთაებაში პოვებს თავის მტკიცე საფუძველს.

მე იმას არ ვეხებიო, — ამბობს ავტორი, — ყოფილა ოდესმე თუ არა უზნეობო სარწმუნოება და ან მორალი, რომელსაც სარწმუნოებასთან კავშირი არა ჰქონდეს. არც ის ვიციო, შეიძლება თუ არა ოდესმე მომავალში დაარსდეს მორალი, რომელსაც სარწმუნოებასთან არავითარი საქმე არ ექნება... დღეს-დღეობით საინტერესო და საყურადღებო ის არის, რომ მორალიცა და სარწმუნოებაც, თუ რომ ერთმანეთთან არავითარი კავშირი აღარა აქვთ, სუსტდებიან, ვეღარ იჩენენ საკმაო ძლიერებას და ვეღარ ახერხებენ თავიანთი მთავარი აზრის განხორციელებას. „მორალი აღარაფერი აღარ არის, თუ სარწმუნოებრივი არ არის",—ამბობს იგივე შერერი,—და სარწმუნოებიდან ხომ რაღა დაგვრჩება, თუ მორალი მოაშორეთ".

მალე ორი ათასი წელიწადი შესრულდება, რომ ცდილობენ შექმნან მორალი გარეშე სარწმუნოებისა, მაგრამ ვერას გახდნენ. ამგვარი მორალი მხოლოდ დამახინჯებული ანდა მარტო გარეგნულად შეცვლილი ქრისტიანებრივი მორალია. აიღეთ ეხლანდელი ფილოსოფოსების მორალი. ტენი ცდილობდა მისი საფუძველი მეცნიერე-

ბაში მოენახა, კაცის ბუნების პირუტყვობაზე დაემყარებია იგი. ჩვენი ბუნება მხეცურია, ჩვენი ცხოვრების აზრია ამ მხეცობის ჩვენი ბუნებიდან გაძევება და ადამიანობის დამკვიდრებაო, მაგრამ ეს ხომ ქრისტიანობის აზრია. ჩვენ ჩამომავლობით ცოდვილნი ვართ, ამბობს ეს სარწმუნოება, და მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა მოვახმაროთ ამ ცოდვის მონანიებას, მისგან თავის დახსნასაო.

*

აქამდე რაცა სთქვა ბრუნეტიერმა ისეთი არა უთქვამს რა, რომ ვისმესთვის ან შესაშინებელი ყოფილიყოს, ან მოულოდნელი. ავტორი თითქმის ყოველ თავის ნაწერში[1] იმეორებდა, მეცნიერებამ ვერ ჩამოგლიჯა ფარდა საუკუნო საიდუმლოსაო, კაცობრიობას ისევ „მიუწვდომელი“ გამოუცნობელი დარჩაო. ამიტომაც სარწმუნოებას მიეცა საშუალება ის ავტორიტეტი დაიბრუნოს, რომელიც გვეგონა, რომ სამუდამოდ დაჰკარგაო.

არაფერი უცნაური უთქვამს იმითაც, რომ სარწმუნოებისა და მორალის დაკავშირება აუცილებლობად მიიჩნია. თუ, მართლაც, მორალს არ შეიძლება აზრად ჰქონდეს სწრაფგარდამავალი კეთილი, არამედ დაუსრულებელის განხორციელებას უნდა ელტვოდეს, თუ მისი საფუძველი. სანქცია, აბსოლუტში, დაუსრულებელ რასმეში უნდა ვეძიოთ, მაშინ ავტორი მართალია.

მეორე წერილში[2], რომელიც ბრუნეტიერმა ზემოხსენებული წერილის შემდეგ დასტამბა, იგი ცდილობს ეხლანდელ მეცნიერებაში მონახოს საფუძველი ქრისტიანული მორალის. ჩვენი სისხლი გარყვნილია, — ამბობს ავტორი. ჩვენ მაიმუნების, მხეცების ჩამომავლები ვართ. შეიძლება ჩვენი ზოგიერთი გარეგანი ღირსება (სიმართლე, სილამაზე, მოხერხებულობა, ძალ-ღონე) თანდაყოლილი გვქონდეს, მაგრამ არსებითი, შინაგანი ღირსებები კი შემდეგში გვაქვს შეძენილი. ეს აზრი ევოლუციის თეორიას ეკუთვნის, მაგრამ იგივეა გატარებული ჩვენ სარწმუნოებაში და იგი დამყარებულია ჩვენი ბუნების ჩამომავლობით ცოდვილობაზე. საღმრთო წერილი ამბობს, ჩვენ გარყვნილი, ცოდვიანი წინაპრის შვილები ვართ, ქრისტემ თა-

---

[1] იხ. „მოამბე“, № 12, 94 წ., № 1, 2, 95 წ.

[2] La moralité de la doctrine évolutive, R. d. d. m. 1 მაისი, 95 წ.

ვი გაწირა ამ ცოდვიდან ჩვენი დახსნისათვისაო. ამ აზრს სარწმუნოებისას ღრმა და დიდი მეცნიერული საფუძველი მისცა ევოლუციის თეორიამ. ეს აზრი ჩვენი სარწმუნოებისა ბევრ ფილოსოფოსს აშინებდა, გონების საწინააღმდეგოდ მიაჩნდათ იგი, დღეს კი ისეთ მტკიცე საფუძველზე არის დამყარებული, რომ თვით გონიერებაა. რანაირად გავხდით ადამიანად და რას გვეუბნება ამის შესახებ ევოლუციის მოძღვრება? ადამიანობა მაშინ დავიწყეთ, როცა პირუტყვობას ზურგი შევაქციეთ და იმდენად სრული ჭეშმარიტი ადამიანი ვიქნებით, რამდენადაც დავშორდებით ამ პირუტყვობას, რამდენადაც გავიწმენდთ სისხლს, მხეცურ ინსტინქტებს დავსძლევთ და მოვსპობთ, ხოლო ადამიანურს, ღვთიურს კი მოვიპოვებთ ანუ განვიმტკიცებთ.

ამ აზრზე არის დამყარებული მთელი ჩვენი წვრთნა და აღზრდა. აღზრდისა და გაწვრთნის მიზანი უნდა იყოს ჩვენი დამამცირებელი (იგულისხმეთ პირუტყვული) ფატალური ძალების შესუსტება და ადამიანური, ჩვენი გვარის გამაუმჯობესებელი, მისი ბედნიერების დამამყარებელი გრძნობებისა და აზრების ჩაგონება, მათი განვითარება, განმტკიცება.

ამაზევე არის დამყარებული დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივის წესწყობილებისა, მის თითქმის ღვთიურ აზრს აქ აქვს საფუძველი. მარტო ერთი კაცის ძალა არ კმარა იმ მუდმივ ბრძოლაში, რომელიც ჩვენ გვაქვს ბუნების მხეცურ ძალებთან, ჩვენ მხეცურ ლტოლვილებასთან.

საჭიროა კაცთაშორის მჭიდრო კავშირი და სრული ერთობა, რათა შეერთებული ძალ-ღონით იბრძოლონ და გამარჯვებულნი გამოვიდნენ ამ დიდი მნიშვნელობის ბრძოლიდან. საზოგადოებრივი წესწყობილების უდიდესი აზრი და სურვილი ის არის, რომ ადამიანის გვარის გაუმჯობესებას, გამშვენიერებას მიაღწიოს. პირადად კერძო ადამიანის, როგორც ამ საზოგადოების წევრის, საწადელიც ის არის, რომ ამ დაწესებულების განმტკიცებას ეცადოს, რათა მისი შემწეობით გვარის გაუმჯობესებას მიაღწიოს. ყოველი წევრის ვალდებულებაა ეს ურთიერთშორის თანხმობა ნიადაგ თვალწინ ედგას და მას შესწიროს თავისი პირადი ჭირვეულობა, ეგოისტური მოთხოვნილებები, რომელნიც საწინააღმდეგონი არიან საზოგადოების მოთხოვნილებებისა, — ეს კიდევ და კიდევ მისთვის, რომ კაცთა შორის ჭეშმარიტი სიმართლე დამყარდეს და ჩვენმა გვარმა განახორციელოს საუკეთესო იდეალი, მისივე მასულდგმულებელი.

ამგვარად, ევოლუციის თეორიის მიხედვით კაცის ცხოვრების აზრს შეადგენს მისი გვარის გაუმჯობესება. გვარის გაუმჯობესების სურვილი შეადგენს ჩვენი ბუნების შინაარსს. ჩვენ გვაქვს თანდაყოლილი, შესისხლხორცებული არსებითი მისწრაფება, ლტოლვილება ჩვენი გვარის ტიპი საუკეთესოდ გარდავქმნათ. კლოდ ბერნარი ამბობს: „ყოველ თესლშია ეს ლტოლვილება თავისი გვარის ტიპის განხორციელებისა, მთელ ბუნებაშია ღრმად ჩანერგილი ეს მისწრაფება ერთი გამორკვეული აზრისადმი“.

ესეც ხომ ისევე ქრისტიანობის აზრია. ჩვენი სარწმუნოება აღიარებს „განგებას“, — განაგრძობს ავტორი, — მე ამ სიტყვას უფრო ფილოსოფიურ მნიშვნელობას ვაძლევ და ისე კი არ მესმის, რომ ვითომ უიმისოდ არ ძალგვიძს „ერთისა თმისა განსპეტაკებად, გინა დაშავებად“. სტოიკები ამბობდნენ: „სული ასაზრდოებს ჩვენს შინაგან ბუნებას, ხოლო გონება ორგანიზმის ყოველ ნაწილშია გაფანტული და სხეული მოჰყავს მოძრაობაში“, — აი ჩემი წარმოდგენა „განგებაზე“ ამგვარიაო.

ამნაირი შეგნება განგებისა ბევრით წააგავს იმ „ორგანიული პლანის“ თეორიას, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ამგვარად, ევოლუციის თეორიაში ქრისტიანობრივი მორალის წინააღმდეგს ვერას ვხედავთ, არამედ მისი უმთავრესი აზრების საფუძველს ვპოულობთო. მათში უფრო თანხმობა სუფევს, არსებითი თანხმობა, მხოლოდ გარეგანი უთანხმოებაო. ეს კი უნდა დავძინოო, რომ ევოლუციის მორალი, თუ მარტო ამ თეორიაზე იქნა დაფუძნებული, სუსტი იქნება, სხვაგან უნდა მოძებნოს საფუძველი, თორემ ჩვენი მხეცური ჩამომავლობა ვერ დაგვისახავს ნამდვილ და ჭეშმარიტ „მოვალეობას“; ჩვენი გვარის მომავალი გაუმჯობესება ვერ იქნება კარგი „საბქცია“, რომელსაც შეეძლება ამ „მოვალეობის“ აღსრულების უზრუნველყოფა.

აკი მოგახსენეთ, თუ ავტორი მორალისა და სარწმუნოების შეთანხმებას ცდილობს თვით მეცნიერულ ნიადაგზე; თუ ავტორი აღიარებს, რომ მეცნიერებამ „მიუწვდომელი“ დაგვიტოვა აუხსნელიო, აქ ისეთი არა უთქვამს რა, რომ მისი ნიჭიერებისა და მეცნიერობის ჩირქის მომცხები იყოს და არც ისეთი, რაც მასზე უკეთეს, თვით მეცნიერების ბურჯებს არ ეთქვათ. სპენსერს ვერავინ დაწამებს მეცნიერების მტრობას, მაგრამ მანაც კი დიდი ხანია რაც აღიარა, სანამ „მიუწვდომელი“ დაგვრჩება, სარწმუნოების მთავარ აზრს ყო-

ველთვის დიდი საფუძველი ექნებაო. ხოლო ამ „მიუწვდომელის“ გამოცნობა და გამორკვევა იმასაც საეჭვოდ მიაჩნია. მანვე საქვეყნოდ განაცხადა, რომ არსებობს „ძალა“, რომელიც მართავს და განაგებს მთელ ბუნებას, რომლის ხელშია ცხოვრების დასაბამიცა და დასასრულიცაო.

ეს ასეა, მაგრამ ბრუნეტიერმა რამდენიმე ფურცელი თავისი ბროშურისა კათოლიციზმს უძღვნა და, მართლაც, ისეთი უცნაური აზრები წარმოსთქვა, რომ საკვირველია სწორედ. ნუთუ, რომის პაპის ნახვამ ამდენად მოხიბლა, ანდა იქნებ ჰიპნოტიზმის ძალა იხმარეს და მოაჯადოეს ნიჭიერი კრიტიკოსი? უამისოდ მოულოდნელი რამ არის სწორედ ისეთი სიტყვები ფრიად ვანვითარებული და დიდი ცოდნით აღჭურვილი მწერლისაგან, სიტყვები, რომლებიც საშუალო საუკუნეების ფანატიკოს კათოლიკე ბერს უფრო შეფერის. რომ არც არავითარი კავშირი აქვს ამ სიტყვებს მთელ წერილთან, რად დასჭირდა მისი დაწერა, არ ვიცით. რამდენჯერმე აღიარებს „ჩვენი აზრის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“ მტკიცედ ვიცავთო, ბოლოს კი მეტისმეტ დამოკიდებულებას მისდევს.

რაკი სარწმუნოება მიუცილებელია, ყველა სარწმუნოებას კათოლიციზმი სჯობია,—ამბობს ბრუნეტიერი, — იგი უფრო გამსჭვალულია სარწმუნოებრივი პრინციპით, ვინემ რომელიმე სხვა სარწმუნოებაო; იგი არის ერთგვარი მთავრობა, რომელსაც ხალხის ზნეობრივი ცხოვრების მართვა-გამგეობა აქვს მიზნად; როგორც მთავრობა, დისციპლინას აჩვევს მორწმუნეებს, საზოგადოებრივ გრძნობას ულვიძებს და უმტკიცებს მათ: ყველა ერთიმეორის ცოდვის მონაწილედ ხდება, ერთი მეორესათვის ლოცულობს და ინანიებს ცოდვებსაო.

ეს კათოლიციზმის დაცვა და მით აღტაცება, რასაკვირველია, არავის არ მოეწონებოდა და აი სწორედ აქა სჩანს, რომ რომში მოგზაურობას დიდი გავლენა ჰქონია ბრუნეტიერზე და პაპის ხელზე ამბორს, ხომ სასწაული მოუხდენია; ფილოსოფოსი გადამეტებულ მორწმუნე-კათოლიკედ გაუხდია.

როდესაც სარწმუნოებაზე სჯიდა ბრუნეტიერი, ვიმეორებთ, მრავალი შესანიშნავი და ღრმა აზრი წარმოსთქვა. მაგრამ მაშინ მას არა ჰქონია არც ერთი სარწმუნოება მხედველობაში, არც პროტესტანტიზმი, არც კათოლიციზმი, არც ისლამიზმი და სხვ. იგი სარწმუნოების მთავარ აზრს იძიებდა, იმ აზრს, რომელიც ყოველმა ხალხმა თავისებურად გამოხატა: შეიძლება რომ ის სარწმუნოება, რომელიც

ჩვენთან უფრო ახლო არის, უმჯობესი იყოს იმავე ევოლუციის კანონით, რომელსაც ბრუნეტიერი უარს არ ყოფს. პირიქით, თაყვანსაც სცემს მას. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ კათოლიციზმი იყოს უკანასკნელი სიტყვა კაცობრიობისა ამ სფეროში. ყოველ სარწმუნოებას ჰქონდა აზრად იმ „გამოუცნობელის“ რამენაირად გამორკვევა, იმ „მიუწვდომლის“ შეგნება, რომლის ახსნა, გამორკვევა მეცნიერებამ ვერ ითავა. ყოველი სარწმუნოების მთავარ აზრს შეადგენდა ქვეყნისა და ჩვენი ცხოვრების დასაბამის შეგნება, მიზეზთა მიზეზის გამომჟღავნება, ქვეყნის მსვლელობის აზრის და კაცის ცხოვრების საგნის გამორკვევა. ყოველი სარწმუნოების მორალი სწორედ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ ესმოდა ამა თუ იმ სარწმუნოებას ჩვენი გამოუცნობი წარსული და მიუწვდომელი მომავალი. ეს შინაარსი ყოველი სარწმუნოებისა, მთელი ფილოსოფიაა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი სახე მიუღია, მაგრამ მთავარი აზრი შეურყეველი დაშთენილა დღესაც. კათოლიციზმმა, როგორც ერთმა გამომხატველმა ამ მთავარი აზრისა, უკვე მოჭამა თავისი დღე, ეს თვით პაპმაც იგრძნო, და ტყუილად კი არ მოიწადინა ქრისტეს სარწმუნოების სხვადასხვა შტოების შეერთება. თუ პაპი შორსმჭვრეტელია, უთუოდ კარგად ეცოდინება, რომ თუ ეს მოხდა, მაშინ თავისი ტახტი გაუქმებულად უნდა მიიჩნიოს, ხოლო თუ ეს იცის და მაინც ამ შეთანხმების სურვილს საქვეყნოდ აცხადებს, ეს გვიჩვენებს მის დიდ გამჭრიახობას, გვაჩვენებს, რომ იგი ჭეშმარიტი სარწმუნოებითაა აღსავსე.

დღეს პაპმა საქრისტიანო ერების შეთანხმება მოიწადინა და ეჭვი არ არის ხვალ ყოველი სარწმუნოების შეთანხმებას, შეერთებას მოითხოვენ. ამის მაჩვენებელი მოვლენები უკვე არსებობს. გაიხსენეთ ჩიკაგოში მომხდარი რელიგიური კონგრესი და მაშინ დამეთანხმებით, რომ ეს დრო შორს არ არის. ამ მიმართულებას—სარწმუნოებათა გაერთიანებას — ადგას დღეს ფილოსოფია; ამ მიმართულების შექმნაში მეცნიერებასაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. სწორედ ამიტომ გვიკვირს, რომ ერთი გონიერი დღევანდელი მწერალთაგანი დახავსებულ რასმე ეტანება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი იყო წუთიერი გავლენა ვატიკანის სასახლის ბრწყინვალებისა.

მწერლობაში და ზემოხსენებულ ნადიმზე ეს ადგილი ბრუნეტიერის წერილისა თითქმის უყურადღებოდ დატოვეს და ისეთი კითხ-

ვები აღძრეს, რომლის წინააღმდეგი არა უთქვამს რა ავტორს. ბერტ-ლომ და რიშემ, ბრისსონმა (პარლამენტის თავმჯდომარემ) და ზოლამ დაიწყეს იმის დამტკიცება, რომ მეცნიერებამ დიდი სარგებლობა მოიტანაო (ვინ იყო ამის წინააღმდეგი, არ ვიცი) და მაგალითად მოჰყავდათ სხვადასხვა ტექნიკური აღმოჩენანი (რკინიგზები, ტელეგრაფები, ტელეფონები, მრეწველობისა და ვაჭრობის გამაუმჯობესებელი იარაღები). პატივცემულმა მეცნიერებმა სრულიად უყურადღებოდ დასტოვეს ის, რომ ნასკვი საგნისა აქ არ იყო. საიდან მოვედით და სად მივდივართ, რა ვართ და რა ვიქნებით, რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიცოცხლე? ამაზე პასუხი მაინც ვერ გაგვცეს. ტელეგრაფს მიაქვს ამბავი ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე, მაგრამ რა? მას არ შეუძლია მოგვიტანოს ამბავი ჩვენი წინაპრების. რკინიგზას და ცეცხლის გემებს შეუძლიათ ახალი ამერიკებიც ამოგვაჩენინონ, მაგრამ წარსულ საუკუნეებში კი ვერ ჩაგვახედებს, ვერ გაგვაგებინებს, როგორი იყო დასაწყისი ჩვენი ცხოვრებისა.

ამის საწინააღმდეგო ვერც მეცნიერებმა სთქვეს რამე. აი რას ამბობს ბერტლო თავის წერილში, რომელიც ბრუნეტიერის საპასუხოდ დასტამბა: „მეცნიერებას თავის დღეშიაც არ უფიქრია, რომ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა შეუძლია. კარგად ვიცით, რომ არასოდეს არ შეგვეძლება გამოვიცნოთ ყოველი მოვლენა. თუ სხვადასხვა ურიცხვ მოვლენათა შორის თვით უმცირეს ნაწილს გამოვიცნობთ და გამოვირკვევთ იმითაც კმაყოფილი ვიქმნებით“ [1].

მრეწველობა და ვაჭრობა განვითარდა, მაგრამ ვინ რა მოიგო ამით? განა თვალსაჩინოდ შეუმსუბუქდა კაცობრიობას ამით სულიერი და ფიზიკური ტანჯვა? არა და არა. მხოლოდ ორიოდე კაცია განცხრომაში, დანარჩენი დაუსრულებელი, უაზრო, უსარგებლო და სულისა და ხორცის გამათახსირებელ შრომაში ათავებს თავის მწარე სიცოცხლეს. ამას, რასაკვირველია, ვერც იგინი ჰყოფენ უარს, რომელთაც ყველაზე უფრო მოხვდათ გულს ბრუნეტიერის სიტყვები. მართალია, კათოლიციზმის ის უაზრო დაცვა, რომელიც ბრუნეტიერმა იკისრა, ყველას ეწყინებოდა, მაგრამ ეს ამდენი ყურადღების ღირსიც არ იყო. რაც შეეხება მას, რომ ბრუნეტიერს დაწამეს რაღაც პოლიტიკური ხრიკები (ვითომ კლერიკალობას აპირებსო), ეს სრულიად მოკლებულია სიმართლეს. ვერც ფანატიკოს კლერიკა-

[1] Revue de Paris. La science et la morale, თებ., 95 წ., გვ. 450.

ლებს ასიამოვნა მან თავისი წერილით, რადგან სთქვა, რომ სარწმუნოებაში დამტკიცება არაფრის შეიძლება, მხოლოდ რწმუნებაა საჭიროო. მის გულწრფელობას ის მშვენიერი სიტყვებიც ამტკიცებს, რომელიც მისი წიგნაკის ბოლოს არის მოყვანილი: „თუკი საზოგადოების წარმატებისა და მისი წინსვლისათვის საჭიროა მსხვერპლი, — ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ამ მსხვერპლის მისატანად. ყველაზე უწინ ცხოვრებაა საჭირო, ცხოვრება კი არც ოცნებაა და არც აზრის ვარჯიშობა, არამედ მოქმედებაა. ავადმყოფი რას დასდევს მედიცინას, ოღონდ კი მოარჩინეთ. როდესაც სახლი იწვის, ერთადერთი აზრი აქვთ მდგმურებს — ცეცხლის ჩაქრობა. და თუ გნებავთ უფრო ნამდვილი და უფრო დიდებული შედარება: ომში, რომელსაც აზრადა აქვს სამშობლოს დაცვა, პირადობა უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოებას, აქ პირადი და საზოგადო უფლებების შედავებისათვის არც დრო არის და არც ადგილი“.

3. ცხოვრება და ხელოვნება

რა არის ხელოვნება? ცხოვრების გარეშე დგას იგი, ცხოვრების ზედმეტი ბარგია, მისი აუცილებელი და არსებითი ნაწილია, თუ მასზედ უმაღლესი და მისი გამამშვენიერებელი? ანდა ხელოვნება იქნებ თვით ცხოვრება იყოს, დარგი ცხოვრებისა, ურომლისოდაც ცხოვრება არ არის სრული? ცხადია, რომ ცხოვრება სრული და მაღალი ისევე შეუძლებელია გარეშე ხელოვნებისა, ვით სიცოცხლე უმზეოდ. ძველი საბერძნეთის ცხოვრება განა დასახიჩრებული და დამახინჯებული, რაღაც უშნო დღენაკლული მოვლენა არ იქნებოდა, რომ მას არა ჰყოლოდა სოფოკლე და პრაქსიტელი, ესქილი და ფიდიოსი? რა იქნებოდა ეს ცხოვრება, და ან მისი მეათასედი მომხიბვლელობა ექნებოდა, რომ არა ჰქონოდა სოფოკლესა და ესქილის ტრაგედიები, პრაქსიტელის და ფიდიოსის სტატუები?

მაშასადამე, ხელოვნება არის ცხოვრების განუკვეთელი და განუყრელი დარგი. კიდევ მეტი, ხელოვნების შესწავლა თქვენ ნათლად შეგაგნებინებთ ამა თუ იმ კულტურის სიმაღლესა და სიმდაბლეს, მის ძლიერებასა და სისუსტეს.

ცხოვრების უფრო ინტენსიური მაგალითები იმ ცხოველში ჩანს, რომელიც ცხოველთა სამეფოს უმაღლეს საფეხურზე დგას. ადამიანი არის საუკეთესო და უმაღლესი ტიპი ცხოველისა, რომელიც შეუქმნია დღემდე ბუნებას; ამასთან, ადამიანთა ცხოვრების უმშვენიერესი და უდიდებულესი სახე ხელოვნებაში ჩანს.

ცხოვრება იმ ხალხისა, რომელსაც ხელოვნება არა აქვს, ნადირთა ცხოვრებაა. უმაღლესი ხელოვნება — უმაღლესი კულტურისა და ცხოვრების შექმნილია. რუსო და ვოლტერი, ჰიუგო და ჟორჟ-ზანდი, ბაირონი და შელლი, მიქელანჯელო და რაფაელი, დანტე და რუსთაველი — ყველანი დიდის კულტურის ნიშანია. ისინი იმ ეპოქაში სცხოვრობდნენ, როცა კულტურის ერთი ხანა უმაღლეს წერტილამდე იყო მისული.

ხელოვნების დაცემა ნიშნავს კულტურის დაცემას, ცხოვრების გავერანებასა და გაველურებას.

ხელოვნება ცხოვრების უფრო გრძნობიერი დარგია. ყოველივე ცვლილებას ცხოვრებაში მასზე ისეთივე გავლენა აქვს, როგორც ბარომეტრზე ატმოსფეროს ცვლილებას. როცა ცხოვრების ესა თუ ის ძარღვი ლპება, როცა ცხოვრებას ახალი სული დაბერავს ხოლმე, ამას პირველად ხელოვნება აღნიშნავს.

ხელოვნების მეუფენი ის გენიოსნი არიან, რომელნიც თითქმის საუკუნეებით ადრე გრძნობენ, რომ ძველი ცხოვრება დამპალია, ახალმა უნდა გაიდგას ფესვი.

რუსო და ვოლტერი საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედნი იყვნენ.

ბაირონი და სხვა რომანტიკოსნი პირადობის უმაღლესი თავისუფლების მოსარჩლენი იყვნენ. ეს თავისუფლება პირადობისა დღესაც სალტოლველი და სანეტარო საგანია.

განახლების ეპოქის ხელოვნება მშვენიერი და დიდებული წინასწარმეტყველი იყო ახალი კულტურისა, რომელიც აშენებული უნდა ყოფილიყო ბერძნულ-რომაული კულტურისა და საქრისტიანო კულტურისაგან.

დღევანდელი მწერლობა ევროპისა, ანუნციო, მეტერლინკი, უალდი, დღევანდელი რუსული ლიტერატურა ახალი ცხოვრების მახარობელნი არიან, ახალი ცხოვრებისა, რომელიც ადამიანის ყოველგვარი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების მიმდევარი იქნება. დღევანდელი ლიტერატურა თვალსაჩინოს ხდის, რამდენად დამპალი აქვს ძირები თანამედროვე საზოგადოებას, მის კულტურასა და პრინციპებს. თანაც ეს ლიტერატურა იმავე ცხოვრებაში მიგვითითებს სანუგეშო მოვლენაზე, რომ მშვენიერი მხეცი და ადამიანი გონიერი ერთ ხორც და ერთ სულ, განუყრელად შექმნიან მომავალ ცხოვრებას, აღსავსეს სიხარულითა და ბედნიერებით, გაცისკროვნებულს, თავისუფალს უსაზღვროებამდე, სადაც ადამიანი თავისი მისწრაფებით, სურვილით, აზრით, ხორცით და სულით იქნება თავის სრული უფალი და ბატონი.

ამგვარი დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას ცხოვრებისათვის... ან კი რას ვამბობ, ხელოვნება თვით ცხოვრებაა, მისი საუკეთესო ნაწილი, მისი სულისჩამდგმელი. ხელოვნებაშია გამოხატული ის იდეალი, რომელიც ცხოვრებასა აქვს დასახული, ხელოვნებაშია შედუღებული ის ფორმა და შინაარსი, რომლის შეუხამებლობა ქმნის ტრაგედიას ცხოვრებისას. ხელოვნებამ მიაღწია იმ ჰარმონიას

სულსა და ხორცს შორის, რომლის გარეშე ცხოვრება უბადრუკი რამ არის. ხელოვნებამ გვაჩვენა, თუ რა შეუძლია ადამიანის ღვთაებრივობას, მის დიდებულ გონებას. იგი ასწორებს და ამშვენიერებს იმ ცხოვრებას, რომელიც რაღაც აბსოლუტური მიუწდომელი ინდიფერენტიზმის შექმნილია.

ვენერა მილოსელი ანდა ბელვედერის აპოლონი, ოლიმპის ჰერმესი — ეს იდეალია ზეკაცისა, რომელიც ახალმა ფილოსოფიამ ისეთის სიმტკიცით დაუსახა ცხოვრებას.

რომეო და ჰამლეტი, ჯულიეტა, დეზდემონა, ოფელია, ავთანდილი და ტარიელი, ნესტანი და თინათინი, „განდეგილის“ მწყემსი ქალი, — ის უმაღლესი იდეალია სრული კაცისა (რასაკვირველია, დროსა და გარემოების მიხედვით), ის ვარსკვლავია ცხოვრებისა, რომელიც ღვთიურმა ნიჭმა და წინასწარმეტყველურმა გონებამ ადამიანისა იგრძნო და შექმნა; — ცხოვრებაც აქეთ მიისწრაფვის, აქეთ აქვს ბედის ვარსკვლავი. ვინც დღევანდელ ხელოვნებას თვალყურს ადევნებს, ხედავს. თუ რა ღრმა, რა ძლიერი რევოლუცია, რა უსაზღვრო ცვლილება ხდება ცხოვრების ძირში, რომელიც ნაგრძნობი აქვს და შეგნებული ცხოვრების წინასწარმეტყველს — მწერალს, მხატვარს, მოქანდაკესა და მუსიკოსს. იგი ხედავს ახალი ცხოვრების მოხაზულობას: ეს ცხოვრება მშვენიერი იქნება, სიმშვენიერე სულისა და ხორცისა ერთ საფეხურზე იქნება დადგენილი; კაცის სიამოვნება და ბედნიერება, მისი სიხარული და ნეტარება იქნება ცხოვრების ერთადერთი იდეალი, ერთადერთი მიზანი.

მაგრამ ამ მხიარული ცხოვრებით უნდა ისარგებლოს არა ერთმა და ორმა, ქურდულად, გინდ ყაჩაღურად, — ეს შეუძლებელიც არის. ბედნიერება საერთო უნდა იყოს. საერთო ფერხული უნდა იქნეს მომავალი ცხოვრება, ვინაიდან არა არის სიამოვნება იქ, თუ შენს ახლო კვნესა და ტანჯვა ისმის, თუ შენს ყურს, საამო ჰანგების სასმენელად გამზადებულს, ჩაგრულისა და უძლურის მოთქმა ესმის. ყოველი მხიარულება მოწამლულია იქ, სადაც შუაგულ ლხინში ტირილის ხმა ისმის; ყოველი მხიარულება ორკეცდება და ათასკეცდება, თუ შენს ირგვლივ ყველა მონაწილეა შენი ბედნიერებისა და სიხარულის.

მაშ, თაყვანი ვცეთ ხელოვნებას, როგორც ჩვენს გამამხნევებელს, მომავალი ბედნიერების გამომხატველს და ვიამაყოთ მით, ვინაიდან იგია კაცის ღვთაებრივობის შეურყეველი საბუთი.

4. აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული

„ხელოვნების უდიდესი ნაწარმოები სხვა არა არის რა, თუ არა უდიდესი აზრი, გამოთქმული თვით უფრო გრძნობიერი ენით“.

გიუიო

1

დღემდე გაუთავებელი სჯა-ბაასი და კამათია იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვება ხელოვნურ ნაწარმოებს? საკმაოა თუ არა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის მარტო გარეგანი სიმშვენიერე, მარტო ფორმა, და ამის მიხედვით უნდა დაფასდეს სიტყვაკაზმული მწერლობა, თუ ფორმას, გარეგან მხარეს ლიტერატურული ნაწარმოებისას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც შინაარსს, აზრს, ნაწარმოების მიმართულებასა და ტენდენციას. ამგვარ დავას იმ საზოგადოებაში უფრო მაგრად აქვს ფეხი გადგმული, სადაც კულტურა ნაკლებად არის განვითარებული და სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გაცილებიან, როცა ერთი თავაშვებული ვიგინდარა და მისი ამალა, რამოდენიმე ათიოდე კაცისაგან შემდგარი, ფეხქვეშ თელავს მთელი საზოგადოების ყოველგვარ უფლებას. დამერწმუნებით, იმგვარ წესწყობილებაში, სადაც ურეგლამენტოდ სული ვერ დაგიბერავს, სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, ასეთ მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად განხილვა ამა თუ იმ საგნისა ყოველად მოუხერხებელია. აქ ყოველი ფიქრი, ზრახვა, წადილი და მისწრაფება ადამიანისა ერთი რამისკენ მიილტვის: შექმნას ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოს ჰაერის სუნთქვა; დაამსხვრიოს საუკუნეებისაგან გაჭედილი რკინის ბორკილები და ხელები გაითავისუფლოს ლუკმა-პურის პირში ჩასადებად. მაგრამ რაც არ უნდა თქვათ ასეთი ხანა გარდამავალია, ამგვარ წესწყობილებას სიკვდილისა და გახრწნილების თესლი თან დააქვს და ადრე იქნება თუ გვიან მძორის სუნი თავს იჩენს. ამიტომაც დროებით გარემოე-

ბისაგან გამოწვეულ სულისა და გონების განწყობილებას, და ამ განწყობილებისაგან გამოწვეულ აზრებს. ჰეშმარიტების ქვაკუთხედად ვერ აღვიარებთ და მის დროებით ხასიათს საუკუნო მნიშვნელობას ვერ მივცემთ. გავარჩიოთ ორი ზემომოყვანილი დებულება ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ.

პირველი უპირატესობას, თითქმის მთავარ და ერთადერთ მნიშვნელობას სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაწარმოების ფორმას უთმობს. მაშასადამე, შესაძლებელია მათი წარმოდგენით ნაწარმოები— ლექსია იგი სალირიკო, თუ დრამა ან ტრაგედია, რომანი თუ მოთხრობა უშინაარსო იყოს, უაზრო და უსულო. ეს ყოვლად შეუძლებელია. უაზრო პოეზია, უშინაარსო ბელეტრისტული ნაწარმოები— თვით ეს სიტყვები მოკლებულნი არიან ყოველივე აზრს. მართლაც და, ამისი თქმა იმასა ჰგავს, რომ აიჩემოთ, უთავო კაცი მინახავსო და ეს „უთავო“ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოთ; ანდა თქვათ, უგულო ადამიანიაო და უგულოს ანატომიური მნიშვნელობა მისცეთ. კიდევ მეტი, „უაზრო პოეზია“ ისეთივე უაზრო და სასაცილო სიტყვაა, როგორც „უმარილო ზღვა“, ან „უმცენარეო ტყე“, „უქანგბადო ჰაერი“. შეიძლება ყველა ესენი კაცმა სხვა აზრით იხმაროს, მაგრამ არცერთ ჭკუათამყოფელ ადამიანს არა ჰგონია, რომ უთავო ან უგულო ადამიანი შეიძლება იყოს, ან „უმცენარო ტყე“ და „უმარილო ზღვა“ ითქვას. ყოველივე ლიტერატურული ნაწარმოები, რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უსათუოდ აზრიანი იქნება და შინაარსიანი. აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ აზრისა და შინაარსის ფასის და ღირებულების შესახებ. სხვა საქმეა, თუ რამდენად ღრმა და ძლიერი იქნება აზრი ამა თუ იმ ხელოვნური ნაწარმოებისა. წარმოვიდგინოთ რომელიმე ნაყოფი ხელოვანის ნიჭისა. ავიღოთ სალირიკო ლექსი. დამისახელეთ ისეთი მწერალი, რომელიც ამ სახელის ღირსი არის, დაეწეროს რომელიმე ლექსი უაზრო და უშინაარსო. აბა მიჩვენეთ ერთი ლექსი ალ. ჭავჭავაძისა, ან გრ. ორბელიანისა, რომელსაც აზრის სიღრმე აკლდეს? და ეს მწერლები იმიტომ მოვიყვანე მე, რომ ჩვენს მწერლობაში იგინი ზოგიერთ ცნობილ მწერალსაც კი აბუჩად ჰყავთ აგდებული, „ვარდ-ბულბულის“ მღერის მეტს არას აკეთებდნენ, ან ბუნების საოცარ სიმშვენიერეს გვიხატავდა (გრ. ორბელიანი). მაგრამ ეს საკმარისი როდია პოეზიისათვისაო.

თუ დააკვირდებით ლიტერატურული ნაწარმოების ზრდასა და განვითარებას, დაინახავთ, როგორც ყოველივე ცხოვრებაში, იგიც

პროგრესის გზას ადგა, განკარგებისაკენ მიილტვოდა, და თუ ფორმის სიმშვენიერე ნაკლებ იცვლებოდა და უფრო კონსერვატული ხასიათი ქონდა, აზრის სიღრმე თანდათან ემატებოდა. მართალია, საბერძნეთის ეპოპეისა და დრამის სიდიადეს ვერ გასცილდა მშვენიერება ევროპელთა ხელოვნებისა; მაგრამ სალირიკო პოეზია ბაირონის, ჰიუგოს, ლამარტინის, დე-ვინის და მიუსეს ხელში მთელ ფილოსოფიად გადაიქცა. დანტეს პოემა, ფორმის მხრივ, ჰომიროსის პოემებზე იქნებ ბევრად უფრო დაბლა იდგეს, აზრით კი დანტე უმაღლეს ფილოსოფოსობას იჩენს. სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიები გარეგანი მხრით ერთ საფეხურზე შეიძლება დააყენოს კაცმა, სამაგიეროდ შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიას ძველი გენიოსი ვერ მიწვდება. რუსთაველის თხზულების ფორმის სიმშვენიერე ეს ის ღვთაებრივი იდეალია, რომელსაც დღემდე /ვერც ერთი ქართველი ვერ წასცილებია. არის თითქმის ხელოვნების ყოველ დარგში და ყოველ ქვეყანაში ასეთი მიუწვდომელი იდეალი, რომელიც მთელი ერის გენიოსობის შემქმნელია, ამ გენიოსობის გამომსახველი კი ერთი კაცი იყო. დღემდე ხელოვნება ქანდაკებისა ვერ გასცილებია ოლიმპიელ ჰერმესს (პრაქსიტელისას) და ვენერა მილოსელს (უცნობი ავტორისას), თავის დღეში მხატვარს ვერ უჯობნია მიქელანჯელოსათვის, რომლის გენიოსობა სიქსტის კაპელის კედლებზე და ჭერზე არის აღბეჭდილი. ამგვარია ჩვენი „ვეფხისტყაოსანიც“, ეს არის ხელოვნური ნაწარმოები, რომლის შინაარსი და გარეგანი მხარე სრული ჰარმონიით არის შეზავებული, რომლის სიდიადე და სიმაღლე მარად მიუწვდომელ მანათობელ ვარსკვლავად ექნება ქართველ ერსა და ლიტერატურას, მაგრამ შინაარსის მხრით ბარათაშვილის სალირიკო ლექსების სიღრმე და თუნდ ილიას „განდეგილისაცა“, არც კი ჩამოუვარდება რუსთველის პოემის სიღრმეს. ვიმეორებ, ვერ მიმითითებთ ისეთ ნაწარმოებზე, რომელსაც სახელი მოუპოვებია და იგი აზრიანი არ იყოს, კიდევ მეტი, რომ იგი ზნეობრივი არ იყოს. ღრმა აზრით არის აღსავსე უალდის სიტყვები: „ყოველივე ხელოვნება ზნეობის წინააღმდეგიაო“. დიახ, ყოველი ნაწარმოები დიდი ხელოვანისა წინააღმდეგია იმ ზნეობისა, რომელიც ოფიციალურ დოგმატად არის აღიარებული და რომელსაც იცავენ არსებული წესწყობილების დამცველნი. ყოველივე მშვენიერი ნაწარმოები, ყოველივე ხელოვნური ქმნილება უსათუოდ გამოსახულებაა მომავლის

დიდი იდიალისა, ამიტომ, თავისთავად ცხადია, იგი არსებული პრინციპების რაიმენაირად უარმყოფელია. თავისდღეში უალდს ამ ფრაზაში იმისი თქმა არ უნდოდა თითქოს ნაწარმოები ხელოვნურად უმსგავსო და უშინაარსო რამ უნდა იყოსო. პირიქით, მისის აზრით შეუძლებელია ხელოვნურმა, მშვენიერმა ნაწარმოებმა გაცვეთილ და დამლაშებულ ზნეობას მოსარჩლეობა გაუწიოს, იგი ემსახურება უმაღლეს პრინციპს, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრებაში არც კი განხორციელებულა და ამ დიდებული პრინციპის თვალსაზრისით განსჯის ყოველივე არსებულ მოვლენასაო. ამიტომაცაა, რომ იგივე მწერალი გვეუბნება: „ვინც მშვენიერ ნაწარმოებში ცუდ აზრს მონახავს, თვითაა გაფუჭებული და მოკლებული ყოველგვარ მომხიბვლელობას". ჩვენის ისტორიიდან ავიღოთ მაგალითი. „ვეფხისტყაოსანი" უდიდესი ზნეობრივი განწყობილების შემქმნელია, მაგრამ იგი დევნილი იყო საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენი სამღვდელოებისაგან, — ე. ი. ზნეობრიობის ოფიციალურ მოამაგეთაგან. გრძნობათა სიწრფელე და სიღრმე, რომელიც „აგვამაღლებს", მათ არ მოსწონდათ, ვინაიდან ზნეობრივი შენობა, რომელსაც იცავენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი აგებულია სიყალბესა, გულისამრევ ანგარიშსა და თვალთმაქცობაზე. ბაირონი განდევნა გულზვიადმა ინგლისის უმაღლესმა საზოგადოებამ და უალდს პირში ჩააფურთხა, პარნელი საფლავში უდროოდ ჩამარხა და შელლის ნავსადგური უცხო ქვეყნის ზღვაში მოაძებნინა, — და განა ისინი, მთელი თავისის სიცოცხლით, უმაღლესი იდეალის განხორციელებას არა სცდილობდნენ!? მართალია, გაქსუებულმა და გარყვნილმა საზოგადოებამ მათ თავისი შემბღალველი კვალი დააჩნია და ზოგი მათგანი შეიძლება (ესეც დამტკიცებული არაა) არ მოიქცა თავისი პირადობის შესაფერისად, მაგრამ მსაჯულები ვინღა იყვნენ? „წითელ მანტიაში გამოხვეულნი კეთროვანნი", რომელთა სუნთქვაც კი წამლავს ჰაერს და როცა მათგანვე მოწამლულს და დაღუპულს დაინახავენ, ლაფში ამოსვრიან, რათა ამით თავიანთი სიწმინდე დაამტკიცონ.

არსებული წესწყობილების დამცველს, თანამედროვე საზოგადოების „ ბურჯს" უზნეოდ მიაჩნია ყოველივე ნაწარმოები, რომელიც მისგან შექმნილი ცხოვრების გახრწნილებას თვალწინ გადმოგიშლით, რომელიც უგალობს თავისუფალ ადამიანს, ყოველგვარი ბორკილებისაგან განთავისუფლებულ ბედნიერებისა და მშვენიერების მოტრფიალეს და თაყვანისმცემელს. მას ჭირდება მონა მხდალი

და ლაჩარი, მონა ფეხთამლოკველი, რომელიც ხელს არ შეახებს მის გახრწნილ გვამს, რათა მომშხამველი სუნი არ დააყენოს ქვეყანაზე.

სიმშვენიერის თაყვანისმცემელი, სიყვარულისა და მეგობრობის უდიდეს გრძნობათა მღაღადებელი, კაცის პირადობის, დაუსრულებელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსარჩლე ყოველთვის ყოფილა ყოველი დიდი მწერალი: ჰომიროსი და სოფოკლე, შექსპირი და ბაირონი, ჟან-ჟაკ-რუსო და ვიქტორ ჰიუგო, გოეთე და შილერი, დანტე და მიქელანჯელო, რუსთაველი, ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ყოველი მათგანი, ცხადად თუ ჩუმად, ყოველთვის და ყველგან არსებული სიბინძურის წინააღმდეგი და უარმყოფელი იყო, ამიტომაც ყოველი მათგანი დევნილი იყო სიცოცხლეში ერის ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ და მათგანვე ამაღლებული მის შემდეგ რაც ისინი საშიშარნი აღარ ყოფილან მათთვის.

ამგვარი აზრით, ყოველი დიდი ნაწარმოები ზნეობრივია, მომავლის საუკეთესო კაცთა შორის დამოკიდებულების მქადაგებელი და წინასწარმეტყველი. თუ ბოკაჩიო უმსგავსოებას გვიხატავს, ამ უმსგავსოებას უარმყოფელის თვალით უცქერის და გვაზიზღებს იმ საზოგადოებას, რომელიც ამგვარ ცხოვრებას ეტანება. იგი გვიმტკიცებს, რომ ადამიანის კანონიერ და ბუნებრივ სურვილთა ხელოვნურად შებოჭვა და ალაგმვა ბადებს ყოველგვარ უმოქმედობას და თავის მიზანს ვერ აღწევს, მხოლოდ მშვენიერ და დიდებულ გრძნობას ასახიჩრებს და ლაფში სვრის. ზოლა, რომელსაც თითქმის უწმაწური მწერლის სახელი აქვს, ფრიად მაღალი ზნეობრივი მწერალია, მისი ნაწარმოები ზნეობრიობის სასტიკი დამცველია, ვინაიდან ძვირად შეგვხვედრია ვინმე ისეთი სასტიკი გამკიცხველი, იმგვარი ულმობელი განმქიქებელი საზიზღარი ცხოვრებისა, როგორიც ზოლაა. ყოველი მისი თხზულება გულს ზიზღით გვივსებს იმ გუნდისადმი, რომელსაც აღგვიწერს, და ეს გუნდი ცხოვრების ამაშმორებელი გუნდია. აიღეთ მისი „ნანა“, მისი „ნანადირევი“, „ექენრუგანი“, „ფულები“ და სხვა. ყველგან დაგმობილია ის პირნი, რომელთაც ყოველი ადამიანური გრძნობისა და აზრისათვის გვერდი აუქცევიათ, ყოველი ბუნებრივი გრძნობა დაუმახინჯებიათ და გაუბინძურებიათ და მარტო „ოქრო“ და ბინძური აზრი გაუხდიათ იდეალად და ღმერთად. აიღეთ მოპასანი, თუნდ მისი რომანი — „საუცხოო მეგობარი“, ეს საოცარი პოემა ბოროტების გამარჯვებისა. გამარჯვებული სიბოროტისა და სიბინძურის წინაშე ქედს იხრის მთელი

მბრწყინავი საზოგადოება; ეკლესიაში ქრისტეს აღმსარებელი ხალხი გამარჯვების დაფნის გვირგვინით ამკობს არამზადათ და ქრისტეს მოციქულთა მემკვიდრენი ღმერთს შეევედრიან ბოროტების გაძლიერებისათვის. ეს ისეთი საოცარი სატირაა თანამედროვე საზოგადოების „ბურჯთა“ შესახებ, რომლის მსგავსი ახალ ლიტერატურაში იშვიათია. ვერავითარი განსჯა და სასჯელი ისეთი სისასტიკით ვერ მოეპყრობოდა ადამიანის პირადობის შეურაცხმყოფელთ, ქრისტეს მოსავთ, ქრისტესავე უარისმყოფელთ, როგორც ავტორი ეპყრობა მათ ამ თხზულებაში.

ავიღოთ ისეთი ნაწარმოებნიც კი, რომელნიც მწერალს — კარის კაცს ეკუთვნის და რომელსაც კარის უფალთა წინაშე მლიქვნელობას სწამებენ. ავიღოთ ლუი მეთოთხმეტის დროინდელი ფრანგი მწერლები რასინი და კორნელი. როცა ისინი მეფეთა ცხოვრების განდიდებას ეტანებოდნენ, — მათი მეფე სრულიად იდეალური არსება იყო და არავითარი საერთო არა ჰქონდა არსებულ მეფესთან. მათი დრამებისა და ტრაგედიის გმირ მეფეებთან შედარებას სირცხვილით უნდა დაეწვა მათი მფარველი მეფე. ისიც კი მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფეთა ნაკლულევანებას აშკარავებდნენ თავიანთ ნაწარმოებში, და ეს კარისკაცები კაი-კაი წკეპლასა სთავაზობდნენ ხოლმე დიდებულ მეფეს. ამიტომაც მათი ნაწარმოებნი დღესაც წარმტაცნი არიან. თუ ისინი მარტო პირმოთნეობისა და პირფერობის ნაყოფნი ყოფილიყვნენ, დიდი ხანია დავიწყებას იქნებოდნენ მიცემულნი. მაშასადამე, აზროვნება და ზნეობრივობა — უმაღლესი, არა წარმავალი მნიშვნელობით — განუყრელია ხელოვნების ნაწარმოებისაგან და ძირითადი თვისებაა ხელოვნებისა საზოგადოდ.

თვით განხორციელება მშვენიერებისა, რომელიც უმაღლესი იდეალია ხელოვნებისა, უღრმესი ზნეობრიობითაა აღბეჭდილი; თავისთავად ფიზიკური მშვენიერება არის ერთი უმაღლესი იდეალი, აუცილებელი საგანი კაცობრიობის წინმსვლელობისათვის. მაგრამ გარეგანი სიმშვენიერე ხელოვანისათვის სიმბოლოა სულიერი მშვენიერებისა. ხელოვანისათვის ეს ორი მხარე განუყრელია და მისთვის წარმოუდგენელია მათი განშორება. მიქელანჯელოს - მხატვრობა, ჰერმესი — პრაქსიტელისა, ვენერა მილოსელი გარეგან შეუდარებელ სიმშვენიერეში გვიშლიან სულიერი სიმდიდრის თვალუწვდენელ სიღრმესა და სიძლიერეს. განა ავთანდილი იდეალი არ არის კაცობრიობისა, — მზე, გაფურჩქვნილი ვარდი, რომლის გონიერება

სჯარბობს სიმშვენიერეს, გული და გრძნობა — გონიერებას და სიმშვენიერე — ორთავეს ერთად; სამივე კი ისე არის შედუღებული და ისეთ მომხიბვლელ ერთეულს შეადგენს, რომ სამარადისო სანეტარო იდეალად იქნება ადამიანისათვის.

2

განვიხილოთ ეხლა მეორე აზრი. მისი მომხრენი ლიტერატურულ ნაწარმოებში უპირველეს მნიშვნელობას აძლევენ აზრს. თუ ნაწარმოები შინაარსიანია, მოწონებული ტენდენციის დამაკმაყოფილებელია, როგორ უმდაბლეს ხარისხზეც უნდა იდგეს ფორმის მხრივ, ზოგიერთისათვის, ამგვარ ნაწარმოებს მაინც უპირატესობა აქვს. აქ მეორე საგანი წარმოგვიდგება თვალწინ! ნუთუ შესაძლოა რაიმე აზრის გამოთქმა ხელოვნურად, გარეშე მშვენიერი ფორმისა. ყოველი აზრი მაშინ არის შეგნებული და შესისხლხორცებული ადამიანისაგან, როცა იგი კარგად არის გამოთქმული, როცა მის გასაგებად ტვინის დაღლა არ დაგჭირდება, როცა ისეთ ფორმაშია ჩამოსხმული, რომ ადამიანის მთელი არსება ითვისებს ამ აზრს. მე შემიძლია სრულიად კარგი აზრი გამოვთქვა ასე: „მამული გონიერი მიყვარს, არ დაგძრახეს“. ამნაირი დამახინჯებული ქართულით მოლაპარაკეს უთუოდ უნდოდა ეთქვა, რომ „მამულის გონიერი სიყვარული დასაძრახისი არ არისო“. ეს დიახაც ჩინებული აზრი სწორედ გაუგებრად და თავის სატეხად არის გამოთქმული. მისი გამოთქმა შეიძლება სხვანაირადაც — „სიყვარული Родины raisonnable non დასაძრახისი“.

წინადადება გრამატიკულად თითქმის სავსებით სწორია, მაგრამ ამ თავისებურ „ესპერანტოში“ ისეა არეული დომხალივით სხვადასხვა ენა, რომ კაცი ვერას გაიგებს. წარმოიდგინეთ ამგვარად დაწერილი მთელი წიგნაკი! დარწმუნებული ვარ, თვით გოგოლის ცნობილი პეტრუშკაც კი გადაისროდა ასეთ წიგნს. ამგვარად გამოთქმული აზრი ისეთივე უაზროა, როგორც უაზროა მუსიკალური ფორმით გამოთქმული უშინაარსო რამ. როგორც „მამული გონიერი მიყვარს, დაგძრახეს“ არ არის ბარათაშვილის პოეზია, ისე არც შემდეგი მუსიკალურად შეწყობილი რითმები შეიცავენ პლატონის ფილოსოფიას:

„მარაბბა საჰემ, ითკ სალამალექი,
კარბულაჰ ონჰალლა, კროკა კატამა — ლექსი“ 1.

ყოველ ხელოვნურ ნაწარმოებს აქვს აზრი, ყოველი ხელოვანი მწერლისაგან გამოთქმულ აზრს აქვს ხელოვნური სამოსელი... მაგრამ შესაძლოა ერთი სამოსელი საუკეთესო სახელოსნოში იყოს გაკეთებული და კეკლუცობითა და მოხდენილობით ბადალი არა ჰყავდეს, მეორე კი — უფრო დაბალ სახელოსნოში, მაგრამ არც ამას აკლდეს სიკეკლუცე და მოხდენილობა.

თუ შეიძლება ითქვას რამე ფორმის ან აზრის შესახებ, მხოლოდ ის, რომ ამისა და ამის ნაწარმოები უფრო დაბლა დგას ვიდრე იმისი, ანდა ამა და ამ ხელოვნურ შემოქმედებას ისეთი ღრმა აზრი არა აქვს, როგორც მეორესა. მეტის თქმა კი უადგილო იქნება. თუკი ნაწარმოებს ხელოვნურად თვლით — ნება აღარა გაქვთ ეჭვი შეიტანოთ მისი ფორმის სიმშვენიერეში, ანდა უაზრობა დაწამოთ.

რა არის პოეზიისა და საზოგადოდ ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა? პოეზიისათვის საზოგადოდ აუცილებელია ლექსწყობა, რიტმისა და რითმის დაცვა, ხოლო პროზისათვის სტილისტური მართებულება და მწყობრობა: სიტყვა სიტყვას უნდა სდევდეს იმგვარად, რომ აზრის განვითარების ძაფი არა წყდებოდეს და აზრიც ყოველთვის მკაფიოდ გამოითქმოდეს. ხელოვნება იქ არის დაცული, სადაც აზრი სავსებით არის გამოთქმული ნათლად და სადაც სრული ჰარმონია სუფევს აზრსა და მის გამოხატულებას შორის, ფორმა შესატყვისი უნდა იყოს შინაარსის, ამასთან — გამსჭვირვალე, რომ მშვენიერი სხეული ამ სამოსელის ქვეშ მზესავით ანათებდეს.

ხელოვნური ნაწარმოების არსებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ აზრი მხატვრულად უნდა იყოს გამოთქმული, სხვადასხვა სურათებისა და ხელოვნების იარაღის შემწეობით, რათა უფრო ძლიერად ჩაგვიბეჭდოს აზრი, რათა შეგვასისხლხორცებინოს, გვაგრძნობინოს იგი მთელი ჩვენი არსებით; პოეზია არის შთაგონებითი (Suggestive) ძალა და ამ ძალამ ჩვენს გრძნობებს უნდა მიმართოს, ეს გრძნობები აგვიშალოს, ისე როგორც მუსიკოსი მიმართავს საკ-

---

1 მოლიერის კომედიიდან („ბურჟუა ჟანტიომ“) არის მოყვანილი. შესანიშნავი ფრანგი ფილოსოფოსი და კრიტიკოსი გიუიო ამ „ლექსის“ გამო დასძენს: „ამ ლექსს ხომ მაინც ვერავინ დაწამებს, რომ რაიმეს ნიშნავდესო („ესთეტიკის პრობლემა“).

რავს, რათა ჰარმონიული ჰანგები გამოაღებინოს. აზრი მშვენიერებით აღვსილი, ერთგვარი სხეულია, რომელსაც შესაფერისი სამოსელი უნდა ჰქონდეს და ეს სამოსელი უძვირფასესი ქსოვილი უნდა იყოს. მასალისათვის ხელოვანს წინ გადაშლილი აქვს ბუნება უკიდო და უძირო, „ქვეყანა უთვალავი ფერითა". მის მოხერხებაზეა დამოკიდებული, რამდენად თვალწარმტაცი იქნება ეს ქსოვილი. ყოველ მშვენიერ სამოსელს დაამახინჯებს უშნო და უმსგავსო სხეული, ისე როგორც რაც უნდა მშვენიერი არსება იყოს, თუ საზიზღარი, ბინძური ნაფლეთებით შემოსეთ, ძალაუნებურად პირველ შეხედვისთანავე არასასიამოვნო გრძნობებს აღძრავს თქვენში. რასაკვირველია, სამოსელსა და სხეულს ათასგვარი ხარისხი აქვს, ათასგვარი საფეხური აქვს, რომლის თავში შესაძლოა მიქელანჯელო იდგეს, ან ჩვენი რუსთაველი, ხოლო ბოლოში — რომელიც გნებავთ მექოთნე, გინდ მოშაირე, რომელიც „უცილობლობს ვითა ჯორი". ეს სხვადასხვაობა ფორმისა და აზრისა დაუსრულებელია, ვითა ბუნება და ბუნების მოვლენები, ვით ადამიანი, ადამიანის ცხოვრება, მისი გონების ფანტაზია და მისი აზრის ვარჯიშობა. აქ განსაზღვრული კანონი შეუძლებელია, აქ ერთადერთი კანონი ადამიანის გემოვნებაა და სიამოვნებაა; ყოველი ნაწარმოები დიდებულია, თუკი ის მოგწონს, თუკი მას შეუძლია მოგანიჭოს სიხარული და ბედნიერება, თუკი იგი ჩვენი ცხოვრების მაჯისცემას აძლიერებს, თუკი იგი ჩვენ სიცოცხლეს შუქსა ჰფენს[1].

თავი და თავი აზრი ყოველი ცხოველის არსებობისა მისი სიცოცხლეა; რაც შველის, ხელს უწყობს ამ სიცოცხლის წარმატებასა და გაძლიერებას, ამას ელტვის ყოველი სულიერი. შეგნებული გონიერი არსება—ცხოველი, რომელსაც ადამიანი ეწოდება, ესწრაფვის და ხელს ატანს მას, რაც მის სიცოცხლეს აძლიერებს და ხელს უმართავს, რაც მას ბედნიერებას და სიხარულს ანიჭებს; ტანჯვას, ავადმყოფობას, — სიმახინჯეს ფიზიკურსა და სულიერს, ადამიანი გაურბის, ემალება და თუ ხანდახან სიკვდილს ირჩევს, ან იმისთვის,

---

[1] „ნამდვილი ესთეტიკური ემოცია ის არის, რომელიც სავსებით იპყრობს ჩვენს არსებას, — ამბობს გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი გიუიო. — ასეთი ემოციის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ მისი ზეგავლენის ქვეშ ჩვენი გული უფრო ღონიერად სცემს: მას შეუძლია აიჩაროს და თანაც მოადუნოს სიხსლის ჩქეფა ჩვენს არსებაში, შეუძლია ჩვენს ცხოვრებასა და სიცოცხლეს ძალა შემატოს და უფრო ინტენსიური გახადოს იგიო",

რომ მისი სიცოცხლე ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს (მხიარული და ბედნიერი), — დღენიადაგ წამება კი მობეზრებული აქვს. მხოლოდ დაავადმყოფებულ, გადაგვარების გზაზე დამდგარ ერს, გინდ კერძო პიროვნებას შეუძლია ტანჯვა-ვაება გაიხადოს ცხოვრების აზრად და იდეალად; ჯანსაღი კაცისათვის კი წუთიერი ტანჯვა-წამება, ყოველივე სიცოცხლის შემავიწროებელი მოვლენა, მარტო იარაღად არის გამოსადეგი უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი ბედნიერების მოსაპოვებლად.

ამიტომაც არის, რომ ხელოვნების ის ძეგლი არის ადამიანთაგან საუკუნოვანი გვირგვინით შემკობილი და გაღმერთებული, რომელიც სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელია. სილამაზე და სიმშვენიერე ძველი საბერძნეთის ხელოვნებისა — თაყვანსაცემი დიდებაა ადამიანის გენიოსობის შექმნილი; სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიები — ადამიანის სულის სიმაღლისა და ძლიერების მაჩვენებელნი არიან; ბაირონისა და ჰიუგოს ლირიკა ჩვენი მებრძოლი ბუნების იდეალური სურათია, ხოლო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ — შეუდარებელი და იშვიათი მაგალითია ბედნიერი ცხოვრების ხატებისა, იმ ცხოვრების, რომლის განმაცისკროვნებელი მზე და მთვარე თინათინია და ნესტანი, ტარიელი და ავთანდილი, რომლებიც მხნეობის, სიმამაცის, სიმშვენიერის, სიკეკლუცის მაღალ გრძნობათა და აზრთა იდეალურ წარმომადგენლად ეყოლება ქართველ ერს, ვიდრე თავის სახეს არ დაკარგავს.

ცნობილია, რომ ავადმყოფებს ჭამის დროსაც კი მუსიკას მოასმენინებენ ხოლმე, რათა მადა აღუძრას და კაი ქეიფზე მოიყვანოს. ასეთივე პირდაპირი ფიზიოლოგიური გავლენა აქვს ადამიანზე ხელოვნურ ნაწარმოებს: მისი სიცოცხლის ტონუსი, როგორღაც მაღლდება და ძლიერდება კარგი სანახაობის ზეგავლენით.

აბა გადაიკითხეთ რამდენჯერაც გნებავთ ის ადგილი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც ავთანდილი თინათინს ელაპარაკება თავისი მეგობრის ტარიელის შესახებ, თავისი მეგობრული გრძნობისა და მოვალეობის შესახებ და მიბრძანეთ, თუ ყოველი მისი წაკითხვა თქვენ კარგ გუნებაზე არ დაგაყენებთ, ხასიათს უკეთესად არ შეგიცვლით. თქვენი გული, როგორღაც სიხარულით ჩქროლავს, როცა ამ ადგილს გადაათვალიერებთ. ავთანდილი თინათინს ეუბნება, რომ „მოყმე უცხო ვინმე“ ნახა და ამით შეასრულა ბრძანება მეფისა და მისი ტურფისა. მაგრამ თანაც „მოყმე“ ავთანდილს დაუმეგობრდა, ავთან-

დილის გული მისდამი აღტაცებითა და თაყვანისცემითაა 'გავსილი, ვინაიდან უცხო რამ არის.

„ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო, ჩემგან ვით გაგეგონების? მისსა მნახავსა ნახული არაღა მოეწონების". ავთანდილმა თავისი აღთქმაც უამბო სატრფოს, ტარიელს დაპირდა უცილოდ დავბრუნდებიო და თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია ამ დაპირების შესრულება. რადგან მეგობრობა არანაკლებ დიად გრძნობად მიიჩნია, ვიდრე მიჯნურობა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად...
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!"

თინათინი სავსებით შეიგნებს ავთანდილის გულის ნადებს, მის გრძნობებს და ღირსეულ, გონების წარმტაც პასუხს აძლევს, რომლის კეთილშობილება და დიდებულება სიხარულით გვავსებს:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა".

და ბოლოს, როცა ავთანდილი „სიცოცხლის საიმედო ნიშანს" რასმე თხოვს, თინათინი მასაც დიდი სიამოვნებით მისცემს:

„მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი".

სიამოვნებას განიჭებთ აქ მწერალი იმ გრძნობათა სიმაღლით, რომელსაც თვალწინ გადაგვიშლის, თანაც ამ უსაზღვრო გრძნობას რამდენიმე ტაეპში მოათავსებს და ისეთი მხურვალი ნიჭით მოგვირთავს, რომელიც მარტო რუსთაველს და მის მსგავსს შეუძლია.

აბა დაათვალიერეთ, რამდენჯერაც გნებავთ, შესანიშნავი ვენერა მილოსელი პარიზში, ლუვრის მუზეუმში და მითხარით, თუ ისეთივე კმაყოფილება და ბედნიერება არ იგრძნოთ ყოველ წუთში, როგორც რაიმე სასიამოვნო ამბის გამო, ანდა სიცხითა და წყურვილით დატანჯული მაგრილობელ ჩრდილში ცივ წყაროს რომ დაეწაფო.

სიცოცხლის გამაძლიერებელი და განმაცისკროვნებელია ხელოვნება; ყოველი დიდი მისი ნაწარმოები თქვენს სულს ამაღლებს, მაგრამ ხორცსაც სიამოვნებას ანიჭებს, მით რომ აკმაყოფილებს არ-

ტისტულად, ხელოვნურად მრავალგვარ ჩვენს ინსტინქტს, რომელიც ჩვენს ბუნებით საიდუმლოებით მოცულ უფსკრულშია ჩამალული[1]. დარწმუნებული ვარ საბერძნეთის მშვენიერების განმახორციელებელი ლუსკუმები, თვალისა და გონების წარმტაცი იტალიური მხატვრობა ამ ხალხის ფიზიკურ მშვენიერებაზეც კი მოქმედებდნენ. თუ ერთის მხრივ, ასეთი მშვენიერება ისეთ ლამაზსა და მშვენიერ ხალხს შეეძლო შეექმნა, როგორც ბერძნები და იტალიელები იყვნენ, სამაგიეროდ ყოვლად შეუძლებელია ერთგვარი ფიზიკური გავლენა არ ჰქონოდა ასეთ საუცხოო და ტურფა სანახაობას იმ ხალხზე, რომელსაც ბედნიერება ქონდა ღვთაებრივი ოლიმპი ქვეყნად ჩამოეტანა და ყოველ წუთში იმისათვის ეცქირა.

ვინ იცის იქნებ ქართველი ერის სიმშვენიერეში რუსთაველის გენიოსობის ნაყოფსაც ედვას წილი? ხალხი, რომელსაც ლოცვანივით მიაჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ და დღენიადაგ იმის კითხვაში იყო, ეჭვი არ არის ერთგვარად მომართული და განწყობილი იყო; მისი ოცნება მუდამ ტარიელსა და ავთანდილს, თინათინსა და ნესტანს დასტრიალებდა, მისი გონება ამ საუცხოო სანახაობით იყო მოხიბლული და

---

[1] საკითხი სიმახინჯის დასურათებისა ხელოვნებაში თითქო ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას. მართლაც, თუ ხელოვნება სასიამოვნო და გულის გასახარელ გრძნობებს უნდა გვიღვიძებდეს და მით ჩვენს ბუნებას აცხოველებდეს, რაღა ადგილი უნდა ქონდეს ხელოვნებაში მახინჯ სურათებს, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, არც ეს მოვლენა ეწინააღმდეგება ზემოთ გამოთქმულ ჩვენ დებულებას. ჯერ ერთი, ხანდახან გარეგნული სიმახინჯე სულიერი სიდიადითაა შესყიდული როგორც ეს, მაგალითად, ჰიუგომ შეასრულა თავისს კვაზიმოდოში; ანდა სიმახინჯე წარმომადგენელია სიბოროტისა და მასთან ბრძოლა ადამიანისა, თვით პროცესი ბრძოლისა იწვევს ჩვენში სიამოვნებასა და კმაყოფილებას, აიღეთ შილერის ფრანც მოორი, გინდ იაგო შექსპირისა.

ტრაგედიები და დრამები ამ ადამიანებისა, ათასგვარი ბრძოლის გამოსახვით, იპყრობენ ჩვენს ყურადღებას და ვინ იცის, იქნებ მართალი იყოს ფრანგი კრიტიკოსი ემილ ფაგე, როცა ამბობს, რომ ტრაგედია და დრამა ჩვენი ატავისტური ინსტიქტების დამაკმაყოფილებელია, ამ ინსტიქტების გასართობი კულტურული იარაღიაო. ადამიანს ერთგვარ სიამოვნებას აყენებს ადამიანის დაუსრულებელი ბრძოლა სხვადასხვა მისი ცხოვრების ხელისშემშლელ გარემოებებთან და ის დამარცხება და გამარჯვება, რომელსაც იგი ამ ბრძოლის დროს განიცდისო. ყოველ შემთხვევაში, სიმახინჯის გამოსახვას ხელოვნებაში ის ფასი არა აქვს: ვერავინ გვიჩვენებს ვენერა მილოსელის, ამ ღვთად ქმნილი მშვენიერების, ბადალს სიმახინჯის სფეროში, და ვერავინ დაგვიმტკიცებს, და ვერც დაგვარწმუნებს, რომ კაცობრიობის თვალში იაგოსა და ედმონდს, ოფელიასა და დეზდემონას, ჰამლეტსა და ოტელოს. ერთი და იგივე ღირებულება ჰქონდეს.

შოჯადოებული. შეგვიძლია განა, არ დაუთმოთ ერთგვარი გავლენა ამგვარი განწყობილების ადამიანის ფსიქიკას მის ფიზიოლოგიაზე? ეს იქნებოდა შეცდომა, მეცნიერული გამოცდილების საწინააღმდეგო.

მე განგებ მოვიყვანე ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან". ამ ადგილს ვერავინ შესწამებს, რომ იგი უაზრო იყოს. აქ დიდებული განწყობილებაა, დიდებული სულისკვეთებაა გამოსახული; სიყვარული და მეგობრობა ქვაკუთხედია ადამიანის ცხოვრებისა და სიცოცხლისა. ეს ერთგვარი საძირკველია, რომელზეც არის აშენებული მრავალგვარი და რთული განწყობილება ადამიანთა შორის. მაგრამ არის დრო და მომენტები ისტორიაში, როცა ადამიანს აღარ ცხელა ამაებისათვის. ეს უბედური ხანაა, სიცოცხლისა და ცხოვრების მომშხამველი, მაგრამ ასეთი ხანა არის ხოლმე ადამიანის და კაცობრიობის ცხოვრებაში. და აი, მაშინ ამგვარი საგნები აბუჩად არის აგდებული, თითქმის მკრეხელობად არის მიჩნეული ამ დროში სხვა რამეზე ილაპარაკო და იმღერო, თუ არა იმ ღრმა ტკივილებზე, რომლითაც არის დაავადებული ერი. და სწორედ ასეთ დროში იბადება საკითხი ხელოვნური ნაწარმოების აზრიანობაზე. ჩვენ ბევრი ვთქვით იმის შესახებ, რომ ეს სრული nonsens-ია. მაგრამ იმნაირ დროში, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, უაზროდ ითვლება ყოველივე ხელოვნური ნაწარმოები, თუ რომ იგი არ ემსახურება მთავარ წყლულს საზოგადოების ცხოვრებისას. სიყვარული — თვით არსია ცხოვრებისა, მაგრამ სიყვარულზე ლაპარაკი აღარა სცალია მას, ვინც მომაკვდავის სარეცელზედა გდია, მას უნდა წამალი სიკვდილთან საბრძოლველი. ხშირად ერი და საზოგადოება, ქვეყანა და სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაშია. მას ან გარეშე მტერი უქადის ჩაყლაპვას და, ამგვარად, მისი არსებობა განსაცდელშია, ან შინაგან გახრწნილებას უმაღლეს წერტილამდე მიუღწევია და აქაც სიკვდილს და დაღუპვას თავისი დამამხობელი ცელი ხელში მომარჯვებული აქვს. ასეთ დროში, მართლაც, რაღა სხვადასხვა გრძნობისათვის გცხელა, აქ მახვილია ხელში მიუცილებელი, დოსტაქარი და წამალი.

მაგრამ ასეთი გარდამავალი ხანა არ შეიძლება კაცმა მიიღოს ნორმალურად, არ შეიძლება ასეთ არაჩვეულებრივ მდგომარეობას საუკუნო მნიშვნელობა მისცეთ და ამითი განსაჯოთ დიდებული მოვლენა ხელოვნების არსებობისა. ხელოვნებას კი მაშინა აქვს მნიშვნელობა, თუ იგი ადამიანის ცხოვრებას აფართოებს, აძლიერებს და სიხარულისა და სიმშვენიერის შუქსა ფენს, ცხოვრების უმსგავსოე-

ბასთან საბრძოლველ ენერგიას უღვიძებს, თუნდაც იმით, რომ სიცოცხლის ხელისშემწყობ განწყობილებას ბადებს მის პატივისმცემლებში. ვიქტორ ჰიუგო უდიდებულესი საპოლიტიკო სატირიკოსი და ლირიკოსი იყო ისე, როგორც ბაირონი, მაგრამ ერთიცა და მეორეც, რაც უნდა მაღლა იდგნენ, ვერც შექსპირს წააცილებენ და ვერც სოფოკლეს, თუმცა მათ ნაწარმოებში ისეთ ტენდენციას ვერ ნახავთ, როგორსაც ჰიუგოსა და ბაირონის შემოქმედებაში. პოეზიისა და ხელოვნების წყარო ადამიანის ცხოვრების სამარადისო ნაწილებია, ასეთი კი არის: ბიოლოგიური ელემენტი (სქესობრივი გრძნობა) — გამშვენიერებული და გალამაზებული, ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულება და ზეგავლენა, ადამიანის სიცოცხლის დასასრულთან ბრძოლა და მისგან გამოწვეული განწყობილება და გრძნობა. ეს მთავარი ელემენტი ხელოვნებისა, რასაკვირველია, ათასგვარ კომბინაციას განიცდის და მრავალფერ ნიადაგად ხდება, რომელზეც ხელოვანს შეუძლია ისეთი ქსოვილი მოქსოვოს, როგორიც მის ფანტაზიას სურს და შეუძლია. ყოველივე გარდამავალი პოეზიისა და ხელოვნების საგანი როდია, იგი საგანია პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის; სადღეისო საგნები, ყოველდღიური საჭირბოროტო საქმე და ჭირ-ვარამი გაზეთის საქმეა, — პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ცხოვრების მეთაურებისა.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, ღმერთმა მაშოროს, რომ პოეზიიდან და ხელოვნებიდან ეგრეთწოდებული სამოქალაქო მოტივები იქნენ განდევნილნი, სრულიადაც არა, მაგრამ ეს მოტივები ზემოხსენებულ ნიადაგზე უნდა იქნენ მოქარგულნი. გარეშე ამისა, მათ არავითარი დამოკიდებულება არ ექნებათ ხელოვნებასთან... განა არ შეიძლება პოეტი სიყვარულის შესახებ ლაპარაკობდეს და მთელი დღევანდელობა სულის შემხუთავი გარემოება, რომელიც ყოველივე ადამიანის მაცოცხლებელ საგანს ახრჩობს, ყოველივე ეს გვაგრძნობინოს მთელი სიმწვავითა და სიღრმით, თუკი ნიჭი აქვს? განა არ შეიძლება ადამიანის სიცოცხლის დასასრულზე ილაპარაკოს და მთელი სიგრძესიგანით თვალწინ დაგვიყენოს ის პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც სიკვდილს გარჩევინებს სიცოცხლეს? განა არ შეიძლება დღევანდელობით გულდამწვარმა, „მწუხარემა და სევდიანმა“ პოეტმა ბუნებას მიმართოს, „გულის თქმა მისი იმის იქით ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დააშთოს აქ ამაოება“, პოეტის „მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას მისგან მიიღებს“, ანდა ეხ-

ლანდელი განატანჯი პოეტი „წარვიდეს წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად“? არა მგონია, ამ სტრიქონების ავტორს ნა-ლებად ეგრძნობინოს ჩვენთვის იმ დროის დამყაყებული საზოგადოებრივი პირობები!

რაკი ხელოვნება ცხოვრებისათვის და სიცოცხლისათვის არის, რაკი მისი საგანი სიცოცხლის გაცისკროვნება და გაღონიერებაა, — ნიჭი თვით იპოვის მასალას და თუ ეს მასალა ხელოვნურად არის შემუშავებული, თუ რომ იგი დაუსრულებელ სიამოვნებასა და სიხარულს მოგვანიჭებს, თუ ამგვარი ნაწარმოებისაგან აღძრული კმაყოფილება გაუძლებს დამჯდარ ანალიზს და საუკუნეების კრიტიკის ქარ-ცეცხლს, მერწმუნეთ იგი დიდებული ხელოვნური ნაწარმოებია.

დიდებულია ვენერა მილოსელი, დიდებულია პრაქსიტელის ჰერმესი, დიდებულია მიქელანჯელოს ფრესკები, დიდებულია ჰომეროსი, დიდებულია შექსპირი, თუნდაც ვოლტერი და ტოლსტოიც კი წინ აღუდგეს მათ დიდებულებას, დიდებულია ჩვენი შოთა, რაც არ უნდა უყეფონ მას და ვინც არ უნდა მოინდომოს მისი დიდებულების გაცამტვერება. ამის მოწმეა რვა საუკუნე, რომლის განმავლობაში ბევრი დევნა და შეურაცხყოფა ნახა, მაგრამ დღესაც ისევე ისე ბრწყინავს, როგორც მაშინ, და მის ელვარებასა და სხივს არა მოჰკლებია რა ვითა მზეს, ცის მანათობელს, ხოლო მის სხივს ბრმანიც კი ამჩნევენ[1].

---

[1] ჩვენ აქ, რასაკვირველია, სახეში გვყავს არამკითხე კრიტიკოსები ნეტარხსენებული ნარ-დონის ჯურისა და ჩვენი ოფიციალური ზნეობის ქურუმები, რომელნიც ერთ დროს სდევნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და არა ის მეცნიერული განსჯა, რომელიც შოთას სახელს წმინდა და შეუმწიკველი შარავანდედით მოსავს.

5. ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა

პატონო რედაქტორო![1] არა ერთხელ მოგიმართავთ ჩემდამი, გაშოვთქვა აზრი თქვენი პატივცემული გაზეთის მიერ აღძრული საგნის — წიგნების გამოცემის — შესახებ. ესარგებლობ შემთხვევით, რომ აღვასრულო თქვენი თავაზიანი წინადადება.

წიგნების გამოცემის საქმე ჩვენში საზოგადოდ ცუდად მიდის ისე, როგორც ყოველი საქმე. (გადაჭარბებულ პესიმისტობას ნუ შემწამებთ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ყოველი მოვლენა საზოგადო ცხოვრებისა სასტიკი კრიტიკით უნდა აიწონ-დაიწონოს, რათა შესაძლებელი იყოს ამ მოვლენის ნაკლულევანებათა მოსპობა, ღირსებათა — კი განმტკიცება).

ამ საქმეს თავში უნდა უდგეს კაცი გაგებული, ვრცელი განვითარებით აღჭურვილი და, გარდა ამისა, კაცი, რომელსაც აქვს უნარი, ნიჭი, ანდა განწყობილება ამგვარი საქმისათვის. საოცარია კაცის ბუნება მით, რომ, აღზრდის ბრალია, შთამომავლობისა, თუ წრისა და გარემოების ზეგავლენისა, კაცსა აქვს ერთგვარი თანდაყოლილი თვისება, რომელიც ამა თუ იმ პროფესიისაკენ, ამა თუ იმ საქმისაკენ იზიდავს და ზურგს შეაქცევინებს სხვაგვარ პროფესიას, ანდა საქმეს.

საუკეთესო მოწყობილად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, ის საზოგადოება, რომელშიც ისეა დაყენებული საქმე, რომ ყველას შეუძლია თავისი ძალ-ღონე გამოიჩინოს იქ, საცა გული მიუწევს. ყველაზე დაცემული და დაღუპული კი ის საზოგადოებაა, სადაც არავის არ შეუძლია თავის მისწრაფებას, მიდრეკილებას მისდიოს; ისე უნდა მოიქცეს, როგორც გარემოება აძალებს, როგორც ცხოვრების სასტიკი კანონი უბრძანებს.

წარმოვიდგინოთ ისეთი საზოგადოება, როგორც ჩვენია, რომელიც ისე როდია მოწყობილი, რომ ყოველმა კაცმა შეძლოს თავისი ნიჭი გამოიჩინოს. ვთქვათ, კაცს საზოგადოების სამსახურის სურვი-

---

[1] აღნიშნული სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში" (1897 წ., № 231). ამ დროს გაზეთს რედაქტორობდა ვალერიან გუნია. რედ.

ლი აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, ამ სურვილს დაუმონებია მთელი მისი ბუნება, — სად უნდა გამოიჩინოს მან ასეთი სურვილი, რომელ ასპარეზზე უნდა გამოვიდეს, რომ დაგვანახოს თავისი ასეთი მიდრეკილება? ეს იქნება ან წიგნების წერა, ან წიგნების გამოცემა. შეიძლება ქართველი კაცი დიდებული იურისტი იყოს, საოცარი ფინანსისტი, მოხერხებული დიპლომატი, მჭევრმეტყველი ორატორი, მაგრამ ვერცერთ ამ თვისებათაგანს იგი ვერ გამოიჩენს, რადგან არა გვაქვს ადგილი ამ ნიჭისა და სურვილის გამოსაჩენად გამოსადეგი: მან უნდა აიღოს კალამი ხელში. იურისტი ვერ იშოვის ვერც უნივერსიტეტის აუდიტორიას, რომ თავისი ახალი თეორიები მსმენელთ გააგებინოს, ვერც სასამართლოს, რომელიც ქართული იურიდიული მჭევრმეტყველების განვითარებას ემსახურებოდეს; ახალი კანონების შექმნაში მონაწილეობას კი არავინ მიაღებინებს. დიპლომატიური ნიჭი უნდა მოახმაროს ხერხიანად პოლემიკურ ბაასს, რომელიც ბოლოს გონების თამაშობა გამოდის და მეტი არაფერი; საერთაშორისო საყურადღებო საგნების გადაწყვეტას იმას არავინ ეკითხება. კარგმა ფინანსისტმა და ორატორმა შეიძლება თავისი ნიჭი და წყურვილი საზოგადო მოღვაწეობისა დაიკმაყოფილოს იმით, რომ წიგნების გამოცემას მოჰკიდოს ხელი.

სწორედ ამის ბრალია (და ეს აზრი არაერთხელ გამოთქმულა ჩვენს ლიტერატურაში), რომ ჩვენ გვყვანან ლიტერატორები, რომელთაც ადგილი სრულიადაც არა აქვთ ლიტერატურაში, ჩვენ გვყვანან წიგნების გამომცემელნი, რომელთაც გაზეთის დამტარებლობა უფრო შეშვენისთ.

რაკი ჩვენს ამგვარ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში. რასაკვირველია, წინდაწინვე უნდა შევურიგდეთ სალიტერატურო ასპარეზზე სათარეშოდ გამოსულთა ბევრ უცნაურობას. ამით ის არ გვინდა ვთქვათ, რომ მათი ნამოქმედარი განუსჯელად მოვიწონოთ. წინაალმდეგ, ამგვარ ყოფაში ერთადერთი ხსნა მხოლოდ სასტიკსა და გონივრულ განსჯაშია. გამოცემს ვინმე წიგნს უსარგებლოს, სასტიკად განვკიცხოთ იგი და დავანახვოთ, რომ უნარი არა აქვს წიგნების გამოცემისა. კარგ წიგნებს თუ გამოცემს და ხეირიანად, პატივისცემით მოვიხსენიოთ და მადლობა გადავუხადოთ. შეუძლებლად მიმაჩნია, წინდაწინვე ვინმეს ვუთხრა, ეს შენი საქმე არ არის, ამას ვერ შეძლებო. რა იცით, რომ ვერ შეძლებს? ამ შემთხვევაში წინანდელი მაგალითებითაც ვერ ვიხელმძღვანელებთ: შეიძლება უწინდელმა მა-

გალითებმა სიბრძნე შესძინა ამ კაცსა. იქნებ სხვა ვინმე მოიწვია, მცოდნე კაცების აზრით იხელმძღვანელა და მომავალი მისი შრომა კარგი ჯილდოს ღირსი შეიქნეს. თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, საჭიროა, კრიტიკამ ამცნოს საზოგადოებას უვარგისობა ამა თუ იმ გამოცემისა და გააფრთხილოს — უსარგებლო ხარჯი არ მოუვიდეს. ჩვენს მდგომარეობაში ეხლა აუცილებელია კრიტიკა, კრიტიკა ყოველივე მოვლენისა, და მით უფრო ლიტერატურისა. კრიტიკამ უნდა დაგვანახვოს ამა თუ იმ წიგნის ღირსება და უვარგისობა.

ხოლო ტყუილად ნურავინ იფიქრებს, ჩვენში ეხლა შესაძლოიყოს სენტ-ბევისა და ტენის კრიტიკა. ასეთი კრიტიკა რომ გვექნეს, ამისათვის საჭიროა მთელი წყება ნიჭითა და ტალანტით დაჯილდოვებული კრიტიკოსებისა, მეცნიერებისა და ისტორიკოსებისა. ამჟამად კი ჩვენში შეუძლებელია ყოველმხრივ, სავსებით განსაჯო ნაწარმოები, რადგან არა გვაქვს ისტორია, არა გვაქვს მემუარები, არა გვაქვს შეკრებილი სხვადასხვა დოკუმენტები.

კრიტიკა ყველგან დაწყებულა ესთეტიკური და მორალური კრიტიკით. კრიტიკის თავდაპირველ მთანასახად, თუ გნებავთ, გრამატიკული კრიტიკა უნდა ჩაითვალოს; მერმე კრიტიკა ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეებს აფასებს, შემდეგ — ზნეობრივს, ხშირად — ზნეობრივსა და ესთეტიკურს ორივეს. ისტორიული და სოციოლოგიური კრიტიკა გვიხსნის მხოლოდ რამ დაბადა ესა თუ ის მიმართულება ლიტერატურისა, გვიჩვენებს — რა მიზეზებმა გამოიწვია ესა თუ ის ღირსება ლიტერატურული ნაწარმოებისა, ანდა მისი ნაკლულევანება. ჩვენი კრიტიკა, — ამბობს ტენი, — კი არ სჯის, მხოლოდ ხსნის ლიტერატურულ ნაწარმოებსო. რამდენად სასტიკად ადგა ტენი ამ აზრს, კარგად ვიცით. არცერთ კრიტიკოსს წინანდელი ფორმაციისას არ გამოუჩენია იმდენი სისასტიკე დაწუნებული ნაწარმოების შესახებ, არცერთს არ გამოუთქვამს უფრო გრძნობიერი, პოეტური და მხატვრული ენით თავისი აღტაცება ამა თუ იმ მოწონებული ნაწარმოების შესახებ.

წეროს და თარგმნოს ყველამ, ვისაც რა უნდა, — ეს იმათი შეუბღალავი უფლებაა. მხოლოდ ლიტერატურულ მოვლენათა თვალყურისმგდებელის, მისი განმსჯელის მოვალეობაა—ცუდი აძაგოს და კარგი აქოს; მისი მოვალეობაა საზოგადოებას შეაძლებინოს ლიტერატურის თვალყურისდევნება, იმიტომ, რომ ყველასათვის შეუძლებელია ყველაფრის წაკითხვა და თავის გემოზე კარგისა და ცუდის გარ-

ჩევა. საჭიროა იმ აუარებელი წიგნაკებიდან, რომლებიც დღეს სალიტერატურო ბაზარზე გამოაქვთ, კრიტიკოსმა უჩვენოს, რომელი მათგანია საყურადღებო და რომელი არა. კრიტიკოსიც ციდან ჩამოვარდნილი ხომ არ არის, მასზეც დიდი გავლენა აქვს დროის მოთხოვნილებას და იმ საზოგადოების გემოვნებას, რომელშიც იგი ცხოვრობს. საქმე მხოლოდ ის არის, რომ კრიტიკოსი უფრო შეგნებულია, უფრო ნაზბუნებოვანი, უფრო ადვილად შემგნები ლიტერატურისა. მისი აზრი და გრძნობა შვილია დროისა და საზოგადოებისა, მაგრამ შვილი, რომელსაც თავისებურება ატყვია და ეს თავისებურება იხატება მისი ბუნების სიფაქიზეში, გონებისა და გრძნობის სიმახვილეში. ამიტომაც საზოგადოებასა და კრიტიკოსს შორის არსებობს, ცოტად თუ ბევრად, თვალსაჩინო, ანდა, ცოტად თუ ბევრად, თვალუხილავი, დაფარული კავშირი, ორგანული და სულიერი.

ქართული ლიტერატურა და ქართული თეატრი

6. „მოამბის“ მორალისტები

(შ. არაგვისპირელი: „და და ძმა“ № 2, ანასტ. ერისთავისა: „ლაზარემ გადააჭარბა“ № 5, დ .ერისთავი: „ვისი ბრალია?“ № 6 და № 7).

ვინ არ იცის, რა დავა არის ატეხილი ეგრეთ წოდებულ „წმინდა ხელოვნებისა“ და „ზნეობრივი ხელოვნების“ მიმდევართა შორის. პირველნი ამტკიცებენ, რომ ლიტერატურაა, თუ მხატვრობა, ქანდაკებაა, თუ მუსიკა, მათ მხოლოდ ერთი საგანი აქვთ: სიმშვენიერის გამოხატვა და მეტი არაფერიო. ამ სიმშვენიერედ უმეტესი ნაწილი ამ მოძღვრების მიმდევრებისა გულისხმობს მხოლოდ გარეგანი ფორმის სიმშვენიერეს: თუ პოეზიაა — მუსიკალურ ლექსებს და რითმათა სიმდიდრეს; თუ პროზაა — კარგად შეთხზულ ფრაზებს, რომელნიც თავისი სიმშვენიერით ლექსებს ემსგავსებიან, და კარგად დახატულ სურათებს ბუნებისას, ტიპების მკაფიოდ გამოხატვას და მათი სულიერი თვისების ხელოვნურად გამოაშკარავებას. მათ აზრი, — იდეა უკანასკნელად მიაჩნიათ. აზრის გამოსათქმელად ფილოსოფია და მეცნიერება გვაქვს, ჩვენ მქადაგებელ პატერებად კი არ გვინდა მწერლები, არამედ წმინდა ხელოვნების ქურუმებადა, ნამდვილ არტისტებადაო და სხვ. მეორენი ამბობენ, რომ ხელოვნების საგანი უნდა იყოს ჩვენი ზნეობის განსპეტაკება, ჩვენ საუკეთესო თვისებათა განვითარება და უვარგისის—მოსპობაო. ზნეობრივ ნიადაგს მოკლებული ხელოვნება დიდხანს ვერ იცოცხლებსო. მათი აზრით, პოეტი და საზოგადოდ მწერალი სწორედ მოძღვარი და მქადაგებელი უნდა იყოს. ეს თეორიები შედგენილია თხზულებების შემდეგ და არც ერთი მწერალი, ნიჭიერი და გრძნობიერი, ამ თეორიებით არ ხელმძღვანელობს. ყოველი დიდი მწერალი ყოველთვის დიდი მორალისტი ყოფილა. მხოლოდ პატარა, ცრუ-პოეტები და ცრუ-მწერლები ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ თეორიით. პირველთ გატაცებამ ფრანგული ეგრეთ წოდებული „პარნასელი“ პოეტები დაბადა, რომელნიც, გარდა რითმის სიმშვენიერისა, არაფერს ყურადღებას არ აქცევდნენ; მეორე თეორიის მიმდევრები კი ათასობით მოიძებნე-

ბიან სხვადასხვა რუსულ ჟურნალებში, რომელნიც დიდი სიამოვნებით დაბეჭდავდნენ ყოველივე ხელოვნება მოკლებულ თხზულებას, ოღონდ კი იმ ორგანოსაგან აღიარებული აზრების მქადაგებელი ყოფილიყო.

არც ქართული ლიტერატურა ასცილებია ამ კამათს ლიტერატურის ორ სხვადასხვა წარმომადგენელთა შორის, თუმცა უფრო ხუმრობას წააგავდა იგი, ვიდრე კამათს. მაგალითად, „ცისკრის“ ნომერში თქვენ ნახავთ ვიღაც ქართველი „პისარევის“ კრიტიკას, რომელიც ნ. ბარათაშვილის „მთაწმინდაზე შემოღამებას“ ჩირადაც არ აფასებს, კუჭს არ მიძღობსო. არ დაივიწყოთ ეს ზრუნვა კუჭისათვის! ამგვარი უცნაური აზრი სამოციან წლებში რუსეთში ბევრ ჩვენ კრიტიკოსზე უწარჩინებულესს წარმოუთქვამს, სწორედ ამგვარივე აზრზე არის აგებული ნეტარხსენებული „სანდალას“ კრიტიკა მთელი ჩვენის ლიტერატურისა, რომელსაც ეკონომიური და სოციალური ბრძოლა ლიტერატურაში გადააქვს და აფასებს ლიტერატურულ ნაწარმოებს იმისდა მიხედვით, თუ რომელი წოდების წევრს ეკუთვნის იგი. ასე იყო, თუ ისე, სიღარიბეა, თუ სიმდიდრე ჩვენი ლიტერატურისა არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ ჩვენს ლიტერატურას არა ჰქონია სამოციან წლებიდან არც ფრანგული „პარნასელების“ მსგავსი პოეზია და არც რუს მწერლებისთანა პროზა (მე აქ რუსეთის ის მწერლები მყავს მხედველობაში, რომელნიც აზრს ყოველსავე ხელოვნებას ანაცვალებენ), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფელეტონის ლიტერატურას. ილ. ჭავჭავაძის პროზა და პოეზია, აკაკი წერეთლის სალირიკო პოეზია და უკანასკნელად ა. ყაზბეგის პროზა მდიდარი არის, როგორც ფორმით, ისევე შინაარსით, — აზრით. მხოლოდ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც იმას კი ვერ შევსწამებთ, რომ აზრის მეტი არა მოეპოვებოდეთ რა, მაგრამ ის კი უნდა ვსთქვათ, რომ აზროვნებითი მხარე მათი ნაწარმოებისა ჩრდილავს გარეგან მხარეს, ფორმის სიმშვენიერეს და მარტო თავისი აზრებით არის მიმზიდველი. აიღეთ რომელიც გინდათ მოთხრობა მოჩხუბარიძისა. იგი დააკმაყოფილებს ყოველი წმინდა ხელოვნების თაყვანისმცემელს ისევე, როგორც მორალური ხელოვნების მიმდევარს. აიღეთ, რომელიც გინდათ, პოემა ი. ჭავჭავაძისა: იგი აღტაცებაში მოიყვანს ორივე ბანაკის მწერლებს. გადაათვალიერეთ საუკეთესო სალირიკო ლექსები ა. წერეთლისა, იგი აღიტაცებს „პარნასელ“ პოეტს და რუსეთელ მწერალს, რომე-

ლიც აზრის მეტს არას დაეძებს არც ლექსში და არც პროზაში. ეხლანდელი ჩვენი მწერლები კი მხოლოდ უკანასკნელთ დააკმაყოფილებენ და პირველთ კი ათქმევინებენ — „თავის უარესს სჯობიაო". მხოლოდ ერთადერთი შ. არაგვისპირელი განირჩევა მათგან. იმის ნაწარმოების ხელოვნებასაც აღტაცებაში მოჰყავხართ ყოველთვის, და თუ ეს არ ითქმის იმის ზემოხსენებულ დიდი მოთხრობის შესახებ, ამის დასარწმუნებლად საკმაოა გადაათვალიეროთ მისი პატარა მოთხრობანი.

სწორედ მისთვის, რომ ზემოხსენებული მწერლების მოთხრობების ზნეობრივი მხარე უფრო მეტ ყურადღებას იწვევს, მე მათ ვუწოდე მორალისტები. მაგრამ მორალისტებიც განირჩევიან ერთიმეორისაგან. არიან თეოლოგიური მორალისტები, რომელნიც თავის მორალს ამყარებენ სარწმუნოებაზედ, არიან მორალისტნი მეტაფიზიკოსნი, რომელნიც მორალს მეტაფიზიკაზედ ამყარებენ, და არიან დამოუკიდებელნი მორალისტნი, რომელნიც მორალს დამოუკიდებელს ჰყოფენ, როგორც სარწმუნოებისაგან, ისე მეტაფიზიკისაგან. ზნეობრივი მოვალეობის აუსრულებლობას პირველნი სჯიან ღვთის რისხვით, მეორენი — სინდისის ქენჯნით „მოვალეობის არ ასრულებისათვის", და მესამეთ კი (უმეტესს მათგანს მაინც), — მიაჩნიათ სასჯელად ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი (სოციალური) რეაქცია. მათი აზრით, ყოველი მოვალეობის აუსრულებლობა იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას, რომელიც იმით თავდება, რომ დამნაშავეს სჯის იგი, სულ ერთია სასამართლოს, თუ რომელიმე თავის წევრის შემწეობით. შ. არაგვისპირელი და დ. ერისთავი ეკუთვნიან „დამოუკიდებელ" მორალისტებს, ანასტასია ერისთავისა კი სარწმუნოებრივ-თეოლოგიურ მორალისტებს [1]. პირველნი მისდევენ იმავე მორალს, რომელსაც მისდევს დიუმა-შვილი თავის შესანიშნავ კომედიებში, მეორეს კი ის გზა აურჩევია, რომელსაც პოლ ბურჟე მისდევს თავის უკანასკნელ მოთხრობებში.

შ. არაგვისპირელის მოთხრობის სიუჟეტი, მოკლედ რომ ვთქვათ, აი ეს არის: გლეხ ქიტუას ჰყავს ძალიან ლამაზი ცოლი სოფიო. ეს ქიტუას მეორე ცოლია. სოფიოს გაუარშიყდება მისი შვილის მომნახულველი ნიკო, სოფლის მწერალი, და კიდეც დაუკავშირდება. ერთ

---

[1] ჩვენ აქ გვაქვს მხედველობაში ის თხზულებანი ზემოხსენებულის მწერლებისა, რომლებიც „მოამბე"-ში არის დაბეჭდილი, ავტ.

დლეს ქიტუა შეასწრებს ნიკოს თავის ცოლთან და ხანჯლით აჰკეპავს: „ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ეგაა!.. ჩემი შვილები!.. კატო... გიგლა... კატო... გიგლა! ხითხითებდა გამხეცებული ქიტუა და თან გაშხლარტულ ნიკოს გვამს ხანჯლით ჰკეპავდა...“ ნიკომ ჩაუშალა ქიტუას ოჯახის ბედნიერება, ნიკომ გაურყვნა ცოლი და ოჯახი. ნიკო დაისაჯა. საზოგადოება, რომლისთვისაც ოჯახის წევრების პატიოსნება დიდად საჭიროა, სჯის თავისი წევრის ქიტუას ხელით, იმის წესრიგის უარისმყოფელს, ოჯახის ბედნიერების დამარღვეველს — სოფლის მწერალს. მოთხრობაში ისიც ნათლად არის ნაჩვენები, თუ საზოგადოებას რა აკლდება ამგვარი ქცევით. სოფიოს არშიყობა ისე გაიტაცებს, რომ საწყალი ბავშვები, რომელთა მოვლაც ვალად სდევს, სრულიად მოუვლელად და თვალყურის უგდებლად ჰყრიან. ბოლოს მათ სადღაც მთლად გადაჰკარგავს მამა. ამ მოთხრობაში საზოგადოებრივი რეაქციაა ნაჩვენები.

დ. ერისთავის მოთხრობის შინაარსი შემდეგია: დათიკას ჰყავს ლამაზი ცოლი ნანა, რომელსაც ძალით ნამუსს ახდის და გააუპატიურებს აზნაური ნესტორ უქმიაშვილი, გიმნაზიიდგან გამოგდებული, გარყვნილი ახალგაზრდა. დათიკა ამ სირცხვილს ვერ გაუძლებს, ესვრის თოფს ნესტორს და იქვე გააცივებს. აქაც იგივეა: ნესტორი ისჯება საზოგადოების წინაშე მოვალეობის შელახვისათვის. საზოგადოების წარმომადგენელია აქ დათიკა, რომლის თოფის ტყვია გარყვნილ გულს განუგმირავს ნესტორს. მაგრამ ჩვენ არ გვესმის, რად დახარჯა ერისთავმა ამდენი მელანი და შრომა! ნუთუ იმისათვის, რომ გადმოეწერა და შეეკერა ერთად რამდენიმე სცენა განსვენებული ნინოშვილის მოთხრობებიდან. ვინ არ იტყვის, წაიკითხავს რა ოთხმოცდაათ გვერდს ერისთავის მოთხრობისას, რომ მთელი სიუჟეტი ნასესხებია ზემოხსენებული მწერლის „სიმონასა“ და „ქრისტინესაგან“.

რასაკვირველია, ჩვენ არას ვიტყოდით სიუჟეტის შესახებ, თუ რომ სხვა რაიმე ხელოვნების ისეთი ნაწარმოები სჩანდეს შიგ, რომ თავის სიახლით და სიმშვენიერით გიტაცებდეთ. მაგრამ არც ეს არის. ტიპების მკაფიოდ გამოხატვასა და მათი ფსიქოლოგიის გამოაშკარავებაში ხომ ყველა ჩვენი მწერალი კოჭლობს შ. არაგვისპირელის გარდა, და, ამ მხრივ, არაფერი ახალი და მოულოდნელი არც ერისთავს შემოუტანია. ამიტომ, რადგანაც მათი მოთხრობები მარტო სიუჟეტზეა აგებული, რომელიც ამა თუ იმ მორალური ტენდენციის

გასაყვანად არის აღებული, ეს სიუჟეტი მაინც უნდა სხვადასხვაობდეს. რა უშავდა, მაგალითად, ერისთავს, იგივე სიუჟეტი აეღო, მაგრამ სხვა წოდების კაცები გამოეყვანა მოქმედ პირებად. ეს უფრო საინტერესო იქნებოდა, რადგან ჩვენში მოთხრობა ამ წოდებათა ცხოვრებიდან ძალიან ცოტაა. უფერულობას მოთხრობისას ვერ შველის ვერც მისი მრავალაზროვანი სახელი „ვისი ბრალია?“ მართლაც, ვისი ბრალია ნესტორის გარყვნა და საწყალი დათიკას ოჯახის დაღუპვა? რასაკვირველია, საზოგადოებისა და გარემოებისა. რომელიც ზედ ერთვის სულიერ გარყვნილებას ნესტორისას, მაგრამ ესეც ვერ არის მთლად ნათლად ნაჩვენები.

თეოლოგიური მორალის წარმომადგენელია „მოამბის“ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ან. ერისთავისა, თუმც შინაარსი მისი მოთხრობისა თითქმის იგივეა, რაც შ. არაგვისპირელის მოთხრობისა (ამითი ის მინდა ვთქვა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობა არის აღწერილი, ე. ი. ადიულტერი ანუ მრუშობა). მაგრამ სწორედ მისთვის, რომ სხვანაირი სასჯელი აქვს მინიჭებული დამნაშავეს, მოთხრობაც უფრო სხვანაირ ინტერესს იწვევს. სოფლის გლეხს მიტროს ჰყავს ლამაზი ცოლი ირინე. ირინეს ყმაწვილობაში უყვარდა ზურია, ნათლული თავისი მამისა. ზურიასაც ძლიერ უყვარდა ირინე, მაგრამ რადგან ხალხის ჩვეულების წინააღმდეგი იქნებოდა მათი დაქორწინება, ამიტომ ამათ ამ ფიქრს თავი დაანებეს... უკეთა ვთქვათ, გადაწყვიტეს ეს ფიქრი თავიდან მოეშორებინათ, მაგრამ ბუნებისა და უბედურების წინააღმდეგ ვერა გააწყვეს რა. ირინეს ძალით მიათხოვებენ მიტროს.

ერთხელ ზურია ჩამოვა ირინეს ქმრის ოჯახში. გრძნობით გატაცებულ ზურიას ყველაფერი დაავიწყდება: „ამან შემოხვია ათრთოლებული ხელები ქალს, რომელსაც უნდოდა გაბრძოლება, მაგრამ ვეღარ მოახერხა; ესეც დაითრო, ღონე წაერთო, მოხუჭა თვალები რამდენსამე წამს და ამათი ტუჩები ტკბილად შეეწებნენ ერთმანეთს... ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა შეყვარებულები, გონზედ მოიყვანა“. თუ აქამდე ისინი მარტო ერთი ცოდვის ჩადენას ერიდებოდნენ, ეხლა ორი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. ნათელ-მირონობასაც უღალატეს და ოჯახის სიწმინდეც შებღალეს. რასაკვირველია, იგინი დაუსჯელად არ დარჩნენ, მაგრამ აქ მათ სჯის არა საზოგადოება, ან საზოგადოების წევრი, არამედ ზეციერი განგება. ზურიას მეხი დაეცემა და მოჰკლავს, ამის მნახველი ირინე კი ჭკუაზე შეცდება.

„ღმერთმა ხელი აიღო იმათზედ“, — როგორც ამბობს ავტორი. ზნეობის დამცველმა ღმერთმა დასაჯა დამნაშავენი.

აი, სადა სჩანს სარწმუნოებრივი მორალი ერისთავის ასულისა. თუ შ. არაგვისპირელი და დ. ერისთავი ზნეობრივ კანონების დამცველად ჰხდიან საზოგადოებას, ან. ერისთავისა ზნეობისა და საზოგადოების დამცველად ჰხდის სარწმუნოებას. ამაშია ორიგინალური მხარე მისი თხზულებისა. ხელოვნების მხრით კი, რასაკვირველია, ორივე მწერლის ნაწარმოებს სჯობია შ. არაგვისპირელის მოთხრობა, თუმცა ზოგიერთ ადგილს ანასტ. ერისთავის მოთხრობისას აღტაცებაში მოჰყავხართ. ასეთია, მაგალითად, პირველი ფურცელი მოთხრობისა. ყოველ შემთხვევაში, სამივე მოთხრობა დიდი სიამოვნებით იკითხება და იმათი კითხვა სულის საზრდოს იძლევა, სწორედ იმიტომ, რომ მორალური ტენდენცია კარგად არის გატარებული.

ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია სამწუხაროდ, რომ არცერთი დღევანდელი ჩვენი მწერალი თავისი მოთხრობების სიუჟეტად არ იღებს ინტელიგენტთა წრეს. ნუთუ ჯერ ჩვენში ინტელიგენტთა საზოგადოების ცხოვრება იმდენად უმნიშვნელო და უფერულია, რომ არ იძლევა სიუჟეტს მოთხრობისათვის. არა მგონია, უფრო იმასა ვფიქრობ რომ, ეს არის მხოლოდ შედეგი „Народничество“-ბით გატაცებისა და იმისა, რომ დღევანდელი მოთხრობანი შინაარსით სულ ერთიმეორეს ჰგავს. ამის ბრალია ისიც, რომ ტიპები უფერულია და ფსიქოლოგია ძალიან ღარიბი ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებში, რადგანაც მდაბიო ხალხში არ მოიძებნება ისეთი რთული ხასიათი, როგორც გონებით უმაღლეს და უფრო განვითარებულ წრეებში [1]. აწი მაინც სასურველია, რომ ჩვენმა მწერლებმა სცადონ თავიანთი ძალა ამ სფეროში.

---

[1] რასაკვირველია, ეს ა. ყაზბეგს არ შეეხება. უნდა ვიცოდეთ, რომ ყაზბეგის ნიჭს შეეძლო ის, რაც უბრალო მომაკვდავს არ ძალუძს. ავტ.

7. ნიმუში ჩვენებური პოლემიკისა

ჩვენებურმა პოლემიკამ[1] ისე მომაბეზრა თავი, რომ ჩვეულებად შემოვიღე არ ვიკითხო ამ უცნაური პოლემისტების ნაწერები; ყოველი ღონით ვცდილობდი ავმცდარიყავი ამგვარ პოლემიკაში ჩარევასაც, მაგრამ ბედმა არ ამაშორა ამას და აი, დღეს უნდა უგო პასუხი ბ-ნ ან. ფურცელაძის პოლემიკურ წერილს კი არა, „ბრალმდებელ' ოქმს“ ჩემს შესახებ და, რამდენადაც შემიძლია, დავიცვა თავი.

სწორი გითხრათ, დიდად სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ჩემმა ორიოდე ნაჯღაბნმა მიიქცია ყურადღება პატივცემული ლიტერატორისა, მაგრამ გამაკვირვა კი, რომ ისეთ რამეებში მამტყუნებს, რაც აზრადაც არ მომსვლია და სიზმრადაც არ დამსიზმრია. და თუ მან ეს ჩემს ნაწერებში ამოიკითხა, მაშინ ის ატესტატი, რომელიც მოწმობს „რომ ნიჭისა და მეცადინეობის ნიშნები მეტყობა“, უნდა ყალბად ჩავთვალოთ...

„ბრალმდებელი ოქმი“ შეიცავს სამ უმთავრეს ბრალდებას, რომელთაც უნდა მივაქციო საზოგადოების ყურადღება და რომლის სიმართლის განსჯა უნდა მასვე მივანდო. დანარჩენ წვრილმანზე პასუხის გაცემა არა ღირს, რადგან საზოგადოებისათვის ეს სრულიად საინტერესო არ არის. რა საჭიროა ვამტკიცო ის, მესმის თუ არა, რა არის მორალი და რა არის ტენდენცია? ამას ჩემი ნაწერები აჩენენ, და თუ არა თავისს დღეში ველარ გავიგებ, და მით უმეტეს აღარ არის საჭირო ამაზე ბაასი. რა საჭიროა პასუხი გავცე იმას, რომ ჩემი წერილი ბურჟეზე პამფლეტების კითხვის შედეგია თუ არა. ამას თვით მკითხველი დააფასებს. რა საჭიროა ან იმაზე ბაასი — ბატონი ვარ თუ ყმა? ბატონს შეუძლია თუ არა იგრძნოს ყმის წვა-დაგვა, ამის პასუხი ჩვენი სასიქადულო მწერლების ნაწერებია. რა საჭიროა ან ისა ვთქვა, რომ მე ვოლინსკის ნაწერების უმეტესი ნაწილი არც კი წამიკითხავს, რადგან რუსულ ლიტერატურას ყურს ვუგდებ იმდენად, რამდენადაც ეს ჩემთვის აუცილებელია და, ამიტომ, ყველაფრის

---

[1] რიგიანი პოლემიკა ჩვენში ერთმა-ორმა იცის მხოლოდ.

კითხვა არ შემიძლია. არც იმაზე არის საჭირო პასუხის გაცემა, წამიკითხავს თუ არა სანდალას ბროშურა, იმიტომ, რომ ამის დასამტკიცებლად, თითონ ბროშურა თუ არ გადმოვწერე მთლად, შეიძლება ბ. ფურცელაძემ ყოველ დამამტკიცებელ საბუთზე უარი თქვას. ჩემი საქმეა თავიდან ავიშორო ეს სამი უსაშინელესი ცილისწამება, რომელიც, ჯერაც ვერ მივმხდარვარ, საიდან შეთხზა და საიდან გამოიყვანა: 1. „მე ტალახს ვაცხებ კაცს, რომელიც თვით ტყვეობაში, კაზემატის კედლებიდანაც კი უძღვებოდა მთელი თავისი ქვეყნის ცხოვრებისა და წარმატების მსურველ ხალხს წინ, გაშლილი ბაირახით და შესძახოდა ბრძოლას სიმართლისა და პროგრესისათვის"; 2. მე „საშინელი ზიზღით, კიცხვის კილოთი ვიხსენიებ" ბ. ფურცელაძეს და სანდალას. ყველა ეს კი იმის შედეგია, რომ მე 3. თაყვანისმცემელი ვარ უაზრო ხელოვნებისა, ხელოვნებისა ხელოვნებისათვის და ჭიკჭიკ-გალობასა ვცდილობ, რომ კიდევ უფრო დავაძინო უიმისოდაც მძინარი საზოგადოება; მე „მინდა ნაცვლად მეცნიერებისა აღვადგინო გულსა-შინა კაცისასა ღმერთი, სარწმუნოება".

ჩემს წერილში („ივერია" № 193) მე მოვიყვანე აზრი ხელოვნებაზე ორთა სხვადასხვა წარმომადგენელთა და ბოლოს, ილიუსტრაციისათვის, მაგალითი ჩვენი მწერლობიდანაც მოვიყვანე... „ცისკრის" ნომერში ნახავთ ვიღაც ქართველი პისარევის და სხვა... ამ სამს სიტყვაში უნდა იყოს ზიზღით ხსენება პისარევისა, მისი ტალახით შესვრა, რადგანაც მე ამის მეტად პისარევის სახელი ერთხელაც არ მიხსენებია და არც მის ნაწერებზე მითქვამს რა. გარწმუნებთ, მე არავისზე საკლები თაყვანისმცემელი არ ვარ პისარევისა, როგორც დიდი ტალანტის მქონე მწერლისა და თავის სამშობლოსათვის თავგანწირული შვილისა. მე არც მის ესთეტიკურს თეორიას შევხებივარ, არც მქონებია ეს აზრად, თორემ ერთ-ორ წინადადებას მაინც მივუმატებდი და ზოგიერთ მის უცნაურ აზრს ესთეტიკაზე მოვიყვანდი და ამისთვის მე არც „ვესტნიკ ევროპისა" შემეშინდებოდა და არც „რუსკი მისლისა" (უკანასკნელ ნომერში იქაც არჩევენ პისარევის ნაწერებს), რადგან ორივე ჟურნალი აღიარებს, რომ პისარევს ესთეტიკაზედ ხანდახან უცნაური შეხედულება ჰქონდა. თუგინდ მე კიდევაც გამერჩია პისარევის ესთეტიკური თეორია და უარი მეყო მისთვის, აქედან დასკვნა მაინც შეუძლებელია, რომ მე მას, როგორც ლიტერატურულს და ზნეობრივ ძალას ტალახს ვესვრი; ეს მე აზრადაც არ მომსვლია და არც მომივა არასოდეს. ეს პოლემიკური ხერ-

ხია ბ-ნ ფურცელაძისა, მაგრამ ასეთი ხერხი სწორედ იმ ვაკბატონე-ბის საკადრისია, რომელთაც პისარევი მთელი თავისი სიცოცხლე ებრ-ძოდა. ამნაირი საშინელი ცილისწამებით მას უნდა საზოგადოება წინდაწინვე ააღელვოს და აღაშფოთოს ჩემს შესახებ: „შეხედეთ, აი ეს იმ კაცებს ტალახს ესვრის და ზიზღით იხსენიებს, რომლებიც ყო-ველი ახალგაზრდისათვის იდეალად უნდა იყვნენ მიჩნეულნი“. ამას გარდა, მე თუ უარვყოფდი მატერიალისტურ ესთეტიკას, მე ასევე უარვყოფდი „ხელოვნებისთვის ხელოვნების“ მიმდევარ თეორიას; და თუკი რომელიმესაკენ იწევდა სასწორი ჩემის სიმპათიისა, ეს ისევ „ზნეობრივი ხელოვნებისაკენ“, რომელსაც პისარევიც აღიარებს. ეს ნათლად მტკიცდება ჩემი ორიოდე ნაწერიდან და თვით იმ სიტყვი-დანაც. რას ნიშნავს ჩემი სიტყვები, რომ „ყოველი დიდი მწერალი ყოველთვის დიდი მორალისტი ყოფილა“, თუ არ იმას, რომ ყოველი დიდი მწერლის ნაწერი შინაარსიანი და სულის საზრდოს მომცემი ყოფილა...

არც ბ. ფურცელაძე მიხსენებია ზიზღით. ეს ზიზღი ვითომ კვლავ ზემოხსენებულ სამ სიტყვაში უნდა იხატებოდეს. არც ეს მომსვლია აზრად. კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ მე მოვიყვანე აზრი ორი ესთეტიკური თეორიის წარმომადგენლისა მხოლოდ, არცერთი არ მიმიჩნევია საფუძვლიანად და ვიმეორებ, თუ რომელიმე საფუძვლი-ანად მიმიჩნევია ისევ ის, რომლის მაღიარებლადაც ბ. ფურცელაძე თავისს თავს ხდის. რაც შეეხება მას, რომ ვითომ მე პამფლეტებიდან მესესხებინოს ორიოდე სიტყვა ბ. ფურცელაძის შესახებ, ეს ასეც რომ იყოს, აქ არავითარი დანაშაული არ არის. ჩემს წერილს ჰქონდა საგნად „მოამბის“ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე რამოდენიმე აზრის წარმოთქმა. თუ მე მოხსენებული მწერლების შესახებ მომსვლოდა ასეთი შეცდომა, მაშინ მართლაც დასჯის ღირსი ვიქნებოდი. არანაკ-ლები დასჯის ღირსი ვიქნებოდი, რომ შევხებოდი ან. ფურცელაძის ესთეტიკურ თეორიებს, ან მის თხზულებებს და მაშინ მომსვლოდა ასეთი შეცდომა. აქ კი ამ შეცდომას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მით უმეტეს, რომ თვით ა. ფურცელაძეც არ უარყოფს, რომ იგი „გონებისა და, თუ გნებავთ, კუჭის საზრდოსაც თხოულობდა“ (იხ. „ივერია“ № 202), რადგან ამას ისეთი გამოჩენილი მწერლებიც კი თხოულობდნენ, როგორც პრუდონი და ბელინსკია. მერე მე კი ვთქვი, არ თხოულობენ, ან გაგიკიცხეთ, რატომ თხოულობთ ამასთქო? მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ ეს უკიდურესობა არის, სიტყვაკაზმული

მწერლობა არ არის სიტყვაკაზმული, თუ მშვენიერი ფორმაც არა აქვს და მშვენიერი ზნეობრივი შინაარსიცათქო.

ბ-ნ ფურცელაძეს, პისარევისა და „ვესტნიკ ევროპის“ თანამოაზრეს, არ შეფერის ჩემი სიტყვებიდან—„ნეტარხსენებული სანდალას კრიტიკაც ამგვარივე აზრზე არის აგებული“ — გამოიყვანოს ის ვითომ მე ამ თავგანწირულ კაცს (რომელსაც სანდალა აღარ ჰქვიან) თავის სამშობლოს სარგებლობის მოტანისათვის, რომელიც ყველასგან პატივისცემისა და ქების ღირსი არის, ჩირქსა ვცხებდე, ტალახში ვსვრიდე. რაც უნდა დიდებული იყო კაცი ერთ სფეროში, მეორეში შეიძლება უცნაური და სასაცილოც იყვე, ეს ერთიმეორეს ხელს არ უშლის და ყოველთვის შეგვიძლია ამ მის სუსტ მხარეს ისეთივე უარყოფით მოვეკიდოთ, როგორც მის ღირსებებს — აღტაცებით. ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის თხზულებებს აღტაცებაში მოვყავართ, მაგრამ ახლა რომ მათ ოპერის პარტიტურას მიჰყონ ხელი, დარწმუნებული ვარ სასაცილო რამ იქნება. მე ვეხები არა სანდალას საზოგადო, და თუ გინდ ლიტერატურულ მოღვაწეობას, არამედ მის ერთ ბროშურას, რომელიც „თუმცა მე არ წამიკითხავს“, ბ. ფურცელაძის სიტყვით, მაგრამ თვით მისივე წერილიდან ჩანს, რომ მე წაუკითხველადაც გამიგია მისი შინაარსი. „თქვენ სანდალა მიგაჩნიათ გასაკიცხად, საზიზღრად(?!!). ეგ აგრეც უნდა იყოს... ის არის ნაყმევი, თქვენ — ბატონი. იმას თავი აქვს გამოსყიდული ბატონისაგან, ეს აზის დაღად, ამას ეძახის უსამართლოებას და ამისი შეცოდება ის არის, რომ არა სჯერა, რომ კაცი, რომელიც შთამომავლობით შეჩვეულია ბატონობას, გულით ნდომოდეს მონობის მოსპობას“. მეტი მე რა ვთქვი: „სანდალა აფასებს ლიტერატურულ ნაწარმოებს იმისდა მიხედვით, თუ რომელი წოდების წევრს ეკუთვნის იგითქო“. რასაკვირველია, თუ ბატონი ყმის წვა-დაგვას გვიხატავს, მაშინ, სანდალა, რომელსაც არა სჯერა მეცნიერული საფუძვლით, რომ ბატონმა გულით ინდომოს ყმობის მოსპობა, ამას მხოლოდ ორპირობას და მლიქვნელობას მიაწერს და არა წმინდა თანაგრძნობას კაცის უბედურებისას. მაგრამ ესეც ხომ იმიტომ დასჭირდა ბ. ფურცელაძეს, რომ ეთქვა, ვითომ მე რაღაც ბატონობას ვჩემულობ, ზიზღით ვეპყრობი პლებეებს, ზიზღით ვეპყრობი კაცებს, რომელთაც თავის თავი სამშობლოსა და დიდებული იდეალებისათვის შეუწირავთ. ამ ეფექტებით უნდა მკითხველს შეაძაგოს ჩემი ნაწერები და, მართ-

თავის მორწმუნეთა და მოწაფეთა გუნდსა. ამიტომ იგინი ცხოვრებას არასოდეს არ უნდა განუკერძოვდნენ... ის განყენებული იყო და ყოველივე მისი ბრალი იმაშია... რომ მისი თეორიები კარგად შეგნებულნი და კარგის კაცისაგან აწონილ-დაწონილნი, გამრყვნელნი არ არიან, ამას თვით სიქსტის პირადობა გვიმტკიცებს" და სხვ. („მოამბე" IX). მე, გიმეორებთ, მეცნიერება ცხოვრებისათვის მიმაჩნია და არა თავის გასართობად. „განდეგილები" მეცნიერებისათვის ისევე გამოუდეგარნი არიან, როგორც სარწმუნოებისათვის „განდეგილები", როგორც კიდეეაც დაგვანახვა ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალმა. რას ნიშნავს ეს ჩემი სიტყვები — „როგორც ღმერთს თავის დღეში არ უთხოვნია, არამც თუ კაცის, არც ცხვრის მსხვერპლი, ისე არც მეცნიერებას უთხოვნია ეს მსხვერპლი" („მოამბე", VIII) — თუ არა იმას, რომ მე, როგორც ტორკვემადა, ისე გრელუ მიმაჩნია არანორმალურ ქმნილებად, რომელნიც თავის მხეცურ გრძნობას იკმაყოფილებენ, თავის ღმერთებს კი — ამადლიან. მე ერთი კრინტიც არ დამიძრავს ბურჟეს სარწმუნოებით გატაცების დასაცველად. მე პირდაპირ ვაღიარე, რომ „ჩვენ არ შეუდგებით მის გარჩევას, თუ რამდენად მართალია ბურჟე თავის თეოლოგიურ ფილოსოფიაში, რამდენად აქვს საფუძველი, მორალს რომ ამყარებს სარწმუნოებაზე, ჩვენ ის გვაინტერესებს მხოლოდ როგორც მორალისტი. რაზეც უნდა იყოს მორალი დამყარებული, ყოველი მორალისტი ვალდებულია კეთილი გვიქადაგოს და ბოროტი შეგვაძულოს" („მოამბე", IX). ბოროტებად, მე მგონია, მარტო ქალების მოტყუება არ ითვლება, ბოროტებად ითვლება საზოგადოდ კაცის პირადობის, მისი მატერიალური და სულიერი უფლების გადალახვა, რაშიაც უნდა იხატებოდეს იგი. თითქოს წინათვე ვვრძნობდი, რომ ბ. ფურცელაძეს სარწმუნოების ხსენება არ ეჭაშნიკებოდა, და იქვე, მეორე გვერდზე, ვიმეორებ: „სწორედ ამ მორალურმა ქადაგებამ ბურჟესამ (მიუხედავად საძირკველისა, რომელზეც ის აშენებს თავის მორალს, გავახსენებთ მკითხველს) მიგვიზიდა ჩვენ". ნუთუ ამის შემდეგ კიდეე მიგაჩნიათ, რომ მე ბურჟეს თეოლოგიურ მორალს ვიცავ. თუნდაც ასეც იყოს, აქედან იმის დასკვნა მაინც არ შეიძლება, რომ ვითომ მე, — უარმყოფელი მეცნიერებისა — მეცნიერებისათვის, ხელოვნებისა— ხელოვნებისათვის, — თაყვანს ვცემდე სარწმუნოებას — სარწმუნოებისათვის. სარწმუნოებაში მე დიდებულად მიმაჩნია მისი მორალური მხარე. მწამს, რომ ყოველი კაცის მოქმედების ბაირახზე უნდა

ეწეროს ეს სიტყვები: „ყოველი, რომელი გინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთვე თქვენცა ყავთ მათდა მიმართ“. და „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკაში ერთი ერი მეორეს ისე უნდა ეპყრობოდეს, როგორც თავის თავს და ეკონომიურ ნიადაგზეც ერთიმეორეს არა სჯამდეს და არ იმართლებდეს თავს „ცხოვრებისთვის ჭიდილით“. ყოველი ერი, რომელიც ამ პრინციპებს გადაუდგება, ღირსია ზიზღის, და ყოველი პატიოსანი კაცი უნდა იბრძოდეს მისთვის, რომ ამ პრინციპებმა გაიმარჯვოს, თორემ ჩემთვის დაჩოქებასა და თავისტეხას, ლოცვით მუხლების გადატყავებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც შარშანდელ თოვლს, და ამას არც ბურჟე ქადაგებს, და არც მე.

რასაკვირველია, აღარც ის მიკვირს ყველა ამის შემდეგ, რომ ბრალი მედება, ვითომ ყოველივეს კაცის ურჯულოებას ვაწერ. თვით ჩემს ბედშავ წერილში („ივერია“, № 193) ვამბობ ამ სიტყვებს: „ვისი ბრალია, მართლაც, ნესტორის გარყვნა და საწყალი დათიკას ოჯახის დაღუპვა? რასაკვირველია, საზოგადოებისა და გარემოებისა, რომელიც ზედ ერთვის სულიერ გარყვნილებას ნესტორისას“ („მოამბე“, № VIII).იყო დრო, მართლაც, რომ ყველაფერი საზოგადოებას და გარემოებათ ბრალდებოდათ, ეხლა კი მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეს უმართებულო არის. მართალია, დიდი დანაშაულობა აქვთ საზოგადოებასა და გარემოებათ, მაგრამ პირადი გარყვნილება შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზეც ისინი მოქმედებენ ცუდად. ამას ამტკიცებს ეხლანდელი სკოლა იტალიელი პოზიტივისტებისა და ფრანგი კრიმინალისტებისა, რომელნიც, მერწმუნეთ, მეცნიერების მაღმერთებელნი არიან, და რომლებსაც ჩვენ როდესმე გავაცნობთ ჩვენს საზოგადოებას, როცა ბევრ პამფლეტებს წავიკითხავთ მათ შესახებ. გარდა ამისა, ჩემს წერილში ბურჟეზე, რამდენიმე გვერდი შევწირე ნაპოლეონ III-ის მეფობის დროის აღწერას, რადგან მას მივიჩნევ ბურჟესაგან დასურათებული ყმაწვილი კაცის გარყვნილების ერთ უმთავრესს მიზეზად (იხ. „მოამბე“, VIII).

როცა ბ. ფურცელაძისთანა მწერალი, რომელსაც თავისი მწერლობით მოუპოვებია მნიშვნელობა საზოგადოების თვალში, ხელს ჰკიდებს ახალგაზრდა მწერლის ნაწერის გარჩევას, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოეკიდოს, რომ შეცდომა არ გაეპაროს და არ დააფრთხოს იგი, სულ არ ააღებინოს ხელი კალამზე. იგი კი, არა თუ არავითარ სიფრთხილეს არა ხმარობს. ისეთ ბრალსა მდებს, რომ სასო-

წარკვეთილებამ მომიცვა: თუკი მან ასე გაიგო ჩემი წერილი, მაშ უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ასე გაუგია და, მაშინ, მეტი აღარა დამრჩენია რა თავის დღეში კალამს ხელი არ მოვკიდო. ჩემი ნაწერებისათვის მე პასუხისმგებლად ვხდი ჩემს თავს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იმას გაიგებენ რაც დაწერილა და ანს ბანათ არ წაიკითხავენ. მაგრამ ამაში მე დარწმუნებული არა ვარ, დარწმუნებული ვარ ბ. ფურცელაძეც ისე გაიგებდა, როგორც სწერია, თუ რომ ის ორიოდე სტრიქონი მის შესახებ, რომელნიც სრულიად უცოდველნი არიან და რომელნიც ისე საშინლად მოეჩვენა მას, არ გამპაროდა ჩემს წერილში.

ყოველ შემთხვევაში, ყურადღებისათვის და დარიგებისათვის დიდ მადლობას მოვასსენებ პატივცემულ მწერალს. დიას, ყოველი მწერალი ვალდებულია, ახალი იყოს იგი გინდ ძველი, რომ „უცნაურებს ბოგონებასა და ტყუილებს აშორდეს“, „გაუფრთხილებლად არ წარმოსთქვამდეს თავის აზრსა, იტყოდეს თავისი თვალით ნახულსა და წაკითხულს (ეს ოხერი თვალი ხანდახან იმას წაიკითხავს, რაც არ სწერია, როგორი ბედიც ეწია ჩემს ნაწერებს) და დიდი სიფრთხილით წარმოსთქვამდეს თავის აზრს ყველა მოღვაწეზე და საქმეზედა“. ნეტავი ერთი ამათგანი მაინც ეხმარა ბ. ფურცელაძეს ჩემი წერილების წაკითხვის დროს.

8. „ვარიპანიძიანთ ნინო“, მოთხრობა არ. ლეისტისა

(„მოამბე“, 1895 წ. №№ 2, 3, 4.)

ბ-ნი ლეისტი დიდი მოყვარულია ქართული მწერლობისა და ერთი იმ უცხოელთაგანია, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს ლიტერატურას: გააცნეს და შეაყვარეს იგი უცხოელებს. მას ეჭუთვნის რამოდენიმე წერილი ჩვენი ლიტერატურის შესახებ, უცხოეთის ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილი, ჩვენი საუკეთესო პოეტების რამოდენიმე ლექსის თარგმანი, ნაწილ თარგმნა შოთას უკვდავი პოემა. ამით ბ-ნი ლეისტი არ დაკმაყოფილებულა, იგი ხშირად დადის ჩვენში, უკვირდება ჩვენს ცხოვრებას და ამ დაკვირვების შედეგია ზემოხსენებული მისი მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდან.

ეს მოთხრობა მრავალგზის შესანიშნავია: პირველად მით, რომ უცხოელის დაწერილია და ამიტომ გვაცნობს უცხოგლი მწერლის აზრსა და შეხედულებას ჩვენს ცხოვრებაზე; მეორე მით, რომ უცხოელ მწერალს აუღია თავისი მოთხრობის საგნად ისეთი წრის გამოხატვა, რომელსაც გვერდს უხვევს ჩვენი ლიტერატურა, მაგრამ რომელიც ბევრად უფრო საინტერესოა, ვინემ სხვა რომელიმე წრე; მესამე მით, რომ მოთხრობას „ახალი სული“ ემჩნევა და ესა სჩანს მისი მორალური ტენდენციიდან.

ამ მოთხრობაზე, ბევრ ჩვენს მწერალს მივუთითებდით, მას რომ, ცოტა არ იყოს, „რაღაც“ არ აკლდეს, ის — „რაღაც“, რაც მწერლობის ნიჭის მაჩვენებელია, რაც ადვილი საგრძნობია ყველასათვის, მაგრამ ძნელად გამოსახატავი. ავტორი განათლებული კაცია, მცოდნე ევროპული მწერლობის და ცხოვრებისა, ამიტომ ადვილად შეუძლია დასწეროს მოთხრობა. ჩინებული მოთხრობაც, მაგრამ ის „რაღაც“, ის „ციური ნაპერწკალი“, რომელიც შეადგენს საუკეთესო რასმეს სიტყვაკაზმული მწერლობისას, არ მოიპოვება არც კითხვით და არც შრომით, ის ღვთისაგან მინიჭებული რამ არის. ეს ბ-ნ ლეისტს

აკლია. ეს მოთხრობა მცოდნე კაცის დაწერილია და არა ნიჭიერი მწერლისა[1].

ამით მე, რასაკვირველია, არ მინდა მივეკედლო მათ აზრს, რომელნიც ფიქრობენ, რომ ნიჭი და შრომა შეუთანხმებელია, რომ მშრომელი მწერალი ნიჭიერი არ არის და სხვა. ნიჭი თუ ზეგარდმო მოვლინებულია, შრომა კაცის ნებაზედ არის დამოკიდებული, მისი სულის ძალის ნაყოფია. ყოველ განძს უნდა მოვლა-პატრონობა, რომ არ წახდეს, არ დალპეს და უსარგებლოდ არ ეგდოს. ხომ გახსოვთ ქრისტეს იგავი ტალანტების შესახებ? ის მწერალი, ის არტისტი ყოველთვის უფრო დაფასებულია, რომელსაც თავისი შრომით თავისი ნიჭი გაუზრდია, გაუუმჯობესებია; უსარგებლოდ და უნაყოფოდ არ დაუგდია ზეციური მადლისაგან მინიჭებული ტალანტი. ის მწერალი კი შემცოდეა საზოგადოების წინაშე, რომელიც თავის ნიჭს უყურადღებოდ სტოვებს და ბოლოს სრულიად დააჩლუნგებს. ასეთი ნიჭის პატრონი ან ზიზღის ღირსია და ან სიბრალულისა, თუ მისგან დამოუკიდებელი გარემოების მიზეზით დაიღუპა ეს დიდებული განძი. მე მგონია, ეს მომენტი ნიჭის განვითარებისა და მისი კარგ გზაზე დაყენებისა ჩვენში იწვევს აღტაცებას მწერლისადმი, მადლობას და თანაგრძნობას მისი შრომისადმი, თორემ მარტო ნიჭისთვის, რომელიც მისგან მოპოვებული არ არის და რომლის შექმნაშიაც მას ერთი ბეწო წილიც არ უდევს, მადლობა ეთქმის მხოლოდ შემოქმედს ცისასა და ქვეყნისას.

თქვენ ხედავთ ლამაზ კაცს. მისი სილამაზე თქვენს ესთეტიურ გრძნობას აკმაყოფილებს, მაგრამ ამ სილამაზისათვის თქვენ ამ კაცს არ ადიდებთ, მიტომ რომ ეს მისი მოპოვებული არაა, მას ამის შეძენაში თავისი ადამიანობა, ინდივიდუალური ძალ-ღონე არ გამოუჩენია. თქვენ გესმით, რომ ამა და ამ კაცს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ საძაგლად მღერის, გაგება არა აქვს არავითარი სიმღერის წეს-რიგისა, მისი ხმა არა თუ არ გიტაცებთ, განაღვლიანებთ კიდევაცა და საყვედურით უყურებთ მას, რატომ არ შეუმუშავებია ხმაო. როდესაც გამოჩენილ მსახიობს ანდა მომღერალს ტაშს ვუკრავთ და ვაშა-ვაშათი ვეგებებით, ამით ჩვენ მადლობას ვუხდით, რომ მან ღვთისაგან მინიჭებული ტალანტი კარგად მოიხმარა.

---

[1] მე არ ვეხები ბ-ნი ლეისტის — კრიტიკოსისა და მთარგმნელის ნიჭს. როგორც მოგეხსენებათ, შემოქმედებითი ნიჭი სულ სხვა რამ არის.

ამიტომ, შემცდარია ის აზრი, რომ მშრომელი მწერალი ნიჭიერი არ არის. წინააღმდეგ, დიდი ნიჭი და დიდი შრომა ხშირად განუყრელნი არიან, და თუ ეს ასე არ არის, მაინც აუცილებელია ისინი განუყრელნი იყვნენ. უამისოდ შეუძლებელია რაიმე დიდებული და გამოჩინებულის შექმნა.

შრომა დიდი რამ არის და ისეთი დიდი, რომ ხანდახან უფრო ნაკლები ნიჭის პატრონი, მაგრამ დიდი შრომის უნარის მქონე (ესეც ხომ თავისებური ნიჭია), წააცილებს ხოლმე უფრო ნიჭიერს და ხშირად უნიჭოც კი თავისი შრომით იმდენს იზამს, რომ ნიჭიერს, მაგრამ ზარმაცს, გაუტოლდება.

ბ. ლეისტი შეიძლება ბევრ ჩვენს ახალგაზრდა მწერალზე დაბლა იდგეს შემოქმედებითი ნიჭით, მაგრამ ცოდნისმოყვარეობას და შრომას მისთვის ისეთი ძალა მიუცია, რომ მისი მოთხრობა ეხლანდელი ჩვენი მწერლებისაგან გამომცხვარ ბევრ მოთხრობას მოიტოვებს უკან.

ამ მოთხრობაში ბ-ნი ლეისტი ისეთ წრეს შეეხო ჩვენი საზოგადოებისას, რომელიც თითქმის ხელუხლები დარჩა ჩვენს ლიტერატურაში. ამ წრის წევრები რთულ პირადოვნებას წარმოადგენენ და ამიტომ მეტისმეტად საინტერესონი არიან მკითხველთათვის, როგორც ყოველივე ძნელისა და რთულის ნათლად გამომხატველი რამ; მაგრამ მწერლისათვის, იმავე მიზეზით, ძლიერ ძნელია მათი მკაფიოდ დახასიათება. ავტორი შეეხო ჩვენს ინტელიგენტთა წრეს, ანდა, თუ ინტელიგენტს უფრო იდეალურ მნიშვნელობას აძლევთ, განათლებულთ, ახალი ცხოვრების შვილებს. მაგრამ მარტო ამაზე არ შეჩერებულა მწერალი, მას კიდევ უფრო მეტად მომხიბვლელი აზრი მოსვლია; ძველი ცხოვრების წარმომადგენელი მამების გამოხატვა, მამების შვილებთან შედარება, რათა ამ დაპირდაპირებით ორთავე ჯგუფის ხასიათები უფრო ნათლად გამოგვიხატოს. მაგრამ სწორედ აქ ვლინდება ავტორის შემოქმედებითი-ნიჭის სისუსტე.

შეადარეთ მოთხრობის უმთავრესნი მომქმედნი პირნი. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან: პირველს ეკუთვნიან ნამდვილნი, ძველნი ქართველნი, რომელთაც ახალი ცხოვრების დაღი არ აჩნიათ (მოხუცი ვარიპანიძე, ნინოს ბებია და სხვ.), მეორეს კი შეადგენენ ევროპის ცივილიზაციის გავლენის ქვეშ აღზრდილი ახალგაზრდანი: ლევანი, ვანო გარელი, ლეონიძე, ნინო, რუსუდან და სხვა. პირველნი ორიგინალურ ქართულ ტიპებს წარმოადგენენ, მეორენი — უფრო კოსმოპოლი-

ტურ წრეს ეკუთვნიან, რაც ახალი დროის და ეხლანდელი ცივილიზაციის ნაყოფი არის. მათ, რასაკვირველია, შერჩენიათ ქართული თვისებები, ასე ადრე ვერ განთავისუფლებულან და თავის დღეშიაც ვერ განთავისუფლდებიან განსაკუთრებული, მარტო ქართველების კუთვნილ ხასიათებისაგან, რაც ყოველ ერსა აქვს და რასაც ეწოდება სული ერისა.

ყოველი მწერალი უნდა ეცადოს ნაციონალური თვისებაც კარგად გამოსახოს და ისიც, რაც ერთი ერის წარმომადგენელს საერთო აქვს სხვებთან, სხვა ერის წევრებთან. მწერალი მით უფრო დიდებულია და მით უფრო დიდი ხნის განმავლობაში და დიდ მანძილზე არის ცნობილი მისი ნაწერი, რამდენადაც საზოგადო ადამიანის ხასიათსა და თვისებას ხატავს; იმ პირობით კი, რომ ამგვარ საზოგადო ტიპს ეროვნული ფერი ედვას. შექსპირი მით არის სამაგალითო, რომ ამ ხელოვნების იდეალს ასრულებდა. მისი გმირები ერთი ერის წარმომადგენელნი კი არა, — მთელის კაცობრიობის თვისებათა გამომსახველნი არიან და, თანაც, ყოველ მათგანს ზედვე ამჩნევია ბეჭედი ამა თუ იმ ერისა, (ოტელო, ჰამლეტი და სხვ.). რატომ სდებენ წუნს რასინის მშვენიერ ტრაგედიებს, რატომ უწოდებენ მას ცრუკლასიკური მიმართულების მწერალს? სწორედ იმიტომ, რომ მან კარგად ვერ დაიცვა ნაციონალური სამოსი მისგან გამოყვანილი მოქმედი პირებისა. ახილესსა და აგამემნონს, ამ უძველესი საბერძნეთის გმირებს, ის ლუი XIV-ის სასახლის კაცების მანერებს აძლევს და მათ ენაზე ალაპარაკებს, ბერძნულ წესსა და ზნე-ჩვეულებებს და ლუი XIV-ის დროისას ერთმანეთში ურევს.

ბ-ნი ლეისტი სწორედ ამაში კოჭლობს, (ასე ემართება თითქმის ყოველ მწერალს, რომელიც უცხო ხალხის ცხოვრების აღწერას მიჰყოფს ხელს). ის საკმაოდ კარგად ასურათებს გაევროპიელებულ ქართველს და კარგად ხედავს მასში სწორედ იმას, რაც ახლადშეძენილი აქვს; მათი მემკვიდრეობით მიღებული ხასიათები და მისწრაფებანი კი ბნელში რჩება. დახასიათება ძველი ქართველებისა, რომელთაც ახალი — quasi ცივილიზაციის „ხელი მსახვრალი“ ჯერ არ მოხვედრია, ჩვენს ავტორს არ ეხერხება. მაგრამ მაინც არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ მარტო ის სურვილიც, რომ მან მოინდომა ამ ორი თაობის „მამებისა და შვილების“ დასურათება, მათი შედარება. იქნებ ღმერთმა ქნას და ამ უცხოელმა ჩვენს მწერლებს სურვილი აუშალოს ამგვარ თემაზე წერისა.

მე მგონია, კარგად გაუგია ბ. ლეისტს ერთი განსხვავება ამ თაობებს შორის. ერთი (ძველი) მტკიცე ხასიათის მქონეა, ტრადიციული ზნე-ჩვეულების მონა და მორჩილი, ზნეობის კანონების სასტიკად დამცველი. მას ღმერთისა ეშინია, თავისი ბინძური გრძნობების ალაგმვას ცდილობს, რადგან მშვენივრად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა...

მეორე (ახალი თაობა) ვითომდა განათლებული ბრძანდება. მისი ბატონი მხოლოდ მისი გრძნობა არის, მხოლოდ მას ემორჩილება. ამ თაობის წარმომადგენელთა ღმერთი საკუთარი სიამოვნება არის და ეს სიამოვნება რა ფასითაც უნდა იყოს მოპოვებული, არ დაეძებენ. ერთი თხოვდება და ერთხელაც არ ეკითხება თავს, თუ რა მოვალეობა დააწვება თავზე ახალ ცხოვრებაში შესვლის დროს (ნინო), მეორე — მამას უმეგობრდება, რათა ქალიშვილი შეუცდინოს. ქმარს ცოლი წაართვას და ამის გასამართლებლად ის გრძნობაც კი არა აქვს, რომელსაც სიყვარული ეწოდება და რომელიც კაცს თავის თავზე უფრო ძლიერად მიაჩნია (პოეტი ვანო გარელი). აქ უბრალო ჟინია, ამ ბინძური მოქმედების თავი მიზეზი ჟინია, ჟინი, — ლამაზი ქალის დანახვით გამოწვეული. ქალიც ხომ ღალატობს თავის ქმარს და ეს მას მიაჩნია გართობად, კაპრიზის დაკმაყოფილებად და მოდის მოთხოვნილების შესრულებად. განა სირცხვილი არ იქნება ინსტიტუტ-დამთავრებულმა განათლებულმა ქალმა თავის დიდ-დედას წახედოს და მასავით მოიქცეს? მაგალითად მას ჰყავს თავისი მეგობარი რუსუდანი, რომელსაც გათხოვებისთანავე საყვარლები აუდევნებია. თუნდაც სრულიადაც არ უყვარდეს ვინმე, საყვარელი მაინც უნდა ჰყავდეს, ვინაიდან მოდა გახლავთ. უხასიათობა და უგვანობაა ამგვარი მოქმედება და არა ის ღვთიური წმინდა გრძნობა, რომელსაც სიყვარული ეწოდება. განა წარმოსადგენია, რომ ასეთი წმინდა გრძნობის მქონემ სიბინძურე ჩაიდინოს? სიყვარული იდეალური, ის სიყვარული, რომელსაც პოეტები უგალობენ. ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც გენიოსობა. სიყვარული ტარიელის, სიყვარული ყაზბეგის მოთხრობების გმირებისა ცით მომადლებული ნიჭია, განძია, რომელსაც მომაკვდავნი ვერ მიხვდებიან.

განა არ შეიძლებოდა ნინოს ვინმე შეყვარებოდა გათხოვების შემდეგ? რატომაც არა. და აქ არაფერი დანაშაულობა არ იქნებოდა. ქალი ის იყო ინსტიტუტიდგან გამოვიდა, ცოტა ხანიც არ დასცლია

გამორკვეულიყო, ცხოვრებისათვის შეეხედა, მაშინვე გაათხოვეს. რა-საკვირველია, ყოველ ყმაწვილ ქალს და კაცს მოსწონთ ერთმანეთი და ჰგონიათ უყვართ ერთმანეთი. გადის ხანი და გრძნობენ, რომ ეს ის სიყვარული არ ყოფილა, რომელიც ისე სწადიან სულსა და გულს და რომელიც კაცის აუცილებელს მოთხოვნილებას შეადგენს. მაშინ შეხვდებათ ვინმე და შეუყვარდებათ თავდავიწყებამდე ნამდვილი გრძნობით გატაცებულთ. მართალია, ასეთი სიყვარული ხანდახან მსხვერპლს მოითხოვს ხოლმე, მაგრამ რაკი საკუთარი გრძნობის დამორჩილება და ჩაჩუმება შეუძლებელი ხდება, კაცი იმას კი აღარ უნდა ეცადოს, რომ დასანახად ყველაფერი კარგად მოჩარხოს, არამედ პატიოსნად უნდა მოიქცეს. ნინოც ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც სინდისიერ ადამიანს შეფერის: ქმრის სახლის ჭერს გაშორებოდა, ეთქვა, რომ საუბედუროდ სხვა შეუყვარდა, და მისი სახელისათვის კი ჩირქი არ უნდა მოეცხო. შეხედეთ ანნა კარენინას, როგორ იქცევა? იგი არავითარი დოქტრინის წინათვე შეთხზული პატიოსნების პრინციპებით არ ხელმძღვანელობს, თვით გრძნობაც სიყვარულისა უფლებას არ აძლევს მისი ქმრის სარეცელი გაიყოს. მას ეზიზღება ეს კაცი და ყოველივე, რასაც იმის სახელი ჰქვია. აი, მართლაც, ნამდვილი სიყვარული, თორემ იმ გულში, რომელშიც სიყვარულიც თავსდება და სურვილიც ყოველივეს ხერხიანად მოგვარებისა, სიყვარული კი არა, სიბინძურე მეფობს. ამ თემას — ცოლისაგან ქმრის ღალატს, — რომელიც ბ. ლეისტს თავისი მოთხრობის შინაარსად აუღია, ხშირად შეხვდებით ეხლანდელ რომანებში და ახალსა და ორიგინალურს არას შეადგენს[1]. არ არის ორიგინალური არც ის თეორია „სიბრალულისა და შენდობისა", რომელიც ავტორს გაჰყავს თავის მოთხრობაში. ეს ახალი მოდის თეორია გახლავთ და მით უფრო საინტერესო, რომ ჩვენი ავტორი მისი მოსარჩლე ხდება. თუ არა ვცდები, ბ. ლეისტი ერთს თავის წერილში, რომელიც „ევერიაში" იყო დაბეჭდილი, ძალიან კიცხავდა ბურჟეს წინანდელი გზის მიტოვებისათვის და ასეთი თეორიების მიმდევრობისათვის მისტიკოსს უწოდებდა. ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ თვით იგი ამ მისტიკოსების თეორიას აჰყოლია.

---

[1] სხვა რომ არ მოვიხსენიოთ, აიღეთ უკანასკნელი მშვენიერი რომანი პოლ მარგერიტისა „La tourmente" და დოდეს—„La petite paroisse".

სიბრალული და შენდობის სურვილი დიადი საქადაგებელი გრძნობაა და აუცილებელია კაცთა შორის ურთიერთობისა და თანხმობის დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად. მაგრამ ყოველ გრძნობას თავის შესაფერ დროს უნდა ხმარება და სადაც ამ გრძნობას ადგილი არა აქვს, იქ. სარგებლის მაგიერ, ზარალი მოაქვს.

ვარიპანიძიანთ ნინომ ქმარს უღალატა თავისი კაპრიზების დასაკმაყოფილებლად, ბატონ გარელს სიამოვნება მიანიჭა და საშუალება მისცა ცუდ სენს ასცდენოდა, ხოლო თავისი ქმრის სახელს ჩირქი მოსცხო. განვიხილოთ, აქ როგორ მოიხმარება სიბრალული და სულგრძელობა.

ღალატისათვის, სახელის შებღალვისათვის, უწინდელი მზეცური ბუნება გექონდეს. კაცს სიკვდილს არ ავაცილებდით. „მხოლოდ სისხლი მორეცხავს პატიოსნებაზე წაცხებულ ტალახსაო". — ამბობენ რაინდები. ღღეს კი საზოგადოებრივი გრძნობით იმდენად ვართ გამსჭვალული, მეცნიერებით ვონებაგანათლებული და ეარეზუნოებით ვულგანსპეტაკებული, რომ ადვილად შესაძლებელია კაცს მაღლობაც ვუთხრათ დანაშაულობისათვის და მით უფრო შეკარცხვინოთ. ეხლა, ამ შემთხვევაში, არც ტყვიას იხმარს ვინმე და არც ხანას. კიდევ მეტი, დაცემული ზნეობის აოსებას, რომელმაც ბოგანიჭათ საუკუნო ტანჯვა, ‘ბეიძლება ხელი გაუწოდოთ სიბრალულისა, რჩევა მისცე და მოეხმარო სიბინძურიდან ამოვიდეს, მაგრამ ხელახლა მასთან შეერთებას ეარავითარი საფუძველი ეარა აქვს. ერთხელ გატეხილი რამ ძნელად თუ გამთელდეს ისე, რომ გაბზარული მაინც არ ეარჩეს. მერე კიდევ, თუ ქალი ღალატობს და გული ეცვლება ქმარზე, ეს უნდა იყოს გამოწვეული ან ბალალი გრძნობით და მაშინ შენდობა რაღა შეაშია, თვით ალარ უნდა იყიაროს ქალმა და არც კაცმა ერთად ცხოვრება; ანდა კაპრიზებისა და ქალის ცუდი დაუდგრომელი ხასიათის ბრალია. მაშინ რაღანაირად უნდა ენდოს გაბიაბრუებული მეუღლე მეორეს, რა საფუძველი აქვს თავისი ცხოვრება ასეთი ადამიანის გულსა და სულზე დაამყაროს? ეს სიბრალული კი არა, სენტიმენტალური ხილაჩრეა. ლევანჩიგანი (ნინოს ქმარი) ამ შემთხვევაში ასე უნდა მოქცეულიყო და ეს იქნებოდა სწორედ რიგიანი მოქცევა: რაკი ცოლი დაითხოვა, რამე რჩევა მიეცა და რიგიან გზაზე დაეყენებინა, და თუ ღარიბი იყო შეშწეობაც მიეცა, ხელახლა შეუღლება კი არა თუ მადლი, ცოდვა არის და იქნებოდა. ცხოვრება სახუმარო და სათა-

მაშო არ არის, იგი სერიოზული რამ არის და სერიოზულად უნდა თავის დაჭერა ცხოვრებაში. სისასტიკე, ადამიანური და არა მხეცური, ცხოვრებისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც სიბრალული. ერთხელ ჩადენილი ცოდვის წილ, აკი ვთქვით, იქნებ კეთილი მიუზღო დამნაშავეს. მაგრამ იმ ცოდვას მაინც თავისი შედეგი მოსდევს. ერთხელ დარღვეული პირობა და ისეთი მძიმე პირობა, როგორიც ცოლ-ქმრობის კავშირია, ძნელად თუ განახლდეს. მისი განახლება უფრო კუკუმალულობის თამაშობაა.

გარდა ამისა, ლოგიკური ვარჯიშობისათვის კი არ უნდა შევქმნათ მორალური თეზისები, არამედ ამ ქვეყნის მწარე ცხოვრების საუკეთესოდ მოსაწყობად. აბა მიბრძანეთ ერთი, რა შედეგი უნდა ჰქონდეს იმ მოძღვრებას, რომელიც მოღალატე ცოლებისათვის, თუ ქმრებისათვის, სულ ერთია, შენდობას თხოულობს, ამ შენდობას მოვალეობად ადებს მეორე მეუღლეს, და ამით თითქო წინდაწინვე „ხსნილ-ქმნის" მრუშ მეუღლეს. შეიძლება პლატონის მოძღვრების მიმდევარი ბრძანდებით და მაშინ რაღა ღალატია და რის ღალატი? მაგრამ თუ მეუღლეთა შორის ერთგულება, სიყვარული და ერთობა მიგაჩნიათ დღეს მაინც საუკეთესო საფუძვლად ოჯახისა და საზოგადოებისა. მაშინ ასეთ თეზისებს თავი უნდა დაანებოთ.

ნურც იმას იფიქრებთ, რომ ჩვენ ზნეობის სისასტიკეს თვით ადამიანობას ვწირავდეთ. არა, ჩვენგან მოთხოვნილი სისასტიკე. ამ შემთხვევაში, ღრმა ფსიქოლოგიურ მოსაზრებაზე არის დამყარებული. სიტყვით შეიძლება ასეთი სიბრალულით გამოწვეული შენდობა, სულით და გულით მისი ასრულება კი შეუძლებლად მიგვაჩნია. ასეთ ვაჟბატონებს გულში ყოველთვის რჩებათ რაღაცა; რაღაცა უცნაური ჭია ღრღნის მის გულს და თავის დღეში არ ავიწყდება მეუღლის დანაშაული. ამის შედეგი კი ის არის, რომ მათ შორის თავის დღეში ვეღარ ხერხდება ის მტკიცე კავშირი, ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც არათუ ცოლ-ქმრობის, ყოველგვარი მეგობრული კავშირის ბურჯია. აიღეთ ზემოთ მოხსენებული რომანი მარგერიტისა (La tourmente) და იქ ნახავთ, თუ რა ცხოვრება აქვთ ცოლ-ქმარს ამნაირი შენდობის შემდეგ. რა ტანჯვით სავსეა და რა უგემურია მათი ცხოვრება. პოლ-მარგერიტი სწორედ იქიდგან იწყებს, საცა ლეისტი ათავებს, ე. ი. აგვიწერს სულის მდგომარეობას ქმრისას მის შემდეგ, რაკი ცოლს აღიარებული და შენანებული ცოდვა შეუნდო. გვი-

ჩვენებს მათ შორის განწყობილებას და მათის მდგომარეობის აუტანლობას. პოლ-მარგერიტს ერთი მოუძებნია ამ ტანჯვის მოსასპობად და შეურაცხყოფილ მეუღლეთა შორის კეთილი განწყობილების დასამკვიდრებლად. ეს ის, რომ „მათ უნდა ეყვაროთ ერთმანეთი უმაღლესი, სულიერი და-ძმური სიყვარულით, რომელიც უნდა განწმენდილ იყოს ყოველივე მიწიერი მოაზრებისაგან". და ბოლოს თვითვე ვერ უთქვამს გადაწყვეტილად, შესაძლებელია ეს თუ არა? „დარჩება ეს ოცნებად, თუ ოდესმე განხორციელდება იგი? ეს მათზეა (ცოლქმარზე) დამოკიდებული", —უგებს იგივე პასუხს თავის-თავს, მაგრამ ამ პასუხშია თვით უარისყოფა კითხვაზე, ეს ადამიანისათვის შეუძლებელია.

ამ მოძღვრების მაღიარებლად გამოდის ბ-ნი ლეისტი თავის მოთხრობაში და მის გამომთქმელად გამოჰყავს მოხუცი ვარიპანიძე, რომელიც ტრადიციული ზნეობის გონებაშია აღზრდილი. „სიკვდილის წინ, — ალაპარაკებს ავტორი, — ნუგეშს მხოლოდ კეთილ საქმეში ვპოულობთ; წყარო ამ ნუგეშისა სხვების სიყვარულია, რომლისთვისაც გიშველია, დახმარებიხარ. ბევრისათვის სიცოცხლე ტანჯვაა, მაგრამ თვით უბედნიერესთაც შეხვდებათ იმისთანა დღე, როცა შეწუხებულნი სხვების შემწეობას საჭიროებენ; ნეტარ არიან მხოლოდ ისინი, რომელნიც გაჭირვებულს შველიან, თავის და სხვის სატკივარს ერთგვარად გრძნობენ. თქვენც თვალები ღია გქონდეთ, რომ სხვათა შეწუხება დაინახოთ, და ყურები ღია, რომ მათივე ჩუმი კვნესა არ გამოგეპაროთ, ფუჭია ცხოვრება აგებული თავმოყვარეობაზე, იგი გაქრება და წავა, როგორც მზის ჩასვლის დროს მოელვარე სხივთა კრთომა, მაგრამ კეთილი საქმე, გამშრალი ცრემლები, დაყუჩებული ტკივილი საუკუნო სახსოვრად დარჩება კაცობრიობას. კეთილნი იყავით, შვილნო, კეთილი სთესეთ და მაშინ თქვენც ჩემსავით იგრძნობთ სიცოცხლის სიტკბოებას... მწარეა, როცა შეურაცხყოფას მოგაყენებს ვინმე, მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელი შენანება ამ შეურაცხყოფისა ტკბილია". ასე გგონიათ დოსტოევსკი ლაპარაკობდეს, გინდ ტოლსტოი და არა ცხოვრების ქარცეცხლში გამომწვარი ვარიპანიძე, რომელსაც ძარღვებში მეომარი სისხლი აქვს და ეხლანდელი გაცრცვნილობისა არა მიჰკარებია რა. მოხუცი ვარიპანიძე ამ ენით თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა, იგი საქმის კაცია და ყოველი მოქმედება წინადვე განსაზღვრული და აწონილ-დაწონილი აქვს,

მას დოქტრინიორობისა და მისტიკოსობისა არა ესმის რა; მის ხასიათს ამგვარი გაპრტყელებული ბაასი არ შეჰფერის. მის პირში ეს სიტყვები ერთიორად უხერხულია და სასაცილო, ხოლო ლეისტის პირით წარმოთქმული კი იმას გვიჩვენებს, რომ იგი ეკუთვნის ახალი მოდის მწერალ-მორალისტებს. რომელნიც ზნეობრივ მხარეს მწერლობისას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, მაგრამ დაცემული ზნეობის გასასწორებელ წამალს კი კარგსა და რიგიანს ვერ იძლევიან. მათ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ მწერლობას თავისი დიადი დანიშნულება დაუბრუნეს და ხალხის გონებისა და ზნეობის გამასპეტაკებელ საგნად მიიჩნიეს.

ზევით მოგახსენეთ, რომ ავტორი განათლებულ საზოგადოებას ეხება-მეთქი. უნდა ვთქვათ, მოთხრობაში გამოყვანილი ახალგაზრდობა მეტად უფერული და უხერხული რამ არის (ჩიგანი, გარელი, ექიმი ლეონიძე), თუმც ნამდვილი წარმომადგენელია დღევანდელ ცხოვრებაში გამოჩენილი ახალგაზრდობის უმეტესობისა, რომელიც საზოგადოების მოწინავე რაზმსაც კი მიაჩნია იდეალურად. ი. ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“ დაგვიხატა მშვენიერი სურათი ამ ახალგაზრდობისა (არჩილი). ამის გულის ძმა არის ლევანჩიგანიც. ერთი კარგი თვისება მათი ის არის, რომ მოსჯდომიან მამა-პაპისეულს მამულს და, გაბნევის ნაცვლად, კარგად უვლიან. ვიცით, რომ უმაღლესი განათლება მიუღიათ, მაგრამ ეს განათლება მეტად ვერაფრად მოუხმარიათ, თუ არა მიწის ახალი სამუშაო მანქანების გამოსაწერად. საზოგადოების გონების წარმატებაში და მის ზნეობრივ ცხოვრებაში კი მათ ისეთივე უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ, როგორც მათ მამებს, თუგინდ იმავე მოხუც ვარიპანიძეს. საზოგადოების მოთხოვნილებაც ინტელიგენციის შესახებ უფრო შორს არ წასულა და მხოლოდ არჩილი და ლევანი მიაჩნიათ სათაყვანო გმირებად. ეს, რასაკვირველია, მოდის ბრალია და შედეგია ჩვეულებრივი გატაცებისა, იმ გატაცებისა, რომელიც გამოწვეულია ეხლანდელი მატერიალური მიმართულებისაგან და რომელსაც, მგონი, დიდი დღე აღარა აქვს. ჩვენში კი ეხლა მას ყვავილოვანი დრო აქვს, მაგრამ სხვა ქვეყნებში უკვე დათვლილი აქვს სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ეხლა აქა-იქ ჩნდება გუნდი ნამდვილ განათლებულ ყმაწვილ-კაცთა და ჩვენი მწერლების მოვალეობაა იგინი დაგვიხატონ, მათი სულის განწყობილება გამოგვიაშკარავონ; ამ მხრით ჩვენ დიდი იმედი მოგვცა „უცნაურმა ამბავმა“, რომლის დამთავრებასაც მოუთმენლად ველით.

და ბოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის მომხიბვლელი სიმპათია, რომლითაც ავტორი ეპყრობა თავისი მოთხრობის გმირებს. ეს ამტკიცებს მის მაღალ გრძნობიერებას ერთის მხრით, მეორეს მხრით კი, მე მგონია ეს სიმპათია ეკუთვნის უფრო იმ ხალხს, რომლის ცხოვრებასაც აგვიწერს ბ-ნი ლეისტი. იგი საქმით და სიტყვით ყოველთვის ამტკიცებს იმ სიყვარულსა და თანაგრძნობას ჩვენი ერისადმი, რომელიც ამ მოთხრობის ყოველ სტრიქონში მოჩანს და რომლისთვისაც ჩვენ დიდსა და უდიდეს მადლობას ვუძღვნით მას. ეს სიმპათია მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, თუ მოთხრობა მარტო ქართული ჟურნალისათვის არ არის დაწერილი.

ფ. ან. დეკანოზიშვილის ფსიქოლოგიური ეტიუდები

ძნელია, მეტად ძნელი, როცა შენს თანამედროვეზე, კიდევ მეტი, შენს ტოლზე სწერ რასმე. ეს ჩვენში უფრო ძნელია, და აი რატომ: ჩვენი ერის სიმცირის გამო, ძვირად რომ ერთი მეორის ნაცნობი, ნათესავი ან ამხანაგი და მეგობარი არ იყოს. ეს კი ბევრში ხელისშემშლელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ყოველთვის ადამიანები ვართ და როგორც ადამიანნი სხვადასხვა გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. მაგალითად, თუ რომელიმე თქვენი ნაცნობი მწერალი სიმპათიური ხასიათისაა, მისი ნაწარმოებების ნაკლულევანებას უფრო ლმობიერად მოეკიდებით და ღირსება უფრო აღგიტაცებთ. თუ, წინააღმდეგ, უსიმპათიოა, მაშინ მის ნაკლულევანებას შეუბრალებლად ეკიდებით და ღირსებას კი — გულცივად. მართალია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს პირადი გრძნობა სიმპათიისა და ანტიპათიისა გავაქარწყლოთ და, რამდენადაც შეიძლება, მიუდგომლად განვსაჯოთ ხოლმე, მაგრამ სიძნელე ამისი მაინც უნდა აღვნიშნოთ. ამიტომ, თითქმის ნახევრად მართალია ის გავრცელებული აზრი, რომ თანამედროვეს რიგიანად ვერ აფასებენ ხოლმე. მართლაც, ის მწერალი, რომელიც ზნეობით სუსტია და რომლის უზნეო მოქმედებასაც ათასობით ჰყავს ცოცხალი მოწმეები, თავის დღეში ვერ მოიპოვებს იმ პატივისცემას, როგორსაც მომავალში, როცა მისი ბიოგრაფია ცივ ქაღალდზე აღნიშნავს მის მოქმედებას. ქაღალდზე აღწერილი დანაშაულობა ნიჭიერი მწერლისა ჩვენ იმდენად ძლიერად ვეღარ გვაშფოთებს და ვეღარ აგვაღელვებს ხოლმე, და მის ნიჭს უფრო სიამოვნებითა ვცემთ თაყვანს, მისი ნაწერები უფრო დიდს ზნეობრივ გავლენას იჩენენ ჩვენზე.

მაგრამ კრიტიკის უმთავრესი დანიშნულება ხომ ის არის, რომ თანამედროვე მწერლობას მიაქციოს ყურადღება, აუხსნას იგი საზოგადოებას, თვით მწერალს დაანახვოს მისი ნაკლულევანება და ღირსება, უჩვენოს მწერლობას მისი დიდებული დანიშნულება და უდიდესი მნიშვნელობა კაცთა ცხოვრებისათვის.

ან. დეკანოზიშვილის პატარა ეტიუდები ლიტერატურის სულ ახალ ფორმას ეკუთვნიან. ამ ფორმის საუკეთესო წარმომადგენელი ევროპაში მოპასანია, ჩვენში კი ამგვარი პატარ-პატარა ეტიუდების წერა დაიწყო ვაჟა-ფშაველამ, შემდეგ/განაგრძო არაგვისპირელმა და დღეს დეკანოზიშვილსაც მისთვის მიუყვია ხელი. განსაკუთრებული თვისება ამ მოთხრობებისა ის არის, რომ სულ რამდენიმე სტრიქონია, ანდა რამდენიმე გვერდი პატარა წიგნაკისა; არ არის შიგ მოთხრობილი არაფერი რთული ამბავი, მხოლოდ რომელიმე ხანაა აღებული კაცის ცხოვრებიდან, ანდა რომელიმე სურათი ბუნებისა. მაგრამ უფრო მეტი აზრი მოიპოვება შიგ და უფრო მეტ გრძნობას გვიღვიძებს, ვინემ რამდენიმე ტომი უხერხული რომანისა. ანდა რამდენიმე ას-ლექსიანი პოემა. ამ პატარა მოთხრობებში. თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო მეტი აზრია, ვინემ სტრიქონი და უფრო მეტი გრძნობაა, ვინემ სიტყვები.

ან. დეკანოზიშვილის პირველმა ეტიუდმა „პეპელამ" მაშინვე სახელი მოუხვეჭა ავტორს და ზოგიერთმა კიდევაც მიუძღვნა დიდად სახარბიელო სახელი ქართველი მოპასანისა. მართლაც. ფორმა, ფრაზათა კონსტრუქცია, თვით დაწყება ამ მოთხრობისა ძალაუნებურად მოპასანს გაგახსენებდათ.

თუ ზედ დაურთავთ მას, რა გემოვნებითა და ხელოვნურად არის დაწერილი ეს მოთხრობა, ვფიქრობ, ავტორის დაცინვა არ ნდომებიათ, ვინც მას ზემოთ მოხსენებული სახელი უწოდა. მართლაც. თუ მიიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას. რომელშიც იმყოფებოდა ფრანგი მწერალი და თან მის პირველ მოთხრობებს გადაავლებთ თვალს. იმედი გეძლევათ, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერალი, თუ სერიოზულად შეხედავს თავის ნიჭს, მოვალეობას მწერლისას და არ დაივიწყებს იმ შრომასა და თავის წრთვნას, რომელიც conditio sine qua non არის დღევანდელი მწერლობისა. მაშინ ეჭვი არ არის მეტად თვალსაჩინო და საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენს მწერლობაში.

რაა შინაარსი „პეპელასი"? ბევრი არაფერი, ძალიან ხშირად გაგონილი და ცნობილია. კაცს საყვარელი არსება ეღუპება. გულდათუთქული, გრძნობა-აღელვებული და გონება-გაფანტული გამოდის მინდორზე, თვითონაც არ იცის რატომ. ამ დროს შეამჩნევს პეპელას, რომელიც აღტაცებული ფრინავს ერთი ყვავილიდან მეორეზე. შეამჩნევს რა ამ საშინელ უთანხმოებას მისი გულის განწყობილებასა და სიცოცხლით სავსე უგრძნობელ არსებას შორის,იმდენად გაახჩხლდე-

ბა, რომ პეპელას ყვავილზე დააკლავს წკეპლით და მოკლულ პეპელასა და ყვავილს საყვარელი არსების გვამს დააყრის. ასეთია მარტივი შინაარსი ამ ეტიუდისა. ახალი აქ არის ის ღრმა ფსიქოლოგიური შეხედულება, რომელზეც აგებულია ეს მოთხრობა და ის მომხიბვლელი გრძნობა, რომლითაც სავსეა ყოველი ანბანი ამ მოთხრობისა. ახალი არის ავტორის შეხედულება კაცისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ მწერალს, ყოველ დროს თავისებური შეხედულება ჰქონია ამ დამოკიდებულების შესახებ. ზოგს ოპტიმისტური შეხედულება აქვს მასზე. ჰგონია, რომ ბუნება ჩვენი კეთილი მზრუნველია, ჩვენი დედაა და ჩვენი პატრონი. ის თანაუგრძნობს ჩვენს ავსა და სიხარულით ეგებება ჩვენს კარგსა. როცა ჩვენ ვიცინით, ბუნებაც იცინის. როცა ჩვენ ცრემლებს ვაფრქვევთ, ბუნებაც სტირის. ზოგი პესიმისტური შეხედულებისა არის და სულ წინააღმდეგს ფიქრობს: ბუნება ჩვენი დაუძინებელი მტერია, ჩვენი სიცოცხლის მომწამველია. იგი ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენს წუთიერ მხიარულებას რაც შეიძლება უფრო ადრე მოუღოს ბოლო. ზოგს ინდიფერენტული შეხედულება აქვს, იგი დღევანდელი მეცნიერული ახრებით აღჭურვილი არის და ფიქრობს, რომ ბუნება სრულიად გულგრილად ეკიდება ჩვენს ცხოვრებას, მისთვის სულ ერთია მხიარულნი ვართ ჩვენ, თუ მტირალნი, იგი ერთნაირად იცინის ჩვენი სიცილისა და ტირილის დროს და ერთნაირად მოღუშულია ჩვენი ქორწილისა და სიკვდილის დროს. ყოველივე გრძნობა, რომელიც ჩვენ ბუნების კუთვნილება გვგონია, ის ჩვენი გრძნობაა, რომელიც ჩვენ ბუნებაზე გადაგვაქვს, იმისდა მიხედვით, თუ რა განწყობილებაზე ვართ (ცოტა არ იყოს ეს მცირე შეხედულება პესიმისტურს უახლოვდება). ამ მეცნიერულ და თანამედროვე შეხედულებას ადგია ან. დეკანოზიშვილი, და, მასთან ერთად, მისი წინამორბედი ვაჟა-ფშაველა და შ. არაგვისპირელიცა. მათ ამგვარი შეხედულება თავისებური პოეზიის ფერს აძლევს მათ მოთხრობებს, და თანაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ ამგვარ გულგრილობას ბუნებისას ისინი არასდროს არ ემორჩილებიან და არ ემონებიან. დეკანოზიშვილი შფოთავს, ღელავს და რაც ძალი აქვს ეომება ამ მართლადა უგუნურს, უგრძნობელ და ულმობელ გულგრილობას ბუნებისას. ნაზი გრძნობით აღსილი კაცი, რომლის ტანჯული გულისცემაც უნდა ეგრძნო ყოველ სულიერს, ყოველს ცოცხალ არსებას, მისჩერებია მხიარულ პეპელას და ელის

მისგან თანაგრძნობას. ნუგეშს, იმას მაინც, რომ პატარა ხანს შეაჩერებს თავის უდარდელ ფრენას, ყვავილების წუწვნასა და მის დანაღვლიანებულ სახეს ყურადღებას მიაქცევს. დაე, მერე იფრინოს, რამდენიც სურს. მაგრამ არა, ის უგრძნობელი, გაუგებარი, გულქვა ჭიაა და რა ხელი აქვს კაცთან. „ერთს წუთს მთელი ჩემი ყურადღება მასზე შეჩერდა; მან კი თითქოს ვერცკი შემამჩნია, საშინლად გამაბრაზა. მისმა უდარდელმა ბედნიერებამ! ეს ჭია, ეს მწერი, ეს უგუნური არსება ათასჯერ და ათი-ათასჯერ ბედნიერი იყო, ვიდრე მე. იგი ნაზად დაეშვა ერთს ჩემს ახლო ყვავილზე და ფრთები ისე შეკეცა, გეგონებოდათ, მხოლოდ ერთი ფრთა აბია შუა ზურგზედაო. მაშინ მე ნელა მივუახლოვდი, ის იყო გაშალა ფრთები გასაფრენად. მაგრამ ამ დროს დავუქნიე წკეპლა და იგი დაეცა მკვდარი იმავ ადგილზე, რომელსაც ერთი თვალის დახამხამების წინ ცოცხალი დაჰხაროდა...“ დიახ. ვეღარ მოითმინა აღელვებულმა ადამიანმა ასეთი გულგრილობა და მოკლა. მოკლა, მაგრამ წუთიერი გაბრაზების შემდეგ. როცა აღშფოთებული გრძნობა დაუყუჩდა, საშინლად შეეცოდა, თავი შეეზარა ასეთი მოქმედებისათვის და დიდხანს უყურა მას. დიდხანს. დიახ, ეს ლმობიერი სულიერია, ეს გულმხურვალე და გულჩვილი არსებაა და არ შეუძლია ისე გულგრილად უყუროს ბუნებას, როგორც ის ეპყრობა კაცს. ბუნების ფატალური ძალების ამგვარი სიმკაცრეა კაცის ცხოვრების უბედურების თავი და თავი მიზეზი. იგივე სიმკაცრე არის მიზეზი ზემოხსენებული მოთხრობის გმირის უბედურებისა. სიკვდილი საყვარელის არსებისა, ესეც ხომ ერთი უსაშინელესი ბუნებრივი მოვლენაა, რომლის ერთი გახსენებაც კი უწამლავს კაცს ყოველ ბედნიერ წამს ცხოვრებისას. ამ სიკვდილმა დატანჯა კაცი, მაგრამ მისი ტანჯვა ბუნებისათვის გაუგებარია, იგი არ იწვევს არა თუ თანაგრძნობას ბუნებისას, მის ყურადღებასაც კი ვერ იპყრობს. განა შეუძლია მწერალს, ადამიანს გულგრილად უყუროს ასეთ კავშირს, ასეთ უსამართლობას?!

ეს უკმაყოფილება და აღელვება ბუნების უგრძნობლობისა და გულის მომწყვლელი ინდეფერენტიზმის გამო უფრო ემჩნევა მესამე ეტიუდს ან. დეკანოზიშვილისას, სადაც ავტორი გვიხატავს სულიერ განწყობილებას, თუ რანაირი ნაზი და შესაბრალისი სევდით ივსება მთელი მისი სიცოცხლე. როცა „ყველგან, ყველგან ხედავს, ესმის, გრძნობს რაღაც ცხოველმყოფელი ძალის მოქმედებას, მის გამარჯვებას“ და თვით მისი წასვლის წამი კი, ამავე დროს, ახლოვდება. „რა.

კარგია. — ამბობს ავადმყოფი, — რომ ჩემი ვადა გაზაფხულზე თავდება, გადის! ვადა, დიახ ვადა! ჩვენ ხომ ყველანი მოჯამაგირენი ვართ, ბუნების მუშები! კიდევ კარგი, თუ გამოიმეტა რამე, თუ სულ ხელცალიერი არ დავსვა! თუ ბოლომდე შეგარჩინა ზიზილ-პიპილა და ყალბი ოქროს ბრჭყვიალა ფიფინურები! ხშირად კი, უფრო ხშირად, ჩვენ ისე გვიმსახურებს, ტყუილად... ვიდრე საჭირონი ვართ, ვიდრე ძალა შეგვწევს, და მერე... მერე ეს უმადური და თვალ-ერჯული ბატონი სასტიკი გულცივობით გვიშორებს თავიდან და ერთ წარბსაც არ შეიხრის! მისთვის სულ ერთია: პირნათლად ვასრულებდით ამ ნაძალადევ სამსახურს, თუ პირქუშად, ერთგულნი ვიყავით, თუ ორგულნი, მორწმუნენი, თუ ურწმუნონი!"

განა შეუძლია ცოცხალ არსებას წინ არ აღუდგეს, არ გაუმკლავდეს იმ შეუბრალებელ განგების ძალას, რომელმაც ამ ქვეყნად გადმოგვტყორცნა. განყენებული და ჭკუადამჯდარი ფილოსოფოსი ბრძანებს — სისულელეა ისეთ ძალას, ბუნების ისეთ კანონს ეომო, რომელთანაც ვერას გააწყობ, რაც უნდა ეცადო; საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო და სხვ. კარგია ვინც მაგ სიმაღლემდე მიაღწევს, ვინც გამოიჩენს ამნაირს სტოიკურ თავგანწირულებას და უნარს ბუნების წინაშე ქედის მოხრისას. მაგრამ უმრავლესობა კი, ის უმრავლესობა გონიერ და გრძნობიერ ადამიანთა, რომელთაგანაც ცხოვრება შედგება, ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, არ შეიძლება ცხოვრების ასეთ ულმობელობას წინ არ აღუდგეს და ეს წინააღმდეგობა არის ყოველნაირი წინსვლის თავი და თავი მიზეზი. ტოლსტოის ნიკიტებისა და კარატაევებისთანა პირუტყვული, უკეთა ვთქვათ, ქვის მზგავსი დამორჩილება და აბსოლუტური „ნირვანის" გაღმერთება შემაყენებელია სიცოცხლის ძაფის მოძრაობისა, კაცის რეგრესის გზაზე დამაყენებელია. სრული დასახიჩრებაა კაცის ბუნებისა და წინააღმდეგი მისი ცხოვრებისა, როცა ამ მაღალგონიერ არსებას იდეალად უსახავენ ქვასა და კლდეს.

საბრალო ავადმყოფს, რომლისთვისაც დღეს სიცოცხლის გაზაფხული კი არა სუსხიანი და სიცოცხლის მომსპობი ზამთარია, „გული ატკინა ამ სიცოცხლით სავსე სანახაობამ". მხოლოდ ერთგან დაინახა გამხმარი ხე და ვით სნეულმა თანაუგრძნო მისსავე მსგავს სნეულს. „გამხმარა, სწორედ გამხმარა", ვიმეორებდი მე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემსავით იგიც გრძნობდა თავის მარტოობას, თავის სიკვდილსა. „შენც ჩემსავით ყავლი გაგსვლია", ვუთხარი ჩუმად და

თვალს არ ვაშორებდი". ჯანმრთელი ადამიანი ვერ მიხვდება ჩემი სულის მდგომარეობას, — დასძენს ავტორი. დიახ, მართალია, ჯანმრთელი კი არა, უკეთა ვთქვათ, ბედნიერებით დაბრმავებული და პირუტყვად ქცეული ადამიანი ვერ მიხვდება უბედურის ტანჯვასა და მწუხარებას. მას სასაცილოდაც არა ჰყოფნის ცრემლები და ნაღვლიანი სახე ტანჯულისა. როცა თვითონ, ბედნიერების ღმერთის რჩეული, მიექანება და ვერც კი ამჩნევს თუ არის სადმე ოხვრა და კვნესა; მას ყოველგან მხოლოდ თავისი ბედნიერება, თავისი მხიარულება ეჩვენება და სხვას რაღას დასდევს. ან კი ასეთი ბედნიერების დროს, რომ გულს სევდა მიაკაროს, ხომ „ღმერთი უწყენს", არ ვარგა, რომ „დაიბედოს" და ამას სავსებით ასრულებს ბედნიერი ქალბატონი თუ ვაჟბატონი.

ამ სიცოცხლით სავსე ბუნებაში ერთი თანამგრძნობი დაინახა, ისიც უნებლიე თანამგრძნობი, გამხმარი ხე და მასაც მოჭრას უპირებენ. ისევ ის სასტიკი ბუნების ძალა და ულმობელი წარმომადგენელი — მებაღე საჭიროდ სცნობს „უსარგებლო" ნივთი თავიდან მოიშოროს. უნდა მოსჭრას, მოჰკვეთოს გამხმარი ხე და ისიც კი ვერ უგრძვნია, რომ მისი ავადმყოფი ბატონიც ერთი გამხმარი მცენარეა იმ დიად ბაღში, რომელსაც ბუნება ჰქვია და რომლის ძლევამოსილი მებაღეც, სწორედ ასეთივე მოსაზრებით, მას სიცოცხლის მოსპობას უპირებს. კაცმაც, ამ ბუნების მხეცმა, ვერ იგრძნო, თუ რა რიგად მოსწვავდა გულს ეს მის საწყალ, საბრალო ბატონს და ვერც კი მიმხვდარიყო, რად ესარჩლებოდა მისი ბატონი იმ გამხმარ ხეს. ნუთუ მარტო სნეულს შეუძლია მასსავე მსგავს სნეულს თანაუგრძნოს, ნუთუ მარტო ტანჯულს შეუძლია ტანჯულის წვა-დაგვა შეიგნოს და შეიბრალოს?! რამდენად მაღლა დგას ეს ავადმყოფი იმ განხორციელებულ მხეცურ ძალაზე, რომელსაც მებაღე ეწოდება, რამდენად უფრო ადამიანია იგი, როცა ტანჯული, საბრალო და გამხმარი ბუნების შვილი ებრალება. რამდენად მაღლა დგას მისი გრძნობა სიბრალულისა და თანაგრძნობისა იმ მხეცურ, სასტიკ, უტილიტარულ, ცხოვრებისათვის მეტოქეობის კანონის გაღმერთებაზე, რომლითაც გამსჭვალული იყო მებაღე.

მართალია, ავტორი ამასაც ეუბნება მებაღეს: „მე მთელი ბაღის გაკაფვას უფრო ადვილად დავთანხმდები, ვიდრე იმ ერთი გამხმარი ხის მოჭრასა", მაგრამ ეს ხომ აღშფოთებული გრძნობით გამოწვეული სიტყვებია, თორემ მართლა დათანხმდებოდა მთელი ბაღის გაკაფ-

ვას? თუ რომ მას ერთი გამხმარი ხე ეცოდება, ნუთუ მთელი ბაღი რომ იმავე ხეს დამსგავსებოდა, ე. ი. სიცოცხლე მოსპობოდა, ეს მას გაახარებდა, ანუგეშებდა? ნუთუ მიტომ გააკაფვინებდა მთელ ბაღს, რომ მერე დამჯდარიყო და ცრემლი ეფრქვია! განა პეპელას უდარდელობამაც ისე არ გააჯავრა ავტორი, რომ მოჰკლა კიდევაც იგი, მაგრამ მერე სიბრალულითა და სევდით აევსო გული. ეს სიტყვები მხოლოდ მისი გულის ტანჯვის გამომხატველია. ის მხოლოდ იმ ულმობელი კანონის მოსარჩლე ვერ გამხდარა, რომელიც საწყალს, სიცოცხლემისუსტებულ არსებას ორის დღის მოსვენებასაც აღარ აძლევს: კარგად ესმის ის, რასაც უგუნური ვერ იგრძნობს და ვერ გაიგებს:

განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?!
ათას ცოცხალსა, ბევრჯელა,
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

ის თითქოს ამას ეუბნება გამხმარს ხეს:

შენის დანახვით, ტიალო,
ეულს დარდი მაწევს ცხარია,
რაკი გხედავ, რო ბეჩავად
და უპატრონოდ ხარია.

. . .

მინდა, რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია [1].

ამ მოთხრობაში ჩვენი ავტორი ტანჯულთა მიმართ სიბრალულისა და თანაგრძნობის მოსარჩლედ ხდება. მის ეტიუდებს ძლიერი პოეზიის ელფერს აძლევს ეს ძველისძველი, მაგრამ თანაც ნიადაგ ახალი გრძნობა უკმაყოფილებისა და ურჩობისა...

ავტორის მეორე ეტიუდზე („დალუპული") ჩვენ ბევრს არას ვიტყვით. რადგან იგი იმდენად სუსტია, რამდენადაც მისი სხვა ეტი-

---

[1] რაკი ვაჟა-ფშაველას ლექსი მოვიყვანეთ, ისიც უნდა ეთქვათ, რომ ის პატარა მოთხრობა, საიდანაც ეს ლექსია ამოღებული, — „ხმელი წიფელი" და მესამე ეტიუდი დეკანოზიშვილისა ერთმანეთს ენათესავებიან. მაგრამ მათ შორის ისეთი დიდი განსხვავებაც არის, რომ ეჭვს გარეშეა დეკანოზიშვილის მოთხრობა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელის" გავლენის ქვეშ არ არის დაწერილი.

ულები — ძლიერი. მან საკმაოდ ნათლად ვერ დაგვიხატა დღევანდელი სასოწარკვეთილი ინტელიგენტი და მგონი მეტად დიდი ნიჭიც არის საჭირო, რომ ასეთ პატარა ნაწყვეტში ფრიად ძნელი და რთული საგანი რიგიანად და ყოველმხრივ ასწონ-დასწონო. ჩვენ ვურჩევთ ავტორს, რომ „ფაუსტობიას“, ანდა, უკეთ ვთქვათ, „მეფისტოფელობიას“, მართლაც თავი დაანებოს. ეს, ცოტა არ იყოს, დაძველებული მოდა არის. მას, როგორც მისი ორი ეტიუდი გვიმტკიცებს, საკმაოდ ძლიერი გრძნობა და ნიჭი აქვს. ამიტომ საჭიროა სრულიად ახალ, ამ ორ ეტიუდში მისგანვე ნიშანში ამოღებულ გზას დაადგეს და ყოველნაირ „ობიას“ გვერდი აუხვიოს.

მართლაც, რა უნდოდა ამ ეტიუდით („დაღუპული“) გამოეხატა? თუ უნდოდა ეჩვენებინა სულით დატანჯული ჩვენი ფაუსტები, რომელნიც იმდენად შეუპყრია სასოწარკვეთილებას და იმდენად თავმოძულებულნი არიან, რომ თავსაც კი იკლავენ, ეს ვერ დაგვანახვა. ამიტომ, რომ ეს მოთხრობა ნათლად ვერ გვაჩვენებს სულის ტანჯვის შედეგია ამ გმირისაგან თავის მოკვლა, თუ ზედმეტი ალკოგოლის ხმარებისაგანაა გამოწვეული, თუ ბრბოს გაუგებრობა და უგრძნობლობა უნდოდა ეჩვენებინა, ამასაც ვერ მიაღწია რიგიანად, რადგან, ჯერ ერთი, ხშირად იმ შემთხვევაში, რომელიც მოჰყავს ავტორს, ხალხი მართალია ხოლმე: მეორეც ის, რომ თუ ეს ხალხი მას იცნობდა, საჭირო იყო ჩვენთვისაც გაეგებინებინა რანაირად და როგორ იცნობდა მას ხალხი, რომ აქედან იმის გულგრილობაზე აზრი შეგვედგინა, და თუ არ იცნობდა, სასაცილოც არის უცნობი კაცის გრძნობების დაფასება მოგთხოვოთ ვისმე.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილს ახალგაზრდა მწერალზე და კიდეკ და კიდევ გავუმეორებთ, რომ თავის ნიჭს მაშინ მოატანინებს ნაყოფს, თუ კარგად შეუწყობს ხელს მას, ხელს შეუწყობს იმ დიად გრძნობებს, რომლითაც გამსჭვალულია მისი ორი ეტიუდი, და კარგად შეიგნებს მძიმე მოვალეობას მწერლისას, დიად ზნეობრივ მნიშვნელობას მწერლობისას.

10. სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა

რაც უნდა ვთქვათ, 1895 წელი ჩვენის ცხოვრებისათვის შესანიშნავი იყო, მაგრამ ჩვენს ლიტერატურულ სფეროებში შესამჩნევი და ახალი არაფერი მომხდარა. ვერ ვიტყვით მას, რომ ჩვენი ლიტერატურა ისევ იმ მიძინებულ მდგომარეობაში იყოს, როგორც ამ ათითხუთმეტი წლის წინათ იყო. ბევრჯერ გვითქვამს, რომ ქართულ ლიტერატურასაც დაეტყო უკანასკნელ დროს სიფხიზლე და გამოღვიძება, მაგრამ შესანიშნავი მაინც არა მომხდარა რა. დავიწყოთ მიმოხილვა ჩვენი თვიური ჟურნალიდან, მერე ყოველდღიურ გაზეთზე გადავიდეთ და ბოლოს საკვირაო ჟურნალიც განვიხილოთ. ამას ჩვენ მარტო იერარხიის დასაცავად კი არ ვშვრებით, ნაწარმოებთა ღირსებით ვხელმძღვანელობთ.

„მოამბე"-ში პირველი ადგილი პროზაში უკავია განსვენებული ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობას. რამდენიმე დაუმთავრებელი მოთხრობა ყაზბეგისა დაიბეჭდა შარშანწინ, — მაგრამ მაინც ბევრ დამთავრებულებს სჯობია ისინი. ეს დაუმთავრებელი მოთხრობები ერთიორად გვიმატებს სევდას, რადგან გვაჩვენებს, თუ რა დიდებული მწერალი დავკარგეთ ჩვენ. ამ მოთხრობებიდან ცხადად სჩანს, რომ, თუ დასცლოდა, ყაზბეგი შეეხებოდა ბევრ მწვავე კითხვას ჩვენი ცხოვრებისას და როგორც ეკადრება მის ნიჭსა და გრძნობას ისე გადასწყვეტდა ამ კითხვებს. დაუმთავრებელი მოთხრობა სამაგალითო საბუთია მწერლის ნიჭის ცნობისა. თუ ამგვარ მოთხრობაში სჩანს ნიჭი ავტორისა, რაღა იქნება ის მოთხრობა, რომელიც მას კარგად დამუშავებული აქვს. სწორედ ამგვარი ნაწყვეტები და სხვადასხვა ნაცნობებ-მეგობრებთან მიწერილი წერილები არის საუკეთესო მასალა მწერლის თვისებების დასასურათებლად.

„ვინ გავამტყუნოთ?" — ჯერ თვით სათაურია მომხიბვლელი, დამაფიქრებელი და მრავალი აზრების აღმძვრელი. ავიღოთ საზოგადოდ ეს სიტყვები და განვსაჯოთ იგი ზნეობრივი და ფილოსოფიური მხრით. მართლაც, ვინც უნდა იყოს დამნაშავე, რა დიდი დანაშაულიც უნდა ჩაედინა მას, პირველად ეს უნდა გაარკვიოთ, ვინ არის დამნა-

შავე, ვინ არის გასამტყუნარი. x -მა მოკლა კაცი. ყოველივე დამამტკიცებული საბუთი ხელთა გვაქვს, რაღა ბევრი ფიქრი უნდა, x-ი ჯვარს აცვით. მაგრამ ასეთი სჯა ეკადრება მხოლოდ ოფიციალურ ფორმალისტს და არა იმ კაცს, რომელსაც შეგნებული აქვს ცხოვრების სიმძიმე, მისი მრავალფეროვნება. x-მა კაცი მოკლა, მაგრამ რატომ? რა იყო მიზეზი მისი, რომ ასეთი არაკაცური მოქმედება ჩაიდინა? შეეძლო არ ჩაედინა მას ასეთი საქმე? როგორ მოვიქცეოდით ჩვენ ამ შემთხვევაში? და სხვა. როდესაც ყოველივეს ამას განსჯით, აწონ-დაწონით, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ თქვენი მსჯავრი წარმოთქვათ. თუ კიდევ უფრო ღრმად შევხედავთ საქმეს და ცხოვრებას განვშორდებით, განყენებულ ცის სივრცეში ფრენას დავიწყებთ აზრებით (ეს ხანდახან კაცისათვის საჭიროა), თუ აბსოლუტის დაუსრულებელი არსების და მიზეზთა მიზეზის სფეროებში ნავარდობას დავიწყებთ. შეიძლება ეს ფიქრიც დაგვებადოს: ვინც უნდა იყოს დამნაშავე. გვაქვს კი ჩვენ უფლება გავამტყუნოთ იგი, და ჩვენი მსჯავრი წარმოვთქვათ მის შესახებ?... და მაშინ შეიძლება ამ კითხვაზე „ჰოც" თქვათ და „არაც": უფრო ხშირად კი მეორეს ვიტყვით. სათაურს რომ გადაცილდებით და თვით მოთხრობას წაიკითხავთ, ნახავთ, რომ აქ მოთხრობილი არის ჩვეულებრივი ამბავი: საცოდავი ქალი, გატაცებული პირველი უანგარო სიყვარულით, სულითა და გულით მიენდობა თავის საყვარელ, ჰომავალ საქმროს, რომელიც ისარგებლებს შემთხვევით და ქალს შეაცდენს... ჩვეულებრივი გულის გაგრილება, ჩვეულებრივი უკმეხად მოპყრობა კაცისაგან, აი შედეგი ამ ამბავისა... სწორედ აქ მოთხრობაც შეწყვეტილია... და ისეთ კარგ ადგილზე არის მოთხრობა შეწყვეტილი, რომ მე სიამოვნებით ეუწოდებ მას დამთავრებულს. დიახ, იგი დამთავრებულია იმიტომ, რომ ავტორის აზრი საკმაოდ გამორკვეულია და მკითხველის ფანტაზია საკმაოდ შემოფარგლული. მკითხველს აღარ შეუძლია დაამახინჯოს მწერლის ნაამბობი, რადგან მოთხრობის უმთავრესი მომენტი ავტორს აწერილი აქვს. სამაგიეროდ ავტორსაც არ შეუძლია მკითხველის ოცნებას მთლად შეაკვეცოს ფანტაზია და ყველას შეუძლია წარმოიდგინოს ბოლო ამ ამბავისა.

მართლაც, ვინ გავამტყუნოთ ამ საქმეში? „რასაკვირველია ქალი". — ბრძანებენ დახავსებული მორალისტები, ანდა, უკეთა ვთქვათ. ცბიერი მორალის ამღიარებელი კეკლუცი მანდილოსანნი... „ქალიც და კაციც". დინჯად იტყვის გულისდამამშვიდებელი ეკ-

ლექტიზმის მოწაფე. და თუ სრულიად ვერ დააკმაყოფილებს ყველას. ბრაზს მაინც არავის მოჰგვრის. „არცერთი“ — თამამად იტყვის მოდური პესიმიზმის და მიზანტროპიზმის მანტიაში გახვეული ეჟბატონი. და თავის აზრს დაასაბუთებს მეცნიერულად. „ჩვენ ვართ პაიკები, ისეთივე უძლურნი და ყოველივე ნებას მოკლებულნი. როგორც ქვა და კლდე: როგორც ბუნებას ნებავს, ისე განაგებს ჩვენს ბედსა და იღბალსა. ჩვენ იმდენი შეგვიძლია, რამდენიც პაიკებს, რომელსაც მოთამაშე იქ დადგამს, სადაც უნდა. ვალერის მოეწონა მარი, ეს ბუნების მოთხოვნილებაა. რომ ლამაზი ქალი ლამაზს კაცს მოეწონება. ამ მოწონებას მოჰყვა გატაცება. გატაცებას კიდევ სხვა შედეგი. ესეც ბუნების მოთხოვნილებაა, ბუნების სასტიკი კანონია და მას ვერავინ წინ ვერ აღუდგება. დაიკმაყოფილა თუ არა სურვილი, ვალერის გული გაუგრილდა. ესეც ჩვეულებრივი ბუნების მოვლენაა. როცა ჭამა გვინდა, ვჭამთ და რაკი გავძღებით. ჭამა აღარ გვინდა. როცა წყალი გვწყურიან. დავლევთ წყალს. მოვიკლავთ წყურვილს და გათავდა“... იტყვის ამას თანამედროვე სკეპტიკი და ბოროტად გაიღიმებს კიდეც, რადგან თავის თავიც უნდა მოატყუოს და სხვებიც. მაგრამ ვერ ახერხებს ამას. ეს ასე ადვილი რომ არის. რაღაც ჩასჩურჩულებს ყველას. რომ აქ კიდევ რაღაც არის, უფრო ღრმად და უფრო მძიმედ დასაფიქრებელი. იცის ყველამ კარგად. რომ ვიღაც არის დამნაშავე, მაგრამ ან ვერ მიმხვდარან, ანდა არ უნდათ, რომ აღიარონ.

დიახ, დამნაშავეა ვალერი. დამნაშავეა იმიტომ კი არა, რომ გრძნობამ გაიტაცა. და გატაცებულმა შეცდომა ჩაიდინა. არამედ იმიტომ. რომ შეცდენილი, გაუპატიურებული და გაუბედურებული ქალი ღვთის ანაბარად დაგდო. სიბრალულის და მეგობრობის მაგიერ ზიზღი ღაანახა. შეცდომა ის კი არ არის, რომ ბუნებრივი გრძნობა დაკმაყოფილო, შეცდომა და დანაშაული ის არის, რომ ამ გრძნობისა და გატაცების შედეგი მარტო სხვას აკისრებინო და შენ თავისუფლად და უსირცხვილოდ ითარეშო.

ყაზბეგი მეტისმეტად ნიჭიერი მწერალია, მისი ეს მოთხრობა რომ დამთავრებული იყოს, ჩვენ ნათლად დავინახავდით, რომ ვალერის დანაშაულში საზოგადოებრივ მიზეზებსაც აქვს ადგილი. თუ ამ მოთხრობიდან ეს ნათლად არა ჩანს, ყაზბეგის სხვა ნაწარმოებთა განხილვა მაინც ამ აზრს ბადებს. ცოტა არ იყოს, ეს ამსუბუქებს ვალერის დანაშაულს. მაგრამ დამნაშავე მაინც იგია. იგია მისთვის,

რომ წინ ვერ აღუდგა ამ პირობებს, ვერ სძლია ისინი. ეს კი ყოველ კაცს მოეთხოვება, სულით ავადმყოფებს გარდა. განა ვალერის მეტი არ გატაცებულა გრძნობით, მაგრამ არავისთვის არაფერი სავნებელი არ უქნია ამ გრძნობას. ჩანს, შესაძლებელი ყოფილა გრძნობათა ძლევა, მათი შეკავება, შეზღუდვა.

რამდენი დრამატიზმია ამ მოთხრობაში, რამდენ აზრსა ბადებს და გრძნობებს გვიშლის იგი. თუ გინდათ უფრო ნათლად დაინახოთ ნიჭის ძლიერება, შეადარეთ ეს მოთხრობა ამგვარივე შინაარსის მოთხრობას („მოტყუებული") ფავლენიშვილისას, რომელიც ამავე ჟურნალშია დასტამბული. რამდენი „ვაი" და „უი" გესმით მეორეში. რამდენი ტყვია და წამალია დახარჯული ტრაგიზმის გამოსახატავად, მაგრამ თავის დღეში ისეთ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, როგორც პირველი.

მეორე ადგილი უკავია შ. არაგვისპირელის მოთხრობებს. მე მგონია, ამ მწერალს ახალგაზრდათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს. როგორც ეტყობა, მას სერიოზულად მოუკიდნია ხელი ლიტერატურისათვის და ნიჭიც აქვს, ისეთი ნიჭი, რომ თუ საკვები არ მოაკლო, თუ კარგად მოუარა მას, ბევრ ჩინებულ და კარგ ნაწარმოებს შესძენს ჩვენს ლიტერატურას. მოთხრობაში „ეს არის ჩვენი ცხოვრება" ავტორი იჩენს ყოველივეს, რაც მწერალში მომხიბვლელია. მისი ნაწარმოებები სავსე არიან პოეზიით, ზოგიერთში ღრმა ფილოსოფიური აზრი არის გატარებული, ეხება თვით უნაზეს გრძნობებს და მათ მკაფიოდ გამოხატვას ახერხებს. ეს საკმაო არის მისთვის, რომ ნამდვილი და ნიჭიერი მწერალი ვუწოდოთ მას.

ჩვენს გაზეთში მისი უკანასკნელი მოთხრობების შესახებ იყო აზრი გამოთქმული. მისი თხზულებების სრული გარჩევა კი კიდევ გადაგვიდვია ცოტა ხნით.

აღსანიშნავია აგრეთვე ა. ლეისტის მოთხრობა, რომელიც გერმანული ენიდან არის ნათარგმნი. ეს მოთხრობა ერთ გერმანულს ჟურნალში ყოფილა დაბეჭდილი. კიდევ და კიდევ განუმეორებთ ლეისტს მადლობას, რომ ჩვენს ცხოვრებაში მან ნახა საინტერესო, გარდა ყანწებისა და ლამაზი ქალებისა, რომელთა აწერით სავსე არის უცხოელთა ნაწარმოები ჩვენს შესახებ. ამ მოთხრობის შესახებ ჩვენ ვრცლად ვილაპარაკეთ „ივერიის" ერთ-ერთ ნომერში. სხვა მოთხრობების შესახებაც იყო ნათქვამი რამდენიმე სიტყვა ამავე გა-

ზეთის ფურცლებზედ, ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია მათ შეეხოთ.

საინტერესოა მხოლოდ ნიკოლაიშვილის რომანი, რომელიც წარმომადგენელია უკიდურესი ნატურალიზმისა. რაღა უნდა იყოს უფრო ნამდვილი, ბუნებრივი, როცა აიღებ და რომელიმე ნამდვილ ფაქტს აღწერ ისე, როგორც შეფერის კორესპონდენტს, ანდა ბოქაულს, რომელიც ოქმს ადგენს. მაგრამ ეს ხელოვნება არ არის. ნატურალიზმი ხელოვნებაში სულ სხვა პრინციპზე არის აგებული, სულ სხვანაირად არის განხორციელებული ეს პრინციპები ნატურალიზმის მამამთავართაგან. ნატურალიზმს, როგორც ესტეტიურს მოძღვრებას, ის კი არა აქვს აზრად, რომ ყოველივე ნიჭს და შემოქმედების ძალას ფრთები შეაკვეცოს, სამარე გაუთხაროს, — არა, ამ მოძღვრებას სურს სხვა მიმართულება მისცეს ხელოვნებას, სხვა გზა უჩვენოს თავის დანიშნულების მისაღწევად და არა ის, რომ ნიჭს მოკლებული და უმნიშვნელო ყოველი თხზულება აღიაროს დიდებულ ნაწარმოებად. ეს მოძღვრება ვერ გაიგეს კარგად და, ამიტომ, ნიჭს მოკლებული ყველა მწერალი მას შეეფარა. რა ნიჭია საჭირო მისთვის, რომ ამბავი დასწერო? არავითარი ნიჭი ამას არ უნდა. ამიტომაც, ამგვარმა ლიტერატურამ კორესპონდენციის ხასიათი მიიღო. ნიკოლაიშვილის მოთხრობა საინტერესოა არა ხელოვნებით, არა მით, რომ ავტორმა ამა თუ იმ მოვლენას ნათელი მოჰფინა, ანდა რაიმე საიდუმლო და რთული საგანი დაგვანახვა და გაგვირკვია. არა, — თვით ამბავია საშინელი, საინტერესო თავისი უცნაურობით, რომლისთვისაც ავტორს რიგიანი მსჯავრიც კი ვერ დაუდვია. ამავე ხასიათის არის ლალიონის მოთხრობაც, რომელშიც ამბავიც არ არის ახალი და ორიგინალურად მოთხრობილი.

პოეზიაში ცახელის „მხედარი“ და ვაჟა-ფშაველას „ხის ბეჭი“ იქცევს მკითხველის ყურადღებას. როგორც ვხედავ, ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტობას აპირებს. გზა მშვიდობის დამილოცნია, მაგრამ ამ პოემამ ის დამანახვა, რომ ვაჟა-ფშაველას სიმბოლიზმის თვით უაღრესი ნაკლულევანება აუჩემებია. სიმბოლიზმი, როგორც ნატურალიზმი თავის დროს, კარგად თუ იქნა შეგნებული, დიდ სარგებლობას მოუტანს ლიტერატურას, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ კარგად ვერ შეუგნიათ ზოგიერთებს ეს მოძღვრება. სიმბოლიზმის ნაკლულე-

ვანება ის არის, რომ გადამეტებულ საიდუმლოებას ეტანება და მეტად ბუნდოვნად ასურათებს აზრს. ეს ნაკლი ვაჟა-ფშაველას პოემასაც ეტყობა.

*

ჩვენი გაზეთის სიტყვაკაზმულ მწერლობაში — პოეზიაში — სულ ახალი მწერლების ნაწერები უფრო იქცევენ ყურადღებას, ხოლო პროზაში განდეგილის — „მარინე“ და „ამბორი“. მეორეს შინაარსი ბიბლიურია. იქნებ ამის მიზეზია, რომ მოთხრობა თავისი გულუბრუყვილო პოეზიით ხიბლავს მკითხველს. თანაც, მოთხრობის ავტორი იჩენს მეტად სასიამოვნო ორიგინალობას.

თომაანთ კობა თავისი მოთხრობებით მისი ნიჭიერების უეჭველ საბუთს გვაძლევს. მშვენიერი რამ არის მისი „გლეხის სიზმარი“ და დასაწყისი მისი უკანასკნელი მოთხრობისა — „ღმერთს სამართალი არა აქვს“. ამ მოთხრობაში აღწერილმა სიყვარულმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენლებს კიდევ შერჩენიათ ის კუნჭული გრძნობიერებისა, საიდანაც სჩქეფს კაცობრიობის განმაცხოველებელი, მისი განმაახლებელი და გამაძლიერებელი ძალა სიყვარულისა.

კარგი არის აგრეთვე ელეფთერიძის მოთხრობა — „გადაგვარება ოჯახისა“. ავტორმა ხელოვნურად სძლია ტენდენციის ძალა და საკმაოდ ნათლად დაგვიხატა სულის სიძაბუნე, ენერგიას მოკლებული ჩვენი ინტელიგენტისა, რომელიც ერთიორად მეტ სიბრალულს იწვევს ჩვენში მით, რომ გაფუჭებული გრძნობის არ არის. ბეჩავი მონა... სიბრალულის ღირსია, სხვა რიღასი?

*

„კვალის“ სიტყვაკაზმული მწერლობა, ცოტა არ იყოს, მოისუსტებს. მართალია, იქ მონაწილეობას ღებულობს ერთ-ერთი დედაბოძი ჩვენი ლიტერატურისა, მაგრამ როცა მის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი უწინდელი ნაწერები. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წელიწადი აკაკი წერეთლის ნაწერებისათვის ნაკიანი იყო. რაც შეეხება მის მოთხრობას, იგი ჯერ დამთავრებული არ არის, თუმცა ესეც შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის სახელს ვერას შემატებს.

ვაჟა-ფშაველა, აკი მოგახსენეთ, ცრუ სიმბოლიზმს გამოეკიდა-მეთქი. თავისი მოთხრობითაც დაგვიმტკიცა ეს. „მუცელა“-ში ავტორი მოგვითხრობს ამბავს ერთი გაუმაძღარი კაცისას, რომელიც ცხოვრებას სულ სმა-ჭამაში ატარებს. ერთ დღეს მას დევები დაიჭერენ და წაიყვანენ; აწამებენ საწყალს და სტანჯავენ უჭმელობით, სანამ იქამდე არ მიიყვანენ, რომ თავის სულს მიჰყიდის მათ, და არა თუ თავისას, მთელ თავისი სახლობისას. მხოლოდ ამის შემდეგ გა-ათავისუფლებენ დევები მუცელას. ის არც შემდეგ იშლის თავის პირუტყვულ ცხოვრებას. ბოლოს ერთ ომში ტყვედ დაიჭერენ და ჩამოახრჩობენ...

მე მგონია ავტორს სურდა გამოეხატა, თუ რამდენად მავნებელია, და თვით სიცოცხლის მომსპობი, როცა ღმერთად მარტო კუჭს აღიარებ. მაგრამ ეს აზრი ნათლად ვერ არის გამოთქმული. რისთვის არის შემოტანილი ეპიზოდი მუცელას დევებისაგან დაჭერისა? ნუთუ მისთვის, რომ ავტორს ეთქვა, რაც არ უნდა დაანახო კაცს უმნიშვნელობა და არარაობა პირუტყვული ცხოვრებისა, ის მაინც ვერ მოიშლის ამასაო? არა მგონია. უფრო ნამდვილია, რომ ბუნდოვანმა არაკმა გაიტაცა ნიჭიერი მწერალი. ერთადერთი კარგი ადგილი ამ მოთხრობაში ის არის, საცა მოყვანილია სულის, ჭკუის, მუცლის და თვით მუცელას საუბარი...

პირუტყვული ცხოვრება არათუ სულს ჰკლავს, თვით სხეულსაც ასახიჩრებს, უსპობს ძალას და სიკვდილს უახლოვებს. ეს ადგილი ფილოსოფიური არის და საკმაოდ ორიგინალურად გამოხატული. მაგრამ მაინც შორს არის „მუცელას“ ავტორი „შვლის ნუკრის ნაამბობისა“ და „წიფლის ხის“ შემოქმედზე. „კვალში“ დასტამბულ მოთხრობაში დასახიჩრებული სიმბოლიზმია, უკანასკნელებში კი — საღი, ნათელი და პოეზიით აღსავსე სიმბოლიზმი.

დუტუ მეგრელის „საშინელი ქარიშხალიც“ მოკლებულია ყოველ ლიტერატურულ ღირსებას. ეს მეორე მაგალითი ჩვენი მწერლების განვითარებისა. „ქინაქინისა“ და „გოგია და ქანას“ დამწერს— კი მოეთხოვებოდა უკეთესად დაწერილი რამ, თუ რომ ჩვენი მწერლების განვითარება იმავე კანონს ექვემდებარებოდეს, როგორსაც უცხოელ მწერალთა ნიჭის ზრდა.

„კვალ“-ში ისტორიული მოძრაობაც არის დაბეჭდილი: „სვიმონ ხელი“ ვ. ბარნოვისა. ისტორიული მოთხრობა ბევრით უნდა განირჩეოდეს მატეანედან. მართალია, მწერალი ისტორიიდან იღებს არაკს

თავის მოთხრობისას, მაგრამ უფრო სხვანაირად უნდა მას შემუშავება. მოთხრობაში აღწერილია ის ხანა, როდესაც საქართველო სპარსთა და ოსმალთა საბურთაო მოედნად გამხდარიყო და შინაური მტრებიც მოსვენებას არ იძლეოდნენ. სვიმონ, ხელად წოდებული, სპარსეთშია (შაჰ-თამაზის დროს) დატყვევებული, ერთ-ერთი თავისი ქვეშევრდომის ღალატის წყალობით. სპარსეთში ხუდაბანდის გამეფების შემდეგ, სვიმონს ნება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო, თუმცა ამისათვის მაჰმადიანობა უნდა მიეღო.

თავგანწირული მეფე მხნედ შეებრძოლა ოსმალეთს, მაგრამ ტყვეობა როგორღაც სვიმონის ბედი იყო... ოსმალეთის ტყვედაც შეიქნა. ამ ტყვეობის დროს კი იგი სულთანმა მოაწამვლინა. ისტორიული პირები მეტად სუსტად არიან გამოხატულნი და დასურათებულნი. უფრო საყურადღებო ისტორიული მომენტები ვერ არიან საკმაო დრამატიზმით მოთხრობილნი. ფსიქოლოგია სულ არ არის. სიყვარული სვიმონის ქალისა და ათაბაგ მანუჩარისა მეტად საინტერესოს გახდიდა ამ მოთხრობას, თუ რომ ხელოვნურად იყოს აღწერილი. ერთი სიტყვით, ეს მოთხრობა თვით მატიანეს ფურცლებზეც უფრო მოსაწყენი საკითხავია. ისტორიაში (მაგალითად, ჯანაშვილთან) მოკლედ მაინც არის მოთხრობილი ეს ამბავი, აქ კი მეტად გაჭიანურებულია; აღწერილია ომები ძალიან დაწვრილებით, რაც მკითხველს ღლის და მოთმინებას უკარგავს.

სხვა თუ რაიმე იყო საინტერესო „კვალი“-ს სიტყვაკაზმულ მწერლობაში, იმაზე ჩვენი აზრი თავის დროზე წარმოვთქვით.

ჩვენ აქ არ შევხებივართ სხვადასხვა გამოცემებს (როსტომაშვილისა, გოგებაშვილისა, სახალხო იაფფასიანი წიგნებისა და სხვ.) მართალია, ისინი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ცხოვრებისა და ღირსია აღნიშვნისა, მაგრამ მოკლე მიმოხილვაში ვერ ვკისრულობთ მათ გარჩევას.

დავამთავრეთ ჩვენი მოკლე მიმოხილვა და ვუსურვებთ ჩვენს ლიტერატურას გაძლიერებას. ჩვენმა ლიტერატორებმა, რომელთათვისაც ღმერთს ნიჭი მიუცია, უნდა ყოველი ღონე იხმარონ თავისი ნიჭი განავითარონ. ამას კი დიდი შრომა სჭირია. ეხლანდელ ლიტერატორს საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი არათუ მშობლიური, უცხო ქვეყნების ლიტერატურაც; უნდა იყოს ფილოსოფიურად განვითარებული, უამისოდ ყველა ტყუილია.

11. თბილისი, 1896 წლის 9 თებერვალი

წლევანდელი სეზონი დამთავრდა. საზოგადოება დიდი მადლობელი იყო ამ სეზონისა. ეს იმაში გამოიხატა, რომ აღტაცებულ „ვაშას“ დასასრული აღარ ჰქონია უკანასკნელი წარმოდგენის შემდეგ. დაეკითხეთ თბილისის ყველა მკვიდრს და იგინი გიპასუხებენ, რომ წელს დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ბევრად უფრო კარგად წაიყვანა საქმე, ვიდრე სხვა დროსაო და მაგალითად მოიყვანენ წინა წლებს. გამგეობამ წარმოადგინა 8 ახალი პიესა: „იაკობელები“—კოპპესი, „ცეცხლი უკომლოდ“ — შარვაშიძისა, „მადამ სან-ჟენი“ — სარდუსი, „მედეა“ — სუვორინისა, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ — შექსპირისა, „ფიგაროს ქორწინება“ — ბომარშესი, „პირველი ბუზი“ ველიჩკოსი და „ურიელ აკოსტა“ — გუცკოსი. ბევრი შრომა და ხარჯი გასწია გამგეობამ ამ პიესების წარმოსადგენად და ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, „მადამ სან-ჟენი“ ისე მშვენიერად იყო წარმოდგენილი, რომ განცვიფრებაში მოიყვანა ისინიც, რომელთაც ეს პიესა ევროპულ სცენებზე უნახავთ. ქებისა და მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, მაგრამ ყოველ ბრწყინვალე მნათობსაც აქვს შავი წერტილები და ჩვენი მოვალეობა არის სინათლესთან ეს პატარა სიბნელეც აღვნიშნოთ. დარწმუნებული ვართ, თუ ჩვენი აზრი საფუძვლიანად იცნო, გამგეობა ყურადღებას მიაქცევს მას.

უნდა თავიდან მოვიშოროთ ეს უცნაური ჩვეულება, რომ ყოველი საქმე სამადლოდ, საქველმოქმედოდ გარდავქმნათ. უნდა ვეცადოთ, საზოგადოება მოვიზიდოთ ჩვენს წარმოდგენებზე არა იმიტომ, რომ იგი ქართულია და ქართული თეატრის დახმარება ჩვენი მოვალეობაა, არამედ იმიტომ, რომ ამ წარმოდგენებზე სიარული სასიამოვნოა, რომ იგი საზოგადოების ესტეტიური გრძნობების დამაკმაყოფილებელია. ღმერთმა ნუ ქნას და არც გვინდა შევწამოთ ჩვენს საზოგადოებას ისეთი გულგრილობა, ისეთი მტრული განწყობილება ქართული საქმის მიმართ, რომ, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, მაინც გვერდს აუხვევს. მაგრამ თანაც დიდი უსამართლობა იქ-

ნება, რომ საზოგადოებას ვაყიდვინოთ ახპატელოვის გამოცემა იმიტომ, რომ ქართულად ნაწერია, ანდა თეატრში სიარული დავაძალოთ მარტო იმიტომ, რომ იგი ქართულია. ასე რომ არ დაგვემართოს და კარგად მოეწყოს წარმოდგენების საქმე, საჭიროა, გარდა რეპერტუარის განახლებისა, არტისტების განახლებაც. ჩვენს დასს ჰყავს კარგი არტისტი კაცები, მაგრამ აუცილებლად საჭიროა არტისტი ქალების მოპოვება. უამისოდ ვერც ერთი პიესა ვერ მოახდენს კარგ შთაბეჭდილებას. მე მგონია, პროვინციებში მოიძებნება საკმაოდ ნიჭიერი არტისტები, რომლებიც უნდა მოვძებნოთ მხოლოდ და თუ თავდაპირველად რაიმე ნაკლი ექნათ გამოუცდელობის გამო, ამას შემდეგში აიცილებენ, თუკი ნიჭი ექნებათ, რასაკვირველია.

ამასთან, იმასაც უნდა ეცადონ, რომ ზედი-ზედ ერთი და იგივე არტისტი არ თამაშობდეს, ერთ დღეს რომ ერთი ითამაშებს, მეორე დღეს მეორემ უნდა ითამაშოს. ერთფეროვნება მეტად მოსაწყენია, თუგინდ გენიოსი არტისტი თამაშობდეს ყოველ დღე.

წლევანდელი სეზონის დაკვირვება ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კომედიები უფრო ეხერხება ჩვენს დასს. ამიტომ საჭიროა საუკეთესო ევროპული კომედიები ვთარგმნოთ და იგინი წარმოვადგინოთ ხოლმე. კომედიების კარგად აღსრულება შეიძლება იმასაც მივაწეროთ, რომ ოთხი მშვენიერი არტისტი გვყავს კომიკოსი, რომელთაგან ორი დიდი ტალანტითაც არის დასაჩუქრებული. აუცილებელია, აგრეთვე, რეჟისორი უფრო სასტიკად ექცეოდეს არტისტებს და მოითხოვოს მათგან როლების ზეპირად ცოდნა. ძალიან იშვიათად ნახავთ ისეთ პიესას, რომლის როლებიც ჩვენმა არტისტებმა კარგად იცოდნენ. ყოველივე ეს ადვილი აღსასრულებელია და იმედი გვაქვს გამგეობა ეცდება მომავალში მოსპოს ეს ნაკლულევანებანი და ამით უფრო დიდი მადლობით აღავსებს ჩვენს გულს.

კიდევ ერთი შენიშვნა, და ეს კი სულ სხვა საგანს ეხება. დრამატიული საზოგადოება არის მეტად სიმპატიური დაწესებულება. იგი ცდილობს, და უნდა კიდევაც ეცადოს, კარგად წაიყვანოს თეატრის საქმე. ამიტომაც საზოგადოების ვალდებულებაა ყოველნაირი თანაგრძნობა აღმოუჩინოს მას.

თავის მხრით დრამატიული საზოგადოების გამგეობაც უნდა დიდი ყურადღებით ეპყრობოდეს ჩვენს საჭიროებას თეატრის საქმეში

და კარგად უძღვებოდეს მას. ერთი ამ საჭიროებათაგანი, და უაღრესი, იყო სახალხო წარმოდგენების გამართვა. ცალკე პირებმა ვერა გააწყეს რა, რადგან ვერ მიიღეს ნებართვა ვისგანაც ჯერ არს. ამ შემთხვევაში საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა საჭირო ენერგია და, ცოტა არ იყოს გულგრილად მოიქცა, მაგრამ ჩვენ არა ვკარგავთ იმედს, რომ იგი ეცდება ამ საქმის მოწყობას შემდეგისათვის მაინც, და რაც შეიძლება მალე მიაწვდის ხალხს წარმოდგენებს.

12. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ 1896 ᲬᲚᲘᲡᲐ

საზოგადოდ, მთელი ევროპის ლიტერატურა ფხიზლდება, თავს ანებებს, სტოვებს იმ საღათას ძილს, რომელსაც მიეცა ამ რამდენიმე წლის წინათ. გაფაციცებული მუშაობა გონებისა, ამ მუშაობის ნაწარმოებთა სიუხვე, რაღაც ფიცხელი, დაძაბული მიმართულება მთელი ლიტერატურისა იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ახალ გზაზე მგზავრობა დაიწყო ეხლანდელმა ლიტერატურამ. მართალია, ამ მსვლელობას თვალსაჩინო და გენიოსობით აღჭურვილნი ბელადნი არა ჰყავს, მაგრამ ეხლანდელს დროში გენიოსობა როგორღაც ხურდავდება და შეიძლება მათემატიკურ კანონებს დაემორჩილოს, ე. ი. გენიოსები მართალია არა ჩნდებიან ეხლანდელი ლიტერატურის ასპარეზზე, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავალი ფრიად ნიჭიერნი ამშვენებენ სამეუფოს სიტყვაკაზმული მწერლობისას.

ჩვენი ლიტერატურაც საყოველთაო კანონს ემორჩილება და დღითი-დღე იზრდება ჩვენი მწერლების გონების ნაწარმოები. ყოველ წელს თითქმის ახალი მწერალი ჩნდება, და ბევრმა, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდნენ, კარგა მაგრად მოიკიდა ფეხი ლიტერატურაში.

ძველთაგან ეკ. გაბაშვილისამ დაგვაჯილდოვა ამ წელიწადში თავისი ფრიად საინტერესო მოთხრობით, რომლისთვისაც „გამარჯვებული ნიკო“ დაურქმევია (იხ. „მოამბე“ №№ I, II, III). ეკ. გაბაშვილისა, როგორც ქალი, მშვენიერი წარმომადგენელია ჩვენს ლიტერატურაში იდეალური მიმართულებისა. საუკეთესო წარმომადგენელი ლიტერატორი ქალებისა და დიდებული შემქმნელი იდეალური ლიტერატურისა ხომ ჟორჟ ზანდია, და აბა გადიკითხეთ მისი რომანები, რა საუცხოო სფეროებში შეჰყავხართ. ამგვარი მწერლების განსაკუთრებულ თვისებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უფრო იმას გვიწერენ, რაც უნდა იყოს და არა მას, რაც ყოველდღიურ, უგემურ ცხოვრებაში ყოველი ფეხის გადადგმაზე შეგვხვდება. მათ საჭიროდ არ მიაჩნიათ დაგვიხატონ იგი, რაც უმსგავსოებას შეადგენს და სავსე არის უბადრუკობით. მათთვის მნიშვნელობა აქვს საუკუნო,

დაუსაბამო პრინციპებს. ცხოვრების ისეთ მოვლენას აპყრობენ ყურადღებას, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს, რაც ცხოვრების გამაუმჯობესებელია, რაც მის იდეალად უნდა დაისახოს. ნურავინ იფიქრებს მას, რომ ეს კარგად შეგნებული და ჭეშმარიტი რეალიზმის უარყოფა იყოს. სრულიადაც არა. ნუთუ რეალური ნიადაგი მარტო მას აქვს, რაც უმნიშვნელოა, უმსგავსოებით შემოსილა და ცხოვრების გათახსირების მომასწავებელია. ნუთუ ჩვენი აზრები, ჩვენი იდეალური წარმოდგენა ცხოვრებისა, რომელიც რეალური საფუძვლის გარეშე შეუძლებელიც არის, ნუთუ ესეც სინამდვილე და ნამდვილის ცხოვრების მოვლენა არ არის? შემოგფიცავთ, რომ ეკ. გაბაშვილის მოთხრობის არაკი თავის დღეშიაც არ მომხდარა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი ამბავი იშვიათია და ჩვენ, ადამიანთ, ყოველივე იგი, რაც არაჩვეულებრივია, არარსებულად მიგვაჩნია, მაგრამ თუ სხვა მხრით შეხედავთ ამ მოთხრობას და ამ კითხვას დააყენებთ: შესაძლებელი და სასურველია თუ არა, რომ ამა და ამ მოვლენას ამგვარი შედეგი მოჰყვეს, ანდა ეს კაცი ამნაირად შეიცვალოს? მაშინ პასუხად დაბეჯითებით იტყვით, რომ ეს შესაძლებელია და სასურველიც. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ამ ჯგუფის მწერლებს თვალთახედვა აკლდეთ და ცხოვრების საზიზღარ მხარეებს ვერა ხედავდნენ. ჰხედავენ და ძალიან კარგადაც იციან, რომ კაცში ბევრია პირუტყვული, იციან, რომ მას ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ კარგ მხარეებსაც არ ივიწყებენ. არა თუ ივიწყებენ, უპირატესობას კარგ მხარეებს აძლევენ. კაცის პირუტყვული და ადამიანური მხარეების შებრძოლებაში გამარჯვებას უსათუოდ უკანასკნელს უთმობენ. აიღეთ ეკ. გაბაშვილის ზემოხსენებული მოთხრობა. მასში არის ისეთი ტიპი, როგორც ლუარსაბ ჯანბადრუკიანი — გარყვნილი, უზნეო, სალახანა, ბრანძი და ბენძღი, დაბერებული დონ-ჟუანი. მართალი გითხრათ, ასეთი საზიზღარი, ასეთი პირუტყვობით აღსავსე ტიპი ჩვენს ლიტერატურაში იშვიათია. აი იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პატივცემულ მწერალს ცხოვრების სიავე მეტად კარგად აქვს შეგნებული.

სოფლის მასწავლებლის ნიკოს ტიპიც მეტად კარგია. ეს არის კაცი, რომელიც მარტო აზროვნებითა ცხოვრობს, რომანტიული ქმნილება და გატაცებული იდეალისტია. ესეც სინამდვილესთან ახლოს არის და თავიდან ბოლომდე კარგად არის დაცული ერთიანობა ამ ტიპისა.

მასწავლებელი ქალი ლიზა, რომელსაც ძალაუნებურად მიუყვია ხელი მასწავლებლობისათვის, რომელიც ფუფუნებაში აღზრდილია თავდაპირველად და რომელსაც უკვე ასვია ფუქსავატი ცხოვრების ღრმა ბეჭედი, ხელოვნურად დაუსურათებია ავტორს. მისი უეცარი გატაცება იასონ ჯანბადრუკიანით, მისივე დაცემა სრულიად უბრძოლველად, — ეს ყოველივე შედეგია იმ აღზრდისა, იმ უაზრო ცხოვრებისა, რომლის მსხვერპლი იყო ლიზა, მაგრამ ეს დაცემა მისი ახალი დაბადების წინამორბედადაც შეიქნა. და აი აქ იხატება იდეალისტობა ეკ. გაბაშვილისა. ნუთუ მხოლოდ უბედურებას შეუძლია კაცს ბედნიერების გზა აპოვნინოსო?! კითხულობს ავტორი ბოლოს და პასუხს მისივე მოთხრობა გვაძლევს: უბედურება გახდა ლიზას შემცველელი, თვალების ამხილველი.

აიღეთ ეხლა იასონი, ეს დათიკოს („გლახის ნაამბობი") ღვიძლი ძმა: უსაქმური, გაცვეთილი და ზნეობით გარყვნილი ახალგაზრდა, რომელიც ყოველთვის იმას ფიქრობს, აბა რომელი ქალი მოვიგდო ხელშიო. იგი ჭეშმარიტი მემკვიდრეა მისი მამისა. მაგრამ ავტორის ადამიანური სიბრალულით სავსე გული აქაცა სჩანს. ავტორი რაღაც სიმპატიისებურ გრძნობას იწვევს ჩვენში. ამ ყმაწვილის მიმართ მისი გატაცება როგორღაც გულწრფელად გვეჩვენება. ავტორმა ისიც არ დაგვანახვა, მიატოვებდა თუ არა ამ ქალს იასონი. მამა ჩაერევა საქმეში და იასონს ძალაუნებურად მიატოვებინებს ლიზას და რუსეთში გაგზავნის. იქ მალე დაივიწყა „სატრფო გულისა", სულ სხვა აზრებით გაიმსჭვალა და სატრფიალო აზრად ის გაუხდა, რომ „უეზდის ნაჩალნიკობა" ეშოვნა თავის საყვარელ კახეთში. ამაზე ზევით არ მიდიოდაო, ამბობს იგი, ჩემი დიდების სურვილი. კახეთში რომ ჩამოვა, ლიზას ამბებს გაიგებს, ნახავს, რომ ნიკოს ლიზა შეურთავს და ადამიანური ცხოვრება დაუწყია. ყოველივე ამის ნახვა საგონებელში ჩააგდებს და ავტორი რეალურ საფუძველს არა სცილდება. როცა მოთხრობას ამთავრებს იასონის ამ სიტყვით: „შენის დახმარებით, — წერს იგი დედას, — და ნიკო ბერიშვილის ლოცვა-კურთხევით ჩემი მოქცევაც შესაძლებელი შეიქნება". ჩვენ კიდევ არ ვიცით, მოიქცევა იგი, თუ არა, მაგრამ უფრო დასაჯერებელი კია, ავტორის აზრით მაინც, რომ იგი მოიქცევა. მართალია, თავის გარდაბადებას ძალიან ცუდი სურვილებით აზავებს, „მამა ჩემის ავადმყოფობა მიხარია, მალე ჩემი სახლი ჩემ საკუთრებად შეიქნება და მამაჩემის ბატონო-

ბის ქვეშ აღარ დამჭირდება ჩვეულებრივი მონური მოძრაობაო“. მაგრამ აქაც ავტორის სინამდვილის ცოდნა იხატება. გაქსუებული და გაპირუტყვებული იასონის ასე არსებითად შეცვლა შეუძლებელი იყო.

ჩვენ იმდენად გამსჭვალული ვართ დღევანდელ აზრთა მიმართულებით, რომ ასეთ იდეალურ სფეროებში როგორღაც თავისუფლად ვერ ვსუნთქავთ, თავი ბურანში გვგონია და გვეხამუშება რაღაც. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის, რომ ამ მოთხრობის ეპილოგი აღარ გვეჩვენება მოხერხებულად და ასე გვგონია დასახიჩრებულია სინამდვილეო. ამ ეპილოგში აღწერილია ამბავი მოთხრობის პირების „გარდაბადებისა“. ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ეს გარდაბადება, ეს შეცვლა ყოვლად შესაძლებელია და სინამდვილეს მოკლებული არ არის. და სინამდვილედ, რასაკვირველია, მარტო ის კი არ უნდა მიგვაჩნდეს, რაც ჩვენ თვით თვალით გვინახავს და რაც ყოველ წუთში ხდება. ნამდვილია ისიც, რაც იშვიათად ხდება, რაც შესაძლებელია მომავალში და აუცილებლად მოსალოდნელია, როგორც ამას გვაუწყებს ჩვენი თვალთნახული ფაქტი. სინამდვილეა თუ არა, უნდა გავხადოთ ნამდვილად ის იდეალიც, ის სურვილიც, ის აზრიც მწერლისა, რომელიც გვეუბნება ეს ასე უნდა იყოს აუცილებლადაო. ამ აზრსაც, რასაკვირველია, მტკიცე რეალური საფუძველი აქვს.

ხოლო რატომ არის, რომ ეს ნაწილი მოთხრობისა მაინც როგორღაც გვეჩოთირება? ჩვენა გვგონია, რომ ეს „გარდაბადება“ არ არის საკმაოდ ვრცლად, დაწვრილებით აღწერილი. ეს თვით უფრო მძიმე მომენტია მოთხრობისა და საკმაოდ საფუძვლიანად უნდა იყოს შემუშავებული. შეიძლება ეხლანდელობას ვერც ავტორი გაქცევია და მიუხედავად მისი იდეალური არსებისა, დღევანდელ აზრთა მიმართულებას დაღი დაუსვამს მასზე და როგორღაც სიმტკიცით, ღრმა დარწმუნებით ვერ გვიხატავს ამ სურათს გარდაბადებისას; როცა სწერს თითქოს გონება გულს ერჩის, შებრძოლებია; გული ეუბნება, ეს ასე უნდა იყოს, გონება, სინამდვილის ცოდნა კი — ეს ასე არ არისო. ეს ბრძოლა ცივი გონებისა და ლმობიერი გულისა თავისებურ ელფერს აძლევს ამ ნაწილს მოთხრობისას. ასე გგონიათ, ავტორი სწერს და თანაც ფიქრობს, ვაი თუ არ დამიჯერონო. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ნაწარმოებმა ნიჭიერი მწერალი ქალისამ.

სრულიად საწინააღმდეგო გრძნობების გამომხატველნი არიან ჩვენი ახალგაზრდა მწერალნი, რომელთა შორის შიო არაგვისპირელმა უკვე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. და მასთან ერთად, განდეგილმა და ან. დეკანოზიშვილმა, ერთმანეთის დამოუკიდებლად, შექმნეს ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურაში. იგინი სწერენ პატარ-პატარა მოთხრობებს, აღსავსეს პოეზიით, და ღრმა ფსიქოლოგიის ცოდნას იჩენენ ამ პატარა ნაწყვეტების წერაში. მაგრამ თუ ეკ. გაბაშვილისა იდეალისტია და ოპტიმისტი, ესენი მეტის-მეტ პესიმისტობას ჩემულობენ.

აიღეთ მაგალითად შ. არაგვისპირელის ეტიუდი „ჭეშმარიტად“ და იქ ნახავთ უტყუარ საბუთს იმისას, რომ ავტორს დიდი ფსიქოლოგიური ნიჭი აქვს და მასაც, რომ ეს ნიჭი ერთ დონეზე კი არ შეჩერებულა, როგორც სხვა ქართველ მწერლებს სჩვეულიათ, არამედ თანდათან ვითარდება და იზრდება. საშინელი ეჭვი, რომელიც პეტრე მოციქულს სდევნის, სულს უხუთავს და იმდენად სტანჯავს, რომ თმებს აგლეჯინებს და ფიზიკურ ტკივილებს აგრძნობინებს, საუცხოოდ აქვს დასურათებული ავტორს ამ თავის საუკეთესო ეტიუდში. იშვიათია ლიტერატურაში ასეთი სინამდვილით გაგება პეტრე მოციქულის დიდებული არსებისა. ამ გონიერ სკეპტიკს, რომელიც ყოველ ფაქტს ეჭვის თვალით უყურებს, მეცნიერს, რომელიც ყოველივეს დასაბუთებას ითხოვს, არ ძალუძს ცხოვრება თვინიერ სარწმუნოებისა, მას სწადიან რწმენა, ილტვის ამ რწმენისაკენ გულით, მაგრამ გონება მისი საშინელი დაუჯერებელი და შეურყეველია. გულისა და გონების ამგვარი ბრძოლა მეტისმეტად მოქანცავს, დატანჯავს და სულიერად უძლურს ხდის. ამ დროს გამოჩნდება მარიამ მაგდალინელი და ქრისტეს აღდგომას ახარებს: „ჭეშმარიტად!... მარიამ... შენ?!“ დაბნევით გაიძახოდა პეტრე მოციქული და მარიამ მაგდალინელს მხურვალედ ჰკოცნიდა, თითქო ამას ელოდაო; თითქო არც კი გაეგონოს მარიამის სიტყვები, ისე წამოისროლა „ჭეშმარიტად“, იმიტომ, რომ ან იგი „ჭეშმარიტად“ უნდა ეთქვა, ანდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ეს ისეთი ბუნებაა. რომელსაც სურს სწამდეს და თანაც ეს რწმენა აღაგოს მისგან ნახულ და შეგნებულ უტყუარ ფაქტზე, და თუ ეს არ შეიძლება, მაინც უნდა იპოვოს რწმენა, ანდა აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა. უნაყოფო ეჭვი, უმნიშვნელო და უსარგებლო სკეპტიციზმი იმის ბუნებას ვერ ეწყობა. არა-

გვისპირელის დანარჩენ მოთხრობებზე უნდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ყველა დიდი ნიჭითა და ცხოვრების ცოდნით არის დაწერილი: მისი „ბეჩავ, რადა ჰკლავ“ მაღალი პოეზიისა და მომხიბვლელი ფანტაზიის პირმშო შვილია, „მხრებიღა ავიჩეჩე“ და „ხითხითებს და ხითხითებს“ მოპასანის პესიმისტური მოთხრობების მსგავსია და მათვე უახლოვდება იმითაც, რომ, ასე გგონია, ავტორი რაღაც სიამოვნებას ხედავს, რომ კაცი ასე დაცემულია. მართალია, ეს სიცილი უფრო კბილთა ღრჭენაა და ამ სიამოვნებას სარჩულად აღელვებული და აღშფოთებული გრძნობები უდევს, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ავტორი არ მიეჩვიოს ამას და მარტო გონების სათამაშო მასალად არ მიიჩნიოს ცხოვრების სიბილწის გამოხატვა... უაზრო კაცთა სიძულვილის გრძნობების გულგრილი მაუწყებელი არ შეიქნეს. ამით, რასაკვირველია, არ მინდა ვაძაგო შ. არაგვისპირელის ზემოხსენებული მოთხრობების სიუჟეტი, ანდა ვთქვა, რომ სინამდვილეს მოკლებული იყვნენ. პირიქით, იგინი მეტად ნამდვილია და სამართლიანიც. მწერალმა, თუ სიბინძურეა ცხოვრებაში, უნდა დაგვანახვოს, და ისეთი სიბილწის შეთხზვა მწერალს არ შეუძლია, რომ ცხოვრებას უარესი მაგალითი არ ეჩვენებიოს. მაგრამ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მას, თუ რა გრძნობას უშლის ავტორს მისგანვე დასურათხატებული ცხოვრება და ცხოვრების მოვლენა. აი, აქ არის საჭირო დიდი სიფრთხილე, რომ ავტორმა მისგანვე დახატული სურათები სასიამოვნო და გონების სათარეშო საგნად არ მიიღოს.

ან. დეკანოზიშვილი ერთ ეტიუდს მოგვაწვდენს ხოლმე ორი და სამი წლის განმავლობაში. აქ საყვედური მხოლოდ იმის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევას არ გვაძლევს ხშირად დავტკბეთ მისი ხელოვნურად შემუშავებულ და ღრმა გრძნობებითა და აზრებით აღსავსე ეტიუდებით. მაგრამ ამაზე მას შეუძლია გვიპასუხოს, „რა რომ ტურფა გაიაფდესო“, და ჩვენც ენა უნდა მოვიკვნიტოთ, მით უმეტეს, თუ ეს სიძუნწე ავტორისა იმის შედეგია, რომ მეტად დიდი მორიდებითა და მოკრძალებით უცქერის ლიტერატურულ შრომას, რაც მხოლოდ დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს.

განდეგილის „ფერია“, „კვალის“ უკანასკნელ ნომერში დასტამბული, მთელ წერილს დაიჭერს, თუ შევუდგებით იმ გრძნობათა და აზრთა გამორკვევას, რომლითაც სავსეა ეს პატარა ეტიუდი. სუ-

ლითა და გულით ვულოცავთ ქ-ნ განდეგილს ასეთი ნიჭიერი მოთხრობის დაწერას და ვუსურვებთ, რომ ზრდა მისი ნიჭისა არ შეფერხებულიყოს. სხვა მწერალთა ნაწარმოებებს შორის უნდა აღვნიშნოთ ცახელის პოემა „ნაკადი“, რომელიც მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს სიმბოლიური ნაწარმოებისას, და ეტიუდები: თომაანთ კობასი („ადე, ჩიტუნია!“, „ივერია“ № 1 და „მთაო მაღალაო“, „კვალი“ № 35) ილ. ელეფთერიძის („ღუღუნი“ და „პირველი შხამი“) და გ. ლი-ს („ელზასელი ქალი“).

13. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(გ. საღარაძე — „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“)

ჩვენ მოგვივიდა გ. ი. საღარაძის თხზულება (?) „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“. გვგონია, რომ გ. საღარაძეს კორექტურული შეცდომა მოსვლია, რომ სიტყვა „ნათარგმნი“ გამოუტოვებია. ამ წიგნაკის უმთავრესი ნაწილი არის თარგმანი გაცფელდტის „სალიტერატურო კრიტიკის პრინციპებისა“, რომელიც 1895 წელსაა გამოცემული. არ არის ნაჩვენები არც ერთგან, რომ ავტორი ხელმძღვანელობდა ამ პატარა წიგნაკით. რა ვიფიქროთ, არ ვიცით. შეიძლება ბ-ნ გაცფელდტსა და ბ-ნ საღარაძეს ერთი და იგივე აზრი მოუვიდათ და ერთისა და იმავე სიტყვებით მოიწადინეს ამ აზრის გამოთქმა. ეს კია, რომ გაცფელდტის წიგნი რუსულ ენაზედ უკვე 1895 წელს არის გამოსული, ბ-ნ საღარაძისა კი 1896-ის დამლევში. თუ ფაქტებს მომთხოვთ, აი ბატონებო. გაცფელდტი, გვ. 12 და 13, საღარაძე, გვ. 23 და 24.

ახსნა სხვადასხვაგვარი კრიტიკისა, სხვადასხვაგვარი კრიტიკის ღირსებისა და ნაკლულევანების და ფორმაც სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილია (იხ. 25, 26, 27, 28, 29, 30 და სხვა ბ-ნ საღარაძისა და გვ. 20, 25, 28, 29, 31, 32, 33 და სხვა ბ-ნ გაცფელდტისა). საკვირველი შეხედულება აქვთ ჩვენს მწერლებს თარგმანებზე. ასე ჰგონიათ, რომ რაც უნდა უნიჭო თხზულება დასწერონ, მაინც მეტ სახელს მოიხვეჭენ, ვიდრე დიდებული მწერლის რომელიმე ნაწარმოების გადმოთარგმნით. რა უშავდა, მაგალითად, ბ-ნ საღარაძეს „კორექტურული“ შეცდომა გაესწორებინა და თავის სახელის ზემოთ სიტყვა „ნათარგმნი“ დაესტამბინებინა? გარწმუნებთ, უფრო დიდი მადლობელი ვიქნებოდით და ეხლა კი... თვით ბრძანოს რა სახელი ჰქვიან ასეთ მოქმედებას. ვინ იტყვის იმას, რომ ჩვენი მწერლები არა სესხულობდნენ უცხოეთის მწერლების აზრებს, მათ გავლენის ქვეშ არ იყვნენ? ვინ არ იცის, რომ ორიგინალური აზრების ფილოსოფოსს, ან კრიტიკოსს საქართველო ეხლა აღარ ბადებს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ცოტა მაინც უნდა ეტყობოდეს კაცს ორიგინალო-

ბა, სიტყვები მაინც უნდა იხმაროს თავისებური და თუ ესეც არა აქვს, თუ კომპილიაციას ადგენს, თუ მისი თხზულება გამოჩენილის მწერლის ნაწარმოების ნაგლეჯებიდან შედგება, ეს მაინც უნდა ინებოს, რომ მოიხსენიოს, რომელი მწერლის თხზულებითა ხელმძღვანელობდა.

*

ბ-ნ მ. ი. საღარაძის პასუხად

ყოველთვის ვერიდებით და არა გვსურს, რომ პოლემიკაში ჩაბმით საზოგადოებას თავი შევაწყინოთ, ამიტომაც ველარ გამოვეკიდებით ბ-ნ საღარაძის უცნაურობას. მხოლოდ ეს უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მედიატორთა სამართალი გადავაქციოთ სათამაშო საგნად, ჩვენ ვას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ და ჩხირკედელაობად არ მიგვაჩნია, როგორც ზოგიერთ ჩვენს ლიტერატურული ზნეობის ვითომდა დამცველებს.

ბ-ნმა საღარაძემ თავის თავზედ უკვე განაჩენი დაადგინა იქ წინასიტყვაობით, რომელიც მიაკერა თავის შესანიშნავ წიგნაკს ჩვენი ბიბლიოგრაფიის შემდეგ.

ბ-ნი საღარაძე იქ ბრძანებს: „დამატებაში (?!), სხვათა შორის, როგორც სამეცნიერო მასალით, ჩვენ ვისარგებლეთ გაცფელდტის წიგნით, რომლიდგან ამოღებული ცნობები (?!) (ცნობები კი არა, ბ-ნმა საღარაძემ თარგმნა სიტყვა-სიტყვით „სხვადასხვაგვარი კრიტიკის სქემის დადგენა“, „სხვადასხვაგვარი კრიტიკის ღირსებანი და ნაკლულევანებანი“) მე-20, 22, 23, 24, 25, 26, 27 და 28-ე გვერდზე არის მოყვანილი ჩვენს წიგნშიო“. ჩვენც ამის მეტი არა გვითქვამსრა ჩვენს ბიბლიოგრაფიაში. ჩვენ ვაუწყეთ საზოგადოებას, რომ რამდენიმე გვერდი, საუკეთესონი და უმთავრესნი, ბ-ნ საღარაძის ნაწარმოებში ნათარგმნი იყო და არ იყო აღნიშნული არავითარი ნიშნით და არც მოხსენებული. საიდან ისარგებლა. ეხლა თავისი წიგნაკისათვის დაურთავს წინასიტყვაობა, (ვიმეორებთ, ჩვენი ბიბლიოგრაფიის შემდეგ) და თან იმასაც ამტკიცებს, 1/4-დის მეტი არა გვისესხნიაო. სამართალში არავინ აძლევს ბ-ნს საღარაძეს. კანონიც

რომ სჯიდეს ამისათვის. მაგრამ ლიტერატურული მართებულება და წესიერება კი დარღვეულია, რასაც აღიარებს. აქ საზოგადოებაზე უკეთეს მედიატორთა სამართალი არც მოხერხდება და არც საჭიროა ვისიმე შეწუხება.

ბოლოს ვუცხადებთ, რომ ის ბიბლიოგრაფია მეკუთვნოდა მე. და რადგან მაშინ „ივერიის“ რედაქციაში ვიყავი, ბიბლიოგრაფიებს სახელს არ ვაწერდი.

14. ჩვენი თეატრი და მისი ბედ-იღბალი

წლევანდელი სეზონი ქართული დრამატიული სცენისათვის შავ-ბედიანი და შავ-ღღიანი იყო. გულგრილ საზოგადოებას, თავისი გულგრილობის გასამართლებლად და დასასაბუთებლად, ჩვენი სცენის და სცენის მოხელეების უვარგისობა ჰქონდათ თითით საჩვენებლად. სამართლიანობა და მართებულობა თხოულობს აღვიაროთ, რომ საზოგადოებას მართლაც ჰქონდა უფლება ზურგი ეჩვენებინა ჩვენი თეატრისათვის. უვარგისი რეპერტუარი, უვარგისი წარმოდგენა დადგმული პიესებისა, მართლაც ისეთი პატივსადები მიზეზებია. რომ არავითარი ზნეობა არ გვაძლევს ნებას ჩვენი საზოგადოების გულგრილობას ვუსაყვედუროთ. მართალი რომ ვთქვათ, ჩვენი საზოგადოება ისეთი ღრმა სენითა და გულცივობით არის შეპყრობილი, შექსპირის დრამებისთანა დრამებიც რომ შეთხზათ ქართული ცხოვრებიდან და ევროპის საუკეთესო არტისტები ქართველებად აქციოთ და ქართულ სცენაზე გამოიყვანოთ, მაინც ვერ აღაფრთოვანებთ მას და ვერ გამოიყვანთ საღათას ძილისაგან. ამ საღათას ძილს ისეთი ღრმა მიზეზი აქვს, ამ აპატიას, ამ საზიზღარ გულგრილობას ისე ღრმად გაუდგამს ფესვები ქართველი საზოგადოების გულ-ღვიძლში. რომ ასე მცირეთი ამ ავადმყოფობისაგან განკურნება წარმოუდგენელია. ქართველი კაცი გულგრილად ეკიდება მარტო თეატრს კი არა. ყოველგვარ საზოგადო საქმეს და პირადსაც, რომელსაც რაიმე ნიშანწყალი აქვს საზოგადოებრივობისა. აიღეთ თუნდაც ოჯახი, -- ეს საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ეს თავდაპირველი უჯრედი, ისიც ისეთივე პატივცემულია, ისეთივე ყურგდებულია ქართველისაგან, როგორც მისი თეატრი, სასწავლებელი, ჟურნალ-გაზეთობა და სხვა ორიოდე (მეტი ან სადა გვაქვს) საზოგადო დაწესებულება.

ეს ხომ ასეა. და ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ არავინ დამწამოს, ვითომ საზოგადოებას ვესარჩლებოდე და მის გულგრილობას ვამართლებდე ამგვარი სუსტი საბუთებით. მე მხოლოდ იმას ვამბობ. რომ რაკი, ამ შემთხვევაში, დანაშაულია თვით საქმე ჩვენი თეატრი-

სა, უფლება არა გვაქვს საზოგადოებას ბრალი დავდოთ და საყვედური ვუთხრათ.

ვინ არის მაშ დამნაშავე? განა დიდი ფიქრია საჭირო: დრამატიული საზოგადოების კომიტეტი, დრამატიული საზოგადოების კომიტეტი და კვლავ დრამატიული საზოგადოების კომიტეტი.

განა დიდი თავისტეხაა საჭირო ამისთანა ადვილად ასახსნელი საგნისათვის? ესეც არ იყოს, აქ ჩვენ რამდენიმე კაცს ტალახი უნდა ვესროლოთ, რამდენიმე კაცი უნდა ჯვარს ვაცვათ და ეს ისეთი სასიამოვნო რამეა, ისეთი საწადელია ქართველი კაცისათვის, რომ საცოდაობაცაა გამოაცალოთ ხელიდან ასეთი სასროლი ჭიზანი. გადაგვარების გზაზე მედგრად და ამაყად მივდივართ და გადაგვარებული კაცის გრძნობით მდიდარნი ვართ, რასაკვირველია. სხვისი გაქელვა, გაკიცხვა, სხვისთვის ლაფის დასხმა ჩვენთვის ისეთ სანეტარო საგნად შექმნილა, რომ ყოველივეს დავთმობთ, თვით ჩვენს ღირსებას, პატივს, სახელს ვანაცვალებთ ამ დიდ საქმეს.

არც ის მინდა, რომ ამით დრამატიული საზოგადოების კომიტეტის დამცველად, მის აპოლოგეტად გამოვიდე, არ მინდა ვთქვა, რომ ეს კომიტეტი არაფერში არ იყოს დანაშაული, არ მსურს გავათავისუფლო იგი პასუხისგებისაგან. მე მხოლოდ ის მინდა, უფრო ნამდვილი მიზეზი გამოვიძიოთ, რათა ტყუილუბრალოდ დამნაშავის სკამზე არავინ დავსვათ.

რაღა თქმა უნდა, დრამატიულ კომიტეტში არიან ისეთივე ადამიანები, როგორც ყველა ჩვენა ვართ. არც ერთი გმირი და გენიოსი არ ურევია, მაგრამ ბევრი მათგანი პატიოსანი და რიგიანი, თავგანწირული მშრომელია. როგორც არა გმირებს, არ შეეძლოთ გმირული რამ ჩაედინათ, როგორც უბრალო მომაკვდავთ, ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მათ მეცადინეობას ისეთი მიზეზები, ისეთი გარემოებანი ეღობებოდნენ წინ, რომ მათთვის ძნელი იყო ამ გარემოებათა ძლევა.

ეს გარემოებანი, ეს ხელისშემკვრელი მიზეზები მეტად რთულნი და მრავალგვარნი არიან, მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და მახლობელი გახლავთ — ჩვენთა მსახიობთა კრებული. თქვენ თქვენსავე წინააღმდეგს ამბობთო, — იტყვის მკითხველი. გინდოდათ ღრმა მიზეზები მოგეძებნათ, თვით ჰკიცხავდით სხვათა მიერ ბრალის დადებას და ახლა კი თვით იტვირთეთ ბრალმდებლობა და საწყალ მსახიობთ მოსდექითო. შესცდებით თუ ამას იტყვით, ბატონებო. მე აღვნიშნე მხოლოდ უმარტივესი, უფრო თვალთსაჩინო და ნამდვილი

მიზეზი, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო ღრმა მიზეზები აქვს კიდევ, და თუ გინდათ ქართველი საზოგადოების გადაგვარების მაგალითები ნახოთ, ქართველ არტისტთა კრებული გაიცანით. ღმერთო ჩემო, არ მოეპოვებათ არავითარი დისციპლინა, არავითარი პატივისცემა, არავითარი რიგიანობა და თავაზიანობა, არავითარი სიყვარული საქმისა, არავითარი შეგნება თავისი მოვალეობისა, სიამაყის, მედიდურების, უკმეხობისა და გაუზრდელობის მეტი, და, რაც ყველაზედ უარესია, არავითარი სიყვარული თავისი თავისა და თავისი ნიჭისა. ვისაც სურს დრამატიულ კომიტეტს ჩირქი მოსცხოს, უკეთესია მიბრძანდეს ქართული პიესის რეპეტიციების დროს და ნახავს ეს საზოგადოებისაგან რჩეულნი, რომელნიც ყოველგვარი ჯილდოს გარეშე რამდენიმე საათს ჰკარგავენ დღეში, რა მდგომარეობაში არიან და რა გარემოებათა შორის იმყოფებიან.

ჩვენს სცენას ისეთი მსახიობები ჰყავს, რომ ევროპის სცენაზედაც კი სახელს მოიხვეჭდნენ. ნიჭი დიდი აქვთ, და თუ ამ ნიჭს ქართველობას და ქართველურ აპატიურ ხასიათს ჩამოაკლებთ, მაშინ დიდი არტისტები გამოვიდოდნენ. ჩვენს სცენაზე კი თავის დღეში როლსაც არა სწავლობენ, ისეთი როლებიც კი არ იციან, რომელნიც ათიათასჯერ უთამაშნიათ. ჩვენი სცენის დამამშვენებელნი, დიდი ნიჭით დაჯილდოებული არტისტნი ერთხელაც არა ფიქრობენ, რომ ამ ნიჭს მოუარონ, ამ ნიჭს ფრთა გააშლევინონ, განავითარონ, ერთხელაც არ მოუვათ სურვილი რომელიმე ახალ პიესაში ახალი როლი შეისწავლონ (შესწავლას ვინა სჩივის, უბრალო დაზეპირებაც ეძნელებათ). ბ-ნ ალექსი-მესხიშვილს ხმა არ უვარგა, მაგრამ, საოცარია, საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავს; და ეს იმიტომ კი არა, რომ ქართველი საზოგადოება მართლა ისე დაბეჩავებული და ყოველ ესთეტიურ გრძნობას მოკლებული იყოს, არამედ იმიტომ, რომ ეს დიდი ნაკლიც კი ვერ უსპობს მომხიბვლელობას მის ძლიერ არტისტულ ნიჭს... ამისდა მიუხედავად, არავითარ ყურს არ უგდებს თავის ნიჭს, სრულიად უყურადღებოდ და მოუვლელად აქვს იგი მიტოვებული და, სხვას დაეხსენით, თავისის ბენეფისის დროსაც ისეთს უმსგავსო ქმნილებას წარმოგვიგდენს ხოლმე, როგორიც „უპატიოსნონი არ იბადებიან“ იყო. საოცარი აღმსრულებელი „შეშლილისა“, „ურიელ აკოსტასი“, „ფრანც მოორისა“ და სხვათა, ასეთ უხერხულსა და უმნიშვნელო პიესებს აწოდებს საზოგადოებას თავის სადღესასწაულო წარმოდგენაზე. შესანიშნავი კომიკური ნიჭი ბ-ნ აბაშიძისა (შე-

სანიშნავია და გასაოცარი ისიც, რომ არ არის ქვეყანაზე არტისტი, რომელიც იმაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს თავის ნიჭს, იმაზე ნაკლებსა ფიქრობდეს და ზრუნავდეს ამ ძვირფასი განძისათვის, მაგრამ მაინც სიძლიერე მისი ნიჭისა ყოველ სიტყვაში თავს იჩენს) ხურდავდება და წვრილმანდება, ფრთები ეკვეცება და თავისუფლად ნავარდობას მიჩვეულ, ვიწრო გალიაში გამომწყვდეულ არწივს ემსგავსება უმსგავსო სამასხარო ვოდევილებში.

სხვების შესახებ ხომ ლაპარაკიც არა ღირს, არა ღირს იმიტომ, რომ ტყუილად დროსა და შრომის დაკარგვაა.

მთელს ჩვენს არტისტთა დასში სამი ადამიანია, რომელნიც სინიდისიერად ეპყრობიან საქმეს: ქ-ნი საფაროვა, ჩერქეზიშვილი და ბ-ნი გედევანოვი. ისინი ყოველთვის რიგიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ყოველ შენიშვნას ყურადღებას აქცევენ და ნიჭს ტყუილად არ ახდენენ, პირიქით, ყოველ ღონესა ხმარობენ გააფართოონ და განამშვენიერონ იგი.

რატომ დრამატიული საზოგადოების კომიტეტი არ გამოიჩენს უნარს კარგი პიესების წარმოდგენისას? ჩანს, არ ესმის თავისი საქმეო. — იტყვის, ალბათ, მკითხველი.

ვთქვათ, არ ესმის... და რომ ესმოდეს კიდეც, გამოვა რამე? აბა სთქვას კომიტეტმა, ესა და ეს პიესა ითამაშეო, რა საქმეს დამართებენ არტისტები. ერთს ცხვირი ასტკივდება, მეორეს — გული, მესამეს — თვალი და მეორე დღეს აფიშაზე წამოჭიმულს ნახავთ კომიტეტის არჩეული პიესის მაგიერ „უპატიოსნონი არ იბადებიან“-ს და სხვათა მსგავსთ.

მერე რას უყურებენ, რატომ ჯვარს არ აცმევენ ამგვარ არტისტს?

— კარგი, ვთქვათ, ამ მხრივ დრამატიული კომიტეტის წევრები გულგრილობასა და ხასიათის სისუსტეს იჩენენ, მაგრამ საქმე ის არის, გაკეთდება რამე იმითი, რომ ჯვარს აცვან ესა თუ ის არტისტი? არა, ბატონებო, ამით ძნელია მოვალეობის ასრულების სურვილი აღუძრა კაცს...

„ჩვენში ეთიკა დაეცაო“, — ხშირად ამბობს ერთი ჩვენი დიდებული კაცთაგანი. ეს არის მიზეზი ყოველივე უბედურებისა, რომ „ეთიკა დაეცა“ და რაკი ხალხი ეთიკას დაკარგავს, რაკი ზნეობრივი წარმოდგენა გაირყვნება, მისი საქმე ცუდად არის. ეთიკის დაცემა და რომისა და საბერძნეთის ქვეყნიდგან აღგვა ერთი იყო. ამ „ეთი-

ის დაცემასაც“ თავისი ღრმა მიზეზები აქვს. ხელისშემწყობი გარემოებანი და ეს ყველამ კარგად იცის. საქმე მხოლოდ ის არის, რომ სხვა საზოგადოებაც ყოფილა იმავე გარემოებასა და მდგომარეობაში. როგორშიც ჩვენი, სხვა საზოგადოებასაც ჰქონია მრავალი მიზეზი გარყვნისა და გათახსირებისა. მაგრამ დროზე შემდგარა. დროზე გამოფხიზლებულა. ჩვენ კი... თითქმის დავკარგეთ ეს დრო და თუ უკანასკნელი ღონე არ მოვიკრიბეთ, ენერგიითა და მხნე შრომისმოყვარეობით არ აღვიჭურვეთ. წასულია საქმე.

*

არანაკლებ საკვალიფიკაციოა სათეატრო საქმისათვის ის, რომ ჩვენი დრამატიული ხელოვნების ლიტერატურა მეტად ღარიბია წარსულია და აწმყოთი. დღემდე გ. ერისთავის კომედიები უნდა საუკეთესოდ ჩაითვალოს ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში. ეს კი შეიძლება ითქვას, რომ ორიგინალური პიესების წარმოდგენის შესახებ ეს ეზონი ჩვეულებრივს არა ჰგავს. წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა: ერთი სამმოქმედებიანი კომედია ბ-ნ ლი-გ-ისა და მეორე სამმოქმედებიანი დრამა ბ-ნ ავ. ცაგარლისა. მართალია, ბ-ნ ლი-გ-ის პიესა ბუსტია, როგორც პირველი ცდა. მაგრამ ამასთან ღირსებაცა აქვს. რომელიც ნებას აძლევს ავტორს განაგრძოს ამ სფეროში შრომა და მუშაობა. მართალია, ერთი მოთხრობა იმავე ავტორისა, რომელიც „მოამბეში“ იყო დასტამბული, გვიმტკიცებს, რომ ავტორის ნიჭს პროზის წერა უფრო ეხერხება. მაგრამ არც ეს კომედიაა მოკლებული ნიჭიერების ნიშან-წყალს.

პირველი და უმთავრესი ღირსება ამ პიესისა ცოცხალი ენა და ცოცხალი დიალოგებია. რაც სცენისათვის დაუფასებელია; ღირსებაა პიესისა ისიც, რომ ავტორმა ორიოდე ტიპი ხელოვნურად დაგვესურათა.

არტურ გასპარიჩ ზანციანი — ეს ღვიძლი შვილი გ. ერისთავის „ეუნწისა“, დროისა და გარემოების შესაფერად ტყავგამოცვლილი, გაიძვერაა. იგი, თავის წინაპარივით, ფულის მაღმერთებელია... კარგად ჰყავს ავტორს დასურათებული კოხტა და ცქრიალა ნინო, სიცოცხლით აღსავსე ადამიანი, რომელმაც ყოველ გარემოებაში იცის, როგორ უნდა მოიქცეს და ყოველ გარემოებას ხერხიანად და რიგიანად ხმარობს; მიხეილ ბაჭუტაძე — გაკოტრებული თავადიშვი-

ლი, რომელიც შულერობასაც კი არ მორიდებია თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სიმდიდრის შესაძენად, საბრალო ქალის გაუბედურებასაც არ უშინდება. ძალიან მოხდენილი ტიპია „ერთი პატივცემული კნეინაც“, რომელიც დატრიალებს და დარბის, იქნებ ვისმე რამე წაგლიჯოს რაიმე საქველმოქმედო აზრით. ორი-სამი სიტყვით ცოცხლად არის დახატული ეს ჩვენი ცხოვრების წარმოშობილი ტიპი.

ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს იგი, რომ ვერ არის სიუჟეტი კარგად შემუშავებული. სიუჟეტი დრამატულია და, როგორც პირადად ჩვენ ვიცით, უწინ ავტორსაც ამისდა მიხედვით ჰქონია იგი შემუშავებული, ეხლანდელ მის ვარიანტში კი უფრო ვოდევილსა ჰგავს. რადგან უკანასკნელი მოქმედება სწორედ ვოდევილის ფერსა სდებს ამ კომედიას.

დრამატიულს ხელოვნებას ტექნიკის მხრივაც ეტყობა ავტორის გამოუცდელობა, რადგან ადგილ-ადგილ გაჭიანურებულა სცენები და სრულიად უმნიშვნელო ელემენტებია შერეული. (მაგალითებრ, სცენა გლეხისა და გლეხი კაცის ქალისა, თუმცა ლამაზი სცენაა, უადგილოა).

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ავტორს ისიც, რომ ორი უფრო საინტერესო ტიპი ამ პიესისა ორი ახალგაზრდა (ლევან ანდუყაფარიძე და კოტე მარაძე) ჩრდილში დააყენა.

ჩვენი ახალგაზრდობის სულისკვეთების გამოხატვა, მისი ამა თუ იმ გარემოებათა შორის მოქმედება, შებრძოლება ამ გარემოებასთან და ამ ბრძოლაში მისი ხასიათის დასურათება მეტად მიმზიდველ საგანს უნდა შეადგენდეს ჩვენი ლიტერატორებისათვის. თუ ამას გაურბიან, უთუოდ საგნის სიდიადისა ეშინიათ, ანდა ძალი არ შესწევთ საგნის სავსებით დახატვისა. მაგრამ ის კი არ შეგვიძლია მივიღოთ მხედველობაში, ვითომ ჩვენს ცხოვრებას არ შეექმნას ინტელიგენტთა ტიპი. ნუთუ ხშირი არ არის ჩვენში ახალგაზრდა ინტელიგენტი, რომელიც პირველად მაღალი იდეალებით ყოფილა გატაცებული და ბოლოს ცხოვრების სიბეჩავეს ჩაუთრევია მორევში, რომ, ინტელიგენტის კი არა, ადამიანის სახეც კი დაუკარგავს? ნუთუ ცოტაა ჩვენში ინტელიგენტი, რომელსაც სასტიკი ბრძოლა ცხოვრებისათვის იდეალად დაუსახავს და ყველას სრესს ამ პრინციპით წარწერილი დროშით ხელში? ნუთუ ცოტაა ინტელიგენტი, რომელსაც თავისი გარყვნილი ბუნების გასამართლებლად პესიმისტური ცინიზმი სარ-

წმუნოებად ულიარებია და მის ქურუმად გამხდარა? და, ბოლოს, განა ცოტაა ჩვენში ახალგაზრდა ინტელიგენტი, რომლის ცხოვრებაც უდიადესი დრამის საუკეთესო სიუჟეტად გამოდგება? ცოტაა ინტელიგენტი საზოგადო ცხოვრების უვარგისობისა და უმნიშვნელობისაგან გულმოკლული და სამუდამოდ დატანჯული? განა ცოტაა ისეთი, რომელიც ცრემლს აფრქვევს თავისი უბედობის გამო, რომელსაც, რასაკვირველია, კიდევ და კიდევ საზოგადო სარჩული უდევს? ნუთუ ცოტაა ინტელიგენტი, რომელსაც მრავალი კეთილი სწადდა და დღესაც სწადიან თავისი სამშობლოსათვის და რომლის სიცოცხლეც მოშხამულია, რომ ამ კეთილისათვის ვერ მიუღწევია. რომელიც დასტირის თავის სიცოცხლეს, უმნიშვნელოდ დაკარგულს და უარაოდ გამქრალს? განა ცოტაა ინტელიგენტი, რომელიც კერძო და საზოგადო მწუხარებით ისეა დატანჯული, რომ სიამოვნებაზე აღარა ფიქრობს და თავგანწირული ელის სიკვდილს, ერთადერთ ნუგეშს და მომასვენებელს ტანჯულთათვის? მიბრძანდით საზოგადოებაში, დაკვირდით ჩვენს ახალგაზრდობას და ნახავთ, რომ რაც უნდა მხიარული იყოს იგი, თვალებში და შუბლზე მაინც ღრმა მჭმუნვარების ბეჭედი ასვია, ჩაუკვირდით მიზეზს ამ მჭმუნვარებისას, შეიგნეთ მიზეზი, რის გამოც ეს ახალგაზრდათა რაზმი უდროოდ დაბერებულა და დაბეჩავებულა და მაშინ დამეთანხმებით, რომ უკეთესი სიუჟეტი დრამისათვის, როგორც დღევანდელი განათლებულის, რიგიანი ყმაწვილი კაცის სულის მდგომარეობაა, ძნელად მოიპოვება. მაგრამ სადღაა და როდის გამოჩნდება მწერალი ჩვენი დროის ახალგაზრდათა სულის მჭმუნვარების გამომსახველი, მათი სულიერი ბრძოლისა და გულმომწყვლელი სევდის დამასურათხატებელი? ნუთუ ისე ჩაინთქება საუკუნის მორევში ეს ახალგაზრდობა, რომ ერთ კაცს ვერა ნახავს, მისი მრავალგვარი სურვილის, იმე ისა და სასოწარკვეთილების გამომხატველს, მისი გრძნობების შეჭგნებელსა და მისი ტანჯვის თანამგრძნობელს?!.

ბ-ნ ავქ. ცაგარელი, „ხანუმას“ ავტორი. ცნობილია ჩვენში, როგორც კომედიების მწერალი და ხშირად ისეთი ტიპები დაგვიხატა ამ კომედიებში, რომლებიც კიდევ დიდ ხანს მიიზიდავენ საზოგადოების ყურადღებას. ხოლო ეხლანდელი მისი დრამა კი უსუსტესთა შორის უნდა ჩაითვალოს. დრამას ეტყობა, რომ სცენისმცოდნე ადამიანისა-

გან არის დაწერილი, ეტყობა, რომ ავტორს სცენის ეფექტები კარგადა აქვს შესწავლილი და ისიც უნდა დავუმადლოთ ავტორს, რომ დრამა გაჟიანურებული არაა. მაგრამ ყოველივე ამის გარდა „გულჯავარი" მაინც დრამა არ არის. დრამას აზრადა აქვს ბრძოლა გამოხატოს ხასიათისა ხასიათთან, ხასიათისა სხვადასხვა გარემოებასა და პირობასთან, აზრადა აქვს დაგვანახვოს ადამიანის თვისებების შებრძოლება, მოვალეობისა და სხვადასხვა გრძნობის შეტაკება გვაჩვენოს. ავტორმა ეს კარგად იცის და რამდენიმე მომენტი აიღო ასეთი ბრძოლისა, მაგრამ ბრძოლის დასაწყისი გვაჩვენა და ბოლოს კუდი მოაჭრა, აღარც ბრძოლა გამოვიდა და აღარც კინკლაობა.

შურისძიებით სავსე ლეკი ქალი გულჯავარ სიყვარულით ხიბლავს ორ ქართველ თავადიშვილს, ორ მეგობარს --- ლევანსა და რამაზს. უნდა ორივე თავისი აზრის განხორციელებას ანაცვალოს --- ირაკლი მოაკვლევინოს და სისხლი აიღოს.

დრამატიული ბრძოლის საგანი არის ლევანის მდგომარეობა: ქალისაკენ სიყვარული იწვევს, ხოლო მოვალეობა მამულიშვილისა ირაკლის ერთგულებას ურჩევს. ამ ბრძოლაში რომ არის ლევანი და მაყურებელიც გატაცებულია, აბა რით გათავდება ეს ბრძოლაო, ამ დროს ძველი deus ex maelina გაჩნდება; გამოდის ლევანის აღმზრდელი კაცი და გულჯავარის უსაქციელობას დაუმტკიცებს, დაარწმუნებს, რომ ქალი რამაზსაც ეტრფიალებაო. ეს ლევანს ქალზე გულს ააყრევინებს და უეცრად დრამატიული ბრძოლა წყდება. მეორე მომენტი იყო კიდევ სადრამო: ლევანის შურისძიებისა და მეგობრული გრძნობის შეტაკება. ლევანი შეიტყობს, რომ ჩემს მეგობარსაც უყვარს გულჯავარიო. აღშფოთდება, მაგრამ მეგობრული გრძნობაც ასე ადვილი გამოსამეტებელი არ არის. ამითაც შეეძლო ესარგებლა ავტორს, მაგრამ ეს გარემოება სულ უყურადღებოდ დაუტოვებია.

დრამა თავდება გმირთა თვითმკვლელობით. რაც დაჩლუნგებული იარაღია სერიოზული გრძნობების აღსაძვრელად. თავიდან ეს დრამა მაყურებელს აინტერესებს, ხოლო ბოლოს სასოწარკვეთილებას მოგვრის და სრულიად უკმაყოფილოს, თითქმის გაჯავრებულს ატოვებინებს თეატრს, რადგან მოლოდინი არ გაუმართლდება. სამწუხაროა, დავსძენთ კიდევ, რომ ავტორმა უფრო კარგად არ შეი-

მუშავა საინტერესო სიუჟეტი. ეს კი უნდა ითქვას: რაც უნდა კარგი ყოფილიყო დრამა, ჩვენმა მსახიობებმა ისე საძაგლად აღასრულეს, რომ ვერ იმოქმედებდა საზოგადოებაზე.

ამგვარ მდგომარეობაშია წლევანდელი ჩვენი თეატრის საქმე. ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში გაუმჯობესდება ეს მდგომარეობა? უნდა ვიქონიოთ, თუმცა შეიძლება ამ იმედს ცოტა საფუძველი ჰქონდეს და სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რადგან უამისოდ ცხოვრება შეუძლებელია.

15. ჩვენი ახალგაზრდობა

(ჩემს მეგობრებს)

დადგება თუ არა ზაფხული, მთელი ჩვენი ქვეყნის კუთხე-ყურე მოიფინება ჩვენი ახალგაზრდობით. ზოგი მათგანი ემზადება უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად, ზოგი სწავლობს ამ უმაღლეს სასწავლებელში, ზოგს კი დაუმთავრებია სწავლა და დაბრუნებულა სამუდამოდ თავის მიწა-წყალზე, „სად არის დაბადებული და სადვე ჩავა საფლავსა".

ეს დრო მეტად სამხიარულოა ყველა ჩვენგანისათვის. ჩვენი ბედკრული ქვეყანა დიდი ხანია მოკლებულია ყოველივე სიამოვნებასა და სიხარულს და ერთად-ერთი მისი პერიოდულად გამომაფხიზლებელი ეს დროა, როცა ჩამოიკრიბება ხოლმე მრავალი ჩვენი ახალგაზრდათაგანი. ყოველი ქვეყანა აღტაცებით უყურებს თავის ახალგაზრდობას, რომელშიაც თავის მომავალსა ჰხედავს, თავის უკვდავებას შეჰხარის. მართლაც, რა არის ახალგაზრდა, თუ არა ყვავილი, ეს გვირგვინი მცენარისა, რომელიც მომავალი ყვავილის მშობელი და შემაერთებელი ხიდია, განუწყვეტელი ჯაჭვია ახლო წარსულისა და შორი მომავალის შორის.

ბედნიერი ადამიანი შეჰხარის შვილს, რადგან იმედი აქვს ამ ბედნიერებას კიდევ უფრო განუმტკიცებს, ხოლო უბედური ადამიანი, ბედკრული მშობელი შვილისაგან მოელის ხსნასა და შველას, მისგან მოელის ნუგეშსა და სიხარულს. გრძნობა შვილის სიყვარულისა ბედნიერ მშობელსაც აქვს მინიჭებული და უბედურსაც, ხოლო, თქმა აღარ უნდა, ეს მეორე უფრო ინტენსიურად გრძნობს ამ სიყვარულს, რადგან იგი შეიცავს, შვილის სიყვარულის გრძნობის გარდა, სასოებას, იმედსა და ნუგეშს მისი უიღბლო ცხოვრებისას.

როგორც ბედნიერი, ისე უბედური ერი შეჰხარის თავის მომავალს, ახალგაზრდობას, ხოლო მეორე მთელ თავის იმედსა და ოცნებას ამყარებს ამ ახალგაზრდობაზე, მისი კეთილი მომავლის ერთ-ერთ საფუძვლად და დედაბოძად იგი მიაჩნია და ამიტომ, რაღა საკ-

ვირველია, თუ სიყვარული და აღტაცება უბედური ერისა თავისი ახალგაზრდობის მიმართ უფრო ძლიერია და... სასოწარკვეთილება, იმედის გაცრუებისაგან გამოწვეული, უფრო გულის მომწყვლელი და დამტანჯველი.

მთელი ევროპა და რუსეთიც უჩივის თავის დღევანდელ ახალგაზრდობას. საუბედუროდ ჩვენდა, ჩვენს ახალგაზრდობასაც იგივე საყვედური შეხვდა, და დღე არ გაივლის ან თვით ამ ახალგაზრდათაგან, ან ძველთაგან არ გაიგონოთ საჩივარი ამ ახალგაზრდობის შესახებ.

საფუძვლიანია თუ არა ეს საჩივარი, ეს საყვედური, ამას შემდეგში დაინახავს მკითხველი.

1

საგნის შესახებ შეიძლება მხოლოდ შედარებითი მსჯელობა იქონიო კაცმა. შეადარებ საგანს ან მისსავე მსგავს საგანს და გამოირკვევ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას, ანდა შეადარებ საგანს შენგან შექმნილ იდეალს და იმისდა მიხედვით მსჯავრსა სდებ ამა თუ იმ საგანს.

თუ გვინდა დავაფასოთ ჩვენი ეხლანდელი ახალგაზრდობა, უნდა შევადაროთ ბრწყინვალესა და დიდებულ ახალგაზრდობას მესამოცე წლებისას. გამოვირკვიოთ, რა თვისებები ჰქონდა იმ ახალგაზრდობას, რომ ასეთი სახელი მოიხვეჭა, შეძლო ისეთ დროში მუშაობა, მთელი საზოგადოება გამოაფხიზლა, მისცა აზრი მწერლობას, მიძინებულ ერს იდეალი დაუსახა, შექმნა საერო საგანი. ხალხს ნაციონალური თვითცნობიერება დაუნერგა. გარდა ამისა, შეებრძოლა თაობას ერთობ ღონიერს სოციალურ და მატერიალური მდგომარეობით და დაამხო იგი. დასცა ამ თაობისაგან აფრიალებული ძველი დროშა გამოურკვევლობისა, მელაძუობისა და ქვეყნის საქმეების შესახებ გულგრილობისა. ეს ისეთი ძნელი და გმირული საქმე იყო, რომ დღეს არ შეგვიძლია სავსებით წარმოვიდგინოთ ამ მოვლენის სიდიადე.

პირველი და უდიდესი თვისება იმ თაობისა გახლდათ დიდი ტალანტი, დიდი ნიჭი, დიდი სურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებული მეცადინეობა და ენერგია.

მეორე ფრიად დიდმნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მათი თვისება გახლდათ ისა, რომ ყველანი თვისებით იდეალისტები იყვნენ. თვისებითმეთქი, რომ ვამბობ, ამით ის მინდა ვთქვა, რომ მათი სულიერი არსება, მათი ფსიქოლოგიურის ბუნების საფუძველი იდეალური იყო, მიუხედავად იმისა, თუ რა მეცნიერულ, ანუ ფილოსოფიურ მოძღვრებას აღიარებდნენ: მატერიალიზმსა. თუ იდეალიზმს.

საოცარი ის არის, რომ ყოველი ქვეყნისა და ყოველი დროის საზოგადოების დიდებულ მეთაურს, მის ყოველ რიგიან წინამძღოლს ეს იდეალური თვისება ჰქონიათ, სულ ერთია მატერიალისტები იყვნენ ისინი, თუ იდეალისტები, ოპტიმისტები თუ პესიმისტები, ათეისტები თუ თეისტები.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს იდეალური თვისება?

ნუ შევეხებით ფილოსოფიურ მნიშვნელობას ამ სიტყვისას და მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რა აზრით ვიხმარეთ ეს სიტყვა.

იდეალისტად მიგვაჩნია ის კაცი, რომელიც სულიერ მოთხოვნილებას უფრო მაღლა აყენებს ხორციელზე, ხორცის მოთხოვნილებას უქვემდებარებს პირველს, მას ანაცვალებს. იგი სტოვებს ყოველდღიურ ბრმა და უგუნურ მოთხოვნილებას პირადობისას. მის პირუტყვულ ეგოისტურ გრძნობებს და ქვეყნისა და სამშობლოს მომავალზე ფიქრსა და ზრუნვას სწირავს თავის სიცოცხლეს.

იდეალისტი ამბობს: მართალია, ჭამა გვინდა და სმა; ერთგვარი ცხოველი ვართ, პირუტყვული გრძნობების დაკმაყოფილება გვინდა, მაგრამ ყველა ეს უნდა უკუვაგდოთ; თუ გვსურს „საქმითა ჩვენითა“ უკვდავება მოვიპოვოთ, თუ გვინდა წუთიერი ცხოვრების დაკარგვის შიშს თავი დავაღწიოთ, უნდა ეს მოთხოვნილებანი შევიზღუდოთ, მოვიკლათ კიდევაც, რათა უფრო დიდსა და ამამაღლებელ, განმასაუკუნოებელ მოქმედებას შევსწიროთ ჩვენი სიცოცხლე და ცხოვრება; უნდა თავი დავდვათ ქვეყნისა და სამშობლოს მოღვაწეობისათვის, კაცობრიობის ჭირ-ვარამზე ზრუნვისათვის.

ასე ამბობს იდეალისტი აზრებით, ასე იქცევა იდეალისტი თვისებით. და ამგვარი თვისება არის არსებითი, აუცილებელი თვისება საზოგადოებისა და ქვეყნის ყველა დიდებული და გინდ მცირე მოღვაწისა. შეიძლება იგი მატერიალისტი იყოს აზრით, იძახოდეს, სული რას მიქვიან, ხორცისა და მისი მოთხოვნილების მეტი არა არსებობს-რაო. შეიძლება დარწმუნებული იყოს (რასაკვირველია, მხოლოდ გონებით, და არა გულით), რომ ყოველი ჩვენი წრფელი, უმანკო და

დიდებული გრძნობა დამყარებულია ბინძურსა და პირუტყვულ-ეგოისტურ მოსაზრებაზე, რომ ყოველი ეგრეთწოდებული იდეალური გრძნობა ოცნებაა და ოცნებისაგან გადაკეთებული გრძნობა პირადი ინტერესებისა და სურვილის დაკმაყოფილებისა. შეიძლება არა სწამდეს არცერთი მოქმედება, რაიცა კაცს უახლოვებს იდეალურ არსებას, არც სიყვარული (იგი მარტო ფიზიოლოგიურ მოვლენად მიაჩნია), არც გრძნობა მშობლიური. არც მეგობრობა, რომელიც მარტო პირადი სარგებლობისათვის შეკრულ კავშირად მიაჩნია; შეიძლება, ჰელვეციუსს არ იყოს, საზოგადოდ კაცისათვის შეუძლებლად მიაჩნდეს თავისი მოყვასის სიყვარული; შეიძლება უარჰყოს სიდიადე თავგანწირულობისა. მისი ძლიერი ალტრუისტული გრძნობები მორალისტების გამოგონებულად მიიჩნიოს, მაგრამ მისი არსება მაინც მის მოქმედებაში უფრო გამოჩნდება. და თუ ამ მოქმედებით იგი იჩენს იმავე თვისებებს, რაც ზემოთ ჩვენ იდეალისტს მივაწერეთ, იგიც იდეალისტი იქნება გულითა და სულით, მატერიალისტი და ეგოისტი მხოლოდ აზრით.

აღლეთ ეხლა რომელიმე კაცი, რომელსაც სწამს და აღიარებს, რომ ადამიანის სულია უმთავრესი და ხორცი თითქმის არაფერი. სწამს (ესეც მარტო გონებით, რასაკვირველია) ადამიანის ამამაღლებელი გრძნობის არსებობა, თაყვანსა სცემს ამ გრძნობებს, მჭერმეტყველობით აღსავსე სიტყვებით ქებაობა-ქებას უძღვნის ამ გრძნობათა სიდიადე-სიმშვენიერეს. ეს კაცი მაინც უსაშინელესი მატერიალისტია და ეგოისტი სულითა და გულით, თუ მოქმედებს ისე, რომ მარტო ხორცს ემსახურება. მარტო ქვენა გრძნობების დაკმაყოფილებასა ცდილობს. მარტო თავისი „მე“ გაუხდია კერპად, რომელსაც უხვად აწირავს მსხვერპლს. კეთილი აზრები ასეთი კაცის პირში მხოლოდ გაბინძურებულია და წაბილწული.

რაკი ასეთი განსაზღვრა აღვნიშნეთ აზრითა და მოქმედებით იდეალისტთა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ მესამოცე წლების ახალგაზრდობა იდეალისტები იყვნენ მთელი თავისი არსებით, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება აზრით მატერიალისტი იყო, ეგოისტური ფილოსოფიის მოწაფე და ადამიანთა პირუტყვობის თეორიის აღმსარებელი; სულითა და გულით, მთელი თავისი ნიშიერი და ცხოველი არსებით საზოგადო ინტერესების დამცველნი და მსახურნი იყვნენ. პირად ფუფუნებასა და კმაყოფილებას სიამოვნებით სწირავდნენ საზოგადო საქმეს. ზოგ მათგანს შიმშილითა და მეტი შრომით უდრო-

ოდ მოღებია ბოლო ამ მძიმე, მაგრამ სახარბიელო სარბიელზე ბრძოლაში.

მესამე დიდებული თვისება ამ თაობისა იყო რწმენა თავისი თავისა, თავისი საქმის სამართლიანობის და აუცილებლობისა, რწმენა თავისი გამარჯვებისა.

ხოლო რწმენა თავისი თავისა ეს ის მედიდურობა და ყოყოჩობა კი არ არის, რომელიც ავადმყოფურ მოვლენას შეადგენს, რომელიც გადაგვარებისა და მოსპობის მაჩვენებელია, რომელიც ნიშანია გონების დაქვეითების და გრძნობის მოჩლუნგებისა. ეს არის რწმენა იმისა, რომ შრომა მოიტანს ნაყოფს, რწმენა, რომ ადამიანს, როგორც ასეთს, შეუძლია ყოველივე: იგი მეფეა ბუნებისა და თუ მეფე არა, უძლიერესი ქვეშევრდომი მაინც ამ ბუნებისა. ასეთი რწმენის მქონეს არავისზე უკეთესად და უმაღლესად არ მიაჩნია თავისი თავი, მხოლოდ ადამიანის ყოვლისშემძლეობა სწამს და ერთ ადამიანად, რასაკვირველია, თავისი თავიც მიაჩნია. ხოლო, თუ გამოურკვევლად გრძნობს თავის ძლიერებას, ისე როგორც ყოველი კაცი გრძნობს რაიმე ფიზიკურ ძალას არსებაში, ეს კიდევ მეტ ძალასა და ღონეს უმატებს მას. ამგვარი რწმენა კი ერთგვარი ჰიპნოზია, ერთგვარი თავის თავის შთაგონება, რომ სურვილი და შრომა ამ სურვილის სისრულეში მოყვანისა ბადებს ცხოვრებას ინტენსიურს, ძლიერსა და ნაყოფიერს.

კაცი, გონებადაჩლუნგებული და უშინაარსო, რიხიანობს და მაღლად ყვირის თავის თავის შესახებ, როგორც ცარიელი ურემი. ხოლო კაცი, გონიერი და სპეტაკი სულით, თავის მოვალეობად ხდის დაუღალავ ბრძოლას ბოროტის წინააღმდეგ. კარგად იცის მან ნაკლულევანება კაცის ბუნებისა, კაცის სიძაბუნე და სილაჩრე. მაგრამ კარგად იცის აგრეთვე სიდიადე კაცის სულის ძლიერებისა, ადამიანის მხნეობისა და ენერგიისა. თავის თავი იმდენად სწამს, იმდენად მიაჩნია მხოლოდ, რამდენადაც იგი ადამიანია, ერთი უბრალო მომაკვდავი. მაგრამ მომაკვდავთაგან უძლიერესი, ცხოველი, მაგრამ ცხოველთა მეფე, მონა ბუნებისა, მაგრამ მისი ძლიერი მონა, მონა, რომელიც ძალიან ხშირად თვით ბატონობს და ბუნებას კი ყმად გაიხდის ხოლმე. როცა ასეთი კაცი დაბეჯითებით ამბობს რაიმეს, ლაპარაკობს კაცის ძლიერებაზე, როცა ყოველი მისი სიტყვა აღსავსე იმედითა და სასოებით, მაშინ თავისი თავი კი არა აქვს მხედველობაში, არამედ — მხოლოდ საზოგადოდ ადამიანი.

თუ მესამოცე წლების ტალანტი ბუნებისა და განგებისაგან მინიჭებულ საჩუქრად უნდა ჩაითვალოს, სამაგიეროდ ის მიმართულება სულისა, ის საზოგადოებრივი ინსტინქტების განვითარება, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ ეს ადამიანები, უნდა მიეწეროს ზოგი, რასაკვირველია, განგების მოწყალებას, ზოგი თვით ისტორიული ხანის ზეგავლენას და უმეტესი ნაწილი კი პირადი ენერგიით, ცდითა და ჭრომითაა მოპოვებული.

რაკი საზოგადოებისათვის სამსახური მათ ბუნებრივ მოთხოვნილებას შეადგენდა, ცდილობდნენ აღჭურვილიყვნენ დროისა და ვარემოების შესაფერისი იარაღით და ამ იარაღად ცოდნა-განათლება ჰეიჩნიეს. სწორედ საუკეთესო წარმომადგენელთ ამ თაობისას ეტყობათ იგი ცოდნა და განათლება, განათლება ნამდვილი და ჭეშმარიტი, არა მარტო გონებისა, არამედ სულისა და გრძნობისაც.

რაც შეეხება ცოდნას, ცოდნაც არის და ცოდნაც. შეიძლება ეხლანდელი თაობა უფრო მეტი ფაქტების ცოდნით იყოს აღჭურვილი, შეიძლება მათი თავი უფრო გავსილი იყოს ათასნაირი ციფრებითა და თეზისებით, ათასნაირი მაგალითებითა და მეცნიერული გამოცდილებით, მაგრამ ამათ აკლიათ ნიჭი ამ ფაქტების განაწილებისა, მათი აე-კარგის შეგნებისა, ფაქტებისაგან თეორიებისა და ჰიპოთეზების გამოყვანა ვერ მოუხერხებიათ, ამ ფაქტებით ვერ უხელმძღვანელებიათ რომელიმე აზრის დასასაბუთებლად, მათ აკლიათ ძალი გონებისა განმანათლებელი, განმაცისკროვანებელი უსისტემოდ თავმოყრილი ფაქტებით აღვსილი ტვინისა. არა აქვთ ის სული, ის დიადი ძალა ზნეობრივი და გონებრივი არსებისა, რომელიც საჭიროა, რომ ფაქტებითა და მშრალი ცოდნით აღჭურვილ გონებას გზა უჩვენოს, სინათლე დაანახვოს და კარგად მოანელებიოს საკვებავი. შეიძლება ეხლანდელი თაობა უფრო დაწვრილებით მოგიყვეთ ამა თუ იმ ისტორიული ცხოვრების მიმდინარეობას, სულ ზეპირად გითხრათ რომელიმე მწერლის, გინდ ფილოსოფოსის ნაწერები, გაკაოცოთ სხვადასხვა მეცნიერული ფორმულებისა და თეორიების ცოდნით, მაგრამ სულს ვერ ჩაუდგამს ამ თავის ცოდნას, ვერ მიხვდება „მოვლენათა შორის დაფარულ კავშირსა“, ვერ შეძლებს ზნეობრივი დასკვნა გამოიყვანოს ლოგიკურად ამა თუ იმ ისტორიული და ბუნებრივი მოვლენისაგან.

ის მიემსგავსება იმ ძუნწს, რომელსაც აუარებელი განძი აქვს და თვით კი ბოლოკსა და დამპალი ყველის მეტს არასა სჭამს, სიცივითა

ჰკლავს შვილსა და ყოველგვარ სიამოვნებას იკლებს, რათა ოქრო ოქროს მიუმატოს, არ იცის კი რად. ის მიაგავს იმ უმეცარს, რომელმაც კარგად იცის თესვა და მკა, კარგად იცის ხვნა და ფარცხვა, ბუნებასთან შეკავშირებულია გარემოებით, მაგრამ თავის დღეშიაც ვერ გაუგია პოეზია და ფილოსოფია ბუნების ცხოვრებისა; ვერ გაუგია ბუნების დიად მოვლენათა მარტივი მიზეზები და თვალებდაჭყეტილი. გაოცებული შეჰყურებს ყოველ მოვლენას, სრულიად ადვილად ასახსნელსა და გასაგებს.

შეიძლებამეთქი, ვამბობ, მესამოცე წლების ახალგაზრდობის მეთაურებს არა ჰქონდათ ამგვარი მშრალი, უსისტემო ცოდნა, შეიძლება ფაქტიური ცოდნა მათი ვიწროდ იყო შემოფარგლული, მაგრამ სამაგიეროდ ორი-სამი ფაქტის ცოდნა კმაროდა მათთვის, რომ გაეგოთ ფარული მიზეზი მოვლენისა, მოვლენის ძირითადი კანონები. მისი არსებითი მხარე. ამგვარი ნიჭი ცოდნის მოხმარებისა შეადგენდა კიდევ ერთ ძვირფას თვისებას ამ თაობისას, წარმოადგენდა ძლიერ იარაღს მათს ხელში.

არანაკლები ძალა იყო ამ თაობისათვის ისიც, რომ შორსმხედველობის, გამჭრიახობისა და გაგებულობის წყალობით თავისი ცხოვრებისა და მოქმედების პროგრამა გამოირკვიეს, შეიმუშავეს და წინადვე განსაზღვრულ გზას მისდევდნენ. ყველას საერთოდ ერთი მიზანი ჰქონდა ამოღებული ნიშანში და თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ერთ აზრს, ერთ იდეალს ემსახურებოდნენ. არ შეიძლება კაცრაკი ცხოვრებაში სამოქმედოდ გამოსვლას დააპირებს, დაჯდეს, დაიდვას ქაღალდი და აღნუსხოს, აი ამა და ამ საგანზე, ამა და ამ აზრს გამოვთქვამო. ეს შეუძლებელია და არც სასიამოვნო და სასარგებლო. ცოცხალმა ადამიანმა ვიწროდ შემოფარგლოს თავისი ცხოვრება. კაცი, მისი ბუნება, მისი აზრი ყოველ ჟამს იცვლება, მაგრამ ამ ცვლილებაში ევოლუციის კანონებს ექვემდებარება და არა კატასტროფისას და რევოლუციისას. კაცი შეიძლება მომხრე იყოს ამა თუ იმ ისტორიულ ხანაში ამა თუ იმ დასისა და იმდენად საჭიროდ მიაჩნდეს გამარჯვება ამ დასისა და იმ აზრისა, რომელსაც იგი იმჟამად იცავს, რომ სხვა თავისი განსხვავებული აზრი დროებით დაფაროს და არ გამოთქვას, ხოლო რაკი ეს დასი დაიჭერს გამარჯვების ტახტს, მაშინ ბევრ მათ აზრს შეებრძოლოს, რომ უფრო ადვილი გასაგები შეიქნეს ეს აზრი, საჭიროა ისტორიულ ფაქტებს მივმართოთ. ნაპოლეონ III-ის მეფობის დროს ყველა მოწინავე დასი შეერთდა, რათა მთე-

ლი ერის დამღუპველ მტარვალს შებრძოლებოდნენ. ხოლო როცა იგი დაამხეს, განცალკევდნენ და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა, თავისი იდეალების განსახორციელებლად. როცა მონარქიულმა ტენდენციამ თავი წამოჰყო ბულანჟიზმის სახით, რადიკალთა და ოპორტუნისტთა დასები შეერთდნენ მტერთან საბრძოლველად. დაამხეს თუ არა ბულანჟიზმი, ამ ორ პარტიათა შორის ატყდა ბრძოლა, რომელიც დღესაც არ გათავებულა. ამასწინათ საფრანგეთში რადიკალთა სამინისტრო იყო და სოციალისტები მათ მხარს იჭერდნენ, რათა ოპორტუნისტები დაემხოთ. ეჭვი არ არის, თუ რადიკალებს გაემარჯვათ და მათი დასი გამეფებულიყო, სოციალისტები მათ დაუწყებდნენ ბრძოლას. ამგვარი ცვლილება აზრისა, უფრო ხერხია დიპლომატიური და პოლიტიკური, ყოველთვის მოსალოდნელი და არც უსარგებლოა...

ყველა ეს, ვამბობ, აუცილებელია ცხოვრებაში და ამიტომაც ძნელია წინდაწინვე გადასწყვიტო ამა და ამ საგანზე უთუოდ ყოველთვის ამ აზრს წარმოვთქვამო და ამ შემთხვევაში უთუოდ ასე ვიმოქმედებო. იმ კაცისთვის, რომელიც საზოგადოების სამსახურისათვის ემზადება, საჭიროა მხოლოდ გაირკვიოს მთავარი აზრი თავისი მოქმედებისა, შეიმუშავოს მტკიცე და შეურყეველი აზრი ქვეყნისა და თავისი მიწა-წყლის უმთავრესი, არსებითი საჭიროებისა და ჭირ-ვარამის შესახებ. მერმე აღარა სჭირიარა; ეს ისეთი სახელმძღვანელო იქნება მისი, რომ ყოველ სხვა საქმეში ადვილად გაიგნებს გზასა და კვალს, ადვილად მოისაზრებს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ შემთხვევაში. აი ეს მთავარი აზრი თავისი სამშობლოსა და ქვეყნის საჭიროების შესახებ, გარკვეული ჰქონდათ მესამოცე წლების ჩვენს ახალგაზრდობას, ფანატიკურად იყვნენ გამსჭვალულნი ამ აზრით და მისი წყალობით თამამად და უშიშრად მიდიოდნენ ჩვენი ცხოვრების ეკლითმოფენილ გზაზე. თუ ბოლო დროს ზოგიერთმა მათგანმა ეს გზა დასტოვა, ზოგმა აღარ მოისურვა ამ გზაზე თამამად სიარული, თუმცა პლატონიურად კი მაინც წინათ გარკვეული აზრის მოტრფიალე იყო. ეს უნდა მიეწეროს უფრო სხვა გარემოებებს. ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ არა ჰყავდათ ღირსეული შთამომავლობა, ღირსეული მემკვიდრე მათი აზრებისა და გრძნობებისა. ამან, რასაკვირველია, გული აუცრუვათ საქმეზე და სასოწარკვეთილებას მისცა იგინი. ზოგი ჩვენი ცხოვრების არარაობისა და ბეჩაობის ბრალიცაა...

თავისი მხნეობის საფუძველსა და მასაზრდოებელ წყაროს კიდეკ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ჰპოებდნენ, ერთმანეთს მხარს აძ-

ლევდნენ, ერთმანეთით აღტყინებულნი, ერთმანეთის მანუგეშებელნი ძალას პოულობდნენ ერთმანეთის თანაგრძნობაში, ერთმანეთის მეტი თანამგრძნობელი არც კი ჰყავდათ მთელ ჩვენს ქვეყანაში. და მართლაც, შეჰხედეთ მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას, რომელიც გამოსჭვივის ყოველ მათ ნაწერებში (წინანდლებში, საუბედუროდ), შეხედეთ მათ აზრს ერთმანეთის შესახებ (უწინ, სამწუხაროდ), რა წრფელია, უანგაროა იგი და რა აღტაცებულია იმავე დროს. მრავალმხრივ ნიჭთან ეს ერთმანეთთან კავშირიც ერთი იარაღთაგანი იყო, რომლითაც აღჭურვილნი გამოვიდნენ „ყრუ ტყეში შარის გასაკაფავად". ეხლა ეს კავშირი გაქრა და წავიდა; სანუგეშოდ მხოლოდ ის დარჩა, რომ საუკუნო არა არის რა ქვეყნად. ისე კი, ამ კავშირმა პირადად მათ და კერძოდ ქვეყანასაც სარგებლობა მოუტანა.

ეს კი მაინც შერჩათ მათ, რომ, რა გზასაც დაადგნენ და რა საგანსაც მოჰკიდეს ხელი, არასდროს არ დაჰკარგვიათ რწმენა, რომ დაწყებულ საქმეს სისრულეში მოიყვანენ. თანაც ყოველთვის საქმის არსებითი მხარე გამორკვეული ჰქონდათ, იმისი დედა აზრი შესისხლხორცებული და ჩვენთვის გაუგებარი მხნეობითა და ენერგიით ჰკიდებდნენ საქმეს ხელსა.

ამგვარი ღირსებებით დააჯილდოვა ისინი ბუნებამ. ბუნებისაგან მინიჭებული ტალანტი შესაფერად მოიხმარეს და კიდევაც დაამჩნიეს ჩვენს ცხოვრებას ძლიერი კვალი და აღბეჭდეს თავისი მოქმედება ჩვენი ისტორიის საუკეთესო ფურცლებზე.

2

ხოლო რაკი ჩვენს ეხლანდელ ახალგაზრდობას ვეხებით, უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ არცერთი იმ თვისებათაგანი, რაც შეადგენდა უეჭველ ღირსებას და ძლიერ იარაღს მესამოცე წლების ახალთაობისათვის, მას არ ამშვენებს. ნიჭი და ტალანტი, მართლა, ისეთი რამ არის და იმდენზედ დამოკიდებულია კაცისა და მისი ნებისაგან, პირადი ენერგიისა და შრომისაგან, რომ არც კი შეიძლება მოვთხოვოთ ვისმე იგი და იმის უქონლობისათვის საყვედური ვუთხრათ. ხოლო ესა თუ ის მიმართულება სულიერი არსებისა მოსაპოებელია, თუმცა ძნელი. მაგრამ მაინც შესაძლებელი. ცხოვრების ამგვარი, თუ იმგვარი იდეალის დასახვა პირად მეცადინეობაზეც არის დამოკიდებული და ამ სფეროში თუ კოჭლობს ჩვენი ახალგაზრდობა,

ვერ ვეტყვით მადლობასა და არც შეგვიძლია მოვეპყრათ მეტი სიბრალულითა და თანაგრძნობით ამისთვის. როცა ჩვენს ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობ, სახეში მყავს უკანასკნელი ათი წლის ახალგაზრდობა და უსამართლობა იქნება ჩვენის მხრით არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ეს ახალგაზრდობა იზრდებოდა სხვანაირ გარემოებში...

მოგახსენეთ, რომ ტალანტი სამოციანი წლების ახალთაობისა მიუწვდომელი შეიქნა შემდეგი თაობისათვის. ეს მათდა განგებისაგან მინიჭებული განძი იყო. ამაში ვერც ვერავინ შეედავება მათ, ვერც ვერავინ სხვას უსაყვედურებს, რატომ არა ხარ ისეთი ნიჭიერიო. განა ან ი. ჭავჭავაძეს, ან აკაკი წერეთელსა და ნიკოლაძეს შეეძლოთ რაიმე ღონისძიებით მოეპოვებიათ ის ნიჭი, რაც მათ აქვთ, თუ ბუნება მათთვის მეტად გულმოწყალე და გულუხვი დედა არ გამომდგარიყო? მათ მადლობა ეთქმის მხოლოდ მისთვის, რომ განგებისაგან მიცემული ტალანტი არ ჩამარხეს და მოახმარეს თავიანთი ერისა და საზოგადოების კეთილდღეობას. ხოლო პირად მათ ენერგიას, პირად შრომას, პირად მეცადინეობასა და განვითარებას უნდა მივაწეროთ მათი სულიერი მიმართულება, მათი იდეალიზმი საზოგადო საქმეში, მათი რწმენა მომავლისა, მათი ერთობა და ერთად ენერგიულად და მხნედ შებრძოლება მავნე მიმართულებისა. მათ ცდას, აბა სხვას რას, უნდა მივაწეროთ, რომ გარკვეული ჰქონდათ ძალიან კარგად გზა, იცოდნენ საით მიდიოდნენ და მათი ცხოვრების განმანათლებელი და შუქის მომფენი ფარანი თვით გაიკეთეს თავისავე ხელებით. განგებამ მათ შისცა მხოლოდ ბრწყინვალე ცეცხლი, ძლიერი სინათლე, რომელიც ჩაანთეს ფარნებში და რომლითაც აღჭურვილნი შეუდგნენ ჩვენი ცხოვრების ბნელი გზის განათებას.

ეხლა ისევ ჩვენს ახალგაზრდობას დავუბრუნდეთ. ეს ახალგაზრდობა ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: ერთი მათგანი ტანჯულია, სიცოცხლე მოწამლულ-მოშხამული, „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი“; მთელი მათი სიცოცხლე ანთებული საკირეა, საცა იწვის უნაყოფოდ მთელი მათი სიმპათიური და საბრალო არსება, იხრაკება და იტანჯება სული მეტად გრძნობიერი. მათ ვერ მოუპოვებიათ ნუგეში ვერც სიყვარულში, ვერც მეგობრობაში, ვერც ცოდნასწავლაში, ვერც საზოგადო მოღვაწეობაში. თუ ცოცხლობენ, მხოლოდ მისთვის, რომ იმდენი სულის ძალა აღარ შესწევთ, გამოესალმონ დამტანჯველ წუთისოფელს.

ნიადაგ დაღვრემილთ, ნიადაგ მოჭმუხვნილთ, ნიადაგ მტირალთ, ყოველისფერი, რაც სხვისთვის ბედნიერებას შეადგენს, მათ მხოლოდ უორკეცებს ტანჯვას.

ყველა მათგანი ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი არის, ყველა მათგანი განათლებული არის, ყველა მათგანს აქვს მინიჭებული ღვთიური ნაპერწკალი. ერთი ბედნიერია ოჯახით, მეორე — მეგობრებით, მესამე — მშობლებით, ბედნიერია იმდენად, რომ გიკვირს, ნუთუ შესაძლოა იგი წუხდეს და იტანჯებოდესო. მაგრამ, როცა დაუკვირდებით მათ ნაღველს, როცა შეიგნებთ მათ ტანჯვას, თაყვანსა სცემთ ამ ადამიანებს, რომელთაც თუმცა უნაყოფო. მაგრამ დიდებული ბუნება ადამიანისა მაინც შერჩენიათ. მათ შესისხლხორცებული აქვთ ის აზრი, რომ პირად ბედნიერებასა და უბედურებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს სულით მაღალი არსებისათვის, თუ საზოგადოებრივი ბედნიერებაც არ ახლავს თან; მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შესაძლო იყოს კაცი პირადი ბედნიერებით დაკმაყოფილდეს და მარტო გონებით კი არა, მთელი თავისი სულიერი არსებით წინააღმდეგნი არიან პირუტყვის დადარებისა და პირუტყვული ბედნიერებისა. შეიძლება ეგინი სრულიად არ მსჯელობდნენ ამის შესახებ, შეიძლება სიტყვასაც არ ამბობდნენ, იქნება არც კი აქვთ კარგად შეგნებული, რომ მათი სევდისა და ოხვრის საფუძველი საზოგადო უბედურებაშია. ზოგიერთ მათგანს ჰგონია, ოჯახი რომ ჰყავდეს, უფრო ბედნიერი იქნება, მეორესა ჰგონია, დიდი ნიჭი რომ ჰქონდეს, ის დააკმაყოფილებს, მესამესა ჰგონია, რომ ქონებრივი ძალაა სევდის უკუმყრელი და განმქარვებელი დროებით მაინც, მაგრამ არა და არა. მიეცით პირველს ცოლად კორდელია, გინდ დეზდემონა, შვილად დიმიტრი თავდადებული, მეორეს დედად — გრაკხების დედა და მეგობრად ორესტი, გინდ პალადი, მესამეს კრეზის სიმდიდრე, მათი სულის ტანჯვა და ოხვრა არ დაცხრება. შეიძლება მანაც ტანჯვა მიაყენოს, რატომ მე მაქვს ეს უპირატესობაო. „რაც არ უნდა გამოკეთდეს ცალკე ცხოვრება, რომელიმე ჩვენიანისა, მაინც ყოველივე სიამოვნება წამწარებული და წაშხამებულია იმისი ფიქრით, რომ ყველა, ვინც გიყვარს, არის უბედური და გრცხვენია შენი კერძო კარგი გარემოებისა, იმის მაგივრად, რომ გახარებდეს, და მოწამლულია შენი ვითომდა პირადი კმაყოფილება“. ასე ამბობს ერთი მათგანი, სხვაზე უფრო ბედნიერი პირადად.

ესენი ბუნებით იდეალისტები არიან, მაგრამ ძაბუნნი და სუსტნი, არა ჰგვანან სიმხნითა და თავგანწირულებით სამოციანი წლების ყმაწვილკაცობას. მათ თავისი იდეალიზმი თავისსავე გულში შერჩენიათ, მხოლოდ კვნესა-ოხვრაში იჩენენ მას და არა ენერგიულსა და ძნნე მოღვაწეობაში.

ამ ჯგუფის ყმაწვილთ სჭირთ ეხლანდელი სენი აპატიისა, ენერგიის უქონლობისა, სულის უძლურებისა და უბადრუკობისა. არ შეუძლიათ სიყვარული გატაცებული და თავდავიწყებული, რომელიც ავსებს და აცისკროვნებს მთელ ცხოვრებას, არ შეუძლიათ მეგობრობა თავგანწირული, არ შეუძლიათ შრომა, მოქმედება, მოძრაობაც კი ეძნელებათ.

არ შეუძლიათ გატაცებით სიყვარული, რადგან გრძნობენ და იციან ხანმოკლეობა ყოველი გრძნობისა, არ შეუძლიათ მეგობრობა, რადგან იციან კაცთა ეგოიზმის სისასტიკე და უგულობა.

იშრომონ? რისთვის? მათ არ მიაჩნიათ საკმაოდ, „ყაჭმაც კი იცის, რომ თავის პარკში, რა გააკეთებს, მყისვე მოკვდება“, ასეთი შრომა ძათთვის როდია საპრიანო. არ იციან, რა შედეგი ექნება, რა ნაყოფს გამოიღებს მათი შრომა. ესენი თავისებური ანარქისტები არიან, რადგან უარყოფით ეკიდებიან ყოველივე საფუძველს ცხოვრებისას, მაგრამ მათი ანარქიზმი პასიურია. მათ არა სწამთ სიყვარული, მეგობრობა, შრომის ნაყოფიერება, ადამიანის ძალა. იგინი შფოთავენ და დრტვინავენ ამის გამო, ვერ ურიგდებიან ამ აზრს, მაგრამ ცინიკური ხარხარით ვერ იკმაყოფილებენ თავს, ეს აღშფოთება მხოლოდ მათ გულში ხდება. მარტო მეგობრებთან ბაასში იჩენს ხოლმე თავს.

ამგვარი აღშფოთება მხოლოდ ნავთს ასხამს მათ გულში ანთებულს ცეცხლს და ნელ-ნელა იწვის მათი ბედკრული არსება. უმთავრესი უბედურება ამ თაობის ამ ჯგუფისა არის ღრმა პესიმიზმი და აქედან წარმოიშობა ყოველივე მისი ნაკლი. ხოლო სად უნდა იხატებოდეს ასეთი გრძნობა ახალგაზრდობისა თუ არ ლიტერატურაში. ასჯერ თქმულა, რომ ერთადერთი ასპარეზი საზოგადო მოღვაწეობისათვის ჩვენში ლიტერატურაა და სხვაგან კი სად უნდა გამოიჩინოს თავისი ძალა, გინდ უძლურება ჩვენმა ყმაწვილკაცობამ. მართლაც, რომ ვსთქვათ, კაცის სული და გული, საზოგადოების მიმართულება სავსებით და ნათლად მხოლოდ ლიტერატურაში იხატება... ამისთანა დროში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე კერძო მიწერ-მოწერას.— ბარათებს. კაცი ხშირად მეგობრებთან, თანამოაზრეებთან მიწერ-მო-

წერაში იკლავს წყურვილს მტანჯავი გრძნობების გამომეღავნებისას. სალამის ბარათი ამ დროში პირადი გრძნობების და აღშფოთების გამომსახველია.

ეს მოთხოვნილება ფიქრთა, ოცნებათა და გრძნობათა განზიარებისა კი დიდი აქვს კაცსა. გრძნობა გამოაშკარავებული, ერთის მხრით, თავის სიმწვავეს ჰკარგავს, რადგან, რაც უნდა იყოს, ათას და ორი ათას მკითხველში, გინდ მსმენელში ერთ და ორ თანამგრძნობს მაინც ნახავს და თანაგრძნობა კი დიდად ეამება კაცის მწუხარების ცეცხლსა. იმდენად მტანჯავი როდია უბედურება, როგორც სულით ობლობა, როგორც უბედურება უნუგეშო, ყოველ თანაგრძნობას და სიბრალულს მოკლებული. მეორეს მხრივ, ამგვარივე თანაგრძნობა აორკეცებს სასიამოვნო გრძნობებს, რადგან კაცი თუ ეგოისტი ცხოველია, ალტრუისტი ადამიანიცაა და როგორც ასეთს არ შეუძლია ისიამოვნოს, თუ ეს მისი სიამოვნება და სიხარული სხვასაც არ გაუზიარა, თუ სხვამაც მასთან არ ისიამოვნა იმ კეთილი შემთხვევით, იმ ბედნიერებით, რომელიც უწყალობა განგებამ და რომელმაც მას სასიამოვნო გრძნობები აუშალა.

კაცმა რომ თქვას, ბარათები უფრო კარგი იარაღია ასეთი სიმპათიური გრძნობების გამოსაწვევად, და ამიტომ მას თავისი განსაკუთრებული თვისება ყოველთვის საპატიო ადგილს დააჭერინებს კაცის ცხოვრებაში. ხოლო იმ დროში, როცა საზოგადოდ აზრის გამოთქმა ძნელდება, ბარათები თითქმის საზოგადო ლიტერატურის ადგილსაც კი იჭერენ და იგინი ასრულებენ გრძნობათა და აზრთა გამომთქმელის როლს.

მეტად საინტერესოა ამ მხრით გადავიკითხოთ ბარათები ზემოხსენებული ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილისა, და ამოვწეროთ ის, რისი ამოწერაც შიძლება, რათა შევიგნოთ ის მათი უმთავრესი თვისება — პესიმიზმი, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ამ შემთხვევაში ბედი მეწია და სრულიად მოულოდნელად ხელში ჩამივარდა კარგი ძალი მიწერ-მოწერა რამდენიმე ახალგაზრდა მეგობართ შორის. ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, რომ წერილები პოლიციის შემწეობით არ გავუგზავნე, ვისიც ჯერ იყო. მაგრამ იმდენად გამიტაცა ეხლანდელი ახალგაზრდობის სულის შეგნებამ ამ კერძო ბარათების შემწეობით მაინც, რომ ეს არა ლამაზი საქციელი ჩავიდინე. იმედია, მაპატიებენ.

გადაიკითხავთ თუ არა ამ ბარათებს, განცვიფრებული ხართ იმ უცნაური ტონით, რომელზედაც მომართულია მთელი ეს მიწერ-მოწერა რამდენიმე ახალგაზრდას შორის. გაოცებული ხართ, ნუთუ 25-30 წლის ყმაწვილებს ეკუთვნის ამგვარი კილო წერისაო. არა გჯერათ, შესაძლებელი იყოს ამ სიცოცხლით აღსავსე ხანაში ვერაფერი სასიამოვნო ნახოს კაცმა და თავის გასართობი მეგობართან მიწერ-მოწერაში, თუ არა კვნესა და გოდება.

მაგრამ ეს კი უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ამგვარი მწარე გრძნობებისა და ენის უმთავრესი მიზეზი საზოგადოებრივია. „ყველანი თითქმის ერთხმად, ერთმანეთის დამოუკიდებლად უჩივით და ემდურით ჩვენი საზოგადოების ფუქსავატობას, ჰგოდებთ და კვნესით, რომ მასში ჩამქრალია ყოველი მისწრაფება რაიმე მაღალი იდეალისაკენ, მასში მოსპობილია ყოველი კეთილი გრძნობა და მხოლოდ სიბეჩავესა და სისაზიზღრეს დაუბუდებია. ზოგიერთი თქვენთაგანი ისე გაუმწარებია ამგვარ ყოფას ჩვენი ქვეყნისას, რომ კიდევაც გაურბის ძას და სურს მისი მოშორებით მოიპოვოს მყუდროება სულისა. ჩვენს თავს სადღა გავექცევით. ეს კი აღარ გიფიქრიათ". „ჩვენს ქვეყანაში შეპატიჟები,—წერს მეორე. — და კიდევაც მემდურები, რატომ ვარ ამდენ ხანს სამშობლოზე მოშორებული, მაგრამ ამის პასუხს თვით შენივე ბარათი ამბობს. რა მელის მანდ რომ ჩამოვიდე? შენივე სიტყვებისამებრ, აი რა: უკიდურესი გაცრუება იმედებისა და რწმენის დაღუპვა, ზნეობრივი კოტრობა და ამიტომაც გაქრობა, სირცხვილი, ნაძრახი გაქრობა! ან სხვა რაღა უნდა მომელოდეს. თუ მართლა საუკეთესო ახალგაზრდათა უმტკიცესი მეგობრობა ობობის ქსელის სისუსტისა ყოფილა; თუ ახალგაზრდობას აღარ გააჩნია გონებრივ-ზნეობრივი დისციპლინა, თუ ყოველ ქართველს მხოლოდ კერძო პირადი ინტერესები ამოქმედებს, თუ პირადი სიძულვილი და უთანხმოება საზოგადო ასპარეზზე გადაგვაქვს; თუკი აღარ მოიპოვება ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც პირადობისა და კერძოობის დავიწყებით, „ავადმყოფი თვითმოყვარეობის" უკუყენებით შეუდგება საზოგადოების სამსახურის წმინდა საქმის აღსრულებას; თუკი ასეთი გარემოება სიზმარი ყოფილა და ქართველებისათვის ერთსულობა და ერთგულება უსიამოვნო რამ დისციპლინა, რაღა მაქნისი ვარ?".

როგორც ხედავთ, საზოგადოებრივი ხასიათისაა ყველა ამგვარი მოთქმა ზემოხსენებული ახალგაზრდობისა. „ერთადერთი ნუგეში ამ მარტოობაში შენს დაობლებულ მეგობარს ისა რჩება, — სწერს

ერთი მეორეს. — რომ ხშირად ზღვაში ვბანაობ, ორჯერ-სამჯერ კიდეეაც მოვიწადინე საუკუნო კავშირი შემეკრა ზღვასთან და სამარადისოდ ჩავკონებოდი გულის სიღრმეში, მაგრამ პოსსეიდონმა (ზღვის ღმერთმა) კეთილი ინება და გადამარჩინა განსაცდელს. როგორც ჩვეულებადა აქვთ ხოლმე ზღვაში დაღუპვას გადარჩენილთ, პატიოსნად აღვასრულე ჩემი მოვალეობა: ორჯერ-სამჯერ გადაუხადე მადლობა გულმოწყალე და შემბრალე მფლობელს ზღვათა და მის საკურთხეველზედ დიდძალი ყურძნის წვენი დავღვარე".

აბა დაუკვირდით, როგორი სიმწარით არის აღსავსე ეს ტირადა. კაცი წუთისოფლის გამოსალმებასა ფიქრობდა და ამის შესახებ ისეთი ვითომდა მხიარული ირონიით ამბობს, თითქო რაიმე ყმაწვილური სიცელქე ჩაედინოს. მაგრამ ეს ირონია ცრემლზე უფრო გულისმომწყვლელია მნახველთათვის და მსმენელთათვის სევდის მომგვრელია, უფრო დამაფიქრებელი და დამაღონებელი.

ეს ერთი და ეხლა მეორეც მოისმინეთ.

„ჩემს შესახებ რა უნდა მოგწერო? ან ღირს კი ჩემზე, ღვთისა და კაცისაგან მოძულებულსა და აჩემებულზე ბაასი? მხოლოდ გული გრძნობს, თუ რა საშინელების სახმილში ვიწვი და რადგან ვატყობ, ვხედავ, რომ ამ საშინელების თანამგრძნობი არავინ მყავს, ისევ მდუმარებას შევაფარებ თავს... ვინ იცის, ან ვინ დაეძებს, რას ვფიქრობდი, რას წარმოვიდგენდი ხოლმე და ეხლა კი რა ვარ. სჩანს ჩემი ბედი ეს ყოფილა და მეც ბედის სრული მონა და მორჩილი ვარ. გული გატყდა და სურვილი გაქრა. დიადი ოცნება მოდუნდა. მომიდუნდა ძალა და ნებაც ან რაღას უნდა მოვახმარო ძალა და ნება ჩემი? სამშობლო ჩემთვის აღარ არის; მეგობრებიც, ვატყობ, მეცლებიან. მე კი მარტოობაში უნდა დავლიო სული. რამდენი ხანია მას მერმე, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს, და ერთი წამიც არა მქონია, რომ დანაოჭებული შუბლი გამხსნოდეს, ერთი წუთიც არ ყოფილა. რომ თავისუფლად ამომესუნთქოს. არავინ მყოლია, რომ წკიპურტი წაეკრა ჩემთვის და ტკბილ ოცნებებში შევეცურებინე. მაგრამ ეჰ, რაც მომივა სულ ერთია. მე ხომ დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს. ეს მჯერა და ამით ბედნიერი ვარ".

აი ერთი მაგალითი, ერთი პროტოტიპი ამ უცნაური ბარათებისა. ყმაწვილი კაცი, განათლებული, ნიჭიერი, იმიტომ რომ უნიჭოს არ შეუძლია ამგვარი ბარათების წერა, ასეთ უცნაურ, უნუგეშო, უიმედო და უშინაარსო პესიმიზმს მისცემია. ასეთ გულისმომშხამველ სევდას

შეუპყრია. ეს კაცი იწვის და იბრაკვის უცნაური ცეცხლით, უბედობის ცეცხლით, იგი ბედის მორჩილია, ფატალისტია, თუმცა შეიძლება მისი გონება ამისი წინააღმდეგი იყოს. „მისთვის ყველაფერი სულ ერთია“, იგი ბედის მონა გამხდარა და არა მისი მჭედელი, საცოდავი და შესაბრალისი მონა. ამგვარი კაცები თუ ხედავენ, რომ ხეირიანი „გარემოება სიზმარი ყოფილა“, უნუგეშო სევდას მიეცემიან. პოსსეიდონის სამფლობელოს მიმართავენ და იქ ეძიებენ საუკუნო განსვენებას და იმას კი არ ცდილობენ „გარემოება სიზმრად ნახული“ ცხადად აქციონ, იგინი ვერა გრძნობენ ამისათვის ვერც ძალასა და ვერც ღონეს. სხვისი დაცემა, სხვისი არარაობა მათ ხელს უბოჭავს, თითქო თვით ადამიანი არ იყოს, თითქო მას არ შეეძლოს დაცემულის წამოყენება. ან კი მეტი რაღა უნდა დარჩენოდათ ასეთ კაცებს, თუ არა წუთისოფლის გამოსალმება, რაკი დარწმუნებულნი არიან, რომ „უსარგებლონი, მეტი ბარგნი არიან ქვეყნისათვის“. ვერც ეს მოუხერხებია ვერც ერთს, ერთი რომ პოსსეიდონმა დაიხსნა, მეორე „რაღაც უბრალო შემთხვევამ“ გადაარჩინა. უბრალო შემთხვევამ კი არა, ხასიათის სისუსტემ, სიმჩატემ და სიძაბუნემ. „ტანჯვამ და სახმილში წვამ“, რომელმაც „ნება და ძალა მოუდუნა“, სიცოცხლის გამოსალმება აფიქრებია, ხოლო მოდუნებულმა და მისუსტებულმა ძალ-ღონემ ეს სურვილი აღარ შეასრულებინა.

რწმენა აღარა აქვთ არაფრისა, ნდობა, იმედი და სურვილი ძლიერ მოსპობილია მათ ნორჩ გულში, მათთვის აღარც სამშობლოა, აღარც მეგობარი. „ამიხსენით, — წერს ერთი მეორეს, — საიდან წარმოსდგება ასეთი უცნაურობა ჩვენი ხასიათისა: ერთის მხრით, სრული ნდობა გვაქვს და რწმენა ვისიმე და მეორეს მხრით კი უნდობლობა და ურწმუნოება სულს გვიხუთავს და სიცოცხლეს გვიწამლავს, ამიხსენი, თუ ხათრი გაქვს, საიდან არის ესა?“ საკვირველად არის შენიშნული ეს ორბუნებოვნება ჩვენი ახალგაზრდობისა, ეს თვისება მისი სუსტი ხასიათისა: მას სწყურია, როგორც ცოცხალ არსებას, ირწმუნოს რაიმე, მასა სურს, მისი ბუნების მოთხოვნილებაა ენდოს ვისმე და, პირველსავე შემთხვევაში, ამ ნდობისა და რწმენის სურვილს განახორციელებს ხოლმე, მაგრამ თანაც ბუნების სისუსტე, დაუდგრომლობა სულისა, გონებით ურწმუნოება არ ანებებს ერთ რასმე დაემყაროს, გონების დამამხობელი ანალიზი უეცრად შეურყევს საფუძველსა და პირქვე დაამხობს. „ჩვენ საზოგადოდ ძლიერ და ძლიერ ურწმუნონი ვართ და ურწმუნო თომები“, ამბობს ერთი,

ხოლო რწმენა კი ჩვენთვის მიუცილებელია, ჩვენი სულის დაუცხრომელი მოთხოვნილებაა, შ. არაგვისპირელის პეტრესი არ იყოს („ჭეშმარიტად“). მაგრამ თუ ვინმე ამათგანი ირწმუნებს, ეს რწმენა ისეთივე რაღაც ფატალური იქნება, არა სანეტარო, არამედ რაღაც ნაძალადევი, როგორც იმავე პეტრეს მოუვიდა.

ამ ახალგაზრდობისათვის აღარა არსებობს რა სასიამოვნო და დამაკმაყოფილებელი: კერძო შრომაზე რაღა ითქმის, საზოგადო სამსახურიც კი ვერ ასიამოვნებთ. „იმაზედ უარესი არაფერია, — იწერება ერთი მათგანი, — როდესაც შენი მოღვაწეობისაგან, შრომისაგან ბევრს მოელი, ბევრ ყურადღებას აქცევ შენ შრომას, მთელ ძალასა და ღონეს ალევ მას და ბოლოს ის შენი ნატანჯიც იმ მექანიკურ გზაზე მიდის, რომელზედაც სხვები... სატანჯველია, როდესაც ჩვენს ცხოვრებას დაუკვირდები“. რა მოუთმენლობა იხატება ამ სტრიქონებში, რა უყურადღებობა — ისტორიისა და ცხოვრების კანონების მიმართ. თითქო ერთი წკიპურტის წაკვრით შეიძლებოდეს ქვეყნის გარდაქმნა, თითქო ერთისა და ორი წლის ნაშრომმა შეიძლება იმავე წუთს მოიტანოს ნაყოფი. ვერ შეგვიგნია, რომ ყოველი ჩვენი ხეირიანი შრომა უთუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებს. მხოლოდ ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ჩვენი ნაღვაწ-ნაშრომის შედეგი იმავე წუთს დავინახოთ, მაშინ როდესაც ადვილი შესაძლებელია, ისე მოვკვდეთ, ჩვენი დათესილი ყანა ვერ მოვიმკათ. ჩვენს ახალგაზრდობას ვერ შეუგნია და ვერ შეუსისხლხორცებია ქართველი გენიოსისაგან ნაანდერძევი:

> ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
> და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
> და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.
> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ვერ მოუხერხებია იდეალის დასახვა და ამ იდეალის თავგანწირული სამსახური მოთმინებით, ტანჯვით შრომა, ამ იდეალის განსახორციელებლად, არ შესძლებია. ან კი რა უნდა მოითმინოს იმ თაობამ, რომელსაც იდეალი მიაჩნია „პირდამანჭულ მოხუცებულად, რომელიც სისხლს ვერ აგიღელვებს ძარღვებში“. უცნაური ფრაზაა, რომელიც თავისი სასტიკი ცინიზმით გულს აგიღელვებთ, თუ უფრო ღრმად არ ჩაუკვირდით ამ თაობის სულისა და გულის ნადებს. კარგად იცის ამ თაობამ, რა სანეტარო ხილია იდეალი, რა მომხიბლავი

ტურფა ასულია კაცთა ოცნებისა, მაგრამ ვერ მისწვდენია, ვერ დაუსახავს ეს იდეალი მის ცივსა და მოქანცულ, მოდუნებულ გონებასა და გულს თავისდა სანუგეშებლად. „პირდამანჭულ მოხუცებულად“ მონათლეს იდეალი, მაგრამ რამდენი სისწორეა ამ ვითომდა ცინიზმში, სიმწარე გამოწვეული იმისაგან, რომ მომხიბვლელი არსების დასაკუთრება შეუძლებელი ხდება თვით მისი უდროოდ მოხუცებული და გახრწნილი ბუნებისათვის.

რაღა გასაკვირველია, თუ ერთი ამ სასოწარკვეთილთაგანი ისეთ რასმე იწერება, რომელიც კვინტესენციად უნდა ჩაითვალოს ყველა ნაწერებისა და ამ ნაწერების განჩხრეკის ფინალად უნდა იქნეს. „შენცა და მეც, მრავალი კიდევ სხვანი, დღეს უწინდელ ავგურებს წავაგავართ სწორედ. ერთი განსხვავებაა მხოლოდ ავგურებსა და ჩვენ შორის: იგინი რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს გაიცინებდნენ ხოლმე, ჩვენ კი... ჩვენც გავიცინებთ ვითომ, მაგრამ ვაი იმ ვითომ გაცინებას. მას მოჰყვება სასოწარკვეთილებითა და უიმედობით სავსე ბაასი და ამგვარივე აზრების გაცვლა, და თუ თავდაპირველად ვითომდა ღიმილით შეეხვდებით ერთიმეორეს, ვშორდებით კი სახედაღონებულნი, სახემოშლილნი. ასეა დღეს, ასე იყო გუშინ და აბა ვინ დაგვარწმუნებს, რომ ხვალიდან მოვიშლით ამგვარ ქცევას. ასეა ეს, და იმის თქმა, იმის სისრულეში მოყვანა, რაც ამგვარი აზროვნების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს, იმის გამომჟღავნება, და მით უმეტეს მისი შესრულება, ვერ გაგვიბედნია. მაგრამ როდემდე ვატყუოთ ან სხვები ან ჩვენი თავი? რას ველით? გავბედოთ ბარემ და სხვის მაგიერ ჩვენვე ვუთხრათ ჩვენს თავს: „რომელი გეგულების საქმედ, ყავ ადრე“. მერე რა კარგი ღონისძიება მოვიპოვე, რომ იცოდე, ამისთანა სულელური და უაზრო „ყოფნის“ მოსასპობად? წარმოიდგინე, აქაც მძლია ადამიანურმა ცუდმა გრძნობამ: მინდა წარვიხოცო ქვეყნიდან და — აი ადამიანის სულის სისაძაგლე — მინდა ისე მოხდეს ესა, რომ ყველანი ალაპარაკდნენ. აი ჩემი იდეაც, ჩემი კარგი! შენცა და რამდენიმე სხვაც საჭიროა ამის ასასრულებლად და იმედია უარს არ იტყვით. ერთი ათიოდე ახალგაზრდა, რომლებიც ბევრს თუ აარა ცოტას რასმე მაინც მოველით, შევიყაროთ ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე ადგილს და გამოვეთხოვოთ ამ წუთისოფელს. იქნება იკითხო, რად დამჭირდა ათის სიკვდილი და მერე ერთღროულად. მაპატიე, იქნება იკითხმეთქი, რომ გწერ, მაგრამ მაინც მოგწერ, რად დამჭირდა ესა. მე რომ მოვიკლა მხოლოდ თავი, ან შენ, ვინ დაიჯერებს, რომ

შენი თავის მოკვლას რამე სხვა სარჩული აქვს, გარდა შენი ინდივიდუალური ინტერესებისა? ვინ დაიჯერებს, რომ რაღაც სხვამ დაგარწმუნა სიცოცხლის ამაოებაში, რომ ეს რაღაც, უფრო ზოგადი მიზეზია, საზოგადო დარდი. ეხლა კი წარმოიდგინე, რომ თავს იკლავს ერთის მაგიერ ათი კაცი, ვინ გაბედავს თქვას, რომ მათ თავისმკვლელობას რაიმე ინდივიდუალური სარჩული აქვსო? ვერავინ. შეუძლებელია, რომ ამგვარმა მსოფლიო კატასტროფამ გააბედვინოს ვისმეს რაიმე ცუდის თქმა ამ ათის შესახებ. ეს კატასტროფა სრულებით გააუქმებს ინდივიდუალური ინტერესების შესახებ ლაპარაკს, ის ყველას დაანახვებს, ყველას დააფიქრებს იმის შესახებ, რომ ამ კაცთათვის ამ სოფელში სიცოცხლეს — ვაებასა და წვალებას — არაფერი ჭკუა ჰქონია. მართლაც, რა არის კაცის სიცოცხლე საუკუნოებასთან შედარებით? არაფერი და არაფერი ხომ გამოიხატება მათემატიკურად 0 (ნულად), თვით საუკუნოებაც ისევ იმ ნულით გამოიხატვის, მაშ რაღას ველით? დავაჩქაროთ და შევუერთდეთ ამ საუკუნოებას, რომ ისიც ჩვენ შეგვიერთდეს და ორივენი ერთიმეორეში გარდავიქმნათ— გარდავიცვალოთ".

მე რომ ეს წერილი წავიკითხე, მართალი მოგახსენოთ, მწარედ გავიღიმე. უბედურებაც იმაშია, რომ ეს კატასტროფა კატასტროფა იქნებოდა, მაგრამ ტრაგიკული კატასტროფის მაგიერ — კომიკური. შეიყრიდნენ თუ არა ეს ათიოდე ახალგაზრდა თავს და მოაწევდა რა დანიშნული დრო, ყველანი გაექცეოდნენ დანიშნულ საქმეს ერთი მეორეზე უსწრაფესად. იმიტომ კი არა, რომ ეს მათი სურვილი არ ყოფილიყოს, იმიტომ კი არა, რომ ამგვარი სიტყვების დამწერთ კომედია უნდოდეთ ითამაშონ. არა, უბედურება და დიდი უბედურება ის არის, რომ ეს ერთადერთი ღონისძიება გამწარებული სიცოცხლისაგან თავის დაღწევისა მათთვის მიუწვდომელია და შეუძლებელი. და თუ მათი ნების გარეშე ვინმე ამას მოუხერხებს, დიდი კმაყოფილნი და მადლობელნი დარჩებიან, თუ კი არის კმაყოფილება, თუ კი არის მადლი და სიყვარული იქ, იმ საუკუნეთა წყვდიადში, რომელთან შეერთებას ელტვის ეს საბრალო, მაგრამ სულით წმინდა და გულით პატიოსანი ახალგაზრდობა.

ბუნების ამგვარი პესიმისტური მიმართულების შედეგია ის, რომ მათ არა აქვთ რწმენა არც კაცის ძალისა, არც ქვეყნად კეთილის გამარჯვებისა და, მით უმეტეს აღარა აქვთ რწმენა თავისი თავისა. იმ თეორიას აღიარებენ, რომ კაცი მატლია, ფეხთა უბრალო მტვერი რაღაც

უცნაური ძალისა. ჭია-ღუაა, რომელსაც გათელავს ხოლმე გარემოება, მტვერია, რომელსაც ტალახად აქცევს ყოველივე შემთხვევა. ცხოვრებაში ბოროტი იმარჯვებს ყოველთვისაო და ადამიანთა პირუტყვობის დამამტკიცებელი სასტიკი ჭიდილი ცხოვრებისათვის მეფობს და იმეფებს ყოველთვის, როგორც გვასწავლის მეცნიერებაო. მეცნიერება გვასწავლის იმასაც, რომ ჩვენი პლანეტა დედა-მიწა ერთ მშვენიერ დღეს ან სხვა პლანეტას დაეჯახება და მტვრად იქცევა, ანდა მზის სითბო მოაკლდება და ცხოვრებაც შეწყდება მასზედაო.

ამგვარი თეორიებით აღვსილ თავს აღარ შეუძლია დაბადოს რაიმე რწმენა. თუ სამოციანი წლების ახალგაზრდობას კაცთა ყოვლისშემძლებლობა სწამთ და ეს რწმენა მთელ მათ მოქმედებას ენერგიითა და სიმხნით ავსებს, დღევანდელ ახალგაზრდობას ეს რწმენა აღარა აქვს და ამ ურწმუნოებას თავისი შედეგიც მოყვება. ეს შედეგი იხატება იმაში, რომ ამ ახალგაზრდობის წარმომადგენელნი მომცონარებულნი არიან, აპატიით მოცულნი და უნაყოფო კვნესა-გოდება და ხვნეშა ასუსტებს მათ სულიერსა და ფიზიკურ ღონეს. ეს ურწმუნოება ყველაფერზე უფრო მავნებელია საზოგადო მოღვაწისა და საზოგადო მოქმედების მსურველი პირისათვის.

ის ხომ არა სწამთ, რომ შესაძლებელი იყოს ოდესმე კეთილმა გაიმარჯვოს და დასცეს ბოროტის მეუფება. არა სწამთ არც ის, რომ იყოს რაიმე ძალა გამგებელი ქვეყნისა, ძალა მიუწვდომელი და გამოუცნობელი, რომელსაც ქვეყანა და ცხოვრება ერთი აზრისა და მიზნისათვის მიუმართავს. ძალა, რომელსაც ერთი იდეალი დაუსახავს კაცთა ცხოვრების მიმდინარეობისათვის. ყველა ამას ისიც დაურთეთ, რომ არც წინააღმდეგი სწამთ. მათი კრიტიკული გონება ვერ შეჩერებულა ვერავითარ ჰიპოთეზაზე. მათ მიაჩნიათ საეჭვოდ ისიც, რომ იყოს მიუწვდომელი ძალა, ისიც, რომ იგი არ იყოს. არა სწამთ კეთილის გამეფება. მაგრამ ვერც იმას შერიგებიან, რომ ბოროტმა გაიმარჯვოს სამუდამოდ. არა სწამთ კაცის ძალა, მაგრამ ვერც ის აზრი შეუთვისებიათ, რომ კაცი ფოთოლი იყოს, ან ქაღალდის ნახევი, რომელსაც საცა უნდა, იქით გადაისვრის ქარი და გრიგალი. იციან, რომ კაცსა აქვს შეგნების უნარი და იციან, რომ კაცი არ ემორჩილება უსულო საგანივით ფატალურ ძალას, მისი აღშფოთება ამ ძალის წინააღმდეგ მის მტანჯველად მიაჩნიათ და ეს ასეც არის.

რწმენა, როგორიც უნდა იყოს, მოქმედების დასაწყისია. აზრი, იდეა განხორციელებას თხოულობს და მთელ სულიერსა და ხორცი-

ელ ორგანიზაციას კაცისას იწვევს ამ განხორციელებისაკენ. ხოლო ის აზრი, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება და ქვეყნის ყოველი მოვლენა და ძალა სასწორია, რომელიც ნიადაგ რყევაშია, რასაკვირველია, ვერავითარ მოქმედებას ვერ გამოიწვევს. რატომ არის, რომ ისტორია ფანატიკოსების შექმნილია. იმიტომ რომ იგინი ერთი აზრითა და ერთი გრძნობით ყოფილან ხოლმე გამსჭვალულნი და ამ აზრსა და გრძნობას დაუმონებია ხოლმე მათი სული და გული, მთელი მათი მოქმედება.

გარკვეული პროგრამა მოქმედებისა საიდანღა უნდა მოეთხოვოს კაცს, რომელსაც არა სწამს არაფერი, რომელსაც არა აქვს არც ერთი აზრი, რომ უარმყოფელი არ იყოს ყველაფრისა. რადგან კაცს თავის შრომისნაყოფიერება არა სწამს. რადგან კაცს არა სწამს, რომ მისი მოქმედება მიაღწევს რაიმე იდეალს, იმას არც შეუძლიან და არცა სჭირია გაკვალულ გზაზე სიარული. ნაციონალისტობა, სოციალისტობა, მათთვის გაუგებარია; ის უაზრო კოსმოპოლიტობაც კი, რომელიც ამბობს — „საცა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისაო“. ამ სრულიად ადვილ აზრსაც კი ვერ დასდგომიან, რადგან „ყოფა ნებისა“ მათთვის არსად არ შეიძლება, ეს მათთვის უცნობი ხილია (და ეს მხოლოდ მათ საქებრად უნდა ითქვას და ღირსებად უნდა ჩაეთვალოთ). იგინი უფრო იმ აზრისანი არიან, „საცა გინდ ვიყო, რა მგამა, არსად არ მაქვს და არც მექნება ყოფა ნებისაო“.

ცოდნა და სწავლა შეიძლება უწინდელებზე ნაკლები არა ჰქონდეთ, მაგრამ ზემოთაც მოვიხსენიეთ, არა აქვთ ცოდნის მიმართულების მიმცემი ნიჭი. ან კი რაღა ცოდნაა ის ცოდნა, რომლის ჭეშმარიტება არა გწამთ, არა გწამთ, რომ კაცის ტვინს შეეძლოს რაიმე დასაბუთებულისა და დაბეჯითებულის თქმა. ორჯერ ორი ოთხიაო — ეს მათემატიკური ჭეშმარიტებაც კი საეჭვოდ მიაჩნიათ და ამგვარი სკეპტიციზმით აღჭურვილს განა შეუძლია თავისი თავი, ან სხვა, რამეში დაარწმუნოს, ანდა რისიმე საჭიროება, მიუცილებლობა ამცნოს?

ერთობა და კავშირი შედეგია ხოლმე რაიმე გარკვეული პროგრამისა. გარდა ამისა, ერთობა და კავშირი რამდენიმე ადამიანს შორის დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ შესაძლოა ერთმანეთის უანგარო სიყვარული და პატივისცემა. მაგრამ ეს საიდან მოიპოვოს თომა ურწმუნომ ეხლანდელი დროისამ, იმ თომამ ხელის შეხების შემდეგ მაინც იწამა ღმერთი. შესაძლებელია განა სიყვარული, როცა არა

გწამს, რომ შეეძლოს მეორე არსებას სიყვარული? შესაძლოა განა მეგობრობა, როცა არა გწამს უანგარო და წრფელი გრძნობა ერთი ადამიანისა მეორის მიმართ?

აქედან, ამ ურწმუნოებიდან დაიბადა ის ავადმყოფური წვრილმანი თავმოყვარეობა, რომელიც შეადგენს ამ ახალგაზრდობის თვისებას. კაცობრიობისა და თავისი არარაობის აღმსარებელთ მაინც შერჩენიათ ის სურვილი, რომ თვითონ ამ არარაობას გაეკცნენ და ამიტომ საშინლად ეშინიათ, არავინ შეამჩნიოს, არავინ იფიქროს, რომ იგინიც არარას შეადგენენ. ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი, ყოველი შეხედვა მათ ააპილპილებს, უცხოსა და მეგობრის წინააღმდეგ აამხედრებს და ტანჯვით აავსებს თვით მათ გულს, სწამთ, რომ კაცობრიობა უმნიშვნელო საგანია და უშინაარსო ქმნილება, თვით კი არ უნდა იცნოს ვინმემ ამგვარად, თვით კი უნდა ამ კაცობრიობასთან განსხვავებას შეადგენდეს. ვერ შერიგებია ამ აზრს თავის „არაფრობისას" და ეს სრულიად კანონიერია. ეს ნაძალადევი აზრი ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს და ერთიორად კიდევ უფრო ბეჩავად ქმნის ამგვარ ურწმუნოს და ჯინიან მოაზრესა.

რომ ამ თაობის ტანჯვა საზოგადოებრივი ხასიათისა არ იყოს და რომ მისი ბუნება იდეალური არ იყოს არსებითად, ამ ახალგაზრდობის საზიზღრობას საზღვარი არ ექნება. მხოლოდ ეს სიმპათიური თვისება მათი სულიერი არსებისა სიბრალულის ცრემლებს იწვევს თქვენს თვალებზე, ღრმა ტანჯვისაგან გულმოკლულ ადამიანებს გაყვარებთ და თაყვანისცემას იწვევს თქვენში იმის წინაშე, რასაც დევინიმ უწოდა „დიდებულება კაცობრიობის ტანჯვისა".

3

ჩვენ ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ არის ისეთი დრო და გარემოება, როცა კერძო ბარათებს ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა. საზოგადოდ კი ის უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ დროს დღიურებსა და ბარათებს დიდ მნიშვნელობას აძლევს სალიტერატურო კრიტიკა, რადგან მასში დაუფარავად და გულახდილად მოთხრობილია ხოლმე სულის ტანჯვა, გოდება და კვნესა. საკმარისია გავიხსენოთ არაჩვეულებრივი მაგალითი ლიტერატურაში ჟენეველი სრულიად უცნობი პროფესორის ამიელისა, რომლის სახელი მისი

სიკვდილის შემდეგ გაიგო განათლებულმა კაცობრიობამ, მხოლოდ და მარტო მისი დღიურის გამოქვეყნების გამო.

ეს ასეა და ამიტომაც ჩვენ თავს ნება მივეცით და კერძო ბარათებს დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ ახალთაობის ფსიქოლოგიის გამოსარკვევად.

ამ ახალგაზრდობას თავისი სულის მოძრაობის დასასურათებლად ოფიციალური, ყველასგან პატივსადები დოკუმენტებიც წარმოუდგენია—სალიტერატურო ნაწარმოები—და ეხლა ესეც გავარჩიოთ.

გამოურკვეველობა იდეალისა, ურწმუნოება, გულისგამგმირავი პესიმიზმი, — აი რა იხატება დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმოებში.

ზემოხსენებულ ახალგაზრდობის უპირველეს წარმომადგენლად ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს შ. არაგვისპირელი, რომლის ლიტერატურული ნიჭი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს დაყენებული.

ყველაზე უფრო სავსებით აქვს დაცული ყოველ მის ნაწარმოებში იგივ სევდა და კაეშანი, იგივ ეჭვი ყოველი კეთილის შესახებ და მწარე სკეპტიციზმი, რომელიც შეადგენს უმთავრეს თვისებას დღევანდელი ახალგაზრდობისას.

შ. არაგვისპირელის მელანქოლიური პესიმიზმი თანდათან მკაცრდება და უკანასკნელ მის ნაწარმოებში („გმადლობ, უფალო, გმადლობ...") უმაღლეს წერტილამდე მიდის.

„ეს არის ჩვენი ცხოვრება" თუ ღრმა პესიმიზმის ნაშობია და „ჩემო შვინდავ!" მელანქოლიური და ირონიული პესიმიზმით არის აღსავსე, უკანასკნელი მისი ეტიუდები სიყვარულის შესახებ მკაცრი პესიმისტური გრძნობებით არის გამსჭვალული. „ეს არის ჩვენი ცხოვრება" გამომხატველია ცხოვრების კანონების ულმობელობისა და სისასტიკისა, კაცთა პირუტყვული გრძნობის უწყალოებისა და ბუნების გულგრილობისა. „მთვარე", — ასე ათავებს ავტორი თავის საუკეთესო ეტიუდს, — კი გულგრილად, შეუბრალებლივ დასცქერის ზემოდან და თითქოს ეუბნება: აი, თქვე საცოდავებო, თქვენა! რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მღილისათვის თქვენ მაგრე იქუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილი ხალხის სისხლის მორევი დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!.. და მთვარე ნაწყვეტ ღრუბლებში მიეფარა და მო-

ხუჭა თვალები. ტრაგიზმით აღსავსე ამ სურათის დახატვის გამო ავტორიც წყნარსა და ნაზ სევდიანობას იჩენს და მზად არის მხოლოდ „რამოდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოაგდოს“, ამ მოთხრობის ერთი მეურმისა არ იყოს. ბუნების კანონების სასტიკად დამორჩილებულ პოეტს დღევანდელი დღისას სხვა იარაღი ვერ მოუპოვებია ამ სისასტიკისა და ულმობელობის წინააღმდეგ, თუ არა ჩუმი, გულჩახვეული კვნესა და ცრემლთაღვრა. მისთვის უცნობია მეხთამტეხი ღაღადი, აღშფოთებული გულისაგან მედგრად ტყორცნილი სიტყვები ცხოვრების ყოველგვარი უსამართლობის საწინააღმდეგოდ.

„ჩემო შვინდავ“ გვიხატავს გლეხკაცის ჭირ-ვარამს და ავტორის ნაზ ირონიულ ღიმილს იწვევს ის შემთხვევა, რომ კაცი — ადამიანი ასეთმა უბრალო და უმნიშვნელო შემთხვევამ, როგორიც არის ერთი ხბოს დაკარგვა, ააღელვა და ცრემლები აფრქვევინა. თუ ამგვარი მცირე და პატარა ტანჯვის სურათს ავტორი დაღვრემილობითა და მწარე ღიმილით უცქერის, სამაგიეროდ არაჩვეულებრივი სიმკაცრით გვიჩვენებს დედა-კაცის ცბიერსა და მოღალატე ბუნებას („ქარი კი ამ დროს ზუოდა... ქალის ორპირობასა და უსირცხვილო ხერხიანობას“. „მხრები-ღა ავიჩეჩე“), დედა-კაცის გაქნილსა და პირუტყვული გრძნობებისაგან მოწამლულ, გაქსუებულ სულსა და გულს („ხითხითებს და ხითხითებს“). ამავე მოთხრობაში გვიჩვენებს მამა-კაცის საზიზღარ გულგრილობას და მის მხეცური ინსტინქტებით აღსავსე ბუნებას, ბრაზის მომგვრელ მოთმინებას და გულისა და სულის ამრევ ხელისშეწყობას დედა-კაცის მრუშებაში. იგივე მწერალი გვიხატავს, მამა-კაცის დაცემასა და გაპირუტყვებას („სულ ერთია“) და დედაკაცის სისუსტეს, სიმჩატეს და დაუდგრეკლობას იმავე ეტიუდში. ავტორს არა სწამს, რომ ქვეყნად არსებობდეს უდიდესი განძი ცხოვრებისა — სიყვარული და ეს მას ცინიკური კმაყოფილებით კი არ ავსებს, კბილების ღრჭენით აღნიშნავს ამ მოვლენას და გულდათუთქული ისტერიული ხარხარით წინ გადაგვიშლის სურათს ამ გრძნობის გათახსირებისას და გაქსუებისას ადამიანთა წრეში („ყველაი დავკარგე“). ხანდახან კი სევდიანი ირონიით აღსავსე სურათებს გვიხატავს იმისას, რომ პირუტყვებში უფრო ძლიერია და ხანგრძლივი იგი გრძნობა ცხოვრების განმაცალკევებელი („ბეჩა, რადა მკლავ!“). ხოლო თუკი სადმე ეს გრძნობა შელახულია და დამარცხებული კაცთა გულქვაობისაგან, დაცემული საზოგადოებისაგან, ადამიანთა კრე-

ბულისაგან შექმნილ გარემოებათაგან სულამოხდილია ყოველივე გრძნობა ცხოვრების ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი. ეს გარემოებანი ძლიერ აღვილად სძლევენ ხოლმე კეთილი გრძნობებით აღვსილ სუსტ არსებას და თითქმის არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს არსებაში („აბრეშუმის ცხვირსახოცი", „ყველაი დავკარგე!").

ავტორი ბოლო ხანს ერთ ეტიუდში შეეხო თვით ამ დღევანდელი გათახსირებული საზოგადოების უფლებებს პირადობის შესახებ და დაგვიხატა (საუბედუროდ საკმარისი ძლიერებით კი ვერა) ტანჯვა გონიერი და გრძნობიერი არსებისა, გამოწვეული საზოგადოების გულქვაობისა და ულმობელობისაგან („ღირსი ვარ ამისი, ღირსი"). ერთი სიტყვით, ავტორი ვერას ხედავს სანუგეშოს ვერც ბუნებაში, ვერც საზოგადოებაში, ვერც კერძოდ ადამიანში, ყველა ერთიმეორეზე უარესია, ერთმანეთის მტერი, ანდა გულგრილი და გულცივი ძალაუნებური მოკავშირე. უკანასკნელ ეტიუდში („გმადლობ, უფალო, გმადლობ!") შ. არაგვისპირელმა წარმოგვიდგინა თავზარდამცემი სურათი ყოველივე წმინდა გრძნობის შელახვისა და მოსპობისა კაცთა შორის. არ დაინდო ავტორმა არც სიყვარული, არც მეგობრობა, არც სამსახური საზოგადოებისათვის და გრძნობა; ჩვილ ქალიშვილს დაანახვა სიზმარში ყოველნაირი თვალთმაქცობა, ფარისევლობა და მატყუარი გაიძვერობა ცხოვრებაში; დაანახვა, რომ ყოველივე წმინდა კავშირი მხოლოდ ოცნებაა და ჰფარავს საზიზღარ სინამდვილეს ადამიანთა ცხოვრებაში, — სულის აღმაშფოთებელ პირუტყვობას ადამიანისას. და ამ სინამდვილესაც მარტო სიზმრად თუ ვხედავთ, თორემ ცხადად ყველა ვართ მოტყუებული და მატყუარა, ერთმანეთის თვალების ამხვეველი და ერთმანეთის შემაცდენელი. ეს ეტიუდი ყველა მისი ეტიუდების დედა-აზრის გამომსახველია; სხვა ეტიუდები ილუსტრაციაა აქ გამოთქმული მწარე შეხედულებისა ცხოვრებაზე. რამდენად არსებითი თვისებაა შ. არაგვისპირელისა მისი პესიმიზმი, სულ უბრალო შემთხვევებშიაც კი სჩანს. მის სამ ეტიუდში—(„სოფლად", „ახალწლის ღამეს", „მომილოცნია ახალი წელი") — ტანჯული ცხოვრებაა მოთხრობილი ბედშავი ადამიანისა და სამივე ეტიუდის ამბავის დროდ ავტორს ახალწლის ღამე აუღია თითქო მისთვის, რომ ყველასთვის სამხიარულო ღამეს კონტრასტი დაუყენოს და სურათის სიმწვავე უფრო თვალსაჩინო გახადოს. შ. არაგვისპირელის პესიმიზმი დღითი-დღე უფრო სასტიკი ხდება, უფრო გულსა წყლავს. სულს უხუთავს ავტორს. თავდაპირვე-

ლად ეს პესიმიზმი ნაზი იყო და ირონიული, დღეს კი მძაფრია და ულმობელი.

მეორე მწერალი ახალგაზრდობის სევდით აღსავსე განწყობილების გამომხატველი — ა. დეკანოზიშვილია. მაგრამ მისი პესიმიზმი უფრო სენტიმენტალურია და თანაც ნაზი. მისი პესიმიზმი ისეთი სიმკაცრით როდია შეზავებული, როგორც შ. არაგვისპირელისა. ა. დეკანოზიშვილიც ვერ ხედავს სანუგეშო რასმეს ვერც ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულებაში („პეპელა", „სნეული"), ვერც საზოგადოებისა და პირადობის დამოკიდებულებაში („დაღუპული"), ვერც ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში („სნეული" და „ის კი მიდიოდა"). პეპელა ნაზად თავს დასტრიალებს და უდარდელად დაჰხარის ყვავილებს იმ დროს, როდესაც კაცს მარტოობითა და დაობლებით გულდათუთქულსა და სულშეხუთულს გამოუთქმელი ტანჯვა აწვება გულზე და თვალზე ცრემლი შეშრობია. ბუნება ქორწილს იხდის და თავის განახლებას დღესასწაულობს იმ დროს, როდესაც საბრალო სნეულის სიცოცხლის ვადა გადის. თაყდება. ამ მხიარულსა და უდარდელ ბუნებაში მას ერთი თანამგრძნობი ჰყავს (გამხმარი ხე) და იმის მოსპობასაც უპირებს გულქვა ადამიანი, მისივე მებაღე, რომელსაც ვერც კი გაუგია რადა სწყინს სნეულ ბატონს მისი ასეთი განზრახვა. ქალს ვერ გაუგია („ის კი მიდიოდა") სიყვარული კაცისა, „ამ კაცის სურვილები და ოცნებები არც კი ეხებიან მას და სხლტიან, როგორც ყინულზე"; გამოთხოვების დროს ზედაც არ შეხედავს მის ტანჯულ სახეს. მესაფლავე კი დაინახავს, რომ გულმოკლული მიჯნური გაშტერებით უყურებს ერთი საფლავის ლუსკუმს, ასე ჰგონია მართლა ლუსკუმის ცქერას გაუტაცებიაო (ისიც ხომ ადამიანია — გულცივი არსება), სასაფლაოდან დაითხოვს და ანუგეშებს, როგორღაც ირონიულად — ეგ ხვალაც აქ დაგხვდებაო. ვინ და რა? კითხულობს ბოლოს ავტორი, მაგრამ განა შეეძლო გაეგო ეს მესაფლავეს, და, საზოგადოდ, განა შეუძლია ადამიანს გაიგოს თავისი მოძმის ტანჯვა და მწუხარება, ან საზოგადოებამ შეიგნოს ის სახმილი, რომლითაც იწვის ყოველივე მისი წევრი? (ეს აზრი უნდოდა ავტორს გაეტარებინა ეტიუდ „დაღუპულში"). ადამიანი კი კაეშნით მოცული, სევდისაგან გულმოწყლული, მარტოდ-მარტოა, სულით დაობლებული, უნუგეშო და უმწეო ამ უწყალო წუთისოფელში. თვით დ. კლდიაშვილის იუმორისტულ ნაწერებსაც ეტყობა სევდიანობა, იგიც

ადამიანა უძლურებისა და ცოდვიანობის ამღიარებელია და პესიმისტური იუმორით აზავებს თავის სიბრალულს აღწერილ გმირთა შესახებ („სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“). ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რა დიდი განსხვავებაა ეხლანდელი მწერლისა (დ. კლდიაშვილის) და მესამოცე წლების კორიფეის ნაწერებში იმავე სენის შესახებ, რა განსხვავებაა მარტო ორთა მწერალთა ნიჭში კი არა, თვით იმ გრძნობაში, რომელსაც აღგვიძრავს მათი ნაწარმოები. ილ. ჭავჭავაძე სასტიკად ეპყრობა ადამიანობის უარმყოფელსა და შემრცხვენელს, დ. კლდიაშვილი — ლმობიერებითა და სიბრალულით, და ამ ლმობიერებასა და სიბრალულში იხატება, ზემოთაც მოვიხსენიეთ, აღსარება ადამიანის ბეჩაობისა და სისუსტისა. ლმობიერი და შემბრალე გული გვეუბნება, ცოდვილი და დამნაშავე კაციც ჩვენსავით ადამიანია, ადამის შვილი, ესე იგი ცოდვის შვილიო და, როგორც ასეთს, განა შეეძლო ცოდვა არ ჩაედინა, ბიწიერების გზაზედ არ წასულიყო? რა უფლება გვაქვს ჩვენ მას ზიზღით შევხედოთ, როდესაც თვით ჩვენვე ყოველ წუთში შეგვიძლია უარესი გავხდეთო. სასტიკი მორალისტი კი იმას გეტყვით, სიბრალული რა ხელსაყრელია კაცისათვის? ნუთუ იმისთვის ცოცხლობს კაცი, რომ ბოლოს მაინც კიდევ შენდობა ითხოვოს და საბოდიშოდ გაიხადოს საქმე? ადამიანი თუ ვართ და ცოდვის შვილები, ღვთის შვილიცა ვართ; რატომ არა ვცდილობთ პირუტყვობა ვძლიოთ ჩვენში და ღვთაებრიობა განვავითაროთ? ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ იმ კაცმა, რომელსაც სწამს ძლევამოსილი სიმხნე ადამიანის სულისა, ვისაც ღრმადა სწამს და აღიარებს ადამიანის ძლიერებას და ყოვლისშემძლეობას.

4

პოეზიაც არ ჩამოსცილებია პროზას სევდიანობისა და დაღვრემილობის გამოხატვაში. ჩვენი ახალგაზრდა პოეტები (ცახელი, გ. აბაშიძე, ი. ევდოშვილი) საზოგადო გლოვისა და მწუხარების გამომხატველნი არიან. ეს კი უნდა თქვას კაცმა, რომ მათი პოეტური ბუნება ისეთი თანდათანობითა და სისასტიკით ვერ ითვისებს ამგვარ სულის მიმართულებას. მათ სურთ სიცოცხლე, სიცოცხლეს ადვილად ვერ ჩამოშორებიან და თავს იმედს კიდევ არ უკარგავენ, თუმცა დაქინებითი დაიმედება თავისა ხშირად უფრო უიმედობის ცეცხლის მაჩვენებელია და სულის ღრმა კაეშნისა.

ლექსები ცახელისა სევდით აღსავსე გულის კვნესაა, კვნესა წყნარი და ნაზი, როგორც ის საუცხოო დუმილით მოცული ღამეები, რომლის აღწერაც უყვარს ხოლმე მას ხშირად: იმ ღამეებისა, როცა „ფოთოლი მძინარ ფოთოლს ხელ-მოსხლეტ მიჰყრდნობია“, როცა „მწუხარედ მოუხრია ყელი ლამაზ იასა“; იმ ღამეებისა, როცა საზოგადოდ ყოველივეს „ჭმუნვის სურათი ცხადად ატყვია“. ამ ღამეების „სევდით მთეველი“ პოეტი ქედს უხრის რაღაც შეურყეველ, იდუმალ ფიქრს, რომელსაც მოუცავს ქვეყანა; ხმა-ტკბილი ბულბულის სიმღერა ტირილად მიუჩნევია და „გულში სევდას უსახავს რაღაც დამწველი ხმა მისი“. მისი გმირებიც კაეშნით აღსავსენი არიან, მათ გულს აწევს მდუღარება, მათ სახეს — გლოვა და მწუხარება. ტყუილად ცდილობენ ეს გმირები აღძრან ხალხი ქვეყნის ტანჯვისაგან დასახსნელად, ტყუილად გაიძახიან: „ქვეყანა დაპყრობილია სევდით და გლოვის ზარით, სიცოცხლე არსადა სდუღს,... ხმა კიდევ არსით ისმის“ („უკვდავი სარდალი“). ტყუილად დასტირის მშობელი „სევდიანი, გულ-მოკლული“ ცივ საფლავს შობილისას, არავინ არ აძლევს პასუხს („მარინე“). ტყუილად ეძებს მწუხარებით აღსავსე და ცრემლისმფრქვეველი შვილი მშობელს, „ის ვეღარ დაბრუნდება“ („მიცვალებული“). პოეტი ქვეყანაზე ტირილისა და გლოვის მეტს ვერას ხედავს. დედა დასტირის შვილს, შვილი დედას, და ძმას („ზაალი“), საყვარელი საყვარელს („სიყვარულის მსხვერპლი“); ყველა სტირის და გლოვობს, გლოვობს ბუნება, გლოვობს კაცი, იმედი კი არსაიდან სჩანს, არსით სჩანს ხსნა და შველა. თუმცა ცახელს ბუნებაში მოუპოვებია თანამგრძნობი — ბულბული, რომლის „სევდის ხმა გულმოკლულად შორს რომ გაისმის, მისივე დარდი ამ მოთქმაში მასვე მოესმის“. მაგრამ ეს სტვენა „მწველი სტვენაა“ და არა სანუგეშო, ჭირთა განმაახლებელი და არა დამაამებელი. რამ უნდა ანუგეშოს და დაამშვიდოს კაცი, რომელსაც „სამშობლომ გული დაუჭკნო, დაბადა ნაღვლის სასმელად და ბედის დასაგმობელად“. რომელიც ამბობს: „უდროოდ მოეტყდი, მოვხუცდი, აღარ მაქვს ბინა ამ სოფლად, გულს სიხარული გაუქრა და აწ-დავდივარ აქ ობლად: ჯოჯოხეთზედაც მწარეა ჩემთვის ეს ჩვენი ქვეყანა, საცა კი ფეხი გადავდგ́ი შხამი დავლიე ყველგანაო“. სად მოიპოვოს იმედი პოეტმა, რომელიც ხედავს, რომ „კეთილს შეება ბოროტი, სძლია შემუსრა, წამზედა და იწყო ისევ დროებით მეფობა ქვეყანაზედა“. მართალია, ხანდახან სასოებაც გამოუქროლებს პოეტს, თითქო მხნეობასაც არა

ჰკარგავსო, გაიძახის „იმღელვარე, ცხოვრების ზღვავ, და მომასხი შხამი წყლულზედ, ვიამაყებ, ვიგმირგულებ, არ მოვკვდები — გასკდი გულზედ“, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ „ვიბრძვი და ბრძოლა არ გადის, ძლივს ვუძლებ ბრძოლას დიადსა: ერთი მბეუტავი სანთელი, როგორ სძლევს ღამის წყვდიადსა“. ამიტომაც არის, რომ „ლხინს ურჩევნია მისი გულის მოთქმა მწარი. ოკეანეს შეედრება, რაც კი რომ იქ გრძნობა არის“ [1].

ნაკლები ნიჭითა და ხელოვნებით შეთხზულ ლექსებში ი. ევდოშვილი არანაკლებ პესიმიზმს იჩენს. მისი პესიმიზმი უფრო ძლიერიც არის და უფრო რადიკალურად აქვს დაცული. მის გულს „ტანჯვა არასოდეს არ ავიწყდება, ვიდრემდის ძაფი სიცოცხლისა არ შეუწყდება“. იგი არ დასტირის არც გულის სატრფოს, არც თავის „მწარე სიცოცხლეს“; ტანჯავს ის, რომ მის გარშემო მოისმის ტანჯულთა კვნესა და მჩაგვრელთ სიმღერა, სიცილ-ხარხარი. მის „გულსა დამჭკნარს, დაავადებულს, სჭირია ნამი ცხოველი, ეაგრამ სად არის? ხეცით არ მოვა... და მტარვალია მისთვის სოფელი!“, „ეჭვით შეპყრობილს არ ეკარება არც სიყვარული, არც სიძულვილი, ყველა ჰგონია ამაოება“. ბუნება ხარობს, ტურფად იშლება, მას კი „შხამი გულს ეწვეთება, მის გულსა ჰგმირავს მეტყველთა კვნესა“, იტანჯება, ჰგოდებს და კვნესის და ამ კვნესა-გოდებას ქვეყანას ამცნობს, ამცნობს მიტომ, რომ არ ძალუძს გაჩუმდეს, არ იტიროს და არ იგლოვოს. მეო, — ამბობს იგი,—„დროს შვილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი და ისარითვე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი, მე დროს შვილი ვარ, მან მაწოვა შხამი სამწალა და აღვსებული აწ ფიალა გამოიცალა“ [2].

მათ შორის გრ. აბაშიძე უფრო ნაკლები პესიმისტია. კიდევ ბეტი: უფრო მხნეობას იჩემებს, უფრო იმედებითა და სასოებით არის აღსავსე მისი ლექსები, მაგრამ ვერც ის აშორებია დღევანდელობას და მის ლექსებსაც ასვია მჭმუნვარების ღრმა ბეჭედი. არა მგონია შეხვდეთ ახალგაზრდა პოეტთა ნაწარმოებებში მის „დედა“-ზე უფრო პესიმიზმით აღსავსეს.

---

[1] ლექსები ცახელისა, ტფილისი, 1891; რჩეული ლექსები ცახელისა, ქუთაისი, 1896 წ.

[2] ი. ევდოშვილი. ლექსები და პოემები, ტფილისი, 1896 წ.

დედა, რომელიც ყველაფერს სწირავს სიკვდილისაგან მოტაცებული შვილის მოსაპოვებლად, ისევ უბრუნებს სიკვდილს თავის სასოება შვილს, რაკი ორ წყაროს დაინახავს, რომელთაგან „ერთი იყო ტანჯვით სავსე და მეორე — სანეტარო; ერთში სჩანდა ცის ცხოვრება, მეორეში — ამა სოფლის; იქ — დიდება, ნეტარება, აქ— წამება, ჯოჯოხეთი“... და, ცრემლების ღვრით, დედა სიკვდილს ეხვეწება მისი შვილი წაიყვანოს: „და რადგანაც ეს სოფელი ჯოჯოხეთი თურმე არი, ამიღია შვილზედ ხელი, მის სანაცვლოდ მე დავრჩები „საკვნესად და სატანჯველად“. ანდა წაიკითხეთ მისი „ორი სურათი“ და ნახავთ, რა აზრის არის ავტორი ცხოვრების შესახებ, რომლის სისასტიკესა და ულმობელობას, გულქვაობასა და გულგრილობას გვიხატავს. ამ ცხოვრებისთვის სულ ერთია კაცის ბედნიერება და მხიარულება: „ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიაჩნის ნანინა იმედნეულის დედისა“...

მართალია, პოეტი მედგრად ეომება სევდას და მხნედ ეუბნება „არ მიგიკარებთ სევდებო, არ მოკვდეს ჩემი გულია... გარდავშლი წიგნსა იმედთა, დავუწყებ იმას კითხვასა“-ო; მართალია, პოეტი ხშირად აღტაცებაში მოუყვანია თავისი ქვეყნის „ლამაზ გაზაფხულს“ და ხშირად ამ გაზაფხულით აღტაცებულს უმღერია „ვდგევარ, ვნატრობ, სულს მილხენს განახლებული ბუნება... არ მწამს სულისა, არ მწამს სიკვდილი, დაძაბუნება!“ მაგრამ ასეთი სასოწარკვეთილებითაც ხომ აღვსილია მისი გული ცივსა და გულისშესაზარ ზამთარში; „შენც. ჩემო თავო, ეგ გელის, შენი ზაფხულიც გაქრება, სითბოს შეგიცვლის შენც ყინვა, სიბერე მოგეპარება, კიდეც მოკვდები, ბუნება ხელახლა აყვავილდება, შენი სიცოცხლე დამჭკნარი სამარადისოდ გაქრება“. უკანასკნელი დროის ლექსით გაზაფხულის გამო თავის უწინდელ აღტაცებასაც კი შხამი გადაასხა და მოსპო ამ სიტყვებით: „ყოველ წლივ ხარობ (ეუბნება პოეტი გაზაფხულის ბუნებას), იმკობ გულს... მეც ეგ მშურს, ეგვე მწადია! დავბრმავდი... ვერ ვეკვრეტ გაზაფხულს ეს ასი წელიწადია!“ კიდევ მეტი, ამ ბოლო დროს პოეტი ირგვლივ უიმედობას ხედავს და ამით გულდათუთქული ამას ამბობს: „წარვიდნენ დღენი სიყმაწვილისა, ლიტონი სიტყვა აღარა მჯერა... ესდენ ვაებამ, თვით სასოება პირქვე დამიმხო, გამიცამტვერა“. სიმართლე თხოულობს მაინც აღვიაროთ, რომ გრ. აბაშიძე ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფრო გულგაუტეხელია და იმედებით აღსავსე. „მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება, მიყ-

ვარს, მიყვარდა და მეყვარება, მით უფრო მიყვარს, რომ სხვადასხვაობს, დღეს რომ ტანჯვაა, ხვალ — ნეტარება“ („ოპტიმისტის სიმღერა“). არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა პოეტებზე უფრო გარკვეულია მისი სევდისა და დარდის მიზეზი; მის ლექსებში უფრო ნათლადა სჩანს მისი მისწრაფებანი და ლტოლვილებანი, და ამ შემთხვევაში მესამოცე წლების დიდებულ მწერალთა მიმდევარია. ხოლო ზემოთ მოყვანილი ნიმუშები მისი სევდიანობის და ოხვრა-კვნესისა მაინც იმას გვიმტკიცებენ, რომ ცხოვრების სიყვარულით აღსავსე პოეტზეც დაუმჩნევია ღრმა ნიშანი დროს და გარემოებას, საერთო მიმართულებას საზოგადოებისას და იმდენად ძლიერია ეს ნიშანი, რომ ძალაუნებურად ფიქრობთ, ვაი თუ იმის იქედიც იმავე უიმედო იმედის ჯურისა იყოს, როგორიც აქვს დახასიათებული მისსავე თანამედროვე პოეტს:

„კიდევ იმედი... კვალად იმედი..
მხოლოდ იმედი... სხვა არაფერი?!
ნუთუ იმედის მოლოდინშია
უნდა დავლიო პირეუში დღენი?“ (ი. ევდოშვილი)

5

გრძნობათა გამოხატვა პოეზიას და საზოგადოდ სიტყვაკაზმულ მწერლობას უფრო სჩვევია, პუბლიცისტიკა კი ამისთვის როგორღაც მოუხერხებელია. იგი უფრო აზრის გამომხატველია და არა გრძნობისა. ამიტომაც დღევანდელ ჩვენს პუბლიცისტიკაში ვერ არის დაცული საკმაოდ საზოგადო ხასიათი ეხლანდელი ახალთაობისა. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა მონოპოლიური ხასიათისაა და მათ მეთაურებს არა სურთ ხოლმე სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილები დასტამბონ: ასეთ ადგილებს სტატიაში რედაქცია შლის ხოლმე და ნებას არა რთავს ამგვარი ხასიათის წერილების დასტამბვისას. ერთი სიტყვით, ახალთაობის წარმომადგენელთა პუბლიცისტიკა ვერ გვიხატავს ისეთი ძლიერებით და სისრულით ამ თაობის გრძნობას და სევდას, როგორც ლექსი, გინდ სხვა ბელეტრისტული ნაწარმოები.

ლალი და ფხა უნდა ჩავთვალოთ ამ ჯგუფის ახალგაზრდობის საუკეთესო პუბლიცისტებად, და სწორედ მათ ნაწარმოებში ვერა

ვნახეთ ჩვენ გარკვეული, რა უნდა შეადგენდეს იდეალს ჩვენი ინტელიგენციისას, მის სალტოლველსა და სანუკვარ საგანსა. ამას იქნებ სხვა ხელისშემშლელი გარემოებაც ჰქონდეს, მაგრამ, მგონი, მეტისმეტი სიბრმავე იქნებოდა მარტო ამისთვის მიგვეწერა დღევანდელი მწერლობის აზრის ბუნდოვანობა. ადვილი მისახვედრია, რომ რაკი ამ ჯგუფის ახალგაზრდობას თვითონაც არა აქვს მტკიცედ გარკვეული პროგრამა ცხოვრების მოქმედებისა, ვერც მის წარმომადგენელ პუბლიცისტებს გამოურკვევიათ იგი.

აიღეთ ლალის წერილები 1895 წლის „ივერიის“ ნომრებში დასტამბული. აქ ლალი წარმოსთქვამს შემდეგ აზრს „ზედ-შენობის“ შესახებ: „ბურჟუაზიის ლიბერალთ „ნაროდნიკებს“ და მარქსისტებს ერთი და იგივე „ზედ-შენობა“ წინ ეღობება. ამგვარად რუსეთის ინტელიგენცია უბრუნდება კვლავ მეოთხმოცე წლების პრაქტიკულს პროგრამას... „გარეშე გარემოებანი“ სრულიად შეუძლებლად ხდიან საზოგადოებრივ ელემენტების შეგნებულს მოღვაწეობას. აი ეს უკანასკნელი მდგომარეობა აერთებს დღეს რუსეთის პარტიებს და ამ მხრით კანონიერი იქნება, ვთქვათ, რომ დღეს ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეადგენს რუსეთის დასებად დაყოფა და სხვადასხვა პროგრამის არსებობა („ივერია“, № 65).

ასეთსავე მდგომარეობაშია, ავტორის აზრით, ქართველი ინტელიგენცია: „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელ (მესამოცე წლების) მოღვაწეთა მოღვაწეობით ეროვნულის თვით ცნობიერების საქმემ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ერის ბევრად თუ ცოტად განვითარებულს ნაწილში; ახლა კი საჭიროა, რომ ამ იდეალმა უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვოს, გავრცელდნენ და გახდნენ მთელის ერის საკუთრებად, მაგრამ მამულის მოყვარულთ ამგვარს მოღვაწეობას წინ ეღობება იგივე „ზედ-შენობა“... რომ ხალხმა შეიგნოს და შეიყვაროს ის იდეალი, საჭიროა მას სარჩულად დაედოს არა მარტო პლატონისებური და გვარიანად ბუნდოვანი იდეები, არამედ მტკიცედ განსაზღვრული რეალური ინტერესი... ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ინტელიგენციასა და ხალხს შუა დამკვიდრდეს დიდი ზნეობრივი კავშირი და ურთიერთობა, მაგრამ, როგორც ვიცით, ამგვარის კავშირის ჩამოგდებისათვის საჭიროა უფრო ფართო კალაპოტის არსებობა, ვინემ ახლა გვაქვს მოსაზღვრული“.

ამგვარად ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა პროგრესული დასის ნაყოფიერსა და თვალსაჩინო მოღვაწეობას აფერხებს ერთი

და იგივე გარემოება და ამის მიხედვით ჩნდება საერთო ასპარეზი საერთო მოღვაწეობისათვის. აქაც გარკვეულს ვერას ვხედავთ და ამიტომაც იყო, რომ ჟორდანიას საფუძველი მიეცა ლალის წერილებზე ასეთი პასუხი გაეცა: „რასაკვირველია, — ამბობს ჟორდანია, — დაცვა ვინაობის, ენის, პირადობის, თავისუფლების, არსებითი თვისებაა ცხოვრებისა, მხოლოდ საქმე იმაშია ეს ვის როგორ ესმის და რა საშუალებით დააინტერესებს ამაში ხალხს, ერს და რა გზით შეეძლება მისი ცნობიერების აღდგენა“ („კვალი“, 1895 წ., № 12), და შემდეგ... „ბ. ლალი თავის წერილებში „ბიუროკრატიულ ზედშენობას“ შესახებ ლაპარაკობს. ეროვნული თავის დაცვა და „ზედ-შენობა“ ეს ორი სხვადასხვა კითხვაა... ჩვენს ინტელიგენციაში ჯერ კიდევ სადავოა, ამ ორ კითხვას შორის არსებობს რაიმე კავშირი თუ არა“.

ამგვარად, ბ-ნმა ლალიმ თავის პროგრამას, ჩვენდა სამწუხაროდ, „ფარდა ვერ ახადა“. მისი სიტყვები, მესამოცე წლების ახალთაობისაგან აღიარებული ეროვნული პრინციპის შესახებ, გაფიქრებინებთ, რომ იგი ამ პრინციპის მიმდევარია, მაგრამ იქვე, ცოტა ქვემოთ, სრულიად სხვა აზრი აქვს გამოთქმული. ცხოვრების ნორმალურად მიმდინარეობის შემაფერხებელი გარემოების წინააღმდეგ შეიძლება მრავალი სხვადასხვა იარაღი იხმარებოდეს, მის შესახებ მრავალი სხვადასხვა აზრი წარმოითქვას; პუბლიცისტი ვალდებულია გამოგვირკვიოს რომელი ამ აზრთაგანი უფრო საფუძვლიანია, უფრო ღირსი ყურადღებისა და უფრო ხელსაყრელი და საპრიანო.

ლალიმ ძალაუნებურად, თუ თავისი სურვილით, აქ შეწყვიტა კამათი ქართველი საზოგადოებისათვის საინტერესო მწვავე კითხვების შესახებ და თავი მიანება მას, ჯერჯერობით მაინც.

რაც შეეხება ფხას, მას უფრო თეორიული ბაასი აქვს ეკონომიური მატერიალიზმის დამცველებთან. ისტორიულ მოვლენათა ახსნაში და ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეების აწონ-დაწონაში იგი ეხლანდელ საუკეთესო ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა მიმდევრად ხდება (გიუიო, ფულიე, ტარდი, კიდდი, უორდინი და სხვ.). მართალია, ჯერ კიდევ ვერა აქვს საკმაოდ გამორკვეული „ეთიურის, მორალურის“ ფაქტორის მნიშვნელობა ისტორიულ ცხოვრებაში (ამ ფაქტორისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა განასხვავებს ზემოხსენებულ მწერლებს), მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ შემდეგში უფრო სავსებით შეეხება ამ საგანს.

კერძოდ დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შესახებ სრულიად სამართლიანი აზრი აქვს გამოთქმული; ერთ თავის წერილში აშკარა ფაქტად აღიარებს, „რომ ჩვენი ცხოვრება წარმოების გზას დააღგა და სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო“ („კვალი“, 1895 წ., № 27), კაპიტალისტური წეს-წყობილება ჩვენში ფეხს იკიდებს და თუ „სისწრაფით არ მიდის“, ყოველ შემთხვევაში მის დამკვიდრებას ჩვენში ვერაფერი შეაფერხებს, იმიტომ კი არა, რომ საზოგადოდ კაცობრიობისათვის შეუძლებელი იყოს სხვა გზას დაადგეს, იმიტომ რომ ქართველი ერისათვის შეუძლებელია ამ ახალი გზის აღმოჩენა; ცალკე ერის ცხოვრებაში მხოლოდ გმირს შეუძლიან ხოლმე ახალი გზის აღმოჩენა, ახალი იარაღის შექმნა და ხალხის მეთაურობა. მაგრამ საერთო ხალხთა ისტორიაში ამ გმირობას ყველა ერი კი ვერ აღასრულებს, არამედ ისეთი „რჩეული“, როგორიც დღემდე ინგლისი და საფრანგეთია, და ამ ბოლო დროს გერმანიაც. მათ აქვთ მინიჭებული ისეთი ადგილი და როლი ქვეყნიერების ცხოვრების მსვლელობაში, როგორც განგებისაგან მადლით ცხებულ გმირს კერძო ერის ცხოვრებაში.

კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ვერ აუარა გვერდი ვერც ერთმა გმირმა — ხალხმა და რა საფიქრებელია ჩვენ ავცილდეთ მას. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ შეგნებული მიმბაძველობით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მეტი არა დაგვრჩენია რა და ტყუილი იმედიც იქნება, რაიმე ახალი გზა მოვიპოვოთ. ამას,სხვას გარდა, ხელს უშლის, რასაკვირველია, ისევ ის გარემოება, პირობა და სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენს ერს განვითარების ნორმალურ გზას დაადგეს. რაკი ჩვენი ცხოვრება წარმოების გზაზე მიდის, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა საგნები წამოგვიყენა ცხოვრებამ და რა პასუხი უნდა გავცეთ მათზე, — ეს ვერ გამოგვირკვია ჯერჯერობით ვერც ფხამ.

ხოლო სევდით აღსავსე ეჭვი და მეჭმუნვარება, საერთო სენი და თუ გნებავთ თავისებური სამკაული ამ ახალგაზრდობისა, ვერც ფხამ აიცილა თავიდან და თავისი პუბლიცისტურ-სამეცნიერო წერილებშიაც გადმოასხა გულში შეგუბებული შხამი. „მართალიაო,—ამბობს ერთ თავის წერილში („კვალი“, 1896 წ.. № 20), — სასიხარულოა, რომ ქართველობა ჩაერია ახალ ვითარებას, მაგრამ ჯერ გამარჯვების დღესასწაული ადრეულია: ბოლო ვისია, ვინ იცის? ამიტომ გული სხვას გვითხრობს. გულუბრყვილო რწმენასა და იმედს გვართმევს და

გამარჯვების ეპვს გვიბადავს... ეპვს მით უფრო აქვს ადგილი, რომ სხვები ჩვენზე ადრე გამოვიდნენ ამ სარბიელზე, ამ საქმეს ჩვენზე წინ მიჰყვეს ხელი. ამიტომ მათ მეტი გამოცდილება, მეტი ბეჯითობა მოუპოვებიათ.

ჩვენ გაცილებით უფრო სუსტნი და გამოუცდელნი ვართ. საქმის წარმართვა კი, მოგეხსენებათ, უმეტესად გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ეპვს კიდევ ის გვიმატებს, რომ შეიძლება იმ ძალამ, რომელიც სხვებს ქომაგობს, ქართველობა, ამხანად წელში გამართული, სრულებით და ულმობელად წელში გაწყვიტოს". არა მგონია პუბლიცისტის ეს სიტყვები იმედებითა და სასოებით აღსავსეობას ნიშნავდეს.

ფხა უფრო ზოგად ფილოსოფიურსა და მეცნიერულ პესიმიზსაც იჩენს, როცა თავის ფრიად საყურადღებო წერილებში (რომლებიც ამ წლის „მოამბის" III და IV ნომრებშია დასტამბული) ამბობს: „ბუნება, მისი სინამდვილე სისრულით და ყოველი მხრივ ჩვენთვის მიუწვდომელია. შეგვიძლიან ფაქტი დავინახოთ, მოვლენა შევამჩნიოთ, ამ ფაქტთა და მოვლენათა მსგავსება და განსხვავება გამოვარკვიოთ და ამ მსგავსებასა და განსხვავებაზე დავამყაროთ ზოგი ზოგადი და განყენებული დასკვნა, ეს ზოგადი დასკვნა, ეს განყენებული ფაქტი კანონად აღვიაროთ. ჩვენ ვამჩნევთ მოვლენათა თანდათან მიმდინარეობას, ამ თანდათანობაში კი ერთ რომელსამე მოვლენას მეორის ან მოვლენათა მთელი რიგის მიზეზად გამოვსახავთ. აი, ასე ვიწრო ფარგალშია მომწყვდეული ადამიანის ცოდნა. ეს ის ფარგალია, რომელსაც სპენსერი გამოსაცნობელს უწოდებს. მაგრამ ყოველ მოვლენას, ყოველ საგანს აგრეთვე მიუწვდომელი, გამოუცნობელი მხარეც აქვს. მარადის სასო უნდა წარვიკვეთოთ, ამ მიუწვდომელს მივწვდეთ, ეს გამოუცნობელი გამოვიცნოთ. ჩვენი ცოდნა არასოდეს ისე ვრცელი, ისე სრული არ იქნება, რომ ხელთ ჩავიგდოთ, უტყუარად გამოვიცნოთ საგნის, მოვლენის თვით სული, თვით არსი. ჩვენი ცოდნა შედარებითია და ფარგალშემოვლებული. მაგრამ ადამიანის გრძნობა, ადამიანის სულის კვეთება აქ არ ჩერდება. ამით არ კმაყოფილდება და თუმცა კარგად იცის, რომ ვერა სცნობს, განგებას ციურს", მაინც აღიარებს სიმართლეს ბარათაშვილის აზრისას: „გულისთქმა ჩემი შენს იქით... ეძიებს სადგურს", მაგრამ ეს გულის თქმა, სრულიად სამართლიანი, მუდამ და მარადის განუხორციელებელი უნდა დარჩეს".

მართალია, ამ შემთხვევაში ფხა სპენსერის სიტყვებს იმეორებს, მაგრამ სპენსერსაც არა მცირედი წილი უდევს იმ პესიმიზმის გავრცელებაში, რომლითაც მოცულია მთელი ევროპის ახალგაზრდობა, ყოველ რელიგიურ და მეტაფიზიკურ მოსაზრებას ამხობდა მეცნიერება და თანაც აცხადებდა: აღარც მე ძალმიძს გამოვიცნო ის საჭირბოროტო და მწვავე საგნები, რომლებზეც კაცობრიობა თავს იმტვრევდაო. რასაკვირველია, ამგვარ აღსარებას სასოწარკვეთილებაში უნდა ჩაეყარა გატაცებულნი თაყვანისმცემელნი ახალი „მხსნელისა“ და საუკუნოდ გული მოეწყლა მათთვის. ხსნა არსად არის, თუ არ რწმენაში. ან უნდა გწამდეს, რომ მეცნიერება ყოველსავე დამალულს და ფარულს, თუ დღეს და ხვალ არა, შემდეგში მაინც გამოააშკარავებს და გამოაქვეყნებს, მიუწვდომელს მისწვდება და გამოუცნობელს გამოიცნობს. ანდა უნდა იწამო რაიმე ძალა, რომელიც განაგებს და მართავს ქვეყანას, თორემ, მართლაც, ფხასი არ იყოს, „სრულიად სამართლიანია „გულის-თქმა“, რომელიც ეძიებს სადგურს ციურის განგების იქით; კიდევ მეტი, შეუძლებელია აღმოიფხვრას კაცის არსებიდან ეს „გულის-თქმა“. მაგრამ ამასთან, თუ იმ აზრისაც ხარ, რომ ეს „გულის-თქმა მარადის განუხორციელებელი“ რჩება, საეჭვოა მოიპოვო სულის სიმშვიდე და მოიკრიბო სულის ღონე ცხოვრებაში ატეხილ ბრძოლის ველზედ გამოსასვლელად [1].

ამგვარად, კერძო აღსარება სევდითა და ნაღველით აღსავსე კერძო ბარათებში. საქვეყნო გოდება და ტირილი, უიმედობა და უსასოება პოეზიასა და პროზაში; გამოურკვეველობა აზრისა და უიმედობა და სკეპტიციზმი პუბლიცისტიკაში, აი ის სურათი, რომელიც წარმოგვიდგენს დღევანდელი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის გრძნობისა და გონების ნაწარმოებს. რასაკვირველია, ამგვარ მიმართულე-

---

[1] სპენსერიც ხომ ვერ შეჩერდა იმაზე, რომ „მიუწვდომელის“, გამოუცნობელის არსება აღიარა. თავის სოციოლოგიის უკანასკნელ IV წიგნში აი რას ამბობს: „არის ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელიც დღითი-დღე უფრო თვალსაჩინო გახდება და ნათლად დასანახავი შეიქმნება: ეს ისა, რომ არის არსება გამოუცნობელი, რომლის დასაბამი და დასასრული მიუწვდომელია და, რომელიც ყველაფერში სჩანს. იმ საიდუმლოებათა შორის, რომელნიც მით უფრო ბნელით მოცულნი არიან, რაც უფრო ღრმად სწვდება მათ ჩვენი აზრი და უკვირდება ჩვენი გონება, არის ერთი შეურყეველი. აბსოლუტური სინამდვილე — ეს ისა. რომ ჩვენ წინ ამართულია ძალი დაუსრულებელი და საუკუნო, ძალი, რომლიდანაც მომდინარეობს ყოველივე (Principes de Sociologie par H. Spencer, v. IV, Paris, 1837, გვ. 215).

პას ახალგაზრდობისას აქვს თავისი მიზეზები, იგი გამოწვეულია იმ ისტორიული სანით, რომელშიაც ვცხოვრობთ, აგრეთვე ჩვენი ერის განსაკუთრებული მდგომარეობით. ჩვენმა ერმა თვალსაჩინოდ იცვალა ფერი პოლიტიკურად, ჩვენი ერი ჩადგა ახალ ეკონომიურ ვითარებაში, ყოველივე ამან შექმნა თვით პირობები, რომლის შეთვისებაც ასე ადრე როდი მოხდება ხოლმე. ჩვენი ერის ახალგაზრდობა სრულიად მოწყვეტილა თავის ძველ კულტურას, ძველ ტრადიციას და ახალ ნიადაგზე გადარგული, თქმა არ უნდა, მრავალი ამათგანი გახმება, ვინემ ნაყოფს გამოიღებდეს. გარდა ამისა, მთელი ევროპის ახალგაზრდობა სევდიანი კილოთი გალობს და ამისი მიზეზია, რასაკვირველია, საზოგადოებრივი დაცემა, პოლიტიკური პირობები და, გარდა ამისა, ის ცრუ მეცნიერული მიმართულებაც, რომელმაც ფესვი გაიდგა ევროპის მოაზრე საზოგადოებაში: დარვინისა და სპენსერის თეორიები სალახანათა თავგასამართლებელ იარაღად შეიქნა, შოპენჰაუერისა და ჰარტმანის ფილოსოფია გარყვნილთა თავშესაფარად ვახდა, რენანის სკეპტიციზმი უაზრო, უიდეალო დილეტანტთა მცნებად შეიქნა. ჩვენი ახალგაზრდობა შეიძლება თვით არ იყოს ისე გართული ამ მწერალთა ნაწერებში, მაგრამ მათგან შექმნილი ატმოსფერო შორსაც მოქმედებს. სამწუხაროდ, ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ და სავსებით ვერ შეეხებით სხვადასხვა მიზეზებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მოვლენას საზოგადოდ ევროპაში და კერძოდ ჩვენში. შეიძლება ოდესმე უფრო სავსებით შეეხოთ მას.

ყოველ შემთხვევაში, აქ სახეირო არაფერია ჩვენი შავდღიანისა და ბნელით მოცული ცხოვრებისათვის; ცხოვრების, რომელსაც ესაჭიროება მხნე მებრძოლნი და ენერგიული, თავგანწირული მშრომელნი; ქვეყანა, რომელსაც გაჭირვების დროს ასეთი ახალგაზრდობა ჰყავს, ვერ აღფრთოვანდება იმედებითა და სასოებით. მაგრამ ისიც ვიქონიოთ სახეში, რომ ამგვარი მიმართულება ახალგაზრდობისა მარტო ჩვენში არ არის: ასეა ევროპაში, ასეა რუსეთში, ამიტომაც არ ძალგვიძს ჩვენი ერის გადაგვარებისა და დასუსტების შედეგად მივიჩნიოთ იგი. ეჭვი არ არის ეს წარმავალი ხანია და ჩვენს ერს კიდევ დაუდგება განთიადი, როცა ნამდვილი გონებით, სულითა და გულით საღი და განმრთელი მუშაკნი შეუდგებიან მისი ცხოვრების უღლის წევას. გარდა ამისა, მართალია, ეს ახალგაზრდობა აქტიურ მოქმედებას მოშორებულია, მართალია პოზიტივური, თვალ-

საჩინო ნაყოფი არ მოაქვს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ამ გოდებას და ტირილს დღევანდელი ცხოვრების გამო, ერთგვარი სარგებლობა მაინც მოაქვს: — საზოგადოება თანაუგრძნობს ამ გოდებას, აღიარებს ამ სევდის სამართლიანობას და ეს კი ის ნიადაგია, სადაც აღიზრდება უფრო საღი მიმართულება. სურვილი ამ ცხოვრების გაუმჯობესებისა, ეს გოდება და ვაება აძულებს დღევანდელ ცხოვრებას საზოგადოებას. ეხლანდელი ცხოვრების უარყოფა ბადებს იდეალს უკეთესი ცხოვრების შექმნისა და ამ იდეალს თავისი განმახორციელებლებიც ეყოლება უსათუოდ. საეჭვოა, მაგრამ შესაძლებელია თვით ამავე ახალგაზრდობაში მოხდეს ასეთი ცვლილება და თვით მანვე უკუ აგდოს სიცოცხლის შემხუთველი და დამასუსტებელი ოხვრა და სევდა, ნაყოფიერ შრომასა და ცხოვრებაში კეთილის გამეფებისათვის ბრძოლას მიჰყოს ხელი, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და გამოუჩნდა გმირი გამამხნევებელი, იდეალის დამსახველი და აღმაფრთოვანებელი. ამაზე უფრო სასიამოვნო ჩვენთვის არა იქნებოდა რა. მაგრამ, რადგან ეს ჩვენ ოცნებად მიგვაჩნია, იმით მაინც ვკმაყოფილდებით, რომ ტანჯვა-ვაებას, და კვნესა-გოდებასაცა აქვს მნიშვნელობა და მოაქვს სარგებლობა. შესანიშნავი ფრანგი პოეტი-ფილოსოფოსისა არ იყოს:

„სასტიკო, სევდავ! ვაების ალით
დასწვი, დასტანჯე სული და გული:
ტანჯვა შეიქმს აზრს და აზრის ძალით
იქნება ბნელი განათლებული!"[1]

6

მე არ შემიძლიან განსაკუთრებულ ჯგუფს მივაკუთვნო ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც საზიზღარი და საოცარია თავისი ცინიკური აღვირ-ახსნილობით. იგიც პესიმისტია, მაგრამ სხვაგვარი. მას თავისი პესიმიზმი გარყვნილების გასამართლებლადა აქვს; წუთისოფლის მხიარულად და უდარდელად გატარების ამღიარებელი თეორიის საფუძვლად აქვს მიჩნეული ეს პესიმიზმი. ამათ არა სწამთ რა გარდა პირადი ინსტინქტების დაკმაყოფილებისა და პირადი

[1] „ჯურღმული", — ლექსი გიუიოსი. თარგ. გრ. აბაშიძისა.

ბინძური გრძნობების განვითარება-განმტკიცებისა. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ იმ ჯურის პესიმისტებს წარმოადგენდნენ, რომელნიც ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დაეწაფონ თავის გამბრუებელ საგნებს, რათა ცხოვრების ვარამი დაივიწყონ და ამით სიცოცხლე მალე მოისპონ და ან შეუმჩნევლად დაასრულონ იგი. ამგვარ პესიმისტებს... ის გამართლება მაინცა აქვთ, რომ ვერც ამ თავის გართობაში, ამ ეპიკურეიზმში ჰპოვებენ ნეტარებას და გრძნობათა წუთიერი დაკმაყოფილებაც ვერ შველის სევდით და ვარამით დაღრღნილ მათ გულს.

„ცხოვრებაში მედგრად მებრძოლთ“ ამათ არა სწამთ სიყვარული, მეგობრობა, მშობლიური გრძნობა და, ამ შემთხვევაში, იგინი უფრო სასტიკი მიმდევარნი არიან თავიანთი ლოგიკისა. არავითარ სევდას და დარდს არ გვრის, თუ არა ჰყავს მეგობარი, თუ არა ჰყავს მოყვარული არსება, ცოლი იქნება იგი თუ დედა. თუ „მზითევი“ მატერიალურ განცხრომასა და ფუფუნებას აძლევს, სრულიად კმაყოფილია ოჯახით. ხედავს, რომ მეგობარი აბაზად იშოვება და მეგობრობად მიაჩნია ლაქუცობა და ფეხთა ლოკვა.

მათ შეუსისხლხორცებიათ და შეუთვისებიათ დახავსებული ბურჟუაზიული თეორია, — თუ ყოველი კაცი ბედნიერი იქნება (რა ბედნიერება აქვთ სახეში?), მაშინ შეერთებული ჯამი ამ კაცთა, ესე იგი ერი, კაცობრიობა ბედნიერი იქნებაო. ამასაც ხომ ენის მოსაქავებლად ამბობენ, თორემ ან ამას რას დასდევენ, მარტო თავის გასამართლებელ საბუთად მიაჩნიათ. ის კი ავიწყდებათ, რომ ყოველი ბედნიერება კაცისა, ბედნიერება, რომელიც გამოისახვის ან დიდი ქონების შეძენაში, ან აღვირახსნილ ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილებაში, აშენებულია უმრავლესობის უბედურებაზე, მის დაჩაგვრასა და დამარცხებაზე. მაგრამ ან ამას რას დაეძებენ, ცუდად შეგნებული თეორია „ცხოვრებისთვის მეტოქეობისა“ ხელში არა აქვთ, ცხოვრებაში ბუნების სასტიკი კანონების გაღმერთება პირზე არ აკერიათ?

კაცის სისულელისა და არარაობის თეორიას აღიარებენ და თანაც უსირცხვილოდ გაიძახიან „კაცთა სისულელით უნდა ვისარგებლოთო“.

სამშობლოსა და ქვეყნის სამსახური თუ ხელზე დაუხვევიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცთა სისულელის მცოდნეთ იმედი აქვთ და

იციან ესეც იარაღად გამოადგებათ ცხოვრებაში და გულში კი უწ-მაწურად დასცინიან, ვისაც სჯერა ეს მათი ლიტონი სიტყვები.

შეიძლება საზოგადოებას ემსახურებოდეს, მაგრამ მარტო იმიტომ, რომ პირად სარგებლობასა ჰხედავს, სარგებლობას ქონებრივს ყველაზე უწინ, რასაკვირველია, და მერმე კიდევ პირადი გაზვიადებული თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიაჩნია.

მათი მოუხეშავი და ურცხვი ბუნება არაფერს არ დაზოგავს ცხოვრებაში „გამარჯვებისათვის", გამარჯვების ზ-ეობრიობას როდი დაეძებენ, ოღონდ კი გაიმარჯვონ, რადაც უნდა უღირდეთ ეს გამარჯვება.

საუბედუროდ, ესენი უფრო მეტ ენერგიას, მხნეობასა და გამბედაობას იჩენენ, ვინემ პირველი ჯგუფის წარმომადგენელნი, თანაც, რაღა თქმა უნდა, უფრო დიდ ყოყოჩობას, რიხიანობას და გამბედაობას გვაჩვენებენ. ერთიც არის — მათი იდეალი მეტისმეტად ვიწროა, ბუნების ფატალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილს ვერ გასცილებია და, ამიტომ, მისაღწევადაც ეადვილებათ. რასაკვირველია, თუ კი სირცხვილსა და ნამუსს დაჰკარგავ, თუ პირადი ბედნიერების განხორციელებად ჩათვლი ქონებრივ სიმდიდრეს და ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილებას, უფრო ადვილი შესასრულებელი არაფერია.

ცოდნა შეიძლება ამათაც ჰქონდეთ, მაგრამ ცოდნა უაზრო და უშინაარსო, ცოდნა, რომელიც მარტო მისთვის უნდათ, რომ ყოველი საგნიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოიტანონ, სარგებლობა ნივთიერი, ბრმა ეგოისტური სიამოვნების დამაკმაყოფილებელი.

გარკვეული აზრი თავის დღეშიაც არა ჰქონიათ და არცა აქვთ. ყოველ აზრს მიემხრობიან, ოღონდ კი პირადი, კიდევ და კიდევ პირადი პირუტყვული ინტერესები დაიცვან. მთელი მათი მოქმედების შინაარსი და მთავარი აზრი თავისი „მე"-ს გაღმერთება-გაბატონება. ამ „მე"-ს უსაზიზღრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა.

საზოგადო საქმეში ინდიფერენტიზმს, — გულგრილობას იჩენენ. კარგად ხედავენ, რომ აქ უმეტეს ნაწილად სახეირო არაფერია და თავისი გულქვაობისა და უკაცურობის გასამართლებლად „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო", გაიძახიან.

მხოლოდ ეს გვეთქმის ამათ შესახებ. ყველასა ჰყავს თითო-ოროლა ნაცნობი მათ შორის და ყველა ადვილად იცნობს ამ ტიპს. უფრო

სავსებით მათი დასურათება კი ძნელია, რადგან ლიტერატურაში თავი ვერ იჩინეს: ამისათვის არა აქვთ საკმაო არც ნიჭი და არც სურვილი, რადგან არავითარი სასარგებლო არ არის (ქონებრივი მხრით, რასაკვირველია).

გულცივობა და გულგრილობა მათი ბუნებისა არის იმის მიზეზი, რომ არა ჰყავთ არცერთი მეგობარი, რომლისთვისაც შეეძლოთ გრძნობების გაზიარება. ან კი რა გრძნობები უნდა გაუზიარონ?

თუ მათ წერილებს შეხვდებით სადმე, უსათუოდ რაიმე „საქმის“ ქაღალდები იქნება და არა გრძნობათა გამომხატველი ბარათები? ან კი სადა სცალიათ ასეთი უმნიშვნელო საქმისათვის... მათი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე რით უნდა გამოხატოს, თუ არა უარმყოფელი მოქმედებით? ფარულად თუ ცხადად, მარადის იგინი იქნებიან შემაფერხებელნი ყოველი საქმისა. ასეთი წევრები საზოგადოებას ყოველთვის ჰყოლია და ეყოლება. მათ თავის დღეში არავინ არ უწოდებს „თაობას“, არავინ მიაწერს რაიმე მოწინავეობას ცხოვრებაში.

7

მეორე ჯგუფს ახალგაზრდობისას მინდა მივაწერო ჩვენში ეგრეთ წოდებული „მესამე დასი“.

მემატიანეს ცხოვრებისას ყოველთვის მართებს პარტიული და პოლემიკური სიმწვავე უკუ აგდოს, ზნეობრივი მოთმინებით აღიჭურვოს და ისე გასინჯოს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა, ცხოვრების ბრძოლაში გამოსული ესა თუ ის დასი პირუთვნელად დაახასიათოს. პირადად, შეიძლება ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ, რომელიმე პარტიისა, ანდა რომელიმე პარტიისაგან აღიარებული პრინციპისა; შეიძლება, აგრეთვე, ამა თუ იმ დასის მიერ დროშაზე წარწერილი მცნების წინააღმდეგი პრინციპიალურად არ ვიყოთ, მაგრამ მიგვაჩნდეს ჯერჯერობით უადგილოდ, უსაფუძვლოდ და უტოპიურად. ეს სულ ერთია, ჩვენ მაინც გვმართებს ღირსება ამ ჩვენგან არმოწონებული დასიც არ დავივიწყოთ, განგებ არ დავხუჭოთ თვალები და პარტიული მიკერძებით გატაცებულებმა უსამართლო მსჯელობა არ წამოვისროლოთ. ხოლო რაკი ეგრეთ წოდებულ „მესამე დასს“ შევეხეთ, ახალგაზრდათა მეორე ჯგუფში სწორედ იმიტომ მოვათავსეთ, რომ პირველი ჯგუფისათვის დაგვეპირდაპირებინა და ამით ერთიმეორის თვისებანი უფრო ნათლად დაგვენახვებინა მკითხველთათვის.

მაშ სიმართლე თხოულობს აღვიაროთ, რომ თუ პირველი ჯგუფი მოკლებულია საზოგადო მოღვაწისათვის აუცილებელ ღირსებებს, გარდა ნიჭისა და გრძნობიერებისა, რომელიც სატანჯველადა აქვთ მინიჭებული, სამაგიეროდ, მეორეს აქვს ზოგიერთი უაღრესი ღირსება, რომელიც საჭიროა საზოგადო მოღვაწისათვის.

აქვთ გარკვეული აზრი. შეიძლება ყოველ მათგანს არა ჰქონდეს სავსებით შეგნებული ის აზრი, რომლის მოციქულადაც თავს აღიარებენ, დაჟინებით მაინც გაიძახიან ერთსა და იმავეს და ძალაუნებურად ყურადღებას იქცევენ.

გარკვეულობა პროგრამისა მაინცა და მაინც იმას ხომ არ შეიცავს, რომ ღრმად გქონდეს შესწავლილი ის ფილოსოფიური მოძღვრება, რომელზეც დამყარებული არის შენი პოლიტიკური პრინციპები, ანდა თვით ეს პოლიტიკური პრინციპები გქონდეს ღრმად შეგნებული, იცოდე მისი ნაკლულევანებანი და ღირსებანი, იცოდე მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. საკმაოა, მაგალითად, თვით ამ პრინციპის ფორმულა იცოდე, ბრბოსათვის სრულიად საკმარისია ეს. და გმირს ბრბოს წინამძღოლს უფრო სავსებით უნდა ჰქონდეს შესწავლილი, რასაკვირველია, ის დოქტრინა, რომლის მომხრეც არის.

ამიტომაც არის, რომ „მესამე დასს“ თუმცა ვერ აქვს სავსებით შეგნებული მათ დროშაზედ წარწერილი პრინციპი, მაგრამ ორგანიზაცია აქვთ და დისციპლინა, წარმოადგენენ პარტიას ენერგიულად და მხნედ მომქმედს. უმეტესმა მათგანმა უთუოდ იმის მეტი არა იცის რა, რომ „მესამე დასს“ ეკუთვნის და ყოველი, რომელიც არ იწერს პირჯვარს მათებრ, არ არის მართლ-მორწმუნე. განა თვით საქრისტიანო ერს, ან დღეს, 1900 წლის შემდეგ, აქვს შეგნებული ზნეობრივი სიტურფე და სიდიადე სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს? მის დიდ უმეტესობას ამ სარწმუნოების აღმსარებლად მხოლოდ ის მიაჩნია, ვინც პირჯვარს იწერს და პირჯვრისწერა სრულიად საკმარისად მიაჩნია მისთვის, რომ ქრისტიანად იწოდებოდეს. თვითონ კი ამ პირჯვრისწერის გაგებაც არა აქვს, არ ესმის რა დიდი აზრის გამომხატველი სიმბოლოა.

რაღა საკვირველია, თუ „მესამე დასის“ კრებულსაც არა მეტად ესმის თავიანთი მოძღვრება და მარტო „მესამე დასის“ ძახილში ხატვენ თავიანთ მართლ-მორწმუნეობას.

ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენენ კარგად გაწვრთნილ კრებულს და ერთგულად ემორჩილებიან თავიანთ მეთაურს. ეს ერთობა,

სუბორდინაცია, და ერთგული ქვეშევრდომობა ბელადისა არის თვისება დიდად საჭირო ყოველი მოქმედი წრისათვის, აუცილებელია ყოველი ჯგუფისათვის და მით უფრო ცხოვრებაში მეთაურობის მსურველი ჯგუფისათვის. ამასთან, იგინი არიან ფანატიკური მოწაფეები მოძღვრისა, ფანატიკოსები თავიანთი აზრისა...

ერთი სიტყვით, ამ დასსა აქვს სრული ორგანიზაცია, აქვს ძალა და ენერგია მოქმედებისა. უნდა ითქვას მხოლოდ ის რომ, საუბედუროდ, ვერ არიან საკმარისი ვრცელი ცოდნით აღჭურვილნი და შეიძლება ეს კიდევაც შველოდეს მათ ფანატიკოსობას. ის, რაც აკლია პირველ ჯგუფს ჩვენი ახალგაზრდობისას, აქვთ მათ, ხოლო ის, რაც შეადგენს მომხიბვლელობას პირველისას, მათ აკლიათ, აკლიათ მაღალი ნიჭი, ღრმა ცოდნა და ნაზი გრძნობიერება, ურომლისოდაც ძნელია მოიპოვო სიმპათია; აკლიათ გონების მრავალმხრივობა, გონების ჰორიზონტი მეტად ვიწროდ შემოფარგლული აქვთ, რაც ხელს უშლით ღრმად ჩაუკვირდნენ საგანსა და ყოველი მხრით ასწონ-დასწონონ იგი. ამას კი, რასაკვირველია, ის შედეგი აქვს, რომ არც მათ შეუძლიათ დაიჭირონ ადგილი ჭეშმარიტი მოწინავე თაობისა.

ჩვენთვის მაინც საჭიროა ვიცოდეთ, რა პრინციპს აღიარებენ იგინი. თუ თვით ვერ მოგვცემენ პასუხს ამაზე, ჩვენ თვით ვეცდებით გამოვარკვიოთ, რადგან ვიცით მათივე აღსარებით, რომ იმ პარტიას ეკედლებიან, რომელიც მარქსის თეორიის მიმდევარია და მარქსისავე პოლიტიკის აღმსარებელი [1].

ის პარტია, რომელიც ამ მოძღვრის თაყვანისმცემელია, დღითიდღე იზრდება ევროპაში და ამაში წილი უდევს, რასაკვირველია, არა მარტო მარქსის „კაპიტალს“, არამედ მთელ ზნეობრივ მიმართულებას დღევანდელი საზოგადოებისა.

მთელი ევროპის ხალხი გაყოფილია დღეს ორ ჯგუფად, ერთი მხრით არიან „მძარცველნი“, კანონის მფარველობით გალომებულნი, მეორე მხრივ — „გაძარცულნი“, კანონისაგან შეუწყნარებელნი და უყურადღებოდ დაგდებულნი. ამ მეორეთ არა აქვთ რა გარდა თავისი შრომის და ჯაფისა, წელში გაწყვეტილნი არიან შრომით და

[1] მე სრულიად არ ვეხები მარქსის ფილოსოფიას, არამედ მაქვს ლაპარაკი, როგორც პოლიტიკური მოძღვრების შესახებ.

ჯაფით. თუმცა ამ შრომის და ჯაფის ნაყოფით სარგებლობენ პირველნი. მთელი ცხოვრება მეორეთა უნდება დღიური ლუკმის მოპოვებას და ერთი წუთიც არა რჩებათ სხვა რამეზე იფიქრონ. მხოლოდ და მარტო პირველთ აქვთ პოლიტიკური უფლება de facto, თუმცა de jure პოლიტიკური უფლება ყველას ეკუთვნის. პირველნი სარგებლობენ პოლიტიკური თავისუფლებით, თუმცა დეკრეტებში ყველასა აქვს მინიჭებული იგი თავისუფლება და ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ევროპის ქალაქებში იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ „თავისუფლება, ერთობა და ძმობა“ ყველას საკუთრებაა, რომ ყველას შეუძლია თავი შეაფაროს იმ დროშას, რომელზეც ოქროს ანბანით არის ეს დიადი სიტყვები წარწერილი. ნამდვილად კი, ფაქტიურად ეს ილუზიაა, ამით სარგებლობენ მხოლოდ „კანონიერი მძარცველნი“.

თუმცა თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა, თავისუფლება კრებებისა დაკანონებულა, მაგრამ ყოველივე ეს კიდეე და კიდევ ქაღალდზეა დაწერილი, ფაქტიურად კი უმეტესობას ერისას, ჩაგრულსა და წამებულს ენა შებოჭილი აქვს და აზრი შეზღუდული. აქედან მომდინარეობს ის, რომ დამშეული და უმწეო ხალხი გარყვნილების მორევში ცურავს და ყოველდღე ნელ-ნელა იწამლება მისი სიცოცხლის წუთები. ხოლო თვით მაძღართ აღარ იციან რა ქნან. რას ეცენ, ვის რა წაგლიჯონ, როგორ დაიკმაყოფილონ გააფთრებული სურვილები. აქაც ღრმად გაუდგამს ფესვი გარყვნილებას, აქაც ტრიალებს ისეთი შხამი, რომელიც ეჭვი არ არის მოსპობს სიცოცხლეს ერისას.

ყოველი ადამიანი, ღირსი ამ სახელისა, დღეს მტერია ამგვარი წყობილებისა, მისი მედგარი და შეუპოვარი მებრძოლია. ყოველი შეგნებული ადამიანი, ყოველი რიგიანი შვილი თავისი სამშობლოსი, რომელშიც ღვთიური ნაპერწკალი არ გაუქვრია გაპირუტყვებას, კარგადა გრძნობს, რომ თუ ამ წყობილებას ბოლო არ მოეღო, ეს ახალი ქვეყანაც ისე დაიღუპება, როგორც ძველი, რადგან შეუძლებელია იცხოვროს იმ ქვეყანამ და იმ ერმა, რომელშიც მოსპობილია სიყვარული ძმისა, თავგანწირულება ძმისათვის, რომელშიც ჩამქრალია წრფელი და უანგარო სიყვარული საყვარლის მიმართ, და რომელსაც აღარ ესმის სიყვარული მშობლისა შობილის მიმართ და შვილისა მშობლის მიმართ; უნდა აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა ის მხარე, საცა შებღალულია სიყვარული და-ძმური, მეგობრობა და საცა მარტო „მე“ არის გაღმერთებული, მაგრამ „მე“ ადამიანისა კი

არა, „მე“ პირუტყვისა, რომელსაც, საუბედუროდ, ადამიანის სახე აქვს.

აიღეთ, რომელიც გნებავთ, ეხლანდელი მწერალი, თუ დღევანდელი ცხოვრების გათახსირებას არ დასტირის, დღევანდელი ზნეობის დაცემას და გაქსუებას არ უჩივის და არ მოსთქვამს! ჰგავს რომ შეგნებული აქვთ და კარგად ხედავენ, რომ დღევანდელი საზოგადოება უფსკრულისაკენ მიისწრაფვის, და ცდილობენ ეს უფსკრული დაანახვონ და საფრთხეს მოაშორონ.

აიღეთ ზოლა და მისი საშინელი მკაცრი რომანები! რა არის მთელი მისი თხზულება, თუ არა სასტიკი ბრალმდებელი ოქმი უკანასკნელი იმპერიის დროს აღორძინებული საზოგადოების შესახებ. მან დაგვანახვა, რომ ყოველი ნაწილი ამ საზოგადოებისა ზნეობრივი გადაგვარების გზას ადგია. ძირს — მდაბიო ხალხი, გარყვნილი და ზნეობაგაფუჭებული და გაპირუტყვებული; შუაში — წვრილმანი ბურჟუაზია, წვრილმანი სურვილებითა და ინტერესებით მოუსვენარი, საბრალო და სიზიზღარი უფერულება და უნიჭობა (mediocrite) ზემოთ — ბრწყინვალე არისტოკრატია და მბრწყინავი ბურჟუაზია. მინისტრები და კარისკაცები ისეთსავე გარყვნილების მორევში იხრჩობიან, როგორც ძირს, მხოლოდ აქ უფრო ბრწყინავს ეს მორევი თვალთათვის, უფრო საამო სანახავია, უფრო მიმზიდველია, მიმტაცი და მით უფრო დამღუპველი, სიცოცხლის მომსპობელი.

გადაათვალიერეთ ფლობერი და ნახავთ, რომ ყოველი მისი ნაწარმოები აღსავსეა ეხლანდელი „ბურჟუას“ ზიზღით. ბურჟუაზიული ვიწრო გონებითა და გრძნობებით აღშფოთებული მწერალი ღრმა მიზანტროპიას ეძლევა და მთელი კაცობრიობა უგუნურთა და ჩერჩეტთა ბრბოდ მიაჩნია, ცხოვრება კი — „აყროლებულ, გულის ამრევ, დამპალ საჭმელად“.

გადაიკითხეთ მოპასანი და ნახავთ, თუ დღევანდელი ბურჟუაზიული ცხოვრების საზიზღრობა სანამდე მისულა! მისი რომანები და მოთხრობები დღევანდელი ადამიანის მოწამლული სულის ამბავია. გადაათვალიერეთ მისი Bel—ami და ნახავთ, რა საშინელი სურათია დახატული ეხლანდელი გარყვნილი და გაპირუტყვებული საზოგადოებისა! იქ ნახავთ, რომ ამ გამხეცებას ტაშს უკრავს და გალობით ამკობს იმ სარწმუნოების წარმომადგენელიც კი, რომელიც სწორედ ამგვარსავე გარყვნილების დროში დაიბადა და რომლის მთავარი აზრი — ზნეობრივ გარყვნილებასთან და სულის დაცემას-

თან ბრძოლა [illegible]ო: იქ ნახავთ, რომ ეხლანდელი წარმომადგენელი ამ დიადი სარწმუნოებისა გუნდრუკს უკმევს მას, რაც უწინ დაამხო ამავე სარწმუნოებამ.

წაიკითხეთ ბურჟეს რომანები, თუ გინდათ ნახოთ უცნაური სურათი გარყვნილებისა, გონებისა და გრძნობის დაცემისა უმაღლეს საზოგადოებაში, ეგრეთ წოდებულ ბო-მონდში, და ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა წრეში. ამ საზოგადოებაში პატიოსნად არის მიჩნეული ის ქალი, რომელსაც, ქმარს გარდა, ერთის მეტი მიჯნური არა ჰყავს; ცრუ განათლებით აღჭურვილ ახალგაზრდას ერთი იდეალი აქვს: რაც შეიძლება მეტი ქალი მოხიბლოს და ამით მეტი ოჯახი გააუბედუროს; მეგობრობა და სიყვარული მისთვის საშუალებაა, იარაღი ამ უმსგავსო იდეალის მისაღწევად.

გადაფურცლეთ მარსელ პრევოს რომანები და ნახავთ, რას სჩადიან ეხლანდელი საზოგადოების ქალიშვილები, რომელნიც ყოველთვის უბიწოებისა და ზნეობრივი სიტურფის სალაროდ იყვნენ მიჩნეულნი: იგინი ვაჭრობენ სულით, სხეულით და ფულის — ამ დღევანდელი ღმერთის გულისათვის ცინიკური თავმოჭონებით სთელენ ბინძური ფეხებით ყოველივეს, რაც შეადგენს ადამიანის სამკაულს. ჩვენ ამ მწერლობას ყურადღებას ვაქცევდით სწორედ იმიტომ, რომ დღევანდელი გადაგვარებული და უფსკრულისაკენ მიმავალი საზოგადოების ბოროტ თვისებათა გამომაქვეყნებელია, და ამ საზოგადოების მიშართულების მსჯავრის დამდები და მისი შემაზიზღებელი.

არის ხოლმე ეპოქა ზნეობრივი დაცემისა და დაქვეითებისა, როცა კაცის პირუტყვული გრძნობები თავს წამოყოფენ და ავიწყებენ ადამიანობას. არის ეპოქა გადაგვარებისა, როცა საშინელი სიმძაფრით აღიძვრიან კაცში არაადამიანური მისწრაფებანი, როცა მისი ჭამისა და სმის მადა უძირო და უბოლოოა, როცა სქესობრივი ინსტინქტები გამხეცების გზას დაადგებიან და იმ უკიდურესობამდე მიდიან, რომ ბუნებრივობასაც გვერდს უქცევენ. აი, ამ დროში ყოველი წმინდა გრძნობა მივიწყებული და მიძინებულია საზოგადოებაში. ამ ხანაში ყოველივე კეთილშობილური გრძნობა მხოლოდ უწმაწური გრძნობების დასაკმაყოფილებელ იარაღად ხდება. ასეთი ეპოქა იყო ძველი რომისა და საბერძნეთის ისტორიული ცხოვრების უკანასკნელი დღენი. ასეთი არის დღევანდელი ევროპის მდგომარეობაც.

დღესაც იგივე ოქროს ხბო, იგივე წყეული ლითონი გახდა ხალხის ღმერთად, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინათ მოსემ შემუსრა. ფულია დღევანდელი საზოგადოების თაყვანსაცემი არსება, მისი იდეალი, მისი სანუკვარი; ფულისათვის ის გაჰყიდის დედასა და შვილს, მეგობარსა და ძმას, გაჰყიდის სულს, ერთი სიტყვით, ყოველსავე. ამ ფულის მოპოვების სურვილს ხშირად არა ერთი და ორი სიცოცხლე უმსხვერპლია, გააფთრებული ძიება ამ ყოვლისშემძლებელი, ძლევამოსილი მამმონისა, მისი ყურმოჭრილი ყმობა აპირუტყვებს იმასაც, ვინც ამ ძიებისათვის სდებს სულსა და თავს და იმასაც, ვისაც ეს მაძიებელი ატყავებს, რადგან აუცილებელი პირობა ფულის მოპოვებისა ერთისაგან არის ასისა და ორასის, ათასისა და ათიათასის ტყავის გაძრობა და სულის ამორთმევა.

ძარცვა-გლეჯა, მოტყუება ერთმანეთისა, ფლიდობა და ლაქუცობა, მივიწყება საზოგადოებრივი იდეალებისა და მხოლოდ ბრმა, ეგოისტური გრძნობების გაღმერთება ასულდგმულებს ამ საზოგადოებას. ასეთი გაყოფა ორ ჯგუფად, რომლისაგან ერთს მეორის სული და ხორცი უსირცხვილო ექსპლუატაციის საგნად შეუქმნია, ხდება ყოველ ერში. მაგრამ მძარცველ-მგლეჯელნი და გაძარცულ-გატყავებულნი თითქო რაღაცა მანქანების ძალით ერთსულ და ერთხორც იქნებიან, როცა სხვა ერის ტვინის წოვასა და გულის ჭამაზე მიდგება საქმე. არიან ჯგუფნი ერთა, რომელნიც ისეთსავე ობიექტს წარმოადგენენ მეორე ჯგუფ ერთა მსუნაგობის დასაკმაყოფილებლად, როგორსაც ერთი ნაწილი იმავე ერისა მეორე ნაწილისათვის. რაღა თქმა უნდა, ამგვარ გამხეცებულ და გააფთრებული ბრძოლის დროს დაჩაგრულთათვის თავის დაცვის სურვილი სრულიად სამართლიანია და, თუ თავის დაცვის დროს ხანდახან პირუტყვულ იარაღსაც ხმარობენ, ვერც იმაში გავამტყუნებთ, რადგან „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“.

ეჭვი არ არის, ვისაც კი სწადიან იხსნას იგი საზოგადოება დაღუპვისაგან და ვისაც სურს გადაგვარების გზას მოაშოროს იგი, იბრძვის საზოგადოების ამგვარ წეს-წყობილების წინააღმდეგ, იბრძვის ღვთის დამვიწყებლის წინააღმდეგ, გამტყავებელს ეომება და ესარჩლება გატყავებულებს, ესარჩლება და მხარს აძლევს, ვისაც ძალით დაავიწყებინეს ღვთაება და ადამიანობა.

ამგვარად მოქმედებს დღეს, ვინც კი დღევანდელი ცხოვრების არევ-დარევას გვისურათებს, ვინც მის ზნეობრივ გაკოტრებას საში-

ნელი სინამდვილით გვიხატავს. ასე იქცევა იგიც, ვინც საზოგადოების ამგვარი გახრწნილების შემგნები განახლების იდეალს უსაზავს დაბრმავებულ კაცობრიობას. ასეთია ყველა შეგნებული და რიგიანი, ზნეობრივი ადამიანი ევროპისა, სულ ერთია, რა პოლიტიკურ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს, რა ფილოსოფიურ დოქტრინასაც არ უნდა აღიარებდეს, დეისტია თუ ათეისტი, იდეალისტია თუ მატერიალისტი, სოციალ-დემოკრატია, თუ კლერიკალი. დღევანდელი ზნეობრივად საღი ადამიანი ერთ დიდ საქმეს ემსახურება — კაცობრიობას მის დაქვეითებას და დაბეჩავებას უჩვენებს და მის განახლებას, გარდაბადებას ცდილობს და ჰლამის.

ამგვარად, ის პარტია, რომელიც დღეს სოციალისტთა პარტიად იწოდება, აღიარებს საუკეთესო იდეალურ პრინციპებს და ღირსია სრული თანაგრძნობისა და სრულის სიმართლის მქადაგებელია. რა ნიადაგზედაც უნდა იდგეს დღევანდელი ევროპიელი, რა წერტილიდანაც უნდა მოდიოდეს, ბოლოს უთუოდ იმავე მიზნისაკენ მიისწრაფვის, რომელიც იდეალად აქვს დასახული ამ პარტიას, თუ, ვიმეორებ, არ ეკუთვნის დაბრმავებულ გუნდს ეხლანდელი საზოგადოებისას.

ეს ასეა ევროპაში და იქ ეს საგანი ყველაზე უფრო საყურადღებოა და უპირველესი. ევროპის საზოგადოებამ მიაღწია იმ განვითარებამდე, როცა თამამად შეუძლია ქრისტეს მოძღვრების მაღალი პრინციპები განახორციელოს და მისი მოვალეობაა, რაც შეიძლება, მალე დაეწაფოს ამ უკვდავების წყაროს, რადგან ხსნა სხვაგან არსად არის.

ხოლო ის ერნი, რომელნიც ძალიან შორს ჩამორჩნენ ევროპას, მხოლოდ ერთს უნდა ცდილობდნენ: რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ევროპის ერთა კულტურამდე, რაც შეიძლება მალე მოიპოვონ ის იარაღი, ურომლისოდაც არ შეეძლებათ მხარში ამოუდგნენ თავიანთ მოძმე ევროპელ ხალხს იმ დიდებული იდეალის განსახორციელებლად, რომელიც დაუსახა იესომ კაცობრიობას და პირველად უქადაგა ხალხს, იმგვარადვე დაავადძყოფებულს ზნეობრივად, როგორც დღევანდელი ევროპაა. იმ ხალხმა ამ იდეალს — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — ზურგი შეაქცია და კიდევაც დაიღუპა.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ ერთი უმთავრესი პოლიტიკური პარტია ევროპიელ სახელმწიფოთა (სოციალ-დემოკრატნი, ანუ, უფ-

რო განსაზღვრულად რომ ვთქვათ, სოციალისტნი-მარქსისტნი) სწორედ ეხლანდელი საზოგადოების უწესრიგობას ებრძვის და მის მოწესრიგებას ესწრაფვის. ამ პარტიას ევროპაში „მუშათა დამცველ“ პარტიას უწოდებენ და ამ შემთხვევაში უფრო შემოფარგლული სჩანს მათი მოქმედება, მას ძლიერი ნიადაგიცა აქვს დღევანდელ ეკონომიურ წესწყობილებაში. ხოლო ზნეობრივი საფუძველი მათი და ზნეობრივი შინაარსი მათი პრინციპებისა უფრო ფართოა. ეს პარტია ხდება ჩაგრულთა მოსარჩლედ, ვინც უნდა იყოს იგი ჩაგრული, ხდება დაუძინებელ მტრად ყველასი, რომელიც თავის ნიჭს ხმარობს თავის მოძმის საზარალოდ, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და უტვინო ბედით მოძმისავე სულის ამოსახდელად, რომელსაც პირუტყვობა გაუხდია ცხოვრების შინაარსად. ამ პარტიას სურს დამყარდეს ადამიანთა კრებულში სამეუფო სიმართლისა, საცა მოყვასი მოყვასისათვის სიამოვნებით დასდებს თავსა, საცა ყოველი უპირატესობით (აქ ბუნებრივი უპირატესობა გვაქვს სახეში) კაცი ისარგებლებს მხოლოდ მოძმის სასარგებლოდ. ამ ზნეობრივ მხარეს ამ პარტიისას აქვს მომავალი უეჭველად, მაგრამ, როგორც პოლიტიკური პარტია, იგი უარსა ჰყოფს ყოველ ინტერესს ნაციონალურსა და სარწმუნოებრივს და მხოლოდ ეკონომიური ერთობის დამყარებას ცდილობს, რადგან სწამს, რომ მხოლოდ ამ ეკონომიურ ერთობაზე შეიძლება აშენდეს პოლიტიკური ერთობა, ძმობა და თავისუფლება. როგორც პოლიტიკური პარტია, იგი უარსა ჰყოფს რაიმე საერთო ინტერესი ჰქონდეს, მაგალითად, გერმანელ კათოლიკებს, ანუ პროტესტანტებს, ანუ ებრაელებს; საერთო ინტერესი აქვთ მხოლოდ მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ, პირველნი მეორეთა წინააღმდეგ იბრძვიან განურჩევლად ერობისა და სარწმუნოებისა: ვინ რას დასდევს სარწმუნოებრივსა და საეროვნო ინტერესებს, როცა კუჭი მშიერი აქვსო.

მაჰმადიან, ებრაელ, კათოლიკე, პროტესტანტ, მართლმადიდებელ მუშებს აქვთ ერთმანეთთან საერთო, სახელდობრ, კაპიტალისტებთან ბრძოლა. კათოლიკე კაპიტალისტს და მუშას საერთო ინტერესი არა აქვთ რა.

ამგვარად ეპყრობიან ნაციონალურ ინტერესსაც. არ არსებობსო არავითარი საეროვნო მისწრაფება; გერმანელ და ფრანგ, ინგლისელ და იტალიელ მუშებს აქვთ საერთო ინტერესი, — ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის დამხობა და თავიანთი ადამიანური უფლებების განხორ-

ციელება; ინგლისელი მუშის მტერი ინგლისელი კაპიტალისტია, ისე როგორც გერმანელი და იტალიელი კაპიტალისტი; მათი მოყვარე ამ ქვეყნების მუშაა, რადგან ორთავეს ერთი მტერი (კაპიტალის წარმომადგენელი) სწოვს ტვინსა. დაცვა ვინაობისა, ენისა, თვითარსებობისა ეს ბურჟუა-კაპიტალისტთა მოგონილია, ოინებია, მუშათა თვალების ასახვეველი. აქ არა აქვთ რა საინტერესო მუშებს, ეს მხოლოდ ბურჟუათა ხელსაყრელი საქმეაო. ეს უკიდურესი მიმართულება ამ პარტიისა, რომელიც უარსა ჰყოფს საეროვნო ინტერესებს და ნაციონალურ ელემენტს, ძალას ერის თავისებურებისას, წარმავალია და უსაფუძვლო, მარტო და მხოლოდ დღევანდელ სოციალ-დემოკრატთა გამოგონილი. ეს, ერთის მხრით, ადვილი გასაგებიც არის. ეროვნული ინტერესი ისეთი სიმწვავით არ აგონებს თავს არც ინგლისელს, არც გერმანელს და არც ფრანგს, როგორც მაგალითად ჩეხს.

8

ჩვენში აღმოცენებულმა დასმა, „მესამედ“ წოდებულმა, მოძღვრად მარქსი და მისი მოწაფეები დაისახეს, მათ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრინციპებს აღიარებენ. ეს ყოველთვის სახეში უნდა გვქონდეს და აქედან ყოველთვის შეგვეძლება გავიგოთ, რა მიმართულებისაა ეს „დასი“. სრული თავის მოტყუება იქნებოდა იმის დამტკიცების ცდა, რომ „მესამე დასი არ არსებობს“, და საქმისათვისაც სრულიად გამოუდეგარია ამაზე ლაპარაკი.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენში იგი მეტად ადრეულია, ვინაიდან ჩვენში არ არსებობს ქალაქის მუშათა ის დიდი რაოდენობა, რომელიც ევროპაში აძლევს მტკიცე ნიადაგს ამ პოლიტიკურ პარტიას და, გარდა ამისა, ჩვენს ერს აქვს ბევრად უფრო უახლოესი საგნები თავისი ვინაობისა და არსებობის დაცვისა, რომლის მიღწევის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ახალი იდეალის დასახვა. სინამდვილე და ამ სინამდვილის კანონიერება ამას ძალაუნებურად აგრძნობინებს თვით მეთაურს „მესამე დასისას“ ჟორდანიას, რომელიც არეულ გზას ასცდება ხოლმე, როგორც კი საქმე მიდგება ჩვენი ერის სიცოცხლის დაცვაზე.

„ეროვნული და სოციალური კითხვა“, ამბობს ჟორდანია, „აი ის ორი ფეხი, რომელზედაც შედგა ცხოვრება და საშინელი სისწრაფით წინ მიექანება... ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო ორი, სიმდიდრ-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. თუ პირველ კითხვაზე ვერთდებით, მეორეზე ვიყოფით; თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართ. ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების, („კვალი, 1895 წ., № 11). ხოლო სოციალ-დემოკრატთა მოძღვრებას ასე ახასიათებს: ის შედგებაო „ორი ნაწილისაგან: ისტორიულ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ეკონომიური. პირველი შეიცავს თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას, მეორე კი თანამედროვე წყობილების შეგნებას, კრიტიკას და ამის თანახმად ბრძოლას... მეორე იკვლევს სპეციალურად კაპიტალისტურ წყობილებას და გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ეს წყობილება უნდა დაინგრეს. მისი უმაღლესი განვითარება მისივე სამარეა. ჩვენი წარსულის და აწმყო მდგომარეობის გასაგებად ვხელმძღვანელობთ ეკონომიური მატერიალიზმით, ხოლო რამდენად ვითარდება კაპიტალისტური წყობილება, იმდენად მეორესაც ხელს ვკიდებთ ერის დაჩაგრული ნაწილის გასაცნობიერებლად ახალი მოვლენის წინაშე („კვალი“, 1895 წ., № 12).

თუ კაპიტალისტური წყობილების დანგრევაა იდეალი იმ პარტიისა, რომლის პროზელიტობას იჩემებს ჟორდანია და მისი „დასი“, მაშინ რაღა მოსატანი იყო ის ფრაზა: „თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართო“. კაპიტალისტური წყობილების დასანგრევად გამზადებულ პარტიას ევროპისას შინაური და გარეული მტერი მხოლოდ ერთი ჰყავს — ბურჟუა-კაპიტალისტი. მაგრამ ზემოდაც ხომ მოგახსენეთ, ჩვენი ცხოვრების ვითარება ევროპული სოციალ-დემოკრატიისათვის ნიადაგს ვერ პოულობს და ან ისევ ეროვნულ მოძღვრებად უნდა გარდაიქმნას და ან ისე დაბნეული უნდა იყოს, როგორც ჯერ ის არის ჩვენში.

ბ. ჟორდანიამ ერთ სტატიაში თეზისებიც წარმოადგინა, მაგრამ ამ თეზისებს დიდი ახსნა და გარკვევა სჭირია, და თუ კიდევ ის არ მოვიხმარეთ, რაც ვიცით ევროპის სხვადასხვა პარტიების შესახებ, ვერას გავიგებთ.

VIII თეზისი ბ. ჟორდანიასი ამბობს: „გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზედ, ქართულ კულტურაზედ. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა — აი რა სწერია ახალ დროშაზედ. ამის აღმოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა — ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა“.

თუ ევროპიელ პარტიათა მიხედვით ავხსნით ამ აზრს, მაშინ აი რა გამოდის: კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრებით ქართველი ევროპიელდება. კარგი და პატიოსანი. მაშ ამ შემთხვევაში ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ევროპაში იქცევიან კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგნი.

ბ. ჟორდანიაც სწორედ ამ გზას უნდა ადგეს, როგორც მისი წერილებიდან სჩანს. „ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინსვლის დიდი ძარღვი აქ არის დამარხული. ბურჟუაზია. უარყოფს პატრიარქალურ, ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშა-ხალხი უარჰყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს. საქართველოში ერთსა და იმავე დროს ვითარდება ორგვარი კლასიკური განხეთქილება: წინააღმდეგობა ბურჟუას და თავადაზნაურთა შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუას და მუშა-ხალხს შორის (ის კი დაგვავიწყდა, რომ 1895 წელში „კვალი“-ს 12 №-ში ვლაპარაკობდით ერის უმრავლესობის შესახებ მიუხედავად წოდებისა). პირველი მიზნის მისაღწევად (თავად-აზნაურობის დასამხობად) ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი, ვინაიდან მთელი ერის ინტერესია, განთავისუფლდეს მობერებული წყობილებისაგან... (ესე იგი ფეოდალურის წყობილებისაგან) ხოლო ბურჟუა-კაპიტალისტთა და მუშათა შორისაც ხომ „სასტიკი ბრძოლაა“ ატეხილი. მათ შორის ღრმა ორმოა, თუ პირველი ძლიერდება ფულით, შეძლებით და მით ბურჟუაზიული განათლებით, მეორე უნდა გაძლიერდეს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგნებით. აქ საძირკველი შრომაა, იქ კაპიტალი. ამ ორი ელემენტის შერიგება ვერ მოხერხდება, სანამ ისინი სხვადასხვა პირს ეკუთვნიან“.

აღარ გვესმის. ყოველ ერში კერძოდ კლასთა შორის „სასტიკი ბრძოლაა“, მათი შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ ახალი კოლექტიური წესის დამყარებით. ხოლო ახალი კოლექტიური წესი, რასაკვირველია, ევროპის მარტო რომელიმე ერთ ერში ვერ დამყარდება, თუ სხვებმაც ბანი არ მისცეს. მაშინ რაღა აზრი აქვს ასეთ სიტყვებს

ბ. ჟორდანიასას, რომელიც გაფიქრებინებს, რომ ეროვნული პოლიტიკის მიმდევარია:

„ისტორიის ჩარხი აქ ტრიალებს კლასთა ბრძოლაში. ამ მიმდინარეობას ეძლევა ორი ფორმა: შინაგანი კლასიკური და გარეგანი ეროვნული, ბრძოლა კლასთა და ერთა შორის. პირველი, რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ერია, ამას შიგნით კლასებია... მაშასადამე, ხალხის განვითარება შეიძლება განიხილოს ორივ მხრივ: განვითარება მთელი (?) ერის საერთოდ და განვითარება თვითეული კლასის კერძოთ... ასეთია გზანი ისტორიისა! ყველა ერი მხოლოდ თავის (?) ინტერესებს იცავს და ვაი იმ ერს, რომელსაც თავისი ვერ შეუგვნია“ („კვალი“, 1896 წ., 203—204).

მაგრამ აქ ხომ ბ. ჟორდანია იმ აზრის არის, რომ ეროვნების თვით არსებობის დაცვა შეადგენს აუცილებელ საჭირო საგანს ყველა შეგნებული ადამიანისაო. ჩვენ თანახმა ვართ ამისი, ოღონდ ამ აზრს მესამოცე წლების თაობაც იცავდა და ჰგავს „მესამე დასს“ არ აღმოუჩენია იგი.

თუ ბ. ჟორდანია იმას ამბობს, ჩვენს ცხოვრებაში კაპიტალისტური წყობილება ფეხს იდგამსო და მასთან ერთად მყარდება გულ-ცივი, პირუტყვული მიმართულება საზოგადოებისა, რომლის წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს ყოველი ზნეობრივად საღი ადამიანიო. ჩვენ ამაზედაც დავეთანხმებით. მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ეს ამხედრება იქნება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა, სანამ სხვა საშუალება არ გვექნება უზნეობისა და თავხედობის ასალაგმავად. საუბედუროდ, ზნეობრივი ქადაგება ერის შეგნებულ ნაწილზე მოქმედობს, ხოლო მისთვის რომ ჩვენ შევძლოთ ერთად სხვა ევროპიელ ხალხთან ამ დღევანდელ საჭირბოროტო საგანს გავუძღვეთ, უნდა პირველ იდეალს მივაღწიოთ. ამიტომ, მართალია ლალი, როდესაც ამბობს: „ეროვნული პრინციპი“ მესამოცე წლების მოღვაწეებსაც და ჩვენც უფრო სავსებით და რთულად გვესმის, ვიდრე ბ. ჟორდანიას ჰგონია. მათი აზრით „ეროვნული პრინციპი“ ჩვენ გვინდა ეროვნულ პრინციპისათვის, როგორც მაგალითად, ზოგიერთებს ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდათ და არა ცხოვრებისათვის. ჩვენს „ეროვნულს პრინციპს“ საფუძვლად უდევს მთელი ერის ყოველმხრივი

განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაში“ („ივერია“, 1895 წ., № 69).

რადგან ეს ასეა, ისიც მართალია, რომ „კლასთა ბრძოლამ“ უნდა დაუთმოს ადგილი „ერთა ბრძოლას“, ამას ხომ თვით ბ. ჟორდანია აღიარებს: „პირველი (კლასიური ბრძოლა), რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან“ („კვალი“, 1896 წ., გვ. 202), მაგრამ მაშინ ხომ უპირველეს საგნად ერის ვინაობის დაცვა ხდება, მეორე კი (კლასთა ბრძოლა) — ყოველი ერის შინაური საქმე — მეორე ხარისხოვანი ჯერჯერობით. მართლაც, თუ ერს არა ჰყავს ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ზნეობრივი მსჯავრი დასდვან ამა თუ იმ მოვლენას ცხოვრებისას, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ თვით მთელ ერს დაჰკარგვია ზნეობრივი სახე. და თუ ეს ასე იქნა, მაშინ ერი დაიღუპება.

მესამოცე წლებიც ასე იყო. ჩვენი მესამოცე წლების ახალგაზრდობა მარტო ენას როდი იცავდა, ერის ვინაობას იცავდა და თანაც შინაურ სოციალურ უსამართლობას — ბატონყმობას ებრძოლა. ეხლა ეს სენი მოისპო, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილება იდგამს ფესვს — ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ამ ბრძოლას კი საფუძვლად უდევს უფრო მეტი პოლიტიკური და ზნეობრივი მხარე, ვიდრე ბ. ჟორდანიას ჰგონია. ეს კლასი, ანუ ეს ნაწილი დღევანდელი საზოგადოებისა, მტერია ყოველსავე ამამაღლებელი იდეალისა, მტერია ყოველივესი, რაც ანგარიშს და არშინს გასცილდება, თუ რასმე სჩადის კეთილს, ეს მისდა უნებურად, შეუგნებლად. გონიერი და ზნეობრივი წევრი საზოგადოებისა ებრძვის მათ გულგრილობას უმაღლესი საერო და საზოგადოებრივი კითხვების შესახებ.

ამგვარად, მესამოცე წლების თაობის (ი. ჭავჭავაძის მეთაურობით) მოღვაწეობა „ენის დაცვის“ შესახებ უნდა განიგრძოს. ამ შემთხვევაში დღევანდელი მოწინავე დასი, რომელსაც სურს სამშობლოს კეთილდღეობა, მის მემკვიდრეობას უნდა წმინდად იცავდეს. ხოლო თუ მესამოცე წლების თაობისაგან ზოგი უზნეო ბურჟუაზიული ტენდენციის მოსარჩლე შეიქნა, ანდა არისტოკრატიულ-ფეოდალური ინსტინქტების დამცველი, ეს მთელ თაობას არ მიეწერება და მთელი თაობის პრინციპებს ვერ შებღალავს. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სოციალურ ზნეობრივობას ზურგი შეაქციეს

და უზნეობის მოსარჩლე გახდნენ და არა იმას, რომ საეროვნო საქმე არ ესმოდათ და ან არ ესმით.

„მესამე დასმა“ ან უნდა ნათლად და გარკვეულად განაცხადოს, რომ მარქსისტია შეურყეველი, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, ან უნდა აღიაროს, რომ ახალ დასს არ შეადგენს. თუ „ენის დაცვა და ეროვნებისა“ თავის დროშაზე დააწერეს, მაშინ მათი მომხრეები მათზე უწინ გამოჩენილან ჩვენს ცხოვრებაში.

ვიმეორებ, ამ წერილის საგნისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად სავსებით გარკვეული აქვს და ღრმად შეგნებული ამ დასს თავისი პროგრამა. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რომ ენერგიით, სიცოცხლით და რწმენით აღსავსე არის და, ყველა ამის გამო, დღეს ჩვენში დაიჭირა ადგილი ერთადერთი მომქმედი თაობისა. წერით თუ კითხვით, ქადაგებით თუ წიგნების დასტამბვით, მათ მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. საზოგადოებას ყოველთვის აქვს ფარული ლტოლვილება იდეალისაკენ და ამიტომ ხარბად დაეწაფა პირველსავე მიწვდილ წყალს, ამგვარი წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

მათი ძალა კიდევ მასშია, რომ ის პრინციპი, რომლის აღმსარებლად თავს ხადიან, მეტად ზნეობრივია და კანონიერი (გარდა ზოგიერთი უკიდურესი აზრებისა ეროვნობის შესახებ). ერთადერთი მისი წინააღმდეგი ის არის, რომ ჩვენში ჯერ უნიადაგოა და უდროო, იგი უფრო მაღალი საზოგადოების სანუკვარი საგანია. ამიტომაც არის, რომ ისეთ მკაცრ წინააღმდეგობას ვერ პოულობს მათი პრინციპი. ხოლო, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, თვით ცხოვრება და სინამდვილის ძალა ფერს უცვლის მათ პროგრამას და, თავისდა შეუმჩნევლად, პრაქტიკულად იმავე პრინციპის დამცველები გამოდიან, რომლის მიმდევართ ებრძვიან თეორიაში.

9

ამ ჯგუფის პუბლიცისტად ბ. ჟორდანია უნდა ჩაითვალოს, რადგან ყოველივე მოსაზრებასა და აზროვნებას მთელი „მესამე დასისას“ მასში აქვს დასასრული და დასაბამი. ხოლო მათ წარმომადგენელ ბელეტრისტად ე. ნინოშვილი უნდა აღვიაროთ, იმიტომ კი არა, რომ მართლა „მესამე დასის“ პროგრამის გამომხატველი იყოს სიტყვაკაზმულ მწერლობაში, არამედ მარტო და მხოლოდ იმ თვისების

გამო, რომელიც ახასიათებს ამ ჯგუფს. როგორც ამ ჯგუფის თაობა განირჩევა პირველისაგან მხნეობით, პროგრამის გარკვეულობით, რწმენით თავისი საქმისა, და ფანატიკური ენერგიით, ისე ე. ნინოშვილი განირჩევა პირველი კატეგორიის მწერალთაგან მით, რომ აქვს გარკვეული ზნეობრივი მსჯელობა ყოველივე მისგან აღწერილი მოვლენის შესახებ.

მართალია, პირველის ჯგუფის მწერლობის არ იყოს, ე. ნინოშვილიც ბუნებისა („პალიასტომის ტბა") და ცხოვრების უწყალოებისა და უსამართლობის ძომჩივანია თავის მოთხრობებში („არშიყნი", „ქრისტინე", „პარტახი", „განკარგულება", „გოგია უიშვილი"). მაგრამ უნუგეშო და დაუსრულებელი პესიმიზმის მონად არა ხდება, იმიტომ რომ სწამს ზნეობრივი კანონი ცხოვრებისა, სწამს ბოროტი დასჯილი საზოგადოებისაგან („ჩვენი ქვეყნის რაინდი", „არშიყნი", „სიმონა"), თუ ცხოვრების სხვა რაიმე ძალისაგან („უცნაური სენი", „ქრისტინე"). ეხლანდელობისაგან გულმოწყლულ მწერალს ისეთი საშინელი სევდითა და პესიმიზმით აღსავსე მოთხრობებიც დაუწერია, როგორც „პალიასტომის ტბა" და „გოგია უიშვილია", და ეს მოთხრობები საუკეთესონი არიან მის ნაწერთა შორის. გარკვეული შეხედულება ცხოვრებაზე მორალურ პრინციპზე აგებული — აი ძალა ე. ნინოშვილისა. ცოდნა ამ ცხოვრებისა, რომლის ფოტოგრაფიულ სურათებსაც გვაძლევს თავის თხზულებაში, შეგნება თვალსაჩინო მიზეზთა, რომელსაც შეუქმნია ცხოვრების უმსგავსოება — ეს შეადგენს მის უეჭველ ღირსებას. მოკლებული ხელოვნებით ნიჭს — იგი ვერ დაიჩემებს ვერც პეიზაჟისტობას, ვერც მკაფიოდ გამოქანდაკებულ ტიპთა შექმნას, ვერც ფსიქოლოგობას; იგი ფოტოგრაფია, ფოტოგრაფიული აპარატი, რომელიც აღბეჭდავს ცხოვრების მოვლენას ისე, როგორც გაუგონია და უნახავს, მხატვრულად შეფერადებას მოვლენისას არ კისრულობს, მაგრამ ზნეობრივ მსჯავრს ყოველთვის სდებს ამა თუ იმ მოვლენას. ყოველთვის ცდილობს ერთი მხარე სურათისა უფრო ნათელში დააყენოს, ცდილობს მოვლენის წარმომშობი მთავარი მიზეზები დაგანახოსთ; მიზეზს ცხოვრების დაცემისას, „გოგია უიშვილების" უბედურებისას და „მოსე მწერლების" ბედნიერებისას იმ პირობებში ჰხედავს, რომელთაც მთლად ერთიანად შეცვალეს ქართველი ერის ცხოვრება: ის თესლები მიაჩნია ბოროტი ნაყოფის აღმოცენებლად, რომელნიც უცხოეთიდან ქართულ ნიადაგზე იქნა გადმოტანილი („გოგია უიშვილი", „სიმონა",

„განკარგულება“ და სხვანი). ეს დაფასება ცხოვრების მოვლენისა ზნეობრივი მხრით, ეს ზნეობრიობა აძლევს ბ. ნინოშვილის მოთხრობებს მნიშვნელობას და ხშირად გავიწყებინებს, რომ ხელოვნების მხრით ერთობ სუსტია, მაგრამ განა თვით ამ ლოგიკურ თანდათანობაში, ამ სასტიკად გატარებულ პრინციპებში არ მოჩანს თავისებური ხელოვნება, თავისებური სიმშვენიერე განა აქ არ არის?

ამგვარია მეორე ჯგუფი და მისი წარმომადგენლები. რაც გინდათ ბრძანეთ, იგი მოქმედებს, მოძრაობს, ცოცხლობს, იდეალური პრინციპების განხორციელებას ცდილობს და ესეც იმ დროს, როცა საზოგადოებაში ჩამქრალია ყოველი იდეალური მისწრაფება და მხოლოდ ბრმა ბურჟუაზიულ ტენდენციას გაუდგამს ფესვი. იგინი პირად კმაყოფილებას არ დაუმონებია, საზოგადოების სამსახურის სურვილით აღტყინებულნი არიან. ამას გარდა, მთლად ერთიანად მათი მოღვაწეობა ქართულ ნიადაგზე არის (სწერენ, სტამბავენ, შრომობენ და ქადაგებენ ქართულ ენაზე), თუმცა ეროვნების სამსახური, მათგან ღვთად მიჩნეულის მარქსიზმის წინააღმდეგია. ყველა ამის გამო იგინი ყურადღებისა და მადლობის ღირსნი არიან. ხოლო თუ დიდი ნიჭი არა აქვთ და ღრმა ცოდნა არ შესწევთ, ეს მათი დანაშაული როდია, არამედ ბუნებისა და ცხოვრების ბრალია. ამ ნაკლულევანებებს უნდა მივაწეროთ ის, რომ ჩვენში უდროულსა და უნიადაგო აზრს ეპოტინებიან; მისი შედეგია ის, რომ სასტიკი ფანატიზმით აღვსილნი არიან და საზოგადოების პატივსაცემ უმრავლესობაში სიმპატიას ვერ პოულობენ. მაგრამ ისიც კი უნდა ვთქვათ, ამ ფანატიკოსობაშია მათი ძალა. ამ ფანატიკოსობის წყალობით მრავალი მომხრეები მოიპოვეს; ენერგიული და მხნე ცდით გიორგი წერეთელიც (რომელიც ყოველთვის გარკვეულ გზას ადგა თავის მწერლობაში) თავისებურად მოარჯულეს, მათი მეთაურობა აკისრებინეს და მისი ჟურნალიც მათ დაუსაკუთრა.

ბოლოს, რა მიმართულება უნდა მიიღოს და მიიღებს კიდევაც ახალგაზრდობა, რომელსაც სურს საზოგადოების მეთაურობა, მისი წინამძღვრობა?

მე მგონია, ზემოთმოყვანილი ფაქტები იძლევა საკმაო მასალას გამოვარკვიოთ, რა გზას უნდა დაადგეს საზოგადოების სამსახურის მოსურნე ახალგაზრდობა. ბ. ფხალთან და ბ. ჟორდანიასთან იგი აღიარებს, რომ „ჩვენი ცხოვრება წარმოების გზას დაადგა და სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო, ქართველობა ახალ ვითარებას ჩაერია“,

რომ საქართველოში მყარდება კაპიტალისტური, ბურჟუაზიული წყობილება, წყობილება, რომლის საზიზღარი თვისებების განმტკიცებას შველის დღევანდელი საზოგადოების ზნეობით დაცემა, წყობილება, რომელიც ამ ზნეობრივ გათახსირებას მხარს აძლევს. მთელი ევროპის ხალხნი ზნეობრივად დამახინჯებულ რასმე წარმოადგენენ. კაცობრიობის ზნეობრივი განახლებისა და გარდაბადებისათვის უნდა ცდილობდეს შეერთებული ძალა ერთა, მაგრამ ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ყოველ ერს შეეძლება მეორეს ძმურად ხელი გაუშვიროს, გახრწნილების მოსასპობად ატეხილ ბრძოლაში მხარი მისცეს. რაიცა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შეწყდება „ერთა ბრძოლა“. სანამ იქნება „ერთა ბრძოლა“, სანამ ერნი ერთმანეთს ტვინსა სწოვენ, მანამდის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ შეერთებულ ერთა ბრძოლა შეუძლებელია. ბ. ჟორდანიაც ხომ იმას ბრძანებს: „რაც უნდა ძლიერი იყოს ბრძოლა კლასთა შორის, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან... აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარდა სხვა ერია...“

მაშ მართალია ბ. ლალი, როცა ამბობს, „ეროვნული პრინციპი“ გვინდა მისთვის, რომ ამით „ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაშიო“. და თუ ეს ასეა, მესამოცე წლების მოდვაწეობა „ენის დაცვის“ შესახებ დღესაც შეუფერხებელია და საფუძვლიანი, დღესაც უპირველეს საგანს შეადგენს ერთა მეთაურისას.

16. ერთი საგანი ზნეობისა

(ვუძღვნი თ-ს)

შიო არაგვისპირელის ეტიუდმა, „მოამბის“ III ნომერში დაბეჭდილმა, წინ წამოაყენა ერთი საგანი ზნეობისა, რომელზეც ჩვენ გვინდა მოვილაპარაკოთ.

ამ ეტიუდში ავტორს გაკვრითა აქვს აღწერილი სულის მდგომარეობა ერთი გონიერი და სინდისიანი ყმაწვილი კაცისა, რომელსაც რაღაც დანაშაული ჩაუდენია და საზოგადოებას დანაშაულისათვის განუდევნია. საზოგადოების სასტიკ ქცევას იგი ისე აღუშფოთებია და აუღელვებია, რომ თავის მოკვლაც კი განუზრახავს, მაგრამ ბოლოს მაინც გამწარებული და გაშხამებული ცხოვრება უმჯობინებია ცხოვრების ბრძოლის ველის მხდალად მიტოვებას და ამ სიტყვებით ისევ ურიგდება ცხოვრებას: „დამნაშავე ვარ და ამისათვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ ავიტანო და არა ვცდილობდე ამის თავიდგან აცილებას... ამისთვის ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები! უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას... რომ ყოველ ნაბიჯზედ მაფურთხოს, მიყიჟინოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..“

ყმაწვილი კაცი იტანჯება ჯერ იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინა, და მერე იმიტომ, რომ ამ დანაშაულისათვის სასჯელი მიიღო. რაც უნდა დარწმუნებული იყოს კაცი, რომ სასჯელი ღირსეულია, მაინც მწარეა სასჯელი და შემაწუხებელი. ხოლო თუ გრძნობ, რომ შენი დანაშაული სხვის დანაშაულზე უმძიმესი არ არის, მაგრამ ყველაზე უფრო სასტიკად დაგსაჯეს. ერთიორად იზრდება შენი ტანჯვის სიმწვავე. კიდევ უფრო გიძნელდება სასჯელი, ერთიორად და ერთიათად უფრო აღშფოთებული ხარ, ათასჯერ უფრო გულმოკლული, თუ შენს ჯალათ მოსამართლეს შენზე უფრო ბევრი და უფრო საზიზღარი ცოდვა ჩაუდენია. ფიქრობ, როგორ, ამან, ავაზაკმა, ამ იუდას თანასწორმა უნდა გამასამართლოს მე და დამასვას შემარცხვენელი

დაღი დამნაშავისა, მე, რომელიც, მაგასთან შედარებით, წმინდანი ვარ, მე, რომელსაც უფრო მეკუთვნოდა თითონ ეგ გამესამართლებინა?

ეხლანდელი საზოგადოების ცხოვრება იმგვარად არის მოწყობილი, რომ ყოველი სინდისიერი კაცი უმაღლეს ტანჯვას იტანს თავისი დანაშაულის გამო. დღემდე ვერც თვით ცხოვრებას, ვერც ცხოვრების მმართველ აზრსა და გონებას ვერ გამოურკვევია, ვერ დაუკანონებია და ვერ მოუწყვია რიგიანად საზოგადოებისა და კერძო ადამიანის დამოკიდებულება. ვერც ფილოსოფიას და ვერც ეთიკას ვერ გამოუთქვამს თავისი გადაჭრილი სიტყვა იმის შესახებ, საზოგადოება უნდა იყოს კერძო ადამიანისათვის, თუ კერძო ადამიანი საზოგადოებისათვის: ვერ განუსაზღვრავს, სად იწყება საზოგადოების უფლება კერძო ადამიანის შესახებ და სად თავდება იგი; ვერ დაუდვია საზღვარი კერძო ადამიანის — ინდივიდუუმისა და საზოგადოების მოქმედების ასპარეზთა შორის. ამიტომაც, არ არის გარკვეული და უტყუარი, მტკიცე საფუძველზე აგებული უმთავრესი საგანი ეთიკისა, ზნეობრივი მეცნიერებისა, გინდ ფილოსოფიისა, ზნეობრივი პასუხისგება ზნეობრივი მოვალეობის დარღვევის გამო.

წარმოვიდგინოთ, რომ კერძო კაცმა დანაშაული ჩაიდინა,—საზოგადოების წესრიგი დაარღვია. აქვს თუ არა საზოგადოებას უფლება ამ დანაშაულისათვის დასაჯოს, „განიკითხოს“ ინდივიდუუმი? აქვს თუ არა ნება უკიდურეს შემთხვევაში განაძევოს და განდევნოს იგი, მოიკვეთოს როგორც სხეულის მავნე ნაწილი?

ამის შესახებ, რასაკვირველია, მარტო „ჰო“-ს თქმა შეიძლება.

როგორი ახსნაც უნდა მივიღოთ საზოგადოების წარმოებისა, ორგანიული თუ კონტრაქტული, მაინც მავნე წევრი საზოგადოებისა უნდა დაისაჯოს, იმიტომაც რომ შესცოდა და იმ აზრითაც, რომ თვით მას და სხვასაც მაგალითად დაედვას, — ყოველივე შემცოდე დაისჯებაო.

არ შეიძლება უამისოდ საზოგადოების არსების დაცვა. თუ საზოგადოება ორგანიზმია, როგორც სპენსერი ფიქრობს, თუ მისი დაბადება, აღზრდა, მოხუცება და გარდაცვლა, თუ მისი განვითარების სვლა იმავე კანონებს ექვემდებარება, როგორსაც ორგანიზმი, ჩანს იმასაც სჭირია თავის შენახვა, თავის დაფარვა, როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს. თუ საზოგადოება სხეულია, წევრი ამ სხეულის ნაწილია. თუ სხეულის ნაწილი ავად არის, საჭიროა მისი ექიმობა,

თუ იგი ნაწილი გაიხრწნა, საჭიროა მოკვეთა, რომ სხვა ნაწილებს სხეულისას ზიანი არ მისცეს.

მაგრამ ერთი არ უნდა დავივიწყოთ. ორგანიზმის ნაწილი უსულოა და უგუნური, ხოლო საზოგადოების წევრი სულიერი და გონიერი არსებაა, და, როგორც ამისთანას, სხვანაირად უნდა მოვექცეთ. ამიტომაც სჯის საზოგადოება დამნაშავე წევრს არა მარტო იმ აზრით, რომ სხვა წევრებს არაფერი ზიანი მიეცეს მისგან, არამედ იმიტომაც, რომ თვით დამნაშავე გასწორდეს, თვით დამნაშავე გაადამიანდეს და განახლების — გარდაბადების გზას დაადგეს.

თუ საზოგადოება შედგა მხოლოდ ხელშეკრულების ძალით, როგორც ჟან-ჟაკ რუსსო ამბობდა, მაშინ კიდევ უფრო დიდი საფუძველი ეძლევა ამ უფლებას დასჯისას.

ყოველ დაწესებულებას, ყოველ წოდებას, ყოველ ოჯახს, თითქმის, თავისი წესი აქვს. ვისაც სურს ამა თუ იმ დაწესებულების წევრობა, ან უნდა აღასრულოს ამა თუ იმ წესდების მუხლები, ანდა უარი სთქვას ამ დაწესებულების წევრობაზე. თუკი ერმა შეადგინა სახელმწიფო, თუკი ერმა დაუწერელი, მაგრამ მტკიცე პირობა და კავშირი შეჰკრა ერთად ცხოვრებისა და ერთად მოღვაწეობისა ცხოვრებაში და დაადგინა წესრიგი, ყოველი წევრი, რომელსაც თანხმობა განუცხადებია ამ წესისა და რიგის დაცვისა, მოვალეა ან შეასრულოს იგი, ან საზოგადოებას განშორდეს.

ჩვენ არ შეგვიძლია, არა ვთქვათ, რომ ორივე ეს თეორია არასრული და ცალმხრივია. არ შეიძლება საზოგადოება მივიღოთ ორგანიზმად, რადგან მისი წევრი სულიერი არსებაა და ეს თვისება ადამიანისა შეუძლებლადა ჰხდის საზოგადოების ცხოვრება იმავე კანონებს დაუმორჩილოს, როგორსაც ექვემდებარება პირუტყვთა ცხოვრება. არც ის შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება იყოს წარმოშობილი მხოლოდ წევრთა ნებაყოფლობისაგან. არ შეიძლება, რადგან ყოველი მოქმედება ნებისა ნებითავე დაირღვევა, ყოველი პირობა დაირღვევა, ხოლო ის დაუწერელი, კიდევ ვიმეორებ, პირობა კი, რომელიც ქვა-კუთხედად უდევს საზოგადოებას, ის პირობა არ არის ყოველი კერძო ადამიანის ნებაზე დამოკიდებული. ის კიდევ არაფერი, რომ ერთ კაცს, ორს, უმცირეს ნაწილს საზოგადოებისას არ შეუძლია დაარღვიოს საზოგადოების ხელშეკრულება, არ შეუძლია თავი დაიღწიოს ამ პირობით ნაკისრ მოვალეობას, არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი ამ კავშირისაგანაც. მაშასადამე, თუ საზოგადოების წარ-

მოება ხელშეკრულებაზე არის დამყარებული, ჩანს, რომ ეს ხელშეკრულება, ეს პირობა სხვაგვარია, თავისებური და არ წააგავს იმ ხელშეკრულებათ, იმ პირობის წერილებს, რომლებიც იცის იურიდიულმა მეცნიერებამ. სიმართლესთან უფრო ახლოს არის და, ყოველ შემთხვევაში, ორიგინალურია თეორია ფრანგი ფილოსოფოსის ალფრედ ფუილესი [1].

ფილოსოფოსი ამბობს, რომ ეს ორი თეორია ცალ-ცალკე აღნიშნავს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ხანასაო. რამდენადაც უფრო შორიდან დავიწყებთ საზოგადოების სტრუქტურის, აგებულების შესწავლას, იმდენად უფრო მართლდება ორგანიული თეორია, რადგან საზოგადოების დასაწყისი, მისი შთანასახი ორგანიზმისებური იყო და იმავე კანონებს ექვემდებარებოდაო. ხოლო რამდენად უფრო აქეთ გამოვიწევთ, ჩვენს დროს დავუახლოვდებით და ამ დროის საზოგადოებას შევისწავლით, იმდენად უფრო მართლდება კონტრაქტული თეორია. ეს შესწავლა გვაჩვენებს, რომ საზოგადოება თანდათან ტოვებს ფატალურ კანონებს ორგანიზმისას, აღარ ემორჩილება ამ კანონებს, არამედ მისდევს უფრო თავისუფალ წესრიგს პირობისას.

უწინ არსებული ბარბაროსული წესწყობილება საზოგადოებისა მართალია რომ ორგანიზმის შესაფერია, ხოლო ეხლანდელი თავისუფალი პარლამენტური წყობილება კი სწორედ პირობისდაგვარია, არ გინდა დაემორჩილო ამ წყობილებას, მშვიდობით ბრძანდებოდეთ; უწინ კი დესპოტური წყობილების დროს თუ გაბედავდით და განაცხადებდით უკმაყოფილებას საზოგადოების წესრიგის გამო, სიცოცხლეს გამოგათხოვებდნენ, ცოცხალს აღარ დაგტოვებდნენ.

ამრიგად, ფუილეს აზრით, საზოგადოების განვითარება იმ გზას ადგია, რომელიც სულ თანდათან აშორებს ორგანიზმის ხასიათს და აახლოვებს კონტრაქტულ დაწესებულებასთან. დღევანდელი ევროპის კონსტიტუციის სახელმწიფოები არიან ამისი დამამტკიცებელნი. იქ, ყოველივე კანონი, ყოველივე მუხლი ამ კანონისა საზოგადოებისა და გადაწყვეტილების შედეგია და არა ერთი კაცის, ანდა ერთი რომელიმე ჯგუფის ძალმომრეობისა.

---

[1] Alf. Fouillée, La science sociale contemporaine.

ბაასი იმიტომ განვაგრძეთ, რათა დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რომ რა მხრითაც უნდა შეხედოთ საზოგადოებას, მას უფლება აქვს დასაჯოს დამნაშავე ინდივიდუმი.

მაგრამ ინდივიდუმსაც აქვს თავისი მოთხოვნილება, თავისი უფლებანი და თუ დამნაშავეა, მოეპოვება თავის გასამართლებელი საბუთებიც. შეიძლება იგი თავის გამართლება საზოგადოებამ არ შეიწყნაროს, თავისი შეუწყნარებლობის კანონიერი საბუთებიც წარუდგინოს, მაგრამ ამ ნებას მაინც ვერ წავართმევთ კერძო კაცს და, მართალი ვთქვათ, არც მისი საბუთებია ჭეშმარიტ საფუძველს მოკლებული. იგი წევრია საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს თავისი წევრების ცხოვრების განკარგება და გაუმჯობესება, მათი დაცვა მტრებისაგან, და როგორც წევრს ასეთი საზოგადოებისას, ყოველ კერძო კაცს აქვს უფლება მოითხოვოს საზოგადოებისაგან მზრუნველობა და არა ჯალათობა. მე დამნაშავე ვარ, მაგრამ ეს დანაშაული იმიტომ კი არ ჩამიდენია, რომ ძალიან სასიამოვნო იყოს დანაშაულის ჩადენა. არა, იგი გამოიწვია ათასგვარმა მიზეზმა.

მე წევრი ვარ საზოგადოებისა, მომაშოროს ეს მიზეზები, მომაშოროს ყოველივე, რაც დანაშაულის ჩადენის სურვილს აღმიძრავს; ავაზაკი თუ ვარ, უთუოდ მშიოდა და მწყუროდა; რატომ არა ცდილობს საზოგადოება განაკარგოს ცხოვრება ყოველი ინდივიდუმისა ისე, რომ არც ერთს არ შიოდეს; კაცის მკვლელი ვარ — უთუოდ ან იმიტომ, რომ ჩემი ღირსება შებღალეს და სხვა საშუალება არა მქონდა თავის დასაფარავად, ან ისევ სიმშილისა და წყურვილისაგან გამოწვეულია, ან საზოგადოებისაგანვე შექმნილი სხვა უმსგავსოებისა და ურიგობის შედეგია, ან სულით ავადმყოფი ვარ, მაშინ კი ნუ დამსჯი, მიწამლე. ჯერ ეს ერთი. მაგრამ მეორე უფრო მტკიცე თავისგასამართლებელი საბუთიც შეუძლია წარუდგინოს კერძო კაცმა საზოგადოებას.

მეცნიერება და სარწმუნოება ორივ თანახმად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ ცოდვის შვილები ვართ: პირველი ამბობს, რომ ჩვენ ვიყავით და ვართ პირუტყვნი და პირუტყვული გრძნობებით აღსავსენი. მართალია, მას აქეთ რამდენიმე ათასი წელი გავიდა, ჩვენში მხეცური ბუნება მაინც არ მოსპობილა და ადამიანობა არ გამეფებულა. სარწმუნოება ამბობს, რომ არა გამოიღოს ხემან ხენეშმან ნაყოფი კე-

თილიო, ადამის შვილი ცოდვიანია და ცოდვის მოდგმაო. მაშ თუ ასეა, ყველანი ცოდვილები ვართ და არ შეიძლება, რომ ყველა წევრი საზოგადოებისა რითიმე შემცოდე არ იყოს. მაგრამ რაღაც შემთხვევამ, ჩემმა უბედურებამ მარტო ჩემი ცოდვები დაგანახვათ და მე მსჯით, განა შემიძლიან ამგვარ სამართალს დავემორჩილო? განა შემიძლია ასეთი უსამართლობა კანონიერად ვიცნო. თუ სხვას იცავ ჩემგან, რატომ მე, შენსავე წევრს, არ მიცავ სხვისაგან, რომელიც კიდევ უფრო საშიშია ჩემზე იმით, რომ ყელსა გჭრის ღამე ჩუმად და გისპობს ყოველ ღონეს წინააღმდეგობისას?

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ რატომ გავიწყდება თვით შენ, მოსამართლე საზოგადოებავ, როგორც კრებული ცოდვილთა, როგორც შეერთებული გუნდი ადამის ცოდვის ნაყოფთა, ცოდვიანი ხარ, ცოდვის გზას აქამდე ვერ ასცდენიხარ, თვით შენ ხარ დამნაშავე ათასგვარ ბოროტებაში და შენ გინდა მარტო მე დამსაჯო, მარტო მე დამტანჯო, რათა დაარწმუნო სხვები, ვითომ მათ მშვიდობით მყოფელობისათვის ზრუნავ.

გონიერი და სინდისიანი არსება სამართლიანად აღტყინებულია, სამართლიანად არის გამწარებული და იმის სიტყვებს ჩვენს დროში, ეხლანდელი საზოგადოების წინაშე, რომელსაც თავი მოაქვს, რომ ქრისტიანულ პრინციპებზე არის აგებული, ქრისტეს მოძღვრებით სულდგმულობს და ამ მოძღვრებას ადიდებს და თაყვანსა სცემს, — ამ საზოგადოების წინაშე დამნაშავის ამგვარ სიტყვებს დიდი ძალა აქვს, შეურყეველი საბუთი აქვს ხელში — ქრისტესავე სახარება. „ვინ უცოდველ არს თქვენგანი, პირველად მათ დაუტეენ ქვაჲ მაგასზედა“, — უთხრა იესომ მწიგნობართა და ფარისეველთ, როდესაც მრუშე დედა-კაცი მოუყვანეს, რათა ქვით დაექოლათ. მაგრამ ის გუნდი ფარისეველთა, ქრისტეს სამაცდუროდ მოსულნი, უფრო სინდისიანი გამოდგნენ, ვიდრე დღევანდელი არანაკლებ ფარისეველი საზოგადოება. იმათგან ვერც ერთმა ვერ გაბედა ქვა ესროლა იმ დედაკაცისათვის, დღევანდელი საზოგადოების წევრი კი თავის დამნაშავე მოძმეს ქვასაც არ აკმარებს. მაშ როგორ დავაღწიოთ თავი ამ საგანს, რა ვიფიქროთ, რა მოვაგვაროთ? როგორ მოვუაროთ თავი ასეთ უთანხმოებას? საზოგადოებას, ერთის მხრით, აქვს უფლება დამნაშავე წევრის დასჯისა, მეორეს მხრით, საზოგადოებას არა აქვს ეს უფლება, რადგან იგი უფრო ცოდვილია, ვიდრე ყოველი დამნაშავე, თუ გინდ იმითაც, რომ ყოველი წევრის დანაშაულში წილი უდევს.

გონიერი და სინდისიერი არსება ყოველთვის ისეთ გამწარებულ ყოფაშია, როგორც შიო არაგვისპირელმა გაკვრით აღნიშნა თავის უკანასკნელ ეტიუდში: გრძნობს, რომ ღირსია სასჯელისა დანაშაულისათვის და თან გული უკვდება, მისი გრძნობა სამართლიანობისა აღშფოთებულია, რადგან ისეთები სჯიან, ვინც იმაზე ათასჯერ მეტად დამნაშავენი არიან.

გონიერი და სინდისიერი არსება ემონება თავის ხვედრს, ხოლო სად არის გონიერი და სინდისიერი საზოგადოება? არსად არა ყოფილა იგი და არც დღეს არის, და ვიდრე არ შეიქმნება ასეთი საზოგადოება, ამ დრომდე სასჯელს საზოგადოებისას არ ექნება არავითარი ძალა, არავითარი სამართლიანობა, იგი ყოველთვის ძალმომრეობის გამომსახველი იქნება...

საზოგადოებას ნება აქვს და მისთვის აუცილებელიც არის, რომ დამნაშავე, წესის დამრღვევი დასაჯოს, უამისოდ შეუძლებელია არსებობა საზოგადოებისა. საზოგადოებას, მაგალითად, სჭირია ოჯახის ბედნიერება, ოჯახის ზნეობრიობა, ოჯახი მომავალ თაობაზე მზრუნველი, და ამ თაობისათვის მაღალი აზრების ჩამნერგველი. წარმოვიდგინოთ, ვინმემ დაარღვია სიწმინდე ოჯახისა უბედური შემთხვევის გამო, მისთვის, რომ მის გულში ძლიერმა გრძნობამ დაიბუდა, სიყვარულმა ტახტი დაიდგა. ეს გრძნობა შეურყეველ და უცილობელ უფლებას შეადგენს კერძო ადამიანისას. საზოგადოებას ნება არა აქვს შეზღუდოს უსაფუძვლოდ და უკანონოდ ეგ გრძნობა. ქალი კაცს მიათხოვეს, იმას მეორე შეუყვარდა და ეუბნება ქმარს, აღარ შემიძლია შენთან ვიცხოვრო, რადგან გულში აღარ მიღვივის ის გრძნობა, რომელიც არის ერთადერთი დამაკავშირებელი მეუღლეთაო. გაბრაზებული საზოგადოება ასეთ ქალს გააძევებს ხოლმე თავისი წრიდან. ეს დიდი სისასტიკე და მეტისმეტი თავხედობაა საზოგადოებისაგან, იმდენად დამონება კერძო ადამიანისა, რომ თვით მისი საუკეთესო გრძნობის მოსპობას ითხოვს იმისაგან და უბრძანებს სიცოცხლითვე თავი მოიკლას. მაგრამ რაკი იგი გრძნობა საზოგადოების ინტერესს შეეჯახა, საზოგადოებას მაინც აქვს თავისი განრისხების, თუმცა გადაჭარბებულის, ცოტაოდენი საბუთი. მაგრამ აბა ნახეთ, როგორ იქცევა იგი მეორე შემთხვევაში: ქალი გათხოვდა, ქმარი შესძულდა და სხვა შეუყვარდა, სიყვარულის გრძნობას იკმაყოფილებს ისე, რომ ქმარმა ამის შესახებ არა იცის რა. აქაც ოჯახის კავშირი ირღვევა და, კიდევ მეტიც, ოჯახში საზიზღარი სიცრუე იდგამს ფესვებს. ამ ქალს

კარგად ესმის, რომ პატიოსნური ქცევა ჩვენს დროში დამპალი ჩითია და, რასაკვირველია, ქმარსაც და საზოგადოებასაც ვითომ თვალს უხვევს. საზოგადოებამ იცის, ძალიან კარგად იცის ყოველივე და მაინც აღტაცებითა და ვაშას ძახილით ეგებება ასეთ ქალს. რაღა ძალა, რაღა გავლენა უნდა ჰქონდეს იმ საზოგადოების მსჯავრს, რომელიც ასე იქცევა. პირველ შემთხვევაში უბედურ მოვლენას და რიგიან, პატიოსნურ, გულახდილ ქცევას სასტიკად სჯის, რადგან თავისი უფლებების შეურაცხმყოფელად იცნო, მეორეში — უპატიოსნო და ურიგო, წინათ განზრახულ, ფარულ ბოროტებასა და მაცდურებას თვალს არიდებს, — მე არ ვიცი, რითი დამიმტკიცებო და სხვ. პირველ შემთხვევაში შეცდომაა, მეორეში — ბოროტმოქმედება. პირველ შემთხვევაში თუ ოჯახის კავშირი შეირყა, სიწმინდე ოჯახისა შეუბღალველი რჩება და პატიოსნება ოჯახის წევრებისა სრულიად უმწიკვლოდ არის დაფარული, რაც საზოგადოებისათვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

მეორე შემთხვევაში კი პირადი ღირსებაც დაიწყებულია, ოჯახის კავშირი გაწყვეტილი და ოჯახში ახალი გარყვნილების თესლია შეტანილი: აქ მოტყუება ქმრისა ცოლისაგან (გინდ ცოლისა ქმრისაგან, ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი ვართ იმ აზიურის აზრისა, ვითომ მხოლოდ ცოლმა უნდა დაიცვას მეშვიდე მცნება და ქმარმა არა. იგი მცნება ორივესათვის სავალდებულოა და რომელიც დაარღვევს, იგი ცოლ-ქმრობის კავშირსაც სწყვეტს), მოტყუებაა შვილებისა მშობლებისაგან და ოჯახის ყველა წევრისა ვიღაც არამზადისაგან, და ყოველივე ამას საზოგადოება არაფრად აგდებს — საბუთი მოგვეცით, დაგვანახვეთო.

ასეთ სიყალბეზე აგებული საზოგადოების იმ უმსგავსო და უგუნურ მსჯავრს რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვისმესათვის, რაღა გავლენა უნდა იქონიოს მან?

საუბედუროდ, რიგიანი და სინდისიერი ადამიანი მაინც იტანჯება, ყოველთვის გრძნობს თავის დანაშაულს, სინდისი ჰქენჯნის და თვითვე აღიარებს თავს საზოგადოებისაგან დანიშნული სასჯელის ღირსად.

უსინდისო და უგუნური კი დათარეშობს თავისუფლად. სასაცილოდაც არა ჰყოფნის საზოგადოების მიერ წარმოთქმული მსჯავრი. წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებაც, თითქო შეშინებული იყოს, ამგვარ ვაჟბატონებს უეცრად ურიგდება, ძალიან მალე ივიწყებს მათ

ცოდვებსაცა და თავის სასჯელსაც, თითქო ეშინოდეს—ჩემი ცოდვებიც არ გაამხილოს და ჩემგან მოქნეული იარაღით მეევე არ დამკოდოსო. ასე გაუფრთხის ხოლმე ბოროტის ჩამდენი ყოველ კაცს, რომელიც კი ცოტა ხმამაღლა დაიწყებს ლაპარაკს, ეშინიან, ჩემი ამბები ქვეყანას არ გააგებინოსო და არ ჩამაგდოს ჩემთვის არასასიამოვნო მდგომარეობაშიო. ასეთ მდგომარეობაშია დღეს საზოგადოება — იგი მექრთამე „ჩინოვნიკსა“ ჰგავს, რომელსაც თავისი მოსამსახურისაც კი ეშინიან, უფროსთან არ დამაბეზღოსო, იგი მრუში დიაცივით იქცევა, რომელიც თავის ბიჭსა ნებდება იმ შიშით, — ქმართან არ გამამხილოსო. საზოგადოების ამგვარი მდგომარეობით სარგებლობს მხოლოდ უბოროტესი წევრი, სინდისიერი და პატიოსანი კი, უმისოდაც დატანჯული, ერთიორად ისჯება და ერთიორად გაუბედურებულია.

ასეთი ფიქრები აღგვიძრა შიო არაგვისპირელის ახალმა ეტიუდმა. ვწუხვართ, რომ კარგად ვერ არის შემუშავებული იგი; ვწუხვართ, რომ უფრო ღრმად არ ჩაკვირვებია ავტორი საგანს. გვწყინს, რომ სულის ვითარება ყმაწვილი კაცისა, საზოგადოებისა და კერძო ადამიანს შორის დამოკიდებულების უმსგავსოებისაგან აღშფოთებულისა, ვერ არის სავსებით დასურათხატებული, მაგრამ ისიც დაუმადლოთ ავტორს, რომ ასეთი ჩვენს ლიტერატურაში არაჩვეულებრივი საგანი წინ წამოაყენა და ფიქრთა ძვრა გამოიწვია.

17. შ. არაგვისპირელის პირველი წიგნი

ერთ-ერთ თავის მოთხრობაში შ. არაგვისპირელი ნატრობს: „ოღონდ თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლი მოჰხვდეს ჩემს მკერდს და მკვდარიც კი გავცოცხლდები“-ო. თუ ეს დღესაც არ აუხდა შ. არაგვისპირელს, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში სახელი მოიხვეჭა. მე არა მგონია, რომ შიო არაგვისპირელის ურწმუნო და უნდო გონება ამქვეყნად მოპოვებულ „სახელს“ დიდ ფასსა სდებდეს. ყოველ შემთხვევაში მაინც არ შეიძლება ახალგაზრდა ავტორი მადლიერი არ დარჩეს საზოგადოებისა და ლიტერატურისა იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან სავსებით დაიმსახურა.

აიღეთ, თუ გნებავთ ეს მისი თხზულებათა პირველი წიგნის გამოცემა. არც ერთ ჩვენს დიდებულ მწერალს არ ღირსებია ეგრე მალე მათ ნაწარმოებთა კრებულის დასტამბვა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემა მხოლოდ ამ რვა-ცხრა წლის წინათ დაიწყეს, ე. ი. მაშინ, როცა მათი ლიტერატურული მოღვაწეობის შემდეგ თითქმის ორმოცმა წელმა გაიარა.

ყაზბეგს სიცოცხლეში არც კი ღირსებია თავისი თხზულებათა კრებულის ხილვა.

ასეთი სრულიად ღირსეული დაფასება ახალგაზრდა მწერლისა, ამტკიცებს ჩვენი საზოგადოების გონების ზრდასაც.

პირველი წიგნი შ. არაგვისპირელის თხზულებისა, თუმც არ არის თაიგული საუკეთესო მისი ნაწერებისა, მაგრამ ნაწერების ქრონოლოგიასაც აკმაყოფილებს და შ. არაგვისპირელის ნიჭის განვითარების პირველი ხანის დამახასიათებელიც არის.

შ. არაგვისპირელი ამ მოთხრობებში ჯერ კიდევ თავის მოწინავე მწერლების გავლენის ქვეშაა. იგი მისდევს ს. მგალობლიშვილისა და ეკ. გაბაშვილისაგან გაკვალულ გზას. აგვიწერს გულისმომწყვლელ სურათებს გლეხის ცხოვრებიდან: სიღარიბეს, ვაჭირვებას, სიმშილსა და წყურვილს („ახალ წლის ღამეს“, „სოფლად“) და თანაც, ხანდახან მეტად უშნო ეფექტებსა ხმარობს, რომ მწარე სურათი კიდევ უფრო ჩააშავოს და ჩააბნელოს. მაგალითად, თუ კვდება გლეხი გიგოლა

(„ახალ წლის ღამეს“ და „სოფლად“) უთუოდ „ახალ წლის ღამეს“, რომ ვითომ უფრო დიდი სიბრალული აღძრას ჩვენში. მაგრამ ამავე პირველ წიგნში ნახავთ თქვენ იმის მაგალითებს, რომ შ. არაგვისპირელი სრულიად ახალ გზას იკვალავს თავისი ნაწერებისათვის. მის „ესაა ჩვენი ცხოვრება“ აღწერილ საგანს უფრო სხვა მხრით ეხება და უფრო ღრმად იხედება მოვლენაში. მართალია, აქაც გლეხი კაცის ბეჩავი და უბედური ცხოვრებაა აღწერილი, მაგრამ ამ მოთხრობას საგნად არა აქვს დაგვანახვოს, რომ გლეხი კაცის ცხოვრება მოშხამულია და მოწამლული, რომ იგი გათელილია ყველასაგან და მიწასთან გასწორებული, რომ მისი სიცოცხლე და ბედნიერება ჩირადაც არ მიაჩნიათ ბრწყინვალე ეტლით მოგზაურებს და მათ მცველ შეიარაღებულ ჩაფრებს. ეს უკვე ვიცით და ვიცოდით, თუმცა არაგვისპირელს თავისებურად და ნიჭიერადაც აქვს დახატული ეს სურათი. მაგრამ ახალი ის შეიტანა ამ სურათში, რომ „გულდაღმა გაშხლართულ, საფეთქელ გახეთქილ სიმნოს“ უბედურების მოწმედ მთვარე გახადა, რომელიც „გულგრილად, შეუბრალებლივ დასცქერის ზემოდან და თითქოს ეუბნება სიმნოს ამხანაგებს: „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა! — რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირ-პირი? მაგ ერთი მღილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება. როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!“

აქ კაცის ცხოვრების მოვლენა ბუნების მთელ მოვლენათა მიმდინარეობაშია ნაჩვენები, როგორც ნაწილი ამ ბუნებისა, რომელიც თუმცა სხვა ნაწილებზე უფრო უმნიშვნელო არაა, არც მათზე დიდმნიშვნელოვანია.

აქ არის ნაჩვენები ის, თუ რა განხეთქილებაა ბუნების სხვადასხვა ელემენტებსა და თვით კაცთა შორისაც. მთვარე „გულგრილად, შეუბრალებლივ“ დასცქერის საწყალ სიმნოს, იმ სიმნოს, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა მისმა ძმამ — ადამიანმა.

ამგვარი დასურათება მოვლენისა, ცხოვრების ამგვარი სიმწარის დანახვა, ჩვენს ლიტერატურაში ახალი რამ იყო, რასაც უნდა მიექცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, მით უმეტეს, რომ იგი ახალი ნიჭიერის მწერლის მადლიანი კალმით იყო გამოხატული.

აიღეთ მეორე მოთხრობა შ. არაგვისპირელისა „ჩემო შვინდავ!“, და იქაც იმასვე ნახავთ. არაგვისპირელი საგანს ჩვენი ლიტერატურისათვის არაჩვეულებრივი გზით მიუდგება და სურათის სრულიად სხვა სანახაობას დაგვანახვებს. თუ აქამდე გლეხთა ცხოვრების გარეგან მოვლენებს გვაჩვენებდა ჩვენი ლიტერატურა, მან გლეხ-კაცთა სულის დასურათებას მიჰყო ხელი, მისი მცირე დარდი და პატარა სევდა დაგვანახვა. დაგვიხატა მათი ცხოვრების უმნიშვნელო და საცოდავი მისწრაფება, მათი სულისკვეთების ბეჩაობა. აბა დაუკვირდით გლეხის ბიჭს სოსოს, რანაირად სწუხს და ჰგოდებს თავისი ხარის „შვინდას“ დაკარგვის გამო და რა ბედნიერებას და სიხარულს იგრძნობს, როცა ნახავს დაკარგულ „შვინდას“. ასეთი ტანჯვა რომ გამოსცადოს დღევანდელმა განათლებულმა კაცმა, მთელი საცხოვრებლის დაკარგვაც კი არა კმარა და ასეთი აღტაცება მისთვის ხომ წარმოუდგენელია. შესაძლოა ეს სიმრთელეც იყოს, რომელიც ნორმალური აგებულების პატრონს სჩვევია, მაგრამ ჩვენი მოღალულისა და ქანცგაწყვეტილი საზოგადოებისათვის ასეთი მოვლენა გაუგებარია და ღიმის მომგვრელი. ჩვენთვის ასეთი მწუხარება და სიხარული ასეთი მცირე შემთხვევის გამო მაჩვენებელია გრძნობისა და გონების... სისაწყლისა. ამ თვალებით უყურებს არაგვისპირელი სოსოსაც. ერთის მხრით, გატაცებულია პოეზიით, რომლითაც არის აღსავსე მისგან აღწერილი მარტივი მოვლენა და თანაც, მეორეს მხრით, ირონიულ ღიმილს ვერ იკავებს, დაგვანახვებს რა იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს საგანსა და მისგან აღძრულ სევდასა და მხიარულებას შორის.

ეს ორი მოთხრობა შ. არაგვისპირელისა („ესაა ჩვენი ცხოვრება“ და „ჩემო შვინდავ“) მთელი მისი ლიტერატურული ნიჭის განმსაზღვრელია. ამ ორ მოთხრობაშია აღნიშნული ყველა ის თვისება, რომელიც არსებით მხარეს შეადგენს ახალგაზრდა ავტორის ნიჭისას.

პირველი თვისება შ. არაგვისპირელის ნიჭისა არის ღრმა და უსასო პესიმიზმი. იმის ნაწარმოების მიხედვით, ჩვენი ცხოვრება არის შემდგარი სრულიად მოულოდნელი და უფერული შემთხვევებისაგან; ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია უაზრო და უმნიშვნელო მოვლენაზე. ჩვენს უბედურებას არსად თანამგრძნობი არა ჰყავს, და ის ბუნება, რომელიც რომანტიულ მწერალთათვის „გულდახურულთა მეგობარი“ იყო, ნამდვილად „გულგრილი და შეუბრალებელი“ მაყურებელია კაცთა ცხოვრების უბედურებისა და უშინაარსობისა;

კაცობრიობის უმეტესი ნაწილის გრძნობა, სევდა და ვარამი, სიხარული და სიცილი წარმოშობილია სრულიად საცოდავი, საბრალო და ფუჭი საგნისაგან.

მეორე ხასიათი შ. არაგვისპირელის მწერლობისა შედეგია ჩვენი ლიტერატურის მსვლელობისა. მისი ნაწარმოებნი არიან შემაერთებელი ორი დიდი ლიტერატურული სკოლის ელემენტებისა. მისი თხზულებები არიან რომანტიული და რეალური სკოლის ზეგავლენის ქვეშ აღმოცენილნი. რომანტიული მანერა შ. არაგვისპირელისა იმაში იხატება, რომ იგი როდი რჩება უდარდელ და გულგრილ მაყურებლად იმ საგნისა და მოვლენის შესახებ, რომელსაც აგიწერს. მას იგი აღშფოთებაში მოჰყავს („ესაა ჩვენი ცხოვრება"), ანდა მწარე და ნაზ ირონიას აღძრავს მასში („ჩემო შვინდავ"). ეს მისი გრძნობა ან ნათლად არის გამოხატული, ანდა დაფარულია თვით სტილში, ენაში, ნაწერის კილოში. ამიტომაც არის, რომ თუმც შ. არაგვისპირელი გულისგამგმირავ სურათებს გვიხატავს კაცთა გათახსირებისა და გარყვნილებისას, მაგრამ მისი ნაწარმოები ყოველთვის მაღალზნეობრივი ქმნილებაა, მეტად კეთილშობილი გრძნობების აღმძვრელი. რომანტიკოსია შ. არაგვისპირელი იმითაც, რომ ხშირად კაცის გაპირუტყვებისა და გაბოროტების მიზეზად საზოგადოებასა სახავს და კაცის პირად ღირსებას უმაღლესად აყენებს საზოგადოების უგნურ და დესპოტურ მოთხოვნილებაზე[1]. თვით ამ კრებულში არის ორი ამნაირი შინაარსის მოთხრობა. „აბრეშუმის ცხვირსახოცი" და „მომილოცნია ახალი წელი" ტიპიური რომანტიული თხზულებებია, ჯერ ერთი, თვით გმირი ამ ორი ეტიუდისა ჩვეულებრივი რომანტიული გმირია — ზნედაცემული დედაკაცი, რომლის გარყვნილების ბრალი სრულიად საზოგადოებას ედება. ბუნებით პატიოსანი და კეთილშობილი არსება საზოგადოების უდარდელობამ და უზრუნველობამ, საზოგადოებისგან შექმნილმა პირობებმა მიიყვანეს ამ დაცემამდე, ერთი მათგანი, უფრო ნაზი და საბრალო, თავს იწამლავს და ამით შეინანიებს უნებლიეთ ცოდვას („აბრეშუმის ცხვირსახოცი"), ხოლო მეორე გაშმაგებულია ბედზე, რომელმაც იმ „მდგომარეობამდის მიაღწევია, რომ ერთადერთი ცხოვრების სახსარიც, მოძრაობაც კი

[1] „ბალღი ყოფილხარ", „მხრებიღა ავიჩეჩე", „ხითხითებს და ხითხითებს". ეს მოთხრობები შ. არაგვისპირელის ლიტერატურული მოღვაწეობის შემდეგ ხანას ეკუთვნიან.

მოუსპო“, და გააფთრებული და გულდათუთქულია იმ საზოგადოებისაგან, რომლის „მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს“, რომელმაც „მისი გულწრფელი გრძნობა, მისი წმინდათა-წმინდა უსინდისოდ შეულახა, მიწასთან გაასწორა, ტალახით შეუთხუპნა და იქამდე მიიყვანა, რომ თავის ხორცს ყიდვა დაუწყო“. აღელვებული დედა-კაცი უკანასკნელ ღონეს მოიკრებს და, როცა ზედა სართულიდან მტანჯველ ადამიანთა მხიარულების ხმა ჩამოესმება ახალი წლის მიგებების გამო, „გიჟივით ეზოში გავარდება. საჩქაროდ ნავთს მიასხ-მოასხამს იმ კარებთან და ფანჯრებთან, საიდგანაც მხიარულება მოისმოდა“. ცეცხლს წაუკიდებს და შესძახებს—„ხა, ხა, ხა! მომილოცნია ახალი წელიო“. ეს ეტიუდი ერთი საუკეთესოთაგანია იმ ძლიერი გრძნობით, რომლითაც იგი აღსავსეა და იმ ღრმა აზრით, რომელიც შიგ არის გატარებული, იმ ხელოვნური შემოქმედებით, რომლითაც იგი აღბეჭდილია. მუდმივი უთანხმოება პირადობასა და საზოგადოებას შორის, მათ შორის სრული ანტაგონიზმი, საზოგადოების ცრუ მზრუნველობა, რომელიც მხოლოდ ხორცისა და სულის დამატყვევებელ ბორკილებში იხატება... ეს ერთი იმ უმთავრეს საგანთაგანია, რომელიც ჩვენს მწერალს აშფოთებს და აღელვებს.

რეალისტური მანერა შ. არაგვისპირელისა იმაში სჩანს, რომ საგნად თავისი ნაწარმოებისა იღებს უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენას. უმეტეს ნაწილად მისი ნაწარმოების გმირნი წარმომადგენელნი არიან საბრალო, უფერული სინამდვილისა. ეს მეურმეები („ესაა ჩვენი ცხოვრება“), ეს გლეხის ბიჭი („ჩემო შვინდავ“), მთელი ეს შემთხვევა, ყოველდღიური, თითქმის ყოველწუთიერი მოვლენაა, სრულიად არავითარი არაა მათში საოცარი, მოულოდნელი და არც ისეთი რამ ნამდვილი, რომელიც იშვიათად შეგხვდებათ ცხოვრებაში. რეალისტია შ. არაგვისპირელი, და უფრო კიდევ ნატურალისტური სკოლის მწერალი, თავისი შეხედულებით კაცის ადგილზე ბუნებაში, — კაცთა და ბუნებასა და კაცს შორის დამოკიდებულებაზე; ნატურალისტია იმით, რომ თავისი აზრების საგნად ირჩევს თვით უსაძაგლეს და უსაზიზღრეს მოვლენებს, და ამგვარად გვაცნობს თავის მწარე შეხედულებას კაცის ცხოვრებაზე. ის წინაღუდგა და ფეხქვეშ გასრისა ყოველივე ის, რასაც რომანტიკოსი და იდეალისტი თაყვანსა სცემდა. სიყვარული, მეგობრობა, პატიოსან საზოგადოებასა და კერძო პირს შორის, რაიმე კეთილი განწყობილება ბუნებასა და კაცს

შორის, კაცსა და პირუტყვს შორის[1], ამ გარყვნილ, ბინძურ ქვეყანაში არის ერთადერთი ნამდვილი მოვლენა, რომელიც იხატება საუკუნო და დაუსრულებელ, შეუბრალებელ ბრძოლაში ერთიმეორესთან; მთელი ცხოვრება ქვეყანაზე, მსოფლიოზე, მარტო ომი, ჭიდილი და მეტოქეობაა, რომლის აზრი და საგანი მხოლოდ ისაა, რომ ერთმა მეორე გაჭყლიტოს და გასრისოს, და რომლის გვირგვინით მოსილი ბოლო „სისულელეა".

შიო არაგვისპირელის განსხვავება ორი აღნიშნული ლიტერატურული სკოლიდან იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ყურადღებას აქცევს ფსიქოლოგიას, ადამიანთა სულის მოძრაობას, სულის მღელვარებას და სევდას, ფიქრს და მისწრაფებას. პატარა ნაწყვეტებში იგი იძლევა ხშირად ღრმა ფსიქოლოგიურ ეტიუდებს, რომლის ჩინებული მაგალითები ამ პირველ წიგნშიც არის („ჩემო შვინდავ" „მომილოცნია ახალი წელი"). გარდა ამისა, შიო არაგვისპირელი პოეტიც არის, მისი აღწერა ბუნებისა და კაცის დამოკიდებულებისა, ბუნების სურათების მომხიბვლელი მოქმედებისა კაცზე ლირიზმით აღსავსეა და ა. ყაზბეგს გაგახსენებთ. აბა წაიკითხეთ ზოგიერთი ადგილი „ესაა ჩვენი ცხოვრებიდან", „გიულიდან" და დამეთანხმებით, რომ ჩვენ მართალი ვართ.

შიო არაგვისპირელის უკანასკნელი მოთხრობა „გიული" კი შედევრია ამ ჟანრისა, საუცხოო ნაწარმოებია პოეზიითა და ლირიზმით აღსავსე. ცხოვრება, რომელიც ავტორმა ამ მოთხრობაში დაგვისურათა, სავსებით გვაჩვენებს ავტორის პოეტურ ნიჭს, განსვენებული ალ. ყაზბეგის ზეგავლენის ქვეშ გაზრდილსა და განვითარებულს. აქვე სჩანს ის ერთი ნაკლი არაგვისპირელისა, რომელზეც ჩვენ ბევრჯერ მიგვითითებია და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საზიზღარი სინამდვილის აღწერა ხანდახან უაზროდ იტაცებს და სრულიად უადგილოდ ჩაჩხირებს ხოლმე ამგვარ სურათებს. „გიულში" რომ ასეთი ადგილი არ იყოს, სწორედ მშვენიერი მაგალითი იქნებოდა მაღალი პოეტური ნაწარმოებისა.

ჩვენ იმას ვერ დავუშლით შ. არაგვისპირელს, რომ ცხოვრების უმსგავსო სურათებიც გვიჩვენოს და ჩვენს ლიტერატურულ პირმოთნე მანჭიობას გვერდი აუქციოს. მაგრამ ყოველივეს აქვს თავისი

---

[1] „მხრები-ღა ავიჩეჩე", „ბალღი ყოფილხარ", „ღირსი ვარ ამისი", „ესაა ჩვენი ცხოვრება".

ადგილი. შეიძლება ზემოთ აღნიშნულ სურათს სხვაგან ექნებოდა თავისი ადგილი, თავისი raison d'être-ი, მაგრამ აქ კი სრულიად უადგილოა, შეუხამებელია და ძით უფრო ცუდ შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველებში.

შიო არაგვისპირელი საზოგადოდ ლიტერატურის ახალი მიმართულების გამომხატველია. მის თხზულებებში გატარებულია ის აზრები და გრძნობები, რომლებიც აღელვებს თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას. შ. არაგვისპირელი მშვენივრად გაგრძნობინებს თანამედროვე უსასოებასა და ურწმუნოებას: წყევლითა და კრულვით ეპყრობა ეხლანდელი გათახსირებული და გარყვნილი საზოგადოების ზნე-ჩვეულებას, მის ფარისევლურ პრინციპებს; მწარე და ნაღვლიან ირონიას. და სასტიკი კალმის ქვეშა ჰყავს გატარებული ყოველი მოვლენა, რომელიც კი მის ნიჭს ცხოვრებაში აღუნიშნავს და ამით იგი საყვარელი მწერალია ახალი თაობისა. თუმცა ამ ახალთაობის ავადმყოფი სულის და ამ შფოთვა-ვაების დასურათება ჯერჯერობით არ ეხერხება, შეიძლება იმიტომაც, რომ ეს საგანი მეტად ახლოა და მეტად დაკავშირებული მასთან. მაგრამ მისი ნაწერების აღშფოთებული კილო ყოველივე იმის მიმართ, რაც შეადგენს დღევანდელი ცხოვრების საზიზღარ მხარეს, მისი სისასტიკე სიბინძურის, პირფერობისა და ყოველგვარი ღალატისა და ფლიდობის შესახებ, მისი მწარე კილო, ხანდახან ირონიით შეზავებული, მისი ცოდნა ადამიანის სულის მიმალული კუნჭულებისა და მისი ლირიზმით აღსავსე აღწერილობა ბუნებისა და ველური ცხოვრებისა შ. არაგვისპირელს ქმნის მჭმუნვარებით აღბეჭდილ ახალგაზრდა მწერლად, რომელსაც ბედმა არგუნა ჩვენ მწერლობაში ახალი ხანის დაწყება. შ. არაგვისპირელი ახალგაზრდა მწერალთა შორის ყველაზე უფრო ღრმა ფსიქოლოგია და ყველაზე უფრო სერიოზული მორალისტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ადამიანის სულიერ ცხოვრების მოვლენას იგი ნესტრით ჰკვეთავს, ანაწილებს და, რაკი დაინახავს გულისამრევ მოვლენას, ზიზღსა და აღშფოთებას გადმოანთხევს უმსგავსოების წინააღმდეგ. ყოველივე ფრაზაში, ყოველივე სიტყვაში იხატება ეს მისი აღშფოთება, ეს მისი უკმაყოფილება დღევანდელი ცხოვრებით, რაც საპატიო ადგილს აძლევს საუკეთესო მომავლის ერთ-ერთ მომქმედ ნიჭიერ არსებათა შორის.

ის ვინც ძირს უთხრის დღევანდელობის გარყვნილებასა და გათახსირებას, გზას უკაფავს კაცობრიობის ძლევამოსილ მომავალს.

18. თეატრის მატიანე

(„ბედი მუხთალია“, სცენები 5 მოქმედებად, ეკ. გაბაშვილისა; „სამოცი წლის აშიყი“, ვოდევილი 1 მოქმედებად, ელ. ჩერქეზიშვილისა).

ხუთშაბათს დანიშნულ საბენეფისო წარმოდგენაზე წასვლის წინ, ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „რომანი დიდხევაში“ წავიკითხე, რადგანაც ამ მოთხრობიდან ამოიღო ავტორმა თავისი ახალი პიესა „ბედი მუხთალია“. მართალი მოგახსენოთ, საზოგადოდ რომანის ან მოთხრობის დრამად გადაკეთება იშვიათად ხერხდება, იშვიათად გამოდის კარგი დრამა ძალიან კარგი მოთხრობიდან და, მართლაც, თუ მივიღებთ მხედველობაში სხვადასხვა ტექნიკურ მხარეს მოთხრობისა და დრამისას, მაშინ ეს აღარ გაგვიკვირდება. „რომანი დიდხევაში“-კი სწორედ ისეთ ნაწარმოებთ ეკუთვნის, რომელიც ჩინებულია მოთხრობად და სუსტი გამოვა, თუ დრამად გადააკეთე. „რომანი დიდხევაში“-ს დრამა იმაში მდგომარეობს, რომ ორ შეყვარებულ არსებათ ერთმანეთთან კანონიერად შეკავშირებას უშლის მღვდელი, რომელსაც ეგზარხოსისაგან განკარგულება მოსვლია—თვალ-ყური ადევნე, ნათესავებმა არ შეირთონ ერთმანეთიო! ახალი განკარგულებით დაშინებული მღვდელი პავლესა და მაროსაც (შეყვარებულთა სახელებია) არ აძლევს ნებას ჯვარის დაწერისას, მაშინ როდესაც არავითარი ნათესავობა მათ შორის არ არსებობს, არამედ ძალიან შორეული მძახლები არიან. პავლია ბევრსა ცდილობს, ტფილისში ჩადის, ეხვეწება და ემუდარება ყველას, მაგრამ ვერას გახდება. მე ვამბობ, რომ თუ მოთხრობისათვის ეს შინაარსი საკმაოდ დრამატიულია, სამაგიეროდ დრამისათვის აღარ ვარგა... როცა დრამაში სიკვდილ სიცოცხლეზეა საქმე, კაცთა უაღრეს და უდიდეს გრძნობათა ბრძოლაა ატეხილი და ამ ბრძოლის მსხვერპლნი ხდებიან უმთავრესი გმირები, ასეთი პატარა მიზეზი კი დრამის მაყურებელს, და თუნდა მკითხველს, ვერ აკმაყოფილებს, რადგან მიზეზი ძლიერ პატარაა და არ შეესაბამება დრამატიული მოქმედების სიძლიერეს. აბა რა წარმოსადგენია, რომ ეხლანდელ დროში ტფილისში ნამყოფმა ბიჭმა, რომელსაც ორი

გროში მაინც მოეძევება (პავლეს კი სამასი მანეთი ჰქონდა ჯიბეში), ვერ მოახერხოს სინოდის კანტორაში შესვლა და სასულიერო მთავრობასთან თხოვნის გაგზავნა, როცა ტფილისში ათასობით მოიპოვება „არზების“ ორ-ორ მანეთად დამწერი.

ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა მეტად კარგად მოიქცა, როცა თავისი სცენების შინაარსი შესცვალა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს შეცვლა თანდათანობით ვერ გაატარა ბოლომდე.

ოსტატ ტასიას (ელ. ჩერქეზიშვილისა) შვილი პავლია (მსახიობი მჭედლიშვილი) ტფილისიდან ახალი ჩამოსულია. იქ თავის ახალგაზრდა ბატონთან იყო, და რადგან იგი რუსეთს უნივერსიტეტში წავიდა, პავლია დედასთან დაბრუნდა. აქ ნახავს სოსიკას (მსახიობი გამყრელიძე) ასულს მაროს (მსახიობი კარგარელისა) და შეიყვარებს. მამაც დათანხმდება ამ ქორწილს, მღვდელიც პირობას მისცემს, მაგრამ მოურავი ივანიკა (მსახიობი ადამიძე) „მუხთალ ბედს“ მთელი სოფლის სულის ამომხდელად გაუჩენია. ეს მოურავი ტყავს აძრობს მთელ სოფელს, სულსა ჰხდის, რათა კნეინა-ბატონს ას-ას მანეთიანები გაუგზავნოს ტფილისში და არც თავისი გაუმაძღარი და ხარბი ჯიბე დაივიწყოს. პირველ მოქმედებაშივე ვხედავთ, რა გამწარებულნი არიან გლეხები, რა თავგანწირულებამდე მისულან ისინი, გადაწყვეტილი აქვთ, მოვკლავთ და მერე თუნდ ციმბირში გაგვგზავნონ, არას დავდევთო. ასეთი გამწარება სოფლისა პავლეს გულს აუდუღებს და პირველი ნახვისთანავე შეებრძოლება მოურავს. მოურავიც, რასაკვირველია, ახალგაზრდა ბიჭის თავხედობას არ დაივიწყებს და საშინლად იძიებს შურს. მღვდელს მოიქრთამავს და მღვდელიც განაცხადებს, ნათესავია, ჯვარს არ დავწერო. პავლია ამ დროს სამუშაოდ სხვაგან არის წასული; სანამ ის მოვიდოდეს, სოსიკა დაჩქარებს ქალის გათხოვებას, მით უმეტეს, რომ მისი ორსულობა გაიგო; პავლიას ჩამოსვლის დღეს ქორწილია დანიშნული. ეს პავლეზე ისე მოქმედებს, რომ ჭკუაზე შეცდომასთან ახლოს არის. გავარდება მოურავის მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს მაროს დაინახავს წყალზე მიმავალს და იმას ჩასცემს სატევარს. ავტორმა ამ შემთხვევის მიზეზად მოთხრობაში ეგზარხოსის „ახალი ბრძანება“ დასახა, დრამაში კი — მოურავის შურისძიება და გაიძვერობა, და ამით სინამდვილესაც უფრო დაუახლოვა ამბავი და დრამატიზმითაც ბევრი მოიკო არაკმა.

საუკეთესო ადგილს დრამისას წარმოადგენს უტყუარი და ნამდვილი სურათი ვითომდა განთავისუფლებულ გლეხთა ცხოვრებისა.

აღვირწახსნილი სურვილი „ცრუ ცივილიზაციის“ ცუდი მხარეების შემთვისებელი „ბატონისა“ თხოულობს „ნაყმევთა“ ტყავის გაძრობას და იმ ზომამდე მიჰყავს ეს „ნაყმევნი“, რომ თავს ჩალად აღარ აფასებენ, გადაწყვეტილი აქვთ სიკვდილი მტარვალისა და თავისი თავის დაღუპვაც. მოურავი „ბატონთა“ სასიამოვნოდ, მათი სურვილების აღმასრულებელი თავისდა სასარგებლოდ, რასაკვირველია, რას დასდევს: ერთს სახლი დაუნგრია, როცა ძმის ქორწილს აპირებდა, მეორეს უკანასკნელ საქონელს უყიდის, მესამეს საცოლეს ართმევს, რომ ლამაზი ქალი ხელში ჩაიგდოს, მით უფრო, რომ ამ ლამაზი ქალის მოპოვებით თავის ძლიერებას დაამტკიცებს, გლეხებს შიშის ზარს დასცემს და მათ შემგხებსა და შემბრალე პავლიას დაამარცხებს. თუ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა კოჭლობს იმით, რომ დრამატიული მხარე არ არის გადაბმული მთელი სოფლის ამგვარ მდგომარეობასთან, სამაგიეროდ თავის სცენებში ავტორი ასცდა ამ ნაკლულევანებას; მაგრამ მოთხრობამ მაინც იქონია გავლენა, რაც იმაშიც სჩანს, რომ დრამატიული ბრძოლა სუსტი გამოდგა, სუსტი იმიტომ, რომ მთელი შინაარსი ამ პიესისა გამოიხატება მოურავისა და პავლიას ბრძოლაში. მოურავი წარმოდგენილია როგორც გარყვნილი და გათახსირებული პირუტყვი, რომელსაც ხელში აქვს ბატონის ნდობა, და ამ ნდობით მოპოვებული უფლებით სულს აძრობს სოფელს. მეორეს მხრივ, პავლია, სოფლის ბიჭი, ტფილისში ნამყოფი, ცოტა არ იყოს დარდიმანდი, მოხერხებული და მარჯვე, სოფლის წარმომადგენელია, რომელსაც მოურავი სულსა ჰხდის. ამ ორთა შორის ატეხილი ბრძოლა უნდა იყოს თანდათანობითა და სიმტკიცით გატარებული მთელ დრამაში. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და მხოლოდ გაკვრით არის აღნიშნული ეს ბრძოლა. სწორედ ამიტომაც მოხდა ის, რომ პირველი სამი მოქმედება პიესისა ყველას მოეწონა და უკანასკნელმა კი თითქო ამ კარგ გავლენას ფრთები შეაკვეცა, საზოგადოება სახტად დარჩა და არ იცოდა, გათავდა თუ არა პიესა. არც შეიძლება ამ პიესას დრამატული პიესის თვალით შევხედოთ და ამით სასტიკად მოვექცეთ, რადგან თვით ავტორმა სცენები დაარქვა და წინდაწინვე გაგვაგებინა, რომ დრამის დაწერა სახეში არა-მქონდაო. მართლაც, სცენები მეტად ლამაზი და კარგია, ავტორის ჩვეულებრივი ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილი, მაგრამ არ არის შიგ დაცული დრამატიული მოქმედება, დრამატიული ერთიანობა და თანდათანობა. თუ ავტორი კიდევ გადაამუშავებს ამ პიესას, შესაძლებელია საკმაოდ კარ-

გი დრამა გამოვიდეს. ეხლა კი ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა მაინც მადლობის ღირსია, რომ პირველად ჩვენს სცენაზე ხალხის ცხოვრებიდან დაგვანახვა პიესა. მეტად კარგადა აქვს დასურათებული ოსტატი ტასია და გლეხი სოსიკა, არ არის ცუდი პავლიაც, რომლის როლიც დიდი გრძნობითა და გატაცებით აღასრულა მსახიობმა მჭედლიშვილმა. სასიამოვნოდ გვეჩვენა, რომ ამ საღამოს ეს ახალი ნიჭიერი არტისტი შევნიშნეთ ჩვენს დრამატიულ დასში. კარგი იყო, რასაკვირველია, თვით მობენეფისე; საუცხოვოდ აღასრულა ბ-ნმა გამყრელიძემ გულუბრყვილო, ცოტა არ იყოს გულცივი და თან ხანდახან სასტიკი და ჟინიანი ქართველი გლეხი. კარგარელიც ჩინებული აღმასრულებელი იქნებოდა მაროს როლისა, რომ ბოლოს არ გაეფუჭებინა — მეტად გულცივად და გულგრილად მიიღო ის ამბავი, რომ სხვაზე ათხოვებდნენ და არა პავლიაზე. საზოგადოდ, პიესა ძალიან მწყობრად და კარგად აღასრულეს.

საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა და ვაშა-ვაშას ძახილით გამოიწვია რამდენჯერმე ავტორი პიესისა.

რაც შეეხება ვოდევილს, იგი ძლიერ სუსტი იყო, თუმცა მობენეფისემ კარგად გამოიყენა იგი და მისი შემწეობით თავისი ნიჭი სავსებით დაგვანახვა. საზოგადოება მრავალი დაესწრო და, ამ მხრივაც, ხუთშაბათის წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით საუკეთესოდ ამ სეზონში.

10. ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი

„მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა ღუღუნ-ჩუხჩუხით, ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ საწოლში... ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი. ის არის გამაცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი, ედემად მქცევი გამხმარ, შავ დედამიწის გულისა, დედამიწის ძალ-ღონისა და შიგ დამარხულ სიმდიდრის ძარღვის გამხსნელი; მიყვარს, იმიტომ რომ ნაკადულს, ტკბილს მოღუღუნეს, ვერცხლებ ბრჭყინვალეს და დედოფლურად, ტურფად მოკაზმულს, ძალუძს ააყვავილოს მიდამო და ბუნებას, მკვდარს და უფერულს, სული ჩაუდგას“.

ამ სიტყვებით იწყება ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი. ჩვენ განგებ ამოვიწერეთ ეს სიტყვები, რომ ავტორის კალამივე ვიხმაროთ იმ გრძნობის დასახატავად, რომელსაც ბადებს მკითხველში საზოგადოდ მისი ნაწარმოებნი. სწორედ საყვარელია ამ ნიჭიერი მწერლის თხზულებანი იმიტომ, რომ „ტკბილი და მოღუღუნეა“, „სიცოცხლის მომასწავებელია“, „გამაცოცხლებელი“ და „სულის ჩამდგმელი“, ედემად მქცევი ადამიანის გამხმარი გულისა, ადამიანის გულის ძალ-ღონის და შიგ „დამარხულ სიმდიდრის“ მაჩვენებელი და დამასურათებელია; იმიტომ რომ ავტორის კეთილშობილი სული ყოველთვის იმასა ცდილა, და შესძლებია კიდევაც, „აეყვავილებია დამჭკნარი“ სული ადამიანისა, „მკვდარისა და უფერულის ღვთის შვილისათვის მართლა და ადამიანური სული ჩაედგა“. სხვას დაეხსენით და თვით ეს კრებული მოთხრობათა გადაათვალიერეთ და აქვე ნახავთ მრავალ მაგალითს ავტორის ცხოველმყოფელი გულისა და სულისას. მისმა ფხიზელმა, ლმობიერებით აღსავსე და კეთილშობილებით დაგვირგვინებულმა ნიჭმა სად არ მიაგნო ადამიანობასა და სულის სიძლიერეს... ვისაც კი შეეხო მისი კეთილმოსურნე ხელი, ყველა გააადამიანა, ყველას ღვთაებრივი სული ჩაჰბერა; აბა შეხედეთ ამ ასასს, თავისი სამშობლოდან ძალაუნებურად გადმოხვეწილს, რომელსაც ოჯახის ნაცვლად ქუჩის გაყინული ქვაფენილი აქვს, ცოლ-შვილის ალერსის სამაგიეროდ — ტფილისის ცივი ქარი,

ოთახის თბილი ჭერის მაგიერობას დაფლეთილი მაზარა უწევს და ძლივს ჰფარავს ძონძებით შემოსილ მის სხეულს! შეხედეთმეთქი და მითხარით, განა შეიძლება ამ მდგომარეობაში ჩაყენებულმა კაცმა იწამოს კიდევ ცხოვრება და კაცი? განა ნება გვაქვს კაცთა სიმხეცისა და პირუტყვობის მსხვერპლად შექმნილ გეურქა-კროს რაიმე ადამიანური მოვსთხოვოთ? წაიკითხეთ ეკ. გაბაშვილის „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ-წელიწადს“ და იქ ნახავთ, რომ ნიჭიერსა და გრძნობამდიდარ ავტორს, სწორედ აქაც, ამ უბედურ არსებაშიაც მიუგნია მაღალსულოვნობა, ადამიანური ლმობიერება და გულთბილობა; ავტორს ორი ღვთისა და კაცისაგან მოძულებული სვიმონიკა და გეურქა-კრო ერთმანეთისათვის შეუხვედრებია. ძალაუნებურად, ერთმანეთის დაუკითხავად და ნებადაურთველად ამ ორ უბედურს, ამ ორ უსახლკაროსა და უოჯახოს ერთმანეთი მიუგნიათ, ერთმანეთისათვის მამაშვილობა გაუწევიათ, ერთმანეთისათვის თავ-თავიანთი ხვედრისა და ბედის სისასტიკე შეუმსუბუქებიათ. სვიმონიკა მძინარე ასას გეურქას ლოგინთან მიწვა. იანვრის ყინვისაგან გამწარებული ლეკვივით წმუკუნებდა, „იმის კბილებს კანკალისაგან წაკა-წუკი გაუდიოდა და თანაც უფრო და უფრო იკუნტებოდა და ასასის ლოგინს ეკვროდა“... გეურქა კი სიზმარში „თავის არშაკასა ჰხედავდა. ჰხედავდა რომ იმის პირმშო შვილს დაფხრეწილი ტანისამოსი აცვია, ფეხშიშველი, უქუდოდ თოვლზე კანკალებს და ხელები გაიწოდა, რომ თავისი საყვარელი გულში მიეკრა და მშობლიური მხურვალებით გაეთბო. ნელ-ნელა მისწია მამამ სხვისი შვილი თავის გულთან, თბილად ამოუკეცა თავისი ქურქი გვერდებში და მხარზედ ხელი გადასდო, ლოყა-ლოყაზედ მიადო და დაშოშმინდა. სვიმონიკაც გათბა, კანკალი შესწყვიტა და ცრემლიანი ლოყები სხვის მშობლის მხურვალე ლოყებზედ შეიშრო“... ვინ იცის, სვიმონიკასაც თავისი ბიძა ივანე ხაბაზი ეგონა....

ამნაირად, ეს ორი არსება, ახალი წლის ღამით, ორივ გარეთ გამოგდებული, ავტორმა ერთად მოათავსა, ისინიც კი მარტო არ დააგდო, ორივ თავიანთი ბედის მაწყევარი ერთმანეთს გადაჰხვია და ასე ტკბილად ჩაძინებულნი შეახვედრა ახალ წელს. აბა დაუკვირდით, რამდენი სიმშვენიერე გვაჩვენა ადამიანის სულისა ამ ორ უბადრუკ სხეულში ავტორმა, და თანაც როგორი მაღალი გრძნობიერებითა და კეთილი გულით დააჯილდოვა ეს კრო, ეს უბედური გადმოხვეწილი მაწანწალა.

ამგვარი სურათები, ჩვენი უკანასკნელი დროის ლიტერატორებში, მხოლოდ ეკატერინე გაბაშვილს შეუძლია მოძებნოს და თავისი ნიჭის შუქი მოაფინოს, მხოლოდ ეკატერინე გაბაშვილის ლმობიერებით აღსავსე მუზას შეუძლია მოძებნოს... მაგრამ მარტო ამაზე როდი შემდგარა ავტორის გულმოწყალება, ავტორის სურვილი „მკვდრისა და გამხმარი გულის“ განცხოველებისა და გაადამიანებისა... აგერ კნეინა თაფლო, რომელიც საახალწლოდ ხილეულობას ყიდულობს, იმის „ნავაჭრი პარკები ჯარივით ჩამომწკრივებულიყო დუქნის დაზგაზე“, მაგრამ ის კიდევ მოუთმენლად დატრიალებდა დუქანში, რომ კიდევ ეპოვნა რამე! ნახეთ მისი გულკეთილობა, როცა დაინახავს აბუჩად აგდებულ გლეხს, რომელიც სამი შაურის „კალფეტსა“ თხოულობს... ნახეთ, რა რიგად დაასაჩუქრებს იმ გლეხს და რა ბედნიერ ახალწლის დღეს დაუყენებს თავისი ინსტინქტიური ქველმოქმედებით. კნეინა თაფლო, როგორც თვით ავტორი გვაცნობს, არის „ცხოვრებისაგან გალაღებული და ბედნიერი დედაკაცი, ყოველთვის კმაყოფილებითა და ფუფუნებით გათამამებული“, რომლისთვისაც ჩაგონებითაც კი არავის ჩაუგონებია არავითარი ფიქრი გაჭირვებულზე, სიტყვითაც არავის გაუგონებია რაიმე კეთილი საქმისა და ადამიანის მოვალეობის შესახებ. ამგვარ ადამიანში კეთილი გულისა და კეთილი მოქმედების მოძებნა მხოლოდ ისევ ეკ. გაბაშვილის ნიჭს შეეძლო. რამდენადაც გეურქა-კროს და სვიმონიკას ურთიერთ თანაგრძნობაში ავტორი ღრმა სინამდვილის ნიადაგზე იდგა და არ ასცილებია, იმდენად აქ ავტორი ამ სინამდვილეს ღალატობს, თუ, რასაკვირველია, სინამდვილედ უნდა ის მივიღოთ, რაც ხშირი მოვლენაა ცხოვრებაში და არა იშვიათი. როგორც იშვიათი მოვლენა, რასაკვირველია, კნ. თაფლო ყოვლად შესაძლებელია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იშვიათია, როგორღაც გვეუცხოება, მაგრამ ეკ. გაბაშვილის ნიჭს თავის დღეში არ დაუდვია აზრად უფერული სინამდვილის აღწერა, თავის დღეში არ გამოუანგარიშებია მოვლენათა რაოდენობა ცხოვრებაში და ამით არ უხელმძღვანელებია. წინააღმდეგ, იგი უფრო იშვიათ მოვლენას იღებს ხოლმე, ისეთს მოვლენას, რომელიც შესაძლებელია და სასურველი, რომ ხშირი იყოს და მუდმივი. ეკ. გაბაშვილის ნიჭი თავის ნაწარმოებთა საგნად ეძიებს ისეთს საგანს, ისეთს მოვლენას, რომელიც უფრო აკმაყოფილებს მის გრძნობიერებას. იგი ცდილობს ყოველ ადამიანში ღვთაებრივი სულის ნაშთი მოიპოვოს, და რამდენადაც ძნელი საპოვნელია ეს ღვთაებრივობა მოვლენაში ან პირადო-

ბაში, იმდენად უფრო იზიდავს იგი მოვლენა და იგი პირადობა ავტორის კეთილშობილ სულს. ავტორმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რეალური საფუძველიც მისცა კნ. თაფლოს გულკეთილობას: „თაფლოს გულში, რაღაც სიმწარემ გაურბინა. ამას თითქო პირად შეურაცხყოფად ეჩვენა, რომ თათარმა ქართველ გლეხს, საწყალ ბეჩავ გლეხს იმგვარი უსამართლობა მიაყენა, რომ ამ უცხო ქვეყნის ხალხმა მის საქციელზე ხარხარი იწყო და უნებლიედ გამოესარჩლა“. ეროვნული ინსტინქტი მართლა რომ ძლიერია ადამიანში და სადაც არა გგონია, იქ ამოჰყოფს თავს, ხშირად ისეთ ადამიანსა და ისეთ შემთხვევაში იჩენს ძალას, რომ განსაცვიფრებლად გრჩებათ, თუ არ მიიღებთ მხედველობაში ძალას მემკვიდრეობით შეძენილი გრძნობისა და მიმართულებისას, რომელსაც ღრმად აქვს კაცის ბუნებაში გადგმული ძირი და ხშირად თვით მომქმედი პირის შეუმჩნევლად ამოძრავებს მას. ყოველ შემთხვევაში, აბა მიბრძანეთ, რომელი ჩვენი მწერალი ეცდებოდა ბაინცა და მაინც კნ. თაფლოში „ბუნებითი კეთილობა მოეძებნა“ და მისი გულის ბუნებით კეთილშობილება ეჩხრიკა და ეძია“. განა ბევრად უფრო ნამდვილი არ იქნებოდა (ხუმრობა გაშვებით), რომ კნ. თაფლოს ცხვირი აეწია ამ „მურტალი“, „ძველ მაზარაში გახვეული გლეხის დანახვაზე“, საჩქაროდ ხილის დუქანი მიეტოვებინა და გზაზე ფილოსოფიური ფიქრისათვის მიეცა თავი? ეს ფილოსოფია იმას უნდა შეხებოდა, თუ რა ბრიყვები არიან ეს ვაუბატონები, რომელნიც სამი შაურის „კალფეტს“ თხოვილობენ იქ, საცა ას-ას მანეთიანები ტრიალებს; ვერ შეუგნიათ, რომ თუ არა გვაქვს, უნდა „მოითმინო“. ეს არის გამაძღართა და უდარდელთა მორალის სასტიკი პრინციპი.

განა უფრო სინამდვილესთან ახლო არ იქნებოდა, რომ მერმე თაფლო, თავის სალონში ნებიერად წამოწოლილი თავის სტუმრებს მოჰყოლოდა ამ უბედური გლეხის „თავხედობის“ ამბავს და მისი სამი შაურის „კალფეტებზედ“ სიცილით ღამე გაეთენებიათ?

ასეთი მოვლენა უფრო ხშირია და სინამდვილესთან უფრო ახლო; ჩვენი დროის „ნატურალისტიც“ უთუოდ ასე მოიქცეოდა, მაგრამ სულ სხვა თვისებისაამეთქი ეკ. გაბაშვილის ნიჭი, რომელიც დაგლეჯილ ფარაჯაშიაც და ბრწყინვალე ქურქშიაც ჰხედავს სულის სიდიადეს და ვერც ხავერდი და ვერც აბრეშუმი ვერ დაუმალავს „ბუნებით სიკეთილესა და კეთილშობილებას“; ადამიანურ გულსა და

სულს იგი ყველგან მიაგნებს — ცხოვრებისაგან გალაღებულთა და ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა შორისაც.

შეადარეთ, თუ გნებავთ, ეკ. გაბაშვილის მოთხრობანი ჩვენი ახალგაზრდა მწერლების მოთხრობათ და ნახავთ, რა დიდი განსხვავებაა არა თუ წერის მანერაში, არამედ თვით იმ გრძნობაში, რომლითაც გაჟღენთილია ესა თუ ის მოთხრობა. აიღეთ ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ და შიო არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“. ორთავ ამ მოთხრობას ერთი და იგივე საგანი აქვს აღებული გლეხთა ცხოვრებიდან. ეკ. გაბაშვილი აგვიწერს ერთი გაღატაკებული ქვრივი დედა-კაცის ცხოვრებას, მისი ოჯახის გაბედნიერებას მომაკვდავი სახედრის პოვნით. ამ სახედარს დიდი მოვლისა და პატრონობის შემდეგ გამოაცოცხლებენ და ეს „ლურჯა“ შეიქნება მათი ცხოვრების ერთადერთი სახსარი. ავტორი დაგვისურათებს მელანას ტანჯვასა და სევდას, როცა პატრონი მიაგნებს ვირს და სასამართლოში უჩივლებს, მერე მთელი ოჯახის აღტაცებასა და სიხარულს, როცა დაბრუნებული მაგდანა წელში გაშლილი, პირ-მოღიმარი, თოკით ხელში „ლურჯას წინ მიუძღვის“. აქ ავტორს იდილიური სურათი აქვს აღწერილი გაღატაკებული, მაგრამ შრომისმოყვარე ოჯახისა. ამგვარ ოჯახს ღმერთიცა სწყალობს, სოფელიც თანაგრძნობით ეკიდება და ასე წარმოიდგინეთ, სოფლის „სუდიებიც“, რომელნიც იშვიათად თუ სიმართლეს ეძებენ და უფრო თავისი „ქეიფის“ დაგვარად იქცევიან, ამ ოჯახის მფარველ მაგდანას აძლევენ მხარს. მართალია, სისაწყლე, სიღატაკე და ბედ-კრულობა სოფლის მუშა ოჯახისა როდი გამოჰპარვია ავტორს, მაგრამ ეს სიმწარე იმით გაგვიქარწყლა, რომ ირგვლივ თანამგრძნობთა გუნდი შემოასია მაგდანასა და მის ოჯახს, და ამით მძიმე ტვირთი შეუმსუბუქა.

ეხლა აიღეთ შიო არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“. ავტორის ყურადღებას არაფერი არ იწვევს ამ მოთხრობაში, გარდა იმ გრძნობებისა, რომელსაც აღძრავს შვინდას დაკარგვა გლეხის შვილში. ავტორი დაგვისურათებს გლეხის შვილის სევდასა და ვარამს მისი შვინდას დაკარგვის გამო. მაგრამ ამ აღწერის ყოველ სტრიქონში რაღაც მწარე ირონია სჩანს. ირონია იმისაგან გამოწვეული, რომ არიან ქვეყანაზე სულიერნი, რომელთაც ასე მცირე რამ აცინებს და ატირებს. აქ ავტორი თითქო დასცინის გლეხის შვილის გრძნობათა სიბეჩავესა და უბადრუკობას. მეტი ავტორს არა აინტერესებს რა, არ ჯ იმას გვიჩვენებს, თუ მეზობლებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი, არც

იმას, თუ სოფლის პოლიცია როგორ მოეკიდა. ამაში კიდევ ის ღრმა თვისება სჩანს, რომელიც ისე ანსხვავებს შ. არაგვისპირელის ნიჭს ეკატერინე გაბაშვილის ნიჭისაგან. მაშინ, როდესაც შ. არაგვისპირელი ფსიქოლოგიურ მომენტს ეტანება და მარტო ეს მომენტი აინტერესებს, რომანიული, მოთხრობითი მხარე სრულიად მიტოვებული აქვს, წინააღმდეგ ეკ. გაბაშვილისა, რომელიც საგნების რომანიულ, მოთხრობით მხარეს აქცევს უდიდეს ყურადღებას და მოქმედ პირთა ფსიქოლოგია, სულის მოძრაობა მხოლოდ გაკვრითა აქვს მოხსენებული.

ასეთივე განსხვავებაა ეკ. გაბაშვილის „თამროს შეხვედრასა“ და შ. არაგვისპირელის „მამას მიწა მივაყარეთ“-ში. ეს ორივე მოთხრობა ხოლერობის დროს ეკუთვნის, მაგრამ თუ შ. არაგვისპირელი გვიხატავს მწარე, გულისმომწყვლელ და ნამდვილ სურათს კაცთა გულქვაობისა და ცინიკური გულგრილობისას პირადი მშვიდობისა და სიმართლის დასაცველად, ეკ. გაბაშვილისა გვიხატავს, რომ ადამიანურ სიბრალულს ამ საერთო შიშის დროში, როცა ყველანი თავზარდაცემული გაურბიან ერთმანეთს და ამ სირბილში ერთმანეთს არ ზოგავენ, ამ დროში ადამიანობა, ლმობიერება და გულკეთილობა ბავშვებს მაინც დარჩებათ. და აი, თამრო მოევლინება მხსნელად ხოლერით ავადმყოფ საბრალო მართას. ამ ბავშვში, იმის პატარა გულში, იღვიძებდა „რაღაც თბილი, სიბრალულითა და სათნოებით სავსე გრძნობა“, და ამ ბავშვის კეთილ მოქმედებას შეასყიდვია ავტორმა ჩვენს თვალში მისი მშობლებისა და მეზობლების გულგრილობისა და პირუტყვული მოქმედების ცოდვები.

ახლა აიღეთ ეკ. გაბაშვილის მეორე მოთხრობა „ღვთის შვილი“. ავტორი გვიმტკიცებს ჩვეულებრივად, რომ ცხოვრების სიმწარე მისთვის დამალული და შეუმჩნეველი არ არის. ამ მოთხრობაში კარგადა სჩანს, რომ ჩვენი გლეხის უმწეო მდგომარეობა, მისი გაჭირვებული ცხოვრების უნუგეშო სურათები ავტორისათვის უცხო არ არის, პირიქით, კარგად ცნობილიც არის. ლექსოს დაბრმავება ყვავილით, მისი დაობლება, მერე მისი ცხოვრება ქალაქში მოჯამაგირის როლში, ყველა ეს სინამდვილის ცოდნით აქვს დახატული ეკ. გაბაშვილისას, მაგრამ ისიც არ გამოპარვია პატივცემულ ავტორს, რომ ღვთის შვილს ამჟამად ბედისაგან განწირულს ხშირად მოეპოვება ადამიანებში თანამგრძნობნი და მოყვარული, და ამგვარი პირი ლექსოს თავის ბიძა გოგიაში აღმოუჩნდება, რომელიც თავგამოდებული მო-

სარჩლე იყო და მფარველი თავისი ბრმა ძმისწულისა. მართალია, ცბიერი ქალაქელი ვაჭარი შეაცდენს გოგიას და მის ძმისწულს მოჯამაგირედ გაამეტებინებს, მაგრამ ბიძას ლექსოს სიყვარული იქაც მისდევს და უპატრონოდ მაინც არსად ჩაჰკლავს და მძიმე ავადმყოფ ლექსოს მოევლინება, გულში ჩაიკრავს და სიყვარულითა და ლმობიერებით აღსავსე გრძნობებით მიმართავს: „ნუ გეშინიან, ჩემო ბიჭუნავ, ყოჩაღად იყავ. ღონე მოიკრიბე და ხვალვე ჩვენ ლამაზ წაბლოვანში წაგიყვან". ამ მოთხრობის შესადარებელი მაგალითი ფრანგული ლიტერატურიდან მოვიყვანოთ და დიდებული მოპასანის მოთხრობა „ბრმა" ავიღოთ (დასტამბულია მის უკანასკნელ მოთხრობათა კრებულში, რომელსაც Le père Milon ეწოდება). მოპასანსაც ბრმის ცხოვრება აქვს აღწერილი და მასაც გლეხის ცხოვრება აქვს აღებული. მაგრამ თავისი ნიჭიერი კალამი და საოცარი დაკვირვებითი ნიჭი იმისთვის მიულევია, რომ დაესურათებინა გაპირუტყვებული და გამხეცებული ადამიანების სურათი. იქ ბრმას ყბაში სცემენ და ეს მთელ სოფელს სათამაშოდ და სასაცილოდ მიაჩნია, მშობლები და ნათესავები ერთ წუთს სახლში არ აყენებენ და ტყვილა მჭამელს კისერში წაკვრით ისტუმრებენ სახლიდან. ამნაირი ტანჯული ცხოვრებაში უბედურია, სანამ შვებას სიკვდილში არა ნახავს, — მას ერთ დღეს გაყინულს ნახავენ თოვლში შარა გზაზე, საცა სამათხოვროდ დასვეს მისმა გულშემატკივარმა ნათესავებმა. უჰ, რა სინამდვილით არის აღწერილი, რა საშინელ შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში! აი, ნამდვილი სურათი ცხოვრებისა და დაჩაგრული და პირუტყვად გადაქცეული წოდებისა, გაგივლით აზრში. მაგრამ ნუთუ მართლა ეს სურათი დიდებული მწერლისა ამდენად ახლოა სინამდვილესთან? დავიჯეროთ, რომ დაბრმავებულ საბრალო ადამიანს, მთელ სოფელში, მთელ ნათესაობაში ერთი შემბრალებელი და თანამგრძნობი არ აღმოუჩნდეს? დავიჯეროთ, რომ ლუკმა-პურზე ზრუნვა იმდენად დიდი იყოს, თუნდ ფრანგი გლეხის ცხოვრებაში, რომ მასში მომსპარიყო ყოველივე ადამიანური გრძნობა სიბრალულისა და შეწყნარებისა? არა, არა მგონი ეს ნამდვილი იყოს! გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენი მწერალი ქალი უფრო ნამდვილ სურათს გვიხატავს თავის მოთხრობაში. იქ არც ის არის დამალული, რომ „მისი უსაქმურობა ოჯახს, რასაკვირველია, თვალში ეჩხირებოდა, მაგრამ ხმამაღლა კი საყვედურს ვერავინ ეუბნებოდა, უფროსი ბიძა გოგია ყოველთვის მისი მოსარჩლე იყო". ისიცა სჩანს, რომ გარეშენი სა-

ძასხროდ და სათამაშოდ გაიხდიდნენ ღვთისაგან განწირულ ადამიანს, რომ ისეთი მფარველი ბიძა არ აღმოსჩენოდა, რომელიც „ღვთის შვილის წყენას არავის დაუთმობდა“. ისიც აღწერილია, თუ ცბიერი და ხარბი ვაჭარი როგორ სარგებლობს მისი სიბრმავით და ტანჯვა-წვალებას აყენებს, როცა კარი-კარ დაატარებს და სხვადასხვა მისთვის უცხო ენაზე ამღერებს ორი გროშის საშოვნელად. ბოლოს ვაჭრის გაუმაძღრობამ კინაღამ იმსხვერპლა უბედური „ღვთის შვილი“. რომ აქაც მისი ბიძია გოგია არ გამოსარჩლებოდა. ეკ. გაბაშვილის მოთხრობა აქ სინამდვილესთან უფრო ახლოა იმიტომ, რომ ცუდიცა და კარგიც შეუმჩნევია და არც ერთის დამალვა არ მოუნდომია. მოპასანმაც, რასაკვირველია, სხვაზე ნაკლებ არ იცოდა, რომ „ცხოვრება არც მთლად ცუდია და არც მთლად კარგი“, მაგრამ მაინცა და მაინც მარტო ცუდი მხარის დანახვა მოისურვა ზემოხსენებულ თავის მოთხრობაში, მაინცა და მაინც მარტო სიმწარე გვაგემა ცხოვრებისა და კეთილს კი, რომელიც შეიძლება უიმისოდაც ძალზე მიჩქმალულიც იყოს ცხოვრების სიბინძურეში, გვერდი აუხვია. აი, ამაშია განსხვავება ეკ. გაბაშვილის გრძნობიერი და ლმობიერი სულისა სხვა მწერლებთაგან[1]. სულგრძელი ავტორი ცუდს ცხოვრებისას ამჩნევს, მაგრამ თუ კი კარგი რამე დაინახა, ეს კარგი იმდენად აღიტაცებს, იმდენად მიიზიდავს მის მახვილ ყურადღებას, რომ ცხოვრებას სიცუდეს თითქმის აპატიებს, და ამ კარგს ხელს ჩასჭიდებს და ყურეში მიგდებულს გამოიტანს და საქვეყნოდ გამოაფენს. დიაღ, ცხოვრებაც და ყოველივე ცხოვრების მოვლენა მაშინ მიაჩნია

---

[1] აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ჩვენში საკმაოა ახსენო რომელიმე ევროპიელი სახელგანთქმული მწერალი და მასთან ერთად ჩვენი რომელიმე მწერლის სახელიც მოიხსენიო, მაშინვე ყიჟინას დაგაყრიან: ესა და ეს მწერალი ამა და ამ დიდებულ ევროპელ მწერალს შეადარა და ამაზე მაღლაც დააყენაო. საუბედუროდ, ასეთ მოყიჟინე გუნდთა რიცხვი საკმაოდ დიდია ჩვენს დაქვეითებულსა და გადაგვარებულ საზოგადოებაში. ჩვენ აქ მოპასანი მისთვის მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა ერთსა და იმავე მოვლენას ორი მწერალი რა სხვადასხვაგვარი თვალით უყურებს, როგორ სხვადასხვაგვარად გვისურათებს და, ამიტომაც, რა სხვადასხვანაირ აზრსა და თანაგრძნობას ბადებს მკითხველში. ამ მაგალითის გამო ჩვენ ისიც გამოვთქვით, და სრულიადაც არ შეგვშინებია ამ აზრის გამოთქმისა, რომ ე. გაბაშვილისა ამ საგნის დასურათებაში უფრო ახლოა სინამდვილესთან, ვინემ მოპასანი, მაგრამ ამით ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს სახეში ამ მწერალთა ერთმანეთთან დაპირდაპირება, ან მათი ნიჭის ერთმანეთთან შედარება. რომ ერთი მეორეზე ან მაღლა, ან დაბლა დავაყენოთ.

სიყვარულისა და ყურადღების ღირსად ავტორს, თუ იგი სიკეთის მომტანია, სიკეთის მაჩვენებელი. ნაკადული მისთვის უყვარს, რომ „სიცოცხლის მომასწავებელია, გამცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი"; ყოველი ბუნების მოვლენა, ყოველი არსი და უსულო ნივთიც მაშინ უყვარს, როცა იგი სიცოცხლის შემქმნელი და კეთილის მყოფელია.

წაიკითხეთ ამავე კრებულში მოქცეული ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „ჩვენი კაკლის ხე" და თქვენ დარწმუნდებით, სანამდის მიდის ავტორის უტილიტარიზმი... „ეს მშვენიერი, ახოვანი, მეფურად, მდიდრად შემოსილი, ნოყიერი ნაყოფ-მოსხმული და განუწყვეტლივ ნიავქარის მომცემი ზაფხულის პაპანაქებაში მშვენიერი მცენარე" ძლიერ, ძლიერ ჰყვარებია ავტორს. უყვარდა იმიტომ, რომ „გემრიელ კაკლის გულს" იძლეოდა, უყვარდა იმიტომ, რომ ზაფხულობით აქ ატარებდნენ დროს დილიდან საღამომდე მისი ოჯახის წევრები თამაშობაში, ცელქობაში და მუშაობაში, კაკლის ხე კი ნიავით აგრილებდა მათ. წარმოიდგინეთ, ამ იდილიის, ტკბილი და წყნარი სურათის მოყვარე არსებას მაშინაც კი უყვარდა ეს კაკლის ხე, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, მაშინ უფრო უყვარდა, „როდესაც დიდი ქარი ჰქროდა. როდესაც ქარიშხალი აბორგებდა, აშფოთებდა, აბრძოლებდა ამ უიმისოდ ხეების წყნარ და ამაყ მეფეს. მაშინ იმისი ძლავრი ტოტები ზღვის ტალღებისაგან მოქანავე ხომალდს ემსგავსებოდა, მასავით გადადიოდ-გადმოდიოდა, შუოდა, სმაურობდა, ერთმანეთს ეხლებოდა, ებრძოდა და იმტვრეოდა". „მე კი იმ დროსო, — განაგრძობს ავტორი, — წახვეული თბილად რაშიმე ამოვეკვროდი მის ძლავრს, განიერ ფესოს და ვისმენდი დაუსრულებლივ ამ შფოთვისაგან გამოხმობილ ჰანგებსო". წარმოიდგინეთ, რომ ერთი შემთხვევა სრულიად შეუცვლის გრძნობას და აზრს ამ კაკლის შესახებ.

ერთხელ ვანო ვერხვიშვილი ავიდა კაკლის დასაბერტყად, ამ დროს ძლიერი ქარი ამოვარდა, ბიჭმა ფეხი ვეღარ მოიმაგრა. ძირს ჩამოვარდა და საუკუნოდ დამახინჯდა. ამის შემდეგ, მართალია, კაკალს არც თავის სიმშვენიერე დაუკარგავს, არც თავისი სარგებლიანობა, „მაგრამო, — ამბობს ავტორი, — მე მაინც აღარ მიყვარს, ისე აღარ ვენდობი, ისეთ მეგობრობას აღარ ვუწევ"; როცა ამ შემთხვევას ვიგონებ „შიში იბუდებს გულში. უნდობლობა მებადება იმისადმი. იმის გულწრფელობა აღარ მჯერა და ვანოს დანახვაზე ჩვენი კაკალი მეზიზღება, კაციჭამია მგონიაო". კარგად იცის ავტორმა და ჩვენც,

რომ ამ უბედურ შემთხვევაში კაკლის ხეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, ისე როგორც თვით ავტორს. ვინ იცის, კაკლის ხეს რომ გრძნობა ჰქონდეს, ანდა ჩვენ შეგვეძლოს მისი გრძნობის გაგება, იქნებ ავტორზე ნაკლებ არ დაანთხევდა ცრემლებს უბედური ვანოს დამახინჯებაზე. კაკალი აქ სტიქიონის უნებური ხელისშემწყობი შეიქნა და შემთხვევის უბრალო მოწმე; მას ბევრად უფრო ნაკლები დანაშაული მიუძღვის, ამ შემთხვევაში, იმ ქალბატონზე, რომელმაც ვერხვიშვილი კაკლის დასაბერტყად შეგზავნა. მაგრამ აქ ეს როდი გვაინტერესებს ჩვენ, ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამ მცენარეს, ასეთ საყვარელს და თანაც სრულიად უბრალოს ამ შემთხვევაში, ამ მცენარესაც კი იძულებს, რაკი ვანო ვერხვიშვილის დამახინჯების გამახსენებელი შეიქნა...

ეს ხომ ყველა ასეა და მით უფრო გაოცებული დავრჩით ეკ. გაბაშვილის „ნანოს დედოფალათი". ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. რად დაჭირდა ავტორს ასეთი უცნაური მოთხრობის დაწერა. თუ ავტორს მაინცა და მაინც ისა სურდა დაენახვებინა, რომ ვაჭრის ცოლების გაუმაძღრობა და სიბრმავე იქამდე მიდის, რომ ტიკინასაც კი სტაცებენ ბავშვებს, — არა მგონია ეს საჭირო იყოს ვისმესთვის, ან რაიმე სერიოზულ მასალას წარმოადგენდეს ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, ანდა ასეთი შეხედულება სიმართლესთან ახლოს იყოს. რამდენადაც აღტაცებული ვართ ეკ. გაბაშვილის ნიჭის იმ თვისებით, რომ ცხოვრების კარგი მხარე არ დაემალება და უსათუოდ გამოძებნის, იმდენად საწყენად დაგვრჩენია და გაკვირვებულიც ვართ, რად მოინდომა ავტორმა ასეთი მახინჯი მოვლენის აღწერა. ვაჭრები, საზოგადოდ, მეტად ანგარიშის მოყვარენი არიან, მეტად გამჭვრეტნი და თანაც, ცოტა არ იყოს, მშიშარანი, და ყოველივე ეს თვისება არა მგონია შეესაბამებოდეს ისეთ უცნაურ ძარცვა-გლეჯას, როგორიც მოთხრობაშია გამოყვანილი. „ვიღაც" ვაჭრის შვილი ნანოს ტიკინას სტაცებს მოტყუებით და ვაჭრის ცოლიც ხელს აფარებს ამ მტაცებლობას. ასეთი ცუდი გრძნობის აღმძვრელი დამახინჯება სინამდვილისა გვაკვირვებს ისეთი გულლმობიერი და გულმოწყალე მწერლისაგან, როგორიც ეკ. გაბაშვილისაა და ამიტომ მთელ მის მოთხრობათა კრებულში ეს მოთხრობა სრულიად უადგილოა, როგორღაც გვეჩოთირება და სრულიად არ ეთანხმება საზოგადო გრძნობასა და აზრს, რომელსაც აღძრავენ ჩვენში სხვა მოთხრობანი ამ კრებულისა.

ზოგიერთი მოთხრობანი ამ კრებულისა უფერულნიც არიან, და უფრო გონების ნაშრომია, ვიდრე გონებისა და გრძნობის შეერთებული ნაყოფი („რად დაგვივიწყე“, „ერთი ჭირი მარგებელია“ და „ოჯახის ბურჯი“), მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა სულაც რომ არად ღირდეს, ჭარტო ერთი „როგორ შეეგება სვიმონიკა ახალ-წელიწადს“ შეისყიდის ყველა ნაკლულევანებას, და იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მოთხრობას თამამად შეგვიძლია დავუყენოთ გვერდში „მაგდანას ლურჯა“, „ღვთის შვილი“ და „ჩვენი კაკლის ხე“. და თუ ვინმე გვკითხავს, რა უნდა ვაკითხოთ და რა უნდა ავუწეროთ ბავშვებს, ჩვენ სიამოვნებით მივუთითებთ ერთ-ერთ მაგალითად ჩვენს ლიტერატურაში ეკ. გაბაშვილის მოთხრობათა ზემოხსენებულ კრებულს („ნანოს დედოფალას“ გარდა, რასაკვირველია). ეს მოთხრობანი არიან ნაყოფნი ნიჭისა, რომელსაც ცხოვრების სინამდვილის დაკვირვებაც ფრიად საკმარისი აქვს და ლიტერატურული ხელობაც ჩინებულად აქვს შეთვისებული. ხოლო რაც შეეხება მაღალ გრძნობათა აღძვრას, მგონი ბევრი კილაპარაკე იმის შესახებ, ამ შემთხვევაში ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებთ დიდად საპატიო ადგილი უჭირავთ ჩვენს ლიტერატურაში.

20. ეკ. გაბაშვილის ნაწერები

მთელი ქვეყანა. მსოფლიო, ცისქვეშეთი იმ პატარა აპარატშია მოქცეული, რომელსაც ადამიანის თავი ჰქვიან. ქვეყანა „უთვალავი ფერითა“ აქვს მიცემული ვინმე დიდებულს, რომლის სახელი რუსთაველია, და იგივე ქვეყანა თითქმის უფერული და მარტივი სახით მოევლინება ხოლმე ჩვეულებრივ. უბრალო ადამიანსა. სხვადასხვაობა ქვეყნის მოვლენათა უფრო ნათლად მოჩანს პოეტთა და ხელოვანთა ნაწარმოებებში. აბა, რა შესადარებელია ის სამყარო, რომელიც შეუქმნია შექსპირსა და მიქელანჯელოს იმ ქვეყანასთან, რომელიც აღწერილი აქვს, თუ გნებავთ, რომელიმე სხვა სახელოვან მწერალს.

ყოველ მწერალს თავისი შეხედულება აქვს, თავისი წარმოდგენა ქვეყნიერებისა და ცხოვრების შესახებ, თავისი საზომი აქვს ქვეყნის მოვლენათა გასაზომავად, თავისებური ახსნა მოჰყავს ხოლმე ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა მიმდინარეობისა. რაც უნდა მცირე იყოს განსხვავება ერთი და იმავე ჯგუფის. თუ გინდ სკოლის. მწერალთა შორის, ყოველ შემთხვევაში ეს განსხვავება არსებობს მათ მსოფლმხედველობაში და ამაშია მთელი, ეგრეთ წოდებული ორიგინალობა მწერლისა.

ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილსაც სწორედ თავისი სრული და გარკვეული შეხედულება აქვს ცხოვრების შესახებ, აქვს თავისი ესთეტიკა. თავისი მორალი. თავისი ფილოსოფია, თავისი რწმენა და თუ გნებავთ თავისი სარწმუნოება.

ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილსა სწამს, რომ ცხოვრება სიყვარულით განცისკროვნებული იქნებოდა, სიკოცხლე — მზისაგან განცხოველებული და დაუსრულებელი ნეტარების სამეუფო, თუკი ყოველივე ამას ხელს არ უშლიდეს თვით ადამიანთა კრებულის, საზოგადოების სისასტიკე და გულქვაობა. სიყვარული არის ის, რაც შეადგენს უპირველეს ბედნიერებას დედაკაცისას (თუ არა მთელი კაცობრიობისას), მაგრამ „კაცთა სიბრიყვის“ წყალობით იგი წამწარებული აქვს უმეტესობას, მით უმეტეს ქალს. სიყვარული დაუსრულებელი სიტკბოებისა და ნეტარების წყაროა, და ეს წყარო კი მოწამლულია სხვა-

დასხვაგვარი „მოვალეობით, ამ მუდამ შეუბრალებელი მრეკავით“, რომელიც საზოგადოებისაგან განწირული ამა თუ იმ პირადობის „სინდისს ჩამოურაწკუნებს“ ხოლმე და ამა თუ იმ მის დამტანჯველ გადაწყვეტილებას მიაღებინებს.

ქ-ნი ეკ. გაბაშვილი, როგორც ქალი-მწერალი, უპირველეს ყურადღებას აქცევს, რასაკვირველია, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში. ხოლო ეს მდგომარეობა ყველაზე უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატულია იმ როლში, რომელიც ქალს მიანიჭა საზოგადოებამ ოჯახში. აქ ქალი მონაა უსიტყვო და უენო ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ბარბაროსული ჩვეულებისა. მისი თავი მას არ ეკუთვნის, მისი თვით არსებითი გრძნობა და ფიქრი ნიადაგ სხვის უფლებასა და განკარგულებაში უნდა იყოს.

სიყვარული, ეს ყოვლის მადლის მომფენი და სიცოცხლის მომნიჭებელი, ქალისათვის მარტო ტანჯვაა და ვაება, ვინაიდან ბუნების ძალა ფატალური და სასტიკი, რომლის მოთხოვნილების დარღვევა ყოვლად მოუხერხებელია, ადამიანს თავისი კერძო, ვიწრო წუთიერი ინტერესის იარაღად შეუქმნია.

სიყვარულის განხორციელებას ადამიანთა შორის ხელს უშლის ზოგან წოდებრივობაზე დამყარებული წარმოდგენა („კონა“), ზოგან — სარწმუნოებრივი ცრუ-მორწმუნეობა („რომანი დიდხევაში“). შემდეგ კიდევ — ნათესავური, ტრადიციული მოვალეობა („გურგენაულის ბაბო“). ერთის სიტყვით, ადამიანს ყოველივე თავისი ძალი და ღონე იმისათვის შეულევია, დაამახინჯოს ბუნებისაგან კაცისათვის მინიჭებული ნეტარება და ბედნიერება, დაასახიჩროს ბუნებრივობა და მისი კანონები, რომელთა აღსრულება არა თუ აუცილებელია, სიამოვნებისა და სიხარულის მომცემია; და არა თუ ქალს ემართება ასე, ვაჟიც თითქმის იმავე მდგომარეობაშია, მათი გრძნობა თვით უპირადესი და თვით უმშვენიერესი სხვათა მბრძანებლობის ქვეშ არის დაყენებული. დღევანდელ საზოგადოებაში პირადობა ძთლად ერთიანად გაჭყლეტილია, გასრესილი; მას პაიკის როლი აქვს მიჩენილი და სადაც სურს იქ გადადგამს, რაშიც სურს მასში გაცვლის, რასაც უნდა იმას შეწირავს ის უგულო ჯამბაზი, რომელსაც ჰქვია საზოგადოება, თავისი ტრადიციებით, გახუნებული წესებითა და მოთხოვნილებით, უშინაარსო და სასტიკი კანონებით. და აი ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა, მთელი თავისი გატაცებული ბუნებით, მთელი თა-

ვისი მადლიანი და მომხიბლავი ნიჭით ამხედრებულია საზოგადოების ასეთი ულმობელობის წინაშე და სასტიკად ამათრახებს, გულისმომწყვლელ სურათებს გვაძლევს საზოგადოების გულქვაობის ნაყოფისას.

1

აიღეთ მისი საუკეთესო მოთხრობები, რომლებშიც ხელისგულზე გაქვთ გადაშლილი მთელი ავტორი, მისი გულისნადები, მისი ტვინის ნამოქმედარი, მისი ხელოვნება და მისი ლიტერატურული მრწამსი. — აიღეთ და გადაიკითხეთ მისი „რომანი დიდხევაში", მისი „კონა", მისი „ორენა და ქუჩე" და ყველგან ნახავთ ქ-ნ გაბაშვილს თავის სახარბიელო როლში, მორალისტისა და ნაზგრძნობიერი მწერლის როლში.

აბა დააკვირდით „რომანს დიდხევაში"! მარო და პავლე თვით ბუნებისგან სასიხარულოდ და საბედნიეროდ არიან შექმნილნი. შეუძლებელია და წარმოუდგენელი ბუნების გარდუვალ კანონს, რომელსაც იგინი ასეთი უხილავი და ძლიერი ჯაჭვით შეუკავშირებია, ამ კანონს ბუნებრივს, ამ ძალას ყოვლის შემქმნელს არა ჰქონდეს თავისი აზრი, თავისი ლოღიკა, თავისი განსაზღვრული გეგმა, რაც უნდა მისტიკურად არ უნდა ეჩვენოს კაცს ეს აზრი. თვით ერთი წუთი, რომელშიც აღსრულდება ეს შეერთება ორი ძალის, ორი ენერგიის მიმდინარეობისა, შეუძლებელია იმით არ დამთავრდეს, რომ იმ ერთ წუთსაც საოცარი სინათლით არ განათლდეს ცხოვრება და ნუთუ ეს ერთი წუთი უმაღლესი ნატარებისა, უმაღლესი ბედნიერებისა, რომლის დროსაც ღვთაებრივი ნაპერწკალი უზენაესი სინათლისა ქვეყნის მანათობლად მოევლინება, არა ღირს იმათ, რომ კაცი იტანჯოს და ივაივაგლახოს მთელ თავის უფერულ სიცოცხლეში. თუ რომ ტანჯვა და ვაება მაინც აუცილებელი ხვედრია კაცობრიობისა, დღესდღეობით, მაინც, და თუკი ყოველი წუთი სიამოვნებისა, სულ ერთია, უნდა შევისყიდოთ მთელი წლების კვნესითა და ოხვრით. მაგრამ, არა, კაცობრიობა, დღევანდელი საზოგადოების ფორმით გამოსახული, რომელიც ტირანიაა უმცირესობისა უმრავლესობაზე, გაბატონებაა სიმახინჯისა სიმშვენიერეზე, მეუფებაა უგრძნობლობისა გრძნობიერებაზე, მარტო იმაზე ფიქრობს, თავის წევრებს სამსალა ასვას და შხამი დაალევინოს, უმეტესობას მაინც, და მათ ვაებაზე

წესების მოსარჩლეობისა. საზოგადოება, თითქო განგებ, შერჩევას ახდენს: ცდილობს გაამეფოს სიმახინჯე. ანტიბუნებრივი წესწყობილება დაამყაროს და შეცვალოს ბუნება იქაც კი, სადაც იგი ადამიანის ცხოვრების ხელისშემწყობია და სიცოცხლის გამამდიდრებელი.

საზოგადოების მოთხოვნილებათა უცნაურობის უფრო მკაფიოდ გამოსახატავად ქ-ნ ეკ. გაბაშვილს მეტად დაუჯერებელი შემთხვევა აქვს აღებული. მღვდელი, — საზოგადოების ცრუ ტრადიციების მფარველისა და მცველის ეს სიმბოლიური გამომსახველი, — უარს ეუბნება პავლესა და მაროს ჯვარისწერაზე იმიტომ, რომ რაღაც შორეული მძახლები იყვნენ, და ეს თითქმის შეუძლებელი ფაქტია, მაგრამ ეს სულ ერთია. აქ გამოიხატა ავტორის წერის მანერა და კილო. იგი რომანტიკოსია, თუმცა ახალი ფორმაციისა კი, და ცხოვრებაში არაჩვეულებრივ მოვლენას აქცევს ყურადღებას. იგი იშვიათ მოვლენას ჩასჭიდებს ხელს, რათა ამგვარი კონტრასტით — ჩვეულებრივ. უფრო ნათელჰყოს და ამნაირი ხერხით უფრო აღაშფოთოს მკითხველი, უფრო მეტი ყურადღება მიიპყროს მისი. უფრო ძლიერი ბოღმით აღავსოს მისი გული და უფრო სასტიკი წყევლა-კრულვა გადმოანთხევიოს გულიდან მკითხველს.

აბა წარმოიდგინეთ. რომ მარო და პავლე და-ძმანი ყოფილიყვნენ. მათი შეუღლება გამოიწვევდა პროტესტს არა მარტო გალეშილი, მექრთამე მღვდლისას. არა მარტო ბრიყვი სოფლისას, არამედ ყველა ჩვენგანისას იმიტომ. რომ არის ზოგიერთი მოთხოვნილება საზოგადოებისა, რომელსაც აქვს აზრი და რომელსაც უნდა შეეწიროს პირადობის არასასურველი მიდრეკილება; არის ისეთი შემთხვევები, სადაც საზოგადოების მოთხოვნილებას ბევრად უფრო დიდი უპირატესობა აქვს ყველას თვალში. ვიდრე პირადობის აღვირახსნილ პრეტენზიას. მაგრამ აქ ხომ მაშინ იმ მოტივს ადგილი არ ექნებოდა, რომელიც ასულდგმულებს ქ-ნ გაბაშვილის წარმტაც მოთხრობას. ქ-ნ გაბაშვილს უნდოდა ეჩვენებინა პირადობის დამახინჯება და დამონავება საზოგადოებისაგან და ისეთი მაგალითი მოგვიყვანა, სადაც ერთ კაცსაც ვერ იპოვით. რომ საზოგადოების მხარი დაიჭიროს და პირადობას არ გამოექომაგოს; აქ საზოგადოების მოთხოვნილება ყალბია, დამპალ ნიადაგზე აშენებული. როგორც თითქმის ხანს გადასული და დროს გადაცილებული ყოველი წესი საზოგადოებისაგან კანონად აღსარებული, და ამიტომაც უფრო მეტ საფუძველს პოულობს ავტორი-ქალის გულისწყრომა.

რამდენად არის ქ-ნი გაბაშვილი დაინტერესებული ქალ-ვაჟთა დამოკიდებულებით, მათი ბედნიერების ხელისშემშლელ გარემოებათა გამოაშკარავებით, იქედანაც სჩანს, რომ ზემოხსენებულ მოთხრობაში ერთი მხარეცა აქვს გამოხატული, რომელიც ავტორის სოციალურ შეხედულებას გვიჩვენებს. ქ-ნი გაბაშვილი გვისურათებს ბატონის მოურავისა და გლეხების შეტაკებას, მათი ინტერესების შებრძოლებას. მთელი სიმპათია ავტორისა, რასაკვირველია, იმ გლეხებისკენაა, რომელთა შრომა ანაყოფიერებს ბატონისთვის თავისთავად გამოუსადეგარ სიმდიდრეს. ამ ნიადაგზე აყალ-მაყალი შეუდგება „მყვლეფელთა“ ინტერესების დამცველს და წარმომადგენელს მოურავს და პავლეს, — გლეხების ინტერესების შემგნებს და თანაც ბატონის ერთგულსა და მოყვარულ კაცს. ასეთ საინტერესო მომენტს ავტორი ერთი წუთით დაგვანახვებს, მერე მიატოვებს და დრამატიულ კვანძს იქ გადაიტანს, სადაც უფრო მიეტანება მისი სული და გული; დრამატიული კოლიზია გაიშლება ადამიანთა კანონებისა და ჩვეულებებისაგან პირადობისა და მისი უფლებების გადალახვის სფეროში.

ამავე საგანს, ადამიანის საუკეთესო გრძნობის, მისი ბედნიერების მთავარი მიზეზის საზოგადოებისაგან ფეხქვეშ გათელის ამბავს, მოგვითხრობს ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა მეორე მის საუკეთესო მოთხრობაში — „კონა“. აქ არის აღწერილი ბეჩავი და უბედური ცხოვრება ორი ადამიანისა, უკეთა ვთქვათ, ორი ბავშვისა. ერთი გაჭირვებას მიუგდია სხვის კარზე მოსამსახურედ (კონა), მეორე კი (ლევანი) შვილია იმ ბარბაროსებისა, რომელთა სამსახურიც კისრად დააწვა საბრალო კონას, მაგრამ რომელიც, დედინაცვლის წყალობით, მოძულებული ჰყავდა მის ღვიძლ მამასაც.

კონას სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა უსამართლო ბატონებისაგან. მის განწირულებაში მას მარტო ერთი ამხანაგი ჰყავდა — ლევანი, დაჩაგრული, დაჯაბნებული, დებში გამორჩეული, „ობლობისაგან გულჩათხრობილი“ და მისი დედინაცვლისაგან „ბევრჯელ უსამართლოდ დასჯილი“. როდესაც ბატონები ძილს მიეცემოდნენ, „კონა და ლევანი გავიდოდნენ კარზე, რომ ძილი არ გაეფრთხოთ უფროსებისათვის და... ორი ობოლი, თუმცა კი გარჩეულნი საზოგადო მდგომარეობით, შეერთდებოდნენ ხოლმე მწუხარებით. რამდენიც იზრდებოდნენ ლევანი და კონა, იმდენად მათი მეგობრობა უფრო მტკიცდებოდა და ერთმანეთის უბედურება უფრო გულს უტეხავდა საცოდავს

ბავშვებს. უბედურების დროს, რაშიაც დედინაცვლის წყალობით ხშირად იყო ჩავარდნილი, ლევანი ყოველთვის მიმართავდა ხოლმე კონას. კონას თანაგრძნობის ცრემლები ამშვიდებდა, ამსუბუქებდა იმის აღელვებულს გულს“.

კონა დიდი ხნით თავისი უბედურების წინათგრძნობით იყო შეპყრობილი. „იმისი ლამაზი შავი თვალები მუდამ დაღონებულნი გამოიყურებოდნენ უფსკრულში, სადაც უიმედოდ იკარგებოდა იმისი მომავალი... მალე დაჰკარგა თავისი ბავშვური ხასიათი. ის ყოველთვის თავჩაღუნული, დაღონებულის სახით დასცქეროდა დედა-მიწას, თითქოს იქ უნდოდა ამოეკითხა თავისი უბედურების მიზეზი“.

ლევანი და კონა ორნივ უბედურნი იყვნენ, ორნივ წამებულნი, მაგრამ ერთმანეთში კი ბედნიერებასა და კმაყოფილებას ჰპოებდნენ. უსაზღერო ტანჯვას და ყოველივე მათი ღირსების შელახვას, რომელსაც მათ აყენებდნენ ლევანის მშობლები, იგინი ადვილად გადაიტანდნენ ერთმანეთის სიყვარულითა და ალერსით. ამიტომაც მოიწადინეს ‘ათი სულისშემხუთველების მოშორება, მაგრამ გეგმა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ლევანის მამამ გზაზე ვაგონში დაიჭირა იგინი. ლევანი სადღაც გადავარდა, კონა კი ამ ტარტაროზებს ხელში ჩაუვარდათ და მათაც შესაფერისი ჯავრი იყარეს. ქალბატონი თავისი „კეთილშობილი“ წიხლებით შედგა საცოდავ კონას „და იქ მდგომ ბიჭებს, რომ არ შეენიშნათ კონას გულის წასვლა, იქნებ ფეხქვეშაც ხმა ამოუღებლივ ამოსვლოდა სული“. კონა მძიმე ავად გახდა და მარტო რაღაც სასწაულმა გადაარჩინა. გადარჩა კონა და თანაც მის მოთმინებითა და მორჩილებით აღსავსე გულში შურისძიების სურვილმა დაიბუდა. კონამ გადაწყვიტა მისი და ლევანის მტანჯველებისათვის სამაგიერო გადაეხადა და ბარბარეს გულში დანა ჩასცა; ბარბარეს ამით ვერა ავნო რა, თვითონ კი ზედ გადაჰყვა, რადგან მისმა დაავადმყოფებულმა სხეულმა და დასუსტებულმა გულმა ასეთი სულის მღელვარება ვეღარ აიტანა; და როცა დედამისი მოვიდა მის წასაყვანად სახლში, მის განსათავისუფლებლად, „დაინახა, რომ განთავისუფლებამ დაასწრო, განთავისუფლებამ საზარელმა, მაგრამ ნამდვილმა და საუკუნომ“.

ლევანი, რომელმაც ასეთი „კეთილშობილური“ სილაჩრე გამოიჩინა, სატრფოს უღალატა და საცოდავი კონა მარტოდმარტო ჩაუგდო მამამისს ხელში, ეხლა მამას შეურიგდა, „გიმნაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლესი სწავლაც მიიღოს“. ყველასაგან განწირულ

კონას მაღალი გრძნობის სამაგიეროდ კი მარტოლა ეს დარჩა: „ლევანის შრომით სავსე სიცოცხლეს ძლიერ ხშირად ამღვრევს ის აზრი, რომ ამხანაგს უმტყუნა და სათნო კონა უმეცრების მსხვერპლად გაჰხადა“.

ამგვარია ყველგან და ყოველთვის ადამიანი, რომელიც რაიმე უკანონო და უსაფუძვლო ძალითაა აღფურვილი. მისი ძალა მოძმეთა საუკეთესოდ არის მიმართული. აბა რა დააკლდებოდა ბარბარეს ან სერაფიონს, ლევანი და კონა ერთმანეთით დამტკბარიყვნენ, ერთმანეთის შემწეობით ერთი წუთის ბედნიერება მაინც ეგრძნოთ. იმას ხომ ვერავინ შესწამებს ბარბარეს ან სერაფიონს, რომ ლევანის მომავლის ჯავრი ჰქონდეთ, ან მის ბედსა და იღბალზე ფიქრით თავს იმტვრევდნენ. ბარბარეს კიდევაც უნდა გახარებოდა ასეთი საქციელი ლევანისა, რაკი შეეძლო ამის გამო ლევანი მთლად გამოერიცხვინებია მამისათვის მემკვიდრეობიდან. მაგრამ არა. იგინი, ვით გააფთრებულნი მხეცნი, ეძიებდნენ მსხვერპლს. მათ არ შეეძლოთ მოეთმინათ სხვისი ბედნიერება, სხვისი სიკეთე. სხვისი ყოველი კმაყოფილება მათ აღვირახსნილ კაპრიზების საკურთხეველზე უნდა იქნეს შეწირული. თუ „რომანი დიდხევაში“ უბედურად დამთავრდა სარწმუნოებრივი კანონების მოთხოვნილების გამო, აქ წოდებრივმა ტრადიციებმა წამოჰყო თავი, რათა ორი საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ გამზადებული ადამიანი უფსკრულში გადაეჩეხა.

არანაკლები ხელისშემშლელი გარემოებაა კაცის ბედნიერებისათვის ქონებრივი განსხვავება. ორენა და ქუჩეს („ორენა და ქუჩე“) ერთმანეთისათვის უცემთ გული. მათი ბუნება ღვთაებრივი ცეცხლით არის აღგზნებული და ამ ცეცხლის ნაპერწკლები ერთიმეორესაკენ მიისწრაფვის საოცარი ენერგიით. ყველა გრძნობს, რომ ბუნებას ეს ორი არსება ერთმანეთისათვის შეუქმნია და „მართლაც რა სასიამოვნო წყვილი იყო“ ეს ორი ბუნების შვილი. „ქალი მაღალი, კოპწია, მაისის ვარდივით გადაშლილ ლოყა-ტუჩებით... ბიჭი ლომი, მხარბეჭ გადაჭიმული, ახლად ულვაშ-აყვავებული... ესენი ეშხით დასტრიალებდნენ ერთმანეთს...“

მაგრამ განა ამას დაგიდევთ ცხოვრების „ბურჯნი“? „ქუჩე იყო დედისერთა, მზითვიანი ქალი, იმისი მამა — გოგია — აზნაურებს ადარებდა თავის გოგოს. თედო კი (ორენად წოდებული) ერთი სხვა მხრიდან გადმოვარდნილი ბიჭი იყო და ლუკმა პურს მოჯამაგიროობით შოულობდა“.

სადაც წოდება არ არის, სადაც სარწმუნოებრივი მოსაზრება არაფერ შუაშია. იქ ქონება წამოგეჩრებათ და ასე იქნება თუ ისე, ამ გზით თუ იმ გზით, საზოგადოების ქვაკუთხედმა—ოჯახმა უნდა გასწიროს თავისი წევრები, რაღაც გარდამავალი უგუნური ჩვეულებებისა და შეხედულებების გამო და უბედურება უნდა დაამკვიდროს იქ, სადაც მარტო ნეტარებაა მოსალოდნელი. მაგრამ რამდენადაც საზოგადოება და მისი მესვეურნი უფრო სდევნიან პირადობასა და მის უფლებებს, იმდენად ბუნებისა და სიცოცხლის კანონები პირადობის მოსარჩლეა, უკეთა ვსთქვათ, წამაქეზებელია და ამ ორ ელემენტთა— საზოგადოების წესებისა და პირადობის მისწრაფებისა — შეტაკება ბადებს მთელ ტრაგედიას ადამიანთა ცხოვრებაში.

ორენასა და ქუჩეს სიყვარულმა, მათმა დიდმა, უსაზღვრო გრძნობამ მათ არსებაში ვეღარ დაიტია. აბობოქრდა და თან წალეკა მთელი მათი არსებაცა. ორენასა და ქუჩეს ერთმანეთისაკენ ლტოლვამ თვით გაიკვლია გზა და ბუნების ყოვლად მოწყალე მფარველობის ქვეშ სიტკბოება და ნეტარება განიცადეს. მაგრამ ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა „სოფელს“ და „სოფელი“ — ეს თვით უკიდურესი წარმომადგენელი საზოგადოებრივობის სისასტიკისა — აყაყანდა, სიცოცხლით აღსავსე, ბედნიერების მოტრფიალე ქუჩე ცოლად მისცეს ვიღაც „ორმოცდაათი წლის“ მოხუც კაცსა. ტრაგედია აქ იწყება. ქუჩეს ორენას სიყვარულის ნაყოფი გამოაჩნდა. გაბრაზებულმა ქმარმა მშობლებს მიუგდო ქუჩე. მშობლებმა კი, სინანულის მაგიერ, იმის გამო, რომ სიცოცხლე მოუშხამეს და ბედნიერება დაუკარგეს თავის ერთადერთ შვილს, თავიანთი უგუნური კაპრიზების გამო კიდევ ამ საცოდავ ადამიანზე იყარეს გულისჯავრი. „ორთავენი ერთად მხეცებივით დაეტაკნენ ქუჩეს... გაცოფებულნი ამაყობის დამცირებით, ესენი შეუბრალებლივ სტანჯავდნენ ქუჩეს. პირი, ხელი, ნაწნავები, ერთის სიტყვით, რაც კი ხელქვეშ მოხვდებოდათ, შეუბრალებლივ იბდღვნებოდა... გაჩუმებული და გულწასული ეგდო ქუჩე მიწაზედ და უსიტყვოდ იტანდა გამხეცებულის ღვიძლის მშობლებისაგან ტანჯვას... ხოლო, როცა გული რიგიანად მოიოხეს, დააცლეს ხელი ორთავემ და გულწასული გოგო ბოსელში შეათრიეს და გამოიხურეს კარები“. ქუჩე სოფლისაგანაც ყბადაღებული შეიქნა. სოფელი ხომ იგივე საზოგადოებაა და საზოგადოება კი, დამპალსა და ყალბ ნიადაგზე აშენებული, ულმობელი დამტუქსავია ყოველი პირადობის თავისუფალი მოქმედებისა, პირადობის ყოველი დამოუკიდებელი მისწრაფე-

ბის ფეხქვეშ გამსრესავია. ქუჩეს „არც ერთი მოსარჩლე, არც ერთი ნუგეშის მცემელი არავინ ჰყავდა“. ამგვარ მდგომარეობაში ქუჩეს ბავშვი ეყოლა. ქუჩე „გიჟივით დააფრინდა პატარას, საჩქაროდ მიიკრა გულზედ, ალერსით დაეკონა და ისევე საჩქაროდ დაახეთქა ზღუდეზე“. ამას მოჰყვა ქუჩეს გასამართლება და ქუჩეს საუკუნოდ დაღუპვა. ამ ადგილს ავტორი ნამდვილი საზოგადოებრივი რეფორმატორის ენით აღგვიწერს და საზოგადოების გულზვიადობის ნამდვილი განმქიქებლის პათოსით გველაპარაკება; მისი სიმართლის მოყვარეობით აღსავსე გული დრტვინავს და თავშეკავებულ ირონიაში მწარე ნაღველს ანთხევს ამ სოფლის ძლიერთა შესახებ, წყევლა-კრულვით იხსენიებს, ვინც სიცოცხლეს უწამლავს ადამიანის პირადობას, მის ბედს ანაბარად ატრიალებს და მისი დაღუპვა არად მიაჩნია.

სასამართლო, სამჯავრო, თუ გნებავთ, საზოგადოების ზნეობის დამცველი ინსტიტუტია. ეს საზოგადოების ვითომდა წესიერების დამცველი, სრულიად დაკმაყოფილებულია იმით, რომ ყველა მოწმის ჩვენებით დამტკიცდა ქუჩეს დანაშაული. „იმაზედ კი, თუ რამ მიიყვანა აქამდის, რასაკვირველია, ხმა არავის ამოუღია“, გვეუბნება გულმოკლული ავტორი და აგვიწერს ქუჩეს გასამართლების გულისშემზარავ სურათს:

„სასამართლოს დარბაზი სრულიად ცალიერი იყო. სულ ათი კაცი არ დასწრებია ამ საქმის გარჩევას. აბა რა ღირს-საცნობი იყო საწყალი გლეხის გოგოს ამბავი, ქუჩე რომ დიდი ოჯახის ასული ყოფილიყო, მაშინ ადვოკატები მჭერმეტყველებაში ივარჯიშებდნენ, მაშინ სასამართლო ბევრ შემამსუბუქებელ საშუალებას მიიღებდა მხედველობაში! ეხლა კი გოგიამ ვიღაც საეჭვო პატიოსნების „ადუკანტი“ მოიწვია, რომელიც სასამართლოს წინ თრთოდა, გამართლების მაგივრად თავის მომწეევთათვის შებრალებას თხოულობდა. შებრალებაო! შებრალებას იქიდგან, სადაც კაცის გული გაქვავებულია და სადაც სხვისი ჭირი მხოლოდ გამართობელი საგანია! ქუჩე ტუსაღის ტანისამოსით, თვალებზე შალ ჩამოფაფხული უგრძნობლად იჯდა. იმან ამ დღეს მარტო ორჯერ აიხედა მაღლა: ერთი მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაზედ გოგიამ და ნინომ ტირილი მორთეს — და საშინელი იყო ეს გადახედვა! ამ გადახედვაში და მწარე ღიმილში გამოცხადდა სრული სიძულვილი და ზიზღი იმის ამ დღემდის მიმყვანთა ცრემლების უალაგობაზე და მეორე მაშინ, როდესაც ის ორ შტიკიან სალდათს ჩამოჰყავდათ სასამართლოს კიბეზე; იქ კუნჭულში

იდგა გაყვითლებული, დაგლეჯილის ტანისამოსით, ცალ-ხელა ყმაწვილი ბიჭი და ხელ-გაშვერილი მოწყალებას თხოულობდა. ქუჩეს გააჟრჟოლა, ის ერთის წამით შესდგა. უნუგეშოდ თავი გაიქნია და ეხლა კი ცრემლები ვეღარ შეიმაგრა. იქნება წარმოიდგინა ის წამება, როდესაც ესენი ზეცამდის ბედნიერნი იყვნენ მარტო სიყვარულით და ეხლა კი იმავე სიყვარულისა და ადამიანის სიბრიყვის წყალობით უფსკრულამდის უბედურნი. ერთის წლის წინათ სავსენი სიცოცხლით, სილამაზით და სიჭაბუკით ერთმანერთს შესტრფიალებდნენ და კაცის თვალს ატკბობდნენ, ეხლა კი დამახინჯებულნი იმავე ხალხის მოწყალებით განიწირებოდნენ საზოგადოებიდგან.

ქუჩე წაიყვანეს. თედომ სწრაფად გაიწია იმის შესაყენებლად, მაგრამ ხელზედ დაიხედა, მწარედ გაიღიმა და უნუგეშოდ, თითქოს საყვადურით, ზეცას შეხედა". აქ ავტორი პირადობის უბედურებაში მარტო ოჯახს კი არ ადებს დანაშაულს, მთელ საზოგადოებას ხდის პასუხისმგებლად და ცასაც კი მისწვდება: „თედომ (ორენად წოდებულმა) მწარედ გაიღიმა და უნუგეშოდ, თითქოს საყვედურით, ზეცას შეხედაო". ავტორის აღტყინება საზოგადოების გულქვაობისადმი იქამდე მიდის, რომ დედას, შვილისმკვლელს, თითქმის გმირად და მოწამედ გვიხატავს და მუხლს მოგვადრეკინებს მისი ტანჯვის დიდებულების წინაშე.

ქ-ნი ეკ. გაბაშვილი, როგორც ხედავთ, პირადობის უფლების მოსარჩლეა, ინდივიდუალიზმის აღმსარებელი. იგი პირადობის ბედნიერებას უპირატესობას აძლევს საზოგადოების მოთხოვნილებაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არა ნიშნავს იმას, რომ ავტორი გადაჭარბებული, უსაზღვრო ინდივიდუალიზმის მქადაგებელი იყოს. ის მაგალითები, რომლებიც მოჰყავს თავის მოთხრობებში, თუ, ერთის მხრით, პირადობის უფლებათა გათელის უცნაური ნიმუშია, მეორეს მხრით, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაცემის, გადაგვარებისა და გათახსირების სურათიც არის. ასე რომ, თუ ქ-ნი გაბაშვილი საზოგადოებასა და პირადობას უპირისპირებს ერთმანეთს, საზოგადოების მხრით ისეთი პრეტენზიებია წამოყენებული, არცერთ სასტიკ მორალისტსა და „მწიგნობარს" აზრად არ მოუვა ესოდენ დამახინჯებული მოთხოვნა საზოგადოებისა კანონიერად და სამართლიანად აღიაროს, თუ რომ გონიერების ნატამალი მაინც შერჩენია; პირადობის მხრით კი ისეთი წმინდა და შეურყეველი უფლებანი არის

წარმოდგენილი, რომ იშვიათად ვინმემ უარჰყოს; ეს პირადი უფლებანი ყოველთვის შეუბღალველნი უნდა იყვნენ, ნიადაგ პატივისცემით შენახულნი და დაცულნი.

სიყვარული ცხოველმყოფელი ძალაა, ბედნიერების წყარო; სიყვარული მზეა, რომლის შემწეობით ცოცხლობს და ხარობს ყოველი სულდგმული. სიყვარული ადამიანისათვის ის არის, რაც მცენარისათვის განმაცხოველებელი ციური ნამი. მოაკლეთ სიყვარული, ტრფობა კაცს და ის დაჭკნება, ვითა ყვავილი ყინვაში. ასეთი ძალის შემმუსვრელი, ასეთი ძალის წინააღმდეგი, ვინც უნდა იყოს იგი (საზოგადოება, ოჯახი, თუ კერძო კაცი), თავის დღეში ჩვენი ავტორის თვალში ვერაფერ კეთილს, ვერაფერ ხეირიანს და ნაყოფიერს ვერ მოიმკის, ვინაიდან, სიცოცხლისა და შვების ნაცვლად სიკვდილსა და გახრწნილებას თესავს. სიყვარული ფატალური ძალაა, ვინც ეურჩება, ღუპავს თავის თავს, აშრობს სიცოცხლის მშობელ წყაროს.

აი, გადაშალეთ „ბეჩავის სიყვარული“, რომელსაც წინ ეღობება იგივე ტრადიციული ცრუმორწმუნოება და რომელიც ისევე თავდება, როგორც ყველა ამგვარი შეგუბებული გრძნობა. ქ-ნი ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში იგი გადმოჰხეთქს კალაპოტს, წალეკავს ვინც კი გზაზე შეხვდება. აი მარო თექვსმეტი წლის ქალი, რომლის „გულის გაღვიძება ცეცხლისმფრქვევ მთას ემსგავსება და თავის გარეშემო სწვავს და სდაგავს“. გაბრომ კი, მისი მშობლების შვილობილმა და მაშასადამე მისმა ძმობილმა, „უმალვე იგრძნო ამ ცეცხლის ძალა და თუმცა არ აპრიალებდა, მაგრამ სიამოვნებით კი ხელები მიუშვირა გასათბობად... მთვარიან ღამეებში სიმინდის რჩევაზედ, ხშირად მიეყრდნობოდა ხოლმე მარო გაბროს მხარს და სთვრებოდა იმის გულის მოხშირებულის ფართხალით. ბევრჯერ ეს სიმთვრალე იქამდისაც მიაღწევდა ხოლმე, რომ ტუჩი ტუჩს იპოვნიდა. ხელი ყელს და თავის დავიწყებამდე მიიყვანდა ტუჩშეწებებულთ და ხელგადახვეულთ“... მაგრამ... მათ წრფელ, უანგარო, დიდებულ გრძნობას წინ აღემართება ცრუმორწმუნეობა დობილ-ძმობილობის შესახებ და დაიღუპება მარო, ისე როგორც მარო და პავლე („რომანი დიდხევაში“), ორენა და ქუჩე, კონა და ლევანი, ადილი და შაქრო („ნათლისღება ღამეს“), ბაბო და ჯიბო („ბედკრული ეკატერინე“). ყველა ესენი ბედნიერებისათვის შექმნილნი იყვნენ. ყველაზე ითქმოდა ის, რასაც ერთზე ამბობს ავტორი: „რა რიგად შეეფერებოდნენ ერთმანეთს! რა მამაცი და ლაზათიანი დევის მსგავსია ესა

და ეს ვაჟი და რა კეკლუცობით სავსეა პირმღიმარი ესა და ეს ქალი". რაღა უშლის მათ შეერთებას, მათ ნეტარებას? ყველგან და ყოველთვის საზოგადოების ყალბი ზნეობა, გათახსირებული და სისასტიკით აღვსილი ჩვეულება: იქ შორეული მძახალი ან ძმობილია, აქ ბატონი და ყმაა; იქ მდიდარი და ღარიბი, აქ კიდევ მამის უფლება, იქ კიდევ უფროს-უმცროსობა. ჯიბო და ბაბო („გურგენაულის ბაბო") იმიტომ დაიღუპნენ, რომ ჯიბო უმცროსი ძმა იყო და „უფროსზე ადრე ცოლს როგორ შეირთავდა". ამიტომაც, მისი სათაყვანებელი სატრფო, ბაბო მის უფროს ძმას შერთეს.

2

ამგვარი საგანი შეადგენს უმთავრეს მოტივს ქ-ნი გაბაშვილის თითქმის ყველა განთქმული მოთხრობისას, და სიყვარულის თავისუფალ გრძნობას უფრო გატაცებული და უფრო გულწრფელი დამცველი ჩვენს ლიტერატურაში ბევრი არა ჰყავს. ეს თითქმის ერთად ერთი მრწამსია, რომელსაც ხმალამოღებული იცავს მწერალი და არავის გაათელვინებს. ხოლო თუ ვინმემ გაბედა და შებღალა მისი რწმენა, მისი წარმოდგენა ამ საგნის შესახებ, ის ვეღარავითარ სიბრალულს ვეღარ ჰპოვებს საზოგადოდ გულკეთილსა და ლმობიერ მწერალ-ქალში. თუ ვინმე გამოჩნდა ისეთი, რომ ქ-ნი ეკ. გაბაშვილის წმინდა ოცნება შემუსრა, იცოდეთ მთელ თავის ნიჭს და ლიტერატურულ ხერხს იმას მოახმარს, რომ ასეთი პირი ჩაჰქოლოს. ამ შემთხვევაში მწერალი ცხოვრების მიუდგომელი ოქმის შედგენას აღარას დაგიდევს. ის სიმშვიდით აღსავსე მსაჯულის როლს სტოვებს და მკაცრ ბრალმდებლად იქცევა. ავტორი ყოველთვის პოულობს საკმაო სიბრალულს, საკმაო თანაგრძნობას იმ სუსტ ქმნილებათა მიმართ, რომლებიც ხასიათის სისუსტეს, გინდ აბობოქრებულ ვნებათაღელვას მიუყვანია იქამდე, რომ ბოროტმოქმედებაც კი ჩაუდენიათ. მწერალი ადვილად შეუნდობს კონას მოღალატე ლევანს, მაროს მკვლელ პავლეს სათნოებით აღსავსე ცრემლებს დააყრის, ქუჩეს საზოგადოების სიმკაცრის წმინდა მოწამედ დაგვისახავს, ადელსა და ეკატერინეს მკაცრი მოვალეობის შესაბრალის მსხვერპლად დაგვისურათებს. ხომ ვიცით, რომ ქ-ნი ეკ. გაბაშვილისათვის ერთი წმიდათაწმიდა ქალ-ვაჟთა თავისუფალი, აღგზნებული სიყვარულის ნაშობი კავშირია. მისი აზრით, სქესთა ურთიერთობა და-

ფუძნებული უნდა იყოს მარტო და მხოლოდ აღტაცებულ გრძნობაზე, იმ გრძნობაზე, რომელიც დამყარებულია თავგანწირულ სიყვარულზე. ამგვარი კავშირი წრფელია, გულახდილია, ნათელი. არავითარი ორპირობა, არავითარი დამალული ანგარიში, არავითარი ტყუილი არ არის წარმოსადგენი ასეთ შეკავშირებაში. მხოლოდ ამგვარად შეჯაჭვულ ადამიანთ შეუძლიათ მთელი თავიანთი სულიერი და ფიზიოლოგიური ძალა განავითარონ, გაშალონ რამდენადაც შეიძლება თავიანთი ბუნებრივი ენერგია და გამოიღონ ის ნაყოფი, რომელიც შეესაბამება მათ ბუნებრივ დანიშნულებას.

როდესაც ავტორი დაინახავს, რომ ცხოვრებაში ეს მისი წარმოდგენა ვიღაცას შეუბღალავს, გაუცუდებია და გაუქარწყლებია, მაშინ ყოვლად ულმობელად გაამათრახებს ასეთ პირს გულმოწყალე მწერალი ქალი. იგი მწერლისათვისაც კი გადაჭარბებული გულისწყრომით, ხოლო მწერლის შესაფერისი გულწრფელობით, საქვეყნოდ და საჯაროდ სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს იმ ჯგუფს, იმ ადამიანებს, იმ დაწესებულებას, იმ ინსტიტუტს, რომელიც მისი რწმენის შემაგინებელია, და მთელ თავის ძალღონეს იმას ანდომებს, ასეთი მოვლენა დაჰგმოს და ამგვარ პირებს სამარცხვინო დაღი დაასვას, მათი სახელი დაჰგმოს და შეაჩვენოს. ის არ დაიშურებს არაუერს, რომ ყოველივე ცუდი თავზე მოახვიოს ბუნების სანეტარო კანონების დამრღვევთ. ის აღარავითარ გასამართლებელ საბუთს აღარ ჰპოვებს, აღარავითარ შესანდობარ მხარეს აღარ ეძიებს და სჯის, სჯის ისე, როგორც თვით უსასტიკესი მსაჯული.

ასე ექცევა ის ქუჩეს დედ-მამას, ლევანის დედინაცვალსა და მამას, ასე ექცევა ადელის მამას, საზოგადოების იმგვარ შვილებსა და წარმომადგენლებს, რომელთაც ადამიანის პირადი ბედნიერება ფეხქვეშ გაუქელიათ, თავის აღვირახსნილ კაპრიზთა მსხვერპლად.

შეხვედრია ავტორს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, როცა სქესთა კავშირი სულ სხვა მოსაზრებაზეა დამყარებული, ვიდრე აღტაცებულ და წმინდა გრძნობაზე; დაუნახავს ავტორს, რომ ხშირად ამ ერთობაში ყოველივეა მხედველობაში მიღებული, გარდა საუკეთესო და საჭირო მხარისა — მომხიბლავი გრძნობისა; ავტორს აუღია და ასეთი მოვლენა დაუხატავს მოთხრობაში „ლუარსაბმა ცოლი შეირთო“, სადაც არავითარი შოლტი არ აუცილებია მომქმედ პირთათვის. ქ-ნი ეკ. გაბაშვილი მწარე, გამკიცხველი ირონიით აგვიწერს ლუარსაბის (მოთხრობის -გმირის) ხასიათსა და გარეგნობას. ყოვე-

ლივე წვრილმანი ავტორს აბრაზებს: „ჩინებული ყმაწვილი კაცი. დიპლომიანი, უმაღლეს სასწავლებელში კურსდასრულებული... ფრიად მჭევრმეტყველი, მცოდნე და სინდისიერი ვექილი“. ლუარსაბი „მღვდლის შვილია“ და პირველად სწავლა სემინარიაში დაიწყო. „ეს იყო თავით ფეხებამდე ჯენტლმენი ყოველის ესტეტიურის და არტისტიულის მისწრაფებით“. ეს, ასე ვთქვათ, ღირსებათა შორის უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ავტორს ყოველივე ეს ჯავრსა ჰგვრის და მწარე დაცინვას იწვევს მასში. ყური დაუგდეთ, როგორი დაუფარავი და მედიდური ზიზღით გვიხატავს ლუარსაბის გარეგნობას: „ლუარსაბი იყო თავისი ხნის შესაფერად ვეტად ტლანქი, რომ არა ვთქვა, დამრგვალებული ბურთივით, კისერ მოკლე, პაჭუა, წვერ-ულვაში რიჟა. რაც შეეხება თავის შემამკობელს და დამამშვენებელ თმას, ის ხომ სანთლითაც არ მოეპოებოდა, არამც თუ მისი ფერი შეხამებოდა მის წვერ ულვაშს... მაგრამ დამაგვირგვინებელი მიზეზთა მიზეზი, თუ რად ეზიზღებოდა ლამაზ ქალებს ლუარსაბი, იყო მისი ხელები: რბილი, მსუქანი და ცივი, მუდამ ნესტიანი“... „ასე და ამრიგად მხურვალე გული ლუარსაბისა, ლაზათიანად მოწყობილი სადგური, თითქმის გამოჩენილის ვექილის სახელი, სოფელში დარჩა, ბანკში კაპიტალი უპატრონოდ რჩებოდა. არ იქნა და ვერ ეღირსა ლუარსაბს ლამაზი და განათლებული ქალის თანაგრძნობა“. სხვა შემთხვევაში ავტორი ყოველივე ამგვარ ნაკლს უმნიშვნელო რამედ მიიჩნევდა, თვით იმ „ლამაზ, განათლებულ ქალებს“ გასწკეპლავდა, რომელნიც ლუარსაბის უხეირო გარეგნობაში, „სულის სიმშვენიერეს“ ვერ ჰხედავდნენ. აქ კი კბილების ღრჭენით აღნიშნავს ლუარსაბის ყოველივე ნაკლულევანებას და აღშფოთებული ზიზღით იხსენიებს... რატომ? იმიტომ, რომ ლუარსაბს ერთი უცნაური თვისება სჭირდა. „ლუარსაბის არსება, მთელი მისი სურვილები კი მხოლოდ იმ აზრზედ იყო მიქცეული და იმაზედ უდიდესი ლტოლვილება არა ჰქონდა რა ლუარსაბს, რომ ლამაზი და განათლებული ცოლი ჰღირსებოდა“. რა იცოდა ბედკრულმა ლუარსაბმა, რომ მისი ამგვარი ძებნა „ლამაზის ცოლისა“ შეურაცხმყოფელი იყო ქ-ნი ეკ. გაბაშვილის წმინდა შეხედულებისა ქალ-ვაჟთა ურთიერთობის შესახებ. ლუარსაბს ცოლი უნდოდა, ოჯახი უნდა მოეწყო, რადგან, მისი აზრით, ეს ერთ-ერთი იარაღთაგანი იქმნებოდა ცხოვრებისათვის მეტოქეობაში გასამარჯვებლად. ამიტომაც გაშმაგებულად დაეძებდა ცოლს, „პატრონს“ და კიდევაც მიაღწია სურვილს, „ლუარსაბს პატ-

რონი გაუჩნდა". (უწინ ასეთი სათაური ჰქონდა ამ მოთხრობას). ეს ქალბატონი, რომელიც ბედმა ლუარსაბს პატრონად მიანიჭა, განხორციელებული პირუტყვი იყო, გასაოცარი ურცხვი ცინიზმით ეძიებდა იგიც „საქმროს" და კიდევაც დიდი, სიადვილით ჩაიგდო ხელში და გაახვია ქსელში „ცოლის" მაძებარი ლუარსაბი. გასაოცარი და დაუჯერებელი სისწრაფით ისარგებლა მისი „ქმრობით" და ჯიბით. მალე მოატყუა, ვიღაც იტალიელ მომღერალს გაჰყვა უცხოეთში და სინანულის მაგიერ, ასეთი თავხედური და რიხიანი ბარათი გამოუგზავნა: „რაც შეეხება ჩვენს მომავალ ურთიერთობას (მე არ მინდა მოგატყუო), ეგ ყოვლად შეუძლებელია. მე არტისტი ვარ და თავისუფალი ფრენა შეადგენს ჩემს სტიქიას, შენ კი, ჩემო მეგობარო, მშრომელი... მუშა და დედამიწას უნდა დაჰყურებდე განუყრელად". თანაც დასძენს: „Поповское"... ვერ მოვინელე შენში და სწორედ ამის გულისათვის „გამოვექეცი გიმენეის კავშირს"-ო. ეს ნიცშეს თავისებური „ახალმოდური" ბიმდევარი მანდილოსანი თავისი ურცხვობით კიდევ ერთხელ სძლევს სულით დასუსტებულ ლუარსაბს. საცოდავი ლუარსაბი, დაშინებული, ფეხით დაწიხლული, რაღაც ჰიპნოზის ძალით მოცული სრულიად დაემორჩილა ცოლის ბრძანებასა და საუკუნოდ მისი ხარკის მძლეველი გახდება, თითქო უეჭველ და შეურყეველ ჭეშმარიტებად მიეჩნიოს, რომ მართლაც ასეთი უშნო და უმსგავსო ქმნილება, როგორიც იყო, დედა-კაცის ჟინის აღმასრულებელ მონად იყოს გაჩენილი. მთელი ეს მოთხრობა უფრო საბრალმდებლო ოქმია, ვიდრე მწერლისაგან მიუკერძოებლად დასურათებული ცხოვრების მოვლენა. აკი მოგახსენეთ, ავტორმა არ დაზოგა მისი წარმოდგენის შემლახველი და ზურგზე ტყავი აართვა.

ავტორი ისეა გაჯავრებული, რომ მისი ჩვეულებრივად ლმობიერი კალამი ლუარსაბისათვის ერთ შებრალების სიტყვასაც არ გაიმეტებს. თვით ლუარსაბის თავგანწირული მოქმედება აღნიშნულია, როგორც შედეგი სულის სიბეჩავისა და სიღატაკისა და არა როგორც გონებით გადაწყვეტილი მოქმედება. ავტორმა გადმოანთხია მთელი ზიზღი, რომელიც ჭასში აღუძრავს მსგავს მოვლენასა, ამგვარ შეუღლებას ორი არსებისას, რომელსაც „ცოლ-ქმრობას" ეძახიან. და ამ მოვლენის განკიცხვაში ქ-ნი გაბაშვილი სრულიად სამართლიან ნიადაგზე დგას. „ცოლის ძებნა", ისიც კიდევ განათლებული კაცისაგან, რაც, საუბედუროდ, ხშირია ჩვენში, ყოვლად შეუწყნარებელი და დასაგმობელი მოვლენაა. ლუარსაბები ისე ეძებენ

„ცოლს“, თითქოს მართლაც რაღაც გეშეფტი იყოს, თითქოს რაღაც მოსაგები ვაჭრობა იყოს, ცოლქმრობა თითქოს რაღაც მადანი იყოს, რომლის ძიება და პოვნა უეჭველად მოსაგებია და სახარბიელო. მაგრამ ავტორის აღშფოთება პოლემიკურ კილოს ღებულობს. ლუარსაბის მოქმედება იმდენად აჯავრებს მწერალ-ქალს, რომ მასზე მაღლა ვერაგ დედაკაცსაც კი აყენებს. ავტორი თითქო უფრო შენდობით ეკიდება ქალს, რომელსაც გარემოება იძულებულს ჰყოფს „ეძიოს ქმარი“ და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალს არავითარი ქალური აღარა აქვს და გაბოროტებული და გავერანებული ქმნილებაა, მაინც ლუარსაბზე უპირატესობას აძლევს, და ლუარსაბისთვის განგებისაგან შურისძიების იარაღად შექმნილად დაგვისახავს.

ნიჭიერი მწერალი, როგორც ნაზი აგებულების პატრონი ადამიანი, ყველაზე უფრო ადვილად უნდა აღაშფოთოს ცხოვრების მოვლენის უმსგავსოებამ და სიბინძურემ. მაგრამ, ამასთან ერთად, მაინც აღფურვილი უნდა იყოს იმ დიდებული და ღვთაებრივი სიმშვიდით, რომელიც ზიზღს აქარწყლებს სიბრალულით, სისასტიკეს მოსათმენად ჰხდის სამართლიანობით, ჯალათობას გადაატანინებს მსხვერპლს, რადგან მისი სიმკაცრე უმაღლესი სიყვარულის ნაყოფი უნდა იყოს და არა დამაბრმავებელი გაჯავრების. მწერალმა უნდა განსაჯოს, მაგრამ უნდა იყოს მოთმინებითა და სათნოებით აღსავსე მსაჯული. მწერალი უნდა აღშფოთდეს, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყოს, რომ იგი ბრალმდებელთან ერთად მსაჯულია და საქმის ვითარების ყოველი გარემოება უნდა აღნიშნოს. მწერალმა უნდა გადმოგვიშალოს თვალის წინ მოვლენის ის მხარე, რომელმაც მიიქცია მისი ნიჭის ყურადღება, ხოლო, რამდენადაც შესაძლოა, მოვლენის ყოველი კუთხე უნდა დაგვანახვოს, რომ სავსებით შევიგნოთ და გავითვალისწინოთ საგანი. თუ ასე არ მოიქცა მწერალი, მის ნაწარმოებში ხელოვნებას პუბლიცისტიკა გადააჭარბებს. ასე მოუვიდა ქ-ნ გაბაშვილს ამ მოთხრობაში, მაგრამ თუ მივაქცევთ იმას ყურადღებას, რომ მწერალი ქალი ასე მოიქცა იმიტომ, რომ მაღალი აზრითა და გრძნობით გატაცებული იყო და თავი ვეღარ შეიკავა, მის ამგვარ შეცდომასაც მადლობით მოვიხსენიებთ.

მოგახსენეთ, რომ მთავარი ძოტიკი ეკ. გაბაშვილის თხზულებისა, მისი ტონის მიმცემი, მისი საგალობელი სიყვარულია. ყოველივე, რაც ხელს უწყობს ამ გრძნობის განვითარებას, განცხოველებას — ავტორის თანაგრძნობასა და აღტაცებას იწვევს. ყოველივე, რაც ხელს უშლის ამ გრძნობის განხორციელებას, რაც წინ ეღობება მის გაფურჩქვნას, ავტორის მწარე მათრახებს ვერ გადაურჩა.

საკმარისია გადაიკითხოთ ეკ. გაბაშვილის რამდენიმე პატარა ეტიუდი, ანუ, უკეთა ვთქვათ, „ლექსი პროზად“, რომ დაინახოთ, რა დიდებულ საკურთხეველზე ჰყავს დასმული ეს გრძნობა, რა მოწიწებით სცემს თაყვანსა და რა გატაცებით ეკიდება მას.

წარმტაცი მაისის დილაა. „აივანზედ სდგას გადაყუდებული თექვსმეტის წლის განო და გადაჰყურებს ამ თავისავით უმანკო, მშვენიერს სურათს; მის თეთრ კისეის მსუბუქ კაბას დილის ნიავი აელვარებს, ნათელს აფრქვევს, მზისავე სხივებით განათებული წაბლის ფერი თმა ოქროს რკალივით გარს შემორტყმია იმის კეკლუცს თავს; წყნარი, სანეტარო, ტკბილი ღიმილი ოდნავ უპობს ვარდის ფერ ბაგეს პატარა განოს...

„რას გაუღვიძებია ასე ადრიან ეს ტურფა ბალღი? ვის უღიმის მისი ბაგე? რას ჩაუფიქრებია ამისი ნაზი ჟუჟუნა თვალები? რადა ჰგრძნობს მარტო დღეს ასე სავსებით ამ ბუნების მშვენიერებას? რად არის ასე გაორკეცებული ამისი ყნოსვა ვარდის შესახებ, რად ეუბნება იმისი პატარა გული ასე კარგად ბანს ბულბულის სტვენას, წყაროს ჩხრიალს, ნიავის თრთოლვას?

„მაისის ბრწყინვალე მზემ, მისმა ძალოვანმა თბილმა სხივმა, განოს გულის სიღრმემდისაც მიაღწია. ჩაანათა, გაათბო და იქ ააღორძინა, დააკოკრა და ააყვავა ის ტკბილი, უკვდავის სამოთხის ვარდი, რომელსაც სიყვარულის ნეტარებას ეძახიან“ („მაისი“).

სტილის დეფექტები რომ ხელს არ უშლიდეს, პირდაპირ ფსალმუნია, სიყვარულის საგალობელი. რა მშვენივრად შეუნიშნავს მწერალს, რომ ის ადამიანი, რომლის გულში სიყვარულია „აყვავებული და დაკოკრებული“, „სავსებით ჰგრძნობს ბუნების მშვენიერებას“, „გაორკეცებულია მისი ყნოსვა“, მისი გული ძალზე აჩქროლებულია და „ბულბულის სტვენას ბანს ეუბნება“.

ანდა კიდევ: „სრული დუმილია ჩემს გარშემო. არ იძვრის სიო, არ იძვრის მკერდი ადამიანისა, მხოლოდ ბუნებას მშვენიერს, მდიდარს, ტურფად მოკაზმულს, ვუმზერ და ვუმზერ. მთლად გამიტაცა სურათმა ვრცელმა, დიადმა, აღარ მაქვს ღონე თვალი ვაშორო მშვენიერ მხარეს, კაცთა სამფლობელოდ და სასიხარულოდ უფლისაგან გაჩენილს...

„ცა და ქვეყანა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება და ამ ზაფხულის მშვენიერს დილას ბედნიერებისა და მყუდროების სამყაროდ ხდიან.

ვდგევარ და ვსტკბები, ვსტკბები და ვდგევარ ამ დიდების, მშვენიერების, გონ-უწვდენელის უფლის ქმნილების სამოთხის წინა. თვალნი ჩემნი არ იღლებიან, გონება ჩემი კმაყოფილია, სული აღტაცებული... მხოლოდ კი გული რაღაცას ელის, ელის და ელის. რას ელის, რად ცალიერობს გული წყეული, როდესაც თვალი, სული, გონება კმაყოფილია? რა აკლია სრულსა სამოთხეს ამასა? — შენ, შენ სატრფოვ გულისავ, შენ, გვირგვინო ყოველის ნეტარებისავ, დიდების, სიმდიდრის, სიმშვენიერის, შენ, სიყვარულო, ტკბილო, უებრივ კაცთ სურვილებთა შორის.

„შენ გეძიებს გული საპყარი ყველგან, სადაც კი სიცოცხლე სუფევს, სადაც კი მეფობს მშვენიერება და აი, ბოლოს იქ შორს, შორს სადღაც, ნათელის შუქით გარს-შემორტყმული, მთის კალთებზედა, ზურმუხტთა შორის, შენ მე გიხილე და მხოლოდ მაშინ და უნაკლულოდ ვცან ნეტარება, ბედნიერება და სიხარული... მუხლთ მოვიდრიკე, ხელს გეამბორე და მხოლოდ მაშინ ვცან სამოთხე, ზეცამდის ამაღლებული“.

და ყოველთვის, რანაირიც არ უნდა იყოს ბუნება, — შემოდგომა იქმნება, თუ ზამთარი, — როგორი გატაცებულიც არ უნდა იყოს პოეტის გული ბუნების სანახაობით, ერთი რამ აკლია, ერთ რასმეს ეძებს, რასაც მხოლოდ შეუძლია შექმნას მისი ნებათა სრულყოფა— ეს სიყვარულია, და მარტო მაშინ იქცევა ზეკაცად მგოსანი, მარტო მაშინ დაუახლოვდება ღვთაებას, როცა ამ აღმაფრთოვანებელ გრძნობას განიცდის.

ეკ. გაბაშვილი ერთთავად პოეტია და პოეტი-რომანტიკოსი, თუმცა რომანტიკოსი ახალი ტიპის, ყაზბეგის სკოლისა. და ამიტომ მარტო სიყვარული როდი იპყრობს მის ყურადღებას. ადამიანსა და

ბუნებას შორის არსებული განწყობილებაც თავისი პოეზიის საგნად გაუხდია.

თუ სიყვარული სანეტარო რამედ მიაჩნია, სიტკბოების მომნიჭებლად, რომლის განაყოფიერებას მარტო „ბრიყვი ადამიანი“ უშლის ხელს, თუ სიყვარულში ავტორი არცერთ მტანჯავ მხარეზე არ შეჩერებულა, თუ მის გარშემო არცერთი ეკლის შემჩნევა არ მოუსურვებია, ბუნებაც მისთვის ასევე მწყალობელია და ნუგეში კაცისა, მისი მეგობარი და მოყვარული; „ბუნება მშვენიერი, მდიდარი, ტურფად მოკაზმული... მშვენიერი მხარე, კაცთა სამფლობელოდ და სასიხარულოდ არის უფლისაგან გაჩენილი... ცა და ქვეყანა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება და ამ ზაფხულის მშვენიერს დილას ბედნიერებისა და მყუდროების სამყაროდ ჰხდიან“.

„გულგატეხილი, თვალცრემლიანი, სულით უძლური“, ცხოვრების უმსგავსოებისაგან განაწამები პოეტი მარტო ბუნებაში ჰპოებს დაწყნარებასა და დამშვიდებას.

„დილის რიჟრაჟზედ და როდესაც აღმოსავლეთი პირის ფერადა შეღებილიყო ამომავალის დღის მნათობითა, იმ დროს, როდესაც ყველა სულდგმული ხმას იღებს ღვთის სადიდებლად, იმ დროს, როდესაც ყველა სნეული, ყველა უძლური ჰგრძნობს სულის შვებას, (პოეტიც) დავრდომილი, განთიადისა მოწყალებით ღონეშესხმული... უნებლიეთ მუხლს მოიყრის ტურფა ტაძრის წინაშე“.

და ასე, ამგვარად ყოველთვის, როცა წუთისოფელი თავის საშინელ, შეუბრალებელ მუხრუჭს მოუჭერდა მგოსნის გონებას, „მიაშურებდა იმ ტურფა მთას, სადაც პოვა ძველი ტაძარი და სულსა ტანჯულს აძლევდა შვებას; (მისი) ყური დამტკბარია ბუნების უძლიერესის ჰარმონიით და თვალნი აღტაცებულნი ტურფა სურათით განისვენებდა ბედნიერებით“.

ყოველთვის და ყველგან ბუნება ადამიანის კეთილისმყოფელია, მისი მფარველი, მის სანეტაროდ შექმნილი, რომ თვით ადამიანი არ ამახინჯებდეს და არ თელავდეს უსირცხვილოდ ბუნების წყალობას.

აჰა, მთელი სიმფონია ბუნების ჰარმონიისა: „რიჟრაჟია. მზის ბრწყინვალე სხივებს ოდნავ ამოუყვიათ თავები შორეულ მთების ზოლიდგან და ალისფერი პირ-ბადე გადაუფარებიათ არე-მარესათვის. პირ-ბადის ქვეშიდგან, უმანკო პატარძალივით, მკრთალად გამოჰსჭვივის ტურფა სურათი გაზაფხულისა და კაცის გულსა სიტკბოებით და სინაზით ავსებს, გონებას აოცნებებს, სიცოცხლეს ასულ-

დგმულებს. დილის ნიავქარი ოდნავ არხევს სურნელოვანებით შეზავებულს ჰაერს და ხის ფოთოლნი ამ რხევაზედ ჰარმონიულად ბიბინ-შრიალებენ. ანკარა ჩახრიალა ღუღუნ-ჩუხჩუხებს და მის გარშემო ატეხილ ვარდნარზედ ბულბული უშტვენს დაბლა, დაბლა, განაბულის ხმით, თითქოს ეშინიან, რომ ბუნების მშვენიერი გამოღვიძება მეტის ხმაურობით არ დაარღვიოს, სინაზე და ლმობიერების ჰანგი არ შეეშალოს. აი შორიდგან მოისმა წყნარი, გულსაკლავი, მკვნესარი სალამურიც!"

და არა თუ გარეგნულად, ობიექტურად, განყენებულად, პასიურად, ბუნება აქტიურადაც ადამიანის გულმოწყალე მეგობარია. ხომ გახსოვთ: „მაისის ბრწყინვალე მზემ, მისმა ძალოვანმა თბილმა სხივმა, განოს გულის სიღრმემდისაც მიაღწია. ჩაანათა, გაათბო და იქ ააღორძინა, დააკოკრა და ააყვავა ის ტკბილი, უკვდავის სამოთხის ვარდი, რომელსაც სიყვარულს, ნეტარებას ეძახიან".

ბუნების მოვლენას, ისეთ საშინელს და თავზარდამცემსაც. როგორიც სიკვდილია, უპირატესობა აქვს ჩვენი ავტორის თვალში ადამიანთა გულქვაობასთან შედარებით. არა ერთი და ორი მისი მოთხრობის გმირი, საზოგადოების უსამართლობისაგან ხსნას ამ ყოვლის გამასწორებელ მოვლენაში ეძიებს; პავლე მაროს საუკუნოთ შეერთებას მარტო სიკვდილის შემწეობით აპირებს „თუ აქ არა, იქ ხომ შეეყრებით ერთმანეთსო", ჩასტუტუნებდა მისგან უსულოდ ქცეულ მაროს და მხურვალედ ჰკოცნიდა" („რომანი დიდხევაში"). კონამ სიკვდილში პოვა განთავისუფლება, „საზარელი, მაგრამ ნამდვილი და საუკუნო". ქუჩე თავის ბავშვს, სიყვარულის ნაყოფს, მიწაზე დაანარცხებს, ვინაიდან სიკვდილში ეძიებს ხსნას მისთვის: „მინდოდა — იმისთვის ამეცილებინა ჩემი ბედი და იმის სიკვდილით შემემოკლებინა ჩემი მწარე დღე. მე მინდა, რომ მომკლათ, ამ წუთისოფელს მომარჩინოთ". შაქროც სიკვდილს მიაშურებს, ვინაიდან „უნამუსო სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს, უნამუსო სიცოცხლე კი მისთვის უსიყვარულოდ სიცოცხლეა, ანგარიშით ცოლის შერთვა, საყვარელის გაუბედურებულის ადელის ზურგის შექცევაა („ნათლის ღება ღამეს"). „სიკვდილი. მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხლებს საშინელს სურათს და გაახსენებს სოფლის ამაოებას". და სიკვდილის შემწეობით საწყალი თინა თავის ობლებს ლუკმას გაუჩენს. აქ, ბუნებისა და ადამიანთა კრებულის, საზოგადოების ამგვარ დაპირისპირებაში, თავისებური რომანტიკაა, ერთგვარი

რევოლუციონიზმია რუსსოს მანერისა. როცა მწერალი სიკვდილსაც კი, ამ ყოველივეს მომსპობელს, გარჩევინებს ცხოვრებაზე, ის გინერგავს ზიზღს ამ ცხოვრებისადმი, გაძაგებს საზოგადოებას, ამნაირი ცხოვრების შემქმნელს და გულს აღშფოთებით გივსებს და მთელს შენს არსებას პროტესტით გიჟღენთავს.

4

სამი მოთხრობა აქვს ეკ. გაბაშვილს, კარგა მოზრდილი მოთხრობა, რომელიც მშრალ-მშრალი ტენდენციითაა დამახინჯებული, მწერლის გონების ნაწარმოებია და მის შექმნაში მის გულს ძალიან ცოტა მონაწილეობა მიუღია. ასეთია „თამარის ნუგეში“, „სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა“ და „გამარჯვებული ნიკო“. ესენი პუბლიცისტური მოთხრობები არიან, რომლებშიც აქა-იქ თუ შეხვდებიო ხელოვნების კვალს, და ეს მარტო იქ, როცა საქმე ავტორის რჩეულ და მოწონებულ საგანზე მიდგება ხოლმე (მაგ., იასონისა და ლიზას დამოკიდებულება — „გამარჯვებულ ნიკოში“). აქ გამოაშუქებს ხოლმე ეკ. გაბაშვილის სანდომიანი ხელოვნური ნიჭი. მისი იასონ ჯამბადრუკიანი („გამარჯვებული ნიკო“), მისი გიორგი ედიშერაშვილი („თამარის ნუგეში“), მისი ლევენ მთიშვილი („სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა“) გახლავთ დიდი მამულის მეპატრონეები. ისინი, ამა თუ იმ შემთხვევის ზეგავლენის ქვეშ (პირველ ორში უიმედო და დაუკმაყოფილებელი სიყვარულის გრძნობის შედეგია, მესამეში კი — სიმღერის ზეგავლენისა) გადასწყვეტენ თავთავიანთ მამულს მოუარონ, სოფელში დასახლდნენ და სოფელსაც რაიმე სარგებლობა მოუტანონ: სკოლის გახსნით, სამაგალითო მეურნეობის შემოღებით და სხვა ამგვარებით. აღსანიშნავია, რომ სამივე ეს მოთხრობა თითქმის ერთსა და იმავე დროს არის დაწერილი (1894—95 წ.წ.). ამ დროში ამგვარი ტენდენციები, ამგვარი ვაჟბატონების იდეალად დასახვა, როგორღაც დროის შეუფერებელი გახლავთ. 1894—95 წლებში, ასე იყო, თუ ისე, მთელი რუსეთის საზოგადო ცხოვრებას (მაშასადამე ჩვენსასაც) განახლების, განთავისუფლების სიომ დაჰბერა. იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალება შეიქნა იმ სასტიკი რეაქციის დასასრულად, რომლის განხორციელება ისეთი თავგანწირულებით იკისრა განსვენებულმა ხელმწიფემ. ყველამ იგრძნო, რომ ამ ხელმწიფესთან ერთად რეაქციას ეცლება უდიდესი და უძ-

ლიერესი ბურჯი, და ეს შემდეგმა ამბებმაც ცხადჰყვეს. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ვითომ ერთ კაცს, არა თუ ისეთ ჩვეულებრივს, როგორიც იყო განსვენებული იმპერატორი, არამედ თუნდაც ნაპოლეონ პირველის და ალექსანდრე მაკედონელისთანა ხელმწიფეს შეეძლოს ისტორიის წაღმა-უკუღმა თავის ნებაზე დატრიალება, თვინიერ ზოგიერთი პირობებისა. მაგრამ, შემთხვევით, ალექსანდრე III-ის სიკვდილი სწორედ რეაქციის აღსასრულთან ერთად მოხდა. ამ ხანაში კი ამგვარი ტენდენციების მოთხრობები უადგილო იყო. მით უმეტეს არ იყო დროის შესაბამი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვეთრმა და დიდებულმა კალამმა ასეთი ხალხის მესვეურნი, — მებატონეები უკვე თითქმის ათი წლის წინათ დაგმო არჩილის სახეში („ოთარაანთ ქვრივი") და საძარცხვინო ბოძზე გააკრა მათი უნიადაგო ლიბერალიზმი. ამგვარი პუბლიცისტიკა მეტად მოძველებული გახლდათ იმ დროს, როცა ჩვენში უკვე უკიდურესმა სოციალისტურმა და დემოკრატიულმა აზრებმა მოიკიდა ფეხი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს სამიოდე მოთხრობა როგორღაც კენტად დარჩა ეკ. გაბაშვილის ნაწერებში და შემდეგში მან განაგრძო თავისი გზა სიყვარულის დიდებისა და საზოგადოების კლანჭებისაგან პირადობის ღაფარვისა. და ამ ნიადაგზე ისეთი საუცხოო ნიმუში მოგვცა. როგორიცაა „ჯვარს აცვით, ჯვარს აცვით". საკმარისია ეს პატარა მოთხრობა გადაიკითხოთ, რომ მთელი სულის ლტოლვა ჩვენი მწერალი-ქალისა თვალ წინ გადაგეშალოთ. 30 წლის მოღვაწეობის შემდეგ, ამ მოთხრობაში, იგი ისეთივე გატაცებული, ისეთივე თავგამოდებული, ისეთივე გულფიცხი დამცველია ადამიანის „წმინდა, მაღალის ღვთაებრივის გრძნობისა", რომლისთვისაც წამებული და ტანჯულია ადამიანი დღევანდელ პირობებში, საზოგადოების, ოჯახის, ნათესაობის, წოდების, სარწმუნოების და სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინსტიტუტის უსამართლო და უაზრო მოთხოვნილების გამო.

აი, ასული ახალგაზრდა მელანია, ლამაზი, სიცოცხლით აღსავსე, რომელიც საზოგადოების გულზვიადობამ, „ადამიანის სიბრიყვემ" თავის დახრჩობამდის მიიყვანა. იმავე საზოგადოებამ, თავის გასართობად და თავისი ვითომდა კეთილი გრძნობების გამოსაფენად, მისგან განწირული ეს ადამიანი ერთი ორი წუთით სიკვდილს გადაარჩინა, ერთი ორი წამით განუგრძო მისი ტანჯული და ვაებით აღსავ-

სე ცხოვრება. აბა, მოისმინეთ უკანასკნელი ბრალმდებელი კვნესა ამ მშვენიერი, საზოგადოების ცრუმორწმუნეობის უსამართლო მსხვერპლისა: „მე მდევნიდა ყოველი, ვისთანაც კი რამე დამოკიდებულება მქონდა, ვისაც კი რაიმე შეეძლო ევნო ჩემთვის, სურდა ტალახი მოეცხო ჩემი სახელისათვის: დედამ დამწყევლა, დამ საქვეყნოდ შემაჩვენა და ურცხვი მიწოდა; ძმამ, ერთადერთმა ნუგეშმა და მეგობარმა, მახვილი აღიღო და გაჰგმირა ის კაცი, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული ჰქონდა, რომ მე მიყვარდა, თაყვანს ვსცემდი, გაჰგმირა იმისათვის, რომ ის იყო ერთადერთი არსება, რომელიც ვიწამე ადამიანად და რომელსაც მივანდე ჩემი გულის პასუხი, ჩემი უმანკო გრძნობა, ჩემის სიცოცხლის ძარღვის ცემა და ვისიც მონობა ვიკისრე! გაჰგმირა ის, ვისითაც ვსულდგმულობდი... მაწამეს ამისათვის, რომ წმინდა, მაღალმა, ღვთაებრივმა გრძნობამ დაისადგურა ჩემ არსებაში! მდევნიდენ იმისთვის, რომ მიყვარდა, მდევნიდნენ და ჯვარს მაცვეს იმისათვის, რომ ცხად ვყავ და გავიბატონე უწმინდესი გრძნობა. საქვეყნოდ აღვიარებ, რომ ვარჩევ კაცთა სიძულვილს ერთის არჩეულის კაცის სიყვარულისათვის და ჯვარს მაცვეს ამ გაბედულობისათვის... ნუ თუ კანონი, კაცთაგან დადგენილი, უმაღლესია ღვთისაგან მოვლინებულს კანონზედ? ნუ თუ რაც ჩასახა კაცის გულში ბუნებამ, ის უნდა ამოჰფხვრას ადამიანის ავგულობამ, წესთა და ჩვეულებათა ბატონობამ და მათმა გაველურებულმა ჩვეულებამ?“ აქაც მელანიას უბედურების მიზეზად ასეთი უმსგავსო, ხანსგადასული წესი შეიქნა, რომელიც ორ დას უკრძალავს ორი ძმის ცოლად გაყოლას. მელანიას შეუყვარდა თავისი დის მაზლი და რადგან კანონიერად მასთან შეუღლება შეუძლებელი იყო, დაესაკუთრა მას და თავისუფალი კავშირით შეეკრა. ამის გამო საზოგადოება აყაყანდა. ქრისტეს სათნო მცნების წარმომადგენელი მღვდელიც კი ძლივს გაბედავს სიკვდილის წინ შესანდობარი, სანუგეშო სიტყვა უთხრას ბედკრულ მელანიას, თუმცა კარგად იცოდა, „რომ მელანია მხოლოდ მსხვერპლი იყო იმ გარემოებისა, რომელსაც შეძლებულნი და ბედნიერნი ამა ქვეყნისანი თავისს საბედნიეროდ და სასიხარულოდ გამოიყენებდა; იცოდა, ხშირად კანონს უცვლელსა და შეურყეველს როგორ შესცვლის ხოლმე ძლიერი ოქრო და ამა ქვეყნის ძლიერთა ერთმანეთთან კავშირი და დახმარება, მაგრამ...“, მაგრამ ქრისტეს სჯულის მოციქული მეტს ვერას ახერხებს და მოძღვრის იმ სიტყვებს იმეორებს მელანიას შესახებ, რომელიც

სულ სხვა ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა შესახებ იყო ნათქვამი: „შეუნდე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმნანო“.

საზოგადოებისა და ინდივიდუმის დაპირისპირების მხრით, საინტერესოა ერთგვარი პარალელი გავიყვანოთ ა. ყაზბეგისა და ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებთა შორის. ა. ყაზბეგიც ინდივიდუალისტია და რომანტიკოსი. იგიც დამცველია პირადი უფლებისა, სიყვარულის მაღალი გრძნობისა. მაგრამ ა. ყაზბეგისათვის თემი არის ისეთი თაყვანის საცემი საგანი, ისეთი წმინდა, ისეთი დიდებული რამ, რომ ყოველთვის ქედს იხრის მისი ბრძანების, მისი სურვილის წინაშე. და თემი ხომ იგივე საზოგადოებაა, თავისი ჩვეულებების სასტიკი მოთხოვნილებით, თავისი ულმობელი ტრადიციით. მაგრამ თემის განკარგულება უცოდველია ა. ყაზბეგის ცვალში: თემი ყოველთვის ლმობიერია, როცა საჭიროა და სასტიკი თავის დროზე; თემი ანგარიშს უწევს პირადობას, მის კანონიერ და შესაწყნარებელ მოთხოვნილებას. ამგვარად, თემი თავის მოქმედებაში, თითქო უფრო ელასტიურია, თემსა და მის წევრებს შორის არსებობს უფრო განუწყვეტელი, მტკიცე კავშირი, ვიდრე დღევანდელ საზოგადოებასა და პირადობას შორის. ეს ასეც უნდა იყოს. თემი ხომ პირვანდელი ტიპია საზოგადოებისა და იმ დროს, დასაწყისში საზოგადოების, ჯგუფის წევრთა შორის უდავოდ უფრო მეტი თანხმობა იყო, უფრო მეტი ერთსულოვნება, ერთ აზროვნება და ერთ ფეროვნება იყო. თან და თან ხდება დაქსაქსვა საზოგადოების შემადგენელი ნაწილებისა და ეს დაქსაქსვა ღრმა გათიშვამდე მიაღწევს.

სხვა მიზეზიც არის, რომლის გამოც თემი ა. ყაზბეგისათვის წმინდა და ხელშეუხებელია, თუმცა ყაზბეგიც გულწრფელი და მედგარი დამცველია პირადობის უფლებათა, განსაკუთრებით იქ, სადაც ინდივიდუმისა და საზოგადოების ინტერესების შეტაკება დღევანდელ პირობებში ხდება („განკიცხული“). თემობის წეს-წყობილებას ა. ყაზბეგი ადარებს ახალ პირობებს, ახალ „სულს“. რომელიც საქართველოში, მთაში შემოიტანა ახალმა პოლიტიკურმა კომბინაციამ, რუსეთის მმართველობის დამყარებამ.

ყაზბეგი სოციალურსა და ნაციონალურ პრობლემას აქცევს ყურადღებას და იკვლევს იმ შედეგს, რომელიც მოჰყვა ხალხის მიერ საუკუნეობით შეთვისებული ზნე-ჩვეულების უეცარ შეცვლას, ხალხის ძველისძველ რწმენათა შეტაკებას ახალ მდგომარეობასთან. რასაკვირველია, აქ თემის დაცვას, თემისთვის სიმპატიის გამოცხადე-

ბის საჭიროებას მოითხოვდა არა მხოლოდ მწერლის მთელი მეთოდი; ეს თავისთავად სინამდვილე და ჭეშმარიტება იყო, და არა მარტო სინამდვილე ხელოვნური, არამედ სინამდვილე და ჭეშმარიტება ისტორიული და სოციოლოგიური. აქედან წარმოსდგა თითქო ასეთი წინააღმდეგობა მის წარმტაც ნაწარმოებში: ერთის მხრით დაცვა პირადობისა, ინდივიდუალიზმი ცხადი და ნათელყოფილი, მეორეს მხრით კი საზოგადოებრივი პრინციპის მოსარჩლეობა თემის სახეში. ეკ. გაბაშვილი კი სულ სხვა გზას ადგია. არავითარ გარეგან, განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობას ყურადღებას არ აქცევს. იმისათვის საინტერესოა მხოლოდ ერთადერთი საგანი: პირადობის უფლებათა შელახვა საზოგადოებისაგან. ამ საგნის გარშემო იგი არავითარ ნაციონალურსა და სოციალურ საკითხს არ გაშლის; თქმა არ უნდა, დროისა და გარემოების გავლენა ამ მოვლენასაც ასვამს თავის წარუხოცელ დაღს; მარტო საქართველოში და ისიც საქართველოს მიყრუებულ სოფელში, გაუნათლებელ, სიბნელეში ჩაფლულ „სოფელში“ იყო შესაძლო ქალ-ვაჟი იმიტომ დაეშორებიათ, რომ რაღაც შორეული მოყვრები იყვნენ („რომანი დიდხევაში“), ანდა იმიტომ, რომ ვაჟი ნაშვილები ჰყავდათ ბშობლებს („ბეჩავის სიყვარული“,) ანდა იმიტომ, რომ უფროს ძმას უფრო ადრე უნდა შეერთო ცოლი („გურგენაულის ბაბო“). ყოველ ამ შემთხვევას როგორღაც სიმბოლიური მნიშვნელობა ეძლევა — იგი საზოგადოების ჯაჭვების გამომსახველია; სულ ერთია რა ჩვეულებას, რა წესს, რა მოთხოვნილებას წამოუყენებს საზოგადოება პირადობას მისი თავისუფლების ასალაგმავად, მისი ნების შესაბოჭად: დღეს ეს მოყვრობა იქნება, ხვალ — ნათესაობა, ზეგ — გვარისშვილობა და წოდება, მერე კიდევ ქონებრივი ანგარიშები. თავი და თავი საქმე აქ ის არის, რომ პირადობა თვით უაღრეს, თვით არსებით მის მოთხოვნილებაში შეკრულია და შეზღუდული საზოგადოების სხვადასხვა მოსაზრების წყალობით.

ეკ. გაბაშვილი თავისი წერის კილოთი, სტილით, მანერით, თავისი მიმართულებით ეკუთვნის იმ ბრწყინვალე სკოლას. რომელსაც თავში უდგას ალ. ყაზბეგი.

მართალია, ეკ. გაბაშვილის პირველი ნაწერი თითქმის ათი წლით უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე ყაზბეგის პირველი ნაწერი, მაგრამ ის ნაწერები ეკ. გაბაშვილისა, რომელიც მისი ნიჭის თვისების გამომსახველია თითქმის ერთსა და იმავე დროშია დაწერილი, რომელსაც ეკუთვნის ყაზბეგის ნაწერები (ოთხმოციან წლებში).

ესეც რომ არ იყოს, ამა თუ იმ ლიტერატურული სკოლის, მიმართულების მამამთავრად ის უნდა დაისახოს, რომელშიც ყველაზე უფრო მკაფიოდ და ნათლად არის გამოსახული ამ სკოლის თვისებანი. ამ შემთხვევაში ასეთი მწერალი ამ ჯგუფისა — ალ. ყაზბეგი იყო. იმ დროში, როცა ეს სკოლა გაბატონდა, ჩვენში რეალიზმმა უკვე თავისი ხანი მოიჭამა და უფერულსა და უშნო ნატურალიზმს დაულოცა ადგილი. ამ დროში (ოთხმოციან წლებში) ევროპაში ყველგან დაიწყო რეაქცია ნატურალიზმის წინააღმდეგ. ჩვენშიაც ლიტერატურამ ფერი იცვალა, გადაგვარებული რეალიზმის ქერქი გამოიცვალა და სხვა გზას დაადგა: ეს გახლდათ ნეორომანტიული მიმართულება ლიტერატურაში. მწერლობამ ცხოვრების მშრალი ოქმების შედგენას თავი გაანება, თავს იდვა მოვლენათა იმგვარი გამოსახვა. როგორადაც ეს ეჩვენებოდა მათ ნიჭს, მათ პოეტურ ფანტაზიას. მწერლობა შეიქნა ისევ მწერლის პირადი განწყობილების, პირადი გრძნობების, სევდა-ვარამის, ფიქრისა და ლტოლვის, იმედებისა და მოლოდინის გამომსახველი. რასაკვირველია, ბევრი რამ შეისწავლა რეალური სკოლისაგან: შეისწავლა ცხოვრების დაკვირვება, ამა თუ იმ მოვლენის ნამდვილ მიზეზთა შესწავლა; შეისწავლა ისტორიული და სოციოლოგიური კანონებით ხელმძღვანელობა „მოვლენათა დაფარული კავშირის“ ასახსნელად.

ეკ. გაბაშვილი ყოვლად პატივცემული და ღირსეული დამამშვენებელი იყო ამ სკოლისა. ეკ. გაბაშვილის მოთხრობების ყველა სიუჟეტი ცხოვრებიდან ამოგლეჯილია, ყველა თრთოლვით აღსავსე, ცხოვრების ნაფლეთია. გადაიკითხეთ აბა „თინას ლეკური“. ამგვარი სურათები ჩვენი უკანასკნელი დროის ლიტერატურაში მხოლოდ და მარტო ეკ. გაბაშვილს შეუძლია მოსძებნოს და თავისი ნიჭის შუქი მოაფინოს. მხოლოდ ეკ. გაბაშვილის ლმობიერებით აღსავსე მუზას შეუძლია სადღაც მიყრუებულ სოფელში მოსძებნოს ასეთი გულის მომწველი, მაგრამ თანაც გულის დამაამებელი და დამამშვიდებელი სურათები. მხოლოდ ეკ. გაბაშვილის ნიჭს შეუძლია გაისარჯოს და თავი შეიწუხოს გიორგობისთვეში, როცა „სუსხი ძვალსა და რბილში უვარდება კაცს და სიცივით ჰკუნტავს“, მიადგეს „მარტო თინას გაცივებულ კერას“, და ასეთი მრავალგვარ გრძნობათა აღმძვრელი სანახაობა დაგვანახვოს და თვალწინ გადაგვიშალოს. მხოლოდ ეკ. გაბაშვილის გრძნობიერებით შემკულ ნიჭს შეუძლია ასეთ ამბავს მოგვიყვეს, არა იმიტომ მხოლოდ, რომ კაცობრიობას დაანახვოს

ჭარტო მისი პირუტყვობისა და სიბინძურის მაგალითი, საბრალმდებლო ოქმი შეუყენოს და ზარითა და ზეიმით ადამიანზე იერიში მიიტანოს, არამედ იმიტომაც, აჩვენოს, — თუ რა განძი და საუნჯე მოიძებნება კაცობრიობის ზოგიერთ წარმომადგენელში, თუ რა ზღვაა ტანჯვისა და სიკეთისა, ღვთაებრიობისა და ზეკაცობისა ზოგიერთი ადამიანი. და ამ კეთილის ძიებამ ტყუილა როდი ჩაუარა ავტორს.

ამ პატარა მოთხრობით ავტორმა შედევრი შექმნა, შედევრი მოთხრობისა, რომელშიც უხვად არის გაბნეული სინამდვილის სურათები და სინამდვილითვე (რაკი უამისოდ აღარა გვწამს რა) აღსავსე საუცხოო ფსიქოლოგიური მომენტები. ასეთ გრძნობიერსა და ლმობიერ ნიჭს, რასაკვირველია, შეფერის ის, რომ ქვეყნის უსამართლობისაგან დაჩაგრულთ თავისი მფარველობა და თანაგრძნობა გაუწიოს. მაგრამ მარტო ამაზე როდი შემდგარა ავტორის გულმოწყალეობა. ავტორის სურვილი „მკვდრისა და გამხმარი გულის“ განცხოველებისა და გაადამიანებისა აქაც კი ჰპოვებს ადამიანობას, კაცობრიობის იმ ნაწილშიაც, რომელიც უფრო მტანჯველთა გულს ეკუთვნის და მჩაგვრელთა ჯგუფს: „იატაკზე გაშეშებული ეგდო სათამაშოდ ხელებ-გაშლილი, თვალებდაჭყეტილი, საოცარის ტანჯვით ჯვარცმული თინათინი და თავისის საზარელის შეხედულებით იქ მყოფთა გულში რაღაც ტკივილს, რაღაც სინიდისის ქეჯნას იწვევდა“. რასაკვირველია, ეკ. გაბაშვილს თავის დღეში არ დაუდვია აზრად უფერული ყოველდღიური სინამდვილის აღწერა, იმის გამოხატვა, რაც ყოველ ნაბიჯზე წინ შეგეფეთება; თავის დღეში არ გამოუანგარიშებია მოვლენათა რაოდენობა ცხოვრებაში და იმით არ უხელმძღვანელებია, თუ ეს და ეს შემთხვევა უფრო ხშირია, თუ ისა. წინააღმდეგ, იგი უფრო იშვიათ მოვლენას ეტანება, ისეთ მოვლენას, რომელიც ყოველმხრივ შესაძლებელია, მაგრამ ჩვეულებრივი, შაბლონური არ არის, ანდა ამგვარ მოვლენაში ისეთ მხარეს შენიშნავს, რასაც უბრალო მომაკვდავი ვერც კი გაიგებს.

განა ხშირად შეგხვედრიათ ისეთი ამბავი, როგორიც „კონაშია“ მოთხრობილი, გინდ „ორენასა და ქუჩეში“, გინდ „რომანში დიდხევაში“, გინდ „თინას ლეკურში“? მაგრამ განა ყოველ მათგანში მოთხრობილი თვით ცხოვრება, ცხოვრების ნაგლეჯი არაა? განა ცხოვრების გარეშე მათ ადგილი აქვთ? რასაკვირველია, ამ ამბების ახსნაში ავტორს შეაქვს თავისი „მე“-ს აზრი, ფიქრი და გრძნობა. თავის აღფრთოვანებასა და აღელვებას ვეღარ გვიმალავს, როცა რა-

მე გააჯავრებს, თავის მწერლურ პირადობას ნიადაგ შეგვამჩნევინებს ხოლმე, მაგრამ ეს ხომ ქ-ნი გაბაშვილის წერის კილოსა და მანერის, რომანტიული მანერის დამასურათებელია.

ამასთან, ეკ. გაბაშვილი მოურჯულებელი იდეალისტია — ამ სიტყვის ძველი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ე. ი. ეკ. გაბაშვილს სწამს შეურყეველად, სწამს ღრმად, სწამს ფანატიკურად, რომ ადამიანი ყოველი სიკეთით აღსავსეა, რომ იგი სიხარულისა და ბედნიერებისთვისაა შექმნილი, რომ იგი სანეტაროდაა გაჩენილი, ხელს რომ არ უშლიდეს საზოგადოება, თავისი უცნაური, მოუხეშავი წეს-წყობილებით, თავისი დახავსებული, მკაცრი, უაზრო კანონებით, ზნე-ჩვეულებებით, თავისი „ბრიყვი“ მოთხოვნილებით. თავის დღეში თქვენ ვერ დააჯერებთ ეკ. გაბაშვილს, რომ ადამიანის ბედ-იღბალში, მის ხვედრში, საზოგადოების ჯაჭვების გარდა მნიშვნელობა აქვს თვით პიროვნების ვნებათა ღელვას, მის მიდრეკილებას, მემკვიდრეობით შეძენილ მის სულიერ და ფიზიოლოგიურ, ხორციელ ავლადიდებას. ხოლო როდესაც გამოჩნდება მწერალი, რომელიც მთელ თავის ლახტსა და იარაღს სწორედ პირადობის ნაკლულევანებათა შესამუსრავად მოიმარჯვებს, როდესაც ასეთი მწერალი თავისი მკაცრი ნიჭით და სასტიკი კალმით დაგვისურათებს ადამიანთა გახრწნილებისა და გავერანების შემზარავ სურათებს; როდესაც ასეთი მწერალი მთელი თავისი ნიჭით მიწაზე გაანართხებს ადამიანს, მისი ვნებით, აზრით, ფიქრით და ოცნებით და მისი არსების მოშხამულ წყაროს დაგვანახვებს, ეკ. გაბაშვილი ამას პირად შეურაცხყოფად მიიღებს, მთელ პოლემიკას გაუწევს და მოთხრობასაც კი უძღვნის („ეფროს დღიურიდან“). ამ მოთხრობაში ეკ. გაბაშვილი, შ. არაგვისპირელის გამოსაჯავრებლად, იდეალური, დაუსრულებელი, ღვთაებრივი სიყვარულის, ძლევამოსილების დასურათებას მოიწადინებს... მაგრამ... შ. არაგვისპირელი ამჟამად უფრო მტკიცე ნიადაგზე იდგა და ქ-ნ გაბაშვილის ეს მოთხრობაც სუსტი გამოდგა. სხვა არა იყოს რა, იმ დროს როცა შ. არაგვისპირელის სკოლა გაბატონდა ჩვენს ლიტერატურაში, ამისთანა კილოს ნაწერები როგორღაც მოდიდან გამოსულად უნდა ჩაგვეთვალა. ასე იყო თუ ისე, შ. არაგვისპირელი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, იმ ბრძოლიდან, რომელიც გაუმართა მას ლიტერატურის იდეალისტური მიმართულების წარმომადგენელმა. და ჩვენს დროში სიყვარულის ისეთი ახსნა, ისეთი გატაცებული გაღმერთება სიყვარულისა, როგორც ეს ქ-ნ გაბაშვი-

ლის ნაწარმოებშია, თითქმის წარმოუდგენელია და ამიტომ ვერავინ ვერ მიიღებს მას. შ. არაგვისპირელი უფრო ახლოს დგას ჩვენი დროის სინამდვილესა და ჭეშმარიტებასთან, თუკი ერთი წუთით დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ყოველ დროს თავისი შესაფერისი სინამდვილე და ჭეშმარიტება აქვს და თუ ეს აზრი ყველაზე უფრო ხელოვნებაში მართლდება.

მაგრამ თავის დღეში ეს ხელს ვერ შეუშლის ვერავის, ვისაც გულში უფეთქს ადამიანის ტანჯული გული, ვისაც სიყვარული აქვს ჩვენი მწერლობისა და ენისა, თაყვანისცემით მოიხსენიოს იმ მწერლის სახელი, რომელმაც ორმოცი წლის განმავლობაში არ დაჰკარგა რწმენა ადამიანის დიდსულოვნებისა და სიკეთისა, და რომელიც თავგამოდებით, გატაცებით, გაბედულად და დაუღალავად იბრძოდა და იცავდა ადამიანის პირადობის არსებით უფლებებს.

თავის დღეში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა შორის არ დაეკარგება ადგილი „რომანს დიდხევაში“, „კონას“, „ორენასა და ქუჩეს“, თუგინდ „თინას ლეკურსაც“.

ქ-ნი ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებში გამოიხატა ამ ჩინებული მწერალი ქალის სიყვარულის შუქით განათებული გული. მისი მომხიბლავი ნიჭი, ხან „ტკბილად მოღუღუნე“, „სიცოცხლის მომნიჭებელი“, „გამაცოცხლებელი“ და „სულის ჩამდგმელი, ედემად მქცევი ადამიანის გულის ძალ-ღონის, შიგ ჩამარხულის სიმდიდრის“ მაჩვენებელი და დამასურათებელი; ხან კი სასტიკი ბრალმდებელი, შეუბრალებელი მორალისტი, მკაცრი რეფორმატორი, გულის წყრომით აღსავსე დამცველი ადამიანობის პირადობისა. მის კეთილშობილ სულს, რომელიც ხშირად ცდილა „აეყვავებინა დამჭკნარი სული“ ადამიანისა, „მკვდრისა და უფერულის ღვთისშვილისათვის მართლა და ადამიანური სული ჩაედგა“, როცა საჭიროდ დაუნახავს, ეს ადამიანივე უმოწყალოდ გაუმათრახებია, გაუსრესია თავისი მწარე ირონიის შემწეობით და წყევლა-კრულვით მოუხსენებია, თუკი იგი ღვთაებრიობას ღალატობდა და კაცის პირადობას ფეხქვეშ სთელავდა.

21. ეკ. გაბაშვილის საიუბილეოდ

დღეს საქართველოს დედაქალაქი დღესასწაულობს სასოებით აღვსილი, კეთილის მაღმერთებელის, ბოროტის დაუღალავი დაპატუქსავი მწერალი ქალის ეკ. გაბაშვილის იუბილეს.

ქალებს ქართველთა ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ადგილი ჰქონდათ ხოლმე. თვით თამარის ლეგენდად ქცეული სახელი გვიმტკიცებს ამას. ამიტომ, გასაკვირველი თითქოს არ არის, რომ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის ქალებს საპატიო ადგილი ეჭირათ.

მაგრამ მათ შორის ეკ. გაბაშვილისა პირველია ნიჭით, პირველია გრძნობით, პირველია დაუღალავი შრომით, პირველია გაუტეხელი გულით, პირველია იმედშემოსილობით.

ეკ. გაბაშვილისა ქართველი ქალია, იმ ქალთა ჯიშისა, რომელიც მამაკაცებსაც კი ამხნევებდა ხოლმე და ცხოვრების მძიმე წუთში ეუბნებოდა: „ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“.

როგორც ქართველი ქალი, რომელსაც იარაღად ახლა მარტო კალამი აქვს, ეკ. გაბაშვილისა ნამდვილი სულით მეომარია და მებრძოლი. ის დღემდე ებრძვის ყოველივეს, რაც ხელს უშლის ადამიანის პირადობის გაფურჩქვნასა და განვითარებას. ქ-ნი გაბაშვილისა სდევნიდა და სდევნის საზოგადოების ხანგადასულ წესებს, მის მომპალ ზნეობრივ პრინციპებს, რომელიც ხელს უშლის ადამიანის ბედნიერებას, სიხარულსა და სიყვარულს.

მისი კონა და ლევანი, მისი ორენა და ქუჩე, მისი პავლე და მარო — ეს ცოცხალი ბრალმდებლები საზოგადოების გულქვაობისა და გულზვიადობისა — სამარადისო მომხიბვლელ სურათებად იქნებიან ქართველ მწერალთა დანახატთა გალერეაში; და თუ მხნე მებრძოლია ქ-ნი გაბაშვილისა, ეს სიმხნე იქედან წარმოებს, რომ მას შეურყევლად, თითქმის ბავშვური აღტაცებითა სწამს, რომ კეთილი იმოქმედებს ცხოვრებაში და ბოროტი ფეხქვეშ ითელება.

ხოლო თუ ხანდახან გამარჯვება სიმშვენიერისა და სიკეთისა მატერიალურად არ გამოიხატება ხოლმე ადამიანთა ფიქრისა და ზრახ-

ვის სამეფოში, მათ ყოველთვის ძლევამოსილი ბრწყინვალე ტახტი აქვთ დადგმული, და ამ გულისგამახარებელ, სიცოცხლის გამაადვილებელ აზრითა და გრძნობით აღტაცებულ ქართველ ქალს თითქოს ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ გაუგდია კალამი ხელიდან.

არ წაგიკითხავთ ეკ. გაბაშვილის თვალის წარმტაცი პატარა ეტიუდი „თინას ლეკური?“ რაღაც სიმბოლურ აზრს ღებულობს დღეს ეს ღვთაებრივი გრძნობის ნაყოფი პაწაწა მოთხრობა. თინას ცხოვრება ლეკურის ცეკვით დაიწყო — და იმითვე დამთავრდა. ცეკვა ხომ ხელოვნების ერთი დარგია. თინაც ერთგვარი ხელოვანი იყო, რომელიც კაცთ სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებდა თავისი ხელოვნებით და ბოლოს გულდასუსტებულმა, სიცოცხლემიმქრალმა კიდევ თავის ხელოვნებას მიმართა, რომ თავისი პატარა ქვეყნისათვის, თავის პატარა ხალხისათვის (შვილიშვილებისათვის) სამსახური გაეწია.

თინამ ხელოვნება აღტაცებით დაიწყო — სიხარული და ცხოვრება — და ხელოვნების სამსახურში ამოხდა სული.

რა დიდებული ტრაგიზმით იყო აღსავსე ამგვარი დაბოლოება ცხოვრებისა!

ხელოვნება თინასი ადამიანთა გულის გამამხიარულებელი იყო. მისი მსხვერპლი ფასდაუდებელი იყო.

თაყვანი ვსცეთ მწერალ ქალს, რომელმაც უკვე მოხუცობას მიაღწია ისე, რომ ერთ წუთსაც არ უღალატნია მისი სამშობლოს, მისი ერის სიხარულისა და სასოების მიმნიჭებელი ხელოვნებისათვის, ერთ წუთსაც უიმედობის თესლი არ გავარდნია ხელიდან, ერთ წუთსაც იმედს არ წაჩხუბებია.

თაყვანი ვცეთ მწერალ ქალს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში გულში სასოების სინათლეს გვაშუქებდა, კეთილი ცხოვრების დაუსრულებელ იმედს გვინერგავდა!

22. 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა

წარსულის წლის „ივერიის“ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოდ პ. უმიკაშვილის „ნახსოვნი“ მიგვაჩნია. ეს მემუარები ქართული თეატრის 50 წლის ისტორიის ეპიზოდის გულუბრყვილო და წვრილი მოთხრობაა. ავტორს არავითარი პრეტენზია არა აქვს ხელოვნურად დაგვისურათოს ეს საინტერესო ხანა. გულწრფელად და მარტივი ენით მოგვითხრობს, რაც უნახავს და გაუგონია, რაც ახსოვს და შეუმჩნევია. არავითარი თანდათანობა, არავითარი სისტემა, არავითარი არტისტული მანერა არა ჩანს ამ მოთხრობაში; მის პოეზიას მისივე სიმარტივე შეადგენს, მის აზრსა და გრძნობას მისი გულწრფელობა აქვს საწინდრად და მოწმედ. მაგრამ, ამასთან ერთად, საკმაოდ გვისურათებს ჩვენი თეატრის გაჭირვებულ სიცოცხლესა და ცხოვრებას, მის ღოღიალს, მის ზრდასა და განვითარებას. როცა ბ-ნ უმიკაშვილის „ნახსოვნს“ წაიკითხავთ და დასდებთ, ძალაუნებურად თვალწინ წარმოგიდგებათ სურათი ადამიანისა, რომელიც ბავშვობის დროს ფეხშიშველი და ტიტველი დაიარებოდა, სიმშილით კუჭი ეწვოდა და სიცივით ხორცის კანი უსკდებოდა. დღეს კი, დიდი ტანჯვისა და ჯაფის შემდეგ, არა თუ ლუკმის მოპოვების საღსარი, კომფორტული ცხოვრების შეძლებაც მოუპოვებია: სუფთად ჩაცმულ-დახურული დადის, წმინდად ცხოვრობს და ხეირიანი და რიგიანი საჭმელ-სასმელი აქვს. ვისაც ასეთი ადამიანის ცხოვრება უნახავს, წარსულს რომ მის აწმყოს შეადარებს, ეს აწმყო თითქმის ფუფუნებითა და სიმდიდრით აღვსილ ცხოვრებად მოეჩვენება.

ჩვენი თეატრის სწორედ ასეთი სურათი გვეხატვის თვალწინ პ. უმიკაშვილის „ნახსოვნის“ წაკითხვის შემდეგ. ეს ღარიბი, საცოდავი მაწანწალა ქმნილება, დღეს მშვენივრად მორთულ[1] ტაძარში მოთავსებულა; გიმნაზიის მოწაფეების მაგიერ, ქართულ მელპომენას ემსახურებიან ნიჭით აღვსილი არტისტები, ცარიელი სახლის მაგიერ და ორიოდე ნაცნობის ნაცვლად მთელი ქართველი საზოგადოება,

[1] იმ სახლებთან შედარებით, სადაც უწინ იმართებოდა ქართული თეატრი.

ბრწყინვალე და უბრწყინვალო ყურს უგდებს და სიამოვნებით ისმენს ხოლმე მის ხმას. შედარებით ეს საოცარ და მომხიბვლელ სურათს წარმოადგენს...

ეხლა თეატრის ზრდა და განვითარება რომ ჩვენს ლიტერატურას (პუბლიცისტურ ლიტერატურას) შევადაროთ, სულ სხვას დავინახავთ — იქ თუ ზრდა და განვითარება არის, აქ დაბერება და დაქვეითება უფრო ძლიერია, ვინემ წინსვლა. ჩვენი ლიტერატურა დუქანბაზრად შეიქნა, საცა ვინც გნებავთ შემობრძანდება, წამოწვება სალიტერატურო სამეფო ტახტზე და ლანძღვა-გინების მეტი არა ახსოვს რა, ჭორებითა და ინტრიგებით სული უდგია, ღვარძლიანობა და მელაკუდობა სულის სატრფიალოდ გაუხდია. მართალია, მთელ ევროპაში დღევანდელი ლიტერატურა „წეწვა-გლეჯის" ბაზრად არის გამხდარი და ლიტერატურა მის მაგივრად, რომ ხალხსა ზრდიდეს, ხალხსა რყვნის და მისი ბინძური ინსტინქტების ყურმოჭრილ მონად ხდება, იქნებ მეტი ქირა დავცინცლო და ჯიბეები გავიტენოო, ეს იქ ასეა, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში რა არის სახარბიელო, ან გამოსარჩენი ჯიბისათვის, რომ ამ სისტემამ აქაც დაიბინავა. თუმცა ჩვენს ხალხს სხვაზე არანაკლებად უყვარს ჭორები. არანაკლებ არის ხოლმე გატაცებული სხვადასხვა ინტრიგით, მაგრამ ყოველი მისი სურვილი და მისწრაფება მაინც არა არის რა მისი გონების სიზარმაცესთან შედარებით. კითხვა-წერის სიძულვილი ცხონებულ ლუარსაბ თათქარიძეს საშვილიშვილოდ უანდერძებია ჩვენი შეძლებული წოდებისათვის, ხოლო ვისაც არა გააჩნია რა, ის უფრო კითხულობს, მაგრამ ეს მათი კითხვა მაინც ვერ კვებავს ჟურნალისა და გაზეთის თანამშრომლებს. მაშ ვის წინ თამაშობენ პამპულობიას ეს ჩვენი მწერლები, ვის უბმენ თვალებსა და რა ანგარიშით რყვნიან მწერლობას?!

არსად ისე, როგორც ჩვენში, ლიტერატურას უნდა ქონდეს უანგარო ხასიათი, ვინაიდან თვით დახელოვნებული და გაქნილი კაცი ვერ მოახერხებს, რომ ლიტერატურული შრომით კუჭის გამოსაძღომი იშოვოს, მაშ ეს ჯამბაზობა ტყუილი რჩება და გამოუსადეგარ იარაღს წარმოადგენს მათთვის. ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ჩვენს ლიტერატურაში მეტად ღრმა ფესვები გაიდგა ინტრიგანობამ და ჭორიკანობამ, მეშურნეობამ და გულღვარძლიანობამ. და ყოველივე ამან იმ უდაბლეს წერტილამდე მიაღწევინა ლიტერატურას, რომლის უფრო დაბლა კიდევ დაწევა შეუძლებელია... ჩვენს „ვითომდა ლიტერატო-

რებს“ ეს მანერაც ისე აქვთ გამჯდარი, რომ თვით უსაშინელეს წამშიაც კი აღარ შეუძლიათ სხვანაირად მოიქცნენ. საფლავი და სიკვდილიც შურის იარაღად გაუხდიათ და ადგილისა და დროის შეუხამებელი სიტყვებით იხსენიებენ ყველას, ვინც მათებრ ალაჰს არ ლოცულობს. მითხარით,—სინდისიერი, დამჯდარი და პატიოსანი კრიტიკა, ანდა კეთილშობილური ბრძოლა სალიტერატურო მოედანზე განა მოითმენს, ან მოისურვებს, რომ ყოველი პირი, რომლის აზრიც შენ არ მოგწონს, რომელიც შენს რჯულს არა სცემს თაყვანს, უთუოდ ჭორის ხეზე ჩამოახრჩო და ინტრიგების ბადეში გაახვიო? მის მაგივრად, რომ აზრს აზრით ეომონ, გრძნობას — გრძნობით, რაღაც ინსინუაციებით, დედაკაცების მოგონილი ჭორებით, უმართებულო სიტყვებით აღჭურვილი გამოდიან და, რასაკვირველია, ძალაუნებურად მოპირდაპირესაც რიგიან იარაღს დააყრევინებენ ხოლმე და თავიანთ წუმპეში ჩაითრევენ. ამიტომაც, დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა სასაცილოსა და სამწუხარო წეწვა-გლეჯას წარმოადგენს, ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს, რიგიანი და ურიგო ერთად არეულან, ამნაირ დროში კი ყოვლად შეუძლებელი ხდება გაუსვრელი გამოხვიდე. თუკი ჩაერიე ჩვენს მწერლობაში; ეს ისევე შეუძლებელია, როგორც ტალახში გასვლა ისე, რომ ფეხზე ტალახი არ მოგეცხოს. უბედურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ტალახისათვის კალოშებია, ხოლო ლიტერატურაში დამდგარი ტალახისა და წუმპესათვის ჯერ კალოშები არ გამოუგონია კაცობრიობას. სასაცილო კიდევ ის არის, რომ ჩაგითრევენ ძალაუნებურად წუმპეში და მერე შენვე მოგახვევენ კისერზე თავიანთ ცოდვას. მე თქვენ გეტყვით და სირცხვილი დაუშლით!

ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას კი უფრო განვითარება ეტყობა, თუმცა ძველის მსგავსი ახალნი აღარ გვიჩნდებიან. თუ ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და ალ. ჭავჭავაძეს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი დარჩათ მემკვიდრედ, მათი მემკვიდრე ჩვენს ლიტერატურაში აღარ ვიცით. ვინ იტყვის მას, რომ ჩვენ არ გვყავდეს ნიჭიერი და გრძნობიერი მწერალნი, მაგრამ იმას კი ვერავინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ჩვენს ლიტერატურაში ბადალი მემკვიდრე რჩებოდეთ. სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე ბ-ნ არაგვისპირელის და მისი სკოლის მწერლების ეტიუდებს, ბ-ნ კლდიაშვილის მოთხრობებს, მაგრამ ვერც პირველს მოვატყუებ, რომ ყაზბეგი უფრო დიდი ნიჭის პატრონი არ იყოს და ვერც მეორეს ვეტყვი, რომ

ილია ჭავჭავაძის მკაცრი სატირა არ მერჩიოს მის ნაზსა და გრძნობიერს ირონიას. სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე გრ. აბაშიძის, ცახელისა და ევდოშვილის ლექსებს, მაგრამ, უნდა გითხრათ მართალი, აკაკი წერეთლის ლექსების წაკითხვის შემდეგ, მათ პოეზიას ჩრდილი ეფინება. ეს ასეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენი ლიტერატურა მოძრაობს და ეს მოძრაობა გაცოცხლებისა და მკვდრეთით აღდგომისაკენ არის მიმართული.

მე ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ ეგრეთ წოდებულ სიტყვაკაზმულ მწერლობას შარშანდელი წლისას და ვეცდები გამოვარკვიო: რა მოგვცა უკანასკნელმა წლებმა ახალი? ახალი კი ჩვენ ისე გვესმის, რომ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა მიმართულებას ადგია ჩვენი ლიტერატურა, იმასაც, თუ რომელი მწერალი შეგვძინა წარსულმა წელმა და იმასაც, წინანდელ მწერალთაგან ვინ რა მოგვცა. ამ საგნის გადასაწყვეტად ჩვენ „ივერიის“ ბელეტრისტიკა არ გამოგვადგება, რადგან არცერთი საყურადღებო რამ ამ მხრით იქ არ დასტამბულა და საზოგადოდ უნდა ითქვას, მეტად სუსტი სიტყვაკაზმული მწერლობა არის ჩვენი საუკეთესო მწერლის ორგანოში. იქ გამეფებულია ერთგვარი ბელეტრისტიკა, რომელსაც უნდა ვუწოდოთ კორესპონდენციის მსგავსი ბელეტრისტული მწერლობა. ამ მოთხრობებს რომ სახელები გამოუცვალოთ და თავზე რომელიმე სოფლის სახელი დააწეროთ, არაფერს არ დაკარგავს, ჩვენი აზრით, კიდევაც ბევრს მოიგებს, — ამა და ამ სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობდა, რომელმაც სიყვარულით შეირთო ცოლი, მაგრამ იშოვა თუ არა მაჭასახლისობა, მუცლის გაღმერთებას აღარ დასჯერდა და ვნებათა ზღვაში ჩასცურა, თავისი ოჯახიც გააუბედურა და სხვისიც გარყვნა[1]. ანდა: ამა და ამ სოფელში მამასახლისი იყო გაიძვერა, მექრთამე და ყოველის სიბინძურით აღვსილი, რაიცა კი შეჰფერის სოფლის მოხელეს. არჩევნების დრომ რომ მოაღწია, უნდოდათ იმისი გამოცვლა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა პარტიის მეთაურს ჩაფარმა ტყუილა-უბრალოდ თავპირი დაუსისხლიანა და სატუსაღოში უკრა თავი. ძველი მამასახლისი კი ისევ ამოირჩიეს[2]. ამ მოთხრობებს იმიტომ ვეძახი კორესპონდენციებს, რომ არავითარი ხელოვნება შიგ არა სჩანს, გარდა ამბავის მშრალად მოთხრობისა. ნიჭიერი მწერალი ამ ამბავს შეიძ-

---

[1] „კაზინემ დაარისხა“, „ივერია“, №№ 84, 85.

[2] „უნდა მოვახერხო რამე“, „ივერია“, №№ 108, 113, 114, 115;

ლება საინტერესო მხრით მიუდგებოდა და საგნის ჯერ გამოურკვეველ მხარეს დაგვისურათებდა, მაგრამ უნიჭობა ხეირიან კორესპონდენციასაც კი ვერა ქმნის ამ არაკებიდან. ზემოთაც მოგიხსენიე. „ჩვენის თეატრის თავგადასავალი“ პ. უმიკაშვილის „ნახსოვნი“ [1] ერთადერთი საყურადღებოა შარშანდელს „ივერიაში“. ამგვარ მემუარებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა ხანათა და პირთა დასახასიათებლად. თუ ამგვარი მემუარები არ გვექნა, ყოველად შეუძლებელია ჩვენი ლიტერატურის მსვლელობის ეპოქები და ამ მსვლელობის მეთაურთა ნიჭი და თვისება სავსებით გამოვარკვიოთ და საკმაო ნათელი მოვფინოთ. ესეც კია, ჩვენებურ მემუარებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს კაცი, (მე აქ, რასაკვირველია, ბ-ნი უმიკაშვილი არა მყავს სახეში), მაგრამ როცა ხელთ გვექნება რამდენიმე პირის მოგონება, შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაპირდაპირება და ამგვარად მიღწევა სიმართლის ნატამალამდე მაინც.

„კვალის“ სიტყვაკაზმული მწერლობა გაცილებით მაღლა დგას „ივერიის“ ბელეტრისტულ ნაწარმოებებზე, და მათ შორის პირველი ადგილი უკავია „ივერიის“ ძველ თანამშრომელს ბ-ნ იაკობ ცინცაძეს (ია ეკალაძე — ფსევდონიმი თვით „კვალმა“ გვამცნო). ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ნ ცინცაძეს ლიტერატურული ნიჭი აქვს და ამ ნიჭსა აქვს სწორედ სასიამოვნო თანამედროვე მიმართულება. იაკობ ცინცაძე სრულიადაც არ მისდევს მშრალ-მშრალი ტენდენციებით აღსავსე ტრაქტატების წერას. მას აზრად აქვს ეხლანდელი მოწინავე კაცის სულისკვეთება დაგვისახოს: ყურადღებას აქცევს, თუ რასა ფიქრობს და რასა გრძნობს ეს მოწინავე კაცი ცხოვრებისა და ბუნების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ; მისი კალამი ეტანება გრძნობა და გონება განვითარებული ეხლანდელი ახალგაზრდის განწყობილების, მისი სულის მარტოობის აღწერას. ეს ახალგაზრდა, ცხოვრების უმსგავსოებით გულმოწყლული, ბუნებას მიმართავს და იქ ეძიებს სულის სიმშვიდეს, ეძიებს თანაგრძნობას [2]; „იგი მხდალ სოფელს გაქცევია და დაბურული ტყის წიაღს, მის მიდამოს შეფარვია“; გულამოსკვნილი ეევედრება ამ ტყეს, „სული განაბოს, ფოთოლთ შრიალი შეაჩეროს და მის გონებას ყური დაუგდოს“, მაგრამ... საუკუნეთა უფსკრულში დაინთქა ის რომანტიული ხანა, როცა პოეტს ბუნება მაინც

[1] „ივერია“, №№ 209, 210, 211, 212, 213.

[2] „ტყეშიაც“ (ეტიუდი), „კვალი“, № 10.

ანუგეშებდა, ეხლანდელი მწერალი, ვეღარც იქ პოულობს ვერავითარ სანუგეშოს და ვერავის მის თანამგრძნობელს: ტყეც კი ბუტბუტობს, ხმაურობს, სისინებს მწარედ და გულჩათხრობილად; ტყეც კი შფოთავს და გრიალებს. აქაც მწერალი იმავე ბრძოლას, იმავე ორპირობას, იმავე სიბოროტესა და ძალმომრეობას ხედავს, რასაც გამოექცა საზოგადოებიდან, და მისი გული ამ მხრიდანაც უნუგეშოდ დაშთენილი ასეთი კვნესით ამთავრებს ამ მოგზაურობას:

ვაი, ტანჯულო, მეოცნებე ადამიანო,
თითქოს, ბუნებაც შენ გულის თქმათ წინა უდგება;
გინდა სიმშვიდე, გწყურის ძმობა, გწყურის ერთობა,
მაგრამ გარშემო სულ სხვას ხედავ, სხვა გელანდება.

ეს სტრიქონები, თუმცა პროზად არის დაწერილი, მე ლექსის სახით განგებ დავწერე. მთელი ეს ეტიუდი იმგვარად არის დაწერილი, რომ შეგიძლიათ ურითმო ლექსის სახე მისცეთ და მეტად უხერხულად ქმნის პროზის კითხვას. მართალია, ეს ამტკიცებს, რომ ი. ცინცაძეს ლიტერატურული ენა ძალიან შეთვისებული აქვს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არ ვურჩევთ ამგვარი ხერხის ხმარებას ენის ცოდნის გამოსაჩენად. როგორც ლექსს, ისე პროზას, თავისი კანონი აქვს და როგორც პროზა ლექსის სახით დაწერილი, ისე ლექსი პროზის სახით დაწერილი მკითხველს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ლექსი პროზად მაინცა და მაინც იმას როდი ნიშნავს, რომ აიღო ლექსი (თუგინდ ურითმოც) და პროზის სახე მისცე. ამ შემთხვევაში თვით ენაც მახინჯდება, რადგან ის, რაც ლექსს ეპატიება, პროზას როდი ეპატიება. მაგ.:

გამოვექეცი მხდალ სოფელსა, ტყევ დაბურულო,
რომ შენ წიაღსა, შენ მიდამოს შემოვეფარო".

ამის მაგივრად პროზაში უნდა დაწერილიყო „დაბურულო ტყეე, მხდალ სოფელს გამოვექეცი, რომ შენს წიაღს, შენს მიდამოს შემოვეფარო".

მეორე მოთხრობა ი. ცინცაძისა „ოღონდაც"[1], კიდევ უფრო ამტკიცებს იმ ჩემს აზრს, რომ მწერალი ეხლანდელი ცხოვრებისაგან გულდასერილი ახალგაზრდის სულის ვითარების გამოხატვასა ცდილობს. აქ, ამ მოთხრობაში ავტორს ამგვარი ახალგაზრდა ინტელი-

[1] „კვალი", №№ 24, 25, 35.

გენტის სულიერი დაბეჩავების სურათი აქვს დახატული. თემა მშვენიერია და ერთობ ძნელი. ვერ ვიტყვით, რომ ი. ცინცაძეს საკმაო ძლიერებით შეესრულებინოს, (I და II თავი ერთობ გაჭიანურებულია და უფერული), მაგრამ მისი სურვილი ამგვარი ცდისა წაქეზების ღირსია.

—„ახალგაზრდა გენო დონაძეს ქონდა ᲂდიდარი გული, აზროვნება გაბრწყინვებული და განახლებული გული... ღიმილით შეხვდა ცხოვრების მიერ მისკენ გამოსროლილ უსამართლო ტალღას... გავიდა რამდენიმე წელიწადი, მის აღმაფრენას ფრთები ეკვეცებოდა, პირველი გულუბრყვილო, თითქმის ბავშვური გულწრფელობა დღითი-დღე ეშხამებოდა და მეოცნებე, ცაში მოფრინავი დონაძე, ძირს მიწაზე ეშვებოდა“...

ეხლა მას აღტაცებული აზრებისა და ოცნების მაგიერ წარმოუდგებოდა ის აყროლებული ტბა, რომელიც მის სოფელში იყო. ოდესღაც ტურფა, მთის ანკარა წყაროების აუზი, დღეს იგი ბაყაყებისა და ქვეწარმავლების ბუდედ გადაქცეულა... „პატარაობისას გენოს აგრე რიგად არ აწუხებდა არც მისი მყრალი სუნი, არც მისი დახავსებული კიდეები, არც მისი აშმორებული წყალი. პირიქით, ხშირად კიდეც კრთებოდა ხოლმე ამ ტბით და უფრო მაშინ, როდესაც ბაყაყები საშინელ ყიყინს ასტეხდნენ ხოლმე... მაგრამ დრონი იცვალნენ, გენო გაიზარდა, დიდ ხანია მოშორდა თავის სოფელსაც, შეტოპა ცხოვრების მორევში, განიცადა ყოველივე ავი და კარგი თანამედროვე ცხოვრებისა და... აი აქ მოაგონდა ის მყრალი ტბა, რომელიც ერთ დროს, თუ არ უყვარდა, ზიზღს მაინც არა ჰგვრიდა. მოაგონდა იგი ტბა და ძალაუნებურად შეადარა თავისი საზოგადოების, თავისი წრის თანამედროვე ცხოვრება ამ ტბის მდორე და მღვრიე წყალს...“

ეხლა გენოს, „რაღაც გამოურკვეველი სევდა-ვარამი გულს უღრღნიდა და სულს უხუთავდა... იმიტომ, რომ გენომ წარმოიდგინა მთელი უსუსურობა, მთელი უძალღონობა თავისი თავისა, წარმოიდგინა „მარტოობა სულისა“; წარმოიდგინა, რომ ყველა, დიდი და პატარა, ᲫᲚᲐᲕᲠᲘ და სუსტი, მდიდარი და ღარიბი, ნაცნობი და უცნობი ერთი-მეორის წინააღმდეგია, ერთი-მეორის მკიცხავი და მეჭორეა...“

ეხლა გენო „მარტო დარჩა, თუმცა კი იმედს არა ჰკარგავდა და ელოდებოდა უკეთეს დღეებს, მაგრამ როცა კი იმ იმედის შესახებ ოცნებას მიეცემოდა ხოლმე, თითქო გული უგრძნობსო, უცბათ მხრებს ჩამოუშვებდა...“

ი. ცინცაძეს ნიჭიცა აქვს და შეგნებული და ნაგრძნობიც აქვს ეხლანდელი ახალგაზრდობის სულიერი დრამა. მაგრამ სჭირდება დაუღალავი შრომა ნიჭის ზრდისა და განვითარებისათვის, თუ უნდა ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაიჭიროს. ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ ი. ცინცაძეს „კლაკიორების“ აყოლას თავი დაანებოს და ჩვენს ლიტერატურაში გამეფებული შურიანობისა და ღვარძლიანობის იარაღად გახდომას მოერიდოს. იმ მწერალს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება და ცხოვრება, თვით თავისი წრეც კი დამპალ ტბისათვის შეუდარებია, რომელსაც უგრძვნია არარაობა და ვერაგობა არა თუ საზოგადოების, ბუნებისაც კი, ამგვარ მწერალს შეფერის სიკვდილისა და საფლავის წინაშე ქედი მოიხაროს და ქვეყნიერი „ბიწიერება“ დავიწყებას მისცეს და ჯამბაზობა-ოინბაზობას არ გამოეკიდოს.

„კვალისავე“ ფურცლებზე იწყებს სამწერლო ასპარეზზე შრომას ახალგაზრდა ქალი ელ. წერეთლისა .ჩვენ დაღარიბებულსა და დაქვეითებულ ლიტერატურაში კი არა, ევროპაშიაც საყურადღებო მოვლენაა ქალის სამწერლოდ გამოსვლა, ამიტომაც, არ შეგვიძლია ცოტა რამ ამ ახალგაზრდა მწერლის ნაწერების შესახებაც არა ვთქვათ.

მართალი რომ მოგახსენოთ, ელ. წერეთლის ნაწერებს საკმაოდ ემჩნევა გონიერება (L'esprit) და გემოვნება (Le goût). მაგრამ აკლია ის თვისება, ურომლისოდაც შეუძლებელია რიგიანი მწერლობა; ამ ნაწერებს აკლია გრძნობიერება და ნაგრძნობის გამოხატვის ნიჭი; აკლია ის ფილოსოფიური განწყობილება, ურომლისოდაც დღეს მწერალი ფონს ვერ გავა.

მისი ორი მოთხრობა — „ბედნიერება“ და „იდეალი და ცხოვრება“ [1] — სწორედ მშრალი ტრაქტატებია და თითქმის შაბლონურ თემაზე დაწერილი.

ბედნიერება — ნამდვილ და ღრმა სიყვარულშია, უნდა დაამტკიცოს პირველმა მოთხრობამ. ვითომ?

ეხლანდელ გულწრფელი იჭვითა და ურწმუნოებით აღსავსე ადამიანობაში, ასეთი რწმენა ბავშვურად უნდა ჩაითვალოს. დღევანდელ გრძნობითა და გონებით აღსავსე კაცს მეტად მრავალნაირი მოთხოვნილება აქვს; მის სულსა და ტვინს მრავალგვარი მიდრეკილება

[1] „კვალი“, №№ 40, 41, 43, 44, 45.

და მისწრაფება ტანჯავს და მარტო ერთი გრძნობის, ერთი სურვილის მიღწევა და აღსრულება ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებს.

თქმა არ უნდა, ცხოვრებაში, და, მით უმეტეს, ჩვენებურ უფერულსა და ხავსმოკიდებულ ცხოვრებაში, დიდი და ძლიერი მნიშვნელობა აქვს სიყვარულს, მხოლოდ ამგვარ გრძნობაში პოვებს ჭირ-ვარამით აღსავსე ჩვენებური გონიერი და გრძნობიერი ადამიანი ერთ-ერთ ნავთსაყუდელს თავისი აღშფოთებული სულისას; მაგრამ ეს ერთი ტაძარია, სადაც მას შეუძლია მოსვენებით შევიდეს და თავის იდეალს მსხვერპლი შესწიროს; მხოლოდ მასში შეუძლია მოიპოვოს ნუგეში თავისი ობოლი სულისა, მაგრამ თანაც გრძნობიერსა და გონიერ ადამიანს არ შეუძლია შეჩერდეს მარტო აქ, ამ სიყვარულის ტაძარში; არ შეუძლია ბედნიერება და კმაყოფილება მოიპოვოს მარტო ამ გრძნობაში. მას შეუძლია სიყვარულში და საყვარელ არსებაში თანამგრძნობი და ნუგეშისმცემელი მოუპოვოს მკვნესარე გულს, შეიძლება ყავარჯენი მოიპოვოს თავისი სუსტი ბუნებისათვის, მაგრამ მისი სული და გონება კიდევ სხვას რასმე იძიებს, ვერ მოისვენებს ასეთ მეტისმეტ პირადსა და ეგოისტურ გრძნობაზე. მას ტანჯავს ცხოვრების უმსგავსობა, ცხოვრების ბედკრულება და უბადრუკობა: სევდასა და სასოწარკვეთილებას გვრის ძსოფლიოში დამკვიდრებული „მიუწვდომელი საიდუმლოება“, იგი საყვარელი არსებისა და მეგობრის შემწეობით სიმხნევეს პოულობს, ცხოვრების მავნე ძალთა შესაბრძოლად, ცხოვრებაში დამალული „გამოუცნობელის“ შესაგნებად და ცხოვრების უმსგავსობის გასაძლებად. ასეთი ადამიანი ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც მარტო სიყვარულით თავს ბედნიერად და კმაყოფილად დასახავდა, ან პირუტყვი იქნებოდა, ანდა უგრძნობელი. განა შესაძლოა სიამოვნებით იგემო რამე, როცა შენს გარშემო ტანჯულთა კვნესა, ვერაგთა და ფარისეველთა გულისგამგმირავი ხარხარი და ტაშის ცემაა?!

განა შესაძლოა ბედნიერების თვით უდიდეს წუთებშიც არ იგრძნო, რომ ამ დიდ გრძნობასაც დასასრული აქვს, რომ მასაც ისეთივე ბოლო აქვს აქ, ამ ოხერს წუთისოფელში, როგორც ყოველივეს? ანუნციოს შესანიშნავი რომანის — „Triomphe de la mort“-ის გმირი სიკვდილში ეძიებს სიყვარულის განსაუკუნეობას. ეს გმირი წრფელი და თავდავიწყებული სიყვარულით აღსავსეა, მაგრამ ერთი აზრი, ერთი ფიქრი, ამ გრძნობის დასასრულის შესახებ ყოველივე ბედნიერებას უშხამავს და გონებას უწამლავს.

შემცდარი აზრი ავტორმა ვერ გამოგვიხატა მხატვრულად. ხელოვნურად. ეს უფრო პუბლიცისტური წერილია, რომლიდანაც განდევნილია უფრო საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტები (ერთხელაც არ გვაჩვენა ავტორმა იმ ენერგიითა და გატაცებით აღსავსე პოლონელის და „სიყვარულით ბედნიერი ქალის“ დამოკიდებულება, რომლის შესახებ მხოლოდ გვეფიცება, რომ მეტად წარმტაცი რამ იყოვ).

„იდეალი და ცხოვრებაც“ სწორედ ამავე გვარის მოთხრობაა.

— „გონიერსა .და სულით მაღალს ადამიანს მხოლოდ ის შეუყვარდება, ვინც თვითონაც გონებითა და სულით მდიდარია“, — გვიქადაგებს ეს მოთხრობა. ვითომ? დავეკითხებით ერთხელ კიდევ ავტორს? განა სიყვარული, ეს ფატალური, საიდუმლო და გამოურკვეველი ძალა, გამოუცნობი და მიუწვდომელი ისევე, როგორც ყოველი დიადი მოვლენა ცხოვრებისა, ვერმისახვედრი და შესაგნებად უცნაური, როგორც გრძნობა მეგობრობისა, სიკვდილისა და თვით სიცოცხლისაც კი, — განამეთქი, ასეთი ძალა აგრე ადვილად განიმარტება, აგრე ადვილად შეიძლება ასეთი ძალის ვიწრო კალაპოტში ჩასმა? ეს ყოვლად შეუძლებელია. სიყვარულს ისეთივე მაგარი კლანჭები აქვს, როგორც სიკვდილს: შენდა უნებურად შეგკრავს ჯაჭვით, ხშირად კიდევაც გაურბი, მაგრამ ჩაგიჭერს და ჩაგითრევს ისე, რომ ყველაფერს დაგავიწყებს. ხანდახან კი, მას შემდეგ, რაც სურვილს დაიკმაყოფილებ, რეაქცია დადგება ხოლმე და მთელ შენს შეცდომას ნათლად დაინახავ; მერე მთელი სიცოცხლე ან იტანჯები, ანდა სულის ძლიერება ნებას გაძლევს ბოლოს ჩარხი ისევ შენკენ გადმოატრიალო.

16 — 17 წლის ქალს, ირას უცნობი სტუდენტი შეუყვარდება, მის შესახებ მხოლოდ მისი დეიდაშვილისაგან, — ახალგაზრდა სტუდენტისაგან, — გაუგონია აღტაცებული ლაპარაკი. ეს ნამდვილია. 16 წლის ქალს, გინდ ვაჟს, გრძნობა სიყვარულისა პირველად ებადება, პირველად იდგამს მის არსებაში ფესვებს; იგი მთლად გატაცებულია ამ ახალი მოვლენით მის ბუნებაში, მთელი თავისი არსებით ამ გრძნობას ეძლევა და პირველი სახელი რომ წასჩურჩულო, პირველი საგანი რომ დაანახო, მთელ ძალას ამ გრძნობისას იქეთკენ მიმართავს. ხშირად ამ პირველი გამოურკვეველი გატაცების მსხვერპლი გამხდარა ადამიანი, უფრო იშვიათად კი გატაცება პირველადვე

ნამდვილ საგანს მოხვედრია. აქაც ხომ, რაღაც უხილავი და გამოურკვეველი ძალა მოქმედებს...

როცა ამგვარი ძლიერებით აღძრულ გრძნობას ისეთი სერიოზული ხასიათი აქვს, რომ 5 და 10 წელიწადს მთელ არსებას ადამიანისას მონად გაიხდის, ისე ადვილად როდი ჩაქრება, როგორც ეს ელ. წერეთლისას ჰგონია. ეჭვი არ არის, უნიადაგო გატაცება, გატაცება იმგვარი არსებით, რომელიც არ წარმოადგენს სრულ იდეალს გონების, გრძნობის, სულისა და სხეულის დაკავშირებისას, ბოლოს დაანახვებს შეცდომას ადამიანს და დიდ გონსაცდელში ჩააგდებს, მაგრამ რამდენჯერ წაიკრავს ხოლმე ფეხს კაცი, სანამ თავის სიბრმავეს დაინახავდეს. და ესეც მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა რჩეულ საგანს დაუახლოვდები და ეს დაახლოება დაგანახვებს იმ ღრმა უფსკრულს, რომელიც ორ არსებათა სრულ და უნაკლო დაკავშირებას შეუძლებლად ხდის, და აქამდე ეს უფსკრული სრულიად შეუნიშნავი რჩებოდათ. ხოლო ისეთი ადამიანის ჩამოშორება, რომელიც იმდენი ხანი სულისა და გულის, მთელი არსების ლტოლვილების საგანი და იდეალი იყო ირასათვის, ასეთი ადამიანის ასე უეცრად, ასეთი ერთი ბეწო შეცდომისათვის მისი გულიდან ამოკვეთა ერთობ უცნაური რაღაც არის... ერთი ბეწო შეცდომა-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ იქ, სადაც ძლიერი და თავდავიწყებული სიყვარულია და არა შეცდომით გატაცება, — არ არის ისეთი შეცოდება, რომ შენდობაც არ მოეპოოს. განა სიყვარული ისეთი ძლიერი ჯადო არ არის, რომ ადამიანს თითქმის აბრმავებს და საყვარელი არსების მრავალ ცუდ თვისებას არა თუ არ ამჩნევინებს, სხვანაირად გააგებინებს ხოლმე და თითქმის ნაკლულევანებაში ღირსებასაც კი მოაპოვებინებს? სასოწარკვეთილება და იმედის გაცრუება მხოლოდ იმის შემდეგ არის შესაძლო, როცა, ვიმეორებ, სულიერი და ფიზიკური რეაქცია დადგება საყვარელი არსებისადმი გრძნობაში.

ეს რაღაც ლოგიკური და აბსტრაქტული ადამიანი ჰყავს ავტორს გამოყვანილი და ეს მოთხრობა პუბლიცისტური წერილია ერთობ უფერული და უმნიშვნელო აზრით აღვსილი. ეგრე ადვილად რომ შეიძლებოდეს კაცობრიობის ცხოვრების მოვლენათა მომართვა, რა ბედნიერი იქნებოდა კაცი. ან კი ვინ იცის, იქნებოდა თუ არა ან ამით ბედნიერი უცნაური ქმნილება....

პუბლიცისტურმა მხარემ ბელეტრისტული იმსხვერპლა და აქაც ავტორი ძალაუნებურად, თუ განზრახ, გვერდს უხვევს რაიმე მნიშვ-

ნელოვან ფსიქოლოგიურ მომენტებს — ირასა და ბეჟანის დამოკიდებულება, ირას იმედების თანდათან გაცრუება, რომელიც ადვილი გამოსახატავი იყო ირას დღიურით — ყოველივე ეს ავტორმა უყურადღებოდ დატოვა.

ელ. წერეთლის ლიტერატურული გემოვნება იხატება იმ პატარა ეტიუდში, რომელიც ამ მოთხრობებზე უფრო ადრე აქვს დაწერილი ავტორს („სურათი")[1]. ახალგაზრდა მწერალს მოუნდომებია ორ გრძნობათა დაპირდაპირება: და-ძმის მეგობრობის და ახალჯვარდაწერილი ცოლქმრის სიყვარულის. მართლაც, წარმტაცი საგანია და ორიგინალური.

მეგობრობაც, სიყვარულის არ იყოს, ისეთი დიდი და ძლიერი გრძნობაა, მით უმეტეს ყოვლად უმწეო და უნუგეშო ქართველისათვის, რომ ღირსია თაყვანისცემისა და ყურადღებისა. ესეც ერთ-ერთი ნუგეშია ქართველი უბედური ახალგაზრდის, მაგრამ ამისი ნიჭიც არ მოგვცა ღმერთმა. მეგობრობა, სიყვარულისა არ იყოს, ის ძლიერი გრძნობაა, რომელიც ადამიანის სულს გიკავშირებს, გიახლოებს; მისი დარდისა და ვარამის მონაწილედ გხდის, მისი სულის გამამხნევებელ და მწარე სიცოცხლის ნუგეშად გაქცევს. და ვის ჭირდება ასეთი ამაღლებული და განმაძლიერებელი გრძნობა, თუ არა სულით დაძაბუნებულსა და დასუსტებულ ქართველს. ესეც ისეთი გრძნობაა, რომელიც ადამიანის სულის მხედველად გაგხდის, მის თვით უსაიდუმლოეს გრძნობებს ნათლად გაჩვენებს, მისი გულის სიღრმეში გახედვებს, და ეს კი „სულით ობლობასა" და „სულით მარტოობას" სიმწარეს უმშვიდებს, მხნედა ხდის, რაკი თანაგრძნობ და შემგნებელ არსებასა ხედავ, და ვისღა ჭირდება ეს შეგნება და თანაგრძნობა, თუ არა სულით დაბეჩავებულ და მარტოდ „მახვრალ" ქართველს? თანაც თუ ამ გრძნობას მეგობრობისას ზედ ერთვის ნათესაური, და-ძმური კავშირი, მაშინ იმაზე უმაღლესი, უფრო უანგარო და უფრო ნაზი გრძნობა ძნელად წარმოსადგენია. ეს გრძნობა გაუგებარია ღვთის ფატალური და ეგოისტური დამოკიდებულებისათვის, როგორც ქალ-ვაჟის სიყვარულია, რომელსაც სქესობრივი ინსტინქტი სარჩულად უდევს. ეს ორი გრძნობა, თავისდა უნებური, მაგრამ კეთილშობილებით აღსავსე მტერნი არიან და რამდენადაც უფრო ძლიერია ქალ-ვაჟის დამოკიდებულება, იმდენად მისთვის გაუ-

[1] „ყვალი", № 42.

გებარი ხდება წმინდა და ყოველივე სქესობრივ ინსტინქტს მოკლებული გრძნობა მეგობრობისა, მით უმეტეს კიდევ მეგობარ და-ძმისა, ამ ორ კავშირთა ერთმანეთის გაუგებრობაშიაც იგივე ტრაგიზმი იხატება კაცის ცხოვრებისა: რაც უნდა გრძნობით აღსავსე მეგობარი გყავდეს, ის ვერ გაიგებს, ვერ შეიგნებს მთლად ერთიანად და სავსებით შენი სულის ვითარებას და, ამ გაუგებრობით, ტანჯვას გაყენებს.

თემა, როგორც ვთქვი, მშვენიერია, გრძნობიერებით აღსავსე, მაგრამ ქ-ნ ელ. წერეთლის ხელში ისიც გაიყინა, გახმა და კვლავ მშრალ ტრაქტატს დაემსგავსა.

ერთ ჩვენებურ ნიჭიერ მწერალ ქალს დაველაპარაკე ქ-ნ ელ. წერეთლის ნაწერების შესახებ და ჩემი აზრი ვუთხარი: ავტორმა კარგი თემების არჩევაც იცის („სურათი"), და ეს მის გემოვნებას ამტკიცებს, მაგრამ როგორღაც სული... გრძნობიერება არა სჩანს მის ნაწერებში.

— არა, — მითხრა მან, — სული და გრძნობა კი არ აკლია, მაგრამ ჯერ მას ტანჯვა არ გამოუცდია და მისი არსება ტანჯვის ცეცხლში არ გამომწვარაო.

ეს შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ მეშინია ახალგაზდა მწერლის ნიჭი იმ დარგის ნიჭს არ ეკუთვნოდეს, რომელსაც არც კი შეუძლია მწვავე ტანჯვის ღრმად შეთვისება და ამ ტანჯვის გულში გადადნობა, ანდა, თუ შეუძლია, არა აქვს ძალა მის გამოსახატავად. თორემ... განა ტანჯვა-ვაების საგანი ცოტაა ცხოვრებაში და აუცილებლად პირადი უბედურებაა საჭირო კაცისათვის ტანჯვის გამოსაცდელად? ყოველ შემთხვევაში, უბედურება და მწუხარება, მართლაც, დიდი სკოლაა ადამიანისათვის და, უეჭველია, ის განსაცდელი, რომელიც დღეს ახალგაზრდა მწერალ-ქალს ეწია, კარგ გავლენას იქონიებს მასზე და, მგონია, ეს შემთხვევა შეასუსტებს მის კავშირს იმ ატმოსფეროსთან, რომელიც მის ლიტერატურულ მოღვაწეობას ზიანის მეტს არას მოუტანს. ჩვენ გულით ვისურვებთ, რომ ამ მხრით მაინც ექნეს სანუგეშო ქ-ნ ელ. წერეთლისას იმ სამწუხარო მოვლენაში, რომელიც თავზე დაატყდა ამ ბოლო ხანს.

II

ბელეტრისტული ნაწარმოებებით ყველაზე უფრო მდიდარი ჟურნალი „მოამბე" არის. წარსულ წელში ისტამბებოდა ჩვენი ცნო-

ბილი მწერლის ბ-ნ ს. მგალობლიშვილის ფრიად საყურადღებო მოთხრობა „წარსულიდან“, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა. აქვე დაისტამბა საზოგადოებისგანვე საკმაოდ დაფასებული ბ-ნ მელანიას „ნავარდობა“[1], ბ-ნ შიო არგვისპირელის და სამწერლო ასპარეზზე ახლადგამოსული ივ. ზურაბიშვილის ეტიუდები[2].

სოფრომ მგალობლიშვილი კარგად ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში და ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის ჯგუფის რეალისტებს. მის მოთხრობებს („ღამის მეხრე ცეცო“ და სხვ.) ცხოვრების ჭირ-ვარამის დასურათება აქვს მიზნად. ს. მგალობლიშვილი მეტისმეტი სიყვარულით შესდგომია ხოლმე თავის საქმეს და დიდი სიმპათიით აღსავსე მოთხრობები მოუცია ხალხის ცხოვრებიდან. შარშანდელ მის მოთხრობას კი, როგორც ჩანს, განათლებული ახალგაზრდის ცხოვრების აღწერა აქვს საგნად. ეტყობა, ეს მოთხრობა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა[3]. ჯერჯერობით ავტორი, ჩემი აზრით, მხოლოდ დასაწყისზე არის. გვიხატავს იმ ოჯახს და გარემოებას, რომელშიც იზრდებოდა შაქრო გეგელაშვილი (პირველი ნაწილი), მერმე იმ პირველდაწყებითი სწავლის სისტემას, რომლის ზეგავლენის ქვეშ იწვრთნებოდა შაქრო (მეორე ნაწილი); ამჯერად მოთხრობა იქ არის შეჩერებული, როცა შაქრო მიჰყავთ ქალაქში საშუალო სასწავლებელში მისაბარებლად (მესამე ნაწილი). ჩვენი აზრით, ავტორს ვერ აქვს საკმაოდ კარგად და სავსებით დასურათებული ის ატმოსფერო ოჯახისა და პირველდაწყებითი სკოლისა, რომელშიაც შაქრო იზრდებოდა. თუ გეგელაშვილი გმირია მოთხრობისა (ეს ასეც უნდა იყოს) მაშინ არავის შესახებ არ არის მოთხრობაში ისე ცოტა ნათქვამი, როგორც თვით შაქროს შესახებ. მეორე ნაწილი შაქროს დღიურით იწყება, მაგრამ ეს დღიური შემდეგ წყდება და მესამე ნაწილის დასაწყისში გამოჩნდება. სკოლაში აღზრდის აღწერილობაში ავტორი უფრო მასწავლებლებისა და ბავშვების თვით სკოლაში ყოფნას აღგვიწერს და არას გვამცნობს მათი ცხოვრების შესახებ სკოლის გარეშე. ამიტომაც, ერთადერთი „გაროზგვისა“ და „ცემის“ ამბავი ვიცით და ის კი არა, თუ ბავშვების სულიერი არსება როგორ ვითარდებოდა, ანდა მახინჯდებოდა ამ საზიზღარი სისტემის წყალობით. მაგრამ ჯერ კი-

---

[1] „მოამბე“, №№: IV, V, VI, VII, VIII, XI.

[2] „მოამბე“, №№ IX, X და XII.

[3] ავტორი, ერთ ადგილას, სქოლიოში კიდევაც გვეუბნება: ესა და ეს ნამდვილი პირიაო (მეორე ნაწილი, თავი XVII, „სოლიკო ოსი“).

დევ არა ითქმის რა ამ მოთხრობის შესახებ. ყოველივეს ბოლო გვეტყვის. შეიძლება ის ნაწილი მოთხრობისა, სადაც შაქრო გეგელაშვილი სრული ადამიანის როლში გვეჩვენება, უფრო სავსებით ექნეს დახატული ავტორს. ყოველ შემთხვევაში, მოთხრობაში ბევრი საინტერესო მასალა არის ორმოცდაათიანი, სამოციანი და სამოცდაათიანის წლების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. ერთი რამ კი გვემწუთხა მეტისმეტად სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობაში და არ შეგვიძლია არა ვთქვათ, ესაა მისი აღწერილობა „სოლიკო ოსისა". ავტორმა, როგორც ვთქვით, ამ თავს სქოლიო გაუკეთა: „ეს პირი ნამდვილი არისო" და მისი დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობებიც მოგვცა. თანაც ამ ნამდვილი პირის გულისამრევი სიბინძურის (ფიზიკური სიბინძურის) აღწერა იკისრა. ეს ყოვლად უხერხულია ლიტერატურული მართებულობის მხრით, სრულიად უსარგებლოა მოთხრობისათვის ასეთი წრეს გადამეტებული სურვილი და „სინამდვილით აღწერისა" და ბ-ნ ს. მგალობლიშვილის ლმობიერი ნიჭის შეუფერებელი.

უნდა მართალი ვთქვათ, ნატურალიზმს, თუკი ამ ესთეტიკურ მოძღვრებას საგნად აქვს უფერული და უშნო სინამდვილის დაწვრილებით აღწერა, მგონი, არსად არა ჰყავს ისეთი ჭეშმარიტი მოწაფენი, როგორც ჩვენს ლიტერატურაში. თუ ზოლა გახლავთ ამ ესთეტიკური მიმართულების მოძღვარი, ზოლა ყველაზე უფრო ნაკლებ მისდევს პრაქტიკულად თავის თეორიულ მოძღვრებას. როგორც მწერალმა, უდიდესი ტალანტით აღჭურვილმა და საუცხოო შემოქმედი უნარით დაჯილდოებულმა, თვით უმნიშვნელო საგნებიც კი გაგვიცოცხლა და მათ ქვეშ უხილავი სინამდვილე გამოგვიქეყნა. მისი მოძღვრება კი უფრო სუსტი ნიჭის მქონეთათვის არის ხელსაყრელი.

შეიძლება ამის მიზეზიც ის იყოს, რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენმა ლიტერატურამ საუცხოოდ შეასრულა ეს მოძღვრება.

ბ-ნ მელანიას „ნავარდობა", როგორც მისი „კრიალოსანი", „მოამბეშივე" დასტამბული, ნატურალისტური მოძღვრების დამაკმაყოფილებელი მოთხრობებია. ტექნიკური და სტილისტური ხერხი, რომელსაც ავტორი ხმარობს, „უფერული, გონებაშეზღუდული, უშნო, ჭკუამოკლე, ეგოისტ და სუსტ" ქმნილებათა დასურათების საგნად აღება, — ეს ყოველივე ნატურალისტი მწერლის მანერაა. ავტორი დაწვრილებით აგვიწერს მოთხრობის გმირთა კუთხე-ყურეს მოწყობილობას, მათ მიხვრა-მოხვრას, მათ ბაასს და ოხუნჯობას, მათ ცულლუტურ და გაქნილ მოქმედებას. ასე გეგონებათ, რაღაც უცნაური

მიკროსკოპი აქვს თვალზე გაკეთებული, მითი ხედავს და ისე წერსო. თუ გინდათ გაეცნოთ მანერას ავტორისას, გადაიკითხეთ „ამბავი ქორწილისა“, სადაც ანანო მოგვითხრობს მისი დაქორწინების ამბავს (სწორედ კაცი იღლება ამდენი წვრილმანის აღწერილობის კითხვით), „ცამეტი მცნება“ და, აგრეთვე, უცნაური სიზმარი სატინიკისა, რომელიც თითქმის მთელ ოთხ თავს შეიცავს. დიახ, ყოველივე ეს მეტად დაწვრილებით არის მოთხრობილი, ყოველივე არის გაჟღენთილი იმ სურვილით, რომ რაც შეიძლება ნამდვილი და უტყუარი ფოტოგრაფიული სურათი შეიქმნეს სინამდვილის, მაგრამ, როგორც ყოველი ამგვარი სურვილი, აქაც დამარცხებულია. სინამდვილის სურათის მაგიერ სინამდვილის უცნაური დასახიჩრება გამოდის. დაწვრილებითი აღწერა საგნისა ვერავითარ ჭეშმარიტ წარმოდგენას ვერ მოგვცემს საგნისას. თქვენ შეგიძლიათ იცოდეთ ყოველი ნაწილი, ვთქვათ, რომელიმე პირუტყვისა, მაგალითად ლომისა, იცოდეთ დაწვრილებით ისიც, რამდენი კბილი აქვს, იცოდეთ რა გვარს ეკუთვნის და რა ნათესაობას, მაგრამ, თუ არ გინახავთ სურათი ლომისა, თავის დღეში ვერ წარმოიდგენთ მას ცოცხლად. არა თუ სიტყვით აღწერილი, დახატულიც რომ ნახოთ ცალ-ცალკე ნაწილები ამავე ლომისა, მათი ერთად შეერთება და წარმოდგენაც კი გაგიძნელდებათ. მწერალმა უნდა სურათი დაგვიხატოს, მოვლენა იქნება იგი ბუნებისა თუ სულიერი მოქმედებისა, თორემ საგნისა და მოვლენის დანაწილება და ისე გამოსახვა, ფოტოგრაფიულად გადმოხატვა ვერასოდეს არსებით მხარეს ცხოვრებისას ვერ გვაჩვენებს, სრულიად წინააღმდეგს გამოიწვევს ხოლმე. ამიტომაც, ბ-ნმა მელანიამ შიშით ზარდაცემული სატინიკე მთელ 13 გვერდზე ალაპარაკა თავის ნახულის შესახებ და ერთი „ა“-ნიც არ გამოუშვია ვითომდა მისგან ნახულ უცნაურ სიზმარში, რაც ყოვლად შეუძლებელია და დაუჯერებელი. მაგრამ ყოველივე ეს ხომ თვით ნატურალისტური მანერის ბრალია. კიდევ კარგი, რომ ბ-ნი მელანია აქ შეჩერებულიყო. მაგრამ საქმე იმაშია, პუბლიცისტობა დაიჩემა და ეს კი სრულიად არ შეეფერება ნატურალისტურ ესთეტიკას. ნატურალიზმის მოძღვრების უმთავრესი მუხლი ის არის, რომ მწერალი უნდა ფოტოგრაფიულ აპარატს წარმოადგენდეს. იგი არც უნდა სჯიდეს, არც აქებ-ადიდებდეს ვინმეს, უნდა აგვიწეროს მხოლოდ მიმდინარეობა ცხოვრებისა ისე, როგორც ხედავს. ბ-ნ მელანიას კი აუღია მახვილი ხელში და ომობს და გაიძახის: **ceterum censeo Carthaginem delendam esse.** არცერთ მოძღვრებას ლიტერატურისას არ

შეფერის წუთიერი ინტერესებით გატაცება და მით უმეტეს მას, რომელიც აღიარებს, რომ მწერლის პირადობა გაძევებულ უნდა იქნეს მისი მოთხრობიდანაო. ამ პრინციპის დარღვევას კი ის შედეგი მოსდევს, რომ ბელეტრისტული ნაწარმოები თავის საუკუნო მნიშვნელობას კარგავს და წუთიერ-პუბლიცისტურ წერილად იქცევა. თანაც ერთი დიდი ნაკლი აქვს ხოლმე: ამგვარი გამოლაშქრება ლიტერატურაში ყოველთვის სინამდვილის დასახიჩრებით თავდება. სრულიად შეუძლებელია, მაგალითად, სომეხია იგი თუ ქართველი (თუ არანორმალური მოვლენაა, მასზე პათოლოგიამ უნდა ილაპარაკოს და არა ბელეტრისტულმა ნაწერებმა), სიკვდილის წინა წუთებში ისეთი ანდერძი წარმოსთქვას, როგორც გაკოტრებული ყარამანა თავის შვილს ყაზარას უტოვებს („ცამეტი მცნება"). ყოვლად შეუძლებელია აგრეთვე, რომ ყოველი სომეხი, ვაჭარია იგი თუ მათხოვარი, იყოს არამზადა, ხოლო ყოველი ქართველი, რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანია. აღალო, ყარამანა, ყაზარა, ყაზარას შვილები „სამ ბურჯად" წოდებული კარიკატურაა. როგორც ვაჭარ ხალხს, რასაკვირველია, მათ აქვთ ყოველივე ცუდი თვისება ვაჭრისა, მაგრამ ღირსებებიცა აქვთ და ამ ღირსებას ბ-ნი მელანია ნაკლულევანებად უთვლის და ისეთი კილოთი აღწერს[1], რომელიც ყოვლად უადგილოა ლიტერატურაში... მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, ბევრი, რაც შეენდობა პუბლიცისტურ წერილს, თავის დღეში არ ეპატიება ხელოვნურ ნაწარმოებს.

ბ-ნი არაგვისპირელი თავისი მოთხრობებით და, აგრეთვე, მის შემდეგ სამწერლო ასპარეზზე გამოსულნი (ბ-ნი დეკანოზიშვილი, ბ-ნი ცინცაძე, ბ-ნი ივ. ზურაბიშვილი), მათგანვე შექმნილი მიმართულებით, ჩვენი აზრით, არიან დღეს ჩვენი ლიტერატურის ტონის მიმცემნი.

ჩვენს ლიტერატურაში ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულების შემოტანა მხოლოდ მათ ეკუთვნით. ამ მხრით დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა ევროპიულს მისდევს, რამდენადაც შესაძლოა. ნატურალიზმის ხანა ახლა გადასულია და ყოველი მწერალი ამ სკოლისა, რაც უნდა ნიჭიერი იყოს იგი, უსათუოდ უდროო დროს დაბადებული იქნება და ყოვლად შეუძლებელია დღევანდელი მკითხველი საზოგადოება დააკმაყოფილოს[2]. მშრალი სენტენცია, დოგმატუ-

[1] „სამი ბურჯი ეროვნებისა" (თავი XIX), „სასჯელი ავაზაკთა" (თავი V).

[2] დ. კლდიაშვილი ნატურალისტურ სკოლას არ ეკუთვნის, იგი გარეგან მოვ-

რი მოძღვრება ჩვენს დროში, როცა ყოველივე რწმენა ეჭვს ქვეშ არის დაყენებული, აღარავისათვის არაფერ საინტერესოს შეადგენს. შაბლონური ჭეშმარიტება აღარავის ყურადღებას არ იპყრობს. მეცნიერებამ და ფილოსოფიამ ისე გაგვიფართოეს ჩვენი მხედველობის არე, რომ ძნელად დაგვაინტერესებს ვინმე რაიმე მოვლენის ფოტოგრაფიული გადმოღებით. ფოტოგრაფია კი არა, სინემატოგრაფიც ვერ გვაკმაყოფილებს, რადგან ხილული მოვლენის ქვეშ ჩვენ უხილავს ვიძიებთ და „მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს“ ვეტანებით. მწერალს, რომლისთვისაც ბუნებას მიუნიჭებია უფრო ნაზი გრძნობიერება და ფაქიზი ნერვები, ვინემ უბრალო მომაკვდავისათვის, ვალად ადევს ის გვაჩვენოს და დაგვისურათოს, რასაც უბრალო მომაკვდავი ვერ შენიშნავს, და საგნის არსებითი მხარე რაიმენაირად მოგვიახლოვოს. ეს სურვილი ეგრეთ წოდებული მწვავე და საუკუნო კითხვების გადაწყვეტისადმი უფრო ძლიერად აქვს გამჯდარი დღევანდელ კაცობრიობას, რადგან ვერც პოზიტიურმა ფილოსოფიამ, რომლისგან მოელოდნენ ხსნასა და შველას, ვერ გაუმართლა იმედები. ამიტომაც, ყოველი მწერალი, რომელიც ვერ მიხვდება დღევანდელი იჭვითა და გამოურკვეველობით შეპყრობილი ადამიანის ამ მოთხოვნილებას, და მისი სულიერი ტანჯვის დაამებას არ მოისურვებს, ფონს ვერ გავა.

ჩვენს ლიტერატურაში ბ-ნ არაგვისპირელს ერგო ბედი ამგვარი მიმართულების ლიტერატურის დაწყებისა და ჩინებულადაც ასრულებს მას. შარშანდელი მისი ორი ეტიუდი მისი ნიჭის ზრდისა და განვითარების მაჩვენებელია. ჩვეულებრივად, ავტორი ცხოვრების არსებით საგნებს ეხება, ერთში[1] მშვენიერი სურათით გვამცნობს, რომ უმნიშვნელო და უფერულ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯობს წუთიერი, მაგრამ შინაარსიანი და აღმტაცი სიცოცხლე. სიცივისაგან გაყინული ფარვანა იგონებს იმ ბედნიერ წუთებს, როცა სანთლის ტრფიალში ფრთები შეიტრუსა... ამ დღის შემდეგ დავჭკვიანდიო, მაგრამ... ჭკუამ უფერული სიკვდილი არგუნა. სიკვდილი აუცილებელი რამ არის — ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, მაგრამ საჭიროა სიცოცხლეს მა-

---

ლენათა მაგიერ სულიერ მდგომარეობას გვიხატავს ჩვენი ხალხისას და, ამით, ფსიქოლოგ-რეალისტობს. თანაც, მისი სიბრალულით აღსავსე ირონია ფილოსოფიურ-პესიმისტურ სახეს აძლევს მის მოთხრობებს და ამით იგიც ზემოხსენებულ ტონს გვერდს არ უვლის.

[1] „მოამბე“, № IX.

ინც რიგიანად და მშვენიერად მოვუღოთ ბოლო... ისიც კი შესაძლოა, ზოგიერთმა ბუნებით ეპიკურელმა, ამ ეტიუდის აზრი ასე გაიგოს: დაეწაფე სიამოვნებას სიცოცხლეში, თუნდაც ამ სიამოვნებამ უფრო ადრე მოგიღოს ბოლო, რადგან სულ ერთია, ჩაკვდები სადმეო. მაგრამ ვინც ამას ასე გაიგებს, იმას ბ-ნი არაგვისპირელი მეორე თავის ეტიუდში გასცემს პასუხს [1]. ოცდაათი წლის ტანჯვასა და ვაებაში ერთი ვინმე სეფისწული შემდეგ სამ მცნებას შეიმუშავებს: ჰოი, კაცო! 1. „ნურას დროს ნუ დაეკითხები შენ თავს: რა არის ადამიანი?“, 2. „ყოველგვარ მოვლენას შენ ცხოერებაში გულგრილად შეხვდი!“, 3. „ეცადე შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო“, მაგრამ თვით შეიქნება ყოველივე ამის „შემმუსვრელი“ ადამიანი, ქვაზე გამოჭრილ მცნებას მიწაზე დაანარცხებს და, თავისი ცხოვრების დასასრულს, იგივე კითხვა დაებადება თავში: „რა ხარ, რა ადამიანო?“ და იმავე პასუხს მიიღებს, რომელმაც ამ ოცდაათი წლის წინათ სულიერი სიმშვიდე დაურღვია. „ხა, ხა, ხა; სისულელე! მკაფიოდ მოესმა ნაცნობი ხმა შეშლილისა და მისი ქვის კაკუნი“. დიახ, ტყუილა ვინმე იფიქრებს გონიერი ადამიანი, საუკუნო და მწვავ კითხვას გაექცეს; ტყუილა წარმოიდგენს გრძნობიერი ადამიანი, ხედ ან ქვად გადაიქცეს და ყოველივეს გულგრილად შეხვდეს; ტყუილა ვისმეს ეგონება, შესაძლო იყოს „ცხოვრება სიამოვნებით გაატარო“; როცა ყოველ სასიამოვნო მოვლენას ცხოვრებისას სარჩულად აქვს სიმწარე და ვაება, როცა ყოველ ბედნიერ წუთს თავისი მომშხამველი ისარი თან დააქვს.

ი. ზურაბიშვილიც ამ სკოლის მწერლებს ეკუთვნის.

ი. ზურაბიშვილმა ქართულ ლიტერატურაში თარგმანებით დაიწყო. მან თარგმნა ორიოდე მოთხრობა კატულ მენდესისა. ეს მოთხრობები ისეთი შეგნებით იყვნენ გადათარგმნილი, და თანაც ისეთი მომხიბვლელი შინაარსისა არიან, რომ ჩვენს ლიტერატურაში, ასე ვთქვათ, რეპლიკა გამოიწვია [2]. კატულ მენდესმა მეტად მშვენიერი და ლამაზი წერა იცის, თუმცა გრძნობიერებას უფრო მისდევს ვიდრე გრძნობასა და ღრმა ფილოსოფიურ აზრს. ამ გარეგანმა სიმშვენიერემ მენდესის ნაწერებისამ იმოქმედა ახალგაზრდა მწერალზე და ამ ზე-

---

[1] „მოამბე“, № X; „შემუსვრილი სამი მცნება“.

[2] გრ. აბაშიძემ ერთ-ერთი თარგმანის საპასუხოდ ჩინებული მოთხრობა დაწერა.

გავლენის ქვეშ არის დაწერილი მისი პირველი მოთხრობა ქართულ ენაზე [1]. ამ პირველსავე მოთხრობაში ჩანს, რომ ი. ზურაბიშვილს ნაზი და მგრძნობიარე ნერვები და მწერლისათვის აუცილებელი ფაქიზი ტემპერამენტი აქვს. სხვა რომ არა, მარტო ის მომენტი ამ მოთხრობისა, სადაც აწერილია ქალის სულის მდგომარეობა, რომელიც მთვარის შუქით გაუნათებია ავტორს და რომელიც მთვარის სხივებისათვისაც კი საყურადღებო ხდება, მარტო ეს კმარამეთქი იმის საბუთად, რომ ი. ზურაბიშვილის გრძნობა, მოვლენათა გასარჩევად და განსახილველად, განირჩევა უბრალო მომაკვდავთა გრძნობათაგან. ი. ზურაბიშვილი ამ მოთხრობაში თითქო რომანტიულ შეხედულებას ადგია ბუნებისა და კაცთა შორის დამოკიდებულების შესახებ.

— ლამაზი ქალი ჰარემში წევს და მოელის განკითხვის დღეს... და „ისეთს კარგს სანახაობას წარმოადგენს, რომ მთვარეც კი მოუხიბლავს. ამ უკანასკნელს თითქო დავიწყებია თვისი გზა, ბუნებისაგან მიჩენილი დანიშნულება მუდმივის მსვლელობისა და ვარსკვლავებით მოჭედილს ცაზე თავისი მსვლელობა შეუჩერებია, ერთ წერტილზე შემდგარა და იქიდან გაკვირვებული იცქირება, ამ ციურს სილამაზეს აქ მიწაზედ მიწიერთა შორის რა უნდაო და თავისის მომხიბვლელის ნაზის სხივებით ესიყვარულება ქალწულს და გულმკერდს უკოცნის“.

ეს მთვარე რაღაც საიდუმლო მეგობარია და თანამგრძნობი ქალისა. მისი დანახვა ქალს თავის სამშობლოს გაახსენებს... ეს მწარე გრძნობას იწვევს მასში და თავისმოკვლას გადაწყვეტს.... მთვარე კი „ცოტათი გადახრილიყო და ეხლა ერთ-ერთი მისი სხივი ჩახვეოდა მარიამის ტუჩებს, თითქო მისი ასეთი აზრის მოწონების ნიშნად უკოცნიდა მარწყვის ფერ ბაგეთ“. ქალის თავში დაჟინებით ტრიალებს სიკვდილის აზრი, მთვარე კი „გადახრილიყო ცოტათი და იმავ სხივმა, რომელიც აქამომდე ტუჩებს უკოცნიდა მარიამს, ეხლა შუბლზე შეუთამაშა“... „ამ თავში დაიბადა და განმტკიცდა იგი აზრი, მისი იყო გადაწყვეტილება და მას ეხვეოდა მთვარის შუქი. მარიამიც მთვარეს მისჩერებოდა და უსიტყვოდ მხოლოდ თვალებით უამბობდა თავისს აზრებს“... აღსრულდა, მარიამი სიკვდილს მიეცემა და „ზემოდან კი ისევ მთვარე დაჰყურებდა აქაურობას, ისევ ეთამაშებოდა აუზის წყალს და მასში თავის სხივებს ჰბანდა. მაგრამ ამ სხივებთა შო-

[1] „ესკიზი“, „მოამბე“, № VIII, 1897 წ.

რის ერთი ახალიც ერია, ის არ ცურაობდა ანკარა წყალში და არ თამაშობდა. დასჩერებოდა ერთ ადგილს, თითქო აღარ უნდა იმის მოშორებაო“... აქ მთვარე თავის უდარდელობასაც იჩენს, ისევ ისე თამაშობს, შეიძლება იმიტომაც, რომ მისი სურვილი აღსრულდა, მაგრამ მისი ერთი სხივი მაინც დასჩერებია იმ ადგილს, საცა მარიამი დაიხრჩო. ამგვარი თანაგრძნობა ბუნებასა და ადამიანს შორის. რაღაც საიდუმლო და ფარული კავშირი მათ განწყობილებაში—მომხიბვლელობით არის შემოსილი [1].

შემდეგი მოთხრობა ი. ზურაბიშვილისა, რომელიც რუსულ ენაზე ჰქონია ავტორს დაწერილი და რომელიც ქართულად იყო ნათარგმნი [2], შეეხება ერთ მთავარ „მწარე“ საგანს — სიკვდილს და მის „მსახვრალ ხელს“, „სასაფლაო“ — ეს სიმბოლო სიკვდილისა, ეს მუდმივი „momento mori“, — რომელსაც აგვიწერს ავტორი, გვაჩვენებს მწერლის შეხედულებას ჩვენი სიცოცხლის დასასრულზე. საიდუმლო დუმილი, უცნაური „მკრთალი ჩრდილი“ ხეებისა, „ნოტიო“ სიგრილე „სველი მიწისა“ და „ხავსმოკიდებული ლოდებისა“ „სიცივე და სივიწროვე“, „ნოტიობა და სიცივე“, — აი, რა შეადგენს სამკაულს ამ საშინელი სადგურისას! ამ სიცივესა და სინესტეს გაუყინავს და მტვრად გარდაუქცევია კაცთა გიჟური ლტოლვა და იმედი, სიხარული და ოცნება. ამ მკაცრ უსინათლო და ნესტიან სადგურში ერთად მოთავსებულა ყოველი და ყოველივე, „ყრმა მისი მომავალი რწმენითა და იმედებით აღსავსე იყო. მშვენიერი ფერადებით დახატულ სურათად ეჩვენებოდა მის ნორჩ გონებას წყვდიადით მოცული მომავალი“... მის გვერდით „მოხუცი წევს. ამან დიდი ხანი გასძლო, მაგრამ არა სიბერის დროს, სიყმაწვილეშიაც კი არ გაუტარებია თავში ყრმის ფიქრები“. აგერ მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, რომელთაც ერთმანეთი სიკვდილამდე უყვარდათ და სიკვდილის შემდეგაც ცოლი ისეთივე ერთგული იყო ქმრისა, „როგორც მათი შეხვედრის პირველ დღეს. მიწიერი კავშირი ეხლა საუკუნო კავშირად გარდაუქმნიათ“, მათ გვერდით კიდევ ცოლ-ქმარი... მაგრამ აქ კი სულ სხვაა, ცოლი ქმარს სიცოცხლეშიც ღალატობდა,—როგორც ამბობდნენ და „იქით ცოტა მოშორებით განისვენებს იგი“, ვინც დაარღვია

---

[1] „მოგონებაში“ ი. ზურაბიშვილი იმ აზრისაა, რომ ბუნება იმგვარად გვეჩვენება, რა განწყობილებაზედაც ჩვენა ვართო.

[2] „მოამბე“, № XI, 1897 წ. „სასაფლაო“.

მათი ბედნიერება... აგერ კიდევ „მოწიფული ვაჟკაცი, რომელიც ფიქრობდა გონიერების შემწეობით ადამიანთა ხსოვნაში უკვდავების მოპოვებას. დიდებასა და სახელს ელტვოდა მისი ძლიერი და საღი გონება... ხოლო ულმობელი კანონი ბუნებისა კი მის მოსპობას თხოულობდა". დიახ, აქ ყოველგვარი კაცი ასაფლავია, ყოველგვარი ოცნება და იმედი არის გაქვავებული და მოსპობილი. „ყოველ გრძნობას ადამიანისას, რომელიც აღელვებს და აშფოთებს წუთისოფელს, მოუპოვებია აქ თავშესაფარი. ყოველნაირი გრძნობა მოთავსებულა აქ, ამ ვიწრო ადგილში... გარეშემო კი დუმილია... არაფერი არ უშლის ხელს საფლავთა მყუდროებას". ივ. ზურაბიშვილმა ამ მოთხრობით უცნაური სურათი დაგვიხატა ჩვენი სიცოცხლისა, უცნაური სურათი მოგვცა ჩვენი სიცოცხლის დასასრულისა, „მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი", ყმაწვილი და მოხუცი, ბოროტი და კეთილი, აღტაცებული იმედებით აღსავსე და სრულიად უიმედო და უგულო ადამიანი... ასეთი საშინელების წინაშე ღრმა საკითხი აღგეძვრის კაცს თავში. რა არის მიზანი ჩვენი ცხოვრების, ან სად მივდივართ, ღირს კი ამის შემდეგ სიცოცხლე, და თუ ღირს — როგორ ვიცოცხლოთ: ჭვენა გრძნობათა დაკმაყოფილება ვეძიოთ და წუთიერ სიამოვნებას მივსდიოთ, თუ კაცის უკვდავების შემქმნელი რამე უნდა მოვიპოვოთ? არცერთ ამ კითხვაზე ი. ზურაბიშვილი პასუხს არ გაგცემთ, დოგმატური ქადაგება მისი საქმე არ არის, ამისათვის მოძღვრები გვყავს და მასწავლებელნი. იგი მხოლოდ მას ცდილობს, რომ გამცნოთ, რაც მის მრავალმხროვან გრძნობას შეუგნია, ზარდამცემი სურათი მოგცეს ჩვენი დასასრულისა, ოხვრა და კვნესა გამოიწვიოს თქვენში, ღრმა და მტანჯი აზრები აღგიძრათ და თქვენი ნებაა გარდაწყვეტა. მაგრამ თუ მაინცადამაინც გინდათ მისი გრძნობა გაიგოთ, ჩაუკვირდით მის ტონს, ეს ტონი, ეს სტილი მშვიდი და წყნარია, ფილოსოფიური მორჩილებით აღსავსე, მაგრამ იქ, სადაც კეთილგანზრახვათა მოსპობას და მხნე გულთა დამიწებას მოგვითხრობს, მომხიბვლელი სინაზითა და თანაგრძნობით აღივსება ხოლმე და ამ თანაგრძნობის მოზიარეთ ბუნებასაც კი გაიხდის. ამგვარ ადგილებს „ვარდი თავის სურნელებას უგზავნის და მუდმივი_მომღერალი სიყვარულისა, აქვე ვარდის შტოებზე შეხიზნულა და უსტვენს თავის სიმღერას... უსტვენს, უგალობს, უმღერის ბედნიერებასა და სიყვარულს... სულ მღერის, სულ გალობს".

მესამე მოთხრობაში ი. ზურაბიშვილმა მეორე დიდი გამოურკ-

ვეველი და მიუწვდომელი საგანი აიღო და იმის დახატვა მოიწადინა[1]. თუ საფლავი სიკვდილის სიმბოლოა და სიკვდილი კი ჩვენი სიცოცხლის დასასრულია, საათი დროის სიმბოლოა, ხოლო დრო კი რაღაც უფრო დიდია, ვინემ სიკვდილიც, დროის მომენტია ჩვენი სიცოცხლე, დროის მომენტია ამ სიცოცხლის დასასრული, ჩვენი სიკვდილი, ყოველივე მოვლენა დროის მიმდინარეობაში ხდება. შეიჭლება მოისპოს სიკვდილიც, მაგრამ ყოველივე ამის მოწმედ, თუ ვინმე დარჩა ამათში, პირველი დრო იქნება. ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე ისპობა, ხელახლად ჩნდება და ხელახლად ქრება დროისა და ხანის განმავლობაში, თვით დრო კი ისეთივე გულცივი, გულგრილი და ულმობელია როგორც სიკვდილი. გაიძახის თავისთვის „ტიკ-ტიკ"-ს ადამიანისაგან დროის გასაზომად გამოგონილი, „დღეს ისე, როგორც გუშინ, ხვალ დღეანდელსავით და ასე დაუბოლოვებლად". როდის გათავდება ეს დრო, როდის დაიწყო ან ექნება კი ბოლო, ეს არავინ არ იცის. იგი ერთნაირი თვალით უცქერის მიჯნურთა სიყვარულს, მოტრფიალეთა ღალატს, კაენის ბოროტებასაც და აბელის უსამართლოდ დასჯასაც, დედის ტანჯვასაც ერთადერთი შვილის სიკვდილის წამებში, გმირთა დაღუპვას, ავაზაკთა და ბოროტმოქმედთა გამარჯვებას; მისთვის ყოველივე სულ ერთია. „დროსავით მაჩვენებელი, დროსავით ერთნაირი ვარ ყველასათვის; ერთნაირი ვარ მზესავით, რომელიც ბოროტისა და კეთილისათვის ერთნაირად ანათებს, კარგსაც და ავსაც ერთნაირად ათბობს", — ამბობს საათი. ასეთი გამათანასწორებელი და გულქვა მიმართულება დროთა დენისა ღრმა ფილოსოფიური საგანია და მას პირველად აქცევს ყურადღებას ჩვენი ლიტერატურა ი. ზურაბიშვილის ეტიუდით. ავტორის სტილი აქ აღარ არის ისეთი სიმწარით აღსავსე, რადგან დროს, მართლაც, კარგიც მოაქვს და ავიც; სიკვდილს კი — არაფერი გარდა ავისა, არაფერი გარდა საშინელი სურათისა. თუ გნებავთ კიდევ და კიდევ გაიგოთ, როგორ ეკიდება ამგვარ გულგრილობას ბუნებისას ი. ზურაბიშვილი, თუ გნებავთ გაიგოთ დროთა დენაში რა უფრო იქცევს მის სიმპატიასა და ყურადღებას, მოთხრობის ბოლოს დააკვირდით... „მე კი ყველასათვის ერთნაირად ვხმაურობდი, — განაგრძობს საათი,— არავისთვის არ ავჩქარებულვარ, არავისთვის არ შემიჩერებია ჩემი სვლა. მახსოვს კი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ თითქო უფრო ნელი

[1] „საათი", „მოამბე", № XII, 1898 წ.

იყო დროს დენა, ამბობდნენ მაინც... და ერთხელაც თითქო უფრო აუჩქარა დრომ თავისს დენასა: ასე ეგონათ მაინც... ეს პირველი მაშინ მოხდა, როცა ჩვენი ხსნისათვის ჯვარცმულმა განუტევა სული, ხოლო მეორე, როცა ქრისტეს ჯვარმცმელმა ბრბომ თვით წააწერა სისხლით შეღებილ დროშაზე ძმობა, ერთობა და სიყვარული... დიახ, ვითომ, ამ ხანაში დროს თავისი მსვლელობა შეეცვალოს... ასე ეგონათ მაინც, დიახ, ეგონათ, თორემ დროს თავის მიმდინარეობა არასოდეს არ შეუცვლია"...

შარშანდელ თავის მოთხრობაში[1], ი. ზურაბიშვილი კაცის აზრის დაუსრულებელ წადილსა და ლტოლვას გვიხატავს. თავის წარსულს იგონებს, ბავშვობისას ნახულ ეზოს დიდი თვალით უყურებს და აი რა აზრები აღეძვრის. პატარა ეზო, რამოდენიმე ხით, „უსაზღვრო, თვალმიუწვდომელ და უშველებელ ქვეყნად" მიაჩნდა იმ ბედნიერ დროს... „ვუყურებ ეხლა ამ ხეებს, ამ ჩვენს თვალმიუწვდენელ და უსაზღვრო ქვეყანას და ცრემლი მერევა", — აბოლოებს ავტორი,— საბრალო ეზო! შენ დაპატარავდი ისე, როგორადაც ეხლა მეჩვენები, თუ მე გამოვიცვალე ასე? შენს ღობეს იქით არც სურვილი და არც თვალი გადადიოდა ხოლმე ჩვენი და ეხლა... ეხლა აღშფოთებულ სულს მთელი ეს ქვეყანა, მთელი ცის ქვეშეთი ევიწროება". და როცა ეკითხება ამ ეზოს, ქვეყანას და თავისთავს, ნუთუ აღარ შეიძლება ჩემი ბავშვობა დამიბრუნდესო, გულის სიღრმიდან ყრუ კვნესა ესმის — „ეს ქვეყანა აწ უფრო ვიწროდ მოგეჩვენებაო". კაცის ილუზიით ცხოვრება, მისი აზრისა და გრძნობის გაფართოება და დაუღალავი ლტოლვა საუკუნო საგნისადმი, მიუწვდომელი და გამოურკვეველი, მაგრამ ყოველთვის მომხიბვლელი და მიმზიდველი კითხვებისადმი, — აი რასა ვხედავთ აქ ჩვენ. ყოველ დროში წინა დროის ცხოვრება და აზროვნება ჩვენ ბავშვურად მიგვაჩნია; ჩვენი სურვილები, ოცნებები ბავშვის სურვილებად მიგვაჩნია და თანდათან ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, მთელი ქვეყანა — მცირედ, უმნიშვნელოდ და ვიწროდ. თვით ბავშვობის დროსაც კი გამოუქროლებდა ხოლმე ფიქრი და აზრი ახალი ქვეყნების შესახებ, მაგრამ რაკი თავის ეზოს დაინახავდა, ის დაავიწყდებოდა. ახლა კი სხვაა, როცა ის გონიერი კაცი გახდა, ახლა არ არის ისეთი ცოდნა, ისეთი ეზო, ისეთი აზრი, რომლის „იქითაც არ ეძიებდეს" უხილავ და მიუწვდომელ სარჩულს

---

[1] „მოამბე", № 7, 1899 წ. („მოგონება").

ხილული ქვეყნისა და მოვლენისას. ეს მით უფრო მართალია ჩვენს დროში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ვეღარავითარი მეცნიერული და ფილოსოფიური სისტემა ვერ აკმაყოფილებს ჩვენს დაუშრეტელ წყურვილს „მოვლენათა შორის დაფარული კავშირის“ გამოცნობისას. მხოლოდ ბალღს, და ისიც არა ისეთს ბალღს, როგორიც ამ მოგონებაშია გამოყვანილი, შეუძლია დღეს რომელიმე ეზოს ხეები მიიღოს თვალუწვდენელ ქვეყნად, რომლის იქით აღარა არსებობს რა.

ამგვარად, ჩვენ ვნახეთ, რომ სამწერლო ასპარეზზე ახლახან გამოსულ ავტორს (1897 წლიდან) ორიოდე ეტიუდი დაუწერია და სამი უდიდესი საგანი, უმძიმესი კითხვა აუღია ამ ეტიუდების შინაარსად. „სასაფლაოს ნოტიობასა და სიცივეში“ სიკვდილის სიმბოლო გვაჩვენა; საათის „ტიკ-ტიკ“-ში — დროის დენის უგუნურება და გულქვაობა, ხოლო „მოგონებაში“ — აზრის გაუმაძღრობა. მისი დაუსრულებელი წადილი და ძიება რეალური ქვეყნის სარჩულისა, იმას იქით დამალული საიდუმლოსი. ხოლო ამ საგნების შესახებ ფილოსოფიურ-პესიმისტური შეხედულება ავტორისა პასუხს აძლევს დღევანდელი მოწინავე წრის აზრსა და სურვილს, მათ ფიქრსა და სევდას, ამით კი ი. ზურაბიშვილი თანამედროვეობის დამაკმაყოფილებელი ხდება. მართალია, ავტორი, ეტყობა, დახელოვნებული ვერ არის ლიტერატურაში, მის ტექნიკასა და ენას შემუშავება ჭირდება, მაგრამ ყოველივე ეს ადვილი შესაძენია, ის კი, რაც აუცილებელია მწერლისათვის და ეხლანდელი მწერლისათვის, ი. ზურაბიშვილს, ჩვენი აზრით, საკმაოდ აქვს: გრძნობიერი და ნაზი ბუნება, რომელიც მოვლენაში ისეთ ელემენტებს ხედავს, რომელიც ყველას არ აქვს მინიჭებული და ფილოსოფიური განწყობილება, რომელიც საშუალებას აძლევს ღრმა და მწვავე საგნის არსებით მხარეს შეეხოს. აუცილებელია კი ავტორისათვის შრომა და მეცადინეობა, რადგან ჩვენს უფერულ ცხოვრებაში მისი ნიჭი ხელისშემწყობ გარემოს ძნელად იშოვის და ისევ საკუთარი მუშაობის შემწეობით შეუძლია განივითაროს ნიჭი.

ამგვარად, წარსული წლის ჩვენი ლიტერატურა გვაჩვენებს, რომ ის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელსაც თავში უდგას შ. არაგვისპირელი, მტკიცდება და ფესვებს იდგამს. ამ სკოლამ ახალი მომხრეც შეიძინა ი. ზურაბიშვილის სახით. წარსული მიმართულება ლიტერატურისა, — ნატურალიზმი ირღვევა და ამ

დარღვევის სიმპტომი მელანიას „ნავარდობაში“ ჩანს. შ. არაგვისპირელი და მისი სკოლის მწერლები ძირითადად პესიმისტური აზრისა არიან ცხოვრებაზე, მაგრამ აქ საშიში არაფერი არ არის. ცხოვრების უმსგავსოების დანახვება, შეგნებულ ადამიანს სურვილს აღუძრავს იმის გადაკეთებისას, ხოლო ჩვენი სიცოცხლის დასასრულის საშინელების დასურათება, გრძნობიერ კაცს სურვილს აღუძრავს თავისი თავის უკვდავად შექმნისას, მშრალი თეორემები კი დღეს ვერც ვეღარავის გზას ასწავლის და ვერც ვერავის ყურადღებას მიიქცევს.

*

ჩვენი წერილი უნდა დავაბოლოოთ იმ სამწუხარო მოვლენის აღნიშვნით, რომელიც შარშანდელი წლის ბოლოს ეწია ჩვენს ლიტერატურას. გ. წერეთლის სიკვდილმა ეჭვი არ არის ჩვენს ლიტერატურას მოაკლო ნიჭიერი მწერალი. გ. წერეთლის ლიტერატურული მნიშვნელობის გამოსარკვევად აუცილებელია მის მოწინავე და შემდეგ ლიტერატურას ცოტათი მაინც გადავავლოთ თვალი. განსვენებულ მწერალს ჩვენი ლიტერატურის ევოლუციაში, მსვლელობაში ის ადგილი უნდა მივუჩინოთ, რომელიც ეკუთვნის; მხოლოდ მაშინ შევძლებთ ავცდეთ მეტისმეტ გადაჭარბებას და ან დამცირებას მწერლისას [1]. და ამას ჩვენ შემდეგისათვის ვეცდებით.

/

---

[1] საუკეთესო დახასიათება გ. წერეთლისა, მისი გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვებში, ეკუთვნის ი. ფანცხავას და ჩვენ სრულიად ვეთანხმებით იმას, რომ გ. წერეთელი ღვთისგან ბელეტრისტად იყო გაჩენილი და მარტო მის ბელეტრისტულ მოღვაწეობას უნდა მივაქციოთ ყურადღება. იმას კი ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით, რომ გ. წერეთელს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ბელეტრისტს ბადალი არა ჰყავდეს.

23. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания, Тифлис, 1901 г.)

ჩვენი გონება იმდენად დაშინებულია, ისეთ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, რომ ვერაფრით ვერ წარმოგვიდგენია, თუ ქართულ ცხოვრებას და ლიტერატურას შეუძლია რაიმე თავმოსაწონისა და თავგამოსაჩენის შექმნა. ამიტომაც, სიცილადაც არა ჰყოფნის ეჭვით აღსავსე ჩვენ საზოგადოებას, თუ ჩვენს ლიტერატურაში რაიმე ხეირიანი მაგალითი აღნიშნე.

მით უფრო სასიამოვნოდ დაგვირჩა აღნიშნული წიგნის წაკითხვა. ეს წიგნი ეკუთვნის გ. თუმანიშვილის კალამს. გ. თუმანიშვილი ერთ დროს მთლად ქართულ ლიტერატურას ემსახურებოდა. დრონი იცვალნენ და გ. თუმანიშვილმაც ვერ გაუძლო დროთა ცვლას. თუმცა ეს კი სამუდამოდ შერჩა, რომ ჩვენი ცხოვრების საუკეთესო მოვლენის მომხრე იყო ყოველთვის და ცუდის მეომარი (მაგალითად, იმერეთ-ამერეთის — „კალისტრატიზმის"), რაიცა ნამდვილმა ჩვენმა ლიტერატორებმაც ვერ შეძლეს... გ. თუმანიშვილი მეტად გულთბილად, დიდი თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს მწერლებს და ხშირად მათ არსებით თვისებებს აღნიშნავს ხოლმე. გ. თუმანიშვილს უკან არ დაუხევია და გულწრფელი გაბედულებით აღიარებს, რომ ნ. ბარათაშვილისთანა სახელოვანი წარმომადგენელი იშვიათად ჰყოლია განათლებული ქვეყნების პოეზიასაო. „ბარათაშვილის პოეზია — საუცხოო ჰიმნია, ჰარმონიით აღსავსე ღვთიური ჰიმნი, მაგრამ თანაც ჰიმნი სამგლოვიარო სევდითა და კაეშნით მოცულიო". გ. თუმანიშვილის წერილები ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის, ვახ. ორბელიანის, ე. ნინოშვილის, ზურ. ანტონოვის, ლავ. არდაზიანისა და გ. წერეთლის შესახებ აღსავსენი არიან სიყვარულითა და თანაგრძნობით ამ მწერლებისადმი და ზოგიერთ მათ შესახებ იძლევა საყურადღებო ბიოგრაფიულ ფაქტებს. გ. თუმანიშვილის მადლობელი უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ მართლაც პირველად აღნიშნა განსვენებული ლავ.

არდაზიანის[1] სახელი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის. თითქმის სამართლიანად ამბობს გ. თუმანიშვილი, რომ ლავ. არდაზიანი იყო „ქართული რეალური რომანის მამამთავარი"; თითქმის, მხოლოდ იმიტომ, რომ თუ ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი" 1861 წელს დაიწერა, სამაგიეროდ „გლახის ნაამბობი" — 1859-ში. ამიტომ, ქართული რეალიზმის მამამთავრად რჩება, ერთის მხრით, ილია ჭავჭავაძე, მეორეს მხრით, გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი კი ერისთავის ტიპის რეალისტია. ვერ ვეთანხმებით გ. თუმანიშვილს ვერც იმაში, რომ ალ. ყაზბეგი „ნაროდნიკი", ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, „ტეტიათა მოტრფიალე" იყოს, რადგან ამ ჯურის მწერლებს აზრადა ჰქონდათ გლეხის უმწიკვლო პირადობა დაეყენებინათ სხვა წოდების გარყვნილების კონტრასტად. ალ. ყაზბეგი უფრო რომანტიკოს-ფსიქოლოგია, რომლის აზრი იყო ეჩვენებინა სწორედ ის, რაზეც გ. თუმანიშვილიც უთითებს, ე. ი. თავგანწირული გმირობა, პოეზიითა და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება იმ მთის ხალხისა, რომელიც გახდა მსხვერპლი მისი ცხოვრების ვერ შემგნები პირების სასტიკი და უკაცური ქცევისა. ვერ ვეთანხმებით გ. თუმანიშვილს ვერც გ. წერეთლის შესახებ. ბოლო წლებში მან ჩაიდინა ბევრი შეცდომა საზოგადო საქმეებში და თავის გაზეთში მფარველობას უწევდა იმ მიმართულებას, რომელსაც თვით გ. თუმანიშვილი ებრძოდა.

---

[1] არდაზიანის რომანი სულ პირველად საფუძლიანად გაარჩია სტ. ჭრელაშვილმა „იმედში".

24. XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის

საუკუნეთა წყვდიადს მიემატა ერთი საუკუნეც — XIX საუკუნე, და აწ მის წინამორბედ უფროს თანამოძმეთ წარუდგება განსასჯელად.

არსებითი განსხვავება XIX საუკუნისა სხვა საუკუნეთაგან იმაშია, რომ იგი უფრო მოხუც მოდგმას ეკუთვნის. XVI საუკუნე სარწმუნოებრივი ცვლილებებით, საბერძნეთისა და რომაულის კულტურის ნაშთის განახლებით, ხელოვნებათა აყვავებით, არანაკლებ დიდებული იყო, ვიდრე წარსული XIX საუკუნე; მისი უპირატესობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვური სიცოცხლითა და გატაცებით იყო აღსავსე.

XVII საუკუნე დინჯი და მოწიფული ვაჟკაცი იყო. მეთვრამეტე — კაცის მეორე ახალგაზრდობას მოგაგონებდათ თავისი აღელვებული მოქმედებით, დაუდგრომლობით და მოუსვენრობით, მაგრამ მის ძარღვებში მაინც მობერებული სისხლი იდგა დიდი ოჯახის შვილისა, და აი ამ საუკუნემ დაბადა მეცხრამეტე, შესახედავობით ვითომ და მრთელი, ჯანსაღი ყრმა, მაგრამ სისხლი და ძარღვები კი მას სხვებზე უფრო მოძველებული და მოდუნებული დაჰყვა. მეცხრამეტე საუკუნე ევროპის ქრისტიანული კულტურის დაცემის ხანად უნდა ჩაითვალოს, ისე, როგორც ძველი ბერძნულ-რომაული კულტურის უკანასკნელი საუკუნეები. ასეთი შედარება მეცხრამეტე საუკუნის რომისა და საბერძნეთის დაცემის ხანებთან ძალაუნებურად მოგადგება კაცს ენაზე. ხოლო ის ინტერესი, რომელიც აღძრულია ევროპაში ამ უკანასკნელ დროში ძველი კულტურის დაცემის ეპოქისადმი, არა მცირე საბუთია იმისი, რომ ასეთი მსგავსება არსებობს. კერძოდ ჩვენთვის, საქართველოსათვის, მეცხრამეტე საუკუნე, ასე ვთქვათ, არც კი არსებობს. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი სხვისი მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა.

ჩვენ თუ ჩვენივე ნებით დავუმორჩილდით ჩვენს მეზობელ საქრისტიანო ერს, ამით ისტორიულად აუცილებელი მსვლელობის საქმე ცოტათი დავაჩქარეთ, აღარ ვიხმარეთ ყოველი საშუალება ნიშანში ამოღებული ქვეყნის საშველად, პირდაპირ აღვასრულეთ ის, რაც, „ადრე იქნებოდა თუ გვიან", მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ აქ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქრისტიანო ერს, რომლის კალთის ქვეშაც ჩვენ გამგეთ თავი შეაფარეს, საქმე გავუადვილეთ და დიდი შრომა და ჯაფა ავაცილეთ, კიდევაც დიდი შემწეობა აღმოვუჩინეთ იმ საქმეში, რომელიც მისი ისტორიული მსვლელობის აუცილებელი მიზანი იყო.

ამგვარად, ქართველი ერი ამ ასი წლის განმავლობაში ცხოვრობდა არა სავსებით, არამედ ვაივაგლახით მიჩანჩალებდა. მთელი მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება მარტო ერთ რამეში იხატებოდა — ლიტერატურაში და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში — სიტყვაკაზმულ მწერლობაში[1]. პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენი მონაწილეობისა და გავლენისა, და უფრო ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ თოფის სიახლოვეზეც არ მოგვკარებია. მეცნიერულ-ფილოსოფიური მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაყურებლად დავრჩით: სასულიერო და საერო აკადემიები და უნივერსიტეტები — ეს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნავსადგურნი — სხვადასხვაგვარი სკოლები ჩვენს ხელში არ არის და ჩვენს გავლენას სრულიად აცილებულია.

სიტყვაკაზმული მწერლობა შეიქმნა ერთადერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების უტყუარი გამომხატველი იყო.

უმთავრესი ტონი ჩვენი მწერლობისა არის ღრმა პესიმიზმი, ხანდახან ქრისტიანობრივი მოთმინებით აღჭურვილი (ნ. ბარათაშვილი), ხანდახან მხნე და გამბედავი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი), უმეტესად კი უსაზღვრო, დაუსრულებელი, რადიკალური, უსასო და უიმედო (ჭავჭავაძეები და ჩვენი ახალი მწერლები), მთელი ჩვენი მწერლობა გაჟღენთილია პესიმიზმით, ეს პესიმიზმი ხან ლბილია და გულჩვილი, ხან სასტიკი და მძაფრი.

მართალია, ამ საუკუნის ლიტერატურის უმთავრესი ხასიათია პესიმიზმი, ის ღრმა კვნესა და გოდება, რომელიც ჩვენს ლიტერატუ-

---

[1] პუბლიცისტური ლიტერატურა, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოქმედების იარაღი, ჩვენში არ ყოფილა ამ ხანში.

რაში განუწყვეტლად ისმის, უსაქმურთა და მოცლილთა გამოგონილი კი არაა, მთელი ერის სულის განწყობილების გამომსახველია, საერო ნიადაგზე აღმოცენებული.

ამ კენესის დამწყები, უიმედობით აღსავსე და უსასოებით შებოჭილი ალ. ჭავჭავაძე „ჩაღლევაში“ ეძიებს თავის დავიწყებას და პრაქტიკულ ეპიკურეიზმს მისდევს დარდების გასაქარვებლად. მაგრამ საყვარლის ვნებით აღსავსე კოცნა გამწარებული აქვს ჰაერში გავრცელებული კვნესისა და გოდების ხმებით და ღვინით სავსე ჭიქის ძირშიც სიმწარეს იგემებს თავდავიწყების მაგიერ.

ჩვენი ერის გმინვის განხორციელებული გენიოსი, სულით მშვენიერი და სულითვე ობოლი პოეტი, „გულდახურულთა“ მეგობარს— მთას მიმართავს და მასში ეძიებს თანამგრძნობ მეგობარს; აღშფოთებულის „სულით მაშვრალის“ მგოსნის ფიქრი ცის სივრცის იქით მილტვის იმედისა და ნუგეშის მოსაპოვებლად. და ბოლოს გულმოწყალული და სასოწარკვეთილებით აღსავსე პოეტი გარდაწყვეტს „მოჰშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა, აღარ იხილოს მშობელი და სატრფო ტკბილ მოუბარი, აღარ დაიმარხოს მის მამულში, მისთა წინაპართ საფლავთა შორის“. ამის ნაცვლად, — ამბობს გამწარებული მგოსანი:

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის! .
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი!“

ბედკრულ პოეტს ბედმა ეს მწარე, მაგრამ პოეზიით აღსავსე ბოლო აღირსა მაშინ, როდესაც ევროპის სალირიკო პოეზიის მეხთამტეხმა ბაირონმა გმირულად და მამაცურად, დიდებულად დაასრულა თავისი სიცოცხლე დამონებული ერის განთავისუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაში. ჩვენი პოეზიის მშვიდი ანგელოზი სადღაც კანცელარიაში ჩაკვდა, ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული. „უარყოფილი და დევნილი“-მეთქი ვეღარა ვთქვი, რადგან ესეც კი არა ხვდა წილად, თითქო საგანგებოდ მისი უფერული და უბადრუკი თანამდებობის შესაფერად ეპყრობოდა ბედი და ქართველი საზოგადოება, და არა ისე, როგორც მის დიდებულ ნიჭს ეკადრებოდა.

ახალმა სალიტერატურო სკოლამ, რომელმაც გაიმარჯვა ამ მწერლების შემდეგ. უფრო კარგს გარემოებაში დაიწყო მოქმედება.

უფრო საიმედო და სასოების აღმძვრელი იყო ის გარემოება, რომელშიც ხვდათ მუშაობა ახალ მეთაურებს. მაგრამ წუთიერმა, თითქმის უნიადაგო იმედებმა, უფრო ღრმა სასოწარკვეთილება დაბადეს. მეთაურმა სკოლისამ, ნ. ბარათაშვილის პოეზიის ნამდვილმა და სახელოვანმა მემკვიდრემ, სამშობლოს დიდებულმა შვილმა „განდეგილის“ სასტიკი პესიმიზმით დააგვირგვინა თავისი პოეზია; მან დაჰგმო ცხოვრება მისი ერისა ისეთი მძლავრი და ღონიერი სიტყვებით, რომ ქართულ პესიმიზმს ამაზე უფრო გაბედული და ღრმა არა შეუქმნია რა.

აკაკი წერეთელი ლმობიერსა და მშვიდ პესიმიზმს თავისი პირველი ლექსებისას ურევდა ზიზღით აღსავსე გმობას და ბოლოს ისიც კი დასწერა, რომ „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოო“.

გ. წერეთელმა, უფერული და უშინაარსო ცხოვრების სურათებით, არაფერი საიმედო მისცა ქართველ მკითხველს, და თუ პუბლიცისტიკაში ჰაერში დასეირნობდა, ჰაერში აშენებული კოშკებით ძნელი იყო წელმოწყვეტილი ერის გატაცება. მას უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული დაბეჯითება ეჭირვებოდა.

განსვენებულმა ალ. ყაზბეგმა თავისი მოთხრობებით, და მასთან ერთად ძმათა რაზიკაშვილთა, „მთას“ მიმართეს და მთის გმირი ხალხის სურათები დაგვიხატეს. ალ. ყაზბეგმა შეუდარებელი ნიჭით დაგვანახვა მწარე სურათი ძველი ცხოვრების დარღვევისა და მოსპობისა, ახალ გარემოებათა წყალობით, იმ გარემოებათა წყალობით, რომელიც კანონიერი მსვლელობა კი არ იყო ხალხის ცხოვრების ისტორიისა, არამედ მისი კატასტროფა იყო. ხოლო ის მამაცობა და გმირული თავგანწირულება, რომელსაც იჩენდა მთიული ამ ცხოვრების უკანასკნელ წუთებში, მეტი სასოწარკვეთილების აღმძვრელი კონტრასტი იყო ჩვენი ცხოვრებისა და თანაც მისაბაძავად ყოვლად შეუძლებელი იდეალი, რადგან ეს სიმამაცე და ვაჟკაცობა იმ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, რომელიც საუკუნოდ დამარხული იყო. შემდეგი თაობა მწერლებისა გვიხატავდა გულმომწყვეტ სურათს დევნილი და ტანჯული გლეხკაცობისას, მაგრამ ამ გლეხკაცობის სულიერი და ზნეობრივი ძლიერების დიდი რწმენა მაინც ჰქონდათ (ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილისა). სამაგიეროდ, ახალგაზრდა ჩვენი მწერლები (მელანია, შ. არაგვისპირელი, ე. ნინოშვილი, ან. ერისთავისა, დ. კლდიაშვილი) ამ შემცდარ იდეალიზაციას გლეხობისას ანდერძს უგებენ და გვაჩვენებენ, რომ სხვადასხვა

გარემოებათა წყალობით იქაც, იმ წრეში თუ კლასში, როგორც გნებავთ, თავმოყრილია ყოველივე სიცუდე და ბიწიერება. თუმცა ნინოშვილი ამის მიზეზად სოციალურ პირობებსა ჰხედავს და დ. კლდიაშვილი ირონიით, და თანაც ქრისტიანობრივი სიბრალულითა და მოთმინებით, ეპყრობა საცოდაობითა და უმსგავსოებით აღსავსე ცხოვრებას ამა თუ იმ ჯგუფისას.

თუ ილია ჭავჭავაძის პესიმისტური შეხედულება ჩვენი ცხოვრების შესახებ, გამოთქმული „აჩრდილსა", „განდეგილსა" და „საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში", შეუდარებელი იყო და მისი გადაჭარბება აზრითა და ფორმით არავის შეეძლო, ახალმა ჯგუფმა ჩვენი მწერლობისამ ეს პესიმიზმი მთელ ცხოვრებაზე გადაიტანა და რადიკალური უარყოფით მოეპყრო არა მარტო კაცის ცხოვრებას, არამედ მთელ ბუნებას, ბუნებასა და კაცთა შორის დამოკიდებულებას და, ბოლოს, თვით აზრს კაცისას და ამ აზროვნებით შექმნილ ლოგიკურ კატეგორიებს. ყოველი ბოროტების მომასწავებელი და ბოროტების თესლის მატარებელია კაცის ცხოვრება. ბუნების მოვლენა, კაცთა შორის ურთიერთობა, კაცის აზრი. კაცის აზრით შექმნილი აბსოლუტური იდეები. შ. არაგვისპირელმა კაცის ცხოვრება და აზრი „სისულელედ" მონათლა და დაგმო ყოველი მოვლენა ცხოვრებისა, — სიყვარული, მეგობრობა, კავშირი მშობლიური და ნათესაური, ყოველივე ეს ოცნებად აღიარა, რომლის რეალური განხორციელება საზიზღარი სიბინძურეა, ყოველივე ამ მოვლენის თავზარდამცემი სურათი მოგვცა. ან. დეკანოზიშვილმა ბუნებასა და კაცს, და თვით კაცთა შორის ამართული კედელი დაგვანახვა და ნაზი სევდებით აღსავსე დამამტკიცებელი სურათი მოგვცა ამ საშინელებისა. ივ. ზურაბიშვილმა კაცის აზრის გაუმაძღრობის სიბავშვე და უნიადაგობა დაგვანახვა და კაცის ცხოვრების დიად მოვლენათა უბადრუკი და უმნიშვნელო მსვლელობის სატირულ მოწმედ დასახა კაცის აზრისგანვე შექმნილი წარმოდგენა დროისა. პოეზიაც (ევდოშვილი, ცახელი, განდეგილი) იმავე კვალს ადგია, იგივ უსასოება, იგივ ძირითადი, რადიკალური უიმედობა, და თუ ხანდახან წამოსცდებათ ოაიმე სანუგეშო ჩვენს პოეტებს, მეორე წუთს ერთიორად სასოწარკვეთილი გოდებენ (გრ. აბაშიძე).

ამგვარია არსებითი მიმართულება, რომლითაც წარუდგა ჩვენი ლიტერატურა ახალ საუკუნეს. ამ საუკუნეს ჩვენმა ლიტერატურამ

სავსებით ამცნო კვნესა, გოდება და უსასოება: დაანახვა, რომ ცხოვრების უსასო მდგომარეობამ აზრი წარგვიწყმინდა და გრძნობა მოგვიწამლა, სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო და მთელ ქვეყნიერებაზე მატერიალური და იდეალური თვისების ყოველ მოვლენაზე გული გაგვიტეხა.

გავამტყუნოთ თუ არა ჩვენი მწერლობა ამისთვის და გავიცხოთ თუ არა ჩვენი მწერლები? სრულიადაც არა. ნიჭიერი მწერალი ვაჭარი ხომ არ არის, ის ფართალი ეძიოს, რომელიც უფრო გასაღდებ». იგი გამომსახველია ეპოქის მიმართულების, ერის კვნესა-გოდების, მისი მხიარულების, იმედების, სასოების, სასოწარკვეთილებისა და უსასოების, სევდებისა და ვარამის, გამომხატველია იმ აზრების, რომელიც დატრიალებს ერში და რომელიც შეგნებული აქვს მას, როგორც ნიჭიერ არსებას; იმ გრძნობების აღმძვრელია, რომელსაც მისი ნიჭიერების ნაზი აპარატი სავსებით აღბეჭდავს ხოლმე, და თანაც მომავლის შემგნები და შემთვისებელი, მომავლის წინასწარმეტყველიც არის.

აბა რა ნება აქვს ციური მადლით მოსილ მწერალს გამაძღარი, უდარდელი და უაზრო ბურჟუას ოპტიმიზმით იტყუოს თავი და სხვებიც ატყუოს. ვისა აქვს ნება, სამხიარულო ჰანგები შემოსძახოს, როცა სამგლოვიარო ზარი ისმის მისი მეგობრისა და მეზობლის ოჯახში. რომელი პირუტყვი იქნება, მტრის ცხედარიც რომ დაინახოს, სევდით არ აღივსოს, გაითვალისწინებს რა არარაობას და უშინაარსობას ცხოვრებისას.

არაერთხელ გვითქვამს — ისტორია იმის დამამტკიცებელია, რომ საღი პესიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ბალღური ოპტიმიზმი, რომელსაც საუკუნოდ წესი აუგო მეთვრამეტე საუკუნის გენიოსმა ვოლტერმა. პესიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე სრულიად არ აძლევს არავის ნებას გულზე ხელი დაიკრიფოს და ცხოვრებას გვერდზე გაუდგეს. ჩვენი ლიტერატურის დიდებული წარმომადგენელნი გვაძლევენ ამის მაგალითს. ილია ჭავჭავაძემ „განდეგილობა“ თითქმის გაამართლა, რაკი ცხოვრების საოცრად მკაცრი და სასოების წარმკვეთი სურათი დახატა, მაგრამ თანაც დასაჯა „განდეგილი“ ამ ცხოვრების მოშორებისათვის, რადგანაც, მისი აზრით, ცხოვრებიდან გაქცევა ყოვლად შეუძლებელია და მოუხერხებელი, და ამიტომ ამ ცხოვრების მძიმე ტვირთის ზიდვა აუცი-

ლებლად დასახა. ხოლო ჩვენი ლიტერატურის სულმნათმა დიდებამ ჩვენს ლიტერატურას და ცხოვრებას ეს მოძღვრება უანდერძა, რომელიც წმინდად და შეუბღალავად უნდა დავიცვათ მომავალ საუკუნეებშიაც:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეეაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

26. „ხმა ახლოდან“

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენმა წერილმა „XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის“ ბევრი გააცხარა, მაგრამ ერთი „მწერალი“ კი გააწიწმატა.

დუტუ მეგრელი თავისებურად და ქართველურად აბდა-უბდას მიედ-მოედვა. „ამ ბოლოს დროსო, — ბრძანებს დინჯად ბ-ნი დუტუ მეგრელი — ჩვენში გავრცელდა, ასე ვთქვათ, დასებრივი და პირად განწყობილებაზე და სიმპატიაზე აშენებული კრიტიკა, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ მასო“. („ივერია“, № 27). და მაგალითად ჩემი ზემოთხსენებული წერილი მოჰყავს. მე თურმე „პირადი განწყობილებით და სიმპატიით“ ვიხელმძღვანელე, როცა ამ წერილში ვახ. ორბელიანის, მამია გურიელის და სხვ. სახელი გამოვტოვე და ა. დეკანოზიშვილსა და ზურაბიშვილს კი „მთელი ტირადები“ ვუძღვენი.

უნდა ვამცნოთ ბ. დუტუ მეგრელს და მსგავსთა, რომელთაც თურმე კარგად იციან ვინ ვისთან როგორ განწყობილებაშია, ის, რომ მხოლოდ ბურენინის მსგავსი მწერლები ხმარობენ იმგვარ იარაღს, როგორიც არის იმის განცხადება, რომ ესა და ეს ამასა და ამას იმიტომ აქებს, რომ მისი მეგობარია და ამას იმიტომ აძაგებს, რომ იმისი მტერიაო.

თუ თქვენ სიმართლის აღდგენა გსურთ, უნდა ეომოთ აზრს აზრით და საბუთებით და არა ჭორების შემწეობით და იმის გამოქვეყნებით, ვინ ვისთან არის კარგ განწყობილებაში და ვინ ვისთან — ცუდში. ადვილი შესაძლებელია, რომ დიდად გიყვარდეს და პატივსა სცემდე კაცს და ამ სიყვარულმა, მართლაც, ისეთი რამ აღმოგაჩენიოს მის ნაწარმოებში, რასაც სხვა ვერა ჰხედავს, აგრეთვე ადვილი შესაძლებელია, ხშირად მტრობამაც ისეთი ნაკლულევანება შეგამჩნევინოს კაცის ნამოქმედარში, რასაც სხვა ვერ ჰხედავს. თუმცა უფრო ხშირად სიყვარული და კეთილი განწყობილება თვალების ამხელია და სიძულვილი დამაბრმავებელი. მით უმეტეს, არცერთი თავისი თავის პატივისმცემელი, პატიოსანი და რიგიანი მეგობარი და მტერი იმას არ ეცდება, რომ თავისი აზრი გააზვიადოს და გადააჭარბოს

მტრისა და მეგობრის შესახებ, რაკი თავისი დამოკიდებულება თვალწინ ექნება დაყენებული. რასაკვირველია, ბ. დუტუ მეგრელისთანა პირებისათვის ადვილია ყოველი კაცის რიგიანობასა და პატიოსნებაზე ეჭვი შეიტანონ, მაგრამ მაგითაც ფონს ვერ გავლენ და მათგან შექმნილი ტალახის ზელას თვითვე მოუნდებიან.

ყოველი წრე, ყოველი პარტია აქებს ხოლმე თავისი პარტიის წარმომადგენლებს და იცავს ამ პარტიისგან წამოყენებულ პრინციპებს, იმიტომ კი არა, რომ მისი მეგობრები ამ პრინციპს იცავენ და აგრეთვე მოწინააღმდეგე დასის წევრებს ეომება, იმიტომ კი არა, რომ ისინი ყველანი მისი მტრები იყვნენ. ხშირად შეიძლება საუკეთესო მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ, რაკი მათ შორის აღმოჩნდება არსებითი განსხვავება აზრისა და გრძნობისა, და, შესაძლოა, მტრები ერთმანეთს დაუახლოვდნენ იმავე ნიადაგზე შეერთებით.

უმეტეს ნაწილად კი მეგობრობა ისე, როგორც ყოველი სერიოზული დამოკიდებულება, რომელსაც ფატალური ხასიათი აქვს, სრულიად აუხსნელი გრძნობაა, რომლის აუცილებელ პირობას როდი შეადგენს აზრის ურთიერთობა, და ხშირად ორი სრულიად სხვადასხვა მიმართულებისა და ტემპერამენტის კაცი დაუკავშირდება ერთმანეთს, და ეს მათი კავშირი თითქმის საუკუნოა. ამის მაგალითებით სავსეა ისტორია. ყოველ შემთხვევაში, წრფელი მეგობრობა და კავშირი თავის დღეში არ ითხოვს იმას, რომ მეგობარი უსათუოდ ნიჭიერი მწერალი იყოს, ან ნიჭიერი ხელოვანი, ან ნიჭიერი მეცნიერი.

ამიტომაც, მხოლოდ ჭორიკანობის მოყვარულ ჩვენს საზოგადოებაში არის შესაძლო ისეთი ველური და მხეცური აზრის დაუსჯელად წამოროშვა, რომ ეს ამის ნაწერს იმიტომ აქებს, — მისი მეგობარია და ამის ნაწერი იმიტომ არ მოსწონს, რომ მისი მტერიაო.

დიდებულ ისტორიკოსს, ფრანგ მიშლეს, თავისი მეგობრის კინეს, ყოველი თხზულება ცათამდეს აჰყავდა და მთელ ლექციებს უძღვნიდა ხოლმე, მაგრამ თავის დღეში არავის ის არ უთქვამს — იმიტომ აქებს, რომ მისი მეგობრის ნაწერიაო.

მე თუ დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილის შესახებ „მთელს ტირადებსა“ ვწერ, იმიტომ კი არა, რომ ჩემი მეგობრები არიან, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ახალი მიმართულების ხელოვნურ თხზულებებსა სწერენ, ისეთი მიმართულებისას, რომელიც ევროპულ ლიტერატურაშია დამკვიდრებული და საუკეთესოდ მიჩნეული.

თუ ეს შემცდარი აზრია, თუ დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილის ნაწერები მოკლებულნი არიან იმ ღირსებებს, რომელთაც მე მათში ვხედავ, გაუგებრობა დამწამეთ. თორემ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან — და ჩვენ საქართველოში ვართ, სადაც ისეთი პირები ხშირად შეგხვდებათ, როგორც ბ-ნი დუტუ მეგრელი ბრძანდება, სწორედ ამიტომმეთქი, გმირობა იყო ჩემის მხრით მეგობრის ნაწარმოების შესახებ რისამე დაწერა. მაგრამ ჩემს საქმეს სრულიად სხვაგვარად ვუყურებ და მოვალეობად მიმაჩნია, რომ ჩვენი ლიტერატურის ის მოვლენა უნდა აღვნიშნო და გამოვაქვეყნო, რომელიც საყურადღებოა, სულ ერთია, მტერს ეკუთვნის საყურადღებო ნაწერები, თუ მეგობარს.

ამიტომაც მოხდა, რომ არაგვისპირელსა და კლდიაშვილს თუმცა სრულიად არ ვიცნობდი უწინ. მაგრამ მათ ნაწარმოებებს დიდი აღტაცებით ვიხსენებდი, დღეს კი შეიძლება ჩვენს შორის მეტად კეთილი განწყობილებაც არსებობდეს.

ამიტომაც არის, რომ თუმცა ბ. დუტუ მეგრელთან უფრო კარგ განწყობილებაში ვიყავი, ვიდრე დ. კლდიაშვილთანა და შ. არაგვისპირელთან, მაგრამ მისი ნაწარმოები მაინც დავგმე და ეს ჩემი აზრი მწერლობითაც გამოვთქვი ერთხელ, და თუ ეხლა აღარას ვლაპარაკობ, ეს იმიტომ, რომ ლაპარაკის ღირსადაც არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რაკი მისი ლიტერატურული ზნე და ხასიათი ვიცი. სწორედ ამ მოსაზრებითვე არ მოვიხსენიეთ მისი სახელი მისგან დაგმობილ ჩვენს ფელეტონში, რადგან არ მიმაჩნია ნიჭიერ და ორიგინალურ მწერლად. ბ. დუტუ მეგრელის ნაწარმოები ე. ნინოშვილის მოთხრობების ტიპის ძლიერ სუსტი და მკრთალი წარმომადგენელია და მათი მიბაძვაა.

კარგად უნდა იცოდეს ბ. დუტუ მეგრელმა, რომ არდაზიანისა და ჭონქაძის შესახებ პირადი სიმპათია-ანტიპათიით არ შემეძლო მეხელმძღვანელა, რადგან მათ მე არც კი ვიცნობდი, ხოლო ვახ. ორბელიანი და მამია გურიელი კი — პირადი ანტიპათიის მიზეზით გამომრჩებოდა (ამის განსჯა ბ. დუტუ მეგრელის „დამოკიდებულებათა ამბების“ ცოდნისათვის მიგვინდვია).

რაც შეეხება ორბელიანებს და გ. ერისთავს, მე მგონი მათ შესახებ მე ძალიან ბევრი მიწერია, თუკი რამე ყრია ხეირიანი ამ ნაწერებში, და თუ ჩემს გახსენება-დავიწყებას რაიმე მნიშვნელობა აქვს, მე იგინი უთუოდ არ დამავიწყდებოდა.

ეს კი ვიცი, რომ ბ. დუტუ მეგრელის გეგმა კიდეევაც რომ შესრულდეს, და ჩვენ დიდებულ მოღვაწეთა ბიოგრაფია გამოიცეს, მგონი იმის სახელს მათ რიცხვში არავინ შეიტანს, თუ თვით არ იკისრა ამგვარი ბიოგრაფიების შედგენა.

დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილისათვის კი ჩემს „ტირადებს“ ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც შარშანდელ თოვლს, იმიტომ, რომ, როგორც ვიცი მათი ნაწარმოებიდან (და პირადი დამოკიდებულებიდანაც, რაკი ბ. დუტუ მეგრელს ეს ძალიან მოსწონს), მათთვის აბქვეყნად, შ. არაგვისპირელისა არ იყოს, არაფერს არა აქვს ფასი და მნიშვნელობა, რადგან ყოველივე გარდამავალია და ცვალებადი, ყოველივეს სიკვდილისა და გახრწნილების ფერი ადევს. კიდეე ერთი ვიცით... ის, რომ მუხლმოდრეკილიც რომ ვეხვეწო არც დეკანოზიშვილი და არც ზურაბიშვილი არცერთ ბ. დუტუ მეგრელის „თხზულებას“ ხელს არ მოაწერენ.

სასაცილოა გაზვიადებული თავმოყვარეობა თვით გენიოსისაც, და სასაცილოა და სიბრალულის აღმძვრელი, თუ ამგვარი ავადმყოფური თავმოყვარეობა უნიჭოსა და უმნიშვნელო არსებას დასჩემდა.

26. ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი ლიტერატურის შესახებ

ფრანგული ჩვეულება მინდოდა ჩვენში შემომეღო და ბევრს მივმართე და ვთხოვე ჩვენი ლიტერატურის წარსულისა და მომავლის შესახებ თავისი აზრი წარმოეთქვა. მაგრამ ქართველურად მოიქცა ყველა. ზოგმა ჩაიცინა, ზოგმა ხელი გაიქნია, ზოგმა ქართული ეჭვით აღსავსე კრიტიკით მიპასუხა. ზოგმა კი გულითადი თანაგრძნობა გამიწია და მიპასუხა. ერთ ამ პასუხთაგანს თითქმის სავსებით მოვიყვანთ.

ეს პასუხი მეტად საყურადღებოა, რადგან გულწრფელი აღსარებაა აზრთა იმ მდგომარეობისა, რომელიც მეფობს ჩვენში და რომლის გამომჟღავნებას ზოგიერთი ვერა ბედავს. ამ წერილში მოყვანილია ჩვეულებრივი სურათი ქართული ლიტერატურის სიღარიბისა, მოყვანილია მიზეზი ამგვარი მდგომარეობისა. ყველა ეს შეიძლება უფრო ლამაზად იყოს ნათქვამი, თორემ არ ახალია, ძველია, მაგრამ არის საინტერესო რამეც და ამის შესახებ უნდა ვიბაასოთ. წერილი ეკუთვნის ქალს, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ჩვენს ლიტერატურასთან:

„თუმცა ჩემის მხრით დიდი სითამამეა წარმოვთქვა აზრი იმ საგნის შესახებ, რომელიც, უნდა გამოვტყდე, თითქმის სულ უცნობია ჩემთვის. მაგრამ თქვენი სურვილი უნდა აღვასრულო, ბატონო ჩემო! ქართულ ლიტერატურას, ჩემდა საუბედუროდ და სამარცხვინოდ, მეტად ნაკლებად ვიცნობ და გულწრფელად გეტყვით, არცა მაქვს სურვილი იმის გაცნობისა. არა მაქვს ნამდვილი სურვილი ჩვენი ლიტერატურის გაცნობისამეთქი და აი რატომ. აზრით კი ვარ დარწმუნებული, რომ, როგორც ქართველმა საზოგადოდ და ქართველმა დედამ კერძოდ, ყველაზე უფროც უნდა ვიცოდე ქართული აზრისა და ენის ისტორია და ნიმუშები; უნდა ვიცოდე, როგორ უყურებდნენ ქართველთა საუკეთესო და ნიჭიერი წარმომადგენლები ბუნებას, ცხოვრებასა და ქვეყნიერებას; ვგრძნობ და ვიცი, რომ ამ კაცების სათვალის შემწეობით. უნდა გამეცნო პირველად ქვეყნიერების დიადი წიგნი, მათი შემწეობით უნდა მომეპოვებინა ხელმძღვანელი, როცა ეჭვები

და აუხსნელი კითხვები აწვებოდნენ ჩემს სუსტ გონებას. მაგრამ, ერთის მხრით, ყოვლად შემძლე გარემოებამ ხელი შემიშალა და, საუბედუროდ, სხვა სათვალეები შემაჩერა ხელში და ეხლა ამ სათვალეებს ისე შევეჩვიე, რომ მეძნელება სხვა სათვალეების ხმარება. თითქმის ვერასა ვხედავ იმ ახალი სათვალეებით, რომლითაც გულითა მსურს დავინახო რამე. მეორეს მხრით კი, უნდა წარმოვსთქვა ჩემი უმეცარი და, შეიძლება შემცდარი აზრიც იმის გასამართლებლად, თუ რატომ არა მაქვს სურვილი გავიცნო ეს ჩემთვის თითქმის უცნობი ჩვენი ლიტერატურა. ვიმეორებ, იმიტომ არა მაქვს სურვილი, რომ ამ ლიტერატურას არ შეუძლია ჩემის აზრის დაკმაყოფილება. ჩვენი ლიტერატურა მეტად ღარიბია, მეტად ინტერესს მოკლებულია მისთვის, ვისაც გონება ფხიზელი აქვს და ცოდნის წყურვილი აქვს გაღვიძებული... ჩვენი ლიტერატურა ჩამორჩა ცხოვრებას.... ცოდნის მწარე წყურვილი, რომელიცა სწვავს და სდაგავს ეხლა ყოველ ადამიანს, რომლის გონებაც ცოტა არ იყოს გაღვიძებულა, — ვერავითარ დაკმაყოფილებას ვერ პოულობს ქართულ ლიტერატურაში. რამდენიმე ოაზისი, რომელიც ამ უზარმაზარ უდაბნოში აქა-იქ მხიარულად გამოიყურება—რუსთაველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძეები, ორბელიანი, აკ. წერეთელი, ყაზბეგი — ვერ არის იმდენად მდიდარი წყალითა და ჩრდილით, რომ იქ დაისვენოს, წყურვილი მოიკლას და ღონე მოიკრიბოს გვალვისა და ჯაფისაგან დაქანცულმა მგზავრმა. ქართული ლიტერატურა, ვიმეორებ, ჩამორჩა სხვა ლიტერატურის ძლევამოსილ წინსვლას და ეხლა მხოლოდ ისტორიულ და არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს; რაც უკანასკნელი წლების ლიტერატურას შეეხება, ამასაც კი ვერ ვიტყვი, რადგან იგი ერთობ უფერული, მეტად არაორიგინალური... მართალია, ზოგიერთი ახალგაზრდა ბელეტრისტი ცდილობს ახალი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საგანი განმარტოს, მაგრამ მათ კალამს და აზრს ის ყოყმანი და სიმტკიცის ნაკლულევანება ეტყობა, რომელიც აზრის უსუსურობას ამტკიცებს, თუნდ წარმოვიდგინოთ, რომ სიტყვაკაზმულმა მწერლობამ საპატიო ადგილი დაიჭიროს ჩვენს კულტურაში, წარმოვიდგინოთ, რომ მან უკვე დაიმსახურა პატივისცემა და სახელი არა თუ ქართულ, არამედ უცხო ლიტერატურაშიაც, პოეზიისა და საზოგადოდ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა განვითარება მაინც კიდევ არ არის უკანასკნელი სიტყვა ხალხის განვითარებისა. ჩვენს ლიტერატურაში მეტად იშვიათად

შეხვდებით სერიოზულ მეცნიერულ სტატიას, ან წიგნს, და არც სხვადასხვა მეცნიერული წიგნების პოპულარიზაციაა გამრავლებული...

ქართული ლიტერატურა ღარიბია, რადგან მკითხველი არა ჰყავს, და მკითხველი არა ჰყავს, რადგან ლიტერატურა ღარიბია. ეს უცნაური და წელის მომწყვეტი ჯადო-რკალია ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობის გამომხატველი. ასეა, ჩემო ბატონო! როგორც ხედავთ, მე ქართული ლიტერატურის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, თუმცა გულით მინდა, რომ ვიყო. ამიტომაც, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენს კითხვაზე—„რა მოელის ქართულ ლიტერატურას"—პასუხად ერთ კითხვას მოგცემთ: რა მოელის ჭლექიანი მშობლების შვილს, რომელიც ბნელსა და ნოტიო სარდაფში იზრდება, ყველასაგან მიტოვებული და შიგიწყებული? ამის პასუხი მხოლოდ ერთია: რასაკვირველია, სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი ნელი, თუ სწრაფი—ეს არის ეხლა მთავარი საკითხი. საკითხავი ის არის, თუ რამდენ ხანს გააძლებინებს ჩვენს ლიტერატურას ის ქველმოქმედი მკურნალი, რომელსაც ქართველი ლიტერატორი ჰქვიან. როდის მოეღება ბოლო ამ ლიტერატურის აგონიას—მიმდინარე საუკუნეში, თუ მომავალ XX საუკუნეში? მე მგონი, რომ მრავალტანჯული ყრმა უფრო ადრე დალევს სულს, რადგან მეტად ბნელია სარდაფი და არც ერთი შუქი გენიოსობის თუ ნიჭის მზისა არ ანათებს და არ ათბობს მას თავის განმაცხოველებელი ძალით. მხოლოდ გენიოსს შეუძლია ჩვენი აღდგენა და გაცოცხლება, თუკი დროზე დაიბადება. თორემ შეიძლება ისეთ ხანაში გაჩნდეს ეს გენიოსი, როცა მას დაუხვდება მყუდრო და მშვიდი სასაფლაო, სადაც სიტყვას, ქართულად წარმოთქმულს, ვერც კი ვერავინ გაიგებს, კიდევაც რომ უნდოდეს. შედით ქართულ ოჯახში, შებრძანდით სასწავლებელში, საიდანაც გამოდიან ჩვენი საზოგადოების მომავალი მოღვაწეები და დედები და მაშინ მიიღებთ თავზარდამცემ გულისგამგმირავ პასუხს ამ კითხვაზე: სადღაა ქართველი? თუ დღეს კიდევ სადმე კუნჭულში მოიპოვება ძაძით შემოსილი და ლოყებდაკაწრული თავის ბედის მომტირალი ქართველი, — მეოცე საუკუნის დამლევს, მე მგონია, ამისთანა ქართველი არქეოლოგიურ რარიტეტად გარდაიქცევა... ამისთანა დროს გულგრილობა და აპატია არც გასაგებია და არც მოსათმენი. ჯერ კიდევ შეგვიძლია ცხოვრება და ძალად ვიკლავთ თავს, ძალით ვცდილობთ დამბლა დაგვეცეს. მიმოვიხედოთ აქეთ-იქით, ყველგან იმას დავინახავთ, რომ მოგზაურნი მით უფრო ებღაუჭებიან მხსნელ ღუზას, რამდენადაც ხომალდი ზღვის უფსკრულისა-

კენ იწევს. ხალხის მხსნელი ღუზა ხელოვნება და მეცნიერებაა, და ვიდრე ეს ღუზა არსებობს, არცერთი ერი არ შთაინთქება, რაც უნდა ქარიშხალი ატყდეს, ეს კი მწამს, მაგრამ არ ვიცი ეს საზოგადო რწმენა კერძოდ ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, საიმედოა, თუ სასოების წარმკვეთი. ოღონდ ეს კი ვიცი, რომ მდგომარე მეოცე საუკუნე ის სფინქსია, რომელიც თავისი გულგრილი და ულმობელი ხმით გვეუბნება: გამიცან, თორემ შთანგთქამო!"

ასეთი გახლავთ ეს წერილი, მრავალგზის საინტერესო. საინტერესოა და საყურადღებო იმიტომ, რომ აქ ის არის გამოთქმული, რასაც ჩვენში წერა-კითხვის მცოდნის უმეტესობა ფიქრობს და ვერ ამბობს კი. ბევრია ამ წერილში მწარე ჭეშმარიტება, რომელსაც მე არ შევეხები, მაგრამ ერთი საგანია, რომელიც უფრო ჩაფიქრებასა და დაკვირვებას ითხოვს. პატივცემული ქალი ბრძანებს: „არ ვიცნობ და არცა მაქვს სურვილი ქართული ლიტერატურის გაცნობისა... იმიტომ, რომ ამ ლიტერატურას არ შეუძლია ჩემი აზრის დაკმაყოფილებაო". ამას ამბობს და ფიქრობს უმეტესობა ჩვენი განათლებული საზოგადოებისა და ასეც იქცევა ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ.

ჩვენ, რასაკვირველია, იმ აზრს ვერაფრით ვერ შევურიგდებით, რომ განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა იყოს ჩვენი ერის ხორცმეტი, რომლის მოკვეთა სრულიად ადვილი და სასარგებლოც კია ამ ერისათვის. ამგვარი შეხედულება უმეცარ ფანატიკოსთა აზრია, სრულიად მოკლებული ყოველივე საფუძველსა და ნიადაგს. განათლებული ნაწილი საზოგადოებისა ერისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც თავი სხეულისათვის და ტვინი — თავისათვის. განათლებული ნაწილი ყოფილა და იქნება ყოველთვის მთელი ერის წინამძღოლი, მისი მმართველი, მისი აზრისა და გრძნობის განმახორციელებელი. მოხდება ხშირად, რასაკვირველია, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა გადაგვარდება, სულითა და გონებით დამახინჯდება და ჭეშმარიტ გზას ასცდება, მაგრამ აქედან ნუთუ ის დასკვნა შეიძლება კაცმა გამოიყვანოს, რომ ის საჭირო არ არის, ანდა ზედმეტი მავნებელი მოვლენაა. ასე რომ, ისიც შეიძლება კაცმა თქვას, რომ თავი თუ გტკივა, ან ტვინის ძაფები დასუსტებული გაქვს — თავი მოიკვეთე და გადააგდეო. უთავო კი არა, თითმოკვეთილი კაციც აღარ არის სრული, ნორმალური არსება, და მით უმეტეს ერი, რომლის

ორგანიზმიც ბევრად უფრო ნაზია და ბევრად უფრო დიდი და ფაქიზი მოთხოვნილებისა, ვიდრე კაცის სხეული.

ამ წერილში გამოთქმული აზრი სავსებით ეკუთვნის დაავადმყოფებულ მეთაურ ნაწილს ერისას.

რაკი კაცის სხეული გავიხსენეთ, გავიხსენოთ ზოგიერთი ფიზიოლოგიური მოვლენაც. მთელი სხეული იკვებება და იზრდება, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, კუჭის მოქმედების წყალობით. კაცი გარეშე ნივთიერებას სჭამს. კუჭი დაღეჭილ ნივთიერებას იღებს და გადაადუღებს, გაანაწილებს მთელს სხეულში. კუჭის მოქმედება ორნაირია: ერთი ის, რომ საჭმელს მიიღებს და, მეორე, ამ საჭმელს ანაწილებს. როცა კუჭი ამ თავის ორმხრივ მოქმედებას მოსპობს, კაცის სხეულსაც ბოლო მოეღება. მთელი სხეულიც მარტო ეგოისტურ როლს კი არ ასრულებს თავისი თავის კვებისას, იგი დიდსა და მდიდარ, მრავალგვარ მოვალეობას ასრულებს ბიოლოგიურსა და სოციოლოგიურს, რომელთაგანაც უპირველესი ადგილი უკავია კაცის გვარის განგრძობას წარმოშობის წყალობით. სხეულს არა თუ მარტო შიგნით შემოაქვს, გარეთაც გააქვს და მაღალ ალტრუისტულ მოვალეობას ასრულებს, ხარჯავს რა შეკრებილს და შინ შემოტანილ მასალას.

კაცის გონებაც ასევეა. თუ კაცი მარტო გონებითა სჭამს, ესე იგი მარტო თავისი თავის განცხრომასა და კმაყოფილებაშია, თავისი თავის აზროვნობით კვებაშია, იგი იმ კუჭს ემსგავსება, რომელიც საჭმელს ღებულობს და ვერ ანაწილებს, ითვისებს და ვერ ახერხებს მის რიგიანად მოხმარებას. გონებაც ავადმყოფია, სუსტი და ანომალური, როცა იგი მარტო თვით ძღება და სხვას კი ვერას უზიარებს, მარტო შიგნით შემოაქვს და გარეთ კი ვერ გააქვს, იგი უარყოფაა კაცისა. უარყოფაა კაცის გონების ძლევამოსილი მნიშვნელობისა.

აი, ამ უხეირო გონებით არის აღჭურვილი დღევანდელი ჩვენი დაავადმყოფებული, გადაგვარებული განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, ანუ ინტელიგენცია. მისი გონება იმ კუჭსა ჰგავს, რომელსაც საუკუნო დიეტა აქვს დაწესებული. ჩვენი ინტელიგენციის გონება იკვებება, მაგრამ ვერ ითვისებს საზრდოს და ამის მიზეზია, რომ მის ხალხს, მის ერს ვერ უზიარებს ვერაფერ შეძენილ აზრსა და გრძნობას.

დიდად ძნელი და აუცილებელი მოვალეობა ერის მოწინავე ნაწილისა ის არის, რომ გაუზიაროს შეძენილი თავის ხალხს, თავის

ერს. ეს მოვალეობაც არის და მისი აუცილებელი მოთხოვნილებაც, თუ იგი ავადმყოფი არ არის. რას მიქვიან, ამ შემთხვევაში, იმის თქმა, რომ „ჩვენი ლიტერატურა ჩვენს აზრს ვერ აკმაყოფილებსო“? ბალღები ვართ, თუ კუჭმოშლილი არსებანი, რომ სათამაშო ტიკინები მოვითხოვოთ, ანდა მადის აღმძვრელი ცხარე საჭმელები? ლიტერატურა მარტო გასართობად, მარტო უსაქმურთა თავისშესაქცევად ხომ არ არის მოგონილი, იგი მოვალეობაა ნიჭით აღბეჭდილი არსებისათვის, სასიამოვნო ტვირთია, რომლის შემწეობითაც უღელს უმძიმებს მთელს ერს, მთელს ხალხს, რომელიც ბედმა და გარემოებამ უფრო უარეს პირობაში ჩააყენა.

თუ ჩვენი ინტელიგენცია ევროპის ლიტერატურის ცოდნამ ისე განავითარა[1], რომ მართლაც ჩვენი ლიტერატურა მას ვერ აკმაყოფილებს, თვით უნდა შექმნას ისეთი ლიტერატურა, რომელმაც მომავალში დააკმაყოფილოს თვით მოწინავე თაობაც, და დღეს კი იმ ერს მაინც მიაწოდოს გონების საზრდო, რომელიც ასე ადვილად ვერ მიწვდება ევროპის კულტურას; თუ თვით მაძღარია, სხვასაც უზიაროს გონების ნაწარმოები. თუ ავადმყოფი არ არის, კარგი საზრდოთი ნაკვები გონების შედეგი დაგვანახვოს, თუ ის მრთელია და ნორმალური, ეს გარეთ გამოტანა შეძენილისა, ეს გონებრივი წარმოშობა ისეთივე ფატალური მოთხრვნილება იქნება მისთვის, როგორც ფიზიკური.

ბავშვობაა, მარტო იმის მოთხოვნა, რომ ლიტერატურამ უთუოდ გაართოს კაცი. დინჯი კაცი, რომელსაც საუკუნო და „წყეული კითხვები“ გონებას უშფოთებს, ცდილობს ყოველივე შეისწავლოს, ყოველივეს მოჰკიდოს ხელი და, თუ ვერსად იპოვის სანუგეშოს, თავისი უნაყოფო ცდისა და შრომის ისტორია ყველას აუწყოს. კიდეც რომ გვინდოდეს, არ ძალგვიძს, რასაკვირველია, ყველა იმ მიზეზის ჩამოთვლა, რამაც ჩვენი ერის მეთაური ნაწილი მიიყვანა ასეთ ავადმყოფობამდე. მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, რომელიც სრული შედეგია ამავე გარემოების. ეს არის ის მონური შიში, ის მონური სასოწარკვეთილება, რომლითაც გაჟღენთილი ვართ ყველა. ვერცერთს ვერ წარმოგვიდგენია, რომ შესაძლო იყოს ქართველმა რამე

---

[1] მე ამისიც დიდი ეჭვი მაქვს. ორიოდე კაცს ვერ შეხვდებით ჩვენში, რომ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ევროპული ლიტერატურისა და მით უმეტეს ფილოსოფიისა.

ხეირიანი დაწეროს, რამე გონების და აზრის მოსამზადებელი შექმ-ნას. რომელიც გინდა ქართული ნაწარმოები აიღეთ, რომ ის უცხოურ ენაზე იყოს დაწერილი, ერთიორად გაიზრდებოდა ჩვენს თვალში. მეტად ცუდია, როცა თავის განდიდება სიმართლის გზას გადაგაც-დენს, მაგრამ — ერთიორად უფრო საზიზღარია და საბრალო, როცა შიში ისე მოგიცავს, რომ ვეღარ ბედავ რაიმე ღირსება ჰპოვო შენს თავში. ჩვენს ოჯახებში ხშირად მიღებულია შვილებთაგან ერთ-ერ-თის ამორჩევა, რომელიც უთუოდ იმით თავდება, რომ ნაკლებ საყ-ვარელ შვილს ყოველნაირად ამცირებენ. ისიც, საბრალო, ჰიპნოტი-ურად მოხიბლულია და ფიქრობს ძალაუნებურად, რომ ღვთისაგან მოძულებული ქმნილებაა და, ბოლოს, მართლაც, დაეცემა გონებით და ზნეობით. ისე დაგვემართა ჩვენც. მეტისმეტი თავის განდიდება არასდროს არა გვცოდნია, მაგრამ ამ ბოლო ხანს მეტისმეტად შეგვე-ბოჭა გონება და სრულიად ავცდით კეთილშობილ სამართლიანობას.

უშიშრად ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის-თანა პოეტი დღეს კი არა, ამ უკანასკნელი ოცდაათის წლის განმავ-ლობაში რუსეთს არა ჰყოლია და არც ფრანგების სიული პრუდომმი და კოპპე, გინდ ჰერედია სჯობია მათ: ჩვენს პოეტთა ნაწარმოებზე უფრო ესთეტიურ და ზნეობრივ სიამოვნებას ისინი ვერ მოგანიჭებენ, თუ პატარა ხანს შიშს და დაჩაგრულობას თავს დააძვრენ, მაგრამ ეს ვერ მოგვიხერხებია. პროზაში, მართალია, ტოლსტოი არა გვყავს, მა-გრამ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოები რომ რუსულად იყოს დაწერილი, და ჩეხოვისა და პოტაპენკოს ან სხვისი სახელით მოწერილი, აღტაცებაში მოგვიყვანდა. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავა-ძის და გრ. ორბელიანის შესახებ კი იმას მოგახსენებთ, რომ ევრო-პიელიც სიამოვნებით დატკბებოდა მათი ნაწარმოებით, მაგრამ... სენ-კევიჩის ბედი გაიხსენეთ. ხელოვნებისა და ლიტერატურის ძლიერმა სამეფო საფრანგეთმა ეხლა გაიცნო სენკევიჩი, მაშინ, როცა ჩეხოვსა და პოტაპენკოს დიდი ხანია რაც იცნობს. რუსეთმა თავისი ლიტერა-ტურა სწორედ მახვილით გაავრცელა, იმ აზრით, რომ რაკი რუსეთმა პოლიტიკური ძლიერება მოიპოვა, მისი ლიტერატურაც საყურადღე-ბოდ შეიქნა, თორემ ტოლსტოი თითქმის 50 წელიწადია რაც სწერს.

წარმოვიდგინოთ, თუნდა ასეც იყოს. თვით ძლიერი რუსეთის ლიტერატურაც რა იყო პუშკინამდე! ბელინსკიც კი ამბობდა, რომ პუშკინამდე ლიტერატურა არ იყოო, და რომ ჩვენი ინტელიგენციი-ათვის წაებაძნათ, რუსული ლიტერატურა დღეს არ იქნებოდა-

თვით ჩვენი პატივცემული ქალი ბრძანებს: „ჩვენი ლიტერატურა ღარიბია, რადგანაც მკითხველი არა ჰყავსო“... და მაშ მოვალეობაა მათი, ვისაც გონება განვითარებული აქვს, შეისწავლოს, იკითხოს ჩვენი ლიტერატურა, ამ კითხვით მუშაკნი გაამხნევონ და თვითონაც ეცადონ, ნაკლი შეავსონ.

ჩვენი გონებითა და სულით მაშვრალი ინტელიგენცია კი იმ გადაგვარებამდე მივიდა, რომ მეგობრული და ამხანაგური ერთობა და თავაზიანობაც არა აქვს, მეგობრის ნაჯღაბნი წაიკითხოს. კითხვა კი ისევე საჭიროა მწერლისათვის, როგორც მჭევრმეტყველისათვის მსმენელი, მღვდლისათვის მრევლი და სარდლისათვის ჯარი; და არა მარტო იმიტომ, რომ მატერიალურად გააღონიეროს, არამედ ზნეობრივი ძალაც მისცეს.

ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა ვთქვათ იმ ღრმა უსასოების გამო, რომელიც გამოთქმულია ზემოთ მოყვანილ წერილში. თვით ამავე წერილშია მოყვანილი მშვენიერი მაგალითი იმისი, თუ ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს კაცი და საზოგადოდ ერი. „მოგზაურნი მით უფრო ებღაუჭებიან მხსნელ ღუზას, რამდენადაც ხომალდი ზღვის უფსკრულისაკენ იწევს“. დიახ, ჭეშმარიტია, ეს ძალაუნებურად მოხდება ხოლმე.

ყოველი უარყოფისა და ყოველ გულწრფელ სასოწარკვეთილებას იქით იმალება მოქმედების იდეალი, რომელიც იმაში იხატება, რომ დღევანდელობის ქარიშხალს ეომება და ებრძვის. „ჰაერში“ ტრიალი კარგია და მშვენიერია მაღლობის წმინდა „ჰაერით“ სუნთქვა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ „ჰაერში“ მონავარდე ადამიანის ფილტვებმა ვერ აიტანოს ბინძური ჰაერი დედამიწისა. და როცა „ჰაერში“ ნავარდი იმით მთავრდება, რომ „კალისტრატიზმს“ დემოკრატიულ პრინციპად აღიარებ, და მისთვის, რომ „ჰაერში“ ნავარდით ყოველივე უცნაურობის ჩადენის ნებას ძისცემ შენს თავს, მაშინ ეს „წუმპეში“ თრევა არის თავისი თავისა და სხვისა, და არა „ჰაერში“ ფრენა. დოგმატიკოსთა გარდა სხვა მოქმედნიც არიან ცხოვრებაში, და ეს ისინი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომელნიც, დღევანდელი სიბინძურით აღშფოთებულნი, ყოველმხრივ სამარეს უთხრიან მას, რომ ბრწყინვალე მომავალს მსვლელობა შეუმსუბუქონ. შეგნება ავადმყოფობისა, მისი გამორკვევა ერთი ბიჯია განკურნებისაკენ. ჭლექის ბაცილების აღმოჩენა იმის საწინდარია, რომ ეს ადამიანის მტერი მოსპობილ იქნება.

27. საქართველოს წარსული საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი

1

იაკობ ფანცხავამ, რომელსაც სხვადასხვა დროს სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები უწერია, რომელთაგან „მოამბეში“ დასტამბა ფრიად საყურადღებო გარჩევა ეკონომიური მატერიალიზმის თეორიისა და რომელიც თავის წერილებში ეხლანდელი ფილოსოფიის (გიუიო, ფულიე, ტარდი და სხვა) საუკეთესო ევოლუციონისტ ფილოსოფოსთა აზრებს ატარებს, შემდეგი ბარათით მოგვმართა ჩვენგან დაყენებულ საკითხზე. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ მივმართეთ ბევრ ცნობილ მოღვაწეს და დავეკითხეთ თავისი აზრი შეეტყობინებინათ ამ საუკუნის ჩვენი ლიტერატურის წარსულის შესახებ, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავლის შესახებ. ი. ფანცხავას ეს ჩემი ინიციატივა მაინცა და მაინც არ მოსწონებია. ეს ჩვეულება, ეგრეთ წოდებული „ანკეტა“ (ლიტერატურული გამოძიება), ფრანგულია და ი. ფანცხავა მწერს შემდეგს:

„ეს წესი ვერაფერს გამოარკვევს ჩვენი მწერლობის შესახებ. საფრანგეთში ყოველი კერძო პირი ზედმიწევნით მცოდნეა თავისი მშობლიური მწერლობისა და ისტორიისა. გარდა ამისა, საფრანგეთში შრომა განაწილებულია. ამის მეოხებით კი საფრანგეთში ბევრი ძლიერ ბევრი პირი მოიპოვება, რომელიც ღრმად მცოდნეა მეცნიერებისა თუ ხელოვნებისა, და სხვა რომელიმე დარგისა, და რომელსაც უჭირავს დიდად საპატიო ადგილი, მაგრამ იგი მწერლობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. აი, საფრანგეთის მწერლობისათვის საგულისხმოა იცოდეს აზრი ასეთ საფუძვლიან მუშაკთა და მცოდნეთა. დარწმუნებული უნდა იყოს კაცი, რომ აზრი, შეხედულება ასეთ პირთა ყოველთვის საფუძვლიანი და საცოდნელად სასურველია. ჩვენში კი საქმე სრულებით სხვაგვარად არის. ჩვენში, ვისაც კი რამე უღვივის გულში, ყველა მწერლობს. მაშასადამე, მისი აზრიც ცნობილია მწერლობის შესახებ. ვინც კი გარეშეა ამ მწერლობისა, მას

არ აინტერესებს ჩვენი ისტორია და მწერლობა, ამ მწერლობის ინჩიც არ გაეგება. ასეთ პირს რომ შეეკითხო, რა გამოვა ამ შეკითხვიდან?— უაზრობის მეტი არაფერი. ასედაც დაგმართნიათ, ვიღაც მანდილოსანს რომ დაკითხვიხართ. იმას ჩვენი მწერლობისა არა გაეგება რა და არც სურვილი ჰქონია გაიგოს რამე. მისი აზრი, მაშასადამე, იმდენადვე საინტერესოა, რამდენადაც საინტერესო იქნებოდა აზრი და შეხედულება მარსის მცხოვრებისა ჩვენი მწერლობის შესახებ. ასეთ გადაბირებულთა ბედი ერთია — აღიგავონ პირისაგან მიწისა, ვითა კვამლი და არ აღბეჭდონ კვალი ნავალი"...

პატივცემულ მწერლს უნდა მოვახსენოთ პირველად ის, რომ უფრო ხშირად საფრანგეთში თვით მწერლებს დაეკითხებიან ხოლმე ამგვარ სალიტერატურო საგნების შესახებ, და მეორე ისიც, რომ ჩვენშიაც მოიძებნება ერთი-ორი კაცი, რომელიც ლიტერატურაში მონაწილეობას არ ღებულობს, მაგრამ ლიტერატურაზე კი შეუძლია აზრი წარმოთქვას. ესეც რომ არ იყოს, ამგვარი წესი იმით მაინც არის კარგი, რომ ჩვენს უაზრობასა და უცოდინარობას მაინც გამოაქვეყნებს. ვერ ვეთანხმებით პატივცემულ მწერალს იმაში, რომ ჩვენგან ამას წინათ გამოქვეყნებულ წერილს ერთი მანდილოსნისას მნიშვნელობა არა ჰქონდეს, რადგან იგი არის გამომხატველი თითქმის მთელი ჩვენი საზოგადოების ინტელიგენტი ნაწილის აზრისა. ამას თვით ი. ფანცხავაც ამტკიცებს, რასაც ქვემოთ დავინახავთ. ისა სჩივის — ლიტერატურა დაეცა, იმიტომ რომ „ინტელიგენტი მკითხველი აღარა ჰყავსო" (არც ჰყოლია თავის დღეში). და რატომ არა ჰყავს „ინტელიგენტი მკითხველი", ან რითი იმართლებს თავს ეს გვარი მკითხველისა, იმ მანდილოსანის წერილში იყო სავსებით გაცხადებული. ასეთი მარსის მცხოვრებნი კიდევ საუკეთესო ნაწილია ჩვენი განათლებული წრისა. მას სევდა მაინც დარჩენია, გული მაინცა სტკივა, რომ მშობლიური ლიტერატურა არ აკმაყოფილებს, სხვებს კი თავის მოსაწონადაც მიაჩნიათ ეგ უცოდინარობა.

ეხლა ი. ფანცხავას აზრს მოვიყვანთ ჩვენგან დაყენებული საგნის შესახებ:

„ჩემი აზრი?! არ ვიცი რა აზრი უნდა ვიქონიო. ჩვენს მწერლობას რომ ცხოველმყოფელობა დაეტყო მეცხრამეტე საუკუნეში, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვინც თვალყურს ადევნებდა ამ მწერლობას. ისიც ცხადია, რომ ჩვენს მწერლობას უაღრესი ნიჭის მესვე-

ურნი გაუჩნდნენ: ამ ბოლო დროს კი ჩვენი მწერლები დაკნინდნენ. მიზეზი ორგვარია: გარეშე და შინაური. გარეშე ის არის, რომ ჩვენს მწერლობას საგანი შეუმცირდა და მას უცხოელი მწერლობა მეტოქეობას უწევს; შინაური ის არის, რომ ჩვენი შეუგნებლობის გამო, უფრო ერთმა ნაწილმა ქართველობისამ გული აიცრუა ჩვენს მწერლობაზე: რადგან თუთიყუშობა უფრო ეადვილება უმრავლესობას, ვიდრე დამოუკიდებელის აზრისა და გემოს ქონება. ამის მიზეზია, რომ ჩვენს მწერლობას თითქმის აღარა ჰყავს ინტელიგენტი მკითხველი; ეს გარემოება კი მწერალს გულს უცრუებს გულმოდგინედ მოეპყრას თავის საგანს. ამას კი ის მოჰყვა, რომ ახლა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე თარეშობენ სრულებით უვიცნი ყოველიფერში: მათ არც ქართული ენა იციან, არც სწავლა-ცოდნა მოეპოვებათ. ეს გარემოება კი ნამდვილს ნიჭიერსა და მცოდნეს აიძულებს გვერდი აუარონ ჩვენს მწერლობას და სხვა რაშიმე მოიპოვოს მყუდროება აშფოთებულის სულისა. ამისვე ბრალია ის მოვლენა, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენს მწერლობაში ნიჭნი არ ვითარდებიან, ხანდახან, დრო გამოშვებით, მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩვენს სამწერლო ასპარეზზე გამოაკრთობს ხოლმე სხივებს ესა თუ ის ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი. ფიქრობ, აი ვინ იქნება დამამშვენებელი ჩვენის მწერლობისა. მაგრამ იმედი ცრუვდება, ის ნიჭი უეცრად ჰქრება და სამწერლო ასპარეზს ეთხოვება, რადგან მას მწერლობა არა ჰკვებს, მკითხველი ინტელიგენტი არა ჰყავს მას. და რადგან მის კეთილსინდისიერ ნაშრომს კი არა ჰკითხულობენ და სრულებით სხვას, სალანძღავ, ჩვენებურად კი საპოლემიკო ნაჯღაბნს ეტანებიან. აი, ასეთია ვითარება.

რა იქნება შემდეგ? ასეთ კითხვაზე პასუხის მოცემას გავურბივარ, რადგან მომავალი ყოველთვის წყვდიადით არის მოცული. მაგრამ ვიტყვი მაინც, თუ ჩვენის მწერლობის ვითარებამ ასე გაატანა კიდევ ერთ ხანს, მაშინ სწორეთ საფათერაკოა თვით არსებობა ჩვენის მწერლობისა; მაგრამ მე მწამს, — თუკი ჩემს რწმენას ჩემ გარდა კიდევ ვისმე სხვისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს, — რომ იმ ერის მწერლობა არ უნდა აღიგავოს ასე მალე, რომელმაც დაბადა სულმნათი შოთა რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, აკაკი წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი და ილია ხონელიც კი; არ უნდა მოისპოს ასე მალე ის მწერლობა, რომელმაც ამ გათახსირების დროს შეიძლო ქართულად გადმოეთარგმნა უმშვენიერესი და უაღრესი ნიმუშები ხელოვნებისა

ივ. მაჩაბლის, დ. ყიფიანის, ივ. მაჭავარიანის და იასონ ბაქრაძის ცდა-მეცადინეობით. ის გარემოებაც დიდ იმედს იძლევა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენმა მწერლობამ შეიძლო მეცნიერების გადმონერგვა ვას. პეტრიაშვილის წყალობით. ეს ფაქტები მე იმედს არ მისპობენ და სასოებას მაძლევენ, რადგან კარგად ვიცი, რომ სხვა ერების მწერლობაც პირველად არანაკლებ განსაცდელში იყო და რადგან მწამს ბერანჟეს სიტყვების სინამდვილე:

«Пусть мы бедны: Надежда золотая и в рюмочке найдет себе приют».

იაკობ ფანცხავა.

14 თებერვალი 1901 წ.

ქ. ფოთი.

ღმერთმა ხეირი მოგცეთ და იმედები გაგიმართლოთ! მაგრამ თქვენგან აღნიშნული მიზეზები, ჩვენი ლიტერატურის დაცემისა და დაქვეითებისა, არა თუ მცირდება, იზრდება და მატულობს. ყველაზე უფრო გაუგებარი კი იმ მწერალთა მოქმედებაა, რომელნიც თქვენა გყავთ მოხსენიებულნი და, რომელნიც საბრძოლველ მოედანს განშორებიან და უმეცართა და უზრდელთათვის დაუტოვებიათ საგლეჯადა და საწიწკნად ჩვენი მწერლობა.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ჩვენს მოღვაწეს, როგორც სალიტერატურო ისე საზოგადო ასპარეზზე, ნუ დაიზარებენ და რამდენიმე სიტყვით გამოთქვან თავისი აზრი XIX საუკუნის ჩვენის ლიტერატურის შესახებ, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავლის შესახებ. არ ძალმიძს ყველას კერძოდ ძივმართო სხვადასხვა მიზეზების გამო, თუ გინდ იმიტომაც, რომ ყველას ადრესი არ ვიცი. ვინც ჩვენს თხოვნას ყურადღებას მიაქცევს და ისურვებს თავისი აზრის გამომჟღავნებას, ვთხოვთ წერილები გამოგვიგზავნონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ჩვენს სახელზე.

2

ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა შემდეგი მოკლე წერილით მოგვმართა. სავსებით მოსალოდნელი იყო ასეთი წერილი შ. არაგვისპირელისაგან. საღი და გონიერი შეხედულება ცხოვრებაზე, მით უმეტეს ჩვენს ბეჩავ ცხოვრებაზე იმედებს ვერ აღუფრთოვანებს კაცს, მაგრამ თანაც „კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა“; და ეს კაცობა, ეს ადამია-

ნობა ძალად გვახვევს თავზე სასოებას, იმედს: „იქონიე სასოება, იქონიე იმედი, თორემ უნდა მოისპო, პირისაგან ქვეყნისაო, — გვეუბნება ცხოვრება. რასა ჰხედავ საიმედოს, რასა ჰხედავ სანუგეშოს, სად ხედავ ღუზას შენი დამსხვრეული ფიქრისა და აზრისათვისო, გვეუბნება ჩვენი გამეფისტოფელებული გონება? და ვართ ამ საშინელ ბრძოლაში, აზრისა და გრძნობის ამ საშინელ რყევაში.

აი რასა გვწერს შ. არაგვისპირელი:

„მწამს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მომავალი; მწამს, როდესაც ჩემ თვალწინ ჩვენი წარსული საუკუნეების მოღვაწენი წარმომიდგებიან, რომელთა ნაწარმოები ჩვენი ერისთვის ჯერ უცნობია ხილია. იმედი მაქვს, რომ მეოცე საუკუნე გააცნობს ქართველ ერს წარსულ ღვაწლს ქართველი ერისას; ამის შემდეგ, დადგება ახალი ხანა ქართული ლიტერატურისა, ამის შემდეგ დაიწყებს დიდი ნაკადულით ჩქეფას. მაგრამ ამავე დროს, ჩემდა უნებურად, თვალწინ მეხატებიან მე-18 და მე-19 საუკუნეების ქართველი გეროსტრატები და... რწმენა, იმედი და სასოება, მეძნელება თქმა, სადღაც უჩინრად იბინდებიან, და მხოლოდ ცეცხლის ალიღა ღაღადებს ჩემ თვალ წინ“.

შიო არაგვისპირელი.

ჩვენი ოპტიმისტები პესიმისტებს უკიჟინებენ, მაგრამ შ. არაგვისპირელი ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ მწარე და შხამით აღსავსე ფიქრები ცხოვრების შესახებ კაცს ხელს არ უშლის ენერგიულად იმუშაოს ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ცხოვრებაში იმ პრინციპების განსამტკიცებლად, ურომლისოდ ცხოვრება ცხოვრება კი არაა, არამედ გახრწნილება და სიკვდილია. ბევრი ნაღველი გადმოუნთხევია შ. არაგვისპირელს, დღევანდელი გათახსირებული ცხოვრებისაგან გამწარებულს, მაგრამ თანაც ყოველთვის გაუღვიძებია სურვილი საუკეთესო და მშვენიერი ცხოვრებისა.

3

ავ. ცაგარელი ჩვენში, გ. ერისთავის შემდეგ, ერთადერთი კომედიის მწერალია, რომელსაც საზოგადო ყურადღება აქვს დამსახურებული. მისი „ხანუმა“ ჩვენი სცენის რეპერტუარში ერთი საუკეთესოთაგანია და საზოგადოებისაგან მოწონებული. ავ. ცაგარელი ასეთი აზრის არის ჩვენი ლიტერატურის შესახებ:

„თქვენი შეკითხვა ქართველი მწერლებისადმი, წარსული და მომავალი ჩვენი მწერლობის გამო, არ მეოცა, არ მეხამა, რადგანაც მეც ხშირად მიფიქრია იმაზე, რა იყო და რა იქნება. ჭკუა-გონების და აზრ-ფიქრების ხროვით აშენებული ზღუდიდან დაშტერებით გავყურებ, ორპირა იანუსივით, წარსულს და მომავალს და შემდეგს ვხედავ: წარსული — მღელვარე, მოძრავი, დღიურ ვარამთან მებრძოლი... ხალხი ფუთფუთებს, სულის საზრდოს ეძიებს, მრავალ ჯაფა-წვალებას იტანს მისი მოპოვებისათვის; მას ამხნევებს და ასულდგმულებს სრული შეგნება თავის ვინაობისა... სულის საზრდო მალე იზრდება, შესაფერად მალე ისხავს ფრთას, ნიადაგზე (შედარებით) მკვიდრად იკიდებს ფეხს და საუკუნის დასასრული ხელში ბაირაღით გააქვს; მომავალი — მოკრიალებული, ტრიალი, ხელუხლები ყამირი, რომელზედაც მუშაკნი კანტიკუნტად მოსჩანან და ისიც ისეთი მუშაკნი, რომელთაც არ იციან მიწის შემუშავება, ნიადაგის დამზადება, ხვნა-თესვა, თუმცა სურვილი დიდი აქვთ, მაგრამ სურვილი სანანურ სურვილად რჩება. ამ მოუმზადებელმა მუშებმა სულ ნარჩევი თავთუხი რომ დასთესონ ამ ხელუხლებ, გამოუკვლეველ ნიადაგზე, პურის მაგივრად უთუოდ ღვარძლი მოუვათ. საზოგადოდ, ამგვარი შეხედულებისა ვარ წარსულ და მომავალ ჩვენ მწერლობაზედაც.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისე თვალსაჩინოდ მიმაჩნია ჩვენი ლიტერატურა, როგორათაც, მაგალითად, თვალსაჩინოა დიდი თამარის დრო საქართველოს სხვა მეფეების მეფობასთან შედარებით. კმაყოფილი ვარ რა წარსულისა, მომავლისა ძალიან ნაკლებად მაქვს იმედი! გული მწყდება... მაგრამ დიდ დანაშაულობად და ღალატად მიმაჩნია სინიდისის და ერის წინაშე, როდესაც ცრუ იმედებით ინუგეშებ თავს და ატყუებ ხალხს. კაცმა როგორ უნდა დაუმალოს თავის თავს მომაკვდინებელი სენი და იმ წამსვე მკურნალს არ მიმართოს და გაფაციცებით არ ეძებოს გამკურნებელი სახსარი! ასე ვფიქრობ ჩვენს ლიტერატურაზედაც მომავალში.

ერთ მარტივს და სულ უბრალო კითხვას მოგახსენებთ. კაცი რომ წინ წარუძღვეს ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურას, იმ ხალხის ენა უნდა იცოდეს თუ არა?! ახლა გადაათვალიერეთ დღევანდელი ჩვენი ნაწერები, ჩვენი ლიტერატურული ენა! ეს რა ენაა და ვისგან მოგონილი?!.. და რაც დრო გადის, ენის სიმახინჯე უფრო და უფრო იზრდება! აბა, მიბრძანეთ, რის იმედი უნდა მქონდეს? გაგონილა.

სადმე ენის უცოდნელად ლიტერატურის არამც თუ აყვავება, არსებობაც კი?!

ჩვენი ძველები რომ სწერდნენ და დღესაც სწერენ, იმათ ენა იცოდნენ, რაშიაც მათ დიდად ხელს უწყობდა ოჯახი და მშობლები. თუმცა ბევრს იმათგანსაც უცხო ენაზე მიუღიათ სწავლა-განათლება, მაგრამ უცხო ენის ცოდნა ისე სასტიკად ვერა სჯაბნიდა სამშობლო ენას, როგორც დღეს, რადგანაც ოჯახი და მშობლები მკვიდრად უჭერდნენ მხარს თავის ენას. რის მეოხებითაც შვილები ჯერ სამშობლო ენაში ვითარდებოდნენ და მერე ისე ჰკიდებდნენ ხელს უცხო ენის შესწავლას. აბა დღეს, მოწყალება მოიღეთ და მიმითითეთ, რომელია ეს ნამდვილი ქართული ოჯახი, ქართველი მშობლები და მათში აყვავებული ქართული ენა? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე! ყველა ეს გამოუბრუნებლად წასულია და უკიდურესი ღონისძიებაა საჭირო მათი გამობრუნებისათვის! დღევანდელი მოზარდი თაობის სამშობლო ენის ცოდნა კარგად მოგეხსენებათ, და თუ ეს საქმე (ენის არ ცოდნა) ხეულშეუხებელი დარჩება, აშკარაა, რომ მომავალში თანდათან უარესს უნდა მოველოდეთ... ეხლა ეს მიბრძანეთ (ეს ძველებიც წავიდნენ!), რა ენაზე უნდა იხეიროს და ფრთა გაშალოს ქართულმა ლიტერატურამ?!.

დღევანდელი ჩვენი მწერლობა ნაძალადევია, გაჭირვებულის ბრძოლა, არაქათგამოცლილის ღოღიალი, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება... ამიტომაც დღეს და მომავალში ჩვენს ლიტერატურას ვადარებ სულთმობრძავს, რომელსაც ხელს უწყობენ, ზრუნვას და მოვლას არ აკლებენ, ვიდრე იგი კიდევ სუნთქავს! გული მწყდება, სისხლი მეყინება... მაგრამ ეს კი ასეა.

აქედან ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენთვის ერთადერთი მხსნელი ამ საზარელი განსაცდელისაგან არის ენის დაცვა სასტიკად, მისი ძირიან-საძირკვლიანად შესწავლა... სხვა ყველაფერი გაქსუებული იმედებია!

ა. ცაგარელი".

ამ ბოლო დროს ენის შემწიკვლაზედ ტირილი ერთობ გახშირდა ჩვენს მწერლობაში. ეს მოვლენა ამტკიცებს მას, რომ ჩვენი სალიტერატურო ენა ცოტა არ იყოს შეფერხებულია. ყოვლად მართალია ის, რომ ჩვენს მწერლებს, რომელნიც ქართული ლიტერატურის შესწავლიდან ძალიან შორს არიან, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ და,

ამგვარად, ენის კანონიერი და ორგანიული განვითარების მაგიერ კატასტროფული მოვლენები ხდება ენის ევოლუციაში. ჩვენთვის ცხადია ის, რომ მეცხრამეტე საუკუნემ ჩვენს ლიტერატურაზე იქონია ისეთი გავლენა, რომ სრულიად შეცვალა მისი შინაარსი, შეცვალა ენის სტილისტური მხარეც. ჩვენი ლიტერატურის ისტორიის დაუღალავმა მშრომელმა ა. ხახანაშვილმა მშვენივრად აღნიშნა ის მრავალგვარი გავლენა, რომელიც გაუვლია ჩვენს მწერლობას დღემდე: ეს გავლენა იყო სამი დიდი კულტურისა — ბიზანტიურის, არაბულისა და სპარსულისა. ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ენა და ლიტერატურა იყო ამ გავლენის ქვეშ აღზრდილი. XIX საუკუნიდან საქართველო გარუსებული ევროპიული ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო და არის დღემდე. აუცილებელი იყო, რომ ამ გავლენას ძველი ელემენტები შეერყია და ლიტერატურა სრულიად ახალ გზაზე დაეყენებინა. ამიტომაც, დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის შინაარსი და გარემოება მთლად ერთიანად შეიცვალა, თუმცა, რასაკვირველია, ძველ კულტურათა გავლენა აგრე ადვილად მოსაშორებელი არ იყო. მაგრამ ძველს უფრო ძლიერი ახალი მიემატა. მართალია, ჩვენი ლიტერატურის დედაბოძი, „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, ისეთი რამ არის, ურომლისოდაც ქართული ენის მდგომარეობა და სიცოცხლე ყოვლად წარმოუდგენელია, მაგრამ ის კიდევ უფრო მართალია, რომ ჩვენი მომავალი ენისა და სტილის ქვაკუთხედად უნდა დადებულ იქნას ი. ჭავჭავაძის პროზა და აკაკი წერეთლის პოეზია. ეს ისეთივე ფატალური რამ არის ქართული მწერლობისათვის. როგორც „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ საუკუნო გავლენა ჩვენს მწერლობაზე. მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით კიდევ მოვილაპარაკებთ ქართული დღევანდელი ენის შესახებ.

4

ავტორი „ღამის მეხრე ცეცოსი“, როგორც ვიცით, ხალხის მოტრფიალე მწერალია. ს. მგალობლიშვილის და მისი სკოლის მწერლები იმ აზრის არიან, რომ ხალხი ყოვლის სიკეთითაა აღსავსე და მხოლოდ გარემოება არ აძლევს ნებას ეს სიკეთე სავსებით გამოიჩინონ; ხალხი ყოველთვის მაღალი ღირსების არის და სრული, თუ სხვა მისი მოძმე და ბატონი ტვინს არა სწოვდეს და სიცოცხლეს არ უმწარებდესო. შეიძლება ბევრი სამართლიანიც იყოს ამ აზრში, მაგ-

რამ, როგორც ყოველი აზრი, იგი დაშორებულია სინამდვილეს. იქნება ეს აზრი სხვაზე უფრო ნაკლებად უახლოვდებოდეს სინამდვილეს, ამაზე ბაასი შორს წაგვიყვანდა და შემდეგში კიდევ გვექნება ს. მგალობლიშვილის ნაწერებზე ლაპარაკი და მაშინ მისი თხზულების მთავარ აზრსაც შევეხებით, ეხლა კი მოვისმინოთ მისი აზრი ჩვენთვის საინტერესო საგნის შესახებ.

„იმ ერს, რომელსაც ისეთი დიდებული წარსული აქვს, როგორც ქართველ ერსა, სიკვდილი არ უწერია. შეიძლება ამისთანა ერი დაიღალოს, სიკვდილის პირს მიაღწიოს, მიიძინოს კიდეცა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მიძინებაა, წარმოშობილი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ერისაგან დამოუკიდებელ მიზეზთაგან. ქართველმა ერმა საკმაოდ თვალსაჩინოდ დაანახვა ქვეყანას, თუ რა ძალა ჰქონია ამ ერთ მუჭა ხალხს, რა ცით მონაბერი ნიჭით ყოფილა იგი აღჭურვილი, რომელთა მეოხებითაც დაუცავს მას ეროვნება თავისი ელფერით. ენა და სარწმუნოება. მხოლოდ მძლავრ ერს, მძლავრს, გავიმეორებ, სულის ძალით, ნიჭით, მამულის მედგარი სიყვარულით შეეძლო ერად დარჩენა. იმ დროს, როდესაც აზიაში მცირე ხალხები შეიმუსრნენ, აღიგავენ პირისაგან ქვეყნისა, ვითარცა მტვერნი, ანდა. თუ არ აღიგავნენ, გადარჯულდნენ, გადასხვაფერდნენ, შეუსისხლხორცდნენ უფრო მძლავრ ერებსა და მით დაჰკარგეს თავიანთი ვინაობა, საქართველოს ერმა გაიარა ათას ცეცხლსა და ნავთში და ძლეული გამოვიდა; მთელი აზია ლამობდა მის ჩაყლაპვას, მაგრამ იგი დარჩა ვითარცა „ვერცხლი გამოხურვებულ და გამოცდილ მიწით, და განწმენდილ შვიდ წილად". ამისთანა ერს, რომლის წარსულიც ბრწყინვალე შარავანდედით არის შემკული და გვინათებს შემდეგ თაობათა ძნელს სავალსა გზასა, მომავალიც ბრწყინავალე მოელის. ეს არის ეხლა განვლილი საუკუნე თავმდებია ამისი: „შავთა დროთ ვერა შესცვალეს, მის გული ანდამატისა", და აი მცირე მიყუჩებისა და მიძინების შემდეგ ხალხის გენიამ იფეთქა და ამოადუღა მარგალიტები — მთელი რაზმი დიდებულის მგოსნებისა: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. და ვახ. ორბელიანები. ამათ ზედ მოჰყვნენ ბელეტრისტები — დ. ჭონქაძე, გრ. რჩეულიშვილი, ლ. არდაზიანი; მესამოცე წლებიდან ხომ იფეთქა ჩვენმა ცხოვრებამ და დაჰბადა დიდებულნი პოეტნი, ბელეტრისტნი და პუბლიცისტნი. მას შემდეგ ისე ათეულს წელს არ გაუვლია, რომ ამ რაზმს არ შემატებოდეს თითო-ოროლა ნიჭით გასხივ-ცისკროვნებული მწერალნი: ალ. ყაზ-

ბეგი, ეგ. ნინოშვილი, ნიკ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, მელანია და სხვ. ახლაც დიდებულად იღწვიან ეს უკანასკნელნი ხმანი, მათ გვერდში ამოუდგა ახალი გუნდი დიდებულ და ღრმა ნიჭით მოსილ მწერალთა, როგორნიც არიან შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი და სხვ. რასაკვირველია, ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა იმ დიდებულ წერტილზე არ სდგას, როგორც ჩვენს გულსა ჰსურს, მაგრამ ამას ხელს უშლიდა, და კიდევაც უშლის, ბევრი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები. არის ისეთი მიზეზებიც, რომელთა დარღვევა ადვილად შეგვიძლია. ჩვენი წარსულის შესწავლა გვაკლია ეხლანდელ მოღვაწეებს, წარსულში ბევრი ფასდაუდებელი სიუჟეტებია, რომელთა გარდაქმნა ისტორიულ რომანებად, მოთხრობებად და დრამა-ტრაგედიებად ელის მცოდნე ხელს, უმაღლესის ნიჭით დაჯილდოვებულებს. ამას უნდა დაეწაფოს ჩვენი მწერლობა, რომ ასახელოს მამული და თავისი თავიც ისახელოს. მე მგონი, რომ ეს ერთი დიდი მიზეზია, რომელიც აბრკოლებს ჩვენი მწერლობის გაფუფუნებაღორძინებას: მწერლობა ჩვენში პროფესიონალურ საგნად არ არის გამხდარი, იგი არ შეადგენს, სამუდამო ხელოვნებას: როგორც ძველს დროში ჩვენთა წინაპართა ცალს ხელში ეპყრათ ხმალი და მეორეში ჯვარი, ისე ჩვენს მწერლებს მარჯვენა ხელში უჭირავთ კალამი და მარცხენათი ეზიდებიან ცხოვრების ჯვარსა, ტვირთსა მძიმესა: ჩვენი მწერალი, ერთსა და იმავე დროს, კანცელარიაში ირთმევს სულს და მერე დაღალულ-დაქანცული ჰკიდებს სამწერლოდ კალამს ხელსა, მოვა დრო, — ესეც აღარ იქნება; მოვა დრო და შუქი განათლებისა გამოუღებს კარს ჩვენს ხალხს, ჩვენს „ტეტიას“ და მაშინ მძლავრად დაიწყებს ჩქეფას ხალხის გულიდან დიდებული ცხოველმყოფელი ნაკადული. თუმცა ეხლანდელი ქამთა ვითარება შავ-ბნელს აზრებს ამიშლის ხოლმე თავში, ერთს წამს სასოწარკვეთილებას მიმცემს ხოლმე, მაგრამ ანაზდეულად თვალწინ გამივლიან დიდებული სურათები ჩემი წარსულისა და აწყმოს მოღვაწეთა და გული კვალად იწყებს სიამოვნებით ფეთქვას. ტირილი რა ხელსაყრელია.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“...

გულს ნუ გავიტეხთ აწინდელი ვითომდა დაქვეითებით; ამიტომ მეც, საყვარელ შიოსთან ერთად, დავიგალობებ „მწამს“ და მასთან ერთად შეერთებით ამაყად ვიტყვი: „მწამს, რომ ჩვენს ლიტერატურას ბრწყინვალე მომავალი მოელის, მწამს, თუმცა ამ „მრწამსში“ ბევრი ნაღველიც ურევია.

ს. მგალობლიშვილი“.

5

ქ-ნი განდეგილი ცნობილი მწერალი ქალია ჩვენში. სიამოვნებით წაუკითხავს ყველას, ვისაც კი ჩვენი ლიტერატურა საინტერესოდ მიაჩნია, მისი ლექსების თაიგული. ბოლო დროს, მართალია, მოუძვირა წერას პატივცემულმა პოეტმა, მაგრამ იმედს არა ვკარგავთ, რომ მის მუზას კიდევ დაუდგება აღფრთოვანების ხანა. აი, განდეგილის აზრი ჩვენის ლიტერატურის შესახებ.

„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი უტყუარი თავდებია იმისა, რომ ჩვენი მწერლობა წარმატების გზას დაადგა. მე დარწმუნებული ვარ, ასეთი თანდათანობითი წინ სვლა საპატიო სახელს მოგვიპოვებს. მართალია, ჩვენში ბევრჯერ უიმედოდ წამოიძახებენ: ახალი მწერლობა დაგვიკნინდა, ძველ მწერალთა მაგვარი აზრთა სიდიადე და სიმტკიცე აღარ მოსჭვივის მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ნაწარმოებშიო, მაგრამ თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ ჩვენის მწერლობის გადასხვაფერებას და მასთან დროთა ბრუნვას, ნათლად დავინახავთ, რომ ცხოვრების ცვალებადობამ დაჰბადა მწერლობის ცვალებადობა და, მაშასადამე, ძველთა და ახალ მწერალთა შორის აზრთა სხვადასხვაობაც.

ამიტომ, მე, ჩემის მხრით, არ ვეთანხმები გულგატეხილთა ასეთს ღაღადს! დედა ყოველთვის შიშშია თავის ახლად ფეხადგმული შვილის გამო: აი, საცაა წაიქცევა და ცხვირ-პირს დაიმტვრევსო; მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ფეხს ვერ გაიწაფავს და სწორად სიარულს ვერ დაეჩვევა?

ყოველი საქმე, რომელიც ჩვეულებრივ ქერქს იცვლის და სხვა სახეს ღებულობს, სწორედ ახალფეხადგმულ ბავშვსა ჰგავს: ბევრჯერ წაიბორძიკებს, იქნება მწარე საგონებელში ჩაადგოს თავისი მოკეთე, მაგრამ ამ დროს უსასოება პირველი ნიშანია სააზროვნო იარაღის დაყრისა...

ჩვენმა მწერლობამ თავისი მიმდინარეობის ქსელი პირველ დასაწყისიდანვე დღემდე შეუწყვეტლად მოიტანა; მან თითქმის ყოველს ხანას ჩააქსოვა ეს ქსელი, შესძღვნა ამა თუ იმ დარგის ნაწარმოები, იმისდა მიხედვით, რომელი ხანა გონებრივი წარმატების რომელ საფეხურზე იყო და რა საზრდო უფრო აკმაყოფილებს ხალხის ამ დროინდელს სულიერს მოთხოვნილებას.

ცხოვრებასთან ამგვარად კვალ და კვალ მიმდევარი მწერლობა არის მწერლობა მტკიცე საფუძველზე დამყარებული და მეც სრული მორწმუნე ვარ, რომ მისი ზრდა-განვითარებისა და წარმატების გზისაკენ მიმდინარეობის შეჩერება ყოვლად შეუძლებელია, ისე, როგორც შეუძლებელია ვისამე ძალმომრეობამ შეაჩეროს კავკასიონის მკერდიდან გადმომქუხარე ჩანჩქერი, ეს წმინდა, ღვთიური ცრემლები პიტალო სალის კლდისა.

განდეგილი".

ერთი კი უნდა შევნიშნოთ, არამც თუ მარტო ქ-ნ განდეგილს, თითქმის ყველას, ვინც ჩვენს თხოვნას ყურადღება მიაქცია და წერილები მოგვწერა. ჩვენი სურვილი იყო გაგვეგო ამა თუ იმ ცნობილი მწერლის, გინდ მოღვაწის აზრი წარსული საუკუნის ჩვენი ლიტერატურის შესახებ, ე. ი. რა ხასიათისა და თვისების იყო ეგ ლიტერატურა, როგორი იყო აზრისა და შინაარსის მხრით. თანაც, რაკი ამა თუ იმ ხანის ლიტერატურა ღვიძლი შვილია წინანდელი და მისი გავლენის ქვეშე აღზრდილი, ყველა, ვინც კი გაითვალისწინებდა სავსებით წარსული საუკუნის ლიტერატურას, ადვილად შეიძლებდა იმის გარკვევას, თუ რა გზას ადგია, ან დაადგება ჩვენი მომავალი ლიტერატურა, რა ხასიათისა და ელფერის იქნება, და სასურველია ეს მისი მოსალოდნელი მომავალი თუ არა, და რა არის სასურველი და სანატრელი ჩვენი მომავალი ლიტერატურისათვის. ამის მაგიერად ერთიმეორეს პოლემიკას უწევენ ჩემი პატივცემული კორესპონდენტები და ერთი თუ უიმედობას აცხადებს ჩვენი ლიტერატურის მომავლის შესახებ, მეორე იმედებით აღტაცებულია და სხვა. საგანი კი მაინც გაურკვეველი რჩება. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ესეც კი არ არის ინტერესს მოკლებული, რადგან აქედან სავსებით ვცნობთ ჩვენი მწერლების სასოებას თუ უსასოებას ჩვენი მწერლობის ბედის შესახებ და თანაც იმას, თუ რამდენად აქვთ სიღრმე-სიგანით შესწავლილი მათ საგანი.

მე მომივიდა ზოგიერთი უსახელო წერილიც და იმათ გამო ვაცხადებ, რომ არც ერთ ამგვარ წერილს არ გამოვაქვეყნებ, რაც უნდა საინტერესო იყოს იგი, თუ სახელი და გვარი დამწერისა არ იქნა აღნიშნული. ამასთან მივიღე ისეთი წერილებიც, რომლებსაც აწერია „შემდეგი იქნებაო", და ამ „შემდეგს" ერთობ დიდხანს ველოდებით. ესეც ყოვლად უხერხულია და არც ასეთ წერილებს ექნება ადგილი გაზეთში, თუ „შემდეგიც" არ მივიღეთ დროზედ.

5

ივ. ზურაბიშვილი ახალგაზრდა მწერალია შ. არაგვისპირელის სკოლისა. შ. არაგვისპირელის სკოლას კი დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს ლიტერატურაში: მან შეცვალა ერთფერობა ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი ლიტერატურის ჩვეულებრივი ცალმხრივი დაკვირვება ცხოვრების ზედაპირისა, ცხოვრების სარჩულის დაკვირვებად გარდაქმნა; ამ ცხოვრების მოვლენათა დაფარული კავშირის გამორკვევას მიჰყო ხელი. გარდა ამისა, ამ სკოლაში ჩვენი ლიტერატურა გადამახინჯებულ გავლენას ააცილა და პირდაპირ ევროპის ლიტერატურის გავლენის ქვეშ დააყენა. რასაკვირველია, ყველა ამაში შ. არაგვისპირელს უპირველესი ადგილი უჭირავს; იგი ღრმა ფსიქოლოგია და სასტიკი მორალისტი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ი. ციწინაძე, შ. დეკანოზიშვილი და ი. ზურაბიშვილი თავიანთი სოციოლოგიური, ესთეტიური და ფილოსოფიური ეტიუდებით განმამტკიცებელნი არიან ამ მიმართულებისა. მე დიდი ბოდიში უნდა მოვიხადო როგორც შ. დეკანოზიშვილის, ისე ი. ზურაბიშვილის წინაშე, რომელნიც „კვალის", „ჩიორასა" და კამპანიის ყბადასაღებად გავხადე; მაგრამ ეს მოვლენა დამამტკიცებელია იმისიც, რომ ჩემი აზრი მათი ნაწარმოების შესახებ სინამდვილესთან ახლოს არის. თუ მართალია ის ანდაზა, „მითხარი ვინ არის შენი ნაცნობი, მე გეტყვი თვით შენ ვინ ხარო", უფრო ჭეშმარიტია ის, რომ „მითხარი ვინ არის შენი წინააღმდეგი და მაგინებელი, და მაშინ ადვილი გასაგებია თვით რა ღირსების კაცი ხარ". ბრბო ყოველთვის ამხედრებულია ყოველივე ახალისა და ორიგინალური მოვლენის წინააღმდეგ, მისი ძილი, საუკუნეებით შეძენილი გაქვავებული მისი ჩვეულება ხელუხლებად უნდა დარჩეს ხოლმე.

ჩვენი ლიტერატურის „დამცველთა“ აზრით, ყოველი ნაწარმოები დასაგმობია, რომელიც ძველის ყურმოჭრილი ყმა არ არის. და ეს ძველი დღეს ჩვენში მხოლოდ ერთ სახეში გამოიხატება: გადაძველებული მორალის მშრალ-მშრალი სენტენციებით უნდა იყოს აღვსილი ნაწარმოები და მარტო გლეხის ცხოვრების ზოგიერთი მოვლენის გამომსახველი (ბატონისაგან შევიწროება, გზირისა და მამასახლისებისაგან დევნა, სეტყვისა და ნიაღვრისაგან მისი ჭირნახულის დაღუპვა და სხვ.). ყოველ მცირე მოვლენას ცხოვრებისას აქვს აურაცხელი, გამოუკვლეველი მხარე და ყოველი საგნის ახალი თვისების გამორკვევა საინტერესოა, მაგრამ თუ ერთი და იმავე მოვლენის, ერთსა და იმავე მხარეს ჩააცივდით ნიადაგ, სწორედ მოსაწყენია. ჩემი აზრის ყბადამღებელ ოპონენტთა სისუსტე იმაში სჩანს, რომ ერთი სიტყვაც ვერ მოიყვანეს აზრის დამამრღვეველი. იგინი მიჯიქინებენ, ვითომ ჩემი აზრი ი. ზურაბიშვილის შესახებ ისეა გამოთქმული, რომ ხორციელი კაცი ვერას გაიგებს[1]. ეს ჩვეულებრივი ჩვენებური „ხრიკია“; აზრს რომ ვერას დააკლებენ, მაშინ ენას მოღგებიან. ესენი კიდევ ვისმე რასმე უკიჟინებენ! მაგრამ რა გაეწყობა, სრულიად სამართლიანია, რომ კინტოური ლექსიკონის მოტრფიალემ და „კალისტრატეს“ დემოკრატიული მჭევრმეტყველების თაყვანისმცემელმა გარეშე ამ სფეროსა ვერა გაიგოს რა და ჩვენც უფრო ის გაგვიკვირდებოდა, რომ სხვა რამე მათ გაეგოთ და მოსწონებოდათ. შეიძლება ჩვენი ნათქვამი ისეთი „მშვენიერი და მდიდარი კლასიკური“ სტილით ვერ იყოს შეთხზული, როგორც „ჩიორასი“[2] და კამპ. ნაწარმოები, მაგრამ გაუგებარი კი იქ არა არის რა მისთვის, ვისაც „დედა-ენა“ ერთხელ მაინც წაუკითხავს.

რაც „მეგობრობასა და პირად სიმპატია-ანტიპათიას“ შეეხება, ამის ძიებას თუ შეუდექით, ჩვენი მოწინააღმდეგენი უფრო ბევრ სა-

---

[1] „ბ-ნმა ივ. ზურაბიშვილმა კაცის აზრის გაუმაძღრობინ სიბავშვე დაგვანახვა და კაცის ცხოვრების დიდ მოვლენათა უბადრუკი და უმნიშვნელო მსვლელობის სატირულ მოწმედ დასახა კაცისგანვე შექმნილი წარმოდგენა დროისა“. რომ „ჩიორები“ მქონოდა სახეში, ამ ფრაზას დავანაწილებდი და გრამატიკულად ავხსნიდი, მაგრამ მაშინ ხომ სალიტერატურო ჟურნალის ფურცლებზედ აღარ დავსტამბავდი, არამედ საბავშვო ჟურნალსა, ან წიგნში მოვათავსებდი, ისიც მოსამზადებელ კლასებში სახმარებელ წიგნაკში.

[2] თუ „ჩიორაზე“ რასმე ვლაპარაკობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბრმა ბედმა არგუნა იმ გაზეთის ფურცლებზე ბატონობა, რომელსაც ჩვენი დიდებული მწერლის სახელი აწერია.

ფუძველს იძლევიან იმის გამოსარკვევად, თუ რა ცეცხლი და შური სწვავთ მათ. ჩვენი აზრით კი, მეგობრობა (თუ ამას აქ რამე ადგილი აქვს), როგორც ყოველივე მსგავსი დიდებული გრძნობა, ჭეშმარიტების გზის განმანათლებელია და არა დამაბნელებელი, დახშული გრძნობისა და გონების ამხსნელი და არა დამხშველი. მაგრამ ვაცადოთ „მკვდარნი დაფვლად თვისთა მკვდართა", ჩვენ კი ი. ზურაბიშვილის აზრი მოვისმინოთ ჩვენი ლიტერატურის შესახებ:

„საქართველოს წარსული საუკუნის ლიტერატურა, მისი სასურველი და მოსალოდნელი მომავალი? საგანი მეტად რთულია და საპასუხოდ მძიმე, მაგრამ ვეცდები გიპასუხოთ. ჯერ წარსულის შესახებ — როგორი იყო, რას წარმოადგენდა ჩვენი ლიტერატურა წარსულ საუკუნეში?

ვიდრე ამას შევეხებოდე, საჭიროა, ჩემის აზრით, დავასახელო შესადარებელი საგანი, რადგან თვით კითხვაში მოქცეული სიტყვები „წარსულის საუკუნის" ითხოვენ ამ ლიტერატურის სხვა ლიტერატურასთან შედარებას. საჭიროა ავირჩიოთ point de départ.

წარსულის საუკუნის ქართული ლიტერატურა შეიძლება შევადაროთ, ერთის მხრით, წარსულისავე საუკუნის სხვა ხალხთა ლიტერატურას, და მეორეს მხრით, — უწინდელ ქართულ ლიტერატურას.

შევადაროთ ჯერ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა სხვა ხალხთა ლიტერატურას. აქ გაკვრით უნდა გითხრათ, რომ ყველა ლიტერატურის ცოდნა მე კი არა, ვგონებ, არავის არა აქვს. მე მეტსაც ვიტყვი, — კარგად, საფუძვლიანად არცერთის ლიტერატურის ისტორია არ ვიცი.

მაგრამ თუ ვბედავ ქართული ლიტერატურის სხვა რომელიმე ლიტერატურასთან შედარებას, მხოლოდ მისთვის, რომ ვიცი, რა შესძინა კაცობრიობას წარსულს საუკუნეში სხვადასხვა ევროპიელმა ერმა.

XIX საუკუნეში ევროპიულ ხალხთა ლიტერატურამ რამდენჯერმე იცვალა მიმართულება. საუკუნე დაიწყო სენტიმენტალიზმით; შემდეგ სენტიმენტალიზმი შეიცვალა რომანტიზმით, რომანტიზმს მოჰყვა ნატურალიზმი და საუკუნის დამლევს განვითარდა სიმბოლიზმი (აღარას ვამბობთ დეკადენტიზმზე). ყველა მიმართულებას ჰყავდა დიდი და დამამშვენებელი მისი გამომხატველი: ისეთი სახელები, როგორც ბაირონი და შელი, გიოტე და ჰეინე, ბალზაკი, ფლო-

ბერი, ჰიუგო, ზოლა და მოპასანი, ანუნციო, ჰენრი სენკევიჩი და მრავალნი სხვანი, მეტად დაჯილდოებულნი უზენაესის ნიჭით — ძლიერ განასხვავებენ ევროპის წარსულს საუკუნეს უწინდელ საუკუნეთაგან. ამ უკანასკნელ საუკუნეში ევროპის ხალხთა ლიტერატურა იზრდებოდა და ვითარდებოდა ისეთის სიჩქარით, როგორც არასოდეს. მერე რას არ შეეხო ის — საზოგადოდ ბუნებას, კერძოდ კაცის არსებასა, ისტორიასა და სოციალურ ცხოვრებაში: თითქმის ბუნების არცერთი მოვლენა, არცერთი კაცის სულის და გულის მოძრაობა, არცერთი შესანიშნავი ისტორიული მოვლენა და სოციალური მდგომარეობა და ტიპი არ დარჩა აუწერელი და აუხსნელი; ყველა ასწერა, ყველა დახატა და განმარტა ევროპიელმა ლიტერატურამ, და მერე როგორ! ისტორიულმა კონცეპციამ სენკევიჩისამ იმპერატორების რომში გვაცხოვრა და გეტემ ფაუსტის ხორცი შეასხა ახალ საუკუნეთა ადამიანის უმთავრესს აზრს: თუ საშუალო საუკუნეთა წარმომადგენელს სწამდა, რომ აქაური დანაკლისი იქ შემემატებაო, მის წინააღმდეგის ფაუსტის ურწმუნო გონება უარჰყოფს უწინდელს რწმენას, უარჰყოფს ხორცის დათრგუნვას და ეწაფება ცოდნას, მიწაზედ გამეფებას, სიტკბოებას, მას ჰსურს იყვეს ცოდნით აღჭურვილი, იყოს ძლიერი, სტკბებოდეს ცხოვრებით: ერთის სიტყვით — უარჰყოფს ზეცას და სცვლის საიქიოს ნეტარებას სააქაოზედ.

შედარებით ამგვარ ლიტერატურასთან ქართული ლიტერატურა თითქმის არაფერს არ წარმოადგენს. მართალია, ჩვენს XIX საუკუნის ლიტერატურას ეკუთვნიან ბარათაშვილის ლექსები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და ზოგიერთი სალირიკო ლექსი და სალირიკო ლექსები აკაკი წერეთლისა, რომელნიც ყოველივე ლიტერატურას დაამშვენებდნენ, მაგრამ მაინც კიდევ ევროპიულ ლიტერატურასთან ჩვენი ლიტერატურა XIX საუკუნეში თითქმის არც კი სჩანს.

წინა საუკუნეთ ქართულ ლიტერატურასთან შედარებით კი, რასაკვირველია, XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურა უნდა ჩაითვალოს განვითარებულად და მდიდარ ლიტერატურად.

მოკლედ რომ ვთქვათ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ევროპიელი იმავე დროის ლიტერატურისაგან განირჩევა მით, რომ მაშინ, როდესაც პირველი გაჩქარებული წინ მიდიოდა და საუცხოოდ განვითარდა და გაყოველმხრივდა, ქართულს ასეთი წინსვლა ძლივს ემჩნეოდა, ხოლო თავისსავე წინანდელ ლიტერატურასთან შედარებით საკმაოდ წინ წაიწია და გაუკეთესდა.

ასე უნდა დახასიათდეს ჩვენი ლიტერატურა წარსულს საუკუნეში, მაგრამ, მგონია, რომ ამგვარი დახასიათება სრულებით ნამდვილი და სამართლიანი არ უნდა იყოს და თუ მაინც და მაინც ასე დავახასიათე, ეს იმის ბრალია, რომ კითხვა ვერ არის ისე დასმული, როგორც უნდა იყოს. მე ასე ვეკითხები ჩემს თავს: ვთქვათ, შენ იძულებული ხარ სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურისაგან (ამათ შორის ქართულიცაა) რომელიმე აირჩიო, რომელს ამოირჩევ? ან ვისი ლიტერატურა გირჩევნია დანარჩენებს? ეს კითხვა, რასაკვირველია, XIX საუკუნეს შეეხება. ამაზედ მე ვიძლევი პასუხს: „რასაკვირველია, ყველას ქართულ ლიტერატურას ვარჩევ, რადგან მან მასწავლა მე „არ გაცვლა ჩემის სამშობლოსი უკვდავებისა ხეზედა“.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა თითქმის მთლად ზემოთმოყვანილ იდეის დამყარებას ემსახურებოდა. შეიძლება იგივე იდეა სხვა ხალხთა პოეტებმა უფრო კარგად გამოსახეს, მაგრამ ის კარგი გამოსახვა და თქმა თუმცა ყველასათვის გასაგები აზრისა ისევ მათებურად იყო და ჩვენმა პოეტებმა კი იგივე აზრი ჩვენებურად, ჩემის გულისათვის უფრო საგრძნობლად გამოსთქვეს. ჩვენი პოეტების ამგვარი ლექსების იდეა არ იყო ზოგადი, იგი კონკრეტული იყო და ეხებოდა არა საზოგადოდ ყოველივე სამშობლოს, არამედ განსაკუთრებით მათ სამშობლოს. შეიძლება საზოგადოდ ეს ამცირებდეს მათ ნაწარმოებთა მნიშვნელობას, ხოლო ჩვენს თვალში უფრო დიდს პატივს სდებს მათ. დააკვირდით ჩვენის პოეტების ამ საგანზე დაწერილს ლექსებს; რა ღრმა გრძნობა, რა ღრმა ტრაგიკული ლირიკაა ან ლირიზმით სავსე ტრაგედია! რა ალერსია, რა ტკბილი და ნაზი ხმა!...

მართალია, სულ ერთს საგანზე სიმღერა და ერთსა და იმაზედვე ლაპარაკი თითქო გრძნობისა და გონების სიღატაკეს უნდა მოწმობდეს, მაგრამ ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ჩაყენებული იყო ჩვენი ლიტერატურა, აიძულებდნენ ჩვენს პოეტებს სულ ერთსა და იმავე საგანზე ემღერათ; მაგრამ იმავე პირობებმა მისცეს ჩვენს ლირიკას ის ხასიათი, რომელზედაც ზემოთ ვამბობდი.

ჩვენი ლიტერატურის ამგვარი მიმართულება წარმოადგენს, ჩემის აზრით, იმ განსაკუთრებულს დამახასიათებელს მხარეს, რომლითაც ის განირჩევა სხვა ლიტერატურათაგან და რომელიც, თუმცა ცალმხრივს, მაგრამ მაინც დიდს განვითარებას გვიჩვენებს მისას.

ჩვენის ლიტერატურის ამნაირი მიმართულება და ამ მიმართულების განვითარება თვითვე გვაძლევს პასუხს სათაურში მოყვანილი კითხვის მეორე ნახევარზედაც. ჩვენს ლიტერატურას რომ ამგვარი მიმართულება არ მიეღო, ის სრულებით უნდა ჩამქრალიყო; XIX საუკუნის ჩვენის ლიტერატურის ცალმხრივობა მხოლოდ იმის თავდებია, რომ ის კვლავაც იცოცხლებს და გაყოველმხრივდება.

ივ. ზურაბიშვილი''.

ივ. ზურაბიშვილს საკმაოდ სავსებით აქვს წარმოდგენილი წარსული საუკუნის ჩვენი ლიტერატურის დედა-ძარღვი. სრულიად ვეთანხმებით ჩვენ ივ. ზურაბიშვილს იმაშიაც, რომ ჩვენი ლიტერატურა მომავალში მრავალმხრივი უნდა შეიქმნეს. ჩვენმა ლიტერატურამ უნდა აღძრას და გაარკვიოს ის მოვლენები, რომელთა გამოკვლევასაც უნდება ეხლა ევროპული ლიტერატურა. ჩვენის აზრით, ამ გზას ადგია ჩვენი ლიტერატურის ახალი სკოლა, რომელსაც თვით ივ. ზურაბიშვილიც ეკუთვნის. თუ იმ სკოლას სურს თავისი დიდი აზრი შეასრულოს მტკიცედ და შეუდრეკელად, უნდა შეუდგეს მუშაობას და თავისი შრომა მხოლოდ თავისი სინდისის კონტროლის ქვეშ დააყენოს, თორემ ჩვენში საზოგადო აზრი არ არსებობს; აქ ყოველივე შენ-ჩემობით იზომება, თორემ უმაღლესი აზრისა და პრინციპების მიხედვით როდი განიხილება. ჩვენი ლიტერატურის დამფასებლები ჯერ ბრბოს გემოსა და წარმოდგენას ვერ გასცილებიან.

28. ქართული ლიტერატურა 1907 წელს

შარშან ქართულმა ლიტერატურამ განიცადა უმაგალითო, თავზარდამცემი უბედურება, — თავისი საუკეთესო წარმომადგენლის ბარბაროსულად მოკვლა. ეს ისეთი იშვიათი, არ გაგონილი და არ ქმნილი რამ არის, რომ ძალაუნებურად ტვინი გეყინება კაცს. შარშანდელი ლიტერატურის მემატიანემ რაზე უნდა ილაპარაკოს, თუ არა ამ ჩვენ შემარცხვენელ, ჩვენი ველურობისა და უგნურობის დამახასიათებელ ფაქტზე.

რა ტანჯვა-ვაებით უნდა იყოს სავსე ყოველი ქართველის გული, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ჩვენს ლიტერატურასთან. საზოგადოება, ხალხი ამნაირად აჯილდოებს მოხუც მოძღვარს, რომელსაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხელში ეჭირა ჩვენი ლიტერატურის სვე-ბედი და რომელმაც მთელი თავისი დიდი ნიჭი და ენერგია სავსებით შეალია ჩვენი ლიტერატურის განდიდებასა და გაბრწყინვებას? ხალხი და ერი ამნაირად ეპყრობა მას, ვისაც საოცარი წინასწარმეტყველური გამჭრიახობით ჰქონდა შეგნებული პოეტის დიადი დანიშნულება, იცოდა, რომ

მას ცა ნიშნავს და ერი ზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს,
რომ წარუძღვეს წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ იყოს
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული აჩნდეს წყლულად,
ეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაედაგოს მტკიცე გული.

ერი, რომლის გულის მესაიდუმლე დიდებული მგოსანი იყო, მხეცურად და ავაზაკურად მოეკიდა მას და ჩაიდინა დაუვიწყარი საზიზღარი საქმე. „სისხლი იმისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო“, იძახოდა ერთი ბრიყვი და სულმდაბალი ათას ცხრაასი წლის წინათ, როცა საუკეთესო შვილს ჯვარს აცმევდა. ეს განმეორდა ჩვენ-

ში და ეს თითქმის არ ახალია, ძველია, საუკუნო ზღაპარია კაცობრიობის ცხოვრებისა.

არარაობის მონა, სულმდაბალი, არაფერი აზრით და გონებით, ბრბო სდევნის და სწამლავს არისტიდსა და სოკრატს, ჯვარს აკმევს იესოს, სამშობლოდან განაძევებს ბაირონს, ლაჩარს, მხდალს. უგნურსა და უმეცარს არ უყვარს თავისზე მაღლა მდგომი, თავისზე უკეთესი, თითქოს იმისთვის ეს სინდისის მხილების სიმბოლო იყოს...

ილია ჭავჭავაძის ვერაგულად და ავაზაკურად დატანჯვა და მოკვლა — ეს არის დაგვირგვინება მთელი ჩვენი მოქმედებისა და განწყობილებისა ჩვენი გონების საუკეთესო წარმომადგენლების მიმართ. ჩვენში ლიტერატორი, ღვთისაგან რჩეული ადამიანი, კაცისაგან დევნილი და შეურაცხყოფილია. მწერალი, რომელიც ერთგვარი ნაზი ყვავილია, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული, სიმპატია და მოვლა ეჭირვება, ჩვენში გაუპატიურებულია. მის ნაწერს მისი მახლობელი და მეგობარიც არ კითხულობს. ქონებრივ ჯილდოს თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ ზნეობრივადაც ყოველგვარ მადლობას მოკლებულია. ისე ვეპყრობით ჩვენს მწერლებს, თითქოს შეურაცხყოფა მიეყენებინოთ თავიანთი ქვეყნისათვის; სინამდვილეში კი კალმისათვის ცხოვრება შეუწირავთ და ცდილობენ ზეციური აზრი შეგვაგნებინონ და სიმშვენიერე თვალწინ დაგვიხატონ.

ამის საუკეთესო მაგალითი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და სიკვდილია. თვალწინ მოგვიკლეს ეს კაცი, ეს დიდებული მოძღვარი, ჩვენი ერის სულის მშვენება, და ჩვენ ვერც კი გაგვიგია, ვინ, როგორ, რატომ? განა ეს ცოდნა იმისთვის არის საინტერესო, რომ ერთი თუ ორი გიჟი და ავადმყოფი ხეზე ჩამოჰკიდო ან დასწყევლო და დატუქსო!? საოცარია — ასეთი დიდი მოვლენა მოხდეს და ერმა სავსებით არ იცოდეს ყოველი მომენტი ამ მოვლენისა; განა ეს შესაძლოა, თუ მთელი ერი, მთელი საზოგადოება გულგრილობით არ ეკიდებოდეს ამ საშინელს საქმეს? განა შესაძლო იყო მომხდარიყო ასეთი რამ, თუ...

იესოს გაცემა მოინდომა ერთმა მოციქულთაგანმა. იესომ ეს იგრძნო და მოციქულებს გაუმჟღავნა. იმათ სხვა ვერა მოიმოქმედეს რა და ერთიმეორეს ასწრებდნენ და მოძღვარს გაოცებულნი ჰკითხავდნენ: „ნუ თუ მე ვარ, მოძღვარო, ნუ თუ მე ვარო“. და ყველაზე უფრო გამწარებული ის კითხულობდა, რომელიც აპირებდა იმის გაცემას და „პინაკსა შინა ხელს ჩაჰყოფდა“. სწორედ ასევე განმეორდა

ორი ადასი წლის შემდეგაც. საზიზღარი მკვლელობის ჩადენის მერე ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით იმის განცხადებაში, „ჩვენ ხომ არა ვყოფილვართო“, თითქოს ეს თავის გამართლება იყოს და თითქო შეიძლება რომელიმე ჩვენგანმა უდანაშაულოდ ჩათვალოს თავისი თავი იმით, რომ ეს ჩვენი მომაკვდინებელი მოქმედება ასე გამოურკვეველი, ჯანყითა და ბურუსით მოცული რჩება... ეს წელიწადი ჩვენი მწერლებისა და მისი მოყვარეთათვის საუკუნოდ სამგლოვიარო, საუკუნოდ სახსოვარი, საუკუნოდ მტანჯავი იქნება.

საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ ჩვენს ლიტერატურაზე, რომ დიადმა ხანამ რევოლუციისამ მეტად ცუდი გავლენა იქონია. ეს სამი წელიწადია ჩვენი საუკეთესო მწერლები ან მიჩუმებულნი არიან, ანდა უგუნებოდ, გაუტაცებლად თუ დაუწერიათ ერთი ორიოდე სტრიქონი, ისიც ისეთი, რომ შეიძლება სრულიად უყურადღებოდ ჩაატაროს კაცმა. ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენს ლიტერატურას არაფერი შესანიშნავი არ შეუქმნია. ეს მოვლენა დიდად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

რად მოხდა ესა? მაშინ, როდესაც რუსეთის ლიტერატურა შესანიშნავად აყვავდა და არაჩვეულებრივი სიცოცხლით აღივსო; მაშინ, როდესაც რუსულმა ლიტერატურამ დიდმნიშვნელოვანი ახალი საგნები წამოაყენა; მაშინ, როდესაც რუსეთის ლიტერატურაზე რევოლუციამ რადიკალური გავლენა იქონია და მხოლოდ ახალი მიმართულება მისცა ამ ლიტერატურას, რომელიც, როგორც რევოლუციის შვილი, ემსახურება ამავე რევოლუციას, ამსხვრევს ძველ კერპებს, დამპალ საძირკველს უთხრის ოჯახებრივ კანონებს, სქესობრივ განწყობილებასა და სხვა დახავსებულ პრინციპებს, რომელზეც აგებულია დღევანდელი გახრწნილი საზოგადოება, — ამ დროს ქართული ლიტერატურა ღრმა დუმილსა და გულგრილობას მოუცავს?

ჩვენმა ამ დროის ლიტერატორებმა განიცადეს ის გაზაფხული, რომელსაც ჩვენი მწერლობის ჩანგის სიმები უსათუოდ უნდა აეჟღერებინა... მაგრამ სდუმს და საოცარი გულგრილობით მოსილია ჩვენი მწერლობა. მართალია, გაზაფხულს საოცარი, უცნაური სუსხიანი და ყინვიანი ზამთარი მოჰყვა, რომელმაც ჩვენი „ობოლი მეგობარი“ გაზაფხულის მოციქული იმსხვერპლა და მოუსპო მას მეორე გაზაფხულის ხილვა, მაგრამ თვით ამ ზამთრის სუსხსაც თავისებურად უნდა ემოქმედნა ჩვენი მწერლობის ნაზ ბუნებაზე და საუცხოო კვნესით უნდა აევსო ჩვენი მიდამო. სინამდვილეში კი ჩვენი მწერლობა სდუმს,

გულგრილობის ნაცრისფერი, გახუნებული სუდარა აქვს გადაფარებული.

ხუთუ იერემიას გოდების მსგავსი რამ არ უნდა გამოეთქვა ჩვენს მწერლობას, მოწმეს ჩვენი ქვეყნის ისეთი აოხრებისას, რომლის მსგავსი იშვიათად განუცდია მრავალტანჯულ ერს? არა, ჩვენი მწერლობა გაუუჩებულა, გაჩუმებულა და უსიცოცხლო გულგრილობით არის შეპყრობილი. იქნებ ჩვენს მწერლობაზე იმოქმედა რევოლუციის ნესტარით დამთვრალი ხალხის ვაკხანალიამ, რომელიც თავისებურების უარყოფაში საოცარ და გაუგებარ უკიდურესობამდე მივიდა? ერთმა უნიჭიერესმა ჩვენმა მწერალთაგანმა მითხრა, „ვისთვის ვწერო, ვის რაღად უნდივარ... მოდი და ასეთ ატმოსფეროში მოიპოვე ზეშთაგონებაო“. რომ ეს ატმოსფერო მეტად მძიმე და მოწამლული იყო, ამას ის კატასტროფა ამტკიცებს, რომელიც გამოიხატა ჩვენი მწერლობის გვირგვინის უმადურად გაგლეჯაში. აბა გაამტყუნეთ, ჩვენი მწერლები, რომ ასეთ ჰაერში სუნთქვა უჭირთ და გაამტყუნეთ ისინი, რომ ასეთ ნიადაგზე თანდათან ხმებიან და სიცოცხლის ძალა ესპობათ!

მაგრამ, დაე, იკვნესონ, იტირონ, ცრემლები ღვარონ და გოდებას მათსას საზღვარი ნუ ექნება, დაე, ყველამ გედის სიმღერასავით მორთოს თავისი ქნარი, ოღონდ მოგვაშორეთ, არ გვინდა ეს მშრალი, უშინაარსო, ყოველსავე სიცოცხლეს და სიმშვენიერეს მოკლებული სიჩუმე. მოჰხადეთ თავიდან ჩვენს მწერლობას ეს ბინძური, ნაცრისფერი არარაობისა და გულგრილობის პირბადე, დაგვანახეთ მისი ცრემლები, ცრემლები ტანჯვისა და ვაებისა, ცრემლები კვნესისა და სევდისა! ყოველ კვნესას, ყოველ ცრემლს ძალაუნებურად მოჰყვება რაიმე, — ტანჯვასა და ვაებაზე უფრო საიმედო და სამხიარულო; უამისოდ ცხოვრება — ცხოვრება არ იქნებოდა. ცხოვრება ორპიროვანი სფინქსია, რომელსაც ხშირად გარეთ სიხარული აქვს და სარჩულად — კვნესა; თითქმის ასევე, ხშირად ზედაპირზე ვაებას ვხედავთ, მაშინ როცა მხიარულება შიგნით აქვს მოქცეული, ცხოვრება თავის დღეში ერთპირი არა ყოფილა, არც ერთმხრივი — იგი მრავალმხრივია და ამიტომ მშვენიერი და დაუსრულებელი ინტერესის აღმძვრელი.

29. ადამაშვილის [მ. ჯავახიშვილის] მოთხრობები („ჩანჩურა“ „უპატრონო“, „მეჩექმე გაბო“ „თავდავიწყება“)

იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს ჩვენში თავი, ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია ადამაშვილი, რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა. ამ მანერაში ნატურალიზმი და რომანტიზმია შედუღებული. ამ მანერით არის დაწერილი მისი „ჩანჩურა“ და „უპატრონო“, ხოლო მისი უცნაური „მეჩექმე გაბო“ სწორედ რომ საუცხოო რამ არის. ისეთი სინამდვილით არის სულიერად დაცემულისა და დაღუპულის, გაპირუტყვებული ადამიანის „გაბო მეჩექმის“ სურათი აღწერილი, და თანაც ამ უძლურ კაცში არის რაღაც, რომელიც ადამიანს გაგრძნობინებს, რომ, ამის გამო, ნაზი იუმორით შეზავებულ სიბრალულს იწვევს თქვენში.

არანაკლებ საყურადღებოა მისივე „თავდავიწყება“. ეს თითქმის ერთადერთი ნიმუში მთელ ახალ ქართულ ლიტერატურაში გრძნობათა გატაცების გამო „თავდავიწყებისა“; რაღაც იდეალურია და თანაც, რასაკვირველია, მხეცური — როგორც ყოველ ადამიანის მოქმედებაში — ამ ახალგაზრდა სტუდენტისა და 18 წლის მოახლე ქალის ეკას „თავდავიწყებაში“. და მით უფრო საყურადღებოა ეს მოთხრობა, რომ სწორედ დიდი ხელოვნებით არის გარკვეული რეალური ნიადაგი სქესის პრობლემისა. ის, რაც მოხდა სტუდენტსა და ეკას შორის, ფატალურად აუცილებელია და თავისთავად მარტოოდენ მშვენიერი, რომელსაც არავისგან არც წუნი უნდა დაედვას და არც ზრახვა. ხოლო თუ თვით ბუნებრივი, ადამიანური მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთი სქესის წარმომადგენელს აუბედურებს, მეორეს ამ გაუბედურების მიზეზად ჰხდის და, მაშასადამე, მასაც ღუპავს ზნეობრივად, — ეს იმ სიყალბის ბრალია, რომელზეც აშენებულია დღევანდელი საზოგადოება. ყოველივე ამას მარტო ხელოვნების შემწეობით გაგრძნობინებთ ავტორი, ისე რომ ერთ სიტყვასაც არ წამოისროლებს საზოგადოების მიერ აღიარებული მახინჯი პრინციპების შესახებ, არამედ თავისთავად ნათელყოფს მას.

და როცა მოთხრობის ბოლოს ხედავთ, რომ ეკას „ქალბატონი“,—სტუდენტის დედა, სახლიდან ურმით ისტუმრებს, ხოლო სტუდენტი კი კანტორის კუთხიდან ფრთხილად იხედება, გულზე რაღაცამ უკბინა და ჩქმეტა დაუწყო. უნდოდა გარეთ გავარდნილიყო, — ურემს დასწეოდა და ეკასათვის ეთქვა რამე; ან პატიება ეთხოვა, ან ნუგეში ეცა, ან რაიმე იმედი მიეცა, მაგრამ ისე იყო დაღლილი და მოწყვეტილი, რომ საწოლამდე ძლივს მივიდა, ზედ დაეცა და მისი დაკარგული პატიოსნება და შერცხვენილი ახალგაზრდობა ცრემლით გამოიგლოვა“. — როცა ხედავთ ამ ორ არსებას ფატალური და უძლეველი გრძნობების მონასა და მორჩილს, არ იცით, რომელი უფრო შეიბრალოთ. ორივე მსხვერპლია უგულო და უსირცხვილო გრძნობებით მოვაჭრე დღევანდელი საზოგადოებისა, რომლის წარმომადგენელი სტუდენტის დედაა, რომელიც საზიზღარი მაჭანკლის როლს ასრულებს. მთელი მოთხრობა, ასე ვთქვათ, ერთი სულის მოთქმით არის დაწერილი და ვნებათა ღელვის ინტენსიური გრძნობითაა გაჟღენთილი. გადაათვალიერეთ ის ადგილი, სადაც გრძნობათა ღელვით გატაცებული ვაჟი მისდევს ქალს, მის მოსიყვარულეს და მოტრფიალეს, რომელიც გაურბის მარტო იმიტომ, რომ ბუნებრივი მორცხვობა, ტრადიციული მორიდება ბოჭავს, მაგრამ რომელიც გრძნობით თანახმაა და კმაყოფილი დაემონოს და დაემორჩილოს მის საყვარელ მტერს — და დამერწმუნებით, რომ ეს მოთხრობაც ადამიშვილის ნიჭიერებისა და გრძნობიერების უეჭველი საბუთია.

ოდნავ შეზარხოშებული სტუდენტი ეკას ოთახში შევა, ცდილობს დაიმორჩილოს, მაგრამ, ეკა „თევზივით ხელიდან გაუსრიალდება“ და პერანგისამარა კარში გავარდება. აი, აქ იწყება მშვენიერი სურათი „სიყვარულისთვის ბრძოლისა“.

„მეც თან გავყევი, — განაგრძობს სტუდენტი, — ჩემს წინ, ათიოდე ნაბიჯზე, თეთრი მოჩვენება საოცარი სისწრაფით მისრიალებდა. მე ვხედავდი თეთრ მოშრიალე პერანგს, ეკას ფეხებს, ვხედავდი იმის გაბურძგვნილსა და ჰაერში გაშლილ თმას, ტიტველ ხელებს, კისერს და მთელი ჩემი არსებით, მთელი ჩემი ძალღონით მივისწრაფოდი იმ პერანგისა, თმისა, ხელებისა და ტანის დასაჭერად. მოკლე და გიჟური სირბილის შემდეგ წამოვეწიე და ხელები წინ გავიშვირე, მაგრამ თეთრმა პერანგმა იქვე ცხვირ წინ გამიშრიალა, ხელიდან გამისხლტა, გვერდზე გადაუხვია და ვაზებში შეერია. მეც დავედევნე, ეკა ვენახსაც გადასცდა — ღობეზე გადაიელვა და მიიმალა. მეც თან გადავყე,

ეკა ახლადშემოსულ ყანაში შეერია და მირბოდა... საშინელი, საოცარი სისწრაფით მიჰქროდა, არც ეკლებს, არც არხებს და არც ორმოებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ვერც კი ვამჩნევდი და ეკას აჩრდილითვე ვიკვლევდი. ერთი ორჯერ წამოვეწიე კიდეც, მაგრამ ის ყოველთვის ხელიდამ მისხლტებოდა, ფოცხვერივით გვერდზე მიხტებოდა და თმაგაშლილი ყანას აპობდა, კვალს სტოვებდა, არხზე ხტებოდა და მისრიალებდა. დაიღალა, თავი უკან გადმოაგდო და ნაბიჯს უკლო, მე უკანასკნელი ძალღონე მოვიკრიბე და სირბილს ვუმატე. მოიხედა და დაინახა, რომ დავეწიე. დაინახა, რომ საცაა უნდა წავწვდომოდი, მაგრამ აღარც ნაბიჯს მოუმატა და აღარც გვერდზე გახტომა სცადა. ერთი წუთის შემდეგ ყანიდან გავარდა და ბუჩქნარში შეერია, მაგრამ იმავე წუთს ერთ დიდ კუნელს მიეფარა და შესდგა. ის იყო უნდა წაქცეულიყო, მაგრამ მივწვდი და ოფლში გაწურული და მთრთოლვარე ეკა გულზე მივისვენე, დაღლილი, დაქანცული და მოშვებული ხელებზე გადმომესვენა და თავი ძხარზე მომაყრდნო“...

რანაირი სიცხოველით არის მთელი ეს მოძრაობა გადმოცემული, რანაირი სინათლით არის გადმოცემული მთელი პლასტიკა ორ შეყვარებულთა სიძლიერისა, რომელნიც გაურბიან არა გრძნობას, არამედ ქვეყნისაგან დადებულ კანონებს, ქვეყნის ბარბაროსულ სიყალბეს...

აღსრულდა...

ბუნების ფატალური კანონები იმარჯვებენ არათუ დედამიწაზე. სამოთხეშიაც კი და ქვეყნის გაჩენიდან ეგ გრძნობა სქესისა, რომელიც ისეთივე ძლიერია, როგორც გრძნობა სიმშილისა და სიცოცხლისა, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. მას მომაკვდავნი კი არა, ღმერთებიც ვერ ებრძვიან და ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შიშიც კი ვერ დაათმობინებს მომხიბვლელი ყოფის გემებას...

„ეკა წამოდგა, მეც მივბრუნდი, მაგრამ პირზე ვერ შევხედე, თვალი ვერ გავუსწორე და თავი დავღუნე. ორივენი მოვიკუნტეთ, მოვიბღუნძეთ, დავპატარავდით, დავიკუზეთ და ფრთხილად ყანაში შევედით. ყანა მაღალი იყო, მაგრამ ჩვენთვის თითქო დადაბლდა, დამოკლდა და შეთხელდა. ორივენი ვჩანდით, ქარის ნაბიჯით მივდიოდით, თითქმის მივრბოდით, მაგრამ გზაც გაგრძელდა, გადიდდა, ქურდებივით მივიპარებოდით, თვალებს ვაცეცებდით, სულ აქეთ-იქით ვიცქირებოდით და ყოველ ბუჩქსა და ხეგანს ვზვერავდით“... აბა, თუ

არ გიღვიძებთ ეს სურათი ადამისა და ევას სამოთხიდან ლტოლვას, და თუ ისეთივე ღრმა შთაბეჭდილებას არ ახდენს, როგორც რომელიმე მშვენიერი მხატვრობა. ეკას და სტუდენტსაც თავისი „მცველი ანგელოზი“ დახვდება — სტუდენტის დედა — საზოგადოების გადამახინჯებული ზნეობის დამცველი, რომელმაც, ღმერთის არ იყოს, ადამს ტკბილი საცდური გვერდიდან გამოუღო, პირველად თვითვე აანთო გრძნობის ნაპერწკალი ახალგაზრდათა შორის, თვითვე იკისრა ინიციატივა მათი სურვის გაღვივებისა, და შემდეგ მის შემოქმედსავით უგულოდ და ბარბაროსულად განდევნა იგინი ოცნების, სიყვარულის და ვნებათა ღელვის სამეუფოდან — იმავე სამოთხედან.

ეს მოთხრობა „თავდავიწყებისა“ დიდის ვნებით აღსავსე სტილით არის დაწერილი და ახალი საგანი „სქესის პრობლემისა“ აქაც აღძრულია, ისე როგორც ცხოვრებაშია, ისე როგორც ჩვენს ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო. მთელი მოთხრობა ვნებათა ღელვის ძლიერი ძალის გავლენის ქვეშაა დაწერილი.

და ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ამ მოთხრობას. ხელოვნური ნაწარმოები, რომელსაც ძლიერი ვნება არ ამოძრავებს, მკვდარია, ქართული ლიტერატურის დიდებას „ვეფხისტყაოსანი“ შეადგენს, რომელიც ვნებათა სხვადასხვა მხარის ძლიერი და შეუდარებელი ანალიზია, სიცოცხლის დამამშვენებელ გრნობათა გალობა და კვნესაა.

ქართულ ლიტერატურაში თავმოსაწონია ჩვენი სალირიკო ლიტერატურა ბარათაშვილისა, ორბელიანისა, ჭავჭავაძეებისა და აკაკი წერეთლისა. და აბა ნახეთ გრძნობათა ძალა, ვნებათა ღელვა, როგორ სჩქეფს ყოველი ძლიერი ლექსის ყოველი სტრიქონიდან.

აბა ეხლა ყაზბეგი გაიხსენეთ: მისი ელგუჯა, მისი მოძღვარი — უსაზღვროდ მომხიბლავი ძეგლია გრძნობათა მოძრაობისა, მღელვარე ვნებათა ძალისა და ამიტომაცაა, რომ საუკუნო და სამარადისო აღტაცების საგანი იქნება ყოველი ქართველისათვის, რომელსაც პოეზიისა და ხელოვნებისათვის გულისყური არ ექნება დახშული.

30. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის გამო

ამ საგანმა რამდენიმე წერილი გამოიწვია. ბევრი მხრით მე ია ეკალაძის წერილი უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია და ამიტომ რამოდენიმე მოსაზრებას გავუზიარებ მკითხველს. იმ მიზეზთა შორის, რომელსაც ეკალაძე ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის დაცემისა და დაქვეითების მიზეზადა სთვლის, არის ერთი, რომელზეც არცერო იმათგანს არ მიუთითებია, რომელიც ამ საგანს შეეხო, და რომელიც ყველაზე უფრო საყურადღებოა და საფუძვლიანი. მართალია, ეს მიზეზი გაკვრით არის მოხსენებული და არც ხაზგასმულია, მაგრამ, მართალი უნდა მოგახსენოთ, ეს მიზეზი იყო უფრო აღსანიშნავი და ხაზგასასმელიც. მე მოგახსენებთ იმ საერთო გულგრილობაზე ქართული მწერლობისადმი, რომელიც ჩვენში ჩვეულებრივი ჭირია და რომელიც, ასე ვთქვათ, გააღრმავეს და დააკანონეს ჩვენში დიდებული მოძრაობის დამამახინჯებელმა მეთაურებმა.

ია ეკალაძე გვეუბნება: „ინტერნაციონალიზმზე ქადაგებამ ისე აუბნია, მოუკლა თავი და გული ზოგიერთ წერა-კითხვის მცოდნეთ, რომ სამშობლო ლიტერატურა სასაცილოდ არა ჰყოფნით, ხოლო სამშობლოს მოამაგე ქართველი მწერალი ხულიგანი ჰგონიათ და ხალხში ამ მწერლის ნაწერების გავრცელების ნაცვლად მისი სახელის აღმოფხვრასა ცდილობენო“. ამ უკუღმართი და უცნაური მიმართულების დაგვირგვინება იყო ჩვენი ლიტერატურის დიდების ხულიგანთაგან შერისხვა და მისი ავაზაკურად მოკვლა. ეს ისეთი დიდი ფაქტია, ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ არა თუ დღეს, მე მგონია, საუკუნო დაღად დაესმება ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრების წარმატებას. მართლაც, მწერალი ხომ „საზოგადოებრივი ცხოველია“ და ისეთი ცხოველი, რომლის ნერვები მეტად უფრო ფაქიზია და ნაზგრძნობიერი, ბევრად უფრო ადვილად იღებს ყოველგვარ შთაბეჭდილებას, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. რაღანაირად გნებავთ, რომ ასეთ გრძნობიერ ქმნილებაზე არ იქონიოს გავლენა მისი ერის, მისი საზოგადოების ფსიქოლოგიურმა განწყობილებამ.

ხალხი თავისი თავის პოლიტიკური და ეთნოგრაფიული თვისებების უარყოფაში სიგიჟემდე მიდის; ჩაიდენს თავზარდამცემ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან სიმბოლურ ბოროტმოქმედებას, რომელიც არის დამახასიათებელი ჩვენი საზიზღარი „გულგრილობისა ქართული მწერლობისადმი“.

ამის შემდეგ როგორღა გნებავთ, რომ ქართველ მწერალთ ხელიდან კალამი არ გაუვარდეს. რა აქვს წამაქეზებელი და აღმაფრთოვანებელი ჩვენში, რა სულის სიმშვიდე და სიამე უნდა მოიპოვოს ამ გარემოებაში, და, მაშასადამე, როგორ მიჰყოს ხელი დიდებულ სამსახურს მუზათა ტაძრის წინაშე?

დიდი ხანია საფრანგეთის დიდებულმა კრიტიკოსმა ტენმა[1] დაგვანახვა თუ რა დიდი გავლენა აქვს მწერალზე იმ ხალხის, ერის სულის განწყობილებასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომლის შვილიც მწერალია. ახალგაზრდა, უდროოდ გარდაცვალებულმა ფრანგმა კრიტიკოსმა ჰენნეკენმა არანაკლებ ცხადად დაგვანახვა, თუ რა გავლენა აქვს მწერალზე და მის ნაწარმოებზე მკითხველს, იმ წრეს მკითხველთა, რომლის სულის ლტოლვილებასაც ის გვიჩვენებს.

ჩვენი მწერლები რა გენიოსები არიან, რომ საზოგადო კანონს გაექცნენ და საზოგადოების დამღუპველი ინდიფერენტიზმი სძლიონ და შექმნან რამე, როცა იციან და გრძნობენ, რომ მთელი ერი თავისი უარყოფის ავადმყოფობითაა მოცული და ისეთი წრე არც კი არსებობს, რომელსაც აინტერესებდეს თავისი სულის საზრდო მოსძებნოს ქართულ ლიტერატურაში. მწერალი და ხელოვანი თავისებური ნაზი ყვავილია, რომელსაც არაჩვეულებრივი მოვლა ჭირდება. ერთ დღესაც ვერ მოითმენს, თუ ის ატმოსფერო, რომელშიაც სუნთქავს, თანაგრძნობითა და აღტაცებით არ არის გაჟღენთილი.

ჩვენში კი ყოველ მწერალს, რომელსაც თავისი კეთილდღეობა საზოგადოებისათვის შეუწირავს, ადამიანს, რომელსაც თავის სიმშვიდე ჩვენი ბეჩავი ცხოვრების განკარგებისათვის უმსხვერპლია, უხეიროდ არის აღიარებული, „ნეუდაჩნიკად“ და უბედურად. ყოველ გამამხნევებელ თანაგრძნობას მოკლებული, სულსა ღაფავს ნიკო ბარათაშვილი სადღაც მიყრუებულ კანცელარიაში, უნდა დაიღუპოს თავისი სამშობლოს გარეშე; ილია ჭავჭავაძეს თავი და გული ტყვიით

[1] „ისტორია იწგლისის ლიტერატურისა“, „ხელოვნების ფილოსოფია“.

უნდა გაუგმირონ, „ვითა ხულიგანს“, რაკი ქართული საეროვნო იდეალის მედგარი, ენერგიული, გენიოსობით დაჯილდოებული გუშაგი იყო.

და ამის შემდეგ კიდევ უსაყვედურებთ ქართული ერის ორგანიზმს, რატომ არა გაქვს ის ნაწილი ორგანიზმისა, რომელიც ყოველი ერის მშვენებას შეიქმს, რატომ არა გყავს გონების, მწერლობის, ხელოვნების ქურუმებიო. ხანდახან აუტანელი შიში ამიტანს, ვაი თუ ქართველ ერს ბუნებრივი შერჩევის კანონის ძალით მთლად მოესპოს ეს მიდრეკილება მშვენიერი ხელოვნების განხორციელებისაკენმეთქი. მართლაც, ბუნების ისტორიიდან ვიცით, რომ ფიზიკური ორგანო ცხოველისა, თუ დიდი ხნის განმავლობაში მოუხმარებელი დარჩა, თანდათან ჩლუნგდება და ბოლოს ისპობა. რატომ სოციალურ ორგანიზმსაც არ შეიძლება დაემართოს იგივე, და ის ორგანო მისი, რომელიც ემსახურებოდა მშვენიერების განხორციელებას, ხანგრძლივი დევნისა და შევიწროების გამო, რატომ არ შეიძლება მოისპოს და მოიკვეთოს?

მე მგონია, ჩვენი ლიტერატურა დიდს და უდიდეს კრიზისს განიცდის. რუსეთის ლიტერატურისა და ცხოვრების აყვავება ჩვენთვის დიდად საშიშარი „მტერია“. თავის დღეში რუსეთის გარყვნილი ბიუროკრატია იმ დღეს ჩვენ ვერ დაგვაყენებდა გარუსებისა და გადაგვარების მხრივ, რასაც „ახალი რუსეთი“ გვიზამს. „ძველი რუსეთი“ საერთო ზიზღს იწვევდა ყველა დამონებულ ხალხში, ახალი კი სიმპათიასა და სიყვარულს, რომელიც სრულიად კანონიერია, საფუძვლიანი და ისეთ ნიადაგზეა აღმოცენებული, რომ ვერაფერი ვერ შეაფერხებს. მაგრამ ეს სიმპათია ქმნის მას, რომ უიმისოდაც ძლევამოსილი რუსული ბიუროკრატიის წინაშე ჩვენს ღარიბ ლიტერატურას ადვილად ზურგს აქცევს ჩვენი მოწინავე საზოგადოება და მასთან მთლად ჩვენი ერი. განახლების ეპოქაში, როცა მთელი ერი თავბრუდამხვევი და კეთილშობილი ოცნებითა და ფიქრით იყო გატაცებული, ასი წლის დამპალი რეჟიმისაგან აცრილმა თავისი თავის უარისყოფამ მიიღო მთელი ერის სულის მომწამლავი მიმართულება, ამიტომაც ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის გამამაგრებელი ახალი საფუძველი აღარ ჩაიყარა და ამნაირად განწყობილი ხალხი „ახალ რუსეთს“ დაუხვდა. ახალი რუსეთი კი გასაოცრად აყვავებული ლიტერატურის — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — სამშვიდობო იარაღით აღჭურვილი მიეგება. ადვილი შესაძლებელია, ის, რაც ვერ შეძლო

ცეცხლმა და მახვილმა, მშვიდობიანმა განწყობილებამ მოახდინოს და ჩვენი ლიტერატურა და კულტურა საუკუნოდ დასახიჩრდეს.

ნურავინ იფიქრებს, ვითომ „ახალი რუსეთის“ წინააღმდეგ რაიმე გვქონდეს; ის ხალხი, რომელიც თავის კულტურითა და ხელოვნებით იპყრობს და აერთებს სხვა ერებს, თუგინდ ამ შეერთებამ ამ ერის კულტურის გაქრობაც გამოიწვიოს, არც საყვედურისა და არც წინააღმდეგობის ღირსი არ არის. ზიზღისა და ფურთხის ღირსია ის სულითა და გონებით გამოფიტული დაჭლექებული ერი, რომელიც ახალი დიადი ძალის შემწეობით გამოფხიზლებას ვერ ახერხებს და სიცოცხლე ესპობა, გაზაფხულის პირველ სხივთანა და სიოსთან ერთად სულსა ლევს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ია ეკალაძის მიერ აღნიშნულ მეორე მიზეზსაც, რომ ჩვენში არ არსებობს არც ერთი წრე, რომელიც მოქმედებდეს არტისტი-ხელოვანის გემოსა და გონების განვითარებაზე. ყველგან, სადაც არსებობდა ლიტერატურა და ხელოვნება, იგი აყვავებული და გამდიდრებულია საზოგადოების გემოს განვითარების ზეგავლენით. არა თუ ჩვენში არ არსებობს მშვენიერების არც ერთი ტაძარი, როგორიც, მაგალითად, ევროპული მუზეუმებია, არ არსებობს მუსიკალური საზოგადოებები, არ არსებობს თეატრი, სადაც ნამდვილი ხელოვნების შესწავლა შეიძლებოდეს. ჩვენში ოჯახსაც ვერ ნახავს კაცი ისეთს, რომ ცოტათი არის ესთეტიკური გემოვნება დაგიკმაყოფილოს ამ ოჯახის მოწყობილობამ. ვერსად ვერ ნახავ მშვენიერ სურათს, მშვენიერ ლუსკუმს, ვერსად ვერ გაიგონებ მშვენიერი სურვილის აღმძვრელ ლაპარაკს, და ეს ისეთ ხალხში, რომლის სიმშვენიერე დაკანონებულია და ყველასგან აღიარებული. ხელოვნება, რაც არ უნდა სთქვათ, მშვენიერების განხორციელებაა, ხელოვნების იარაღი და ხერხი მშვენიერებაა. რა ქნას მწერალმა და ხელოვანმა ისეთ საზოგადოებაში, სადაც იმის დანახატს, გამოქანდაკებულს და ნაწერს არა თუ არავინ იყიდის, არავინ გამოსცემს, არც არავინ ნახავს და წაიკითხავს? რა ქნას, როცა ისეთ ოჯახს კი არა, ადამიანსაც ვერა ნახავს ჩვენში, რომელსაც მშვენიერება გაეგებოდეს და ამ მშვენიერების შეგნების გარეთ გამოყვანას ცდილობდეს?

რა თქმა უნდა, ჩვენში არა თუ რუსთაველები, ბარათაშვილები და ჭავჭავაძეები ვეღარ იბადებიან, უბრალო ნიჭიერი მწერალიც ვერ ახერხებს შრომის განგრძნობას. რით აიხსნება, რომ ამდენი ნიჭიერი

ახალგაზრდა მწერალი ჩვენში უდღეოდ გაჰქრა? სწორედ იმით, რომ მათ შინაგან ცეცხლს გარედან სანათი აკლდა და ამით თვით დაიწვნენ თავისი ნიჭითა და სურვილებით. გენიოსი ყველაფერსა სძლევს, მაგრამ გარწმუნებთ, გენიოსებს არ უყვართ იქ გაჩენა, სადაც ირგვლივ სიგიჟემდის მისული გაუგებარი და მიუმხვდარი, მორიელის მსგავსი თავისი თავის კბენა და უარყოფაა; გენიოსს იქ სული ეხუთება და დაბადებამდე გარბის იმ მხარიდან, სადაც უბრალო ბეჩავობის, უბადრუკობისა და გონებრივი და სულიერი სალახანობის მეტი არაფერია!

ყოველ ამ ჩინებულ შენიშვნებთან სასაცილოდ მიგვაჩნია ია ეკალაძის მიერ „ჩვენებური კრიტიკოსების“ გაკილვა. თითქო კრიტიკაც ლიტერატურის დარგი არ იყოს და თუ კრიტიკოსები გვეყოლებოდა, ჩვენი ლიტერატურა მისუსტებულად არ ჩაითვლებოდა.

ჩვენი კრიტიკოსები იმავე პლანეტაზე არიან მიმალულნი, სადაც ჩვენი მწერლები... კრიტიკოსიც ერთგვარი ქურუმია სიტყვაკაზმული მწერლობისა, იმასაც ერთგვარი წარმოდგენა აქვს მსოფლიოზე და ისიც თავისებურად ცდილობს, ეს წარმოდგენა ამა თუ იმ სახეში გამოთქვას. კრიტიკოსი ისეთივე ამხსნელია ცხოვრებისა, როგორც ყოველივე ხელოვანი; მხოლოდ მაშინ, როცა ხელოვანი პირდაპირ ცხოვრებას მიმართავს, კრიტიკოსი მწერლობას იხდის თავისი მსჯელობის ობიექტად და იმ მწერლებს მოიხსენიებს აღტაცებით, ვინც აკმაყოფილებს მის შეხედულებასა და გრძნობას მსოფლიოზე და მას იწუნებს, რომელიც, მისი აზრით, ხელოვანი არ არის, ვინაიდან ვერ ახერხებს ცხოვრების მოვლენათა დაფარული კავშირის შეგნებას და ამ კავშირის მხატვრულად დასურათებას. მაგრამ ეს დიდი საგანია და სხვა დროისთვის გადავდოთ.

სხვა მიზეზთა შორის არცერთი საყურადღებოდ არ მიმაჩნია. თუ ჩვენი რედაქტორები ყველას და ყოველთვის უდიერად ეპყრობოდნენ (ყაზბეგებს, ძმათა რაზიკაშვილებს, არაგვისპირელებს, კლდიაშვილს და თვით ბ-ნ ია ეკალაძეს და ზოგიერთს სხვათა) მაშინ არაფერი არ უნდა დაეწერათ.

არც ის საყვედური მიმაჩნია საფუძვლიანად, რომელიც ზოგიერთებმა წამოისროლეს, გამომცემლებს ვერ ვშოულობთო. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სრული თხზულებანი 50 წლის შემდეგაც არა გვაქვს; პირველად მათი ნაწარმოების სრული ტომები ოთხმოც-

დაათიან წლებში გამოვიდა მარტო, ე. ი. 35 — 40 წლის მათი მოღვაწეობის შემდეგ, მაშინ როცა ნინოშვილის, ვაჟა-ფშაველას, არაგვისპირელის, დ. კლდიაშვილისა და თვით ბ-ნ ია ეკალაძის ნაწარმოებებმა გამომცემელი იმ თავითვე იშოვეს. ამაში გარწმუნებთ, ჩვენი ახალგაზრდა მწერლები მეტად უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

31. 1908 წლის სალიტერატურო მიმოხილვის მაგიერ

წარსულ წელს რამდენიმე ისეთი მოვლენა მოხდა ჩვენი ლიტერატურის სამეუფოში, რომელიც ამ ლიტერატურის საბედნიეროდ და სასიამოვნოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

პირველი ადგილი ამ მოვლენათა შორის ეკუთვნის აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულს. ამ დღესასწაულმა ისეთი დიადი წუთები განგვაცდევინა, რასაც საუკუნეში ერთხელ თუ გამოცდის კაცი. რაღაც დიდებული ბრწყინვალებითა და მშვენიერებით მოსილ, საუცხოო და მომხიბვლელ გრძნობათა აღმძვრელი იყო ეს დღე ყველა დამსწრესათვის, და, დარწმუნებული ვარ, ყველა იმისთვისაც, ვისაც აღწერილობა წაუკითხავს და წაკითხულის შეგრძნობა შეუძლია. ასეთი დიადი წუთის მარტო განცდა შეიძლება, მისი გარკვევა, მისი დანაწილება ყოვლად შეუძლებელია. ერთი რამ იყო ყველასათვის უეჭველი, რომ ამ დღეს ყველა ქართველი ერის შვილად გრძნობდა თავს და ყველას ოცნება, ფიქრი და აზრი ცხრა კლიტულში დამწყვდეულ ნესტან დარეჯანს უტრიალებდა, იმ ნესტანს, რომლის საუცხოო ტარიელი, — ენატკბილი მგოსანი, შეადგენდა ამ დღესასწაულის საგანს. ამ ერთსულოვნებისა და ერთაზროვნების დარღვევა ვერაფერმა მოახერხა, და თუ ვინმე ეცადა ამას, ტყუილი ცდა გამოუვიდა და ძლევამოსილმა ტალღამ საეროვნო გრძნობისამ იგი ჩაითრია და საერთო ფერხულმა იგიც, ძალაუნებურად, ამ ფერხულში ჩააბა. დღესასწაულის დიდებულებას ხელს უწყობდა თვით იუბილარიც, რომელიც მოგაგონებდათ დაბადების წინასწარმეტყველს, აწმყოთი გულგატეხილსა და ამ აწმყოს სარკასტულად შემხედვარეს, ხოლო მომავლის იმედით აღფრთოვანებულსა და გამხნევებულს. მისი სიტყვა და ლექსი, რომლითაც საუცხოოდ განმარტა დიადი მოვლენის მნიშვნელობა, თუ, ერთი მხრივ, სრულიად ადვილად გასაგები თავმდაბლობის გამომხატველი იყო („ის არ ვარ, თქვენ რომ გგონივართო"), მეორე მხრივ, მართლაც, რომ დიდებული პირადი გრძნობის გამოხატულება იყო, იმ პირადობისა, რომლისთვისაც ყოველ მოვლენას იმდენად აქვს მნიშვნელობა და აზრი, რამდენადაც

ხელს უწყობს ნესტანის ქაჯთაგან დახსნას. ამ დღემ, მე მგონია, თვით უკიდურეს ურწმუნოსაც სარწმუნოება ჩაუნერგა, შეუდრეკელი რწმენა იმისი, რომ სიკვდილი და მოსპობა იმ ერისა, რომელსაც შეუქმნია რუსთაველი და ბარათაშვილი, ილია და აკაკი, ყოვლად შეუძლებელია და ყოველი ცდა მისი მტრებისა, მარტო პურიშკევიჩი იქნება იგი, თუ წარმომადგენელთა მთელი ის კრება, რომელიც 3 ივნისის კანონმა შვა, წყლის ნაყვა იქნება, და ყოველი მტერი, ასეთი დიდებული და მშვენიერების განმახორციელებელი ერისა, იმავე გზას გაუდგება, რა გზასაც თემურლენგები და შაჰ-აბაზ-აღა-მაჰმად-ხანები გაუდგნენ. ამ დღემ ცხადყო ყველასათვის, ვისი აზრი და გონებაც მეწვრილმანურ, ვიწრო კალაპოტში არ მომხჩვალა, რომ უკვდავებისა და დიდების სახელი ქართველსაც შეუძლია, იმ ქართველს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ენისა და პოეზიისათვის შეუწირავს. მართლაც, დიდებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია მთელ ერს ის შეუდარებელი ბედნიერება მიანიჭოს, თუნდ ნახევარი წუთით, რა ბედნიერებაც ჩვენ გამოვცადეთ აკაკის იუბილეს დღესასწაულებზე. ასეთი ბედნიერება შეუძლია შექმნას მან, ვინც ღმერთს უახლოვდება, ვინც ზეკაცია, არაჩვეულებრივი ადამიანი. და ასეთი ადამიანი თურმე ჩვენ ერსაც შეუძლია შექმნას, წარმოშოს და მასში განახორციელოს მთელი თავისი სულის ოხვრა, გულის კვნესა, იმედი და სიხარული, სიმამაცე და სიმხნევე; და ეს ისეთ უცნაურ პირობებში, რომლის მსგავსი, ვეჭვობ, კიდევ რომელსამე ერს აწვეს თავზე. უკეთესი დახასიათება იმ პირობებისა, რომელშიც ჩვენა ვცხოვრობთ, რაღად გნებავთ: ხალხის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რაც ამ ორ-სამ წელს მოხდა ჩვენში, ეუბნებიან დღევანდელი ჩვენი სვე-ბედის გამგეთ, მეტად ლმობიერად ეპყრობით მაგათო. როცა ასეთ პირობებში ერი ქმნის თავის დიდებულ ნიჭს, როგორიც არის აკაკი, იმ ხალხის დალუპვა ყოვლად უსაფუძვლო, უნიადაგო და გიჟური ოცნებაა.

•

მეორე მოვლენა, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, არის ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების დაარსება. მართალია, ჯერჯერობით სისუსტე ამჩნევია ამ საზოგადოებას, მაგრამ თვით აზრი ამგვარი საზოგადოების შექმნისა ჩვენ ძლიერ ნა-

ყოფად მიგვაჩნია. ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა . საჭიროებს სწორედ მზრუნველსა და მოამაგეს. ჩვენში ბევრი ნიჭი იღუპება იმით, რომ გარშემო ახვევია უბადრუკი ატმოსფერო, რომელიც სულს უხუთავს ყოველსავე არაჩვეულებრივსა, ყოველ ნაზ გრძნობას, ყოველ ნასახს ნიჭიერებისას. გარდა ამისა, სიტყვა-კაზმული ლიტერატურის ყოველი თაყვანისმცემელი ჩვენში პირდაპირ უძლური ადამიანია; მისი გრძნობის, მისი გემოვნების განმავითარებელი არა მოიპოვება რა. არ არის ჩვენში მუზეუმები, არ არის ხელოვნების სხვადასხვა დარგთა გამოფენები, ხეირიან მუსიკას ვერსად გაიგონებ, ხეირიან წარმოდგენასაც ვერ ნახავ. ეგ რად გინდათ, ადამიანსაც ვერ შეხვდებით, რომ ესთეტიური შთაბეჭდილება მოახდინოს თქვენზე, ბაასი გაგიმართოთ და ცოდნით, ნახულითა და გაგონილით შეძენილი გაგიზიაროთ. ჩვენში არ არსებობს არავითარი სალონური ცხოვრება, ხოლო მას, ვისაც ცოტა რამე გაუგონია ევროპულ და, განსაკუთრებით, ფრანგულ ლიტერატურაზე, არ შეიძლება არ გაეგონოს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სალონებს სიტყვა-კაზმული მწერლობის განვითარებაზე. ეს სალონები კი მეტი არა იყო რა, თუ არა ოჯახები, სადაც იკრიბებოდნენ ესთეტიურად გემო განვითარებული ადამიანები, რომელთაც ერთმანეთზე წარუხოცელი გავლენა ჰქონდათ.

ახალ საზოგადოებას უეჭველად ასეთი მნიშვნელობაც ექნება ჩვენი მწერლობისათვის. საზოგადოების დარბაზში შეუძლიათ თავი მოიყარონ სიტყვა-კაზმული ლიტერატურის თაყვანისმცემელთ და შექმნან ისეთი ატმოსფერო ყოველი მწერლისათვის, ურომლისოდაც მის ნიჭს მარტო მტვერი თუ შეეპამს, თორემ სხვაგვარად განვითარების გზას ვერ დაადგება. მე ვამბობ მარტო ნიჭიერი მწერლების შესახებ და არა ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონ მწერალთა და მგოსანთა შესახებ, რომელთათვისაც გარემოებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ლიტერატურა მარტო დიდებული მწერლებით ვერ იცოცხლებს, მას ნიჭიერი მუშაკიც სჭირია, რომელიც უმზადებს ნიადაგს მომავალ დიდ ნიჭს.

ამის გარეშე „სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებას" დაუფასებელი ღვაწლი შეუძლია დასდოს ჩვენს საზოგადოებას, თუ ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწარმოებთა სისტემატიურ გამოცემას შეუდგება; აუცილებელია ჩვენი პოეზიის მშვენებათა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ჩვენი დიდების ნი-

კო ბარათაშვილის ნაწარმოებთა ხელახლა გამოცემა, შესაფერი კრიტიკული განხილვით, მათი ბიოგრაფიის მასალებით და სხვადასხვა წერილებით. აუცილებელია, გამოიცეს ილიას პუბლიცისტური ნაწარმოები, მისი წერილები და სხვა. ასევე საჭიროა გამოიცეს აკაკის ნაწერები სრული ქრონოლოგიით, მთელი მისი ნაწერები მისივე კომენტარიით. ბევრი ისეთი რამ არის აკაკის სატირიულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებში, რომ თუ კომენტარები არ ექნა, მომავალი თაობა ვეღარას გაიგებს და ასეთი შეცდომა შთამომავლობის წინაშე არ გვეპატიება. ღმერთმა თუ ბედმა მოგვცა დიდებული მწერლები, რომელთა ნაწარმოები სამარადისო დამატკბობელი იქნება ქართველი ერის გრძნობისა და გონების, ჩვენ კი მათ ისე ვეპყრობით, ვითა არაკის მამალი მარგალიტს.

საზოგადოებამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე თარგმანს და ამ საქმეს მოახმაროს ის ლიტერატურული ძალები, რომელთაც ორიგინალობისათვის ფრთები არა ყოფნით. აუცილებელია ითარგმნოს ევროპიული ლიტერატურის კორიფეთა თხზულებები და გავრცელებულ იქნას ჩვენში. სირცხვილია, რომ ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ხეირიანი თარგმანი მეტერლინკისა, ვერჰარნისა, ანუნციოსი, უალდისა, ჰამსუნისა და სხვათა. ამას თუ ყურადღებას მიაქცევს საზოგადოება, დიდ და დაუფასებელ ღვაწლს დასდებს ჩვენს ლიტერატურას.

მე სრულიადაც არ მაშინებს ის, რომ ამ საზოგადოებას ჯერ ფრთები ვერ გაუშლია. აზრი, ვამბობ, იმდენად ცოცხალია, იმდენად ბუნებრივი, რომ შეუძლებელია ამ საზოგადოებამ დიდი მნიშვნელობა არ მოიპოვოს ჩვენს ცხოვრებაში.

•

მესამე მოვლენა პირდაპირ ლიტერატურას შეეხება. ყველას ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა პოეტმა ა. შანშიაშვილმა და, მე მგონია, არავის არ ეჩოთირება, თუ წარსული წლის ლიტერატურის მემატიანე აღნიშნავს მის პოეზიას, როგორც ერთ სასიამოვნო მოვლენას.

ქართველები პოეზიის მხრით მეტად ბედნიერნი და მდიდარნი ვართ. არა მგონია, ქართველი ერის პოეზია, რომელიმე ერის პოეზიას ჩამოუვარდეს... ერთი რუსთაველი რადა ღირს! ალ. ჭავჭავაძე, გრ.

ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ვაჟა-ფშაველა! გარწმუნებთ, ყოველი ერი თავს ბედნიერად ჩათვლიდა ეს მწერლები რომ მათ მწერალთა სიას ამშვენებდნენ. არა მგონია, ევროპაში აკაკის მისი ხნის პოეტი ბადალი ჰყავდეს. ვერც ბალმონტი და ბრიუსოვი სჯობნიან ვაჟას. ჰო და, ასეთი პოეზიის პატრონ ერში რომ თავი იჩინოს პოეტმა და თავი მოაწონოს საზოგადოებას, მას უეჭველად საკმაო ნიჭი უნდა ჰქონდეს. რასა ბრძანებთ, აკაკის ლექსთა სიმშვენიერის გამგონეს განა მოეწონება ჩვეულებრივი ლექსი, ანდა ვაჟას საოცარი მხატვრული მანერის შემდეგ ვინმე უბრალოს შეუძლია თქვენი ყურადღება მიიქციოს, ანდა ბარათაშვილის გრძნობათა სიღრმეს — ვინმე მელექსემ, რომელიც „უცილობობს ვითა ჯორი“, თვალი გაუსწოროს? ან ილიას პოეზიის მძლეთა-მძლეობას მიჩვეული ერი უნიჭოს ლექსთა სიძლიერის დაჩემებამ მიიტყუოს? მაგრამ შანშიაშვილი მაინც ყველას ყურადღებას იპყრობს, რასაკვირველია, მათსას, ვისაც რაიმე გაეგება ჩვენ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

რასაკვირველია, აქ ნიჭია უსათუოდ მიზეზი. მართალია, ჯერ მისი ლექსი გაუბედავია, გრძნობა შემოზღუდულია, ენება, როგორღაც მომწყვდეული, მისი სტილი და მანერა წერისა გაურკვეველია: ხან ილიასა ბაძავს („ეუეუნა წვიმა“...), ხან აკაკის, ხან ორივეს ერთად („მეგობრის სამარესთან“), ხან ბარათაშვილსაც ელამუნება („მნათობო, სული შენკენ მიილტვის“), ხანდახან ალ. ჭავჭავაძის სტილსაც კი მოგაგონებთ მისი ლექსი („პირველი მაისი“)[1]. მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ იგი ჯერ სულ თვრამეტ-ცხრამეტი წლისაა და არც კი გამოუცდია ბევრი რამ, რაც აუცილებელია გრძნობათა უსაზღვრობისათვის. მართლაც, როგორ გინდათ სევდა მთელი სიღრმე-სიგანით გამოთქვას ბავშვმა, რომელმაც იცის და არც გამოუცდია მთელი სიმწარე სოფლისა! როგორ გინდათ სიყვარულის გრძნობა გიგალობოთ ბავშვმა, რომელსაც არ შეუძლია ბუნებრივად გამოცადოს ამ უცნაური გრძნობის მთელი სიამტკბილობა!

ის, რაც შეუძლებელია ადამიანის ბუნებისთვის, როგორი არაჩვეულებრივიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შეძლო ვერც შანშიაშვილმა.

---

[1] ა. შანშიაშვილი ისტამბებოდა „ისარში“, „ამირანში“, „დროებაში“, „მზეში“, „ფასკუნჯში“ და „საქართველოში“.

მაგრამ, სამაგიეროდ, შეძლო ის, რომ თავი განისხვავა მრავალ-რიცხოვან ჩვენ „მელექსეთაგან“, რომელთა ნიჭი მარტო იმაში-გამოიხატა, რომ შეუძლიათ „სადმე სთქვან ერთი ორი“, შეუძლიათ ორის სიტყვის გამოძებნა, რომელთაც ერთი და იგივე დაბოლოება აქვთ. მე არ მინდა მათი სახელები ჩამოვთვალო, მაგრამ დიდი უმეტესობა გულის ამრევია და უმეტესობის ნაწერი იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა სწერო ლექსი. მშრალ-მშრალი ტრაქტატები, პირუტყვული იმედები და სასაცილო სიმხნევე, მართალი გითხრათ, იმ სასაცილო ბავშვებს გაგონებენ, რომელნიც ხმალს ჩამოიკიდებენ და-თავი გმირი ჰგონიათ. ბევრ მათგანს არ ესმის, სევდა რა ხილია, ბევრი მათგანი წყეულ კითხვებს არ ეხება; უმეტესობა გვარწმუნებს, რომ დღეს თუმცა ზამთარია, სამი თვის შემდეგ უსათუოდ გაზაფხული იქნებაო; მართალია, ღრუბელია ცაზე, მალე მზე გამოვაო; მართალია, მტერმა გვძლია, მაგრამ ხვალ კუდით ქვას ვასროლინებო და სხვა. არა, ბატონებო, აკი მოგახსენეთ, ქართულ ენაზე წერა დიდად ძნელი საქმეა და დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ ამ საქმეს. დანაშაული იმაში არაფერი არ არის, რომ ლექსის წერა დაიწყეთ; ყველამ რომ გულზე ხელი დაიკრიფოს, ქართულ ენაზე ლექსის წერა ძნელიაო, არ ივარგებს, მაშინ ხომ შეიძლება ნამდვილი ნიჭიც-დაიღუპოს, მაგრამ ერთ წელიწადს თუ ლექსსა სწერთ და ათი კაცი-(რომელთაც რამე გაეგებათ პოეზიისა) მაინც არ მოგიწონებთ, თქვენ-დაწერილ პოეზიას დაეხსენით. მარტო რითმა თუ გემარჯვებათ, თარგმნეთ უცხო ენიდან, გარწმუნებთ ბევრად უფრო მადლიერი ვიქნებით და ბევრად უფრო დიდ სახელს მოიხვეჭთ, ბევრად უფრო ნაყოფიერად იმუშავებთ და ტყუილად არ დაკარგავთ თქვენს-ღვაწლს.

ა. შანშიაშვილი ამ შაბლონს გაცილდა. იგი მრავალგრძნობიერია, მას სევდაც აწვება გულს, იმედიც ხანდახან შუქს მიაფენს, ენთუზიაზმიცა აქვს, ბუნების საიდუმლოების ყურის დაგდებაც იცის და-გაგონებაც. ნუ დაივიწყებთ მის დიდებულ წინამორბედებს, მისთვის-ძალიან ძნელია სახელის მოხვეჭა. და თუ მაინც ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის სამეფოში, რომელსაც ამშვენებს ვაჟაც, შანშიაშვილმა-ყურადღება მიიქცია, გწამდეთ, მას ნიჭი აქვს და ვუსურვებ ვარდიოა და იით ყოფილიყოს მისი ნიჭის გზა მოფენილი.

თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მწერალთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა და გამოსცა სპეციალური სალიტერატურო ჟურნალი „მზე-

და „ფასკუნჯი“, რომელიც სიმპტომატურ მოვლენად და ჩვენში ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვიძების მაჩვენებლად მიმაჩნია, ვფიქრობ აღსრულებული მექნება მემატიანის მოვალეობა. ამდენი სასიამოვნო მოვლენა აღვნიშნე, მკითხველო, საახალწლოდ! სამწუხარო დავივიწყოთ! ავადმყოფობა და ტკივილი თვით გვაგრძნობინებს თავის თავს, — სიმრთელე უფრო ძნელი საგრძნობია.

32. ქართული საბავშვო წარმოდგენა

უნდა მართალი გითხრათ, თუ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ და მისმა რეჟისორმა ბ-ნმა ყანჩელმა უსაზღვრო სიამოვნება მოგვანიჭა ამ ჩინებულად გამართული საბავშვო დღესასწაულით, თანაც, კიდევ ერთხელ, დაგვიმტკიცა, თუ რა გახრწნილებამდე არის მისული ჩვენში ქართული საზოგადოება და ქართველური გრძნობა. ჩვენი „განათლებული“ და „შეძლებული“ საზოგადოება, სწორედ parvenu-ს წარმოადგენს, სნობიზმით გატენილ უმსგავსო არსებას, რომელიც, სრულიად ბრმა შემთხვევის წყალობით, საზოგადოების ეგრეთ წოდებულ მაღალ საფეხურზე აცოცებულა და მოუკალათებია. მას არ ასულდგმულებს არავითარი არა თუ საზოგადოებრივი და საეროვნო აზრი, არამედ უბრალო შეხედულებაც არა აქვს ხელოვნებასა და დღიურ ცხოვრებაზე. ის იმ დედაკაცს მიაგავს, რომელიც ღარიბი და მდაბიო წრიდან მდიდარსა და არისტოკრატიულ ოჯახში ჩავარდნილა, სხვების წაბაძვით ცდილობს შეიგნოს ახალი გარემოება და ყოველივეს, რაც მის ძველ მდგომარეობას აგონებს, სულელური ზიზღითა და ბინძური მედიდურებით შეცქერის.

ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ვითომდა კულტურული წრის ადგილი უკავია, არავითარი გაგებაც არა აქვს არც კულტურის და არც ცივილიზაციისა. მისი გონება და სული ბრმა წამბაძველობის უბადრუკი მონაა, რომელსაც თავისი პირადობის ნატამალიც არა აქვს და მარტო „იარლიკებით“ ცოცხლობს და მოძრაობს მისი გემოვნება, მისი სტილი ყოველ სფეროში და ყოველ მოვლენაში მარტო „იარლიკით“ განიზომება. უშნოდ გაკეთებული მსხლის წვენი რომ მიუტანოთ და ზედ „შუმისა“ ან „რედეზერის“ შამპანიურის იარლიკი გაუკეთოთ, იგი აღტაცებაში მოვა. აყროლებული სპირტი რომ მიუტანოთ და ზედ საუკეთესო სურნელოვანი წყლების ფაბრიკის მარკა დააკრათ, მას მეტი არაფერი უნდა — მისი ყნოსვა სრულიად დაკმაყოფილებული იქნება. ბაზარში ნაყიდსა და ბაყალის დახატულ სურათზე რომ მიქელანჯელო დააწეროთ, ან რაფაელი,

აღტაცებაში მოვა. „ტარარა ბუმბია“, ან „კამარინსკი“ რომ დაუკრათ და უთხრათ, ეს ვაგნერია ან ბეთხოვენიო, რასაკვირველია, ორ ღამეს არ დაიძინებს — ამისთანა მშვენიერება გავიგონეო. მოდით და როცა ასეთი High life გყავთ — განავითარეთ ჩვენში ხელოვნება და ესთეტიკა.

თვით უსაზიზღრესი ფორმა ამ სნობიზმისა, ამ parvenu-ს მანჭიობისა, გამოიხატება იმაში, რომ რასაც ქართული სახელი აქვს, ყოველივეს უთუოდ ტუჩს აუპრუწვენ. ქართული გაზეთი? აბა როგორ წაეკითხება მათ „განათლებულ და განვითარებულ“ თვალებს. ქართული თეატრი? როდესაც მათი გრძნობა ესთეტიური განვითარების საფეხურამდე მისულა, როგორ დააკმაყოფილებს მათ. ქართული ლიტერატურა? აბა მათ, რომელთაც ბაირონი და შექსპირი ზეპირად იციან, ჰომეროსისა და სოფოკლეს ლექსებს ზეპირად ჩამოგითვლიან, რასინსა და კორნელს გადააბულბულებენ, როგორ ეკადრებათ „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა, ან ილიას თხზულებებითა და აკაკის ლექსებით ყურის დატკბობა.

მე კი ამას მოგახსენებთ, რომ თუ გინდათ შეიტყოთ ქართველის გონების სიდუხჭირე, აზრის გარყვნილება და გემოვნების დასახიჩრება, ქართულზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი. თუ ის ამგვარ პრანჭვა-გრეხას დაიწყებს, ფიცს გაძლევთ მან არ იცოდეს არც ერთი ერის ცხოვრება და ლიტერატურა, იგი იქნება სრულიად ჭკუითა და გონებით ღალატი, რომლის გონების სალარო „ტიფლისკი ლისტოკის“ ცნობებს არ გასცილებია...

აბა აიღეთ, რომელიც გნებავთ ქართველი განათლებული კაცი, თუ მას რაიმე მცირედი დამოკიდებულება მაინც არა ჰქონდეს ან ჩვენ თეატრთან, ან მწერლობასთან, ან წერა-კითხვის გავრცელებასთან, ან სასწავლებლებთან. აბა, გაიხსენეთ, პროფესორი პეტრიაშვილი, ან თარხნიშვილი ქართული ენის, ლიტერატურის, თეატრის შესახებ თუ როდისმე ტუჩებს აპრუწვიდნენ და ყოველთვის სიამოვნებითა და სიყვარულით არ იხსენიებდნენ. აბა იუჟინი აიღეთ: თუ მას ქართული გულითა და სულით არა ჰყვარებოდეს, განა შეეძლო შეექმნა „ღალატი“, რომელიც თანამედროვე საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებთა შორის ირიცხება?

აბა, ბატონებო, ქართულის აბუჩად ამგდები მეწვრილმანეა სულითა და გულით, ზიზილ-პიპილებით მორთული, რომელსაც ჰგონია,

რომ გემოვნებით ჩაცმა და მორთულება ამ ზიზილ-პიპილების სიმრავლეშია. დროა ეს შევიგნოთ!

ეს აზრები აღმეძრა, როცა შაბათს ჩვენს თეატრში საბავშვო წარმოდგენას დავესწარი. სიხარულით მივდიოდი — ვნახავ ქართველ ბავშვებსმეთქი; სიამოვნებით ველოდი, რა სასიამოვნო წუთებს განვიცდიმეთქი, როცა მთელ თეატრს ვნახავ ქართველი ბავშვებით სავსეს. ვისაც ბავშვის კისკისი, მისი ჟივილ-ხივილი აღტაცებაში არ მოიყვანს, ის ლეშია, მძორი და არა კაცი. მივედი და რა ვნახე; მთლად ცარიელი თეატრი. მთელ ლოჟებში ოთხიოდე იყო დაჭერილი, სხვა კი ცარიელი იყო. დანარჩენი ჩვენი „განათლებული საზოგადოება“ კი უთუოდ ტუჩებს აბზუებდა და თავის არ ყოფნით ამტკიცებდა თავისი ჭკუის სიგლახაკეს, ეგონა კი, რომ უკეთესი კილო მოქმედებისა არც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა... დროა ასეთი გონების უბადრუკება გამოქვეყნებულ და სამარცხვინო ბოძზე იქნას გაკრული. ჩვენი ერი ეხლა ისეთ მომენტს განიცდის, რომ ყველაფრის უყურადღებოდ დატოვება, ასეთი ბინძური „სნობიზმის“ გულგრილად მოპყრობა დიდად მავნებელია საზოგადოებისა და ერისათვის. რასაკვირველია, ბევრია ჩვენში გულდამწვარი იმით, რომ ყოველ ჩვენს საქმეს ნაკლულევანება აქვს თავისი და შეძენილი, ნებსითი და უნებლიე. მაგრამ გულწრფელი ადამიანი, რომელსაც ეს ნაკლულევანება გულს უკლავს, განა ისე მოიქცევა, როგორც გავერანებული ჩვენი „კულტურული საზოგადოება“? განა მშობელი ყოველ ღონეს არა ცდის შვილს რომ საუკეთესო განათლება მისცეს, თუნდაც იდიოტი იყოს იგი? განა შვილი ყოველ ღონეს არა ცდის მშობელი რომ სიკვდილს გადაარჩინოს? ასეა ადამიანი, ასეა პირუტყვიც. ჩვენი ვითომდა ამაღლებული და ზეკაცებისაგან შემდგარი „განათლებული ნაწილი“ საზოგადოებისა კი პირუტყვზე უფრო დაბლაცა დგას თავისი ქცევით, სამშობლოსა და საერო საქმისადმი. მაგრამ ხელი უნდა შეუწყოთ ჩვენში ისეთი საზოგადო აზრის შექმნას, რომ ასეთ „კუდაბზიკა“ ვაუბატონებს ვაგრძნობინოთ და სავსებით შევაგნებინოთ მთელი სიდუხჭირე მათი სულისა და გონებისა, მთელი სიგლახაკე და სიუბადრუკე მათი მისწრაფებისა.

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, საუცხოო იყო. მეტად მშვენივრად იყო გაწყობილი შობის ხე. კიდევ დიდი მადლობა რეჟისორს და სირცხვილი ჩვენს დაგლახაკებულ და დაჩიავებულ „საზოგადოებას“.

33. აკაკის სალამო ქუთაისის გიმნაზიაში

ამას წინათ ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ გამართა აკაკის საიუბილეო საღამო, რომელმაც დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა.

როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ინტელიგენციის უსაქმურობაზე, ვუსაყვედურებთ დაუდევრობას, უნდა გავიხსენოთ ის მრავალი ჩვენი საზოგადო საქმე, რომლისთვისაც ინტელიგენციის საუკეთესო ძალნი შრომას არა ზოგავენ. ავიღოთ ჩვენი საქალაქო თვითმმართველობანი, სკოლები, სხვადასხვა კულტურული საზოგადოება, ბანკები და სხვა ამგვარი დაწესებულება. მრავალი ძალა და შრომა იხარჯება ამ საქმეზე. ნუ ვიტყვით, რომ ეს საქმეები ჩვენი ერისათვის დიდმნიშვნელოვანნი არ იყვნენ. სხვა თუ არა, ამ დაწესებულებებში იზრდება ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი გრძნობები და იქ ვეჩვევით კულტურულ მუშაობას. თუ მრავალ ჩვენ დაწესებულებას სასიამოვნო სახე არ ადევს, ეს იმისი ბრალია, უმთავრესად, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ გაჩვეული არ არის ამგვარ საქმეში, ცოდნითა და ერთგულებით ვერ მოპყრობია და სულ სხვა მოტივებით ჩააბეს საქმეში...

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, აგრეთვე, ორ ქართულ გიმნაზიას და საზოგადოების მოვალეობაა გაუფრთხილდეს მათ. ვერავითარი მთავრობის გიმნაზია, ვერავითარი უცხო ნიადაგზე აგებული სკოლა ვერ შექმნის და ვერ მოახერხებს იმას, რაც მოუხერხებია ქართველი ინტელიგენციის კოლექტიურ ჯგუფს, მასწავლებელთა კორპორაციას. ამ დღეს ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ საჯაროდ დაგვიმტკიცა, რომ იგი ნამდვილი აღმზრდელია ყმაწვილკაცობისა; უტყუარი ნიმუში მოგვცა ყოვლად რიგიანის აღზრდისა. შესაძლოა აქ მოსწავლეებმა ისეთის ცოდნით ვერ მოგახსენონ „დანიილ ზატოჩნიკის“ და სხვა მაგვარი დახავსებული რუსულ-ბერძნული ავტორების ნაწარმოებები, რომელნიც თვით განათლებულ რუსეთშიაც ზიზღს იწვევენ, მაგრამ თქვენ აქ ხედავდით დაუმახინჯებელ სულს. ნამდვილ სულს ქართველი ბავშვისას, რაც საუკეთესო იდეალი უნდა

იყოს ქართველი აღმზრდელისა [1]. მასწავლებელი უნდა გვიმზადებდეს მომავალ მოქალაქესა და ადამიანს, მომავალ მამულისშვილს, რომელსაც თავისი ერის სულისკვეთება, ჭირ-ვარამი და სევდა-ვაება-სიყრმიდანვე შესისხლხორცებული აქვს და ამას, როგორც სჩანს, ჩვენი გიმნაზიები ასრულებენ, რამდენადაც ამის ნებას იძლევა ის სულთამხუთავი ატმოსფერო, რომელიც ახრჩობს ყოველ ჩვენს ნაყოფიერ საქმეს.

ამ საღამოზე პატარა ბავშვების მიერ დიდი გრძნობითა და მოხდენილობით წაკითხული ლექსები, შესრულებული სიმღერები, ჩინებულად და საუკეთესოდ წაკითხული რეფერატები გვიმტკიცებდნენ, რომ მასწავლებელთ და მოსწავლეთ მოღვაწეობის და შრომის იდეალი აქვთ, აქვთ შინაარსი მაღალი და ამ იდეალის სამსახური ასულდგმულებს ორივეს.

მართალი გითხრათ, შური აღმიძრა ამ საღამომ. ჩვენ რომ ამგვარ პირობებში აღვზრდილიყავით, რომ ამგვარი სული ჰქონოდა ჩადგმული ჩვენს აღზრდას, სხვა თუ არაფერი, ნახევარი სიცოცხლე მაინც შეგვრჩებოდა და ფიზიკურად და სულიერად ერთიათად უფრო მრთელები ვიქნებოდით.

მადლობის ღირსია გიმნაზიის გამგე ბ-ნი ოცხელი, რომელიც, ყველა მცოდნე კაცის დაფასებით, იშვიათი და საუკეთესო პედაგოგთაგანია კავკასიის ოლქის სამზრუნველოში. დიდი მადლობისა და პატივისცემის ღირსია აგრეთვე მასწავლებელთა კორპორაცია, რომელიც ეჭვი არ არის დიდ შრომასა და მხნეობას იჩენს გიმნაზიის წარსამატებლად.

---

[1] თუმცა ამაშიაც არ ჩამოუვარდებიან მთავრობის გიმნაზიის თავის ამხანაგებს, როგორც ამას ამტკიცებს ის სასტიკი და ტენდენციური გამოცდები, რომლებიც ამ გიმნაზიების მოწაფეთა ხვედრია სწავლის გათავების შემდეგ. დარწმუნებული ვართ, მთავრობის გიმნაზიაში რომ ასეთი გამოცდები იყოს, ნახევარი ვერ გაათავებდა გიმნაზიას.

34. მცირე განმარტება

ჩვენს დროში, ჩვენს საზოგადოებასა და ჩვენს მწერლობაში არაფერი აღარ არის გასაკვირველი. მაგრამ კაცი მარტო გონებითა და თავით არა ცხოვრობს, გულითაც ცხოვრობს და ცუდი მოვლენა, შენდა უნებურად, აგაღელვებს.

„ივერიის" მეორე ნომერში ი. ევდოშვილმა ჩემზე გამოილაშქრა და ჩემს „ძველს ცოდვებს" დაუწყო ჩხრეკა. ნუთუ ათი წლის „დავნოსტს" მწერლობაშიც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, იმდენად მაინც, რომ ცილისწამებით აღვსილი ჭორები აღარ გამეორდეს.

ი. ევდოშვილმა გაიხსენა ათი წლის წინათ დაბეჭდილი ჩემი წერილი, რომელშიც ან. დეკანოზიშვილის ეტიუდებს ავტორის ნიჭის უეჭველ საბუთად ვსახავდი, და ამასვე ვწერდი ივ. ზურაბიშვილის ნაწერების შესახებ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრი დიადი მოვლენა გამოვიარეთ, ბევრი ცვლილება ვნახეთ, იმდენი რამ გადაგვხვდა ამ ათი წლის განმავლობაში, რომ კაცი კი არა, კლდეც უცვლელი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ი. ევდოშვილის მიერ დაწუნებულ ჩემს წერილებში დღესაც ერთ სიტყვასაც არ გამოვცვლიდი, დღესაც სიამოვნებით გადავიკითხავ ხოლმე ან. დეკანოზიშვილის საუცხოო „პეპელასა" და „ავადმყოფს", ივ. ზურაბიშვილის „საათსა" და „მოგონებას". გულსა და სულს მიტანჯავს მხოლოდ ის, რომ ღრმად განვითარებულმა, დიდი გემოვნების პატრონმა ადამიანებმა, რომელთაც მშვენიერების შეგნება და გრძნობა იციან (როგორც მათი ეტიუდებიდანა სჩანს) — ასეთმა ადამიანებმა კალამი ხელიდან გააგდეს. სამწუხაროა, სატირელი და სავალალო ჩვენი მწერლობისათვის, რომ ამისთანა ადამიანებს სარბიელი არა აქვთ და ყოველივე ხელს უშლის მათი ნიჭის განვითარებას; სამწუხაროა, რომ სიცოცხლის მომწამვლელი ატმოსფერო ჩვენი ცხოვრებისა ჭიაღუებს ავრცელებს და ნიჭით სავსე ადამიანებს კი გარიყავს ხოლმე. ივ. ზურაბიშვილმა შარშანწინ ერთი ეტიუდი დასტამბა — „გაზაფხული", რომელიც კვალად მოწმობს, რომ მას მწერლის ტემპერამენტიც აქვს და სამწერლო იარაღის ხმარებაც

იცის. დარწმუნებული ვარ, ოცდაათი რომ დაეწერა ამგვარი ეტიუდი, ყველა მიაკუთვნებდა ნიჭიერების დიპლომს, რადგან უმრავლესობას, ამასთან ისეთს, როგორიც ჩვენშია, გემოგანუვითარებელსა და დაჩლუნგებულს, რიცხვი აინტერესებს და არა ღირსება. მე საყურადღებოდ მიმაჩნდა ა. დეკანოზიშვილისა და ივ. ზურაბიშვილის მწერლობა, როგორც ახალი მოტივების შემტანი ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ახალი სკოლის (რომელსაც თავში ვაჟა-ფშაველა უდგია, თავის პატარა ეტიუდებით, და მერე — შიო არაგვისპირელი) საყურადღებო წევრთა შემოქმედება, ეს იყო ჩემი ღრმა და გულწრფელი რწმენა.

შესაძლოა, მე მათ დაფასებაში ვცდებოდე, შესაძლოა, მათი ქებით დავამტკიცე მარტო ის, რომ თვით მე ვარ მოკლებული ყოველგვარ ლიტერატურულ გემოვნებას. დიდი ხანია ნათქვამია, „რაცა ვისცა ღმერთმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“, მაგრამ მე ჩემს აზრსა და გემოვნებას ამაში არა ვღალატობდი.

მეტად დაკნინებული უნდა იყო კაცი, რომ შებღალო სხვისი აზრი და რწმენა, როგორიც უნდა იყოს იგი, თუ თვით აზრი და რწმენა არ არის საზიზღარი, და უთხრა: შენ ესა და ეს მწერალი იმიტომ მოიწონე, რომ შენი „მეგობარიაო“. თუ ა. დეკანოზიშვილი და ივ. ზურაბიშვილი — რომელიმე მათგანი ან ორივე ერთად — ჩემი მეგობრები არიან, მე ეს თავმოსაწონებლადაც მიმაჩნია. და მით უფრო არ მივაყენებდი შეურაცხყოფას არც ჩემს გრძნობას და არც ამ ადამიანების პირადობას, რომ მათი ნაწერი მედიდებინა და მომეწონებინა, რათა მათი გული მომეგო. ან რა ასეთი მიჩნეული რამ ვიყავი და შეუცდომლად აღიარებული, რომ საკმარისი იყო ა. დეკანოზიშვილი და ივ. ზურაბიშვილი ნიჭიერ მწერლებად გამომეცხადებინა და ეს მაშინვე დაედასტურებინა ქართველ საზოგადოებას.

ასეთი სჯა, ასეთი გაქსუებული აზრი, ასეთი მეწერილმანური შეხედულება ყველაზე ნაკლებ ეკადრება იმას, ვისაც წმინდა მუზათა ქურუმად მოაქვს თავი. მაგრამ „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია“, და ჩვენც ბ-ნ ევდოშვილის ცილისწამებას თავისი ღირსეული წყარო უნდა აღმოუჩინოთ.

„დროების“ საახალწლო ნომერში, ჩემს სალიტერატურო მიმოხილვაში სიამოვნებით აღვნიშნე ახალგაზრდა პოეტის ა. შანშიაშვილის მწერლობა, რომელიც მარტო მე არ მიღვიძებს იმედებს. ეს ი. ევდოშვილსა სწყენია, როგორ გაბედა ვინმემ ვისიმე ხსენება მა-

შინ, როდესაც საქართველოს პოეზიას ამშვენებს ისეთი ბრწყინვალე მნათობი, როგორიც ევდოშვილიაო. ხოლო თავისი გრძნობა შურისა, რომელიც სრულიად ნორმალურია და თვით გენიოსებსაც კი სჭირთ ხოლმე, თამამად და გულახდილად კი არ გვამცნო, არამედ აბდაუბდას მოჰყვა. პირდაპირობის მაგიერ ღობე-ყორეს მოედვა. აშკარად იმისი თქმა, რომ ჩემი დაფასება შანშიაშვილისა სრულიად უსაბუთოა, ვერ გაბედა. ამიტომ ძველი ამბები მოიგონა თავის სანუგეშებლად და დასაიმედებლად: კ. აბაშიძემ დეკანოზიშვილი და ივ. ზურაბიშვილიც ისე შეაქო „მეგობრობის“ გამო, მაგრამ ისინი მიიმალნენო, ამით ორი კურდღელი მოკლა. მე ვისაც ვაქებ, მარტო „მეგობრობით“ ვაქებ, მაშასადამე, ა. შანშიაშვილის ლექსებიც „მეგობრობით“ მომწონებია, თუმც მე ა. შანშიაშვილი მერე გავიცანი სწორედ იმიტომ, რომ მისმა ლექსებმა უკვე ყურადღება მიიქციეს (როგორც სხვა ჩვენი მწერლებიც, რომელთა თაყვანისმცემელი ვარ, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი და სხვანი). მეორე, ვთქვათ, „მეგობრობით“ მართლაც მეთქვას და ა. შანშიაშვილს ნიჭის ნიშანი ემჩნეოდეს, არაფერია, ისიც ისე მიიმალება, როგორც სხვები კიტას მიერ ნაქებნიო. თუ ასეა, ბ-ნ ევდოშვილის გულიც დაწყნარებული უნდა ყოფილიყო, შესაშურებელი აღარა ჰქონდა რა, თუ ასე იყო, მაგ დალოცვილს რაღად გამოჰქონდა საქვეყნოდ გასამზევებლად თავისი გულის ჭუჭყი.

სასაცილოა მხოლოდ ის, სხვა რომ არა ვთქვათ რა, რომ ბ-ნი ევდოშვილიც ჩვენი სულ ახალი ლიტერატურის საყურადღებო მწერალთა შორის აღმინიშნავს და, მაშასადამე, ესეც „მეგობრობის“ გამო ყოფილა. მაგრამ, არა მგონია ბ-ნ ევდოშვილის ჩემთან „მეგობრობა“ აქ გამოდგეს რადმე. ვაი თუ ჩემმა როლმა მესაფლავისამ აქაც იმოქმედა! რაც შეეხება შავ-ქვაში ჩემს დაფვლას, ეჰ რა გაეწყობა. ბედი ხომ ყველას არ არგუნებს ოლიმპის მთაზე სიამოვნებით მოსვენებას, მაგრამ მგონი ბ-ნ ევდოშვილს უნდა ახსოვდეს, რომ ძალიან ცდილობდა შავ-ქვაში მოკალათებას, ოღონდ ვერ მიაღწია თავის სურვილს.

მე საპოლემიკოდ არ დამიწერია ეს წერილი. მაგრამ საჭიროა ჩვენში ლიტერატურული ზნე-ჩვეულება გაიწმინდოს. ჩვენს მწერლობას ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება ეღობება და ყველა იმას, ვისაც მასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, ბევრი შხამი და ნაღველი აქვს შესასმელად გამზადებული — აღარაა საჭირო ერთურთს

შორის სხვა არასაკადრის საქციელს მიმართონ, როგორიც ბ-ნმა ევ-
დოშვილმა ჩემ შესახებ ჩაიდინა. საჭიროა ჩვენში შურით აღვსილი
ლიტერატურული ატმოსფერო გაიწმინდოს, ვინაიდან ვინ იცის, იქ-
ნებ ყველაზე უფრო ამ მოწამლულ ატმოსფეროს ბრალი იყოს, რომ
ბევრი ნიჭიერი ადამიანი გაურბის ჩვენს მწერლობას. ხოლო კერძოდ
ბ-ნ ევდოშვილს ამას მოვახსენებ, მე რომ მის მეთოდს მივყვე, ბევრ
რასმე გულმომწყვეტს ვეტყოდი, მაგრამ ამას არა ვკადრებ არც
მწერლობასა და არც ჩემს თავს.

35. ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი

ეკლით მოფენილია ჩვენებური მწერლის გზა, მრავალტანჯულია იგი თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში სხვადასხვაგვარი გარემოების წყალობით. მისთვის არსაით არ არის სასოებისა და იმედის, ნუგეშის სხივი. ამას გარდა, ყოველგვარი შეურაცხყოფა, ყოველგვარი ცილისწამება, ათასნაირი ურიგო ქცევა, — აი, რას აძლევს მას საზოგადოება ჯილდოდ. ქონებრივად იგი მშიერია, სულიერად „სულით ობოლი“, ნიადაგ განმარტოებული, საზოგადოებრივად — შეურაცხყოფილი... ერთადერთი მისი ჯილდო ის არის, რომ, როცა მოკვდება, „პარადს“ გააკეთებენ მისი უსულო გვამის ირგვლივ, მისი ტანჯული სიცოცხლის აღსასრულით ისარგებლებს ერთიორი მჭევრმეტყველი და ენამახვილი ორატორი და მას, ვისაც ცხოვრებაში ლაფში ახრჩობდნენ, სიკვდილის შემდეგ უთუოდ მზეს, ვარსკვლავსა და სხვადასხვა პლანეტას შეადარებენ.

ამ გულისმომშხამავი მოვლენის მოწამე ვართ ყოველ დღე, მაგრამ ეს მწარე ფიქრები ამიშალა იმ უმართებულო ქცევამ, რომელიც ასტეხეს ზოგიერთებმა ჩვენი ახალგაზრდა, ფრიად ნიჭიერი და დიდად გრძნობიერი მგოსნის ალ. შანშიაშვილის სახელის გარეშემო.

უკვე არა ერთი ურიგო სიტყვა გამიგონია იმის შესახებ, თუ რად მოვიხსენიე ქებით ალ. შანშიაშვილის სახელი შარშანდელ ჩემს წლიურ სალიტერატურო მიმოხილვაში. არა მგონია, ისეთი ვინმე დარჩენილიყოს, საყვედური არ ეთქვას: „კეთილად განწყობილნი“ მკიცხავდნენ იმის გამო, რომ შესაძლოა ჩემმა ქებამ შანშიაშვილს თავბრუ დაახვიოს და დაღუპოს, „ბოროტად განწყობილნი“ კი ათასგვარ ცილსა მწამებდნენ და ჩემთვის სრულიად არათავმოსაწონებელი ეპითეტითაც მომნათლეს: „მესაფლავე“ მიწოდეს; ვითომდა ვისაც მე ქებას ვუძღვნი ნიჭისათვის, იმისთვის უკვე საფლავია გამზადებული. უბადრუკთ არ იციან, რომ „მესაფლავე“ მე კი არა ვარ, ჩვენი ცხოვრებაა; ჩვენი საზოგადოებაა შმორით აღსავსე წუმპე და ჩვენი მწერლობა — ჯაჭვებით აღსავსე ჯოჯოხეთი. ჩვენში მრავალი ნიჭი, დიდი იმედის აღმძვრელი, უდროოდ და უხანოდ იღუ-

პება და ინთქება ჩვენი უბადრუკობისა და სიბინძურის უფსკრულში არა იმიტომ, რომ მის ნიჭს სიამოვნებით ეგებებიან, არამედ იმიტომ, რომ მისი ნიჭის ასაყვავებელი ნიადაგი არ არსებობს. ჩემი უფლება და ნებაა, რომლის შეკვეცა არავის არ ძალუძს, მათ გარდა, ვინც ჩემს წერილებს სტამბავს (გაზეთის გამგეა იგი, თუ რომელიმე გამომცემელი), აღვნიშნო ყოველივე მოვლენა, რომელიც კი ჩემს გულს მოხვდება და კალმისაკენ გამიწევს. შეიძლება დიდი სისულელე იყოს იგი, შეიძლება უსაფუძვლო და უსაბუთო იყოს იგი, მაგრამ მე ვეკითხები ჩემს აზრსა და გრძნობას და სრულიადაც არ შემიძლია ვისიმე მორჩილის როლი ვიკისრო და იმაზე ვიფიქრო, ვინ როგორ გამოიყენებს ჩემს ნაწერს, ვისზე როგორი გავლენა ექნება, ვის დაღუპავს და ვის გააკეთებს. ჩემი რწმენა, როგორც ყოველი მწერლისა, (აქ, რასაკვირველია, ღირსებაზე არ არის ლაპარაკი), ჩემის აზრით, კეთილი უნდა იყოს და ნაყოფი კეთილი უნდა გამოიღოს. თუ სხვას იგი ბოროტად მიაჩნია, უნდა იბრძოლოს აზრით ამ აზრის წინააღმდეგ. კეთილი და ბოროტი არც თუ ისე გარკვეული რამ არის, რომ მათემატიკურად მისი გადაჭრა შეიძლებოდეს. მაგრამ ამ ბრძოლის დროს ყველას ერთი უნდა ახსოვდეს: ვინცა სწერს, სწერს თავის რწმენის თანახმად; ამიტომ არავის რწმენა არ უნდა შეიბღალოს ქუჩის ჭორებით და დუქან-ბაზრული მოსაზრებით.

მეტად მძიმეა მოვალეობა კრიტიკოსისა და მით უმეტეს ქართველი კრიტიკოსისა. ჩვენში ლიტერატურას როდი აქვს ჯერ კიდევ მოპოვებული ხელუხლები სამეუფო და ლიტერატურა როდია წმიდათაწმიდად მიჩნეული. გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას თვითვე აქვს არსებითი, თანდაყოლილი სამსალა და სიმწარე, ჩვენში ეს ერთიორად გამწვავებულია იმის მიზეზით, რომ ჩვენი საზოგადოების აზრი და გრძნობა მეტად დაკნინებული და დაბეჩავებულია. ვთქვათ, ჩვენში კარგი სთქვი ვისმეს შესახებ, ან ცუდი, შენი ნათქვამის საფუძვლიანობას თუ უსაბამობას კი არ განიხილავენ, დაუწყებენ ჩხრეკას სრულიად სხვა რამეს: მაგალითად, რა დამოკიდებულებაა თქვენსა და მწერალს შორის, ანდა, სულ ერთია, მწერლის ნათლიასა და თქვენს ნათლულს შორის, ან სიდედრთა შორის და სხვა. და, რაკი გამოჰქექენ რამე დედაბრულ ჭორს, კმაყოფილნი გაიძახიან: ამან და ამან ამ მწერლის შესახებ ესა და ეს კარგი იმიტომა თქვა, რომ მათი გამზრდელები კარგი ნაცნობები ყოფილან, ხოლო ცუდი იმიტომ, რომ მათი ნათლულები წაჩხუბებულანო. ასე-

თი მსჯელობა ამცირებს არა თუ მთქმელს, შეურაცხყოფას აყენებს ამ უმსგავსო ჭორის საგანს — მწერალს; თვით მწერლობას აგინებს და აქვეითებს. ყოველი კრიტიკა (რასაკვირველია, არის კრიტიკა ცუდი, ან კრიტიკა კარგი, ისე როგორც არის მოთხრობა მომხიბვლელი და არის ჭოთხრობა მოსაწყენი) თავისებური მწერლობაა. ყოველ კრიტიკოსს აქვს თავისებური შეხედულება ქვეყნიერებასა, ბუნებასა, ადამიანსა და მათ შორის მრავალგვარ დამოკიდებულებაზე. ყოველი კრიტიკოსი ამგვარად თუ იმგვარად განწყობილია, ამგვარი თუ იმგვარი ესთეტიკური და მორალური პრინციპის აღმსარებელია, სწორედ ისევე, როგორც ყოველი მწერალი, ყოველი მხატვარი და, ერთის სიტყვით, ყოველი ხელოვანი.

პოეტი, მოთხრობის მწერალი, თავის ნაწარმოებში გადმოგვიშლის მსოფლიოს მოვლენებს და ამ მოვლენათა შორის არსებულ საიდუმლო, თუ ცხად კავშირს. იგი გვიხსნის ქვეყნიერებისა და კაცობრიობის ცხოვრებას, ნათელს ჰფენს „სამყაროს“, რომელიც „გვაქვს უთვალავი ფერითა“, — ხოლო კრიტიკოსი გვითარგმნის იმ საუცხოვო შემოქმედების ნაყოფს, რომელსაც ჰქვიან ხელოვნების ნაწარმოები, გვიახლოვებს იმ წარმტაც ქმნილებას, რომელიც ხელოვანს დაუწერია, გინდ დაუხატავს, გინდ გამოუქანდაკებია. სწორედ იმიტომ, რომ ყოველ კრიტიკოსს თავისებურად შემუშავებული და თანშეზრდილი შეხედულება აქვს ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, მას მოსწონს ერთი მწერალი და იწუნებს მეორეს. რასაკვირველია, ყოველი კრიტიკოსი იმდენად დაფასდება, რამდენადაც მისი განსჯა არ ღალატობს ესთეტიკის (ამ სიტყვას ვრცელ მნიშვნელობას ვაძლევთ). მშვენიერების მოთხოვნილებას და კანონებს. მთელი მისი სჯა ამ მხრივ უნდა იქნეს აწონილ-დაწონილი და არა იმის მიხედვით, მის მძახალს რა დამოკიდებულება აქვს განხილული ნაწარმოების ავტორის მძახალთან. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აქ ჩვენი პირადობის შესახებ ლაპარაკი მეტია, მაგრამ არ შემეძლო არ აღმენიშნა ეს უცნაური მოვლენა; შანშიაშვილის შესახებ ჩემი ნაწერების გამო, ზოგიერთის უმართებულო ქცევა...

ეს არ იკმარეს და ეხლა ერთი ალიაქოთი ასტეხეს — შანშიაშვილმა პლაგიატი ჩაიდინა, ფრანგი მწერლის როსტანის თხზულებიდან მოიპარა თავისი პოემა „ოცნების მხარესო“. ცილისწამება ჩვენში თითქმის ჩვეულებად არის გადაქცეული, ამიტომაც არავის ეს არ უნდა აკვირვებდეს, პასუხის ღირსადაც არავის უნდა მიაჩნდეს; მაგ-

რამ ჩვენ გვინდა ეს მოვლენა განვაზოგადოთ, მოვილაპარაკოთ საზოგადოდ მიმბაძველობის შესახებ ლიტერატურაში და შემდეგ დავანახვოთ მკითხველ საზოგადოებას, რა ფასისა და ღირსებისაა შანშიაშვილის „პლაგიატობის“ შესახებ შეთხზული უმეცრების წყაროებიდან წარმოდენილი ჭორები.

თითქმის კანონად არის ლიტერატურაში მიღებული ის მოვლენა, რომ ლიტერატურას ერთი ერისას... გავლენა აქვს დანარჩენ ერთა ლიტერატურაზე. ეს კანონი უეჭველია და თვალსაჩინო ევროპის ლიტერატურის შესახებ მაინც. უცხო ლიტერატურის უეჭველი და ცხადი გავლენის ქვეშ აღიზარდა საფრანგეთის მე-18 საუკუნის ლიტერატურა და მე-19 საუკუნის ლიტერატურაც — რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი და თვით სიმბოლიზმიც კი. ამგვარსავე გავლენის ქვეშ აღიზარდა გერმანული, რუსული და თვით ქართული ლიტერატურა [1]. ერთიც უნდა ვთქვათ: რაც შეეხება ერთი ერის ლიტერატურის გავლენას მეორე ერის ლიტერატურაზე, მეტად ცვალებადია იგი, მეტად ელასტიური და, საზოგადოდ, მეტად ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა. საქმე იმაშია, რომ აზრი, იდეა არ არის შექმნილი რომელიმე ერთი ერისაგან, იგი ნაყოფია მთელი კაცობრიობის შრომისა და მოღვაწეობისა და ერთი მეორის დახმარებითაა შექმნილი. აზრთა ზრდისა და განვითარების ისტორია გვაჩვენებს, რომ ძნელია ამა თუ იმ აზრის, — იდეის პირველშემქმნელის მიგნება, და სანამდეც კი წვდება ჩვენი გონება, ვხედავთ, რომ აზრი გავრცელებულია აქა და იქ, ამა თუ იმ ერში და ეს გავრცელება მეორე ერის ზემოქმედების, სხვა ერის ლიტერატურისა და გონების ნაწარმოების შესწავლის შედეგი ყოფილა. ხოლო აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ იმ ერს, რომლის კულტურაც ყოფილა წყარო მეორე ერის ამა თუ იმ აზრის წარმოშობისა, რომლის შემწეობითაც მეორეს შეუსწავლია ესა თუ ის აზრი, თვით შეექმნას იგი, ამ აზრის თავდაპირველი ავტორი ყოფილიყოს. არა, იმასაც სხვისაგან მიუღია ეს სამკვიდრო. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არცერთი ერი არ სესხულობს მეორესაგან აზრს ბრმად, თუთიყუშივით არ იმეორებს მას, არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად განასხვავებს,

---

[1] ლიტერატურის ეს მოვლენა აღნიშნული აქვს ფრანგ კრიტიკოს ფერდინან ბრუნეტიერს, რომლის მეთოდით ვსარგებლობთ ჩვენს ლიტერატურულ წერილებში.

რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით, თუ თანდათანობით არა სდიეთ ამ აზრის განსახვას, წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგა იგი. აზრთა გავრცელებაში „მიმბაძველობის“ დიადი მნიშვნელობა ღრმა საბუთებით დააკანონა საფრანგეთის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ტარდმა (les lois de l'imitation). იმის აზრით, კაცობრიობის ისტორია ექვემდებარებოდა ინიციატივისა და მიმბაძველობის კანონს ამ სახით: ჯერ ერთი, ვინმე აღმოაჩენდა რაიმე აზრს; ეს აზრი ფეხს იდგამდა ჯერ თვით ამ ერში, სადაც იგი აზრი იბადებოდა, და მერმე, მიმბაძველობის შემწეობით, მთელ კაცობრიობაში ვრცელდებოდა. ამგვარად, როცა ქვას ისვრით მდინარეში, ჯერ პატარა წრე გაჩნდება იმ ქვის გარშემო და მერე ამ წრეს სხვა წრე ემატება ირგვლივ... ასე რომ, თუ კაცობრიობის ისტორიას წარმოვიდგენთ, გეომეტრიულ წრეს უნდა შევადაროთ, რომლის წერტილები ერთი ინიციატივაა, მეორე — მიმბაძველობა. მაგრამ, როგორც წრის დასაწყისისა და დასასრულის გამორკვევა გვიძნელდება, რადგან ყოველივე წერტილი წრისა დასაწყისადაც შეიძლება მიიღოს კაცმა და დასასრულადაც, ისევე ძნელია კაცობრიობის მსვლელობის ისტორიაში აღმოაჩინოთ პირველი ინიციატივა და გაიგოთ, როგორი იყო იგი, ან რა აზრისა და მოქმედების დამწყები და შემქმნელი. თუმცა, ეჭვი არ არის, პირველი დასაწყისი ცხოვრებისა და აზრთა მიმდინარეობისა ინიციატივა იყო, ვინაიდან, თუ არა იქნებოდა რა, არა გაჩნდებოდა რა; მიმბაძველობა რისი მიმბაძველობა უნდა ყოფილიყო.

ამიტომაც დიდი სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურის მიმბაძველობის შესახებაც და არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ ვითომ მიბაძვა იყოს მაჩვენებელი ნაწარმოების უვარგისობისა, ანდა მისი ნაკლულევანებისა. თუ მიმბაძველობა პრინციპია მთელი ცხოვრებისა, როგორღა გინდათ, მარტო ლიტერატურა, ეს უძლიერესი წარმომადგენელი ცხოვრებისა და მისი უმშვენიერესი სამკაული, ამ კანონს გარეშე მოქმედებდეს. ყოველ ნაწარმოებში, რომელ დიდ გენიოსსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, უსათუოდ იქნება კვალი მიმბაძველობისა, მაგრამ ამ მიმბაძველობას თავისებური ელფერი ექნება და იმდენად ძლიერი, რომ თითქმის შეუძლებლად ჰხდის იქ მიმბაძველობის ნასახის აღმოჩენას. და აი ამ თავისებურ გადასხვაფერებაში სწორედ ინიციატივას უჭირავს დიდი ადგილი და სწორედ ამ ინიციატივის ძალით უნდა გავზომოთ და ავწონოთ მეცნიერისა და ფილო-

სოფოსის, პოეტისა და, საზოგადოდ, ხელოვანის ნიჭის სიძლიერე და სიდიადე. რამდენადაც ძლიერი იქნება მის ნაწარმოებში ინიციატივა და რამდენადაც გადასხვაფერებული იქნება ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით მოიპოვა მწერალმა, იმდენად უფრო დიდად დაფასდება მისი ნიჭი და ხელოვნება. კიდევ მათემატიკურ შედარებას რომ მივმართოთ, ასში რამდენი ნაწილიც იქნება ეს — „თავისებურება“, იმდენად მაღალ საფეხურზე დავაყენებთ რომელიმე ხელოვნურ ნაწარმოების შემოქმედს. ჯერ ისეთი გენიოსი არ შეუქმნია ცხოვრებას, რომლის ნაწარმოებშიც ასში ერთი ნაწილი მაინც მიმბაძველობით შექმნილი არ იყოს, და ისეთი მწერალი არ არის, თუ მცირედი ნიჭი მაინცა აქვს და ღირსია მწერლის სახელისა, რომ ასში ერთი ნაწილი მის ინიციატივას, მის თავისებურებას არ ეკუთვნოდეს.

ამ მიმბაძველობის შესახებ დიდი ბაასი ატყდა რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთის ლიტერატურაში. ეს ბაასი გამოიწვია იმ შემცდარმა აზრმა, რომელიც ამჟამად გავრცელებულია საფრანგეთისა და უფრო კი თვით რუსეთის საზოგადოებაში; ვითომ ეხლანდელი საფრანგეთის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი ჩრდილოეთის ლიტერატურის (ინგლისის, ნორვეგიისა და რუსეთის) ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს. ამ აზრის წინააღმდეგ გაილაშქრა ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ლემეტრმა, რომლის წერილის შინაარსი ამ რამდენიმე წლის წინათ გავაცანით ჩვენს საზოგადოებას. ლემეტრი იმას ამტკიცებდა, რომ თვით „ჩრდილოეთის“ ლიტერატურა აღიზარდა საფრანგეთის მწერლობის ზეგავლენის ქვეშ. მთელი პლეადა რომანტიკოსებისა, თვით რეალისტებიც კი — ბალზაკი, ზოლა და ალ. დიუმა-შვილი — არიან იმ მიმართულების მამამთავარნი, რომელნიც ჩვენ ჩრდილოეთის ერთა გენიოსობის შექმნილი გვგონია და რომელთაც აღტაცებაში მოვყავართო. მართალია, ჩრდილოეთის მწერლებმა ჩვენი აზრები სხვა სამოსით მოგვაწოდეს, მაგრამ ფორმის შესახებ არც არავინ არას ლაპარაკობს და ბრმათათვისაც კი თვალსაჩინოა, რომ ეხლანდელი საფრანგეთის ლიტერატურის ფორმა თავისებურია, რამდენადაც ეს შესაძლოა, და არავისაგან არ არის ნასესხები. ლიტერატურული ფორმა ფრანგებისა შექმნილია ლათინთა გენიოსობისაგან და იმდენად დაკავშირებულია მთელ მის კულტურასა და ფსიქოლოგიასთან, რომ მისაბაძავადაც კი შეუძლებელი ხდება ჩრდილოეთის ერთათვისაო. მოწინააღმდეგეებმა ლე—

ბეტრს ის განუცხადეს, რომ არც ფრანგ მწერალთა მიერ არის შექმნილი ეგ აზრები, მათაც სხვა ერთაგან აქვთ შეთვისებულიო, რაც სრული ჭეშმარიტებაა და დამასაბუთებელია ზემოთმოყვანილი იმ აზრისა, რომ ეხლანდელ ერთა გონების ნაწარმოებთა შინაარსი, დედა-ძარღვი, მიმართულება საუკუნეთა ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია მკვლევარისათვის ამ აზრთა შემქმნელის გამოძებნა და ან თვით შთანასახის პირველსახის სავსებით გამორკვევა. აზრი ვითარდებოდა და ვრცელდებოდა მიმბაძველობით. ყველა გენიოსი მიმბაძველობით სარგებლობდა და თანაც ინიციატივას იჩენდა. ამგვარად მიდიოდა წინ კაცობრიობის აზრი.

აქ ერთი შენიშვნაა კიდევ საჭირო. კადგად უნდა ვიცოდეთ, რომ მიმბაძველობას საფუძვლად უდევს სიმპატიური გრძნობა. ჩვენ მივბაძავთ ხოლმე იმ კაცს, რომელიც გვიყვარს. ვცდილობთ მაგალითი ავიღოთ იმ ერისაგან, რომლის მაღალი გონებრივი და ზნეობრივი თვისებანი ჩვენს სულსა და გულს იზიდავენ. სიმპათია, რომლის უმაღლესი ფორმა სიყვარულია, ფიზიკური და სულიერი ცხოვრების დედა-ბოძია და სწორედ ამ სიმპათიურ განწყობილებაზეა აგებული მიმბაძველობა. შესაძლებელია თავდაპირველად მიმბაძველობით შეძენილი აზრი, გინდ მოქმედება, ბოლოს ინსტინქტად გარდაიქცეს, მემკვიდრეობით მისწრაფებად შეიქნეს, მაგრამ ყოველივე მიმბაძველობის წყარო სიმპათიიდან მომდინარეობს.

თუკი სიმპათია ძირითადი და არსებითი მხარეა ცხოვრებისა, თუ იგი ცხოვრების მთავარი მექანიზმია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი რთული მანქანა ადამიანის ცხოვრებისა, თუ იგი სული და გულია ცხოვრების მოძრაობისა, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ცხოვრებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს სრულიად წინააღმდეგ გრძნობასაც—ანტიპათიას, ამ ანტითეზს სიყვარულისა და სიმპათიისას. თუ კარგად შეგნებულია იგი გრძნობა და რიგიანად მოხმარებული, იგი ისეთივე კანონიერია და აუცილებელი ცხოვრებისათვის, როგორც ცხოვრების მანათობელი და განმაცისკროვნებელი მზე სიმპათიისა და თანაგრძნობისა. სიძულვილი და ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაც კი სწამლავს ადამიანის ცხოვრებას, რაც კი აფერხებს მის წინმსვლელობას, სიცოცხლის მომშხამველ და დამღუპველ ძალთა წინ აღდგომა აუცილებელი იარაღია ცხოვრების ბრძოლისათვის.

ყოველი ცხოველის არსების ცხოვრების განვითარება ამ ძალთა ზემოქმედებას ექვემდებარებოდა. ყოველი ორგანიზმი მიისწრაფოდა ცხოკრებისათვის საჭირო და გამაუმჯობესებელი ძალებისაკენ და უკუიქცეოდა ცხოვრების ხელისშემშლელ პირობათაგან, სძაგდა და ებრძოდა გამწარებით. რა არის მთელი ცხოვრება მსოფლიოსი თუ არა დაუსაბამო და დაუსრულებელი ბრძოლა ბოროტი, — ცხოვრების მომსპობელი ძალების წინააღმდეგ, რომელთა მეომარნი აღტყინდებიან ამ ძალთა სიძულვილით, ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით კი ენთუზიაზმსა და ძალას მოიპოვებენ ცხოვრების წამახალისებელ მიზეზთა სიყვარულში და საუკუნეების განმავლობაში იმისათვის იღწვიან, რომ დაამყარონ საუკუნო სამეუფო კეთილისა — ცხოვრების დამხატველ და დამამშვენებელ ძალთა სამეუფეო. მაშასადამე, თუკი სიმპათია იწვევს მიმბაძველობას, ანტიპათია იწვევს წინააღმდეგობას, „ოპოზიციას"; ჩვენ არა თუ არ წავბაძავთ არასაყვარელი ადამიანის აზრს, მანერას, არამედ იმასა ვცდილობთ. რომ ყოველივე მისი წინააღმდეგი მოვიმოქმედოთ, რათა განვისხვავოთ თავი მისგან. ამგვარი ქუდი მძულს იმიტომ, რომ ამასა და ამას ჰხურავს, ამნაირი კილო ლაპარაკისა მძაგს იმიტომ, რომ ამანა და ამან იცის ამგვარი ლაპარაკი. ამ ფერის თმა მეზიზღება, რადგან ჩემთვის საზიზღარ ადამიანსა აქვს და სხვ. მწერლებიც ასე იტყვიან. რომანტიკოსები, მაგალითად, ცდილობდნენ კლასიკების ყოველივე წინააღმდეგი აესრულებინათ; რეალისტები ცდილობენ რომანტიკოსების ნაწერებისდაგვარი არა შეჰქმნან რა[1].

მოკლედ თუ განვიმეორებთ ზემოთ თქმულს, აი რა გამოვა: იდეათა, აზრთა განვითარება მიდიოდა მიმბაძველობისა და წინააღმდეგობის გზით. აზრი დაიბადა. მიმბაძველები აღმოუჩნდნენ, რომელნიც უბრალო ფონოგრაფის როლს კი არ კისრულობდნენ, არც ფოტოგრაფისას, არამედ თავისებურ ნიშანს ასვამდნენ ამ ნასესხებ აზრს, თავისებურების სამოსელით შემოსავდნენ ხოლმე. ხანდახან კიდევ აზრისა და ფორმის მიმართულება წინააღმდეგობით იყო გამოწვეული და ერთი ეპოქის მწერლები იმ იდეასა და ფორმას ირჩევდნენ

---

[1] ეს კანონი „წინააღმდეგობისა" ლიტერატურაში აღნიშნული აქვს ფრანგ კრიტიკოსს ბრუნეტიერს თავის „ევოლიუსიონ დე ჟანრ"-ის პირველ ტომში. ვრცლად კი კანონი „ოპოზიციისა, წინააღმდეგობისა" ცხოვრებაში გამორკვეული აქვს ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსს და სოციოლოგს ტარდს თავის „ოპოზისიონ უნივერსელ"-ში.

და ითვისებდნენ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ ეპოქის მწერალთა ნაწარმოებთ, რომელთა მემკვიდრენი თვით იყვნენ.

მართალია, ძალიან გავაგრძელეთ ბაასი „მიმბაძველობისა“ და „წინააღმდეგობის“ პრინციპების შესახებ, მაგრამ ეს აუცილებელი იყო, რათა გამოგვერკვია, რა კანონებს ექვემდებარება მსვლელობა ლიტერატურისა, რომ ნათელი იყოს მრავალი მხარე ლიტერატურული მოძრაობისა.

თუ ამგვარად არ შევუდექით საქმეს, შესაძლოა ისეთი სასაცილო და სამწუხარო რამ ჩავიდინოთ, რაც შანშიაშვილის ცილისმწამებელთ ჩაიდინეს და რომელთაც ესთეტიკის და ლიტერატურის არა გაეგებათ რა.

*

ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა ალ. შანშიაშვილმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დასტამბა „დროება“-ში (№ 237 და სხვ.) დრამატიული პოემა „ოცნების მხარეს“. ამ პოემის არაკი შემდეგია: მგოსანი მიდის თავის სატრფოს მოსაძებნად ოცნების მხარეში. ოცნების მხარისკენ მგოსანთან ერთად მიცურავენ ნავით მისი განუყრელი მეგობრები: მზისავარ, სევდია, ბერო და ერთგულა. თან სდევთ გუნდი აჩრდილებისა, კეთილი სულებისა, ბოროტი სულებისა, ზღვის ფერიებისა და სხვ. მგოსანი, სატრფოს ძებნით დასუსტებული, ძლივს მიაღწევს ოცნების მხარეს და რადგან თვით ღონე მილეულია, თავის „ავთანდილს“ მზისავარს ჰგზავნის სატრფოს „სიყვარულის“ სანახავად. მზისავარი ნახავს თუ არა „სიყვარულს“ და ორიოდე სიტყვას ეტყვის, წამსვე სულს დალევს, ვინაიდან, როგორც „სიყვარული“ ეუბნება, „არ იცი, მუდამ შორსა ვარ ადამის მიუკარები? მიპოვე, წამით დაგატკბე, ტრფობით აღგიგზენ თვალები, მაგრამ მოგიდნობს ეს ხილვა, სამარეს მიებარებიო.“

ამის შემდეგ საბრალო მგოსანსაც მხოლოდ ლანდი გამოეცხადება „სიყვარულისა“ და ეტყვის: „შენი სიცოცხლე სარკმელი იყო, ვერსად წაუხვალ გარდუვალ კედლებს; მოჰკვდები, გვამსა მტვერს შეუერთებ, ჩემთან სიკვდილი შემოგაერთებს“. — **„წმინდა სიყვარულს და სულს მგზნებარეს თვით უკვდავება დააგვირგვინებს“.** — მგოსანი კი, ამით გულმოკლული, ეტყვის განუშორებელ „სევდიას“: **„წმინდა მიზანი არსებობისა** ვერა ვერ ვპოვე და ჰგოდებს სული. მა-

ინც მას ველტვი მიუწვდომელსა, ავადმყოფს გულსა ის მიფრთოვანებს; სიკვდილის ჟამსაც ვიტყვი: ის მიყვარს! და სამუდამოდ დაკხუჭავ თვალებს!". აქ სიკვდილი შედის თავის უფლებაში და ამშვიდებს მგოსანს: „ჩემი სამყარო, თუმცა ბნელია, მაგრამ სამეფო არს მყუდროების... არ ვარ სამიში, როგორც გგონია, მე შეგიბრალებ მრავალ გზით ტანჯულს", ხოლო ხმა იდუმალი, იდუმალი ხმა ბუნებისა თავის მიუწვდომელი ძალის ხმა გაგვაგონებს და დაგვანახვებს, რომ იგია გამომხატველი ყოველივესი, იგია მეუფე ყოველი ჩვენი მოვლენისა, იგია დასაბამი სიკვდილისა და იგია წყარო სიცოცხლისა, იგია შვება სიყვარულისა და იგია შემქმნელი მეგობრობისა, იგია გამომსახველი ადამიანისა და, საზოგადოდ, ცხოვრების ბოროტი და კეთილი ძალისა; იგია ღვთაება და ჩვენი სევდა-კაეშანი, იგია ჩვენი სიხარული და ჩვენი ბედნიერება. მგოსანი, ეს საუკეთესო და უდიდესი გამომხატველი ადამიანისა, ეს უმაღლესი ტიპი ადამიანისა, ეს ზეკაცი კვდება, მაგრამ მისი სიკვდილი გარდაცვალებაა და არა მოსპობა, იგი სახეს იცვლის ბუნებაში, იგი ამგვარად უკვდავი ხდება: „მისი ძეგლია ტურფა ბუნება, ხელთა უქმნელი და ბუმბერაზი: ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქნილი, ნაზი".

მთელი ეს პოემა განსურათებაა ადამიანის ცხოვრების უმთავრეს მოვლენათა და ბუნების საიდუმლოებათა, მხატვრული წარმოდგენაა ადამიანისა და ბუნებას შორის კავშირისა. თვით ყოველი სახელი მომქმედი პირისა სიმბოლური გამოხატულებაა ამა თუ იმ მოვლენისა, რომელიც მთლად ერთიანად ბუნებას ეკუთვნის და კერძოდ — ადამიანს. მზისავარ — მეგობარი ადამიანისა, თითქო მისი ფიზიოლოგიური, ხორციელი, განუყრელი მისი ამხანაგია; იგი ნაწილია ადამიანისა, რომელიც მზეს ეკუთვნის და ცოცხალ ბუნებას. მხოლოდ ხორციელ ნაწილს ადამიანისას შეუძლია დასტკბეს „სიყვარულით", მაგრამ ეს დატკბობა, ეს შეყრა „სიყვარულისა", ეს კავშირი „სიყვარულთან" წუთიერია, ერთი წამისაა, და ეს წამი შეისვამს და შთანთქავს ადამიანის არსების იმ საუკეთესო, ცხოველ ნაწილს, რომელსაც სწყურიან „სიყვარული." აკი მოვიყვანე ზევით, რას ეუბნება „სიყვარული" „მზისავარს":

მიპოვე, — წამით დაგატკბე,
ტრფობით აღგიგზენ თვალები,
მაგრამ მოგიდნობს ეს ხილვა,
სამარეს მიებარები.

და მართლაც, „მზისავარ“ რჩება უსულოდ, მკვდარი. სული მგოსნისა კი მარტო ლანდს ჰხედავს, აჩრდილსა „სიყვარულისას“, და საუკუნოდ შეერთდება მასთან, ვინაიდან უკვდავება ეკუთვნის აზრს, გონებას, სულიერ არსებას ადამიანისას. „წმინდა სიყვარულს და სულს მგზნებარეს თვით უკვდავება დააგვირგვინებს; შენ მხოლოდ ეხლა მიახლოვდები, მეც ეხლა გაფრქვევ მომხიბვლელ სხივებს“ — კვდება მგოსანი ისე, რომ ვერ აღწევს „წმინდა მიზანს არსებობისას“, და ყორანი, ეს შავი ბედი ადამიანის ცხოვრებისა, მისი სიცოცხლის მომწამვლელი, დასჩხავის თავზე: „ფუჭი ნატვრაა შენი ოცნება; სიკვდილი მოდის, გიახლოვდება... ყველას მოიდნობს მეფე-სიკვდილი, უკვდავი არის ამაოება“-ო. მაგრამ შანშიაშვილი აქ როდი სვამს წერტილს. მისი აზრი უფრო შორს მიდის. მისთვის სიკვდილი ეს „ბნელი სამეფო უკუნოების“ და „სიცოცხლე, ტკბილი სიცოცხლე“, რომელიც „მუდამ სწყუროდა გულს, ტრფობით ენებულს“, განუყრელი მოვლენაა ერთსა და იმავე დიად საიდუმლოებაში, რომელსაც ეწოდება ბუნება, დიდი ანბანით „ნატურა“, როგორც ევროპიელები ეძახიან, და აი აქ აქვს ყოველივეს დასაბამი, აქვე არის ყოველივეს დასასრული. იგი „ხელთუქმნელია და ბუმბერაზი, ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქვნილი, ნაზი“.

ხოლო ეს გალმერთება ბუნებისა, ეს ბუნების უმაღლეს საფეხურზე დასმა, ბუნების საიდუმლოების წინაშე თავის მოხრა, აქ პირველად როდი აქვს გამოთქმული ახალგაზრდა პოეტს. ეს მისი, თუ გნებავთ, ესთეტიკური მრწამსია. აბა გადაიკითხეთ მისი საუცხოო ლირიკული პოემა „იდუმალი ხმები“. იქაც ამასვე ნახავთ, იქაც იგივე აქვს განმეორებული, იქაც მგოსანი ყველაფერს განიცდის — სიყვარულს, სიხარულს, ცხოვრებას, სიკვდილს, დაბოლოს ბუნებას ჩაეკვრება გულში, მას შეედუღება, მას შეუდნობს სულსა და გულს, ბუნებაც მას იწვევს მომხიბვლელის ხმით:

მე ვაძლევ მხოლოდ ძალას შემომქმედს,
მე ვარ სიცოცხლე, მე ვარ სიკვდილი,
მე ვასულდგმულებ სოფელს, სამყაროს!
ხალხი ღაღადებს ჩემს უკვდავს სახელს,
მას ერთსა მხოლოდ ეთაყვანება,
მაინც კი ბრმაა და ვერა მხედავს:
მე ვარ მძლეთა-მძლე, მე ვარ ბუნება.

მგოსანს თან ახლავს სევდია. სევდია უცნაური სიმბოლოა თავგანწირული სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელიც განისაზღვრების დროითა და ჟამით, რომელსაც დასასრულიცა აქვს და დასაბამიც, რომელიც ამქვეყნიურია, დედა-მიწის ასულია, ჩვენი ხორცის ნაგლეჯია, ჩვენი ხორციელების აუცილებელი სალტოლველი საგანია.

მგოსნისა და სევდიას დამოკიდებულება ჩვენი ბუნების გაუმაძღრობის სიმბოლოა. „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი". — ვინც ჩვენ გვაღმერთებს, მას ყურადღებასაც არ ვაქცევთ; ვისაც თაყვანსა ვცემთ, გულგრილობით გვიგებს პასუხს და საუკუნო სევდითა და ვაით ავსებს ჩვენს არსებას. ეს „სევდია" „იფურჩქნებოდა, ნაზად ყვაოდა" მგოსნის „სხივზე, ცხოველმყოფელზე" და ამითაც ბედნიერად და კმაყოფილად გრძნობდა თავის თავს. სევდია მგოსანს, „ვითა აჩრდილი, მარად თან სდევდა, შორიდან ტრფობით შემოსცქეროდა". ის იმისთვისაც მადლობელია, რაც სიამოვნება და სიტკბოება განიცადა მგოსნის სიახლოვეს და „სიყვარულისათვის, თუ ტანჯვისათვის, აწ კმაყოფილი სწირავს მადლობას." ხოლო მგოსანს, რომელიც „ელტვის მიუწვდომელს", ეს მშვენიერი და მომხიბვლელი არსება შეუმჩნეველი რჩება და მხოლოდ სიკვდილის პირზე მიმდგარი, როცა ჰხედავს, რომ მარტო ლანდიღა ეჩვენება, იმ სხვა, არაამქვეყნიური „სიყვარულისა", თითქო სინანულსა გრძნობს და ასე მიმართავს „სევდიას": „ვიცი, გიყვარვარ... მე სხვას ვეტრფოდი... ვისიც სიზმრად ვარ მხოლოდ მნახველი... შენ კი, ძვირფასო, უღვთოდ გტანჯავდი, გულს გაწვეთებდი სამსალაღველს! ოჰ, მეგობარო, ვიცი, შემინდობ ჩემ გულგრილობას, ცოცხლად დამმარხველს" და სხვ. მოგახსენებთ, თვით სახელსაც კი სიმბოლური მნიშვნელობა აქვსმეთქი. მართლაც, „სიყვარული", იგ „სიყვარული", რომლის განცდაც მომაკვდავთ შეგვიძლიან, სევდით არის აღსავსე, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს ჩვენს იდეალს დაუსრულებლობისას, ჩვენს ლტოლვას აბსოლუტურისადმი. რეალობა განსაზღვრულია, შედარებითი მნიშვნელობა აქვს მას, ჩვენი გრძნობა საუკუნოებისა, უკვდავებისა კი გვიშხამავს ამ რეალობის ღირებულებას; ვერ გვაკმაყოფილებს რეალობის დროებითი ხასიათი, რაც საუკუნო სევდით ავსებს ჩვენს გულსა და სულს.

ბერო, — მგოსნის ერთი მეგობართაგანი, — მგოსნის თავისებური რელიგიური სარწმუნოების განწყობილების წარმომადგენე-

ლია, „საიქიოს“ წყურვილის გამომსახველია, რომელსაც „მსოფლიო იმიტომ დაუგმია, რომ მისდიოს სულ სხვა მცნებას... „ის აწ მისდევს სულ სხვა ვარსკვლავს, მიესწრაფვის სულ სხვა კუნძულს, ის ოცნების მხარე არის, იქა ჰპოებს ის სიყვარულს“. მთელი მისი როლი ამ მოგზაურობაში იმაშია, რომ სასოებასა და იმედს არ უკარგავს ტანჯულ მგოსანს, როგორც შეეფერება სარწმუნოებრიობის სიმბოლოს.

მთელი პოემა სავსეა ფრიად შესანიშნავი და ჩვენი პოეზიისათვის ორიგინალური აზრებით სიყვარულის, სიკვდილისა და ბუნების შესახებ. ბუნების შესახებ ზევით მოგახსენეთ. ახალგაზრდა პოეტის „ბუნება“ პანთეისტური, დიადი საიდუმლოებით არის შეზავებული. როგორც არაერთხელ მითქვამს, თითქმის გასაოცარია, რატომ უხვევდნენ გვერდს ჩვენი საუკეთესო მწერლები „სიკვდილის“ საგანს. არც ჭავჭავაძეებს, არც ორბელიანს, არც ბარათაშვილს, თითქმის არა აქვთ რა განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ. შანშიაშვილის პოეზია დიდ ყურადღებას აქცევს ამ საგანს და მრავალი მხრით განიხილავს მას. — „გუნდი შავი აჩრდილებისა“ სიკვდილს ყოვლის მომსპობად სახავენ და ადამიანს, მის მონას — საბრალოდ. „ყორანს“ კაცი მიაჩნია უღვთო სიკვდილის მონად. „სიყვარული“ მგოსანს აგონებს, რომ სიცოცხლე გარდუვალი კედლებით აშორებდა მას და მხოლოდ, როცა „მოკვდები, გვამსა მტვერს შეუერთებ, ჩემთან სიკვდილი შემოგაერთებს“. სიკვდილის პირზე ხარ და სწორედ „მხოლოდ ეხლა მიახლოვდებიო“. მაშასადამე, საუკუნო სიყვარული, საუკუნო სიხარული და ბედნიერება სიკვდილით მოიპოვება. სიკვდილი კი თავის თავს „მყუდროების სამეფოდ“ აცხადებს და ანუგეშებს — არ ვარ საშიში, როგორც გგონია, მე შეგიბრალებ მრავალგზით ტანჯულსაო. ასე რომ, სხვადასხვა მხრით სიკვდილი სხვადასხვანაირად გვეჩვენება, სხვადასხვანაირ გრძნობასა და აზრს იწვევს ჩვენში, და ეს შანშიაშვილმა აღნიშნა ნიჭიერად.

საყურადღებოა შანშიაშვილის ფორმა და სტილიც. მრავალგვარი ლექსთწყობილება (ხუთ-მარცვლიანი, რვა-მარცვლიანი, სამ-მარცვლიანი, ექვს-მარცვლიანი, ათ-მარცვლიანი) ერთსა და იმავე პოემაში, სიმდიდრე რითმისა, სხვადასხვაობა რითმებისა. ენა—მეტად მართალი და სწორი, — ყველა ეს დიდად საყურადღებოა ჩვენი მწერლობისათვის. ასეთი გახლავთ ეს პოემა, რომელიც როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ საყურადღებოა, და მრავალი იმედის აღმძვრელი, თუმცა, ჩვენის აზრით, ავტორმა სავსებით ვერ მიაღ-

წია აზრის სიღრმის მხატვრულად გამოხატვას და, ამიტომ, თითქო მთლიან შთაბეჭდილებას არ იწვევს მკითხველში.

ამ პოემის გარშემო ატეხეს კამათი: შანშიაშვილმა ფრანგი მწერალი როსტანი გაქურდაო. ვნახოთ რა ღირსებისაა ასეთი ცილისწამება.

როსტანმა ამ რამდენიმე წლის წინათ დაწერა (მგონი ეს პირველი ნაწარმოებიც არის) დრამა ლექსად: „ლა პრენსეს ლუანცენ". აქაც ერთი მგოსანი მიდის მშვენიერი ასულის სანახავად, თან მიჰყვებიან მეგობარი და მღვდელი. ისინი ზღვით მიდიან, და ეს მხარე ცნობილია გეოგრაფიულად და ოცნების მხარე როდია. იმ ქალის სიმშვენიერეც გაგებული აქვს მომღერალი ტრუბადურების შემწეობით. გზაში სურსათი შემოაკლდებათ და შიმშილით ლამის ამოწყდნენ. ამ დროს სანატრელი კუნძულიც გამოჩნდება. მგოსანი ავად არის და თავის მეგობარს ჰგზავნის, ასე ვთქვათ, „მზეთ უნახავის" სანახავად. ეს ქალი გაუმიჯნურდება მგოსნის მეგობარს . და თავდავიწყებამდე მიიყვანს. მაგრამ ცოტახნის შემდეგ გამოერკვევა და დაუწყებს თხოვნას, წავიდეს ავადმყოფი მგოსნის სანახავად. ქალიც შეიბრალებს, წავა და მომაკვდავ მგოსანს ეამბორება: მგოსანი შეუყვარდება. მგოსანი კვდება, ქალი კი მონასტერში შედის. მღვდელი კომიკურ ხასიათს აძლევს დრამას თავისი სიტყვებით, რომელიც დრამის ფინალია: ყველაფერი ღვთის სასარგებლოდ კეთდებაო ე. ი., ქალმა რომ თავი მონოზნად გაწირა.

ეს გახლავთ დრამის სიუჟეტი. როსტანმა პირდაპირ რომანტიული დრამა აღადგინა. ისარგებლა ჩვეულებრივი საშუალო საუკუნეების თქმულებით და გამოსახა დრამატიული ფორმით. აზრი ისა აქვს გატარებული, რომ დიდი იდეალი, რომელსაც თავგანწირვით ემსახურება ვინმე, სიკვდილზეც კი გაამარჯვებინებს კაცს და ამ იდეალის მიღწევა შესაძლებელია. დიდი გრძნობით გაჟღენთილი ადამიანი გაიტაცებს თვით უბრალო, წვრილმანი სულის კაცსაო. მგოსნის გატაცება შიმშილსა და წყურვილსაც კი ავიწყებთ გემის მოსამსახურეებს და ისინიც, მასთან ერთად, მიისწრაფვიან ამ იდეალისაკენ.

პირველ ყოვლისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვით როსტანის დრამის არაკი არავითარი ორიგინალობით არ არის აღბეჭდილი და აღებულია ჩვეულებრივი რაინდული ლეგენდებიდან. ხოლო შანშიაშვილის პოემის შინაარსი ისე წააგავს მას, როგორც როსტა-

ნის პოემის შინაარსი „ვეფხისტყაოსანს“. მე „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მოვიხსენიე ამ რვა წლის წინათ, როცა „ცნობის ფურცელში“ მქონდა გარჩეული როსტანის დრამა. თუ გნებავთ, აქაც კი არის თავისებური მსგავსება. ტარიელიც მიდის ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად, იმასაც სჭირია ზღვისა და ხმელეთის გავლა; მასაც ჰყავს მეგობარი ავთანდილი და ასმათი, და, თუ გნებავთ, ფრიდონიც (მღვდლის მაგიერ). ისიც შეეყრება ბევრის ტანჯვისა და წვალების შემდეგ ნესტანს და ისიც ამ შეყრას უნდა უმადლოდეს ავთანდილს. ეჭვი არა მაქვს, ჩვენი ლიტერატურის „მეცენატის“ „ტიფლისსკი ლისტოკის“ თანამშრომლები რუსთაველს დასწამებენ: აი შეჭურდო, როსტანს მოპარე შენი უკვდავი პოემაო. რა გაუჭირდებათ! როსტანიც რომ არა, ამისთანა არაკს ათასს მოძებნით ფრანგულ და სხვა ევროპულ ენაზე.

შანშიაშვილის პოემა იმდენად გავს როსტანის დრამას, რამდენადაც „ვეფხისტყაოსანს“, და ბევრად უფრო გასაგებია და ჭკუასთან ახლო, რომ შანშიაშვილი რუსთველის გავლენის ქვეშ უფრო იქნებოდა, ვიდრე როსტანისა. ამას გარდა, ზემოთ მოყვანილი შინაარსიდან დაინახავთ, რომ მგოსანს თან ახლავს მისი ბუნების გაბუყრელი ნაწილები, სხვადასხვა ფერიები, ყორანი, სიკვდილის და სხვ. აჩრდილი და ლანდები. მთელ აზრს პოემისას ცვლის ის, რომ თუ როსტანის მგოსანს ცოცხალს იხილავს „მზეთუნახავი“, შანშიაშვილის მგოსანი კი არა, მზისავარიც მიუახლოვდება თუ არა სიყვარულს, კვდება. გარდა ამისა, შანშიაშვილს ჰყავს გამოყვანილი „სევდია“, რომელიც ღრმა აზრს აძლევს მთელ პოემას. აზრიც სულ სხვაა. თუ როსტანის მგოსანმა იდეალს მიაღწია და ნახა სატრფო, აქ მგოსანმა ვერ ნახა და ვერც ნახავდა „სიყვარულს“, რაკი სიყვარული თვით ამბობს: „მიპოვე, წამით დაგატკბე, მაგრამ მოგიდნობს ეს ხილვა, სამარეს მიებარებიო“. იქ იდეალს მიაღწევს მგოსანი და კმაყოფილი კვდება, აქ. კი მგოსანი გულმოკლული ამბობს: „ვერა ვერ ვპოვე წმინდა მიზანი არსებობისა და გოდებს სულიო“. იქ მიზანი მიღწეულია და ოპტიმისტური ბოლო აქვს დრამას, აქ კი ყორანი დასჩხავის კაცის ბედს

და ჟამი მიჰქრის...
ბრძოლით თან მისდევთ.
„ერთი იშვების, მეორე კვდება.

ყველას მოიდნობს მეფე-სიკვდილი.
უკვდავი არის ამაოება“.

აი, აზრი პოემისა — „უკვდავი არის ამაოება“. მაგრამ აქ, ამ შაბლონურად გადაქცეულ პესიმიზმზე არ შეჩერდა ავტორი და პანთეისტური ოპტიმიზმით დაამთავრა: მკვდარი პოეტის ძეგლად, მის საუკუნო საიდუმლო მასპინძლად „ტურფა ბუნება“ აღიარა, „ხან რისხვით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი, ხან მოკამკამე, ფურჩქვნილი, ნაზი“. აქ ისეთივე მსგავსებაა, როგორც ილიას „განდეგილსა“ და წმ. მარტინიანის ცხოვრების ლეგენდას შორის. და „განდეგილის“ შინაარსისთანა ათასი რამე დაწერილა (ფლობერი, ზოლა, ფრანსი), მაშასადამე, ან ილიას „განდეგილია“ მოპარული, ან ამ მწერლების ნაწარმოებები?...

შექსპირის დრამების სიუჟეტი სხვადასხვა წყაროდან არის ნასესხები, მაშ პლაგიატი ყოფილა? გრ. ორბელიანის სადღეგრძელო ჟუკოვსკის პოემას ჰგავს, მაშ პლაგიატი ყოფილა? ევრიპიდეს „მედეა“-ში და აკაკის „მედეა“-ში ერთი და იგივე სიუჟეტია, მაშ პლაგიატობაა აქაც? ევრიპიდეს „იპპოლიტ“-ში, როსინის „ფედრა“-ში და იტალიელი ცნობილი მწერლის ანუნციოს უკანასკნელ დრამა „ფედრა“-ში ერთი და იგივე არაკია ტრაგედიის ფორმით შემუშავებული, მაშასადამე, პლაგიატობაა? სულ ბოლოს უაილდის დრამის ნაწყვეტი „ლა სენტკურტიზან“ ფრანსის რომანის „თაისის“ სიუჟეტის განმეორებაა. აბა, პლაგიატი ყოფილა? თვით უაილდის საუცხოო და შესანიშნავი დრამის „სალომეას“ სიუჟეტი სახარებიდან არის აღებული, პლაგიატი ყოფილა?

ანდა იქნება ფორმალურ მხარეს მიაქციონ ყურადღება[1] ჩვენებურმა ესთეტიკოს-იურისტებმა. მოხსენებულ მწერლებს დასახელებული აქვთ წყარო, საიდანაც ისესხესო და შანშიაშვილს კი არაო. ამაშიც უნდა ვაწყენინოთ მათ: არც ბარათაშვილს, არც ორბელიანს, არც უაილდს, არც ფრანსს, არც ერთს არა აქვთ ნათქვამი, საიდან აქვთ ნასესხები სიუჟეტი; მოგახსენეთ, თვით როსტანსაც არა აქვს ნათქვამი, რომელი რაინდული ზღაპრიდან აიღო თავის დრამის არაკი. და ეს იმიტომ, რომ არაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ყველაფერი მარტო იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის შემუ-

[1] პლაგიატობა იმაშიაც ნახეს, რომ შანშიაშვილსაც და როსტანსაც ზღვა და ზღვის ღმერთები ჰყავთ ნახსენები...

შავებული და რა ფორმაშია ჩამოსხმული, ამის დამამტკიცებელი მაგალითი საფრანგეთის ლიტერატურიდან უნდა მოვიყვანოთ.

მოგეხსენებათ, კორნელი საფრანგეთის ტრაგედიის ჩამავალი მზე იყო იმ დროს, როცა როსინი ამომავალად იყო მიჩნეული. ერთმა პრინცესამ (მგონი ჰერცოგ ორლეანელის მეუღლემ) მოინდომა ამ მწერალთა გამოცდა და მისცა როსინსა და კორნელს ერთი და იგივე სიუჟეტი და მოსთხოვა დაეწერათ დრამა. დასწერეს ორივემ დრამა („ტიტ და ბერენისი" კორნელმა, „ბერენისი" — როსინმა) და ამან გადაწყვიტა კორნელის ბედი. კორნელი დამარცხებული გამოვიდა და როსინის გამარჯვება ყველამ აღიარა. ეს ისტორიულ-ლიტერატურული მაგალითი დიდმნიშვნელოვანია და დამამტკიცებელია მისი, რომ ხელოვნებისთვის არაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ავიღოთ კიდევ მაგალითი ძველ ელინთა ხელოვნების ისტორიიდან. ელინი მოქანდაკეები თავიანთ უკვდავებით შემოსილ ქანდაკებებისათვის ერთსა და იმავე სიუჟეტს იღებდნენ (ვენერა, აპოლონი და სხვა) და თითქმის წვრილმან განსხვავებაში გვიჩვენებდნენ მათ გენიოსობას.

ანდა ამდენს რას ვლაპარაკობთ. ყველასთვის ცხადია, რომ შანშიაშვილის პოემას არაფერი სცხია პლაგიატობისა და ლიტერატურაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულ არაკის სესხებაც კი არ არის აქ. შესაძლოა ა. შანშიაშვილს წაეკითხოს ან ენახოს სცენაზე დადგმული როსტანის დრამა, შესაძლოა რაიმე ბუნდოვანი გავლენა ჰქონდეს მასზედ, მაგრამ არა თუ პლაგიატობას, მიბაძველობასაც კი არა აქვს აქ ადგილი. მაგრამ ეს რათ ეჭირვებათ გამკილველთ. მათ სხვა რამ აწუხებთ: შანშიაშვილის დაფნის გვირგვინები არ ასვენებთ... დაფნის გვირგვინები, რომელშიაც ჩაწნულია შური, მტრობა, ცილისწამება და ყოველგვარი უბედურება, რაც თან დაჰყვება ხოლმე ყოველ ქართველ მწერალს, ვისაც ნიჭი აქვს მიმადლებული [1].

კიდევაც რომ პლაგიატი იყოს ეს პოემა, შანშიაშვილის ხანაში სრულიად მოსათმენი და შესაწყნარებელი იქნებოდა, ვინაიდან ასეთი მშვენიერი ლექსით თარგმნაც კი ნიჭის უეჭველ ღირსებად ჩაითვლება.

[1] დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ გაზეთმა „ნაშ კრაიმ" ასეთივე აზრი გამოთქვა ამ ინციდენტის შესახებ. „ნაშ კრაი" და იმ წერილის ავტორი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იდგნენ, ვინაიდან შანშიაშვილთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ და, მაშასადამე, მათ მსჯელობას ვერ შესწამებენ მიდგომას.

შანშიაშვილის ნიჭიერება აშკარად ჩანს სალირიკო ლექსებშიც. აიღეთ, თუ გნებავთ, მისი „ნისლი“. ეს ლექსი ცხრა პატარა ნაწყვეტისაგან შედგება და ყოველი მათგანი შედევრია სწორედ. აი, თუ გნებავთ, ნიმუში:

მოვწყვიტე ია, გულში ჩავიკარ,
მეგონა ბედკრულს მიერთგულებდა,
დაჰბერა სიომ, ჩამოწვა ნისლი...
ჩაქნა და სურნელს აღარ აბნევდა
სული დაღონდა, იგრძნო ობლობა..
ია თან დამაქვს სუნმილეული,
და ვუფრთხილდები, ვით წმინდა ნაშთსა,
გულს ჩავიქსოვე ფერფლად ქცეულ!..

• • •

ოდეს ნისლი თავს მეელება.
სატრფოც ახლო მეგულება!
ოდეს ცვარი თმას მინამავს,
მისი ცრემლი მეპკურება!
მსურს მეც ნისლად გარდავიქცე,
მსურს სატრფოსთან დავდნე ცრემლად;
და დამწვარ გულს სიყვარულით
მოვეევლინო შვება-ლხენად!..

ამის დამწერს უნიჭობას ვერავინ შესწამებს, თუნდაც „ტიფლისსკი ლისტოკის“ ქართული ლიტერატურის „ერთგულებით“ და „სიყვარულით“ აღსავსე თანამშრომელიც იყოს იგი. უეჭველია, ალ. შანშიაშვილს მეტად სახარბიელო ნიჭი აქვს, უეჭველია, მისი ნიჭი არა ერთს მოგვრის ჯავრსა და ბრაზს. უეჭველია, მას შური და მტრობა ბევრ სიმწარეს და სამსალას დაალევინებს, მაგრამ ამან ვერ უნდა შეაშინოს. ჩვენი ლიტერატურის დიდებული მოძღვრის ეკლის გვირგვინი ნიადაგ თვალწინ უნდა უდგეს ყოველ ნიჭიერ მწერალს და იმით უნდა იცოდეს, როგორ ეკიდებიან უმადურნი დიდ ნიჭს. მაგრამ ამან ერთი წუთითაც არ უნდა შეაფერხოს. მისი მოვალეობაა „ბუნებისაგან“ მიცემულ ნიჭს მოუაროს, განავითაროს იგი და საზრდო არ მოაკლოს. არ უნდა დაივიწყოს, რომ ყოველი მწერალი და მგოსანი, რომელსაც სახელი მოუპოვებია ლიტერატურაში, დიდი

ცოდნით ყოფილა აღჭურვილი და ყოველთვის თავის თანამედროვეებზე უმაღლესად მდგარა გონებით და განვითარებით. ეს მით უმეტეს მოეთხოვება ჩვენს მწერალს, რომელსაც ჩვენს დამყაყებულ ატმოსფეროში უხდება მუშაობა. თუ იგი თავის ნიჭს მოუვლის, ვერას დააკლებს ვერც შური, ვერც მტრობა და ჩვენი ლიტერატურისათვის სასიქადულო მწერლად გადაიქცევა.

ᲛᲒ. ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲡᲔᲜᲘ

ჩვენს საზოგადო მოღვაწეს ეკლით მოფენილი გზა აქვს მინიჭებული ხვედრად. იგი ტანჯული და გვემულია ნივთიერად, ზნეობრივად და რა მხრითაც გნებავთ. მაგრამ ამას შეჩვეულია ის ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს იმ მძიმე უღლის კისრად აღებას, რომელიც ქართველი საზოგადო მოღვაწისათვისაა გამზადებული. ერთი რამ არის, რომელსაც ადამიანი ვერაფრით ვერ შეეჩვევა და ვერ შეურიგდება: უმართებულო ცილისწამება, უნიადაგო და უსაფუძვლო ყბადაღება, რომელიც ნიადაგ თან სდევს მის საზოგადო მოღვაწეობას. ამას ვერ შეეჩვევა და ვერ შეურიგდება ადამიანი არა მარტო იმიტომ, რომ იგი უმადურების გამომსახველია, არა მარტო იმიტომ, რომ იგი უსამართლობის მაჩვენებელია, არამედ ანტისაზოგადოებრივი ალღოს ნიშანია.

როცა საზოგადოებაში ეგ თვისება და ეგ სენია გავრცელებული, უნდა იცოდეთ, რომ იქ საზოგადო საქმის გატანა მეტად ძნელია. ამისთანა საზოგადოების წევრები, თავისდა უნებურად, მზად არიან ხელი შეუშალონ და გული აუცრუონ იმ ორიოდე საზოგადო მოღვაწეს, რომელთაც თავისი სიცოცხლე და ცხოვრება ჩვენი საზოგადო საქმეებისათვის შეუწირავთ.

ათასნაირი დამაბრკოლებელი გარემოება ეღობება წინ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ათასგვარ შინაურ და გარეულ მტრებს უნდა ებრძოლოს. და ამ დროს მათგან, რომელთაგანაც, თუ სხვა არაფერი, ზნეობრივ დახმარებასა და თანაგრძნობას მოელის, ხელის შეშლისა და სულის აღშფოთების მეტს ვერას ნახავს.

ერთი საუკეთესო ნიმუში ამ სამწუხარო სენისა, ღრმად პატივცემული ჩვენი აღმზრდელის, ჩვენი საუკეთესო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წერილია („ფრიად მავნებელი მაგალითი"), რომელიც მან ამ ორიოდე დღის წინათ ქუთაისის გაზეთ „კოლხიდა"-ში დასტამბა და რომელიც გადაბეჭდილია „სახალხო გაზეთის" ამ წლის 364-ე ნომერში.

შეუძლებელია იაკობ გოგებაშვილმა არ იცოდეს — რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების წინაშე იმ ყოვლად უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეს, რომელიც თავში უდგას ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს; არ შეუძლია არ იცოდეს ი. გოგებაშვილმა, რა ჯურის მოღვაწეა ეს ადამიანი, რა დიდი ენერგიით, ღრმა რწმენით აღსავსეა იგი, რა საეროვნო იდეალებით არის გამსჭვალული მთელი მისი მოღვაწეობა. არ შეიძლება არ იცოდეს ი. გოგებაშვილმა, და თუ არ იცის, არც უნდა ენებებია კალმის ხელში აღება ამ საგნების შესახებ საწერად, ყოვლად წარმოუდგენელია არ იცოდეს ჩვენმა დაუღალავმა, ნიჭით ცხებულმა პედაგოგმა, რა დიდი საქმე შექმნა მარტო პირადი ენერგიის წყალობით მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მეთაურმა ბ-მა გიორგი ზდანოვიჩმა, და რამდენი ბრძოლა და უსიამოვნება გადახდა ამ საქმის გამო. ყოველივე, რაც შექმნილია ჭიათურის მიდამოში, ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრებულისაგან, ეს უნდა მიეწეროს მარტო გ. ზდანოვიჩს, მის პირად მხნეობასა და საქმის სიყვარულს. და არა თუ ჩვენ ვიცით ესა, არა თუ ი. გოგებაშვილმა უნდა იცოდეს ესა; ოფიციალურად დადასტურებულია განსაკუთრებულ კერძო სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელთაგანაც კი, რომელნიც არც თუ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი გ. ზდანოვიჩისა და მისი მესვეურობით შექმნილი საქმისადმი.

და აი ასეთ ადამიანს იაკობ გოგებაშვილი სწამებს, ვითომ მისი წყალობით, და ან მისი კაცების წყალობით, რომელნიც მას მხარს უჭერენ და მისი თანამშრომლები არიან, ჭიათურის მომავალ სატექნიკო სასწავლებლიდან ქართული ენა ექსორიაქმნილიყოს.

ამგვარივე საფუძვლიანობით შეგვიძლია ვთქვათ, იაკობ გოგებაშვილის ბრალია, რომ თბილისში უნივერსიტეტი არ დააარსეს, ან ის, რომ ქართულ გიმნაზიებში ყველა საგნებს ქართულ ენაზე არ ასწავლიან, ან ის, რომ ჩვენ პირველ-დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე არ ასწავლიან ყველა საგნებს.

ჩვენს ნებაზე და სურვილზე არის განა ამა თუ იმ წესის დამყარება? თუ ეგრე იყოს, არა მგონი ვინმე იმათგანმა, რომლებმაც, უეჭველია, იაკობ გოგებაშვილი შეიყვანეს შეცდომაში, ან ოცნებით მოახერხონ იმისი წარმოდგენა, რასაც შექმნიდა და განახორციელებდა პრაქტიკულად, ისეთი დიდი ნიჭის და ენერგიის პატრონი მოღვაწე, რომელიც ასეთი უაზრო და უსაბუთო ცილისწამების მსხვერპლი გახდა.

ჩვენი სიტყვები ცარიელი სიტყვები კი არაა. გადაათვალიერეთ მარგანეცის მრეწველთა კრებულის მოღვაწეობა, და რაც უნდა ცალკერძად იყოს განწყობილი ადამიანი, იმის უარს ვერ იტყვის, რომ დიდი და ბევრი რამ ისეთი გაკეთებულა ამ 15—16 წლის განმავლობაში ზდანოვიჩის მეთაურობითა, რაც უეჭველად ამტკიცებს მის დიდ საეროვნო და საზოგადოებრივ გრძნობებს [1].

და როდესაც ასეთი მისი მოღვაწეობის შესახებ, სამარცხვინო, საზიზღარი „დაბეზღება" წარადგინეს სადაც ჯერ არს და როდესაც ეს „დაბეზღება" ისეთი ადამიანისაგან იყო მოხერხებული, რომელსაც ზურგზე „საზოგადო მოღვაწის" იარლიკი აკრავს, ხოლო სულში კი დახავსებული „მაბეზღარის" დაღი აქვს დასმული, და როდესაც ამ „დაბეზღებამ" თავისი ნაყოფი მოიტანა და ამ „დაბეზღების" წყალობით მარგანეცის მრეწველთა საბჭოს დანაშაულობათ დაუსახეს ისეთი აქტი, როგორიც იყო ჩვენი საერო დიდების ილია ჭავჭავაძის განკიცხული ცხედრის თაყვანისცემა და პატივისცემა, და როდესაც ამ „დაბეზღების" წყალობით დღევანდელი მოღვაწეობა მარგანეცის მრეწველთა საკრებულოსი და მისი საბჭოსი მუხრუჭებშია გაჭედილი, — ასეთ საეროვნო დანაშაულის შესახებ არც ერთმა კაცმა კრინტი არ დასძრა; არც ერთმა არ მოიწადინა ასეთი ვაჟბატონის არა თუ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, აუგად მოხსენებაც კი. ამისთანა გასაჭირის დროს, გ. ზდანოვიჩი, ორიოდე მისი თანამშრომელით, ყველასაგან, ასე ვთქვათ, მიტოვებული, იბრძოდა ყოველი ღონით, რომ მარგანეცის მრეწველთა კრებულისათვის შეენარჩუნებია თვითმმართველობის ნასახი და არ აეშორებია კრებული აძ გზას, რომელზეც მსვლელობა ჰქონდა 15—16 წლის განმავლობაში ქართველი ერის საზოგადოებრიობის სასარგებლოდ. ამ დროს იაკობ გოგებაშვილი ძალიან აღშფოთებული ბრძანდებოდა (პირადად ჩვენთვის გაუზიარებია ეს აღშფოთება ბ. იაკობ გოგებაშვილს), მაგრამ მის აღელვებასა და გაცხარებას იქამდე არ მიუღწევია, რომ მისი მადლიანი კალმით გავემხნევებინეთ. ნუთუ არ იცოდა ჩვენმა მოამაგემ, მთელი თაო-

---

[1] ძალიან ვწუხვარ, რომ ამაზე ლაპარაკი მე მჭირდება. ჩვენი საზოგადოების ზნე-ჩვეულება ვინც იცის, კარგად მიხვდება, რა გაბედულებაა თავისი მეგობრის შესახებ კეთილი სიტყვის დაძვრა. ჩვენს საზოგადოებაში ადათია—მეგობარს ყოველივე ცუდი უნდა შეამთხვიო და დასწამო, რათა შენი სამართლიანობა და მიუდგომლობა დაამტკიცო.

ბების აღმზრდელმა პედაგოგმა, რომ ასეთ დევნას და ასეთ უსირცხვილო „დაბეზღებას“ თავისი სამწუხარო შედეგი ექნებოდა და ეს შედეგი თანდათან უფრო გამოიჩენს თავს იმით, რომ ყოველ მოღვაწეობას მარგანეცის მრეწველთა კრებულისას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი საეროვნო-საზოგადოებრივ ინტერესებისაკენ, წინ აღემართება გარდუვალი კედელი?

მართალია, ეს „დაბეზღება“ მოკლეკუდიანი გამოდგა და თავის საწადელს სავსებით ვერ მიაღწია, მაგრამ ეჭვი მაინც აღძრა სადაც საჭირო იყო, და მარგანეცის მრეწველთა კრებულის ყოველგვარ მოღვაწეობას ეხლა უფრო ალმაცერად უყურებენ იგინი, ვის ხელთაც არის განკარგულება საზოგადოდ ჩვენი ერის ბედისა.

ამისთანა პირობებში მოგვიხდა ჩვენ ჭიათურის საქალაქო სკოლასთან სატექნიკო განყოფილების დაარსების განხორციელება. ბ. იაკობ გოგებაშვილი სრულიად შეცდომაში შეუყვანიათ „ჩვენ მეგობრებს“, როცა უთქვამთ, თითქო ამ დამატებით კლასებში (ორი კლასი იქნება სულ) „რუსული ლიტერატურა სავალდებულო საგანი უნდა იყოს, ქართულს ენაზე კი არამც თუ არც ერთი საგანი ისწავლება, არამედ თვითონ ქართულ ენისა და ქართულ ლიტერატურის ჭაჭანებაც არ იქნება... სრული ექსორიით დაუსჯიათ იგი“... ამ განყოფილებაში არავითარი საზოგადო საგანი არ იქნება: არც საღმრთო სჯული, არც ისტორია, არც გეოგრაფია, არც რომელიმე ერის ლიტერატურა. მაგრამ უსაფუძვლოდ შეუგონებიათ ბ. იაკობ გოგებაშვილისათვის, ვითომ ქართული ენის ჭაჭანებაც კი არ იქნება იქ და სრული ექსორიით დასჯილ იქნება იგი, თუძცა ის კი შესაძლოა ბ. ივ. გომელაურის „ქართველი მწერლები“ არ იქნეს ხმარებაში. მაგრამ საბჭოს ინტერესი იყო არა ი. გომელაურის, ან სხვა ვისიმე ქრესტომათიის გასაღება, ვინაიდან საბჭო ვერავის კომისიონერობას ვერ იკისრებს, არამედ ქართული ენისათვის იმ ადგილის მოპოვება ამ განყოფილებაში, რაც და რამდენადაც შესაძლო იყო დღევანდელ პირობებში.

საბჭომ აღძრა შუამდგომლობა, რომ ამ განყოფილებაში ყოფილიყო გაკვეთილები ქართულ ენაზე განსაკუთრებული საგნისა „სამთამადნო საქმის ისტორიისა“. ამ გაკვეთილებზე მოწაფეებს უნდა შეესწავლათ ქართულ ენაზე, გარდა თვით საგნისა, ქართული თერმინოლოგია და, ამგვარად, მოწაფეებს საშუალება ეძლეოდათ ქართულ ენაზე გადაეცათ თავისი ცოდნა ხალხისათვის. ამაზე კატეგო-

რიული უარი გვტკიცეს: მაგის ნება არ შეგვიძლია მოგცეთო, სამაგიეროდ, ნება დაგვრთეს ამ განყოფილებაზე მოგვეწყო სისტემატიური კურსი ლექციებისა ქართულ ენაზე, რათა მუშებმა და ყველამ, ვისაც სურს, შეიძინოს პირველდაწყებითი ტექნიკური ცოდნა სამთამადნო საქმეში გამოსადეგარი.

ჩვენც ავიღეთ და დავთანხმდით, რადგან სხვა გზა აღარ გვქონდა[1].

გვეტყვიან, სულ აღარ გავხსნიდით ასეთ სკოლასაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარგანეცის მრეწველთა კრებულის გადაწყვეტილებას ათასი შინაური და გარეული მეთვალთვალე ჰყავს და საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ასეთი მიზეზისათვის ვინმემ დაგვანებოს უკვე არსებული გადაწყვეტილების დარღვევა, მით უმეტეს, ვიმეორებ, რომ მარგანეცის კრებული ეხლა განსაკუთრებულ პირობებშია, ზემოხსენებული შემთხვევის გამო. ხოლო ვინც დაახლოვებულია ჭიათურის საქმეებთან, კარგად იცის, რომ ასეთი გადადება საქმისა, თვით ჩვენი ეროვნული საზოგადოებრივობისათვის იქნება საზიანო. თუ ეს სკოლა საბჭომ მალე არ დააარსა, შესაძლოა და უეჭველად მოსალოდნელი, დადგება სულ მალე ისეთი დრო, რომ ვეღარავითარ სკოლას ვეღარ დავაარსებთ მარგანეცის კრებულის წარჯით. ერთხელ დაარსებულ სკოლაში კი შესაძლოა ცვლილება შეიტანოს კაცმა დროისა და გარემოების მიხედვით.

სამწუხაროა ის, რომ ყოვლად პატივცემული ბ. გოგებაშვილი, ჩვენი ენის მოამაგე და მზრუნველი, ისე გაუმწარებია ამ ამბავს, არც კი მოუწადინებია გამოერკვია საქმე და ნათქვამისათვის ისე დაუჯერებია. სამწუხაროა, რომ ბ. იაკობ გოგებაშვილი იმდენად არ იცნობს ორიოდე ჩვენ საზოგადო მოღვაწეს, სჯერა, ვითომ ბ. გიორგი ზდანოვიჩი, ან მისი თანამშრომლები, თუნდ ფიქრად გაიტარებენ და მოითმენენ, თუნდაც უნებლიე, შეცდომით, ქართული ენის არა თუ დევნას, ერთი ბეწოთიც არის მის შევიწროებას.

ის ვაჟბატონები კი, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს ბ. იაკობ გოგებაშვილი, შესაძლოა, იმასაც ჯავრობენ, რომ ვისიმე ქრესტომათია ვერ გავრცელდა საკმაოდ? ეგ ჩვენი საქმე არ არის, საბჭო ვერა-

---

[1] იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭოს აქვს პირველდაწყებითი სასწავლებლები და საქალაქო სასწავლებელი ჭიათურაში, რომელშიაც ქართულ ენას სათანადო ადგილი უჭირავს. ამ საქალაქო სკოლის დამატებითი განყოფილება იქნება ის ორი სპეციალური კლასი სატექნიკო განყოფილებისა, რომელიც აზრადა აქვს გახსნას საბჭომ.

ვის ქრესტომათიას ქომაგობას ვერ გაუწევს და ცდილობს ქართველი ერის ინტერესს ემსახუროს ყოველმხრივ, ყოველგვარად და ყველა შემთხვევაში. ეჰ, იყო დრო, სულ ამ მოკლე ხანში, როცა ქართველი ერის უფლების წინ წამოყენება და საჯაროდ განცხადება სულ ადვილი საქმე იყო. სულ ცხადად შეგვეძლო ამ უფლების დაცვა, და შესაძლო იყო მაშინ, მთელ ერს რომ ეს დიადი საქმე კისრად ედვა და ზოგიერთ მის ცრუ მოციქულებს აბუჩად არ აეგდოთ იგი, თუ სხვა არაფერი, ამგვარი მცირე საგანი სადაოდაც არ შეგვექნა და... იმ დროს ზოგიერთი ვაჟბატონი იმ ტოტსა სჭრიდა, რომელზეც თვით იჯდა და არც კი იცოდა, რომ ამ ტოტს თვითონაც ჩამოჰყვებოდა... ხოლო როცა ძირს გაენართხა, თავისი დანაშაული უნდა სხვას მოჰხვიოს კისერზე, თვითონ კი ტბიდან მშრალი ამოძვრეს... ბალღური ოინბაზობაა!

ბ. იაკობ გოგებაშვილს კი, ჩვენ ძვირფას და საყვარელ აღმზრდელს, რომლის გონების ნაყოფზე ვართ ყველანი ჩვენ აღზრდილნი, გულით ვემუდარებით, ამგვარ შეცდომებს ერიდოს, თორემ მასზე უკეთ კიდევ ვინ იცის, რომ ამგვარმა ბრაზმორეულმა ინტრიგამ და უკბილო ცილისწამებამ საუკუნოდ ჩირქი მოსცხო ჩვენს ერსა... ნუთუ ეს დიდი უბედურება გონებას არ მოგვიყვანს?!

37. დასაგმობი გულგრილობა

(გ. დ. ერისთავის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო)

ეროვნულ გრძნობას, ეროვნულ ერთიანობას სხვა არა უდევს რა საძირკვლად და სარჩულად თუ არა ურთიერთშორის სოლიდარობის შეგნება, თუ არა თაყვანისცემა და პატივისცემა იმ მსხვერპლთა წინაშე, რომელიც მამულისთვის საკურთხეველზე შეწირულა, თუ არა დიდება იმ გმირთა, იმ მოღვაწეთა, რომელთაც შეუქმნიათ საეროვნო კულტურა.

ჩვენ, ქართველები, რომელნიც მძიმე და მწვავე კრიზისს განვიცდით ჩვენ ეროვნულ არსებობაში, სწორედ ამ საგანში ვიჩენთ გადაგვარების საშიშარ სიმპტომებს ერთ უდიდეს მაჩვენებლად ჩვენი ეროვნული დაძაბულობისა. სამარადისოდ საკმარისია ჩვენი ახალი მწერლობისა და საზოგადოებრივი კულტურის დიდებული მოძღვრისადმი ისე უდიერად მოპყრობა, მისი ეკლის გვირგვინით დაჯილდოება. მაგრამ თითქო ეს საკმარისი არ იყოს საუკუნო შესანანიებლად, თითქო ამას ჩვენზე თავზარდამცემი გავლენა არ ჰქონდეს სხვა ჩვენ დიდებულ კაცთა მიმართ. სამარცხვინო გულგრილობას ვიჩენთ. კიდევ კარგი, თუ ჩვენი გამოჩენილი კაცი ცოცხალია. ორიოდე მეგობარი, რომელიც მისი მზის სხივების ქვეშე თბება ან მაინც მოახერხებს, აგიტაცია გასწიოს მისი იუბილეს შესახებ და ჩვენს გულგრილობას სამარცხვინო დანაშაულს არ ჩაადენინებს. ხოლო თუ დიდებული ჩვენი კაცი განისვენებს და ჭირისუფალიც არავინა ჰყავს, ყველას მიგდებული ჰყავს და მივიწყებული, თითქოს მათი გახსენება ჩვენი საერო სულისათვის, ჩვენი საზოგადოებრივი გრძნობისათვის არ იყოს მიუცილებელი.

1786 წელში დაიბადა ჩვენი ახალი პოეზიის მამამთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე და აბა თუ ვისმე გახსენებია ან მისი დაბადების, ან მისი გარდაცვალების იუბილე, თუმცა ეს სულ აგერ ეხლა იყო. 1801 წელს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი და ესევე ბედი ეწია. 1811 წელსაა დაბადებული გიორგი ერისთავი, შემქმნელი ჩვენში ახა-

ლი, ლიტერატურული მიმართულებისა (რეალიზმის), ახალი ლიტერატურული გვარისა (დრამატიული ნაწარმოების), დამაარსებელი ქართული თეატრისა და ქართული ჟურნალისა. ერთის კაცისაგან, რაც უნდა დიადი ნიჭით იყოს იგი მოსილი, სრულიად საკმარისია ეს, და ასეთი კაცი ყოველი ერისთვის სადიდებელი და სათაყვანებელი იქნებოდა, ჩვენ კი არც გაგვხსენებია. ვისაც კი რამე დაუწერია ჩვენში გ. ერისთავის შესახებ ყველანი მოიხსენიებენ მის სახელს მოწიწებით და მადლობით. აი, რას ამბობს პლატონ იოსელიანი: „მან დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“. უნდა მართალი ვთქვათ, რომ ჩვენ ფილოსოფოსს სავსებით გამოხატული აქვს ამ რამდენიმე სიტყვაში მთელი დიდებული ლიტერატურული ღვაწლი გ. ერისთავისა. მან „დაბადა ენა ახლისა გვარისა მწერლობისათვის“, ესე იგი მან ახალი კილო შემოიღო მწერლობისა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ჩვენ რომანტიკოს მწერალთა კილოსაგან. მან შეჰქმნა ის კილო ენისა, რომელსაც ვხმარობთ დღეს ჩვენ: სადა, მარტივი, ხალხის ენასთან დაახლოებული კილო; ის კილო, რომელიც აუცილებელი იყო ახალი მწერლობისათვის. ეს მწერლობა რეალურ ნიადაგზე იდგა, რეალიზმის განმახორციელებელი იყო ჩვენში, რეალიზმი კი ყოველდღიურ ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა, ჩვეულებრივი მოვლენის გამოხატვა ედვა მიზნად, და ამგვარი აზრის მისაღწევად ისეთი ენის კილო იყო საჭირო, როგორიც გ. ერისთავმა შემოიღო. გ. ერისთავი იმ ლიტერატურული მიმართულების შემქმნელი იყო, რომელიც შემდეგში განავითარა და უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა ილიამ და აკაკიმ. დავაცალოთ თვით აკაკიმ გადაგვიხსნას თვალწინ ამ მიმართულების მთავარი კვანძი: „მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა“, — ბრძანებს აკაკი თავის წერილში სწორედ გიორგი ერისთავის შესახებ. „ნაწერში, როგორც სარკეში, — ამბობს აკაკი, — ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებას! და როგორც სარკეში ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარეშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია და, მაშასადმე, მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერო მოვლენებას, რა გინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს... რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ

პირობებს. — რასაკვირველია, რომ თ. გ. ერისთავიც ამგვართაგანი იყო". აკაკი აქ არა თუ მთელ ლიტერატურულ მიმართულებას გვიხასიათებს, გ. ერისთავსაც თავის ადგილს მიუჩენს ჩვენს ლიტერატურაში. მართალია, ი. მეუნარგიაც, როცა თავის ბიოგრაფიაში ამბობს: „გ. ერისთავმა დააფუძნა პირველი ქართული თეატრი, მან დააარსა პირველი ქართული ჟურნალი"... ამ ამონაწერებით მე იმის დამტკიცება მინდა მხოლოდ, რომ გ. ერისთავის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს მწერლობაში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს და ყველანი, სულ სხვადასხვა მიმართულებისა და თაობის მწერლები, ერთხმად აღიარებენ, რომ გ. ერისთავი არის ჩვენი ახალი ლიტერატურის მამამთავარი.

ამისთანა კაცის სახელის ას წელიწადში ერთხელ გახსენება და მისი პატივისცემა, მგონია, სავალდებულო უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის, ყოველი ქართული დაწესებულებისათვის. უმადურობა მამულის დიდებული შვილისადმი არის მომაკვდინებელი ცოდვა ერისა და საზოგადოებისათვის.

P. S. მომავალ 1912 წლის აპრილის თვეში (5 აპრილს) შესრულდება ასი წელიწადი თ. ვახტანგ ჯ. ორბელიანის დაბადების შემდეგ. საჭიროა ჩვენი ლიტერატურის მესვეურთ და მოყვარულთ შესაფერისი პატივი სცენ ამ მეტად მომხიბვლელ უკანასკნელ ჩვენ რომანტიკოს პოეტს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში.

ვს. ი. გედევანიშვილის დრამა — „მსხვერპლი“

„მსხვერპლი“ და „სიმახინჯე“ ის დრამებია, რომლებმაც საზოგადოების ყურადღება სრულიად სამართლიანად დაიმსახურეს და ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში იმთავითვე საპატიო ადგილი დაიჭირეს...

არ შეიძლება კაცმა იმ თავითვე არა სთქვას, რომ როგორც დრამატიული ნაწარმოები, „მსხვერპლი“ დაბლა დგას „სიმახინჯეზე“. ეს მეორე ნაწარმოები სავსებით აკმაყოფილებს თვით უფრო ჟინიან მოთხოვნილებას დრამატიული ესთეტიკისას, მაშინ როცა „მსხვერპლი“ ხშირად დიდი ნაკლოვანებებით არის აღსავსე. მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ სამაგიეროდ სიუჟეტი, არაკი ამ დრამისა ბევრად უფრო საინტერესოა, თვით მასალაც კი ბევრად უფრო გამოსადეგია დრამატიული ნაწარმოებისათვის. შეიძლება თვით ავტორის გამოუცდელობის ბრალი იყოს ეს (რამდენადაც ვიცი, ეს პირველი ნაწარმოებია ავტორისა), შესაძლებელია თვით ქართული დრამატიულის ხელოვნების მდგომარეობას დაედვას ამაში წილი, მაგრამ ჩვენგან აღნიშნული სისუსტე დრამატიული ხელოვნებისა „მსხვერპლში“ უეჭველია. სამაგიეროდ, ფრიად მდიდარი შინაარსისაა, ძლიერ ღრმა ფილოსოფიაა და, თუ გნებავთ, მეტად თვალსაჩინო პუბლიცისტური ფილოსოფიაა შიგ. ყოველ ეჭეს გარეშე, ავტორის ნიჭის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სიუჟეტი ამოღებულია ცხოვრებიდან, იმნაირი ცხოვრებიდან, რომელიც ზღვასავით აბობოქრებული იყო და ტალღას ტალღაზე ისროდა, ერთიმეორეზე უფრო ძლიერს; იმნაირი ცხოვრებიდან, რომლის შუაგულში ცეცხლი და მახვილი ტრიალებდა — და ამ ფაქტის განხილვა, განსჯა ავტორმა შეძლო ასეთი მიუდგომლობით,ასეთი დამშვიდებული გრძნობითა და აზრით.

რასაკვირველია, ის ვერ იმწერლებს, ვინც ცხოვრების მოვლენათა თვით მარტივ შთაბეჭდილებას ძლიერად ვერ განიცდის, ვინც ყოველ მოვლენას მსოფლიოსას ვერ გადაადღეებს თავის გულსა და სულში, თავისებურ გამოძახილს ვერ შექმნის უბრალო მომაკვდავ-

თათვის შეუმჩნეველი განწყობილების გამო. მაგრამ მწერალი თუ გრძნობიერი აპარატია, იგი გონებით მოსილი მსაჯულიც გახლავთ, ერთგვარი ამწონ-დამწონი მოვლენისა, რომელმაც უნდა მოვლენას ბრძნულად შეხედოს. მშრალი გონება და ცეცხლმოკიდებული გრძნობა, ერთად შედუღებული, უნდა ქმნიდეს ხელოვნურ ნაწარმოებს; ეს იმას სრულიადაც არა ნიშნავს, რომ ხელოვანი განყენებულ სარკეს წარმოადგენდეს, რომელშიც ყოველ მოვლენას ერთნაირი მასპინძელი დახვდება ხოლმე. არა, იგი მეხთამტეხი იყოს ერთ შემთხვევაში და განმაცხოველებელი მზე მეორეში, მაგრამ მისგან დახატული სურათი, მისგან გამოთქმული გრძნობა ორივე შემთხვევაში უნდა დამჯდარი იყოს, წინდახედული და გონების დარჯაკში გატარებული. მწერალი იმპულსების მონა არ უნდა იყოს. ყოველი მისი სიტყვა, მისი ხატება მკითხველის გონებასა და გრძნობაზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს.

აი ეს აუცილებელი თვისება ხელოვანისა ცხადად სჩანს ამ ნაწარმოებში.

არ შეიძლება მწერლის გონიერებისა და გრძნობის შედეგი არ იყოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც, მოგახსენებთ, ასეთ საშინელ დროს ეხება და თანაც ახერხებს ამ უცნაური შეტაკებისა და ომის ველზე გაარჩიოს ყოველი ჩრდილი და ნათელი, გაითვალისწინოს ვინ როგორ იბრძვის, რა ტემპერამენტი აქვს მებრძოლს, თვით სულის ჯურღმულში ჩაჰხედოს მეომარს და თვალწინ გადაგვიშალოს თავზარდამცემი და წარმტაცი არსი ამ სულის უფსკრულისა.

ავტორი იკვლევს განმათავისუფლებელი მოძრაობის ფსიქოლოგიას და ამ ფსიქოლოგიის სხვადასხვა სურათებს თვალწინ გვიხატავს დიდად საქები გამჭრიახობით. მის ძიებას სრულიადაც არა აქვს წინათ აღებული პუბლიცისტური, გინდ ისტორიულ-ფილოსოფიური მიზანი, ეს თავისთავად ხდება, თავისთავად თვალწინ ეშლება მკითხველს ამ დიადი მოვლენის სხვადასხვა მომენტები.

არაკი სრულიად მარტივია. სოფელში „ეკზეკუცია“ უნდა ჩააყენონ, იმიტომ, რომ დარაჯს ყელი გამოჭრეს და მისი თოფ-იარაღი წაიღეს. მაგრამ ბოქაული წინადადებას აძლევს ხალხს წარმოადგინეთ დამნაშავე ორი საათის განმავლობაში, თუ გინდათ სასჯელი თავიდან აიცილოთო. სოფელი რომ აწიოკებას გადაარჩინოს, სოფლელი ახალგაზრდა ვანო ბრალს თავის თავზე მიიღებს და მასაც უდანაშაულოდ ჩამოახრჩობენ...

ეს სრულიად მარტივი და ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამ-ბავი იმ ხანისა ნიჭიერი ავტორის ხელში გადაიქცევა სარჩულად სო-ციალურ-ფსიქოლოგიური დრამისა, თუ გნებავთ ისტორიულ-ფსიქო-ლოგიური ტრაგედიისა. ჯერ ერთი, ვანო არაფერ შუაში არ არის იმ დანაშაულში, რომელიც სოფლელებს ედებათ ბრალად; დარაჯს ყელი გამოჭრა და თოფ-იარაღი მოპარა მეორე სოფლის ახალგაზრ-და გიგუამ, ვანოს ვითომდა მეგობარმა და ნათლიმამამ. და აი, ამ ფაქტის გარშემო თვალწინ გადაგვეშლება ორგვარი გმირის სულის-კვეთება, ვინაიდან ვანოცა და გიგუაც „შეგნებული ამხანაგები" გახლავთ. ამ ორი ადამიანის ფსიქოლოგიის დახასიათება წინ აღგვი-მართავს და ნათელს გვიყოფს ავტორის ისტორიულ-სოციალურ შე-ხედულებას ამ ეპოქის შესახებ.

ნამდვილ და საღ მსჯელობად უეჭველად ის უნდა დავსახოთ, რომელიც ცალმხრივი არ არის, რომელიც არ ცდილობს მოვლენის ერთი რომელიმე უურე გაანათოს, ან მისი ნათელი მხარე გაადიდოს, ან ბნელ მხარეს გადაჭარბებული მნიშვნელობა მისცეს; და აი, სწო-რედ ამ ნიადაგზე დგას ჩვენი ავტორი. ავტორი გვიჩვენებს სინამ-დვილეს უტყუარს. მისი ნაწარმოებიდან ჩვენ შემდეგი აზრი გამოგ-ვაქვს: ყოველი საზოგადოებრივი არაჩვეულებრივი მდგომარეობა ძლევამოსილია და თავზარდამცემი. იგი თავისებური იარაა, საზოგა-დოების ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგი. იარა სასიკვდილო არ არის, ვინაიდან ავადმყოფს, გახრწნილების ნიშანთან ერთად, ხში-რად სიცოცხლის ნიშნებიცა აქვს და ორგანიზმის ძლევამოსილება-ზეა დამოკიდებული გადარჩენა ან დაღუპვა.

ავადმყოფი სხეული, რასაკვირველია, ავრცელებს გარშემო ყოველივე სიდუხჭირეს, რაც კი ავადმყოფობასა სდევს; და აი ამ-გვარ ავადმყოფ საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ისეთი შვილები, რო-გორიც გიგუაა.

გიგუა პირუტყვია. იგი პირადი განცხრომისა და პირადი სიამოვ-ნების მეტს არას დაგიდევს. მისი ღმერთი პირადობაა, პირადი სია-მოვნების დაკმაყოფილება. იგი გაცრცვნილია ყოველგვარი ადამია-ნური გრძნობისაგან. მას მეგობრობა პირად სასარგებლო იარაღად მიაჩნია, მეტად არაფრად. ამიტომაც, თავის მეგობარ ვანოს საყვა-რელ ქალს გულიდან მოაგლეჯს და თვით შეირთავს. ამაში ჩანს ისიც, რომ იგი ყოველგვარ კეთილშობილებასაა მოკლებული: ირ-თავს ქალს მისი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ, და ისიც იმ დრო-

ში, როცა თავბრუდამხვევი თავისუფლების აზრებით იყო ყველა გატაცებული და დამთვრალი, და რომელსაც თვით წარამარა ქადაგებდა.

გასაკვირველი და გასაოცარი იქნებოდა, რომ დასნეულებულ ავადმყოფ საზოგადოებრივ ორგანიზმს ისეთი ბაცილები არ წარმოეშვა, ისეთი შხამი არ დაენთხია, როგორიც გიგუაა, მაგრამ ხშირად კრიზისი ორგანიზმისა გაუმჯობესების მომასწავებელია, და ამის დამამტკიცებელი საბუთი ვანოსთანა შვილებია ხალხისა.

ვანო კი სულით სპეტაკია, გრძნობა მაღალი, ღვთაებრივობით აღბეჭდილი ადამიანი. ის თავგანწირული მიჯნურია, მეგობრისთვის სიცოცხლის ადვილად დამთმობი, ცხოვრობს საზოგადოებისათვის... მისთვის არ არსებობს არავითარი პირადი, კერძო საქმეშიაც კი იგი სხვისი მსხვერპლია და საზოგადოების ინტერესების თავდაუზოგავი მოსარჩლე. მეგობრისთვის იგი დათმობს თავის სიყვარულს, იგი დათმობს თავის ლამაზ და ძალღონით აღსავსე სიცოცხლეს ამავე მეგობრისა და საზოგადოებისთვის. რამდენადაც გიგუა თავაშვებული პირუტყვია, იმდენად ვანო ფაქიზი და წმინდაა, რამდენად გიგუა ტლანქი და ურჩი, ბრიყვი და ხეპრეა, იმდენად ვანო ნაზი და წრფელი, გულჩვილი და თანაც რაინდია. იგი რომანტიკოსია და არც შეიძლება არ იყოს ასეთი, ვინაიდან ქვეყანას თავისი წმინდა არსების თვალით ხედავს და ქვეყანა ანგელოზთა საბუდრად მიაჩნია. იგი რომანტიკოსია, რომლის უდიადესი იდეალები დამარცხდნენ და ამ დამარცხებამ სიცოცხლე მოუსპო და სასოება წარუწყმინდა. მას მეგობრობა წმინდა საქმედ მიაჩნდა... „რას იტყვი შენა, — ეუბნება ის თავის ამხანაგ მიხას, — რომ საუკეთესო ძმამ, ამხანაგმა, იმ კაცმა, რომელიც პატიოსნებით სავსე გეგონა, შენი ნდობა დაკარგოს, სულ სხვა კაცად გეჩვენოს...“ ი. გედევანიშვილის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს იგი, რომ ორივე მხარე, ორივე მოქმედი პირი განმათავისუფლებელი მოძრაობის ორნაირი ჯგუფისა, ასეთი სინათლით გაგვიშუქა და ასეთი სიცხადით თვალწინ დაგვიყენა. „შენ, შენ და სულ შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი წმინდა საქმე, შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი ერთობა“..., — ეუბნება გაცხარებული მიხა გიგუას. „წმინდა საქმის“ მოციქულობა ვანოსთანებს ერგო და მათ შეაყვარეს, შეასისხლხორცებინეს ხალხს „ერთობა“. გიგუასთანა ვაებატონებმა იკისრეს „წმინდა საქმის“ გამცემლობა, იუდობა და კიდევაც დაღუპეს იგი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თუ დამპალი

სხეული მარტო ისეთ ნაყოფს უნდა იძლეოდეს, როგორც ვანოა, მაშინ საზოგადოებრივი გახრწნილება იქნებოდა კაცობრიობის იდეალი, და ეს ხომ წინააღმდეგი იქნებოდა ლოღიკისა და მეცნიერებისა, სიცოცხლისა და მშვენიერებისა. ხოლო რაც უნდა ავადმყოფი იყოს საზოგადოება და ერი, რანაირ კრიზისსაც არ უნდა განიცდიდეს, თუკი მას ძალუძს ვანოსთანა ადამიანების შექმნა, მისი გამრთელება, გარდაბადება, მორჩენა — ყოველ ეჭვს გარეშეა, რაც უნდა ხანგრძლივი არ იყოს ავადმყოფობის პერიოდი. ავტორმა დიდი ნიჭით, ღრმა დაკვირვებით აღნიშნა ეს ორმაგი მიმართულება, მისი ნათელი და ბნელი მხარე, მისი მარცხენა და მარჯვენა მხარე, მის მონაწილეთა შორის კეთილისმყოფელთა და ბოროტისმოქმედთა ტიპიური თვისებანი და თვალწინ გადაგვიშალა დიადი მოვლენის სურათი და ისე საღად, ისე მარტივად, ისე ნათლად გვაგრძნობინა მთელი მოვლენის სიგრძე-სიგანე, სიღრმე და ძლიერება, რომ გაკვირვებული და აღტაცებულიც კი ხარ მწერლის ხელოვნებით. მაგრამ რამდენადაც შინაარსი, აზრი, ფილოსოფია და, თუ გნებავთ, სოციალური მეცნიერება ღრმად და ხელოვნების მხრივ უმწიკვლოდ აქვს გამოხატული ავტორს, იმდენად ტექნიკა დრამისა სუსტია. სუსტია იმიტომ, რომ შუაში ჩაჩხირული აქვს მეორე მოქმედება, რომელიც, ჩემის აზრით, ზედმეტია სრულიად. მართალია, ცხოვრებიდან ამოღებული სურათია, სინამდვილის ცოცხალი ნაფლეთია ეს სცენა, მაგრამ მიბლანდულია ბამბის ძაფით მთელ დრამასთან, სავსეა ეგრეთ წოდებული იაფი ეფექტებით (მრავალჟამიერ და ნატოს ტირილი, ქეიფი და ვანოს შეშლილი დედის ისტერიკები). დრამა თავისთავად მეტად ძლიერია, მეტად ღრმად მოფიქრებული და აღსრულებული, ამიტომ ასეთ სასცენო ეფექტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ის შთაბეჭდილებას აცუდებს და თავის მიზანს ვერ აღწევს. სრულიად საკმარისია ვანოს დედის სულიერი მდგომარეობის დასასურათებლად ის პატარა სცენა, რომელიც თავზარდამცემ შთაბეჭდილებას იწვევს მაყურებლებში:

გიგუა (ნატოს)... მიეცი?

ნატო. არ აიღო.

გიგუა. რატომ? არ გესმის, რო გეუბნები (ადგება და მიუახლოვდება) თქვი რაღა...

ნატო. ნუ მეკითხები, ... სჯობს, რომ არა გითხრა-რა...

გიგუა. თქვი, თქვი მეთქი.

ნატო. შენ ეგრე გინდა, და აჰა! სისხლის სუნი უდისო.

და შემდეგ ნატო აუხსნის, რომ ვანოს დედამ ფული არ მიიღო, ცოტა ჭკუაზე სრულად არ არისო და სხვა; ეს სიტყვები — „სისხლის სუნი უდის“ — ჭკუაზე შემცდარი ადამიანისგან წამოსროლილი, რაღაც უცნაურია, საბედისწერო განსჯაა გიგუასი, შეუბრალებელი ვით ბედისწერა, და ულმობელი ვით გარდუვალი კანონი ბუნებისა და ცხოვრებისა. და აი, ასეთი უბრალო ხელოვნურის ხერხით ავტორი დიდსა და განუსაზღვრელ აზრებსა და ფიქრებს გამოიწვევს ჩვენში. რაღა საჭიროა ისეთი ტლანქი ხერხი, როგორც გადარეულ დედაკაცის შემოჭრა ქეიფისა და ლოთობის დროს... ზოგადად, მანერა მწერლისა აღსანიშნავია; აღსანიშნავია და უაღრესად საყურადღებო ის, რომ ი. გედევანიშვილი სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებით, ორიოდე ფრაზით მთელი სულის ვითარებას, ღრმასა და ტრაგიკულს, თვალწინ გადაგვიშლის. ამგვარია ვანოს ბაასი მიხასთან მისი იმედების გაცრუებისა და სასოწარკვეთილების შესახებ.

„ხომ იცი... — ეუბნება ვანო მიხას, — ჩემი სიცოცხლე გათავებულია. ერთ დროს ბედი თითქოს მიცინოდა... გული მაგრად მიცემდა, ქვეყანა მიყვარდა... მეგონა, ჩემზე ბედნიერი არავინაა... შენ იცი, და არც არა დამიმალია რა შენთან... შენ იცი როგორ მიყვარდა ის გოგო, როგორ დავკანკალებდი... დამიწუნეს,... სხვა აირჩიეს... და დამიბნელდა სინათლე. აღარა მესმოდა რა, აღარას ვხედავდი. მაგრამ იელა ცამ, გაისმა ქუხილი, შეინძრა დედამიწა, ტირილი, გოდება, ხალხის გამარჯვების ხმად გადაიქცა. გაიღვიძა ხალხმა, გამეღვიძა მეცა. დამავიწყდა ჩემი თავი, ჩემი წვალება... და მეც ერთობამ გამიტაცა. გახსოვს ის სტუდენტი, კნიაზიანთსა რომ დაიარებოდა, როგორ გვიხსნიდა ყველაფერს... მეგონა, მოვიდა ჩვენი დრო... და მეც გავემკლავე... ვმუშაობდი საერთო საქმისთვის, ვიბრძოდი... მაგრამ ყველას და მეც ბედმა გვიმტყუნა... დავმარცხდით. და უფრო მეტად ჩვენ თვითონ დავეცით სულით და ხორცით... მზე დაგვიბნელდა... ხალხი უფრო დაბეჩავდა... გამიტყდა მეც გული... ორ ხატს ვლოცულობდი, — ორივემ ზურგი ამიქცია... რაღა დამრჩენია? განა ჩემი სიცოცხლე — სიცოცხლეა!.. ვის რათ ვუნდივარ, ან რაღას მოველი? მე რომ წილი მრგებოდა დღეს, ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა... და შემდეგ... ნუ, ნუ დაჰკარგავ იმედს, ძნელია

იმედის დაჰკარგვა... სჯობს ისევ ჯერ სიცოცხლე დაკარგო... არ ვიცი, რა მემართება... მაგრამ ვგრძნობ, ჩემთვის ყველაფერი გათავდა... რას იტყვი შენა, რომ საუკეთესო ძმამ, ამხანაგმა, იმ კაცმა, რომელიც პატიოსნებით სავსე გეგონა, შენი ნდობა დაჰკარგოს, სულ სხვა კაცად გეჩვენოს...“

ამ რამდენიმე სიტყვაში მთელი ტრაგედიაა სულისა. ჯერ სიყვარულის გაცუდება... მერე საზოგადო იდეალების გაცამტვერება... შემდეგ მეგობრის ღალატი, აქაც იმალება ადამიანური ახსნა ვანოს საშინელი თავგანწირულებისა. „მე რომ წილი მრგებოდა დღეს, ჩემთვის ბედნიერება იქნებოდაო“... იმიტომ, რომ მისთვის სიცოცხლემ ფასი დაჰკარგა, იმიტომ, რომ ცხოვრებაში მან ღალატისა და ვერაგობის მეტი ვერა ნახა რა. აქედან სასოების წარკვეთა, იმედის წაწყმედა. აქედან სიცოცხლის უარყოფა და სიცოცხლის წყურვილი. რასაკვირველია, მარტო და მხოლოდ ამით, პირადი განწყობილებით როდი აიხსნება ისეთი დიადი ნაბიჯი, როგორიც ვანოს თავგანწირულებაა. რასაკვირველია, მისი საზოგადოებრივი ძლიერი ინსტინქტი, მისი საზოგადოებრივი მიდრეკილება, რომ არ ყოფილიყო პირად უბედურებას კიდევ გაუძლებდა ოცი წლის ჯანსაღი, მშვენიერი ყმაწვილი, მაგრამ ერთიმეორესთან გადაბმული და შეზავებული ორივე ძალა იწვევს იმ მოწამებრივ მსხვერპლს, რომელიც ქედს გვახრევინებს ვანოს წინაშე.

ამნაირადვე სავსებითა და ღრმადა აქვს გიგუას სულის ვითარება აღნუსხული ავტორს. გიგუა, ვანოს ჩამოხრჩობის შემდეგ, სიცოცხლე გაწამებულია. მაგრამ ამ ტანჯვაში უფრო ბევრია შური და ხარბობა, ვიდრე სინდისის ქენჯნა „საუკეთესო ძმის“ ვერაგულად ღალატის გამო: „არც დღისით, არც ღამით მოსვენება არა მაქვს... რაღაც მემართება... თავი ლამის არი გასკდეს.:: ვისაც კი შევხვდები, ვინც კი მელაპარაკება... ყველგან იმის სახელი ისმის... იმას ლოცულობენ, აქებენ, ადიდებენ, აღმერთებენ... მთელი დღე დავეთრევი. ღამე ვერ დამიძინია... წუხელ ძილში ნატო სულ იმის სახელს იხსენიებდა... მაგრა ეძინა... ორჯერ, სამჯერ დაიძახა, რაღაც ღიმილი ემჩნეოდა, თითქო სიტკბოებას გრძნობდაო. რატომ არ დავკარ მაშინ შიგ გულში დანა?“

თქმა არ უნდა, იმგვარი საქციელი გიგუასი, რომელმაც ვანო სახრჩობელაზე მიიყვანა, თვით უსაშინელეს ბოროტმოქმედსაც კი აღუძრავს გულში ტანჯვას. მაგრამ ავტორი ამაშიც დიდ გამჭრიახო-

ბას გვიჩვენებს, როცა გიგუას ტანჯვას გვიხსნის უფრო პირადი, კერძო მოტივებით. მას მოსვენებას არ აძლევს ის, რომ ვანოს სახელს ყველა მოწიწებით იხსენიებს, როგორც წმინდანის სახელს, მისი ცოლიც კი ერთადერთ ნეტარებას განიცდის, თუ სიზმრად ვანო მოელანდება. და აი, ეპვითა და შურით შეპმულ ადამიანს ერთ დღეს ბრაზი მოუვლის და ნატოს დანას დასცემს რამდენიმე ადგილს და სიცოცხლეს გამოასალმებს. მისი „მოღვაწეობა“ თვალწინ გადაეშლება ხალხს.

ვიმეორებთ, პირველი და მესამე მოქმედება შეიცავს მთელ დრამას, მთელ დიდ ტრაგედიას, რომელიც მრავალფეროვანია და მრავალმხრივი. მეორე კი სწორედ სცენაა უხერხული, იმდენად ტლანქი და უშნო, რამდენადაც პირველი და მესამე — ხელოვნური. როგორღაც ჩაჩხირულია ეს მეორე მოქმედება, ვითომ კონტრასტების გულისათვის, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, მეტისმეტი ჩლუნგი ეფექტებია ნახმარი. თუ ამ სცენას რაიმე მნიშვნელობა აქვს ეს ის, რომ ჩვენებური თავადობის (უმეტესობის) სურათს გვაძლევს, გვიჩვენებს რა გზას ადგა ეს თავადობა მაშინ, როდესაც ქვეყანა ასეთ სატანჯველს განიცდიდა. მაგრამ ეს ინტერესი ვერ გამოისყიდის მას, რომ ეს სცენა მიწებებულია უშნოდ მთელ დრამაზე.

დასასრულ, არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო ჩვენი დრამატიული დასის დიდი ღირსებები ამ პიესის შესრულებაში. მე უკვე მოვიხსენიე, რომ ჩვენი სცენა განიცდის ერთგვარ ევოლუციას, განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე დგას. ასე ვთქვათ, „მხატვრული“ წარმოდგენების აუცილებლობა იგრძნო და, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ამ მიზნის განხორციელებას: აქედან მშვენიერი ანსამბლი, პიესის ყოველი ადგილის მხატვრული გამოსახვა. ერთ-ერთ სამაგალითო წარმოდგენად ამ მხრით უნდა ჩაითვალოს ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. უპირველესად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინებულად იყო წარმოდგენილი ეგრეთ წოდებული მასიური სცენები. ამ სცენების განხორციელებაში რეჟისორს (ვ. გუნიას) ბევრი ცოდნა და შრომა შეუტანია და მშვენიერი შედეგისთვისაც მიუღწევია. ამ მხრივ წარმოდგენა სწორედ საგანგებო იყო. გარდა ამისა, მშვენივრად უგრძვნია რეჟისორს მეორე მოქმედების უადგილობა და ყოველი ღონე დაუხარჯავს ამ მოქმედებისათვის თავისი ადგილი მიეჩნია... ერთი გაბედული ნაბიჯიც რომ წარსდგას რეჟისორმა და სინჯოს ამ მოქმედების მთლად გამოტო-

ვება, შესაძლოა ეს ყოველმხრივ ღირსეული პიესა თავის დონეზე იქ-ნეს დაყენებული. მაგრამ მე ჩემს მოსაზრებას ვამბობ. პიესა, რო-გორც ყოველი ნაწარმოები ნიჭიერი მწერლისა, ერთგვარი ინდივი-დუალობაა, რომელიც თავისი ღირსებითა და ნაკლულოვანებით მთე-ლია და განუყოფელი; ყოველ დამახინჯებასა და შეკრეჭას ამ ინდი-ვიდუალობისას შესაძლოა უარესი შედეგი მოჰყვეს.

ყოველ შემთხვევაში, სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ამგვარი ნაწარმოებით ჩვენი დრამატული ლიტერატურის გამდიდრებას. ამ-გვარი ნაწარმოები ჩვენი მწერლობისა და ამგვარი წარმოდგენები ჩვენი დრამატიული დასებისა იმედსა და სასოებას გვინერგავენ, რომ ქართული თეატრის მომავალი უზრუნველყოფილია.

ვე. მ. საფაროვ-აბაშიძის დღესასწაული

ჩვენ ყველას თვალები გვეცრემლებოდა ამ ბრწყინვალე დღეს, სული გვეხუთებოდა, რაღაც მძიმე ლოდივით გვაწვა გულზე.

„ეს უკანასკნელი გამოხმაურებაა ჩემი საზოგადოების მიმართ, რომელსაც ულმობელმა სენმა კარგა ხანია დამაშორა...“ გვიბრძანა იუბილარმა და გვაგრძნობინა, ჩვეულებრივი ნიჭითა და ხელოვნებით, მთელი ტრაგიზმი ასეთი იუბილეებისა.

მართლაც, ოცდაათი წელი, ორმოცდაათი წელი მთელი სიცოცხლეა კაცისა. ამ ხანში კაცი გემსახურათ, შეგწირათ რაც კი რამ იყო ძვირფასი და მშვენიერი მის ცხოვრებაში და ოცდაათი წლის, ორმოცდაათი წლის შემდეგ უკვე წელში გატეხილს, დასუსტებულს თქვენი სამსახურით მადლობას ეუბნებით. ეს მადლი ბედნიერებაა, ვითა ჯილდო ერთგულებისა და სამსახურისა, მაგრამ თანაც იგი ერთგვარი წერტილია, ერთგვარი გვირგვინია, რომლითაც სიცოცხლითვე ამკობთ იუბილარის არსების საუკეთესო ნაწილის საფლავს....

არტისტი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, მდიდარი და მრავალფეროვანი, ძლიერი და კეკლუცი, მოხდენილი და აღმაფრენი, შესწირა ქართულ სცენას, რომლისთვისაც სცენა იყო „აკვანი, საზოგადოების სიყვარული — მშობლების მკერდი“, — ეს არტისტი, ეს ადამიანი „სამუდამოდ გვეთხოვებოდა“ და, მართალი გითხრათ, ღრმა ტრაგედიულ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთ დეპეშაში სწერდნენ იუბილარს: ქართული სცენის მკვიდრი არსებობა ცხადჰყოფს თქვენი მოღვაწეობის ნაყოფიერებასაო.

ჭეშმარიტად, ქართული სცენის არსებობა თუ უზრუნველყოფილია, თუ ქართული სცენის საფუძველი კლდეზე არის აშენებული, ეს იმიტომ, რომ მასა ჰყავდა იუბილართან ერთად, ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე, ვლ. ალექსიევ-მესხიშვილი, — პირველხარისხოვანი პლანეტანი ჩვენი სცენისა. და არაერთხელ მითქვამს, არცერთ ქართველ მოღვაწეს იმდენი თავგანწირულება არ აღმოუჩენია, იმდენი მსხვერპლი არ მიუტანია სამშობლოსათვის რამდენიც ჩვენს არტისტებს. ჩვენი მწერლები, ასეა თუ ისე, ნივთიერად

შედარებით მაინც უზრუნველყოფილნი იყვნენ. ჩვენი არტისტები კი მშიერნი, მწყურვალნი თავს ევლებოდნენ, ვითა დედა-მშობელი, ჩვენს სცენას. მათი თავგანწირული ცხოვრების შედეგია ის, რომ თვით იუბილარი, თითქმის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უკვე სმენას მოკლებულია... 50-52 წელი არტისტისთვის არაფერია... ევროპის სცენაზე თითქმის ამ ხანაში იწყება არტისტის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ჩვენი არტისტი კი ამ ხანაში უთუოდ რაიმე სენით არის შეპყრობილი და სცენას თავი უნდა დაანებოს. ეს დიადი მსხვერპლი ჩვენი არტისტებისა გულში დამარხული უნდა გვქონდეს და ნიადაგ მადლობით აღსავსე უნდა იყოს ჩვენი გული. თუ ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის დღესასწაულმა სამგლოვიარო ელფერი მიიღო, უფრო კიდევ იმიტომ, რომ საზოგადოება თავის დანაშაულს გრძნობდა, იტანჯებოდა, რომ შეუძლებლობის, ზოგჯერ, დაუდევრობის, ზოგჯერ უყურადღებობის გამო ასეთ ნიჭიერ და ღონიერ არსებას ასე ადრე დაანებებინა სცენას თავი. ჩვენი სცენა რომ უკეთ ყოფილიყო მოწყობილი, ჩვენი არტისტები რომ უფრო კარგ მდგომარეობაში იყვნენ, ეჭვი არ არის, ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა კიდევ დიდხანს დაატკბობდა ჩვენს სმენას, კიდევ ხშირად აღგვიტაცებდა ბედნიერებისა და სიხარულის სამეფოში თავისი ხელოვნებით.

და ჩვენ სინანულის ცრემლებით გვევსებოდა თვალები, თანაც სიხარულიც იყო ამ ცრემლებში გარეული.

მართლაც, როგორ არ უნდა ეგრძნო ბედნიერება ადამიანს, როცა ჰხედავდა, რომ მისი ღვაწლი არ დაღუპულა, მისი მსხვერპლი არ დაკარგულა, რომ მისი თავგანწირულება ნაყოფიერია. და ამ დღეს სწორედ ეს უნდა ეგრძნო ყველას და ყველაზე უფრო თვით იუბილარს... გაჭედილი დარბაზი, ბრწყინვალე სცენა ქართული თეატრისა, განა შეეძლო ოდესმე ეფიქრა, რომ ამგვარ განვითარებას, ამგვარ გაზრდას ქართული თეატრისას თავისი თვალით ინახულებდა... და თან განიცდიდა უბედნიერეს წუთებს, რომელიც კი შეუძლია მიწის შვილმა განიცადოს ამ ქვეყნად: მადლობას ერისას გულწრფელსა და გულმხურვალეს, აღტაცებულს და სასოებით მოსილს; არა, ამაზე უბედნიერესი წამი არ არსებობს მისთვის, ვინც თავის სიცოცხლეს, თავის ნიჭს, თავის მთელ ძალასა და ღონეს სწირავს საქმეს საზოგადოსა და საეროს, და ჩვენ ვიცრემლებოდით. სინანულისა და ბედნიერების ცრემლები იყო ის ცრემლები... მადლობისა და სევდით მოვარაყებული იმედისა და სასოების ცრემლები იყო ის ცრემლები...

40 ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იყო ახალი პიესა ცნობილი ჩვენი დრამატურგის ნ. შიუკაშვილისა. სათეატრო დარბაზს სადღესასწაულო ელფერი ედვა და თეატრში თქვენ თითქმის ჩვენი თეატრის მოყვარულ მთელ საზოგადოებას ნახავდით. ამ დღეს ქ-ნი დავითაშვილის ბენეფისიც იყო და ეს, რასაკვირველია, დღესასწაულს ბრწყინვალებას მატებდა.

ნ. შიუკაშვილის პიესა კარგ შთაბეჭდილებას იწვევს მაყურებელში, თუმცა ვერ არის ტექნიკურად ისე შემუშავებული, როგორც ეს შეესაბამება „სიმახინჯეს“ ნიჭით აღბეჭდილ ავტორს. პირველმა ორმა მოქმედებამ ვერ მოახდინა მაყურებელზე საკმაოდ ძლიერი შთაბეჭდილება, თუმც დიდი ხელოვნებით არის დახატული მაქს შარაბიძე (ვ. შალიკაშვილი) და კალმის ერთი-ორი მოსმით გაცოცხლებულია გაქსუებული სარდიონი (დ. მგალობლიშვილი). სამაგიეროდ, დიდი და ძლიერი გავლენა იქონია მსმენელზე მესამე მოქმედებამ. უცნაური და იშვიათი მოვლენა ქალიშვილისაგან მამის შეყვარებისა, თუმც შვილმა ეს გარემოება არ იცის, ნიჭიერად დასურათებული გამოდგა და საზოგადოებაში თავზარდამცემი განწყობილება გამოიწვია. უფრო სუსტი გამოდგა მეოთხე მოქმედება. მეტად ბევრი დრამატიული ეფექტი დაუხარჯავს და ამან სრულიად საწინააღმდეგო გუნებაზე დააყენა საზოგადოება. უდიდესი დრამატიული მომენტია იქ, სადაც ფატალურ გარემოებათა ზეგავლენით ასეთი, ადამიანის გონებისგან ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტი მოხდა, როგორიც ციცინათელას აღგზნებული სიყვარულია ლევანის (მისი უცნობის მამის) მიმართ. ამის შემდეგ ყოველ ტრაგიკულ შემთხვევას ეფექტის ხასიათი უნდა მიეღო და ასეც მოხდა.

არაკი დრამისა შემდეგია: გაბრიელ საბედანიძეს (ვ. გუნია) ჰყავს ასული ბაბო (ქ-ნი დავითაშვილი) და შვილობილი ლევან მესხიშვილი (ვლ. ალექსი-მესხიშვილი). ბაბო და ლევანი დაძმურად არიან შეზრდილნი, მაგრამ სიყრმიდანვე მათ გულში ერთმანეთის წმინდა სიყვარულმა დაიბუდა, თუმცა თავის თავისთვისაც ვერ გა-

ემხილათ ეს მაღალი გრძნობა; უთუოდ ფიქრობდნენ, რომ წმინდა გრძნობაც კი შებღალვა იქნებოდა მათი ფორმალური, დაძმური კავშირისა. ბაბოს „გაათხოვებენ". ავტორი არ გვეუბნება როგორ მოხდა ეს „გათხოვება", მაგრამ შეიძლება ეს საჭიროც არ იყო, ვინაიდან კარგად ვიცით, რა პირობებში მოხდება ხოლმე ჩვენში 99% „გათხოვებისა". თვით სიტყვა „გათხოვება" არის ამ ინსტიტუტის საუკეთესო დამახასიათებელი: თითქო ნივთი იყოს ქალი, ისეთი ნივთი, რომლის განათხოვრებაც მის პატრონს არად უღირდეს. ამნაირად ამორჩეული ქმარი ბაბოს, რომლის გული ძლევამოსილი ეროსის ბინად იყო გადაქცეული, რასაკვირველია, უიმისოდაც ეჩოთირებოდა, მაგრამ ცეცხლს ნავთი გადაასხა მაქსმა, ამ ჯოჯოხეთში გაჩენილმა ურცხვმა და უსინდისო ავაზაკმა; მას თუ შერჩენია მედიდურება ხასიათისა, კიდევ იმიტომ, რომ ეს მედიდურება წარამარა ბაზარზე გასასყიდად გაეტანა. ლევანი მხატვარია, იგი დაბრუნდება და ბაბოსა და მისი სიყვარული აშკარა ხდება.

მეორე მოქმედებაში ვხედავთ, რომ ლევანსა და ბაბოს შორის სიყვარული თავის ბუნებრივ დასკვნამდე მისულა, მათ უკვე პატარა ასული ჰყავთ — ციცინათელა. ბაბოსათვის დღითიდღე აუტანელი ხდება მის ქმართან ცხოვრება; გარემოებაც ხელს უწყობს. მას გაუფლანგავს ხაზინის ფული 12000 მან. ბაბოს სულის განწყობილებით სარგებლობს და ფულების შოვნას მოთხოვს, თუნდაც ამისთვის მისი მეგობრის, მისი შესაფერისი ამქარის — სარდიონის (დ. მგალობლიშვილის) ჟინი აღასრულოს და მას მიჰყიდოს თავი. საბედნიეროდ ბაბოს ეს არა სჭირდება, რადგან თვით შეძლებული ქალია და თავს და თავისუფლებას გამოისყიდის მაქსისაგან. ვაჭრობა შემდეგ ნიადაგზეა; მაქსს უნდა მისცეს ბაბომ ერთბაშად 15000 მან. 12000 ვითომ გაფლანგულის დასაფარავად, 3000—დალალობისათვის (და წელიწადში 2000 მან.) სამაგიეროდ, მაქსი ათავისუფლებს ბაბოს. ბაბო თანხმდება, ხოლო უბედურება ის არის, რომ ბაბოს მამამ ლევანისა და ბაბოს კავშირი არ იცის და რომ გაიგოს უთუოდ მეტად უბედური შეიქნება. მამისათვის ამ მწუხარების ასაცილებლად ლევანი და ბაბო პირობას შეჰკვრენ, რომ ძმურ კავშირს არ გადაცილდნენ. მესამე მოქმედებაში ლევანი და ბაბო, — თავისი მამით და ციცინათელათი, ცალკე ცხოვრობენ. იგინი თავის პირობებს ასრულებენ. მაგრამ ამ რომანიულ ატმოსფეროში აღზრდილ ციცინათელას, 16-17 წლის გაჰაეროვნებულ, საშინლად გამახვილებული

ნერვების პატრონს, შეუყვარდება ლევანი, — თავისი მამა. თავისთავად ცხადია, რომ ეს ამბავი არც ბაბოს მამამ იცის და არც ბაბოს შვილმა ციცინათელამ. იმ სცენამ, როცა ციცინათელა თავისი გულის ნადებს უმეღავნებს ლევანს, საზოგადოებას თავზარი დასცა და მეტად დიდი ტრაგიკული განწყობილება გამოიწვია. პირველ ორ სცენაში მკრთალად და როგორღაც უგულოდ თამაშობდა დავითაშვილის ასული და ვ. მესხიშვილი. აქ კი ნამდვილი ტრაგიკული ექსტაზით გაჟღენთილნი თამაშობდნენ. მომხიბლავი იყო მესხიშვილის მიმიკა, მისი პლასტიკა ციცინათელას აღსარების მოსმენის დროს, წრფელი ვაებით აღსავსე იყო ქ-ნი დავითაშვილის გოდება ამ უბედურების გაგების შემდეგ: ძალიან ძლიერი პასაჟი იყო ის ადგილი, როცა ლევანს საყვედურით მიმართავს ბაბო, რად არ იხმარე ჩემზე ძალა, სუსტ ქმნილებაზე ძლიერმა, რად არ მაყოლე კიდევ შვილები, რად არ გამოააშკარავე ჩვენი გრძნობები სინათლეზე, რომ ეს უბედურება არ დაგვტეხოდა თავზედო.

ლევანს მეტი აღარა დარჩენია რა, რომ სახლიდან წასულიყო. მეოთხე მოქმედება გვამცნობს, რომ ლევანი ბარიკადებზე იბრძვის (რევოლუციის ხანაა) და იქ იგემებს სიკვდილს, კატასტროფიდან თავის დასახსნელად. „გახულიგნებული“ მაქსი, „ბოსიაკად“ ქცეული, შემოიჭრება სახლში და უკანასკნელი შხამით აავსებს ამ ტანჯვის სადგურს: ციცინათელასა და ბაბოს მამას ყველაფერს გააგებინებს, მამას დამბლა დაეცემა და მოკვდება, ხოლო ციცნათელა ჭკუაზე შეცდება.

ლევანის სიკვდილი ბარიკადებზე, ბაბოს მამის დამბლის დაცემა. ციცინათელას ჭკუაზე შეცდენა, მეტად ნამეტანია, მეტად ბევრი დრამატიული ხერხია, და ამან საზოგადოება სრულიად გულცივად დატოვა. იგი მესამე მოქმედების ძლიერი კატასტროფის გავლენის ქვეშ იყო, ყოველივე შემდეგი უბედურება ზედმეტად და სუსტ მოვლენად მიაჩნდა. მეოთხე მოქმედება ამ მხრით სუსტად უნა ჩაითვალოს, თითქმის ზედმეტად, ის მთელ შთაბეჭდილებას აფუჭებს. დღევანდელ დრამებში შინაგან ტრაგიზმს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და გარეგანი ეფექტები თითქმის ეჩოთირება კიდევაც ადამიანს.

რაც შეეხება დრამის აღსრულებას, უნდა სრული და დიდი სიამოვნება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ჩვენი სცენა მხატვრული თეატრის პრინციპებს თანდათან ითვისებს. თავიდან ბოლომდე პიესა კარგად იყო აღსრულებული; საუცხოოდმეთქი ვიტყოდი, რომ ჩვენს

თეატრში სუფლიორი აღარ არსებობდეს, და რომ მისი აუცილებლობა ასე არ დამჩნეოდათ ქ-ნ დავითაშვილისას და ვ. მესხიშვილსაც პირველ ორ მოქმედებაში. სუფლიორი ჩვენი სცენიდან უნდა განიდევნოს, ეს არქაული დაწესებულებაა, რომელსაც ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს სცენაზე.

ვ. მესხიშვილი შეუდარებელი იყო მესამე მოქმედებაში, მაგრამ სუსტი — პირველ ორში, ვინაიდან როლი არ იცოდა მტკიცედ. მესხიშვილი ფასდაუდებელი არტისტია, დიდი ნიჭის, დიდი არტისტული ტემპერამენტის პატრონი, მაგრამ როლის უცოდინარობა სენადა სჭირს, სამწუხაროდ. და თუ აქამდე ეს ჩვენ სცენაზე იოლად მიდიოდა, დღეს უკვე მოუთმენელია. და თუ მესხიშვილს მაინც აღტაცებაში მოვყავართ, ეს მისი შეუდარებელი ნიჭის ბრალია, რომელიც, რასაკვირველია, თაყვანსაცემია. ცოტა შრომა, ცოტა სიბეჯითე და იგი ახალ მოთხოვნილებასაც ანგარიშს გაუწევს და პიესის შთაბეჭდილების მთლიანობას არ შეაფერხებს.

ქ-ნი დავითაშვილისა ჩინებული იყო მესამე მოქმედებაში, მაგრამ პირველ ორში — სუსტი. მთელ გრძნობას მარტო ქშენით ხატავდა, რაც სრულიად აღარ არის ეხლანდელი თეატრისათვის შესაფერი.

ტასო აბაშიძის ასულმა საუცხოოდ გადმოგვცა უცნაურ ატმოსფეროში აღზრდილი ქალიშვილის განცდები. ეს ატმოსფერო გაჟღენთილი იყო დაუკმაყოფილებელი სიყვარულითა და თავგანწირულებით. იქ ცხოვრებას ეომებოდნენ და რაღაც განყენებული, იდეალური ჰაერი უნდა დაემკვიდრებიათ. აქ ოცნებას ჰქონდა ადგილი და ხორცი ნიადაგ დევნასა და დატუქსვაში იყო, რამაც ნაყოფად „ციცინათელა“ შექმნა, — ეს გულუბრყვილო, ხორცშესხმული ოცნება, ლანდადქცეული სიყვარული, არანორმალურად აღტაცებული არტისტული ბუნება... ქ-ნმა ტ. აბაშიძისამ უტყუარი ხელოვნებით ხორცშესხმულ არსებად აქცია ეს პირადობა და ფრიად რთული მოქმედი პირი თავის ნიჭით გააშუქა.

გაბრიელ საბედანიძე (გუნია) თავის ადგილზე იყო, ორ უკანასკნელ მოქმედებაში საჭირო არ იყო ნამეტანი ძიგძიგი ხელ-ფეხისა, რადგან ამით არ გამოიხატება მაინცა და მაინც მოხუცებულობა, და არც თუ ისე მოხუცებული გახლდათ სიძე (ანიძე). რა მშვენიერი არტისტია ვ. შალიკაშვილი. აი ნამდვილად მხატვრული აღმსრულებელი თავისი როლისა.. ერთი წუთიც მას არ უღალატნია ხელოვნებისათვის და სცენაზე პირველი გამოსვლისთანავე მოხიბლა საზოგადო-

ება. ეს არტისტი ჩვენს არტისტთა ახალ ტიპს ეკუთვნის, და თუ ქება-დიდებაზე ტახტი არ დაიდგა და არ განისვენა, როგორც ჩვეულებადა აქვს ქართველს, მწერალია იგი, საზოგადო მოღვაწე თუ არტისტი, ჩვენის სცენისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება. ყოველი-ვე წვრილმანს, ყოველივე დეტალს უკვირდება, და შეგნებით გად-მოგვცემს ხოლმე. მაქსის გაიძვერა, ბოროტებით აღსავსე ტიპი, არა თუ წინ დაგვიყენა, არამედ გვაგრძნობინა კიდეც მთელი ჩვენი არ-სებით. მაგრამ თვით კი ერთი წუთითაც, თვით „ბოსიაკობის“ დრო-საც არ უღალატნია იმ მედიდურებისა და სიამაყისათვის, რომელიც ძალიან იაფ-ფასიანია, მაგრამ, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ამისთანა ვაჟბატონებს.

აუცილებელია მხოლოდ ვ. შალიკაშვილმა ლაპარაკის კილო შე-იცვალოს. ხანდახან უქცევს ხოლმე კილოს, დაკრავს ხოლმე „იმე-რული“, რაც შეუწყნარებელია. ქართულ სცენაზე მარტო ქართული კილო უნდა იყოს გამეფებული, იგი საუკეთესო სკოლა უნდა იყოს ენისა და საუბრისა.

ახალი ტიპის არტისტს ეკუთვნის დ. მგალობლიშვილიც, რომელ-მაც ცოცხლად ჩაატარა თავისი როლი და რამდენიმე მონახაზით თვალწინ დაგვიყენა, ვერაგი მოქეიფე და ყოველივე ამქვეყნიური ბიწიერების მსუნაგი მოტრფიალე. მხატვრული შთაბეჭდილების მთლიანობას სავსებით იცავდნენ და ხელს უწყობდნენ ქ-ნი შოთაძისა და ბ-ნი ჟივიძე.

აი ამ, როგორც ეძახიან, მეორეხარისხოვანი როლის აღსრულება-ში ჩანს ჩვენი თეატრის წარმატება. ვინ ნახავდა უწინ ასეთ როლებს ასე ჩინებულად აღსრულებულს. ამგვარი როლების მხატვრული აღ-სრულება კი დიდად შველის და მეტად ძვირფასია პიესის მთლიანო-ბის შთაბეჭდილებისთვის. ამგვარად აღსრულებული პიესები ჩვენ სრულ და საფუძვლიან იმედს გვაძლევენ, რომ ხელოვნურად და მხურ-ვალედ აღსრულება პიესებისა ჩვენ სცენაზე არა თუ შესაძლებელია, ფაქტიურად უკვე ხდება და მალე განმტკიცდება კიდევაც.

ეგრეთ წოდებული მიზანსცენები, სცენის მოწყობილობა შეე-ფერებოდა მშვენივრად აღსრულებულ პიესას. მაგრამ ერთი შეცდო-მა მოუვიდა რეჟისორს: პირველსა და მეორე მოქმედებაში თითქმის ორი წელი გადის და ერთი სკამიც კი არ იყო ადგილგადანაცვლებუ-ლი....

41. ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანის დაბადებიდან ასი წლის თავი

ქართველები მაინცა და მაინც მდიდრები არა ვართ მწერლებით. მწერალთა რიცხვი მცირე გვყავს.

მართალია, ამ მცირერიცხოვან მწერალთ თავში უდგას რუსთაველი, — გენიოსი ისეთი, როგორც ჰომიროსი, გინდ შექსპირი; მართალია, მას მხარს უმშვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ღა აკაკი, მაგრამ მაინც მცირეა რიცხვი ჩვენ მწერალთა.

მცირე, ვით რიცხვი ჩვენი ერისა...

მშვენიერია ეს მცირერიცხოვანი გუნდი — ვით ჩვენი პატარა ერი, ვით ჩვენი თვალწარმტაცი სამშობლო.

მრავალტანჯვისა და უბედურების გადამტანია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მის დროშაზე ყოველთვის ერთი მცნება ეწერა: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“, და ეს დროშა ხელიდან თავის დღეში არ გაუგდია.

და დღევანდლამდე მოვაღწიეთ.

მრავალ მტერს ჩვენი ქვეყნისას საკმაოდ აზღვევინა ისტორიული აუცილებლობის განგებამ ის ზარალი, ის უსამართლობა, რომელიც ჩვენ მოგვაყენა წარსულში...

მომავალში სხვანიც უსათუოდ განიცდიან მასვე. ასეთია კანონი ცხოვრებისა...

ჩვენი სულიერი ძლიერების გამომსახველი და შემნახველი ჩვენი მწერლობაა!

უმადურნი ვართ ჩვენი მწერლების წინაშე:

სიცოცხლეში ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, შიმშილი, წყურვილი და შუბლში ტყვია, დამარხვის დღეს — სიტყვები, ვარდისა და ია, ვერცხლის გვირგვინები.

მეცხრე დღეს ადამიანსაც აღარ ახსოვს... ასი წლის შემდეგ კი ისეთი მოცლილი ვინ იქნება იგინი გაიხსენოს.

აი, გ. ერისთავი ჩვენი თეატრის დამფუძნებელი და შემქმნელი, ახალი მიმართულების დამამკვიდრებელი ჩვენს მწერლობაში, წინა

დღით გავიხსენეთ. თ. ვახტანგ ჯ. ორბელიანის დაბადებიდან ასი წლის თავია ხუთ აპრილს; ნუთუ მის შესახებაც ასე უნდა მოვიქცეთ?

თ. ვახტანგ ორბელიანი დიდად საყურადღებოა, არა თუ როგორც მწერალი, არამედ როგორც ადამიანი, საზოგადო მოღვაწე.

ეს ერთი პირველ მერცხალთაგანია, რომელმაც გვამცნო მიძინებული ერის გამოფხიზლება.

გვამცნო, თვითაც იგრძნო და ეს გრძნობა მოქმედებით გამოხატა, წამება და ტანჯვა მიიღო თავისი რწმენის გამო.

ჩვენშიაც იყვნენ ერთგვარი „დეკაბრისტები", ჩვენს ნიადაგზე აღმოცენებულნი და აღზრდილნი.

თ. ვახტანგ ორბელიანი ერთი მათგანი იყო.

როგორც მწერალი, თ. ვახტანგ ორბელიანი „მამულის სიყვარულის მადლით მოსილი პოეტია",—როგორც ამბობს ილია ვახტანგის მშვენიერ ბიოგრაფიაში. „ამ გზაზედ (მამულის სიყვარულის) ისე გადუხვევლად, ისე სისწორივ ჩვენში არც ერთ პოეტს არ უვლია, როგორც თ. ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულ სიყვარულისა მამულიშვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი. იგი წარსული უყვარს როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის: „დიდს წარსულს დიდი მომავალიც ექმნება"—ამბობს იგი". ილიას სიტყვებით ვათავებთ ჩვენს წერილს. ასეთი ადამიანი ღირსია მისი, რომ ას წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ.

ჩვენ გრძნობათა წასაქეზებელია ეს გახსენება, თორემ სიკვდილის მერე გახსენება რა უნდა იყოს იმ კაცისათვის, რომელიც სიცოცხლის დასასრულს გულდამშვიდებით ელოდა მარად-ჟამს:

„მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემ რიგსა
სოფლისგან გულით დაწყლულებული

. . . . . .

სხვას არას ველი,
არავის ვწყევლი
თუმცა ამ სოფელს არცა რას ვლოცავ,
მაგრამ კი შენთვის
და სამშობლოსთვის
იმ დიდ კარს წინა ცრემლით ვილოცავ"

42. სიტყვა სუნდუკიანცის დასაფლავებაზე

აჰა კიდევ ერთი გვერდი უმოწყალო სიკვდილის იმ წიგნიდან ამოხეული, რომელიც საუკუნეებისაგან არის შეკინძული, თუმც საბედისწერო გარემოებისაგან შელახულია. ეს წიგნი ორ მოძმე ერთა საერთო კულტურული მოღვაწეობის მაუწყებელია და ზედ ოქროს ვარაყით აწერია: „ქართველ-სომეხთა ღვაწლი ამიერ-კავკასიის საზოგადო კულტურისათვის". ორ მოძმე ერთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი ხანია ყინულის ქვეშ არის შესუდრული; სულის შემხუთავი ატმოსფერო არტყია მას გარს. მართალია, ასეთ მოშხამულ ჰაერში საზიზღარი ქვემძრომნი გამოცოცხლდებიან ხოლმე, რომელნიც სამარეს უთხრიან ორ მოძმე ერთა ურთიერთობას და ხელს უშლიან საუკუნეებით დაკანონებული, ისტორიული კანონიერებისაგან დაწესებული ძმობისა და ერთობის აუცილებლობას, მაგრამ აღსანიშნავია ის უეჭველი მოვლენაც, რომ, როგორც კი გაზაფხულის სიო ცოტათი მაინც გაალხობს ამ ყინულს და შეხუთულ ჰაერს განფანტავს, ორ ერთა საერთო, ძმური კულტურული მოღვაწეობის ინსტინქტი მძლავრად წამოიმართება და კეთილისა და სასარგებლო ნაყოფიერების უეჭველ საბუთებს თვალწინ აღგვიმართავს ხოლმე. ერთი ამგვარი ნიადაგი ორ მოძმე ერთა ერთსულოვანი მოქმედებისა და ამგვარი მოქმედების სარგებლიანობისა ჩვენ წინ უსულოდ მდებარე სუნდუკიანცი იყო. სწორედ იმ ხანაში, როდესაც პირველად თითქმის საუკუნის განმავლობაში ცხოველმყოფელი განახლების ზარმა დაჰკრა და ჩვენი ქვეყნის ზეგარდმო ნიჭით მიმადლებულ შვილებს საერო მოღვაწეობისათვის თავი მოუყარა, ბ-ნი სუნდუკიანციც მათ შორის იყო, ისიც მათთან ერთად ეწეოდა საზოგადო საქმეს, ცხოვრებისა და ქვეყნის წინამძღვრობის მძიმე უღელს სიამოვნებით ტვირთულობდა, და აი, მის პიროვნებაში ჩვენა გვყავს სამაგალითო და საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ რა ნაყოფიერია და რამდენად სანატრელი ორ მოძმე ერთა თანხმობითი მოღვაწეობა საერთო კულტურულ ნიადაგზე. სუნდუკიანცის სახელი თითქმის ისეთივე ცნობილია ქართველთა შორის, როგორც გ. ერისთავისა. სუნ-

დუკიანცის „პეპო“ და „ხათაბალა“ თითქმის ისეთივე ძვირფასია ქართველთათვის, როგორც „დავა“ და „გაყრა“. ქართველებს სუნდუკიანცი ქართველ მწერლად მიაჩნიათ, ბევრს ვერც კი დააჯერებთ, თუ „პეპო“ ქართულ ენაზე არ არის დაწერილი. თავის დღეში არ დამავიწყდება ის ღრმა გრძნობიერი სცენა, რომელიც ვნახე ერთხელ ქართულ თეატრში. საზოგადოებამ შეამჩნია ბ-ნი სუნდუკიანცი და ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით ოვაციები გაუმართა. ყოველთვის მშვიდსა და წყნარ სუნდუკიანცს ამ დროს მაინც ნეტარების უმაღლესი წუთები უნდა განეცადა. ეგოდენ საყვარელი იყო ბ-ნი სუნდუკიანცი ქართველებისათვის. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ დღეს ვერა ნახავთ ისეთ ქართველს, რომელმაც ანაბანა იცის, ან ოდესმე თეატრის კარები დაუნახავს, რომელიც ისეთივე სევდით არ იყოს აღსავსე, რომელიც იმდენადვე გულწყლული არ იყოს, როგორც ყოველი შეგნებული სომეხი.

ბ-ნი სუნდუკიანცის მომხიბვლელი ანდერძის ერთ ადგილს პირდაპირ სიმბოლიური წინასწარმეტყველების ბეჭედი აზის: „პეპოს“ დაუდგით ძეგლი, თუ ოდესმე ძეგლის დადგმა დამიპიროთო! დიახ, პეპოს — მშრომელი ხალხის შვილს. და ეს თითქო იმის მაჩვენებლად და აღსანიშნავად, რომ ორ მოძმე ერთა შორის საუკუნეებისაგან გაჭედილი ძველი ერთობა, ხელახლად შეუძლია აღადგინოს მხოლოდ ორ ერთა მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს. მათი ძლევამოსილი უკვდავი სულიდან გადმოხეთქს ის ნაკადული ერთობისა და ძმობისა, რომელსაც ვერავითარი ყინული ვერ შეაჩერებს და რომელიც ორ ერთა ცხოვრების ამაყვავებელი და გამაბედნიერებელი იქნება.

თავი მოვიხაროთ იმ ანდერძის წინაშე, რომელიც თავისი მოღვაწეობით განახორციელა ბ-ნმა სუნდუკიანცმა და რომელიც გვავალებს ისტორიულად შეკავშირებულ ორ მოძმე ერს ერთსულოვნად და ერთი გულით გავსწიოთ შრომა იმ მშვენიერი ქვეყნის განახლებისათვის, რომელიც განგებამ ბინად მოგვიჩინა ჩვენ. თაყვანსა ვცემ ქართველთა სახელით ძვირფასი გაბრიელ სუნდუკიანცის ცხედარს და ჩვენს გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენს ძმებს, რომელთა დიდებული წარმომადგენელი იყო აწ გარდაცვალებული ბ-ნი სუნდუკიანცი.

საუკუნო ნეტარება დაემკვიდროს მის სახსენებელს, ხოლო დიდება და ბედნიერება მის შემქმნელ სახელოვან ერს.

43. არტემ ახნაზაროვი

არ. ახნაზაროვის ნაწერები თითქმის უცხო ხილია ჩვენს მწერლობაში. ამგვარი ჟანრი მწერლობისა განვითარებულია იქ, სადაც ჟურნალ-გაზეთობაა გავრცელებული და სადაც პოლიტიკური პირობები ისეთია, რომ ადამიანს საბა-სულხან ორბელიანის არაკების ენით ალაპარაკებს.

ჩვენში თუ უკანასკნელ აღნიშნულ გარემოებათაგანს მაგრადა აქვს გადგმული ფესვები, სამაგიეროდ, ამავე მიზეზის წყალობით, პირველს, ე .ი. ჟურნალ-გაზეთობის საქმის განვითარებას, ბევრი უკლია. ხოლო იმ დროს, როცა არ. ახნაზაროვმა დაიწყო წერა, ერთი გაზეთი ძლივსა გვქონდა და ისიც დღენიადაგ სულსა ჰღაფავდა.

არ. ახნაზაროვის ნაწერები იმ ტიპისა და გვარის გახლავთ, როგორიცაა რუსულ ლიტერატურაში დოროშევიჩისა და სულ უკანასკნელად ოლდორის ნაწერები. დოროშევიჩმა და ახნაზაროვმაც თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყეს წერა — ოთხმოციანი წლების მიწურულში; მაგრამ თუ დოროშევიჩმა ძალიან წინ გასწია, დღესაც კალამი ხელიდან არ გაუგდია და გაზეთის პოლიტიკური სატირიკოსის როლს თამამად ასრულებს, ახნაზაროვი ვერ ასცდა ქართველი მწერლის საზოგადო ბედსა და ადათს და ამ ბოლო დროს წერა მიატოვა, კალამი ხელიდან გააგდო სწორედ იმ დროს, როცა მის უეჭველ ნიჭს გაზეთის სატირიკოსისა ფართე ასპარეზი ჰქონდა გადაშლილი წინ.

ასეთიამეთქი ქართველი მწერლის ბედი საზოგადოდ, გარდა რამდენიმე განსაკუთრებული გამონაკლისისა. მწერლობს მაშინ, როცა უნდა ემზადებოდეს მწერლობისათვის, როცა ცხოვრებას უნდა ეწაფებოდეს ვითა მწერალი და ვითა ადამიანი, და კალამს თავქვეშ შემოიდებს სწორედ მაშინ, როცა საკმაო გამოცდილება აქვს მწერლობაშიაც და ცხოვრებაშიც. ახნაზაროვის მწერლობის მანერა, სტილი თავისებურიათქო, მოგახსენეთ. იგი არის ერთის შეხედვით სატირული, მაგრამ მსუბუქი სატირაა; ამ მწერლობის „გაკილვისა“ და „განქიქების“ (თვით ახნაზაროვის სიტყვაა) მანერა არ არის მკაცრი, ულ-

მობელი, იგი მსუბუქია, უწყინარი, არ არის გულღვარძლიანი, უფრო სახუმაროა, სალაღობო, ამხანაგთა „სათრეველი"; მისი დაცინვა ნამდვილსა და გულწრფელ სიცილს იწვევს ადამიანში და ამ სიცილში სულ არა ურევია რა ცრემლისა.

აიღეთ, რომელიც გნებავთ, ახნაზაროვის ნაწარმოების საუკეთესო ნიმუში და თქვენ ნათლად და სავსებით გაითვალისწინებთ მისი წერის კილოს. განქიქების საგნად ის იღებს ადამიანის ცხოვრების ისეთ მხარეს, რომლის შეუსაბამობა ადამიანობის დიდებულებასთან მართლაც რომ სიცილს იწვევს მკითხველში. მაგრამ ყოველი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ახნაზაროვის „განქიქების" მსხვერპლად გამხდარა, თავისთავად არ არის ისეთი არსებითი მოვლენა ცხოვრებისა, რომ იმის ამგვარ თუ იმგვარ ელფერს მაინცა და მაინც რაიმე დიდი ზარალისა და ვნების მოტანა შეეძლოს ცხოვრებისათვის. ადამიანის ცხოვრების ყოველი მოვლენა, ერთი მხრით, სასაცილოა და „განქიქების", გაკილვის ღირსი. საკმაოა გაიხსენოთ მთელი ცხოვრება ადამიანისა და მისი საშინელი, უცნაური და უხიაკი დასასრული, რომ ყოველივე ზრახვა, ფიქრი, გრძნობა და მოქმედება ადამიანისა სასაცილოდ და ყბად ასაღები მოგეჩვენოთ. რისთვის ვიბრძვით, რისთვის ვშრომობთ, რისთვის ვიტანჯვით, თუ ბოლო და დასასრული, ჩვენი ცხოვრების დამაგვირგვინებელი, მარტო და მხოლოდ საფლავია — სამი ადლი მიწა და ორიოდ-სამიოდე ფიცარი. გარდა ამისა, ყოველივე მოსაზრების გარეშე, კაცმა რომ ცივი გონების ანალიზში გაატაროს მთელი ჩვენი ცხოვრება, მართლაც ვერაფერს ნახავს საფუძელიანსა და არსებითს. სიყვარული, მარადის ქებული და სანატრელი, წუთიერია და სიტკბოებასთან ერთად ისეთ შხამს შეგასმევს ხოლმე, რომ თავსა და ბედს გაწყვეტინებს. მეგობრობა ხშირად უბრალო ანგარიშია, „ჩოთქის" საქმეა, რომელშიაც ჩათვლილია არა მარტო ფული, არამედ ყოველივე სარგებელი, — ზნეობრივი და ქონებრივი, რომელიც მოაქვს თან ამ გრძნობას, და რაკი იგი სარგებლობის ნიადაგს გადაცდება, თვით უწრფელესი მეგობრობა წიხლნაკრავია და ტალახში ამოსვრილი. საზოგადო საქმე, მისთვის თავგანწირვა, ხალხის ინტერესები? — ოჰ, აბა მითხარით, თუ „იმპულსებით აღვსილი მინისტრი" მარკოვითა და პურიშკევიჩით ისევე გატაცებული არა ლაპარაკობს ხალხის ინტერესებზე და ისეთი სითამამით, თითქო მართლაც გაეგებოდეთ რამე ამ ინტერესებისა და ან რაიმე ყურადღებას აქცევდნენ მას!..

ერთი სიტყვით, საითაც მიიხედავ, ყველგან ნახავ ათი ათას საგანს, დაცინებისა და „განქიქების“ ღირსს. მაგრამ განსაკუთრებული თვისება არ. ახნაზაროვის „განმქიქებელი“ მწერლობისა სწორედ ის არის, რომ ის ასეთი ძირითადის უარყოფით როდი ეკიდება ცხოვრებას. მისი ნიჭი ეძიებს და დახელოვნებულ არტისტსავით მიაგნებს ხოლმე სწორედ ისეთ მხარეს ცხოვრებისას, რომლის გამოაშკარავება სიცილს იწვევს ჩვენში, მაგრამ თვით ეს საგანი არ არის ცხოვრების დედა-ძარღვი მოვლენა. ახნაზაროვი როდი კისრულობს სიყვარულის[1], გინდ მეგობრობის, გინდ თავგანწირული მოღვაწეობის განქიქებასა და გაკილვას. არა, მისთვის, მისი კალმისათვის სასაცილოა ბაზაზხანის მეწვრილმანე, რომელიც სუდარას ასაღებს, ერთ წუთსაც არ შეიკავებს თავს სიკვდილის საიდუმლოების წინაშე და გულუბრყვილო ხუმრობის კილოთი უცნაურ რეკლამას უკეთებს ამ უცნაურ სავაჭროს. ამ სიღარიბით შევიწროებულ მეწვრილმანის ოხუნჯობაში ნატამალიც კი არ არის სიბოროტისა, გინდ გულღვარძლიანობისა, მას სურს თავისი საქონელი გაასაღოს, მაგრამ ისეთი სიმშვიდით კი ეკიდება ამ ვაჭრობას, რომ არც იმაზე დაგემდურებათ, თუ მის მახლობელ მეზობელთან იყიდით საქონელს და იმას გვერდს აუქცევთ.

არ. ახნაზაროვის განქიქების საგნად გამხდარა ადამიანის მეხსიერების დაკარგვა, მაგრამ თვით ეს სენი იმგვარ მოქმედებაში იჩენს თავს, რომ არც სნეულსა და არც მათ, ვისაც ამ სენით შეპყრობილის მიზეზით რაიმე შეემთხვათ, — არავითარ სამარცხვინო დაღს არ ასვამს და არავითარი სერიოზული ვნება და ზიანი არ მოაქვს.

---

[1] ნურავინ იფიქრებს, არ. ახნაზაროვი რაიმენაირად ეხებოდეს გრძნობას სიყვარულისას, როცა ის აღგიწერს კინტოს სიყვარულს „რად მიყვარხარ“-ში, ან ძველთა სიყვარულს უდიერად იხსენიებდეს „რა მაჭმუნვებს“-ში. აქ ავტორი ისევე თავისი სასაცილო, მსუბუქი „განმქიქებელის“ კალმით გვიხატავს მანერას, კილოს კინტოს მიერ თავისი გრძნობის გამოხატვისას, მაგრამ სიწრფელე გრძნობისა ისე გამოსჭვივის ამ გარეგნულად უხეშ და სასაცილოდ ამაღლებულ რომანტიულ ლირიზმში, რომ მაინც ეხიბლავთ ეს გრძნობა, მაინც რწმუნდებით, რომ ეს სწორედ იგივე გრძნობაა, რომელიც დიდ პოეტებს ამღერებს, მაგრამ ისინი დამღერიან მშვენიერს ლირაზე და ეს, უბრალო კინტო — მოუწყობელ ჭიანურზე. სწორედ ასევე, ძველთა სიყვარულის გამოხატვის მანერა იქცევს ავტორის „გაკილვას“, ავტორის სიცილს და, რასაკვირველია, არა თვით სიღრმე გრძნობისა. ამ მხრივ კს ნაწყვეტიც ახნაზაროვის ნაწარმოებისა თავისებური შედეგრია სწორედ.

ყველაზე შეუდარებელი კი არ. ახნაზაროვი იქ არის, სადაც ქართველი ჟურნალისტის თავგადასავალს აღგვიწერს. სასაცილო ფორმაში თვალწინ გიხატავთ ქართველი მწერლის, ჟურნალისტის მდგომარეობას და ამ მდგომარეობის მართლა სასაცილო ვითარებას. „ახალწლის სამზადისში“ თქვენ გაჩვენებთ, თუ რა წვრილმანი და თითქმის უძლეველი ხელისშემშლელი გარემოება ეღობება ხოლმე წინ ამ მწერალს გნებავთ თავის ცოლისა და შვილის სახით და გნებავთ თანამგზავრებისა და ნაცნობების მიზეზით. ეს გარემოება არც ერთი არ არის იმ ჯურის, რომ მწერალს რამე დიდი უბედურება მიაყენოს, მაგრამ გაზეთი კი ხშირად უწერილოდ რჩება. შედევრია ლიტერატურული გვარისა მისი „განმქიქებლის თავგადასავალი“. აქ საოცარი სინამდვილითა და დაკვირვებით არის აწერილი სასაცილო მხარეები ქართული გაზეთის მეფელეტონისტის ცხოვრებისა. ის წვრილმანი უსიამოვნება, რომელიც სიცილის მეტს არას იწვევს არც მასში, და არც სხვაში, ის ათასგვარი წვრილმანი შევიწროება, რომელიც, მართალია, შხამითა და სამსალით არ ავსებს მის ცხოვრებას, მაგრამ ერთნაირად ართულებს და აძნელებს პატარა ერის მწერლის მდგომარეობას, განსაკუთრებით ყოველდღიური გაზეთის მუშაკისას.

არ. ახნაზაროვი სწორედ შეუდარებელია ჩვენში ამგვარ ნაწარმოებში და რამდენადაც იგი აქ ძლიერია („რა მასმევს ღვინოს“, „რად მიყვარხარ“, „რა მაჭმუნვებს“ და სხვანი), იმდენად სუსტია იმ ნაწარმოებში, რომელსაც იგი მოთხრობებს ეძახის და რომელსაც მართლა მიზნადა აქვს ცხოვრება, ასე რომ ვთქვათ, სერიოზული მხრით განიხილოს. მისი „უცნაური წამალი“, „ოსტატი დედაკაცი“ შაბლონური სენტიმენტალიზმით არის აღსავსე.

არც ის მისი ლექსებია საყურადღებო, სადაც ავტორი ცდილობს თავის ბუნებრივ კილოს უღალატოს. მაგრამ იქ, სადაც ახნაზაროვი თავისი მსუბუქი სატირის ფარ-ხმალით შეიარაღდება, აქაც მომხიბლავია. მისი „ტყუპი“, „ცრუ“ სწორედ ძალდაუტანებელი კომიზმით არის აღსავსე, რომელსაც სატირის ლეჩაქი აქვს გადახურული და ეს კომიზმი, ეს სატირა თითქმის მაღალი სატირის ღირსებამდე აღწევს მის „გაზეთში ამოკითხული ამბის გამო“-ში. აქ ავტორს ჩვეულებრივი კილოთი, სხარტულად, ორიოდე სიტყვით აქვს გამოხატული სხვადასხვა წოდებისა და წრის ადამიანთა აზრი იმ ყმაწვილი კაცის შესახებ, რომელსაც თავი მოუკლავს. ყველა მათგანი, რასაკვირველია, მეწვრილმანურ ბეცობას იჩენს ამ დიდი მოვლენის წინაშე და

ერთი გოჯითაც ვერ გაცილებია იმ წრესა და გარემოებას, რომელშიაც იგი ტრიალებს, სიკვდილის შესახებ აზრის გამორკვევაში. ვაჟარსა ჰგონია, რომ კაცი მარტო გაკოტრებისათვის თუ მოიკლავს თავს, გაჭირვებულს კი შიმშილი მიაჩნია ერთადერთ მიზეზად ასეთი გადაწყვეტილებისა; გაუჭირვებელი მხოლოდ გიჟად თვლის ასეთი საქმის ჩამდენს და მოხუც დედაკაცს მარტო დედა ებრალება მისი... და ყველანი ასე შაბლონურად, ასე სასაცილოდ სჯიან და ჰკიცხავენ უბედურ კაცს, რომელსაც ასეთი მძიმე საგანი გადუწყვეტია. ვერც ერთი მათგანი საგნის სიღრმეში ვერ იხედება, არცერთს არ ესმის თავზარდამცემი ტრაგიზმი ასეთი მოვლენისა, ყველასა ჰგონია, რომ სიცოცხლეს ახალგაზრდა კაცი გამოესალმება რაიმე შაბლონური მიზეზის გამო; და ეს სჯა ყველა ამ ვაჟბატონებისა სასაცილოა თავისი გულუბრყვილობით, სასაცილოა მით, რომ ყველა თავისი ცხოვრების მიხედვით სჯის მიცვალებულს, და თანაც ბრაზს მაინც არ იწვევს ეს ხალხი, თუმცა არც სიბრალულს გინერგავს ზოგიერთი მაინც, რადგან შესაბრალისი არა აქვთ რა. ეს შაბლონური სჯა ღობემძვრალა ქვემძრომთ გაგონებთ და მხოლოდ სიცილს იწვევს თქვენში.

კვლავ ვიმეორებ, სამწუხაროა, რომ არ. ახნაზაროვმა სწორედ მაშინ მოინდომა კალმის შესვენება, როცა მისი ნიჭისა და წერის მანერის განმავითარებელი და ხელისშემწყობი დრო და გარემოება დადგა.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა, — ქართულ გაზეთს რომ ავიღებ ხელში, ღიმილისთვის გამზადებული სახე სატირლად დამეღრიჯება ხოლმეო; ერთს ვერაფერს ნახავ ისეთს, რომ სიცილი მოგგვაროსო.

ჩვენმა ნიჭიერმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემაც აღნიშნა ერთ თავის წერილში, რომ შეუძლებელია ადამიანის ბუნებას ანგარიში არ გაუწიოს კაცმა და მარტო ისეთ საგნებზე ილაპარაკოს, რომელიც ღრმა ჩაფიქრებასა და დიდ შრომა-ჯაფას თხოულობსო. მართლაც, ადამიანს ეჭირვება სიცილიც, ხუმრობაც და ყოველდღიური გაზეთი ვერასდროს ვერ იხეირებს, თუ ამგვარი დარგის მწერლობა არა აქვს. დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში მთელი პოლიტიკური ფსიქოლოგიის შექმნა შეიძლება, მთელი განწყობილების მომზადება ამგვარი მწერლობით. გავიხსენოთ ისევ დოროშევიჩი და ოლდორი. დოროშევიჩიც რევოლუციის წინა დროებში მარტო ჩვეულებრივ, თითქმის შაბლონურ თემებს ეხებოდა და ეხლა ნახეთ...

არ. ახნაზაროვი ამ სფეროში სწორედ დაუფასებელი იქნებოდა

ჩვენი მწერლობისათვის, მით უმეტეს, რომ მას, როგორც პროგრესული მწერლობის წევრს, დიადი მოვლენის ალღო აღებული ჰქონია. აშას გვიმტკიცებს მისი ლექსი „გაზაფხული“, რომელშიაც დარწმუნებით გვაიმედებს, რომ „წარსული განქრა... აწმყო შავ-ბნელი მერმისის შიშით ფერწასულია...“ (ამ ლექსს 1905 წლის თარიღი უზის).

ხოლო თუ რამდენად მოახერხებდა არ. ახნაზაროვი პოლიტიკური თემების თავისებურად განმარტებას, ამას გვიმტკიცებს მისი გალექსილი არაკი „ღამურა“, რომელიც მაშინ არის დაწერილი, როცა „გაზაფხულის“ სიო მარტო ზოგიერთისათვის იყო შესამჩნევი. ამ არაკში არ. ახნაზაროვი თავისებურად გაგიწკეპლავს ღამურას, რომელიც ფრინველთა ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა, „შორიდან ბრძოლას უთვალთვალებდა, გამარჯვებულებს ქებას ასხამდა, დამარცხებულებს — კი დასცინოდა“.

იმედს არა ვკარგავთ, რომ არ. ახნაზაროვი აწი მაინც შეუდგება მიტოვებულ გზას, რომელიც, ეჭვი არა გვაქვს, მის ნიჭსაც უფრო მეტ ნაყოფს გამოაღებინებს.

44. ილია მაჭავარიანი

„მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ყოველ მუსიკალურ ნაწარმოებში არის ეგრეთ წოდებული ლეიტ-მოტივი, მთავარი ჰანგი, რომლის განვითარება და განმარტება აქვს აზრად ამ ნაწარმოებს. რაც უნდა რთული იყოს მუსიკალური თხზულება, მცოდნე სმენა მუსიკალურად განვითარებული ყურისა სულ ადვილად გამოიცნობს ხოლმე, რომ ნაწარმოების ყოველ მუხლში ეს ლეიტ-მოტივი ისმის. აბა, მოისმინეთ რომელიც გინდათ პიესა შოპენისა, თუ გინდ მისი მაზურკები და ვალსები, თუ ყველგან არ გაისმის კვნესა დაღუპული სამშობლოისა? უდიდესი მხატვრისა და მოქანდაკის ნაწარმოებშიც თქვენ ნახავთ მთავარ ტიპს, მთავარ მანერას, მთავარ კილოს. დახელოვნებულ კაცს ყოველთვის შეუძლია, მაგალითად, რაფაელის ტიპებში გამონახოს და გამოაშკარავოს ეგ დედა-აზრი. დააკვირდით მის იდეალურ ქალებს, როგორი უცნაური მელანქოლიური გამომეტყველებით, რაღაც ბავშვური მომხიბვლელი გულუბრყვილობითა და კდემამოსილებით არიან შემკულნი. ოდნავ გაოცებული მათი სახე გაფიქრებინებთ, რომ გაღვიძებული, გაფურჩქვნილი ძალი სიყმაწვილისა და სიცოცხლისა შეუმჩნევლად იშლება მათ სხეულში და გამოზღვავებულ სქესობრივ გრძნობათა ტალღების ღელვა იწვევს მათ განცვიფრებასა და გაკვირვებას. პრაქსიტელის ლუსკუმებში თქვენთვის ყოველთვის ნათელყოფილია უკვდავი სული, ღვთაებრივი ძლიერება ძლევამოსილი ხელოვანისა, რომელიც სევდით შეზავებული ღიმილით ავარაყებს მის ჰერმესთა ქანდაკებას. სიხარულის შარავანდედი აქ იმნაირადაა გადახლართული სამგლოვიარო ლეჩაქში, არ იცი რომელი უფრო ძლიერად გამოსჭვივის ცივი მარმარილოდან.

რუსთაველისგან გენიოსურად გამოთქმულ კანონს ხელოვნებისას სამარადისო და თითქმის აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს მისთვის, ვისაც ზერელედ მაინც გაუტარებია თვალწინ დიდებულ ხელოვანთა შემოქმედება:

„ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკვმობდეს
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს.
ყოელსა მისთვის ჰხელოვნებდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

ასეთი ლეიტ-მოტივი ილია ჭავჭავაძის თხზულებებში, როგორც იტყვიან ხოლმე, წითელ ზოლად არის გატარებული. პირველი მისი პოეტური ამოკვნესა მამულით დაიწყო და უკანასკნელადაც მისი ლირის სიმები სამშობლოს საგალობელად ააჟღერა. როგორც ნათელი და გამჭრიახი გონების პატრონს, მას არავითარი ბუნდოვანი და მიკიბულ-მოკიბული არ ეჭაშნიკებოდა.

და აი, მან ეს საგანი მთელ პოლიტიკურ-სოციალურ რწმენად გაიხადა, სავსებით გაითვალისწინა, გულის სიღრმემდე ჩასწვდა და მისმა ცხოველმყოფელურმა ნიჭმა იგი საგანი თვალწინ გადაგვიშალა.

მშრალი და თითქმის განყენებული მცნება სამშობლოისა არა იქნებოდა რა, თუ მისთვის ცოცხალი სული არ ჩაედგა მგოსანს, თუ იგი ხორცსხმულად არ ექცია, თუ იგი მთელ მძლავრ ლოზუნგად არ შეექმნა.

და ილია ქართველი ერის სოციალურ მდგომარეობას ასწონ-დასწონის; დაინახავს, რომ დღევანდელ ბურჯს ჭია შეჭპარვია, ღრღნის და სულ მალე უნდა დალპეს, დაიმსხვრეს, ამიტომ მომავლის საფუძველსა და საძირკველს იძიებს და გამონახავს. მის თვალწინ აღიმართება, ერთის მხრით, ლუარსაბი, დარეჯანი, დათიკო, არჩილი და კესო, მეორეს მხრით კი, გაბრო, კაკო, ზაქრო, გიორგი და ოთარაანთ ქვრივი, ერთი ჯგუფი უფსკრულისაკენ მიექანება, მეორე—ერთადერთი ნუგეშია და იმედი მომავლისა. ერთი ჯგუფი უკვე გახრწნილია, ქვეყანას კისერზე აწევს როგორც მომწამლავი სენი. მაგრამ უმსგავსი წესწყობილება ხელს უწყობს მათ უხეირო ბოგინს. მეორე ჯგუფი ძალ-ღონით სავსეა, ჯანსაღია და მამაცი, ენერგიითა და ძალით შემკული. ხოლო იგივე სულის შემხუთველი რეჟიმი, რომელიც ლეშის მფარველია, სიცოცხლისა და ძლიერების ხელის შემშლელია.

გაბრო და კაკო — ცხოვრების სათავეში უნდა იდგნენ, ცხოვრების ბორბალს უნდა ატრიალებდნენ. მარტო იმ ცხოვრებას შეუძლია გამარჯვებული მსვლელობა, რომელიც გაბროსა და კაკოს ღონიერ ბეჭებზეა დაყრდნობილი. მაგრამ პოლიტიკური და სოციალური ატმოსფერო ისეთია, რომ ამ პირველ მოქალაქეებს მარტო აჯანყებულთა როლი ხვდება ცხოვრებაში.

ილიას „მამული“ ფრიად გარკვეული მცნებაა და არავითარი ბუნდოვანი და მისტიური არ ახლავს მას. რამდენადაც შესაძლო იყო იმ დროის ცენზურის პირობებში, და რამდენადაც ამის ნებას იძლევა პოეზიის თვისება, — ამ მცნებაში გამოხატული იყო სრულიად ნათელი და სავსებით დამთავრებული მთელი პოლიტიკურ-სოციალური მრწამსი.

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“, პირველად „ჩამოსძახეს ცით“ ყრმა მგოსანს. და ეს ხმა მოესმა მისი ოცნებისაგან შექმნილი მშვენიერი მთის შვილისაგან. იგი იყო ის მთავარი საგანი, ის პირველი მიზანი, რომელიც დაუსახა გაღვიძებულმა ჭაბუკის გონებამ. მაშინვე შეიშნო, შეითვისა და მთელ თავის ცხოვრებაში გზის მანათობელ ლამპარად იგი ეპყრა უკვდავ მარჯვენაში. „მიგიხვდი, ჩემო მოხევეე, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი, — ამბობს ჩვენი ავტორი, „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“,—სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უცნაურმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!!“. ამთავრებს გულმოწყვეტილი მწერალი და მთელ თავის დიად ნიჭს, თავის ღვთაებრივ არსებას მსხვერპლად და მტლად მიიტანს ამ სარწმუნოების წმინდა საკურთხეველზე. ამით დაიწყო ილიამ, და მისი კალმის უკანასკნელი გენიოსური კვნესაც ამას დასტრიალებდა თავს და ყმაწვილური აღტაცებული ნეტარებით შესტრფოდა იმ „ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“, რომელიც თამარ დედოფალს უცხო წალკოტში ჩაუდგამს.

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს...“

რომელშიც ის ყრმა წევს

„ვისიც არ ითქმის სახელი
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი“.

ამ პოლიტიკურ რწმენას თავისი მკვიდრი საფუძველი აქვს. ეს საფუძველი ქართველი ერის მუდმივი მძლავრი საძირკველი იყო.

წარსული მან გამოიტანა, მომავლის სასოება და იმედი იგია. გაბრო და კაკო მხოლოდ აქ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო, ოთარაანთ ქვრივს მხოლოდ ეს წრე ჰქმნის. აქვე უნდა დაიბადოს „ის დედა სახელდებული“, რომელიც აღგვიზრდის თავისი მადლით ცხებული ‘ეუძუთი იმ „ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ აკვანში ასვენია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისაგან შექმნილი იდეალი და საგანი ცხოვრებისა.

ამ თვალსაზრისით, ამ იმედითა და სასოებით უყურებს ილია იმ ჯგუფს, იმ წრეს, რომლის წარმომადგენელიც გაბროა და კაკო, ეს თავისებურნი „აჯანყებულნი“, ერთგვარი „ბუნტოვშჩიკები“, ესა სჩანს არა მარტო იმ ღრმა სიმპათიაში, რომლითაც ავტორი გამსჭვალულია გაბროსა და კაკოსადმი. ამის უეჭველი და ფრიად შესანიშნავი საბუთები დღეს ხელთა გვაქვს. ამ გამოცემაში მოიპოვება ერთი პატარა ლექსი, რომელიც, მიუხედავად მისი გარეგანი დაუმთავრებლობისა, შედევრად უნდა ჩაითვალოს. ფანქრითაა დაწერილი ეს ლექსი და წინ მიუძღვის მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ ერთ ვარიანტს, რომელსაც „კაკო“ ჰქვიან. საუცხოოა ეს ლექსი არა თუ გარეგანი მოხაზულობით, ფრიად საინტერესოა, როგორც იშვიათი გამოხატულება ავტორის ღრმა სიყვარულისა მისი გმირებისადმი. ეს პატარა ლექსი გვიჩვენებს და გვიმტკიცებს ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ ილია თავის კაკოს, ამ უფრო ტიპიურ გამოხატულებას „ბუნტოვშჩიკისას“ გულწრფელი სიყვარულით ეფერება, სასოებით უყურებს. ამიტომაც არის, რომ სუმბულსაც აბარებს თავის კაკოს, ქარსა და ნიავს ემუდარება ობოლი შეიბრალოს, ბულბულს ეხვეწება ეულს დარდები გაუქროს:

„ნიავო, ჩემო ნიავო!
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
მსტვინავო, ჩიტო მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!

სუმბულო, ჩემო სუმბულო,
უჩემოდ შორსა ნუ ჭკნები,
ბულბულო, ჩემო ბულბულო,
მოაკლე ეულს დარდები.

ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,
ნუ ემუქრები კაკოსა.

ღრუბელო, შავო მცურველო,
უსახლო გებრალებოდეს,
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდეს“.

ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ფრიად საინტერესო პრობლემად უნდა ჩაითვალოს იმის გამორკვევა, რატომ არ გამოაქვეყნა ეს ლექსი ილიამ. ჩვენი აზრით, სამგვარი ახსნა შეიძლება ამ ფაქტისა. ილია წარმომადგენელია რეალისტური მიმართულებისა, რომლის მთავარი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რამდენადაც შეიძლება მწერალმა თავისი პირადი გრძნობები დამალოს და არ გამოაჩინოს თავისი პირადი განწყობილება მოქმედ პირთადმი. შესაძლოა ამის მოსაზრებით ილიამ უხერხულად მიიჩნია ამ ლექსის ჩართვა პოემის სათაურში და მით უფრო მოთხრობის შესავალში.

მაშინდელ ლიტერატურულ მოთხოვნილებას არ შეესაბამებოდა ეს და ამისათვის არც კი მოინდომა, ასე ვთქვათ, ის გენიალური დარღვევა ლიტერატურული მოდისა, რომელიც კიდევ მეტ ფასს დასდებდა მის მომჯადოებელ პოემას და სახელგანთქმულ მოთხრობას.

შესაძლოა ისიც, რომ პირდაპირ ტექნიკურად ადგილი ვერ მოეძებნა ამ ლექსს, იმიტომ რომ ილიას „კაკო“ მრავალგვარად იცვლება მის ხელში, როგორც შემდეგში ვნახავთ და სად მიეცა ადგილი ამ ლექსისათვის პოემაში, თუ მოთხრობაში ვერ გადაწყვიტა. ამ ორივე ახსნას, ჩვენი აზრით, აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი, ხოლო მისი სუსტი მხარე ის არის, რომ ილიასთანა დიდი მწერალი არც ლიტერატურულ მოთხოვნილების გადალახვას შეუშინდებოდა, განსაკუთრებით იმისთანა შემთხვევაში, როცა თავის გულისნადების გამომჟღავნება სურდა. მას ვერც ტექნიკური უხერხულობა შეაჩერებდა, რადგან ასეთი დიდი ნიჭისათვის, როგორიც ილია იყო, ტექნიკური დაბრკოლება ყოველთვის ადვილი დასაძლევია.

მესამე ჩვენი მოსაზრება ამ ფაქტის ასახსნელად იმალება იმ დროის ცენზურის პირობებში და ჩვენა გვგონია ეს ახსნა ყველაზე უფრო საფუძვლიანია. ეს ლექსი ცენზურას შეეძლო „ყაჩაღობის“ ხოტბის შესხმად მიეღო, მის გამართლებად. და ამას კი, რასაკვირველია, მაშინდელი ცენზურა ვერ დათანხმდებოდა. ასეთი ალერსითა და სიყვარულით, თუ გინდ კაკოსთანა, „ყაჩაღის“ მოქცევაც ყოველად მოუთმენელი იქნებოდა იმ დროში, მით უმეტეს, რომ ილია უკანას-

კნელ სტრიქონებში სრულიადაც არ მალავს თავის თანაგრძნობას კაკოს მიმართ:

„მე კისრად ვიღებ, ღრუბელო[1],
რაც იმას ემართლებოდეს“.

აქ ავტორი დაუფიქრებლად მზად არის კაკოს ცოდვები მთლად ერთიანად კისრად იღოს, იმდენად უცოდველად მიაჩნია იგი.

2

ი. ჭავჭავაძის თხზულებებში თქვენ ნახავთ რამდენიმე ვარიანტს მოთხრობისას, რომელიც ჩვენთვის ცნობილია „გლახის ნაამბობის“ სახელით: ერთსა ჰქვია „კოლა“, მეორეს — „კაკო“. მარტო ეს ვარიანტთა სიმრავლე ამტკიცებს, რამდენად ფრიად სერიოზულ საგნად მიაჩნდა ამ მოთხრობის თემა ილიას. თავდაპირველად „კაკო“-შია მოთავსებული ორი მისი განთქმული მოთხრობის შინაარსი: „კაცია ადამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“. საკმარისია მარტო სტილს დაუკვირდეთ ამ ვარიანტისას, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი სუყველა მოთხრობაზე ბევრად უფრო ადრეა დაწერილი, და უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე თვით „კაკო ყაჩაღიც“.

ლიტერატურის ისტორიისათვის ამ ვარიანტებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. უეჭველია იგი უნდა იყოს დაწერილი 1858 — 1859 წელში. ამგვარად, თვით კონცეპცია მოთხრობისა, მისი მთავარი მოხაზულობა შექმნილია თუ არ ადრე, თვით იმავე დროში და, მაშასადამე, სრულიად დამოუკიდებლად დ. ჭონქაძის „სურამის ციხისაგან“ და ლ. არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილისაგან“. აქ ორგვარი ფრიად დიდი მნიშვნელოვანი საგანი ირკვევა. ერთის მხრით წმინდა ლიტერატურული: ნამდვილი რეალიზმის შემომღებელი ქართულ რომანში იყო ილია ჭავჭავაძე (ეს, რასაკვირველია, მარტო არდაზიანს შეეხება) არა მხოლოდ ფაქტიურად, არამედ ისტორიულადაც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რაკი მტკიცდება, რომ არც ჭონქაძეს და არც არდაზიანს მასზე ადრე არ დაუწერიათ თავიანთი მოთხრობები. მეორეს მხრით, ნათელი ეფინება ლიტერატურულ-პუბლიცისტურ საკითხს. ჩვენს ლიტერატურაში არის გამოთქმული ისეთი სრუ-

[1] ეს ადგილი ერთგან ასე იკითხება: „მე კისრად ვიღებ, დამხსნელო!“ (ე. ი. ღმერთო).

ლიად უსაფუძვლო აზრი, თითქო ილია არ იყოს ნამდვილი დემოკრატიული ლტოლვილებით გამსჭვალული, რომ მან მარტო მაშინ აღიმაღლა ხმა ბატონ-ყმობის უსამართლობის წინააღმდეგ, როცა დ. ჭონქაძემ „სურამის ციხე“ გამოაქვეყნაო. თავისთავად ცხადია, რომ ეს განცხადება კარგავს ყოველივე სიცოცხლეს, რაკი ზემოხსენებული ვარიანტი გვიმტკიცებს, რომ იგი თუ არ ადრე, თითქმის იმავე დროსაა დაწერილი, როდესაც „სურამის ციხე“.

ეს უკანასკნელი დაისტამბა 1859 — 60 წლების „ცისკარში“, ხოლო ვარიანტი „კაკო“, როგორც აღვნიშნეთ, 1858 — 1859 წლებს ეკუთვნის, ე. ი. იმ დროს, როცა ილია ისევ სტუდენტი იყო და, მაშასადამე, ჭონქაძის მოთხრობა ხელნაწერში არ ეცოდინებოდა. ხოლო ბატონ-ყმობის ინსტიტუტის მთელი უსამართლოება ისე ღრმად აქვს შეგნებული ილიას, რომ მსგავსი რამ დ. ჭონქაძეს ვერც კი მოელანდებოდა. ავიღოთ, თუ გნებავთ, ეს პასაჟი ვარიანტისა: „მაშინ, სწორედ მაშინ (როცა გაბრომ „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის და შერმადინის ამბავი წაიკითხა) კაკომ შეიდგინა თავისი გლეხური ჭკუით თავისი იდეალი ბატონ-ყმობისა... მაშინ დააპირა კაკომ, რომ თვითონ შეიქმნება შერმადინი და ავთანდილად კოლა ეყოლება. ბევრი მაგისთანა პლანებს დააწყობს ხოლმე ხალისიანი გონება ჭაბუკისა, მაგრამ დროს შეუბრალებელი კვერთხი მათ დაუკითხავადა სცემს და ანგრევს ჭაბუკის სიზმრებს“. ანდა კოლას ნაადრევად გაღვიძებული გონების მსჯელობა: „ძალა, ძალა“, ამბობდა ხოლმე კოლა „მე ბატონი ვარ და ის ყმა არი! ჩემი სურვილი კანონია იმისთვის... დღეს, მინამ ძალა გაქვს, სრესე, სრესე უძლური, თუ ეგ საამო არის, თორემ ხვალ რო იმათაც მიეცეს ძალა, ისინიც გაგვსრესენ ჩვენა, ესეა ქვეყანაზედ“. აქ ხომ კლასთა ბრძოლის მთელი ფილოსოფიაა სხარტულად და მარტივად გამოთქმული.

როგორც ერთი ვარიანტიდანა სჩანს, ილიას სურდა თათქარიძეებისა და დათიკოს ცხოვრება და, აგრეთვე, კაკო ყაჩაღის ამბავი შეეკავშირებია ერთად და ლიტერატურული ერთეული შეექმნა იმგვარად, რომ ლუარსაბი და ქეთევანი (დარეჯანს ქეთევანი ერქვა) უნდა ყოფილიყვნენ კოლას (დათიკოს) დედ-მამა.

კაკო უნდა ყოფილიყო გაბროს მაგიერი და კაკოს გაყაჩაღებაც კოლას მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. ფრიად საინტერესო მომენტი ამ ვარიანტისა ის არის, რომ კოლას (დათიკოს) ოჯახობრივი აღზრდა არის მშვენივრად დასურათებული, ნათელყოფილია ის ატ-

მოსფერო, რომელშიც უნდა გაზრდილიყო ეს თვალისთვის საუცხოო, მაგრამ თავისი თვისებებით კი შმორისა და შხამის გამავრცელებელი არსება.

„კოლა და მისი ერთგული ამყოლი კაკო ეყარნენ დილიდან საღამომდინ საგამდლოში, ან სამზარეულოში, ან ძიძებში, რომელთა შორის პირველ დასაწყის სწავლას მიიღებს ხოლმე ქართველის შვილი და რა სწავლასა!.. მურტალ სიტყვებს, რომელზედაც უხვნი არიან მოსამსახურენი, საძაგელს ლანძღვას, რომელიც ბოლოს თითონვე მსახურებს მოხვდებათ ხოლმე, შაირებს, გასარყვნელ ლექსებს და სხვ.“.

როცა ზევით ამობრძანდებოდა, მამა ასეთი ბრძნულის რჩევითა და დარიგებით დაუხვდებოდა:

„ცემი კოლა რო გაიზრდება, ღიმნაზიაში წავა; იქიდამ დიდი, დიდი კაცი გამოვა, დიამბეგობას მისცემენ; ალა, ცემო პატარა დიამბეგო?“ და თითონ კი ნერწყვი მოუვიდოდა დიამბეგის ხსენებაზედ.

საინტერესოა ვარიანტი იმ მხრითაც, რომ უეჭველსა ჰყოფს განუწყვეტელ ნათესაობას, რომელიც არსებობს ილიას გმირებს შორის, მის ლუარსაბს, დარეჯანსა და დათიკოს შუა, და სულ ბოლოს შტო ამ ნათესაობისა არჩილსა და კესომდეც კი მიდის.

ეს აზრი ჩვენს ლიტერატურაში სტ. ჭრელაშვილის მიერ არის გამოთქმული და, აგრეთვე, ჩვენს წერილებში ილიას შესახებ[1]. ამ აზრის დაურღეველი საბუთი ეს ვარიანტია. კოლა (დათიკო) თათქარიძეების ღირსეული მემკვიდრე იყო. არანაკლებ საინტერესო საკითხია, რატომ შეცვალა ილიამ თავდაპირველი გეგმა, რომელიც, უნდა აღვიაროთ, ბევრში უფრო მაღლა დგას გამოქვეყნებულზე. ეს საუკუნოდ გადაუწყვეტელ საკითხად უნდა დარჩეს. შესაძლოა, რაკი მის მთავარ მიზანს—სოციალურ უსამართლობას—ყოველი მხრივ ეჭირვებოდა გაშუქება, მან კაკო ორ ტიპად აქცია: ერთი—კაკო „ყაჩაღი“, მეორე — გაყაჩაღებული გაბრო. ორივეს გაუბედურებას სათავე სოციალური წყობილების უკეღმართობაში აქვს. ერთს (გაბროს) — სიცოცხლის ბედნიერების სიყვარული და სიხარულის წყარო ეხშობა ამის მიზეზით, მეორეს (კაკოს, ასევე ზაქროს და სხვ.) სხვაგვარი ყოველნაირი შევიწროება აწევს კისერზე (ღირსებისა და პატივის დამცირება, როგორც ზაქროს მამის „გაროზგვა“ და სხვ.).

---

[1] იხ. ჩვენი „ეტიუდები XIX ს. ლიტერატურის შესახებ“.

„მაში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედის ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას:
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექმნება?
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად.
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ ქვეშ სათრევლად:
უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მაშ რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსს წართმეულს და შეგინებულს!....
პირს უკუ იქცევ და შეძრწუნდები.
და ქალი შენი შენ შეგზარდება,
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის
სათრეველად,
შენ შვილო ჩემო, არ გამხდომოდი“.

(„აჩრდილი.“)

ქაკოსი და გაბროს ამბავი მარტო მხატვრული ილუსტრაციაა ამ ცოტა არ იყოს რიტორიკული ლირიკისა.

ერთ-ერთი ღირსება ჩვენი ვარიანტისა ის არის, რომ სრულიად გამოტოვებულია გაჭიანურებული ეპიზოდი „გლახის ნაამბობის“ მღვდლისა; ეს კი უფრო ბუნებრივ ხასიათს აძლევს მოთხრობას. აქაც ავტორს უსათუოდ სურდა სავსებითი დასაბუთება წარმოედგინა გაბროს „რომანტიკოსობისა“, მაგრამ ეგ თვისება არც თუ იმდენად უცნაური და უხილავი რამ იყო რუსთველის შემქმნელი ხალხისათვის, რომ რაიმე არაჩვეულებრივი დამტკიცება ყოფილიყო საჭირო. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ აქ მხოლოდ ის, რომ ილიას ხანდახან თავისი გულის ნადებისათვის, თავში საცემი საგნისათვის მხატვრული მოთხოვნილება შეუწირავს, და ვერც იმას ვიტყვით ამით ბევრი რამ წაეგოს ჩვენს ლიტერატურას. თუ „გლახის

ნაამბობი“ ცოტა არ იყოს კოჭლობს და ბევრია შიგ რიტორიკული ელემენტი. სამაგიეროდ, ამ მოთხრობის დანაწილებამ მოგვცა „კაცია-ადამიანი?!“, — ეს შედევრი ქართული ლიტერატურისა, და, „კაკო-ყაჩაღი“, ეს ერთი საუკეთესო პოემა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა.

3

ტყვილა ვინმე წარმოიდგენს „კაკო-ყაჩაღი“ ჩვეულებრივი რომანტიული მანერის იდეალიზაცია იყოს ყაჩაღობისა. სრულიადაც არა; აქ ძარღვი მოთხრობისა კაკოს (და გინდ ზაქროს) გაპატიოსნებაში კი არ არის, იმ პირობათა ანალიზშია, რომელიც „ბედისგან მწარედ განაწირალსა“ კაკოს და ზაქროს ყაჩაღად ჰქმნის:

„უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი,
და იარაღი დღე და ღამ ხელში, —
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

არა მგონი ასეთი ცხოვრების მოტრფიალე გაჭირვებული, თავზეხელაღებული კაცის მეტი ვინმე შეიქმნეს. მაგრამ ყოველგვარ შევიწროებას, ამგვარ თავისუფლებას, ამგვარ თავისი თავის ბატონობასაც კი არჩევს გამწარებული კაკო და ზაქრო.

ეპოსური დრამატიზმი ამ პოემისა შეუდარებელია და მომხიბვლელი. აბა თვალ-ყური ადევნეთ, რანაირად იშლება ზაქროს ბედის ტრაგიზმი მის მარტივ მოთხრობაში? რარიგ ძლიერი ფინალით დაგვირგვინდება?

„და რა თქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული,
დიდხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლ მოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა,
ამ ორ გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

მართლაც, რა გადაუწყვეტელი, რა შეურიგებელი წინააღმდეგობაა ზაქროს ცხოვრებაში: მამას „როზგი“ დაუკრეს, მთელი მისი ადამიანობა შეურაცხჰყვეს, მთელ მის არსებას თავზარი დაეცა, მწარე განსაცდელში ჩავარდა. „მოჰკალ, რაღაცა ხმა აძალებდა“ და ბატონის „დაჰკარ, დაჰკარის“ აკომპანიმენტის ქვეშ

„მის თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი
იმ მის ბატონსა, მის დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის წამწყმედელსა“

მაგრამ რაკი აღშფოთებულმა მისმა ბუნებამ თავისი „სისხლი აიღო“, მის სულიერ არსებაში რეაქცია დადგა. „გაყაჩაღება“ არც თუ ასე სანეტარო რამ გახლდით, „წაწყმედის“ შესახებაც რომ არ ეფიქრა, და ამის შედეგი ის „გულში ადუღებული ბალღამი“ არის, რომლითაც იტანჯებოდა ზაქრო და კაკო მთელ თავის სიცოცხლეში.

მათი ცხოვრება არა თუ სახარბიელო, დასაწყევარი და საუბედურო შეიქმნა. და თუ კიდევ ზაქროსთანა ბიჭები ასეთ ცხოვრებას ეტანებოდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ყოფა და მდგომარეობა? ყაჩაღის ცხოვრებას მარტო უმწვერვალესი გაჭირვება მოაძებნინებდა კაკოებს, თორემ ვიდრე მოთმინების ფიალა არ აივსებოდა, ითმენდნენ და ჭაპანსა სწევდნენ. და მთელი გლეხობის ცხოვრება რაღაც გულისმომწყვლელის სევდითა და ვარამით იყო აღსავსე, ტანჯვითა და ვაებით შეზავებული. ამას პოემის ოთხი სტრიქონი გენიოსური მოხაზულობით თვალწინ ცოცხლად გვიხატავს. ზაქრო მეურმეს კაკოსკენ მიმავალ გზას დაეკითხება და მეურმეც მიასწავლის. ზაქრო ცხენს მოხდენით გააქროლებს:

„თითქო შენატრდა იმას მეურმე,
— ახ, ნეტავი შენ! — წაიდუდუნა,
და გაიქნივა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თავის სიმღერა დაიღუღუნა“

ხოლო როგორია მეურმის ღუღუნი, ჩვენ უკვე ვიცით:

„მწუხარე არის ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს
დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი“.

განმარტება აღარ ეჭირვება იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ცხოვრება იმ გლეხობისა, რომლისთვის ყაჩაღის ბედიც კი სანატრელ რამედ გადაქცეულიყო. რასაკვირველია, შემცდარი აზრი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ კაკო, ზაქრო და გინდ გაბრო „რევოლუციონერები“ იყვნენ, და ვინც ამას მოინდომებს, მტკნარ შეცდომას ჩაიდენს. კაკოსა და გაბროს არც თავიანთი უბედურების მიზეზი აქვთ ღრმად შეგნებული და გამორკვეული, არც არავითარი შემუშავებული გეგმა საზოგადოების იარების განსაკურნებლად. დღეს-დღეობით იგინი აჯანყებულნი არიან, „ბუნტოვშჩიკები“, პირად მიზეზთა გამო „ყაჩაღად“ ქცეულნი. იგინი თავის კერძო უბედურების გამო არიან აღშფოთებულნი და გაბრაზებულნი, და ამის გამო იძულებულნი ხდებიან საზოგადოებასაც გაექცნენ და ზურგი შეაქციონ. თვით გაბრო ამბობს: „მე რომ ის (დათიკო) არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარ-ბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა... მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა. არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისგან გასანიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლაც მურტალს კაცი როგორ არ გამოუჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა“.

დათიკოს სიყვარული მაშინ დაივიწყა და გადალახა, როცა მისი პირადი გრძნობა ჩავარდა განსაცდელში. „შენ რაღას აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც მემღვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთ გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით, ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე“.

და აი აქა სჩანს ცხადად, რომ ვერც კაკოს, ვერც ზაქროს, ვერც გაბროს „რევოლუციონერებად“ ვერ მოვნათლავთ. იგინი გაურბიან წყობილებას, რომელიც მათ სულს უხუთავს. იგინი გაძაღლებული პირადი ცხოვრების შერჩენას ფიქრობენ, იგინი მხოლოდ პირად უსიამოვნებას მოუყვანია იმ განწყობილებამდე (და არა მტკიცე შეგნებამდე), რომ ამ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია და ამას ტყვედ და ველად გაჭრა სჯობიან. მათი ძლიერი ბუნების განვითარებას წინ ეღობება სოციალური უწესრიგობა და ამ უწესრიგობის დამცველი წოდება. ამგვარად, ასეთი სოციალური წრე საერო უბე-

დურებად ხდება, ვინაიდან ერის სხეულის ჯანსაღ ნაწილს ღუპავს. ილიას საყვარელი გმირები ამ პირობებში სხვაგვარად ვერ ახერხებენ გამოხატონ თავიანთი პროტესტი გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ, თუ არ „უაჩაღობითა“ და „აჯანყებით“. უაჩაღობა კი რევოლუციის ან გადაგვარებაა, ანდა მისი წინამორბედი მოვლენა. თავდაპირველად უკმაყოფილება უკვე დამპალი წესწყობილების გამო გამოიხატება პროტესტის ისეთ უშნო, ულაზათო, ისეთ მხეცურ ფორმაში, როგორიც უაჩაღობაა. ეს ინდივიდუალური „ბუნტია“, აჯანყებაა პირადობისა, რომელიც ვეღარ ეტევა საზოგადოების დავიწროებულ ქერქში და დაპატარავებულ კალაპოტში. უაჩაღობა ხანდახან მასიურ ხასიათსაც ღებულობს. შემდეგში კი, როცა გამოდის რაზმი საზოგადოების გარდაქმნის გარკვეული აზრით შეირაღებული, რევოლუცია იკავებს „ბუნტის“ ადგილს, თუმცა რევოლუციის პირველ ხანებში, და გინდ მისი დამარცხებისა და დასუსტების ხანაში, „უაჩაღობა“ მაინც არ ისპობა, რევოლუციას პირველ ხანებში იგი ვითომ ხელსაც კი უწყობს. რევოლუციის დაცემის დროს კი „უაჩაღობა“ მისი დასუსტების მომასწავებელია და ცუდ სამსახურს უწევს, ვინაიდან საზოგადოებას ერევა მცნება და დავთრები რევოლუციის შესახებ.

კაკო, გაბრო და ზაქრო პირველი უკმაყოფილონი იყვნენ ბატონყმური წესწყობილებისა. მთავრობამ ადრე აიღო ალღო და რევოლუცია თვით მოახდინა: ბატონ-ყმობა, როგორც იურიდიული ინსტიტუტი მოისპო და ამ ნიადაგზე უაჩაღობასაც ყოველივე თავისი გასამართლებელი საბუთი დაეკარგა. შემდეგში, როცა გაბრო და კაკო შეგნებულად ჩაუკვირდებიან თავის ქვეყნის ბედ-ილბალს, იგინი თვით შექმნიან მთელ სისტემას ბრძოლისას და მოქმედებისას. მარტო მათ წრეში მოიპოვება იმ არმიის კადრი, რომელიც სამშობლოსა და ქვეყნის მომავლისათვის თავდადებას ცხოვრების მიზნად დასახავს [1].

4

იმ დროის გამგეთა, იმ ხანის უფალთა სურათია „კაცია-ადამიანი?!“ პირუტყვად ქცეულ კაცს იმდენად დაუკარგავს ყოველი თვი-

[1] ამ მხრით საინტერესოა რევოლუციის დროის ჩვენი ლიტერატურა, განსაკუთრებით კი ი. გედევანიშვილის დრამები — „მსხვერპლი“ და „გამცემი“.

ნება ადამიანობისა, რომ მათი ადამიანობა საკითხავ საგნადაც კი გადაქცეულა. მათი ღმერთი მარტო მათი მუცელია, მათი იდეალი — არტალა და ბოზბაშია, მათი საქმიანობა და გონების ვარჯიში ბუზების თვლაში გამოიხატება.

თუ „დონ-კიხოტი“ რაინდობის სატირული ეპოპეაა, „კაცია-ადამიანი?!“ ბატონ-ყმობის ნიადაგზე აღმოცენებული ფეოდალიზმის იგივე სატირული ეპოპეაა, იმ განსხვავებით კი რომ „დონ-კიხოტი“ რაიმე თავბრუდამხვევ იდეალს მაინც მისდევდა და ამაში ადამიანი იყო, ლუარსაბი და დარეჯანი კი თავის დღეში მათი ტახტისა და სუფრის იქით არას ხედავდნენ და ამით პირუტყვზე არავითარი უპირატესობა არა ჰქონდათ. ინგრეოდა ის წყობილება, ბოძები ეშლებოდა და საძირკველი ერღვეოდა მათ ბატონობას, იგინი კი „ქეიფსა და ნებიერების“ მეტს არას აკეთებდნენ. მაგრამ შესაძლოა კი ქეიფი ან ნებივრობა დაუძახოთ მას, რაგვარადაც თავს იქცევდნენ და რანაირადაც დროს ატარებდნენ თათქარიძეები, ე. ი. „ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორებას“? რა ესმოდათ ქეიფისა ან ნებივრობისა, რომელშიც ესთეტიკური გართობის ნასახი მაინც უნდა იყოს, იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ნაქები ქართული სტუმართმოყვარეობაც კი ჩაეკლათ თავის გულში და სტუმარიც კი ეჯავრებოდათ იმიტომ, რომ „უნდა ამდგარიყვნენ და ტანთ ჩაეცვათ“. საკმარისია ორიოდე სიტყვით გაგვაცნოს ავტორმა თავად თათქარიძეების სახლ-კარი და მიდამო, რომ თქვენ თვალწინ წარმოგიდგეთ, რა სულიერი უნდა ყოფილიყო იქ დაბუდებული. „ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეხწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ“...

„ახლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძეს. ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვეწვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა და შიგ ამოცვივნულან; ამათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა; თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს... იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გძელი ტახტი ერთმანეთის პირდაპირ; ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებო-

და. ამ ორ ტახტშუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა კბილებ ჩაცვივნულ ბებერ დედა-კაცის დაღებულ პირსავით ერთი ამოშვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვა და სხვა ნაირი ნივთები, მაგალითად: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი". კარგად მოგეხსენებათ, ასეთ საბრძანებელში მარტო ისეთი ბრწყინვალე გვამი თუ განისვენებდა, როგორიც თათქარიძეები ბრძანდებოდნენ. ასეთ სამფლობელოში რა უნდა გაეკეთებინათ, თუ არა ჭერზე ბუზების თვლა, თუ არა ისა, რომ „შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი" იმისთანა ღრმა აზრების შესახებ ბაასობდნენ, ორაგულია თევზების მეფე, თუ თართი, ჩიხირთმა სჯობია, თუ ბოზბაში. დილიდან საღამომდე ერთი საფიქრალი ჰქონდათ: „დღეს რა ვჭამოთ", იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ვჭამოთ", იტყოდნენ საღამოს. გაძღომის მერე ტახტზე გადაგორ-გადმოგორდებოდნენ.

დილას თვალს გააჭყეტდა თუ არა ოჯახის მოამაგე დიასახლისი „შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და „ჰერი ბიჭო" — დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ე. ი. ვაი ნაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ... უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზე მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილ შანდალსა; აქ იმას გაუწყრებოდა — რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა—რაზედ; აქ იმას გამოგილანძღავდა — რისთვის? არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დატუქსავდა — ერთის სიტყვით, მთელი ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ,—და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მოითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა"-საც ზედ დაატანდა თუ ქეიფზედ იყო, — და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში"... მაგრამ მისი ოჯახი-

ანობის ფილოსოფია თხოვილობდა ამასა: „ხანდისხან ტყუილა უბრალოდაც უნდა დასტუქსო, რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება... იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!...“

უთუოთ ამავე სიბრძნით აღსავსე მცნების შესასრულებლად, გლეხებსაც „ააწიოკებდნენ“ ხოლმე ხანდახან, ამ „შიშისა და კრძალვის“ განსამტკიცებლად; თორემ „გლეხი თუ გაქირ ვირსავით ერთხელ შედგაო“, ბრძანებდნენ ღვთით კურთხეული ბატონები, „მერე თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს“...

ამგვარი ცხოვრება, მოკლებული ყოველივე პოეზიას, ყოველივე მომხიბვლელობას, ყოველივე ოცნებას, აღსავსე უშინაარსო სიბოროტით და უნიადაგო მძულვარებით, რომელიც მარტო ჭამისმოყვარეობას მისდევდა, სულხაობასა და სიბინძურეს ებღაუქებოდა, ღირსეულად დამთავრდა: „წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა: რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიქვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზე წაიწერონ, რომ „ ჩყ... წლამდინ თ. ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?!“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო შენდობა გვიბრძანეო“, — ამბობს იმათი ქვის ზედ წარწერილი. ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე?“, — დაამთავრებს მწარე კითხვით ავტორი და ამ კითხვაში გამოიხატება მთელი სასტიკი მსჯავრი თათქარიძეებისა და მათი შემქმნელი წყობილებისადმი... მეოთხედი საუკუნის შემდეგ კიდევ გამოიყვანს ავტორი თათქარიძეების ნათესაობას სცენაზე და დაგვანახვებს, თუ შეცვლილმა გარემოებამ რამდენად ღრმა ცვლილება შეიტანა მათ მემკვიდრეებში, მათი სულის განწყობილებაში. ღრმა სოციოლოგი ერთი ბეწოთიც არ შეცვლილა და ილია არჩილისა და კესოს სახეში („ოთარაანთ ქვრივი“) იმავე „ჩატეხილი ხიდის“ მკვეთრი მხატვარია, თათქარიძეების მოდგმის არარაობის შორსმხედველი და წინასწარმეტყველი ეპიკოსია.

რაც უნდა ტექნიკური ნაკლულევანება ჰქონდეს „გლახის ნაამბობს“, არის შიგ ადგილები, რომელნიც ილიას კალმის დამამშვენებელნი არიან, პირველად ყოვლისა თვით ტიპი დათიკოსი. სხვა რომ არა ვთქვათ რა და სხვა საბუთს არ მივუთითო, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ ტიპის მომხიბვლელობა დღემდეც ვალად აწევს ჩვენს ლიტერატურას. გიორგი წერეთლის იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“), ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი ქვეყნის რაინდი“) და ტიტიკო („სიმონა“) დათიკოს ყალიბზე არიან ჩამოსხმულნი, სხვა და სხვა გარემოებაში იმავე თვისებათა გამომჩენელნი. ხოლო მელანიას „ბნელოში“ კნიაზი შაქრო, მისგან ილოს ცოლის გაუპატიურება და ილოს ცოლის გაროსკიპება—ამ ეპიზოდებში სიტყვა-სიტყვით გამეორებულია დათიკოსაგან თამროსა და გაბროს დაღუპვის ამბავი. გაბროსა და თამროს სიყვარული კლასიკური სიმარტივითა და მოხდენილობითაა აღწერილი. ტრფობისა და ვნების ამ საუცხოო სურათმა ახალ ლიტერატურაში პირველად ილიას ნაწარმოებში დახატულმა, თავისი წარუხოცელი კვალი დაამჩნია ქართულ რომანს ალ. ყაზბეგიდან დაწყებული ე. ნინოშვილამდე [1].

დათიკო, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული სილამაზით, ხასიათის სიმტკიცით, გრძნობიერებით და გონიერებით, იმავე წყეული წესწყობილების მიერაა გარყვნილი და დაღუპული. ამ შემთხვევაში კიდევ მეტად ძვირფასი მასალა მოიპოვება ვარიანტ „კაკოში“. ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ის ადგილი, რომელიც დათიკოს აღზრდას შეეხება და რომლიდანაც ვხედავთ, რომ დათიკო ასეთ მოშხამულ ჰაერში სწორედ ასეთი უნდა შექმნილიყო: თავისნება, ჟინიანი, ხორცის ამყოლი. თუ ლუარსაბი და დარეჯანი, ეს დათიკოს კანონიერი მშობლები, მუცლის ამოყორვით ემსახურებოდნენ ხორცს, დათიკო თავის ხორცს სქესობრივ გრძნობათა წარა-მარა განებივრებითა და დაკმაყოფილებით ანაზებდა და ამახვილებდა. თუ იგინი თავის მუცელს გადაყვნენ, ეს თავისი ხორცის ჟინიანობას გადაჰყვა, იმ ხორცისას, რომელიც მის ხელში მარტოოდენ სქესობრივ ვნებათა

---

[1] ჩვენ სავსებით განვმარტეთ ილიას დიდი გავლენა ჩვენ მთიელთა მწერლობაზე: ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველაზე; მათი ნაწარმოების სული და გული ილიას „მგზავრის წერილებიდანაა“ ამოღებული.

ლელვის თავშესაფარებელ ნავსადგურად გადაქცეულიყო. ხოლო სისტემატიურმა ექსპლოატაციამ ხორცისა, სქესობრივი ენერგიის თავაშვებულმა უსაზღვრო გაფლანგვამ მთელი წოდება მოადუნა, სისხლი გაუშრო, ძარღვები დაუსუსტა და შემდეგი თაობა, არჩილისა და კესოს სახით, მოგვევლინა. კესო და არჩილი გამოფიტული აჩრდილნი არიან: მათ არც ავის გაკეთება შეუძლიათ, არც კარგის წახდენა. მათ ხორცის გრძნობებიც კი დაჩლუნგებული აქვთ იმდენად, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას სჯობნის თავში მშრალ-მშრალად ჩალაგებული უსისხლხორცო ათასგვარი ტრადიცია. კესო გიორგის სიყვარულს ვერ გაუგებს, და არათუ მარტო იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი არ შეუძლია გლეხსა და „ბატონს“ შორის სიყვარულის ხიდის გადება შეიძლებოდეს, იმიტომაც, რომ მას სქესობრივი ენერგია ქალიან დაჩლუნგებული აქვს. მის სიცოცხლეს ამოძრავებს, სისხლს სითბოს მიანიჭებს მარტო და მხოლოდ თავი და იქ ჩაჩრილი მცენებანი ტრადიციულად თავში გაჭედილი. გიორგის, ამ სიცოცხლითა და ჯანსაღობით აღსავსე მამაკაცის ვნებიანი სუნთქვა, მისი ეშხით დამთვრალი ხორცის მიახლოვება ვერ იგრძნო კესოში დედაკაცმა. მას ნიადაგ, ვითა ტიკინას, ციბრუტივით ერთი აზრი ატრიალებდა, ერთი ჭახრაკი ამუშავებდა მის ტვინს — ეს ის, რომ გიორგი გლეხია და, მაშასადამე, მისთვის ხეა, ქვა და სხვა არაფერი. კესო რომ ფიზიკურად სუსტი, ხორციელად გადაგვარებული არ ყოფილიყო, მის არსებაში ჯანსაღი ადამიანური გრძნობები გაიღვიძებდა, თუ გინდ ეს გაღვიძება კატასტროფითაც გათავებულიყო. ადვილი წარმოსადგენია, რომ კესო ტრადიციებს დაუთმობდა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ის რომ საღი არსება ყოფილიყო, თავდაპირველად გრძნობა გაიტაცებდა, ბრმა ინსტინქტები აეშლებოდა. და ეს მომენტი დიდი ხელოვნებითა აქვს ხაზგასმული ჩვენს ავტორს. ის სრულიადაც არ ედავება კესოს, რატომ არ შეიყვარე გიორგი მიუხედავად სოციალური მდგომარეობის სხვადასხვაობისაო. არა, ის არჩილის პირით აღნიშნავს მას, რომ ამ განსხვავებამ ისეთი ჯურღმული გათხარა შენსა და გიორგის შორის, რომ ვერც კი გაუგე გრძნობა სიყვარულისაო...

— „სიყვარული ბრძანებით არ მოდის“, — უპასუხებს კესო.

— „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ ბრმა გული არ დახეედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტო-

ლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეკრა. სიყვარულსა ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არა სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერისა სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!...“

და ამაში ბრალი უდევს „გვარიშვილობას“ არა მარტო როგორც თეორიასა, არამედ იმავე „გვარიშვილობას“ — როგორც ერთგვარ ფიზიოლოგიურ სნებას, როდესაც ვარდი მზის სხივებს ველარ შეითვისებს და შეიშნობს იმიტომ, რომ მისი ფესვები გამხმარია და დამპალი.

გაბროს მეომარი რომანტიკოსობა გიორგის წყნარ და მშვიდ რომანტიკოსობად შეიცვალა. გაბროს უბედური, მაგრამ ღრმა და ძლიერი გრძნობა — მეგობრობა დათიკოსადმი, გიორგის კესოსადმი აღტაცებულ სიყვარულად და ტრფობად გადაიქცა. როგორც გაბრომ დათიკოსა და მის მეგობრობას გადაატანა თავი, ისე გიორგიმ კესოს სიყვარულის საკურთხეველზე მიიტანა მსხვერპლად თავისი მშვენიერი და ლამაზი სიცოცხლე. და როგორც გაბრომ მარტო კატასტროფის საშუალებით შეიგნო, „რომ უმცროს-უფროსობაში“ სიყვარული სიზმარია, რომ ბატონ—ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება (უკვე აქ არის ხიდი მოხსენებული), ისე გიორგიმ ნათლად იგრძნო თავისი განაწამები სიცოცხლის საშუალებით, რომ გლეხსა და ბატონს შორის სიყვარულისა და ტრფობის „ხიდი ჩატეხილია“. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაბრომ ამ შეგნების გამო შური იძია სიყვარულსა და მეგობრობაზეც, ხოლო გიორგი კი ლოცვა-კურთხევით შეზავებულ უკანასკნელ სალამს უძღვნის თავის „ანგელოზს — თავისს ბედისწერას“.

რადიკალური განსხვავება გაბროსა და გიორგის შორის სოციალურ პირობათა შეცვლაში უნდა ვეძიოთ. ბატონყმობა, როგორც ინსტიტუტი, როგორც წესწყობილება მოისპო. მას შემდეგ თითქმის მეოთხედმა საუკუნემ გაიარა („ოთარაანთ ქვრივი“ დაწერილია 1887 წ.). გიორგი თავისუფლების ატმოსფეროში გაიზარდა. მას აღარა ჰქონდა რა, წარსულთან შედარებით, გასაბრაზებელი და გასაჯავრებელი. იგი შედარებით უფრო მშვიდობიან ცხოვრებაში გაიფურჩქნა. იგი უფრო წმინდა ჰაერს სუნთქავდა აღზრდის დროს. ამიტომაც, იგიც თუმცა რომანტიკოსია, მისი რომანტიზმი ინდივი-

დუალურ ფარგალს არ გასცილებია, მისი რომანტიზმი, ასე ვთქვათ, მოშინაურებულია, მაშინ როდესაც გაბროს რომანტიზმი აღშფოთებულია, მისი „გაყაჩაღებით“ ამ ვიწრო საზღვარს გასცილდება და მის გამაუბედურებელთ ებრძვის და ეომება შეძლებისა და გვარად.

სულ სხვა ჯურის ტიპია ოთარაანთ ქვრივი. იგი, ერთის მხრით, შვილია „ბუნტოვშჩიკებისა“, მეორეს მხრით, მოწამეა „ბუნტის“ დაწყნარებისა და ახალი ცხოვრების შემოქმედების უღლის გამწევია. ამიტომაც არის, იგი ერთი შეხედვით სასტიკია და უკმეხი, რადგან ცხოვრების გაჭედას სჭირია ერთგვარი სისასტიკე, ერთგვარი შეუდრეკელობა, მეორეს მხრით კი გულკეთილია, გულლმობიერი, თვისთა შემწყნარე, უსამართლოების მდევნელი და უსამართლოდ დაჩაგრულთა მოჭირნახულე.

„ნაცვალი თუ იასაული—რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ,— ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა“. „მე მარტო ისა ვარო“, იტყოდა ხოლმე ქვრივი, „რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები, თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო“, და თანაც მისი მოწყალებით, მისი გულ-კეთილობით ქვრივის გამკითხველი იყო, ობლის შემწყნარე: „გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა“, მაგრამ მადლს კი უსათუოდ პილპილს მოაყრიდა. „ტკბილი სიტყვა რა არისო“, იტყოდა ხოლმე: „ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთ მაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოფხანსო. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება... სიტყვა სამურველი ხომ არ არის — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მოსწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება“.

გარეგანი სიმკაცრე და სიმკვახე ამ დედაკაცისა ჰფარავდა თავგანწირულ სიყვარულს თავისი შვილისას და თავისი ქმრის „ანდერძის“ თავდავიწყებულ და ენერგიულ შემსრულებელს. შვილის სიკვდილის წამებს ასეთივე მედიდურებით, გარეგნულად წარბშეუხრელად და გულგაკაჟებულად დაუხვდა ოთარაანთ ქვრივი, მაგრამ მისმა არსებითად ნაზმა და გულჩვილმა არსებამ ისეთი უბედურება

ველარ გადაიტანა და თვით გადააკვდა თავის პირმშოს, იდეალსა და საგანს ცხოვრებისას. განა შეიძლება, რაც უნდა გულქვა მკითხველი იყოს, გული არ აუჩვილდეს და თვალებზე ცრემლები არ მოერიოს, როცა იმ ადგილს წაიკითხავს, სადაც აღწერილია სულის მდგომარეობა სიცოცხლე გამწარებული ქვრივისა, რომელმაც დაჰკარგა თავისი ერთადერთი „განძი“, იმედი და ნუგეში შვილი?

თუ ოდესმე ავტორს თავის გამოხატულ ტიპში თავისი თავი წამოსცდენია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ტიპში მისი თვისებები მისდა უნებურადაც შეჰპარვია, ეს ოთარაანთ ქვრივის შესახებ უნდა ითქვას. ილია ყველასაგან ცნობილია ვითა გარეგნად მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანი. არასოდეს ტკბილი სიტყვა და ქალაჩუნობა არა ჰყვარებია. მაგრამ სასტიკად შემგნები იყო თავისი მოვალეობისა, თავდავიწყებულად დამცველი თავისი „განძისა“ და „ანდერძისა“. ტყვილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინებდა მისი ცხოვრების სატრფიალო საგანს, არც მის ჯავრს არავის შეარჩენდა. და იგიც, ვით ოთარაანთ ქვრივი, ზედ დააკვდა თავის აზრს, მისგან აღზრდილს და განვითარებულს ისევე მტკიცედ და ქედმოუხრელად, როგორც ოთარაანთ ქვრივი და ისევე გაუგებელი, როგორც გიორგი თავის ღრმა გრძნობებში. სწორედ ამგვარი, როგორც იტყვიან, შედუღება ავტორის არსებისა გარეგანი ცხოვრებისაგან ამოღებულ ტიპთან, ჰქმნიან ოთარაანთ ქვრივს უნივერსალურ ტიპად, არა კერძო, ნაციონალურ-ქართულ, ანდა ადგილობრივ, გინდ წოდებრივ სახედ, არამედ საზოგადო არსებად, რომელსაც კაცობრიობის სურათთა პანთეონში შესაფერისი ადგილი უნდა მიენიჭოს. ამით ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ ოთარაანთ ქვრივი ნამდვილი ქართველი გლეხის ქალი არ იყოს, ქართულ ცხოვრებაში დაბადებული და აღზრდილი. ეს თავისთავად ცხადია და რათა უფრო ნათელყოფილი იყოს შეადარეთ, თუ გნებავთ, ლევ ტოლსტოის გლეხებს: მაშინ როდესაც პლატონ კარატაევი, ტოლსტოის სათაყვანებელი გმირი, ყმაა და მონა, მომთმენი. უაზროდ თავდავიწყებული და თავზეხელაღებული. მაშინ როდესაც მთელი ფილოსოფია კარატაევის არსებობისა გამოიხატება სრულ ინდიფერენტიზმში, პასივობასა და აპატიაში, მაშინ როდესაც კარატაევი უსაზღვრო გულგრილობით ემორჩილება ყოველივე მოვლენას, ყოველივე ძალასა და ხვედრს, ოთარაანთ ქვრივი, როგორც კიდევაც ვნახეთ, მამაცი და მხნე ადამიანია, რომელიც თავის „ჯავრს არავის შეარჩენდა და ტყუილა უბრალოდ არავის დაეჩაგვრი-

ნებოდა“. ოთარაანთ ქვრივს აქვს იდეალი და ამ იდეალს დაუძინებლად ემსახურება; ოთარაანთ ქვრივი შვილია ბრძოლაში გამოცდილი ხალხისა. ჭირსა და ვარამში, უბედურებაში გაკაჟებული, რომლის ზურგზეც მილეთის ხალხმა გადაიარა და რომელსაც საუკუნეების განმავლობაში თავის დაცვის საჭიროებამ ცხოვრებისთვის ბრძოლისა და არსებობისათვის მეტოქეობის აუცილებლობა შეაგნებინა. ოთარაანთ ქვრივი შვილია „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარისა, მის სამშობლოს დღე-მუდამ მზე დაკაშკაშებს; აქ ორი დღის თოვლის შემდეგ ია იშლება; ზამთარი უდღეოა, ზაფხული და გაზაფხული კი დაუსრულებელი. ოთარაანთ ქვრივებს ბუნების სიცოცხლისა და ცხოვრების, ბუნების სიხარულისა და ბედნიერების ნანინა აკვანშივე ესმით, ხოლო ბუნების ფერხულში თვით ღებულობენ მონაწილეობას. მათთვის ბუნება კეთილისმყოფელი მეგობარია, ხელის შემწყობი და მფარველი. მათ სამშობლოში თავის დღეში აბსოლუტიზმს ფეხი ვერ მოუდგამს. იქ ყოველთვის პროვინციულ სეპარატიზმსა ჰქონდა ღრმად გამდგარი ფესვები და, შეიძლება ითქვას, ამან პოლიტიკურად დაამხო საქართველო, პირადობა მაინც უმაღლესად განავითარა, ღრმა ინდივიდუალიზმს სამარადისო საფუძველი გაუჩინა ქართველი ერის თვისებაში. მხოლოდ ამისთანა პირობებში იზრდება ოთარაანთ ქვრივი და მხოლოდ ოთარაანთ ქვრივისთანა სრულ და მთლიან ბუნებიან ადამიანს შეუძლია აღასრულოს ნამდვილი დედაშვილობა, ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, ჭეშმარიტი მამულიშვილობა და მოქალაქეობა. ყოველივეს, რასაც ხელს მოჰკიდებს მისი ძლიერი ბუნება, სავსებით შესწირავს თავის ძალასა და ღონეს, და ყოველივეს, რასაც კი იკისრებს სინდისიერად და წმინდად აღასრულებს.

სულ სხვაა კარატაევის მდგომარეობა. საუკუნეებით პოლიტიკურმა დესპოტიზმმა სრულიად მოუსპო ყოველივე ნებისა და სურვილის ნასახი და იგი იოანე მრისხანეთა მუნჯ და ყრუ მანქანად აქცია... კარატაევის მთელი ცხოვრების მრწამსი ერთით განისაზღვრება: „რა ჩვენი საქმეა, რომ ვმსჯელობთ: ეს არ ვარგა, ის ცუდია, — ყოველიფერი იღბლის საქმეა“. ამიტომაც არის, პლატონ კარატაევი რომ „გაროზგეს“, ამაში მან მარტო სიამოვნება და კმაყოფილება იგრძნო და მისი ადამიანური ბუნება ერთი ბეწოთიც არ აღშფოთდა: „ეინაიდან ცოდვილი ვარ... ჩემი ცოდვებისათვის დავისაჯეო“; ზაქრომ კი („კაკო ყაჩაღი“) „გაროზგვაში“ მხოლოდ პირადობის გაქელვა, პი-

რადობის გაბიაბრუება და გაუპატიურება დაინახა, აღშფოთდა, შუ-
რი იძია მის შეურაცხმყოფელზე...

რაკი რუსული მწერლობის შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მეტი არ იქნება ჩვენში არსებულ ერთ ცრუმორწმუნოებას შევეხოთ. გაგიგონიათ უთუოდ, რომ „კაცია-ადამიანი?!“ თითქოს მიბაძვა იყოს გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკების“. ის ვინც ამას ამ-ბობს, შეუძლია ისიცა თქვას, რომ ოთარაანთ ქვრივი მიბაძვაა პლა-ტონ კარატაევისა. მსგავსება ამ ორ მოთხრობაში მხოლოდ ის არის, რომ ორივე მწერალს ორი მოხუცი ცოლ-ქმრის უფერული ცხოვრება აქვს აღწერილი. ამნაირი ნაწარმოები, სხვა რომ არ ვახსენოთ, ძველ რომაელ მწერალ ოვიდიუსსაცა აქვს: ფილიმონ და ბავკიდა. და თუ კი არაკის იგივეობას რაიმე მნიშვნელობა აქვს მიბაძვის განსაზღვრა-ში და თხზულების ღირსების დაფასებაში, მაშინ შექსპირის ტრაგე-დიებიც მიბაძვით დაწერილი არიან, „ვეფხისტყაოსანიც“ მიბაძვაა და სხვ... ვინც ცოტათი მაინც იცის საზოგადო ხელოვნების ისტორია, კარგად იცის რომ მთელი ღირსება ნაწარმოებისა იმაზე არის დამო-კიდებული, როგორ არის შემუშავებული ესა თუ ის თემა, გინდ არა-კი. ელინთა სკულპტურაში საუკუნეების განმავლობაში საუკეთესო მოქანდაკენი მარტო ჰერმესის, აპოლონისა და ვენერას ქანდაკებას ჰქმნიდნენ და იმგვარად, რომ მათი პოზაც კი თითქმის ერთი და იგი-ვე იყო. ხოლო ყოველივე დიდ ხელოვანს შეჰქონდა თავისი ღვთა-ებრივი ნიჭის ნიშანი სახის გამოხატულებაში, სხეულის გამოხატვა-ში, ტანისამოსის ნაოჭებში და სხვ. მთელი იტალიური განახლების მხატვრობის სიუჟეტი იესოს ცხოვრებიდან იყო ანდა პირველი ცოდ-ვის ამბებიდან, მაგრამ ვერავინ იტყვის, დიდებული რაფაელი თუ გინდ პერუჯინოს მიმბაძველი იყოს, თუმც მისი მოწაფეც კი იყო, ანდა მიქელანჯელოსი, რადგან მისი და რაფაელის ფრესკები ერთსა და იმავე ადგილს არის მოქცეული რომში ვატიკანის სასახლეში და ერთი და იმავე შინაარსისაა.

გოგოლის ორი მოხუცის ამბავი ნაგლეჯია ცხოვრებისა, ერთი მომენტია ცხოვრებისა აღებული. გოგოლი თავის გმირებს გულმოწ-ყალებითა და გულლმობიერებით ეპყრობა. გოგოლის გმირები მარ-თლაც არც დიდი რამ ხეირიანი ბრძანდებიან, მაგრამ არც ნამეტნა-ვად ცუდნი. ილიას მოთხრობა მთელი ეპოპეაა, ბატონ-ყმობის წეს-წყობილების ერთგვარი სოციოლოგიური ეტიუდი. ილიას გმირები საზიზღრები არიან, სახით, ქცევით, თვისებებით. ერთი მათი ის რა-

თა ღირს, რომ წარამარა სტუქსავენ“ მოსამსახურეებს და ბრალზე და უბრალოზე „აწიოკებენ“ გლეხებს, რათა მათი „ბატონობა“ არ დაეიწყონ და მათი „შიში და კრძალვა ჰქონდეთ“... გინებისა და ლანძღვის მიდრეკილება ესოდენ დიდია მათ ბუნებაში, რომ ერთმანეთსაც კი ხშირად გაუმასპინძლდებიან ხოლმე წყევლა-კრულვით. ავტორს ბრაზსა ჰგვრიან იგინი, გულს ურევენ და მთელი მისი განწყობილება მათდამი უსაზღვრო ზიზღით გამოიხატება. გოგოლის იუმორი ცრემლნარევია, ცოტა არ იყოს სენტიმენტალური, სიბრალულით გამსჭვალული. ილიას დაცინვა ულმობელი და შეუბრალებელი სატირაა. აქ სიცილს კბილთა ღრჭენის ელფერი დაჰკრავს და სასტიკი მსჯავრის ხასიათი აქვს. ავტორს ვერც კი გაუგია, როგორ უნდა დაიმციროს კაცმა, ადამიანმა თავისი თავი ისე, რომ „შენდობა“ მოითხოვოს და თავისი ცხოვრების გასამართლებელი საბუთები არ წარმოადგინოს.

აქაც იგივე განსხვავებაა, რაც პლატონ კარატაევსა და ოთარაანთ ქვრივს შორის... ილიას ვერც კი მოუთმენია, რომ ლუარსაბისთანა კაცმა, რომელიც ადამიანობას ლაფში სვრის, შენდობის შესახებ კრინტი დასძრას: რად გაუხდია კაცს-ადამიანს საბოდიშოდ საქმე, აი რა აღელვებს მას!

გოგოლს კი ფატალურად აუცილებლად მიაჩნია ადამიანის დაგლახავება-დაბეჩავება და ცრემლებს ღვრის ჩვენი უცნაური ბედისწერის გამო. მას აზრადაც არ გაუვლის გაცუდებული ადამიანის უსაზღვრო დატუქსვა იმიტომ, რომ, კარატაევის არ იყოს, „ყოველიფერი იღბლის საქმედ“ მიაჩნია. მაგრამ სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ, ვინც წაკითხვა იცის და წაკითხულის შეგნება, მისთვის მეტად ნათელია, რა დიდი საზღვარია ორ მწერალსა და მათ ნაწარმოებთა შორის.

6

ილია, როგორც ღრმა სოციოლოგი და ცხოვრების დაკვირვებული მხატვარი, ორი წოდების წარმომადგენელთა შორის ძალას იქ ჰპოვებდა, სადაც მეტი იყო შეგუებული და დაუხარჯავი ენერგია. ეს რომ ასეა, ამის უეჭველი დამამტკიცებელი მისი „ოთარაანთ ქვრივია“. ამ შემთხვევაში ილია სრულიად არა ხდებოდა ბრმა ტენდენციის მონა. პირიქით, მისი სურათები ცხოვრების საკუთარი შეს-

წავლის, ცხოვრების იდუმალ ძალთა წინასწარმეტყველურად წარმოდგენის შედეგია. იგი, როგორც მხატვარი, ისე ექცეოდა თავის შექმნილთ, როგორც ყოველივე შემოქმედი. თავისი ოცნების ნაშობთ ერთნაირად ეპყრობოდა, თუმცა შეუძლებელი იყო, როგორც შემოქმედს ყოველი მათი ღირსება-ნაკლულევანება თვალწინ არ ჰქონოდა დაყენებული. იგი ცხოვრების წარმოდგენების ძალით თვალწინ გადაგვიშლიდა და ხელოვანის კალმით მოგვიხაზავდა ამა თუ იმ მოვლენას ერთნაირი ყურადღებით. როცა ეს აქტი შემოქმედებისა დამთავრდებოდა, რასაკვირველია, შემდეგ მწერალში ხორცშესხმული შემოქმედი წამოყოფდა თავს და ძალაუნებურად გრძნობდით ვისკენ უჭირავს მას თვალი. თავის დღეში მას განგებ ხაზი არ გაუსვამს, ფერადი მუქად ძალდატანებით არ შეუღებავს, რათა მაყურებლის კისერი იქით მიექცია საითკენაც მგოსნის გული იწევდა. დათიკო მრავალი კარგის თვისებებით არის აღჭურვილი, მაგრამ გადაგვარების დაღი ასვია. კაკო, ზაქრო და გაბრო მრავალი ნაკლულევანებით არიან აღსავსე, მაგრამ სიჭაბუკისა და სიყრმის ენერგიული შარავანდედით არიან მოსილნი. ეს უტყუარი სურათი იყო, ერის დიდი შემოქმედისაგან ნათელყოფილი. განა დათიკოს მოსიყვარულე, ლმობიერი გული არა აქვს? ნახეთ, როგორ უყვარს გაბრო, ნახეთ მისი შენანიება, როცა თავის ჟინს აღისრულებს და გაბედულობის ხანას გადასცილდება. მამაცი, რაინდული მედიდურებით შემკული, იგი ხდება მხეცად მხოლოდ ერთ მდგომარეობაში: სქესობრივი ჟინის აშლის დროს. მაშინ იგი გიჟია, ჭკუაზე შემცდარი, მისი ნერვების ცენტრი დაშლილია, იგი პათოლოგიური არსებაა, მონაა, ყურმოჭრილი ყმა ერთი გრძნობისა, ერთი ინსტინქტისა. უკეთ რომ ვთქვათ, ამ დროს იგი კაცი აღარ არის, იგი ბედისწერის ბრმა იარაღია, სამარადისო ფატალიზმისგან გასროლილი მეხის ნატეხია. და ნუ თუ შეიძლება კაცმა რაიმე მოსაზრებით გაამართლოს ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა ყაჩაღისა? და განა კაკო, ზაქრო, გაბრო ასეთ გზას არ დაადგებიან პირადი უკმაყოფილების გამო, მაშინ როდესაც თითქმის გულგრილად და სრული მოთმენით უყურებდნენ სხვის გაუბედურებასა და გაუპატიურებას მათი ოდესმე მფარველი ბატონისაგან (გაბრო და დათიკო)? მაგრამ ისინი საზოგადოების უწესრიგობის მუხრუჭისაგან არიან დამსხვრეულნი. თუ ბუნების იდუმალი ძალები ჰქმნიან დათიკოს მხეცად; საზოგადოების სტრუქტურის არანაკლებ

უძლეველი პირობები, არანაკლებად ფატალური ზეგავლენა „გააყაჩაღებს“ ზაქროსა და გაბროს.

არჩილსა და კესოს, როგორც მანეკენებს, როგორც მტვრიან ეტრატზე დაწერილ წიგნს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს და თავისებური ღირსება. მაგრამ ნაკლი მათი სწორედ ის არის, რომ ცხოვრების ძარღვი მოდუნებული აქვთ.

და განა გიორგი, რომელიც არც თუ შორეული ნათესავი გახლდათ კაკოსი და გაბროსი, რომელსაც ჩვენი „ვარიანტი“ „რომანტიკული კაცის“ სახელით მონათლავს, განა ეს გიორგი ყოველი ღირსებითაა შემკული? გიორგისაგან მეჯინიბის ცემა და სხვა ამგვარი მოქმედება არც თუ დიდი ქველობაა, მით უმეტეს, რომ ცოტა არ იყოს მოხელობრივი „დამსახურების“ სუნი უდის, სხვის ტყავზე კარიერის გაკეთების ფერი აქვს, თუმც ჩინის ადგილი აქ კესოს გულს უჭირავს და კარიერის მაგივრობას მგრძნობელობით გაშუქებული სიყვარული გაუწევს.

განა გიორგიც ერთგვარი დათიკო არ არის, ოღონდ სპეტაკი წმიდა, სულითა და ხორცით მშვენიერი? განა, იგიც თავის პირადობას თავის „მე“-ს, თავისებურ, რასაკვირველია, მაღალ და ფაქიზ სქესობრივ გრძნობას არა სწირავს თავის თავს, თავის სიტურფითა და სილამაზით აღსავსე სიცოცხლეს და ამ გრძნობის წინაშე უარს არა ჰყოფს ყოველივეს — მამის „ანდერძსაც“, დედის ამაგსა და ერთგულებასაცა? ნუთუ გიორგისთანა პირადობა საზოგადოების განძი არ არის, რომლის აგრე გაფლანგვა, აგრე ცალმხრივად დახურდავება არც თუ დიდი მოსაწონი საქმეა?

საოცარი გონიერი ხელოვნება გამოიჩინა ილიამ სწორედ იმ ხერხში, რომელსაც მიმართა ორ წოდებათა დაპირდაპირებაში. კოლიზია ხვდება ცხოვრების თვით უსაშინელეს, თვით უძლიერეს, თვით უმაღლეს და უსაიდუმლოეს ფატალურ ვნებათა სფეროში. და აქ სცენაზე გამოდის, ერთის მხრით, დათიკო, რომელსაც ცხოველმყოფელი და ძლევამოსილი სქესობრივი ინსტინქტი ჟინიანობათა და თავგასული „ბატონის“ კაპრიზებად გადაუქცევია. დათიკოს ამ გრძნობათა წყარო ჯოჯოხეთსა და უფსკრულში გამოუძებნია ისე, რომ ლაჟვარდი მზით გაბრწყინებულ ცაზე ერთხელაც არ აუხედავს, სამსალითა და შხამ-გესლით გაუჟღენთია მისი ფიზიოლოგიური ლტოლვილება, ხოლო მეორის მხრით კი გაბრო, რომელსაც ამ გრძნობის უმწვერვალეს საფეხურამდე მიუღწევია, და თუ

უფსკრულშიაც ჩაუხედავს თავბრუ როდი დასხმია, არამედ უფრო გაძლიერებული და გაღონიერებული მისულა წმიდა საკურთხევლის წინაშე; ერთის მხრით კესო, რომელსაც სისხლი ისე გაჰყინვია, რომ დიადი ვნებათღელვის დამწველი ცეცხლის სიმხურვალესაც კი ვერ ტყობილობს, უძლეველის ელექტრონის დენასაც კი ჩლუნგად უხვდება, — მეორეს მხრით კი გიორგი, რომელსაც წმინდა ალი ღვთაებრივი ტრფიალისა გულში გაჩაღებული აქვს და სიცოცხლე მისი გაკაშკაშებულია ზეაღმტაცი მგრძნობელობის სხივებით, იგი ამ მგრძნობელობის წმინდა ნექტარით დამთვრალი თრთის საყვარელი არსების ყოველი მოახლოვების დროს. გაბრო და გიორგი გრძნობათა სამეუფოში შედიან ვაჟკაცობითა და სულისა და ხორცის ღონიერებით შემკულნი, ჰერმესსა და აპოლონივით ოლიმპიური განწყობილებით მორთულნი, კესო და დათიკო კი სილაჩრით, სიძაბუნითა და უძლურებით აღსავსენი; იგინი თვალს ვერ უმართვენ ღვთაებრივ მნათობს და მარტო და მხოლოდ მის ბრმა და დაჩლუნგებულ მონათა შორის დაფუსფუსებენ. გაბროს და გიორგის მომავალი აქვს — დათიკოსა და კესოს კი — წარსული. გიორგისათვის „განთიადი“, ის „განთიადია“, რომლის შესახებაც ბჭობენ კესო და არჩილი გიორგის გაცივებული გვამის გვერდით, პოეტური ოცნება კი არაა, ხორცშესხმული სინამდვილეა, რომელსაც მისი და ძმათა მისთა ძლევამოსილი მარჯვენა მოავლენს ცხოვრებაში. და მაშინ როდესაც კესომა და არჩილმა ამ განთიადის წინაშე თავის სუსტ თვალებზე ხელები უნდა ჩამოიფარონ, თვით გიორგი და მისი ჯურის ადამიანები იქნებიან ამ „განთიადის“ განმამტკიცებელნი და მამაცად, ყოჩაღად შეაცქერდებიან მას, როგორც ცხოვრების გამაშუქებელ ღვთაებრივ იდეალს. არჩილი და კესო ცრემლის ფრქვევით ფიქრობენ „განთიადის“ მოპოვებას. გიორგი და გაბრო კი სიცილითა და მებრძოლის მსნე ყიჟინით გვამცნობენ მის მოახლოვებას.

7

საეროვნო გრძნობათა აღძვრასა და განმტკიცებაში ილიას უპირველესი ადგილი უჭირავს და ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. მთელი მისი სიცოცხლე კი ამ აზრის მსხვერპლი შეიქმნა. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამორკვევასა და დამტკიცებას, რამდენად აუცილებელი, რამდენად საჭირო არის და იყო

ჩვენი ერისათვის იმის შეგნება, რომ მას აქვს უფლება ცხოვრებისა, მას აქვს ნება ადამიანური ყოფისა, რომ მისი სიცოცხლე შესაძლებელია მარტო და მხოლოდ განსაზღვრულ ეროვნულ კალაპოტში, ისტორიიდან ნაკარნახევში და ბუნების კანონების მიერ დაკისრებულში. ეს უნდა იგრძნო ადამიანმა მთელი შენი არსებით, ამის დამამტკიცებელი საბუთი მოიპოვება არა მარტო ჩვენს ისტორიაში, არამედ ყოველი ერის ისტორიაში. მაგრამ მარტო მეცნიერული მცნება არა კმარა, აქ სარწმუნოებრივი ექსტაზიცაა საჭირო. როგორც ყოველივე პოლიტიკურ-სოციალური დიადი რწმენისათვის. ის, ვინც ამ აზრის სიდიადეს ვერ იგრძნობს და ვერ განიცდის, ავადმყოფსა ჰგავს, რომელსაც გემო დაკარგული აქვს, იმ ბრმას, რომელიც ვერავითარი აღწერილობით ვერ იგრძნობს ცხოველმყოფელ კავშირს ბუნებასთან, იმ ყრუს, რომელიც ვერ შეისმენს ზეაღმტაც მუსიკალურ ჰარმონიას ბუნებისას. მუსიკა, მხატვრობა, პოეზია ერთგვარ კანონიერებას ექვემდებარებიან, მაგრამ მარტო მეცნიერული შესწავლა ამ კანონიერებისა ვერას გიშველის თუ მოსპობილი გაქვს ორგანო აუცილებელი ზეაღმაფრენით აღსავსე შთაბეჭდილებათა. განსაცდელად. თუმც ამგვარ გრძნობათა აღძვრაში ილია პიონერი იყო, მაგრამ მას თავის დღეში ამ შემთხვევაში ერთი ცრუ ნაბიჯი არ გადაუდგამს ხელოვნების მხრივ, მას თავის დღეში არ წამოსცდენია უნიადაგო, ყალბი წრიპინი, არ შეუთხზავს უაზრო ჰიპერბოლები, უმნიშვნელო და უშინაარსო ოპტიმიზმს არ დაბღაუჭებია, სასომიხდილი პესიმიზმით თავის ნაწარმოები არ გაღაუმლაშებია. აქ ყველაფერი ელინური, მაღალმხატვრული ზომიერებითაა აღსავსე. თავდაჭერილობა, რომელიც ზეკაცს დიდბუნებოვან ადამიანს შეფერის, ღრმა გრძნობა, რომელსაც ერთგვარი თავშეკავება კიდევ უფრო აძლიერებს, რაღაც დიდებულ შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში. ბევრს რომ არ გამოვუდგეთ, ავიღოთ მისი ორი პატარა ლექსი.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰკყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
„აყვავებულა მდელო.
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო;
შენ როსღა აყვავდები?“

ნახეთ, ამ რვა პატარა სტრიქონში, რომელშიც სულ ოცდა-ერთი სიტყვაა, რამდენი სურათია, რამდენი აზრი და რამდენი გრძნობა: იმედიც არის, უსასოებაც, ეჭვიც, ნუგეშიც, აღტაცებაც, სასოწარკვეთილებაც. აქ ერთი სიტყვაც არ ურევია, რომელსაც სურათთან არ ახლდეს, ანდა მხატვრულ პოზას არ განსაზღვრავდეს, ბუნების განახლება, მისი სიხარულით მკვდრეთით აღდგომა, ერთი-ორი კალმის მოსმით თვალწინ გადაგვიშალა სავსებით. აგერ მდელოა და მთები აყვავებული, აგერ ტყე განახლებული და გამოცოცხლებული ბაღი, რომელშიც „ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“, აგერ ცა მოხარული და მოკისკისე, რომლის ჰარმონიული, მთელ სამყაროსთან შეთანხმებული მხიარული ჰანგები მერცხლის ჭყივილში გვესმის... და ამ ბედნიერებისა და აღტაცების სურათის წინ გულში ისარგანაწონი მგოსანი, რომლისთვისაც ყველა ეს წარმოადგენს გარეგან ჩარჩოს, თვალხილულ სიმბოლოს მისი დიდი სათაყვანებელი საგნისას, მისი სამშობლოისას, „მამულო, საყვარელო შენ როსღა აყვავდები?“ გაისმის მის ბაგეთაგან, არა როგორც კენესა ვაებისა, არა როგორც მოთქმა უბედურებისა, არამედ როგორც სევდით მოვარაყებული სასოება, რომელიც ერთი სიტყვით არის გადმოცემული: „როსღა?“ დიახ, „როსღა?“ ეს ნიშნავს, რომ ჯერ არ არის „მამული საყვარელი აყვავებული“. დიახ, „როსღა“ არ ნიშნავს, რომ არასოდეს არ აყვავდება. დიახაც, აყვავდება! დიახაც, გაცოცხლდება, დიახაც განახლდება. მაგრამ „როსღა?“ როდის? თუ რაიმე სევდიანი განწყობილება იბადება ამ ლექსიდან ამ ერთ სიტყვაშია მოქცეული. მგოსანმა, და მასთან მკითხველმა, არ იცის როდის მოხდება ეს მკვდრეთით აღდგომა, ეს „აყვავება“. რომ ეს „აყვავება“ მოხდება, ამაში კი ვითომ უეჭველად დარწმუნებულია? არც ეს ვიცით, ისე როგორც არც იმისი თქმა შეგვიძლია, რომ სამშობლოს „აყვავების“ სასოება წაწყმედილი ჰქონდეს მწერალს. და აი, ამ პოეტურ გაურკვევლობაშია მთელი სიმდიდრე და მომხიბვლელობა ამ ლექსისა. ერთი გამოსჭვივის შიგ ნათლად და შეურყეველად, ერთია უეჭველი — სურვილი უსაზღვრო, უდიდესი, უძირო და უკიდო, რომ ეს „აყვავება“ მოხდეს. მაგრამ, როდის, „როსღა“? აქვს ამ „როსღას“ ვადა რაიმე, თუ არა — ეს ჩვენ არ ვიცით და თუ ერთგვარად სევდას მოგვფენს ეს კითხვა, რომლის გადაჭრილი პასუხის მიცემა ძნელია, მეორეს მხრით ამ სევდას უკუ გადაგვყრის ის სანეტარო სურათი განცხოველებული ბუნებისა, რომელიც უსასოებას არავითარ მტკიცე

საფუძველს არ უდებს. და აი აქ ისახება მთელი ტრაგედია მგოსნისა და არა თუ მგოსნის, ყოველი შეგნებული ქართველის სულისა და გონებისა. რწმენა, რომ ეს „როსღა“ — ადრე იქნება, თუ გვიან — უნდა მოხდეს, ვინაიდან უამისოდ ხსნა არ არის, მაგრამ „როსღა“. „როსღა“? ეს არის გულისმომწყვლელი, სიცოცხლის მომშხამავი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა.

ესოდენ მარტივი, ესოდენ სადა სტილით დიადი საგნის გამოხატვა მარტო ცით კურთხეულს, ცით რჩეულს, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლია. მარტო შეუდარებელი, უბადლო მწერლის ხვედრია ასეთი უბრალო საშუალებით ესოდენ დიადი შთაბეჭდილების შექმნა და გამოწვევა.

რომელ ჩვენგანს დედის ნანინასავით არ შესმენია ეს სიტყვები? რომელი ჩვენგანის პირველი მოქალაქეობრივი გრძნობა არ გაუღვიძებია ამ ლექსს? რომელი ჩვენგანისათვის არ აღუძრავს პირველი მწარე ფიქრები და, ამასთანავე, პირველი სასოებისა და იმედის ძლევამოსილი სხივები არ მიუფენია მისი სულისა და გულისათვის?!

ახლა ავიღოთ მისი ერთი უკანასკნელი ლექსი: „ბაზალეთის ტბა“ [1]. ამ ლექსში ალეგორია სიმბოლოს სახეს ღებულობს, ხალხის თქმულებას მითის მნიშვნელობა ეძლევა და ყველა ეს გადმოცემულია ეპიკური სიდინჯითა და სიმშვიდით, რომელსაც მაშინაც კი არა ჰკარგავს ბგოსანი, როცა წმინდა ლირიზმის, წმინდა ინდივიდუალურ აზრთა და გრძნობათა გადმოცემას შეუდგება.

„ბაზალეთისა ტბის ძირას“ თამარ მეფეს აკვანი ჩაუდგამს

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს“.

ვინ ჩააწვინა ამ აკვანში თამარმა, რისთვის დაადინა თვისი ცრემლი ერმა? ამის გამოკვლევა სათითაოდ მკითხველის გამჭრიახობასა და შეგნებულებასა აქვს მინდობილი. ამნაირად, ალეგორია სიმბოლოდ იქცევა. ხოლო რაკი ეს მთელი ერის სანეტარო, იდუმალად გამომუშავებული აზრია, რომელიც იმოდენად ძვირფასია მისთვის, რომ ცრემლის ტბაში დაუმალავს, რათა უწმინდურმა ხელმა არ შეაგინოს — იგი რაღაც მითოლოგიურ და რელიგიურ საგნად ხდება.

---

[1] რამდენიმე (ხუთი) ვარიანტი ამ ლექსისა უეჭველსა ჰყოფს, რომ ილია ფრიად მაღლა აყენებდა ამ ლექსსა და დიდ მნიშვნელობას აძლევდა მას.

და აი აქაც მგოსანს შეეძლო ერის ცრემლისათვის, თავისი ცრემლებიც მიემატებინა, გოდება დაეწყო, რომ ან აკვანი დაკარგულა, ან ტბა დამშრალა და სხვა ამგვარი, ანდა, როგორც ბევრ ჩვენ პოეტს აქვს ჩვეულებად, ფიცითა მტკიცით დაეჯერებიეთ, რომ უკვე მზად არის გმირი, რომელიც ამ აკვანს ტბიდან ამოიღებს და დღეს თუ არა ხვალ ქართველ ერს ჩააბარებს და სხვ., მაგრამ არა! ავტორის თავდაჭერილობა სიბრძნით აღსავსეა, მისი იმედი ნატვრის იქით არსად მიდის, და ნატვრა ხომ ნახევრად მაინც უიმედობაც არის.

„ნეტა მას ვაჟკაცსა სახელოვანსა
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!“

დიახ, ეს ვაჟკაცი უსათუოდ იქნება, ისე, როგორც „მამული“ აყვავდება ერთ დროს. დიახ, მან უნდა შეუშროს ცრემლი ქართველ ხალხს; მან უნდა დაუბრუნოს ეს აკვანი, რომელიც მფარველობს მას, „ვისიც არ ითქმის სახელი“ და რომელიც საუკუნეობრივ ტანჯვა-ვაებაში გაუჭედია ერს. ეს უეჭველად უნდა მოხდეს, თორემ ასე ალა-ალად ჩვენი მგოსანი ნატვრასაც არ იკისრებდა. მაგრამ აქაც ჩვენ წინ აღიმართება ტრაგედიული პრობლემა, „როდის, როსღა?“

ამაზე პასუხის გეპას არც ითავებდა და არც იკადრებდა ესოდენ ღრმა და ფხიზელი გონების პატრონი მგოსანი. და აქაც რა უბრალო, რა ჩვეულებრივი კილოთია გამოთქმული თვით უღრმესი საგანი, ჭირი და ვარამი ქართული ცხოვრებისა, და რა ძლიერად, რა დიდებულად მოხაზული. ცრემლმა, ვით სიმბოლომ დაუსრულებელი შრომისა, ტანჯვისა და ბრძოლისა, შეინახა იგი აკვანი მისი განძით საუკუნეთა მიმდინარეობაში და იგივე ბრძოლა, ცდა, შრომა, სისხლი და ცრემლი, იმედითა და სასოებით გაბრწყინებული, მოუპოვებს და ჩააბარებს ერს ამ განძსა, იმ სხმარადისო სანეტარო საგანსა, „რომლის არ ითქმის სახელი“.

სრულიად საკმარისია ამ ორი ლექსის გადათვალიერება, რომ ილიას ჩვენ პირველ ლირიკოსთა შორის მივუჩინოთ ადგილი. ამ ლექსებში ფორმა და აზრი, განწყობილება და მხატვრობა, გრძნობა და კილო ერთნაირად ხელოვნურად შედუღებულია, ერთიმეორეზე მაღლა დგას, ერთიმეორეზე უკეთესია. თუმცა ისიც არ უნდა დავ-

მალოთ, რომ ილიას ლირიკაში უმეტესობა ლექსისა არ არის ამგვარი დიდი ღირსებისა. არც თუ დიდად ეტანებოდა იგი პატარა ლექსებს. თითქო მისი პოეტური სულთქმა ესოდენ ვიწრო ფარგალში თავისუფლად ვერა გრძნობდა თავს, თითქო არწივისებრი თვისება მისი ოცნებისა უფრო დიდ, უფრო ფართო, უფრო მაღალ-მაღალ ადგილებს ეძებდა სანავარდოდ. რა თქმა უნდა, მისი „აღარც ნატვრა და აღარც იმედი“, ანდა „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“ ჩვენი ლიტერატურის არც ერთ სალირიკო ლექსს არ ჩამოუვარდება არც გრძნობათა სიღრმითა და სიმწვავით, არც ფორმათა სიმშვენიერით. მის სატირულ ლექსს — „საქართველოს ისტორია XIX საუკუნისა“ ხომ ბადალი არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში. აქაც რამდენიმე სტრიქონში „გაროზგვილია“ საქართველო XIX საუკუნისა, ჩვენს თვალწინ და ჩვენს სამსჯავროს ქვეშ გატარებულია მთელი „მოღვაწეობა“ იმ წოდებისა, რომელსაც ხელში ეპყრა სადავე მაშინდელი ცხოვრებისა. აქაც თქვენ ხედავთ ილიას — სოციოლოგს, წესის ამგებს ერთი ჯგუფისას, ახალი სულის მახარობელს, „პაპა“, თავისი „პოეოლუსტა დამეხსენი“-თ, მრავლის სიმბოლოა და მრავალი ფიქრის აღმძვრელი. საზოგადოებრივი სატირა ჩვენში არა თუ ამაზე უმაღლეს საფეხურზედ არ ასულა, აქამდეც ვერ მიუღწევია. ეს ლექსი თავისი მკვეთრი და სასტიკი დაცინვით, თავისი გამჭრიახობითა და სიბრძნით სამარადისოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა გვიჩვენებს, რომ ეს სფერო მისთვის სულის შემხუთველი გალიაა. ის თავის თავს კარგადა გრძნობს პოემებში. მისი პოეტური ძალა აქ თანდათანობით იშლება, მისი ლექსის სიმშვენიერე თანდათან ჩამოყალიბდება ხოლმე. იქ, სადაც ზოგიერთ პატარა ლექსში უცნაური სიტყვის და ფრაზის ფორმებს ხმარობს („ყვარლის მთებს“, „გავსწორდეთ ბედო“, „სიზმარი“) „დიმიტრი თავდადებული“, ეს საკმაოდ მოზრდილი პოემა, სამაგალითო კლასიკური ნაწარმოებია. საკმარისია მარტოოდენ სტილი აიღოთ მისი, მუსიკალური ფორმა, სიტყვათა შეხამება, სადა და უბრალო კონსტრუქცია ფრაზისა და თანაც დიდებული აზრი — თავგანწირვა სამშობლოსა და ერისათვის, რათა დარწმუნდეთ ამ თხზულების სიმშვენიერესა და მომხიბვლელობაში. ასეთია „კაკო ყაჩაღიც“. მაგრამ ყველაზე უფრო დიდებული და შეუდარებელი მაგალითი ილიას მწერლობისა, ქართული პოეზიის ობოლი მარგალიტი, მისი „განდეგილია“.

თუ ოთარაანთ ქვრივის ტიპში ილია უნივერსალიზმს დაუახლოვდა, „განდეგილით“ მან შექმნა მსოფლიო პოემა, რომლის შინაარსი და აზრი ერთნაირად ძვირფასია ხელოვნების ყველა თაყვანისმცემელისათვის. ამ უკანასკნელ მის პოემაში ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქედან წინასწარმეტყველური მჭერმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ეხლანდელი ევროპული ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს. ვისიმე ხათრითა და პატივისცემით, ანდა სხვადასხვა ლიტერატურის გარეშე მოსაზრებით კი არ უხელმძღვანელებია სამაგალითო და ჩვენთვის საუკუნოდ დაუვიწყარ ინგლისელ ქალს მარჯორი უორდროპს, როცა პირველად ეს პოემა გადათარგმნა. „განდეგილს“ დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში, ევროპული ლიტერატურის თვალსაზრისით, შესამჩნევი მიმზიდველი ღირსებები აქვს, ისე როგორც „ვეფხისტყაოსანსა“ აქვს სამარადისო, მსოფლიო, ფასდაუდებელი მნიშვნელობა იმავე მხრით. ყოველნაირი ღირსება ილიასი, როგორც მწერლისა, აქ, ამ პოემაში სჩანს: მისი ძლიერი ნიჭი, რომელსაც შეუძლია გარემოება გადალახოს და შექმნას ნაწარმოები არა პირობათა ზეგავლენის ქვეშე, არამედ მიუხედევად ამ გავლენისა; მისი გამჭრიახი, შორსმხედველი გონება, რომელიც საზოგადოებრივ ჯანყსა და ბურუსში არჩევს ნათელ ცასა და მოკაშკაშე ვარსკვლავს.

ოთხმოციან წლებში, ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ასი წელია რუსეთის ცხოვრებითა ცხოვრობს, იგივე გულისმომშხამველი რეაქციის ატმოსფერო იყო, რაც რუსეთში. ეს რეაქცია ტბორის ჭენჭყოს, სიდამპლის მომასწავებელი იყო, მას შმორის სუნი უდიოდა; თითქო რომელიღაც ბაყბაყ-მდევს ლახტი მოექნიოს, ას მილიონ მცხოვრებიან სახელმწიფოსათვის თავში დაეკრას და მისი მაჯისცემა შეეჩერებინოს, ეს არ იყო მოქმედი ან მებრძოლი რეაქცია, რომელიც თავისდა უნებურად მეორე მხარესაც ამოძრავებს. მეორე მხარესაც რაზმავს, რომლის მსგავსი დღეს ჩვენ თვალწინაა. ეს იყო რეაქცია ცალმხრივი. ერთი მხარე სდუმდა, თავი მიწაში ჰქონდა ჩაყოფილი, კერპის წინაშე განართხული იყო და, მეორეს მხრით კი, კიდევ თავში ურესა სცემდნენ, რათა სულ ჩაეძვრინათ მიწაში. არავინ არავის არ ებრძოლებოდა, ყველა ჩაჩუმებული იყო და ერთი ვიღაც კი, გალომებული, საომარ იარაღში ჩამსხდარი ხმალს ატ-

რიალებდა ვიდრე ნაცარ-ტუტი ქვეყნად არ დააყენა და სულის თქმა არ შეწყვიტა. ამ განსაცდელში იყო ქვეყანა და ჩვენი სამშობლო კიდევ უარესში. დონდუკოვ-კორსაკოვის რეჟიმი უკანასკნელი ეპილოგი იყო ქართველი ერის ასის წლის ტრაგედიისა. სწორედ ამ უცნაურ ხანაში დაიბადა ეს საოცარი ნაწარმოები, რომელმაც ცხადჰყო, რომ ავტორს სავსებით, მთელი თავისი დიადი ნიჭით წარმოდგენილი ჰქონდა ცხოვრების უკუღმა ტრიალი, რომლის თავზარდამცემი სურათი თვალწინ დაგვიყენა. ეს ის ცხოვრებაა, რომელსაც განდეგილი

„განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი:
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმიდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ ნეთი-სოფელს,
სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა!“

ეს ყოველივე კარგად შეუგნია მგოსანს, მაგრამ წყევლა-კრულვის მაგიერ იგი გვიწვევს ჩვენ ამ ცხოვრების საკურთხევლად, მის საღაღადებლად, ვინაიდან იგი ამავე ცხოვრების სიხარულს გვიხატავს და სიცოცხლის ძლევამოსილ, მიმზიდველ, მომჯადოებელ სიმბოლიურ ხატებას გვაჩვენებს.

„გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალწინ წარმოედგინა,
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის მშველი ყელ-მოღერებით;
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,

მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი
ეითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა.
თვით მადლს ტრფობისას რომ
მოესურვოს
ხორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცოცხლის გამომსახველად".
„თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა;
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით,
გულ-მკერდის რხევით, ვინ არ
ათრთოლდეს!
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით
ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოველად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულ-მშრალი
და უცოდველის გულის ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვე-ქმნილი თვალი".

ცხოვრების უარყოფა, განდეგილის სახით, და ცხოვრების უკვდავი ძალა, „ყმაწვილი ქალის" სახით, ერთმანეთს დაუპირდაპირა, ერთმანეთს შეაბრძოლა და ბრძოლის ველზე გამარჯვებული ცხოვრება გამოიყვანა. მან დაჰგმო „განდეგილობა", შეაგინა ასკეტიზმი, ცხოვრების მშვენიერების წყაროს დაგვაწაფა და ცხოვრების ჯადოსნური იდუმალი ძალით საუკუნოდ მოგვხიბლა.

ასკეტიზმი სამარადისოდ მიუღწეველი უნიადაგო და უნაყოფო ოცნებაა ისეთი მტკიცე ხასიათის ადამიანისთვისაც კი, როგორც „განდეგილი" იყო. ცხოვრებასთან პირველივე შეტაკების დროს იგი ძლეული რჩება, ფეხქვეშ გათელილი. ცხოვრების განდგომა სიკვდილია, მისი მიღება კი სიცოცხლე; ცხოვრების უარყოფა, ასკეტიზმი— ჭირია, ცხოვრების სიყვარული კი ლხინი, როგორც ამბობს უცოდველი მწყემსი ქალი, მგოსნის ცხოვრების ფილოსოფიის გამომხატველი. ილია არა თუ ასეთ „განდეგილს" მოსპობს, იგი გაანადგურებს თვით ბუდესაც კი ასკეტიზმისა:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიან,
ღმერთი მჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავს უფლისა მიმართ
ბსხვერპლი ქებისა და ღაღადების,
აწ, შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარი ჰქრის, დადის, დაქშუის,
და გამომფთხალი ჭეჭა-ქუხილით
მენ მოხვეწილი ნადირი ღმუის!“.

ილიასთვის ცხოვრებიდან განდგომა და უარყოფა, ცხოვრების „არ მიღება“, როგორც ეხლა ამბობენ, სრულიად გაუგებარი რამ არის. ცხოვრება უნდა მიღებულ იქნეს და აღსარებულ. თვით ცხოვრებაში უნდა გამოიძებნოს სახსარი ხსნისა და ბედნიერებისა. ეს იყო მისი უკანასკნელი ჰიმნი ცხოვრებისა, ცხოვრების, საზოგადოებრივი იდეალების უკანასკნელი ღაღადისი. იგი პოემა ელინური სულითაა გაჟღენთილი, არა მარტო იმით, რომ ცხოვრება და მისი ძალები, სიცოცხლის სიყვარულია გაღმერთებული, არამედ ელინურია სიბრძნით, ელინურია ფორმით, ვინაიდან სრული სიმეტრიაა დაცული, სრული შეთანხმებაა ფორმისა და შინაარსისა, განსახულისა და გამოსახულებისა. ცხოვრების უკვდავება სრულქმნილია, სადა, მარტივ ფორმაშია იგი ჩამოსხმული, იგი ქანდაკურად გამოკვეთილია, და სრულიად ჩვეულებრივი კილოთი შექმნილია მწყობრი, ხმა-ტკბილი, მელოდიით აღსავსე სიმფონია, რომელშიც მრისხანება და ძალი შექსოვილია სინაზესა და სიმშვენიერესთან.

ეს პოემა ახალი ეპოქის დამწყებია არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში. მისი მხნე, გონიერი პესიმიზმი ესოდენ ლამაზად და მოხდენილად არის ჩაქარგული აქა-იქა იმ სასიხარულო, ცხოვრების სადიდებელ საგალობელში, რომ იგი მარტო აღრმავებს და ალაღებს გრძნობას ჭკუა-დამჯდარის, დინჯის ბედნიერებისას და კმაყოფილებისას, რომელიც გადმოსჩქეფს ამ დიადი ბრძოლის სურათიდან.

და... წმირად წარმოგვიდგენია ხოლმე ასეთი სურათი: „განდეგილისა“ და ილიას აჩრდილნი შეყრილან სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალებით მოცულ საზღვარზე. „განდეგილი“ საყვედურის კილოთი ეუბნება მის შემოქმედ მგოსანს: „ახლაც კიდევ, მას შემდეგ, რაც შენ გამოგიცდია, რაც შენ დაგატყდა თავზედ, ახლაც იტყვი, რომ მაინც ცხოვრება ტკბილია, ცხოვრებაშია მარტო სიხარულის წყარო და ბედნიერების ნიადაგი, რომ მარტო ცხოვრებაა სანატრელი?“ ამის საპასუხოდ აღიმართება სიმშვიდით აღბეჭდილი ლანდი დიადი მოძ-

ღვრისა და იტყვის: „დიახ, დღესაც და მარადის ჟამს მე ცხოვრების თაყვანისმცემელი ვარ, იშრომეთ, იტანჯეთ, იბრძოლეთ ცხოვრებისათვის; თუ იქ არის დამარხული სამსალა, შარბათიც მარტო იქ მოიპოვება, თუ იქ არის დამალული ჭირი და ვიში, იქვე და მარტო იქ მოიძებნება სიხარული და სიცილ-კისკისი. ვაშა ცხოვრებას! გაუმარჯოს მის დიდებულებას!

„აქ სიკვდილია, იქ კი — სიცოცხლე,
აქ ჭირია, და იქ კი — ლხინია!“

თუ ჩვენი მგოსნის სიცოცხლე დაუშრეტელი ნაკადულია, ქართველი ერის კეთილისმყოფელი, ხელუხლებელი განძია, რომელიც საუკუნეთა მიმდინარეობაში იქნება ჩვენი ერის გზის მაჩვენებელ მნათობად, მისი სიკვდილი სავსე ტრაგიზმით დიადი მოვლენაა. მისი წმინდა სისხლის ღვარი უნდა შეიქნეს ქართველი ერის ემბაზად, რომელშიც გაბანილი და ნათელღებული იგი სულით ამაღლებული და გონებით გამოფხიზლებული ზეაღდგება და „დასწვდება იმა აკვანსა“, რომლის შესახებ ფიქრსა და ვარამში, ზრუნვასა და ოცნებაში დალია სული თვით დაგვირგვინებულმა მგოსანმა.

45. ილიას ძეგლის საქმე

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების დადგენილების თანახმად შედგა კომისია საზოგადოების გამგეობის სპეციალისტებისა (მხატვრების — გრინევსკის, შმერლინგის და გაბაშვილის, ხუროთმოძღვარის კალგინისაგან, პროფ. ივ. ჯავახიშვილისაგან, ინჟ. ქურდიანისაგან) და კერძო პირთაგან. ამ კომისიამ 15 ივნისს დაათვალიერა ი. ნიკოლაძის მიერ გაკეთებული სტატუა ილიას საფლავზე დასადგმელი და აგრეთვე ნიში სტატუის დასადგმელი. საზოგადოდ ძეგლის შესახებ კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ იგი, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებს ქართველი ერის უდიდესსა და ტრაგიზმით აღსავსე გრძნობებს ტანჯული საეროვნო გენიოსის მიმართ და ეჭვი არ არის ერი თავის მოზღვავებულ გრძნობათა გამოსახატავად მიმართავს უფრო დიად შემოქმედებას ამ სფეროში, რათა უკვდავჰყოს დიადი მოძღვარი და თავისი თაყვანისცემა მის წინაშე, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ძეგლში გაღებული ფული მეტად მცირეა და, აგრეთვე, იმას, რომ ამ ფულით არ შეეძლო საქმის მეთაურებს გამოჩენილი ძალებისთვის მიემართათ— ძეგლი უნდა ვიცნოთ გამოსადეგად და ხეირიანად. რაც შეეხება კერძოდ ი. ნიკოლაძის მიერ გაკეთებულ სტატუას იგი რიგიანადაა გაკეთებული, თუმცა აქვს დეფექტები, მაგრამ არა ისეთი, რომ ითქვას მისი დადგმა საფლავზე რაიმე მხრით საჩოთირო იყოსო. იმისი თქმაც კი შეიძლება, რომ უკეთესი ძეგლი არც კი მოიპოვება თბილისში. ხოლო ნიშის შესახებ კომისიამ ის აზრი გამოთქვა, რომ ისეთი თვალსაჩინო დეფექტები აქვს, რომ თუ იგი არ იქნა მოსპობილი, ყოვლად შეუძლებელია მისი ასე დატოვება. ამის გამო, კომისიამ ამოირჩია სამი კაცი: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ხუროთმოძღვარი კალგინი და მხატვარი გრინევსკი, რომ ინჟ. მამრაძესა და ხუროთმოძღვარ კლდიაშვილთან ერთად შეუდგნენ ამ ნიშის გადაკეთებას.

ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ კომისიის სხდომამ; მოახდინა იმით, რომ დავრწმუნდით ილიას სახელი დღითი-დღე იზრდება, დღითი-დღე სათაყვანო საგნად ხდება არა თუ ყოველი ქარ-

თველისათვის, არამედ ყოველი რიგიანი კავკასიელისათვის. ამ მხრით ფრიად შესანიშნავი იყო მხატვარ გრინევსკის სიტყვები: ილიას სახელი არა მარტო ქართველებისთვისაა თაყვანსაცემი, არამედ ყოველი უცხოელისათვის, რომელიც საქართველოში დაბადებულა და აღზრდილა. მისი სახელის პატივისცემას ჩვენც ისეთი მოწიწებით და ისეთივე კრძალვით ვეკიდებით, როგორც ქართველი ერი და ჩვენც არასდროს არ მოვითმენთ, და არც არავის ნებას მივცემთ, მისი სახელის ხსენებას უდიერად და უკადრისად მოექცენო". სასიამოვნო იყო მართლაც ასეთი სიტყვები, გულწრფელად და დიდი მღელვარებით ნათქვამი. ნუთუ ეს არ ამტკიცებს, რომ ილიას ცხოვრების ტრაგედია მომხიბვლელად მოქმედებს ყოველ განათლებულ და ადამიანურად მოაზრე კავკასიელზე და, რომ ამ ტრაგედიის შეგნება იზრდება თანდათან, გაიშლება, გაიმართება და ქართველი ერის მოზღვავებულ გრძნობათ მისცემს საშუალებას შესაფერისად დააფასოს იგი. მე ისეთი აზრი გამოვიტანე ამ ღირსშესანიშნავი სხდომიდან, რომ ილიასთვის უნდა ვიფიქროთ ისეთ ძეგლზე, რომელიც ღირსეული გამომხატველი იქნება ამ საეროვნო უბედურებისა, რომელიც მისი სახელის გარშემო დატრიალდა, და იმ გრძნობისა, რომელიც ამ უბედურებამ ჩაუნერგა ჩვენს ერს.

46. ილიას ძეგლი

ილია ჭავჭავაძე დიდებული პიროვნებაა ჩვენს ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის სახელი რომ წაშალოთ ჩვენი წარსული საუკუნის ისტორიიდან, საშინელი, ამოუვსებელი სიცარიელე დარჩება. დაგვრჩება დიადი კვნესა ბარათაშვილისა, სასოებით მოქარგული წარმტაცი სევდა აკაკისა, მაგრამ წარიხოცება გამოხატულება მთელი აზროვნების მიმართულებისა; დაიჩრდილება ქართველი ერის სულისკვეთების განვითარების ერთი დიადი საფეხური.

დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე — სამი დიდი ეპოქის გამოსახულებაა.

დიმიტრი ყიფიანის კეთილსინდისიერი „ლოიალიზმი“ საოცარი ბარბაროსული მკვლელობით დამთავრდა. „ერთგულება“ მისი დასჯილი იქნა, ვინაიდან იგი ყოველივე „სერვილიზმს“ იყო მოკლებული.

ილია ჭავჭავაძე „ერთგულების“ მაგიერ განაცხადებს: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“, და ამ პრინციპს ტრაგიზმით აღსავსე მსხვერპლად ეწირება.

არჩილ ჯორჯაძემ ეს ფორმულა ხორცშესხმულ პოლიტიკურ მოთხოვნილებად აქცია. ილიამ და არჩილმა ერთმანეთს უკანასკნელად ხელი მისცეს, როცა მარად სახსოვარი „პეტიციების“ დროს ილიამ პირველმა წამოაყენა „საქართველოს ავტონომია“, როგორც პოლიტიკური მოთხოვნილება...

ილიას ღვაწლი ფასდაუდებელი და სამარადისო სახსოვარია ქართველი ერისათვის.

მისი ტრაგიკული სიკვდილი, უკანასკნელი თავზარდამცემი შურისძიება იყო, ნაყოფი გარყვნილი რეჟიმის გავლენისა. ეს რეჟიმი არა თუ ილიას „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოსო“ ვერ ითმენდა, დ. ყიფიანის ლოიალიზმსაც კი სისხლით გაუსწორდა.

ილიას ცხოვრება და სიცოცხლე განაწამები სახეა ქართველი ერის ცხოვრებისა, — როგორც არჩილი ამბობდა.

მისი ძეგლი ქართველი ერის ამ დიადი, ტრაგიკული განწყობილების გამომხატველი უნდა იყოს. ეს დღეს შესაძლებელი არ იყო, ამიტომ ყოველი ძეგლი მის სახელზე აგებული, მოგვეჩვენება წვრილმან, მცირე, შეუსაბამო რამედ.

ხელოვნურ შემოქმედებას სჭირდება სიმშვიდე ღვთაებრივი. ქართველ ერს კი ერთი წუთიც არა აქვს სანეტარო დასვენებისათვის; მისი გული სავსეა ბოღმითა და ვარამით. იმ დროს, როცა რისხვა და გულისწყრომა ბობოქრობს, ვით აღელვებული ზღვის ტალღები, — სად მოიპოვოს ერის სულის განწყობილების გამომქანდაკებელმა საკმაო სიდინჯე, საკმაო მოთმინება?

ილიას სხვა ძეგლი მოელის და არა მთაწმინდაზე, არამედ შუაგულ ქალაქში: იმ ადგილას და იმ შენობაში, რომლის შესავალ კარებს დაამშვენებს პრაქსიტელის ჰერმესის მსგავსი მშვენიერი მთის შვილი, და რომლის ბჭეთა ზევით ოქროს ვარაყით იქნება წარწერილი დიდებული მოძღვრის აღსრულებული ანდერძი: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოს“.

47. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები

(1912 წლის ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერ)

როცა ახალგაზრდობის შესახებ სწერ, ძალაუნებურად ძველი და დაბერებული, ხანს გადასული გახსენდება. ძველის გახსენება ცხოვრების ერთგვარ მიმდინარეობას დაგიყენებს თვალწინ: ყოველივე იცვლება, ყოველივე დავიწყების უფსკრულისკენ მიექანება, ყოველივეს სიკვდილის ფერი ედება, თუმც ყოველივეს თავისი ნაყოფი გამოაქვს და ყოველივეს თავისი მომავალი და მაგიერი ჰყავს. უკვდავი შოთას სიტყვები ყურში გაისმის ძლევამოსილებითა და თითქმის სატანური დაცინვით:

„რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და ახვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“.

და რა მშვენიერ ადგილზე აქვს რუსთველს ეს სიტყვები! ვის არ ახსოვს როსტევანის „საუბარი“ მის „ვეზირებთან“:

„უბრძანა: „გკითხავთ საქმესა ერთგან სასაუბაროსა...
მე გარდასრულვარ, სიბერე — მჭირს ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა ხვალე მოვკვდები. სოფელი ასრე მქნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

აბა ეხლა მოვისმინოთ ვეზირთა პასუხი, ბრძნული ქათინაურით შეზავებული, რომელიც სიმართლესა და საფუძვლიანობასაც არ არის მოკლებული:

ვეზირთა ჰკადრეს, „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა,
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,
მისიეე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა,
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან, ვითამცა ჰკადრა მტერობა“.

მაგრამ კარის კაცთა სიტყვას მლიქვნელობის არშიაც უნდა ერტყას და მშვენიერსა და დინჯს პასუხსაც ერთ ადგილასა აქვს ფონი და სწორედ იქ ახრჩობს. საქმე ხომ იმაში გახლავთ, რომ როსტევანი

ყვავილდამჭკნარ ვარდს ადარებს სხვა ახალ ვარდს და არა სხვ. რაიმეს. ვეზირები კი სიტყვას ხელოვნურად ატრიალებენ და მოახსენებენ:

„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს რაზონცა ჯერობა
მისივე მეტობს ყოველსა სუნი და ტურფა ფერობა
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან, ვითამცა ჰკადრა მტერობა".

მაგრამ მცხრალ მთვარეს თუ გაბადრულ მთვარეს დავუპირისპირებთ და ყვავილგაშლილ ვარდს ყვავილდამჭკნარს, სულ სხვა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

რასაკვირველია, „ვარდის ტურფა ფერობა" კიდევ სჯობს სხვა ბევრ რასმე და რომ მთვარე მცხრალი კიდევ გაუძლებს ვარსკვლავის მტრობას, მაგრამ როცა პირგავსილ მთვარეს ვხედავთ და ახლადგაფურჩქვნილ ვარდს, როსტევანის მწარე, მაგრამ სიყვარულითა და სასოებით შეზავებული სიტყვები კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წაეა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა".

ულმობელ კანონს ბუნებისას უნდა დავემორჩილოთ და ტურფა საბაღნაროს მოსულ ახალ ვარდთ უნდა მივაქციოთ ჩვენც ყურადღება, რომელთა შესახებ, კვლავ შოთას მხატვრული ენა რომ მოვიშველიოთ, ასე უნდა ვთქვათ:

„შუქთა მათთაებრ საქმეცა მათი მზებრ განაცხადია". და პირველი ადგილი მას დაუთმოთ, ვინც ცხადჰყო, რომ ქართველი ერის სულმნათის ლექსის უკვდავი ძლიერება და სამარადისო გავლენა ქართულ ლიტერატურაზე სიკვდილზე უფრო ძლიერია და სიყვარულზე უფრო ცხოველმყოფელი. მაგრამ ეს რა ვთქვი? ნუთუ შოთას ღვთაებრივი სახელის ხსენების გაბედვაც კი შეიძლება. შოთა და მისი „ვეფხისტყაოსანი", — ეს ხომ ქმნილებაა მთელი ქართველი ერის ბედნიერი ცხოვრებისა! ეს ნაწარმოები ხომ შედეგია რამდენიმე საუკუნეში გაჭედილი კულტურის, ხალხის ძლიერების უმაღლესი საფეხურის; ეგ ხომ რაღაც ვეებერთელა, რაღაც შეუდარებელი და რაღაც უცნაური რამაა! შოთას ხომ სრულიად გაბედულად, თამამად, წარბშეუხრელად შეუძლია ადგილი დაიკავოს ჰომეროსის გვერდით, ვინაიდან, როგორც ერთმა ისე მეორემ, თავის უკვდავებით შემოსილ ლექსებში გამოხატა მთელი სული ერისა, მისი ფიქრი, ზრახვა,

მისწრაფება, სევდა და ვარამი, ბედნიერება და კმაყოფილება, სიხარული და შვება. და მით, რომ — თავიანთი ერის სულის სიღრმე მთელი სიგრძე-სიგანით თვალწინ გადაგვიშალა, ადამიანთა კრებულის, კაცობრიობის სულის და ცხოვრების უდიდესი წამები დაგვისურათა და სამარადისო იდეალად გარდაქმნა ხელოვნებისათვის.

დიახ, ეს ყოველივე ასეა, და ჩვენ არც კი გვიფიქრია შანშიაშვილი (მკითხველი, უეჭველია, მიხვდა რომ ჩვენ შანშიაშვილის შესახებ ვწერდით) შოთას გვერდით დაგვეყენებინა. ჩვენ მარტო ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ შოთას განუწყვეტელი გავლენა ჩვენს ლიტერატურაზე უფრო ძლიერად იჩენს თავს შანშიაშვილის „იასონ და რენოში", რომელიც „გრდემლის" ორ წიგნშია დასტამბული. რვა საუკუნეა ამას მერმე, რაც შოთამ ქართველი ერის სახელს უკვდავი და ხელუხლებელი ძეგლი შეუქმნა და მის შემდეგ მრავალი ჰყოლია მისი ლექსს მიმბაძველი. მისი ლექსთწყობა საუკუნეების განმავლობაში სატრფიალოდ იყო გადაქცეული და ყოველნაირად ცდილობდნენ მას დამსგავსებოდნენ იგინი, რომელთა შესახებაც შოთამ იწინასწარმეტყველა თავისსავე დიად ქმნილებაში:

> მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი ორი:
> თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი,
> განაღა თქვას ერთი ორი, უ[illegible] და შორი შორი,
> მაგრამ იტყვის, „ჩემი სჯობსო", უცილობლობს ვითა ჯორი,

მრავალი მისი წამბაძველი საბრალოდ სჩანან შოთას შუქის წინ და უფრო იჩრდილებიან მისი სხივის ქვეშ.

შოთას ლექსი განუმეორებელი რამ არის, ვით მზე და მთვარე, ვით სამყარო; როგორც ყოველი გენიოსი, იგი შეუდარებელია და წასაბაძად არ შესაძლო, იგი ღვთაებაა, რომელსაც თავისი სამეუფო აქვს, თავისი ადგილი აქვს მინიშებული ოლიმპზე, ისეთი ადგილი, რომელზეც სხვა „ჯორად" გამოჩნდება, ანდა თავბრუ დაეხვევა და დაიმსხვრევა.

მაგრამ შეუძლებელია ძლევამოსილმა გენიოსმა არ დაჰბადოს სიცოცხლის წყარო. შვიდი საუკუნე ჩქეფს ცხოველმყოფელი ესე წყარო ქართული ლიტერატურისა და პოეზიისათვის. არა გვყოლია ასეთი დიდი მწერალი, რომ თრთოლვითა და ექსტაზით აღსავსე ლოცვით მუხლი არ მოეყაროს მისი დიდებული აჩრდილის წინაშე. მისი ძლიერი სული შეიდასი წელია თავს დასტრიალებს ჩვენს მწერლობას და ნუგეშისა და იმედის ძალას უნერგავს გულში.

ა. შანშიაშვილიც დაეწაფა ამ საბწაულმოქმედ წმიდათაწმიდას ქართული პოეზიისას და ფენიქსებრ განახლებული გვეჩვენა. დიდი პოეტური ძალითა და იარაღით აღჭურვილი მისი „იასონ და რენო“ გვიმტკიცებს, რომ ა. შანშიაშვილი პოეზიის სამეუფოში ძლევამოსილი და გამარჯვებულია, რომ ფორმა პოეზიისა, ამ სიტყვის საუკეთესო და ღრმა მნიშვნელობით, მის ხელთ არის, რომ ტექნიკა ლექსთწყობისა მისგან ძლეულია. ამ სფეროში მისთვის შეუძლებელი აღარა არის რა და, მაშასადამე, მას ისეთი ბიჯი აქვს გადადგმული პოეზიაში, რომელიც სანატრელ მერმისს უქადის მას. როდესაც შანშიაშვილი შექმნის ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელშიაც შინაარსი და ფორმა ერთ წერტილზე იქნება მიყვანილი, როცა აღარ გეცოდინება ადამიანს სად თავდება ფორმა, ჩონჩხი, ტექნიკა და სად იწყება სული და დედა-ძარღვი ნაწარმოებისა, როცა აღარ შეეძლება ადამიანს იფიქროს და ილაპარაკოს მის შესახებ, თუ როგორია ფორმა და როგორია შინაარსი ალ. შანშიაშვილის ლექსებისა, რადგან ეს განუყრელი, განუყოფელი რამ არის ხელოვნებაში, მაშინ ა. შანშიაშვილი ადგილს დაიკავებს ჩვენს დიდ პოეტთა და მწერალთა შორის. ამით იმის თქმა სრულიადაც არ მინდა, რომ ა. შანშიაშვილის ლექსებს სიღრმე აკლდეს, ანდა შინაგანი სიმშვენიერე, არა, მაგრამ არის კიდევ ერთი წერტილი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მწერალმა თავის განვითარებაში და რომელსაც, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ა. შანშიაშვილი უთუოდ მიაღწევს მას. მაშინ შეგვეძლება მისი პოეზიის ეპიგრაფად წავუმძღვაროთ შოთას სიტყვები:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი...
ხამს, მელექსე ნაკირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამაჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

მთავარი აზრი, ლეიტ-მოტივი, ტენდენცია, ამ სიტყვის ესთეტიკური მნიშვნელობით, დედა-აზრი და არსი მისი პოეზიისა, როცა ცხადყოფილი იქნება იმ მშვენიერ ფორმაში, — რომლის სიძნელეს შანშიაშვილმა სძლია, — მაშინ მისი სახელი შარავანდედით შეიმოსება ქართულ პოეზიაში.

1

წარმტაცი, მშვენიერი ლექსები აქვს შანშიაშვილს მომხიბვლელ ფორმაში ჩამოსხმული. მაგრამ იშვიათად გამოუჩენია იმდენი ძლიერება, როგორც ამ „პოემის“ ზოგიერთ ადგილებში და, შეიძლება ვთქვათ, მთლად პირველ ნაწილში. აქ არის ისეთი პასაჟები, რომელიც უმაღლესი პოეზიის ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს. ჯერ გრძნობა სიყვარულისა რამდენ სახეში არ მოგვივლინა, რამდენიმე გვერდზე, ა. შანშიაშვილმა. აიღეთ სიყვარული დემეტიკასი, ამ ვნებათაღელვის მონის, გრძნობის ტალღებში ჩაფლული დედა-კაცისა. მისთვის მარტო საკუთარი ვნების დაკმაყოფილებას აქვს მნიშვნელობა და იგი ისეთი მიჯნურია, რომელსაც „დღეს ერთი უნდეს, ხვალე — სხვა“. მისი გრძნობა გესლით მოშხამულია და სურვა მისი საწამლავიანია, მისი მგრძნობელობა სიკვდილის სამსალითაა აღსავსე, თანაც რაღაც საბედისწეროა, გააფთრებული: ვეფხის კლანჭებია მისი ხელები და საუკუნო საფლავი — მისი გული. მისი გრძნობა მიჯნურობა არც არის. „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“. ეს კი ნამდვილი სიძვა არის და სხვა არაფერი. ყოველივე ხერხი, რომელსაც დემეტიკა ხმარობს ფრიქსის მოსახიბლავად, მაცდურებით აღსავსეა და მარტო ხორციელებისა და მგრძნობელობის სათავედან მომდინარეობს, ისიც იმ ხორციელებისა და მგრძნობელობისაგან, რომელიც უფრო დაბალ საფეხურზედა დგას. ა. შანშიაშვილი რენოს იასონის მიმართ გრძნობაში სავსებით და საოცარის გამჭრიახობით დაგვანახვებს იმ მეტად რადიკალურ განსხვავებას, რომელიც არსებობს სხვადასხვაგვარ მგრძნობელობას შორის. ხორციელება, ფიზიოლოგიური მხარე სიყვარულისა არათუ აბუჩად ასაგდებია, და არათუ მეორე ხარისხოვანია, შესაძლოა მთელი ფატალური ძალა სიყვარულისა, მთელი მისი „სიფიცხე“, ბიბლიური კილო რომ ვიხმაროთ, სწორედ აქედან მომდინარეობს. არის ხორციელი მგრძნობელობა, რომლის შესახებაც თამამად შეგვიძლია ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ლექსი გავიმეოროთ:

> „მგრძნობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა
> შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს“.

ამის საუცხოო მაგალითი ბ. შანშიაშვილის მიერ დასურათებული რენოს გრძნობაა. და არის მგრძნობელობა პირუტყვული, რო-

მელსაც ადამიანური და ბუნებრივი აღარა შერჩენია რა, გარდა უსაზღვრო, საბედისწერო თვისებისა.

დემეტიკას შესახებ, რომ მგოსანი არც გვაუწყებდეს — „ქალი იყო ვნებიანი, ფრიქსის ტრფობა აღელვებდაო“, მისი ხატებაც გვიჩვენებს რა ჯურის ქალიც არის:

„დემეტიკა ტანთ იცვამდა, სამოსს გვერდით ჩახეულსა
მოძრაობას არ უშლიდა, ლაღად სრბოლა დაჩვეულსა,
ვით ლეჩაქი გამჭვირვალე, ეკვრებოდა ნაზ სხეულსა,
ნაკვთი ნაკვთად ემჩნეოდა საროს ტანსა შერხეულსა.
ძუძუ-მკერდი გადმოშლილი შუქსა ჰფენდა, ვითა მთვარე,
თხელი ფლოსტით იმკობოდა, ფეხი წმინდა, ნელ-მოარე“.

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი მოხაზულობა, ყოველი ფერი ერთს გვიმტკიცებს მარტო: „დემეტიკა ქალი იყო ვნებიანი“, მისი სამოსი „გვერდით ჩახეული“, ნებას აძლევდა სხეულის თავისუფალი მიმოხვრა დაეცვა და ვნების, ეშხის აღმძვრელი პლასტიკით მოეჯადოებინა მაყურებელი. ეს სამოსი იყო ქსოვილი, „ვით ლეჩაქი გამჭვირვალე“, რათა მშვენიერი და წარმტაცი სხეულის აგებულება ყველასათვის თვალწინ დაეყენებინა, მაგრამ ისე რომ საიდუმლო დაფარული რამ კიდევ დარჩენილიყო მისი სხეულის სანახაობაში. მართლაც, მთლად ტიტველი ტანი როდი აღელვებს ადამიანს, როდი იწვევს ისეთ გრძნობებს, როგორც ისეთი სამოსით დაფარული, რომელიც „ვით ლეჩაქი გამჭვირვალეა“, აქ კიდევ რჩება რაღაც, რაც აღძრულ გრძნობას სავსებით ვერ აკმაყოფილებს და ბადებს წყურვილს სავსებით განძარცვოს იგი სამოსელიდან. ბუნებრივი სიტიტვლე თუ, ერთი მხრივ, გრძნობათა გამაჯავრებელია, მეორე მხრივ, თვითვე ამ ბუნებრიობაში იმალება ამ გრძნობის დამაამებელი ბევრი რამ, ბევრი ისეთი ნაწილი სხეულისა, რომელიც, ასე ვთქვათ, ბუნებრივი ზომიერების ფარგალში აყენებს ადამიანის აშლილ ვნებას, მაშინ როდესაც ასე მომჯადოებლად, ასე მოხერხებულად მოწყობილი ტანთსაცმელი მარტო ისეთ ნაწილს გაჩვენებთ სხეულისას, და ისიც იმნაირად დაფარულს, რომ მარტო ვნებათა გამახელებელი ხდება. და აი, დემეტიკასაც ინსტინქტურად სავსებით აქვს შესწავლილი სხეულის შემწეობით ვნების გამოწვევის ეს ჯადოსნური მეცნიერება და კიდევაც ასრულებს მას არტისტულად. ეხლა დააკვირდით მის სახეს — ეს ნამდვილი ონავარია, მხეცი, რომელიც ნიადაგ

უთვალთვალებს ნადირს, რომ კლანჭებში ჩაიგდოს და გულ-ღვიძლი დაუჭრას.

„ლალის ბაგე ელვად ჭკრთოდა. როს დაჭკრავდა ტუჩს ღიმილი.
თვის გარემოს მომხიბვლელად აშუქებდა თეთრი კბილი..
შავნი თვალნი სხივს აფრქვევდნენ, ყუყუნობდნენ, ერთობოდნენ,
სხვასა სწვავდნენ ეშხიანსა, თვითვე ეშხით იწვებოდნენ
ვნების ტალღას აცურებდნენ, ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ“.

ამგვარ არსებას იშვიათად თუ ვინმე გაუძლებდა, იშვიათად თუ მოინახებოდა ისეთი, რომელიც მისგან გრძნეულად დაგებულ მახეში არ გაბმულიყო.

„ვნებიანი ქალის“ საუკეთესო იარაღი ბრძოლის ველზე გასამარჯვებლად ცეკვა არის. სამარადისო ტიპი ამგვარი ქალისა ეროდეს ასულია, რომელიც გენიოსურად განავითარა უალდმა. იქაც იოანე წინასწარმეტყველის საბედისწეროდ შეიქმნა „როკვა“ ეროდეს ასულისა. სალომეიას როკვამ ეროდეს ჭკუა და გონება აუბნია და საშინელი ბოროტმოქმედება ჩაადენინა. ამ ჯურის ქალი გახლავთ დემეტიკაც. და აბა ნახეთ საუცხოოდ დახატული წარმტაცი ცოცხალი სურათი მისი ცეკვისა:

„დემეტიკა წინ წარმოდგა. სათამაშოდ გაემზადა.
გაიშალა თმა გიშერი, ფლოსტი ფეხთით გაიხადა.
გადიხარა წელში ოდნავ. მკერდს ლუჩაქი აეხადა,
შავი თვალნი იქ მიაპყრო, სადაც ფრიქსი გაეცხადა.
ხან თითებზე შესდგებოდა, ხან ხელებსა აღაპყრობდა,
ხან გაშლიდა ოქროს ნაქსოვს, სრიალობდა, ნავარდობდა,
ხან დაირას შემოჰკრავდა, თვის სილრეელეს თვითვე გრძნობდა,
ხან დახრიდა დაბლა თვალებს, ხან ზეცისკენ აღაპყრობდა,
ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა,
მას ერთს თავსა აწონებდა, მისთვის ასე ხელოვნობდა,
სულით, გულით მისი იყო, სატრფიალოდ მოიხმობდა,
ძუძუ-მკერდი, ცეკვის ქამსა, ნარნარობდა, ეშხით თრთოდა“.

მთელი პლასტიკა, მთელი მოძრაობა, მთელი ეშხი ამ ცეკვისა, სავსებით არის დაცული და სახარბიელო ხელოვნებით არის დახატული. ლექსთწყობაც უმაღლეს საფეხურამდე მიდის მით, რომ არა თუ დაცულია მუსიკალური რითმი, არამედ შეხამებულია ცეკვის რითმთანაც და ამგვარად ლექსში გადმოცემულია მუსიკა და ცეკვა, კეთილხმოვნება უმაღლეს მუსიკალობამდეა მიყვანილი:

„ხან თოვლზე შესდგებოდა, ხან ხელებსა აღაპყრობდა,
ხან გაწლიდა ოქროს ნაქსოვს. სრიალობდა, ნავარდობდა,
ხან დაირას შემოჰკრავდა, თვის სისრულეს თვითვე ჰგრძნობდა,
ხან დაჰხრიდა დაბლა თვალებს, ხან ზეცისკენ აღაპყრობდა,
ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა“.

ყოველი ლექსი იწყება ერთი და იმავე ერთმარცვლოვანი სიტყვით — „ხან“, რომელიც თითქო ტაშის ცემად გესმით, დემეტიკას დაირის საპასუხოდ. ყოველი სტრიქონი აქ ცეკვის მომენტს გადმოგცემთ, რაღაც სინემატოგრაფიულ სინამდვილით; ყოველივე მიმოხვრა ცეკვისა ცოცხლად გიდგათ თვალწინ, არა ქანდაკების საშუალებით, არა გაყინულად და გაქვავებულად ერთ წერტილზე, არამედ დაცულია მთელი სიცოცხლე და მოძრაობა. ეს კიდევ არაფერი. მთელი აზრი, მიზანი, დედაძარღვი ამ მომხიბვლელი, საბედისწერო „როკვისა“ თვალწინ გიდგიათ: „შავი თვალნი იქ მიაპყრო, სადაც ფრიქსი გაეცხადა... ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა“. და აი, სწორედ ეს ადგილებია ის, რომელთა შესახებაც ითქმის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს პოეზიის მაღალ მწვერვალამდე მიუღწევია. ფორმა და შინაარსი აქ განუყრელია. რის გამოხატვაც პოეტს სურდა, გამოხატა სავსებით, ჩამოაყალიბა სრული ხელოვნებით და შემოსა წარმტაცი, მომხიბვლელი ფორმით. როდესაც საგნის ყოველი ბგერა საგნის დედაძარღვი სიღრმე-სიგანით თვალწინ გიდგათ და ეს საგანი შემკულია ხელოვნურად — მაშინ უნდა იცოდეთ, რომ იგი დიდი ნიჭის ხელოვნის შექმნილია. ახლა გავყვეთ „ვნებიანი ქალის“ თავზარდამცემი გრძნობის განვითარების გზას. ფრიქსი ცივად დაუხვდა დემეტიკას ყოველ მომხივლელობას; ვითა უცოდველსა და უმანკო ყრმას შერცხვა ამ ჯადოსნობის, ამ „სიძვის“ მსგავსი სიყვარულისა:

„მაგრამ ფრიქსი ცივად იდგა, დემეტიკა ამას გრძნობდა,
წყნარის რხევით, სიკეკლუცით ამაყს გვერდით ჩაუარა,
ნელის ხმითა და ჩურჩულით შეეკითხა: „ჰო თუ არა“.
ფრიქსსა შერცხვა, პირისახეს მსწრაფლ სიწითლემ გადუარა
დემეტიკას მით ანიშნა, რომ თვით გულმა იუარა“.

და განმეორდა იგი, რაც შეადგენს ტრაგედიას „უიმედო სიყვარულისას“; განმეორდა იგი, რაც, სხვადასხვაგვარად, თან ახლავს ადამიანთა შორის ყოველგვარ დამოკიდებულებას, რომელსაც სერიოზული და ფატალური მნიშვნელობა აქვს: დაიბადა უარყოფილი

გრძნობა, რომელშიც არავის დანაშაული არ მიუძღვის, გარდა ბუნებისა.

უმაღლესი წერტილი, როცა მისთვის — საყვარელი საგნისათვის— „ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“ — და უკანასკნელი ხაზი, როდესაც „დღეს ერთი უნდა, ხვალე — სხვა“, ამ ფარგალში შეიძლება მოემწყვდეს. ამ ფარგალში მოემწყვდა დემეტიკას ტრფიალიც, ისე როგორც ეროდეს ასულის, ისე როგორც ვენერასი:

„დემეტიკა, მკერდ გაშლილი, ჭაბუკს თრთოლვით დაეკონა,
მოეხვია გველის მსგავსად, დაუკოცნა ვარდის კონა
თმა გიშერი შემოაჭდო, ვნებას სრულად დაემონა...

. . . . . .

ფრიქსი სწრაფად გამოეხსნა, შიში, ძრწოლა დაეხატა

. . .

დედოფალი მუხლმოღრეკით ეხვეწა და ეშუდარა;
ფრიქსი ხმასა ვეღარ სცემდა, გადეფარა პირს სუდარა“

დემეტიკამ ძლევამოსილი თავისი სიმშვენიერე, თავისი უძირო მგრძნობელობა, თავისი ეშხი და გაქნილობა მოიხმარა, ყოველ ხერხს მიმართა, მაგრამ ფრიქსი

„არ იქნა და არ დანებდა, ელეს ფიცს არ უღალატა“.

გრძნობათა დაუკმაყოფილებლობამ დემეტიკა გააფთრებულ ლომს დაამსგავსა; მიძინებულმა გველმა, რომელიც ამასწინათ ყელზე ეხვეოდა ფრიქსს, გამოიღვიძა და თავისი მომაკვდინებელი შხამი მიმართა. და აჰა, ჩვენ წინ გადაიშალა გრძნობა, რომელიც მარტო მსხვერპლსა თხოულობს და ჯალათის როლს კისრულობს; და მისი ვნების ფეხქვეშ გამთელელს სასტიკად მიუზღო, ქმართან დაასმინა, ცილისწამება შეთხზა:

„ფრიქსი ძალით შემომეკრა. მოისურვა ჩემოვის მდარე,
არ გამშორდა ყრმა-ჭაბუკი, თუმცა ბევრი ვემუდარე“

ასე არ მოიქცა ეროდეს ასულიც? რაკი იოვანაანი სიყვარულით ვერ მოაჯადოა, მეფეს მიჰყიდა თავისი ვნების აღმძვრელი როკვა და საფასურად იოვანაანის თავი მოითხოვა; აღტკინებული გრძნობა დაიკმაყოფილა და დაიმშვიდა სიკვდილისაგან ფერწასულ ტუჩებზე კოცნის აღბეჭდვით. ასეთი რამ მოხდა ვენერასა და ადონისის შორისაც. ადონისი ღვთაების გრძნობათა ღელვას ცივი უარით და თით-

ქმის შეურაცხმყოფელი სიტყვებით უხვდებოდა. მაგრამ ვენერა ღმერთი იყო და შური სხვაგვარად იძია, თავის სურვილს მაინც მიაღწია, ადონისი ძალით დაიმორჩილა, თუმცა ამით გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და ის სიტკბოება ვერ მიიღო, რომელიც თან სდევს იმ სიყვარულს, იმ გრძნობას, რომელსაც ორივე ემონება, რომელიც ორივეს ხიბლავს და რომლის გრძნეულებას ვერცერთი მხარე ვერ წასვლია.

დემეტიკას სიყვარული ტლანქად ეგოისტურია, მეტად ცალმხრივია. მას უყვარს თავისი ენება, თავისი გრძნობა და იმის დაკმაყოფილებას ცდილობს, თუნდაც ამისთვის სატრფოს თავის მოკვეთაც დასჭირდეს. დემეტიკა და ეროდეს ასული სრულიად დაკმაყოფილებულად იგრძნობენ თავს, თუ ვენერასავით გაიმარჯვებენ, ანდა ეროდეს ასულსავით. მათთვის ურთიერთობას, თანაგრძნობას, გრძნობის გაზიარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათ მარტო ის უნდათ, რომ სქესობრივი ჟინი დაიკმაყოფილონ... დიახ, ჟინი და არა გრძნობა, კაპრიზი და არა მოთხოვნილება, ინსტინქტი და არა მგრძნობელობა. ამიტომ, მათი გრძნობა ბრმა არის და მის ცალმხრივობას მარტო მაშინ შეამჩნევენ, როცა საწადელს ნახევრად აღისრულებენ და ამითაც კმაყოფილნი არიან. თავი გამარჯვებულად მიაჩნიათ, რადგან ჟინი დაიკმაყოფილეს; მაგრამ რაკი ჟინის მოკვლა შეიძლება და დაკმაყოფილება არა, ამიტომაც მათი გრძნობა ნიადაგ საფლავის კიდეზეა და კმაყოფილებისა არა იცის რა. ის ერთხორცოვნება და ერთსულოვნება, რომელიც ახლავს ურთიერთშორის აღძრულ და ორთავეს სანეტარო მისწრაფებას, მათ იშვიათად ესტუმრებათ ხოლმე, მათი მდგომარეობა ისეთია ყოველთვის, რომელიც შექსპირის უკვდავმა კალამმა დაგვისურათა მის „ვენერა და ადონისში“.

«Тогда она берет добычу страстно,
Но жадности не может утолить
. . . . .
Он ей покорен, и она хватает
Все то что может, но не желает».

2

ეხლა დაუკვირდით იასონისა და რენოს მიჯნურობას. ხორციელია იგიც, იგიც მგრძნობელობის სამეუფოდან არის, მაგრამ სულ სხვაგვარია. სულ სხვა პოლუსზე დგას იგი. სულ სხვა ჯურის არის რე-

ნოს სიყვარული. ისიც ამქვეყნიურია, ადამიანური, იგიც სქესობრივი მისწრაფებაა უმთავრესად, მაგრამ, დემეტიკას წინააღმდეგ, იგი ფართოდ ეგოისტურია, რომელიც ალტრუისტობას უახლოვდება: სიამოვნება და სიტკბო განუსაზღვრელი მას არ უნდა, მას სურს მისი სხეული სატრფოს დაანებოს, რათა ასიამოვნოს და ამით თვითონაც ისიამოვნოს.

მაშინ, როდესაც დემეტიკა თავის ჟინზე ფიქრობს, რენო იასონის კმაყოფილებასა და თანაგრძნობას ეძიებს. ნეტარება და სიხარული იასონის შემწეობით, ბედნიერება იასონის დაკმაყოფილებით — გარეშე ამისა, მისთვის არ არსებობს სიცოცხლე და სიტკბოება. და ეს მაშინ, როდესაც დემეტიკა მზად არის ფრიქსი გაცამტვეროს, მიწასთან გაასწოროს თავისი კაპრიზების მსხვერპლად; მაშინ, როდესაც დემეტიკა არას დასდევს, ფრიქსი მიიღებს თუ არა რაიმე ნეტარებას მისი ხვევნა-კოცნით. დემეტიკას მარტო თავისი გრძნობის დატკბობა სწადიან.

რენო სულ სხვა აგებულების და სხვა შესახედაობისა არის. ჯერ ერთი, მას სულ სხვანაირად აცვია. მისი ტანთსამოსიც. რა თქმა უნდა, ხორციელების გამომაშკარავებელია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ბუნებრივ კდემასა და სირცხვილს არ შეურაცხყოფს. მის ტანთსაცმელში თუ ვნების აღმძვრელი რამ არის, სრულიად კანონიერი და სრულიად მარტივი ხერხით არის მოპოვებული; იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ახალგაზრდა, მშვენიერი და ჯანსაღი ადამიანისათვის.

„თხელ მარმაშის ტანისამოსს შეურხევდა ოდნავ ქარი
ნათლად სჩანდა მომხიბველი ძეძე-მკერდი, ტანათ-მრგვალი;
თითქო კოკორ აყრილიყო ცეცხლით სავსე მოტრფიალი.
თმის კულული ყელზე სცემდა, მორკხვად მზერდა ლურჯი თვალი,
ანათებდა ტურფა ბაგით, კბილი შექით გამომკრთალი,
თავი მაღლა ვერ აეღო, ეშსქვალოდა ტრფობის ალი.
იასონმა მიიზიდა, გულს მიიყრდნო მეფის ქალი;
რენომ ეშხით იწყო თრთოლა, ნებდებოდა ენებით მთვრალი,
მიიბნიდა, მიილულა, მთლად წაერთო ცნობის ძალი“.

დემეტიკა სამოსს ატარებდა განგებ „გვერდით ჩახეულსა“. რომ ნაკვთები გამოეჩინა და თავისი პლასტიკით ვნება აღეძრა. სამოსი მისი ლეჩაქივით გამქვირვალე იყო, რომ მაცდური მისი ხორცი გამაბრაზებელ საგნად გაეხადა. მისი ბაგე ლალი იყო, სისხლით

აღსავსე, ვნებიანობისა და ეშხიანობის უეჭველი ნიშანი. მისი თვალნი ცეცხლს აფრქვევდნენ... რენო კი თხელ მარმაშის ტანისამოსს იცვამდა, ვითა ცხელი სამხრეთის ასული. ეს ტანისამოსიც კი ნათლად ხატავდა მისი მშვენიერი სხეულის ხაზულობას, მაგრამ რენოს ამისთვის არავითარი ხერხი არ უხმარია და არ იცვამდა სამოსს „გვერდით ჩახეულსა". თუ დემეტიკას „შავი თვალები" „სხივს აფრქვევდნენ" და „სხვასა ეშხით სწვავდნენ", რენოს „ლურჯი" თვალი „მორცხვად მზერდა", თუ დემეტიკა ფრიქსს თვალს არ აშორებდა და „ხანმალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა", ანდა „მკერდგაშლილი ჭაბუკს თრთოლვით დაეკონა", რენოს სინაზითა და მორცხვობით „თავი მაღლა ვერ აეღო, ემსჭვალოდა ტკბობის ალი". თუ დემეტიკა ურცხვ დ გაბედულ წინადადებას აძლევდა ფრიქსს, რენომ სინაზითა და კდემით აღსავსე სიტყვებით მიჰმართა: „ვინ შენი სევდა აწესა, ჩანგი მიიღე, დამღერე, გთხოვ ააღერო აწ ესა". და ბოლოს, როცა იასონის თანაგრძნობა დაინახა, უმაღლესი და უნეტარესი მგრძნობელობა გამოიჩინა, — თავი სიხარულითა და კდემამოსილი თავგანწირვით მსხვერპლად შესწირა მიჯნურობის საკურთხეველზე:

„იასონმა მიიზიდა, გულს მიიყრდნო მეფის ქალი
რენომ ეშხით იწყო თრთოლა, ნებდებოდა ვნებით მთვრალი,
მიიბნიდა, მიილულა, მთლად წაერთო ცნობის ძალი".

და განა „ქება-ქებათა" კი ამგვარ ხორციელ სიყვარულს არ გვიგალობს და განა შეედრება მის ძალის სიმშვენიერეს და სიმაღლეს სხვაგვარი რომელიმე სიყვარული? განა „სულამითიც" ამგვარი მგრძნობელობის ასული არ იყო და არის უკეთესი მაგალითი სულით ლამაზი, სიმშვენიერით მომხიბლავი სატრფოისა?

ნეტარებით დამტკბარმა და გულგამაძღარმა იასონმა მოვალეობა გაიხსენა. გრძნობას ზურგი აქცია და რენოს მარტო ფიცილა დაუტოვა საწინდრად, რომ არ დაივიწყებდა და მარადჟამს მისი ერთგული იქნებოდა... მაგრამ ამგვარი ფიცის ბოლო კარგად ვიცით. იასონის გული უკვე კოლხეთის მშვენიერი ასულის აჩრდილით არის შეპყრობილი და იქითკენ მიისწრაფვის, მით უმეტეს, რომ საქმე და მეომარის მიზანი იქით იწვევს. რენო კი მშვიდად და წყნარად დაემორჩილება თავის ბედს; კარგად გრძნობს, რომ მისი გრძნობის ხანი ერთი წუთი იყო, მაგრამ საუკუნო. ტანჯვას თავგანწირულებით ელოდება, რაკი ამ წუთში განიცადა უმაღლესი ბედნიერი სიტკბო თვით და დაატკბო საყვარელი არსებაც. ეს მისთვის დიდი ჯილდოა.

შემდეგი ცხოვრება რენოსი მონოტონურია, თუმცა ღრმა პოეზიით აღსავსე: სამარადისო მოლოდინი სატრფოსი, დაუსრულებელი ცდა და იმედის სხივი, აი რა ასულდგმულებს მას და რა მომხიბვლელი ლექსებით გვიამბობს ამას ა. შანშიაშვილი:

„რენო ხშირად დილით მარტო მაღალ კლდეზე ავიდოდის
სულის ღელვით, სულის შფოთვით ზღვასა ვრცელსა გასცქეროდის

. . . . .

დაიშლიდის ხან შავ ნაწნავს, გულსაკლავად ხან მღეროდის,
ატირებდის მთის ყვავილებს და საბრალოდ თვით სტიროდის;
იტყოდის თუ: ბაღში გაკელ, ტკბილო სატრფოვ, შენ გიცადე,
რა არ მოხველ — შენავღონდი, სევდა მწარე განეიცადე.
მთის ნიავმა ოდნავ დამკრა, თან მომიძღვნა შავი გლოვა,
შაშვმა ბუჩქში ჩაიკენესა: აღარ მოვა, აღარ მოვა!
მოგიკრიფე მთის ყვავილი, თეთრ სპეტაკი, მონარნარე;
საუცხოოდ კონად შეეკარ, მისშან შექმან მორთო არე;
მოლოდინში დასჭკნა იგი, ჰსურს ფურცელნი ჩამოჰყაროს
ვაჰ, თუ გულიც მის კვალს მიჰყვეს გლახ, ღოდინმა მისაპყაროს“.

რამდენი სინაზეა ამ მოლოდინში და რამდენი სევდა — თავგანწირულებით აღსავსე; რაოდენი სიყვარული და მოთმინება, რაოდენი სიღრმეა გრძნობისა აქ. ერთადერთი შურისძიება, ერთადერთი საყვედური, რომელიც ამოხდება მისი გამწარებული გულისაგან, ეს— სასოებით წარკვეთილი სინაზითა და სიწრფელით მოქარგული ლექსია!

„ჰოი გედო, თეთრო გედო! გადაფრინდი უცხო მხარეს
იქა ნახავ გულის სატრფოს, მონავარდეს, მოელვარეს,
უთხარ, თუ ვით სევდის ცეცხლი მაღვრევინებს ცრემლსა ცხარეს“.

სწორედ ამგვარ სიყვარულზე არის ნათქვამი პავლე მოციქულის სიტყვები: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ. სიყვარულსა არა ჰშურნ... არა ეძიებნ თვისასა, არა განჰრისხნის, ყოველსა თავს იდებნ; ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენ“.

3

გრძნობა სიყვარულისა მრავალფეროვანია, ვით ცხოვრება და ბუნება, ვინაიდან სიყვარული საფუძველია ბუნებისა და სიცოცხლისა, იგია დასაბამი ცხოვრებისა და მისი ძლევამოსილი განმაცხოველებელი. არის სიყვარული დემეტიკასი და რენოსი, მაგრამ არის

სიყვარული ბევრად უფრო გაჰაეროვნებული, რაღაც არამიწიერი, არა ამქვეყნიური, ისეთი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზეა, სააქაოსა და საიქიოს ბჭესთან არის. ეს ისეთი გრძნობაა, რომლის შესახებაც ბარათაშვილმა სთქვა — „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავ გრძნობათა გამოთქმაო“, და იმგვარ სულისკვეთებად აღიარა, რომელიც ადამიანთა ჩვეულებრივი გრძნობისაგან სრულიად განასხვავა: „ნუთუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა, სიყვარული სხვათაებრ?“, გვეკითხება იგი. და მართლაც, სადაა ჩვეულებრივი რამ იქ. როდესაც ადამიანის გრძნობა იქამდე მიდის, რომ ვზადაა გულწრფელი ლოცვით აღიაროს:

„შევიშრობ ცრემლსა, ჰირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს
და მისა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“!

არ გამოპარვია ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს ეს გრძნობა და იქ, სადაც დემეტრიას ვნებააშლილ მგრძნობელობას საოცარი ხელოვნებით დაგვიხატავს, სპეტაკი და გაჰაეროვნებული ტრფიალის მომჯადოებელ მშვენიერებასაც თვალწინ გადაგვიშლის. ამის მაგალითი ელესა და ფრიქსის სიყვარულია:

„ვით უმანკო სულის ლოცვა,
ნაზი იყო მათი ტრფობა,
ვითა ცვილი მოციმციმე, ილხობოდა შუქზე გრძნობა
სურნელოვან ყვავილს კრეფდნენ და ერთმანეთს შუბლს უმკობდნენ,
ხან ტბის პირად წავიდოდნენ და მოკრეფდნენ ყვავილთ კონას,
ხან იპერდნენ ჭრელ პეპელას, სუსამბარის ერთგულ მონას,
თამაშობდნენ, ბურთაობდნენ, ზღაპრების თქმით ერთობოდნენ,
როს ბულბული ჰანგს შესწყვეტდა, ისევ შინა ბრუნდებოდნენ“.

ამ ორ არსებათა სიყვარული რაღაც არამიწიერია, რაღაც ანგელოზური და ზეციური; ეს სიყვარული, ლოცვად ქცეული, იმდენად ნაზი და სპეტაკი გრძნობაა, იმდენად განწმენდილია ყოველივე მწიკვლისაგან, რომ არც კი გვეხამუშება ფრიქსისა და ელეს სიყვარული, თუმცა ეს ჩვენი რწმენისა და საუკუნეთა შორის გაჭედილი, ფსიქოფიზიოლოგიური მიდრეკილების შემბღალველია. სწორედ მარტო ეს, რომ ჩვენ მოთმინებით ვიღებთ ამ კავშირის აღწერილებას, საუკეთესო საბუთია იმისა, თუ რა ხელოვნურად აქვს აღწერილი მგოსანს ის წმინდა გრძნობა, რომელიც ასულდგმულებდა ფრიქსს ელეს

მიმართ: „და ჰმონებდა, შეჰხაროდა, მას ცათამდე ამაღლებდა“. ა. შანშიაშვილმა, ვიმეორებ, ამ პოემით დიდი მგოსნის ნიჭი გვაჩვენა; ისე შეაქსოვა და შეადუღა იდეა და ფორმა, შინაარსი და სამოსელი, რომ თითქმის პოეზიის იდეალი განახორციელა. ეს არ იკმარა და თავის ახალ ქმნილებაში უხვად გააბნია ღრმა ფილოსოფიური აზრები, მწარე სევდით აღსავსენი და თანაც სტოიკური მოთმინების მაჩვენებელნი.

კოლხეთის ბედი მას ნიადაგ თვალწინ უდგას და ეს ბედი უკარნახებს მას მთელ ფილოსოფიას მწარესა და იმავე დროს გამამხნევებელს, გულის მომწველსა და, ამასთან, სანუგეშოს, სასოების წამწყმედს და თანვე იმედის აღმძვრელს.

„აღსდგება ძველი დიდება, ფენიქსებრ შეიფრთხიალებს,
კვლავ დაეცემა ანაზდად, რისხვა თავს დაიგრიალებს
ხალხი წავა და წამოვა, სიტკბო — სიმწარით იამებს;
იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს“.

აქ მთელი ფილოსოფიაა ისტორიისა და სოციოლოგიისა, სამარადისო ცვლილება, საუკუნო ტრიალი ცხოვრებისა და ისტორიის მოვლენისა. „აღსდგება ძველი დიდება... კვლავ დაეცემა ანაზდად... იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს“. თუ გულის მომკვლელია ის მოვლენა, რომ ყოველი დიდება, ყოველი ძლიერება წარმავალია, ვით ოცნება, საიმედოა ის, რომ ძველი დიდება კვლავ აღდგება, კვლავ განახლდება. არანაკლები სიმწარით არის აღვსილი მგოსნის შეხედულება კერძო, ინდივიდუალური ცხოვრების შესახებ, მაგრამ უსაზღვრო უიმედობასა და უსასოებას არც აქა აქვს ადგილი:

„ადამი წამით მოსულა, კვლავ მიწას მიებარება
სიზმარი არის სიცოცხლე, მიჰქრის და მიეჩქარება
შავ ლანდსა დავიწყებისას თვით ხსოვნა მიეფარება,
სიკვდილი ცივი, უნდობი ჯალათად დაიარება“.

ეს ყოველივე ასეა და ეს თითქმის სტერეოტიპის ფრაზები, მგოსნის ხელში, რაღაც ახალ ძალას იკრებს და ეპიკური სიდიადით იმოსება ჩვენს თვალში. უსაშინელესი რამ არის, როდესაც თვით ხსოვნა კაცისა, შავ ლანდს მიეფარება, მაგრამ ქართველი მგოსანი, რუსთველის ერის შვილი, აქ ვერ შეჩერდება და გამამხნევებელ, წამახალისებელ სიტყვებსაც შემოგვძახებს:

„მხოლოდ არ კვდება სახელი, მაღლა ზეცამდი ასული
მასშია მარადისობა: აწმყო და დიდი წარსული“.

ამ ორმაგი განწყობილების გამომხატველია თითქმის ყოველივე ლირიული ადგილები პოემისა. ამ მხრით პირდაპირ საუცხოო რამ არის (რაც უკვე აღნიშნა კიდევაც „სახალხო გაზეთში“ ალ. წერეთელმა) მისი განმარტება ცრემლისა და ტირილისა.

ცრემლი ხან ტკბილია და ხან მწარე, ტირილი ხან მხიარულების გამომხატველია, ხან — ვაებისა და კვნესის.

„ეჰა ცრემლო, რა ტკბილი ხარ, როდეს ისმენ გულის ფრთხიალს,
ეჰა, ცრემლო, რა მწარე ხარ, როს ეცემი მკერდზე ტრფიალს.

. . . . .

შენში ვპოვებთ სულის შვებას. შენითვე ვსვამთ ‘მხამის ფიალს“.

ცრემლი და ტირილი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ცრემლიც ხომ ხანდახან სიცილსაც თან ახლავს:

„ვსტირით, ოდეს ვიბადებით, ვსტირით მეტის სიხარულით,
ვსტირით, ოდეს ყმა-ჭაბუკნი ვიმსჭვალებით სიყვარულით,
ვსტირით, ოდეს საფლავს სჭრიან, ვსტირით სევდით დაფარულით“.

ამგვარად, მგოსნის ფილოსოფიური შეხედულება მსოფლიოსა და ადამიანის ცხოვრების შესახებ სრულიად მეცნიერულია და საღი სინამდვილის ნიადაგს არ შორდება; მან კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ცრემლი და სიცილი განუყრელია, კარგად იცის, რომ ტირილი და სიხარული ერთად შედუღებულია, იცის, რომ ცხოვრებაში ყოველივე წარმავალია, იცის, რომ „აღსდგება ძველი დიდება... კვლავ დაეცემა ანაზდათ“, იცის, რომ „იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს“. ამნაირად, ცხოვრების მოვლენათა სიღრმე-სიგანე, მისი მწარე-სიტკბოება და მისი ძირტკბილი სიმწვავე მგოსანს სავსებითა აქვს შეგნებული. ცალმხრივად ნაღვლიანი, ცალმხრივად მოკისკისე მუზა მას აღარ ეპრიანება. თუ მას, ერთი მხრივ,

„დღეს ნეკტარს მუზა აპკურებს, თვითვე სიაეს ჩვეული
უკვდავსა ნანას უგალობს, სინარნარითა რხეული“

მეორეს მხრით, კოლხიდის ბედით გულგანგმირული „მედეას ცრემლსა ინახავს აწ გულის დამწყლულებელსა“ და მისი ლექსის „სევდის კილოს, ნაღვლიანსა“ აღტაცებაში მოვყევართ.

რაღაც სიმბოლიური აზრითაა გაჟღენთილი მგოსნის გოდება კოლხეთის ბედისა და მედეას უბედურების გამო.

„ოჰ, ჩემო ჩანგო, კვლავ კოლხეთს ხმატკბილად ვუძღვნათ სალამი
მოისპო მისი დიდება და ბაირაღი-ალამი
მშვენიერ წალკოტს ვერ ვხედავ, ვენახში ლპება წალამი
ვარდისა ნაცვლად მოგვიძღვნეს ტიალ ნარ-ეკლის თალამი
ოქროს ტყავს ვჩივი — ნატვრის თვალს, ერისა გამხარებელსა
სიმდიდრის წყაროს უშრეტსა და სევდის გამქარვებელსა
მედეას ცრემლსა ვინახავ აწ გულის დამწყლულებელსა
სხვას ვერვის ვხედავ დოსტაქარს, იარის გამკურნებელსა“.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, „მედეას ცრემლი“ სევდის კილოს აძლევს მგოსნის ლირის გამცემელ ხმებს, მაგრამ ეგ არ არის მორჩილებისა და სასოწარკვეთილების ცრემლები, ეგ შურისძიების სურვილით აღსავსე ცრემლებია, რომელიც ბრძოლას ითხოვს მოღალატის დასასჯელად და თავის სახელის დასაფარავად.

ამიტომაც არის, რომ მგოსანი პოემის შესავალში მედეას ნამოქმედარის ქება-დიდებას გვპირდება, მის სიამაყესა და გაბედულებას აღფრთოვანებით იხსენიებს:

„მსურს — ერთხელ კიდევ დავმღერო, ქალი შევაქო მედეა:
სისხლის ფერებით შევამკო ამაყის განაბედია
ხოლო იაზონს ვანანო, ვაგლოვო წანახედია,
ძველ ცოდვის ნაყოფს მოვიმკით, ჩვენი მსაჯული ბედია“.

4

მედეას სიყვარული კიდევ სხვა ჯურის არის... ეს სიყვარული ფატალური რამ გრძნობაა, რომელიც ადამიანს გონებას ართმევს, განსჯის ძალას უდუნებს და ერთი განწყობილების, ერთი სურვილის მონად ჰხდის. ეს გრძნობა მსხვერპლად თხოულობს ადამიანს მთელი თავისი არსებით: სამშობლო, კაცობრიობა, ყოველი იდეალი, ყოველი კავშირი, ყოველი მოთხოვნილება, რჯული და ჩვეულება, თვით ღმერთიც უნდა მიტანილ იქნეს ამ სისხლისმწოველი კერპის საკურთხეველზე ამ გრძნობით შეპყრობილი ადამიანი ერთგვარ სომნამბულად იქცევა, რომელიც თავის თავს აღარ ეკუთვნის, რაღაც უცნაური ჯადოქრის ბრძანებისა და განკარგულების ქვეშ იმყოფება. მისთვის ადამიანი, თვით სატრფოც კი, გრძნობის ერთგვარ ატრიბუტად იქცევა. ამ სიყვარულით შეპყრობილ ადამიანს მარტო თავისი ვნებათაღელვა, თავისი სურვა ამოქმედებს და ამოძრავებს. ამის გარეშე მისთვის ყოველივე წყვდიადით არის მოცული. მის არსებაში

ეს გრძნობა რაღაც უცხო პლანეტად იქცევა, რომელიც ცის სივრცეში სრბოლის დროს თავისკენ იზიდავს ყველაფერს, რაც გზაზედ შეხვდება; ყოველივეს ციბრუტივით თავის ნებაზე ატრიალებს.

ამგვარია მედეას გრძნობა იაზონისადმი: რამდენადაც რენოს გრძნობა ნაზია და თავგანწირული, იმდენად ეს მძაფრია და საბედისწერო. რამდენად რენოს ტრფობა მომხიბლავი მორჩილებითა და ერთგულებით არის აღსავსე, იმდენად მედეას გრძნობა დესპოტურია და თავნება.

მედეასათვის არ არსებობს ცალმხრივი სიყვარული, თუმცა ბუნების უცნაური კანონები ამგვარ განწყობილებასა და დამოკიდებულებას თითქო ჩვეულებრივ მოვლენად აქცევენ; თუმცა ყოველი წყვილი ღრმა გრძნობით დაკავშირებული სხვადასხვაგვარი გამოსახულებაა ამნაირი ტრაგიზმისა. ერთს უყვარს მეორე, მეორე ითმენს სიყვარულს, ნებასა რთავს ამ სიყვარულის საგნად იქნეს დასახული, ამ სიყვარულის ალში იქნეს გახვეული. მას ანიჭებს ერთგვარ ნეტარებასა და კმაყოფილებას ამგვარი თავგანწირულება და გრძნობიერება. რომ ვთქვათ, ეს მეორე არსება სიამოვნებით ასრულებს თავისებური საკურთხევლის როლს, რომელზეც უნდა აღენთოს სამარადისო ცეცხლი პირველი არსების ტრფიალებისა. ყოველ კავშირში, რომელსაც ფატალური ხასიათი აქვს, რომელიც ჩვენი არსების უღრმესსა და უძლიერეს ინსტინქტს შეეხება და რომელიც ორ ადამიანს სასიკვდილოდ და სასიცოცხლოდ აერთებს — ყოველ ამგვარ საურთიერთო განწყობილებაში სქესთა შორის, სიყვარულია იგი თუ მეგობრობა, ერთი პასივურ როლს ასრულებს, მეორე კი — აქტიურს. კავშირის სიძლიერისათვის საჭიროა მარტო და მხოლოდ ის, რომ ერთიმეორეს გაყინული გულგრილობით და ზიზღით არ ეპყრობოდეს და მეორის აღფრთოვანებას ცივი წყალი არ გადაასხას ხოლმე. მრავალნაირია ეს თავდაჭერილი მიღება გრძნობისა, ვით ღირსეული ძღვენისა, და მრავალფერი ეს თავდავიწყებითი სურვილი გრძნობისათვის უსაზღვროების მოპოვებისა: უმაღლესი წერტილია, როდესაც სიყვარულის საგნისათვის „ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“ და უკანასკნელი საფეხური, როდესაც „დღეს ერთი უნდეს ხვალე სხვა“. ამ ფარგალში შეიძლება მოემწყვდეს დემეტიკას ტრფიალიც (ისე როგორც ეროდეს ასულისა და ვენერასი), რენოს მაღალი მგრძნობელობა, ელეს არაამქვეყნიური გრძნობა და

მედეას უცნაური, თავზარდამცემი სიყვარული, რომელიც „მძლავრ არს ვითარცა სიკვდილი“ და „ფიცხელი ვით ჯოჯოხეთი“.

ის ვინც სიყვარულის, — ადამიანთა შორის უღრმესი დამოკიდებულების, — ამგვარ თვისებას ვერ შეიგნებს და ვერ შეითვისებს, იგი თავის დღეში ვერ დაეწაფება ამ უკვდავების წყაროს. და ნუთუ ყოველგვარი განცდა, რომელსაც დატკბობის ხასიათი აქვს, ამგვარი ცალმხრივი ხასიათის არაა? ბუნების დიდებულებით ჩვენ ვტკბებით და ექსტაზში მოვდივართ ისე, რომ ბუნება არა თუ არ ინაწილებს, ვერც კი ამჩნევს ჩვენი აღტაცების სიძლიერეს. დიდებული ნაწარმოების წაკითხვით, გაგონებით და ნახვით ჩვენ ბედნიერებას განვიცდით ისე, რომ მისი შემქმნელი სრულიად ვერაფერს გრძნობს, არ იცის სულის რა განწყობილებაზე ვართ მისი შემოქმედების წყალობით.

რატომ უნდა მოვთხოვოთ სიყვარულისა და ღვთაებრივი ეშხით მომჯადოებელ არსებას სხვა რამე, თუ არა ის, რომ იგი ნებასა გვრთავს მისი ძლევამოსილი მშვენიერებით დავტკბეთ, თუნდაც წუთიერიც იყოს ეს დატკბობა (იმ პირობით კი, რომ ეს თანხმობა სრულიად ნებაყოფლობითი იყოს და მასაც სასიამოვნოდ რჩებოდეს). აქ ყოველი დიდებული შემოქმედების ავტორი, — ხელოვანი, ჩვენში დიადი გრძნობისა და ფიქრის აღმძვრელი, კმაყოფილია და ნასიამოვნები, თუკი იცის მისი ნაწარმოების ცხოველმყოფელი გავლენა. რენოს კარგად აქვს შეგნებული ეს საბედისწერო თვისება სიყვარულისა, ამიტომაც არაფერს მოითხოვს სატრფოსაგან. რენოს უყვარს თავისი გრძნობა სიყვარულისა და ცხოვრებისა, საგანს მისი ლტოლვისას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ამ გრძნობის ნივთიერი გამომსახველია. ამიტომაც არის, რომ მისი გული ყოველთვის განიცდის ერთგვარ კმაყოფილებას, თუნდაც იგი ტანჯვითაც იყოს გამსჭვალული; მის გულში მარად ღვივის დაუქრობელი ალი მძლავრი გრძნობიერებისა, როცა საგანი მისი ტრფიალებისა ზურგს შეაქცევს, იგი იმითაც კმაყოფილდება, რომ მის ლანდს, მის ხსოვნას თავს ევლება:

„მოგიკრიფე მთის ყვავილი, თეორ-სპეტაკი, მონარნარე
საუცხოო კონად შეკკარ, მისმან შუქმან მორთო არე,
მოლოდინში დასჭკნა ივი, ჰსურს ფურცელნი ჩამოჰყაროს“.

როგორც მოგახსენეთ, მედეას სიყვარული სულ სხვაგვარია. მას თავგანწირულება სწამს, სანამ ამ გრძნობას ხელს უწყობს, აც-

ხოველებს მას და სატრფოს უმონებს. მსხვერპლი იმდენად მიაჩნია, რამდენად იგი ნაყოფიერია და დაჯილდოებული. ერთი წუთის გულგრილობასაც კი არ აპატიებს იგი თავის მიჯნურს. მას არა სწამს არავითარი სენტიმენტალური დამორჩილება ბედისა. მას არსებითად არ შეუძლია რენოსგვარ შურისძიებას მიმართოს, რომელიც ლოცვაკურთხევაა მოღალატე მიჯნურისა.

ა. შანშიაშვილი საუცხოოდ გვისურათებს ამგვარ გრძნობას, მაგრამ მთელი ნაკლულევანება ამ სურათისა იმაშია, რომ მედეა ჯადოდ არის წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის მის ადამიანურ სახეს. ამის შემდეგ კი ის არის, რომ მედეას მოხიბვლა, სასოწარკვეთილება, ტანჯვა და გააფთრებული შურისძიება ბუნებრივობას კარგავს და რაღაც არაჩვეულებრივ, არაამქვეყნიურ ფარგალში მოხდება. ეს კი ჩვენ, ცოტა არ იყოს, გულგრილად გვტოვებს მედეას მრავალგვარი განცდის შესახებ და ხელს გვიშლის გავიმსჭვალოთ მის მიმართ იმ ღრმა თანაგრძნობით, რომელიც ბადებს ესთეტიკურ სიამოვნებასა და კმაყოფილებას. აი მედეას სურათი:

„იგი იყო ხელოვანი, ბედისწერის წინად მცნობი;
დარბაისელს სასწაულში არვინა ჩნდა უფრო მჯობი.
ჯადოსნობის მოქმედებით ყრმას მოხუცად გარდაქმნიდა
მხდალს უდგამდა გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა.
ზაფხულობით ხეს ახმობდა, აყვავებდა ზამთრით არეს;
ამას ძველად ღმერთად რაცხდნენ ადარებდნენ მზეს და მთვარეს“.

და აი ამ უცნაურ ქალს შეიპყრობს უძლეველი ძალი სიყვარულისა და იგი ამნაირად გვამცნობს თავის მდგომარეობას:

„ვაი ჩემს თავს, რომ მომხიბლა და წამართვა გულის ცნობა!
რად მომესპო სიხარული, რად მიზიდავს მისი ტრფობა?
რად დაეკარგე ჩემი სიმხნე, ჩემი ძალა, ჯადოსნობა?
ყველას ფერი მიელია, თავსა იწევს სულ სხვა გრძნობა.
ნუთუ ამას ეძახიან ძლევამოსილ სიყვარულსა?
მის წინაშე სხვა ქედს იხრის, უკურნებელს ასმევს წყალსა!
ძლიერს იგი ღონეს ართმევს და ანიჭებს მას უძლურსა“.

მედეა სრულიად დამონებული ჰყავს ამ გრძნობას, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის, მან „დაკარგა მისი სიმხნე, მისი ძალა, ჯადოსნისა“. ის დაეკითხება კერპს და როცა პასუხად „კერპმა პირი მოუქუშა მედეასა სახე მკრთალსა“, მედეამ ვერაფერი გაიგო ამ გაფრთხილებისა და ისე ახსნა, როგორც ატეხილი ვნებათა-ღელვა უკარნა-

ხებდა; ისე მიიღო ეს ნიშანი ღვთაებისა, თითქო მას კერპი არას ეუბნებოდა და არ ერეოდა მის საქმეში. ამის შემდეგ დაიწყება მედეას სრული მოჯადოება: იგი ყრმა ყოველ წუთს თვალწინ უდგას, მას ეალერსება.

„ღია მკერდსა ეამბორა, თან მოჰხვია თრთოლვით მკლავი,
ეს მე ვარო! — ჩასჩურჩულა — გარს მარტყია ნისლი შავი;
დაგატკბობ და გაგშორდები უცნობი და უნახავი.
რა მეფის ქალს დაეკონა, თვალნი ვნებით მიულულა;
შემდეგ გაჰქრა შეუმჩნეველად, გული ისრით დაუწყლულა
როს მედეა გამოერკვა, — ვინა ხარო? შეუძახა,
მაგრამ გვერდით არვინ იყო, ეგონა თუ სიზმრად ნახა“.

ერთი მხრივ, კიდევაც გრძნობს მედეა, რომ ამ ჩვენებას თავისი აზრი აქვს; კიდევაც იცის, რომ „ირამ გაუცხადა მომავალი, „იაზონიც ასე წავა, ვით ჩვენების გაჰქრა კვალი!“ მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას დაკარგული აქვს „მისი სიმხნე, მისი ძალი, ჯადოსნობა“, მისი ოცნება დაავადებულა, — იგი ჰალუცინაციების მონად გარდაქმნილია; მის თვალებს ძილი აღარ ეკარება და მის გულს მოსვენება.

„სული დრტვინავს მედეასი: მას სიზმარი ელანდება — „ეს მე ვარო, ვის უხმობდი“... და იაზონის ლანდი წარმოთქვამს ფიცს იმის მსგავსს, როგორსაც ლერმონტოვის „დემონი“, ანდა მამია გურიელის პოეტი („პოეტი და ჩვენება“). უნდა გულახდილად ვთქვათ, ამ ფიცმა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა; უფრო სუსტად მოგვეჩვენა ვიდრე ზემოხსენებული პოემების ფიცი. მაგრამ ამჟამად ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მივდიოთ კვალდაკვალ მედეას სიყვარულის ქსელში გაბმას.

„სთქვა ჭაბუკმა და მედეას დაუკოცნა ბაგე ცხელი;
მიიზიდა მკერდთან ახლოს, რა მოჰხვია წელში ხელი.

. . . . . .

ლანდი გაჰქრა, მიეფარა, მედეას ხვდა სევდა მსხვრელი“.

მედეა ისევ ლოცვას მიმართავს, მის მოკავშირე ღვთაებას ემუდარება, უნდა უკანასკნელი ძალი მოიკრიფოს, თავს აჯერებს „არა, არა! არ შევიტრფობ! ძალა შემწევს და ნებაო!“ მაგრამ მისი არსება სრულიად დაუძლურებულია, მისი გული, ლოცვის მაგიერ, სამიჯნუროდ ფეთქს და ღელავს.

„ლოცვას სწყვეტდა შუა ადგილს, მისი ცნობა ფიქრს წაეღო.
ოდეს ხელნი მთრთოლვარენი ზეაღაპყრო სასოებით,
ჰნახა, ძეგლი ცოცხლად ქმნილი, ხორც შესხმული სავსე ენებით“.

ამგვარად, მისთვის კერპის ხატებაც კი იქცევა მომხიბვლელ სატრფოდ. და ეს განხორციელება კერპისა წუთიერი კი არ არის. მედეა მთელ დიალოგს გამართავს იაზონთან, ფიცსაც კი დაადებინებს არ უღალატოს, იმიტომ, რომ მისი გული ეჭვით არის აღსავსე, მეო „... ვეჭვობ მიერთგულო, ღალატი გულს გასვენია!“ მაგრამ ამისთანა ეჭვებს არავითარი გავლენა არა აქვს მასზე, ეს ეჭვი, ეს უნდობლობა სიზმარია, იგი სადღაც შორს, რედეას მეორე არსებაში ჩამარხულა და იქედან ხანდახან თავს წამოჰყოფს, მისი სულის შესაშფოთებლად. გარეშე ამისა იგი მთლიანად მგრძნობელობის თრთოლვითაა ატანილი და ვნებათაღელვაში ისეა ჩაფლული, ვით ზღვაში გადავარდნილი კაცი, რომელიც საშველს ვერსაით ხედავს.

მგოსანი მედეას დამონებული სულის ვითარებას გადაგვიშლის თვალწინ და, ამ აზრით, ერთ ხელოვნურ ხერხს მიმართავს. იაზონი რომ მედეას დაელაპარაკება, პირველ გამიჯნურებას ამ სიტყვებით იწყებს და მითვე ამთავრებს:

„ალბად იცი, მასულდგმულებს რა მიზანი,
ვეძებ ოქროს მატყლოვანსა, შენც გცოდნია მისი გზანი“.

იაზონი, ამგვარად, სრულიად არ ჰფარავს მისი მგზავრობის მიზანს, მედეასთანა ბრძენ და გრძნეულ ადამიანს კი არა, უბრალო გულუბრყვილო ქალიშვილსაც შეეძლო ადვილად მიმხვდარიყო, რომ იაზონმა თუ მედეას „შესხმა უძღვნა, შეადარა ვარდ-იასა“ იმიტომ, რომ თავისი აზრის განხორციელებას უფრო ადვილად მიაღწიოს მისი გადაბირებითა და შემწეობით. ეს მშვენივრად ესმის მედეასაც, მაგრამ ვერავითარი მოსაზრება ვეღარ შეაკავებს და თავბრუდახვეული მიჰქრის იმ უფსკრულისაკენ, რომლისკენაც ულმობელი სქესობრივი ლტოლვა მიაქანებს. შესაძლოა ავტორი ცდებოდეს, როცა იაზონს ასე ბრიყვულად წამოაროშვინებს თავისი გულის ნადებს, მაგრამ მედეას ბრმა გრძნობის გასათვალისწინებლად ეგ საშუალება ყოვლად მისაღებია და ჩინებული. პოემის მთავარ თემას, საგანს, უფრო მედეას უცნაური, დამღუპველი სიყვარულის დასურათება შეადგენს, ვიდრე იაზონის მოქმედების, მისი დიპლომატიური ოინების აღნუსხვა.

იაზონს არც თუ უცაბედად წამოსცდენია თავისი იდუმალი განზრახვა, ვერძის ტყავს ის თითქოს მიჯნურობის სასყიდლადაც კი ითხოვს.

„იაზონი იდუმალად თითქოს ყურში ჩასძახოდა:
„მომეც ხელი, შემიყვარე!“ გლახ მედეა უფრო თრთოდა.
ვერძის ტყავი როგორ ვპოვო? მითხარ, მითხარ მასზე რამე,
ნუ დამიხშობ ნათელს სეეტსა, რომ მოგაგო მეც სიამე“

იაზონი დაჟინებით სთხოვს ვერძის ტყავს, კიდევაც ვაჭრობს: თუ გინდა „მეც სიამე მოგაგო“, ვერძის ტყავი მომეციო... იცის მისი გრძნობათა აშლა და ამ გრძნობათა დაცხრომაში ქრთამსა სთხოვს. მაგრამ მედეას ეს ვერ აშინებს, ვერც შეაფერხებს მედეას. კიდევ უარესი: მედეამ კარგად იცის საეროვნო მნიშვნელობა ვერძის ტყავისა:

„იგი ერის საუნჯეა, ხოლო ჩემი ნატვრის თვალი,
შენ გასწაელო, ხალხს რა ვუყო, როგორ ვზიდო ცოდო-ბრალი?
ერი ჩემი უიმისოდ დაობლდეს და იქმნეს მხდალი.
მცხოვრებთ შორის დაემკვიდროს: შური, მტრობა, სატკივარი,
ზარით აღდგნენ ერთმანეთზე და დაეხშოთ ცისკრის კარი.

უცხო მტერი შეესიოს, ჰქმნას მონა და გლახ საპყარი:
მოსვენება მოენატროს, ტყვედ შეიპყრან თვით მთავარი“.

ყოველივე ეს იცის მედეამ, მაგრამ ისეა დამთვრალი და გონებამოჯადოებული თავისი საუბედურო გრძნობით, რომ აღარაფერი აღარ ახსოვს, ყოველივეს გადათელავს და მსხვერპლად მიიტანს ამ მოსისხარი კერპის დასაამებლად. და თვითვე გულამოსკვნილი გოდებს:

„ვაი ჩემს თავს, რომ მომხიბლა და წამართვა გულის ცნობა!
რად მომესპო სიხარული, რად მიზიდავს მისი ტრფობა?
რად დავკარგე ჩემი სიმხნე, ჩემი ძალა, ჯადოსნობა?
ყველას ფერი მიელია, თავსა იწევს სულ სხვა გრძნობა,
ნუ თუ ამას ეძახიან ძლევამოსილ სიყვარულსა?
მის წინაშე სხვა ქედს იხრის, უკურნებელს ასვამს წყლულსა,
ძლიერს იგი ღონეს ართმევს და ანიჭებს მას უძლურსა“.

ასეთია ძალა უკურნებელი სენისა, რომლითაც შეპყრობილია ეს ადამიანი. იგი, რომლის „სასწაულში არვინა ჩნდა უფრო მჯობი“, იგი, რომელიც იმასაც კი ახერხებდა, რომ „მხდალს უდგამდა

გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა", — ეს ადამიანი ზღვასავით მოდენილი გრძნობის წინაშე იქცევა სრულიად უნებურ ადამიანად, რომელიც ვეღარას ხედავს, ვეღარას არჩევს, და თუ ხედავს რასმეს, თუ ამჩნევს რასმეს, იგი მასში არავითარ შთაბეჭდილებას არ იწვევს; სომნამბულად ქცეულათქო, ხომ მოგახსენეთ.

იცის მედეამ, წინათგრძნობა არ ატყუებს, რომ იაზონი, აღისრულებს რა საწადელს, ფეხქვეშ გასთელავს მის მსხვერპლს, მის გრძნობას, მის გულსა და სულს. აი რას ეუბნება იგი იაზონს:

„—...ვეპვობ მიერთგულო, ღალატი გულს გასვენია!
დაპირება დიდი არის, ასრულება დაგრჩენია"

და თანაც აფრთხილებს:

„...შემდეგ აღარ ვივალალო, არ ესთქვა: რისხვა დამეც ალო!
ვით ღრმად ძალმიძს სიყვარული — დაბრკოლებას დავეძალო,
ეგრედ შევძლებ ღრმა სიძულვილს, გული კლდესებრ გავისალო".

როგორც ეპვი, ისე გაფრთხილება მეტად სერიოზული და გადაჭრილი კილოთია ნათქვამი. აქ კეკლუცობის ნასახიც არ არის, ამის მთქმელს კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული, რაც მოსდიოდა.

*

მედეას ამბავი, როგორც მოგეხსენებათ, ელინური მითია. იქ ამგვარადაა მოთხრობილი მედეას შეყვარების ამბავი: ეროსმა — სიყვარულის ღმერთმა—ღმერთების ბრძანებით დაუკოდა გული მედეას და იაზონის სიყვარულით მოსწამლა იგი. ეროსი, — მოგვითხრობს აპოლონ როდოსელი თავის „არგონავტებში", ჩუმად, ისე რომ ადამიანმა ვერ შეამჩნია, თავისი მშვილდ-ისრითა და კაპარჭით მოფრინდა სასახლეში. დაიმალა დარბაზის ერთი სვეტის უკან, ამოიღო კაპარჭიდან ისარი და მოიმარჯვა მშვილდი; მერე, ჩუმადვე, იაზონს მიუახლოვდა, ამოეფარა მას, დაუმიზნა მედეას გულს ისარი და გაისროლა... ქალიშვილი, რომლის გული ღრმად იქნა დაკოდილი ისრით, იდგა დადუმებული, სევდით მოცული. მწარე ტკივილი სწიწკნიდა მის გულს; ნაზი ღაწვი ხან უყვითლდებოდა და ხან უწითლდებოდა; ღრმად ოხრავდა და ჩუმ-ჩუმად, სხვის შეუმჩნევლად, შე-

ავლებდა ხოლმე თვალს იაზონს; მისი სული აღსავსილი იყო მწარტკბილი გრძნობით.

ეს საოცნებო პოეტური სურათი, რომ ჩვეულებრივ ენაზე გადავთარგმნოთ, გამოვა ის, რაც რუსთაველმა ორი სტრიქონით გამოხატა. ხომ გახსოვთ ტარიელისაგან ნესტანის პირველად ნახვა. აი, როგორ მოუთხრობს ამ ამბავს ტარიელი ავთანდილს:

„ასმათ ფარდაგსა იზიღნა, გარეთ ვდეგ მოფარდაგულსა
ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა
.
დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა“.

მედეა გახდა მონად უძლეველი, უცნაური, საშინელი გრძნობისა.

გავიდა ხანი. მედეას შიში და ეჭვები აუსრულდა... იაზონმა სხვაზე გასცვალა იგი წარბშეუხრელად, უსირცხვილოდ და უგუნურადაც. აქ იწყება მედეას საზღაპრო ტანჯვა, რომელიც მასში იწვევს საარაკო შურისძიებას. მთელი სურათი მისი დაღუპვისა თვალწინ წარმოუდგება და კვნესა-ვაებით მიჰმართავს ძიძას: „რად მივენდვე, რად მივენდვე, რად შევიქენ თავის მკვლელი?“... და ძიძასაც ვერავითარი სანუგეშო ვერ მოუძებნია მისთვის:

„რაღას აქნევ სინანულით, რას გიშველის გლოვის ზარი?
არ იცოდი, უცხო ადგილს ვარდი მოსჩანს ეითა ნარი?
რაც უნდოდათ ის მიიღეს: სიქალწულე და მშვენება
ოქროს ვერძი — სალოცავი, ერის განძი და დიდება.

მშვენივრად აქვს მგოსანს გადმოცემული მედეას სულისკვეთება, მისი სულის განწყობილების ცვლილება: მუდარება — მუქარად იცვლება, ვედრება — რისხვად, ალერსი და ნაზგრძნობიერი სიტყვები — მქუხარე და საშინელ ყვედრებად. იგი იაზონს წინ გადაუდგება და დამარცხებული ყოველი მიჯნურისათვის ჩვეულებრივ ხერხს მიჰმარათავს:

„უთხრა: რისთვის შეიცვალე, რად შეიქმენ ჩემი მგმობი?
განა შენთვის არ ვყვაოდი? რად ჩამიქრე მზე მნათობი?
განა ეხლაც არ ვარ შენთვის ენებით სავსე ნაზად მგრძნობი?
სხვას ვის ძალუძს მოგანიპოს ზღვა-სიამე, ტრფიალება?

Სხვას ვის ძალუძს ჩემებრ, ჩემო, სულთან სულის შეპვალება?
ეგებ მითხრა საყვედურად — მე მშეენება დამკარგოდეს?
ეს თვით იცი, კვლავ თან მახლავს არც დასჭკნება არაოდეს!
ჩამოვგეკარ მარად ყვავილს, ვერ მახსენებს მტერი მტრულად,
ჩემს სიტურფეს თვალის მომჭრელს, ვქმნი მარად ჟამ სხივ-შემკულად.
ჩემს ნაკვთებში კვლავ მხურვალე სისხლი სჩქეფს და ქალის ენება;
ჩემი ბაგე ამბორის ჟამს ცეცხლით თრთოლავს და ეგზნება
ეს ძეძენი ყვავილობენ, თხელ მარმაშით მწყაზრად კრთიან.
თუმც გაზარდეს ორი შვილი. ტრფიალისთვის ეშხით თრთიან.
რომელ დედას ძალუძს ჩემებრ სიამტკბილე გაგრძნობინოს?
რომელს ძალუძს, რომელს ძალუძს აღგატყინოს?"

გამწარებული დედა-კაცი იღვიძებს მასში და მის ნაცვლად, რომ თავისთავად, ბუნებრივად მოხიბლოს მამაკაცი, თავის ღირსებებს წინ გადმოუფენს. სრულიად ნამდვილად არის გადმოცემული ეს ფსიქოლოგიური მოვლენა, მაგრამ იგი ყოველთვის უნაყოფო ყოფილა და მედეას ხელშიაც ვერ გასჭრა ამ იარაღმა.

მაშინ კი ყვედრებას მიჰყო ხელი:

„შენთვის, მზეო, მე გავწირე ერი ჩემი და მშობელი;
აქ გამოგყე უცო მხარეს, ვიქმენ სხვისი გლახ მგმობელი!
მოგეც ძალა და შეწევნა, მოგეც ვერძი — ნატვრის თვალი".

რასაკვირველია, ასეთი დამადლებაც ვერ აღწევს მიზანს და იასონიც გაჯავრებული უპასუხებს:

„გონს მოხვიდე გირჩევნია, ჩივილით მქმნი აბეზარად".

შემდეგ კი „ცივად წასვლა დააპირა".

მაგრამ აქ მედეა აღიჭურვა რისხვითა და წყრომით, „შესდექიო" შეუყვირა:

„და ამ ხმაში გამოკრთოდა ბრაზი, ზიზღი, სიყვარული,
ამავე ხმით იცნობოდა გული მისი გაბასრული".

შემდეგ მედეა ისევ დალბება, ისევ მოდუნდება, ისევ ვედრებას მიჰყოფს ხელს:

ოჰ, სიცოცხლევ! ჩაქრა რისხვა, რისხვა მწირი და ბავშვური;
მაპატიე, სიტყვა გკადრე, სიტყვა ესე უნებური,
რა ვქნა, ჩემო, ყვედრებაში სიყვარულის ისმის კვნესა;
განაცვალე ყოველივე, ერთი შეიქმ ჩემ იმედსა;
შენი სუნთქვა ჩემი არის, ის მიამებს მწარე ბედსა

მტანჯე, მტანჯე! ნუ კი მტოვებ! სულსა უძღვენ სევდის ხუნდი;
მე ვილოცებ მაინც შენზე, მხოლოდ ბედკრულს დამიბრუნდი.
ქვითინით და მწარე მოთქმით გმირსა მუხლი მოუყარა;
მის კალთასა მოეხვია, მასვე ცრემლი დააყარა".

უკეთესად გადმოცემა მიჯნურისაგან მიტოვებული, გრძნობა შელახული გულისა ძნელი წარმოსადგენიც არის. ყოველი მომენტი მისი შურისძიების განვითარებისა ნათელყოფილია. თავის დამდაბლება, ერთის მხრით, თავგანწირულება, უდიდესი მგრძნობელობა, მეორეს მხრით, შეურაცხყოფა, დაწიხვლა, უკუგდება ამ მსხვერპლისა, სხვას ვერას შექმნიდნენ, თუარა სამაგალითო შურისძიებას მედეასას.

იაზონმა საბედისწერო პასუხი გასცა:

„იაზონმა ხელი ჰკრა და მიაძახა: „ჯადო-ქალო!"

ამან კი მედეას მთელი არსება საბრძოლველად მორთო, მთელ მის გრძნობებს თავი მოუყარა და მრისხანების საშინელ ტალღად აქცია.

მე აღარ მოგიყვებით მედეას შემდეგ მოქმედებას, ეს ყველამ ვიცით. არ შემიძლია მხოლოდ არ აღვნიშნო ის ყოვლად მოსაწონი ცვლილება, რომელიც ჩვენმა ავტორმა შეიტანა ძველ ელინთა თქმულებაში: ამ გადმოცემის მიხედვით, მედეამ, შურისძიებით აღტყინებულმა, დახოცა თავის შვილები. ეს ადგილი, ცოტა არ იყოს, მკვახედ აქვს გამოთქმული თვით დიდებულ ძველ ელინთა ტრაგედიის მწერალს ევრიპიდეს თავის „მედეაში". მედეა, ამ უცნაურ განზრახვის შესახებ, ასე უცნაურად ელაპარაკება ხოროს: „კმარა რაცა ვსთქვი. საშინელებად მიჩანს მისი ქმნა, რაც მომელის. ამოვწყვეტ სრულად ჩემ ღვიძლ შვილებსა, ვერცა ვერავინ ხელთ გამომტაცებს".

ასეთი წრესგადასული გაბოროტება მედეასი, რომელიც თავის ხორცსაც კი არ დაინდობს, რაღაც საოცარი, რაღაც არაადამიანურია. მედეას — ელინთა თქმულება უცხო ქალად სთვლის, ბარბაროსად [1]. ამიტომაც, რასაკვირველია, ყოველ ცუდ საქმეს ადვილად აკისრებინებს; ხოლო ჩვენმა მგოსანმა უფრო საღი თვალით შეხედა მოვლენას. მან ერთი ცვლილება შეიტანა ამ ზღაპრულ გადმოცემაში. მე-

[1] თვით იაზონიც ურცხვად აყვედრის მას: შენ უნდა მიმადლოდე და იშვებდეს ეგე გული: ველურ ქვეყნით მოგიყვანე ბარბაროსი და ურჩხული.

დეას შვილები სურს გადაიბიროს იაზონის ახალმა საცოლემ—კრეუზამ და ამ მიზნით ბავშვებს ტკბილეულებითა და ხილით იტყუებს. ამის გამგონე მედეას ტანჯვა გაუორკეცდება:

„ხმა აღმოხდა, ხმა ოხვრისა — გულის კვნესა ღრმად მწუხარე,
სთქვა: შვილებო! ვაჰ, შვილებო! გაშორებენ დედის გულსა!
ჩემი მტრები შეიყვაროთ, მიტომ გძღვნიან ტკბილეულსა,
მამა თქვენსა რომ უყვარხართ — არა ზოგავს თქვენთვის სულსა
მისთვის სატრფოც ეს ახალი ფეხთ ქვეშ გიფენთ სიყვარულსა“.

აქ ნათლად არის ნაჩვენები ისიც, რომ მედეას ამ უკანასკნელ სასჯელსაც უმზადებენ და ისიც, რომ იაზონს შვილები სულზე უტკბესად მიაჩნია. თავისთავად ცხადია, რომ თავზარდამცემი შურისძიების წყარო და დასაბამი აქ უნდა ვეძიოთ. და მედეაც საშინელ გადაწყვეტილებას მიიღებს:

„დღეის შემდეგ თვით ჩემს ნაშობთ ვაი აღარ შევიბრალებ,
მაგრამ ამით გულს მოეუკლავ, ჩემთან ერთად ვავალებ“.

ეს ადგილი ევრიპიდეს სულ სხვა გვარად აქვს აღწერილი. იქ კრეუზა — იაზონის საცოლე — ზიზღით ეპყრობა იაზონის შვილებს: „ვერ შეამჩნია შენი ვაჟები, თვალი იაზონს გადააყოლა, ხოლო თვალები მერმე დახუჭა და ფერმიმკრთალი პირი[1] იბრუნა, ბავშვების მოსვლით გაჯავრებულმა“.

შესაძლოა ევრიპიდეს სურათი მედეასი უფრო საშინელი, უფრო საზიზღარი იყოს, მაგრამ შანშიაშვილის მედეა, ამ შემთხვევაში, უფრო ადამიანურია და ჩვენს გულსა და გონებას უფრო ხვდება.

არის მეორე განსხვავებაც. აპოლონ როდოსელს მედეა ცოტა არ იყოს სენტიმენტალურ და უაზროდ თავგანწირულ არსებად ჰყავს გამოყვანილი. ისეა გადმოცემული თითქოს მედეა, იაზონის ლამაზი თვალებითა და ტანით მოხიბლული, შეპირდება მას „ოქროს ვერძის“ გადაცემას და მეტს არას მოითხოვს მისგან, თუ არა იმას, რომ „როცა სახლში დაბრუნდე, მედეა არ დაივიწყოო“. და მხოლოდ შემდეგ, როცა მედეას ბოროტმოქმედებანი წრეს გადასცილდებიან, იაზონი, თითქოს მისი შებრალების გამოც, წაიყვანს მას თან. მაგრამ

[1] რუსულად ეს ადგილი უფრო მრისხანედ არის გამოთქმული: „Отвернула гневное лицо“ (თარგ. მერეჟკოვსკისა).

მედეა ასეთი გულუბრყვილო, ინსტიტუტში გამოზრდილი ქალი არ გახლდათ, და თუ იაზონისათვის „გასწირა ერი მისი და მშობელი“, იმიტომ, რომ მის გულს და მის გონებასაც დაეპატრონა ყოვლად ძლიერი ეროსი, მის არსებაში დაიბუდა სიყვარულმა, „რომელიც მძლავრია, ვითარცა სიკვდილი“. აქაც, მედეას ამგვარ დასურათებაში, ჩვენის აზრით, ს. შანშიაშვილი უფრო ახლოს დგას ადამიანის ფსიქიკასთან და უფრო მიუდგომლად სჯის მედეას სულის განწყობილების შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ელინთ თავიანთ მითოლოგიურ გადმოცემებშიაც ერთგვარი ტენდენცია შეჰქონდათ [1]. მედეას დამცირებასა და გაუპატიურებასაც, რასაკვირველია, არ დაერიდებოდნენ. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ თვით იაზონი იხსენიებს მას „ბარბაროსად და ურჩხულად“, რომლის „ველური ქვეყნიდან“ საბერძნეთში მოყვანაც კი დიდ და აურაცხელ მოწყალებად მიაჩნია მედეასათვის.

სამაგიეროდ შანშიაშვილი დიდ და შეუწყნარებელ შეცდომას სჩადის, როცა მედეას ჯადოსნობას ხაზს უსვამს. მედეას ჯადოსნობაც, ჩვენი აზრით, გადმოცემის ტენდენციაა: ველური ქალი, ბარბაროსი ქალი უნდათ გამოიყვანონ ჯადოს მონად, ცბიერად, უგულო და უსულო არსებად. მაგრამ აქ ძველი ელინური წყაროები უფრო თავდაჭერილია, ვიდრე ს. შანშიაშვილი. მის ხელში მედეას ჯადოსნობა მეტისმეტად გაზვიადებულია და იგი თითქმის „კუდიანად“ არის გამოყვანილი. ეს ხელს უშლის შთაბეჭდილების მთლიანობასა და სიცხოველეს... არ ვიცი, რომელი ავტორისაგან ისესხა ავტორმა, მაგალითად, მედეას დევნა მამიდამისისაგან, რომელიც შეიცავს პირდაპირ არასასიამოვნო სცენებს მედეას ჯადოსნობისას. ვიმეორებ, ელინთა გადმოცემაში რომ იყოს ასეთი სცენები, ჩვენს ავტორს იგი კრიტიკის ქარ-ცეცხლში უნდა გაეტარებინა და უსათუოდ გვერდი უნდა აევლო მათთვის. ერთადერთი მნიშვნელობა აქვს მედეას გრძნეულებას, როგორც ერთგვარს პოეტურ ხერხს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯადოსნობის მოქმედებით ყრმას მოხუცად გარდაჰქმნიდა, „მხდალს უდგამდა გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა“, სიყვარულის ძალის გამო ჩვრად გარდაიქცა. მაგრამ ამისთვის ეს ორი სტრიქონიც საკმაო იყო.

---

[1] იხილე ამის შესახებ პროფ. ზელინსკის მშვენიერი წიგნი „Жизнь и идеи“ ტ. III, გვ. 153.

ს. შანშიაშვილმა კარგად იცის რუსთაველი და იცის ისიც, თუ როგორ ეპყრობა იგი ამგვარ უცნაურ ამბებს. ხომ გახსოვთ, რას ამბობს ქაჯების შესახებ:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ეჭვი არ არის, ჩვენს მგოსანს უნდოდა მედეა და მისი ამბავი მრავალგვარად მოტყუებულ და გაბიაბრუებულ საქართველოს სიმბოლიურ სახედ შეექმნა. ამაში ვრწმუნდებით იმ ლირიული ნაწყვეტებით, რომლებიც ბაირონის მანერაზე აქვს ჩართული ს. შანშიაშვილს აქა-იქ თავის პოემაში.

„ერო, ჩემო, გულკეთილო და განთქმულო პურ-მარილით,
მტერსაც ჰხიბლავ, მოკეთესაც კაცთმოყვარე სულით ტკბილით,
მაგრამ, მითხარ, ეგ მოპყრობა თუ შენ ერთმა დაგიფასა!?
ვისაც ენდე და მიიღე, ერთი ტანჯვა გაგიასა“

ანდა:

„ჩემს მედეას დავუბრუნდე, მოვსთქვა მისი სევდის ალი,
უცხო ქვეყნის ქალიშვილი ვერ შეიტკბეს, მოიძულეს;
მისი გული მგრძნობიარე გლახ საბრალოდ დააწყლულეს
სიკეთისთვის ნახეთ როგორ დაამცირეს, წყევლით კრულეს“

ამ სურვილს ავტორისას კიდევ უფრო ნათლად გვაგებინებს პოემის შესავალი:

„მსურს ერთხელ კიდევ დავმღერო, ქალი შევაქო მედეა,
სისხლის ფერებით შევამკო ამაყის განაბედია:
ხოლო იაზონს ვანანო, ვაგლოვო წანახედია“

ეს აზრი ავტორისა ნათელია, იგი აზრი აცხოველებს მთელ პოემას. ამის გამოა გამოწვეული ის ლირიული ამონაკვნესები, რომლებიც ამშვენებენ ამ ნაწარმოებს და რომლებიც წარმტაცის ხელოვნებითაა დაწერილი. მხოლოდ უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, ამ დიად აზრს ავტორმა ვერ მიაღწია სავსებით, არ ვიცი იმიტომ, რომ მედეას, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მეტად ასახიჩრებს მისი წრესგადასული გრძნეულება, ჯადოქრობა, თუ მიტომ, რომ შანშიაშვილის ჰაეროვან, ანგელოსებრივ ნაზ მუზას არ შეესაბამება ასეთი სასტიკი სურათებისა და ხასიათების დახატვა. მართლაც, ნახეთ რა შეუდარებელია მისი რენო, მისი დემეტიკა, მისი ელე და ფრიქსი, რა საოცარი

სიღრმითა და სინაზითა აქვს გამოთქმული მათი თავბრუდამხვევი მგრძნობელობა. თვით მედეას სულის მოვლენათა ის სურათები ეხერხება მგოსანს, სადაც იგი ქალია თავიდან ფეხებამდე, დატყვევებული გრძნობისაგან, სადაც იაზონი მის აზრს აღარ შორდება ერთის წუთით და თვით ღვთაების ცივი ქანდაკებაც იაზონის ხორცს ისხამს მის თვალში, სადაც იგი გრძნობათა სამეუფოშია სრულიად, ეშხით მთვრალი, გონება მიბნედილი.

შანშიაშვილის მუზას რაღაც რაფაელისებრივი აქვს. მომხიბვლელი იტალიელი მხატვრის ხელში თვით მრისხანე იეგოვა ლმობიერებით აღსავსე ტკბილ მოხუცად მოსჩანს, მისი კალამი სისხლისმღვრელ ომსაც რაღაცნაირი სიმშვიდითა და სიწყნარით აღავსებს. ეს სრულიადაც არ არის დეფექტი ნიჭისა. ეს არის თავისებურება ნიჭისა. უეჭველია, ხელოვანთა გონებრივი სფეროც ერთგვარ ბუნებრივ კლასიფიკაციას ემორჩილება. მტკიცება არ სჭირდება მას, რომ თვისება რაფაელისა და მიქელანჯელოს ტალანტისა სულ სხვადასხვა არის, პრაქსიტელისა და ფიდიასის კიდევ სხვა. ჩვენ გვგონია, შანშიაშვილის პოეტური აღმაფრენაც სინარნარისა და სინაზის საოცნებო ლეჩაქით არის შებურვილი; თვით რისხვაც მის ბაგეთა საზღვარზე ლოცვად იქცევა და შურისძიების სურვილი — შენდობით აღსავსე ლმობიერ საყვედურად. ამიტომაც არის, რომ იქ, სადაც რენო შეუდარებელი ხელოვნებით ჰყავს აღწერილი, აქ, სადაც მედეა მგრძნობიარე და სიყვარულით მოჯადოებული, ჩინებულად ჰყავს დახატული, მედეა გააფთრებული, მედეა შურისძიების დემონად ქცეული სუსტად გამოდის და მის უსაზღვრო და უძირო გაჯავრებას უფრო ჯადოქრული სახე აქვს, ვიდრე ადამიანური.

5

რა დიდი ხელოვანია ს. შანშიაშვილი, — ფაქიზი, ბედნიერებითა და სიყვარულით აღსავსე, — ოლიმპიურ, ღვთაებრივ გრძნობათა გამოსახვაში ამას მისი პოემის „მეხუთე ქება“ გვიმტკიცებს, სადაც „პარისისა და ელენეს“ ამბავია მოთხრობილი.

ამ პოემაში შანშიაშვილმა არ დატოვა არცერთი თვალსაჩინო ტიპიური გამოსახულება ტრფიალებისა და მიჯნურობისა.

უნდა გამოესახა რაღაც ღვთაებრივი, რაღაც უცხო, თავისი გულუბრყვილობით და მომაჯადოებელი მშვენიერებით: მგრნობელობით,

რომელიც უცოდველი ხდება თავისი ბავშვური ძოქცევითა და გულუბრყვილობით და რომელიც უძლეველი ჩანს, ვინაიდან ძლევამოსილი გრძნობის უკუქცეული სხივია. ისეთი სიყვარული, როგორიც პარისისა და ელენეს შორის დაიბადება, შესაძლებელია მარტო მგოსანთა ოცნებაში ჰპოვებდეს სინამდვილეს. მიუხედავად ამისა; იგი არსებული, რეალური განწყობილების ცხოველი სურათია. შესაძლებელია იმას ღრმა ფესვები არ ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებასა და სიცოცხლეში... შესაძლებელია ასეთი ურთიერთობა კავშირისა, რაღაც იდეალური ტიპი იყოს, რომლის მრავალგვარ ცვლილებასა ვხედავთ ცხოვრებაში, მაგრამ, ვიმეორებთ, ლოღიკურად ჩვენს გონებას არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი იდეალური ტრფიალება არ იყოს ყოველდღიური სინამდვილის მოვლენა... თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვეულებრივია დამოკიდებულება დემეტიკასი და ფრიქსისა (ვენერა და ადონისი); ყოველდღიურია ტრფიალება რენოსი და იაზონისა; იშვიათია, მაგრამ არც ფრიქსისა და ელეს გრძნობაა უცხო ადამიანთა კრებულისათვის, თუმც მას ასვია ბეჭედი განყენებული, განჰაეროვნებული სამეუფოისა, და მით არც მაინცდამაინც ხელსაყრელი უბრალო მომაკვდავისათვის; თავზარდამცემია და შესაზარი იაზონისა და მედეას განწყობილება, მაგრამ იგიც განმეორდება ხოლმე ხშირად, ამა თუ იმ სახით, ჩვენს ყოფაში.

პარისისა და ელენეს მიჯნურობა კი უცნაური შეზავებაა ხორციელებისა და სულიერებისა, ღვთაებრივი ზომიერებით აღსავსე, რომელიც ელინთა სულის სიმშვენიერის ხატებაა.

ფრიქსისა და ელეს სიყვარული მეტად განყენებული, მეტად სულიერი, არამიწიერია, „ვით უმანკო სულის ლოცვა, ნაზი იყო მათი ტრფობა“, იგი ყოველივე ხორციელებას მოკლებულია, მეტად რომანტიულია და ცოცხალ კაცს სრულიად გულგრილად ტოვებს. პარისისა და ელენეს სიყვარული არაჩვეულებრივია იმით, რომ სრულ და ძლიერ ურთიერთობაზეა დამყარებული. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სქესობრივი დამოკიდებულება უმეტეს შემთხვევაში სულ სხვაგვარად არის აშენებული. პარისისა და ელენეს მიჯნურობა ისეთივეა, როგორიც ნესტანისა და ტარიელის, ავთანდილისა და თინათინის: სრული ხორციელება სრულ სულიერებასთან; მათი გრძნობა ამქვეყნიურია საკვებით, მაგრამ არავითარი ნასახიც არ არის შიგ სქესობრივი ჟინისა: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა“. მართალია, იგიც ტრაგიზმით აღსავსეა, მასაც საბედისწერო განსაცდელი მოელის, მაგრამ ტრაგიზ-

მი აქ, ასე ვთქვათ, მათი გრძნობის გარეშეა, მათ სურვა-ლტოლვის ფარგლებს იქით დგას. რა უყოთ, რომ ნესტანის დასაკუთრებას ტარიელმა მრავალი ცრემლი შესწირა, მრავალი ვაებით მოიპოვა იგი: მათი ერთმანეთისადმი მისწრაფება, მათი არსების მგრძნობელობა სრულ ჰარმონიასა, სავსე თანხმობაში იყვნენ ყოველ ჟამს. ასეა ელენესა და პარისის საქმეც. მათი სიყვარულის გამო აოხრდა მთელი ქვეყანა, მსხვერპლად შეეწირა მათს გრძნობას მთელი გვარი, თვით პარისი და მრავალი მისებრ ღვთაებრივ-მშვენიერი, მაგრამ მათ გრძნობას ერთ წუთსაც არ განუცდია შეფერხება, არცერთი ბეწოთი არ მოდუნებულა იგი. სულ სხვაა რენოსა და იაზონის კავშირი, ან და— მედეასი და იაზონისა. იგი აღსავსეა ტრაგიზმით, იგი ტანჯვა-ვაების ბუდეა და ბედის ულმობელი მახვილის ასპარეზი. აქ თვით მათ შორის გაბმული ჯაჭვია სულთამხუთავი, გონებისა და გრძნობის შემბოჭველი და მომსპობი. იაზონის გულგრილობა არის წყარო რენოს უბედურებისა, მედეას შერცხვენისა და მისი უმადურად გაბიაბრუებისა. აქ არავითარი გარეშე ძალა არ უშლის არც რენოს არც მედეას გრძნობის სავსებით განვითარებასა და გაშლას, თვით მათი ტრფობის საგანშია დამარხული მათი მგრძნობელობის გამხრწნელი და სასიკვდილო საბედისწერო თესლი.

ელენე და პარისის სიყვარული და გრძნობა კი არსებითად ბედნიერია, მხიარული სიცილ-კისკისი გაისმის ყოველ მის გამოაშკარავებაში. მათი ერთმანეთის მიახლოვება სავსეა ნეტარებით. იგინი ითრობიან ერთმანეთის შეხედვითა და შეხებით, ვითა ღვთაებრივი ნეტარებით, მათი კავშირი არა არის რა, თუ არა თვით არსი, დედა-ძარღვი სიცოცხლის სიხარულისა და სიმშვენიერისა. ნახეთ რა საუცხოოდა აქვს შანშიაშვილს ეს გამოთქმული, პარისმა რომ ელენე დაინახა მაშინვე მოიხიბლა, ელენესაც ასე დაემართა:

„სთქვა პარისმა: ის ღმერთია მე რომ ერთხელ მომეევლინა,
ქალი მისკენ გაემართა, მიესალმა, შედგა წინა
უცბად სთქვა თუ: „ვიშ, მშვენებავ“, შემდეგ ნაზად გაუცინა.

. .

სთქვა და თვალი გაუყარა, ააღელვა ცეცხლით ენება,
მთლად დაიბნა ყრმა პარისი, აზროვნების გზა აება,
თავი ვეღარ გამოეგო, მშვენებისა ქსელს გაება“.

დიახ „მშვენებისა ქსელს გაება“ და თქვენ ხედავთ, რომ ეს ქსელი სანეტაროა, რომ მათი დაახლოვების გზა ია-ვარდითაა მოფე-

ნილი. რა ვუყოთ მერე, რომ ამ სიყვარულს პარისი თავს გაღააგებს. გრძნობა შეურყეველი იქ მიაქვს, სადაც იწყება სამეუფო მარადისობისა, და მის საზღვარს აქეთ დარჩენილ ელენეს გულში იგი გრძნობა პარისის ხელშეუხებელ, საუკუნო ძეგლად იქმნება. არავითარი სევდის აჩრდილი, არავითარი ეჭვის ღრუბელი არ ჰფარავს ამ გრძნობას და იგინი, ვით ტრედები, ღუღუნებენ, ვით ბულბულები სიყვარულს ქებათა-ქებას უმღერიან:

„ერთს ფიქრობდა, სხვას ამბობდა, ხან კი თრთოდა, წითლდებოდა;
ჰსურდა ეთქვა „მშვიდობითო“, მაგრამ ჭალს ვერ ჰშორდებოდა.
ბოლოს ჰკითხა ხმის კანკალით: რა გქვიანთო თქვენ სახელად?
—მე? ელენე! — თქვენ, ელენე? დავივიწყო იგი ძველად!
— რა ჰსთქვით, ყრმაო? — არაფერი! მსურს გაგშორდეთ, მეჩქარება;
—არა, დარჩით! სადგან მოხვალთ? მომწონს თქვენი მეტყველება.
—თქვენში ყველა ეგრე ტურფობს? — ღმერთო, ეს რა მემართება?
— ყრმაო, იცით, მოდით ჩვენსა?... მოხვალთ ჩვენსა?—
— საღამოზე! — მაშ იცოდეთ, იმ დროს ველი!
— ნეტა მალე დადგებოდეს!.. გეთხოვებით... აწ მშვიდობით...
ამბობდა და იქვე იდგა, მოაშორეს შემდეგ დობილთ“.

და სულ ამ კილოზეა ლაპარაკი. შეხედეთ რა გულუბრყვილოა..., არის მასში რაღაც ცხოველური და არის რაღაც ღვთაებრივი. ასეთი გრძნობა ნათელყოფს უხილავ კავშირს ხორცსა და სულს შორის, იგი ადვილად გადასათელი საზღვარია ცხოველისა და ღვთის სახედ შექმნილ ადამიანთა შორის; იგი ცქრიალა და ბრჭყვიალაა, სიხარულისა და ბედნიერების მომფენია, ვით ვარდის კოკორი ახალ გაზაფხულზე ნამით დათრთვილული, რომელსაც ამომავალი მზის სხივები ალმასივით ათასფერად ათამაშებს. საოცრად აქვს ეს შეგნებული ხელოვანმხატვარს და ამიტომაც არის, რომ ეს პასაჟი აჭრელებულია ამგვარი სურათოვანი სიტყვებით: „შვენებისა ქსელს გაება“, „ხან კი თრთოდა, წითლდებოდა“, „უხდებოდა მიმოხვრა და პირს ღიმილი“, „ყრმა პარისი, — სიხარული, მისი შვება“, „თვით თავის თავს შეჰხაროდა“, მისთვის „სხვა მნათობი ამოშუქდა“. ყოველივე ეს არა არის რა, თუ არა იმისი ნათელყოფა, რომ ეგ გრძნობა ცხოველმყოფელი ბედნიერებაა და ძლევამოსილი ნეტარება. ნახეთ რა საუცხოოდ აქვს ავტორს აღწერილი ელენეს მოლოდინი, რომელიც დგას გარეშე ყოველი ტანჯვისა, რომლითაც სავსეა, მაგალითად, გინდ რენოს, გინდ მედეას მოლოდინი. ელენეს მოზღვავებული გრძნობა, გამოსავალს

ეძიებს, მასში უძლიერესად სცემს სიცოცხლის ტემპი და ეს ზედმეტი დაუხარჯავი ენერგია თხოულობს გასასვლელ გზას. ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ უმაღლესი ნეტარებით აღსავსე განწყობილებას იწვევს. აი აქ არის სწორედ ის მომენტი, ის შემთხვევა, რომლის შესახებაც ფრანგი ფილოსოფოსი გიუიო ამბობს: სიცოცხლე უდიადესად ინტენსიური და, იმავე დროს, უდიადესად ექსპანსიურია. მდიდარი ცხოვრების ძალებით, დაუშრეტელ მოთხოვნილებასა გრძნობს ეს სიმდიდრე დახარჯოს, სხვას გაუზიაროს, სხვაც კმაყოფილი ჰყოს და თავისი თავიც ასიამოვნოს:

„აწ იმღერეთ, თან იცეკვეთ, ადიადეთ სიხარული.
თვით კი საწოლს გადესვენა, სულს ჰხუთავდა სიყვარული.
ამ დროს უკვე ერთი ქალი ცეკვავდა და სრიალებდა;
თითქოს ვნების ცხელ ტალღებში გამოჰკრთოდა, ციალებდა.
თან მღეროდა: მითხრა, მოვალ, აასრულა სიტყვა მალე.
ელენე მსწრაფლ წამოვარდა, „მართლა? მართლა? სთქვი, მოსთვალე;
შემდეგ, შემდეგ რაღას იტყვი, ჩემ საამოდ იმხურვალე“.
მოცეკვავემ კელავ განაგრძო: მოვიდა და დავემალე.
ოდეს მპოვა — დამეკონა, თრთოლვით მითხრა: გენაცვალე!
ცხელის ბაგით მეამბორა, დამწვა, დავწვი... ლალე, ლალე!
ელენემ სთქვა მოწყენილმა: ვერც თუ ვნახო იქნებ ხვალე.

. . .

ველი ტანჯვით, ჩემს სხეულში, გლახ მატულობს ცეცხლთა დება“.

აქ ისევ ის დიდი მგოსანია ჩვენს წინ, რომელიც ამ პოემის პირველ ქებაში მოგვეჩვენა. ასე უეცროდ გადმოცემა ბედნიერების გრძნობისა მხოლოდ დიდ ხელოვანს შეუძლია, უყურეთ რამდენი სიწრფელე, რამდენი თითქმის გამაჯავრებელი გულახდილობაა, თითქმის დამათრობელი გულუბრყვილობა ელენესა და პარისის მუსაიფში, როცა „დიდი ხნის“ (რამდენიმე საათის) მოლოდინის შემდეგ შეიყრებიან.

„მზეო რისთვის მალოდინე, რად ამივსე ღელვით სული?
ერთხელ კიდევ მოეხვია, ყრმა მიიყრდნო შიშველ გულზე
— სულის მეფევ! — ო, სიცოცხლევ! — გეყვარები? — სამუდამოდ.
შენ თავს ვერვინ დამაშორებს, ჟამსა დაელევთ ტკბილ საამოდ“

და ასეც ასრულებენ. ასეთ გრძნობას სრულიადაც არ სჭირია იაზონისებური რიტორიკული ფიცი, აქ თვით გული და გრძნობა თვით ტრფიალებაა, — შეუდრეკელი თავდები იმისა, რომ „ჟამსა დალევენ ტკბილ-საამოდ!“

„სარკეზლით მთვარემ თებსი შუქი მოაფრქვია ორ არსებას,
ერთად ისხდნენ ჩაკონილნი, გულნი ეპყრა გიჟურ ვნებას.
სთქვა ელენემ: ჩვენსა ტრფიალს მიუძღვნიან ქებათ-ქებას,
ღამის სიო თავს გვეკლება, გულში იქსოვს ჩვენს სიყვარულს,
მარად ასე განგასვენებ, არ მოგაკლებ ნაზ სიხარულს“.

და არავითარი ხელისშემშლელი გარემოება არ აქვს მათ „ტრფიალს“. მართალია, პირველ გამოფხიზლებისთანავე ელენეს მოაგონდება „თმა-ჭაღარა — მეფე ქმარი“, მაგრამ ეს ისეთი კომიკური გარემოება იყო, რომ დიდხანს ვერ შეაჩერა ელენე და

„პარისს უკან დაედევნა, დაუძახა ცრემლის ფრქვევით:
მე უშენოდ ხომ ვერ გავძლებ, სოფლად ვიქმნე გზა-აბნევით.

. . . .

მოეხვია, შემოეკდო, უთხრა: ჰხედავ რარიგ ვბნდები?
მე წამიყვა შენთან, მზეო, მე წამიყვა, გმორჩილდები“.

უნდა ვთქვათ, რომ თვალის მოშორება არ გინდა, ისეთი მარგალიტებით არის აღსავსე ეს თავი პოემისა. სინაზე და მშვენიერება, ლექსთა მუსიკა და გრძნობათა ძლიერება, პლასტიკური სილამაზე და სხეულის მშვენება ერთიმეორეზე უკეთ არის გამოთქმული და გამოხატული. ელენესა და პარისის მიჯნურობა ერთი საუკეთესო ადგილია პოემისა...

ჩვენ ძალიან ბევრი ადგილი დავუთმეთ ამ პოემის გარჩევას იმიტომ, რომ იგი მიგვაჩნია ახალი პოეზიის შედევრად და, მით უფრო, საყურადღებო ახალ პოეტურ ნაწარმოებად. მის შემქმნელს ყოველი საბუთი აქვს დიდი მგოსანი შეიქნეს. მაგრამ მგოსანთა დაფასებასაც ერთგვარი პერსპექტივა სჭირდება, დრო და ხანი სჭირდება მათ შეჩვევას, მათ შეგუებასა და შეთვისებას.

ს. შანშიაშვილის ნიჭის უტყუარ საბუთს გვაძლევს მისი ლირიული ნარევები პოემაში, რომლის მაგალითები ჩვენ პირველ ქებათა შესახებ დაწერილ წერილებში მოვიყვანეთ.

აი, რა ძლიერი სულის კვნესა გაისმის „მესამე ქების“ შესავალში:

„ჰე, ვინ მოსთვალოს დროთა ბრუნვაში,
თუ რამდენს გრიგალს გადუქროლია,
ერს, მუდამ ფხიზელს მტრის მოლოდინში,
რამდენჯერ მედგრად შეუბრძოლია?

რამდენი სისხლი.. სისხლი... კვლავ სისხლი
რიონს, მტკვარს, არაგვს შეერთებია

. . . . . .

მაგრამ არასდროს არ დაუგმია
ივერიელსა თვისი სახელი".

ეს ერთი საუკეთესო სალირიკო ნიმუშია ჩვენს ახალს პოეზიაში... საუცხოოა, სევდითა და ღრმა უსასოებით აღსავსე, რომ ერთ ადგილას პუბლიცისტიკა არ იყოს ჩაჩხირული. სამარადისო საგალობელ ჰიმნში, არაფერი წუთიერი და წარმავალი არ უნდა ერიოს. სრულიად კანონიერი, სამართლიანი და ძლიერია ის ადგილი, სადაც ჩვენი ეროვნული უბედურებაა მოხსენებული:

„და ვინც ღაღად ჰყო გულის წუხილით:
როს აუვავდები, მამულო, მჭკნარი?
არაგვო, მგოსანს შენსავ კალთაზე
უმადურთ ხროვამ აღუგო ჯვარი".

მაგრამ უადგილოა ორი სტრიქონი (ვაი იმ დრტვინვას, ვაი იმ ძახილს და სხვ.), რომელიც, ვამბობ, გრძნობის სიღრმეს არას შველის, ხოლო უგუნურ, გაბრაზებული კაცის სულელურად და თავხედურად წამოსროლილ სიტყვებს („ნაფოტი ცვივა, როს ხესა სჭრიან") კი სამარადისო, საუკუნო ჩარჩოში ათავსებს. ს. შანშიაშვილის კალამმა ასეთ სერიოზულ პოემაში, ამგვარი რამისათვის ვერ უნდა მოიცალოს... საამისოდ ყოველდღიური პუბლიცისტიკა არსებობს.

მშვენიერია ღამის ბინდის აღწერა. რა რბილი, ჭეშმარიტად ნაზი კილოთია იგი შეთხზული! ვითა სიმბოლო მშვიდი და წყნარი სევდისა:

„ეჰა, ბინდო, ღამის ბინდო, ფრთა გაშლილო, გამსჭვირვალევ!
ველ-მიდამოს ეხუტები — თითქოს გრძნობას ტრფობით ალევ!
მოჰქრი მძიმედ, შეუმჩნეველად, უკუაგდებ ნათელს ძლეულს,
ეპარები ძირს სამყაროს, ვით სიკვდილი ობოლს, სნეულს,
მყუდროების ქსელს გაჰხვიე, რაც კი ჰფეთქავს და მწუხარებს,
მხოლოდ რიონს ვერ შეეხე, იგი შფოთავს და მქუხარებს".

აქ სამარადისო ბრძოლაა. მაგრამ ნათელსა და ბნელს შორის ამ ბრძოლას სიცხარე აღარა აქვს იმის გამო, რომ ეს ბრძოლა თითქმის ჩვეულებრივად გადაქცეულა და, როგორც ყოველ ჩვეულებრივს, თვალი შეჩვეულია; ამ მყუდროებით მოცულ ომის ველს მარტო „მქუ-

ხარე“ რიონი აცხოველებს, მისი „შფოთვა“ ღამის ბინდს ვერ დაუ-ცხვრია, და ეს მისი შფოთვა და მქუხარება გვაჩვენებს, რომ აქ სი-ცოცხლე კვლავ დუღს და გადმოდუღს, რომ ცხოვრებისათვის ბრძ-ოლა აქ გარეგნულად ჩანს ძლეული, თორემ იგი ამ ბინდშიაც თავს იჩენს და, ყრუს გარდა, ყველასათვის ცხადია, ეპიკურული სიდინ-ჯით, ელინური სიბრძნით აღსავსე სურათია ცხოვრებისა, რომელსაც „ზღვას“ ადარებს მგოსანი. მართალია, ეს შედარება არ ახალია, ძვე-ლია, მაგრამ შინაარსი, რომლითაც მგოსანი ავსებს ამ შედარებას, სულ სხვაა. აქ ცხოვრება ზღვას არა მარტო იმითი ჰგავს, რომ „მისი ღელვა გვათამაშებს“, ანდა იმით, რომ „ტალღა მიდის, ტალღა მო-დის, ბრძოლით სუფევს არსთა თელვა“, არამედ უფრო იმაშია მსგავ-სება ზღვისა, რომ

„ზვირთთა შორის ჩვენი ნავი დასრიალებს, დანავარდობს;
შიგან მჯდომი მეზღვაური გატყორცნილი არას დარდობს;
იმედის ხმა შორეული იტაცებს და ზღაპრით ათრობს“.

აი, ეს „ზღაპრით დამათრობელი“ თვისება ცხოვრებისა მშვენი-ერი სურათით არის ცხადყოფილი; ცხოვრება ღელავს, ცხოვრებაში „ბრძოლით სუფევს არსთა თელვა“, ცხოვრებაში „ტალღა მიდის, ტალღა მოდის“, მაგრამ ჩვენ, შვილნი სოფლისა, მაინც მისი მონა ვართ, იგი „გვიტაცებს და ზღაპრით გვათრობს“. ამიტომაცაა, რომ

„ყველა ცვდება, ყველა მიდის, სამუდამო ვერვინ აგოს;
არვის ძალუძს სიკვდილიდგან თავი თვისი გამოაგოს,
ჩვენ სოფელი გვტანჯავს, მაგრამ ძნელად ვინმემ შეიძაგოს“

და ამ განწყობილების გამოსახვით ს. შანშიაშვილი საეროვნო მგოსნის როლს ასრულებს, რომელსაც შესისხლხორცებული ჰქონია ორმაგი თვისება ჩვენი პოეზიისა. ეს პოეზია სევდითაა მოცული, — ასეთია ჩვენი ცხოვრების პირობები, ასეთია საზოგადოდ ადამიანის ცხოვრება, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს აზრს, ჩვენს ოცნებას, ჩვენს „ზღაპრით დამთვრალ“ გონებას, — ეს პოეზია — იმედითა და სასოებითაა აღსავსე; ხანგრძლივმა ბრძოლამ ჩვენი თვითარსებობის დაცვისათვის, მხიარულმა, ნიადაგ მზიანმა „ცა-ფირუზმა“ და „ხმე-ლეთ-ზურმუხტმა“, ჩვენი ერის უბედნიერეს ხანაში გაჭედილმა კულ-ტურამ და მისმა უეჭველმა საბუთმა, — შოთას „ვეფხის-ტყაოსან-მა“, — სიმტკიცისა და სიმამაცის სული სამარადისოდ დაუმკვიდრეს ჩვენს პოეზიას. ს. შანშიაშვილის თავისებურება აქაც ჩანს, — მაშინ,

როდესაც ჩვენი ძველი პოეზიის იმედიან კილოს, დიდაქტიკისა და მოძღვრების ფერი დაჰკრავს („რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა"); შანშიაშვილის ზემომოყვანილი ლექსი, უტყუარი, უცხო ფერადებით შემკული ხატებაა ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც, თავისი სინამდვილით, ღრმა რწმენას გიბადებს გულში:

„შიგან მჯდომი მეზღვაური გატყორცნილი არას დარდობს
იმედის ხმა შორეული იტაცებს და ზღაპრით ათრობს.
ჩვენ სოფელი გვტანჯავს, მაგრამ ძნელად ვინმემ შეიძაგოს".

ამგვარი გახლავთ ახალი ნაწარმოები ს. შანშიაშვილისა. უღრმესი თვისებანი ამ მშვენიერი, საუცხოო ქმნილებისა. ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვნიშნეთ. — ღირსეულ შინაარსს გარს არტყია ბრწყინვალე, თვალწარმტაცი სამოსი, რომელიც შეუქმნია ნიჭით დაჯილდოებულ ხელოვანს! ალაგ-ალაგ სრულიად დაცულია ის, რაც შეადგენს ყოველი ხელოვნების იდეალს, — დაცულია აზრისა და ფორმის შეთანხმება, — აზრი ფორმასა სჭარბობს, ფორმა აზრსა სჯობნის (აღნიშნული ადგილები პირველი ორი ლექსისა; მგოსნის ლირიკული ნარევი, რომელიც მის ღრმა ფილოსოფიურ სულისკვეთებას გვამცნევს). სასიხარულოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენი აზრი ს. შანშიაშვილის შესახებ გამართლდა. ეჭვს გარეშეა, — თუ ამ გზით იარა, ს. შანშიაშვილი ქართველი ერის საყვარელ დიდ პოეტად შეიქმნება. ეს მოხდება მაშინ, როცა იგი ძლევს ყოველივე დაბრკოლებას და შექმნის „მედეას" სიმბოლიურ უნაკლო სახეს, როცა ისეთივე ხელოვნებით „სისხლის ფერებით შეამკობს ამაყის განაბედიას", როგორც მან მოიმოქმედა ეს დემეტიკას, რენოს, ელენეს და ფრისის გადმოცემაში.

6

ს. შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი არა თუ არ ღალატობენ იმ სახელს, იმ თანაგრძნობას, რომელიც დაიმსახურეს საზოგადოებაში, არამედ მათი სახელი თანდათან უფრო ფეხს იკიდებს ფართო თაყვანისმცემელთა წრეში, და თანდათან უფრო მეტ საბუთს გვაძლევენ მათ დასაფასებლად.

ყოვლად უეჭველია ის, რომ ახალგაზრდა მგოსანთა შორის პირველ რიგში მარტო ეს ორი დგას და მომავალი ჩვენი პოეზიის მეთა-

ურობა ჯერ-ჯერობით მათ ეკუთვნით. ამას ვერ შეარყევს ვერც „ღვარძლით აღვსილი შური“ და ვერც „წყევლა, კრულვა“ მათი უკბილო მტრებისა.

მათ შეიტანეს პოეზიაში ახალი ელემენტები, გასაოცრად შეიმუშავეს ლექსის ტექნიკა და იმ სიმშვენიერემდე მიიყვანეს, რომ ქართული პოეზიის რჩეულნიც კი განცვიფრებაში მოჰყავთ. ჩვენს ლირიკას თითქო წყვილ-წყვილი მგოსნები დაბადებოდეს: ამ შემთხვევაშიც ასეა და ეს ორი სახელი თითქმის განუყრელია მკითხველ საზოგადოებისათვის; მათი სახელის გარშემო ხშირად ისმის ჩვეულებრივი კამათი ერთის სიღრმისა და მეორის სიმსუბუქის შესახებ.

ამასწინათ გამოცემული მათი ლექსთა თაიგული[1] პირველი სტრიქონიდანვე ახასიათებს ამ მგოსანთა მწერლობის შინაარსსა და მიმართულებას.

ს. შანშიაშვილი სევდის პოეტია, ნაღვლიანი, ჩაფიქრებული, ნაზი ტანჯვით აღვსილი. მისი სახე მარად სევდა მოცულია, მისი თვალი მოცრემლული, ბაგე მისი ნიადაგ კვნესისათვის არის გამზადებული, მისი ხელი მუდამ-ჟამს სამგლოვიაროდ მოწყობილ ქნარსა სცემს და მისი ქნარი გულისმომწყვლელად მოთქვამს.

ი. გრიშაშვილი ცქრიალა და კისკისაა. ნაღველი და ვიში განა ნასაც არ ეწვევა, მაგრამ საცრემლოდ გამზადებული თვალები მყის ღრუბელს გადაიყრიან და მზის სხივებს მოგვაშუქებენ: ვაისათვის გამზადებული ტუჩები მომჯადოებლად გაიღიმებიან, გლოვის სიმღერის შესაქმნელად მოწყობილი სული უეცრად მომხიბვლელ, სიცოცხლითა და ბედნიერებით აღსავსე გალობას წარმოთქვამს.

მაშინ როდესაც ს. შანშიაშვილი თუ იცინის, ეს სიცილი ცრემლითაა შეზავებული, სიხარული მისი ყოველთვის სევდითაა მოვარაყებული, მისი „ყვავილთა ბაღი“ ყოველთვის ნისლითაა დაბურვილი. გრიშაშვილის ნაღველი და ვაება ყოველთვის სამხიარულო ჩარჩოშია ჩასმული, მისი ჯოჯოხეთი მარად „კოცნით დამდნარი სხივთა ლეჩაქით“ არის მორთული. ამ ორი მგოსნის პოეზიის დასაბამი, დასაწყისი, მათი პოეზიის სამეუფო სულ სხვადასხვა არის.

---

[1] ა. შანშიაშვილის „ბედი სევდისა“, გამოცემა ნემსაძისა, ტფილისი, 1911 წ. ი. გრიშაშვილის „ოცნების კოცნა“, გამოცემა „სორაპნისა“, ტფილისი, 1911 წ.

ერთი გვეუბნება, რომ ის „სევდის ბაღშია აღზრდილი“, „სევდის ბაღში ღაღადებს“, „სინაზე და წრფელი გრძნობა“ თანდაყოლილი აქვს. მეორე კი ნეტარებასა და სიხარულშია გაჩენილი. იგი

„ყვავილთ ტბაში დაბადებულა“,
„ჰაეროვან კოცნამ შობა,
კოცნამ მისცა ყოველივე“,
„მთის შიკრიკი, ცელქი სიო
მხიბლავ ზღაპარს „ეუბნება“,
„მზემ ააშრო მისი ცრემლი, ზე ასწერა,
ჰკოცნის, ჰკოცნის“
„კოცნის სუნთქვამ გამოზარდა...
კოცნამ მისცა ყოველივე
კოცნამ შობა, კოცნა ჩაჰკლავს“.

ამგვარ მდგომარეობაში, ამნაირ სანეტარო პირობებში დაბადებული მგოსნის ცრემლებს, რასაკვირველია „მზე შეაშრობს“ და ამ ცრემლებს თვით მეფე ბუნებისა სატრფიალო საგნად გაიხდის.

„სევდის ბაღში“ დაბადებული და აღზრდილი მგოსანი ს. შანშიაშვილია, „კოცნით დამდნარ სხივთა ლეჩაქში“ გაჩენილი კი ი. გრიშაშვილი არის.

მთელი მათი პოეზიის დამახასიათებელი სწორედ ეს სხვადასხვა გარემოებაა, რომელშიაც მათი მუზა დაიბადა.

ეს ორი ლექსი, რომლითაც იწყება მათი, სამწუხაროდ, ერთადერთი ლექსთა კრებული, არა თუ მათი შემოქმედების სხვადასხვანაირი წყაროს დამახასიათებელია, არამედ მთელი მათი პოეზიის მრწამსი გახლავთ, მათი პოეზიის არსების, შინაარსის გამომხატველი.

შანშიაშვილი „სევდის ბაღში აღზრდილი“ მგოსანია, რომელსაც ცით მობერილი აქვს „სინაზე და წრფელი გრძნობა“, იგი იმთავითვე ვარდყვავილმა „შეაჩვია ზენატრფიალს“, მას „უკვდავებამ ჩანგი მისცა, ლოცვის ჟამსა ასაყღერად“ და, ამგვარად შეიარაღებული პოეტი, „გუნდრუკს უკმევს ცის მშვენებას და სრულ ყოფას ვნებით აღვსილს“.

შანშიაშვილის ენა რომანტიულ პოეტთა ენას მოგაგონებთ: შანშიაშვილი იმ მგოსნებს მოგაგონებთ, რომელნიც თავის გრძნობებს იმ სიმაღლეზე აყენებდნენ, რომ სწამდათ: „მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, ანდა მათი გრძნობები რაღაც საოცნებო განსაკუთრებულ რამედ მიაჩნდათ: „ნუ თუ ამ სულის წა-

დილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრო“ და „ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდვან კაცთა სახელიო“. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთი აზრის იყო პოეზიის შესახებ ჩვენი რომანტიული ლირიზმის მეფე ნ. ბარათაშვილი.

ამით იმის თქმა სრულიადაც არ მინდა, რომ შანშიაშვილი წმინდა რომანტიკოსი იყოს. ეს შეუძლებელიც არის. შანშიაშვილი დაბადებული და აღზრდილია ისეთ ატმოსფეროში, ლიტერატურის განვითარების იმ საფეხურზე, როცა წმინდა რომანტიზმი დიდი ხანია მოთავებულია. ილიასა და აკაკის პოეზიამ, ერთი მხრით, და ვაჟასმა, მეორე მხრით, სრულიად ახალი ელემენტები შეიტანა ჩვენს სალირიკო ლიტერატურაში. მათ გავლენას შანშიაშვილი და ვერც სხვა მისი თანამედროვე მგოსნები გვერდს ვერ აუხვევდნენ. მის პოეზიაში მოთავსებულია ყველა ის ელემენტი, რომლებიც შეადგენენ ნიშანდობლივ თვისებას მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი მწერლობის მთავარ მიმართულებათა. შანშიაშვილის პოეზიაში უხვად არის გაბნეული რეალისტური, რომანტიული და სიმბოლური პოეზიის ელემენტები.

იგი ბაღშია დაბადებული, თუმცა სევდის ბაღში, მისი აღმზრდელი, მისი ზეშთამგონებელი ვარდ-ზამბახია, რომელმაც „ცით მოჰბერა სინაზე და წრფელი გრძნობა“, ზენა-ტრფიალს იგი შეაჩვია „შროშანამ და გულწითელამ“, მას ფრთა შეასხა „დილის სიომ“, „შეათვისა სხივთა ციალს“ და, აი, იგი წმინდა ქსელს აბამს პოეზიისას, თუმცა კი ოქროთი დაფერილს; იგი „ღაღადებს სევდის ბაღში“, მაგრამ არა თავის გასართობად, თავის გრძნობათა შესამსუბუქებლად და კაეშნის განსაქარვებლად, არამედ — „გამოძახილს სხვებს ასმენს“. ამგვარად ეს მგოსანი არაფოდეს მიწას არ შორდება, იგი ბუნებას, სამყაროსთან განუწყვეტელი ძაფით არის დაკავშირებული, მის განწყობილებას ქმნის ყოველი მოვლენა მსოფლიოსი. თუ რაიმე აქვს „მიწიერსა“ „ზეციური“, ეს ისევ მიწის შვილთაგან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აქვს მინიჭებული და ჩაგონებული. ერთ წუთსაც იგი მიწას არ ივიწყებს და ვერ ივიწყებს, თუმცა „შეჩვეულია ზენა ტრფიალს“ და ერთ წუთსაც არ უფიქრია, რომ შესაძლებელია გალობა და ღაღადისი ისე, რომ სხვას გამოძახილი არ გააგონოს, თუმცა მისთვის „ჩანგი უკვდავებას მიუცია“.

ამ ლექსში იგი პანთეისტ მგოსნად გვეცხადება, რომელიც მომჯადოებელი სიმებით არის გადაბმული ბუნებასთან და მის ნაწი-

ლებთან, „წყარო“, „ვარდ-ზამბახი“, „შროშანა და გულწითელა“, „დილის სიო“, „სხივთა ციალი“, „ცის მშვენება“ „სრულყოფა ვნებით აღვსილი“ — აი მისი მუზის მშვენიერი თანამგზავრნი, მისი მუზის წამხალისებელნი და აღმაფრთოვანებელნი. აქ თავმოყრილია ყოველი დედა-ელემენტი ბუნებისა. შანშიაშვილი დედა-მიწის შვილია და სევდა ამ მიწისშვილის განუყრელი; მისი „უკვდავების ჩანგი“ თითქმის მხოლოდ სევდის კილოზე არის მომართული და ამით იგი ჩვენი მახლობელია, ჩვენი ღვიძლი ძმაა.

7

ვიდრე გრიშაშვილის ლექსთა კონას გავარჩევდეთ აუცილებელია, თვალი გადავავლოთ იმ ჰაერს, იმ პირობებს, რომლითაც სუნთქავდა და იზრდებოდა ჩვენი ახალი პოეზია. ყოველთვის და ყველგან მწერალს ექნება დაფასება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია მისი პიროვნება და რამდენად შეძლებია აღებეჭდა ხელოვანს მადლით ცხებული ინდივიდუალური ნიჭი თავის ნაწარმოებში. ეჰვს გარეშეა, დროს და გარემოებას ერთგვარი გავლენა აქვს მწერალზე, მაგრამ ეს გავლენა თავისებურად გადადუღდება ხოლმე მდიდარი პიროვნების არსებაში და შედეგი იმდენად უცნაური და მიუწვდომელია, რომ ძალაუნებურად უნდა ვიფიქროთ: მწერლის ინდივიდუმი ერთგვარი გამოუცნობელი x-ია, რომელიც ამ მიზეზთა შორის არის, ამ გავლენის ერთი შემოქმედია და მის ნაყოფს ასხვაფერებს. თქვენ ვერავითარი საშუალებით ვერ ახსნით მარტო დროისა და ეპოქის ზეგავლენის შემწეობით ვერცერთ დიდებულ ნაწარმოებს.

განა მარტო ეპოქის ზემოქმედებით აიხსნება რუსთველის დიდებული ნაწარმოები? განა შოთას უკვდავი ქმნილება მარტო იმითაა კარგი, რომ თამარის დროის ზნე-ჩვეულებას აგვიწერს? სრულიად წინააღმდეგ. „ვეფხისტყაოსანში“ უკვდავია იგი, რაც სწორედ დროსა და გარემოებას გადასცილებია და მარადისობას უახლოვდება. მომხიბლავი და წარმტაცია დღემდე სულით, გონებით და ხორცით მშვენიერი ავთანდილი. უკვდავების დამამტკიცებელია ის მაღალი გრძნობა სიყვარულისა და მეგობრობისა, რომელიც აცისკროვნებს, კაშკაშ მთვარესავით დანათის ამ საუკუნო ძეგლს ქართველი ერის გენიოსობისას. და განა „ვეფხისტყაოსანი“ ფოტოგრაფიული სურათია იმ

დროისა? ამის დამტკიცება არავის არ შეუძლია. რასაკვირველია, ეპოქის კვალი ჩანს, მაგრამ ისე და იმდენად, როგორც და რანაირადაც ეს რუსთაველს მიაჩნდა საჭიროდ. განა ის სიყვარული ხორციელი, რეალური სიყვარული სრული და უებრო, რომელიც ამ ნაწარმოებშია გამოხატული, ეს სიყვარულის გრძნობა ყოველმხრივი ვნებათა ღელვის ზღვა და ზეამტაცი, ზეაღმაფრენი და ამამაღლებელი იმ დროის ჩვეულებრივი მოვლენა იყო? სრულიადაც არა. რამდენადაც ისტორიული საბუთები ნებას გვაძლევს მსჯელობისას, რუსთაველი უფრო თავისი გულის ნადებს გვიხატავს, უფრო თავის იდეალის დასახვას ეტანება.

ზოლა ქადაგებდა: ლიტერატურული ნაწარმოები დოკუმენტი უნდა იყოსო, მაგრამ ეს რომ ასე იყოს მაშინ ლიტერატურულ თხზულებას აღარავითარი განსხვავება არ ექნება ისტორიის საბუთისაგან. თვით ზოლამ, როგორც დიდი ნიჭით მოსილმა მწერალმა, რომელსაც ამგვარ შაბლონურ ჯალაპოტში არ შეეძლო მოეთავსებია თავისი მწერლობა, თვით მან პირველმა დაარღვია მისგანვე აღსრულებული მოძღვრება. მის ხელში უბრალო მოვლენა მთელ სიმბოლოდ იქცევა.

თეორია ტენისა პირობათა, გარემოებათა და ისტორიული ეპოქის ზეგავლენისა, რომელსაც გადაჭარბებული მნიშვნელობა ეძლეოდა, დარღვეულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ფრიად ნიჭიერ და განსწავლულ კრიტიკოსთა და ფილოსოფოსთა მთელმა წყებამ საფუძვლიანად უარჰყო ეს თეორია (გიუიო, ჰენეკენი და სხვ.).

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგაც არ შეიძლება კაცმა არა თქვას რომ გარემოებას, პირობებს, ისტორიულ მომენტს აქვს თავისებური გავლენა ხელოვანის ფსიქოლოგიაზე, ერთგვარ ნიადაგს ამზადებს მისი განწყობილებისათვის, ერთგვარად მიმართავს მის სულიერ მექანიზმს. ყოველი მწერლის პირადობა, ამგვარად, თუ იმგვარად, გარდაქმნის ყოველი ამ ფაქტორის ზეგავლენას, ერთ-ერთ მიმართულებას მისცემს ამ ნიადაგზე შექმნილ მისი სულის მიდრეკილებას. შეუძლებელია ეპოქა, ამნაირი, თუ იმნაირი სახით, არა ჩანდეს ხელოვანის ქმნილებაში. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ამ გარეგან გავლენას გადაჭარბებული და მექანიკური მნიშვნელობა არ ეძლეოდეს.

თუ ამგვარად განვსჯით, მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურის ატმოსფერო შექმნილია სამი დიადი ისტორიულ-პოლიტი-

კური ზეგავლენის ქვეშ: რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელმაც გაბიაბრუებული, ღალატით შეურაცხყოფილი ერის გულში დამარხული შურისძიება ზედაპირზე ამოატივტივა, ძალზე გააცხოველა, გააფიცხა იგი და დამაამებელი წამალიც მოუპოვა; ხალხის მოძრაობამ, საუკუნეობით გაჭედილი ბორკილების დასამსხვრევად, ძლევამოსილმა შებრძოლებამ დახავსებულ რეჟიმთან, რომელმაც თავბრუდამხვევი გეგმები აღუძრა და შთაუნერგა ხალხს გულში, იმის შეურყეველი რწმენა დაუთესა სულში, რომ იგი ყოვლის შემძლებელია, თუ მოისურვებს.

... ქართველი პოეტისათვის საბედისწერო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დიდებული მოძღვრის ავაზაკურად მოკვლასაც. ქართველი ერის ჭირისუფალი, მოამაგე, ნიჭით კურთხეული მგოსანი მოჰკლა ყაჩაღთა ბრბომ, რომელმაც სისხლით აღბეჭდა ის უტიფარი ბრძოლა, რომელსაც ეწოდნენ ჩვენი საეროვნო იდეალების უვიცი მტრები ამ დიდებული ადამიანის წინააღმდეგ, რაკი იგი იყო თვით უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ გამომსახველი ჩვენის ეროვნული კვნესისა, საეროვნო იმედებისა... ეს ფაქტი მეტად დიდი რამ არის, დიდი ტრაგიკული მოვლენაა და მან წარუხოცელი კვალი დაამჩნია ჩვენ ახალგაზრდა მგოსანთა ლირას, მისი ჟღერა უცნაურ სამგლოვიარო ჰანგზე მომართა, რომელშიაც სასოწარკვეთილებით აღსავსე სევდასთან ერთად გესლიანი გაბრაზება და გაჯავრებაც მოისმის.

ეს სამი დიდი, ვეებერთელა, თითქმის ისტორიაში განუმეორებელი მოვლენა, — თავისი შედეგებით და თავისი მიმართულებით,— უნაყოფოდ ვერ ჩაივლიდა ახალი ჩვენი პოეზიისათვის. ახალგაზრდა მგოსანთა მუზა უფრო ნაზ-გრძნობიერი და ფაქიზია, უფრო სმენამახვილია და ახალგაზრდობის სიმშვენიერით შემკული; მისგან შეუმჩნეველი, მისგან აღუბეჭდელი არ დარჩება არც ერთი ზემომოყვანილი ფაქტი და მისგან გამოწვეული სულის ვითარება. ჩვენმა ახალმა პოეზიამ, და არა თუ პოეზიამ, მთელმა ლიტერატურამ არსებითად, შეიცვალა კილო ზემოხსენებულ დიად ისტორიულ ფაქტორთა ზეგავლენის ქვეშ. შემოეპარა მხიარული კილო, ბედნიერების ღიმილი დაეტყო. ყველამ იგრძნო და ყველას რწმენა დაებადა, რომ უბედური ცხოვრების ძარღვი წყდება, დახავსებული ძველი ისპობა, უძლეველად მიჩნეული მაჯლაჯუნა ერთი წკიპურტის გაკვრით წაიქცა, დაბეჩავებულად და დამონებულად მიჩნეული ხალხი ძლევამოსილი, ყოვლისშემძლებელი ხდება. ასეთ რწმენას კეთილი

ნაყოფი უნდა გამოეღო და ქართული მუზაც სამხიარულო ჰანგებზე აამღერა.

— წარსული საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში სასოწარკვეთილება თუ იმ ზომამდე მიდიოდა, რომ თვით სანეტარო გრძნობას სიყვარულისას შხამითა და სამსალით ავსებდა (ალ. ჭავჭავაძე), დღეს მგოსანი ამავე გრძნობას სრულიად ნორმალურად განიცდის და ცდილობს ამოწუროს მგრძნობელობის ყოველივე სიტკბო, რომელიც მას ახლავს. თუ ბუნება „გულდახურულთა მეგობრად" მიაჩნდათ ჩვენს რომანტიკოსებს, სადაც ისინი ეძიებდნენ „გულის ვაების დახსნას", დღეს ჩვენი მგოსნები ბუნებასთან გადახლართულნი არიან; ისინი ან „სევდის ბაღში" არიან აღზრდილნი, როგორც შანშიაშვილი, ან „ყვავილთა ტბაში", როგორც გრიშაშვილი. შანშიაშვილის ქნარის ხმა უფრო ეგუება რომანტიკოსთა პესიმიზმით გაჟღენთილ პოეზიას, მაგრამ მის ნარნარ და ნაზ მუზასაც კი მომხიბლავი და მომჯადოებელი ღიმილის შუქი დასცემს, რაც მის სევდას აღარ აძლევს ისეთ მძაფრსა და თავზე ხელაღებულის ელფერს, როგორც ბარათაშვილის ლექსებს. რასაკვირველია, ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენს პოეზიას თავის დღეში არ შეპარვია რადიკალური უსასოება და უიმედობა, სხვადასხვა გარემოებისა და მიზეზის წყალობით, მაგრამ კვნესა და ოხვრა მაინც ძლიერად გაისმოდა მაშინ, დღევანდელ ჩვენს პოეზიაში კი ვაი-ვიშიც უფრო ლბილ, უფრო წყნარ ნოტებზე არის დაწერილი.

8

მხოლოდ განახლების, ხალხის სულიერი აღორძინების შემდეგ იყო შესაძლებელი გრიშაშვილის პოეზიის დაბადება. ბედნიერების ხმაზე შესაძლო იყო ყოველთვის ემღერა მგოსანს, მაგრამ განსაკუთრებული დეკორაცია იყო საჭირო მისთვის, რომ ეს ხმა ესდენ ძლიერი, ესდენ სწორი და შეუფერავი ყოფილიყო. მხოლოდ განსაკუთრებული გატაცებისა და თავდავიწყების ხანაში უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომლის მგოსანი თავის მუზას ასეთი ბედნიერი და მხიარული ეპითეტებით შეამკობს. იგი „ყვავილთ ტბაშია" დაბადებული, „მეოცნებე მოლივლივე".

„ჰაეროვან კოცნამ შობა,
კოცნამ მისცა ყოველივე
სხივთა ლეჩაქს ჩაეხლართა,
სხივთა ლეჩაქს კოცნით დამდნარს,
მთის შიკრიკი, ცელქი სიო
მხიბლავ ზღაპარს ეუბნება.
კოცნის სუნთქვამ გამოზარდა,
კოცნამ მისცა ყოველივე,
კოცნამ შობა, კოცნა ჩაკლავს,
კოცნას თვისი ბედი მისცა“

და ამ სადღესასწაულო, ბუნების საბედნიერო ფერხულში დაბადებული მგოსნის პოეზიის სიმბოლო „კოცნა“ ხდება, ის „კოცნა“, რომელსაც სატანაც კი დაეძებს, ის „კოცნა, რომელიც „ეძებს სიცოცხლესა“ და მისი ჩანგი — მისი „კოცნა“ ესდენ ძლიერია, რომ

„კოცნა მისი ჰაერს აპობს,
ცის ნამს აშრობს ყვავილთ გულზე,
მთის ღაწვებზე ყინულსა სწვავს
და ფრთასა შლის გაზაფხულზე“.

უნდა დამეთანხმოთ, რომ ამისთანა საბედნიერო, ამისთანა გულგახსნილი, სიცოცხლის სიხარულითა და ნეტარებით აღსავსე ჰანგები ჩვენს პოეზიაში უჩვეულო რამ არის. ეს ლექსი სავსებით ახასიათებს გრიშაშვილის პოეზიასაც. გრიშაშვილი ეროტიულ პოეტად უნდა ჩაითვალოს, ისე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომანტიკოსთა შორის. ეს სახელი სრულიადაც არ შეიცავს არავითარ სამარცხვინოს, არც დასაწუნებელს. ავადმყოფ სხეულს არ შეუძლია შეიგუოს და შეითვისოს არავითარი საჭმელი, თუ არა განსაზღვრული შემადგენლობისა. იქ, სადაც მთელი სახელმწიფო, ხალხი, პირადობა, ერთი პატარა ჯგუფის ქეიფზე არის დამოკიდებული, სადაც ყველაფერი აბუჩად არის აგდებული, ყოველი ადამიანური გრძნობა და უფლება შელახულია და მარტო და მხოლოდ ამ ჯგუფის კაპრიზებია დაყენებული საკურთხეველზე, ასეთი საზოგადოება, ასეთი ქვეყანა ავადმყოფსა ჰგავს, რომელიმე მძიმე სნეებით შეპყრობილია. დაავადებული საზოგადოება მარტო და მხოლოდ თავის ტკივილებზე ფიქრობს, ამიტომ იგი სრულიად უყურადღებოდ ტოვებს საღ ნაწილებს თავისი სხეულისას, რომელიც შესაძლოა დროთა მიმდინარეობაში დაჩლუნგდეს, გადაგვარდეს, ანდა არანორმალური სახე მიიღოს.

სიყვარული მეტად დიდი მოვლენაა პიროვნების და ადამიანთა კრებულის ცხოვრებაში საზოგადოდ. სქესობრივი ლტოლვა, მადლით გაშუქებული, იმ კვარცხლბეკზე დამდგარი, რომელიც შეეფერება კულტურასან ადამიანს, ფრიად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი მაჯის ცემაა საზოგადოებისა და კერძო კაცისა, მისგან მომდინარეობს ცხოვრება თავისი ინტენსიური თვისებებით, და მისგან ეძლევა ელ-ფერი ადამიანის სულისა და ხორცის ვითარებას. იგი ძლევამოსილი მექანიზმია სიცოცხლისა, საიდუმლოებით მოცული უკვდავი წყა-როა მთელი ჩვენი ყოფისა, ჩვენი არსებობისა. მრავალი სოციოლოგი საზოგადოებრივ ცხოვრების წარმოების სათავედ მას თვლის, და-თუ ასეთი ახსნა ცალმხრივია, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია ის გა-რემოება, რომ იგი ერთი უდიდესი მიზეზთა-მიზეზია. მაშ როგორღა არის შესაძლებელი, რომ პოეზიამ მას გვერდი აუხვიოს! რა წარ-მოსადგენია, რომ პოეტმა მას ზურგი უბრუნოს!

და მართლაც, ლირიკოს მგოსანთა შორის მას უპირველესი ად-გილი აქვს მინიჭებული და დიდი ყურადღების საგნად არის გამ-ხდარი.

მაშასადამე, ეროტიული ე. ი. სიყვარულის, ტრფობის, მიჯნუ-რობის მგალობელი პოეტი ყოველი პატივისცემის ღირსია.

მხოლოდ დასნეულებულ საზოგადოებას შეუძლია ასეთი გრძნო-ბა და მისი გამომხატველი აბუჩად აიღოს. მაგრამ ასეთი აბუჩად-აღების შემდეგ, საზოგადოების განკურნების ხანაში, თითქმის სიმა-ხინჯემდე მიდის მისი დაკმაყოფილების სურვილი.

სხვა რით აიხსნება ის საოცარი, გადაჭარბებული განვითარება ეროტიული ლიტერატურისა რუსეთში, თუ არა იმით, რომ სიჯანსა-ღეში შესულმა ორგანიზმმა მოითხოვა ავადმყოფობის დროს უყუ-რადღებოდ მიგდებულ თვისებათა და ლტოლვილებათა სავსებით დაკმაყოფილება. საზოგადოების გამოფხიზლებამ, საღათას ძილიდან გამოღვიძებამ მოიტანა სიცოცხლის, სიხარულის, ბედნიერების წყურვილი და საუკუნეებით დამშეული და მოწყურებული იქნება ძალზე დაეტანა სასმელსა და საკვებს.

ამ ხანაშია შექმნილი გრიშაშვილის პოეზიაც, ამიტომაც არის, რომ მისი ეროტიზმი სულ სხვა თვისებისაა, ვიდრე ალ. ჭავჭავაძის. ალ. ჭავჭავაძე მომწყვდეული იყო პირად ქერქში, ვინაიდან გაწყვე-ტილი ჰქონდა კავშირი იმ დროის საზოგადოებასთან, პირად გრძნო-

ბათა დაკმაყოფილებით ცდილობდა თავი გაეთავისუფლებია იმ საერთო ტკივილებისაგან, რომლებიც მას უაღრესად ტანჯავდა, ვით ნაზბუნებოვან ხელოვანს. მაგრამ აქაც შხამისა და სამსალის მეტს ვერას პოულობდა, მისთვის „სიყვარული უწყალოა“, „რომელმაც ესდენ ძნელად“ დასჭრა, „მშვილდნი მისნი იხმარა მისდა საწყლეველად“ და „ჰინდელნი ლესულნი საკვდად განსაისვრელად“, მისი ბულბული აშიკით დათრობილია, რომელსაც ეკლიანი ვარდი გულს გაუკაწრავს და მისი სისხლით შეიღებება. იმ გარემოებაში, იმ ხანაში, თვით ის გრძნობა, რომელიც მას მიაჩნია უმჯობესად „ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა“, მისთვის საბედისწეროდ და მომწამვლელად იქცევა.

სულ სხვაა დღევანდელი პოეტი. იგი სიყვარულს, — სქესობრივ გრძნობას, — ამ სიტყვის უძლიერესი მნიშვნელობით, განაზოგადებს, მთელ პრინციპად შეჰქმნის და ცხოვრების სარჩულად ამ პრინციპს აღიარებს.

„თვით სატანაც კოცნას ეძებს, კოცნა ეძებს სიცოცხლესა“.

ამ რამოდენიმე სიტყვაში მთელი ნატურალისტური ფილოსოფიაა გამოთქმული. თვით „სატანა“, ე. ი. ცხოვრების ბნელი მხარე, მისი უარყოფა ეძებს სიყვარულს, ეძებს კოცნას, კოცნა და სიყვარული კი სიცოცხლეს ელტვის, მათი არსებობის მიზანი, მათი საგანი სიცოცხლეა. თვით „კოცნა“ სიმბოლოა ტრფიალებისა, და უნდა ვთქვათ, თვით ამ სიმბოლოს ღრმა მნიშვნელობა აქვს. „კოცნა“,— ეს შეხება ორ სქესთა, — არის დასაწყისი მთელი სიცოცხლისა... მგოსანმა იგრძნო ეს მთელი თავისი არსებით, მას ნანად ესმოდა „ცელქი სიოს მომხიბლავი ზღაპარი“, რომელიც ასწავლიდა:

„თუ სამოთხის კოცნამ ვით აღზარდა ეს ბუნება“.

ამაში იხატება მთელი კოსმოგონია, მთელი განმარტება ბუნების წარმოებისა, ბუნების დასაწყისისა. ესოდენ დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს მისთვის სქესობრივ ლტოლვას. ეს „კოცნა“ მგოსნის მუზისათვის ყვავილოვანი, ბედნიერი ცხოვრების სათავედ ხდება: „კოცნის სუნთქვამ გამოზარდა... კოცნამ მისცა ყოველივე“. ცხადია, ასეთ პირობებში შექმნილ ქნარს შეუძლია ბედნიერების ჟრიამული გაგვაგონოს და სიხარულით აღავსოს ჩვენი არსება; თვით ტრაგიკულ მდგომარეობაშიც იგი ყოველთვის პოულობს საბაბს ღიმილისა და კმაყოფილებისას. თავისთავად ცხადია, რაკი გრძნობა სიყვარულისა,

ვითა სქესთა შორის უმაღლესი განწყობილების გამომსახველი, ისეთ სიმაღლეზე აიყვანა მგოსანმა, რომ სიცოცხლის დასაბამად იგი აღიარა, სულ სხვაგვარად ეპყრობა საგანს თავის ტრფიალებისას:

„ყველას ავიტან, ყველაფერს დავძლევ
გულ-მკერდს მიეუშვერ თვით მტრისა ლახვარს
ოღონდ შენ, ტურფავ, ჩემო სიცოცხლევ,
შენსა მეგობარს ნუ მესვრი ისარს...
ჰანგებს მომხიბვლელს ყურს ჩაგჩურჩულებ,
შენს ღვთიურ მკერდზე ცრემლად დავდნები,
ოღონდ შენ, ტურფავ, ნუ შემიძულებ,
ნუ გამშორდები,
გემუდარები“.

(„ოღონდ შენ, ტურფავ“)

მისთვის უპირველეს როლს თამაშობს ეს გრძნობა; ეს მისი სანუგეშო, გამამხნევებელი, ძალისა და ენერგიის მიმნიჭებელი ღვთაებრივი ცეცხლია:

„ყველას ავიტან, ყველაფერს დავძლევ... ოღონდ შენ, ტურფავ,
ჩემო სიცოცხლევ, შენსა მეგობარს ნუ მესვრი ისარს“.

კიდევ უკეთესადა აქვს ეს მნიშვნელობა ამ გრძნობისა გამოხატული სხვა ადგილას:

„როს შევიქმნები უვიცთა მსხვერპლი,
და მოვაკლდები სამშობლო მხარეს,
როს გრიგალ-ქარი ზარით-ღრიალით
უღვთოთ გამითხრის შავ ბნელ სამარეს,
სატრფოვ გულისავ, გემუდარები,
მომძებნე ბრძოლის ველზე მდებარე
და მომიგონე შენი ერთგული
ზედ დამაფრქვიე ცრემლი მდუღარე“:

(„როს დაღამდება, წყვდიადი ბნელი“)[1].

გაიხსენეთ აბა ბარათაშვილი, მისი უსასოება იმდენად რადიკალურია, რომ იგი სატრფოსაც უარჰყოფს:

---

[1] როგორც შანშიაშვილის, ისე გრიშაშვილის ნაწარმოებთა განხილვა მეტად ძნელდება, ვინაიდან არა გვაქვს მათი ლექსთა კრებული. გრიშაშვილმა პატივი მცა და მათხოვა რვეულები, სადაც შეკრებილი აქვს თავისი ლექსები, მაგრამ, რასაკვირველია, ესეც ვერ გამიწევდა ლექსთა კრებულის მაგივრობას.

„ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს
ცრემლი მწუხარის,
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი“.

გრიშაშვილი კი ამა სოფლის უმადურებასა და უბედურებას სწორედ სატრფოს „მდუღარე ცრემლით“ უპირებს გამკლავებას. ნურავინ ვიფიქრებთ, რომ აქ მგოსანი ერთი ისეთი ვინმე იყოს, რომელიც ყოველისფერს დასთმობს „კოცნისთვის“ თავის „მეს“, თავის ადამიანობას. სრულიადაც არა, მაგრამ ტრაგიზმი ცხოვრებისა მას შეუძლია შეიმსუბუქოს სატრფოს ცრემლით, ვინაიდან იგი სიყვარულს ფრიად მაღლა აყენებს, ვინაიდან იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ გრძნობას, არა ერთხელ მიმართავს იგი მას, ვით უკანასკნელ ნავსაყუდელს, ვითა ნუგეშის ერთ-ერთ საყუდელს.

„სატრფოვ! სიცოცხლევ! მომხედე ბედკრულს,
გამომიწოდე ხელი მთრთოლვარე
და მრავალ ტანჯულს ობოლს, შენს ერთგულს,
კოცნით შემიშრე ცრემლი მდუღარე“.
(„სატრფოვ, სიცოცხლევ!“).

ემუდარება იგი „სატრფო სიცოცხლეს“. და ეს სრულიადაც არ ნიშნავს მას, რომ მგოსანს მარტო მისი სიყვარულის საგანი აინტერესებდეს ცხოვრებაში; მაგრამ იგი „ბედკრული“, აქ ეძიებს მეგობარს, გამამხნევებელს, ცრემლის შემშრობელს და ამას იმეორებს იგი მრავალ ჩინებულ ლექსში.

„თუმც სატრფოვ, ჩემთვის მზე არც კი მზეობს...
თუმც გაზაფხულსა და ფრინველთ ჟივილს
კვლავ ვეგებები ცრემლით მწუხარე...
თუმც ობლად შთენილს, ყვავილს-განდევნილს...
ყვავ-ყორანთ ხროვა თავსა დამჩხავის;
შენ ნუ გეშინის... შორს გადასტყორცნე,
შთანთქე უფსკრულში შავი ფიქრები
და გწამდეს მარად, რომ იმ სოფელშიც
შენ მეყვარები... შენი ვიქმნები!“
(„ჩემს სატრფოს!“)

ყოველ სიმწარეში, ყოველი დაბრკოლების დროს, ყოველი ტანჯვის დროს, იგი პოულობს ერთ ყავარჯენს და ეს არის წმინდა გრძნობა სიყვარულისა, რომელსაც მარადისობის სახესაც კი აძლევს („იმ სოფელში შენ მეყვარებიო“).

რასაკვირველია, ამ მგოსნის სიყვარული, რომლის სიმბოლო „კოცნა“ ფრიად ხორციელი და რეალური სიტყვით გამოხატა — სრულიად მიწიერია, ისეთი, როგორიც ის არსებობს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც მძლეთა-მძლე ინსტინქტი... ამ გრძნობაში მას სულიერი განყენებული არა იზიდავს რა, აქ „მგრძნობელობას“ უჭირავს პირველი ადგილი, მაგრამ მასში არა არის რა პირუტყვული, არა არის რა ადამიანის დამამცირებელი. პირიქით, იგი ძალზე წინ აყენებს ფიზიოლოგიას, ხორციელებას, მაგრამ მას ყოველივე მწიკვლისაგან სწმენდს და იმ ადგილს მიუჩენს, რომელიც ეკუთვნის ადამიანთა კავშირში. შეიძლება ხორციელი მხარე ხანდახან მწვავედაც იყოს გამოსახული და გამოთქმული, მაგრამ ეს სრულიადაც არა ქმნის მას ბინძურ რამედ, იგი ყოველთვის სიძვაზე შორსა დგას და მათ შორის ყოველთვის „დიდი ზღვარია“

„სატრფოვ გულისავ,
შენც გამიღიმე,
ამაყო, ლაღო,
ტრფობისა მუზავ
ედემის ბაღო
შენს სანეტაროდ
და შენს საამოდ
ცრემლად დავდნები,
მტლად დაგედები...
შენზედ ვლოცულობ და ვიბრუნებ სულს
შენ გულ-მკერდ ბროლზე...
ვივიწყებ ტანჯვას, ვივიწყებ წარსულს,
თავს განაცვალებ
ღღონდ მაჩუქე ეგ შენი ბაგე“
(„შენი ჭირიმე“!)

აქ თავგანწირულებაც არის, სიმაღლე და სიფაქიზეც გრძნობისა, მაგრამ არავითარი განყენებული, გაჰაეროვნებული, უსისხლ-ხორცო ტრფიალი არ უდევს საგნად ამ სურვას... დიახ, მტლად დაედება სატრფო სიცოცხლეს, თავს ანაცვალებს, ცრემლად დადნება, მაგრამ სამაგიეროსაც მოითხოვს: მის გულმკერდზე სულის მობრუნებას და მის ბაგეთა ჩუქებას.

„ქოჩორს გვარცხნიდა ნიავი ქურდი,
ტკბილ ოცნებაში გაგეპო ბაგე, —
ახ, რომ იცოდე, რა რიგ მომწყურდი
ახ, რომ იცოდე, რა რიგ დამდაგე“

იგივ ხორციელება, იგივ წყურვილი სიყვარულის საგნისა, იგივ „გაპობილი ბაგე“ მგოსნის დამათრობელი, მისი ღვთაებრივი ეშხით შომწამვლელი, — აი გრიშაშვილის გულახდილი, წრფელი განმარტება მიჯნურობისა. მის სატრფოს

„დილით ცის ნამი
მკერდზე ეხვევა,
კოცნის, იხუტებს,
ცრემლად იფრქვევა.
ოქროს ფრთიანი
ანცი პეპელა
მის ლბილ ტუჩებზე
ბაასობს ნელა,
კორდით მომსკდარი
წყარო ოცნება
შესცინის, პირს ბანს
თავსა ევლება...
ახ, თვალის ჩინო,
შენი მოწყვეტა
რომელ მებაღეს
ერგება ნეტა“.
(„სატრფოვ ყვავილო“)

აქაც სურათია „კოცნისა“ რეალურად გამოთქმული და მხატვრული კალმით დასურათებული, აქაც სურათია სამიჯნურო კავშირისა, სადაც მგოსანი მებაღეა, რომელმაც უნდა მოსწყვიტოს ყვავილი, მას მოეხვიოს, კოცნოს, ჩაიხუტოს, მის ლბილ ტუჩებზე იბაასოს ნელა, თავს შემოევლოს.

„ნუ მეუბნები, ჩემო მნათობო,
შენ დაგივიწყო, სხვა შევიყვარო,
ნუ მომშორდები, ვარდო კოკობო
ქანც-მილეული
მკერდს მიმისვენე
ჩემო ღვთაება,
ტანჯვა, ვაება,
მეყო გენაცვა.... აწ მომასვენე
ფერფლად ქცეული
შწირი ეული

ფრთებ მომტვრეული
გაბრუებული
შენსკენ მოვფრინავ
არ გებრალები?
მტრედო ღუღუნავ
გენაცვალები".
(„არ გებრალები")

„ქანცმილეული", „გაბრუებული"! აქაც ისევ და ისევ ვნებათა ღელვაში ჩაფლვაა, სურვათა მიერ დათრობა, გრძნობათა მიერ მოჯადოება. თუ დააკვირდებით ჩვენს პოეზიას, დამეთანხმებით, რომ ასეთი ვნების ენით არ ულაპარაკია არცერთ ჩვენს მგოსანს, არცერთ მათგანს არ უკისრია სიყვარულის „მგრძნობელობა" ასე ნათლად, ასე სავსებით დაენახვებინა ჩვენთვის. იგი „ვით შვლის ნუკრი" სატრფოს წინა რბის, „ვითა ფოთოლი ვნებითა თრთის", „ტრფობით აღვსილი თავს დაჰხარის მას".

მაგრამ „მგრძნობელობის" სიმწვავისა და სიცხოვლის გამოსახვა სრულიადაც არ უშლის ხელს მგოსანს ღრმად გაიმსჭვალოს ტრფიალების გრძნობით, წმიდათაწმიდად აღიაროს და დაისახოს იგი, სრულიად სერიოზულად შეხედოს მას. ვინც ვერ გაითვალისწინებს ამ თვისებას გრიშაშვილის ლექსისას, ვინც ვერ შეიგნებს ამ დედააზრს მისი ქნარისას — იგი თავის დღეში ვერ შეითვისებს მის ლექსებს, მისთვის ეს ღრმა და ძლიერი ეროტიული ლირიკა უცხო ხილად დარჩება...

„ჩემო სიცოცხლევ! გული ბედ-კრული
შენსკენ მოილტვის, ტრფობით აღძრული,
მსურს ზედ დაგაკვდე ნაზს, მოელვარეს
შენს სურნელოვან მარჯნის ფერ ბაგეს
„...ოღონდ მითხარი ერთხელ: „მიყვარხარ"
და მერე თუ გინდ გულს ლახვარი მკარ".

მგოსანი ყოველთვის სიცოცხლის ბადლად ხდის სიყვარულის თანაგრძნობას, მაგრამ იგი თავის დღეში არ დაკმაყოფილდება განყენებული, უშინაარსო გრძნობით, მას უნდა, რომ სიტყვას „მიყვარხარ" თან სდევდეს „სურნელოვან მარჯნის ფერ ბაგის" შეხება; მას სურს, რომ სიტყვასთან „მიყვარხარ" ერთად „ზედ დააკვდეს ნაზს, მოელვარეს". მართალია, ის მზად არის ამისათვის სიცოცხლე განწიროს, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ, რომ ამგვარი კავშირი მას მიაჩნია მეტად დიად ტრფობის მოვლენად, თავისებურ ექსტაზად, რომ-

ლის დროსაც საიდუმლო და გამოუცნობელი საგრძნობელი და ხელ-შესახები ხდება... ნურავინ ნუ დაივიწყებთ

„თუ სამოთხის ღმერთთა კოცნამ ვით აღზარდა
ეს ბუნება“
და „თვით სატანაც კოცნას ეძებს, კოცნა ეძებს
სიყვარულსა.“

ამიტომაც არის, რომ თუკი სატრფო უბრძანებს, „სიკვდილს ღიმილით ჩაეხვევა“. ამიტომაც არის, რომ, გრძნობის გაღვიძებასთან ერთად, მთელი მისი სულიერი არსება მკვდრეთით აღდგება:

„ისევ ვუყვარვარ... ვეხვევი... ვტკბები
კვლავ მკვდრეთით აღსდგა რწმენის სიმბოლო,
ვლაღობ, ვნავარდობ, ვეთამაშები
და ჩემს სიყვარულს არა აქვს ბოლო“.
(„ისევ ვუყვარვარ“).

„ისევ უყვარს!“ ეს უეჭველი გამომხატველია მისი, რომ იგი თავის სატრფოს „ეხვევა, სტკბება“, თამაშობს, ლაღობს, ნავარდობს. სიყვარული და სიხარული, მგრძნობელობა და ლაღობა, ნავარდობა და თამაშობა, მგოსნისათვის განუშორებელი რამ არიან. ის სავსებით მისწვდა ყოველივე სიტკბოს, რომელიც თან სდევს გრძნობას სიყვარულისა და მიჯნურობისას, სავსებით შეიგნო ბედნიერება, რომელიც თან სდევს სქესობრივ ინსტინქტს, ადამიანისაგან მაღალ გრძნობად — „მგრძნობელობად“ — გარდაქმნილს. მხოლოდ ხორციელი ურთიერთობა, მხოლოდ ფიზიოლოგიური კავშირი, არის ნიადაგი ორ წყვილთა სულის განწყობილების გამოსააშკარავებლად...

„სულში ჩავიქსოვ ვარსკვლავთა ცალს,
სუნთქვით შეებოვავ ღრუბელთა სრიალს,
იცხოვრებ ჩემში... გეპყურვი მეც მტლად,
მენდე შენს მკობელს, მენდე შენს ტრფიალს
ვარდავქმნი სულ მთლად.
მსურს ზღვის ფერიად, ღმერთად გიწამო
მსურს ვეამბორო შენს ფერხს, შენს კალთებს
წამომყევ... წამო!“
(„ასცილდი საზღვარს“)

არსად მას არ წამოსცდენია ერთი სიტყვაც, რომელიც ამ გრძნობას მეტად სერიოზულ და მეტად დიდ რამედ არა თვლიდეს... გრიშაშვილმა ეს გრძნობა შემოსა სრული სიწრფელითა და სრული სიდინჯით. მან სავსებით იგრძნო იდუმალი ძალა ამ მოვლენისა და

უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა იგი; ღვთაებას დაუდარა იგი და პირველ მიზეზად აღიარა.

„ლერწამი ხარ ტბის ასული, ცად ასული, ატყორცნილი,
მყინვარი ხარ საოცნებო, მზის სხივთაგან დაკოცნილი,
და დღეს, როცა სიო ფრთხილი
ოქროს ქოჩორს გიხუპუპებს
ეს მიტომ, რომ ვითა რთვილი
მე ვადნები შენსა ტუჩებს...
იცი ეგრე სანთელივით
ვნების ცეცხლზე რად დამდნარხარ?
ეს მიტომ, რომ გმოსავ სხივით,
ეს მიტომ, რომ მე მიყვარხარ“.
(„ლერწამი ხარ ტბის ასული“)

მთელი ჰარმონიული ხორო ბუნებისა მგოსნის გრძნობათა მოციქული და მახარებელია. მთელი ბუნება ხარობს, მთელი ბუნება ხელს უწყობს პოეტს მისი გრძნობა გამოსახოს, განახორციელოს. აქ ბუნება სრულიადაც არ თამაშობს უბრალო დეკორატორის როლს, რომელსაც უნდა მგოსანს მოუწყოს კარგი სცენა, თავის გრძნობათა კომედიის წარმომადგენლად. არა, ყოველი ნაწილი ბუნებისა, მთელი სამყარო ისეა გადაწნული მგოსნის არსებასთან, მის მსოფლიოსთან, ისეა მასთან გადახლართული, რომ იგინი ერთად, მწყობრად, ხელიხელჩაკიდებული მიდიან „მგრძნობელობის“ განსაცხადებლად და განსამტკიცებლად:

„მზის სხივთაგან მოქსოვილი, საოცნებო ტბის ყვავილი
ახალ ჰანგად აღპურვილი ტუჩს გადნება, სურნელს
გტაცებს
ვერ გაიგებ — ჩემს გულს რა სწადს,
ვერ გაიგებ, ვერ გაიგებ ჩემს ცრემლთ ნაკადს.
როცა სიო შენს კულულებს, ჩემს სიმღერას
წასჩურჩულებს,
როცა სხივთა თაიგულებს მოვკრეფ ცაზე,
წარვტაცებ ღმერთს,
მაშინ ზღვის მკერდს სარკედ ქცეულს,
სევდის ყვავილს ფერ მილეულს
კოცნას, — ღამის ნისლში ხვეულს —
შენ მოგიძღვნი, მხოლოდ შენ ერთს.
თვით შენშია ჩამარხული
სიცოცხლისა გაზაფხული“.

ამნაირი ენით, რასაკვირველია, მარტო მას ელაპარაკებიან, ვისშიც „ჩამარხულია სიცოცხლის გაზაფხული“

„შენს თვალებში ვეკვრეტ სამოთხეს, ვეკვრეტ განთიადს, ვეკვრეტ ბნელ ღამეს,
შენს თვალებში ტალღას სძინავს, ტალღას მშვიდს და მოკამკამეს,
შენს თვალებში ჰფეთქს სიცოცხლე, ვეძებ აზრებს თავისუფალს,
შენს თვალებში ვხედავ ჩემს ღმერთს, სულის კერპს და გულის უფალს,
შენს თვალებში კრთის ვარსკვლავი, სტირს ტირიფი თავდახრილი
შენს თვალებში კანდელს აქრობს ზღვით ნატყორცნი სიო გრილი
მსურს აკვანი იყო ცრემლის, მსურს ბუნების იყო კუბო,
გრძნების კუბო, გრძნების კუბო“.

სატრფო აქ მთელი სიცოცხლის სადარი არის, იგი გამოსახულებაა მთელი ბუნებისა; და მგოსნის სურვილიც ის არის, რომ მისი გული, მისი თვალი „ბუნების იყოს კუბო“, „გრძნების კუბო, გრძნების კუბო“, ე. ი. სალარო, სადაც თავმოყრილია ყოველგვარი მისწრაფება ბუნებრივი ძალებისა, მათი განვითარება, მათი ურთიერთობა, და ამნაირ განძად მოევლინოს იგი მგოსანს.

მთელი არსება მგოსნისა, მრავალფეროვანი და მრავალგვარი მისი ლტოლვა და სურვა ერთ ფოკუსშია მოთავსებული, და იგი დიადი, იგი მშვენიერი, იგი საუცხოო — განაგებს მის ცხოვრებას, მის ყოფნას. მხოლოდ ამნაირად აწყობილ ჩანგს შეუძლია ასეთი ტკბილი და ღრმა მელოდიით აღსავსე სიმღერა გამოსცეს:

„იცხოვრე ჩემში... გულს გადაგიხსნი.
შიგ ჩაგახედებ გულის სიღრმეში
და დაგანახვებ, თუ რა არსებობს
ჩემს განზრახვაში, ჩემს ბედკრულ „მე“-ში.
მიყვარხარ, გიყო! ვფიცავ მიყვარხარ,
მიყვარს ოცნება ცრემლით აღთქმული
მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო!
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული“.

(„შენ გეჯავრები“)

და ნუ გეგონებათ, რომ აქ „სამშობლო“ და „მამული“ ჩაჩხერილი იყოს ერთგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სრულიადაც არა. მგოსანი ჯანსაღი, ახალგაზრდა, ყოველივე ძლიერებით მოსილი, რომელიც თან სდევს ახალგაზრდობას, ბედნიერ და წარ-

მტაც დროს დაბადებული, როცა ხალხის ძალა და ენერგია უაღრესად ინტენსიური იყო, როცა გამარჯვების ყიჟინა ესმოდა ნანინად მის ნაზ და მახვილ ყურს, — ასეთი მგოსანი ადამიანის ყოველ მთავარ მიდრეკილებას ანგარიშს უნდა უწევდეს. და აკი მან ეს ანგარიში გაუსწორა საზოგადოების არანორმალურის ცხოვრების გამო დიდი ხნით შეგუებებულ გრძნობას სქესობრივი სურვილისას, სიყვარულისას და ნათლად დაგვიხატა მისგან გამოწვეული განწყობილება; მაგრამ ადამიანის „მე“ მას არ შეუქმნია ამ გრძნობის მაჩანჩალად. მხოლოდ სრულ ადამიანს, რომლის ყოველი ელემენტი უაღრესად განვითარებულია, შეუძლია მთელი სიგრძე-სიგანით და სიღრმით შეითვისოს ყოველი მისი მოთხოვნილებანი და ლტოლვილებანი. თუ მგოსანი გრძნობს მთელ ძალას, მთელ ფატალიზმს სიყვარულის გრძნობისას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მას ამ გრძნობის ჰიპერტროფია ჰქონდეს, გადაჭარბებული და გადამლაშებული იყოს მასში ეს მიდრეკილება. მას სხვა ათასგვარი დარდი და ფიქრი აქვს, სურვილი და მისწრაფება, რომელიც გარს არტყია, რომელიც ჰქმნის მის „მეს“, მის პიროვნებას, თვით ამ უფრო საინტერესო, თუმც „საცნობელად ძნელ გვარს“, მცნებას. და აი ამიტომაც ეუბნება ის მის სატრფიალო საგანს დაგანახვებ, თუ რა არსებობს ჩემს განზრახვაში, ჩემს ბედკრულ „მეში“ — მიყვარხარო, მაგრამ „უფრორე... მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული“. რა ბევრია ნათქვამი თვით ამ „ბედკრულ „მე“-თი. მისი „მე“, როგორც ადამიანისა, ბედისგან კრულია; მრავალგვარ ისტორიულ, ფიზიოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა გავლენათა ქვეშ იგი შებოჭილი და შებორკილია. როგორც შვილს წამებული სამშობლოისას, გული დასერილი აქვს მამულის ბედით; იგი ვერ განთავისუფლებულა ისტორიისგან დაკისრებული ვალისაგან და მემკვიდრეობით მიღებული გლოვა მის გულში ღრმად არის ჩამარხული. მას არ შეუძლია მამულის გამო არ იფიქროს, სამშობლოს იღბალი არა სტანჯავდეს... თავისთავად ცხადია, როცა გულს გადაუხსნის და მის სიღრმეში ჩაახედებს სატრფოს, მან უნდა დაინახოს, რომ იქ ანთია უძლეველი ცეცხლი დაღუპული სამშობლოს დარდით ანთებული, და ეს ცეცხლი ისე ძლიერია, რომ მის გვერდით ვნების ცეცხლი, რასაკვირველია, უფრო მდარედ სჩანს: „მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო, მიყვარს სამშობლო, ჩემი მამულიო“. მისთვის სიყვარული ხელისშემშლელი გარემოება არ არის; როგორც ზემოთაც ვთქვით, იგი ძლიერი მისი ბუნების ჰარმონიის სიმტკიცის მომასწა-

ვებელია, მას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მიეცეს შვებას და ვნებას ტრფობისას, მაგრამ მის გულსა და ტვინში მამულის ფიქრი განუყრელია, მისთვის შენახული აქვს შესაფერისი დრო და იარაღი:

„ვარსკვლავთა ენას შევისწავლი, შენს შესამკობად,
ღიმილს მოვპარავ თვით მთოვარეს ნაზად გაბადრულს,
დილის ცისკარზე აბრეშუმის თეთრ ნისლს მოგახვევ.
აგანთებ კოცნით, სიყვარულო, გიძღვნი სიყვარულს,
მსურს, — შენი გრძნობა თაიგულად შევკრა, შევკონო
მსურს, შენის კოცნით აღვსდგე მკვდრეთით,
ავმაღლდე ცამდე,
წმინდა ხარ, წმინდა ივერიის ტურფა ასულო,
იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე“.
(„წმინდა ხარ, წმინდა“).

ხედავთ? „მისი კოცნით უნდა აღსდგეს მკვდრეთით, ამაღლდეს ცამდე“. ასეთია მისი ეროტიული გრძნობა, ასეთია მისი მგრძნობელობა. იგი მისი ძლიერების წყაროა; „ივერიის ტურფა ასულის“ წინაშე იგი ქედს იხრის და ლოცავს მას; მისი ტყვეობიდან დახსნისათვის მას საჭიროდ მიაჩნია აღფრთოვანება, ცათამდე ამაღლება, მკვდრეთით აღდგომა, რომელიც მარტო სატრფოს „კოცნას“ შეუძლია.

ჭეშმარიტად, მშვენიერი ეროსისაგან უნდა იყოს „ტრფობის ისრით დაკოდილი“ მგოსანი, რომ ისე მშვენივრად, ასე მომხიბვლელად უგალობდეს სამარადისო და საბედისწერო გრძნობას სქესთა შორის ურთიერთობისას; გრძნობას, რომელსაც უპირველესი წილი უდევს, თუ არა ერთადერთი, სამყაროს შექმნაში. და განა ძველ ელინთა მთელი კულტურა ამ გრძნობის გაღმერთებით არ იყო ძლიერი, მომხიბვლელი და წარმტაცი? ვის შეეძლო შეექმნა ჰერმესი პრაქსიტელისა ან ვენერა მილოსისა, თუ არა იმავე ღვთისგან რჩეულ ხელოვანს, მას ვისაც შეგნებული ჰქონდა მგრძნობელობის დიდი ძალა; ვის შეეძლო შეექმნა „ქებათა-ქება“ — ეს უკვდავი ღაღადისი, თუ არა მას, ვინც იცოდა, „რომ მძლავრ არს სიყვარული, ვითა სიკვდილი“; ვის შეეძლო შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“, ვის შეეძლო ეღაღადა „სიყვარული აღგვამაღლებსო“, თუ არა მას, ვინც ამ წმინდა წყაროს დაეწაფა მთელი თავისი გენიოსობით!

და განა გვექნებოდა „ილიადა“ ჰომეროსისა, რომ მისი შემქმნელიც გამსჭვალული არ ყოფილიყო ყოვლად ხორციელი, თავბრუდამხვევი, დამათრობელი გრძნობით, რომელიც ანთებული იყო ელენესა და პარისის გულში!

ხორცის განთავისუფლება სხვადასხვა შემბოჭველ რწმენისა და მოძღვრებისაგან ყოველთვის ყოფილა ადამიანის აზრთა რევოლუციის მომასწავებელი. ელინთა ხელოვნება სხვა არა იყო რა, თუ არა გაღმერთება ხორციელი მშვენიერებისა, თუ არა ჰიმნი დიდებული ეროსისა. მაგრამ ვიდრე აქამდე მიაღწევდა კაცობრიობა, უნდა გაევლო რამდენიმე საუკუნეს ცდისას, როცა თავისუფლება გრძნობისა და სურვისა გზას იკაფავს და თანდათან იშორებს შემავიწროებელ კალაპოტს, შემაწუხებელ ჩარჩოს, როცა ხელოვნებას ატყვია ბრძოლისა და ჭიდილის კვალი. იმდროინდელ ლუსკუმებს ზედ ატყვია სულის შემხუთველი კლანჭები, რომლიდანაც თავს ითავისუფლებს საბედნიეროდ და სამხიარულოდ გამზადებული ტურფა, მშვენიერი და ლამაზი სხეული. შეადარეთ ბიზანტიის ხელოვნება რენესანსის ტილოებს! დაღმეჭილი სახე ბიზანტიური მხატვრობისა, მოკრუნჩხული ტანი და ხელ-ფეხი, მოქცეული კისერი თქვენ თვალწინ გიყენებსთ ადამიანს, რომელსაც ქვეყნის ცოდვა კისრად დაწოლია და საცოდავად იკლაკნება ამ მძიმე ტვირთის ქვეშ, ხოლო იტალიის რენესანსის მხატვრობა — რაფაელის, მიქელანჯელოს, ტინტორეტოს, ტიციანის, კორეჯიოს და სხვათა ხელში — თქვენ გიჩვენებთ ლაღ, თავისუფალ, წარმტაც, მომხიბვლელ და მომჯადოებელ ხორცს და მის მომჯადოებელ ძალას. რასაკვირველია, არც პრაქსიტელისა და არც ტინტორეტოს ხელოვნება პირუტყვულს არაფერს შეიცავს; მათი ნაწარმოები ხორციელების სახით ავლენს ყოველივეს რაც კი არის ცხოვრებაში დიდებული, მოხდენილი, ლამაზი, ზეაღმტაცი და ცხოვრების მაჯისცემის გამაღონიერებელი.

10

გრიშაშვილის პოეზია მთლიანადაც რომ ეროტიული იყოს, ამისთვის მას წუნს ვერ დავდებთ. მაგრამ გრიშაშვილი ცხოვრების შვილია, მიწის შვილი, მისთვის ეროტიზმი განყენებული რამ კი არ არის, იგი ცხოველმყოფელი ძალაა ჩვენი ცხოვრებისა და, როგორც ასეთი, დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების სხვა მოვლენებთან. ამიტომაც სრულიად კანონიერი არის მისი გულამოსკვნილი გამოძახილი — „მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო, მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული“; ამიტომ არის, რომ მისი პოეზია ჩვენი ცხოვრების სხვა საგნებსაც თავს დასტრიალებს.

პოეტს უგრძვნია სამსალა ტრფობისა, რომელსაც ჩაუგდია იგი სასოწარკვეთილებაში; ტრფობის ცვალებადობას იგიც მიუყვანია თავგანწირულ უიმედობამდე

„გახსოვს შეგხვდი ბუჩქებს შორის, სრიალებდი, სისინებდი...
გულს ჩაგიკარ, კოცნა გიძღვენ, კოცნა ცრემლთან შენაერთი".

და ამის შემდეგ მგოსანი იმ ზომამდე მიუყვანია სატრფოს საქციელს, რომ იგი წყევლა-კრულვას უგზავნის მას

„დაიწყევლოს ის კალამი, რომლითაც ეე ლექსებს ვწერდი,
დაიწყევლოს ეგ თვალები, დაიწყევლოს ეგ გულ-მკერდი,
დაიწყევლოს ის დღე, ის ზღვა, ის ბუჩქნარი, ის მწვანე ტყე,
სადაც შეგხვდი და ალერსის შხამ-ნაღველი მე შევიტყვე".

მაგრამ ეს ვერ შეცვლის მის განწყობილებას, მის აზრს ტრფობის შესახებ. ნეტარი წუთები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მასში; იგი თავის დღეში არ დაუსვამს წერტილს ამ გრძნობაში შხამსა და სამსალას. ამიტომაც ისევ მას მიმართავს, „ვინც აჩუქა მგოსანს ლოცვა, ვინც აჩუქა სულს იარა", „ვინც ოცნებით საიდუმლოდ სატრფოს გესლით ეზიარა" და სთხოვს

„მოდი, გიყო, არას გერჩი! კვლავ მოშხამე კვნესა სულის,
სულ ერთია, ხომ მსხვერპლი ვარ, მსხვერპლი წმინდა სიყვარულის,
მოდი, გველო, მო, დამსუნთქე, მოაფრქვიე ჩემს ფრთებს შხამი,
ქვეყნად ყველა ამაოა, თვით დასასრულ-დასაბამი"

ეს უკანასკნელი სტრიქონი უკვე კვნესაა დატანჯული ადამიანისა, რომელიც ნეტარებას თავს ვერ ანებებს, ვინაიდან ეს არის სტიმული სიცოცხლისა, თუმცა მას მოჰყვება ტკივილი და წამება, რომელიც არის უარყოფა სიცოცხლისა და რომელსაც გაურბის ყოველი ცხოველი. აქ ტრაგიზმია ბუნების მოვლენათა შუაგულში ჩამარხული, აქ საუკუნო კოლიზიაა, რომელიც სამარადისო და დაუსრულებელია, და რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უნაყოფოა. ამის შემგნებ ადამიანს შეუძლია თამამად თქვას „ქვეყნად ყველა ამაოა, თვით დასასრულ-დასაბამი"...

მგოსნის დამოკიდებულება ბუნებასთან ყოველთვის ერთი უმთავრესი თემაა სალირიკო პოეზიისა. გრიშაშვილი ამ საგანსაც დიდ ყურადღებას აქცევს. ბუნება მისთვის არ არის განკერძოებული რამ, იგი ბუნების შვილია, მასთან შედუღებული, შესისხლხორცე-

ბული, რომელიც მოქმედებს მისი შემწეობით და რომელთა ძალები მგოსანში პოვებენ ეგრეთწოდებულ დენის გამტარებელ მავთულსა. ჩვენ ამის მაგალითები ზემოთაც ვნახეთ, მაგრამ ახლაც მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„ვიშ, რა კარგია,
რა ლამაზია
პაწაწა ია,
კუკურად შლილი
სილით გავსილი
კდემა მოსილი,
დილა საღამოს
აბნევს მიდამოს
სუნნელს საამოს,
სიოს სალამი
ტბისა კამკამი,
ციური ნამი
თავსა ევლება,
ზედ ეპკურება,
ემსახურება,
ახ, რა კარგია
რა ლამაზია
პაწაწა ია“.

(„ია“).

ასე ან მიჯნური ელაპარაკება სატრფოს, ანდა მეგობარი — მეგობარს, ტოლი — ტოლს, ძმა — ძმას, ნათესავი—ნათესავს. მგოსანი გარშემორტყმულია ბუნებით, ტკბება მით იმისდა დამოუკიდებლად, თუ რა კავშირია მის სულიერ განწყობილებასა და უსულო ბუნების გამოხატულებაში; მას „ნიავი, ვით ტოლს ესაუბრება, ყვავილთ ბუჩქნარნი უძღვნიან სალამს, მთვარე სხივებს ჰფენს, უცინის, სტკბება, მგოსანს დაჩაგრულს უმკობენ კალამს“. მაგრამ ის მაინც „სტირის დაობლებული“. აკი მოგახსენეთ, ბუნებასა და მგოსანს შორის განუწყვეტელი კავშირია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნება ტიროდეს, როცა პოეტის ქნარი კვნესის, და იცინოდეს, როცა მისი სიმღერა მხიარულია. ბუნება თავისთავად ეალერსება, თავს ევლება, მგოსნის „მე“ კი, გარეშე ამისა, განიცდის გლოვასა და ობლობას.

ამგვარი კავშირია ბუნებასა და პოეტს შორის გაბმული. ბუნების ესა თუ ის სახე მას არც აჯავრებს, არც ახარებს, იგი ცდილობს ახსნას მისი მნიშვნელობა, მისი შედეგი არა პირადად მისთვის, არამედ მისი სათაყვანებელი საგნისათვის.

„ღამეა. ბნელა. შრომის შვილი ბურანში სცურავს.
მწუხრის ზეწარი ჩემს ქვეყანას შავითა ჰბურავს.
ცისა სივრცეში მოკაშკაშე აღარა ბრწყინავს,
მხოლოდ მძვინვარე ქარი ღმუის, კვნესის და გმინავს.
გრიგალო — ქარო! რას ზუზუნებ ეგრე მქუხარე?
ვის გსურს შეასვა შხამით სავსე ფიალა ცხარე?
ან ვის დასჩხავი, ვის უმზადებ ცივ-ბნელ სამარეს —
სატრფოს, მეგობარს, თუ ჩემს ტანჯულ სამშობლო მხარეს?!"

(„დამწუხრებული ბუნება")

ბუნების ყოველგვარ მოვლენას მგოსანი ერთგვარად ეპყრობა. მისთვის არ არსებობს მახინჯი და ლამაზი; იქ ყოველივეს თავისი ადგილი აქვს, თავისი ახსნა აქვს, თავისი არსებობის საბუთი ხელთ უჭირავს. მისთვის, როგორც კეთილი მშობლისათვის, ერთგვარად საპატრონოა, ერთგვარად საზრუნველი და ერთნაირად საყვარელი კეთილი და ბოროტიც ბუნებისა:

„გაზაფხულის პირს,
ცისფერ ბუჩქის ძირს,
ვნახე მიმოზა კუკურად შლილი;
ნიავი გრილი
ცის ნამი ტრფობით
ჩაჰხუტებოდა, ის კი მორცხვობით
იღიმებოდა.
ვერ წარმოიდგენ ცავ და მიწავ რა რიგ მომწყურდა,
გავსწიე ხელი მოსაწყვეტლად, ამბორი მსურდა,
მაგრამ ოცნებას ტლუ მგოსნისთვის ესეც შეშურდა.
დაე ჰყვაოდეს, სუნს აფრქვევდეს მინდორს,
ტყე-ველებს.
შორიდან ცქერა მე თვით მკვდარსაც ამამეტყველებს"

აი, რამდენად უანგაროდ ეპყრობა პოეტი მიმოზას, მის უარმყოფელსაც კი. და ეს იმიტომ, რომ იგი თავის დანიშნულებას მშვენივრად ასრულებს, მინდორსა და ტყე-ველს ამშვენიერებს, იქა ჰყვავის და საუცხოო სურნელებას აფრქვევს. ამნაირადვე ეპყრობა იგი მიმოზას „მახინჯს, კრულსა, გამხმარს, ფოთლებ დამჭკნარსა, ირგვლივ ნარეკლით შემოზღუდულსა". მგოსანს პირველად იგი შეზარდა, უნდოდა უფსკრულს შთაენთქა

„მაგრამ მყის ვიგრძეს,
თუ იმ მხარეს ის ვით უყვარდა
და ზიზღის ნაცვლად მხოლოდ
ვგრძნობდი უხმო სიბრალულს“

მაშასადამე, ბუნებას თავისთავად აქვს მნიშვნელობა. ერთს ასია-მოვნებს, მეორეში ზიზღს იწვევს და ორივე კი ერთი ღირებულებისა არის, თუკი მათ ერთი და იმავე გრძნობის გამოწვევა შეუძლიათ. და ეს ასეა, ამნაირად არის მოწყობილი მთელი ბუნება, ყოველ მახინჯ მიმოზას ჰყავს თავისი მიჯნური, ყოველ დამჭკნარ ყვავილს აქვს თავისი მხარე, ჰყავს თაყვანისმცემელთა გუნდი, რომელთაც იგი აბედნიერებს და ამაშია მთელი მისი არსებობის აუცილებლობა.

რაც უნდა გუნებაზე იყოს მგოსანი, რაც უნდა კონტრასტი არსებობდეს მასსა და ბუნების მოვლენებს შორის, მაინც იცის, რომ იგი სიცოცხლეა და „სიხალისე“. ამიტომაც, მას ყოველთვის ნაზი თავაზიანობითა და სიყვარულით ეპყრობა.

„კვლავ მიდამო მოიკაზმა
ბუჩქ ქვეშ იამ, ნაზმა იამ
ველს ასხურა აიაზმა
...მე კი ვსტირი... ვსტირ ვაებით
ცრემლ-ნაღველი, გესლის გრძნებით,
დამყოლია დაბადებით.
ჩამჩურჩულებს ცელქი სიო
„ბავშვო! კმარა, ნუ ჰკვნესიო,
ხომ დაგვიდგა მაისიო“.
ახ! ბუნებავ — სიხალისეე
ნუთუ ვერ გრძნობ, რომ კვლავ ისევ
ბედკრულს, ობოლს ტანჯვას მისევ“.

(„მაისი“)

ამაზე უფრო შორს არ შეიძლება წავიდეს უთანხმოება; ბუნება „მაისის დადგომას“ გალობს, მგოსანი კი ვაებით ტირის; ბუნება მას სამხიარულოდ იწვევს, პოეტი კი ტანჯვა-ვაებას განიცდის ამ მიწვევით. მაგრამ მას მაინც ბუნება უყვარს, იგი მაინც მისი ერთგული ქვეშევრდომი, მოტრფიალეა და სთხოვს, ემუდარება სიტკბოებით აღსავსე სიტყვებით, ჩამომეხსენ, ნუ მიშლი იარებსაო:

„ახ, ბუნებავ სიხალისეე, ნუ თუ
ვერ გრძნობ... ტანჯვას მისევ“

საზოგადოებრივი ტკივილებიც განუცდია ჩვენს პოეტს; საზოგადო ჭირით გული ღრმად სტკენია, მისი სევდით გული მოწამვლია და ამაზე თავისი პასუხი გაუცია.

„დათბა... იღვიძებს მდელო დამჭკნარი...
დამწვარ გულს მირწყავს
ცვარ-ნამი ცისა,
დაჰქროლავს მთა-გორს
სიო-ოცნება
შესცინის კოკორს
და გულისა სწორს
მეძახის შორს... შორს
მეალერსება,
მაგრამ, როდესაც გადავხედავ მშრომელთა კერას,
დაწიოკებულს, სევდით მოცულს
ძვლებით მოკირწყულს
მაშინ ვგმობ, ვკრულავ დაბადებას, ჩემს ბედისწერას
და ეს ბუნება
თვით ცხოვრება
მძაგს, მეჯავრება“

(„დათბა“).

მისი გული ნაღვლითაა აღსავსე, სამშობლოს ბედი მას მოსვენებას არ აძლევს, მისი სასოწარკვეთა ხანდახან მეტად რადიკალურ სახეს იღებს, და ეს ხდება მაშინ, როცა მამულის მდგომარეობა გადაეშლება თვალწინ:

„ცრემლი, ვაება, საფლავის ჩრდილი
დაბადებიდან თან დაგვყოლია,
ქანცმილეული, სული მოღლილი
კვლავ ჰგოდებს, მოსთქვამს
კვლავ ობოლია.
მშობელ ქვეყანას კვლავ ნისლი ჰბურავს,
მთუთქავი ცეცხლი გულში გვიღვივის,
და წინად მთქმელი ჩვენი შავი დღის
უნდო ყორანი დაგვჩხავის... ყივის,
ახ, მეგობარო, კაეშანს მწველსა
ნუ გვიორკეცებთ, გვეყო ნაღველი
ნურც მოგვილოცავთ ახალსა წელსა
ჩვენთვის ვით წინად, ეხლაც არს ძველი“.

გულდათუთქული კითხავს წყვდიადითა და სიბნელით მოცულ ქვეყანას:

„ნეთუ გაზაფხულს
ვეღარ შევხვდები?
და მრავალტახჯულს
ჩემს ტურფა მამულს,
იმედით შემკულს
ვერ ვეღირსები?“.

(„ზამთარი“)

მგოსნის გული დახურული არ არის აღფრთოვანების, აღტაცებისა და ახალი ძალის შეთვისებისათვის:

„შორს გამოსჭვივის
შუქი ნორჩ სხივის,
მთიები ცაში შეათამაშა
სამყარო ბნელი გააკაშკაშა:
მეც დავეწაფე უკვდავების ხილს,
გავეხმაურე ფრთოსანთ მოძახილს,
გულში იფეთქა შებორკილ რწმენამ
ნაღველი შვებას დაენაცვალა
ვაშა, ჭაბუკ სხივს... გულს მიხალისებს
ახალი წელი, ახალი ძალა“.

(„ვაშა, ახალ სხივს“)

ჩვენი პოეტი არც ბრძოლას გაურბის, პირიქით, გაბედულად და მამაცურად შეებრძოლება ბნელ ძალებს.

„მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები,
მალე გავარღვევ საკანთა კედლებს
თავისუფლებას მივეგებები
და თუნდაც ჯალათმა, შხამ-გესლიანმა
თვის სისხლიანი ჩამჭიდოს ხელი
მაინც თამამად, მედგრად შევძახებ:
„სიკვდილი მტარვალთ!“ — „ძირს სისხლისმსმელ!“
ვგმობ და უარვყოფ თქვენს ძველ ადათსა,
ფეხქვეშ გავთელე მე ძველი წესი“.

(„ტუსაღის მოთქმა“).

ამ ლექსს არ აკლია არც სიძლიერე, არც აღშფოთება. მრავალი დიდი ბრძოლის მოწამე მგოსანს, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოესახა იგი თავის ლირიკაში.

მშვენიერია გრიშაშვილის მიერ საკუთარი ქნარის დახასიათება. მან კარგად იცის სამხიარულო კილო თავისი ლექსებისა; გრძნობს, რომ იგი მხიარულება ღრმაა და აუცილებელი ცხოვრებისათვის. ამიტომ მას იგი არავის გააქელვინებს, არავის არ ააგდებინებს სასაცილოდ; ხედავს რომ მისი ძალა მასშია და თავი მოსწონს კიდეც ამით.

„ბრბოვ! მე ზე-კაცს ვერას მავნებს შენი ცრემლი, ზიზღი, რისხვა,
შენ ვერ იცნობ ჩემს სულის ღმერთს, შენ სხვა გზა გაქვს მე კი სულ სხვა,
ნაზ ოცნებით შექმნილ ჩემ კოშკს, თუ ჩაჰქოლავთ გესლის ქვებით,
უგუნურნო, მაშინ თვით თქვენც იმ ნანგრევებს ქვეშ მოჰყვებით.
ვისი მუზაც დაბლა ხოხავს და ღრუბლამდე ვეღარ ადის
ის ვინც მსხვერპლად გაჩენილა, ის ვინც სტირის, სტირს მარადის,
ის ვერასდროს ვერ მიხვდება, ის ვერასდროს ვერ გაიგებს
მგოსნის ჰანგებს, მგოსნის ჰანგებს!“

(„ზე-კაცი“)

ტყუილად ნურვინ მოინდომებს და გრიშაშვილს ნუ შესწამებს, ვითომ ის აქ ხალხს დასცქერდეს ზემოდან, ანდა მიწის მოთხოვნილებას ფეხქვეშ თელავდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვაგდოთ დემაგოგიური განმარტება სიტყვა „ბრბოსი“, რომელსაც აიგივებენ „ხალხთან“. ბრბო არის უგუნურთა კრებული, რაიმე შეუთვისებელ ცრურწმენით გატაცებული გროვა, რომელიც ჟინითაა გატაცებული და შეუძლია ჩაიდინოს ყოველი საქციელი, რომელიც წინააღმდეგი იქნება ადამიანის ლოგიკისა, ადამიანის კეთილგულობისა და გონიერებისა. ხალხი კი არის მთელი ჯგუფი მრავალნაირად განწყობილ ინდივიდუმთა, რომელიც მოქმედებს ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში, რომელიც ჰქმნის ყოველივე მოვლენას იდუმალ და ნათლად. ხალხი მთელი მცნებაა ისტორიული ფაქტორისა, ბრბო კი არეული, სრულიად შეუმეცნებელი ხროვაა ადამიანთა, რომელთაც არა აქვთ არავითარი, არც ჩუმი და არც ცხადი, გარკვეული გეგმა და შეგნებული სისტემა მოქმედებისა. ხალხი ქმნის ისტორიას, ხალხი ქმნის ცხოვრებას, ხალხი ქმნის ყოველივე დიად აქტს ჩვენი ყოფისას, — ხელოვნებას, პოლიტიკას, სარწმუნოებას; იგი ბადებს გენიოსებს და გმირებს, წინასწარმეტყველებსა და პოეტებს. ბრბო კი არღვევს, ყოველთვის და ყველგან, თვით რევოლუციონურ წესსა და რიგს. დამეთანხებით, რომ რევოლუციასაც აქვს თავისი კანონიერება, რომლის უარყოფა ქმნის სწორედ ანარქიული ბრბოს მოქმედებას. ბრბო რევოლუციის დროს ამახინჯებს რევოლუციის გარკვეულ გეგმას, მის მტკიცე ტაქტიკას და ხელს უშლის მის კანონიერ მსვლელობას, ბრბო ქრისტეს ჯვარს აცვამს და ილიას მოკლავს. ამას ხალხი თავის დღეში არ იზამს, იმიტომ, რომ ხალხი არის მრავალმხრივად განწყობილი და მრავალნაირად მომართული.

გრიშაშვილიც სწორედ ამ ბრბოს, მის „დაბლა ხოხვას“, მის უსუსურ ზიზღს „ღრუბლებისადმი“ წკეპლავს სასტიკად. იგი არაერ-

თხელ ამბობს, რომ მიწის შვილია, დიდი კდემითა და სიმდაბლით ეკიდება თავის მუზას, არავითარ მყვირალა პრეტენზიას არ ებღაუჭება, მაგრამ ის კი არ შეუძლია, რომ უგუნურთა რისხვასა და ზიზღს დაემორჩილოს.

ის კი არა, იმასაც კი ცდილობს, თვით ბრბო შეაყენოს, გამოაფხიზლოს და მისი ლექსი მიაღებინოს, შეათვისებინოს:

„როგორ! მე ლექსი აღარ ვწერო და შენებრ ეგრე
უმიზნოდ ქვეყნად ხალხს ცრემლები შხამად ვასხურო?
როგორ! ოცნების სრა-სასახლე, ციხე სიმაგრე
გავაცამტვერო, ჩემის ხელით გავანადგურო?!
ვაი შენს წადილს! ვაი შენს თავს, ო, უგუნურო!..
დავწერ, კვლავ დავწერ! დავწერ, სანამდე
გრძნობა ფრთასა შლის, სევდა დამსხივის!..
. . . .
არ გამიტყდება კალამი ჩვილი,
რომ იმ პაწია კალმის ნატეხით
მეც გამოვეჭედო ბრძოლის მახვილი“.

ვიმღერებო:
„სანამ ბრბო ჩემს სულს არ შეითვისებს,
სანამ არ მოესპობ ავსულთა ხარხარს.
ვიმღერებ კვლავ ჰანგს, ჰანგს ზე-ქვეყნიურს,
ვიმღერებ, სანამ ოცნება ოხრავს,
ვიმღერებ, სანამ ჩემს ბრძოლის ჩანგურს
საფლავის ჭია ჩაჰკლავს, გამოხრავს!“
(„მგოსნის აღსარება“),

იგი, ვითა მგოსანი, რომლის საბრძოლველი იარაღი ჩანგურია და ბრძოლის მახვილი — „პაწია კალმის ნატეხი“, არ დაემორჩილება ბრბოს უაზრო ყიჟინას, მაგრამ იმღერებს, ვიდრე თვით ბრბო მის ლექსს, — „მის სულს არ შეითვისებს“ და არ გარდაიქმნება მგოსნის მიერ მოხიბლულ ადამიანთა კავშირად. კიდევ უკეთესია მისი უკანასკნელი საუცხოო ლექსი ჟურნალ „გრდემლში“ (№ 2). იგი თითქმის წრესგადასულ სიმშვიდეს იჩენს, როცა შენდობასა სთხოვს მამულს, მისი „მუზა“ რომ ყოველთვის ერთსა ჩმახავს (და ამისი გასამართლებელი მიზეზიც მოჰყავს), და ემუდარება თავის სამშობლოს

„მითხარ რამე, მე ბედით კრულს,
უგზოდ, უკვლოდ, უქმად მავალს,
მითხარ რამე, რომ გავეცნო აწმყოს,

წარსულს და მომავალს, —
მაშინ თვით მეც გარდეიქმნები,
მაშინ მუზაც თვალს გაახელს,
მაგრამ ჯერ კი, გთხოვ სამშობლოვ.
ნუ წამართმეე მგოსნის სახელს“.

სიწრფელით აღსავსე ეს ლექსი უსამართლო თავისდამცირებაა, მაგრამ გულს ხვდება და სიამოვნებით ავსებს კაცს. რამდენად უფრო თავმდაბალია ნიჭით მიმადლებული პიროვნება, მით უფრო ხიბლავს იგი კაცს. რასაკვირველია, მისი სიწყნარე სილაჩრეს არ უნდა ემსგავსოს, მან ყოველთვის უნდა მოიპოვოს გაბედულება და სიამაყე, რომ შეარცხვინოს ბრბო, რომელიც „ისე დასჭანა და დაკნინდა“, „რომ სხვას მიაქვს ჩვენი ერის სიამაყე, წმიდათაწმიდა“; მან უნდა მთელი ენერგიით დასცეს „ხარხარი ავსულთა“, რომელიც „დაბლა ხოხვას“ მიჩვეულა, მაგრამ მან ყოველთვის ქედი უნდა მოიდრიკოს სამშობლოს წინაშე, რომელიც დიადი სიმბოლოა მთელი ერის, მთელი ხალხის მოძრავი შემოქმედების წინაშე. თორემ არ არის მართალი ვითომ გრიშაშვილის მუზა სრულიადაც „ყოველთვის ერთსა სჩმახავდეს“. მის ლექსთა კილო ერთია, მისი განწყობილება ერთია, როგორც ყოველი ნიჭიერი მწერლისა, მაგრამ იგი „ერთი“ სხვადასხვაგვარ სამოსელში გვევლინება და ეს სამოსი ძალზე გამჭვირვალეა. ზოგიერთი მისი ლექსის სიღრმე (მაგალითად, „ოცნების კოცნა“) იმდენად ღრმაა, ისეთი ფილოსოფიური კოსმოგონიური აზრებით არის აღსავსე, რომ კიდევაც გაოცებული ხართ, საიდან, რომელი წყაროდან, რა საშუალებით მიაღწია გრიშაშვილმა ამ სიმაღლეს. მაგრამ აქ წერტილი უნდა დავსვათ, ვინაიდან ჩვენ წინ აღიმართება ფრიად დიდი და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი შემოქმედების ფატალური ხასიათის შესახებ, მისი ქვეცნობიერი წარმოების გამო, მისი ინსტინქტური ნაკადის შესახებ. ეს კი ვრცელ და საგანგებო გამოკვლევას თხოულობს.

გრიშაშვილის ლექსთა განხილვა ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ იგი ნიჭით მიმადლებული მგოსანია, რომელმაც ახალი ელემენტები შეიტანა ქართულ მდიდარ პოეზიაში და არაჩვეულებრივი მხიარული კოცნისა და ბედნიერების ნაშობი, სხივოსანი კილო შექმნა. მან, შანშიაშვილთან ერთად, გაამდიდრა ჩვენი პოეზიის ლექსიკონი და მისი ტექნიკური მხარეც გაამრავალფეროვნა. მაგრამ ყოველი ცხოველი ნიჭი ადამიანისა ყველაზე მეტად თხოულობს განვითარებასა და წინ-

სვლას. თუ ამ მხრით შევხედავთ გრიშაშვილის ლექსებს და უბრალო მომაკვდავის პროგნოზს გავუკეთებთ, მეშინია, რომ იგი ერთ ადგილას არ შეჩერდეს. მისი „ოცნების კოცნა“, ერთი მისი პირველ ლექსთაგანი, ყველაზე უმჯობესია მის თხზულებათა შორის. მართალია, მისი უკანასკნელი ლექსები, თუნდაც მოხსენებული „სამშობლოს ნანგრევებში“, გვარწმუნებენ, რომ მის ნიჭს არა დაუკარგავს რა, მაგრამ არც არა მომატებია რა: გრიშაშვილის ნიჭი კი ისეთი თვისებისაა, რომ იგი აიტანს ზრდისა და განვითარების ცდას. ეს ცდა კი მის ხელთ არის და მარტო იგი იქნება პასუხისმგებელი, თუ განგებისაგან მინიჭებული ნიჭი, ტალანტი, იესოს იგავის უგუნურ მონასავით მიწაში უსარგებლოდ ჩაფლა.

48. ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა

ჩვენი სცენის მოღვაწეთა ყრილობამ, რომელიც უნდა მოხდეს კვირას, ამა ივნისის რვას, ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, უნდა გააკეთოს თავისი პირდაპირი საქმეები. დღეს ჩვენს თეატრს, სცენას, რეპერტუარს მრავალი საჭიროება აქვს: ჩვენ არა გვაქვს სკოლა მსახიობთა აღსაზრდელად, აქამდე ვერ დაგვიარსებია კასა, ვერ შეგვიდგენია მცირე ფონდიც კი მოხუცებულ და ავადმყოფ სასცენო მოღვაწეთა უზრუნველსაყოფად; ჩვენი სცენის ენა არაა წმინდა ქართული; ჩვენი რეჟისურა ძალზე დაქვეითებულია; არ არის მოწესრიგებული დრამატიულ საზოგადოებათა ურთიერთობა და მათი დამოკიდებულება მსახიობებთან; სოფლის მოთხოვნილება სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული; ჩვენ აქამდე ვერ მოგვიხერხებია, რომ ერთორ კაცს მივცეთ საშუალება გაიცნონ რუსეთისა და ევროპის საუკეთესო სცენები, — ერთი სიტყვით მრავალი საკითხია დღეს წამოყენებული ჩვენი თეატრის განვითარებისა და წარმატებისათვის, და თუ ზოგიერთი მაინც მოაწესრიგა და გადაწყვიტა ქართული სცენის მოღვაწეთა პირველმა ყრილობამ, მეტად დიდი საქმე იქნება.

ყრილობამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს თავისი დანიშნულება; ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის არის ყრილობა ქართული სცენის მოღვაწეთა, მისი საქმეა ამ სცენის ბედის გაუმჯობესება, ამ სცენის ინტერესების დაცვა. ყრილობა სათეატროა, სასცენო — ამით უნდა შემოიფარგლოს მან თავისი მოღვაწეობა და სამუშაო გეგმა. მაგრამ, ამასთანავე, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენი თეატრის ყველა დღევანდელ საჭიროებას ერთბაშად ვერ მოუვლის და ყველა საკითხს ერთი შეკრებით ვერ გადაწყვეტს; უმჯობესია, ყრილობამ სამიოდე საგანი აიღოს, გაარკვიოს და მოაწყოს, ვიდრე ყველაფერს ჩასჭიდოს ხელი და ერთიც კი არ დააბოლოოს.

ეს აუცილებელი პირობაა, ჩვენი ღრმა რწმენით, რომ ყრილობის მუშაობა იყოს ნაყოფიერი და სერიოზული. მაგრამ ყოველივე ამასთან, და მიუხედავად ამისა, უნდა აღვიაროთ, რომ ქართული სცენის

მოღვაწეთა ყრილობას დიდი საზოგადოებრივი, საზოგადო ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს, თეატრი განყენებული, განცალკევებული დაწესებულება არაა; იგი ყველაზე უფრო ცოცხალი, ხალხური დაწესებულებაა, რომლის არსებობა და წინსვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ხალხის, ფართო მასის და წრეების კულტურულ, ზნეობრივ და გონებრივ დაწინაურებასთან. სათეატრო საქმე პირდაპირ სახალხო საქმეა!

გარდა ამისა, აი რა არის ფრიად საგულისხმო: ჩვენ პოლიტიკურად ძლიერ შეზღუდულნი ვართ, არ შეგვიძლია შევიკრიბოთ პოლიტიკური საკითხებისათვის, ვიკამათოთ პოლიტიკურ საგნებზე და ამით უზრუნველვყოთ ჯეროვანი საზოგადოებრივი მომზადება, დისციპლინა, ტაქტი. ასეთ პირობებში განსაკურთებული ინტერესით უნდა ვესარგებლოთ ისეთი კულტურული კრებით, როგორიცაა სასცენო მოღვაწეთა მომავალი ყრილობა. ამ ყრილობაზე თავს მოიყრიან ჩვენი ძვირფასი კულტურულ-ეროვნული დაწესებულებების წარმომადგენლები ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან,—და ეს მშვენიერ საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისათვის აზრებისა და ფიქრების გასაზიარებლად, ერთიმეორესთან დასაახლოვებლად, საერთო კამათითა და მსჯელობით საზოგადო აზრის შესამუშავებლად.

დეე ქართული სცენის მოღვაწეთა პირველმა ყრილობამ იმუშაოს თავის განსაზღვრულ ფარგლებში, მაგრამ ყოვლად უეჭვოა მისი ფართო საერო მნიშვნელობა, ამიტომ სრული თანაგრძნობით და ხალისით მივეგებოთ მას ყველანი!

49. დიდი წიგნი

ეს სამი დღეა ჩვენს გაზეთში ისტამბება წერილი ივანე ჯავახიშვილის ახალი წიგნის — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ შესახებ. ეს წერილები ეკუთვნის ი. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ქართული ისტორიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს ვ. ბერიძეს. ეს შესანიშნავი წიგნი იქ სავსებით შეფასებულია მეცნიერული მხრით.

ჩვენ გვინდა ამ „დიდი წიგნის“ შესახებ ჩვეულებრივი უბრალო მკითხველის გრძნობები გამოვთქვათ. მშვიდმა და წყნარმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც სწორედ ჩვენი შესანიშნავი წმიდა მამების (გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის და სხვ.) ენერგიითა და თავგანწირულებით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას— ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კვალს დაასვამს მთელ ჩვენს აწმყოსა და მომავალს. ამ სრულიად უბრალო და უპრეტენზიო სათაურის ქვეშ იშლება სურათი საქართველოს გონების განვითარებისა, და მთელი ჩვენი ქვეყანა თავისი ბედნიერებითა და უბედურებით, თავისი ძლევამოსილებით და ტანჯვით თქვენს წინაშე დგას. ეს წიგნი იმ წიგნთა შორის უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ქმნიან ეპოქას ერის ცხოვრებაში.

ამ წიგნის წყალობით გამთელებული და მშვენივრად გაჭედილია ის გაწყვეტილი რგოლი, რომელიც სამარადისოდ და საფუძვლიანად გვაკავშირებს წარსულთან; მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვენი სულის საგანძურის თვით უბნელესი კუთხეები ჯადოსნური ხელის შეხებით იღვიძებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ხალხის კულტურა და კულტურის გამჭედელნი იქ მიძინებულნი იყვნენ... და აი, მოვიდა სასწაულმოქმედი მეცნიერი და ყველა ეს მკვდრეთით აღადგინა და სასიცოცხლოდ გამოიწვია.

მე ერთი უბრალო, ჩვეულებრივი მკითხველი ვარ ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ყოველივე ძლიერი, ლამაზი, სიცოცხლის მაჩვენებელი მახარებს, ხშირად პატარა ნასახიც ამგვარი რისამე ბედნიერებას მანიჭებს, მაგრამ, უნდა მართალი ვთქვა, ილია

ჭავჭავაძის „განდეგილს“ მერე არ მახსოვს ჩემზე რომელიმე დარგის რომელიმე ნაწარმოებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს; ეს ნაშრომი სწორედ მკვდრეთით აღდგენაა ჩვენი მივიწყებული წარსული ცხოვრებისა. ჩვენ ჩვენი წარსული, როგორღაც ზეპირგადმოცემით, ინსტინქტურად გვიყვარს, ვერც კი გამოგვირკვევია, ვერც კი გაგვითვალისწინებია კარგად მისი ავლა-დიდება. ეს წიგნი კი ამ წარსულს თქვენ თვალწინ აცოცხლებს და ამეტყველებს, თქვენ წინ გაატარებს ამ წარსულის ბურჯებს, მის გენიოსურ გამომხატველებს, გიორგი მთაწმინდელია იგი, თუ ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსია, თუ თამარ მეფისა, ვახუშტი ბაგრატიონია, თუ იოანე საბანისძე; ეს წიგნი ნათელჰყოფს მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრების დამარცხებისა და გამარჯვების ხანას — იგი განუწყვეტელი სიცოცხლით აღსავსე სურათად მიმდინარეობს თქვენს წინაშე და ჩვენი საისტორიო, სამეცნიერო მწერლობის ზრდა და განვითარება უტყუარი გამომსახველი ხდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა, იგი მისი სარკეა, რომელშიც ხედავთ ჩვენს ისტორიას მთელი თავისი სიღრმითა და სიგანით.

„ქართული საისტორიო მწერლობა მის შემდგომ, რაც VIII საუკუნეში წარმატება დაეტყო, — ბრძანებს ჩვენი ისტორიკოსი თავის შესავალში, — აღარ შეჩერებულა და იოანე საბანისძისგან მოყოლებული თანდათან შეუფერხებლივ წინაურდებოდა... ხოლო მე-XI—XII საუკუნეში ისეთი სამაგალითო ძეგლები იყო შექმნილი, როგორიცაა, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების შრომანი.

ეს იყო ხანა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების აყვავებისა, მაგრამ სამაჰმადიანომ ჩვენი ცხოვრება საბედისწერო გზაზედ დააყენა და დაიწყო ჩვენი გონების ნაყოფის შემსუბუქებაც.

მე-XIII-ე საუკუნის ძეგლები ცოტაა შენახული, მაგრამ რამაც ჩვენამდე მოაღწია, ქართულ საისტორიო მწერლობის უკვე ჩამოქვეითების მომასწავებელია. მაინც XIV საუკუნეში ქართულ ჟამთაღწერილობას ჯერ კიდევ საკმაო ძალა შესწევდა, რომ წინაპრების ტრადიციისათვის არ ეღალატნა, და... მე XV — XVI-ე საუკუნეების მწერლობა კი ქართული საისტორიო მწერლობის დაქვეითების უტყუარი სურათია...

ქართული საისტორიო მწერლობის ამაზე საშინელი დაცემა და დაქვეითება წარმოუდგენელია... გადის დრო და ერის გენიოსობა

კვლავ ფრთებს ისხამს, პოლიტიკური ცხოვრება თითქო გაუმჯობესების გზას ადგება და თანაც მე-XVII ს. მეორე ნახევრიდან ქართულ ისტორიათა აღმწერლობა კვლავ გამოცოცხლდა და თანდათან ისე აღორძინდა, რომ მე-XVIII-ე საუკ. მან თუმცა იმ უაღრეს განვითარებამდის ვეღარ მიაღწია, როგორც მე-XI — XII საუკუნის ქართველი გამოჩენილი მეცნიერი-ისტორიკოსები ბრწყინავდნენ, მაგრამ ეგოდენ დიდებული მეცნიერი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი წარმოშვა, რომელსაც ძველ დროს მხოლოდ ეფრემ მცირე თუ შეედრება".

აი მთელი ხატება ჩვენის წარსულისა, რომელიც გასაოცარი მეცნიერულ-მხატვრული ნიჭით აქვს აღსრულებული ავტორს. მარტო მეცნიერება ვერ შეძლებდა მას, რაც შეძლო ღრმა და თავგანწირულმა სიყვარულმა მამულისამ; მარტო მეცნიერი როდი კმაროდა, კეთილშობილი და თავგადადებულად სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი იყო საჭირო, რომ ასეთი წიგნი მოეცა, მოეცა ასეთი ცხოველი სურათი წარსულისა. ამის მიზეზია ის, რაც ასე მშვენივრად აღნიშნა ვ. ბერიძემ თავის წერილებში: „ივ. ჯავახიშვილი როდი წაგავს ზოგიერთს, რომელსაც საქართველო... მარტოოდენ არქეოლოგიური კვლევა-ძიების უსულო ობიექტად გაუხდიაო". საქართველო მისთვის ცოხცალია, საყვარელი ძვირფასი არსებაა, ის მას დასტრიალებს არა როგორც გულგრილი დოსტაქარი, არამედ როგორც მოსიყვარულე დედა, რომლის გრძნობას სასწაული შეუძლია შეჰქმნას.

XII საუკუნის ჩვენი კულტურის განახლება მარტო XIX საუკუნეში შეიქნა შესაძლებელი; საკმაო იყო ქართველობას მიეღო სულ პრიმიტიული პირობა მშვიდობიანობისა და გარეშე მტერთაგან უზრუნველყოფილიყო ფიზიკურად — რომ მისი კულტურული ძლიერების ენერგია აღმოხეთქილიყო და ლიტერატურაში შოთას ნაკადი განეცხოველებია: ილია და აკაკი ეს არის ჩვენი განახლების უტყუარი საბუთი! მათი სახით ჩვენ გვერდში ამოვუდექით ევროპის კულტურულ ქვეყნებს.

მაგრამ სხვა დარგებში ვკოჭლობდით, თითქო კიდევ ვერ გაგვეშალა ჩვენი ძალი და ღონე. ეფრემ მცირეს, გიორგი მთაწმინდელის სამეცნიერო ღვაწლის მკვდრეთით აღდგენა ივ. ჯავახიშვილს ხვდა წილად. და თუ იგინი მაშინდელ სამეცნიერო მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებენ, იმასვე აღასრულებს დღეს ივ. ჯავახიშვი-

ლი, და მისი შრომა შეურყეველი დამამტკიცებელია იმისი, რომ ქართველები სამეცნიერო დარგშიც ისეთი ნიჭით არიან ძლევამოსილნი, როგორც პოეზიაში.

XI-XII საუკუნეთა ჩვენი საისტორიო მეცნიერების განმაახლებლად აწ ივ. ჯავახიშვილი უნდა ჩაითვალოს და მისი ისტორიული ღვაწლი მარტო იმ დროის დიდებულ მოღვაწეთა ღვაწლს უნდა შეედაროს. ივ. ჯავახიშვილი თავისი წიგნის შესავალში ბრძანებს: „ქართულ მწერლობას საკმაოდ ყავს ღვთიური ნიჭით აღბეჭდილნი ისტორიკოსები, მაგრამ მათ შორის შეუდარებელი ბრწყინვალებით მოსილია გიორგი მთაწმინდელის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირის და ბატონიშვილ ვახუშტის სახელები". ამ წიგნის შემდეგ ამ სახელებს უნდა მიემატოს ივ. ჯავახიშვილის სახელიც და მისი ადგილი ეფრემ მცირეს გვერდით უნდა ამოვაყენოთ...

მე გამოვთქვამ ჩემ შთაბეჭდილებას, შთაბეჭდილებას ჩვეულებრივი ადამიანისას და უფლება არ მაქვს შევეხო მეცნიერულ მხარეს ნაწარმოებისას, მაგრამ ვისაც კი ერთი ბეწო გაგება აქვს მეცნიერული მეთოდისა, ამ წიგნში ნახავს აუარებელ მაგალითებს ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ნიჭისას, ის ნაზი, მაგრამ მკვეთრი ხელით და შეუბრალებლად არღვევს მრავალ შაბლონურ და გაბატონებულ შეხედულებას ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში და ქმნის ახალ მეცნიერულ საფუძვლებს („ქართლის ცხოვრების", „წმ. ნინოს ცხოვრების" შესახებ და სხვ.), მისი წიგნი გადაიქცევა, ჩემი შეხედულებით, ცხოველმყოფელ წყაროდ ჩვენი ისტორიის და კულტურის დიადი და მრავალი პრობლემის გადასაწყვეტად: ასეთია, მაგალითად, ჩვენში საეროვნო აზრთა ჩასახვა და განვითარება, ასეთია წმინდა ლიტერატურული პრობლემა — ჩვენში ლიტერატურული ტეხნიკის განვითარებისა და სხვა მრავალი.

ნეტავი იმ ახალგაზრდას, რომელიც აღიზრდება ივ. ჯავახიშვილის შრომებზე („ქართველი ერის ისტორია", ზემოხსენებული თხზულება და მრავალი სხვა).

მე კი არ შემიძლია არ დავამთავრო ეს წერილი იმავე სიტყვებით, რომელიც გრ. ორბელიანმა წააწერა „დროების“ იმ ნომრებზე, რომლებშიაც ყაზბეგის „ელგუჯა“ იყო დასტამბული, და რომელიც ა. ყაზბეგისადმი იყო მიმართული, ვინაიდან დარწმუნებული ვარ ნიჭით მომადლებული მგოსანი ჩემსავით ექსტაზში იყო როცა იმას სწერდა:

„ღმერთმა გაკურთხოს, ჯავახიშვილო, გულის იმ დატკბობისთვის, რომელიც მომეცა ამ ნაშრომის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა“.

50. მებრძოლი მგოსანი

კვლავ ჩამოკრა გლოვის ზარმა და საქართველოს სახელოვანი ჩანგის ერთი სიმი კიდევ გაწყდა. მგოსანი ირეოდიონ ევდოშვილი გარდაიცვალა. სხვა დროს, სხვა პირობებში, ეს ცნობა მეტად აგვაღელვებდა, შეგვაძრწუნებდა, მაგრამ დღეს მან ვერ იქონია ისეთი გავლენა, როგორიც ექნებოდა მაშინ, როცა ჩვენს თავზე შავი ყორანი აღარ იჩხავლებდა და გლოვის ზარი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში ყოველ დღე აღარ დაირეკებოდა.

მოკვდა აკაკი, დავკარგეთ ვაჟა, მიწას მივაბარეთ ნ. ლომოური; და იქით კი, სამშობლოს გარეთ, ვინ იცის, რამდენს გაეთხარა „ძმური სამარე“ და რამდენი დედა თუ ოჯახი შეიმოსა შავი ძაძებით!

ჩვენი ხალხი შეეჩვია გლოვას, შეეჩვია „ტანჯვას სული და გული“, და ამიტომაც ევდოშვილის უდროოდ დაკარგვა ისე მწარედ, ისე სასტიკად, ისე მტკივნეულად ვერ იმოქმედებს, როგორც მოსალოდნელი იყო.

მაგრამ, ამის მიუხედავად, მშრომელი ხალხი, რომლის საუკეთესო მგოსანთაგანი იყო ირეოდიონი, იგლოვებს თავის მედროშეს, მისი გაჭირვების მოენეს, მისი გოლიათური ბრძოლების და იმედების დროებით ჩაფუშვის მომსწრის განშორებას.

თუკი ევდოშვილი დღემდე იყო მისი მგოსანი, განა ახლა დაივიწყებს მას მადლიერი ხალხი? თუკი დღემდე ზეპირად ამბობდა იგი მის ლექსებს, განა ახლა შეიძულებს? თუკი დღემდე მღეროდა „წინ, წინ გასწით მეგობრებო“-ს, განა ეს მოწოდების და გამხნევების მოტივი ახლა შეეშლება? თუკი დღემდე იგი ისმენდა მომავლისაკენ იმედიან წინასწარმეტყველებას, განა ახლა დაივიწყებს მას შრომის ლაშქარი? თუკი დღემდე იასა და ვარდს უფენდა ფეხქვეშ და მისი ლექსების კითხვას გრგვინვისებური ტაშით აგვირგვინებდა, ახლა იტყვის უარს თავის მგოსანზე?

ევდოშვილი მით უფრო საყვარელია ჩვენთვის, რომ მისი „ჩანგის ჟღერა“ იყო გმირული გამოძახილი.. მის ჩანგს არ ჩვევია წუწუნი, ტირილი და მოთქმა. ამ მხრივ იგი ხალხის ნამდვილი შვილია,

რომლის ნამდვილ ქართულ სიმღერებს მედგარი სულის, ძლიერების და გამბედაობის დაღი აჩნია.

როგორც ვთქვით, ევდოშვილი უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა ხალხს. და მაშინ მისი სიმღერა აღსავსე იყო გაზაფხულის სხივებით. იგი მომსწრე იყო მისი დამარცხების, და მაშინაც მისი სიმღერა მხნე და იმედიანი ჰარმონიით იყო შეხამებული. პირადმა ტანჯვამ, მწუხარებამ და გაჭირვებამ ვერ შესცვალა მისი რკინის გული და ისე ჩავიდა საფლავს, რომ სასომიხდილად არ ამოუკვნესია. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მებრძოლის სიტყვა. ირადიონ ევდოშვილი — მებრძოლი მგოსანია.

51. ბონს მოდით!

ერთი აყალ-მაყალია, ერთი ყაყანია, ერთი დავიდარაბა!!!

დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

კიტა აბაშიძე ვინ არის, რომ ვინმეს აინტერესებდეს, მაგრამ კიტა აბაშიძეს ხომ ფედერალისტებთანა აქვს დამოკიდებულება. თუ კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, გაიძახის ბ. შაბლონი, მაშასადამე, ფედერალისტებიც ფუტურისტებია, — ჰკა მაგათო!

ამით ვაცხადებ, რომ კიტა აბაშიძე ფუტურისტი არ არის:

პირველათ იმიტომ, რომ ორმოც წელიწადს გადაცილდა;

მეორეთ იმიტომ, რომ ორმოცდა ხუთ წელიწადს გადაცილდა;

მესამეთ იმიტომ, რომ თითქმის ნახევარ საუკუნეს ატარებს თავის ბეჭებზე!

კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სად არიან ჩვენში ფუტურისტები, ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერ ყანწების“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“, მაგრამ ვთქვათ, რომ ბ. შაბლონს სურს ერთ ყაიდაზე ჩამოაყალიბოს ყველა ლიტერატურული მიმართულება. რაში გამოიხატა ჩემი ცოდვა?

განა შემიძლია თანაგრძნობით არ მოვეკიდო იმ მწერალთა ჯგუფს, რომელთა შორის არიან: გრიშაშვილი, რობაქიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ჭუმბაძე, ტაბიძე და სხვ. და როდის იყო, რომ მათ თანაგრძნობით არ ვეკიდებოდი. გადაათვალიერეთ ჩემი ნაწერები: უკვე 1909 წელს აღვნიშნე და მივესალმე მე ჩვენი პოეზიის ახალ მიმართულებას, და შანშიაშვილისა და გრიშაშვილისათვის თვით ჩვენს დალოცვილ ქუთაისის თეატრში სკანდალი ამიტეხეს ჩვენმა ესდეკებმა, თუმც მათვე მიმიწვიეს ამ ლიტერატურულ დისპუტზე. ასეთი ყოფილა ჩვეულება ქუთაისში, როგორც ჰგავს.

ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმაჩნია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომწონდეს „ცისფერ ყანწებში“! — **არა, არ მომწონს:** ყველაზე პირველად იმიტომ, რომ ზოგიერთი დებულება ყოველივე ესთეტიკის წინააღმდეგია, და როგორც ლიტერატურის მოყვარულს, ის, რაც არღვევს მშვენიერებას, მეზიზღება და ღრმადა მწამს, ყოველი ანტიესთეტიური მოვლენა, იმავე დროს, ანტისოციალური მოვლენაა.

მაგრამ ამის შესახებ ვრცელ წერილს ვწერ და იმედი მაქვს მოვათავსებ რომელიმე გაზეთში, — აქ კი ამით გავათავებ ლაპარაკს.

ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისწერო საღამოზე: „ნუ ავიგდებთ ამ მწერლებს აბუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანწებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგიერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენშიმეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის, ახალი ძნელი შესათვისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას; მხოლოდ ყველაფერი კი არ უნდა მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი კი დავგმოთთქო“. ამაზე უფრო მეტი შაბლონური, კაცის ენას არა წარმოუთქვამს რა, და არც შეეძლო ამაზე ნაკლები ეთქვა ვისმე, ვისაც კი ლიტერატურის პატივისცემა აქვს.

გაზეთებმა, რასაკვირველია, ჩემი სიტყვები თავის გემოზე დაასახიჩრეს.

და აყაყანდა ბ. შაბლონი.

მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ჩვეულებრივი ხრიკებია ჩვენი მტრების... გონიათ, რომ „ცისფერი ყანწების“ მწერლები ფედერალისტები არიან, თუმცა იქ არიან ისეთები, რომელნიც ფედერალისტებს პირველ ხეზევე სიამოვნებთ ჩამოახრჩობენ, რომ შეეძლოთ.

თუ ფედერალისტთა ჟინი არ ამოქმედებს ამ ვაჟბატონებს, რატომ „ზაკავკაზსკაია რეჩზე“ არას ლაპარაკობენ.

ის ხომ ყველაზე უწინ დიდი სიამოვნებით და თითქმის აღტაცებით შეხვდა „ცისფერი ყანწების“ გამოსვლას და დღესაც თითქმის ყოველ ნომერში სტამბავს იქედან გადათარგმნილ ლექსებს...

გაზეთ „მეგობარში“ სკანდალის ამბავი „ფუტურისტთა“ სასარგებლოდ იყო აღწერილი. ვაცხადებთ, რომ ეს შენიშვნა დაიწერა ჩვე-

ულებრივი წესით და სარედაქციო კოლეგიას იგი არ განუხილავს; რომ განეხილა არ დასტამბავდა იმიტომ, რომ... „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ყველაზე უფრო სასაცილოა ის, რომ ზოგიერთი ვაუბატონი გაეოდის „ცისფერი ყანწების“ მწერალთა ლიტერატურული ეთიკის მასწავლებლად და აღშფოთებულია მათი საქციელით...

აქ კი წერტილს ვსვამ!

52. ილია და აკაკი

(მოძღვარი და წინასწარმეტყველი) [1]

აკაკის დიდებულმა დასამარებამ ცხადჰყო, რომ ქართველ ერს ეს ორი სახელი — ილიასი და აკაკისა — განუყრელად, განუშორებლად აქვს დასვენებული მის სამლოცველო სახატეში.

ის ვინც ეცდებოდა ამ ორი სახელის განცალკევებას, ერთიმეორის დაპირისპირებას, უეჭველად მოლიპულ გზას დაადგებოდა და თვითვე იგრძნობდა, რომ ფეხი წაუსხლტებოდა თუ დროზედ თავს არ შეიმაგრებდა. ეს ორი სახელი დიად მოძღვართა ქართველი ერის გენიოსობამ, ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების ქარტეხილმა ერთად შეაკავშირა, შესჭედა — მათი განშორება ვერ შესძლო თვით ყოვლის დამამხობელმა სიკვდილმა.

*

საერთო თვისება, არსებითი ხასიათი ილიასა და აკაკის მწერლობისა არის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა და წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, — ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვებს.

ავიღოთ დიდებული ქართველი ლირიკოსი ნიკო ბარათაშვილი— ეს გენიოსი ქართველის ტანჯვისა და ნაღვლისა; შეუდარებელი გამომხატველი ქართველის დასევდიანებული გულის კვნესისა, — იგი ნამდვილი და ჭეშმარიტი გამოძახილია ხუნდებგაყრილი ქართველის არსებისა. მართლაცდა, იგი სწორუპოვარი, ცხადი ხატებაა მონობით დაქანცული, ქანცგაწყვეტილი ქართველის გულის და სულის ოხვრა-ვაებისა.

მაგრამ ბარათაშვილი მაინც ამ ფარგალს ცრემლთა ღვრისას, გოდებისას ვერ გასცილებია. მას ვერ გამოურკვევია და ვერ შეუგ-

[1] უნდა წაკითხულ ყოფილიყო 25 მარტს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ აკაკის სახსენებლად გამართულ დილაზე, მაგრამ ავტორის ავადმყოფობის გამო ვერ იქნა წაკითხული.

ნია ნამდვილი მდგომარეობა ერისა, სამშობლოისა და ინსტინქტიურად, ფატალურ ძალთა ზეგავლენის ქვეშ, ვით ებრაელთა წინასწარმეტყველი, „დაჯდა მტირალი და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა“. ბარათაშვილი იმ დროის შვილია, როცა საქართველო უდიდეს უბედურებას განიცდიდა.

თვით უსაშინელესი მდგომარეობა დაავადებული ორგანიზმისა, — საზოგადოებრივია იგი ორგანიზმი თუ კერძო ადამიანისა, — სწორედ მაშინ არის, როცა იგი გამოურკვეველია, როცა ბურანშია, გრძნობა დაჩლუნგებული აქვს, გონება — დაბნეული.

ნიკო ბარათაშვილის ეპოქა ასეთი იყო.

ერს მაშინ წარმოდგენილი არა ჰქონდა ნათლად თავისი უბედურება. ტემპერატურა ჩვენი ეროვნული ორგანიზმისა ძალზე აწეული იყო — როცა მსჯელობა შავი აჩრდილით დაჩრდილულია, ხოლო მაჯის ცემა ისე მისუსტებული, რომ თვით ფაქიზი და გენიოსურად მახვილი სმენა ბარათაშვილისა ყრუდ მოსჩანდა მის წინაშე. ჩვენი სევდის მგოსანს ნათლად ამჩნევია ბეჭედი ამ შავ-ბედი დროისა და მის შემოქმედებას ცხადად აკრავს დაღი ამ საშინელი ეპოქისა.

აქა-იქ გაუბედავად, კანტი-კუნტად თუ გაისმის მის კვნესაში გარკვეული რამ, მაგრამ ისე მქრალად, ისე ჩუმად, რომ ეჭვი გებადება და სრულიად საფუძვლიანი ეჭვი: ჰქონდა თუ არა გათვალისწინებული ტანჯულ გონებას და „მახვრალ სულს“ მგოსნისას „სატრფო ავადმყოფის“ მდგომარეობა.

აი თვით ცხადი, თავზარდამცემი საბუთი და სურათი მაშინდელი ჩვენი ვითარებისა: ბარათაშვილის „სულით ობოლ“ ნიჭისთვისაც კი არ იყო ნათელქმნილი, ვინ და რა იყო ის „ბოროტი სული“, რომელიც სულსა და გულს უშხამავდა მასა და მის მშობელ ერს: ვინ და ან რა იყო ის „თვალბედითი შავი ყორანი“, რომელიც საქართველოს და მისი მგოსნის ცხოვრებას საბედისწეროდ დასჩხავოდა?

ერთგვარი ატროფია, ერთგვარი გრძნობათა და აზრთა მოდუნება იყო მაშინ გამეფებული.

ასეთი მდგომარეობა ყოველგვარი ორგანიზმისა, თავისთავად კრიტიკული, იმდენად მტანჯველი თითქო არც კი არის, ვინაიდან თუ გრძნობა შენი შებოჭილია სენით — ვეღარც კი გრძნობ მწარე ტკივილებს, ამ სენით გამოწვეულს, მაგრამ ყოველ ავადმყოფობას აქვს თავისი კრიზისი, თავისი საბედისწერო მომენტი, რომლის შემდეგ

ხნეული ან პირს იბრუნებს სიცოცხლისაკენ, ანდა სისწრაფით დაექანება ცივსა და ნესტიან სამარისაკენ.

ილია და აკაკი სწორედ იმ დროის შვილები იყვნენ, როცა საერთოვნო ორგანიზმმა ამ კრიტიკულ ხანას ვადაატარა. სიკვდილს გადარჩა და სამშვიდობოსკენ მოიხედა, გრძნობაზე მოდიოდა.

თანაც ტკივილები, სევდა და ვარამი თითქო უფრო მწვავე, უფრო მტანჯავი შეიქნა, ვინაიდან ეხლა დასნეულებული ორგანიზმი გონებაზე მოსული იყო და ყველა ამას გრძნობდა და განიცდიდა მტკივნეულობით.

მაინც და მაინც ავადმყოფი მორჩენის გზას დაადგა და ამის უეჭველი სიმპტომები გამოაჩნდა; ძლივს შესამჩნევი, მაგრამ მაინც კიდევ დაეტყო საიმედო, სასოების აღმძვრელი ნიშნები გამომრთელებისა.

რასაკვირველია, ამგვარი სენით შეპყრობილ არსებაში ჩამარხულ იდუმალ ძალთა აღორძინების შეგნება და შემჩნევა მარტოოდენ დიადი გონების, დიადი ნიჭის აქიმს შეეძლო, მისი სენის დიაგნოზი და პროგნოზი მხოლოდ ღვთაებრივად დაჯილდოებული გულის მესაიდუმლეს ეკუთვნოდა, და ამგვარი იყო სწორედ ეს ორი პიროვნება, ორი კორიფეი ჩვენი ლიტერატურისა: ილია და აკაკი.

მათ ჩანგში გაისმა პირველად მძლავრი და მომხიბლავი წინასწარმეტყველება და მოძღვრება, რომელიც საქართველოს შვილს წარსულის ცეცხლზე ანთებული ლამპარით მომავლის გზას უნათებდა.

ჩვენს ღვთივ კურთხეულ მოძღვრებს შუბლზედ აქვთ მკაფიოდ გამოსახული სხივოსანი შარავანდედი მოძღვრისა და წინასწარმეტყველისა. ჩვენი აწმყოთი იგინი გულდათუთქულნი და გულმოწყლულნი არიან; სამართლიანად შეეძლოთ გაემეორებინათ ამ აწმყოს შესახებ იერემიას სიტყვა: „განმაძღო მე სიმწარითა, და მათრო მე ნაღვლითა“-ო.

და იმეორებდნენ კიდევაც:

„ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია“ —

აკაკი არ ამბობს ამას?

იგინი ჩვენს დღევანდელ ვითარებას ამათრახებენ და ვით სასტიკი ჰიეგოვა წყევლა-კრულვით იხსენიებენ ჩვენს დღევანდელ ყოფას. „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრული“ მოძღვარი „ფურთხის ღირსა-

დაც“ კი ჰხდის იმ საქართველოს, რომელიც დაცემულა, „გდია ვით მკვდარი, და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება“.

მეორე კი, თავის „აჩრდილსა“ და „განდეგილში“, ისეთ სურათს მოგვცემს ჩვენი ეხლანდელი გათახსირებისა და დაღუპვისას, რომ ადამიანი თავზარდაცემული რჩება რამოდენიმე ხანს. და ეს სურათები გაგონებენ სწორედ ებრაელთა წინასწარმეტყველებს, გაგონებენ სასტიკ უფალს ისრაილისას, რომელიც მეხთა მტეხის რისხვით აძაგებს მის მიერ რჩეული ერის ზნეობრივ დაკნინებას.

საქართველოს შვილს „დღეს არც კი სწამსო სამშობლოს აღდგენა“ და იგი „დაუგდია ვით ტაძარი გაუქმებულიო“.

საქართველო გავერანებულია, აოხრებული, გატიალებული ყოველნაირად.

„აქ არ ვის დიდსა, თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დავიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული“

და მგოსანი ამნაირ უცნაურ საყვედურსა და ბრალდებასაც კი არ დაიშურებს თავის ერისათვის:

„გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას
დაგინგრევიათ დიდი მამული
. . . . . .
თქვენგან გმობილი უცხოს კალთის ქვეშ
ვითა ობოლი შეფარებულა“

ეს გრძნობა დღევანდელობის უარყოფისა უაღრეს წერტილამდეს არის მიყვანილი „განდეგილ“-ში, სადაც სააქაოს სწყევლის „ვით ცოდვის სადგურს“.

„ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა,

განშორებულა ამ წუთი-სოფელს,
სად ყოველი ნიჟი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა...“

ამაზე უფრო ძლიერი ხომ იერემია წინასწარმეტყველსაც არა უთქვამს რა.

გავიხსენოთ მისი წინასწარმეტყველების ადგილები და ვნახავთ, რომ ჩვენს შედარებაში გადაჭარბებული არა არის რა.

„კაცადი მოყვასისგან თვისისა ერიდენით, და ძმათა თქვენთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი

„ძმა წიხლითა წიხლვიდეს და ყოველი მეგობარი ზაკულად ვიდოდის

„კაცი ძვინად მოყვსისა თვისისა მოიცხარობს, ჰეშმარიტებაი არა თქვას; ასწავა ენამან მათმან თქმაი ტყუილისა. მიხუჭდეს და არა მოაკლდეს მიქცევად.

„ვახში ვახშსა ზედა, ზაკვაი ზაკვასა ზედა,
არა ინებეს ცნობაი ჩემი — იტყვის უფალი“

ხოლო არცერთი ჩვენი მოძღვარი, დღევანდელი სიმწარის სავსებით შემგნები, მომავლის სასოებასა და რწმენას არა ჰკარგავს — ვით ებრაელთა წინასწარმეტყველნი.

იგინი მყობადის შესახებ იმედებით აღვსილნი არიან, შარავანდედით მოსილ სასოების გაშლილი ფრთებით მიისწრაფიან მომავლისაკენ; გენიოსური ძლიერებით გვარწმუნებენ, „აწმყო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია“ და ავადმყოფი საყვარელი „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“-ო. არაერთხელ უნახავთ მათ ჩვენება უცნაური, გულისამატოკებელი და ვით ჩვენება იეზეკიელისა, ეს გამხდარა მათი ცხოვრების უკვარჯნად და გზის მანათობელ ვარსკვლავად.

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ-ფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა“

და არაერთხელ მგოსანს უგრძვნია დიადი წამები აღტაცებისა.

„ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა“.

რასაკვირველია, ჩვენს მოძღვართა და დაბადების წინასწარმეტყველთა შორის არსებობს რადიკალური განსხვავებაც: განწყობილება მათი მეტად სხვადასხვაგვარისა და სხვადასხვა ფერისაა. ჩვენს მგოსნებს ჩვენი ქვეყნის ტანჯვა და ვაება სრულიადაც არ მიაჩნიათ წარსულში ჩადენილი რაიმე ცოდვის, გინდ დანაშაულის შედეგად და სასჯელად.

წინააღმდეგ, მათ თვალში ჩვენი უბედური ყოფა და ვითარება ერთგვარ ისტორიულ უსამართლობასაც წარმოადგენს.

ჩვენს წარსულში ჩვენი მოძღვრები არათუ არ იძიებენ და არცა ჰპოვებენ მიზეზს ჩვენი დღევანდელი ვითარებისას. წინააღმდეგ, წარსული მათთვის ერთგვარი ბრწყინვალებით არის შემოსილი.

ცხადია, იმას ვერავინ შესწამებს, ასეთ დიად ადამიანთ გათვალისწინებული არა ჰქონდეთ ჩვენი ისტორიული ცხოვრება მთელი სიღრმე-სიგანით, მათ მკვეთრ მხედველობას არ გადაშლოდეს თვალწინ მთელი შეუფერადებელი სურათი ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, ხოლო „წარსული“ მათთვის ერთგვარი სიმბოლოა, ერთგვარი ხატებაა იმ ცხოვრებისა, რომელიც აუცილებელია ყოველი ერისათვის. წარსული, რომელშიაც ჩვენ ვიყავით ჩვენი ბატონ-პატრონი, თავისებური პოლიტიკური სიმბოლოა. ეს ის აკვანია, რომელიც თამარ დედოფალს „ბაზალეთის ტბის ძირას“ ჩაუდგამს და რომელშიაც „ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი“; ეს ის ნესტანდარეჯანია, რომელიც „ციხეშია, ცხრა-კლიტულში მჯდომარე“ და რომელსაც

„ტარიელი დაეძებს გავარდნილი დღეს ველად
ავთანდილი, ფრიდონი მოდის გამოსახსნელად“

საერთო ჩვენს მგოსანთა და ებრაელ წინასწარმეტყველთა შორის კი ის არის, რომ იგინი წინად ხედავენ და წინად გრძნობენ მომავალს; მათ შესისხლხორცებული და შეთვისებული აქვთ ტანჯული სული და დაავადებული გული ბორკილებით შეურაცხყოფილი ერისა; მათ გასაოცრად გამახვილებულ სმენას, მათ უზენაეს მხედველობას არ გამოჰპარვია ცხოვრების ძალთა დაფარული განაწილება, რომელიც უბრალო მომაკვდავისათვის დაჩრდილულია. და იგინი წინასწარხედვენ და წინასწარმეტყველებენ, რომ ერი განკურნების, მკვდრეთით აღდგომის გზას ადგია, მათ სწამთ ეს მთელი თავის ღვთივ მშვენიერის ძალითა და გონებით და ამ რწმენას, ამ პო-

ეტურ აღმაფრენას საფუძვლად უდევს ის, რაც მათთვის ცხადია ერის სულის არსებაში, ამ არსების თვით მიმალულ კუნჭულებში.

ძალიან შორს არიან ჩვენი მოძღვრები ეგრეთწოდებულ „მესიანიზმზედაც“, რომელიც ამა თუ იმ ერს მიაკუთნებდა განსაკუთრებულ როლს ადამიანთა ისტორიასა და ცხოვრებაში. ამ რწმენის აღმსარებელთა აზრით, ამა თუ იმ ხალხს უნდა წარმოეშვა „მესია“, მხსნელი და მაცხოვარი ქვეყნისა, რომელსაც ელის დიდი ხანია კაცობრიობა. იგინი ფიქრობდნენ, რომ ამა თუ იმ ერს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც დაკისრებული ისტორიისა და განგებისაგან ერთა შორის პირველობა, კაცთა ცხოვრების წინსვლის მებაირაღტრეობა, მეთაურობა და წინამძღვრობაო.

ჩვენს მგოსნებს ასეთი მედიდური და შეუსაბამო როლი თავის დღეში არ მოუხვევიათ თავისი „დიდჭირნახული“ ხალხისათვის.

მათთვის „მამული საყვარელი“, „ტურფა მხარე“ დედაღვთისას წილხდომილი — განაწამები და გვემულია:

„უწინ ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქ მოხდილი
მოხიბლულა, შემცდარია ის არი
ალერსით მთვრალს ვერ უცვნია ისარი“.

ეს ტურფა, ნამდვილ თავგანწირულ მიჯნურს ზურგს შეაქცევს.

„ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას შესტრფის“.

მათი მოთხოვნილება მოკლებულია ყოველგვარ „მესიანურ“ პრეტენზიას და შეიცავს მხოლოდ და მარტო სრულიად ადამიანურ, ყოვლად ჩვეულებრივსა და აუცილებელს.

მათი სურვილია „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს“, „მამული საყვარელი“ აყვავდეს, გაიღვიძოს. მგოსანს სურს, მის მხარეს

„ხედავდეს თავისუფალსა
რომ ძალით ვერ აშინებდნენ
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა“; — სწყურია, —
„რომ მისი სახელი გაითქვას ძველებურადა,
და მისიანნი ყველანი ერთად სცხოვრობდნენ ძმურადა“.

მათი სანატრელი ის არის, მათი სატრფო „თვით ოხერ და მოუვლელი ოსმალეთის“ ანაბარად არ იყოს დაგდებული, „მის დამ-

ღუპველ ოსმალეთს“ არ ახარებდეს. მათი ლტოლვა ის არის, მათი სატრფო თავისი ბედისა და იღბლის გამჭედი თვით იყოს, თავისი ცხოვრების ფერის მიმცემი თვით იგი იყოს. როგორც ხედავთ, ეს ისეთი რამ არის, რაც არ შეიცავს არც ისტორიაში რაიმე განსაკუთრებული როლის მითვისებას, არც კაცობრიობის ცხოვრებაში რაიმე განსხვავებული ადგილის დაჩემებას.

რასაც იგინი ელტვიან, ისეთი რამ არის, რომლის ნება და უფლება ყოველ მონასა აქვს, მონას გაბედულს, რომელსაც სამარცხვინო ჯაჭვები ვეღარ შეუგუებია, საზიზღარი უღელი ვეღარ შეუთვისებია და წმინდა აღშფოთებით აღვსია გული და ბორკილების დასამსხვრევად გამზადებულა.

ჩვენი ორი ციური გვირგვინით შემოსილი მგოსნის მთელი მოძღვრება წინასწარმეტყველების ცეცხლითაა აღგზნებული, ღვთაებრივ კოცონზედაა შექმნილი და ამით იქცევა დაუშრეტელ წყაროდ ერის აღზრდისა, შეურყეველ საკურთხევლად საეროვნო ლოცვისა და სასოებისა. ამიტომაც არის, რომ ეს ორი სახელი ქართველი ერის გულში განუთიშველია და ილია და აკაკი ხსოვნაში იმგვარადვე განუცალკევებელია, როგორც მოსე და არონი, ესაია და იერემია.

ის ვინც მოისურვებს მათ გაყოფას, მათ გათიშვას, ის ქართველი ერის სულის მთლიანობის განაწილებას ეცდება და ეს სულ ტყვილად დაკარგული შრომაა, სრულიად უნაყოფო ცდა. იგინი ორივე ერთ სიმაღლეზე დგანან პოეზიის სამეფოში.

ქართველი ერის ტრაგედიულ ცხოვრებაში ილიას ნიჭი მამაკაცური ნიჭია, ძლიერი, სასტიკი, მეხთა-მტეხი, „მრისხანე და შეუპოვარი“, როგორც მიქელანჯელოსი და ფიდიასისა, ბაირონისა, კორნელისა და გოეთესი.

აკაკის ნიჭი — ქალწულებრივი ნიჭია, „ბედნიერი ნიჭი“, — როგორც ილია ამბობს; ნიჭი ნაზი და ნარნარი, მსუბუქი და მომხიბვლელი — ვით ნიჭი პრაქსიტელისა და რაფაელისა, რასინისა, შელისა და შილერისა.

ვინ-გაბედავს და ვინ იტყვის, ამ გენიოსთა შორის რომელი უფრო რჩეულია აპოლონის მიერ, უფრო სათნოა მისთვის?

ილიასა და აკაკის ნიჭის სასწორი ქართველი ერის გულია და ამ სასწორის აზარმაცი ქართველი ერის გონება; ერს მათთვის სა-

უკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩნეული მის გულში, და არასოდეს სასწორი არც ერთისაკენ არ გადიხრის.

ილია მოკვდა, როგორც წინასწარმეტყველი ქვით ჩაქოლილი, ეკლის გვირგვინით მორთული, და ამგვარად მისი სიკვდილი მშვენიერი და წარმტაცი სამარადისო სახე შეიქნა მოყვასთათვის თავდადებული მოძღვრისა.

სიკვდილმა აკაკის აღუბეჭდა სახეზე საუკუნო, წარუხოცელი ხატება წინასწარმეტყველისა და მით დაადასტურა სიდიადე მისი მოძღვრებისა.

ილიას ეკლის გვირგვინი საბედისწერო საფეხური იყო აკაკის დაფნის გვირგვინისა. აკაკის დაფნის გვირგვინში სინანულის ცრემლები იყო ჩაწნული, იგი აუცილებელი შედეგი იყო ილიას ეკლის გვირგვინისა. ამ ორ დიად მოძღვართა აღსასრულიც კი განუყრელი წინასწარმეტყველური, მასწავლებელი სახება შეიქნა „სიმწარითა გამაძღარისა და ნაღვლითა დამთვრალის“ ქართველი ერის ცხოვრებისა.

53. აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი ერთი იმ პოეტთაგანია, რომელიც „დაქათქათებს“ საქართველოს მოღუშულ ცას მეცხრამეტე საუკუნეში. ეს ერთი იმ დიდ მგოსანთაგანია, რომელიც უმადურობით დაჯილდოებული და უსამართლობით დასჯილი, „სიმწარითა გამაძღარის და ნაღვლითა დამთვრალ“ ქართველის შვილის უბედურებისა და ჭირის ოფლის მომწმენდი იყო და ტანჯვის ცრემლების შემაშრობელი.

პირველი და მთავარი, რაც იზიდავს თქვენს ყურადღებას აკაკის შეუდარებელ სალირიკო პოეზიაში, ეს მისი დაჟინებული ცალმხრივობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთსაგნობაა მისი მადლიანი კალმისა, რომელიც, რასაკვირველია, როდი ნიშნავს ერთფეროვნებას.

„ფერმიხდილი საქართველო“, „ცხრა კლიტულში მჯდომარე ნესტანი“, „მიჯაჭვული ამირანი“ და მათი სვე-ბედი, აი რამდენიმე სახით გამოთქმული ერთი და იგივე საგანი იმ დიადი გრძნობისა, რომელსაც ეწოდება მამულის სიყვარული და რომელსაც ემსახურება ღვთივ მშვენიერი ქნარი აკაკისა. ათასგვარად, ნაირნაირად შეფერადებული, ალმასებრივ მრავალფერად ბრჭყვიალა მისი მუზა, ათასნაირი ხმატკბილი სიმფონიის გამომცემი მისი თარი, მრავალგვარად მეტყველი და მკვნესარი მისი სალამური, უცნაურად მოწკრიალე მისი ჩანგური ერთსა და იმასვე დასტირის, შეხარის, დაკვნესის და შესტრფის — „თავზედ ლეჩაქ მოხდილ, ფეხშიშველ სატრფოს“. რასაც უნდა შეეხოს მისი ღვთივ ბედნიერი აღმაფრენა, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება მისმა წინასწარმეტყველურმა თვალმა, ყველგან და ყოველთვის იგი ხედავს „გაიძვერა მოყვრისაგან“ მოტყუებულ, შეცდენილ სატრფოს და მას ემუდარება — გამოარკვიოს და მტერი მოყვრისაგან გაარჩიოს.

იარაღი სატრფოს მისაშველებლად და სასამსახუროდ მას ერთად-ერთი აქვს და ამ იარაღს აძლევს იგი უპირველეს მნიშვნელობას.

„ეს არის მისი ჩანგური.
ქვეყნის ჟირი და ლხინიო,
საწშობლოს სისხლი და ხორცი.
მისივე ნაღველ-ტკენიო“.

მაგრამ, როცა სასოწარკვეთილების ხანა დგება მისი სულის სამეფოში, როცა ბედს წყევლის და განგებას ეჭიდება, მაშინ ხანჯალსაც მიმართავს და მას ჰხადის „ერთადერთ იმედად მტრისაგან გამოხსნისა“.

ყოველივე ადამიანური, და მით უმეტეს პოეტური ზრახვა და ფიქრი აკაკისა, ერთისაკენ მიისწრაფვის, ერთისაკენ მიილტვის.

ნურავინ კი იფიქრებს, რომ ეს დაჟინებული, ნიადაგ გამეორებული ერთი და იგივე აზრი სამშობლოს სიყვარულისა, მამულიშვილური გრძნობისა მისი პოეზიის ფრთის გაშლას ერთი ბეწოთიც აფერხებდეს, მის აფერადებას, სხვადასხვაგვარად გაბრწყინებას ხელს უშლიდეს.

პირიქით, სწორედ ეს ერთნაირობა საგნისა საშუალებას აძლევს მის ჯადოსნურ, „ბედნიერ“ნიჭს მთელი სიგრძე-სიგანით გაიშალოს, მთელი თავისი ძლიერებით მოგვხიბლოს და ზეაღგვიტაცოს გონება.

ცხოვრება მრავალნაირია, უკიდო და უძირო. მისი სიღრმე თვით განგებისთვის მიუწვდომელია. ყოველი თვით მცირედი ატომი მსოფლიოისა მთელ კოსმოსს შეიცავს... ყოველივე ნაწილი მოვლენისა შეიცავს მთელ სახებას ცხოვრებისას, მის დუღილს, მის მიმდინარეობას. და აი ამ ნაწილის, ამ ატომის, ამ მოვლენის ათასგვარი მხარის დანახვება, გენიოსური ხელით, ფრიად დიდი საქმეა, ფრიად მძიმე, რომელიც მარტო ღვთაებრივი ცეცხლის მომპოვებელი პოეზიის ამირანს ძალუძს. ეს ითავა აკაკიმ, მან, ერთგულმა შვილმა, მორჩილმა და მოყვარულმა მემკვიდრემ სახელოვანი, მამულის დიდების შოთასი, რომლის ანდერძი უებროდ აღასრულა. შოთამ არ ბრძანა მოშაირეთა სახელმძღვანელოდ:

ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

მოგახსენეთ, ეს ანდერძი აკაკიმ შეასრულა დიდებულად და ღირსეულად, უნაკლოდ და სწორუპოვრად. ერთი უჩნდა მას მთელ

თავის სიცოცხლეში სამიჯნუროდ; ყოვლსა მისთვის ხელოვნობდა, მას აქებდა, მას ამკობდა და ეს იყო „ქაჯთაგან გატაცებული ნესტანი“, რომელსაც ველად გავარდნილი მისი ტარიელი დაეძებდა. ამ სამშობლოსთვის „მუსიკობდა ენა მისი“ და მერე რანაირი მარტივი, სადა ჰანგებისაგან იყო შემდგარი ეს მუსიკალური სიმფონია.

მას, ვისთვისაც ერთხელ მაინც ურგუნებია ბედს პრაქსიტელის ლუსკუმების ნახვა, ფიდიასის შემოქმედების დამსხვრეულ ნატეხთა დათვალიერება, მიქელანჯელოს, რაფაელის, ტინტორეტოსა და ტიციანის უკვდავ ტილოთა ხილვა, იცის და შეურყევლად შესწავლილი და დამტკიცებული აქვს, რომ ჭეშმარიტად რაიმე დიადი, ნამდვილად ღვთაებრივი ხელოვნებაში სადაა და მარტივი ვით სული ობოლი, უბრალო ვით პიტალო ქვა მარმარილოსი, უპრეტენზიო ვით ცივი ტილო სუდარისა.

და იცით, რომ ხელოვნების განვითარების იდეალი სწორეთ ეს სისადავეა და სიმარტივე?

და დიდი ხნის ეკლიანი გზით სვლაა საჭირო ხელოვნების ქურუმთათვის, ვიდრე მიაღწევდენ ამ იდეალს.

საუკუნეები იყო საჭირო, რომ უხეში და გაუთლელი ძველი სკულპტურა პრაქსიტელის ხელში შექმნილიყო დიად მარტივ ხელოვნებად, რამდენი შრომა და ცდა იყო, რომ პრაქსიტელს შესძლებოდა რამდენიმე ჩაქუჩის ჩამოკვრით მიეცა თავისი ჰერმესისათვის სახე ადამიანის ცხოვრების მარადიული სურათისა.

რამდენიმე ასი წელი იყო საჭირო, რომ ბიზანტიელ მხატვართა დამანჭულ-დაგრეხილი ბიბლიური სიუჟეტები, რომლებიც უხვად მოიძებნებიან ვენეციის წმ. მარკოზის ეკლესიის ფრესკებში, რაფაელისა და მიქელანჯელოს ხელში ერთი კალმის მოსმას გარდაექცია ზეაღმტაც ღვთაებრივ ქმნილებად.

მთელი დღევანდელი მოძრაობა ფუტურიზმისა, კუბიზმისა და სხვა მაგვარ მიმართულებათა ხელოვნებაში სხვა არა არის რა, თუ არა ის ძიება ხელოვნურის სიმარტივისა, სადა და მარტივ ფორმათა მიღწევისა... და აი როცა ამის შემდეგ პოეზიას აიღებთ და აკაკის ლექსებს გადაათვალიერებთ, თქვენ ნახავთ, რომ ეს საუკუნო მოთხოვნილება ხელოვნებისა აქ სავსებით არის დაცული და რომ ქართველი ერის მუზასაც საუკუნეების მთიებთ შორის უნდა ეფრინა, რომ მიეღწია პარნასის ასეთ უმწვერვალესობამდე და შეექმნა ასეთი მაღალი ნიმუშები პოეზიისა.

ავიღოთ თუ გნებავთ აკაკის ცნობილი „ავადმყოფი“ და გავიხსენოთ მისი პირველი ორი სტრიქონი:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და ისევე გაიღვიძებს“...

ერთი სიტყვა არ არის აქ, რომ სრულიად უბრალო, სრულიად მარტივი, თითქმის შაბლონური არ იყოს, მაგრამ ღვთაებრივი სულით არის გაჟღენთილი და წინასწარმეტყველური ცეცხლით დამწვარი. ყოველი სიტყვა თქვენ გულში შედის ვით ღვთაებრივი ნექტარი, ყოველი წინადადება თქვენს ტვინში ნეტარების ლურსმნებით იჭედება.

ავიღოთ მეორე ლექსი:

„დამეხსენი, ოსმალელო, რა გაქვს ჩემთან საზიარო
თვით ოხერო, მოუველელო, როგორ გინდა მომიარო?!“

აბა მიჩვენეთ ერთი სიტყვა, რომელსაც ყოველდღე ყოველ წუთში ყველა არ ხმარობდეს, სალონი იქნება იგი არისტოკრატიული, თუ ინტელიგენტის კაბინეთი, მედუქნეთა დახლი, თუ დიპლომატთა მაგიდა, კეთილშობილ ქალთა პანსიონი, თუ ჯარისკაცთა ბინა. სალონში უთუოდ ყოველდღე აღიძვრება საკითხი „როგორ გინდა მომიარო“, დიპლომატთა შორის „დამეხსენი ოსმალელო“, ინტელიგენტი ნიადაგ იმეორებს — „რა გაქვს ჩემთან საზიარო“, ხოლო დუქანში — „თვით ოხერო მოუველელო“, ეს არის ყოველდღიური ლექსიკონი ჩვენ უბრალო მიწაზე მღოლავთა, მაგრამ უკვდავი მგოსნის ხელში იგი იქცევა მთელ ჰარმონიად აზრთა და გრძნობათა, მთელ პოლიტიკურ მოძღვრებად. საეროვნო კვნესად და საზოგადოებრივ ვაებად.

მისი მეტაფორები, მისი ალეგორიები — „ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავთ“, „ველად გავარდნილი ტარიელი“, „ამირანი მიჯაჭვული“ — უნიჭო, ანდა მცირე ნიჭის პატრონი მწერლის ხელში მოსაწყენ გარემოებად იქნებოდა მიღებული — მაგრამ რაღაც ჯადოსნური უხილავი ძალა, ის ძალა, რომელიც თიხიდან ქმნის მშვენიერ არსებას ადამიანისას და ქაოსიდან თვალწარმტაც ბუნებას — ეს ძალი იმფერად ავარაყებს, მუზათა მიერ გამართულ ქარგაზე იმნაირად ქარგავს ამ სიტყვებს, რომ ტანჯული ერის შვილთა აღმზრდელი ხდება, მათი გულის მალხინებელი და სულის მეოხი.

და ამის შემდეგ გაგვამტყუნოს ვინმემ თუ ვიტყვით, რომ ქართველები მდიდრები ვართ; რომ ჩვენი სიმდიდრე ისეთი რამ არის, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“; რომ იგი ხელუხლებელი განძია, რომელსაც ვერას დააკლებს ვერავითარი ზარბაზნები და ყუმბარები, ვერ ამოახრჩობს ვერავითარი სულის შემხუთველი თოფის წამალი.

ვით რისხვამ ღვთისა გაიარა ჩვენს ქვეყანაზე თემურ-ლენგმა და შაჰ-აბასმა, შემუსრა მან სიმდიდრე ნივთიერი ჩვენის ქვეყნისა, მოსპო და ააოხრა სრა-სასახლენი და ციხე-ქალაქები, მაგრამ ვერ დაგვიკარგა და ვერ დაგვიღუპა ენა ტკბილად მოუბარი შოთასი.

დღევანდელი დიდი და ტრაგედიული მომენტი თვალწინ გვიყენებს და გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოგონილ მომსპობელ იარაღებს ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ უძლებს; ჩვენ ვხედავთ უკვე წალეკილს და მოსპობილს რამდენიმე ქვეყნის ნივთიერ ქონებრივ სიმდიდრეს, და ამ ქვეყნებს უკვე გაღატაკებულს გაცამტვერებულს, — მაგრამ ვერავითარი ძალა ქვეყნისა, ვერავითარი იარაღი ვერ მოსპობს ძლიერებას და სიმდიდრეს სულიერი კულტურისას.

მიუწვდომელია განგება ჩვენი ბედისა. იქნებ ქართველ ერს თავის განაწამებ ცხოვრებაში კიდევ შეხვდეს აოხრება და ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ აკაკის ლექსს ვერავინ მოგვისპობს და ხელუხლებელ განძს — ქართველის სულის კულტურის ნაყოფს — ვერავინ ხელსაც ვერ ახლებს.

დაე, დაგვწიხლონ მათ, ვისაც დღეს ხელში უპყრიათ ოქროს ვერძები და თავი მოაქვთ მით! არაფერია, მოვა დრო და მათ ხელში მტვერიც არ შერჩებათ ამ კერპებისა, ხოლო ტაძარი ქართული სულის ძლიერებისა, რომელსაც ისეთი ქურუმები ჰყავს, როგორც აკაკის მუზაა, შეურყეველია და უკვდავი... „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

რუსული მწერლობა

54. ლ. ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“

ორი მთავარი მიმართულება კაცობრიობის აზრისა და გრძნობისა იბრძვის მუდამ ჟამს და, ვინ იცის, დამთავრდება კი ოდესმე იგი ბრძოლა? მოჰყვება ოდესმე ამ დაუსრულებელ ბრძოლას მშვიდობიანობა, შეთანხმება და შერიგება? თუ ამ ბრძოლას როგორც დასაბამი არა ჰქონია, ისე დასასრულიც არ ექნება და ყოველთვის კაცობრიობა იქნება დატანჯული საუკუნო რყევით ორ მებრძოლ მხარეთა შორის? არ ვიცით. და ეს კი ვიცით დანამდვილებით, რამდენადაც წარსული გვასწავლის და აწმყო ამას გვაჩვენებს, რომ კაცობრიობისათვის ყოვლად შეუძლებელია, რომელიმე მებრძოლთაგანის მხარე დაიჭიროს, ისე, რომ მეორეზე თვალი და გული არ დარჩეს და ერთ დროს ამ მეორესაკენ არ გადავიდეს, რომ მერე ისევ წინანდელ მეგობარს დაუბრუნდეს. — რა მიმართულებაა ეს ორი მიმართულება, რა ჰქვიან ამ ორ მებრძოლ მხარეს, რომელიც ბედშავ კაცობრიობის გულსა და სულს, აზრსა და გონებას ჰქენჯნის და სწიწკნის? ეს გახლავთ ბრძოლა სულისა და გონებისა ხორცთან და სხეულთან, ბრძოლა სულის მოთხოვნილებათა ხორცის მოთხოვნილებასთან, ან თუ გინდათ სარწმუნოებრივი სახე მივცეთ, ეს გახლავთ ბრძოლა კერპობისა ქრისტიანობასთან. მოთხოვნილება ხორცისა, — ეს იყო უმთავრესი საგანი, რომელსაც ემსახურებოდა ბერძენთა და რომაელთა კულტურა; მოთხოვნილება სულისა, — ეს იყო უმთავრესი საგანი, რომელიც დაადგინა ქრისტიანობამ ბერძენთა და რომაელთა ცივილიზაციის ნანგრევებზე და რომელიც მისცა პრინციპად და მთავარ აზრად განახლებულ კაცობრიობას, და მას აქეთ იგი დაედვა სარჩულად საქრისტიანო ერის ცივილიზაციასა და კულტურას. ფილოსოფიის მიმართულების დასახასიათებლად მიღებული სიტყვებით რომ ვთქვათ, საბერძნეთისა და რომის ცივილიზაცია უმთავრესად ნატურალისტური, მატერიალისტური იყო, ხოლო საქრისტიანო ევროპის — სპირიტუალისტური და იდეალისტური. რაც უნდა ზერელედ გადაათვალიეროთ ძველი საბერძნეთისა და რომის და ახალი საქრისტიანო ევროპის

ისტორია, თქვენ დაინახავთ მკაფიოდ გატარებულ ამ ორ მიმართულებას ცივილიზაციის მსვლელობაში. საბერძნეთი და რომი უმთავრესად ემსახურებოდა ხორცის მოთხოვნილებას, ხოლო საქრისტიანო ევროპამ თავისი მსვლელობის მთავარ აზრად აღიარა სულის მსახურება. ეს სრულიადაც იმას არა ნიშნავს, რომ საბერძნეთსა და რომში არ ჰქონდეთ წარმოდგენა სულის მოთხოვნილებაზე ანდა ამ ძველ ცივილიზაციას არ მოეცეს ზნე-მაღალი და დიდებული მორალისტები, რომელნიც სრულიად არ ჩამოუვარდებიან ქრისტიან მორალისტებს (სოკრატი, პლატონი, სტოიკოსები), მაგრამ უმთავრესად და უმეტესად ძველი ქვეყნების ცივილიზაცია ხორცის მოთხოვნილებას აძლევდა უპირატესობას; საქრისტიანო ევროპაც არ ივიწყებდა, ხორცს ადამიანისას და ძველი კერპთაყვანისმცემელთა აზრი და გრძნობა სათაყვანებელ საგნად შეიქნა მისთვის განათლების და რეფორმაციების ეპოქაში, მაგრამ 1900 წლის საქრისტიანო ისტორიაში უპირატესობა მაინც სულსა ჰქონდა და აქვს მინიჭებული.

ძველი ქვეყნების (საბერძნეთისა და რომის) ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანს და ადამიანთა კრებულს — საზოგადოებას არ ძალუძს „პურითა მხოლოდ ერთითა ცხონება", — ადამიანს და საზოგადოებას, რომლის იდეალიცაა მარტო ხორცის განცხრომა, მარტო ხორცის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება — მოელის მოსპობა და გაცამტვერება. ერთი უცნაური რამ სჩანს კიდევ ამ ისტორიიდან — ის საზოგადოება, ის ცივილიზაცია, რომელსაც ხორცი გაუხდია ცხოვრების უმთავრეს პრინციპად და ამ პრინციპის სამსახურისათვის შეუღლევია თავისი ძალ-ღონე, ვეღარ შეითვისებს ახალ პრინციპს — სულის გაბატონებას — და ამ სულიერი პრინციპის თანდათან განმტკიცება ძირს უთხრის ძველ პრინციპზე აშენებულ საზოგადოებას. საბერძნეთი და რომი უნდა განახლებულიყო, უნდა გადამდნარიყო და მხოლოდ ამგვარად შეეძლო განახლებულ კაცობრიობას ახალი, დიდი პრინციპის გაღმერთება.

საქრისტიანო ევროპა თხუთმეტი საუკუნე ემსახურა ამ ახალ პრინციპს — სულს და სულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგრამ ცხოვრებამ ამცნო, რომ ძველი პრინციპი ხორცის თაყვანისცემისა უბრალო ჩვეულება კი არ ყოფილა გალაღებული საბერძნეთისა და რომის კულტურისა, იგი ძირითადი მხარე იყო კაცის — ადამიანის და საზოგადოების არსებობისა. გამოცდილე-

ბამ ამცნო, რომ, როგორც მარტო ხორცის დაკმაყოფილება არა კმარა და არ არის ხელსაყრელი, ასევე მხოლოდ სულის გაბატონება და ხორცის კი დათრგუნვა კაცობრიობის არსებობის მთავარ-მოთხოვნილებათა მივიწყებაა, ცალმხრივი დაკმაყოფილებაა კაცობრიობის საწადელთა და ამიტომაც არა ხანგრძლივი, არა საფუძვლიანი. ამ გამოცდილებამ გამოიწვია ხანა განახლებისა და რეფორმაციებისა, როდესაც საბერძნეთისა და რომის კერპული კულტურა გაღმერთებულ იქნა და როცა ქრისტიანულ სარწმუნოებაში აზრთა აღრევა მოხდა. მაგრამ, როგორც ძველმა ქვეყნებმა ვერ შეითვისეს მათთვის უცხო პრინციპი — საქრისტიანო ქვეყნისაგან წამოყენებული, ისე ვერც საქრისტიანო ერმა, რომელიც არსებითად გამსჭვალული იყო სულის მოთხოვნილებათა თაყვანისცემით, ძველი — კერპული პრინციპი ვერ შეითვისა. მაგრამ საუკუნის მეორე მეოთხედიდან კვლავ უეცრად საქრისტიანო ევროპა მიეცა სასოწარკვეთილებას. სული ტკბილია, მაგრამ ხორციც ტკბილი აღმოჩნდა, ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი შეიქნა და ისევ ძველ ქვეყანათა კულტურის ტრფიალი შემოვიდა ხმარებაში.

ამ საუკუნის საუკეთესო შვილთა ტანჯვა და ვაება, სულიერი მწუხარება და სევდა ერთი მხრით შედეგია სწორედ იმ გამოურკვევლობისაც, რომელიც გამოიწვია ხორცისა და სულის კულტურას შორის რყევამ. თანამედროვე ადამიანი, რომელსაც გრძნობა და გონება აქვს, რაც არ უნდა იუაროს, შვილია საქრისტიანო ცივილიზაციისა; მასში ღრმადა აქვს გამჯდარი ფესვები ამ ცივილიზაციის უმთავრეს პრინციპებს, მაგრამ ეს ადამიანი — ადამიანია, ისე, როგორც ძველი ბერძენი და რომაელი, როგორც განახლებული ევროპის იტალიელი, გინდ ჰოლანდიელი, და როგორც კაცს მეორე დიდი მოთხოვნილებაცა აქვს, — მოთხოვნილება ხორცისა. ხორცის მოთხოვნილების პრინციპი კი ძველმა კულტურამ შეიმუშავა. ამიტომაც, ძველი საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციაც, ძალაუნებურად, ფატალურად იწვევს მას. ამ ბრძოლაში, რაკი ცხოვრებაში შუა ადგილის ამორჩევა ყოვლად შეუძლებელია, ზოგიერთი გაცხარებულ ქრისტიანთა ბანაკში მიდის, ზოგიერთი არანაკლებ გაცხარებულ კერპთაყვანისმცემელთ აძლევს ხელს. უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ამ სურათს წარმოადგენს და ეს სურათი მეტად წააგავს იმ სურათს, რომელსაც ძველი ქვეყანა წარმოადგენდა თავისი არსებობის უკანასკნელ ხანაში.

დიდი უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ან ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, როგორც ძველი ქვეყნის მონანი: გაპირუტყვებულია და არას დაეძებს, არც ქრისტიანობისას და არც კერპობისას, მისთვის არცერთს არაფერი ხეირი დაუყრია. უმცირესი ნაწილი, გალაღებული, მდიდარი, უდარდელი და ფუქსავატი საზოგადოება, რომელსაც ხელში უჭირავს თანამედროვე ცხოვრების იალქანი, ცბიერობს, მას არც ძველი სწამს და არც ახალი; ძველსაც ეტანება და ახალსაც; ძველშიაც და ახალშიაც თავისი დაცემისა და გათახსირების საკვებ მასალას პოულობს. ერთი კარგი ნაწილი საზოგადოებისა, ეგრეთწოდებული საშუალო საზოგადოება ან ძველ კერპებს უჭერს მხარს, ანდა ქრისტე-ღმერთის ერთგული მმოსავი რჩება. ერთი მცირედი ნაწილი საზოგადოებისა, მისი შეგნებული და გრძნობიერი ნაწილი, ტანჯულ-გვემულია და დაუსრულებელ რყევაშია. მის ფხიზელ გონებას კარგად ესმის ის, რაც კაცობრიობას ისტორიამ დაგვიმტკიცა, ესე იგი ის, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცის ბუნების, მისი არსების დაცვა და შენახვა, თუ ორივე მოთხოვნილება ამ ბუნებისა არ არის სახეში მიღებული; ესე იგი, თუ სულიც დაკმაყოფილებული არ არის და ხორციც, კარგად ესმის, რომ რომელიმე ამ არსებითი საგნის უყურადღებოდ დატოვება კაცობრიობას მოსპობის გზაზე დააყენებს. მთელი მისი კვნესა და ვაება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მას არა ჰყავს გმირი, რომელიც სარწმუნოებას აღუდგენს კაცობრიობას, სარწმუნოებას, რომელიც უნდა ამ ორთავე პრინციპის, კაცის არსებობის ორთავ ძირითადი მოთხოვნილების, დამაკმაყოფილებელი იყოს. შეიძლება იმასაც ხედავდეს ეს ნაწილი კაცობრიობისა, რომ, ძველი ქვეყნების სკეპტიკებისა არ იყოს, ვეღარც ამათმა ივარგონ ახალი სარწმუნოებისა და ცხოვრებისათვის, ეს, რასაკვირველია, აორკეცებს მათი სულის კვნესას, ხოლო თუ ისტორიული მაგალითი უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნევინებს იმ ფაქტს, რომ, როგორც ძველი ქვეყნების საზოგადოებამ ვერ შესძლო ახალი სჯულის შეთვისება, ისე ვერც დღევანდელი კაცობრიობა შეძლებს ახალი დიადი სარწმუნოების მოწაფეობას, და მისთვის, რომ ახალი ბრწყინვალე სარწმუნოება დამკვიდრდეს, აუცილებელია დღევანდელი საქრისტიანო ერის გადაბადება და გადადუღება, — და თუ ეს მოსალოდნელ და აუცილებელ მოვლენად მიიღო, მაშინ მის ტანჯვა-ვაებას ხომ საზღვარი აღარ

უნდა ჰქონდეს. ასეც არის, და ვინც დაკვირვებია დღევანდელი ლიტერატურისა და ფილოსოფიის მიმართულებას, ნათლად დაინახავს, რომ შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, და ამ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, დაუსრულებელი და უღრმესი სასოწარკვეთილებითა და სევდით არის მოცული. და ეს სევდა, ეს ვაება, ჩვენი აზრით, წინდი არის საუკეთესო მომავლისა.

1

ნიცშეს ზეკაცის (Surhomme) ფილოსოფია, ერთის მხრით, თავისი ინდივიდუალიზმით, თავისი განახლებული კერპთაყვანისმცემლობით, და, მეორეს მხრით, გრაფი ტოლსტოი, თავისი ქრისტიანული ასკეტური მორალით, — აი ორი გამომხატველი, დღევანდელ ევროპაში, ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებისა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

ლევ ტოლსტოი იმ უმცირესთა გუნდს ეკუთვნის ევროპის საზოგადებისას, რომელიც დღევანდელი საზოგადოების გახრწნასა და უმსგავსობას ზიზღითა და მკაცრი უარყოფით ეკიდება, და ბევრი უტანჯია იმ ორეოფობისაგან, რომელშიც ძალაუნებურად ჩავარდნილია დღევანდელი საზოგადოების მოაზრე ნაწილი. მართალია, ლ. ტოლსტოიმ ამ ბოლო დროს წინასწარმეტყველებაც იკისრა და ამით გვამცნო, რომ მისი ვაება და კვნესა, გამოურკვევლობის შედეგი, საუკუნოდ მოისპო, მაგრამ როგორც წინასწარმეტყველს, მას დიდი ფასი არა აქვს და არც შეუძლია დაიჭიროს წინასწარმეტყველის, წინამორბედის ადგილიც; ეს წინასწარმეტყველება მხოლოდ პირადად მისთვის შეიძლება სიამოვნებისა და კმაყოფილების მიმნიჭებელი იყოს, ევროპელი საზოგადოებისათვის კი მეტად შაბლონური და უფერული მოციქულია. ევროპელი საზოგადოება მას აფასებს, როგორც ერთ ძლიერ აღშფოთებულთაგანს თანამედროვე ცხოვრების წინააღმდეგ, როგორც ერთ დიდი ნიჭით შემოსილ წარმომადგენელს იმ ჯგუფისას, რომელსაც თავისი სულის ტანჯვითა და ვაებით გამოურკვევია აუცილებელი ჭეშმარიტება და ამ ჭეშმარიტებას თავისი ძლიერი ნიჭით ემსახურება. ეს ჭეშმარიტება კი, რომელიც აღიარებულია ევროპის საუკეთესო ნაწილისაგან, მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელ საზოგადოებას გარყვნილს, უზნეოს, და გალაღებულს თავისი დღე-

ნი მოუჭამია; რომ იგი უსათუოდ უნდა მოისპოს და დაიღუპოს, თუ არ გარდიბადება და განახლდება. მაგრამ, როგორ უნდა გარდაიბადოს და განახლდეს, რომელი ღმერთი და სარწმუნოება უნდა აღიაროს — აქ ამ კითხვაზე ლ. ტოლსტოი, როგორც ყველა მისი თანამსგავსნი ნიჭითა და მიმართულებით, სდუმან, ანდა სრულიად გამოუსადეგარ, დაძველებულ რეცეპტს იძლევიან. ამ მოწინავე რაზმის შეუძლებლობა პოზიტივური აზრის გამორკვევისა, რომელიც უნდა შეიქმნას მომავალი კაცობრიობის ათ მცნებად — სახარებად, კიდევ უფრო უმატებს ცეცხლს მათ თანამგრძნობთა და მოწაფეთა სასოწარკვეთილებას.

ლ. ტოლსტოი, როგორც მოგეხსენებათ, საფრანგეთის შვილთა განსაკუთრებულ ყურადღებას იზიდავს და აქ ჰყავს ყველაზე მეტი აღტაცებული თაყვანისმცემელი. საზოგადოდ, რუსეთის ლიტერატურის სახელი მაშინ გაითქვა ევროპაში, როცა თვით რუსეთის სახელმწიფო ევროპას სფინქსად წამოეჭიმა. რუსეთის სახელმწიფომ, ამ 20 წლის განმავლობაში, საერთაშორისო პოლიტიკაში დიდი ბიჯი წასდგა წინ და ევროპის არა თუ პატივისცემა შეიძინა, ცოტა არ იყოს საშიშ რამედაც შეიქნა ევროპისათვის, რუსეთს ეხლა ყბად ისე ვეღარავინ აიღებს და ყველა დიდი სიფრთხილით ადევნებს მას თვალყურს... ამავე 20 წლის განმავლობაში საფრანგეთი ერთობ აიბნა, ერთობ დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა დამარცხების მიზეზით, მხოლოდ სირცხვილისაგან თავის დაღწევა შეიქნა მისი ცხოვრების აზრად და საგნად. ამ დროს რუსეთი მისთვის სწორედ ციდან მოვლენილ მანანად შეიქნა. ამ განწყობილების შედეგია უმთავრესად ეს საზღვარსგადასული აღტაცება რუსული ლიტერატურით და მისი დიდი წარმომადგენლის ლევ ტოლსტოის ნაწარმოებით. რუსეთში ტოლსტოის იმდენი აღტაცებული თაყვანისმცემელი და მკითხველი, მგონია, არა ჰყავს, როგორც საფრანგეთში. და მართალიც უნდა ვთქვათ, ტოლსტოის სახელის შექმნაში ძალიან დიდი ნაწილი უდევს საფრანგეთის კრიტიკას. ჯერ კიდევ 1886 წელს აკადემიკოსმა ვოგიუემ დაწერა მთელი წიგნაკი რუსული რომანის შესახებ, საცა აღტაცებას საზღვარი არა აქვს. პუშკინი და ლერმონტოვი საუკეთესო პოეტთა რიცხვში ჩასწერა ბ-ნმა ვოგიუემ; ბელინსკი ერთ-ერთ საუკეთესო კრიტიკოსად აღიარა; ტურგენევი, დოსტოევსკი და ტოლსტოი — უდიდეს მწერლებად. შე-

ქსპირი, ესქილე, ევრიპიდე და სოფოკლე, ჰომიროსი, სუყველანი, ამ მწერლებში არიან თავმოყრილნი და მათზე უფრო უმაღლესნი არიან კიდევ მით, რომ ზნეობრივი პრინციპი რუსული რომანისა უფრო მაღლა დგას. ცოტა არ იყოს, საოცარი აქ ის არის, რომ რუსი მწერლები საფრანგეთის მწერლების ერთობ დიდი გავლენის ქვეშ არიან; საკვირველია, რომ ჰიუგოს, მიუსეს, დე-ვინის, ლამარტინის, ჟორჟ-ზანდისა და ბალზაკის ქვეყანა კიდევ სხვაგან ეძიებს გენიოსებს? საკვირველია, მოლიერის, ფლობერის და ზოლას მხარეს ვისიმე რეალიზმი და ნატურალიზმი აოცებდეს, ჰიუგოს სოციალური რომანის ქვეყანა სხვა ქვეყნის რომანების ტენდენციას პირდაღებული შესჩერებოდეს! ეს, რასაკვირველია, წუთიერი გატაცებაა, რაც გამოწვეულია ლიტერატურისაგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზებით, და უკვე რეაქციაც გამოიწვია საფრანგეთის ლიტერატურაში. 1894 წელს Revue des deux mondes-ის ნომერში ლემეტრმა დასტამბა წერილი, რომელშიც სიცილად არ ჰყოფნის საფრანგეთის საზოგადოების ასეთი გატაცება ჩრდილოეთის ლიტერატურით და ამტკიცებს, რომ ჰიუგოს, ჟორჟ-ზანდს. ალქს. დიუმა (შვილს), ფლობერს რამდენიმე ხნით ადრე აქვთ ის აზრი და გრძნობა გამოხატული, რომელიც ეხლა ჩრდილოეთის ლიტერატურის გამოგონილად და ახალ აღმოჩენად მიგვაჩნიაო. რუსეთის მწერალთა ჩვეულებრივი საგანი — ცოდვილთა შენანების დასურათება მკაცრი ირონიით მოიხსენია ლემეტრმა და ასე განაცხადა: კაცმა თქვას, ეს ტიპები ჩვენი მისტერიების გმირებს მაგონებენ. ყოველივე საზიზღრობას ჩადიოდნენ და გულში ხელის ბრაგუნსა და „ღმერთო შეგცოდეს“ ძახილს მაინც არ იშლიდნენო...

ტოლსტოისა და რუსული რომანის მოდაში შემომღები ვოგიუე, დუმიკი, რეკოლენი და სხვა ფრანგი კრიტიკოსნი, ვინც კი ლაპარაკობს ტოლსტოის ნაწერთა შესახებ, სწორედ იმ მხარეს თვლიან ტოლსტოისას საყურადღებოდ, რომელიც თანამედროვე საზოგადოების კრიტიკას წარმოადგენს და, აგრეთვე, გვიხატავს სულის იმ ქენჯნას, რომლის მსხვერპლი არის ზოგიერთი მისი გმირი. ეს სულის ქენჯნა და ვაება გამოწვეულია სწორედ იმ შეუსაბამობით ცხოვრებასა და ცხოვრების იდეალს შორის, იმ ორჭოფობით ქრისტიანულ აზრსა და კერპულ ბუნებას შორის, რომლის მსხვერპლია დღევანდელი შეგნებული და მოაზრე ადამიანი. „ომი და ზა-

ვის“ გმირი თავადი ანდრეი ბოლკონსკი, „ანნა კარენინას“ გმირი ვრონსკი — არიან ამ ჯგუფის ახალგაზრდათა წარმომადგენელნი. ტოლსტოიმ დიდი ნიჭითა და ხელოვნებით დაგვიხატა ეს გმირნი, ეს ღვიძლნი ძმათა-შვილნი ჰამლეტის, ფაუსტის, ვერტერის, რენესი და ჩაილდ ჰაროლდისა, გაიხსენეთ ანდრეი ბოლკონსკის უკანასკნელი წუთები, როცა იგი დაჭრილი ბრძოლის ველზე ლურჯ ცას შეჰყურებს და სასოწარკვეთილებით აღსავსე ფიქრებს ეძლევა: „ოჰ რომ შეძეძლოს, — ამბობს იგი, — ამის თქმა: ღმერთო იყავ ჩემი ძემწყნარე! მაგრამ ვის უნდა მივმართო ამ სიტყვებით? ან ერთგვარ ძალას მიუწდომელსა და განუსაზღვრელს, რომელსაც არ ძალმიძს მივმართო, რომლის სახელის გამოთქმაც კი არ შემიძლია ერთი სიტყვით — ერთ რაღაც დიად რასმე, რომელიც ყოველთვის შეიცავს, ანდა ერთ დიად რასმე, რომელიც არას არ შეიცავს, —ანდა იმ ღმერთს უნდა მივმართო, რომელიც აი ამ მარიას ნაჩუქარ ავგაროზშია გამოკრული? — არა არის რა ნამდვილი, გარდა იმისა, რომ ყოველივე, რასაც ვხედავ არარაობით არის მოცული და არის რაღაც დიადი და დიდებული, რომელსაც მე ვერ ვამჩნევ“. ეს გახლავთ, როგორც მოგახსენეთ, ტიპი მეცხრამეტე საუკუნის ევროპელი სასოწარკვეთილისა და სკეპტიკის, ურწმუნოებითა და უიმედობით აღსავსე ახალგაზრდასი. ამნაირი გახლავთ ვრონსკიც; იგიც ამ ახალგაზრდათა ჯგუფს ეკუთვნის... ამავე ნიადაგზე გაზრდილა ანნა კარენინაც: იგიც იმავე ბუნების შვილია, სიცოცხლისა და სიყვარულის მონამორჩილი და ხორცის კმაყოფილების ვერ დამთმობი. ამგვარი სურათები, თუმცა ევროპის ლიტერატურისათვის ახალს არას წარმოადგენენ, მაგრამ მარტო იმიტომაც საინტერესონი არიან, რომ სლავიანურ-რუსული ტანისამოსით ეცხადებიან ევროპას და მათ ყურადღებას იქცევენ. ესეც რომ არ იყოს, ეგ კვნესა, ეგ ვაება, ეგ ორჭოფობა ევროპის შეგნებული და მოაზრე ნაწილის, ისეთი თემაა, რომელიც არასოდეს არავის მოსწყინდება და, ვისაც კი აქვს ნიჭი, და ისეთი ძლიერი ნიჭი, როგორც ტოლსტოის, ყოველთვის მიიქცევს ყურადღებას ამ თემის შემუშავებით. ეს ნაწილი ტოლსტოის თხზულებისა შეადგენს საუკეთესო, მთელი ევროპისაგან მოსაწონ ნაწილს მისი თხზულებისას. არანაკლებ საინტერესოა მისი კრიტიკა თანამედროვე ფუქსავატი საზოგადოებისა, მისი უარისმყოფელი სურათი პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოებისა. უაზრობა, უზნეობა, გარყვნილება და უადამიანობა, უარარაობა

ამ საზოგადოებისა სამაგალითოდ აქვს დახატული ტოლსტოის და ესეც ერთ საჭირბოროტო და საყურადღებო საგანს შეადგენს ევროპის მოაზრე საზოგადოებისას, — ეგ უმაღლესი საზოგადოების, beau monde-ის გადაგვარება და გათახსირება. ტოლსტოის პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოება პარიზის, ლონდონის და ბერლინის იგივე საზოგადოებაა და მათი განქიქება, რასაკვირველია, საყურადღებოა და საინტერესო მთელი ევროპის საზოგადოებისათვის.

საზოგადოდ, არა თუ ტოლსტოის რომანები, მისი ფილოსოფიური ნაწერებიც, რომელთა აზრთა სიღარიბე და შაბლონობა ყოველს ეჭვს გარეშეა დაყენებული, — მთელი განათლებული მოაზრე საზოგადოების ყურადღებას იქცევს, სწორედ იმიტომ, რომ ის მხარე ნაწერებისა, რომელიც უარყოფით ეკიდება თანამედროვე საზოგადოებას, მის მეცნიერებას, მის ხელოვნებას, მის ცივილიზაციასა და კულტურას საზოგადოდ, ისეთი ძლიერი და წრფელი გრძნობით. არის დაწერილი, ისეთი ყმაწვილური გატაცებით და აღშფოთებით არის აღსავსე, რომ ძალაუნებურად იქცევს ყურადღებას, ძალაუნებურად გაფიქრებთ და ძლიერ, ღრმა აზრებს აღგიძრავთ და საუკუნო, სამარადისო მწვავ და მტანჯავ კითხვებს გიყენებთ. პოზიტივური მხარე კი ამ ნაწერებისა, ის მხარე, რომელსაც აზრადა აქვს მომავალი იდეალი დაგვიხატოს და ამა თუ იმ წრეში კაცობრიობას ახალი გზა უჩვენოს, მეტად უფერულია და სუსტი, არაფრით არ აღემატება არც იმ კარატაევების ფილოსოფიას, რომელთაგანაც მოელის ლ. ტოლსტოი ქვეყნის განახლებას და ან იმ ასკეტთა ქადაგებას, რომელთა ნაწერებიც ეხლა ბალღთაც კი ვერ მიიტყუებს.

ტოლსტოის მოძღვრება ისევ ის ძველი მოძღვრებაა, მთელი საქრისტიანო კულტურისაგან კარგად გამოცდილი და მისი კარგი ნაცნობი: განწირვა ყოველივე ხორციელი მოთხოვნილებისა სულისათვის, მოყვასისათვის თავდადება. ხოლო ყოველივე ამ მოძღვრებას სარჩულად უდევს მეტად პასიური და რაღაც ასკეტური მოქმედება პირადობისა: არა წინააღუდგე ბოროტსა ძალით, ეცადე, რაც შეიძლება, იტანჯო და ტანჯვით მოიპოვო სულის ხსნა—მისი სიმშვიდე — უარჰყავ ყოველივე განცხრომა ხორცისა და ეცადე დასთრგუნო ხორცი, ეს ცოდვის შვილი, ცოდვის თავი და ბოლო; მარტო და მხოლოდ სულის აყვავებას ეცადე, მოიკალ შენი გონება, შენი მაცდური აზრი, დაემსგავსე გულუბრყვილოსა და შეუგნებელ „რუსის

მუჟიკს“, — რადგან ცხოვრების ფილოსოფია მარტო მას აქვს შეგნებული, ხოლო ეს „მუჟიკის“ შეგნებულება იმაში გამოიხატება, რომ ყოველივეს ემორჩილება აღუშფოთებლად, მშვიდად და წყნარად — კრინტის დაუძვრელად; ტყვილა იფიქრებ, რომ შენ უნდა განასწავლო ხალხი. რომ ხალხი უნდა აღზარდო, აღამაღლო, გააუმჯობესო მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება...

ტოლსტოის მოძღვრებას მით უფრო მოჰყავს კიდევ ევროპა განცვიფრებაში, რომ იგი, მდიდარი და უმაღლესი საზოგადოების წევრი, თვით უმდიდრეს არისტოკრატთაგანი, „მუჟიკობიას“ თამაშობს და „ტულუპითა“ და „ლაპტებით“ დაიარება, ხან მწყემსობას ჩემობს, ხან „პეჩნიკობას“, სრულიად უბრალო და მარტივ ცხოვრებას მისდევს, ვეგეტარიანობს და სხვა. ამ ორიგინალურ ქცევას დიდი შთაბეჭდილება აქვს ევროპის საზოგადოებაზე...

არ შეიძლება ტოლსტოიმ ცნობისმოყვარეობა არ აღუძრას დღევანდელ ნერვიულ განათლებულ საზოგადოებას, მაგრამ თუ ვისმე დააკმაყოფილებს ხოლმე, მარტო მისი ლიტერატურული ნაწარმოები და ისიც ის მხარე ამ ნაწარმოებისა, სადაც კრიტიკული სურათებია თანამედროვე საზოგადოებისა და დასურათებულია სასოწარკვეთილი სევდით და ოხვრით აღსავსე თანამედროვე ახალგაზრდა (ანდრეი ბოლკონსკი, ბეზუხოვი), ტექნიკურ მხარეს მის რომანებისას, მის სტილს თვით აღტაცებულნი მისი თაყვანისმცემელნი ესაყვედურებიან, და ამაზე სადაოც არა არის რა ევროპულ კრიტიკაში. ხოლო რაც შეეხება იმ ტიპებს, რომელნიც იდეალურ და მისაბაძ გმირებად გამოჰყავს ტოლსტოის, მოკლებული არიან რეალურ ნიადაგს და მომხიბვლელობას; რა არის, მაგალითად, ეს მუჟიკი კარატაევი („ომი და ზავი“), ეს თედორე მუჟიკი („ანნა კარენინა“), ეს აკიმი („სამეუფო სიბნელისა“), მუშაკი („უფალი და მონა“), თუ არა გაპირუტყვებული, მცენარედ ქცეული ადამიანი, რომელშიც სძინავს ყოველივე გრძნობასა და აზრს და რომელთა ერთადერთ ვითომდა სანატრელ ღირსებას ის შეადგენს, რომ ყოველივეს პირუტყვული მორჩილებით ეკიდებიან? არაფერს, არაფერს სანატრელს, ტოლსტოი კი იმათ სკოლაში გაწვრთნის და მათი ფილოსოფიის წყალობით გარდაქმნის ისეთ უმაღლესი გრძნობისა და გონების პატრონს, როგორიც ბეზუხოვია, ლევინი და ბოლოს თვით ტოლსტოი. ან რა იდეალია ეს ლევინი და მისი ოჯახი, რომელსაც წინ უყენებს ავტორი ანნა კარენინასა და ვრონსკის კავშირს, როგორც სამაგალითოს, — სრულიად

არაფერი. ლევინი გათედორებული ვრონსკია, და, როგორც ასეთი, გადაგვარებული და დაცემული ტიპი, რომელსაც საუკეთესო თვისებანი უმაღლესი ტიპისა ჩაუძინებია და მთლად გაპირუტყვებაც ვერ მოუხერხებია. ან რა იდეალია ლევინისა და კიტის ცოლ-ქმრობა. სოფელში ცხოვრება, შვილების გამრავლება, ფიზიკური შრომა, რომელიც გიმნასტიკაზე ბევრად უკეთესია და სასარგებლო, და სხვა ამგვარი იდილიური მხარე ცხოვრებისა. მაპატიეთ კი, და მე ბევრად უფრო მომწონს ანნა კარენინასა და ვრონსკის ცხოვრება, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ ბევრად უფრო ადამიანური თავისი ტანჯვა-ვაებით, სევდა-ოხვრით. ან რა ასეთი დამნაშავეა ანნა კარენინა, რომ მაინცა და მაინც სამი ტომი იმის დასჯას მოანდომა. კაცის ცოდვა, დანაშაული იმით კი არ უნდა ისაზღვრებოდეს, ზნეობრივი მხრით, თუ კერძოდ, სად და როგორი მოქმედებაა ადამიანის მიჩნეული ცოდვად, არამედ მოქმედების საზოგადო მნიშვნელობა უნდა მივიღოთ სახეში. ის ცოდვა, რომელიც ანნა კარენინამ ჩაიდინა, ცოდვაა იმის მიზეზით, რომ რუსეთის კოდექსები არ უადვილებენ ადამიანს თავისი ბედის გამოსწორებას, ევროპაში კი ეგ სრულიად ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული. ახალგაზრდა მშვენიერი ქალი ძალით, მისდა უნებურად, მიათხოვეს სულითა და ხორცით საზიზღარ ქმნილებას. გაიარა ხანმა და ქალმა მშვენიერი ახალგაზრდა კაცი შეიყვარა. ერთი წუთითაც ქმარი არ მოუტყუებია, თუმც ქმარი პატიოსან სიმართლეს ქურდულ ტყუილს არჩევდა. ადგა ქალი და წაჰყვა ამ საყვარელ კაცს. არ ვიცი, რატომ ეს კავშირი უფრო დასაწუნია, ვინემ კიტის გათხოვება, რომელსაც ვრონსკი უყვარს და ლევინს კი მიჰყვება, იმიტომ, რომ „გათხოვება საჭიროა". უნდა ვთქვათ, ზნეობრივი იდეალი ტოლსტოისა ბიზანტიელი ბერებისაგან შეთხზულ კანონის მუხლებზე უფრო შორს არ წასულა და au bond მეტისმეტი უმსგავსო რამეა. მორალისტი, რომელსაც კაცთა სიბრალულისა და კაცთმოყვარეობის მოციქულობის სახელი აქვს დავარდნილი, უფრო კანონების იმ სუსტ მხარეს უნდა შებრძოლებოდა, რომელიც სრულიად უდანაშაულო, რიგიან ადამიანს დამნაშავედ ქმნის. ტოლსტოი კი ამ ძალაუნებურად ცოდვილებს გაურისხდა მარტო იმიტომ, რომ ეხლანდელი საზოგადოება, ისიც რომელიმე ერთი ქვეყნისა, თავისი ფარისევლური მორალით ჰკიცხავს ამგვარ თავხედებს, რომელნიც ზნეობით ბევრად უფრო მაღლა დგანან ამ საზოგადოებაზე. ალ. დიუმამ (შვილმა), სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთშიც ანნა კარენინებს

სდევნიდნენ, გაილაშქრა კანონმდებლობის წინაშე და ის დაანახვა ქვეყანას, თუ რა ცოდვას იდენს თვით საზოგადოება, როცა შეუძლებლად ხდის ერთხელ შეკრული კავშირის გაწყვეტას.

2

ტოლსტოის „აღდგომა“, ჩვენი აზრით, ხელოვნების მხრით ბევრად უფრო სუსტია მის წინანდელ ნაწარმოებებზე („ომი და ზავი“, „ანნა კარენინა“, „კრეიცერის სონატი“). ეს სისუსტე კი იმის ბრალია, რომ ტოლსტოის წინანდელ რომანებში თუ კრიტიკას უფრო მეტი ადგილი ეჭირა და ბოლკონსკებისა და ბეზუხოვების ტიპების დასურათებას ეტანებოდა ავტორი, აქ უმეტესი ნაწილი ტოლსტოის მოძღვრებით მხარეს დაუჭერია ,რომელიც, ზემოთაც მოგახსენეთ, ერთობ სუსტია. მისი ტიპი, ვითომ და მისაბაძავი ნეხლიუდოვი, სინამდვილეს მოკლებულია და არაფერი ხელსაყრელია.

თავად ნეხლიუდოვს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. ფრიად განსწავლული კაცია, რუსეთის უმაღლესი საზოგადოების წევრია და, როგორც ასეთი, ჩვეულებისამებრ სწავლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურს დაიწყებს. ერთხელ საღდგომოდ სოფელში ჩამოვა თავის ნათესავ ქალებთან. აქ ნახავს მათ აღზრდილ ლამაზ გოგონას — კატიუშას. კატიუშასადმი სტუდენტობის დროს გრძნობდა იმ იდეალურსა და წარმტაც სიყვარულს, რომელსაც ტოლსტოისთანა სასტიკი მორალისტიც კი აღტაცებაში მოჰყავს. ხოლო შემდეგ ნეხლიუდოვს, პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოებისაგან გადაგვარებულს, ეს გრძნობა უფრო სხვაგვარ გრძნობაზე შეეცვლება და კატიუშას ეხლა პირუტყვის თვალით დაუწყებს ცქერას. კატიუშას ნეხლიუდოვი შეაცდენს, თავის გრძნობებს დააკმაყოფილებს და იმ საზიზღრობამდეც კი მიდის, რომ ამ გრძნობების სასყიდელსაც (ას მანეთს) გადაუგდებს კატიუშას. კატიუშას ის დღე დაადგება, რაც უმეტეს ნაწილს დაღუპული სულისას, იგი გარყვნილების მორევში შეტოპავს და ეს გარყვნილების მორევი მიიყვანს დამნაშავეთა სკამზე. კატიუშას გასამართლებით იწყება რომანი. კატიუშას ბრალდებაა ერთი ვაჭრის მოწამვლა, იმ ვაჭრის, რომელმაც მასთან რამდენიმე ღამე გაატარა. საქმის გარემოებიდან უეჭველადა სჩანს კატიუშას უბრალობა, მაგრამ მსაჯულთა და ნაფიცმსაჯულთა დაუდევრობა და გულაგდებული განხილვა

საქმისა მის გამართლებას შეუძლებლად ხდის და კატიუშას გადაუწყვეტენ 4 წლის კატორღას. ნაფიც მსაჯულთა რიცხვში ერია ნეხლიუდოვი, კატიუშას დამღუპველი, და იმანაც ისეთი დაუდევრობა გამოიჩინა, როგორც ყველა სხვამ, და ხელმეორედ კატიუშას დაღუპვის მიზეზი გახდა.

ეს ასე მოხდა, მაგრამ ამ წამიდან ნეხლიუდოვისთვისაც განკითხვის დღე დადგა. ეს მისი განმკითხველი უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მსაჯულები; მისი განმკითხავი მისივე სინდისი შეიქნა და ამ სინდისის ქენჯნის აღწერაა მთავარი შინაარსი რომანისა. ნეხლიუდოვი ამ დღიდან კატიუშას დახსნის საქმეს შეუდგება, ცდილობს, რაც ძალი და ღონე აქვს, რამე უშველოს, მაგრამ ყოველივე ტყუილად ჩაივლის და ბოლოს გადასწყვეტს თან გაჰყვეს ციმბირში და ეცადოს კატიუშას სულიერად განახლებას. ამისთვის კიდევაც გადასწყვეტს მის შერთვას. კატიუშა თავდაპირველად ერთობ უკმეხად ეკიდება ნეხლიუდოვს, მაგრამ ბოლოს მისი თავგანწირულება კატიუშას განუღვიძებს მიძინებულ სიყვარულს ნეხლიუდოვის მიმართ. ეს სიყვარული კი კატიუშას კარგად ამჩნევინებს, რომ ნეხლიუდოვს იგი გულით არ უყვარს, მაგრამ კეთილშობილების გულისათვის უნდა კატიუშას შერთვა. ამიტომ კატიუშა ნეხლიუდოვის ცოლობაზე უარს ამბობს და გზაში გაცნობილ ერთ პოლიტიკურ დამნაშავეთაგანს მიჰყვება ცოლად. ნეხლიუდოვის სინდისის ქენჯნა დამთავრდება როგორც ტოლსტოის ყველა გმირის სულის ისტორია. იგი სახარების კითხვაში პოულობს ყოველივე მტანჯი კითხვის გადაწყვეტას. „მას სწამდაო, — ამბობს ტოლსტოი, ის მთავარი აზრი, რომლითაც გამსჭვალულია ეს მოძღვრება (ქრისტესი) და რომელიც მეტად ნათლად და ძლიერად არის გამოსახული „ვენახის-მოქმედთა“ იგავში. ვენახის მოქმედთ ეგონათ, რომ ის ვენახი, რომელიც მისცა სახლისა უფალმან „მოქმედთა საქმედ“ მათი საკუთარი იყო; რომ რაც კი იყო ვენახში, მათთვის იყო და მათი საქმე იყო მხოლოდ ამ ვენახში სიამოვნება და თავისშექცევა. მათ დაივიწყეს „სახლისა უფალი“ და „მოსწყვეტენ“ ყველანი, ვინც კი გაახსენებდა სახლის უფალს და მათ საქმეს“.

„აი რაშია საქმე, — ფიქრობდა ნეხლიუდოვი, — მე ვცხოვრობდი და ყველა ჩვენ ვცხოვრობთ და იმ სულელურ აზრს ვაღგივართ, რომ თვით ჩვენა ვართ ჩვენი ცხოვრების პატრონნი, რომ ცხოვრება გვაქვს მონიჭებული თავის შესაქცევრად. და ეს ხომ ნამდვილი სი-

სულელეა. ჩვენ თუ ამ ცხოვრებაში ვართ მოვლენილი, უთუოდ ვისიმე ნებით და რისთვისამე. ჩვენ კი გადაწყვეტილი გვაქვს, რომ სოკოსავით გავჩნდით, დავიბადეთ და ვცხოვრობთ ჩვენი სიამოვნებისათვის და. რაღა თქმა უნდა, ჩვენც ისეთი ცუდი საქმე მოგვივა, როგორც სასახლის უფლის წინააღმდეგ ვენახის მოქმედთა მათ. სასახლის უფლის ნება კი ქრისტეს მოძღვრებაშია გამოთქმული, ოღონდ კი ეს მოძღვრება აღასრულოს კაცობრიობამ, და ქვეყანასა ზედა დამკვიდრდება სამეუფო უფლისა და კაცობრიობას ეღირსება უმაღლესი მადლი.

ეძიებდით სამეუფოსა უფლისასა და ჭეშმარიტებასა მისსა, ხოლო სხვა თავისთავად მოგეცემათ თქვენ.

ჩვენ ვეძიებთ „სხვას“ და ვერ ვპოულობთ მას. არა თუ არ ვამკვიდრებთ სამეუფოს უფლისას, არამედ ვაქცევთ მას.

აი ჩემი ცხოვრების საქმე. ერთი გათავდა, მეორე დაიწყო, მე კი მეგონა, რომ განმარტოებული ვიყავი, და არავითარი საქმე არა მქონდა“.

ამ დღიდან დაიწყო ნეხლიუდოვისათვის სრულიად ახალი ცხოვრება, იმიტომ კი არა, რომ ცხოვრების ახალ პირობებში ჩადგა, არამედ იმიტომ, რომ, რაც კი მოხდა ამის შემდეგ, ყოველივემ მიიღო მისთვის ახალი მნიშვნელობა და არა ისეთი როგორც უწინ.

ყოველივე ეს მეტად გაურკვეველი რამ არის. ეძიებდით სამეუფოსა უფლისას? კი მაგრამ, რა არის ეს სამეუფო უფლისა? როგორ უნდა ვეძიოთ, და რაკი მოვძებნით რა საშუალებით მივაღწიოთ მის კაცთა შორის დამკვიდრებას? ეს მთავარი საგანი ისევ გადაუწყვეტელი რჩება, როგორც აქამდე იყო, ამ ფსიქოლოგიური გარდაბადების ისტორია იწყება კატიუშას განსჯის დღიდან. ნაფიც მსაჯულთა სკამზე აღეძრა ნეხლიუდოვს სინდისის ქენჯნა; „მის სულში ხდებოდა რთული და მტანჯი მუშაობა“, მას აგონდება მთელი თავისი წარსული, დრო სტუდენტობისა, კატიუშას სიყვარული, კატიუშას შეცდენა და შემდეგ მისი ფუქსავატი ცხოვრება დარდიმანდი ახალგაზრდასი... „მაგრამ ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა იმ სინანულის გრძნობას, რომელიც იღვიძებდა მასში. მას ეგონა რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა, რომელიც გაივლის და მისი ცხოვრების მიმდინარეობას არ დაარღვევს... ნეხლიუდოვი გრძნობდა მისგან ჩადენილი საქმის საზიზღრობას, გრძნობდა ძლიერებით მორჭმულ ხელს „სახლის უფლისას“, მაგრამ ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისი ნამოქმე-

დარის მნიშვნელობა და არ სცნობდა თვით „სახლის უფალს“. არ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ რასაც ხედავდა, მისგან ჩადენილი საქმე იყო. მაგრამ ულმობელ, უხილავ ხელს ეჭირა და გრძნობდა რომ ამ ხელს ვერ გაექცეოდა.. სულის სიღრმეში გრძნობდა, რა საშინელებით, საზიზღრობითა და სისაძაგლით იყო აღვსილი არა თუ ეს მისი მოქმედება, არამედ მთელი მისი უქმი, გარყვნილი, უგულო და ლაღი ცხოვრება, და ის საშინელი ფარდა, რომელიც რაღაც სასწაულის ძალით ამ თორმეტი წლის განმავლობაში ფარავდა მისგან ამ მის ბოროტმოქმედებას და მთელ მის ბოლონდელ ცხოვრებას, შეინძრა და ის დრო-გამოშვებით იქვრიტებოდა ამ ფარდის იქით“.

შემდეგში ეს ფარდა თანდათან აიხდება ნეხლიუდოვის წინ და მთელ მის ცხოვრებას დაუწყებს საშინელი სისასტიკითა და სიმკაცრით განსჯას. გაწყვეტს ყოველივე კავშირს იმ საზოგადოებასთან, რომლის სულსა და გულს შეადგენდა და რომელიც მას ართობდა და ავიწყებდა თავის ადამიანობას. ტოლსტოის მოძღვრების აღმასრულებელი ხდება მით, რომ გლეხებს მიწა-წყალს დაურიგებს. ზოგს უფასოდ, ზოგს კი სულ მცირე იჯარის ფულს ართმევს, თუმცა, მართალია, ეს მცირეც დიდძალ ფულს შეადგენს. ნეხლიუდოვი ამ დღიდან კატიუშას და მასთან იმ ქალაქის ყველა ტუსაღის მეოხად და ნუგეშად შეიქნება, მათ გაჰყვება ციმბირში და კატიუშას ცხოვრებას რაკი მოაწყობს, იმ სიტყვებით ამთავრებს თავისი ცხოვრების პირველ ხანას, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. მისი ცხოვრების მეორე ხანა კი ბუნდოვანი სიტყვებით იწყება: „უფლის სამეუფოს დამკვიდრების“ საქმის სამსახურს დაისახავს ამ ხანის იდეალად ნეხლიუდოვი.

მთელი ეს ისტორია სულის გარდაბადებისა და აღდგომისა აღწერილია იმ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ ამბავთან; ამ წარმომადგენლების სურათებითაა აღსავსე ახალი რომანი ტოლსტოისა. ჩვეულებრივი ხელოვნებითა აქვს ტოლსტოის აღწერილი რუსეთის უმაღლესი საზოგადოების წევრნი, — სასამართლოს დაწესებულებათა მოხელენი, სატუსაღოს მმართველნი და პატრონნი; უფრო ნაკლების ხელოვნებით აქვს ავტორს დასურათებული უბრალო და პოლიტიკურ დამნაშავეთა წარმომადგენელნი.

ჩვენ კიდევ იმას ვიმეორებთ, რომ ის ადგილები რომანისა, საცა საზოგადოების კრიტიკული სურათებია წარმოდგენილი, ანდა

სადაც ფსიქოლოგიურ ანალიზს საგნადა აქვს ნეხლიუდოვის ცხოვრებისა და აზრთა კრიტიკა, ტოლსტოის ჩვეულებრივი ნიჭითა და ხელოვნებით აქვს აღწერილი, ამ ნიჭზე კი ლაპარაკი მეტია, რადგან მიჩნეულია ყველასაგან ძლიერ ნიჭად. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვილაპარაკოთ ტოლსტოის რომანის მთავარი აზრის, მისი ტენდენციის, მისი ფილოსოფიის შესახებ. და ეს მხარე მოთხრობისა სუბტია, როგორც საზოგადოდ ტოლსტოის ფილოსოფია.

მთავარი ტიპი, — გმირი რომანისა ნეხლიუდოვი, უფრო განყენებული არსებაა, ვიდრე რეალური და მის სინამდვილეს ხელს უშლის სწორედ ის, რომ ტოლსტოი თავის ტენდენციას უქვემდებარებს ტიპს; ამ ტიპს ამახინჯებს იმისდა მიხედვით, თუ რას თხოულობს მისი წინადვე აღებული აზრი. თუ სინამდვილეს მოკლებულია ტიპი, ეს კიდევ არაფერი, თუკი შესაძლოა და სასურველი. შესაძლო, რასაკვირველია, არის ასეთი გარდაბადება ადამიანისა, რადგან ცხოვრებაში ყოველივე შესაძლოა, ხოლო სასურველი და მაინცა და მაინც იდეალად დასასახავი კი არ არის.

ლევ ტოლსტოის წინანდელ თავის რომანებში გამოჰყავდა ხოლმე ნამდვილი ტიპები და მათ გვერდით სასურველი (ბოლკონსკი და ბეზუხოვი, ვრონსკი და ლევინი). ამ რომანში კი ლ. ტოლსტოიმ მოისურვა ორი ტიპის შედუღება. ნეხლიუდოვი „აღდგომამდე“, ნეხლიუდოვი „აღდგომის“ განახლების შემდეგ. ნეხლიუდოვი აღდგომამდე და სულის განახლებამდე ცოცხალი ტიპია დღევანდელი საზოგადოებისა და საზოგადო პირობებით წარმოშობილი. აღტაცებული ახალგაზრდა სტუდენტობის დროს, შემდეგ ფუქსავატსა და უაზრო ცხოვრებისაგან გაქსუებულ დარდიმანდად გადაქცეული, ეს არის ისტორია თითქმის მთელი უმეტესი ნაწილის დღევანდელი ახალგაზრდობისა. მაგრამ ნეხლიუდოვი თავისი ნიჭითა და გრძნობითაც განირჩეოდა სხვისაგან და ამ განსხვავების შედეგია ის სულის ქენჯნა და ის მკაცრი კრიტიკული ანალიზი თავისი წარსული ცხოვრებისა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა იგი, მის დღეს აქეთ, რაც მისგან დაღუპული სული ნახა. მე მგონია ნამდვილ ცხოვრებას აქ უნდა დასმოდა წერტილი, რადგან რას იზამდა შემდეგ ნეხლიუდოვი, ეს მაინცა და მაინც არავისათვის საინტერესო არ იყო და საცოდნელადაც მეტად ძნელი. ამას ამტკიცებს ლ. ტოლსტოის ცდა, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ნეხლიუდოვი სახარების სიტყვებს იმეორებს და ეს გამეორება არ იძლევა არავითარ

გარკვეულ გეგმას მოქმედებისას და ვერც ვერავითარ ნათელ იდეალს ვერ გვისახავს. საინტერესო, როგორც ხელოვნების ისე მორალის მხრით, იყო ის, თუ რა სიმწარე და ტანჯვა მოაქვს გოძნობიერი და გონიერი არსებისათვის დანაშაულს და ცუდ მოქმედებას, და არა ის, თუ შემდეგში, როგორ იმოქმედებს ეს პირი. როცა მწერალი ამგვარ საგანს ეტანება, იგი უთუოდ შეცდომის გზაზე დადგება, რადგან მქადაგებლისა და მოძღვრის როლს იდებს თავზე და ვერ აასრულებს ხოლმე რიგიანად. მწერალმა უნდა დაგვანახვოს სულისკვეთება ადამიანისა ამა თუ იმ მოვლენისაგან გამოწვეული, უნდა გადაგვიშალოს ადამიანის სული და გვაჩვენოს რა გავლენა აქვს მასზე დიად მოვლენას სიკვდილისას, სიცოცხლის ძირითად მოთხოვნილებას სიყვარულისას და კაცთა შორის სხვა ძლიერი კავშირისას, რა გავლენა აქვს ამ სულის განწყობილებაზე ადამიანსა და ბუნებას შორის დამოკიდებულებას და სხვა მსგავს მოვლენებს. მწერალმა უნდა დაგვისურათოს ის, როგორ იქცევა და მოქმედებს ესა თუ ის კაცი ამა თუ იმ შემთხვევაში და მცნებათა დაფაზე დაწერას უნდა ერიდოს, რადგან ასეთი ცდა ყოველთვის უვარგისი გამომდგარა, თუგინდ ამას ხელი მიჰყოს ისეთმა ძლიერმა მწერალმა, როგორც ლ. ტოლსტოია. მთელ ინტერესს რომანისას, ამიტომაც. სწორედ ნეხლიუდოვის პირველი ხანის სულის ისტორია შეადგენს, ხოლო მეორე ხანაში მისი სულის ისტორიას კი აღარ აგვიწერს ავტორი, რეცეპტებს გვიმზადებს მოქმედებისას, და ეს რეცეპტები ისეა დაწერილი, რომ ვერც ერთი მეაფთიაქე ვერ ამოიკითხავს. ხოლო თუ ამ ზნეობრივი რეცეპტის გამორკვევას ვეცდებით, ტოლსტოის სხვა ნაწერებიდან დავინახავთ, რომ ასკეტური მორალის მოძღვრების მუხლებია: უარჰყავ ყოველივე მოთხოვნილება გონებისა და ხორცისა, შეუდექი სულის საქმეს, უარჰყავ სიყვარული, სიმშვენიერე ცხოვრებისა, უარჰყავ აზრის ვარჯიშობა, ხელოვნება. რომელიც ხორციელებასაც ემსახურება, აღიღე ჯვარი და გადაიქეცი კარატაევად თოხითა და ბარით ხელში. ეგ უარყოფაა არა მხოლოდ მთელი კულტურისა, რომლის შექმნა მარტო ასკეტთა მოძღვრებას კი არ ეკუთვნის, არამედ მთელ კაცობრიობას ეგვიპტიდან დაწყებული ჩინეთამდე, არამედ თვით კაცის ბუნების მთავარი მოთხოვნილებისა. — სიცოცხლე და მისი სიმშვენიერე, სიყვარული ერთი სქესისა მეორისადმი, სიყვარული აზრის ვარჯიშობისა, საუკუნო კითხვების გადაწყვეტის სურვილი, სიყვარული ხე-

ლოკნეტისა, რომელიც გარეგანი და სულიერი სიმშვენიერის იდეალს გვიხატავს — ეს ისეთი მიუცილებელი მოთხოვნილებაა კაცის არსებისა. რომლის უარყოფა ყოველად შეუძლებელია და რომლის უარმყოფელი ყოველთვის დასჯილი რჩება ცხოვრებისა და განგებისაგანაც. კაცობრიობის იდეალი ის კი არ არის, რომ უარჰყოს ყოველივე, რაც ცხოვრების საჭაულს შეადგენს, არამედ განავითაროს ცხოვრება და განაფართოოს მისი კეთილი მოთხოვნილებანი და გაამრავლოს მისი მშვენიერი მხარენი, — თანაც ყოველივე კეთილი ცხოვრებისა გაჰხადოს ყოველი კაცის მისაწვდომად და არა მარტო რჩეულთა; იდეალი იმაში კი არ არის, კარატაევებად გარდავიქცეთ და ამით სულის მშვიდობა მოვიპოვოთ. ეს კვიეტიზმის ფილოსოფია, სულის მშვიდობა ინდივიდუმისა, როგორც განყენებული რამ, არაფერ სასურველს არ შეიცავს, ქვა სულ მშვიდად არის, მაგრამ ქვად გარდაქცევა არა მგონი იდეალად დასასახავი იყოს. წინააღმდეგ, ტანჯვა, შფოთვა და გრგვინვა კაცის სულისა მისი ჭეშმარიტი ადამიანობის საბუთია და მისი გაღმერთების წინდია. საუკუნო ბრძოლა, საუკუნო და განუწყვეტელი ომი ბოროტისა და მისი ანგელოზების წინააღმდეგ — აი იდეალი ცოცხალი, გრძნობიერი და გონიერი კაცისა, — მაგრამ „არა წინააღდგომად ბოროტისა“. ეს ხომ ტოლსტოის კვიეტიური ფილოსოფიის ქვაკუთხედია.

ტოლსტოის რომანის ინტერესიც იქ თავდება, საცა იგი გვიხატავს, რა წამება მოაქვს გონიერი და გრძნობიერი არსებისათვის წუთიერი სიამოვნებისათვის ჩადენილ შეცდომასა და დანაშაულს, ხოლო ასეთი შინაარსის რომანები, არანაკლები ღირსებისა, უცხოეთის ლიტერატურაშიაც მოიპოვება მთელი სერია ბურჟეს რომანებისა სწორედ მაგ დანაშაულის შენანების აღწერაა და ამ შენანებისგან გამოწვეული ვაებისა შემგნებელ ადამიანში. ამიტომ ჩვენა გვგონია, ტოლსტოიმ არაფერი ახალი არა მისცა რა ევროპის ლიტერატურას არც ფორმისა და არც აზრის მხრით. ბევრად უფრო გასაგებია ჩვენთვისაც კი ბურჟეს დე-კერნები და გრელუები, ვინემ ნეხლიუდოვი, რომელიც უფრო ახლოა ჩვენთან და ეს იმიტომ, რომ ბურჟეს ტიპები უფრო სინამდვილით აღსავსენი არიან...

ჩვენ არ შეგვეშინდება უმეცრების სახელი დავიმსახუროთ და განვაცხადებთ, რომ სენკევიჩის Quo vadis-ი შეუდარებლად უფრო მაღლა დგას ტოლსტოის ახალ რომანზე, მაგრამ სენკევიჩს

არა აქვს ის გარეშე პირობანი, რომელნიც ტოლსტოის დიდ სამსახურს უწევენ. სენკევიჩის Quo vadis მშვენიერი სურათია იმ ბრძოლისა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების ისტორიას წარმოადგენს და რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ხორცის სარწმუნოების — სულის სარწმუნოებასთან, კერპთაყვანისმცემლობისა — ქრისტიანობასთან (პეტრონი და ლიგია). სენკევიჩის რომანი წინასწარმეტყველური სინამდვილით არის აღსავსე და ისტორიული წარსულის დასურათებაში დღევანდელი დღე ნათლად არის დანახული. სენკევიჩმა უცნაური გამჭრიახობით და საოცარი ნიჭით გვაჩვენა არსებითი ნათესაობა დღევანდელი ცხოვრებისა რომის დაცემის ხანის ცხოვრებასთან, მოგვცა ფრიად შესანიშნავი ტიპი პეტრონიისა, რომელთანაც კავშირს იშვიათი მოაზრე ახალგაზრდა არა გრძნობს, ნეხლიუდოვი კი, მთლად ისე აღებული, როგორც ტოლსტოისა აქვს აღწერილი, დამახინჯებული ასკეტია ძველის დროისა, რომელსაც სიბერის ხანს ყოველივე მოსძულებია და ასკეტიზმს შესდგომია, ხოლო მარტო მისი სულის ტანჯვის ისტორია, ზემოთაც მოვიხსენიეთ, არაფერ ახალს და არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს, რადგან მაგისთანა ამბებით ბურჟეს რომანები სავსეა...

მაგრამ სენკევიჩის, ტოლსტოისა და ბურჟეს ნაწარმოებნი მხოლოდ ერთ რასმე გვიჩვენებენ, — ეს მას, რომ თანამედროვე საზოგადოება რაღაცას ეძიებს და ელის, რომელიღაც მესიას მოლოდინშია, რომელმაც ახალი სარწმუნოება უნდა შეუქმნას და მისცეს გზა დაბნეულ კაცობრიობას. ტოლსტოიმ ადვილად გადასწყვიტა ეს საქმე—ასკეტურ მორალზე მიგვითითა; ბურჟე და მისი ფრანგი თანამეკალმეები (მაგალითად, ცნობილი კრიტიკოსი ბრუნეტიერი) პაპის ქოშებს დაუბრუნდნენ; სენკევიჩიც ვითომდა „დოგმატიზმს“ ეტანება, მაგრამ ყველა ეს ცდა ყოვლად ფუჭი და უმნიშვნელოა, თავისებური სიმპტომი საზოგადოების აზრის რყევისა ახლის მოლოდინში.

ტოლსტოი კი, როგორც მოძღვარი, მგონი აღარავის სერიოზულ ყურადღებას არ იპყრობს. როგორც მწერალი კი იგი დაშთება მხოლოდ და მარტო „ომისა და ზავის“ და „ანნა კარენინას“ ავტორად.

55. ლეონიდ ანდრეევი

1

...რევოლუციის ქარცეცხლმა რუსეთის ლიტერატურის ნაპერწკალი თვალსაჩინოდ გააჩაღა და რუსეთის ლიტერატურას გასაოცარი სიცოცხლე დაეტყო. ტოლსტოი, დოსტოევსკი და, ცოტა არ იყოს, ტურგენევიც უფრო ოფიციალური რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ და ეგრეთ წოდებულ „სლავიანთა სულის“ გამომხატველად იყვნენ მიჩნეულნი...

რუსეთის დღევანდელი ლიტერატურა ამ გზას სტოვებს და სრულიად ახალ სახეს იღებს. „განთავისუფლება ხორცისა“ — ეს ლოზუნგი მართლაც რომ ახასიათებს რუსეთის ლიტერატურის დღევანდელ მიმართულებას: იგი თავისუფლდება ბიზანტიური და ორთოდოქსული სარწმუნოებრივი ფილოსოფიისა და მისი მუხრუჭებიდან და ბერძნულ-რომაულ კულტურისაკენ იწევს, გრძნობის თავისუფლების მოციქულად გამოდის და ხორცის მოთხოვნილებათა შეუზღუდველობას ესარჩლება. აიღეთ რომელიც გინდათ ახალგაზრდა რუსი მწერალი, რომელმაც ამ რამდენიმე წელიწადში გაითქვა სახელი, ყველგან ამ უმთავრეს მოტივს დაინახავთ: ამას ამოიკითხავთ ანდრეევისა და კუპრინის ნაწარმოებში, ამას ნახავთ სოლოგუბისა და არციბაშევის და სხვათა მოთხრობებში. ასეთი მიმართულება ლიტერატურისა კი სრულიად ახალ თესლს შეიცავს არა თუ რუსეთის ლიტერატურისათვის, არამედ ევროპიელისათვისაც კი. საბერძნეთ-რომაული კერპთაყვანისმცემლობის შეხედულება ცხოვრებაზე ფეხს იკიდებს დღეს ევროპაში და ახალ რენესანსს გვიქადის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. დიდი მამამთავარი ამ მიმართულების ნიცშეა, რომელმაც ლიტერატურას, ფილოსოფიას და ცხოვრებას იდეალად და კერპად „ოქროს ხუჭუჭთმიანი მხეცი“ დაუსახა, რუსეთში კი პირველი ტონის მიმცემი ახალი ლიტერატურისა ლეონიდ ანდრეევი შეიქნა.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ანდრეევის ნაწერებმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია „სქემა ნაკურთხ“ წრეებში, ხოლო გრაფ ლ. ტოლსტოის მეუღლემ ანდრეევის წინააღმდეგ დიდი ზარითა და ზეიმით

გამოილაშქრა, ზნეობის გამრყვნელ და თვით ზნედაცემულ ნაწერებსა ჰქმნისო. უეჭველია, გრაფის მეუღლე „ჰეშმარიტ ქრისტეანეს“ როლს გულწრფელად ასრულებდა, ხოლო სხვა ორჭოფა და ორპირა ოფიციალური მცველნი ზნეობისა იმის ფეხს აჰყვნენ, მისი, ანუ უკეთა ვთქვათ, ლევ ტოლსტოის მეუღლის სახელის ავტორიტეტით ისარგებლეს და ანდრეევზე იერიში მიიტანეს. არ ვიცი, რამდენად იმოქმედა ამ გალაშქრებამ ანდრეევზე, მხოლოდ ის კი უეჭველია, რომ „უფსკრულისა“ („Бездна“) და „ნისლის“ (В тумане“) შემდეგ (რომელთაც გამოიწვიეს ალიაქოთი), ანდრეევს ამგვარი აღარა დაუწერია რა, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ „ხორცის განთავისუფლების“ აზრები მას არ მოუშორებია თავიდან და სულ უკანასკნელად თავის „ელეაზარში“ გამოხატა ბერძნულ-რომაულისა და ქრისტიანული ფილოსოფიის მეტოქეობა, პირველის ნაყოფიერება, ხოლო მეორესი კი დამღუპველობა ცხოვრებისა და ხელოვნებისათვის. ასეა თუ ისე, ანდრეევმა ჩვენ სწორედ მაშინ დაგვაინტერესა, როცა რუსეთის ლიტერატურის ოფიციალური პაპები დააფრთხო და მათი რისხვა გამოიწვია. უეჭველი იყო რაღაც იმალებოდა ახალი, უჩვეულო „სლავანთა სულისათვის“ და მით უფრო ჩვენთვის საინტერესო ხდებოდა.

პირველად „ახალი“ შეხედულება „უფსკრულში“ გამოიხატა. არაკი მოთხრობისა ფრიად ორიგინალურია, თუმცა კი მარტივი. ახალგაზრდა ქალი და ვაჟი, სიყვარულით გატაცებულნი, დასეირნობენ. შემოაღამდებათ და გზაც დაებნევათ უღრან ტყეში. აქ თავზე წააწყდებიან რამდენსამე გალეშილ კაცს. ეს კაცები თავს დაესხმიან ვაჟს, ცემით გულს შეუსუსტებენ, ქალზე კი ძალას იხმარენ და ნამუსს ახდიან. როცა ვაჟი მობრუნდება, დაიწყებს ქალის ძებნას, წააწყდება გულშემოყრილ ქალს, და მის ხელს მოხვდება „გაშიშვლებული სხეული“, მსუქანი და ცივი ხორცი, მაგრამ მკვდარი არ იყო და ნემოვეცქიმ (ვაჟის გვარია) თრთოლვით გადახადა ტანისამოსი... ხელი დაადო გულზე, გული სუსტად და თანასწორად უცემდა, და როცა სახე მიუახლოვა სახეს, იგრძნო სუსტი სუნთქვა და მიხვდა, რომ ზინოჩკა (ქალის სახელია) გულშემოყრილი კი არ იყო, მას დასუსტებულს ჩასძინებოდა... მისი სხეული უტყვად და უძრავად იყო. ეს სხეული უმწეო იყო და ადვილად ხელმისაწვდომი, და სწორედ ამიტომაც რაღაც შესაბრალისი იყო და თანაც გამახელებელი, რაღაც უცნაური, უძლეველი მიმზიდველობით იყო აღსავსე... ორნაირი გრძნობა, გამოწვეული კაბისა და შიშველი

სხეულის ხელის შეხებით. ისეთი მახვილი იყო, როგორც დანა და ისეთივე მიუწვდომელი, როგორც სიგიჟე. ვაჟი ერთსა და იმავე დროს მომგერებელიც იყო და შემტევიც. იგი ეძიებდა შველას გარშემორტყმულ ტყესა და სიბნელეში, მაგრამ ტყე და სიბნელე არ ეწეოდა; აქ მხეცთა მეჯლისი იყო და ვაჟი უეცრად მოექცა ადამიანის გასაგებსა და მარტივ ცხოვრებას იქით, იგი ჩაეხვია დამწველ ვნებათა ღელვას, რომლითაც ჰაერი იყო გაჟღენთილი... ხელახლად ეცა მოდუნებულ სხეულს, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, ჰკოცნიდა, სტიროდა და გრძნობდა თავის წინ რაღაც უფსკრულს. ბნელსა და საშინელს, თანაც მიმზიდველს... საოცარი სისასტიკით, ზელდა თბილს, ხელში მომყოლ სხეულს... უფრო ძალზე მიიკრა თოთო, უძლური სხეული, რომელიც უსიცოცხლოდ ნებდებოდა კაცს და თვით ამით აღვიძებდა მასში ველურ ვნებას... ერთ წუთს ცეცხლის მფრქვეველმა საშინელებამ მოიცვა მისი აზრი და შავი უფსკრული გადაშალა იმის წინ... შავმა უფსკრულმა დანთქა იგი".

ამ მოთხრობაში ცხადად და თვალსაჩინოდ აქვს ანდრეევს გამოხატული ფატალური ძლიერება, მომხიბვლელი და წარმტაცი საშინელება, უძლეველი და თანაც ველური სიმშვენიერე, აღგზნებული სისასტიკე ხორცისა, სხეულის, უცნაური და თავბრუდამხვევი ძლიერება სქესობრივი ინსტინქტისა, რომლის სიმბოლოც არის ხორცი. „გაშიშვლებულმა სხეულმა" დაავიწყა ნემოვეცკის პირადი ფიზიკური შეურაცხყოფა და ტკივილები, გაუპატიურება და დაცინვა საყვარელი არსებისა; მას დაავიწყდა ყოველი მოსაზრება, მისი გონება მისი ხორცის, საზოგადოდ, ხორცის მონა შეიქნა და „შავ უფსკრულში დაინთქა". ხორცის მოთხოვნილება უძლეველია, ხორცის ძლიერება საოცარია, ხორცის ბატონობა შეუდარებელია — აი, მშვენივრად დასურათებული აზრი ანდრეევის „უფსკრულისა". ეს აზრი თითქო აქა-იქ შეღებილია ქრისტიანობრივი ასკეტიზმის ზეგავლენით. ხორცის მოთხოვნილება „შავ უფსკრულად" არის წოდებული. გაშმაგებული ნემოვეცკის შესახებ ამბობს, რომ „ყრუდ ჩურჩულებდა და ერთად-ერთი ადამიანური თვისება შერჩენოდა,—ცრუობაო", ე. ი. ნემოვეცკი პირუტყვად იყო გადაქცეული, ასე რომ კაცს ეგონება, თითქო სხეულის მეუფება — ანდრეევისათვის დაწყევლილი რამაა და შეჩვენებული, ვით ქრისტიანულ მამამთავრისთვისაო. საკვირველია. საფიქრებელია, რომ ანდრეევი ასე ადვილად ვერ გაექცეოდა საუ-

კუნეთა კულტურის დაღს; რასაკვირველია, „სლავიანთა სულს“ ეგრე უეცრად ვერ მოიშორებდა. მაგრამ ასეთი მიდრეკილება მწერლისა სუსტია და მეტად ბუნდოვანი. მართლაც, „შავი უფსკრული“ გამოურკვეველობის, გამოუცნობლობისა და უცნაური დემონური ძლიერების გამომსახველი უფროა, ვიდრე შესაგინებელი და შესაჩვენებელი რამ. ან რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ ფრაზებს — „ნემოვეცკის ადამიანის თვისებიდან მარტოღა ტყვილის თქმის ნიჭი შერჩენოდაო?“ მერე თუკი ტყუილი, რომელიც ზნეობრივობის უარყოფაა, ადამიანის თვისებას შეადგენს და ძლიერ თვისებათაგანს, თვით ადამიანობა, როგორც ინსტინქტების სამეუფოთა დაპირისპირებული, ვითომ რაღა წითელი კვერცხია და არჩევანი რომელს უნდა მივცეთ? ანდა შესაძლოა განა ადამიანის თვისებათა ასე სასტიკად დაყოფა, რომ ერთ კატეგორიას ადამიანები ვუწოდოთ, მეორეს,არაადამიანები. ეგ სქოლასტიკური დანაწილება იქნება, რომლის სიყალბე უეჭველია. და ამას არც ანდრეევი კისრულობს, რასაკვირველია.

ასეთივე საშინელი მომხიბველელი სურათით აქვს დახატული ანდრეევს მოთხრობა „ნისლში“ სქესობრივი გრძნობის გაღვიძება ახალგაზრდა ვაჟში. საუცხოოდ აქვს აღწერილი მთელი განვითარება ამ სიცოცხლის მომფენი და მშვენიერი გრძნობის გაჩენისა, გადაგვარებისა და დამღუპველად გარდაქმნისა. ყმაწვილ ვაჟს სქესობრივი გრძნობა გაღვიძება, მაგრამ დღევანდელი ცბიერი და ორპირი საზოგადოების წარმომადგენლებს ასეთი დიდი მოვლენა ყმაწვილის ცხოვრებაში მომაკვდავ და სამარცხვინო რამედ მიაჩნიათ, ტუქსვისა და დაგმობის მეტ წამალს ვერ პოულობენ მისთვის და არავითარი სერიოზული ყურადღების ღირსად არა თვლიან. ამიტომ ხდება ისეთი უბედურება, როგორც „ნისლის“ ვაჟს დაემართება. ცუდად, ურიგოდ მიმართული და დაკმაყოფილებული გრძნობა შეჰყრის საოცარსა და საზიზღარ ავადმყოფობას, რომელიც სიცოცხლეს უშხამავს და სამარის კარამდე მიჰყავს. ნერვებაშლილი ავადმყოფობით, გულმოწყლული და უცნაურად სასოწარკვეთილი ვაჟი მოკლავს ერთ იმ ქალთაგანს, რომელმაც იგი თავისდა უნებურად დაღუპა და თავის თავსაც ზედ დააკლავს. ყოველივე პირობა ისეთი იყო, რომ ვაჟს ამგვარად უნდა დაებოლოვებინა თავისი ცხოვრება, მაგრამ მკაცრი სინამდვილითა და სისწორით არის დასურათებული ბრძოლა ვაჟისა „ქუჩის ქალთან“, მისი ალერსი, რომელიც მისთვის წმინდა

სიყვარულის საგანთანაა მიმართული და საზიზღარი სინამდვილის იქით აპყრობს თვალებს სიცოცხლის განმაცისკროვნებელ საგანს. „ქალი“, ამით გააფთრებული, ყმაწვილს აღარ ნებდება, ვაჟი კი აღგზნებული ფიზიკურად თხოულობს გრძნობების დაკმაყოფილებას და რაკი „ქალი“ თავისი უშვერი სიტყვებითა და ქცევით მას მწარე სინამდვილის ლაფში ჩაახედებს, გრძნობებს კი დაუცხრომელს უტოვებს, იგი შურს იძიებს ამ საბრალო არსებაზე და თვითონაც ამ უმსგავსოების მსხვერპლი გახდება.

აქაც ანდრეევი ხორცის მოთხოვნილების უძლეველობასა და გარდუვალობას გვიხატავს. აქაც, როგორც „უფსკრულში“ ვაჟი წმინდა გრძნობითაა გატაცებული, მაგრამ ქალის სხეული, თბილი ხორცი ქალისა თავბრუს ასხამს, ყველაფერს ავიწყებს, სრულ ყმად ხდის აშლილი გრძნობებისა მათ და ერთს „შავ უფსკრულში“ ჩაძირავს, მეორეს კი თვით სიცოცხლეს მოასპობინებს, ესოდენ ძლიერებით მოსილად გვიხატავს იგი სხეულის მოთხოვნილებას, ხორცის სამეუფოს.

ანდრეევი საოცარი სისასტიკით ჰგმობს დღევანდელ საზოგადოებას, რომელიც ხელს უშლის ამ გრძნობის თავისუფალ განვითარებას, ათასნაირ კედელს უმართავს გზაზე და ცბიერებითა და სიცრუით აღსავსე ზნეობრივი ჯაჭვებით კრავს უძლეველ გრძნობას. ამას კი ის მოყვება ხოლმე, რომ მშვენიერი ყმაწვილი, სიცოცხლისა და ცხოვრების იმედი და საფუძველი, იღუპება... „სამოცდათორმეტი პროცენტი მცხოვრებთაო“, — ამბობს „ნისლის“ ვაჟის მამა, — გარყვნილებით, ე. ი. იმის გამო, რომ ბუნებრივ და აუცილებელ გრძნობას თავისი გზა არა აქვს მიჩენილი, იმის გამო, რომ ამ გრძნობას უგუნური ომი აქვს გამოცხადებული, იღუპება... იღუპება, თვით საზოგადოება, ხალხი და კაცობრიობა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ანდრეევმა „ხორცის სამეუფოს“ პირველი ადგილი დაუთმო, „ხორცის სამეუფოს განთავისუფლების“ აზრის მოქადაგედ პირველად იგი გამოვიდა რუსულ ლიტერატურაში... მაგრამ უეცრად, თითქო „მწიგნობართა და ფარისეველთა“ ყაყანმა შეაშინა ან შეაფიქრაო, ანდრეევმა ამ საკითხებს გვერდი აუხვია, ისევ „სლავიანთა სულის“ ნავთსადგურს მიმართა, რომლის საუკეთესო და უცნაური ნიმუშია „ბასილ თებავლის ცხოვრება“, ამბავი ბედისაგან შერისხული მღვდლისა, რომლის ცხოვრება თითქოს მისთვის არის დატანჯული და დასჯილი, რომ „მისი

ცოლი მოცული იყო დედობრივობის გააფთრებული - წყურვილით და ამგვარ ექსტაზში იგლეჯდა ტანისამოსს და უსირცხვილოდ შიშვლდებოდა მთლად დამწველი და საშინელი, ვითა ბახუსის ვესტალკა, საცოდავი და შესაბრალისი, ვითა დედა, შვილის სევდით შეპყრობილი... მისი ვნებათა ღელვა იმორჩილებდა უბიწო მღვდელს და გიჟურ ვნებას თავის ცოლისას, იგი მორცხვი და უბიწო, აძლევდა პასუხს ამგვარივე გიჟური ვნებით, რომელშიც გამოსჭვიოდა ნათელი იმედი და ლოცვა, და უსაზღვრო სასოწარკვეთილება დიდი დამნაშავისა". ამ დანაშაულის წილ მათ იდიოტი დაებადათ და მთელი მათი სიცოცხლე ამით იქნა დაღუპული და მოხპობილი. მთელი ეს მოთხრობა დოსტოევსკისებური დამტანჯველი კილოთია მოთხრობილი.

გადის დრო და ანდრეევი თეატრს მიჰყოფს ხელს. ეს რევოლუციის სუსხის დროს იყო. მისი „ვარსკვლავებთან", „საბბა" დრამატიული მხრით თუმცა სუსტნი არიან, მაგრამ ბეჭედი დიადი მომენტისა მაინც ასვია. „ვარსკვლავებთან" გვიხატავს ბრძოლას შრომასა და კაპიტალს შორის, და თავგანწირულ მებრძოლთ, პირველის მოსარჩლეს; „საბბა" გვიჩვენებს ცრუმორწმუნოებისა და მეცნიერების ბრძოლას, ბრძოლას უგნურებასა და სიყალბეზე აღგებულ აწ არსებულ წესწყობილებასა და ამ წესწყობილების უკიდურეს უარმყოფელს შორის. გამარჯვებული უმეცრება რჩება, უმეცრება და სიყალბე ხიბლავს ბრბოს და სასტიკად ასამართლებს სინათლისა და სიმართლის მოციქულს; სხვა მხრივაც არის ჩვენთვის ეს ორი დრამა საინტერესო. ანდრეევი აქაც ახალი გზის გამკვლევია. დრამაში „ვარსკვლავებთან" მთის მოტრფიალე და დედამიწის შვილნი კი არ იბრძვიან, ერთმანეთს თითქოს კიდევაც შველიან. პროფესორი-ასტრონომი ვარსკვლავებისაკენ, ცისაკენ იწევს, მისი შვილები დედამიწისაკენ მიილტვიან, მის ტანჯვასა და ვაებას, მის კვნესასა და გოდებას ესარჩლებიან. მაგრამ მეცნიერი ცასა და დედამიწას ერთად აერთებს, მსოფლიოს სახელით ათავსებს ერთმანეთთან და ორივე, როგორც ვარსკვლავები, ისე მიწა, მიაჩნია ერთი დიდი ერთეულის ნაწილებად. ბრძოლაში დაღუპული შვილის საყვარელ ქალს, რომელიც კოსმიურ ფილოსოფიას პასუხად უგებს: მე წავალ, ცხოვრებას დავუბრუნდებიო! იგი სიყვარულითა და ნუგეშის ცემით ეუბნება: „წადი! წადი და დაუბრუნე მას (ცხოვრებას), რაც მიიღე მისგან. დაუბრუნე მზეს მისი სითბო! შენ დაიღუ-

პები ისე, როგორც დაიღუპა ნიკოლოზი (მისი შვილია), როგორც იღუპება ყველა, ვისაც კი ბედმა არგუნა მისი სული, უსაზღვროდ ბედნიერი სული მოახმაროს ცეცხლის საუკუნო დაუშრეტელობას. მაგრამ იცოდე, შენს დაღუპვაში შენ ჰპოვებ უკვდავებას. აბა, ვარსკვლავებო!.. (ხელს ვარსკვლავებისაკენ იპყრობს) სალამი, თქვენ ჩემო შორეულო, ჩემო უცნობო მეგობრებო!“ ქალი: (ხელს მისკენ იშვერს): „სალამი შენ, ჩემო საყვარელო, ჩემო ტკბილო ძმაო“. აქაც თავისებური ბრძოლაა ხორცის სამეუფოსა და გონების სულის სამფლობელოს შორის; ბრძოლა, რომელიც თავდება სამშვიდობო ზავით. ორივე მხარე ჩვენი ცხოვრებისა, ორივე მხარე მსოფლიოსი — სული და ხორცი, გონება და სხეული, ცა და დედამიწა, ორივე მშვენიერი და მომხიბვლელი მხარეა ერთი დიდებული მხარისა, რომელსაც მსოფლიოს, კოსმოსს ვეძახით.

საბბა ხომ თითქმის ანარქიული აზრების მოქადაგეა. აქ ბრძოლაა უმსგავსო ცბიერებასა და უმაღლეს პირდაპირობას შორის; რევოლუციონიზმის უმაღლესი ტემპი დაპირდაპირებულია უმაღლეს ქვემძრომლობასთან და სულის სილაჩრესთან, მატყუარა პატრონნი საზოგადოების გულისა და სულისა, სხვადასხვა ხერხით, ცრუმორწმუნეობის სხვადასხვაგვარი შეხამებით ბრბოს იპყრობენ და ეს ბრბო ბრმა და თვალახვეული მის ქომაგს, მის გულწრფელ მცველს ისე ეპყრობა, როგორც ავაზაკსა და მატყუარას, ხოლო ფლიდ მოძღვრებას მისი აზრისა და გონებისას ხელზე ატარებს. ანდრეევი უმაღლეს უარმყოფელს თითქმის ტაშს უკრავს და გულწრფელი სიმპათიით მხარს უჭერს ცხოვრების სიყალბისა და სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმისთვის სინამდვილე, სიმართლე, ჭეშმარიტება, — აი ცხოვრების კანონი, რომელიც უნდა დაიცვა ყოველი ძალით. ხოლო სიფლიდე, ვერაგობა, ორპირობა, რა სფეროში არ უნდა იხატებოდეს იგი, წარმყვნელია ადამიანისა და კაცობრიობისა.

შემდეგში ანდრეევი დრამატიულ ხელოვნებაშიაც ფეხს მოიკიდებს და შექმნის ერთ საუკეთესო ნაწარმოებს თანამედროვე დრამატიული ხელოვნებისას, რუსეთში მაინც. ეს არის „ცხოვრება ადამიანისა“, რომლის ივ. ზურაბიშვილის ჩინებულმა თარგმანმა გამოიწვია ეს ჩვენი წერილი..

ეს დრამა ისეთი გვარისაა, როგორიც არის დრამები მეტერლინკისა. ხოლო უფრო შორს თუ გადავიხედავთ, მხოლოდ ძველ საბერ-

ძნეთის ლიტერატურაში მოვიპოვებთ მაგალითებს. ეს არის დრამა, რომელშიც გამოხატულია ბედი, ბერძნული „მოირა“, ბედი, რომლის გარდუვალობა, რომლის ფატალური სიმკაცრე რუსთაველის უკვდავ ლექსშია გამოთქმული: „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქნების“. ეს განგება-ბედი ანდრეევის დრამაში განცხოველებულია. ეს არის „ვინმე რუხ ტანისამოსიანი, სახელად „ის“... იგი უფერულია, ვით გამოუცნობელი ძალა, იგი უსახოა, ვით მიუწვდომელი, იგი მკრთალია და ფერმიხდილი, ვით განგება გამოურკვეველი. ეს ვინმე „რუხტანისამოსიანია“, განიერი, უფორმო, რუხი ფარაჯა აქვს მოსხმული. იწყებს ლაპარაკს და მისი ლაპარაკი ერთი ხმით არის, თითქო საფლავიდან ამოდიოდეს, იგი ბედის განგებას გადაგვიშლის თვალწინ, „იწყებს ლაპარაკს მტკიცე, ცივი, აღელვებასა და ვნებას მოკლებული ხმით. „ის“ სასტიკი განურჩევლობით კითხულობს ხვედრთა წიგნს“. და აი რას გვამცნებს ადამიანის ცხოვრების შესახებ, ადამიანის ბედის შესახებ: ადამიანიო, — ამბობს იგი, — „წყვდიადიდან გამოსული წყვდიადშივე დაბრუნდება და უკვალოდ გაქრება დროთა უსაზღვროებაში... და მე, ვისაც ყველა „იმას“ მიწოდებს, დავშთები ერთგული თანამგზავრი ადამიანის მისი სიცოცხლის მთელ დღეებს, მთელი მისი მგზავრობის დროს... სიხარულის საათს, როდესაც მაღლა აღფრთოვანღება მისი თავისუფალი და გამბედავი სული, მჭვუნვარების და სევდის საათს, როდესაც სასიკვდილო ურვა მოიცავს, სულსა და გულში სისხლი გაიყინება: გამარჯვებისა და დამარცხების საათს, მიუცილებელთან დიადი ბრძოლის დროს მე მასთან ვიქნები, მე მასთან ვიქნები“.

განა მართალი არ ვიყავი, როცა ვამბობდი — ბერძნული ტრაგედიის ფატალიზმი გადმორგო ანდრეევმა ახალ დრამაში. განა ედიპის ცხოვრება, მისი ბოროტმოქმედება წინდაწინვე განსაზღვრული არ იყო ღმერთებისაგან? მარტო ედიპისათვის იყო ივი გამოუცნობელი და აუცილებელი, განა ყველამ არ ვიცით, რომ ადამიანი იბადება ტანჯვითა და ვაებით, „სიკვდილი ჰბადებს სიცოცხლეს“, მასში იღვიძებს სიცოცხლის განმაგრძობელი და ცხოვრების საფუძვლის მიმცემი გრძნობა სიყვარულისა, სქესობრივი ურთიერთობის აუცილებლობაზე აგებული; განა არ ვიცით, რომ ადამიანი მხიარულობს და ტირის, ცეკვავს და თავში ხელს იცემს; განა არ ვიცით, რომ მას მისი ცხოვრების ერთ ხანაში ეწვევა ესა თუ ის უბედურება და მერე

სიცოცხლესთანაც კავშირსა სპობს? ეს არის ფორმულა, მშრალი და მათემატიკური, ადამიანის ცხოვრებისა, რომელიც წინდაწინვე ვიცით, მაგრამ არ ვიცით, როგორ, რა სახით, რა ფორმით გაივლის ყოველი ჩვენგანი ცხოვრების ამ საფეხურებს, არ ვიცით, როგორი იქნება ჩვენი, ყველას კერძოდ „დაბადება“, ჩვენი სიყვარული და სიღარიბე, ჩვენი ცხოვრების „მეჯლისი“, ჩვენი „უბედურება“ და ჩვენი „სიკვდილი“. ანდრეევმა საოცრად ძნელი საქმე იკისრა. ხელოვნების განსაკუთრებულ ხასიათსა და თვისებას გვერდი აუხვია და მოისურვა ადამიანის ცხოვრების უფრო განყენებული სქემის დრამატულად გამოხატვა. მთელი არაკი დრამისა მარტივია, სრულიად სადა და თავისი სიმარტივითა და სისადავით ერთი-ორად ხელს უწყობს ავტორის სურვილს — „ადამიანის ცხოვრების“ განყენებული ფორმულის შექმნას. ყოველი კაცი იბადება, თვით ქმნის პირობებს, ანდა იძულებულია შექმნას პირობები, რომელიც გვარის განგრძობისათვის აუცილებელია; იგი ხან ქეიფობს, ხან მოთქვამს, ერთ დროს კი იქნება გედის უკანასკნელი სიმღერა სიკვდილის წინ. სიკვდილი მისთვის აუცილებელია, ყოვლის მომწამვლელი და მომშხამველი... თვით საუკეთესო წამი, ცხოვრების შემოქმედების ხანა, როცა ადამიანი, სიცოცხლით აღსავსე, ცდილობს ზედმეტი თავისი ჯანი და ღონე დაუბრუნოს ბუნებასა და კაცობრიობას, საუკეთესო მომენტი სიყვარულისა მოწამლულია, სიმწარე გარეული ამ უსაშინელესი მომენტის მოლოდინში.

ეს უცნაური სურათი „ადამიანის ცხოვრებისა“, დიადი ტრაგიზმით აღსავსე გულის მომწყვლელია და სიცოცხლის შემავიწროებელი. ანდრეევმა პესიმისტური და ცხოვრების უარმყოფი შეხედულება ამ დრამაში უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა; ადამიანის ბეჩაობა „მიუცილებლობასთან“ ბრძოლაში წარჩინებული ხერხით დაგვიხატა. თავზარდამცემი სურათია ის, როცა ადამიანს ცხოვრების ყოველი საფეხური გაუვლია, თავზე მეხი დასცემია და სხვას ველარას ახერხებს, თუ არა უნიადაგო, თუმც ძლევამოსილ, წყევლაკრულვას: „შენ კი არ ვიცი ვინა ხარ, ღმერთი, სატანა, ბედისწერა თუ სიცოცხლე — მე გწყევლი შენ... მე ვსწყევლი ყველაფერს, შენგან მოცემულს, ვსწყევლი ჩემს დაბადების დღეს, ვსწყევლი მთელს ჩვენს სიცოცხლეს, სიხარულს და ვაებას. ვწყევლი ჩემს თვალებს, ჩემს სმენას და ჩემს ენას, ვწყევლი ჩემს გულს, ჩემს თავს — და ყველაფერს გიბრუნებ, უგუნურო ბედო! წყეულ იყავ, წყეულ იყავ

ამიერიდან და უკუნისამდე!“ „გულგრილად ისმენს „ვინმე“ რუხტანისამოსიანი ადამიანის წყევლას, და სანთლის ალი ირხევა... ადამიანი დგება, იმართება წელში, უკან გადიქნევს ჭაღარა, ლამაზ, მუქარით აღსავსე მშვენიერ თავს და მოულოდნელი მაღალი, მაღალი ხმით ჰყვირის; წუხილითა და წყრომით აღსავსე ხმაში მოწოდება ისმის, წყე... დავარდება სკამზე და უკან თავგადავარდნილი კვდება, იმავე წამს სანთელიც ერთს გაილაპლაპებს და ქრება, და წყვდიადი მოიცავს ყველაფერს. **ვინმე რუხტანისამოსიანი:** ჩუმად, ადამიანი მოკვდა... სიჩუმე, მყუდროება და იგივე ცივი, გულგრილი ხმა იმეორებს შორიდან, გამოძახილსავით: „ჩუმად! ადამიანი მოკვდა“.

ანდრეევს ბევრი აქვს საშინელი სევდის მომგვრელი ნაწარმოები, თითქმის ყველა ამგვარი ღრმა სევდით არის მოვარაყებული, მაგრამ „ადამიანის ცხოვრება“ მეტის-მეტად დამატყვევებელია კაცის გონებისა და აზრისა. თუ გნებავთ, თვით „ნისლიც“, „სიჩუმე“, „ცხოვრება ბასილ თებაელისა“, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, მძიმე შთაბეჭდილებას მოჰგვრის კაცს, მაგრამ ყველა ამაში როგორღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი არაკია აღებული საგნად და თავის ნუგეში შეიძლება იმით, რომ ასეთი მოვლენა თუმც სინამდვილეს მოკლებული არაა, მაგრამ ერთობ იშვიათია. „ნისლის“ უბედურება თავიდან ადვილი ასაცდენია, იგი შედეგია იმისი, რომ ვარღვევთ კანონებს „ხორცის სამეუფოსას“.

სულ სხვაა „ცხოვრება ადამიანისა“. აქ არავითარი ნახტომი, არავითარი შეცდომა არავის არ მიუძღვის — ეს არის სურათი ყოველი ადამიანის ცხოვრებისა. აქ გამოყვანილი ადამიანი დაბადებულა ისე, როგორც ყველა, მას უგრძვნია ძალა ამგვარის ნაწარმოების განგრძობისა და სიყვარულით გული აფეთქებია, სიღარიბეც გამოუვლია, სიმდიდრეც გამოუცდია, ისიც, რომ არავინ იცოდა მისი სახელი; გამოუცდია ისიც, რომ სახელოვანი ყოფილა, — მაგრამ ყველა ეს აუცილებლად თავდება სიკვდილით, სიცოცხლის მოსპობით, „ვინმე რუხტანისამოსიანის“ გამარჯვებით, ე. ი. რალაც უხილავი, სასტიკი და საშინელი ძალის დღესასწაულით და მშვენიერი სიცოცხლით აღსავსე, გონიერი და გრძნობით სავსე ადამიანის დამარცხებითა და უბედურებით. მისთვის კი არ შურს ადამიანს სიცოცხლე, რომ მან შეიყვარა, რომ მდიდარი იყო ან ღარიბი, რომ უყვარდა ვინმე ან სძულდა, რომ საქმე ჰქონდა ან უსაქმური იყო, არა, —

„ცხოვრება ადამიანისა“ არის „ვინმე რუხტანისამოსიანის“ გამოუცნობელ ხვედრის ხელში, მას კი განკარგულება მოუხდენია, რომ „წყვდიადიდან გამოსული წყვდიადშივე დაბრუნდება და უკვალოდ გაჰქრება დროთა უსაზღვროებაში... უარსებობის წყვდიადში აპრიალდება ლამპარი, უცნობის ხელით ანთებული — ეს არის ადამიანის ცხოვრება... შემდეგ კი ქვევით იწევს, უძლურად იფინება მიწაზე ლურჯი ალი, ციმციმებს და ვარდება, ციმციმებს და ვარდება და ნელ-ნელა ჰქრება.. ასე მოკვდება ადამიანი“.

ადამიანს კი რა დარჩენია ამის ფარად: ბავშვური, დედაბრული წყევლა-კრულვა, — ხმალი უძლურისა, სატევარი სუსტი და ბეჩავი ადამიანისა.

იმაზე უფრო შორს წასვლა „ადამიანის ცხოვრების“ და მით მთელი ცხოვრების უარყოფაში, რაც ანდრეევმა თავის უკანასკნელ დრამაში ჩაიდინა, აღარ შეიძლებოდა, და, უსათუოდ, თვით ანდრეევმაც იგრძნო და იგემა სიმწარე და საშინელება ასეთი ფილოსოფიისა და თვითვე დაგმო, თვითვე მოუნახა მას დამპალი ფესვი, მოუნახა მოწამლული წყარო და „ელეაზარში“ ღრმად გვაგრძნობინა ამგვარი უარყოფითი ფილოსოფიის მავნებლობა და უვარგისობა. ამ მოთხრობაში მან ღრმად დაატრიალა ნესტარი მთელი კაცობრიობის კულტურაში, გამოაფინა მისი მთავარი ტენდენციები და თვალწინ დაგვიხატა მისი ცხოვრების მომაკვდინებელი ან ცხოვრების მაცოცხლებელი ძალა. თითქო ანდრეევი გულში ატარებდა ამდენ ხანს ჯავრს იმათ შესახებ, ვინც მას ხელი შეუშალა ახალი გზის გამორკვევაში, „ხორცის მეუფების“ განმტკიცებისა და გამშვენიერებისათვის საყვედურებს ხელოვნური სურათებით უპასუხა და ის, ვინც დღევანდელ „პრინციპებს“ ეპოტინება, მათი განხრწნილება, მათი უნიადაგობა თვალწინ მშვენიერ მხატვრობაში გადაგვიშალა. ელეაზარი, იგივე ლაზარე, „მესამესა დღესა მკვდრეთით აღდგომილი“, ის ლაზარე აღარ იყო, რაც მანამდე, ვიდრე სიკვდილს იგემებდა. სახეზე დაეტყო გარდუვალი გახრწნილებისა და საფლავის დაღი, უწინ ლაზარე ხასიათით მხიარული და უდარდელი იყო, უყვარდა მხიარულება და უწყინარი ხუმრობა. სწორედ ასეთი ხასიათისათვის შეიყვარა იგი მოძღვარმა. ეხლა კი მისი მხიარული „სახე სევდამ და მოწყენილობამ მოიცვა; აღარ ხუმრობდა ხოლმე და თუ ვინმე გაეხუმრებოდა, ღიმილით აღარ უგებდა პასუხს; ხოლო ის სიტყვები, რომელსაც ხანდახან წარმოსთქვამდა, სრუ-

ლიად მარტივი, ჩვეულებრივი სიტყვები იყო, ყოველდღიური საჭიროების გამომხატველი. ამ სიტყვებში შინაარსი და სიღრმე ისევე აღარ იყო, როგორც იმ ხმაში, რომლითაც პირუტყვი გვამცნობს ხოლმე თავის ტკივილებსა და სიამოვნებას, შიმშილსა და წყურვილს. ასეთი სიტყვები შეიძლება მთელ თავის სიცოცხლეში ილაპარაკოს კაცმა, მაგრამ ვერავინ თავის დღეში ვერ გამოიცნობს ამის შემწეობით, რითი იყო დაავადებული, ან რითი სიამოვნებდა მისი ღრმა სული". და ყველა, ვინც კი დაუახლოვდებოდა ხოლმე ელეაზარს, თან გულსა და სულში მიჰქონდა რაღაც წარუხოცელი სევდა და ვაება. რაღაც გახრწნილების სუნი სდევდა თან, სიკვდილის მსახვრალ ხელს მისი გონება ვეღარ წაუვიდოდა. ის შთაბეჭდილება, რომელსაც იგი იწვევდა, მხოლოდ სიკვდილით თუ მოისპობოდა. მრავალი იყო ცნობისმოყვარე, მამაცი და მხნე, ფილოსოფოსი, თუ მეომარი, რომელსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ლაზარეს უცნაური გავლენა იმის მნახველებზე. მაგრამ მივიდოდნენ და დაელაპარაკებოდნენ თუ არა, მაშინვე მათი არსება იცვლებოდა და როცა უკანვე ბრუნდებოდნენ, ლაზარეს თანამემამულენი მაშინვე იცნობდნენ და ამბობდნენ — „აი კიდევ ერთი უცნაური, ამასაც განუცდია ელეაზარის შეხედვა..."

„იმისგან არავინ არ დაბრუნებულა ისეთი, როგორიც მივიდა მასთან, ერთი და იგივე საშინელი აჩრდილი აწვა ყოველ მათგანს გულსა და სულზე და ძველ ქვეყნიერებას სრულიად სხვაგვარი თვალით ხედავდა". გულ და სულ ჩამკვდარი, გონება დაჩლუნგებული მისი მნახველი ასე ამცნევდა თავისს გრძნობას, თუ კიდევ შერჩენოდა შეძლება თავისი გრძნობების გამოხატვისა: „ჯერ კიდევ არ დაბადებულა ადამიანი და ჩვენს თვალში იმის თავზე უკვე სამგლოვიარო სანთლები იყო ანთებული. და ეს სანთლები უკვე ქრებოდნენ და არარაობა, სიცარიელე იჭერდა ადამიანისა და სამგლოვიარო სანთლების ადგილს; და სიბნელისა და სიცარიელით გარემოცულ ადამიანს უსაზღვრო კანკალი აიტანდა ხოლმე, იგი თრთოდა უსაზღვროს შიშით".

ელეაზარის სანახავად დაიძრა რომიდან შესანიშნავი მოქანდაკე. „თიხისა, მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან იგი ქმნიდა ღმერთთა და ადამიანთა სხეულს. ისეთი იყო ამ ქმნილებათა ღვთაებრივი მშვენიერება, რომ ადამიანი ამ სიმშვენიერეს უკვდავს უწოდებდა, მაგრამ თვით არ იყო კმაყოფილი თავისი ქმნილებით და ყველას არ-

წმუნებდა, რომ არის რაღაც, ჭეშმარიტად ბევრად უმშვენიერესი, რომლის გამოქანდაკება შეუძლებელია მარმარილოს, ან ბრინჯაოს შემწეობით... ჩემს მარმარილოს სული არ უდგას, ჩემს მშვენიერ ბრინჯაოში სიცოცხლე არ არისო“.

მოქანდაკეებს გაეგონათ ელეაზარის უცნაური ამბავი. წავიდა იმის სანახავად, დაჰყო მასთან მთელ დღესა და ღამეს. ხოლო როცა მეორე დღეს მის მოსაკითხავად მივიდა მონა, ვეღარ იცნო მოქანდაკე; ცრემლებით თვალები აევსო და ხმამაღლა შესძახა ბატონს — „რა დაგემართა, რა დაგემართა, ბატონო?“ მოქანდაკე დაბრუნდა უკან დაღვრემილი და დასევდიანებული. დაიწყო ქანდაკება და შექმნა ისეთი, რაღაც შესაზარი ისეთი შესახედაობისა, რომ კაცის თვალს ჯერ მსგავსი არა ენახა რა, თუმცა ვითომდა რაღაც ახალი უცნობის ფორმის მომასწავებელი. წვრილ-მრუდე შტოზე, ანდა რაღაც შტოს უშნო მსგავსებაზე, მრუდედ და უცნაურად გაშხლართული იყო ბრმა, უსახო, დაწეწილი მასა, რაღაცისა შიგნით შებრუნებულისა, რაღაცასი გარეთ გადმობრუნებულისა, რაღაც ველური ნაფლეთებისა, რომელნიც უძლურად ცდილობდნენ თავის თავს განშორებოდნენ. ერთ უცნაურად გამოშვერილ ნაპირზე შემთხვევით შეამჩნიეს საუცხოოდ გამოქანდაკებული პეპელა, გამსჭვირვალე ფრთებით, რომელნიც თითქო თრთოდნენ ფრენის უძლური სურვილის გამო“. სკულპტორის ერთმა საუკეთესო მეგობარმა დაინახა რა ეს საზიზღარი ნაწარმოები, სიმართლე ვეღარ დაუმალა მეგობარს და უთხრა „საზიზღრობაა, ჩემო მეგობარო. ეს უნდა მოისპოს. მოიტა ჩაქუჩი!“

მეგობრებმა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს შესაზარი რაღაც, მაგრამ ხელი არ ახლეს საუცხოო პეპელას. მას შემდეგ სკულპტორს აღარა შეუქმნია რა, გულგრილად უცქეროდა მარმარილოსა და ბრინჯაოს და უწინ მისგან შექმნილ ღვთაებრივ ნაწარმოებთ, რომლებზეც განისვენებდა უკვდავი სიმშვენიერე, და როცა დაუწყებდნენ ხოლმე ხანგრძლივ ბაასს სიმშვენიერის შესახებ, დაღონებული და დაღვრემილი პასუხს უგებდა ხოლმე:

— კი, მაგრამ ეს ხომ ყველაფერი სიცრუეა!

ელეაზარი მიიწვია თვით რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა. მასზეც გავლენა იქონია ელეაზარის შეხედვამ, ისიც კინაღამ არ დაიღუპა, მაგრამ სიცოცხლის ძალამ იხსნა იგი. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მან სიცოცხლისაკენ მოახერხა გადახრა და სიცოცხ-

ლესა და მისგან მინიჭებულ მხიარულობაში ეძიებდა იგი ფარს სიცარიელის, უფსკრულისა და დაუსრულებელი საშინელების წინააღმდეგ. მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ორად გაიყო, და თუ დღეს მხიარულობასა და ქეიფს ანდომებდა, ღამე მის სასთუმალთან აიმართებოდა ხოლმე საშინელი შავი აჩრდილი სიკვდილისა და უწამლავდა გონებას.

და ავგუსტუსმა ბრძანა, რომ ელეაზარისათვის გახურებული შანთებით ამოეწვათ თვალები. ელეაზარი კი ჩაღრმავებული ქუთუთოებით კიდევ უფრო საშიშარი შეიქნა.

დიდი დავა არ უნდა იმას, რომ ანდრეევმა ამ მშვენიერ სურათში გამოხატა ორი სამეფოს ბრძოლა: ბერძნულ-რომაული კულტურისა, რომელიც ხორცს, სიცოცხლესა და სიმშვენიერეს ემსახურებოდა, და ქრისტიანობრივი კულტურისა, რომელმაც სიცოცხლე და ცხოვრება თავისი სიმშვენიერით დაჰგმო და მარტო სულის ბატონობა აღიარა, რომელიც წინ ეღობებოდა და ტუქსავდა ყოველ გამოჩენას ცხოვრების გრძნობისას და მარტო სიკვდილის სამეუფოზე უთითებდა კაცს. ელეაზარმა — სიმბოლომ ქრისტიანობრივობისა, განხორციელებულმა სიკვდილმა დაღუპა ავრელი (მოქანდაკის სახელია), განხორციელებული სიცოცხლე და უკვდავი მშვენიერება, დაღუპა და დაამხო მთელი კულტურა სიმშვენიერის მრწამსზე აგებული და საზიზღარი, სადა, შესაზარი სიკვდილის სამეუფო განამტკიცა. მაგრამ ეს ასე ადვილი როდი გახლდათ: ბერძნულ-რომაული კულტურა ციდან ჩამოვარდნილი ან ქვესკნელიდან ამომძვრალი რამ არ იყო, იგი იყო ადამიანის არსების უაღრესი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, ამ მოთხოვნილებაზე დამყარებული და განმტკიცებული. შეიძლებოდა ერთის წუთით მისი შეჩერება, მაგრამ მისი მოსპობა შეუძლებელი იყო და აი ავგუსტუსი, სიმბოლო ამ კულტურის ყოველი დარგისა, ძლევს ელეაზარს, ან და, მოთხრობის სიტყვები რად გავიმეოროთ, ელეაზარმა სძლია ავგუსტუსი, მაგრამ ვერ მოჰკლა იგი— ისე როგორც ქრისტიანობამ ვერ მოჰკლა სიმშვენიერე და სილამაზე, ვერ მოჰკლა ხორცი და სიცოცხლე; მან იგი დაამახინჯა ისე, როგორც ავრელიის მშვენიერების წყარო, მისი გენიოსობა. გაივლის დრო და ძველი კულტურა არაჩვეულებრივი სიცოცხლით აღორძინდება განახლების ეპოქაში და მიქელანჯელოს ხელოვნება პრაქსიტელის ხელოვნებას მეტოქეობას დაუწყებს. კიდევ გაივ-

ლის დრო და დღეს სევდა, დარდი, თავისებური ნოსტალგია ბერძ-ნულ-რომაულის კულტურის გამო, საოცარი ძლიერებით იფეთქებს... თანაც, დღევანდელი ხელოვნება, ლიტერატურა იმ ძალის მიმბაძველობას იჩემებს და ცდილობს განათავისუფლოს კაცის გონება და აზრი იმ სიკვდილის შავი აჩრდილისაგან, რომელიც ქრისტიანობამ უანდერძა კაცს. ხოლო ქრისტიანობრივ კულტურას უმნიშვნელოდ როდი გაუვლია კაცისათვის და ქრისტიანობრივ ზნეობრივობასაც თავისებური დაღი დაუსვამს კაცობრიობისათვის. ადამიანის სულსაც, სიკვდილის საშინელებასაც თავისი ადგილი ექნება კაცის გონების ნაწარმოებში, მაგრამ თვით მშვენიერებას უკვდავების სახელით მონათლავენ და პრაქსიტელის ჰერმესს, ანდა უცნობი სკულპტორის ვენერასაც სულ სხვა თვალით შევხედავთ, მათი ხორცის სიმშვენიერე ჩვენთვის სულის სიმშვენიერის მომასწავებელია და გარეშე სულის სიმშვენიერისა თვით მათაც არ შეეძჩნეოდათ „ღვთაებრივი უკვდავება“. კაცობრიობა ეცდება, რამდენადაც შეიძლება, მოარიგოს სული და ხორცი, ერთ ნიადაგზე დასვას და არც ერთს უპირატესობა არ მისცეს. კაცობრიობა ეცდება, და მისი გონების წარმომადგენელნი გვაძლევენ საბუთს ამ ცდისას, რომ კაცის სურვილსა და ნებას, თვით მის გულსა და სულში, მის ბუნებაში მოუძებნოს საზღვარი და გაანთავისუფლოს იგი ყოველგვარი მორალური ძალდატანებისა და გარეგანი ვალდებულებისაგან, — მორალი გარეშე ყოველგვარი მონობისა და ჯაჭვებისა. ერთის მხრით, ამ აზრს ემსახურებიან ის მწერლებიც, ვინც „ხორცის განთავისუფლებას“ ქადაგებენ (ვიდეკინდი, შნიცლერი, არციბაშევი, სოლოგუბი, ანდრეევი და სხვ.). შეიძლება ხანდახან გადააჭარბონ ამაში, მაგრამ კაცის, ადამიანის თავისუფლებაში გადაჭარბება შეუძლებელია, ადამიანი ვითარცა პირადობა, უსაზღვროდ თავისუფალი უნდა იყოს და იმის თავისუფლების საზღვარი იქ უნდა დაიდვას, სადაც ამას თვით ბუნებრივი კანონი თხოულობს. დაე, ხანდახან ამ მწერალთა ქადაგება უცნაურადაც გაიგოს დღევანდელმა კაცობრიობამ, და უსამართლო ჯაჭვებით შებორკილმა მეტის-მეტად აიშვას, თვით იგივე, თვით მისი გრძნობა და ბუნება მოუნახავს მას იმ წერტილს, სადაც იგი უნდა შეჩერდეს. დღევანდელ ყალბ ზნეობრივობას და ორჭოფა უბიწობას კი ყოველგვარი თავაშვებული გარყვნილება სჯობია, ისე როგორც ცხადი და გამოჩენილი სენი

ჩუმ და ფარულს, რომლის დიაგნოზი შეუძლებელია და ექიმობა მოუხერხებელი.

მაგრამ, კმარა... ამ საგანზე შემდეგში კიდევ მოვილაპარაკებთ, როცა ვიდეკინდის ნაწარმოებებს გავაცნობთ საზოგადოებას.

2

ყოველი ახალი ნაწარმოები ამ ჩინებული მწერლისა უეჭველი საბუთია იმისა, რომ ლეონიდ ანდრეევის სახეში „ახალ რუსეთს“ დიდი მწერალი ჰყავს.

გემოვნებაზე თუ ჩამოვარდება ლაპარაკი, მე ანდრეევს ვარჩევ დოსტოევსკისა და ტოლსტოის; და თუ რუსულ ლიტერატურაში ამგვარი აზრი მწვალებლობად ჩაითვლება, ამაში ბევრი წილი უდევს იმას, რომ ანდრეევი ახალგაზრდა მწერალია, ბევრი ჰყავს მოქიშპე და წინააღმდეგი. საზოგადოდაც მწერალს თანამედროვე საზოგადოება თავის დღეში ისეთი სიმართლით ვერ დააფასებს, როგორც შთამომავლობა. შთამომავლობას საქმე ექნება მარტო მწერლის ნაწარმოების უკვდავ ღირსებასთან და არა სხვა რომელიმე გარეშე მოსაზრებასთან, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვეთა განწყობილებაში მწერლის შესახებ.

აიღეთ ანდრეევის უკანასკნელი მოთხრობა „ბნელეთი“ („Тьма“)— რა უცნაურია, რა ახირებულია! მეტად დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი არაჩვეულებრივი რამ სინამდვილით აღსავსედ მიგაღებინოს, ასეთი უცნაურობა მწვავე საგნად გახადოს და მთელი შენი არსებით ჩაგითრიოს ამ ამბის განვითარების თხრობაში.

ზოგიერთი რუსი კრიტიკოსი გეტყვით, ანდრეევი ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ფართო განვითარება აკლია, ძლიერი ინტელიგენტობით არ არის აღჭურვილიო. ჩვენ კი გვგონია, რომ ანდრეევის უპირატესობა სხვა ძველ რუს მწერლებთან იმაშია, რომ ევროპულად განვითარებული კაცია და ძლიერი ინტელექტით არის დაჯილდოვებული....

ანდრეევი მომხიბვლელია სწორედ იმით, რომ მისი ნიჭი ერთნაირად ითვისებს სულ სხვადასხვა რიგის საგანს, ერთნაირი სიმშვენიერით შეუძლია აღწეროს ხორცის სამეუფო („უფსკრული“, „ნისლი“) და დოსტოევსკისებური სულის ტანჯვა და წამება („ბასილ თებაელის ცხოვრება“), ერთნაირი ხელოვნებით შეუძლია და-

გვიხატოს ელინიზმის წარმტაცი ძალა („ელეაზარში“), აზრისა და გონების თავხედობის უდიდესი ნიმუში მოგვცეს კაცობრიობისაგან დოგმატად აღიარებული შეხედულების ხელახალი გადათვალიერებისათვის („იუდა“, „ბნელეთი“) და უცნაური სლავიანური ბოდვის გამოსახატავად (იგივე „ბასილ თებაელის ცხოვრება“).

აბა ამაზე მეტი უცნაური რამ თუ შეიძლება კაცმა იფიქროს და წარმოიდგინოს: ახალგაზრდა რევოლუციონერი, ტერორისტი, პოლიციის ჯაშუშებს ემალება და თავს შეაფარებს საროსკიპოში. დავალებული ჰქონდა დიდმნიშვნელოვანი ტერორისტული აქტის შესრულება და მზადაა ამ საქმისათვის, თავგანწირული და თავგადადებულია ნაკისრი მოვალეობისათვის, ამ საზოგადო სახლში იგი ეძიებს დასამალავ ადგილს. იყო სრულიად უბიწო, თუმცა 26 წლის იყო, სრულიად არა გაეგებოდა რა ქალისა და თავის დღეში არ ყოფილა ამგვარ სახლებში. რასაკვირველია, სხვების ყურადღება რომ არ მიექცია, იძულებული შეიქნა ქალი წაეყვანა ცალკე ოთახში. და, აი, აქ, ამ ოთახში მარტოდმარტო როსკიპ ლიუბასთან გატარებული დრო შეიქნება ტერორისტისათვის დამღუპველი, მთელი მისი ფსიქოლოგიის გარდამქმნელი. აი, აქ შეატყობინებს ლიუბას იგი თავის ცხოვრების ამბავს, თავის განწირული ცხოვრების მატიანეს, მის თავდადებულ მოქმედებას. ლიუბა კი აღტაცებისა და თაყვანისცემის მაგიერ, უცნაურსა და თავზარდამცემ კითხვას დაუსვამს: „რა უფლება გაქვს, იყო კარგი მაშინ, როდესაც მე ცუდი ვარო“. ტერორისტიც ერთხანს სახტად დარჩება ასეთი სიტყვების გამო, მაგრამ შემდეგ, თითქო რაღაც ახალი აღთქმის ქვეყანა გამოუჩნდაო, ღრმად ჩაფიქრდება, იმის სულისკვეთებაში მთელი რევოლუცია მოხდება, როგორღაც ისიც თითქო იგრძნობს და გაიგებს მთელ სიმწვავესა და ძლიერებას ამ კითხვისას. ღამეს ქალთან გაატარებს და მეორე დღეს, თვით ამ ქალის წინდაუხედავი საქციელის მიზეზით, პოლიცია მას დაატუსაღებს.

თუ გამოვუდგებით იმის ძიებას, საიდან შეიძლებოდა ასეთი უეცარი გარდაქმნა ტერორისტისა, შესაძლოა ახსნა ვიპოვოთ თვითონ ავტორის სიტყვებში... ადვილად მიხვდებით, რომ აქ ახალგაზრდა ვაჟის ფიზიოლოგიას აქვს დიდი დანაშაული. ხორცის აჯანყებას ის დიდხანს ეომა, მაგრამ შემდეგ ჩაიყუჩა; 26 წლის ახალგაზრდას არ შეუძლია თქვას — მოვერიე ხორცის ურჩობასაო და, პირველ შემთხვევაშივე, თავს იჩენს ფატალური ძლიერება ხორცის

მოთხოვნილებისა. ამიტომაც, ერთმა ღამემ პირველ ქალთან გატარებულმა და ისეთ ქალთან, რომლის პროფესია ხორცით გაჯავრება და განახლებაა, გვიჩვენა, რომ ხორცი ვერ დაუთრგუნვია და მისი მოთხოვნილებისაგან აღძრული გრძნობებით დამთვრალს, ყოველივე სიტყვა პირველი ქალისა, პირველი „ევისა“ მოეჩვენა ახალი საბარების ქადაგებად და, ხორცის გრძნობით თავბრუდახვეული, ახალი მოძღვრების გატაცებულ ქურუმად შეიქნა.

ეს ახსნა სინამდვილესთან ახლოს არის თუ არა და მართალი ვართ თუ არა — ეს იმდენად საინტერესო არ არის. ჩვენთვის ყურადღების მისაქცევია ის უცნაური აჯანყება სიცოცხლისგან დაჩაგრული ქალისა, რომელიც იძულებულია ივაჭროს თავისი საუკეთესო განძით, თავისი ხორცითა და სულით, და რომელიც გაბრაზებული ეკითხება სიცოცხლით მშვენიერ ადამიანს — „რა უფლება გაქვს იყო კარგი, როცა მე ცუდი ვარო“. ასეთი კითხვა მარტო ანდრეევს წამოუყენებია და დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს მწერალი, რომ ასეთი საგანი მიგაღებინოს, წიგნი არ გადაგაგდებინოს. უფრო მეტიც, მეორედ და მესამედ წაგაკითხოს და ჩაგაფიქროს, იქნებ ეს საწყალი როსკიპი მართალი იყოსო. მართლაც, ისე მოგხიბლავს ნიჭიერი მწერალი, რომ თვით უცნაურს, შეუძლებელს შესაძლოდ გაგიხდის. ცოტა რომ დაუკვირდეთ საკითხს, კარგი, მშვენიერი ადამიანი გარემოების მიერაა შექმნილი. უეჭველია, არის გამოუცნობელი რაღაც და მიუწვდომელი ძალა, რომელიც ღვთაებრივ ნაპერწკალს თან დააყოლებს ადამიანს, აი, რატომაა დღემდე გამოურკვეველი, რომ ერთსა და იმავე პირობებში, გარემოებებსა და ხანში დაბადებული და აღზრდილი ორი ძმისაგან ერთი არის გონიერი და დიდი ნიჭის მქონე, მეორე კი თითქმის უმნიშვნელო არსება. ადვილად შესაძლებელია, რომ თვით პირობებსა და გარემოებებში იმთავითვე იყო განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავება ადამიანის გონების დღევანდელი იარაღთათვის გამოურკვეველია და გამოუცნობელი. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით იმის უარს, რომ უბრალო ჩვეულებრივ ადამიანზე მისი სულიერი კონსტრუქციისათვის იმ გარემოებებსა და პირობებს აქვთ გავლენა, რომელნიც ჩვენს განკარგულებაშია, რომელიც ჩვენს გამოკვლევას ვერ გაექცევა. თუ ეს ასეა, სიღარიბესა და სიღატაკეში ჩავარდნილი ლიუბას სიცუდე, რაკი დღევანდელი წყობილების მიზეზით თავისი ძალისა და ნიჭის მოხმარებისთვის ნიადაგი ვერ უშოვნია, იძულებულია გაჰ-

ყიდოს გროშად თავისი სიმშვენიერე, საზოგადოების ბრალია, იმ საზოგადოებისა, რომელიც არის ყალბ და ცრუ ნიადაგზე აგებული, იმ საზოგადოებისა, სადაც ერთი შიმშილით იღუპება, მეორე — მეტის-მეტი სიმსუქნით. ასეთ საზოგადოებაში ლიუბას გაბრაზებული შეკითხვა თითქოს სრულიად კანონიერიცაა და გასაგებიც. მართლაცდა, რა უფლება გვაქვს, ლიუბას გარყვნილება, ზნედაცემულობა და სიცუდე ვუკიჟინოთ, როცა ჩვენი წესწყობილება და ბარბაროსობაა იმაში დამნაშავე, რომ ადამიანს ვუსპობთ ყოველ ღონეს თავისი სიმშვენიერე ააყვავოს, თავისი ზნეობა აამაღლოს და ჩვენს უძლურებას ძალი შემატოს ბუნების ფატალიზმთან ბრძოლაში? რა უფლება გვაქვს ჩვენ თავი მოგვწონდეს ჩვენი სიმშვენიერითა და სიკარგით, როცა ვიცით, რა ფასად ღირს, რამდენი ადამიანის სიცოცხლე მიგვაქვს მსხვერპლად ჩვენი სიკარგისა და სიმშვენიერისათვის? რა უფლება გვაქვს, ვიყოთ მდიდარი სულიერად და ხორციელად იქ, სადაც ვიცით, რომ ჩვენი სულიერი სიმდიდრე სხვის ტანჯვასა და ვაებაზე, სხვის ზნეობრივ გაკოტრებასა და გათახსირებაზეა აგებული, ისე, როგორც ჩვენი ზნეობრივი სიმდიდრე შედეგია ათას და ათიათასი ადამიანის უძლურებისა, ოხრობისა. დიახ, ანდრეევი ჭეშმარიტად მართალია, — ამბობთ თქვენ გონებადამონებული იმის ნიჭისაგან, — და მართალია ლიუბა, მართალი, როცა გულამღვრეული ეკითხება ტერორისტს: „რა უფლება გაქვს, იყო კარგი, როცა მე ცუდი ვარო“, ხოლო როცა ცოტა აზრს მოიკრებთ, იტყვით, კი, მაგრამ ტერორისტს რომ პასუხად შემდეგი ეთქვა, რალას იტყოდა ლიუბაო: „ჩემო ლიუბა, დიდი უსამართლობაა, რომ შენ არ მოგცა საზოგადოებამ ყოველივე საშუალება ადამიანად ყოფნისა და დარჩენისა, მაგრამ აბა, მე რა შუაში ვარ, მეც ხომ შენსავით უბედური და ოხერი ვარ, მეც შემეძლო და იძულებულიც ვიყავი გარემოებისგან შენგვარი რამე ხელობა ამეღო, მაგრამ მე ვარჩიე ვეომო საზოგადოების უსამართლობას, ამისთვის მაქვს სიცოცხლე განწირული, მე შენი დამხსნელი ვარ, შენი დაღუპვისა და გათახსირების ბრალმდებელი, რომელიც შურს იძიებს დამნაშავე საზოგადოებაზე. მე და შენ, ორივე ერთისა და იმავე წყაროდან წარმომდინარე, სხვა და სხვა გზით წავედით, აქ ცოტა არ იყოს, შენი ნებაც დამნაშავეა, შენი ხასიათიც....“

ლიუბას მარტო ქვითინით უნდა ეგო პასუხი. მართალია, რომ მას ხასიათის სიმტკიცე არა ჰქონდა, მართალია, იგი სუსტი იყო და

ამიტომაც ირჩია ასეთი გზა... აქ ისეთი რამ არის დანაშაული, რომელიც კაცთ ხელთ არ არის. ბუნების უხილავი ძალების განკარგულებაა — როდესაც ერთს აძლევს ძლიერ ნებასა და ხასიათს, მეორეს ლაჩრადა ჰხდის და სუსტად. მაგრამ საზოგადოება მაინც დამნაშავეა, დამნაშავეა წესწყობილებით, რომელიც არ ფიქრობს და არ მზრუნველობს სუსტსა და ავადმყოფებზე, რომელიც ისეთ დამპალ საფუძველზეა აგებული, რომ „კარგსაც“ კი ღუპავს, არა თუ სუსტსა და ბეჩავს, მაგრამ ამაში ანდრეევის გმირი ვაჟი არაფერ შუაშია, წინააღმდეგ, იგი ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ მხსნელია და მფარველი. ამიტომ, ლიუბას საყვედურებიც, მისი ადრესით მიმართული, უნიადაგოა. ეს ასეა, მაგრამ ნიჭმა მწერლისამ ეს მიგვაღებინა, ეს გვაგრძნობინა და თითქო ლიუბას სულის აჯანყება სავსებით მიგვაღებინა.

ჩვენ ცოტა მეტ ხანს შევჩერდით, რათა გვეჩვენებინა, დიდი ნიჭის პატრონ მწერალს რა არ შეუძლია მოახდინოს და რა გაბედულად გადაგვიშალოს თვალწინ ისეთი საგანი, რომელიც ფიქრადაც კი არ მოგვივიდოდა. გინდათ კიდევ საბუთი ანდრეევის ძლიერი ნიჭისა? რომელი მოთხრობა არ უნდა დაწეროს, რომ ერთი ალიაქოთი არ ატყდეს მისი ნაწერის გამო. ერთი მიწასთან ასწორებს, მეორეს ცათამდე აჰყავს, მაგრამ ისეთს კი ვერ ნახავთ, მისმა ახალმა ნაწარმოებმა არ ააღელვოს, არ გააბრაზოს, არ გააჯავროს, არ ააშფოთოს, ანდა აღტაცებაში არ მოიყვანოს.

აიღეთ მისი უკანასკნელი დრამა „მეფე შიმშილი“. ერთი წერილი ჩამივარდა ხელში რუსულ გაზეთ „რეჩში“ დასტამბული, რომელიც ეკუთვნის ფილოსოფოვს. გაზეთი დინჯია, მწერალიც ცნობილია, მაგრამ უნდა გითხრათ, იმისი მანერა, ამ წერილში ხმარებული, ქუჩის გაზეთების კრიტიკოსების მანერას არ ჩამოუვარდება. ის არა მხოლოდ აღშფოთებულია და ზიზღით იხსენიებს ანდრეევის ახალ დრამას, არამედ უშვერ შეურაცხყოფას აყენებს ნევედომსკისა და მინსკის, რომელთაც გაუბედავთ ამ დრამის ქება და ყოველ საზიზღრობას სწამებს მათ. ეჭვი არ არის, რომ იქ, სადაც ნაწარმოებს აქებენ რუსულ მწერლობაში არანაკლებ ცნობილი მინსკი და ნევედომსკი, ასეთი უცნაური და ურცხვი გამოლაშქრება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ნაწარმოები არაჩვეულებრივია, შეუმჩნეველად ვერ გაივლის და გულგრილად ვერ დასტოვებს კაცს.

ეჭვი არ არის, „მეფე შიმშილი“ შესანიშნავი ნაწარმოებია, თუ უმაღლესი არა, არანაკლები „ცხოვრება ადამიანისა“-ზე, სრულიად ორიგინალური ფორმისა და შინაარსისა. ანდრეევი ამ დრამის წყალობით, მე მგონია, თითქმის ისეთივე საინტერესო ხდება ლიტერატორისათვის, როგორც იბსენი და მეტერლინკი, და არანაკლებ საინტერესო, ვიდრე ჰაუპტმანი. „ცხოვრება ადამიანისა“ თუ სქემაა განყენებული ჩვენი კერძო ცხოვრების ყოველი თვალსაჩინო საფეხურისა, „მეფე შიმშილი“ საზოგადო ცხოვრების უდიდებულესი მომენტის აბსტრაქციაა, მშვენიერი ნიჭით შექმნილი გეომეტრიული მოსახულობა ამ მომენტის მხატვრულად გამომსახველი. შიმშილი, ყოველნაირი შიმშილი და არა მარტო ფიზიოლოგიური, როგორც ეს ჰგონიათ ზოგიერთებს, — თავისი დამცირების, გათახსირების უბედურების შეგნება, იწვევს ადამიანს საბრძოლველად იმ ძალთა წინააღმდეგ, რომელნიც მას ადამიანობას უსპობენ; ხალხი აჯანყებულია, ხალხი იბრძვის, იმის ძლიერების წინაშე თრთის ყოველი, რომელიც მის კისერზე ფერხულს უვლის, რომელიც იმის ხარჯზე განცხრომაშია. აი წუთი, როცა ეს ქვეყანა იმ სახით, რომლითაც ის გვეჩვენება, წაილეკება და წაირღვნება ხალხის ძლევამოსილი ღელვისაგან... მაგრამ... მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ საუკუნეებით გვემული და ტანჯული, გარყვნილი და გათახსირებული, იგი ვეღარ იტანს ბრძოლის სისასტიკეს, ვეღარ სძლევს წინააღმდეგობას და თანაც უცნაური იარაღი, რომლითაც აღჭურვილია დღევანდელი მტანჯველი და მჩაგვრელი ადამიანისა, დასცემს მის ფიზიკურ ძალას და ისევ გამეფდება შიმშილი ფიზიკური და შიმშილი ზნეობრივი... მაგრამ გამარჯვებულთა სიხარული უნიადაგოა, მკვდრები უკანასკნელ წყევლა-კრულვას უგზავნიან მათ: „ჩვენ კიდევ მოვალთ! ჩვენ კიდევ მოვალთ! ვაი გამარჯვებულთ!“ და გამარჯვებულნი თავზარდაცემულნი გარბიან.

დიახ, ეს არის ალგებრული ფორმულა, მშვენიერი სურათებით, ნაცვლად ანა-ბანისა: ტანჯვა და ვაება კაცისა, მისი აჯანყება მჩაგრავ ძალთა წინააღმდეგ, მისი დროებით დამარცხება... და ეს არის მთელი ცხოვრება კაცობრიობისა. აბა, გაიხსენეთ დიდი რევოლუცია საფრანგეთისა, როცა ხალხი ამსხვრევს საუკუნეებით გაჭედილ ბორკილს და კისრიდან იძრობს ერთ უღელს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვაგვარი ჯაჭვებით შებორკილი რჩება. გაიხსენეთ კომუნა საფრანგეთისა, რომლის შემდეგაც ხალხი, ყოველგვარი მო-

ნობის უარმყოფელი, ბარბაროსულად იქნა დამარცხებული და მისი სისხლითა და ტვინით ქუჩები მოირწყო. გაიხსენეთ თვით რუსეთის რევოლუცია. მაგრამ ამ რევოლუციის ახალი ძლიერი კვალი ხომ ამ დრამასაც ღრმად ამჩნევია. მთელი ფილოსოფიაა ამ სადა ფორმულაში დაფარული. როგორც „ადამიანის კერძო ცხოვრება“ ულმობელი ხვედრის განგებაშია და ვერ გაქცევია დაბადებას, მისთვის, რომ მერმე შეიქნეს ბრმა და ყურმოჭრილი მონა, რომლის წინააღმდეგ მარტო წყევლა-კრულვა აქვს იარაღად, ისე აქაც საზო გადო ცხოვრება კაცობრიობისა ფატალურ ძალთა განკარგულებაშია. შიმშილი, მანქანები, ქარხნები, ზნეობრივი გათახსირება და გაკოტრება მისი ცხოვრების უფალია. თანაც, ადამიანსა და კაცობრიობას აქვს ჩანერგილი გულში ლტოლვა უსაზღვრო თავისუფლებისადმი, სიცოცხლისა და კმაყოფილებისადმი, და აი, ამ გრძნობით აღელვებული, იგი აჯანყდება მის დამამცირებელ გარემოებათა წინააღმდეგ, ებრძვის მას და დაეცემა დამარცხებული ბრძოლის ველზე, დაეცემა, მაგრამ გამარჯვებულთ შიშის ზარს მოჰგვრის და ამცნებს, შეაგნებინებს, რომ ეს უკანასკნელი ომი არ არის და რომ მთელი მათი ცხოვრება ბრძოლაა, სასტიკი და ულმობელი, ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის... ისტორიულ სინამდვილეს არ გასცილებია ანდრეევი, როცა გვიჩვენა, რომ ჯერჯერობით ყოველი ამგვარი ბრძოლა ჩაგრულთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა დამარცხებით თავდებოდა და დამარცხებულთ გამარჯვებულთათვის მარტო ზიზღი დაშთენიათ და აღთქმა, რომ კიდევ მოვლენ უფრო მეტი ძალით მოსილნი და ამ მომავლის შიში სპობს სიხარულს, კანკალითა და ძრწოლით აღავსებს გამარჯვებულთა გულს.

ზემომოყვანილ პატარა ფორმულაში მოთავსებულია მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება და მით უფრო მომხიბლავია იგი, მით უფრო ძლიერია, რომ სრულიად მარტივი, ნამდვილი ბიბლიური ენითა და კილოთია დაწერილი, ბიბლიური სადა მანერაა მხატვრობისა. ორიოდე სიტყვით ავტორი გვაგრძნობინებს მდგომარეობის საშინელებას, მთელ თავზარდამცემ ხასიათს მოვლენისას. ამ მხრით საოცარია პირველი სურათი, რომელშიც მეფე-შიმშილი იწვევს მუშებს ასაჯანყებლად. ჩვენ თვითონ ვართ მანქანის ნაწილები — გაიძახიან მუშები! მე ჩაქუჩი ვარ, მე ტყავის ღვედი ვარ, მე ნახშირის ნაფლეთი ვარ, მე ქურაში მაგდებენ და ვიძლევი ცეცხლსა და სითბოს და ხელახლა მისვრიან და ხელახლა ვიწვი, დაუშრეტელ ცეცხლში ვარ ნიადაგ...

რა საოცარი ენით, რა საოცარი ხერხითა აქვს აღწერილი კაცის ტანჯვა, ადამიანის გადაგვარება, ადამიანის სულისა და ხორცის დაღუპვა. მარტო შიმშილს კი არ სტირიან და სწუხან, უფრო იმასა სწუხან და იტანჯებიან, რომ დაჰკარგეს ადამიანის სახე: „ჩვენ ცეცხლი ვართ. ჩვენ გახურებული ქურა ვართ. არა, ჩვენ ცეცხლის საკვები ვართ. ჩვენ მანქანები ვართ. არა, ჩვენ მანქანის საკვები ვართ“ და სხვა. ერთი და იგივე სიტყვა, ერთი და იგივე კონსტრუქცია ფრაზისა, რამდენჯერმე გამეორებული ჩაქუჩივით გცემს თავში და თითქოს ლურსმნებსავით ჩაგიჭედავს ტვინში არა სიტყვას, არამედ მთელ სურათს საშინელებისას, ასე სადად გამოხატულს. ჭეშმარიტად დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს მწერალი, რომ ასეთი უბრალო ენით გელაპარაკოს და ასეთი ძლიერი სურათი დაგიხატოს თვალწინ, ასეთი ღრმა გრძნობები გამოიწვიოს შენში.

დრამის საგანი მეტად მძიმე და დიდი რამ არის. შინაარსი კაცობრიობის ცხოვრებისა მარტივია, შესაძლოა ადვილად, სულ მოკლე ფორმულით გამოიხატოს — ბრძოლა კაცობრიობის იდეალის განსახორციელებლად და დროებითი დამარცხებით გათავება ამ ბრძოლისა. მაგრამ რამდენადაც შეამოკლებთ ამ ფორმულას, იმდენად ძლიერი უნდა იყოს ნიჭი, რომ შეძლოთ მისი სავსებით განხორციელება, — ეს გენიოსის საქმეა. ანდრეევი კი დიდი ნიჭის, დიდი ტალანტის პატრონია, მაგრამ გენიოსობაზე მაინც დაშორებულია. ამიტომაც მისი ნიჭის სიდიდის უეჭველი საბუთია ეს დრამა, რომლის საგანი მაინც მომხიბვლელი სიღრმითა აქვს გამოხატული, მაგრამ თანაც სუსტი მხარეები ამ დრამისა იმის მაჩვენებელია, რომ მისი ნიჭი რაც უნდა ახლო ნათესავი იყოს, მაინც კიდევ შორს არის გენიოსობაზე.

ამიტომაც არის, რომ პირველი სურათის სიძლიერესა და სიმშვენიერეს ამხანაგობას ვერ უწევენ დანარჩენნი და ამ სურათის საუცხოო ძალა ჩრდილს აყენებს დანარჩენთ. დიდი ხელოვნებით არის დახატული მეორე სურათიც, საცა მეფე-შიმშილი ბრბოს იწვევს საომარ ველზე, მაგრამ მესამე სურათიც, მშიერთა გასამართლება— სწორედ მეტად სუსტია და მეტად შაბლონური სხვებთან შედარებით. სამაგიეროდ, დამარცხება მშიერთა და გამარჯვებულთა თავზარი — დიდი ხელოვნებით არის დახატული. მართალია, აქ ამ მოქმედებაში ცოტა არ იყოს ფრანგი დრამატურგის როსტანის „არწივის მართვეს“ ზეგავლენაა (ვაგრამის მინდორი), ისე როგორც

საზოგადოდ ორ მის უკანასკნელ დრამას ეტყობა გავლენა ახალი დრამის მეუფის მეტერლინკისა, მაგრამ ეს ზეგავლენა არაფერში არ ამცირებს არც ამ სცენას და არც მის დრამებს.

ამნაირი გახლავთ ახალი დრამა ანდრეევისა. ზევით მოვიხსენიეთ ანდრეევის კრიტიკოსი ფილოსოფოვი. ფილოსოფოვი ბრძანებს, მეწვრილმანური ახსნა არის რევოლუციისა შიმშილით მისი ახსნაო. მეწვრილმანობა და აზრის სივიწროვეა იფიქრო, რომ რევოლუცია მარტო შიმშილის შედეგიაო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ანდრეევს არც კი უფიქრია ამგვარად რევოლუციის ახსნა. ზევით უკვე მოვიყვანეთ ჩვენ მისი საბუთები, რომ აღელვებული მუშები მარტო შიმშილს კი არ დასტირიან, დასტირიან თავის გათახსირებას და მანქანად გახდომას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. მისი მშვენიერი სული, მისი მშვენიერი ხორცი (ნახეთ რა ტიპებია დახატული მუშისა, ერთი ჰერკულესის სტატუასა ჰგავს, მეორე პოეტია და სხვ.) გარდაქმნილია „მანქანის ბურღად, რომელსაც თავი ორადა აქვს გაჭრილი". სწორედ ამიტომაც, მისი „მეფე-შიმშილი" საოცარი სიმბოლოა ყოველგვარი შიმშილისა, როგორც ხორციელისა, ისე სულიერისა. როგორც პური გამხდარა სანეტარო ამ „მანქანის ნაწილებისათვის", ისე სულიერი საზრდოა მათთვის აუცილებელი, ვინაიდან იგინი „მანქანის ნაწილებად" არიან ქცეულნი. იქნებ იფიქროს კაცმა, რომ რევოლუციის ზევითა სართულში მოქცეულნი არიან ყველანი, გარდა მუშებისა, და ქვედაში მუშები და ეგრეთ წოდებული ბრბო; აქედან ცხადია, რევოლუცია მარტო ვითომ მუშებისათვის იყოს საინტერესო და იმ ნაძირალთათვის, რომელთაც ანდრეევი მშიერ ბრბოს ეძახის. მაგრამ აქ აჯანყების ისეთი მომენტია, როდესაც მართლაც შესაძლოა ყოველი გონიერი ადამიანი შეშფოთებული დარჩეს. როდესაც ხალხის გულისწყრომა იქამდე მიდის, რომ ათასი წლების კულტურული შრომის ნაყოფს, ადამიანობის მშვენებას, მხატვრობასა და ქანდაკებას, ხუროთმოძღვრების ნაშთს სპობს, როდესაც ადამიანი ჭამად იქცევა და გაბრაზებული სპობს ყოველივეს, რაც მის დიდებას ქმნის, — უეჭველია ამ დროს ყველა შეშფოთებულია და თავზარდაცემული. ყველა მოცულია გამოურკვეველი სევდითა და მწუხარებით.

ესეც რომ ასე არ იყოს, თუ კი „მეფე შიმშილი" სიმბოლოა ადამიანის ყოველგვარი წყურვილისა და მისწრაფებისა, ყოველგვარი შიმშილისა, მაშინ სიმბოლოა დღევანდელი წესწყობილების ბარ-

ბაროსული სიმკაცრისა და სისასტიკისა; მუშები სიმბოლონი არიან ამ წყობილების დატანჯული მსხვერპლისა და სიმბოლო ამავე წყობილების თავდავიწყებულ და შეურიგებელ მტრისა, რომელიც დღეს დამარცხდება, მაგრამ ხვალ ისევ მოვა, უფრო დიდი ძალითა და მხნეობით აღჭურვილი, ამ წყობილების უფრო დიდი ზიზღითა და წინააღმდეგობით გაჟღენთილი.

ამის შემდეგ სასაცილოა, ავტორს ვინმემ მეწვრილმანური შეხედულება დაწამოს რევოლუციის შესახებ. მეწვრილმანურია ის შეხედულება კრიტიკოსისა, რომელიც ვერა გრძნობს მთელ დიდ ღვთაებრივ სულს, რომელიც დატრიალებს ყოველი ანბანისა და სიტყვას შუა, ყოველ სტრიქონს შუა და აეკიდება რამე ზერელედ მოჩვენებულს და ერთი კალმის მოსმით სპობს დიდ ნაწარმოებს...

ანდრეევის ორი უკანასკნელი დრამა სწორედ ახალი დრამის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. დავარქმევთ ამ ახალ დრამას „ნეორეალურსა“ (როგორც თვით ანდრეევი ეძახის), თუ „ნეორომანტიკულს“, ეჭვი არ არის ძველი დრამები და ტრაგედიები ვეღარავის ვეღარ მოხიბლავენ და საზოგადოების მოთხოვნილება აქეთკენ იქნება მიმართული. მეტერლინკი დიდი ნიჭის პატრონი მწერალია, ჰაუპტმანიც. პირველმა დასახა და მეორე კი გაჰყვა ახალ გზას დრამისას. ანდრეევმაც თავისი წვლილი შეიტანა ამ „ახალში“. და ეს წვლილი სრულიად ორიგინალურია და არაჩვეულებრივი. ინდივიდუალური ნიადაგიდან დრამა განყენებულ ფორმულებად გადააქცია, და ეს დიდი ნიჭით აღასრულა. მართლაც, დრამატული დარგი მწერლობისა მეტად ინდივიდუალური რამაა თავისთავად და მისი განყენებულ ფორმებში მოქცევა თითქმის შეუძლებლად ეჩვენებოდა კაცს — ანდრეევამდე. საუბედუროდ, ანდრეევს აკლია გენიოსობა, ისე, როგორც მის დიდებულ თანამედროვე მეტერლინკს, ჰაუპტმანს, ახალ დრამას კი უეჭველად სჭირია გენიოსი, რომელიც მის ფორმას საქვეყნო სავალდებულო კანონად გახდის. თუ ეს გენიოსი გამოჩნდება, რის იმედსაც გვაძლევს ლიტერატურულ ფორმათა განვითარების ისტორია, მაშინ მის წინამორბედთა შორის ანდრეევი ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს.

ყოველი ახალი თვალსაჩინო ნაწარმოები რუსული ლიტერატურისა ნათლად გვიჩვენებს იმ დიდ და დაუფასებელ სიკეთეს, რომელიც მოუტანა რუსეთს რევოლუციამ...

ჩვენ, ჩვენ კი? სად არის ქართული ლიტერატურა? დამახინჯებულმა უარყოფამ თავის ვინაობისამ, თავის თავისამ, თავისი სამარცხვინო შედეგი მოიტანა და ქართულ მუზას სძინავს. სამუდამოდ? თუ „მოვა დრო და გაიღვიძებს“?

3 .

„ცხოვრება ადამიანისა“, „მეფე შიმშილი“ და „ანათემა“ თავისებური ტრილოგიაა. პირველი ადამიანის კერძო ცხოვრების სქემაა მხატვრულად გამოთქმული; მეორე ადამიანის კრებულის ცხოვრების მექანიზმის, უდიდესი მოძრაობის არსებითი მხარის ალგებრული განსურათებაა, ხოლო უკანასკნელი კი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის აზრის, ზრახვის, ფიქრისა და სურვილის, ადამიანის წადილისა და ლტოლვის დაუსრულებელი და უნაყოფო შრომის ნაღვლით აღსავსე მხატვრობაა. ეს უკანასკნელი საფეხურია ადამიანის ცხოვრების მოვლენათა შორის და თანაც უპირველესი, თვით წყარო ადამიანის ცხოვრებისა. ადამიანის ცხოვრების მთელი ტრაგედია, ადამიანის უბედურება, ადამიანთა კრებულის უკმაყოფილება და დაუდგრომლობა იმისგან წარმოდგება, რომ კერძოდ ადამიანი და საერთოდ ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში ეძიებენ და ვერ უპოვიათ, ვერ მიუგნიათ, ვერ მისწვდომიან და ვერ გამოუცვნიათ „სად არის ჭეშმარიტება“ და სად არის „ბედნიერება და სიხარული ცხოვრებისა“. წარსული ღვაწლი კაცობრიობისა ამ ნიადაგზე, არაფერს საიმედოს გვიქადის მომავალშიც.

მთელი ისტორია ადამიანის ცხოვრებისა, მისი აზრისა და გონების ჯაფა, მისი ძიება სიხარულისა და ბედნიერებისა, თავდება ისე, როგორც ანდრეევის ახალი ტრაგედია იმავე წყეული, გულისმომშხამვლელი, თავზარდამცემი და გაბოროტებული კითხვა-პასუხით— „მითხარი, გაიგებს თუ არა ანათემა ჭეშმარიტებასა?.

— ვერა!

— მითხარი, დაინახავს თუ არა ანათემა ბჭეს ახსნილს, დავინახავ თუ არა შენს სახესა?

— ვერა, — ვერასოდეს! ჩემი სახე გამოჩენილია — მაგრამ შენ კი ვერა ჰხედავ... ის რაც შენ არ იცი, ანათემა, არ განისაზღვრება საზომით, არ გამოიანგარიშება რიცხვით, არ აიწონება სასწორით... არის უცნობი ცეცხლი, რომლის სახელი არა

უწყის არავინ, ვინაიდან არა აქვს საზღვარი სიმხურვალეს ცეცხლისასა". ყოველ ჩვენს კითხვას, ყოველ ჩვენს ძიებას ამ სფეროში წინა აქვს ამართული კედელი, ბჭენი, „რომელნიც მოასწავებენ გონების მისაწვდომელი მსოფლიოს საზღვარსა". ამ კედლის იქით იმყოფება „ყოველივე არსისა და არსებობის დასაბამი, დიადი გონება სამყაროსი, რომელიც შეიცავს უდიადეს საიდუმლოებასა". ბჭეთ მცველადა ჰყავს „უძრავად მდგარი „ვინმე", იგია ერთადერთი გონების მისაწვდომელი, ერთადერთი იგი ეცხადება დედა-მიწასა: იგი ორი ქვეყნის საზღვარზე სდგას, ორგვარია თავისი თვისებით, სახით ადამიანსა ჰგავს, არსებითად კი სულია უსხეულო. იგი შუამავალია ორ ქვეყანას შორის", ეს „ვინმე", განყენებული სიმბოლო ადამიანის ორპირი და ორგვარი ბუნებისა, ადამიანის ორნაირი არსებისა, რომელიც ცასაც ეკუთვნის და დედამიწასაც, საიქიოსაც ელამუნება და სააქაოსაც მაგრად ებღაუჭება: იგია სიმბოლო ადამიანის არსების უძლურებისა მიუწვდომელის გამოცნობაში. დიადი გამოუცნობელი იგია, რომელიც გონებას ნიადაგ მტკიცე „ვერას" ეუბნება, ხოლო ჩვენ ხორცს კი უკვდავებას თავის უარყოფაში უსახავს, იგია ანათემა — ჩვენი გონების თავზარდამცემი, იგია დავით ლეიზერის წამაქეზებელი, რომ უარყოს პირადობა და ამგვარად ჩაინთქას „არარაობაში". ორივე შემთხვევაში იგი გადაუწყვეტლად სტოვებს ჩვენი არსების ორმხრივ მდგომარეობას: იგი დაუკმაყოფილებლადა სტოვებს სულსაცა და ხორცსაც.

გონებაა იგი მსოფლიოს ხელმძღვანელი, თუ ძალა უგუნური და უსულო, მიუწვდომელია ადამიანის აზრისა და გონებისათვის, და მძიმე, შეურყეველი და შეუდრეკელი კედლით არის შემოზღუდული. ამ კედელს აწყდება და იმსხვრევა მთელი ძალა და ღონე საუკუნეობის გონების ნაწარმოებისა და ცდისა, ვინაიდან „ვინმე" ორპიროვანი, გამომხატველი ჩვენის ბუნების ორგვარობისა, ჩვენი ხორციელებისა და სულიერებისა, დარაჯად უდგია ამ კედელს და ყოველ მიმსვლელს აცამტვერებს უცნაური იარაღით. ამ იარაღით აქარწყლებს ჩვენი გონების ყოველ ლტოლვასა და უსაზღვრო წყურვილს გამოუცნობელის გამოცნობისას, მიუწვდომელის მიწდომისას. იგი ძალაა ჩვენი უძლურების გამომსახველი, იგი უძლურებაა ჩვენი არსების დაუსრულებელი ტრაგედიის სიმბოლოდ ქმნილი.

აჰა მთელი დრამა ადამიანის გონებისა, მისი ინტელექტის უნა-

ყოფო ბრძოლისა, რომელიც გამოთქმულია ანდრეევის ახალის ტრაგედიის დასაწყისში.

თუ ჩვენი გონება, ეს „ანათემა“, დაწყევლილი, შეუპოვარი, თავხედი, გამბედავი და შეუდრეკელი მკვლევარი, მაძიებელი საიდუმლოისა, მარადის ერთი და იმავე მიუწვდომელი ბჭის წინაშე დგას, გაკოტრებული და დამარცხებული, არა უკეთეს მდგომარეობაშია ჩვენი არსების ხორციელი ნაწილი. თუ ჩვენი სული ცოდვილ მიწაზე დანავარდობს, უკეთა ვთქვათ, დაწანწალებს ისე, რომ ცის კარამდე ვერც კი მიუღწევია და ყოველი მისი ცდა ამ სფეროში მისი ფრთების დახრუკვითა თავდება, ჩვენი ხორციელებაც არა უკეთეს მდგომარეობაშია, იგიც იმავე დამარცხებას განიცდის მუდამ და მარად ჟამს.

მეორე ნაწილში ანდრეევი აგვიწერს დავით ლეიზერის ცხოვრებას. ავტორმა უკვე „ადამიანის ცხოვრებაში“ დაგვიხატა ადამიანის პირადი ცხოვრების დაღუპვა და სასტიკი დამარცხება. აქ კი იმავე საზომით მიმართავს ისეთი ადამიანის ცხოვრებას, რომელსაც თავის პირადობა უკუ უგდია და მარტო „მოყვასთა თვისთათვის“ ზრუნავს და იღწვის, და იმავე დასკვნამდე მიდის, „ცხოვრება სხვისთვის“ ისეთივე უნაყოფოა, ისევეა განმზადებული დამარცხებისათვის, როგორც „ცხოვრება პირადი“.

დავით ლეიზერი მთელ თავის ძალას ქონებრივს, მთელ თავის სულიერ სიმდიდრეს შესწირავს ხალხის ბედნიერებას. დავითის ერთადერთი სანატრელი ის არის, რომ მოუპოვოს ხალხს „ბედნიერება და სიხარული ცხოვრებისა“, და ამისთვის მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი შესწიროს. ხალხიც აღტაცებით ეგებება მას, ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიან და თაყვანსა სცემენ მას. მას უკვე მიანიჭეს სახელი „დავითისა, კაცობრიობის სიხარულის მიმნიჭებელისა“, იმედითა და სასოებით გატაცებული ბრბო თან სდევს მას, მაგრამ დავითი იმდენად უძლურია „სიხარულისა და ბედნიერების“ ქვეყნად დამკვიდრებაში, როგორც ანათემა ჭეშმარიტების გამოცნობაში. დავითის მილიონები გროშობითაც ვერ გაწვდება ხალხს, დავითის ცრემლები ერთი ადამიანის ტანჯვას ერთი წუთითაც ვერ შეამსუბუქებს, დავითის დაღვრილი სისხლი ერთი წუთის ღიმილსაც ვერავის მიანიჭებს და აი დავითიც — ჩვენი არსების სიხარულისა და ბედნიერების დაუშრეტელი წყურვილის სიმბოლო ისევე გაკოტრებული რჩება თავის მოღვაწეობაში, რო-

გორც ჩვენი გონების ცდის სიმბოლო ანათემა ჭეშმარიტების ძიებაში. და როცა დავითი მიჰმართავს ხალხს სასოწარკვეთილებითა და თანაც სიყვარულითა და თავგანწირულებით აღსავსე სიტყვებით — ჯილდოდ ქვებს მიიღებს: „აბა, დაფიქრდით, თუ ყველაფერი არ შემოგწირეთ თქვენ, და ჩემთვის კი აღარაფერი დამიტოვებია... აღარა გამაჩნია რა. ჩემს ძარღვებში ცოტაოდენიღა სისხლი დამრჩა, მაგრამ ნუთუ უკანასკნელ წვეთამდე არ დავღვრიდი თქვენთვის — ოღონდ კი შეიძლებოდეს თქვენი მწარე წყურვილის მოკვლა... (გაიგლეჯს ტანისამოსს და ფრჩხილებით იხოკს გაშიშვლებულ გულს) აჰა, მოდის სისხლი, სისხლი მოდის და აბა თუ რომელიმე თქვენგანმა გაიღიმა, აბა თუ ვინმე თქვენგანმა გაიღიმა სიხარულით. აჰა, ჩემი თმა და წვერი, ჩემს ჭაღარას ვიგლეჯ და ფეხქვეშ გიგებთ და აბა თუ ერთი მკვდარი აღსდგა მკვდრეთით? აჰა ქვები... ქვებს დავხრავ ვითა გაცოფებული მხეცი და აბა თუ ვინმე თქვენგანს ამით შიმშილი შეუმცირდება? აჰა, მთლად ერთიანად გადმოგიგდებთ ჩემს თავს“... ამ დიდი მსხვერპლის წილ კი დაცინება და დევნა, ყვედრება, ცილის წამება და ბოროტი სიტყვა: „შენ ავაზაკი ხარ, შენ მძარცველი ხარ“! ეუბნება მას ბრბო შეუგნებელი და ქვით ჩაქოლავს მას. თავისებური გასამართლებელი საბუთი ბრბოსაცა აქვს, იგი ეძიებდა „ბედნიერებას, სიხარულს“, ეგონა თუ მოვიდა კაცი, რომელმაც მოუპოვა მას ეს მარად სანატრელი საგანი და გამოდგა, რომ მისი ღვაწლიც ისეთივე უნაყოფოა, როგორც სხვებისა. ამგვარად, ანდრეევის დრამის მეორე ნაწილი, ვიმეორებ, სიმბოლიური სურათია ადამიანის ხორცის, მისი ბუნების წადილების გაკოტრებისა, ისე როგორც პირველი მისი გონების დამარცხების თავზარდამცემი ხატებაა. დავით ლეიზერის ცხოვრება, რომელიც თავიდან ბოლომდე უარყოფაა პირადი ცხოვრებისა და გაღმერთებაა სხვისი, მოძმეთა თვისთათვის თავის დადებისა, ისევე დამარცხებული რჩება, როგორც ადამიანის ინდივიდუალური თვისებების ნება და სურვილი. ეს კაცი იმ ხალხისაგან ჯვარცმულია და ჩაქოლვილი, რომელსაც შესწირა მან მთელი თავისი არსება, მთელი თავისი ზრახვა და მისწრაფება. მისი მსხვერპლი არა თუ უნაყოფოდ რჩება, ვინაიდან ერთი გოჯის ოდენა ბედნიერება და სიხარული ვერ მიანიჭა ვერავის, არამედ თვით მისი ცდა შეუგნებელია და დაუფასებელი. ამგვარი ფინალი მისი მოღვაწეობისა, ვერავითარ სიამოვნებას, ვერავითარ კმაყოფილებას ვერ მიანიჭებს ადამიანს. ეს კიდევ არა-

ფერია, დავითის უცნაური მოკვლა შეიქმნება ადამიანთათვის წყარო მრავალი უბედურებისა, რადგან კაცთათვის თავგანწირული დავითის სისხლს იძიებენ თვითონ ადამიანნი და ერთიმეორეს დაუდებენ ბრალს ამ უცნაურ ბოროტმოქმედებაში. ასე უბედურად თავდება ცხოვრება და თავგანწირულება „სხვისათვის“, ასე უნაყოფოდ ბოლოვდება უარყოფა პირადი ცხოვრებისა. და როცა „ვინმე“ ამბობს, რომ „დავითმა მიაღწია უკვდავებას და ცხოვრობს უკვდავად ცეცხლის უკვდავებაშიო“, ჩვენი გონება, ანათემის სახით, შეიძლება სამართლიანად უპასუხებს, რომ „სცრუობ, სტყუიო“. მართლაც, თუ იგია უკვდავება სანეტარო, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ გამოვიცნობთ და ვერ გავიგებთ, როგორც მას, რაც არის დამალული იმ ბჭეთა უკან, რომლის მცველია თვით „ვინმე“. ხოლო თუ იგია უკვდავება იმ აზრით, რომ დავითი, როგორც სიმბოლო ადამიანის ცხოვრების ერთგვარი მისწრაფებისა, ისევე დაუსრულებელია, ისევე გამეორდება, როგორც ცხოვრების სხვა მოვლენანი, ეს არავითარ სანუგეშოს არ შეიცავს, რაკი უმეცრებითა და გამოუცნობელობით აღსავსე უკვდავებას სჯობია მომაკვდაობა. შემგნებელი დაჩიუწვდომელის ფარდის ამხსნელი ცხოვრება, რასაკვირველია, უკვდავია. უკვდავია მისი გონება და ძიება, მაგრამ ასევე დაუსრულებელია უნაყოფობა ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი გონების მისწრაფებისა. რასაკვირველია, ყოველთვის იქნება ცხოვრებაში დავითი, თავისი სულისა და ხორცის ხალხისათვის გამწირველი, მაგრამ ასევე სამარადისო, ყოველ ჟამს გამეორებული ტიპია ბრბოს ერთ-ერთი წევრი, „ვინმე უცნობი“ და ისევე სამარადისო და დაუსრულებელია თვით ბრბოს დაუშრეტელი წყურვილი პირადი „ბედნიერებისა და სიხარულისა“, რომელსაც თავის დღეში ვერ მიაღწევს. ასეთივე დაუსრულებელია ბრბოს უბედურება და უკმაყოფილება საუკუნიდან საუკუნემდე გამეორებული და იგივეობით აღბეჭდილი. აი, მთელი შინაარსი ანდრეევის ახალი ტრაგედიისა გულმომწყვლელი, სასოების წამწყმედი და თავზარდამცემი უიმედობით აღვსილი; ადამიანის უბედურებას არა აქვს საზღვარი, იგი დაუსაბამოა და დაუსრულებელი, იგი უკვდავებით არის შემოსილი; ადამიანი უბედურია, ვინაიდან ვერც ერთ სფეროში ვერ პოვებს დაკმაყოფილებას თავისი ლტოლვისა და მისწრაფებისას, და მთელი მისი ცხოვრება ყურმოჭრილი მონაა „გამოუცნობელისა“, მით განაწამები და დატანჯული.

ერთი რამ არის ანდრეევის ტრაგედიაში თითქო გაკვრით მოხსენებული. სიმშვენიერე და სილამაზე ცხოვრების ერთი დიადი მოვლენათაგანია. როგორია მისი დანიშნულება, მისი როლი, რა ნაყოფი მოაქვს არსებობას ადამიანის ცხოვრებაში, ამ არანაკლებ ღრმა კითხვას თითქო გაკვრით ეხება ავტორი. „სიმშვენიერეო, — ამბობს ანათემა, — ღვთის წყალობაა, რომლითაც მან დაასაჩუქრა ადამიანი და მით აღამაღლა იგი და მიიახლოვაო“. ამ სიმშვენიერის წარმომადგენელია დავითის ქალი — როზა სწორედ იმ დროს, როცა გაიტაცებს თავის წილს სიმდიდრისას და გაიქცევა მამის სახლიდან, ამ სიტყვებით: „მე თქვენთან საქმე არა მაქვს რა. მე კარგად მესმოდა, შენ ყველას მოუწოდე, ყველას, ძალიან ხმამაღლად ეძახოდი ყველას, მაგრამ მოუწოდე კი მშვენიერებასა? მე აქ ადგილი არა მაქვს.“ ამგვარად, სიმშვენიერე გაურბის არათუ დავითს და უარყოფით ეკიდება მის მოქმედებას, გაურბის თვით დრამასაც და ჩვენ აღარავითარი საშუალება აღარ გვრჩება გავიგოთ, რა მოვალეობას აკისრებს ავტორი ამ „ღვთის წყალობასა“? დავითის ცხოვრება აშკარა გამოხატულებაა ქრისტიანობრივი იდეალისა, როზა კი თვით განხორციელებული სიმშვენიერეა. სიმშვენიერე კი გალმერთებული იყო ძველ ელინთა კულტურაში, ცხოვრების ამ ორი პრინციპის, ამ ორი კულტურის, ამ ორი ცივილიზაციის დაპირდაპირება შეადგენს უმთავრეს საგანს დღევანდელი ლიტერატურისას, ამ აზრითაა გაჟღენთილი თვით ანდრეევის „ელეაზარიც“. შესაძლოა აქაც ანდრეევს უნდოდა ხაზი გაესვა იმ მოვლენისათვის, რომ არსებობს ღრმა შეურიგებლობა ქრისტიანულ თავგანწირულებას, გლახაკთა მორალით გამსჭვალულ კულტურასა და ელინურ ესთეტიზმს, მშვენიერის თაყვანისცემით აღსავსე კულტურას შორის. მაგრამ მიანიჭებს კი ადამიანს ბედნიერებას სიმშვენიერე და შეძლებს კი ეს ძალი ცხოვრებისა მას, რაც ვერ შესძლო გონებამ კაცისამან, რაც ვერ შესძლო მორალმა თავის წარმავალი პირადობის უარყოფაზე აღშენებულმა? ეს საკითხი დღეს ბევრ დიდ გონებას აფიქრებს.

56. მ. არციბაშევის „სანინი“

1

ანდრეევის შესახებ მოგახსენებდით, რომ რუსეთის დღევანდელი ლიტერატურის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს „ხორცის განთავისუფლების“ ლოზუნგი. თუ გნებავთ ამაში დარწმუნდეთ, გადაიკითხეთ მ. არციბაშევის უკანასკნელი მოთხრობა „სანინი“ და ნახავთ, რომ ეს მიმართულება, ან უკეთ რომ ვთქვათ, სურვილი ამ მიმართულების ლიტერატურაში განმტკიცებისა, უმწვერვალესობამდე არის მიყვანილი. საზოგადოდ, მ. არციბაშევი, რომელსაც სამი მოზრდილი ტომი დაუწერია უკვე, დიდი თაყვანისმცემელია ადამიანის ყოველგვარი განთავისუფლებისა, ინდივიდუმის სრული და უსაზღვრო ბატონობისა, და მის ინსტინქტებში ყველაზე უფრო მაღლა აყენებს ხორცის მოთხოვნილებას, სქესობრივ ინსტინქტს.

„სანინმა“ დიდი ალიაქოთი ასტეხა რუსულ მწერლობაში. ეს მოთხრობა ჟურნალ „სოვრემენნი მირ“-ში ისტამბებოდა და ერთხელ კიდევაც შეწყვიტეს მისი დასტამბვა, ვითა „საზოგადო ზნეობის მოთხოვნილების“ დამრღვეველი ნაწარმოებისა. სიტყვა „პორნოგრაფია“ ამ მოთხრობის შესახებ ხშირად წარმოითქვა და არსებული მორალის ქურუმები ყალყზე იდგნენ...

უნდა გითხრათ მართალი, რომ, ჩემის აზრით, „სანინი“ თუ გნებავთ „დღევანდელი ზნეობის“ მოსარჩლედაც კი გამოდის. მთელი აზრი ნაწარმოებისა ისეთია, რომელიც თითქმის კვერს უკრავს სქესთა შორის დღევანდელ ურთიერთ განწყობილებას, თუმცა არის ისეთი ადგილებიც, რომელიც მართლაც რომ საჭირო არ არის, გადამლაშებულია, არაფერს არ ამტკიცებს, არ ასაბუთებს და არავითარ სასიამოვნო გრძნობას არ უღვიძებს მკითხველს. არციბაშევს ამ ადგილებში თუმცა ბევრად უფრო ტლანქად და უხეშად აქვს დახატული ისეთი სცენები, რომლებითაც სავსეა ფრანგი მწერლების მოთხრობები (ბურჟეს, მოპასანის, პრევოს და სხვ.), მაგრამ ამი-

ტომ არც ერთი ამ მწერლის მოთხრობა არავის უზნეოდ არ უცვნია და ყოველ წიგნის მაღაზიაში იშოვი სასყიდლად...

მ. არციბაშევი გაბედულად, მამაცად და აღტაცებით, ხანდახან გადამეტებული სიცელქით, რომელიც შეშვენის ახალგაზრდას, ცდილობს საუკუნეების განმავლობაში „ხორცის სამეუფოზედ“ აფარებული ფარდა დაგლიჯოს და მოჯადოებული ხელით დაგვანახვოს მთელი ახალი ქვეყანა გრძნობებისა და ინსტინქტებისა, სიხარულისა, რომელსაც კვნესა თანა აქვს დაყოლილი, როგორც ყველაფერს ადამიანურს, და სიტკბოებისა, რომელსაც სიმწარე თან ახლავს იმავე მიზეზით.

ყოველ თავის მოთხრობაში არციბაშევი გვეუბნება: ნამდვილი ადამიანი ის არის, ვინც მშვენიერია ხორცით, ვინც მარილიანი და მიმზიდველია, ვინც ლამაზია, ვისაც საღი ტანი აქვს, საუცხოო და მომხიბლავი შეხედულება. ამისთანა ადამიანი ყოველთვის ბედნიერების მომნიჭებელია ყველასათვის, ყველას გამახარებელია, სიცოცხლის მოციქულია, მას სულიც მრთელი აქვს და შეუდრეკელი, შეუპოვარი და მტკიცე ხასიათისაა, იგი მიჯნურადაც მშვენიერია, გმირადაც საუკეთესოა, თავგანწირულებაც შეუძლია, გონებაც მახვილი აქვს და ნათელი, ერთი სიტყვით, ცხოვრების დამამშვენებელია და სიცოცხლის მომნიჭებელი.

ის, ვინც ფიზიკურად სუსტია, სახე ჩამომჭკნარია, ულაზათო და უშნოა, უგემური და უსიმპატიოა, მისი გონება დაჩლუნგებულია, სულით უბადრუკია, ცხოვრების მეტი ბარგია, უნაყოფო და არა მარტო თავისი სიცოცხლის უარმყოფელია, სიკვდილს სთესს თავის გარშემოც და ღუპავს სიცოცხლის ძარღვს თავისი მომშხამავი და მომწამლავი სიტყვითა და საქმით. აიღეთ მოთხრობა „სიკვდილი ლანდესი“. ეს ლანდე სინდისით დაავადმყოფებული კაცია, მარტო ასკეტიზმისა და ცხოვრების უარმყოფელი მორალის მოქადაგეა და მოსარჩლე. განა მასაც არ ესმის ძალა ხორციელი სიმშვენიერისა! მშვენიერ ქალს იგი ასე ელაპარაკება: „თქვენთან ბაასი მენატრება იმიტომ, რომ თქვენ ასეთი ნორჩი ხართ, მშვენიერი, კეთილი და სწორედ ეხლა მომწყურდა თქვენთან ბაასი... მზე ისე კარგად ანათებს და ათბობს... რა კარგია, რომ არიან ქვეყნად თქვენისთანა ნაზი, მშვენიერი და ნორჩი ქალები. მე ყოველთვის ასე მგონია, რომ ღმერთმა მისცა კაცობრიობას ქალის სილამაზე, მისი სინორჩე და სინაზე იმიტომ, რომ სევდას არ მიეცეს, სიყვარული და სიხარული არ და-

ივიწყოს, სანამ კიდევ იძულებულია სწყვიტოს ჭაპანი ამ საზიზღარი, უსინათლო ცხოვრების გადამუშავებაში... მხოლოდ ისა მწყინს, რომ ეს სიმშვენიერე, ეს სიყმაწვილე საერთო კუთვნილებად არ შეიძლება გახადოს კაცმა. ეს კია, რომ ეს ადამიანს ცუდ საქმედ მიაჩნია... მე არ ვიცი... შესაძლოა". ყოველივე ეს ესმის ლანდეს; იგი აფასებს, აგრეთვე, კაცის სილამაზეს და მხატვარს ეუბნება: „მიყვარხარ, შენ ისეთი ღონიერი და მშვენიერი კაცი ხარო" იცის მან ეს და გამოთქვამს ამას... მაგრამ თვით იგი სიცოცხლისა და ცხოვრების ხორცმეტია, სხეული, რომელიც გახრწნილების კარზეა მისული; იგი გამხმარია, გაყვითლებული, სუსტი, თვალებში სიცოცხლე აქვს გამქრალი...

ავტორი საშინელი სისასტიკით სდევნის მას და ხელოვნურად გვისურათებს ამგვარი ტიპების სრულ უვარგისობას. ფიზიკურად სუსტი და ღარიბი, იგი სულითაც სუსტია... თავისებური „ტოლსტოის მიმდევარია" და „არა წინააღუდგე ბოროტის" თეორიის მოციქული, რომელსაც სავსებით ასრულებს მთელ თავის სიცოცხლეში. მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა, არა მარტო უნაყოფოა, საზარელიც არის ყველასათვის. ერთადერთ დედას შორდება, ვინაიდან დედა ნებას არ აძლევს მამის მიერ დატოვებული ფული მოახმაროს ტუსაღ მუშებს, თუმცა მის სრულ განკარგულებაში იყო ეს ფული... ვიღაც ქურდობისათვის დატუსაღებულს თავს ევლება, ათასნაირი სიყვარულითა და გრძნობიერებით ეკიდება, სურს მრუდი გზა მიატოვებინოს, მაგრამ ისე უხერხულად, რომ როცა იგი განთავისუფლდება სატუსაღოდან, ერთ ამხანაგთან ერთად, დაეცემა და გაძარცვავს ლანდეს. შემდეგ, ამავე კაცის გულისათვის, ცხვირ-პირს დაამტვრევენ და როცა ამით მორჯულებული ქურდბაცაცა მოვა და ეტყვის: „აბა აღიარე ახალი რამ სარწმუნოება და წაგვიძეხი წინო", იგი ბავშვივით ლუღლუღს დაიწყებს და ისიც ჩამოშორდება. ბედნიერებითა და სიცოცხლით აღსავსე მშვენიერ ქალს, რომელსაც ზემომოყვანილი სიტყვებით მიმართავს, თავს შეაყვარებს და ჩაუშლის მიჯნურობას მამაც, მშვენიერ და ლამაზ მხატვართან, ხოლო როცა ჯერი მიდგება „გრძნობელობის" დაკმაყოფილებაზე, ეს ხელსა ჰკრავს ათრთოლებულ ვნებათა ღელვის მორევში მცურავ ქალს და ეტყვის: „არა, არა, საჭირო არაა ეგრე.. ნუ თუ ეს აუცილებელია.. მე თქვენ მიყვარხართ, მაგრამ აგრე კი არა"!.. და სხვა. ამგვარად, მშვენიერებას საუკუნოდ სი-

ცოცხლე დაუღუპა და მოუშხამა... ამხანაგი ყავდა ჭლექიანი, უკანასკნელ მდგომარეობაში იყო, ყირიმში იყო; წერილი მოუვიდა, მოინდომა მასთან წასვლა, მაგრამ არა სიყვარულისა და მეგობრობის, არამედ სიბრალულის გამო. საგზაო ფული ვერ იშოვნა, ან და, უკეთა ვთქვათ, არ იშოვა, იმიტომ რომ არ მივიდა დედასთან, არც სხვა ვინმესთან, ვისაც შეეძლო ფული მიეცა. ადგა და ქვეითად გაუდგა გზას, ეუმცა იცოდა, რომ ცოცხალს ვერ მიუსწრებდა ამ სიშორეს და თვითაც ცოცხალი ვერ მიაღწევდა... გზაში ჩაკვდა.

ამგვარად, არავის არაფერი არგო, ყველა დაღუპა, ვისაც ხელი შეახო, ანდა ახლოს გაეკარა.

2

ეხლა აიღეთ არციბაშევის „განთიადის აჩრდილი". იქ გამოყვანილია სტუდენტი კორენიოვი — „მაღალი, შავ-ხუჭუჭთმიანი, შავგვრემანი, ცეცხლის მფრქვეველი შავი თვალებით", რომელმაც მშვენიერი, ლამაზი და ნორჩი ქალიშვილი დაიმორჩილა. მისი სიტყვები, მისი ფილოსოფია მიჯნურობისა მარტივია, საღი და მოვხიბლავი:

„—მე თქვენი ვერა გამიგია რა, ლიზა, — ეუბნებოდა კორენიოვი და თანაც თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, როგორც გაბოროტებული გარეული მხეცი — თუ კი გიყვარვართ და ვიცი, რომ გიყვარვართ, რა აზრი აქვს ან თქვენთვის ან ჩემთვის დავამახინჯოთ ჩვენი ბედნიერება. სწორედ არ მიყვარს, როცა ადამიანი მშიშარაა, რაღაც ნაკლული და გაუბედავი.

ლიზა გაყუჩებული იყურებოდა თავის ფეხებზე და ჰგრძნობდა, რა უცნაურად, ტკბილად და საშინლად უთრთოდა ფეხი და ხელი და რაღაც ტკბილი გრძნობა უღიტინებდა გულში. ეტყობოდა კორენიოვი ენებით აღგზნებული იყო, მამაცისა და ღრმა თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა, ძალიან ლამაზი იყო, ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა რაღაც ძლევამოსილი იყო და თავხედი.

— გაიხადეთ, ლიზა! — უთხრა მან, — კარები ჩაკეტა და მიუახლოვდა: — აბა, ლიზა, გაიხადეთ ბარემ, — გაიმეორა, კორენიოვმა და გაუწოდა მთრთოლვარე ხელები და თვით დაუწყო ზედატანის ღილების შეხსნა.

— მე თვითონ... — წაიჩურჩულა ლიზამ, ქუდი მოიხადა და მაგიდას მიუჯდა.

— არა, რასა შვრებით, გაიხადეთ! — უპასუხა კორენიოვმა.

ქალი სრული მორჩილებით ადგა და დაიწყო ზედატანის ღილების შეხსნა; კორენიოვმაც დახმარება დაუწყო. უეცრად, სწრაფად მხეცივით მოჰხვია ხელები, ზედატანი იატაკზედ დაანარცხა, ლიზა ჰაერში აიტაცა და... დაუშვა ლოგინზედ. ლიზას თავბრუ დაეხვა, შიშმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა, თითქო სიზმარში საშინელ უფსკრულში ვარდებოდა. მოინდომა სუსტი წინააღმდეგობის გაწევა, მოინდომა ხელიდან გასხლტოდა... მაგრამ ბალიშზე დაიკლაკნა, უეცრად ჩაჩუმდა და თვალები დახუჭა, ირგვლივ ყოველივე დატრიალდა; ტანჯვისა და სიამოვნების საშინელსა და მწველ ქაოსში გაეხვია ყველაფერი.

წამოდგა ნელა, კორენიოვს თვალი მოარიდა. მშვენიერი იყო და თან საცოდავი.. კორენიოვი ღრმად და ხანგამოშვებით ითქვამდა სულსა, თვალები უბრწყინავდა, ნესტოები ებერებოდა აღტაცებისა და ძალ-ღონისაგან...“

ასეთი მამაცია და თავხედი კორენიოვი სიყვარულში. იგი სწორედ ის მხეცია, რომლის შესახებაც მისი ამხანაგი სტუდენტი ამბობს: „მე რომ მხეცზე ვლაპარაკობ, იმისთანა მხეცად ან უნდა დაიბადო ან უნდა ბავშვობითვე გაიზარდო, თორემ მარტო და მხოლოდ უბრალო პირუტყვი იქნები, მეტი არაფერიო“. ლიზასაც, ამ ლაპარაკის დროს, ამ მშვენიერ და უცხო მხეცად კორენიოვი წარმოუდგა. იმიტომაც დაემორჩილა ისეთი სიამოვნებით იმის ძალას. ეს სასიამოვნო ძალდატანება, — არციბაშევის აზრით, — თითქო აუცილებელიც არის სიყვარულში, და ვინც იმით არ ისარგებლა შესაფერი მომენტის დროს, მან დაღუპა სიყვარული. პირველი გაბედვა, პირველი ინიციატივა სიმამაცის მაჩვენებელია, რომელიც ქალს მოსწონს; ამგვარ შემთხვევაში მორჩილება და კრძალვა სისუსტის მაჩვენებელია, ქალს გულს აუცრუებს ხოლმე და სპობს სიყვარულს და აუცილებელ კავშირს. ასე დაემართა კორნეტს, რომელიც ლიზას მოსწონდა. შეიძლება, იმას რომ ასეთი წუთით ესარგებლა და თავისი გაბედულებით ლიზასთვისაც გაებედვინებინა თავისთან დაკავშირება, ლიზაც უფრო ბედნიერი იქნებოდა. ასე დაემართა მხატვარ მალაჩალოვსაც („ლანდეს სიკვდილი“). მას რომ ესარგებლა შემთხვევით, ძალით დაემორჩილებია მარია ნიკოლაევნა, ორივესათვის

კარგი იქნებოდა, და ქალი არ გაჰყვებოდა უნიადაგო ოცნებას ლანდეს — ამ უსხეულო სულის — შეყვარებისას და მისთვის უფრო საბედნიერო იქნებოდა.

და განა ლიზა არ იქნებოდა ბედნიერი კორენიოვთან, ამ „საუცხოო ნადირთან“, სიმშვენიერითა და სიმამაცით აღსავსესთან? მაშ რა უნდა ყოფილიყო, როცა მათ შორის დამყარდა თავისუფალი კავშირი, რომელიც სიამოვნების მეტს არას ანიჭებდა ორივეს, რომელსაც ისე მარტივად, საღად და სიწრფელით უყურებდა კორენიოვი, რომ ვერც წარმოედგინა, რომ ლიზაც ბედნიერი არ იყო. ყოველთვის აღტაცებული ვნებით უხვდებოდა და დამშვიდებული მადლობით აცილებდა; „მადლობელი ვარ, ლიზა, რომ მოხვედიო“, — ეუბნებოდა ყოველთვის.

მაგრამ ლიზას ამხანაგად ჰყავდა ფიზიკურად დაჩლუნგებული, სუსტი, ღონემიხდილი, ებრაელის ქალი — დორა, რომელმაც მოუშხამა და მოუწამლა სიცოცხლე ლიზას, დასცინოდა იმის ვითომდა „მეწვრილმანურ შეხედულებას“... სიცოცხლეგამოლეული, სულ სიცოცხლის საწინააღმდეგო გრძნობასა და აზრს უღვიძებდა. ნელ-ნელა და თანდათან მოწამლა ლიზას სული და ლამაზი აზრები და თავისმოკვლა გადააწყვეტინა, ხოლო როცა ჯერი საქმეზე მივიდა, ლიზამ, როგორც ჯანსაღმა, მამაცმა და გაბედულმა ადამიანმა გულში მხნედ დაიცა დამბაჩა და უეცრად სიცოცხლე მოისპო. ამ საშინელების ინიციატორმა დორამ კი, მხდალმა და სუსტმა ქმნილებამ, აქაც ლაჩრობა გამოიჩინა და ვეღარ გაბედა თავის მიერ დაწყებული სიცოცხლის უარმყოფელი მოქმედება.

ახლა კორენიოვი აიღეთ სხვა მდგომარეობაში, პოლიტიკურ შეთქმულებაში, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ კორენიოვი და დორა. დორას ყველაფერი ხელს უწყობდა თავგანწირულებისათვის: სიცოცხლის უარისყოფა, მისი პესიმისტური აზრები, მისი აზრები პოლიტიკურ მოქმედებაზე. კორენიოვი სიცოცხლით აღსავსე იყო, სიცოცხლის მოყვარული, მომენტს არ უშვებდა, რომ არ ესარგებლა ცხოვრებით, გამოეწურა ყოველივე ცხოვრებიდან, რაც კი შესაძლო იყო. სწორედ ამიტომაც კორენიოვმა როლი რევოლუციონერისა ისე გაბედულად, თამამად და შეუდრეკელად შეასრულა, როგორც თავისი როლი „საუცხოო ნადირისა“, როცა სიტკბოებას დაეწაფა ქალის დამორჩილებაში. შეთქმულება დაიღუპა და დაიღუპა დორას წყალობით. თვალები აუჭრელდა, გონება დაებ-

ნა, ფიქრი და აზრი აერია და პოლიტიკური მოქმედებაც ისევე ჩაღუპა და გააფუჭა, როგორც ჩაღუპა და მოუწამლა წუთისოფელი სიცოცხლით სავსე ლიზას.

ფიზიკური სიდუხჭირე, — არციბაშევის ფიქრით, — ბადებს აზრისა და გონების სივაგლახეს. ამისთანა ადამიანის სული უბადრუკია და დუხჭირი. ასეთი ადამიანი არ ვარგა, არც ამხანაგად, არც საყვარლად, არც პოლიტიკურ მოღვაწედ. ეს აზრი არციბაშევს სისასტიკით გაჰყავს მთელ თავის ნაწარმოებში. რა სფეროც არ უნდა აიღოთ, კორენიოვისა და ლიზასთანა „ნადირები“ ყველგან სახეირონი და გამოსადეგნი არიან, ყველგან მშვენივრად ასრულებენ თავიანთ როლს; პირიქით, სადაც გაერევნენ დორა და ლანდე, ყველგან მათ დამხობისა და გაცამტვერების თესლი შეაქვთ, ყველგან საწამლავს ანთხევენ და ღუპავენ ბრწყინვალე და მრავალმხროვან მშვენიერ ცხოვრებასა და სიცოცხლეს. კორენიოვისა და ლიზასთანა მთლიან ტიპს, მართლაც რომ სილამაზისა და სიმშვენიერის, ცხოვრების შესრულებისა და სიცოცხლის დუღილის სიმბოლოს, არციბაშევი ჯერ-ჯერობით ველარ შექმნის, ისე კი მთელი მისი აზრები — ეს აზრები მაინცა და მაინც არ არის შესანიშნავი მრავალნაირობით — ყველა. მისი ტიპი უფრო ფართოდ და უფრო მეტის ხელოვნებითაა გამოყვანილი უკანასკნელ დიდ მოთხრობაში „სანინში“.

3

„სანინის“ მოქმედნი პირნი ორ ჯგუფად უნდა გავყოთ: ერთში მთავარ ფიგურებად უნდა მივიღოთ სანინის და—მშვენიერი და ვნებათა ღელვის მორჩილი დედაკაცი ლიდა. მას გარს ახვევია ორი ვაჟი, მშვენიერი „პირუტყვი“ (და არა მხეცი. — ამ ორ სიტყვაში თითქო განსხვავებასა სდებს არციბაშევი), აფიცერი ზარუდნი და ექიმი, ამხანაგი სანინისა ნოვიკოვი, — ესეც „ახალგაზრდა, ჯანსაღი და ლამაზი“ ვაჟი, როგორც თვით სანინი. მეორე ჯგუფში მთავარ როლს თამაშობს საუცხოო „მხეცი“ სანინი. მის გვერდით არის ლამაზი და მშვენიერი კარსავინა, ხოლო ამ ქალის გვერდით კი სალოსის მსგავსი სტუდენტი იური. მთელი მოთხრობა ამ ორ ჯგუფს შორის იყოფა და უმთავრესი როლი მათ ეკუთვნით.

ლიდა და კარსავინა ის მშვენიერი ქალები არიან, რომელთა მსგავსი არციბაშევს გამოყვანილი ჰყავს მარიამ ნიკოლაევნასა („სიკვდილი ლანდესი") — ლიზაში („განთიადის აჩრდილი"). ზარუდნი იგივე მალაჩალოვია („სიკვდილი ლანდესი"), ოღონდ უფრო პირუტყვი და ყოველივე ადამიანურისაგან გაცრცვნილი, იური — იგივე ლანდეა; ხოლო სანინი ისეთივე საუცხოო „მხეცია", როგორც კორენიოვი („განთიადის აჩრდილი")... იგი შეიცავს ორ ტიპს, არციბაშევის მიერ უკვე დასურათებულს, კორენიოვს, ერთი მხრივ (სქესის ინსტინქტის ენერგიაში), ხოლო მეორეს მხრივ, აზრით — ამავე მოთხრობის („განთიადის აჩრდილი") სტუდენტ ანდრეევსა ჰგავს. ეს ტიპები არციბაშევის საყვარელი ტიპებია, მისი სიმპატია მთლიანად მათკენაა.....

თავისი თავის სიყვარული და პატივისცემა, სიყვარული და პატივისცემა თავისი ინსტინქტებისა, თავის სისხლისა და სხეულისა, მთელი თავის არსებისა ერთნაირად და განურჩევლად — ეს აზრი, ნიცშეს მიერ სისასტიკით და სიმძაფრით წარმოთქმული, გამეორებული აქვს არციბაშევს. სტუდენტი ანდრეევი ებრძვის იმ ახალგაზრდებს, რომელთაც აუხირებიათ კაცობრიობის იდეალები, ხოლო მთელი თავიანთი არსება ფეხქვეშ გაუთელიათ, დამსგავსებიან ქრისტეს მოძღვრების მოსავ განდეგილებს და ცხოვრებას, თავიანთ პირად არსებას ანგარიშს არ უწევენ და, ამგვარად, ისახიჩრებენ თავს და ვერც სხვასა რგებენ. არციბაშევის ფიქრით, მაღალი აზრის სავსებით შეგნება, ამ აზრისთვის თავის განწირვა მარტო იმას შეუძლია, ვისაც თავისი ადამიანობა ყოველის მხრივ განუვითარებია და ვისაც თავისი ზრახვებისა და სურვილებისთვის ხელი შეუწყვია.

სანინი არა თუ მხოლოდ ამ აზრების უფრო მკაფიო გამომხატველია, იგი ამ აზრებს უქადაგებს ყველას და თვითონაც ამ აზრების მიხედვით მოქმედებს; ამავე გზაზე აყენებს თავის მშვენიერ დას — ლიდას. იმთავითვე სანინი ოჯახს გარეშე იზრდებოდა, არავინ არ ადევნებდა თვალყურს მის აღზრდას, არავის ხელი არ შეხებია მას და ამიტომაც მისი სული გაიფურჩქნა „თავისუფლად, ვით ხე მინდორში", ცხოვრობდა სადაც მოუხდებოდა, აკეთებდა იმას, რაც შეხვდებოდა; ხან შრომობდა, ხან უაზროდ დახეტიალებდა, უყვარდა სმა და კარგად იცნობდა ქალებს... მომავალი არ აწუხებდა, რადგან მზად იყო მიეღო ცხოვრებისაგან ის, რასაც მის-

ცემდა... თავის ჯანმრთელობასა და მუსკულებს აღტაცებაში მოჰ-ყავდა ხოლმე და თავისი სისაღისა და სილამაზის შემგნები სია-მოვნებით გაიზმორებოდა ხოლმე.

როცა იგი დაეკითხა თავის ამხანაგს ნოვიკოვს, 'რომელსაც ეხ-ლა მისი და გატაცებით უყვარდა, რასა შვრებიო, და იმისგან სევ-დიანი პასუხი მიიღო, მიუგო — „ახალგაზრდა ხარ, საღი და ლამა-ზი, მეტი რაღა გეჭირვება მაინცა და მაინც“. სანინის აზრით, ეს დიდი სიმდიდრეა და ბუნებისაგან ასე უხვად დაჯილდოვებულ ადა-მიანს ხვედრის ჩივილის ნება არა აქვს...

სანინი შეხვდა თავის ანტიპოდს, — უნივერსიტეტიდან გამორი-ცხულ სტუდენტ იურის და ამგვარი აზრებით ახვევს თავბრუს: „ცხოვრების აზრი? აზრი, რასაკვირველია, აქვს ცხოვრებას... და შეუძლებელიც არის არა ჰქონდეს სწორედ იმიტომ, რომ მოვლე-ნათა მსვლელობას რაიმე მიზანი უნდა ჰქონდეს, უმიზნოდ მარტო ქაოსი იქნებოდა. მაგრამ ეს მიზანი ჩვენი ცხოვრების გარეშეა, იგი აქვს საფუძვლად მთელ მსოფლიოს... ეს ადვილი გასაგებიც არის... ჩვენ არ შეგვიძლიან ვიყვეთ არც დასაბამი და არც დასასრული ცხოვრებისა. ჩვენი როლი დახმარებითია და პასიური. ჩვენს და-ნიშნულებას ჩვენ ვასრულებთ მარტო იმ ფაქტითაც, რომ ვცხოვრობთ... მე მხოლოდ ერთი ვიცი, ერთსა ვხედავ და ერთი მწადიან, რომ სიცოცხლე ჩემთვის ტანჯვა არ იყოს... ამისთვის კი საჭიროა ყველაზე უწინ თავისი ბუნებრივი სურვილების დაკმაყო-ფილება... სურვილი შეადგენს ყველაფერს ცხოვრებაში: როცა ადამიანს ესპობა სურვილი, მისი სიცოცხლეც ისპობა. როცა იგი სურვილს იკლავს, იგი კლავს თავის თავს...“.

ქალიშვილს, რომელსაც რამდენიმე წუთის შემდეგ დაიმორ-ჩილებს, ასე ელაპარაკება: ... ოქროს საუკუნე მაშინ დაუდგება კა-ცობრიობას, „როცა ადამიანსა და მის ბედნიერებას შუა არაფერი არ იქნება ამართული, როცა ადამიანი თავისუფლად და უშიშრად განიცდის ყოველ სიტკბოებასა და განცხრომას, რაც იმის ხელთ არის.... ის ხანა, როცა ადამიანი მარტო ხორცით ტკბებოდა, ბარბა-როსულად ტლანქი და უბადრუკი იყო. ჩვენი ხანა კი, როცა ხორ-ცი სულსა ჰყავს დამონებული და უკანა ეზოშია გადამალული, უშინაარსო დასუსტებული ხანაა. მაგრამ კაცობრიობას ტყუილ-უბრალოდ არ უცხოვრია: ცხოვრების ახალი პირობები აქვს გამო-მუშავებული, რომელშიც არც პირუტყვობას ექნება ადგილი და

არც ასკეტიზმს... ადამიანს უნდა შეეძლოს დასტკბეს სიყვარულით უშიშრად და უკრძალველად, არავითარი სულის შემშლელი არ უნდა ეღობებოდეს წინ“...

სტუდენტ სოლოვიჩიკს, რომელსაც „წყეული კითხვები“ სულს უშხამავს და ამ კითხვების გადაწყვეტილება სიცოცხლის მოსპობას უკარნახებს, ასეთ დამღუპველ დარიგებას აძლევს: „იმან უნდა იცოცხლოს, ვინც სიცოცხლის მარტო ერთ ფაქტში უკვე სიტკბოებას განიცდის. ის ვინც იტანჯება — უკეთესია მოკვდეს... თქვენ მკვდარი კაცი ხართ... კაცმა რომ თქვას, მკვდრისათვის მართლაც და საუკეთესო წამალი საფლავია“.

აი მთელი ფილოსოფია სანინისა, — არციბაშევისა.

4

წინა წერილში მკითხველს გავაცანით ფილოსოფია სანინისა. მკითხველი კარგად მიხვდება, რომ ეს ფილოსოფია ნიცშეს ფილოსოფიაა, თავისებური უკიდურესობით გამოთქმული: „ოქროს ხუჭუჭთმიანი მხეცი“ — თავის ინსტინქტების უსაზღვროდ დამაკმაყოფილებელი და განმავითარებელი, ჯანსაღი მხეცი, რომელიც გაურბის ტანჯვასა და სევდას ისევე, როგორც ავადმყოფობასა და სიძაბუნეს, სიტკბოებისა და განცხრომისკენ მიილტვის, როგორც აუცილებელ და სანეტარო საგნისაკენ — ეს არის იდეალი ახალი მოძღვრებისა, ახალი შეხედულებისა ადამიანის ბუნების შესახებ. ეს არის, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ძველი ბერძნული კულტურის მიერ შემუშავებული იდეალის განახლება; ეს განახლებული ელინიზმია და როგორც ასეთი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი რამ უკიდურესი და გადაჭარბებული მოიპოვება... აუცილებლად საღი მოძღვრებაა, რომლის ნაყოფიერება უეჭველია. მასში არის საღი და მშვენიერი მხარე — ეს — კაცის სხეულის სიმშვენიერის, პლასტიკური სიმშვენიერის და, საზოგადოდ, სიმშვენიერის გაღმერთება. ყოველი დავის გარეშე, ეს ძირითადი მოთხოვნილებაა ცხოვრებისა, ურომლისოდაც იგი იქნება უსხეულო ჩონჩხი, უნიადაგო და უმნიშვნელო, უფერული და უბადრუკი. ეს მხარე ამ ფილოსოფიას მკაფიოდ, მკვახედ და სასტიკად აქვს გამოთქმული. ეს გადაჭარბება ერთგვარი რეაქციაა იმის წინააღმდეგ მიმართული, რომ რამდენიმე საუკუნე ეს მხარე კაცობრიობის

ცხოვრებისა მივიწყებული და დაჯაბნებული იყო. სამაგიეროდ, მეორე მხარე იყო ავადმყოფურად გაბერილი: სულის მეტი დღევანდელ ოფიციალურ ზნეობასა და სარწმუნოებას არა მიაჩნდა რა, და ყოველივე სულის საკურთხეველზე მიჰქონდა მსხვერპლად. დღეს თავის დაჩაგვრის გამო შურს იძიებს ხორცი და როცა შურისძიებისა და გაცხარების ხანა გაივლის, დამყარდება ის ჰარმონია სულსა და ხორცს შორის, ურომლისოდაც არ არის ადამიანის ცხოვრება, ადამიანის კულტურა; არის მხოლოდ მისი დამახინჯება და დასახიჩრება.

ასეთია სანინი. არციბაშევის აზრით, იგი უნდა იყოს ახალი ტიპი, ცხოვრების სიხარულით გაჟღენთილი, სიცოცხლით აღსავსე, მშვენიერი სილამაზისა და სიამოვნების მომფენი. ხორცის, სქესობრივი უფლებების დამცველადაც გამოდის სანინი, არციბაშევი და ჩვენს დროს დაჩლუნგებულს, დასუსტებულს და უშინაარსოს უწოდებს. განცხრომა, ცხოვრებით დატკბობა, სურვილების სავსებით დაკმაყოფილება — აი, რა ქმნის ცხოვრების მომხიბვლელობას, აი რა ქმნის ცხოვრებას მოსათმენ და სანეტარო რამედ. ამ აზრს,— თეორიულ მსჯელობას არციბაშევის მხატვრული ილუსტრაცია ვერ აქვს კარგად შეხამებული. მისი და ლიდა, რომლის „მხეცური“ სიმშვენიერე არციბაშევს მეტად ტლანქად აქვს დახატული, ემორჩილება ლამაზ, მშვენიერ და ვნებათა ღელვით აღსავსე ოფიცერს,— ზარუდნის. სიამოვნება ხორცისა სავსებით მიღწეულია, ვინაიდან მშვენიერი და ვნების ასული დაემორჩილა გრძნობათა უკიდურეს გახელების დროს. ლამაზ, მოხდენილ, საღი ვნების ძეს. ლიდას სხეული უსირცხვილოდ აღგზნებული, ტანჯვითა და სიამოვნებით აღვსილი, თრთოდა, როცა ხვდებოდა მძლავრი გამაშიშვლებელი ხელი. მას უნდოდა კიდევ განეცადა ეს ცნობისმოყვარეობა, ეს სირცხვილი, ეს ტკივილი და ეს სიტკბოება. ასე გატაცებული და თავდავიწყებული ეძლეოდა ლიდა აკრძალულ განცხრომას. მაგრამ სიხარულის მაგიერ მას ტანჯვა მიაყენეს. ეს წუთი ქალისათვის გაუგებარი შეიქნა. მისი გასწორება მისთვის შეუძლებელი გახდა. იგი ხედავდა მხოლოდ, რომ მასზე ბევრად უფრო დაბალი გონებით, სულელი და თავქარიანი ოფიცერი, რაღაცა მისთვის დამამცირებელი ძალითა და უფლებით შეიმოსა, და ერთიორად ტანჯავდა ლიდას ეს. ამას მოჰყვა, ჩვეულებრივ დღევანდელ პირობებში მოქცევა „მშვენიერი მხეცისა“. ქალი დაორსულდა თუ არა, ოფი-

ცერმა თავისი კარები ჩაუკეტა. ეს არ იკმარა და საზიზღრობაც ჩაიდინა: ქალი, რომელმაც მთელი თავისი ნორჩი სილამაზე მსხვერპლად შესწირა ოფიცრის პირუტყვულ სიამოვნებას, სასაცილოდ გახადა, — ისე მოეპყრო, ვით ქუჩის ქალს. ეს, რასაკვირველია, ჩვენმა ფილოსოფოსმა სანინმა შეამჩნია და პირდაპირ ცხვირპირი ამოამტვრია მშვენიერ ულაყს,—არციბაშევის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ. ოფიცერმა, რასაკვირველია, თავი მოიკლა.

ამგვარად, სანინის მშრალ თეორიას ცხოვრებით დატკბობის შესახებ პირველი დამარღვეველი თვით ამ თეორიის მამის პირად ცხოვრებაშივე აღემართება. შეიძლება შენი სქესობრივი ინსტინქტის დაკმაყოფილებას გაჰყვე, ვინაიდან ეს არის ერთი უპირველესი სიტკბოება ცხოვრებაში; სქესობრივი ინსტინქტი მშვენიერების მაღმერთებელია, მაგრამ, როგორცა ჰგავს, მარტო პირუტყვთა მშვენიერება არა ჰყოფნის ამ ინსტინქტს. ლიდა იმთავითვე იტანჯებოდა, რომ ბატონად გაიხადა და კისერზე დაისვა „თავისზე ბევრად უგუნური, ჩერჩეტი და სულელი“, თუმც სახით და სხეულით მშვენიერი, ოფიცერი. ეს განსხვავება პირდაპირ სულიერია და, მაშასადამე, მშვენიერი ურთიერთობისათვის აუცილებელია სულისა და ხორცის სიმშვენიერე და ვინ იცის, რომლის სიდუსჭირე უფრო ძნელი .სატანია. ამ მაგალითში არციბაშევი იმას გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც არ არსებობს თვისტომობა სულთან სულისა, არ არსებობს ნამდვილი სიტკბოება სქესობრივ კავშირში და წუთიერი გატაცება საუკუნოდ მომწამვლელი ხდება.

არც ესა კმარა. ამ კავშირს ორივე მხარე უნდა უყურებდეს ისე, როგორც წმინდა რამეს, რომლის შეხება ბინძური ხელებით არ შეიძლება. თავისუფლება არც სიბინძურეს ნიშნავს, არც საზიზღრობას. თავისუფალი ხარ, თუ კი ორივე მოკავშირე სრულიად თანახმაა როცა უნდა შეკრას და როცა უნდა მოსპოს კავშირი, მაგრამ ყოველი მომენტი ამ კავშირისა, მისი დასაწყისი და დასასრული, უნდა აუცილებლად აღბეჭდილი იყოს რიგიანობით, სილამაზითა და სიმშვენიერით. ოფიცერმა, რომელმაც უღალატა ამ ცნებას და თავისი საყვარელი მოკავშირე ამხანაგთა „სალაღობოდ, სათრეველად“ გახადა, თავის სისაძაგლის დამსჯელი ამავე ქალის ძმაში ნახა, იმ კაცში, რომლის აზრები სქესობრივ კავშირთა სრული თავისუფლების შესახებ აბსოლუტური იყო.

მეორე მაგალითი — სანინის მიერ კარსავინას „მხეცური დამორჩილება“ არის. მთვარიან ღამეში სანინს შემთხვევით მოუხდება კარსავინას ნავით გაცილება. „ერთ წუთში მთელი თავისის არსებით იგემა ზღაპრული და მომხიბლავი სიახლოვე ქალისა; ქალი კი, მიუხვდა მას გრძნობას, იგრძნო მთელი ძალა მისი სურვილისა, დაითრო, თავბრუ დაეხვა, ვიდრე გაიგებდა რასა სჩადიოდა... უეცრად ქალი გაუგებრად მოღუნდა, ხელები ჩამოუშვა და იწვა ისე რომ არაფერს არა ხედავდა, არც არა გაეგებოდა რა; გული მწარედ სტკიოდა, იტანჯებოდა და თანაც სიტკბოებით ემორჩილებოდა ვიღაც უცხო კაცის ძალასა და ნებას“.

აქაც მოქმედებს იგივე ფატალური ძლევამოსილი ინსტინქტი, რომელიც ორ მშვენიერ არსებას აკავშირებს. ორივე თავდავიწყებული, გატაცებული ემორჩილება ამ ძალას. არცერთს არავითარი წინადგანზრახული ფიქრი და გეგმა არა ჰქონიათ. ის კი არა, ერთი წუთის წინათ წარმოდგენაც არ შეეძლოთ, თუ ეს ასე მოხდებოდა, თვით სანინის შეხედულება და კარსავინას თავისუფალი მოქმედება ხაწინდარი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ეს მომენტი ორივესთვის სასიამოვნოთა და სანეტარო სამახსოვროდ დარჩებოდა. საქმე კი სულ სხვანაირად დატრიალდა. კარსავინას ზიზღით აევსო გული სანინისადმი, სანინი კი იტანჯებოდა, როგორც რიგიანი და პატიოსანი მოაზრე, რომ მისი აზრები ჯერ ვერ შეუთვისებიათ. ამის გამო ეს ქალი, რომელმაც მიანიჭა სიტკბოება და სიამოვნება, მის მიერ დაიტანჯა. ეს რაღად მოხდა? იმად, რომ კარსავინას უყვარდა იური და არა სანინი. სანინმა ისარგებლა შემთხვევით, ქალი კი რამდენიმე საათის წინ იურის ეწვა გვერდით, მხურვალედ და აღგზნებულად ეალერსებოდა თავის საყვარელ ვაჟს. „იურიმ მიაგნო ქალის მთრთოლვარე, აღგზნებულ ბაგეებს და დაუწყო მწველი ხვევნა და კოცნა, რომელმაც გახურებულ შანთივით დაუწყო დაწვა მის მოდუნებულ სხეულს. იყო ერთი წუთი, წუთი სრული სიგიჟისა, წუთი, რომლის მეუფე იყო მარტო და მხოლოდ ძლევამოსილი მხეცური ინსტინქტი. კარსავინა არ ეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ თრთოდა იურის ხელის შეხების გამო. „ხომ გიყვარვარ? — დაეკითხა ქალი ხმის კანკალით... იურიმ კი ერთადერთი პასუხის მაგიერ, იმ პასუხისა, რომელსაც თხოულობდა მათი ბუნება, მათი გრძნობა და მთელი მათი არსება, ამ პასუხის მაგიერ სალოსობა დაიწყო და თავზარდაცემულს ფიქრად გაუელვა — ამას რასა ვშვ-

რებიო“. იურის გაეყინა მთელი სხეული და დარცხვენილი და დატანჯული ქალი უეცრად წამოჯდა. იური ხელახლა აღივსო ვნების ალით, ხელახლა დაუწყო ხვევნა და კოცნა ქალს და სწორედ იმ დროს, როცა ქალის სხეული მოდუნდა და მთელი მისი არსება კვლავ დაემონა და დაემორჩილა ვაჟს, ვაჟმა ხელახლა მიატოვა ალერსი და ქალი და უეცრად დაუწყო უადგილო და უაზრო ბოდიშის მოხდა: ამგვარად, კარსავინას კანონიერსა და ბუნებრივ სურვილს წინ გადაეღობა იურის არანორმალური ქცევა, მისი სალოსობა და რაღაც უშინაარსო ბოდვა. რამდენიმე საათის შემდეგ სანინი სულ სხვაგვარად მოექცა კარსავინას და საყვარელი ვაჟისაგან აღგზნებული ქალი დაიმონა და დაიმორჩილა. იურიმ კი თავი მოიკლა, ვითომდა სასოწარკვეთილების გამო, უფრო კი იმიტომ, რომ ველარ აიტანა თავისი დამარცხებისა და გათახსირების ხსენება. „მოაგონდა საზიზღარი სცენა, როცა სრულიად უნდომლად ხელახლა წააქცია ქალი მინდორზე, ქალს კი ეხლა აღარ უნდოდა, ფართხალობდა და ხელიდან გაურბოდა; თვით ხედავდა, რომ აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც არაფერი შეეძლო, მაგრამ მაინც ებღაუჭებოდა ქალს, ამის მოგონებაზე იურის სირცხვილის კანკალი აუვარდა. აღეძრა სურვილი ქვესკნელში ჩაძრომისა, მიწაში ჩაფლისა, რომ თვით ველარ ეგრძნო თავისი სიკვდილი“. ყოველივე ამან სიცოცხლის მოსპობის გადაწყვეტილება მიაღებინა, თუმცა ეს გადაწყვეტილებაც როგორღაც არ იყო სერიოზული და დინჯი: რევოლვერის ჩახმახს მოსწია, მაგრამ თან იმედიც ჰქონდა — იქნებ მიმტყუნოსო. მოტყუვდა: რევოლვერმა თავისი დანიშნულება მშვენივრად აღასრულა, სანინის გულში იურის თვითმკვლელობამ ზიზღი გამოიწვია, სხვა არაფერი, ზიზღი ჯანსაღი ადამიანისა დაავადმყოფებული და ხენით შეპყრობილი ადამიანისადმი, და როცა ამხანაგებმა თხოვეს, სიტყვა სთქვი იმის დასაფლავებაზეო, მკვახედ მიუგო: რად, ერთი სულელი მოაკლდა ქვეყანას, მეტი არაფერიო. ამან კი გაორკეცა კარსავინას სიძულვილი და აღშფოთება სანინისადმი.

იურის ტიპი, როგორც ზევითაც ვთქვით, ძალზედ წააგავს ლანდეს ტიპს. ასეთ სალოსებს არციბაშევი ყოველთვის სასტიკი უარყოფით ეკიდება. იურის თვითმკვლელობა თითქმის უცაბედად მოხდა და ამაშიც არციბაშევი გვიხატავს ამგვარ ვაჟბატონთა სულიერ სიმახინჯესა და სილაჩრეს. მისი ცხოვრება არა სანინში, ყველა ჩვენში, სიბრალულის ნაცვლად, იწვევს გულგრილ ირონიას ან ისეთსავე

ზიზღს, როგორიც სანინმა გამოსცადა. როგორ შეიძლება ადამიანს სიმპატია აღეძრას იმისთანა ყმაწვილი კაცისადმი, რომელიც ღალატობს თავის ბუნებას, თუ თავის არსებას, თავის ადამიანობას და მთელ ცხოვრებას მარტო მშრალ თეორიულ ხვნეშა-კვნესაში ატარებს, სრულიად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ. არციბაშევს ძალიან კარგად ეხერხება ამგვარი ტიპების უბადრუკობის სინამდვილით დასურათება.

არ გვესმის მხოლოდ ერთი: რად გადაჰკიდა კარსავინა იურის. კარსავინამ იურისთან ერთად გაიცნო სანინიც. სანინი შთაბეჭდილებასაც იწვევდა კარსავინაში. სანინი მშვენივრადა გრძნობდა ამას და გაურბოდა. მხოლოდ როცა იგრძნო, რომ დიდი ჯაფა არ არის საჭირო ქალის დამორჩილებისათვის, ფიქრი უეცრად განხორციელდა. რატომ დასჭირდა არციბაშევს კარსავინას დასჯა. კარსავინასა და იურის სიყვარული სწორედ ისეთი იყო, რომელიც არციბაშევის იდეალს აკმაყოფილებდა. ან ასეთი სიყვარული უნდა დაბადებულიყო კარსავინასა და სანინს შორის, ან იურის „დამარცხება“, ვითა მოვლენა სრულიად იშვიათი და ანორმალური, ავტორს არ უნდა ეკისრებია. თუ იმის ჩვენება უნდოდა, რომ იურისთანა ვაჟბატონები ყოველთვის ყველაფერში დამარცხებულნი არიან და უბედურებისა და სიკვდილის მეტი არა მოაქვთ რა ცხოვრებაშიო, ეს სხვაგვარადაც შეიძლებოდა დაენახვებინა, და დაგვანახვა კიდევაც თავის „ლანდეს სიკვდილში“. თუ მაინცა და მაინც ამ „მარცხის“ ჩვენება აუცილებელი იყო, რაკი ამას სანინის მამაცური „გამარჯვება“ მოჰყვა, ეს გამარჯვება ბოლომდე მაინც მიეყვანა და იურისაგან შეურაცხყოფილი კარსავინა სანინისთვის მაინც დაეკავშირებინა. სანინმა „გამარჯვების“ მეორე დღეს რომ დაუწყო კარსავინას ნუგეში: „თქვენ იტანჯებით, წუხელი კი ისეთი სიტკბოება იყო; თქვენი ტანჯვა იმისგან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ცხოვრება საზიზღრად არის მოწყობილი: კაცმა თვით დაუნიშნა ფასი თავის საკუთარ ბედნიერებას... ჩვენი ცხოვრება, რომ სხვაგვარად იყოს მოწყობილი, ეს ღამე საუკუნო სანეტარო სახსოვრად ჩარჩებოდა ჩვენს ფიქრში, როგორც თვით უძვირფასესი, თვით უფრო საინტერესო და უმშვენიერესი მომენტი, რომელიც ამშვენებს ცხოვრებას“. ასეთი იყო მისი ნუგეში, მაგრამ თვით კი ბოღმა აწვებოდა გულზე. „იგრძნო, რომ არავითარი სიტყვით მისი (ქალის) ნუგეში არ შეიძლება, რომ აუცილებელი იყო მისი ტანჯვა, რომელსაც თან

მოსდეედა სირცხვილი და სილატაკე. ამ ქალის რისხვა და სევდა სრულიად სამართლიანი იყო და კაცს არ შეეძლო ერთ წუთში გადაეკეთებინა მთელი ქვეყანა, მას არ შეეძლო ქალის გულიდან მოეშორებინა ის მძიმე ლოდი, რომელიც დააწვა მთელს მის არსებას, იმ ბედნიერებისა და სიხარულის მიზეზით, რომელიც მიანიჭა ვაჟს მისმა ნორჩმა სიმშვენიერემ". კინაღამ ხელი და გული არ შეაძლია, — „მაგრამ ეს მეტად წვრილმანად მოეჩვენა, იგრძნო, რომ სხვა რამ სჭირია ტანჯულს ამის პასუხად. კარსავინა მტრულ განწყობილებაზე დადგა, მთელი მისი არსება სანინის ზიზღით აღივსო".

რადა? იმად, რომ კარსავინას უყვარდა იური? იურიმ ხომ ვერ შეასრულა თავისი როლი და სრული ლაჩრობა გამოიჩინა? შემდეგშიაც იური ამ კავშირისათვის სრულ თავის უვარგისობას დაამტკიცებდა. სანინთან წუთიერი კავშირი რად გადაიქცა კარსავინას გულის მომშხამველად? კარსავინა ხომ თავისუფალი იყო ყოველი მხრით? თუკი ყველაფრის გარეშე კარსავინა მაინც უბედური და დატანჯული შეიქნა, მაშასადამე, სქესობრივი ინსტინქტის დაკმაყოფილების თავისუფლება შეუძლებელია და სრულიად კანონიერია ის მუხრუჭი, ის კალაპოტი, რომლითაც დღეს შებოჭილია სქესთა შორის კავშირი. აი ლიდა, რომელიც ყოველი გზით მიისწრაფოდა მშვენიერი ოფიცრისაკენ. დაიკმაყოფილა გრძნობა და გაუბედურდა, საუკუნოდ დაიტანჯა, თუმცა ერთად-ერთი მისი პატრონი ძმა მის მოქმედებას თავიდან ბოლომდე კვერს უკრავს; აი კარსავინა და სანინი. კარსავინა ორი გზით უბედურია: ვერ იმორჩილებს საყვარელ ვაჟს, ვინაიდან ეს ვაჟი მკვდარ-ცოცხალია, დაემორჩილება „უცხო კაცის ნებასა და სურვილს" და ეს საუკუნო ტანჯვას შეუქმნის. ამგვარად, იმ ორი ჯგუფიდან, რომელთა შორისაც ვითარდება მთელი არაკი, აზრი მოთხრობისა, თითქმის ყველა მსხვერპლი გახდა სქესობრივი კავშირისა...

...სანინი? სანინის ბედნიერებისა რა მოგახსენოთ. არ ეტყობა მთელ იმის მოქმედებას, რომ ბედნიერი იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისი უკანასკნელი სიტყვები ის იყო, რომ „ადამიანი საზიზღარი რამ არისო". მას აღეძრა სურვილი დროებით მაინც გაშორებოდა ყველას. სანინი უდაბური ველისაკენ გაეშურა; მოთხრობის ბოლო გვიამბობს, რომ „როცა ველმა გამოიღვიძა და მიდამო შეიღება მწვანეთა და ცისფრად, თვალუწვდენ ცის სივრცეს შეუერთდა და. როცა პირდაპირ სანინის წინ ამოვიდა მზე, რომელიც ათასფერად

ბრჭყინავდა და ნაპერწკლებს ისროდა, ასე გეგონებოდათ სანინი მზის შესახვედრად მიდისო“.

მაშასადამე, სანინი ამომავალი მზის თანამგზავრია, მისი მაძიებელი და მისი მომასწავებელი სიმბოლო? ძნელად დასაჯერებელია, რომ ადამიანმა, რომელსაც სიკვდილისა და უბედურების მეტი არა დაუთესია რა ცხოვრებაში, ეს როლი შეასრულოს. ნურას ვიტყვით, იმაზე, რომ სოლოვეიჩიკის სიკვდილის წამქეზებელი იყო, მან დაღუპა თავისი და ლიდა. მას, როგორც მოციქულს ახალის აზრებისას, უნდა ეგრძნო, რომ სქესობრივ ინსტინქტსაც აქვს თავისი წესი, და ზარუდნისთანა პირუტყვების უვარგისობა უნდა ეჩვენებინა თავისი დისათვის; მან კი დააჩქარა მისი დაღუპვა: გაბედვინა ეს უაზრო მოქმედება, მისცა საფუძველი ოფიცერს დაეჩქარებინა თავისი აზრის ასრულება. მან დაღუპა კარსავინა, რადგან რომ მოენდომებინა, იურის აღვილად შეეცილებოდა, თავს შეაყვარებდა კარსავინას და მაშინ იმისთვის წუთიერი სიამოვნებაც საუკუნო ნეტარებად გადაიქცეოდა.

ანდა იქნებ მართალი იყოს არციბაშევი, როცა ალაპარაკებს სანინს, რომ ყოველი ტანჯვა სქესობრივ ნიადაგზე მომხდარი, და მის მიერ მოთხრობილი, დღევანდელი პირობების ბრალია? ესეც ვერ დაგვიმტკიცა ავტორმა. იმისი მოთხრობის მაგალითები საფუძვლიანია იმ მხრივ, რომ არავითარ პირობაში სქესთა შორის კავშირი საბედნიერო არ იქნება, თუ ერთის მხრით არის „სულელი და ფუქსავატი პირუტყვი“ და მეორეს მხრით — მშვენიერი, გონიერი, ლამაზი მხეცი და თანაც ადამიანი. ლიდას ტანჯვა იმის შედეგია, რომ ზარუდნი სულით და გულით დაბალი და დაღუპული კაცი გამოდგა. ყველგან და ყოველთვის სქესობრივი კავშირი მაშინ არის მტკიცე საძირკველზე აგებული, მაშინ არის ბედნიერებისა და ნეტარების მომნიჭებელი, როცა კავშირი შედეგია სავსე გრძნობისა, ყოველმხრივ განვითარებულისა და გაღვიძებულისა, ეგ არა მარტო ცალმხრივი გატაცებისა. სწორედ ამიტომ იტანჯება კარსავინა და არც თვით სანინია სავსებით კმაყოფილი. ანდა იქნებ ავტორს ჰგონია, რომ შესაძლოა ამ ინსტინქტის ისე დახურდავება, რომ გარდა პირუტყვული აქტისა, სხვა არა უნდა მოეთხოვებოდეს რა? ეგ ხომ წინააღმდეგი იქნება მთელი ბუნებისა და არა მგონია ადამიანის ბუნება, დღევანდელი ან ხვალინდელი, დასთანხმდეს მას, რომ ამ გრძნობაში დაადგეს გადაგვარებისა და გადამახინჯების გზას.

სქესობრივი გრძნობა უნდა იყოს უსაზღვროდ თავისუფალი, და იმის განვითარებას, იმის მოთხოვნილებას არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს. მისი ხელისშემშლელი უნდა იყოს თვით ბუნება და გრძნობა. დაე, იყოს წუთიერი კავშირი და გატაცება, შეცდომა, წუთიერი სიამოვნება, მაგრამ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ეს გატაცება, ეს წუთიერი კავშირი სავსე იყო და დამაკმაყოფილებელი კაცის არსების მრავალგვარი მოვლინებისა და არა ისეთი შეცდომა, რომელიც თვითვე ტანჯავს ადამიანს. ლიდას არა აწუხებს რა და არც არავისი შიში აქვს, გარდა თავის თავისა. კარსავინას დარდი მარტო მისი გრძნობის დაუკმაყოფილებლობაა და არა იურის, გინდ ქვეყნის მორიდება.

არციბაშევს ჰყავს ისეთი მაგალითი გამოყვანილი სხვა მოთხრობაში, რომელიც არაერთხელ მოვიყვანეთ. ეს არის „დილის აჩრდილი“, სტუდენტ კორენიოვისა და სტუდენტი ქალის ლიზას კავშირი, რომელიც, მიუხედავად წუთიერობისა, საღია, ბედნიერების და სიცოცხლის მომნიჭებელი, პირადობის ამამაღლებელი და ყველასაგან მოსაწონი... მაშასადამე, ასეთი კავშირი, გარეშე დღევანდელი ყალბი მორალისა და ვალდებულებისა, თავისთავად სანეტარო და მშვენიერია. ამის მსგავსს ვერას ნახავთ „სანინში“.

თავისთავად სანინის აზრი, კიდევაც მოგახსენეთ, არავისთვის საშიში და სახიფათო არ არის. ყოველი მაგალითი თავისუფალი სიყვარულისა, რომელიც ავტორმა აქ მოიყვანა, თითქმის „თავისუფალი კავშირის“ ერთგვარი დამარცხებაა, ისე რომ დღევანდელ ყალბ მორალისტებს შეუძლიათ კბილთა ღრჭენით მიუგონ არციბაშევს: თვით თქვენ ამტკიცებთ, რომ ასეთი კავშირი მხოლოდ და მხოლოდ უბედურებისა და ტანჯვის მომტანი არის... სანინის ტიპი კი ბევრად უფრო დაბალი და სუსტია, ვიდრე მართლაც მშვენიერი კორენიოვი, მომავალი ადამიანის გამომსახველად.

ბოლოს, საზოგადოდ, არციბაშევის ნიჭზე ის უნდა მოგახსენოთ, რომ იგი სრულიად ჩვეულებრივი ნიჭის პატრონია; მით უმეტეს ისეთი დიდი ნიჭის პატრონთან შედარებით, როგორიც ლეონიდ ანდრეევია.

ანდრეევი სრულიად ჩვეულებრივ, და მწერლობაში თითქმის ხშირად ნაცნობ ამბავსა და საგანს ეხება, მაგრამ მთელი მისი ნიჭი იმაში ჩანს, რომ სხვისგან აღწერილ საგანს ახალი მხრით ეხება, უფრო ღრმად ეხება ამ საგანს, და ისეთ საიდუმლო, დაფარულ მხა-

რეებს გვიაშკარავებს, რომლებიც უბრალო მომაკვდავისთვის კი არა, ნიჭიერი მწერლისათვისაც მიუწვდომელია. არციბაშევი კი ახალ საგანს ეხება და ამაშიაც მარტო ისეთ მხარეებს გვიხატავს, რაც ყველასათვის შესამჩნევია, და გვიხატავს მასაც თითქმის უხერხულად. მაგალითად, უმთავრესი საგანი იმის მწერლობისა აღწერილობაა სქესობრივი მიდრეკილებისა და მასზე აღგზნებული ვნების ცეცხლისა. ამ საგნის აღწერაში მისი ლექსიკონი მეტად ღარიბია. გრძნობათა გამოსახატავად იგი სურათებს კი არა ხმარობს, მარტო სიტყვებითა და მცნებებით მიგვითითებს გრძნობაზე. მაგალითად, როცა ლიდას ლამაზი ოფიცერი თავბრუს დაახვევს და ვნებათა ქარებს აუშლის, არციბაშევი ქალ-ვაჟის განწყობილების აღსაწერად მარტო ამგვარ სიტყვებს ხმარობს: „ვნებით გაიზმორა“, „ვნებით შეარხია მხარ-ბეჭი“, წარმოიდგინა „მშვენიერი ლიდა, რომელიც მას სიტკბოებასა და ვნებებს აუშლიდა“; ოფიცერი „მიეცა ტკბილ ვნებებით აღსავსე ოცნებასა“, და ამგვარი „სტრასტნი“ და „სლადო სტრატსნი“ სიტყვებით აქვს აჭრელებული მთელი ფურცლები, რაც არ უნდა ჩაითვალოს მწერლის მხატვრული ნიჭის მაჩვენებლად.

მაგრამ არციბაშევს დღევანდელობის ალღო აქვს აღებული. განათლებული კაცია, გემოვნება აქვს და ცოდნა, წერა იცის და სწორედ იმიტომ, რომ საჭირბოროტო საგანს გვიხატავს, სახელი აქვს მოხვეჭილი მწერლობაში და მისი ნაწერები სიამოვნებით იკითხება.

57. ა. კუპრინი

1

არსად არა ჩანს ისე რუსეთის ცხოვრების შეცვლა, როგორც ლიტერატურაში. პირდაპირ გაოცებული ხარ, როდესაც უყურებ რა საშინელი სისწრაფით მიდის წინ რუსული ლიტერატურა. ზარბაზნებსა და თოფებს შეუძლიათ ყოველივე მოძრაობა შეაჩერონ, მაგრამ ასეთი დიდი განცხოველების შესუსტება კი ყოვლად შეუძლებელია. მთელი წიგნთსაცავები ჯერ აივსო და მოიფინა ათასნაირად გამოცემული პოლიტიკური და სოციალური წიგნებითა და წიგნაკებით. ეხლა უსაზღვროდ განვითარდა ლიტერატურა. ვისაც გონებრივი ინტერესი აქვს, არ შეუძლია ამ ლიტერატურას გვერდი აუხვიოს.

ამას წინათ მე და ჩემმა მეგობარმა ოცზე მეტი მწერალი დავითვალეთ, რომელთაც, ცოტად თუ ბევრად, თავი გამოუჩენიათ რევოლუციის ხანაში... ამათ რიცხვში, ხომ ისეთი სახელებია, რომელთაც ყველანი ერთხმად დიდებულ მწერლად ასახელებენ: ანდრეევი, სოლოგუბი, ბრიუსოვი, კუპრინი.

ახლა ნახეთ, რამდენი ლიტერატურული კრებული გამოდის, რომელშიც რუსეთის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებია დასტამბული. აიღეთ „შიპოვნიკის“ კრებულები, საცა დასტამბული იყო ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა“, მისივე „ბნელეთი“ და სოლოგუბის ახალი რომანი; აიღეთ „ფაკელი“, საცა სოლოგუბის მოთხრობებია, და ახლა კიდევ ახალი კრებულები: „ყიზნი“ და „ზემლია“, საცა კუპრინმა ისახელა თავი. კუპრინის მოტრფიალენი, კაცმა რომ თქვას, უფრო ძველი რუსული ლიტერატურის ტრადიციების მაღმერთებელნი არიან: მოსწონთ მისი რეალიზმი, მოსწონთ ისა, რომ იგი არა ცდილობს დატოვოს ნიადაგი „ყოფა-ცხოვრების“ (быт), და ამ ყოფა-ცხოვრების სინამდვილით გადმოხატვას ანდომებს თავის ნიჭს. ახალი რუსული ლიტერატურა კი ძველ ტრადიციებს ტოვებს, „ყოფა-ცხოვრების“ გამოხატვა მას სულ სხვაგვარად ესმის — იგი ცდილობს ამ „ყოფა-ცხოვრების“ საიდუმლო და დაფარული მხარე გამოაშკარაოს და გამოფინოს, ანდა „ყოფა-ცხოვრების“ ისეთ საგ-

ნებს ეხება, რომელნიც ძველ ლიტერატურას სრულიად უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული და არც კი მიაჩნდა ღირსად ლიტერატურისა. ახალი ლიტერატურა ცდილობს ძველი შეფასებანი ხელახლა გადასინჯოს, ხელახლა გადაათვალიეროს ძველი შეხედულება ცხოვრებაზე, უკუაგდოს ძველი დახავსებული მოთხოვნილება.

რაც უნდა დიდი სიმშვიდე იქადაგოს ტოლსტოიმ, იმ ფილოსოფიურ თავბეღობამდე ვერ მივა, რომ კაცს მისი ზნეობრივი სიმშვენიერე უკიჟინოს, როგორც ამასა შვრება ანდრეევი თავის „ბნელეთში"; რაც უნდა რევოლუცია მოახდინოს ტოლსტოიმ ქრისტეს იმ შეხედულებაში, რომელიც ძველ რუსეთს ჰქონდა, მაინც შორს ვერ წაუვა თვით ამ შეხედულების ბორკილებს და წვრილმანს, მაშინ როდესაც ანდრეევი, თუ ამ საგანს შეეხება, სულ ახალ და უჩვეულო რასმე გაგვაგონებს ქრისტიანობის შესახებ. „ელეაზარ"-ში იგი ქრისტიანობის მომხიბვლელ დამღუპველობას გვიჩვენებს, ხოლო „იუდა"-ში გვარწმუნებს მხატვრულად, რომ ნამდვილი თავდადებული მოყვარული ქრისტესი იუდა იყო და არა ის უბადრუკი მეთევზეები, რომელთა სიყვარული მეწვრილმანის სიყვარულია, პირველ შემთხვევაში უარყოფად შეცვლილიო...

ოჯახობრივი ზნეობა ხომ ყირამალაა დასმული და „ანნა კარენინასა" და „კრეიცერის სონატის" ავტორის ამის შესახებ გამოთქმული აზრები მეორე პოლუსზეა დაყენებული ახალ მწერლობაში. არაერთხელ გვითქვამს, რომ ნიშანდობლივი თვისება დღევანდელი რუსული ლიტერატურისა სქესობრივი პრობლემის ყოველმხრივი გამორკვევა, განსჯაა.

წარმოიდგინეთ, კუპრინისთანა მწერალიც კი, რომელიც ძველი ტრადიციების ქურუმთა სათაყვანებელი მწერალია, ვერ გაქცევია ამ საკითხის აუცილებლობას, მის სიმწვავეს და ერთიმეორეზე ორი მოთხრობა მოგვცა, რომლებიც მთლად ამ საგანს უტრიალებს. ზემომოყვანილ ორ კრებულში ყველაზე უფრო საინტერესო სწორედ კუპრინის ეს ორი მოთხრობაა— „ზღვის ავადმყოფობა" და „სულამითი". ჩვენც ამ ორი მოთხრობის გარჩევას შევუდგებით.

კუპრინმა სახელი გაითქვა თავის „ხმალში გაწვევით" („Поединок"), და ყოველთვის კუპრინს ამ მოთხრობის ავტორად აღიარებენ. ამ მოთხრობაშივე, ჩვენის აზრით, კუპრინის ორიგინალობა მოთხრობის გმირი ქალის ახალი ფსიქოლოგიის შექმნაა, ამ ქალის უცნაური საქციელია. ეს ქალი თავისებური მომხიბლავი მხეცია, რომელიც

ხორცის კმაყოფილებას თუ ისრულებს, მას, ვინც დაატკბო, თვალიდან მოიშორებს, რათა არ აღემართოს ყოველ წუთს თვალწინ. ეს ქალი ნიცშეს თავისებური მიმდევარია, თავისი ვიწრო იდეალების აღსრულებისათვის არაფრის დამზოგავი, არც სიყვარულისა და საყვარლისა, არც ხორცისა და არც „კანონიერი“ მეუღლისა... ჩვენა გვგონია, ვიმეორებ, რომ აქ არის ორიგინალური ინტერესი კუპრინის მოთხრობისა და არასამხედრო წოდების „ყოფა-ცხოვრების“ ხელოვნურად დახატვაში [1].

დღეიდან, როცა კუპრინის სახელს ვინმე ახსენებს, ბევრი მათგანი უფრო „სულამითის“ ავტორობას უქებს. მაგრამ ჯერ „ზღვის ავადმყოფობა“.

ელენე, შუაღამისას ათრთოლებული და თავზარდაცემული, მიუჯდება უმაღლეს წერტილამდე საყვარელისა და მოყვარული ქმრის ლოგინს და ეუბნება: — „გამიგონე, ერთი მითხარი, რას ჩაიდენდი, ან რას იტყოდი, რომ მოვიდე და გითხრა: ჩემო საყვარელო სერგო, აი მე, შენმა ცოლმა, რომელსაც მხოლოდ და მარტო შენ უყვარხარ და არავინ სხვა, რომელსაც მხოლოდ და მარტო შენ ეყვარები ყოველთვის და სხვა არავინ ქვეყანაზე—აი, შენმა ცოლმა დღეს გიღალატეო გამიგონე კარგად, გიღალატე, გიღალატე და გადავაბიჯე იმ უკანასკნელ წრეს, რომელიც კი არსებობს ვაჟსა და ქალს შორის... გიღალატე ჩუმად კი არა, ქურდულად კი არა, მალვით კი არა, გიღალატე უნებლიედ და სხვადასხვა გარემოებისაგან დამონებულმა... აი, წარმოიდგინე, მაგალითად, რომ ჩემი ისტერიული ბუნების კაპრიზის გამო, არაჩვეულებრივი, თავდაუკავებელი სურვილის გამო, და, ბოლოს, თუ გინდა მიტომ, რომ ძალა დამატანა და ნამუსი ამხადა ვინმე გალეშილმა ოფიცერმა... თანაც გახსოვდეს, ჩემო ძვირფასო, რომ ჩავიდინე ეს საქციელი და ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ჩემი უსაზღვრო სიყვარული შენდამი და ისევ ისე შენ იყავი ჩემთვის უძვირფასესი საგანი ქვეყანაზე... გიღალატე პირუტყვულად, არა იმიტომ, რომ სხვა შემიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემეძლო მოვქცეულიყავ, გიღალატე, მაგრამ მე არაფერ შუაში ვიყავი“...

---

[1] კუპრინს კიდევ აქვს რამდენიმე მოთხრობა სქესის პრობლემის შესახებ: „წითელა“ (Корь), „ებრაელის ქალი“ (Жидовка), „სიცოცხლის მდინარე“ (Река жизни).

თანაც ელენე მოუყვება იმ საზიზღარ ამბავს, რაც მას მოუვიდა, თუმცა ჯერ თავად აფრთხილებს, ეს ყველაფერი ისეა მაგალითად მოყვანილი და არა სინამდვილეო. ამბავი კი ეს იყო. გემზე მოგზაურობის დროს ავად გახდა. პირუტყვმა თანაშემწემ კაპიტნისამ ისარგებლა მისი თითქმის უგრძნობელი მდგომარეობით, თავისი ლოგინი შესთავაზა, რადგან ადგილი გემზე სრულიად აღარ იყო — ოდესასა და იალტას შუა. ქალი, ძალაუნებურად, თითქმის უგრძნობლად წაჰყვა და გაპირუტყვებულმა კაცმა ნამუსი აჰხადა ნახევრად მკვდარ ადამიანს. ამით წახალისებულმა კაპიტნის მეორე თანაშემწემ ახალგაზრდა ყმაწვილმა, ისარგებლა შემთხვევით და მანაც ძალა იხმარა ქალზე. მაგრამ ამ მეორე მოქმედებას სულ სხვაგვარად გვიხატავს ავტორი. ეს „მეორე" ახალგაზრდა რაღაც უფრო მეტი კდემით იყო აღჭურვილი, უფრო მორცხვი იყო და ამიტომაც მისი ქცევაც ადამიანური იყო. იგი დიდხანს დარჩა ქალთან და მიუხედავად აუწერელი სულიერი ტანჯვისა და ფიზიკური უქეიფობისა (გული ერეოდა, თავბრუ ესხმოდა ღელვის გამო) ქალმა ამ „მეორესთან" იგრძნო რაღაც „არაჩვეულებრივი, რაღაც მაწამებელი ტანჯვა, რომელიც აჯავრებდა და სიტკბოებას ანიჭებდა" და სწორედ ეხლა გაიგო და იგრძნო ის „სქესობრივი ცნობისმოყვარეობა", რომლის შესახებაც ბევრს ელაპარაკებოდა ქმარი, მაგრამ რომელიც ვერ გაეგო და ვერ ეგრძნო იმის ხელში... ელენემ ეს უცნაური გრძნობა, რომელიც მან გამოსცადა ახალგაზრდა ვაჟთან, დაწვრილებით უამბო ქმარს...

ბოლოს ქმარს იმასაც ეტყვის, რომ ეს მაგალითი კი არა, ნამდვილი ამბავიაო. ქმარი მოიქცევა ისე, როგორც შეფერის ჭეშმარიტ გრძნობით აღჭურვილ გონიერ ადამიანს; დაამშვიდა, დააწყნარა და დაარწმუნა, რომ იმისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რაკი ელენეს იგი ისევ ისე უყვარს და სიტყვაც მისცა, რომ თუ შვილი იქნება შედეგი ამ უცნაური შემთხვევისა, ისე მოეპყრობა, როგორც საკუთარ შვილს.

„ჩამოვარდა სიჩუმე და საშინლად დიდხანს გაგრძელდა ეს სიჩუმე".

ვაჟმა მოკრძალებით წამოილაპარაკა:

„ვერ მოგატყუებ, უნდა გამოგიტყდე, რომ ერთი რამ მტანჯავს, ეს ის, რომ შენ იგრძენი და გაიგე სიამოვნება და სიხარული, ფიზიკური სიხარული სიყვარულისა, არა ჩემგან, არამედ ვილაც მაწანწალისაგან. მაგრამ იქნებ ეს ასე არ იყო და ჩემი გამოცდა გინდოდა?"

ქალისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, და ეს პირველი საყვედური მისთვის თავზარდამცემ ნიშნად გადაიქცა. ჯერ დაამშვიდა ქმარი, გამოგცადე, რასაკვირველია, გეხუმრებოდიო.

დაწყნარებული ქმრის ძილის დროს ტანთ ჩაიცვა და წავიდა, ქმარს კი ბარათი დაუგდო: „შენ ერთადერთი ვაჟი ხარ, რომელიც მე მიყვარდა და შენ ხარ უკანასკნელი, რადგან ვაჟის სიყვარული ჩემთვის აწი აღარ არსებობს; შენ ყოვლად უბიწო და პატიოსანი კაცი ხარ ყველა იმათ შორის, ვინც მე შემხვედრია. მაგრამ შენც **ისეთივე ყოფილხარ, როგორც სხვები, ვიწრო, ეჭვიანი, მესაკუთრე სიყვარულში, დამამცირებლად უნდობი**“... ბარათს ბოლოს მიწერილი იყო „რასაკვირველია, გემის ამბავი სრულიად მოგონილიაო“. მოთხრობა იქ თავდება, სადაც ტრაგედია იწყება, ტრაგედია დღევანდელი ცხოვრებისა, რომელსაც ძლევამოსილი „ახალი“ თავს დასტრიალებს, ხოლო ძველს მაგრად კლანჭებში უჭირავს.

2

რომელიღაც კრიტიკოსმა მოთხრობა კუპრინისა პორნოგრაფიულ ნაწარმოებად მონათლა. მართლაც, ეხლა რაღაც ორი, ერთიმეორის წინააღმდეგი, აზრი იბრძვის რუსულ ლიტერატურაში, და საკმაოა სქესობრივ საკითხს შეეხო ანდა ვაჟსა და ქალს შორის ფიზიკური ურთიერთობა აღწეროთ, რომ ერთმა ჯგუფმა პორნოგრაფია მოგაწეროთ. სამაგიეროდ, მეორე ჯგუფი თამამად და თავხედურად, იქნებ გამოჯავრებულიც, ხანდახან მეტის-მეტ ალაგს უთმობს მართლაც ისეთ სცენებს, რომელმაც უფრო ნორმალურ პირობებში შეიძლება არავის ბრაზი არ მოჰგვაროს. მაგრამ მან, ვინც ამ მოთხრობაში კუპრინს პორნოგრაფიულ სურვილებს დასწამებს, ტოლსტოისაც პორნოგრაფია უნდა შესწამოს, ვინაიდან ტოლსტოის „აღდგომასა“ და „კრეიცერის სონატაში“ აქვს ასეთი სცენები აღწერილი.

კუპრინმა ამ მოთხრობაში ფრიად დიდმნიშვნელოვანი საგანი გადაგვიშალა თვალწინ. „ხომ იცი, — ეუბნება ქალი ვაჟს, — რომ გაღმერთებ და მიყვარხარ, ერთ წუთს არ მიგრძვნია და არ განმიცდია ჩემი შენდამი გრძნობის შემცირება, მაგრამ ამავე დროს, ვთქვათ გიღალატე, გიღალატე იმდენად, რამდენადაც შეიძლება სატრფომ უღალატოს მიჯნურს, საყვარელმა საყვარელს, ცოლმა ქმარს; ვთქვათ

გიღალატე იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო არ მეღალატნა, რადგან ჩემზედ გარეშე მდგომმა, რაღაც ფატალურმა ძალამ დამიმორჩილა და ჩემდაუნებურად ჩამადენინა ეს ღალატი. დაე, ეს ფატალური ძალა ჩემი თავდაუჭერელი ვნება და სურვილი იყოს, დაე, ძალდატანება, კაპრიზი, თუ სხვა რამ — მაინც იცოდე, მას ჩემი გული შენ შესახებ ერთი ბეწოთიც არ შეუცვლია. როგორ მომექცევი, მაპატიებ ამას, ანდა სიტყვა პატიება რა საჭიროა, ვინაიდან აქ დანაშაულობაც კი არ არის არავითარი, — რას მეუბნები ჩემი საქციელის პასუხად".

ქმარი მოწინავე ახალგაზრდა იყო, უკიდურესი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი წევრი, ისე როგორც ქალი, და, რასაკვირველია, noblesse oblige და თეორიულად სრულიად რიგიანად შეხედა საქმეს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, გულნატკენობა აუწყა „იმ ფიზიკური არაჩვეულებრივი ტანჯვის სიამოვნების გამო, რომელიც ქალს გამოუცდია გემის ახალგაზრდა კაპიტნის თანაშემწესთან", თუმცა ამ წუთიერი გრძნობის გამოცდასაც არავითარი ზარალი და ჩრდილი არ მიუყენებია იმ მაღალ დამოკიდებულებისათვის, რომელიც არსებობდა ქალსა და ვაჟს შორის. ქალმა კარგად იგრძნო, რომ მისი ქმარიც, მიუხედავად მაღალი თვისებისა, ჩვეულებრივი ეჭვიანი და დესპოტიური განწყობილების „მესაკუთრეა სიყვარულში", რომელიც არავის ნებას არ მისცემს და არ მოითმენს, რომ იმის საკუთრებას ვინმემ ხელი შეახოს, და თუ იმავე ღამეს ერთი რამ უკიჟინა, მეორე და მესამე დღეს და შემდეგში ჯოჯოხეთს გააჩენდა ოჯახში და მოსვენებას არ მისცემდა ქალს „ამ უნებური ღალატისათვის".

ასე მოიქცა ეს ყმაწვილი კაცი და ასე მოიქცევა თითქმის ყველა დღეს, ვინაიდან ჩვენი ფსიქოლოგია აგებულია საკუთრების ტრფიალის ნიადაგზე და დღევანდელ წესწყობილების ნაშობ განწყობილებას არ ეხერხება, აზრადაც კი, სრული თავისუფლება; მას ესმის თავისუფლება ჯოხსა და მათრახის ქვეშ. თუ არა დამახინჯებული ფსიქოლოგია, არა რა უნდა იყოს შემქმნელი ასეთი უცნაური ზნეობისა, რომ ადამიანს არ შეეძლოს თავისი სულისა და ხორცის განკარგულება, ისე როგორც თვითა სურს, თვითა სწადია? აბა რა სიყვარულია და რა მაღალი გრძნობაა, თუ იმიტომ გიყვარს ადამიანი, რომ შენი საკუთრების სრული წარმომადგენელია და საკმაოა მისდა უნებურად ვინმემ შეურაცხყოს, ტანჯვა და წამება მიაყენოს, რომ

მოყვარულმა „მესაკუთრემ“, ნუგეშისა და მოვლა პატრონობის მაგიერ, გაუორკეცოს გამოცდილი ვაება და მოუშხამოს სიცოცხლე ურიგო და შეურაცხმყოფელი მოთხოვნილებით. მესაკუთრეს რომ ბაღის ღობე მოურღვიო ან გადაუწვა, უსათუოდ ახალ ღობეს გაუკეთებს, სახლი დაუნგრიო — ახალს ააშენებს, ქარხნის მანქანები დაულეწო — ახალს გამოიწერს. მესაკუთრე ადამიანი, ვითომდა სიყვარულის და დიადი გრძნობის ქურუმი, ამ გრძნობისაგან წარმოშობილი რაღაც უცნაური უფლებით აღჭურვილი, თავის „საყვარელ საკუთრებას“ სტუქსავს და სტანჯავს იმისთვის, რომ ვიღაც მაწანწალამ, მთელი მისი გრძნობისა და აზრის წინააღმდეგ, გააუპატიურა იგი.

დიდმნიშვნელოვანი საგანი, რომელიც კუპრინმა წამოაყენა, იმდენად არის პორნოგრაფია, რამდენადაც შესაძლოა პორნოგრაფია იყოს დიდი სოციალური საკითხი, რომლის განხილვასა და განმარტებას თაკილობს ახალი სული, ახალი პირობები ცხოვრებისა, ახალი გარემოება ახალი ზნეობისა და პრინციპების შემქმნელი. ჩვენ ყოველთვის მაღალსულოვნებაზე ვლაპარაკობთ, სულიერ კავშირს, ღვთაებრივ კავშირს, ციოთმოვლენილ დამოკიდებულებას და სხვა ამგვარ ლათაიებსა ვხმარობთ ქალ-ვაჟის ურთიერთობის შესახებ, და ამ ურთიერთობას ყოველთვის ქვაკუთხედად ვუსვამთ ხორციელს, ფიზიკურს და პირუტყვულს. საკუთრება ხორცს შეეხება, საკუთრება მარტო მატერიალურ რასმე შეიცავს, და ჩვენი კაპრიზები, ჩვენი მოთხოვნილებაც ამ მატერიალურისაკენ მიისწრაფვის, თუმცა ის უკიდურესი ბატონ-პატრონობა მესაკუთრისა, რომელიც გამოიხატება ჩვენს მოთხოვნილებაში, ადამიანს სულიერად ალაჩრებს, ამონაყებს და ყურმოჭრილ იარაღად ხდის გამხეცებული მესაკუთრისას.

3

„სულამითი“ კუპრინისა კვლავ ამ საგანს უტრიალებს გარშემო, — სქესობრივ პრობლემას, თუ გნებავთ სიყვარულს, ქალ-ვაჟთა შორის კავშირს. სოლომონ ბრძენი, რომელსაც განუცდია ათასგვარი „სიყვარული“, ანდა, უკეთა ვთქვათ, გაუვლია ათასი გზა, ვიდრე მიაღწევდა ნამდვილ, ჭეშმარიტ „სიყვარულს“, რომელიც შეადგენს კაცობრიობის მუდმივ და საუკუნო სალოცველსა და საგალობელო საგანს, ეს ბრძენი 44 წლის ჰასაკში მიაღწევს სანეტარო გრძნობას

და განიცდის მას 13 წლის უბრალო გლეხის გოგოსთან. მრავალჯერ ჰქონია კავშირი სოლომონს სხვადასხვა ქალთან და, თუ გინდათ, გრძნობა ათასგვარი განუცდია, მაგრამ იმის მსგავსი, რაც სულამითმა მიანიჭა მას, არასოდეს არ უგრძვნია და არ უგემნია. მან შეიყვარა სულამითი მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი სიბრძნითა და სულის სიძლიერით და ამ ბრძენმა, რომელმაც სთქვა — „ყოველივე ამაო, ამაოება ამაოთა“, შეიგნო და განიცადა „ნაზი, აღტაცებული, ერთგულებით აღსავსე მშვენიერი სიყვარული, რომელიც ერთადერთია და უმჯობესი ყოველგვარ სიმდიდრესა, სახელსა და დიდებაზე, სიბრძნესა და გონიერებაზე, რომელიც სიცოცხლეზე უძვირფასესია იმიტომ, რომ სიცოცხლეს არად აფასებს, ხოლო სიკვდილისა არ ეშინიან“. აი, ამ სიყვარულს, რომელმაც არა იცის რა სიხარულის მეტი, სიყვარულს, რომელიც ბედნიერების წყაროა, სიყვარულს, რომელიც ღვთის მადლია, სიყვარულს, რომელსაც არა აქვს აზრი და მიზანი გარეშე თავისა, ვინაიდან თვით იგია მოვლენა დიდებული, გამოუცნობელი საიდუმლოებით მოცული, ბუნების მიუწვდომელი კანონის აღმასრულებელი, — წინააღუდვება ის გრძნობა, რომელიც კაცობრიობამ დაამახინჯა და სიყვარულად მონათლა, მაგრამ სიყვარულისა სახელის მეტი არა შერჩენია რა. დედოფალი ასტისი, ცოლი სოლომონისა, — ამ გრძნობის მესაკუთრეა და მისი წარმომადგენელი. მისთვის ეს გრძნობა არსებობს არა გრძნობისათვის, არამედ ათასგვარი მიზნისათვის, რომელსაც საერთო არა აქვს რა სიყვარულთან. მისთვის ეს გრძნობა წყაროა დიდებისა, სახელისა და მდგომარეობისა, მისთვის ეს გრძნობა სიმდიდრისა და მდგომარეობის მიმცემია. თვით გრძნობა კი იმისთვის არა არის რა, ვინაიდან დიდებულ სოლომონს, რომლის მომხიბვლელობას ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებდა, ჟინით გატაცებული დედოფალი სხვაზედაც გასცვლიდა ხოლმე და აი ის ვაჟი, რომელიც ვნების მორევში ჩაითრია, ეხლა შურისძიების იარაღად გამოიყენა და უბრძანა, მოეკლა სულამითი, რომელიც სოლომონს აღტაცებით უყვარდა. დიდი ხანია დედოფალს სოლომონი ეზიზღებოდა, რაკი ხედავდა, რომ მას გული გაუგრილდა, მაგრამ ასე ადვილად როდი მოშორდა, თეორიულ ზიზღს პრაქტიკული შური დაუთმო.

რა განსხვავებაა ამ სიყვარულსა და სულამითის სიყვარულს შორის? თანაც ჩაუკვირდით, თუ დედოფლის სიყვარული ის გრძნობა არ არის, რომელსაც იცავს და ებღაუჭება დღევანდელი გახრწ-

ნილი საზოგადოება. გრძნობა ბარბაროსული მესაკუთრისა, რომელიც ისე ადვილად უწამლავს სიცოცხლეს ადამიანს, რომელიც ასე თუ ისე ხელში ჩაუგდია, ვითომ და გრძნობის სახელით უსპობს სიცოცხლის წყაროს, უქრობს ცხოვრების ვარსკვლავს, ისე ადვილად, როგორც ადვილად გადაისვრის გატეხილ ჯამს თიხისას და დამტვრეულ სავარძელს, რომელსაც მისთვის ყოველივე აზრი დაკარგვია. ეს არის სიყვარულის დამახინჯება, რომლის ნათელი და მშვენიერი სურათი სულამითმა მოგვცა. დედოფლის წყალობით სულამითი სიცოცხლეს ესალმება, სისხლად დნება. მისი უკანასკნელი სიტყვები ჰიმნია სიყვარულის დიდებული გრძნობისა:

„გმადლობ, მეუფეო ჩემო, გმადლობ ყველაფრისათვის: შენი სიყვარულისთვის, შენი სიმშვენიერისათვის, შენი სიბრძნისათვის, რომლის შეხების ნება მომეცი და მეც დავეკონე მას, ვითარცა ტკბილ წყაროსა. ნება მომეცი დაგიკოცნო ხელები, ნუ წამართმევ უკანასკნელი სულის ამოსვლამდე. არა ყოფილა და არც იქნება ქალი ჩემზე უბედნიერესი. გმადლობ, მეუფეო ჩემო, ჩემო საყვარელო, ჩემო მშვენიერო, გაიხსენე ხოლმე ხანდახან შენი მხევალი, შენი მზით დამწვარი სულამითი“. მეფემ კი შემდეგი უპასუხა.

„ვიდრე ადამიანთ შორის სიყვარული იქნება, ვიდრე ქვეყნად სიმშვენიერე სულისა და ხორცისა მიჩნეული იქნება, ვითა საუკეთესო და თვით უტკბესი ოცნება, მანამდის კაცობრიობა, გეფიცები სულამით, შენს სახელს მრავალი საუკუნის განმავლობაში სასოებითა და მადლობით მოიხსენიებს“.

მერე ჩააწერინა შემდეგი სიტყვები: „... ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული, ფიცხელი, ვითარცა ჯოჯოხეთი“...

ამ „ქება ქებათა“-ს დიდებული სიტყვების ილუსტრაციაა კუპრინის მშვენიერი მოთხრობა. „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული“ — ვინაიდან იგი ისეთივე დიდია, ისეთივე ფატალური და აუცილებელი არსებითი ნაწილი მთელი ჩვენი ცხოვრებისა, ვითა აუცილებელია სიკვდილი ყოველი არსისათვის. ფიცხელია, ვითარცა ჯოჯოხეთი. შური ის პაროლია სიყვარულისა, რომლითაც დედოფალ ასტისის გული იყო მოცული. დიახ, შური და არა სიყვარული, სურვილი დიდებისა, ბატონობისა, სურვილი წარმავალ და წუთიერ ძლიერებისა, რომელსაც საერთო არა აქვს რა სიცოცხლის განმაცისკროვნებელ სიყვარულთან, რომელიც „ძლიერ არს, ვითარცა სიკვ-

დილი“... ეს გრძნობა ხანმოკლეც საუკუნოა, მრავალი საუკუნეები იხსენიებენ მის სახელს, მის ძლიერებას.

ეს ის გრძნობაა, რომლის მეუფება დაამყარებს ცხოვრებაში დაუსრულებელ სიხარულს და საუკუნის ბედნიერებას; ხოლო გრძნობა შურისა, მეორე ნაპირი ვითომ და სიყვარულისა, დამღუპ-ველია და მომსპობი ყოველი კეთილისა და თვით ცხოვრებისაც. სულამითი მომავალი გრძნობის სიმბოლოა, დედოფალი ასტისი — აწმყოსა და წარსულის დასახიჩრებული გრძნობის წარმომადგე-ნელია.

58. კ. ბალმონტს

(სიტყვა, თქმული კ. ბალმონტის საპატივცემულო ბანკეტზე)

სალამი შენდა, მგოსანო მზისა, სილამაზისა და სიყვარულისა!

შენ შეგიყვარდა საქართველო, და ან კი როგორ შეიძლებოდა შენ, მგოსანს მზისას, არ შეგყვარებოდა მხარე, სადაც მეფეს მზისას თავისი ტახტი დაუდგამს! როგორ შეიძლებოდა შენ, მგოსანს სილამაზისას, არ შეგყვარებოდა ქვეყნიერების ერთი უფრო მომჯადოებელი კუთხე, რომლის მცხოვრებნი მშვენიერნი არიან, ნაზი, კეკლუცი და მომხიბლავი. როგორ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდა მხარე, სადაც სიყვარულს მოუპოვებია თავისი სამარადისო სამყოფელი და საცა, მზის სხივებთან ერთად, კაცის გულში შედის ამურის ისარი.

მაგრამ მარტო ყველა ამისათვის რომ შეგყვარებოდით, მარტო იმით მოგვეხიბლეთ, რაც ჩვენს ხელთ არ არის, რაც ჩვენი გავლენის გარეშეა, რაც ჩვენს „კიდეზე“ არის, მაშინ ჩვენ არ მოვიდოდით, დიდო პოეტო რუსეთის ქვეყნისა, და არც თაყვანს გცემდით შენ. მაგრამ განა შეგეძლო შენ, პოეტს, რომელმაც გვაუწყე, „რომ ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედება არის გაღებული ბჭე სულის სამეუფოში“, შეგეძლო კი შენ გაჩერებულიყავი ჩვენი სულის ბჭის ზღურბლთან და კარი არ შეგეღო მის სამეუფოში?

და აი, შენ, ძლევამოსილო ჯადოქარო, რომელსაც „გესმის ზღაპარი ზღვის სიღრმისა“, რომელსაც „გესმის დროთა მიმოფრენა“, მოიპოვე გასაღები ჩვენი გულისა — აიღე საოცარი, სამარადისო ქმნილება ჩვენი ხალხისა, გაიგე იგი და თარგმნე ვნებით სავსე ტკბილხმოვან ლექსად. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი სულს ითქვამს და ცოცხლობს ამ თავისი ცხოვრების სიმბოლური ქმნილებით, რომელიც ხალხის გენიოსმა უკვდავჰყო.

ცბიერი ხელის წყალობით სხივოსანი ნესტან-დარეჯანი — თვალწარმტაცი ქვეყანა ჩვენი — არაერთხელ ყოფილა ამა თუ იმ ქაჯთა ციხეში, არაერთხელ ყოფილა ტყვედ ქმნილი ბოროტი სულის რომელიმე წარმომადგენლისაგან. და აი, შენ, პოეტო მოდი ჩვენთან

ვით ავთანდილი ველად გაჭრილ ტარიელთან, მიგვიხვდი ჩვენს ვაებასა და გლოვას და ღვთიური ხელით შეეხე ჩვენს განაწამებ სულს. და ვინ იცის, იქნებ შენ, გულთმისანო მგოსანო სიმბოლიზმისა — მოდიხარ ჩვენთან ამ საბედისწერო ხანაში ვით სიმბოლური საბედნიერო მახარობელი ნესტანის გათავისუფლებისა?

მაშ ქება ჩვენი და მადლობა ჩვენი შენ, მგოსანო მზისა, სილამაზისა და სიყვარულისა!

მაგრამ ეს ხომ ოცნებაა... სინამდვილე კი, ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინო, ის არის, რომ თუ შენ ხანსა საშინელი განსაცდელისას, როდესაც კაცობრიობას სათამაშოდ გაუხდია ყოველივე ის, რასაც თაყვანსა სცემ პოეტო შენ, როგორც მოქალაქე, რასაც ვლოცულობდით ჩვენ უბადრუკნი შვილნი სოფლისანი, თუ შენ ამ წუთებში მოხვედი ჩვენთან, რათა ჩვენთან ერთად გაიზიარო წამებანი უსასოებისა, ნეტარებანი სასოებისანი — მაშასადამე, შენ ჩვენ გიყვარვართ. და ჭეშმარიტადაც — ძვირფასი ნაყოფი ამ სიყვარულისა შენ მოგვიტანე ჩვენ!

დიდება შენდა, მგოსანო მზისა, სილამაზისა და სიყვარულისა!

გვირგვინს გიძღვნის, გვირგვინს მოქსოვილს ხალხის მარგალიტის ცრემლებიდან, მხარე, რომელსაც კარგა ხანია მზე აქვს დაბნელებული ბოროტ სულთა მიერ, — მომჯადოებელი კუთხე, სადაც საუკუნო სილამაზე ძაძით მოსილია, — სამშობლო ქვეყანა ჩვენი, სადაც ნეტარება სიყვარულისა მოწამლულია მონობის ჯაჭვით!

საზღვარგარეთული მწერლობა
და ხელოვნება

59. პოლ ბურჟე

(ვუძღვნი ეკატერინე პეტრიაშვილისას)

ჩვენს ლიტერატურაში ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ ევროპულ ლიტერატურას, რაც დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ორიოდე თარგმანების მეტი ჩვენ არა გვაქვს რა, და ისტორიული ანუ კრიტიკული შესწავლა ევროპული ლიტერატურისა ხომ ხსენებაშიაც არ არის. ჩვენი ლიტერატურა ჯერ ძლიერ ღარიბია, რომ მარტო ორიგინალური თხზულებები ვიკმაროთ ჩვენის გონების საზრდო-საკვებად. რუსეთის ლიტერატურა გაცილებით უფრო მდიდარია ჩვენს ეხლანდელ ლიტერატურაზე, მაგრამ ნახევარზე მეტად სულ ევროპული ლიტერატურითა ცხოვრობს. აიღეთ რუსეთის დიდი ჟურნალები და გადაათვალიერეთ, თუ სამი მეოთხედი სულ ევროპული სიტყვაკაზმული მწერლობით, ანდა მეცნიერული და ფილოსოფიური სტატიებით არ არის სავსე. ამიტომაც, ჩვენ სასარგებლოდ დავინახეთ, რამდენადაც შეიძლება, გავაცნოთ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ევროპული ლიტერატურა და ფილოსოფია და ხელი მივყავით საფრანგეთის ეხლანდელ ლიტერატურას. საფრანგეთის ლიტერატურა, ჩვენ გვგონია, უფრო ყურადღების ღირსია, რადგან ამ უკანასკნელ ხანს მასში უფრო ნათლად იხატება ის ახალი მიმართულება, რომელიც მთელ ქვეყანაში ნელ-ნელა იზრდება. ეს ახალი მიმართულება კი გამოიხატება მასში, რომ ლიტერატურა თავის უწინდელ გულგრილობას ტოვებს და ცდილობს გაატაროს მაღალზნეობრივი აზრები, ფილოსოფია კი ადგება იდეალურ გზას, რომელიც ორმოც წელზე მეტია, რაც განდევნილია, როგორც ფილოსოფიიდან ისე ცხოვრებიდანაც. გარდა ამისა, საფრანგეთის ლიტერატურა არის ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელი ათი წლის ლიტერატურაში მას უკავია პირველი ადგილი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები (პოლ ბურჟე, გიუ დე მოპასანი, პიერ ლოტი, მარსელ პრევო, პოლ მარგა-

რიტი) მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობენ. საფრანგეთის ლიტერატურა და ფილოსოფია ყოველთვის შესანიშნავია მით, რომ ავტორებს მარტივად და მკაფიოდ აქვთ გამოთქმული თვით უძნელესი აზრები... ამ თვისებას ფრანგული ლიტერატურისას ჩვენისთანა ცოცხალი ბუნებიანი ერისათვის სწორედ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეხლანდელ საფრანგეთის ლიტერატურაში იხატება ახალი მიმართულება, რომელიც წინ უდგება ძველ პოზიტივურსა და მატერიალისტურ მიმართულებას; წინააღმდეგობას უწევს გადამეტებულ ნატურალიზმსა და ცინიკურ პესიმიზმსა და მიზანტროპიზმს. ეს ახალი მიმართულება, რომელსაც იდეალისტური უნდა ვუწოდოთ, იხატება როგორც ლიტერატურაში, — რომლის საუკეთესო წარმომადგენლის სახელით იწყება ეს წერილი, — ისე ფილოსოფიაში. თუ მიაქცევთ ყურადღებას ეხლანდელ მწერალთა ნაწარმოებს, თქვენ დაინახავთ ორ მკაფიოდ გამოხატულ მიმართულებასა: ერთია განსაკუთრებით ფილოსოფიური, რომელიც თანამედროვე მეცნიერული თეორიებით ხელმძღვანელობს, ეთანხმება მათ, მაგრამ არ ჩერდება აქ და ცდილობს მიაქციოს ყურადღება იმ საუკუნო მეტაფიზიკურსა და მორალურ კითხვებს, რომელთაც ამ თეორიებმა გვერდი აუარეს, ანდა საკმაოდ ვერ ახსნეს. ამ მიმართულებას თავში უდგას ფილოსოფოსი და პოეტი გიუიო და ფილოსოფოსი ფულიე. ჩვენ მათ ვუწოდებთ მეცნიერ მეტაფიზიკებსა და მორალისტებს, ხოლო მეორე მიმართულება მორალური და ფილოსოფიური კითხვების გადაწყვეტას ელის სარწმუნოებისაგან და ამყარებს მათ სარწმუნოების დოგმებზე. ამათ ეკუთვნიან ფილოსოფოსი სეკრეტანი და რომანისტი ბურჟე.

დავიწყებთ ჯერ ლიტერატურიდან და მერე, თუ ძალი და ხელოვანება შეგვეწევა, ვეცდებით ფილოსოფოსებიც გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას.

1

„არ ვიცი ილიუზია არის თუ არა, მაგრამ მე კი მგონია, რომ განათლებულ და მოაზრე საზოგადოებას ემჩნევა, რომ სწყინდება ყოველივე დამამხობელი, ნიჰილისტური და უარმყოფელი აზრი, რომელმაც დაიმორჩილა ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მთელი ფილოსოფია. საზოგადოებამ შეამჩნია, რომ ეხლანდელი

სკეპტიკური, მატერიალისტური და ათეისტური ფილოსოფია სტოვებს კაცის სულში სიცარიელეს. საზოგადოებას ველარ აკმაყოფილებს ის ბრწყინვალე და თავაზიანი ფილოსოფია, რომელიც თქვენ სიცილით გეუბნებათ, რომ არაფერი არ არის მართალი და არაფერი არ არის ტყუილი; რომ შემოქმედმა მხოლოდ დაგვცინა ჩვენ, მაგრამ მიუხედავად ყოვლისა, ცხოვრება მაინც საკმაოდ სასიამოვნო კომედიაა, თუ კი შეგეძლებათ მისი მხიარულად გატარება. ამ ცრუ ოპტიმიზმთან ერთად საზოგადოებას მობეზრდა ის ცრუ პესიმიზმიც, რომელიც არ გიშლით ოპერაში სიარულსა და არავითარ მხიარულებას, — წინააღმდეგ, კიდევაც გირჩევთ, რომ ყოველივე ამას მალე დაეწაფოთ, მისთვის რომ ამით ცხოვრებისთვის ბრძოლაში მოგებაში ხართ და მტერსა სძლევთ. მობეზრდა ის პოზიტივიზმი, რომელიც თხოულობს ფაქტებსა და კიდევ ფაქტებს და თავის დღეში არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას, რასაც წინათ უწოდებდნენ „პრინციპებს". მოსწყინდა ეს ფანატიკური ათეიზმი, რომელიც შლის ლაფონტენის იგავ-არაკებში ღვთის სახელს და გაიგო, რომ უფრო ადვილი ყოფილა ზნეობრივი აზრის თავიდან მოშორება, ვიდრე ფანატიზმისა და ცრუმორწმუნეობისა", — ამბობს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი პოლ ჟანე [1]. „ერთი უბრალო თვალის გადავლება კმარა იმის დასანახავად, რომ ყოველ სფეროში არის საშინელი რეაქცია (ცვლილება). თუმცა სად წაგვიყვანს ეს რეაქცია და რით გათავდება იგი, ეს მომავლის საიდუმლოა. ვიცი მხოლოდ, რომ რეაქციაა და ამ რეაქციამ განდევნა ნატურალიზმი ლიტერატურიდან, უფრო მისთვის, რომ იგი იყო გამომხატველი ამ საუკუნის პოზიტივური და მატერიალისტური მიმართულებისა, რომელიც ველარ აკმაყოფილებს ეხლანდელ მოთხოვნილებათა", — გვეუბნება ჟენევის პროფესორი როდი [2]. ამასვე ამბობს საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ბრუნეტიერი. მართლაც, ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია ამ სამი წლის განმავლობაში ფრანგული და რუსული მწერლობისთვის, ის დაინახავდა, რომ ყველა შესანიშნავი პირნი ორივე ლიტერატურისა ხმამაღლა აცხადებენ, რომ იწყება რეაქცია, იცვლება მიმართულება ყოველ სფეროში და განსაკუთრებით ფილოსოფიასა და ლიტერატურაში [3]. რასაკვირველია, ეს რეაქცია სამი და ოთხი

[1] Revue Bleue, 1890 წ., 12 და 19 აპრილი.

[2] Ed. Rod. Les idées morales du temps present.

[3] იხ. მიხაილოვსკის „Литература и жизнь".

წლისა არ არის. მაგრამ ამაზე ატეხილი სჯა და ბაასი კი სწორედ ოთხი წლისაა, მეტი არა. ეს ლაპარაკი გამოიწვია სწორედ იმ თხზულებამ და იმ ავტორმა, რომელზეც ეხლა ჩვენ გვინდა ვიბაასოთ. ლიტერატურაში უწინ ძლივ-ძლივობით შემჩნეული ცვლილება, ამ რომანის შემწეობით ნამდვილად თვალსაჩინო გახდა ყველასათვის. თუ ჯერ კიდევ ძნელი გამოსაცნობია, რა ფერი ექნება ამ ახალ აზრთა მიმართულებას, იმას მაინც სცნობთ, რომ ის არ არის ძველი. ის უარყოფს პოზიტივიზმსა და მატერიალიზმის გარდამეტებულებას, უარყოფს რენანის ნაზ პესიმიზმსა და დილეტანტიზმს, უარყოფს ათეიზმსა და quasi-რეალიზმს, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ზოლაიზმს. იგივე ჟანე და იგივე ბრუნეტიერი[1] ამ ცვლილების ერთ-ერთ ნიშნად ასახელებს პოლ ბურჟეს რომანს „Disciple" (მოწაფე, რომელიც დაბეჭდილია 1889 წელს).

ბურჟე დიდად ცნობილი მწერალია და ეხლანდელ მწერალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო აზრის მხრით კი ბევრად მაღლა დგას თვით ზოლაზეც და დოდეზეც, როგორც თვით საფრანგეთის კრიტიკოსები გვარწმუნებენ. გარდა ამისა, ბურჟე ძველი და ახალი მიმართულების შუაზე დგას. ერთის მხრით, მასზე დიდი გავლენა ჰქონდა ძველი აზრების მოციქულთ, ისეთი გავლენა, რომ დღესაც კი ვერ განთავისუფლებულა მთლად მისი გავლენისაგან; მეორეს მხრით, ის კარგად გრძნობს, რომ ამ აზრებმა თავის დრო მოჭამეს, და ახლისკენ იწევს, თუმცა ეს ნაბიჯი პირველად კიდევ გაუბედავი და გაურკვეველია. ამისათვის ბურჟე საინტერესოა არამცთუ როგორც მართლა შესანიშნავი მწერალი, განახლებული ლიტერატურის ფორმის — ფსიქოლოგიური, ანუ, როგორც თვით უწოდებს, ანალიზის რომანის[2] ბატონი, საინტერესოა არამცთუ როგორც წინამორბედი ახალი აზრებისა და ძველის კრიტიკოსი, არამედ იგი შესანიშნავია როგორც ფსიქოლოგიური სურათი. პირველს ნაწერებში ბურჟე წააგავს, ქიმიური ენით რომ ვთქვათ, ნეიტრალურ მარილს, ესე იგი მარილს, რომელიც პირველად არც მტუტეა და არც მჟავე, მაგრამ კმარა მივუმატოთ ერთი ბეწო სიმტუტე, ან სიმჟავე— და გადაიქცევა ან ტუტე და ან მჟავე მარილად. ამით ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ თავდაპირველად ბურჟე არ არის ძველის წარმო-

[1] იხ. Revue des deux mondes, 1 ივლისის წიგნი.

[2] იხ. წინასიტყვაობა La terre promise-ისა.

მადგენელი, რადგან მრავალ ახალ აზრებს ეპოტინება და ვერ არის ახალის გულწრფელი თაყვანისმცემელი, რადგან მას ჯერ მხოლოდ ეპოტინება, იმდენად ძლიერია და საფუძვლიანი უწინდელი გავლენა მასზე. მისი უკანასკნელი რომანების შემდეგ კი ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბურჟემ დიდი და გაბედული ნაბიჯი წადგა ახალი მიმართულებისაკენ. ის მიეკედლა იმ ჯგუფს, რომელსაც სარწმუნოებრივი მორალისტები უნდა ვუწოდოთ, რადგანაც ზნეობრივის კითხვების გადაწყვეტას მხოლოდ სარწმუნოებისაგან მოელიან. მისი ორბუნებოვანება და გაურკვევლობა უფრო ნათლად მის პირველ ნაწარმოებში იხატება, და თუ აიღებთ მის „თანამედროვე ფსიქოლოგიის ცდას“ (Essais de psychologie contemporaine), ამას თქვენ ნახავთ მის აზრში თანამედროვე საზოგადოების დეკადენტიზმზე. აქ ის თან იცავს ამ დაცემასა და გაქსუებას საზოგადოებისას და თან ამტყუნებს მას. დაცვა კი უფრო ძლიერია გამტყუნებაზე [1]. ის ასე ბრძანებს: „ნაზ-გრძნობიერი ადამიანი არ-ჩევს დაცემული ათინელების დამარცხებას მხეცი მაკედონელის გამარჯვებასაო“. ამასვე ხედავთ მის აზრში დილეტანტიზმზე, რომელიც მას მიაჩნია „ცოტა არ იყოს მავნებლად“, მაგრამ თითქო გასამართლებლად უმატებს, რომ ეს თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ქმნილებაა. აქვე ნახავთ მას რენანის წინ ქედმოხრილს და მის თაყვანისმცემელს, და ეს ხომ მისთვის, რომ რენანი არ აძევებს კაცის გულიდან სარწმუნოებას, პირიქით, მისთვის აუცილებელ საგნად ხდის; ბურჟე თაყვანსა სცემს მას, რადგან თვით მასში ყველაზე უფრო ძლიერია სარწმუნოებრივი გრძნობა. იმავე „ცდაში“ იხატება მისი უკმაყოფილება „საერთო ხმით არჩევნებისადმი“ და აქვს იმედი, რომ იგიც გაქრება და ამ იმედს სპენსერის ორგანულ თეორიებზე ამყარებს. თქვენ აქ ხედავთ ბურჟეს, ვითარცა სასოწარკვეთილს, პესიმისტს და სკეპტიკსა. რენანთან ერთად იგი სიმპათიას იჩენს არისტოკრატიისადმი, ცდილობს განშორდეს ხალხთა ბრბოს და ეძიოს გართობა თავის საყვარელ სალონებში [2]. მეორეს მხრით, თქვენ ხედავთ, რომ სარწმუნოებრივი სიმები მისი გულისა სრულიად არ დაწყვეტილან და არ გაცვეთილან, ხედავთ, რომ იგი დიდი სიმპატიით არ ეკიდება დილეტანტიზმსა და ათეიზმს. ეს მისი „ცდა“

---

[1] იხილე ზემოთ აღნიშნული თხზულება როდისა, გვ. 102—123.

[2] იხ. Nouveaux essais de psychologie contemporaine, გვ. 6—7.

არის ფესვი, რომლიდანაც შემდეგში მთელი ბურჟე გაიზარდა. მას შემდეგ, ერთი აზრი არ გამოუთქვამს, რომელიც ცოტად თუ ბევრად მკაფიოდ არა ჰქონდეს აღნიშნული და რამდენად ძლიერი წყაროა ეს „ცდა“ მისთვის, ეს მითაც მტკიცდება, რომ თავის შესანიშნავი რომანის („დისციპლი“) ერთი გმირთაგანი — ფილოსოფოსი ანდრიენ სიქსტი — თითქმის იმავე სიტყვებითა ჰყავს დასურათებული, როგორც ტენი და რენანი („ცდა“). ეს კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი... მხარე ბურჟესი იხატება უფრო ნათლად აქ (მაგალითად, პესიმიზმი და სკეპტიციზმი) და ზოგიერთი კი არა (სარწმუნოებრივი მიმართულება). მისი პესიმიზმი უკანასკნელ რომანებსაც ძლიერ თვალსაჩინო კვალს ასვამს, თუმცა, ცოტა არ იყოს, იგიც სარწმუნოებრივი ფერადით იღებება.

2

თუ ახლა ბურჟეს ლიტერატურულ მოღვაწეობას მივაქცევთ ყურადღებას, მისი კალმის ნაწარმოები ორ ჯგუფად უნდა გავყოთ. ერთი მხრით უნდა დავაყენოთ მისი „Cruelle enigme“ (1884 წ.), „Un coeur de femme“ (1890 წ.) და ზოგიერთი პატარა მოთხრობები (მაგალითად, L'irreparable), მეორე მხრით „André Cornelis“ (1886 წ.), „Un crime d'amour“ (1885—1886 წ.), „Mensonges“ (1887 წ.), „Le disciple“ (1889 წ.), „La terre promise“ (1891—1892 წ.), „Cosmopolis“ (1892 წ.) და ზოგიერთი პატარა მოთხრობები (მაგალითად, „Un saint“ 1890 წ.). პირველები დიდს არაფერს წარმოადგენენ მწერლის ორიგინალური თვისების დასახატავად. ამიტომ ჩვენ ძლიერ ცოტას შევჩერდებით მათზე[1].

„საშინელი გამოცანა“ არის ამბავი ერთი 22 წლის ყმაწვილი კაცისა. იგი ეკუთვნის არისტოკრატულ ოჯახსა და ბავშვობიდანვე ფუფუნებაშია აღზრდილი მისი დედისა და დიდედისაგან. მას ისე უვლიდნენ, როგორც არანჟერეის ყვავილს: არავითარ ეხლანდელ გამრყვნელ აზრს არ აკარებდნენ და ზრდიდნენ სახლში. დიდ ყუ-

[1] საუბედუროდ, ჩვენი მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს ამ ჩინებულ მწერალს, და მისი მოთხრობების შინაარსი უთუოდ უნდა მოვიყვანოთ, რადგან მარტო სახელის აღნიშვნით შეუძლებელია ამ ჩინებული მწერლის დასურათება.

რადღეებას აქცევდნენ მისი აღზრდის სარწმუნოებრივ მხარეს. ყველა ამის მიზეზით 22 წლამდე იგი იყო დაცული სიტყვითა და საქმით ისე, როგორც ქალიშვილი. მაგრამ ამ ხანას რომ მიაღწია, მას ნება მისცეს საზოგადოებაში სიარულის. აქ მაშინვე შეუყვარდა ვიღაც ქალბატონი სოვი. დედამისი შეამჩნევს, რომ იგი საშინლად იცვლება და თავის კუზენის შემწეობით აგებიებს ჰიუბერტს (ასე ეძახდნენ ამ ყმაწვილ კაცსა), რომ მისი საყვარელი ქალი მას ღალატობს. ჰიუბერტი კინაღამ არ გაგიჟდება ამ ამბის გაგონებაზე. ბოლოს თვით ქალისაგანაც გაიგებს, რომ ეს მართალია. მაშინ დატოვებს მას და აღარ ნახულობს, მხოლოდ ერთ დღეს ის შევა იმ სახლში, სადაც ოთახი ჰქონდა ნაქირავები თავის საყვარელთან შესახვედრად. აქ ის ნახავს იმ ქალსაც. ერთი ხელის შეხება კმარა, რომ ჰიუბერტი გადაიქცეს მხეცად და იქვე სავარძელზე დაისაკუთრებს ქალს. განა ეს შეხვედრა პირველი იყო? მაგრამ უწინ ის იყო შეყვარებული უმაღლესი და უდიდებულესი სიყვარულით, დღეს კი ის მხეცია უწინდელი ანგელოზის მაგიერ და თვით უსაშინლესი მხეცი, რომელსაც სახელად კაცი ჰქვიან. არავითარი მხეცი ამ გრძნობას ამ სისაძაგლესა და ამ გარყვნილ ხასიათს არ აძლევს, როგორც ეს გამხეცებული კაცი. ის თითქო შურისძიების იარაღად ხმარობს მას რაც უწინ მხოლოდ ბუნებრივი საფუძველი იყო მისი იდეალური კავშირის. ის ამით ჯავრს იყრის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ადგილი, სადაც ჰიუბერტი უეცრად მხეცად იქცევა, საზარელ სურათს წარმოადგენს და თანაც საუბედუროდ სინამდვილე ისეთი მხატვრობით არის ასრულებული, რომ ძვირად შეეხვდებით მსგავსს სიტყვაკაზმულ-მწერლობაში. ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მშვენიერად აქვს ბურჟეს შესწავლილი კაცის შინაგანი თვისებანი, მისი სული და გული. ხოლო გულისმომწყვლელი და სასოწარკვეთილების მომგვრელი სურათი კი არის. ამ რომანის წაკითხვის შემდეგ დიდ ხანს ვერ განთავისუფლდებით იმ საშინელი შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იწვევს თქვენში ეს ამბავი კაცის გაპირუტყვებისა. აი, ჰიუბერტიც ამას იქით სულ უკან და უკან მიდის. „რაღაც წარიხოცა მისი ზნეობრივი ცხოვრებიდან, რომელსაც ის თავის დღეში ვეღარ იპოვიდა. მისი სული საუკუნოდ, მოურჩენლად დაემხო და დაიმსხვრა, მან დაჰკარგა თავისი პატივი, ისე როგორც თავისი საყვარელი ქალისა“. სარწმუნოებასთან ერთად, მან დაკარგა ყოველივე წარმოდგენა ზნეობრივ მოვალეობაზე და პასუხისგებაზე. როგორც ჩვეულებად აქვთ ხოლმე ამ ვაჟბატო-

ნებს, ფატალიზმის მორწმუნეც გახდა; პესიმიზმი ხომ აუცილებელი შედეგი იყო ამგვარი აზრების. „მისი ბედნიერების დასასრულს იგი ეხლა იმით ხსნიდა, რომ კაცობრიობის უბედურება აუცილებელია“. მარტო ღმერთის რწმენა კი არ დაკარგვია, მან ყოველივე რწმენა დაკარგა. უწინ კი „სწამდა დედა, სწამდა ყოველი სიტყვისა და ალერსის სიწრფელე“. დედასა და დიდედას ასეთი საშინელი სიტყვები ესმოდათ ეხლა ჰიუბერტზე მათი კუზენისაგან: „ჰიუბერტი ისეთი გახდა, როგორც ყველა ყმაწვილი კაცი“. მათ კი მთელი თავის სიცოცხლე შესწირეს, რომ ამ „ყველას“, გარყვნილსა და გათახსირებულს არ დამსგავსებოდა, არ დამსგავსებოდა ჯორჯისთანა ცხოვრებაში გამოქნილ ვაჟბატონებს, რომელთაც სწამდათ, რომ „ყმაწვილმა კაცმა რაც შეიძლება ადრე და მალე უნდა შეიგნოს პრაქტიკული ფილოსოფიაო, ე. ი. დახავსებული მიზანტროპიული ფორმულების მიხედვით ძალიან ცოტა სწამდეს მეგობრობა, უმეტესი ნაწილი ქალთა მიიჩნიოს ცბიერ ქმნილებად, კაცის ყოველი მოქმედება უნდა ახსნას დაფარული, ანდა ცხადის პირადი ინტერესითა და სხვ“. საუბედუროდ, — ამბობს ავტორი, — ამათ ყოველთვის საფუძველი აქვთო. მერე კი ბურჟე დაგვანახვებს, რომ მათ აზრს დიდი საფუძველი არა ჰქონია. საბრალო ქალებს ცრემლის ფრქვევის მეტი არა დარჩენოდათ რა. განა შეეძლოთ მათ გამოეცნოთ ეს აუხსნელი ამოცანა, როგორიც არის ქალისაგან ღალატი, კაცის ხასიათის სისუსტე და მთლად მთელი ცხოვრებაც, ცხოვრება, რომელიც ავტორისავე სიტყვით „საშინელი გამოცანაა“! [1]

„Un coeur de femme“-ში (ქალის გული) მას აღწერილი აქვს ამბავი ერთი ახალგაზრდა ქვრივისა. ამ ქალს ათი წელიწადია ერთი საყვარელი ჰყავს. ერთ დღეს უეცრად ეტლის ცხენს ფეხი წაუცურდება, ქალი გადმოვარდება და ფეხს იტკენს. შევა თავის მეგობარ ქალთან და იქ ნახავს ერთ დარდიმანდ ყმაწვილ-კაცს, რომელიც შეუყვარდება. რამოდენიმე დღის შემდეგ ქალი მას დაუსაკუთრდება. ამ დროს უწინდელი მისი საყვარელი სოფელშია. როცა დაბრუნდება, ქალს აღეძვრის თავში კითხვა: უღალატოს ერთს და წაყვეს მეორესა? მეორე ხომ უყვარს და პირველთან კი მოვალეა დარჩეს. რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ სიყვარულსა და ვალდე-

---

[1] ამისთანა შემთხვევებს ბურჟე ხშირად აძლევს მნიშვნელობას, მაგალითად „La terre promise“-ში.

ბულებას შუა, შედის მონასტერში. აქ, ერთის მხრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ ბურჟეს ფატალისტურ შეხედულებას. ყველა ეს ამბავი მოხდა ცხენის ფეხის წაცურების გამო. მართლაც, ფეხი რომ არ ეტკინა ხომ არ შევიდოდა თავის მეგობართან და იმ კაცსაც ვერ ნახავდა. თვით ბურჟე ამბობს, რომ მთელ ამ ამბავს, რაღაც გაურკვეველი დამოკიდებულება აქვს ცხენის ფეხის წაცურებასთანაო. მეორეს მხრით, აქ მისი სარწმუნოებრივი შეხედულებაც გამოიხატება, ყოველის მხსნელი სარწმუნოებაა, ყოველი კითხვის პასუხის გამცემი მონასტერია. ეს დასკვნა მარტო ამ რომანიდან როდი გამოგვყავს, აქ მხოლოდ შეინიშნება. შემდეგ რომანებში უფრო ნათლად დავინახავთ, რომ ამ ქალის მონასტერში შესვლა უმნიშვნელოდ არა აქვს ავტორს მოყვანილი. ზემოხსენებული რომანები სავსენი არიან ბურჟეს კარგი და ცუდი თვისებით. საზოგადო შთაბეჭდილება, რომელიც გამოაქვთ ამ რომანებიდან, არის საშინელი პესიმისტური; ხანდახან მიზანტროპიაც გამოსჭვივის ხოლმე. თუ არა მიზანტროპს, თუ არა მომხრეს კაცობრიობის პირუტყვობის თეორიისა, მეტს არავის შეუძლია ისეთი სცენები დაგვიხატოს, როგორიც ჰიუბერტის ზნეობრივი დაცემაა („საშინელი გამოცანა"). ამ სცენას დიდი სიამოვნებით ხელს მოაწერდა ყველა, კაცობრიობის ასჯერ უფრო მკაცრი ბრალმდებელიც რომ ყოფილიყო, ვინემ ზოლა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბურჟეს უყვარს ისეთი სცენის აღწერა, რომელიც სრულიად მოკლებულია რიგიანობის ყოველ საზღვარს. ჩვენის აზრით, ამგვარი სცენები ძლიერ მავნებელნიც არიან [1]. თუ რომელიმე ეს რომანი ჰიუბერტისათვის წაეკითხებინა დედას, დარწმუნებული ვარ, 22 წლამდე ის ძალიან გამოცდილი და დახელოვნებული იქნებოდა ვნებათაღელვის მეცნიერებაში. საბედნიეროდ, ეს ადგილები თანდათან მცირდება მის რომანებში და „დისციპლში" და „ტერპრომიზში" რიგიანად არიან დაყენებულნი.

3

ეხლა ჩვენ შევუდგებით ბურჟეს მორალურ ანალიტიკურ რომანებს, იმ რომანებს, რომლებშიც ბურჟე მოგვითხრობს თავის რწმენათა აღსარებას, თავის profession de foie-ს და რომელნიც

[1] იხილეთ, განსაკუთრებით „Mensonges".

წარმოადგენენ ძვირფას მასალას საფრანგეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ზნეობრივი ისტორიისათვის.

„ანდრე კორნელი“ განმეორებაა შექსპირის ჰამლეტისა, მხოლოდ ანდრე უფრო ნაკლები ფილოსოფოსია, მაგრამ უფრო გამბედავი. ანდრეს მამას მოუკლავენ რაღაც უცნაურად. ორი წლის შემდეგ დედა გაჰყვება ცოლად თავისი ქმრის მეგობარს. ანდრეს რაღაც წინაგრძნობა აქვს (ბურჟეს ძალიან უყვარს თავის რომანებში ამ წინაგრძნობის გამართლება. მის რომანებში ხშირად შეხვდებით, რომ მოქმედნი პირნი წინადვე გრძნობენ ბედნიერებას, უბედურებასა და სხვ.). ამ წინაგრძნობით წაქეზებული კორნელი შეუდგება ძიებას. ერთ დღეს ის გაიგებს დედისაგან, რომ ჟაკ ტერმონდს (ანდრეს მამინაცვალი, რომელზეც ეჭვი ჰქონდა აღებული და რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა, ისე ადევნებდა თვალ-ყურს ყოველ მის მოქმედებას) ერთი ავაზაკი, გადავარდნილი ძმა ჰყოლია. ზოგი მუქარით და ზოგიც ფულით ამისაგან ანდრე კორნელი შოულობს უტყუარ საბუთს თავისი მამინაცვლის დანაშაულობისას (თურმე ამ ძმისთვის მოეკვლევინებია ანდრეს მამა). იგი მამინაცვალს ხანჯალს ჩასცემს გულში. აქ კიდევ ბურჟეს ერთი თვისება ჩანს: ეს ის, რომ ბოროტმოქმედებას სჯის და ამ დასჯის იარაღად ბედი და განგება ყოველთვის იყენებს ერთ-ერთ პირს, რომელიც დასჯილთათვის უფრო საყვარელია[1]. თვით კორნელი ამბობს (მოთხრობა დღიურის ფორმით არის დაწერილი): „დედა-ჩემი! ის ბედმა გახადა სიცოცხლის მომსპობ და ბრმა იარაღად, როგორც დანა ჰკლავს კაცს და ვერ გებულობს კი, რომ ჰკლავს“. მართლაც, დედას რომ არა ეთქვა რა ჟაკ ტერმონდის ძმაზედ, საქმეს შეიძლება სხვა მსვლელობა მიეღო.

რომანის „ცოდვა სიყვარულისა“ (Un crime d'amour). ფაბულა შემდეგია: ბარონი დე-კერნი, 32 წლის ყმაწვილი კაცი, თავს შეაყვარებს ამხანაგის და მეგობრის შაზელის ცოლს. რამდენიმე ხნის შემდეგ გული გაუგრილდება ქალზე (უკეთა ვთქვათ, ყოველთვის გულგრილი იყო) და წყვეტს მასთან კავშირს და შეურაცხყოფასაც მიაყენებს. აგონებს ერთ საძაგელ შემთხვევას მისი ცხოვრებიდან, ვითომ იგი ოფიცერ ვარადის საყვარელი ყოფილიყოს. ეს კი ასე არა ყოფილა. ვარადი მართლაც უყვარდა ელენეს (შაზელის ცოლის სახელია), მან კი ძალდატანებით ნამუსი ახადა (არ

[1] ob. La terre promise.

გაგიკვირდეთ, ბურჟეს თხზულებებში ხშირად შეხვდებით ასეთ ბარბაროსობას [1]). ელენე სასოწარკვეთილებას მიეცემა და ხელმეორედ მართლაც დანებდება ვარადის. ცოტა ხნის შემდეგ ქალი დე-კერნს ატყობინებს, რომ მისი წყალობით ასეთი საძაგელი საქმე ჩაიდინა; თავი მოიკლა ზნეობრივად, დე-კერნს სინდისი ქენჯნას დაუწყებს, ელენე კი ამ ცოდვის შემდეგ განახლდება სულითა და გულით და სწირავს თავს ოჯახს, ქმარსა და შვილსა.

ამ რომანზე ჩვენ შევჩერდებით და მივაქცევთ უმთავრეს ყურადღებას აქ გამოყვანილ ტიპს, დე-კერნსა. ეს ბურჟეს უმთავრესი ტიპია; მისი ლარშე (Mensonges) და გრელუ (Le Disciple) არიან იმავე ჯგუფის ყმაწვილ-კაცები. საუკეთესოდ დასურათებულნი არიან ეს ყმაწვილ-კაცები ბურჟესაგან. ეს ახალგაზრდები შექმნილნი არიან, ერთის მხრით, ნაპოლეონ III-ის მმართველობის და, მეორეს მხრით, თანამედროვე სამეცნიერო თეორიების გავლენით, რომელთა უკიდურესმა მიმართულებამ იპოვა ფართო ნიადაგი სწორედ იმავე მეფობის შექმნილ გარემოებებში. 50 წლის სისხლის ღვრით მოპოვებული რევოლუციის პრინციპები შებღალულ იქნენ, სიტყვისა და მოქმედების თავისუფლება მოსპეს. ყოველივე, რაც კი რაიმე ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ტირანიისათვის წინააღმდეგობა გაეწია, დამხობილი და შესუსტებული იყო. პარლამენტის საუკეთესო წევრნი, ენერგიულნი, თავგანწირულნი დამცველნი ლიბერალური იდეებისა განდევნილ იქნენ სამშობლოდან. ვინც შინ დარჩა სატუსაღოებში ამწყვდევდნენ და სხვა ათასნაირ სასჯელს იგონებდნენ მათთვის. განდევნილთ სიაში ისეთ დიდებულ სახელებს იპოვით, როგორც ვიქტორ ჰიუგო, ედგარ კინე, ტიერი და სხვ. უნივერსიტეტის კარები დახურული იყო და ლექციები აკრძალული ჰქონდათ: ვილლემენსა (შესანიშნავ კრიტიკოსს), კუზენსა (ფილოსოფოსს), ჟიულ სიმონსა, მიკკევიჩსა, მიშლესა, ბარნისა, დეშანელსა და შალმელ ლაკურსა. ბრიუსელში უნდა წაბრძანებულიყავით, თუ გნებავდათ კინეს ფილოსოფიის შეგნება. დეშანელი და შალმელ ლაკურიც იქ გაიქცნენ და თავის ბრწყინვალე ლექციებით ვეღარ ატკბობდნენ თავის თანამოძმეთ. ბარნი ჟენევის აკადემიამ მიიწვია და იქ კითხულობდა თავის შესანიშნავ ლექციებს

---

[1] იხ. L'irreparable.

„XVIII საუკუნის მორალური და პოლიტიკური იდეების“ შესახებ და დიდებული ეპოქის მოგონებით იმხნევებდა გულს. 1851 წლის დეკემბრიდან ყოველივე პოლიტიკური მოძრაობა და ცხოვრება ჩაქრა. პოლიტიკურ სჯა-ბაასს მმართველობა არ ითმენდა. საფრანგეთს არ ახსოვს, რომ პრესა ასე შევიწროებული ყოფილიყოს როდისმე, ლიტერატურაში ისეთი მწერლები მეფობდნენ, რომელნიც ან ჩუმად იყვნენ ანდა კვერსა სცემდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ მონობას. უმაღლეს ფილოსოფიასა და ლიტერატურაში წყეულ კითხვებზე სჯა-ბაასის გავრცელების ნაცვლად, ზნეობრივი ცხოვრების მაგიერ, თქვენ იპოვიდით მხოლოდ მატერიალური ცხოვრების აყვავებას: ვაჭრობისა და მრეწველობის გაფაციცებით წინსვლასა, რკინიგზებისა და არხების გაყვანა-გამოყვანასა და ათას ამგვარ სპეკულატიურ მოქმედებას. მივანდოთ თვით ბურჟეს ამ ეპოქის დასურათება: „რევოლუციის ტრაგედიის ზარდამცემი ბრძოლისა და იმპერიის ძლევამოსილი ომების გავლენის ქვეშ გაიზარდა თაობა, რომელიც მთლად გამსჭვალული იყო გმირული შეხედულებით ცხოვრებაზე, ესე იგი ის ყმაწვილ-კაცები, რომელნიც ამ თაობას ეკუთვნოდნენ, იკვებებოდნენ დიდებული და თან უცნაური აზრებით. რაღა საკვირველია, რომ მათ სწამდათ ყოვლად-შემძლებლობა კაცის ნებისა, მათ ნახეს განახლებული, დიდებული და ბრწყინვალე ქვეყნის დაბადება. მათ ნახეს ძველი ევროპის დამსხვრევა და ახალის აღმოცენება. ნახეს, რომ ვიღაც არტილერიის ლეიტენანტი ასრულებს თავბრუდამსხმელ ხიმერებსა და თანაშემწედ ჰყავს მხოლოდ ძალი თვისის გენიოსობისა და ენერგია თვისი მამაცი ჯარისკაცებისა. ბოლოს, ეს ქვეყანა ისევე ძველდება, როგორც პირველი. ახალი ევროპა ბევრით ვეღარა სჯობნის ძველსა. დიახ, მებრძოლი კვდება სადღაც და მას თან მიჰყვებიან მისი ამხანაგები ერთიმეორეზე. საშუალოების (La médiocrité) ჭირი ედება ზნე-ჩვეულებასა და პოლიტიკასა... მსოფლიო ნამსხვრევებში ერთი ხე იზრდება, ეს ხე მეცნიერებაა. მისი მეთოდი ცდაა. „მეცნიერება მხოლოდ მაშინ დაადგა წარმატების გზას, როცა მეცნიერებმა დაუწყეს თაყვანისცემა ფაქტსა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მხოლოდ ფაქტსა და არაფერს გარდა ფაქტისა... უმრავლესობას საფრანგეთისას შეეძლო დიკენსის ერთი რომანის გმირის სიტყვები გაემეორებია: „ეხლა, გაიძახის ის, ჰე მჭირია მხოლოდ ფაქტები; ნურაფერს ნუ ასწავლი ამ ქალებს და ვაჟებს გარდა ფაქტისა. ცხოვრებისათვის მხოლოდ ფაქტია საჭირო.

არაფერი არ დაუნერგოთ მათ გონებაში გარდა ფაქტისა, სხვა ყველაფერი ძირიანად ამოთხარეთ. მხეცის გონების განკარგება შეიძლება მხოლოდ ფაქტების შემწეობით!“ სწორედ ამავე დროს გამოდიან მოდიდან რომანისა და დრამის მელანქოლიური გმირები, სუსტი გულის მქონენი და აღშფოთებული გმირები, რომელნიც ყოველთვის ებრძვიან გარემოებას, გზას უთმობენ მხეცსა და მკაცრი სინამდვილის მოანგარიშე ტიპებს, რომელიც დიუმა-შვილმა დაგვიხატა თავის ნაწერებში. „ღონიერი კაცი“ მოდაში არის: ის ნიშნავს ისეთ კაცსა, რომელიც სინდისს ჩალის ფასადაც არ აგდებს, მაგრამ გონიერად ხმარობს კარგად შეგნებულსა და გაგებულს ფაქტებს. საზოგადოების ერთი კიდიდან მეორემდე ეს ცხოვრებისა და ფაქტის მოხმარება ღრმად იდგამს ფესვებს: სულ ზევით იმპერატორის რეჟიმი დაარსდა და ჰყავის აღსრულებული ფაქტის სახელით, სულ ქვევით, ცხოვრებაში გამარჯვება, წუთიერი სიამოვნება, სიმდიდრე და ფუფუნება აქეზებს მუშაკებსა. პოლიტიკურ იდეალზე კითხვაც აღარ არის. ლიბერალურ და სოციალურ ოცნებათა დამხობა და დამარცხება გათავებულ საქმედ მიაჩნიათ. იდეალიზმი ლიტერატურაშიაც კი დამარცხდა. გატაცებული ლირიზმის ადგილს იჭერს ობსერვაცია და ვოლტერის სასტიკი ენა ისევ მოდაში შემოდის. სახალხო განათლების იდეალად ხდება მეცნიერული სწავლის დამყარება და ლიტერატურული სწავლის კი დამარცხება. ფილოსოფიის ძველი პროგრამისაგან, რომელიც ერთად-ერთი სკოლა იყო აზროვნების ვარჯიშობისათვის, რა დასტოვეს? ლოღიკა, ე. ი. ნაწილი ფილოსოფიისა, რომელიც უფრო მშრალია და ტექნიკური, უფრო შემოფარგლული და უფრო პოზიტივური... მეორე იმპერიას ჰყავდა პირველ პოლიტიკურ მოღვაწედ — ჰერცოგი მორნი, პირველ დრამატიულ მწერლად — დიუმა-შვილი, პირველ რომანისტად — ფლობერი და გონკურები და დიდებულ ფილოსოფოსად — ტენი... ამათ შუბლზე აკერიათ განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ყოველი მათგანი თავის ხელობაში წარმომადგენელია ერთი და იმავე აზრისა“ [1].

სწორედ მეორე იმპერიის მმართველობის გავლენათა ქვეშ აღზრდილნი არიან ბურჟეს რომანების (განსაკუთრებით მეორე ჯგუფის) ყველა გმირი. თუ ცხოვრებაში ამ დროს პოლიტიკური სჯა-ბაასი,

---

[1] იხ. Essais de psychologie, პირველი წიგნი

პოლიტიკური კითხვები მოსპობილი იყო, მისი გმირებიც სრული პოლიტიკური ინდიფერენტისტები არიან. თუ სოციალური და პოლიტიკური ოცნება გაცრუვდა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა საზოგადოება, მისი გმირებიც ყველა საშინელი პესიმისტები არიან, ისინი სწორედ ის „ღონიერი კაცები“ გახლავან, რომელნიც ყოველ ღონეს ეძარობენ ოღონდ კი სიმდიდრე და ფუფუნება მოიპოვონ, ოღონდ კი წუთიერი სიამოვნება იშოვონ[1]. იდეალიზმი მათ სასაცილო საგნად მიაჩნიათ და საუკეთესო კაცის გრძნობებს მხოლოდ მასხარად იგდებენ. ისინი ცინიკურად ეჭცევიან ცოლებს, შვილებს; საყვარლებს და სხვებს ხომ ყურადღებასაც არ აქცევენ: მიაჭენებენ ეტლს თავის ცხოვრებისას და ვინც უნდა გაჭყლიტონ, ფიქრადაც არ მოუვათ შებრალება. ისინი მეცნიერნი ბრძანდებიან და მეცნიერებამ კი მათ ჩასძახა, რომ ცხოვრებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ღონიერნი რჩებიან, უღონო და სუსტი ქმნილებანი წინადვე განწირულნი არიან სასიკვდილოდაო. ფაქტების გათაყვანება მეცნიერების საუკეთესო იარაღად შეიქნა, იგივე შეიქნა საუკეთესო საფუძვლად ნაპოლეონის გამარჯვებისა. ჩვენი გმირებიც ფაქტს ხედავენ მხოლოდ: თუ ქალი გატაცებული თაყვანსა სცემს, თუ ყოველივეს სწირავს მათ და ეძლევა სულითა და ხორცით, იგინი მარტო ამ უკანასკნელ ფაქტს ხედავენ, ე. ი. მას რომ ქალი მათ საყვარლად ხდება და აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ყოველი ქალი უთუოდ ყოველ კაცს დანებდება, რომ ყოველი ქალი გატყუებთ და რქებს გასვამთ შუბლზე. თუ ქალი მათ ატყუებს და კაბის კუდზე გამობმულს დაათრევს, ისინი ამ თავის დამცირებას მით იტანენ, რომ „ცხოვრება კომედიაა, ტრაგედიად რად უნდა გადავაქციოთო“, და ეს ცხოვრების ტრაგედიად გადაქცევა იქნებოდა, რომ ვინმე ლარშე („Mensonges“) ვინმე გარყვნილ აქტრისას მოშორებოდა. თავიანთი მეცნიერული წარმოდგენა კაცზე ისე კარგად აქვთ შეთვისებული, რომ სრულიად უსირცხვილოდ უვარდებიან ქალს, გასათხოვარს, თუ გათხოვილს, სახლში და ძალდატანებით ნამუსსა ხდიან. როგორც შეეფერებათ ცხოვრების მოანგარიშეთ, მათ არა აქვთ ერთი ნაბიჯი, ერთი გრძნობა, რომელიც წინდაწინ ცხრაჯერ კი არა ათასჯერ აწონილ-დაწონილი არა ჰქონდეთ, და ეს ყოველთვის პირადი ინტერესისათვის და მერე როგორი ინტერესისათვის? მაგალითად, ამა თუ იმ ქალს რომ დაუკავშირ-

---

[1] იხ. L'irreparable.

დეს, რა იქნება, ან რა შედეგი მოჰყვება, ან ქმართან შეტაკება ხომ არ მოუხდება, ან როცა კავშირის გაწყვეტა დასჭირდება, ისე როგორ მოახერხოს, რომ არავითარი გამამტყუნებელი საბუთი აღარ დარჩეს ქალს, და ასე ფრთხილობს ყოველთვის თავისათვის, მხოლოდ თავისათვის, თორემ ქალი წყალსა და მეწყერსაც წაუღია (დეკერნი). მეცნიერების ქურუმები მეცნიერების ტაძარზე კლავენ საწყალ უბიწო ქალიშვილებს (გრუე) და რისთვის? როგორც ღმერთს თავის დღეში არ უთხოვნია, არამცთუ კაცის, არც ცხვრის მსხვერპლი, ისე არც მეცნიერებას უთხოვნია ეს მსხვერპლი, მაგრამ ამით ცინიკურ გრძნობებს იკმაყოფილებენ და თუ კიდეე მათში დარჩენილი ადამიანობა რაიმე ზნეობრივ კითხვას უყენებს მათ წინ, იგინი მეცნიერულად თავს ინუგეშებენ და იმართლებენ. გარდა ამისა, ბურჟეს ტიპები თავის თავის ჩხრეკა-ძიებით იქანცავენ თავს და ამიტომაც გმირების ნაცვლად რაღაც უფერულსა და სუსტ ქმნილებებს წარმოადგენენ.

Un crime d'amour-ის გმირი დე-კერნი გახლავთ 50-იანი წლების ერთი ყმაწვილ-კაცთაგანი. ის სწორედ 1851 წელსაა დაბადებული, იქნება თვით იმ დღესა და იმ ღამეს და იმ საათსაც, როცა საფრანგეთის დამღუპველი ტირანის (ნაპოლეონ III) რეჟიმი გამეფდა. როდესაც ელენე მას შეეყარა დანიშნულ ადგილზე და დანებდა, შემდეგ ელენემ ჰკითხა: „ბედნიერი ხარ ეხლა მაინც"? თავის დღეში დე-კერნს თავის ბედ-იღბალზე არ ულაპარაკნია ამ ქალთან, მაგრამ გულითა და სულით შეყვარებულმა საბრალო არსებამ იგრძნო მისი თვალების სევდიანი გამომეტყველება და მისთვის მისცა ეს კითხვა. მართლაც, მას სრულიად არ ახარებდა, რომ ეს მეათასე ქალი იშოვნა; ფიზიკური მხიარულებაც კი არ იტაცებდა. მან იცოდა ნამდვილი სახელი თავის ნაღვლიანობისა და მოწყენისა. ეს იყო ის, რომ იგი ყოველივე კაცის ამამაღლებელსა და შემამკობელ გრძნობას მოკლებული იყო, მას სიყვარული არ შეეძლო, განა მარტო ქალისა, არაფრისა და არავისა. მას დღიური აქვს, რომელსაც ხანდახან გადათვალიერებს ხოლმე და რას ნახავს შიგ? იმ ძველ „მეს", რომელიც სრულიად გვანდა დღევანდელს — „უდროოდ გამიზანტროპებულს, წუთიერი გრძნობებით გატაცებულს, მომაკვდინებელ ანალისტს თავის თავისას, უძლური სევდით მოცულსა და ბედნიერების მიუნდობელს. გარემოებამ ისე იმოქმედა, რომ მისგან გამოაცხო საუკუნის შვილი მდიდარი, მოქეიფე-დარდიმანდი კაცი, ნიჰილისტი და პესიმის-

ტი“. ჩვენც გადავათვალიეროთ, მასთან ერთად, მისი დღიური და იქ ვნახავთ, რა კაციც ბრძანებულა იგი უკვე დიდი ხნიდან. 1871 წელში, როცა საფრანგეთს, გერმანიისაგან ამ გუშინ დამარცხებულს და გათელილს, რომელსაც ჯერ კიდევ სისხლი ვერ შეეშრო და მტრისგან გაწყვეტილი მკვდრების დასაფლავება ვერ გაეთავებია, შიშის ზარსა სცემს კომუნა და არამცთუ საფრანგეთს, მთელს ევროპას შეაშფოთებს. ამ დროს 20 წლის დე-კერნი აი რასა სწერს: „ალფრედი (შაზელს ერქვა) და მე მთელი დილა ცაში ავარდნილ ცეცხლის ალებს ვუცქეროდით. ის საშინელი მოწყენილი იყო და მე კი საშინელი მხიარული; რაღაცნაირი ისტერიული მხიარულება ათასნაირ გულისმომწყვლელ პარადოქსებს წამომაროშინებდა ხოლმე. ან კი შეიძლება პარადოქსები ვუწოდოთ მაშინდელ ჩემს სიტყვებს, რომელნიც შეეხებოდნენ ჩვენი ფილოსოფიის პროფესორის უკანასკნელ კვირაში წარმოთქმულ მშვენიერ თეორიებს? ოხ, ბედის დაცინვავ! მისი უკანასკნელი გაკვეთილი პროგრესს შეეხებოდა!“ — მეორე დღეს ამასა სწერს: „მე ვფურცლავ სპირიტუალისტური ფილოსოფიის წიგნს ზიზღით სავსე სიამოვნებით. წავიკითხე რა ოფიციალური ფრაზები ღმერთზე, სულის უკვდავებაზე, ზნეჩვეულების დამშვიდებაზე, მორალურ თავისუფლებაზე, დავხუჭე თვალები და დავინახე წუხანდელი ღამის პანთეონის მოედანი: მკვდრები დაყრილნი არიან ფეხშიშველნი, რადგან ფეხსაცმელები მოეპარათ მათთვის; თოფის კონდახებით თავი აქვთ დაჭეჭყილი, რომ უკეთესად მოეკლათ; დავინახე სისხლის ტალახი, რომელიც ჩვენს ფეხსაცმელებს ეწებებოდა, და ათასი ცეცხლის ენა ცათამდე აწვდენილი. ჯარისკაცები ტროტუარზე დაყრილნი და დაცვივნულნი იყვნენ, როგორც დაქანცული მხეცები. Homo hominis lupioz lupis (კაცი კაცისათვის მგელზედ მგელია). ხედავთ ამ სურათს სპირიტუალისტური ფილოსოფიის თეორიებზე დაცინვის შემდეგ? მან უნდა ამით დაარღვიოს ყოველი კეთილი აზრი ადამიანობაზე. მწუხარებითა და ტანჯვით გამსჭვალულნი კი არ არიან მისი სიტყვები, როგორც შეფერის ასეთ თავზარდამცემ სურათს, არამედ მწარე ირონიით. მის გულში ერთი გრძნობაც არ აღძრულა, რომელსაც ცრემლები წარმოედინა მისი თვალებიდან. ოცი წლის ყმაწვილი, რომელიც საზოგადოდ ქალივით ნაზი არის ხოლმე, იმ ხანში, როცა გრძნობას ყოველთვის პირველი ადგილი უჭირავს კაცის გულში, ის ასი წლის ხავსმოკიდებულ ბერიკაცს წააგავს. დაგვიხატა ეს სურათი და ვითომ საკმაო საბუთი

მოგვცა თავისი ინდიფერენტობისა და ცინიკობისა, თავისი მიზანტროპობისა და გარყვნილებისა. ეხლა სიყვარულზე რაღა აზრი აქვს ამ ხნის კაცსა, სწორედ იმ ხანში, როცა ყოველ ადამიანს სიყვარულზე რაღაც იდეალური და მისტიკური წარმოდგენა აქვს? ამას სწორედ ის შეხედულება აქვს, რომელიც შეფერის ხელობით გარყვნილს, ხანგადასულსა და დიდად გამოცდილს ვნებათა-ღელვის მეცნიერებაში: „როცა ქალს გავუარშიყდები, — ამბობს ის, — ყოველთვის ვცდილობ სხვადასხვა ამბები გავიგო იმის შესახებ, რომ არ შემიყვარდეს". ასეთი აზრის კაცი, რასაკვირველია, არაფერს ზოგავს მისთვის, რომ წუთიერი, მხეცური გრძნობა დაიკმაყოფილოს და ყურადღებას არ აქცევს მასა, რომ თავის მეგობარს ცოლს ართმევს და საუკუნო ჯოჯოხეთს უნერგავს გულში: რას დაეძებს თუ ბავშვი უდედოდ რჩება და თავისი დღენი და წუთისოფელი უობლო-ობლობაში უნდა გაატაროს? ქალი ლამაზია, ბატონ ბარონს მოეწონა... მაშ აქ რაღა უნდა წინა აღუდგეს მას? სინდისის ქენჯნა, შიში პასუხისგებაში ჩავარდნისა სინდისის წინაშე მაინც? დარდი ნუ გაქვთ, ამას კარგი პასუხი აქვს მზად: „რისთვის უნდა განვსაჯოთ ვინმე, ანდა დავტუქსოთ ვინმე? ყოველი კაცი პატარა მანქანაა დიდი პრეტენზიებით. როცა ხედავს, რომ ამ მანქანის ისარი დადის, მას ჰგონია, რომ ამ მოძრაობის მიზეზი იგია! სისულელე და მედიდურება არის ერთი ბეწო შინაგანი ბორბალი, რომელიც ყოველივეს მართავს. ამ ბორბალს ნებავს, რომ ქალბატონი X-ი იყოს გრძნობიერი როსკიპი, მისი ქალიშვილი მომავალი დემონი და მე კი გაუხარელი გარყვნილი, რომელსაც გული იმდენად გამშრალი მაქვს, რომ ყოველი ზემოხსენებულის თქმა შემიძლია, მის მაგივრად, რომ ვისიამოვნო მით, რაც სასიამოვნოდაა დანიშნული". თვითონაც კი გრძნობს, რომ მისი ხნის კაცისათვის ასეთი სიტყვები შეუხამებელია: „22 წლის კაცი ნუთუ ამას უნდა ვწერდე ჩემს რვეულში"? რას აკეთებს ეს ვაჟბატონი? რით იქცევს თავს? თუ ქალის სიყვარული არ შეუძლია, იქნებ სხვა რამეს მაინც შეუძლია მისი გატაცება? შეიძლება სიყვარულის მსგავსი რაიმე გრძნობა დაბადოს მასში ან მეცნიერებამ, ან ფილანტროპულმა მოქმედებამ, ან პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებამ, ან ხელოვნებამ? შეიძლება მამულის უცხო ერისაგან გადალახვამ მაინც დაბადა მასში რაიმე შურისძიების მსგავსი გრძნობა? იქნებ მეომრობა მაინც მოისურვოს, რომ მტერს მაგიერი გადაუხადოს: დაკარგული პროვინციები დაიბრუნოს და თავის სამშობლოს ჩამქრალი სახელი

ისევ შარავანდედით შეამკოს? ანდა იქნებ მიხვდა საფრანგეთის შეცდომებს, მისი დამცირება მიიღო აუცილებელ სასჯელად მისი ისტორიული დანაშაულობისა და ცდილობს ეს შეცდომა-შეცოდება ახლა მაინც ააცილოს? იქნებ მასზე ფიქრობდა, თუ რა პოლიტიკური ფორმა უფრო მოუხდებოდა მაშინდელ მდგომარეობაში მის ქვეყანას? არა და არა. არაფერი ეს არ აწუხებს მას. იგი თითქო არც კი ცხოვრობდეს იმ საშინელ დროში საფრანგეთში, თითქო მისთვის რაღაც ბოროტ განგებას მღელვარე სისხლი და აღგზნებული გული ფრანგისა ამოურთმევია და ყინვა ჩაუდვია მაგიერად! მისი საქმე მხოლოდ ეს არის: „საუზმე და სადილი, სადილი და საუზმე; რანდევუ და საღამო, საღამო და რანდევუ. მე არას ვაკეთებ ისეთს, რაც მიყვარს, არა, მაგრამ რა მიყვარს? მე ხომ არაფერი არ მიყვარს“? არც ცხოვრებაზე აქვს კარგი წარმოდგენა; კაცი მხოლოდ მიტომ ებრალება, რომ ცოცხლობს. ასეთი კაცის საუკეთესო მოქმედება ის იქნებოდა, რომ დამბაჩა ეკრა თავში; შეგვებრალებოდა მაინც, ძალა მაინც შეეტყობოდა, ხასიათი ჰქონიაო, — მაინც იფიქრებს კაცი. ლოღიკა მაინც იქნებოდა მის აზრსა და მოქმედებაში. ისეთი კაცი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ ქვეყანასთან, მეტია აქ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ სიკვდილიც კი აშინებს მას და აშინებს, როგორც ორფეხა მხეცს და არა მისოვის, რომ სხვა რაიმე აზრი უტრიალებდეს თავში და აწუხებდეს, როგორც კაცის რიგია. მგონია, რომ ეს შიში ფიზიკურია უფრო, ვიდრე სულიერი, იმიტომ რომ, თუ სულიერი მხარე კაცის ცხოვრებისა აწუხებდეს მას, უფრო სხვა აზრები და სხვა კითხვები წარმოუდგებოდა, როცა სიკვდილზე ფიქრობს, ეცდებოდა ეს კითხვები რამენაირად გადაეწყვიტა, თუგინდ იმავე მეცნიერების შემწეობით; ხმლით აღჭურვილი იგი უარსაჰყოფს ყოველივეს, რაც კი ცოტა არ იყოს გვიმსუბუქებს საშინელ ბოლოს ჩვენი ცხოვრებისას. უარჰყოფს სარწმუნოებასა და სარწმუნოება გვიხატავს მომავალ ცხოვრებას, სადაც დამყარებული იქნება მსოფლიო მშვიდობა და მყუდროება. უარყოფს მორალსა და მორალი კი გვიხატავს უკვდავებას ჩვენი პიროვნებისას ჩვენს მოქმედებაში: „საქმენი თქვენი გამოგაჩინებენ თქვენაო“. მორალი აღიარებს განუწყვეტელ კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის, აწმყოსა და მომავალს შორის, მორალი გვპირდება ჩვენ ჯილდოს ჩვენი კეთილმოქმედებისათვის, რომელიც გამოიხატება შთამომავლობის თაყვანისცემაში და დაუსრულებელ მადლობაში. მორალი პასუხისგებაში გვაძ-

ლევს არა მარტო ჩვენი პირადი მოქმედებისათვის, არამედ ჩვენი შთამომავლობის ავკარგიანობასაც ჩვენ გვაბრალებს. მეცნიერებაც ხომ გვეუბნება ისეთ რამეს, რაც უკვდავებას ამტკიცებს. ჩვენ ხომ შევადგენთ ატომს ქვეყნისას და თუ ეს ატომები ერთი-მეორეში გადიცვლებიან, ეს კიდევ არა ნიშნავს სიკვდილს: მატერია ხომ მაინც უკვდავია. მაგრამ ამაზე ფიქრი ხომ ბავშვების საქმეა და არა ბრძენი მეცნიერი დე-კერნისა. ასეა მხოლოდ თეორიულად, ნამდვილად კი თვით მისი ფიქრები გვიმტკიცებენ, რომ ძნელია კაცისათვის შინაგანი, ზნეობრივი ცხოვრების უარყოფა. თუმც ყოველი ამგვარი კაცური ფიქრების შემდეგ დე-კერნი გვარწმუნებს, რომ ეს სრულიად უბრალო მიზეზებით გამოწვეული ტირადაა; მაგალითად, რომ ამა და ამ ქალმა ჩემში „ემოცია არ გამოიწვიაო“. ის მხოლოდ თავს ატყუებს ამით. მასში კაცობრიულ გრძნობას არა სძინავს საუკუნო ძილით. ის ხანდახან გამოაჭყეტს თვალებს, მაგრამ მხეცი უფრო ძლიერია და ერევა, ჩააჩუმებს ხოლმე მასში კაცს. როცა თავის თავს ნაკლულევანებას შეამჩნევს, მაშინვე თავს იმართლებს ამ წყეული მემკვიდრეობით და არანაკლები წყეული გარემოებებით. ღარიბი გაიძახის. გარემოება ხელს არ მიწყობს რამე გავაკეთოვო. მდიდარს გარემოება ხელს უშლის საზოგადო სამსახურში შევიდეს (დე-კერნი), რადგან ფული არა სჭირია და ამიტომაც საზოგადო ინტერესებს ვერ შველის. ღარიბს შიმშილი აპარვინებს, მდიდარს — შთამომავლობითი მანკიერება, ატავიზმი. ნეტავ საფრანგეთის დეპუტატებსა და სენატორებს რაღამ მოაპარვინა? უნდა გამოგიტყდეთ, ძლიერ საინტერესოა ახლა იმის კვლევასა და ძიებას შეუდგნენ. ხომ არა ყოფილა ამა თუ იმ დეპუტატისა და სენატორის ნათესაობაში ქურდი. ლომბროზოს ხომ მაინც შეუძლია ნიშნი მოუგოს ყველას: არ დაუჯერეთ ჩემს თეორიას, თორემ იმათი თავის ქალა რომ აგეზომათ, მაშინვე გაიგებდით ქურდები იქნებოდნენ თუ არაო და მაშინ დეპუტატებადაც აღარ ამოირჩევდითო. ამ თეორიებით გამსჭვალულ დე-კერნს არაფერი არ უშლის თავი გაიმართლოს. დედ-მამა ბავშვობაშივე დაკარგა და აღარავინ არა ჰყავდა ისეთი, რომელსაც ეფიქროს მის აღზრდაზე, მისი ნაკლულევანების გასწორებაზე. „კოლეჯში ცხოვრებამ და ეხლანდელმა ლიტერატურამ აზრი გამირყვნა, სანამ ცხოვრებას დავიწყებდი. 15 წლისა რომ შევიქენი, იმავე ლიტერატურამ ჩამომაცალა საწრმუნოება, და ბიწიერება ისე მხიბლავდა როგორც მშვენიერება. ოხ, სირცხვილო! კომუნის დროს ხალხის

ელეტამ გამაცნო კაცის შინაგანი არსება და შემდეგი წლის ინტრიგებმა კი გამაცნო რა ხილია პოლიტიკა". სულ უსაქმურად დაეხეტებოდა: არტისტობა არ უნდოდა, არა ნებავდა, რადგან დიდი ნიჭი არა ჰქონდა და პატარაობა ამ ვაჟბატონს ძალიან სძაგდა, თუმცა ნამეტანი პატარა თვით ამ უსაქმურობით ხდებოდა, სამსახური არა სჭიროდა — ბევრი ფული ჰქონდა, ცოლის შერთვა და თავისუფალი ცხოვრების ჯაჭვით შებოჭვა არ ეპიტნავებოდა. „მაშ რა? რა და არაფერი... გულით დაბერებული კი არა, გამოუსადეგარი კაცი ვარო". ერთად-ერთი მისი ხელობა იყო ქალების დევნა-ტყუება. ესეც ხელობით ქალების მომხიბვლელი გახლდათ, — ასე უწოდებს ბურეე ერთი თავის მოთხრობის გმირსა (Lirréparable). მის ოთახშიც ყოველივე ეთანხმებოდა მის სულიერ ნიჰილიზმს. მისი ბიბლიოთეკა გულისგამხმობელი ანალიზმის რომანებით იყო სავსე („Les laisons dangereuses" ლეკლოსი, „Adolphe" ბენჟამენ კონსტანისა და სხვ.). მორალისტებთაგან მიზანტროპი შამფორი ამშვენებდა მის წიგნთსაცავსა. კედელი მოფარული იყო მისი დონ-ჟუანობის გამახსენებელი სურათებით. ამ ოთახში იყო ის ერთ საღამოს და ფიქრობდა მეორე დღის რანდევუზე, რომელიც ელენემ დაუნიშნა. ეს რანდევუ პირველი იყო მათ შორის. პირველად ცოტა შეჩერდა ამ ხელახალი შეცდენის წინ, უნდოდა უარი მიეწერა ქალისათვის, ქალალდიც კი ამოიღო მაგიდის უჯრიდან. მაგრამ, „გულუბრყვილო ბავშვო", უთხრა მან ხმამაღლა თავის თავს, „მე რომ არ ვიყო, სხვა იქნება", და დაიწყო საშინელი ნერვიული ხარხარი. წუთიერი გატაცებისაც კი არა იცის რა. აბა ერთი ემოციაც ხომ არ მიუღია, რომელსაც პირდაპირ გულის სიღრმემდე მიეღწიოს, ყოველი ემოცია უთუოდ თავის ტვინში გაუვლიდა. ყოველივე წინდაწინ ჰქონდა მის პესიმიზმს აწონილ-დაწონილი და მიზანტროპიაში გავლებული. სიყვარული რანაირად უნდა შეძლებოდა, ქალის რომ არა სწამდა რა არასდროს, არა რწმენია არცერთი ქალის გულის სიმტკიცე და გრძნობათა სიწრფელე, ამიტომაც ყოველთვის პოულობდა თავის გასამართლებელ საშუალებას, თუ ქალს ურიგოდ მოექცეოდა. როდესაც ის პირველი რანდევუს დროს ელენეს ეხვევა და ეალერსება, ურწმუნოებით სავსე ეს საშინელი აზრები უტრიალებს თავში: „ამან მე ამირჩია მხოლოდ თავისი ჟინის დასაკმაყოფილებლად, ვისარგებლოთ ამით!" რა მშვენიერი სიტყვაა ეს „ვისარგებლოთ" და მერე კიდევ ისეთი ქალის შესახებ, რომელსაც დავიწყებია ოჯახისადმი

შოვალეობა და ყველაფერი შეუწირავს მისთვისა. ასეთ ქალზე იფიქ
როთ ათასი რამ უცნაური, არა გწამდეთ, რომ ის ყოველ დღესა დ
ყოველ საათში არ ეხეოვეა სხვადასხვა საყვარელს და ყველას ერთნა
ირად არ ატყუებს, მერე, ეს ფიქრები გიტრიალებდეთ მაშინ, როც
კაცი კი არა, მანქანა უნდა იყოთ, რომ გატაცებასა და თავდავიწყე
ბას არ მიეცეთ! ამიტომაც, როცა თავის სურვილები დაიკმაყოფილ
და რამოდენიმე დღის შემდეგ ალფრედი შემოვიდა მასთან საბაა
ხოდ, მან ციურ მანანად მიიღო. ალფრედს უნდოდა მეგობრისათვის
გული გადაეხსნა და შეეტყობინებია თავისი ტანჯვა ცოლის გამოც
ვლითა და გულის გაგრილებით გამოწვეული. ალფრედიც რომ არ
შემოსულიყო, დე-კერნი ელენეს მაინც მიატოვებდა, მაგრამ ეხლ
ხელზე დასახვევი მიზეზი იშოვა. რას მიბრძანებთ, რა არ გაახსენდე
ბა, პატიოსნება, მეგობარი, მეგობრის ოჯახის შებღალვა... ხოლ
ასანამ ჟინს მოიკლავდა ხარხარი დაიწყო იმ აზრზე, რომ ალფრედ
მისი მეგობარია. მან ლოგიკურად დაუმტკიცა თავის თავს, რომ მე
გობარი არ არის, არ მოსულა ჩემთან და თავის გული არ გადაუხს
ნიაო. ის კი დაავიწყდა ბ. დე-კერნს, რომ როცა ერთმანეთს დაშორ
დებოდნენ, ალფრედი მას სწერდა ისეთი მხურვალე და წრფელ
გრძნობით სავსე წერილებს, თითქოს შეყვარებული არისო, ეხლა კ
თავის თავის გამტყუნების მაგიერ, ქალს დაუწყო მტყუნება: „რისთ
ვის და ვისთვის უღალატა ქმარს, ასეთ გულკეთილ კაცს, ასე მინდო
ბილს მასზე? ჩემისთანა ცინიკისათვის... მაგრამ მე რომ არ ვყოფილი
ყავი, სხვა იქნებოდა ჩემზე უარესი, თუმცა ეს ჩემი თავმოყვარეო
ბისათვის დიდი საამაყო არ არის, მაგრამ სინდისისა კი დამაწყნარე
ბელია... დიახ, ეს სხვა ვინმე იქნებოდა“. აი, რამოდენად სტანჯავს
ორნაირობა მას, რამდენად არ ეთანხმება მისი გული მის ტვინს. აქამ
დე თუ ყოველთვის გონება აჩერებდა მის გრძნობას, აჩუმებდა მას,
ეხლა კი გრძნობამ უკანასკნელად წამოიწია, სიკვდილ-სიცოცხლი
სათვის შეება ყოვლის დამამხობელსა და ყოვლის უარმყოფელ გო
ნებას. ეხლა უკანასკნელი კრიზისი: ან უნდა დარჩეს იგი გარყვნილი,
მოღალატე მეგობრისა და თავის გარყვნილების მით გამმართლებე
ლი, რომ „მე არ ვყოფილიყავი, სხვა იქნებოდაო“, ანდა გრძნობამ
უნდა გაიმარჯვოს, აჩვენოს მას გზა თავისი ცოდვების მოსანანიებ
ლად. ეხლა ეს გრძნობა მას აი რას ეუბნება: (ზემო მოყვანილი სიტ
ყვების შემდეგ განაგრძო) „რა მშვენიერი საბუთია ჩემდა გასამართ-

ლებლად. კაცისმკვლელის შესახებ რომ ვიხმაროთ ეს საბუთი, მაშინ ასე უნდა ვთქვათ: თუ დღეს არ მოგკალით, სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც მოკვდებით რამენაირად, ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რომ მრუშობა საზიზღარი რამ არის". იბარებს ელენეს თავის სახლში და უცხადებს თავის გადაწყვეტილებას მასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. მიზეზად მოჰყავს ის, რომ თავის მეგობრის მოტყუება აღარ შეუძლია. „მე რაღად მატყუებდი, რაღად ჩამადენინე ასეთი ბოროტმოქმედება",—ეუბნება ქალი. არმანი კი ცინიკურ პასუხს აძლევს: „ბავშვები ხომ არ ვიყავით, ერთმანეთი მოგვეტყუებიაო". მერე ვიღაც ვარადის სახელსაც მიარტყამს, იმ ოფიცრისას, რომელმაც ერთხელ ძალით დაისაკუთრა ელენე. გაისტუმრებს თუ არა ქალს, სიამოვნებით ამბობს: „არ მეგონა, ისე კარგად ჩაიარა საქმემ, მორჩა და გათავდა, ძალიან ლამაზი კი იყო. ეხლა ვერიდოთ შურისძიებას, მაგრამ როგორ? წერილი ერთიც არ მიმიწერია „შენობით"... რაც რამე ნივთები აქვს პალმირისას (მათი მრუშობის თავშესაფარი), მოვკრებ და გადავცემ მაშინ, როცა მეტყვის: „მე თქვენ ძალიან დამტანჯეთ, და ამ დროს უბეში ექნება ჩემი მოადგილის ბარათი".

ბურჟე რომ ნამდვილი გრძნობიერი და კაცობრიული მწერალი არ იყოს, რომ ის იყოს ან გადამეტებული პესიმისტი და ან „კაცის მხეცობის" აღმსარებელი, მაშინ ამ რომანს აქ დაამთავრებდა. კაცმა რომ თქვას, ცხოვრების ნამდვილი სურათიც იქნებოდა. ზოლა და ზოლას მიმდევარი უთუოდ ასე მოიქცეოდა, თვით ბურჟე „Cruelle enigme"-ის ავტორიც სწორედ ასეთ ადგილზე წყვეტს თავის რომანს. რეალიზმის (ზოლას რეალიზმის) თაყვანისმცემელი იტყვის, რომ ეს უკანასკნელი ნაწილი სრულიად რომ არ დაეწერა ბურჟეს, უკეთესი იქნებოდაო. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს უკანასკნელი ნაწილი არ იყოს, მისი რომანი ყოველ მორალურ ღირსებას დაჰკარგავდა და დარჩებოდა უბრალო ანალიზის რომანი, რომელიც ვერც თავის სიუჟეტის ორიგინალობითა და ვერც მხატვრობითი მხრით იმდენს ვერას გვასიამოვნებდა და ისეთ გავლენას ვერ იქონიებდა, როგორც ეს უკანასკნელი ნაწილი. არც სინამდვილეს წაუგია რამე, წინააღმდეგ, ბევრი მოიგო. რაც შეეხება ანალიზს, აქ მისი გმირის ფსიქოლოგიური მხარე საუკეთესოდაა აღწერილი. საბედნიეროდ, ბურჟეს კიდევ დარჩენია რწმენა კაცის ადამიანობისა, სწამს, რომ თუ მხეცია კაცი, ყველა მხეცზე მაინც უფრო მაღლა დგას იგი თავისი სულიერი და გონებრივი სიდიადით. ამიტომაც, აქამდე საოცარ და საშინელ

დე-კერნში კაცობრიულ გრძნობას გააღვიძებს და მთლად გარდაქმნის მას. ერთხელ ელენე მიდის არმან დე-კერნთან და ატყობინებს თავის საძაგელ მოქმედებას (გულმოსული რომ ხელმეორედ ვარადს დაესაკუთრა). მაშინ დე-კერნი იგრძნობს თავის დანაშაულს, თავის ვალდებულებას ამ ქალისადმი და ცრემლების ფრქვევით ჰკოცნის ხელზე. პირველი იყო ეს ცრემლი მისთვის და ეს იყო პირველი წენამორბედი მისი მორალური მოქცევისა და განახლების. ამის შემდეგ ის ლონდონში მიდის გასართობად და სევდის გასაქრობად, მაგრამ ელენეს საშინელი აღსარება მოსვენებას არ აძლევდა მას. „რა სულელური მანქანაა კაცი!“ ფიქრობდა ის. „და რა საზიზღარი ულონობაა კაცის მხრით ეს უცნაური გრძნობა მოწყენილობისაო“ [1]. „ჩემს სინდისის ქენჯნას მხოლოდ მაშინ ექნება საფუძველი, დამნაშავე რომ ვიყო, ე. ი. ვიყო თავისუფალი და პასუხისმგებელი, ხოლო მორალური თავისუფლება განა ფუჭი სიტყვა არ არის? ისე, როგორც ფუჭივე სიტყვაა სიკეთეცა და ბოროტებაც, ბიწიცა და სათნოებაც“ (ამ სიტყვებს გრელუსგანაც გავიგონებთ). ის შედეგია შთამომავლობითი მანკიერების, ასეთ თუ ისეთ გარემოებაში ჩაყენებული. მას არ შეუძლია სხვა რიგად იმოქმედოს ან სხვანაირად იფიქროს, თუ არა ისე, როგორც მოქმედებს და ფიქრობს. „მე ასე მეგონა, რომ ელენე ქალიამეთქი როგორც ყველა სხვანი. დიახ, მე ასე მეგონა და აუცილებლად ასეც უნდა მგონებოდა“.

„მე უნდა აუცილებლად ასე მგონებოდა“, — არწმუნებდა ის თავს. მას ეგონა, რომ ეს სიტყვა არის ის აზარმაცი, რომელიც ასწევს და მოაშორებს თავიდან მძიმე ტვირთს სინდისის საყვედურის და ქენჯნისას, მაგრამ ტვირთსა და სიმძიმეს მაინც საძრაობა არ ეძლევოდა. ძალიან იბრძოდა, მაგრამ მასში „რაღაც“ იყო უფრო ძლიერი როგორც თვითონ და ეს „რაღაც“ ძალით აგრძნობინებდა მას, რომ ის არის ერთადერთი მიზეზი ამ ქალის დაღუპვისა და ერთადერთი ამაში პასუხისმგებელი. შეეძლო, არ შეეცდინა ქალი? „არა“, აძლევდა ის გაბრაზებული პასუხს თავის თავს. „ქალის მოხიბვლა და მოტყუება ჩემი თვისებაა, როგორც ნადირობა — ლომისა“. დიალექტიკის შემწეობით ცდილობდა დაეჯერებია გონება თავისი

---

[1] ზოგიერთი ადგილი ამოწერილი მაქვს გრ. ყიფშიძის ჩინებული თარგმანიდან, რომელიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა

და კიდევაც დააჯერა იგი, მაგრამ იმისი გულის ტვირთი კი იქვე იყო და არც მსუბუქდებოდა. სინდისი ქენჯნიდა, „მაგრამ სინდისი ხომ ილუზიაა და სხვა არაფერი. ეს არის ის დაგორებული ქვა, რომელიც, ვთქვათ, გრძნობს, რომ მივგორავო, მაგრამ ის კი არ იცის, რომ სხვამ დააგორა და ასე ჰგონია, თვით მე ვარ მიზეზი ჩემი მოძრაობისაო. ეს მხოლოდ მოჩვენებაა და ლანდი. შეიძლება მოჩვენებამ და ლანდმაც კი დაგვტანჯოს, მაგრამ მისი სინამდვილე კი ნუ გვჯერა“. კი ბატონო, ეგრე იყოს, კეთილი, ბოროტი, სინდისი, მორალური თავისუფლება ეს ყველა მოჩვენებაა, უსხეულო აჩრდილია. ამას სადღა წაუხვალთ, რომ დაღუპეთ, გააუბედურეთ, მოჰკალით ზნეობრივად ადამიანი, თქვენი მოყვარული ადამიანი და ამის მიზეზი თქვენა ბრძანდებით? ვერაფერი თეორია თქვენ ვერა გშველით და თვით გრძნობთ, თქვენ „რაღაც“ ყურში გიჩურჩულებთ, რომ ამ დაღუპვის მიზეზი თქვენ გაგხადათ მრისხანე ბედისწერამ. „როგორ თუ წაწყმედა და დათრგუნვა სულისა“? ეკითხება ის თავის თავს: „მაშ ქვეყნად ყოფილა ისეთი რამ, რაც აღაყვავებს სულს და ისეთი რამეც, რაც დააჭკნობს; წასწყმედს და მოჰკლავს“. მაშინ ის თავის თავს მიუბრუნდება: „ოხ! მე ვარ სულით მკვდარი ადამიანი, დიახ, მე...“ სწორედ მკვდარი იყო, მაგრამ ისეთი სენით მკვდარი კი, რომ ვისაც უნდა გაევლო მისი ლეშის ახლოს, მოიწამლებოდა მაშინვე. იგი ფიზიკურად ცოცხალი იყო, ძალიან მახვილგონიერი და ნიჭიერი კაციც გახლდათ, მაგრამ რას მოახმარა თავისი ნიჭი? ქალების ტყუებასა და ბოლოს მათ გაუბედურებასაც. იგი ფიზიკურად ცოცხალი იყო, შეიძლება ცხოვრებისათვის ბრძოლაში ბევრსაც ამარცხებდა, მაგრამ სულიერად მკვდარი იყო. ის ხელახლა უბრუნდება სულის სიკვდილ-სიცოცხლის კითხვას: „ის რიღასგან არის, რომ ეს სული ცოცხლობს ერთგვარი აზრებისა და ფიქრების წყალობით და კვდება მეორეგვარი აზრების ზეგავლენით. რადა, რისთვის? მე არა ვიცი რა. განა ცოტა რამ არის კიდევ სხვა იმისთანა, რაც ჩვენ არ ვიცით? რა არის მატერია? ეს ჩვენ არ ვიცით და ამის არც არა გაგვეგება რა. ამიტომაც, მხოლოდ ერთია საკითხავი: რად არის ყოველივე? და ერთადერთი ვიცით ნამდვილად, რომ ამ კითხვას თავის დღეში პასუხს ვერ მივცემთ“. ამ დროს მას წარმოუდგებოდა ქვეყნის უბედურება, უსამართლობა და ეს კმაროდა, რომ ღმერთი უარეყო, — კეთილმა ღმერთმა ბოროტი რად შეჰქმნაო? ან კეთილსა და მართლმსაჯულ ღმერთს შეჰფერის, რომ კეთილი დასაჯოს ბოროტის მაგიერადო?

ალფრედს, ელენსა და ჩემ შორის მე ყველაზე უფრო დიდი დამნაშავე ვარ, მე კარგადა ვარ და ისინი კი იტანჯებიანო. მაგრამ კარგად იყო იგი, თუ თავს ინუგეშებდა ამით? ეს ხომ იყო, რომ იგიც იტანჯებოდა, სინდისი ქენჯნიდა მას; ეს ხომ იყო, რომ სხვისი ტანჯვის მიზეზად ის თავის თავსა ხდიდა და ვერავითარმა დიალექტიკურმა ხერხმა და ვერც ლოგიკურმა დასკვნებმა ვერ უშველეს, თავის თავი სრულიად უდანაშაულოდ ეცნო. „არავითარი არა მწამს“, — ასე ამთავრებს ის მთელ თავის სჯა-ბაასს თავის თავთან, — „მაგრამ სარწმუნოება არ ყოფილა საჭირო მის გასაგებად, რომ არის კაცობრიობის ტანჯვა-წამება და რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, ამ ტანჯვა-წამების მიზეზი არ გავხდეთ“! ასე ებრძოდა დიდ ხანს ის თავის თავს. ამ ბრძოლაში მისი ნიჰილიზმის დამამხობელი უკანასკნელი წუთებია. ამ უკანასკნელ წუთებში მისმა უარმყოფელმა ნიჭმა, მთელი თავისი ძალ-ღონე გამოიჩინა. მართალიც გითხრათ, ეს ძალღონე გვიმტკიცებს, რომ უბრალო ნიჭის პატრონთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ მით უმეტესია ჩვენი მწუხარებაც, რომ ასეთი კაცი ასე გამოუდეგრად ხმარობდა თავის ნიჭს, ხმარობდა მისთვის მხოლოდ, რომ კაცობრიობის ტანჯვისათვის მოემატებია და არა შეემსუბუქებია. კერნის ნიჰილიზმის სიმწარით ბრძოლა მისივე შესუსტებისა და დამარცხების მომასწავებელი იყო. მომაკვდავიც ხომ სიკვდილის წინ ყოველთვის „მოიხედავს“, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში, არ ვიცი რაღაც საიდუმლოების მიზეზით, მაგრამ უფრო კი მისთვის, მგონი, რომ მთელ თავის ძალასა და ღონეს იკრებს და ებრძვის ყოვლის დამამხობელ საიდუმლოებას. მაგრამ ეს მას ველარ შველის, ის მაინც ძლეული ეცემა. დაეცა კერნის ნიჰილიზმიც. მაშინ გაიღვიძა სიბრალულმა ტანჯულთადმი, — უმაღლესმა გრძნობამ, კაცობრიობის საუკეთესო და განსაკუთრებულმა თვისებამ, საფუძველმა ყოველი სარწმუნოებისა და მორალისამ. ლონდონიდან დაბრუნდება თუ არა, ელენესთან გაიქცევა. ნახავს, რომ სიბრალული ქმრისა და შვილისადმი შველის მას თავის დაღუპული ცხოვრების განსაახლებლად და გასაუმჯობესებლად. ამ გრძნობის შემწეობით ქალი თავის წარსულს აქარწყლებდა. „ამნაირად. ხსნის პრინციპი. რომელიც მან ვერ მოიპოვა უძლური გონების შემწეობით, რომელიც ვერ მისცა მას სარწმუნოების დოგმებმა, რადგან არა სწამდა ღმერთი, ეს ხსნის პრინციპი მან იპოვა იმ ჭეშმარიტებაში, რომელიც, როგორც თვით გრძნობდა. მასში დაიბადა და მისი შემწეობით მას შეეძლო ეპოვა

მოქმედებისა და ცხოვრების საფუძველი. ეს იყო რელიგია, ანუ სარწმუნოება კაცობრიობის ტანჯვისა და წამებისა.

„ცოდვა სიყვარულისა“, ამრიგად, ბურჟემ დაამთავრა თავისი გმირის მოქცევით, მისი სულიერი განახლების მიზეზი იყო კაცობრიობის ტანჯვის შეგნება. „ეს ხომ ნამდვილიაო, — ამბობს დე-კერნი. რომ კაცი იტანჯება და ესეც ნამდვილია, რომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ამ ტანჯვის მიზეზად არ გავხდეთო“. მაგრამ აქაც ხომ ისევ ის ინდეფერენტიზმია, მხოლოდ მისტიკურად შემოსილი კი. ეს უარმყოფელი მოქმედებაა, იმას კი არა ცდილობს დე-კერნი კაცობრიობას ტანჯვა შეუმსუბუქოს, არა, ისა ცდილობს მხოლოდ თვითონ არ გახდეს ამ ტანჯვის მიზეზი და სხვას არას დასდევს. ჩვენ ვნახავთ, რომ ბურჟე უფრო მეტს მოსთხოვს თავის გმირებს. ავტორის „ტანჯვა-წამების რელიგია“ დოსტოევსკის რაღაც ავადმყოფ რელიგიურ ექსტაზად. გვეჩვენება ჩვენ აქ. ეს რწმუნება იმაში იხატება, რომ ყოველი კაცის ყოველი მოქმედება მხოლოდ ერთში არის მომწყვდეული, ის რომ იტანჯოს და ამით მოინანიოს არა თუ თავისი. ქვეყნის ცოდვებიც. აქ, რასაკვირველია, ეს იმდენად არა სჩანს იტანჯებიან მართლაც დამნაშავენი, თუ არა. „La terre promise“-ში კი გაუგებარია უბრალო სულის დატანჯვა. მაგრამ ეს მხოლოდ ბურჟეს გამოურკვევლობას უნდა მივაწეროთ კიდევ, თორემ მისი „Mensonges“ და „Le disciple“ სრულ დამთავრებულ სურათს გვიხატავს ბურჟესას, როგორც რელიგიური მორალისტისას.

4

„Mensonges“-ში („სიცრუვე“) გამოყვანილია ორი ლიტერატორი: ერთია—კლოდ ლარშე, 35 წლისა და მეორე—რენე ვინსი, 25 წლისა. ლარშე უკვე საზოგადოებაში ცნობილი მწერალია. მას გამოჰყავს ლიტერატურულ ასპარეზზე რენე, რომელსაც დაუწერია ერთმოქმედებიანი დრამატიული თხზულება და კიდევაც წარმოუდგენიათ Comedie française-ში. ერთ საღამოს ორივე მწერალი დაპატიჟებულნი არიან მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ სალონში. აქ რენეს შეხვდება ერთი ქმრიანი ქალი — სიუზანა მორენი და შეუყვარდება. ბევრი მანჭვის შემდეგ სიუზანა რენეს საყვარელი გახდება. კლოდ ლარშეს კი უყვარს ერთი ვიღაც გარყვნილი აქტრისა — კოლეტი. ამ სიყვარულს სწირავს კლოდი ყოველივე კაცობრიულ ღირ-

სებას და ნამდვილ მხეცად გადაიქცევა. ერთხელ რენე კოლეტასაგან გაიგებს, რომ სიუზანა ვიღაც ზნეობით დაცემულ ბარონს ჰყავს დაქირავებული. ამაში რენე რწმუნდება ფაქტებით. ამის შემდეგ იგი უცხადებს ქალს, მიატოვოს ბარონი და მასთან ერთად გაიქცეს. სიუზანა ამაზე არ თანხმდება: რენე მას მხოლოდ პირუტყვული გრძნობის დასაკმაყოფილებლად უნდა და ბარონი კი მდიდრულად აცხოვრებდა. რენე ისეთ სასოწარკვეთილებას ეძლევა, რომ რევოლვერს დაიცემს გულში, მაგრამ რაღაც მანქანებით ცოცხალი რჩება. ექიმები კიდევაც იმედოვნებენ მის მორჩენას. ამ რომანში მოქმედი პირები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი, საზოგადოებაც ორპირად არის გაყოფილი. ორნაირ შთაბეჭდილებას ახდენს ეს რომანი: ერთის მხრით, მწარე პესიმისტურს, (თვით სახელი რომანისა — „სიცრუვე“ — გვამზადებს კიდევაც ამგვარი გრძნობისათვის), მეორეს მხრით, კი იმედს გაძლევთ, რომ ყველაფერი არ დაღუპულა, რომ არის ხსნის იმედი. ერთის მხრით, ახალგაზრდა მწერალი რენე. იდეალისტი და ნაზი გრძნობის პატრონი კაცი, მისი თავგანწირულებამდე მოყვარული, კეთილი და პატიოსანი დითა და მისი საყვარელი საცოლე როზალიათი (სიუზანას სიყვარული მიატოვებიებს მას) წარმოადგენს პარიზის პატარა საშუალო ხელის საზოგადოებას. მეორეს მხრივ, ლარშე — ეს კერნისებური ცინიკი და ხასიათდაჩლუნგებული ანალისტი (annalyste), სიუზანა — ეს უსაშინლესი როსკიპი, რომელსაც ქმარი ფარდად ჰყავს, ბარონ დეფორაჟზე ჰყიდის თავს სიმდიდრისათვის და რენე ენებათაღელვის დასაკმაყოფილებლად ჰყავს,—არიან წარმომადგენელნი გაქსუებული demi monde-ისა, რომლის ბრწყინვალე ქერქს ქვეშ იმალება დამპალი და საზიზღარი გული და სული. მშვენივრად ასურათებს ამ demi monde-ს თვით ლარშე, რომელსაც ხანდახან კაცობრიული აზრი წამოსცდება, კაცობრიული გრძნობით გატაცებულს: „ნეტავი რა გგონიათ ის ქალები,— ეუბნება ის რენეს, — რომელნიც თქვენ მიგაჩნიათ ნაზი და წრფელი გრძნობის არისტოკრატებად. ღმერთო ჩემო! იგინი არიან ცარიელი გაბერილი მედიდურება ვორტის და ლაფერიერის შეკერილი ტანსაცმლით მორთული. ათსაც ვერ იპოვით მათში, რომელთაც ნაზი და წრფელი გრძნობის ნატამალი მოეძებოდეთ. ყველაზე უფრო პატიოსანი მათში იგია, ვისაც ერთი საყვარელი ჰყავს მარტო. გაფატრეთ იგინი და შიგ გულის ნაცვლად იპოვით მხოლოდ მოდისტკის სიებს. ნახევარ დუქინს ცრუმორწმუნეობისას, რომელთაც პრინციპების მნი-

შვნელობა აქვთ მათთვის, და კიდევ უსაზღვრო სურვილს ყველას ჯობნისას". თვით ლარშეც იმდენად დაცემულია და გათახსირებული, რომ თავი ეზიზღება. ვინც წაიკითხავს ამ რომანის ბოლოს ლარშეს სიტყვებს, არ შეიძლება არ შეძაგდეს იგი, მასში კაცური აღარა არის რა. ვიღაც უწმინდურ ქალს და, უკეთა ვთქვათ, ქალს კი არა, თვით უწმინდურ გრძნობას შესწირა ყველაფერი: ნიჭი, სინდისი, თავმოყვარეობა და მთელი კაცობა. რომანში სრულიად განცალკევებულ პირს წარმოადგენს აბე ტაკონე. ეს გახლდათ რენეს გამზრდელი ბიძა. რომანში იგი სარწმუნოების წარმომადგენელია. მან დააარსა სკოლა, რომელიც აკმაყოფილებს ორნაირ მოთხოვნილებას: ტრადიციონალური ქრისტიანობისას და ეხლანდელი მეცნიერული განვითარებისას. ტაკონემ ანაფორაც მიტომ ჩაიცვა, რომ უფრო ადვილად აესრულებია თავისი პროექტი ამ ორი მიმართულების შეთანხმებისა. აი, ეს ტაკონე ეუბნება მშვენიერ სიტყვებს ლარშეს, როცა ისინი დაჭრილი რენეს ოთახიდან გამოვლენ: „ძალიან საფიქრებელი და სამწუხაროა, რომ ოცდახუთი წლის კაცს ჰქონდეს შეუდარებელი განძი, რომელსაც ტალანტი ჰქვია და რომლის შემწეობითაც ბევრი დიდებული საქმის გაკეთება შეიძლება, თუ კი რიგიანად მოიხმარება იგი, და ეს განძი კი მიეღოს ამ ტრაგიკულ დროში; იცოდეს, რომ ხვალ შეიძლება ეს ქვეყანა საუკუნოდ შთანთქას ხელახალმა საშინელმა ღელვამ; იცოდეს, რომ ამ ქვეყნის ხსნა ყველა ჩვენთაგანის საქმეა: თქვენი, ჩემი, იმისი, ამ გამვლელ-გამომვლელების; იცოდეს ყველა ეს და არ შეეძლოს სძლიოს თავის ტანჯვა, იმისაგან გამოწვეული, რომ ვიღაც გარყვნილმა დედაკაცმა მოატყუა". ის აძაგებს მათ ქცევას, მათ გარყვნილებას, მათ გრძნობების თამაშს. შეეხება მწერლების მოვალეობას, მათ გავლენას ახალგაზრდობაზე. ლარშე კი გასამართლებლად თავის თავსა და მისი კატეგორიის მწერლებს კლოდ ბერნარს ადარებს. ჩვენ კაცის გულს ისე ვეჭცევით, როგორც კლოდ ბერნარი ძაღლებსა და კურდღლებსაო (აქ თქვენ ზოლა მოგაგონდებათ, ამ წარჩინებულ მწერალსაც ხომ საშინლად უყვარს თავისი თავის კლოდ ბერნართან შედარება). ამ დროს იგინი საყდართან გაივლიან. აბე მიუთითებს ჯვარზე და ეუბნება: „მერწმუნეთ, ამაზე მეტს ველარავინ იტყვის რასმე ტანჯვისა და ვნების შესახებ. ტყუილად ნურსაიდან ელოდებით საშველს თვინიერ ამისა". ლარშე ღრმა ფიქრს მიეცემა ტაკონესთან ლაპარაკის შემდეგ. „ეს დაიხსნის რენეს", — ამბობს იგი და თვალებს გააყოლებს მიმავალს

აბეს. საშინელი სასტიკობით დაუწყებს თავის სულსა და გულს ჩხრეკა-ძიებას, თავის თავი საზიზღრად ეჩვენება. მაგრამ ეს ერთი წუთის კაცობა თითქო შეინანაო ამ სიამოვნებისთვის მოწყობილმა მანქანამ, გააცხენდება კოლეტასთან დანიშნული დრო, საათს დახედავს და მირბის, რომ არ დააგვიანდეს. რასაკვირველია, გულის მომწყვლელია ჭკუათამყოფელი კაცის ასე დაცემა, სამწუხაროა და თავში საცემი. თუ, ერთის მხრით, რომანი პესიმისტურ შთაბეჭდილებას ახდენს, როცა პარიზის საზოგადოების ერთი ნაწილის გარყვნასა და დაცემას გვაჩვენებს, მეორეს მხრით, ნუგეშს გვაძლევს, როცა ვხედავთ, რომ კიდევ მოიძებნებიან ნამდვილი კაცები, წრფელი სიყვარულითა და ერთგულებით გატაცებული და მოიძებნებიან პარიზის მიყრუებულ ქუჩებში, ან ღარიბს და ან საშუალო ქონების პატრონის სახლში, როგორიც არის რენე, მისი და, მისი საცოლე როზალია. მკითხველი უკვე შეამჩნევდა, რომ ბურჟე არა სჯერდება მარტო გმირების დასურათებას და მათი ფსიქოლოგიის აღწერას, როგორც ჩვეულებადა აქვთ ხოლმე ნატურალისტებს. ის ყოველთვის აგრძნობინებს გმირებს თავიანთ დანაშაულს: მიაყენებს საშინელ ზნეობრივ ტანჯვას (ლარშე) და შეანანებიებს კიდევაც ცოდვებს (დე-კერნი): ხანდახან, ზნეობრივ ტანჯვასთან ერთად, ფიზიკურ სასჯელსაც მიაყენებს, რომ უფრო მწვავედ აგრძნობინოს თავისი პასუხისმგებლობა ურიგო ქცევისთვის. ასე ექცევა რენეს: კინაღამ სიკვდილით არ დასაჯა! რა დანაშაულისათვის? რენემ თავისი ნიჭი კინაღამ არ დაღუპა. მის ნაცვლად, რომ გაჭირვებულ და საშინელ დროში თავის მოძმეთათვის მოეხმარებინა ეს ნიჭი, ვნებათაღელვის დევნას მიჰყვა. ეს თითქმის ქურდობაა: საზოგადოებას ჰპარავს, უკარგავს, რაც მას ეკუთვნის, რაც მას სჭირია და ეხლა უფრო, ვიდრე როდისმე. რასაკვირველია, ეს დაუსჯელად არ ჩაივლიდა. შესანიშნავია კიდევ ის, რომ რამდენადაც უფრო გარკვეულ გზაზე დგება ბურჟე, იმდენად ეს დასჯა ურიგო ქცევისა უფრო თვალსაჩინოა, უფრო სასტიკია. დეკერნს მხოლოდ ზნეობრივად სტანჯავს, რენეს ამ ტანჯვასთან ერთად სიკვდილზე მიაყენებს, გრელუს (მოწაფე) კი მოკლავს და აქით მის მოძღვარ-ფილოსოფოსსაც დასჯის.

უკვე მოხსენებული გვქონდა, პოლიტიკურმა შემთხვევებმა რა ნიადაგი მისცეს ბურჟესაგან ნაჩვენებ ყმაწვილ-კაცების აღზრდას. იქვე ნათქვამი გვქონდა, რომ ერთადერთი ნავსაყუდელი პატიოსან მუშაკთათვის ეხლა მეცნიერება იყო და ვიცით უკვე რანაირად აყვავდა ხე მეცნიერებისა და დაჩრდილა ყველაფერი. ცხოვრებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ეს დარჩა გამარჯვებული. ეხლა თქვენ ველარ ნახავთ მეცნიერებს, რომელნიც პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ჩემულობდნენ. წინააღმდეგ ესენი დაშინებულნი არიან და თავის კაბინეტ'ს ველარ შორდებიან. თანაც საზოგადო ცხოვრების დამცირებამ და დაქვეითებამ დაასო საშინელი მჭმუნვარების ბეჭედი ყოველ მათ ქმნილებას. ლიტერატურაც მეცნიერების მოსაისახურედ გადაიქცა: ფლობერი უმაღლეს იდეალს ლიტერატურის ნაწარმოებისას მხოლოდ სტილის გამშვენიერებაში და საზოგადოდ ტექნიკურ მხარეში ხედავდა. ყოველი ნაწარმოები მეცნიერებისა და ლიტერატურისა პესიმიზმით გაჟღენთილია. ეს პესიმიზმი იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან ოპტიმისტებსაც ეწვევა ხოლმე. 1852 წელს მოხდა coup-d'état[1] ისტორიული ფაქტი, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს დღემდე და არავინ იცის, თუ მას შედეგი კიდევ არ ექნება მომავალშიც. 1859 წელს მოხდა რევოლუცია მეცნიერებაში, — გამოვიდა დარვინის „გვართა წარმოება". საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ რაიმე წიგნს, რაიმე გამოკვლევას ისეთი საზოგადო ხასიათი ჰქონოდეს და ისეთი დიდი შედეგი მოჰყოლოდეს, როგორც ამ წიგნის გამოსვლას. არ დარჩენილა არცერთი მეცნიერების შტო, რომ ძირითადად არ შეეცვალოს ამ წიგნს. დიდია მისი მნიშვნელობა ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც, ფილოსოფიასა და ეთიკაშიც. ევოლუციის თეორია შეიქნა საფუძველი კაცის ტვინის ყოველი ნაწარმოებისა. ბუნების შერჩევა, მემკვიდრეობის კანონი და ყველაზე უფრო შესანიშნავი ცხოვრებისათვის ბრძოლა — ეს ფაქტორები ევოლუციისა, განვითარებისა, დღეის ამას იქით შეიქნენ ყოველივე ამხსნელნი, ყოველივეს მიზეზნი. საზოგადოების სულის მდგომარეობასაც ძალიან ეთანხმებოდა მასში გამოყვანილი აზრები, სწორედ დროის შე-

[1] ნაპოლეონ III-ის გამეფება.

საფერნი იყვნენ იგინი. კაცი მხეცის ძმად თუ არა ბიძაშვილად მაინც ხდებოდა, კაცი კაცისათვის მგლად იყო ცნობილი, კაცი შეიქნა უბრალო ხრახნილის დანამატად, რომელსაც ბუნების შერჩევა, მემკვიდრეობა და ცხოვრებისთვის ბრძოლა სადაც უნდათ იქ დასმენ და იქ წასწევენ. ყოველივე ამის დამასურათებელი და დამასაბუთებელი ფაქტი თვალწინ იყო, განსაკუთრებით საფრანგეთში. მხეცური ძალის გამეფება, მთელი ერის საუკეთესო გრძნობების შელახვა და ცხვრის მსგავსად ამ შელახვის ატანა განა უკეთეს აზრს შეგადგენინებთ კაცობრიობაზე? ამას მოჰყვა სამოცდაათიანი წლები, განუწყვეტელი კაცის ჟლეტა, ძმის სისხლის ღვრა და ტვინის ფეხით სრესა. ნუთუ ხანდახან არ დაეთანხმებით იმ დე-ჟერნსა, რომელიც გაიძახოდა, რომ Homo homini lupus est-ო. ლიტერატურამაც ხომ კვერი დაუკრა მეცნიერებას. მის მაგივრად, რომ კაცია გული — ეს უკიდურესი ზღვა — დაენახვებინა ჩვენთვის იმ ზეშთაგონების წყალობით, რომელიც მარტო რჩეულს აქვს მიმადლებული, დაენახვებინა ის კუნჭულები კაცის გულისა, რომელამდეც მეცნიერება ვერ ჩაწვდა, — არცერთი მეცნიერი უარს არა ჰყოფს, რომ ბევრში კაცის გული გამოუცნობელია, არა ჰყოფს უარსა, რომ ბევრი რამ არის მიუწვდომელი (l'inconnaissable), ლიტერატურამ მხოლოდ დარვინის თეორიების დამამტკიცებელი საბუთები დაიჩემა. მოგეხსენებათ, ზოლა და მისი რომანების სერია, რომელშიც საშინელი სიმკაცრით არის გატარებული შთამომავლობისა და ცხოვრებისათვის ბრძოლის თეორია. კრიტიკა ტენის ხელში ხომ ზოოლოგიად და ბოტანიკად გარდაიქცა[1]. ერთის სიტყვით, დარვინისა და სპენსერის თეორია მოარულ სნებასავით მოედვა ყოველივეს. მართალი ვთქვათ, მათ დიდ მნიშვნელობას ვეღარავინ ვერა ჰყოფს უარს. მაგრამ კაცის გული ხარბი და გაუმაძღარია. შეიძლება კაცობრიობის წინსვლის მიზეზიც ეს იყოს. მე კი მგონია, რომ ცხოვრება დაიშრიტებოდა, რომ კაცი კმაყოფილი იქნეს მისი აწმყოთი. ის ყოველთვის ელტვის და ელტვის სხვას რასმე. თუ რასმე მიაღწია, ამას იმდენად დაასახიჩრებს, რომ უთუოდ თავისთავისვე არასასიამოვნო შედეგს მოატანინებს, მგონი, განგებ მისთვის. რომ დაკმაყოფილებული არ დარჩეს. ასე დაემართა დარვინის თეორიასაც: არც იკმარეს ის, რასაც ეს თეორია ხსნიდა, და ვერც დააღგნენ იმ სიფრთხილეს და თავ-

---

[1] იხ-ლე ბრუნეტ-ერის L'évolution des genres.

დაჭერილობას. რომლის უდიადეს მაგალითს თვით ამ თეორიის შემქმნელი წარმოადგენდა. ამნაირად, სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა ამ თეორიების გავრცელებასა. ყოველმა ბოროტმა, მხეცმა. თავგასულ-მა და საზიზღარმა კაცმა ეს თეორიები ხელზე დაიხვია: ძმას სისხლსა სწოვდა, თუ საზიზღარს რასმე ჩაიდენდა, თავს იმართლებდა, ცხოვრებისათვის ვიბრძვიო; განა მე ამაში დამნაშავე ვარ. მემკვიდრეობამ და გარემოებამ ასე იმოქმედა ჩემზედაო. მოძმეთათვის თავდადება ხომ სასაცილოდ შეიქნა: ქვეყანა ეგოიზმზე არის აშენებული, ალტრუიზმი ოცნების მოყვარე იდეალისტების მოგონილიაო, თუ დააძალებ კაცს, მაშინ შეიძლება სხვისთვის რამე გააკეთებიო. იგი ხომ მხეცია და მხეცი კი ჯაჭვით უნდა დააბა, რომ ველარ გიკბინოსო.

იმ პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელშიც საფრანგეთი იყო 1852 წლიდან 1875 წლამდე, და ამ აზრების გავლენამ თუ რა მხეცად გარდაქმნა კაცი — ამის დასურათებას აქვს მონდომებული ბურჟეს საუკეთესო[1] რომანი „მოწაფე“ (Le Disciple). ამ თხზულებამ, როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, მრავალი მეცნიერი აალაპარაკა, მრავალ ლიტერატორს საღერღელი აუშალა და ორი-სამი წელი გაფაციცებული სჯა-ბაასის საგნად იყო. ყურადღება რომ არ მივაქციოთ მის ლიტერატურულ ღირსებებს, რომელნიც ერთხმად აღიარებულნი არიან, იმდენი ფილოსოფიური და მწვავე კითხვები აღძრა, რომ შეუძლებელი იყო მთელი განათლებული ევროპის ყურადღება არ მიექცია. დიდი ხანია, ლიტერატურას ასეთი დიდმნიშვნელოვანი კითხვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ძალიან ძვირად წამოუყენებია მას ასეთი მძიმე საფიქრალი კითხვები: რა გავლენა აქვთ ფილოსოფიასა და მეცნიერებას, რა გავლენა აქვს საზოგადოდ აზრს კაცზე? რა ძალა აქვს იდეალს? არის თუ არა მეცნიერი, ფილოსოფოსი, პოეტი, რომანისტი ვალდებული ყურადღება მიაქციოს თავის თხზულებებს, რადგან მათ გავლენა ექნებათ საზოგადოებაზე? არიან თუ არა იგინი პასუხისმგებელნი მავნე აზრის გავრცელებისათვის? ეს კითხვები მძიმე ასახსნელნი, მაგრამ ძალიან მწვავენი არიან და ამითაც აიხსნება ამ დროში იშვიათი სახელი ბურჟეს რომანისა. გარდა ამისა, რომანი იწყება წინასიტყვაობით, რომელიც გაჟღენთილია წრფელი სიყვარულით სამშობლოსა და მისი

[1] ახილე ბრუნეტიერის წერილი Revue des deux mondes, 1891 წ., 1 ივლისი.

საუკეთესო შვილების — ყმაწვილ-კაცებისადმი. ეს წინასიტყვაობა კი არა, მოწოდებაა მთელი ახალი თაობისა ენერგიული შრომისათვის· კაცობრიობისა და სამშობლოსათვის. ამით ბურჟე დილეტანტობას სტოვებს და მაგრად იკიდებს ფეხს მორალისტის ნიადაგზე. იგი დღეიდან შეიგნებს ლიტერატურის დიად მნიშვნელობას საზოგადოებისათვის და შეიქნება მისთვის გულწრფელი მშრომელი. ამ რომანით ის ჩაერია ახალი აზრების ბრძოლაში, გაუმკლავდა ეგრეთწოდებულ „უარმყოფელებსა“ და ჩადგა ზნეობისა და მოვალეობის დამცველთა ჯგუფში [1]. ის სიმწარით აღიარებს თავის უძლურებას მოქმედებისათვის, მაგრამ არიდებს სხვას დამამხობელ ძალებს, რომელთაც ენერგია· მოუკლეს და ურჩევს მათ კეთილ გზას: „გაქვს იდეალი, ჩემო ძმაო, უფრო მაღალი იდეალი, უფრო მტკიცე რწმუნება, უფრო მეტი სასოება, ვიდრე ჩვენ? თუ ჰო, მაშინ მომეცი ხელი და მათქმევინე შენთვის: გმადლობ! მაგრამ თუ არ?.. თუ არადა, მომისმინე“....

გარდა ამისა, ამ წინასიტყვაობაში დასურათებულია თვითონ გმირი ამ რომანისა (გრელუ)· ეს სწორედ ის ურწმუნო და გაცვეთილი ცინიკია, რომელიც ასე საშიშრად მიაჩნია ავტორს, და მართლაც· მთელი მისი მოთხრობა ამის დამამტკიცებელია... 21 წლის ახალგაზრდა გრელუ ჩაიდენს ბოროტმოქმედებას და იმართლებს თავსა სხვადასხვა მეცნიერული თეორიებით, რომელთა უმეტესი ნაწილიც ეკუთვნის სიქსტსა. ეს კი უარსაჰყოფს ყველაფერს, რაც შეადგენდა· დღემდე სარწმუნოებისა და ზნეობის საფუძველსა, უარსაჰყოფს ღმერთს, სიყვარულს, მეგობრობას, მამა-შვილურ და ყოველ სოციალურ დამოკიდებულებასა და განწყობილებას. კაცი მისთვის პირუტყვია; კეთილი და ბოროტი ისეთი პროდუქტია, როგორც შაბიამანი და შაქარი; მისი პოლიტიკური ინდიფერენტიზმი ხომ საზღვარს გადადის. ერთი სიტყვით, ამ ფილოსოფოსში ბურჟეს გამოხატული ჰყავს· უკანასკნელი 40 წლის ფილოსოფია თავისი ღირსებითა და ნაკლულევანებით. დარვინი და სპენსერი, ტენი და რენანი, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი, თავმოყრილია მასში. ამ მეცნიერის აზრებმა· მშვენიერი ნიადაგი იპოვეს გრელუში, და ისეთი ნაყოფიც გამოიღეს, რომელთაც თავზარი დასცეს სიქსტს. აი, აქ იბადება კითხვა კაცთა

---

[1] მნიშვნელობა სიტყვისა „უარმყოფელები“ (négatifs) და „პოზიტივისტებისა“· (positifs) იხილეთ როდის თხზულებაში, რომელიც წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, და პოლ დე-ჟანდერის Le devoir présent-ში

აზრის მზრდელთა პასუხისმგებლობისა, და აქ არის უფრო დიდი ინტერესი რომანისა. დავასურათოთ სიქსტი, დავასურათოთ გრელუ, — როგორც გონებრივი შვილი სიქსტისა, — აქედან გამოჩნდება ფილოსოფოსის აზრის კავშირი გრელუს მოქმედებასთან და თანაც მთელი აზრი თხზულებისა.

ანდრიენ სიქსტი გახლდათ „პროფესიით ფილოსოფოსი“ და ყმაწვილობიდანვე შეუდგა მის შესწავლას. ათი წელი მოანდომა ინგლისისა და გერმანიის ფილოსოფიას [1]. ზედმიწევნით შეისწავლა ბუნებისმეტყველება, განსაკუთრებით ტვინის ფიზიოლოგია. თანაც ძალიან მცოდნე იყო მათემატიკის. დიდი ხნის შრომის შემდეგ, შეუდგა თხზულებების წერას. გამოსცა პირველად „ფსიქოლოგია ღვთისა“. კრიტიკულმა ანალიზმა ამ თხზულებისა, „სადაც სიმახვილე სიმკაცრეს უდრიდა, სადაც გატაცებული უარისყოფა აღგზნებული იყო ფანატიზმამდე“ გაოცებაში მოიყვანა მთელი ძოაზრე ქვეყანა. სასტიკმა ათეიზმმა, თავიდან ბოლომდე შიგ გატარებულმა, შიშის ზარი დასცა ღვთის მსახურებს და გამოიწვია გამოჩენილი ეპისკოპოზის ბროშურა, წარმოათქმევინა აღელვებული სიტყვა კარდინალსა, რომლის მათრახებიც სულ მეცნიერსა ხვდებოდა. ერთმა ცნობილმა „მიმოხილვამ“ გამოაქვეყნა მეხთამტეხი წერილი სპირიტუალისტი კრიტიკოსისა [2]. „დიდი ხანია აღარ ნახულა ასეთი ძალა იდეათა და ასეთი საფუძვლიანი ერუდიცია, ასეთი სიფართოე შეხედულებისა და ასეთი თამამი ნიჰილიზმი“, როგორიც ამ წიგნში იყო გატარებული. დღეიდან სიქსტი უარყოფს ყოველივე გარეგან ცხოვრებას, დაიკეტება თავის ოთახში, რომ იქედან ტყორცნოს ხოლმე დამამხობელი თეორიები. „თავის დღეში ის ცოლს აღარ შეირთავს, თავის დღეში არ გამოვა საზოგადოებაში, არ მოიწადინებს არავითარი ად-

---

[1] ტენიც ხომ ასე იყო. იხილე ბრუნეტიერის L'évolution des genres.

[2] ტენის ფილოსოფიურმა ნაწერებმაც ხომ ასეთი აღელვება გამოიწვიეს მორწმუნე საზოგადოებაში (იხ. ბურჟეს Essais, ტ. 1, გვ. 179). ორლეანის ეპისკოპოზმა სიტყვა წარმოთქვა და აფრთხილებდა ოჯახის მამებს დამნაშავე ფილოსოფოსისაგან, რომელმაც გაბედა და წარმოთქვა: „რა სამეუფოსაც უნდა ეკუთვნოდეს ფაქტი, ბუნებისას თუ ზნეობისას, მას თავის მიზეზი აქვს. დიდების მოყვარეობას, სიმამაცეს, სიმართლის მოყვარეობას აქვთ თავიანთი მიზეზი, ისე, როგორც საჭმლის მონელების პროცესს, როგორც მუსკულების მოძრაობასა და ცხოველის სითბოს (chaleur animale). ბიწიერება და სათნოება ისეთივე პროდუქტია, როგორც შაქარი და შაბიამანი“ (იხ. ტენის L'histoire de la literature anglaise. შესავალი).

გილის შოვნას, არავითარი სახელისა და დიდების მოპოვებას, მთელი მისი ცხოვრების ფორმულა ეს სიტყვაა: — აზროვნება". დღის ყოველი ჟამი წინდაწინვე განაწილებული აქვს სხვადასხვა მეცადინეობისათვის. მისი მონასტრული ცხოვრება იწყებოდა დილის ექვს საათზე და თავდებოდა საღამოს ათ საათზე. სასეირნოდ თუ გავიდოდა „Gardien des plantes"-ში, მისი ერთადერთი თავშესაქცევი მაიმუნებისა და სპილოს მზერა იყო. რა აზრები გაურბენდა ხოლმე მაშინ მას თავში, როცა ამათ ხედავდა, კაცის პირუტყვობაზე და რა სარკასტული ღიმილი გამოიხატებოდა მის მკრთალ ტუჩებზე! რომ ხალხი არ ენახა, აგარაკზედ წავიდოდა ხოლმე ორშაბათობით, უქმე დღეს კი სახლში იჯდა. ჟურნალსა და გაზეთს ხომ თავის დღეშიც არ კითხულობდა[1] პოლიტიკური მისი ინდიფერენტიზმი საოცარი რამ იყო. თავის დღეში მას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. სახლობასთან კავშირი გაწყვიტა და „ეს კავშირის გაწყვეტა, როგორც ყოველი მისი ცხოვრების წვრილმანი საქმე, იყო დაფუძნებული თეორიაზე". რამდენად შორს იყო იგი ყოველსავე გარეგან ცხოვრებაზე იმით მიხვდებით, რომ მისი მსახურის ზრუნვისა და ყურადღების წყალობით ყოველ ოთხშაბათ—პარასკევს მარხულობდა, ჟილეტში ავგაროზი ჰქონდა გამოკრული და ამას ვერც კი ამჩნევდა. მისი დაუცხრომელი შრომის შედეგი, გარდა ზემოხსენებულის თხზულებისა, იყო კიდევ „ანატომია ნებისა" და „თეორია ვნებათა". ამათში იხატებოდა სიქსტის დოკტრინა. კანტის მიმდევარ ფილოსოფოსებთან ერთად, ის აღიარებდა, რომ შეუძლებელია მიზეზთა მიზეზისა და ფენომენთა (მოვლენათა) შინაარსის გაგებაო. საჭიროა ხოლმე მოვლენის რიგრიგად დაწყობა, რომ ერთი მოვლენა მეორეს მიზეზი იყოს და ეს მეორე პირველის შედეგიო. ინგლისელ ფსიქოლოგებთან ერთად ის ამტკიცებდა, რომ „ის ჯგუფი ფენომენთა, რომელსაც სულს ეძახიან, ექვემდებარება მეცნიერულ შესწავლას, თუკი მეცნიერულ მეთოდს იხმართო". მის განსაკუთრებულ თვისებას კი წარმოადგენდა ის, რომ

---

[1] გაგეგონებათ ანეგდოტი რენანის შესახებ: როდესაც საფრანგეთში თეატრი (Opera comique)დაიწვა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, ერთი თვის შემდეგ რენანი სადილად იყო მიპატიჟებული თავის ნაცნობებთან. ჩამოვარდა ლაპარაკი თეატრის დაწვის შესახებ. რენანმა თურმე არაფერი იცოდა ამის შესახებ. ნაცნობების გაოცებას რენანმა გულგრილი პასუხი უგო: „მე ხომ გაზეთს თავის დღეშიც არ ვკითხულობო".

უარყოფდა სპენსერისაგან აღიარებულ „ძიუწვდომელს“, ესე იგი იმ უკანასკნელ ნიადაგს, რომელზეც კიდევ ფიქრობენ სარწმუნოებისა და მეცნიერების მორიგებასა და შეთანხმებას. მას კი ეს მიუწვდომელი მიაჩნდა უკანასკნელ ნაშთად მეტაფიზიკური ოცნებობისა და ძალუმი არგუმენტებით აღჭურვილმა გაილაშქრა მის დასამხობად. მეორე მისი ორიგინალური აზრი მეცნიერებაში იყო დარვინის ევოლუციის მოხმარება კაცის სულიერ მოქმედებათა და თვისებათა ასახსნელად. ისა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენი უზენაესნი გრძნობანი, ჩვენი ზნეობითი სიტურფე და აგრეთვე ყოველი ჩვენი საზიზღარი მოქმედება არის უკანასკნელი წერტილი განვითარებისა, უმაღლესი მეტამორფოზა მარტივ ინსტინქტთა, რომელნიც დამყარებულნი არიან ადრინდელ ცელულას (უჯრედის) თვისების შეცვლაზე. ასე რომ ზნეობრივი თვისება წარმოდგება ფიზიკური თვისებიდან. რაღა თქმა უნდა, რომ იყო სრული დეტერმინისტი. „ყოველი მოქმედება, — ამბობს ის, — არის მიმატება. ვინც ამბობს, რომ ეს მოქმედება თავისუფალია, ის ამბობს და გვარწმუნებს, რომ ჯამი უფრო მეტია შეერთებულ რიცხვებზე, ეს კი ისეთივე აბსურღია ფსიქოლოგიაში, როგორც მათემატიკაში“. დეტერმინიზმი კი არა, ფატალიზმიც კი დაკმაყოფილდებოდა ასეთი მკაცრი სიტყვებით. ის მხოლოდ აზრებით ცხოვრობდა, თავბრუდასხმულივით სხვა არა გაეგებოდა რა; ამ ქვეყნიერებას ხომ მოშორებული იყო და მხოლოდ იდეებში იყო დაფლული. საეჭვოა მას ეგრძნოს ოდესმე რაიმე, არც დასჭირვებია გამოეცადა რამ გრძნობა: „თავის დღეში არ მოსურვებია მას სიახლოვე ნაზი და თანამგრძნობი სულისა, თავის დღეში არ უგრძვნია საჭიროება არავითარი კავშირისა, არც ცოლ-შვილისა, არც თავგანწირულებისა, არც სიყვარულისა და არც მეგობრობისა“. იმას კი ნუ დაივიწყებთ, რომ, ბუნებით უწყინარი და მშვიდი, იგი ბუზსაც კი არას აწყენინებდა, სპინოზა ობობებს მაინც ჭყლეტდა. უთუოდ „კაცისადმი კეთილი და სულგრძელი იყო იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თავის ოთახში სკამს ნელა და ნაზად გადადგამდა“. თანაც ასეთ უცნაურ რამეს გამოთქვამდა: სამწუხაროა, საზოგადოება მეცნიერებს არ ანებებს ბავშვებს ცდისთვისო, ბავშვები საუკეთესონი იქნებოდნენ იმის საცდელად, თუ სხვადასხვა მოვლენა რა და რა გავლენის ქვეშ უფრო კარგად გამოიხატებაო. „მაგრამ ვის დააჯერებთ, — ეუბნება გამომძიებელს სიქსტი (გრელუს საქმეზე ხომ ესეც დაიბარეს). — რომ მეცნიერებისათვის დიდად სასარგებ-

ლოა, მაგალითად, ბავშვებს ვაძლიო სისტემატიურად რაიმე ბიწიერება ანუ „ნაკლი“. თუ ვისმე დაელაპარაკებოდა, მაგალითად, ზოგიერთ მეცნიერსა, მხოლოდ პროფესიონალურ საბაასოდ. ზოგს ქიმიაზე ელაპარაკებოდა, ზოგს უმაღლეს მათემატიკაზე და ზოგს ძარღვების ავადმყოფობაზე; იგი არ წუხდა—ჰყავდათ მათ ცოლშვილი თუ არა, აქცევდნენ შვილების აღზრდას ყურადღებას თუ არა, ცდილობდნენ სამსახურში წარმატებას თუ არა, რას ფიქრობდნენ საზოგადოების შესახებ და სხვ. ან კი რისთვის? განა მისთვის სულ ერთი არ არის? „ფილოსოფოსთათვის არ სუფევს,—ეუბნება იმავე გამომძიებელს, — არც კეთილი და არც ბოროტი, ჩვენი სურვილი არის ერთგვარი ფაქტი, რომელიც ერთგვარ კანონებს ექვემდებარება. გათავდა და მორჩა“. ასეთ სურათს წარმოადგენდა ეს ფილოსოფოსი, როცა ერთ დღეს სასამართლოში დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ ზნეობრივ მოვალედ ხდიან გრელუს ბოროტმოქმედებაში, რადგან სახავენ მისი გონების მწვრთნელად და მმართველად. როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარ ბრალმდებელს ამაყი პასუხი მისცა სიქსტმა: „ახირებულია, თქვენმა მზემ, რომ პასუხისგებაში ჩააგდოთ რომელიმე დოქტრინა, იმიტომ რომ ვინმე უგუნურმა შეუსაბამო და უცნაური ახსნა მისცეს მას. ეს ხომ იმას ემსგავსება, რომ ქიმიკოსი დასაჯოთ იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მისი გამოგონილი დინამიტებით ჩაუდენია ვისმე. ეს ისეთი საბუთია, რომელიც ყურადღების ღირსი არ არის“. მაგრამ ბოლოს თვით ფილოსოფოსი მიაქცევს ამ საბუთს დიდსა და უდიდეს ყურადღებას. ეხლა კი ის გაჯავრებული მიდიოდა თავისი სახლისაკენ. როგორც გულკეთილსა და უზრუნველ ბურჟუას, მას აწუხებდა, რომ ამ საქმეს არ დაერღვია მისი მშვიდი ცხოვრება, ენანებოდა, რომ ორ-სამ საათს წაართმევდა. როგორც ფილოსოფიურ პოლემისტს, მას სტანჯავდა ის აზრი, რომ მისი მოწინააღმდეგენი ხელზე დაიხვევდნენ ამ ფაქტს და მთელი მისი ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოილაშქრებდნენ. როგორც ფსიქოლოგი კი, იგი გრელუს ამ შემთხვევას აღტაცებაში მოჰყავდა, რადგან ამით მისი ფილოსოფიური ფორმულა მტკიცდებოდა, რომელიც ერთ თავის წიგნში გამოთქვა. „ყმაწვილი კაცი ეჭვიანობს და ჰკლავს... აი, ერთი დამამტკიცებელი ფაქტი კიდევ. რომ ინსტინქტი

დამხობისა და სიყვარულისა ერთსა და იმავე დროს იღვიძებს მამაკაცში“ [1].

სასამართლოდან დაბრუნდება თუ არა სიქსტი, გრელუს დედა ეცემა და მასვე ბრალსა სდებს: „მან დაჰკარგა სარწმუნოება თქვენი და თქვენის ნაწერების წყალობით, ბატონო ჩემო. ის თქვენი მოწაფეა, თქვენ მისი მოძღვარი ხართ“. ეხვეწება უშველოს, ეცადოს და დაუხსნას შვილი. ამასთან, გადასცემს ფილოსოფოსს გრელუს აღსარებას. გამწარებულმა დედის ნახვამ, მისმა ცრემლებმა, მისმა მდუმარებამ ამ გამოფიტული კაცის გულის სიღრმეში სულ სხვა სიმპათიური გრძნობები აშალა. ახლა კი იწყება ხანა, როდესაც თავისი პასუხისმგებლობა თანდათან ეზრდება თვალწინ. შიშითა და კრძალვით იღებს გრელუს აღსარებას. ათასჯერ გადასდებს, განა თუ მარტო მისთვის, რომ გრელუ ეხვეწებოდა, თუ ვისმე ეტყვი, რაც აქ სწერია, მაშინ ნუ წაიკითხავო! არა. მას ეშინოდა, მართლა არ გამოჩენილიყო მისი გავლენა ამ ბოროტმოქმედების ჩადენაში. გული უკანკალებდა, ვაი თუ გამართლდეს ის ბრალდება, რომელიც დღეს ორჯელ გავიგონეო. „ანგარიში ვერ მიეცა თავისათვის, ისე კი ძაგძაგებდა, მის სულის სიღრმეში რაღაც არეულობა ხდებოდა. დიდ ხანს იბრძოლა, ბოლოს ფსიქოლოგიურმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა, და გადაშალა გრელუს „აღსარება ეხლანდელი ყმაწვილი კაცისა“. ეს ფატალისტური მოთხრობა ამ სიტყვებით იწყებოდა: „დიდებულო მოძღვარო, თქვენსა და ჩემს — თქვენს მოწაფეს — შორის რომელსაც ბრალდება უსაშინლესი დანაშაული, არსებობს კავშირი. ეს კავშირი მომაკვდავთათვის გაუგებარია, თვით თქვენც არ იცით, მაგრამ მე კი ვგრძნობ, და იმასაცა ვგრძნობ, რომ ეს კავშირი ისეთივე მტკიცეა, როგორც განუწყვეტელი. მე ვცოცხლობდი თქვენი აზრით. საუკეთესო და მნიშვნელოვან დროს ჩემი ცხოვრებისას მე ვიყავი გატაცებული თქვენი აზრებით, მე ვიყავი მთლად გაჟღენთილი მით“. საზოგადოდ, მოვლენათა შესწავლა და მათი ნამდვილი მიზეზების გამორკვევა ძლიერ ძნელი რამ არის. მაგრამ ეს სიძნელე ორკეცდება, როცა საქმე ეხება სოციალურ მოვლენებს და განსაკუთრებით კაცის გულისა და სულის თვისებებს. აქ არასდროს არ არის ერთი მიზეზი ამა თუ იმ მოვლენისა; არის ათასი, ათიათასი და იმდენად ერთმა-

[1] იხ. ლიტრეს განმარტება სიყვარულისა მისივე ლექსიკონში; ლიტრეც ხომ ტენის ჯგუფის პოზიტივისტი იყო.

ნეთზე გადახლართული, რომ მათი გამორკვევა ხანდახან შეუძლებელი ხდება. რომ კარგად შევიგნოთ გრელუს ტიპი, მისი ცხოველი სურათი, ამისათვის უნდა განვმარტოთ, რა გავლენათა ზემოქმედებით გამოტყვრა ეს უცნაური კაცი. უმთავრეს ყურადღებას კი მივაქცევთ აზრთა გავლენას, რაც მიზნად აქვს თვით რომანსაც. უკვე ხომ ვიცით რაგვარი იყო სოციალური გარემო, რომელშიც გაიზარდა კერნი, ლარშე და გრელუ? ეხლა სხვა მოვძებნოთ. თვით გრელუ უჩვენებს, რომ მის აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონია შთამომავლობას, რომელმაც ამ რიგად იმოქმედა მასზე: მამა მისი იყო ინჟინერი, ძლიერ უყვარდა მათემატიკური მეცნიერება და ნიადაგ შრომობდა მათემატიკის განყენებულ თეორიებზე. ძოკლებული ყოველნაირ ფიზიკურ ვარჯიშს, ის მხოლოდ აზრით ცხოვრობდა, გრელუსაც ბავშვობიდანვე საშინლად უყვარდა განყენებული აზრები და ძალიანაც ეაღვილებოდა განყენებული აზრის წარმოთქმა; მასაც იტაცებდა ყოველი გონებრივი მოქმედება და ვარჯიშობა, ხოლო ფიზიკური ძოძრაობა ეზიზღებოდა. „მე საშინელ შიშსა ვგრძნობდი ყოველგვარი მოქმედებისადმი, იმდენად მეჯავრებოდა იგი, რომ ჩემთვის სიკვდილის მსგავსი იყო ვისმესთან სადარბაზოდ წასვლა. წარმოიდგინეთ, ისიც კი მეზარებოდა, რომ ვისმესთან მებაასნა, თუნდაც უძვირფასესი ჩემი აზრების დასაცველად“. განყენებული აზრების ვარჯიშობის ნიჭთან, გონებრივი ცხოვრების წადილთან ერთად მან დაიმკვიდრა მამისაგან ამაყი ხასიათი და სუსტი მუსკულები, რომელნიც მისი ძარღვების ძალას ერთ ბეწო წინააღმდეგობასაც კი ვერ უწევდნენ. სძაგდა სულ მარტივი, უმცირესი მოქმედება, მაგრამ აღვირწახსნილი და თავდაუკავებელი სურვილები კი ჰქონდა, ისე რომ თუ რამე მოუნდებოდა, თავს ვეღარ მოერეოდა, რომ თავისი სიხარბე ჩაეჩუმებია. მოქმედების სიძულვილის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ მისთვის შეუძლებელი შეიქნა თავის ვნებებს წინ აღდგომოდა. ბავშვობიდანვე მასში იღვიძებს ანალისტი (annalyste). უკვე დიდი ხნიდან ამჩნევდა თავის ორ-ბუნებოვანებას. ერთი კაცი მასში დადიოდა. სჭამდა. სვამდა. ლაპარაკობდა, მეორე კი უცქეროდა ამ ცოცხალ კაცს და მის მოქმედებებს სჯიდა. ბავშვობიდანვე უბრალო მოვლენას მასზე უშველებელი შედეგი მოჰყვებოდა. საკმაო იყო ოდნავ მოჰკარებოდა რამ მის ავადმყოფ გრძნობიერებას, რომ ის საშინლად აღელვებულიყო. წარმოიდგინეთ, რა ფაქტი უღვიძებს მას ამაყობას, რა შემთხვევა არწმუნებს, რომ იგი, და მასთან ერთად მოაზრე კა-

ცობრიობა, ოლიმპის ღმერთია, რომელსაც ნება აქვს დაცინვით ღა ზიზღით უყუროს ქვეყნიერებას. დედას საყდარში დაჰყავს ხშირად. მამა არ დადის ხოლმე. როგორც მოგახსენეთ, ბავშვობიდანვე ჩხრეკა-ძიებას მიჩვეული გრელუ იკითხავს მიზეზს მამამისის საყდარში უსიარულობისას. დედა ეუბნება, რომ როგორც ბავშვს, მას არც შეფერის და არც სჭირდება იცოდეს ეს მიზეზი. ამ სიტყვებმა ჩამოაშორეს მას საუკუნოდ დედა, მიხვდა რა, რომ დიდი მანძილია ამ გულუბრყვილო, მაგრამ უაზრო დედაკაცსა და მას შორის, რომელიც იძიებს ყოველივეს მიზეზს და შედეგს, და სრულიად ვერ დააკმაყოფილებს თავის კრიტიკულსა და ეჭვიან ნიჭს ამგვარი პასუხებით — „რა საჭიროა იცოდე“ და სხვ. ამ სიტყვებმა დაანახვეს მას, რომ ჩანს უმაღლესთ და უწარჩინებულესთ გონებათა (მამამისი ითვლებოდა ერთ საუკეთესო მცოდნედ იქ) აქვთ ნება არ აღასრულონ ის, რაც სხვებისათვის სავალდებულოა. აქედან მან თავისი რწმუნება გამოიყვანა: „ერთსა და იმავე კანონს არ ექვემდებარებიან დიდი ჭკუისა და გონების მექონნი და უბრალო მომაკვდავნი... რომ მოაზრეებმა არ უნდა მიიჩნიონ კანონად ის, რაც არის და კიდევაც უნდა იყოს კანონი მათთვის, ვინც აზროვნებას მოკლებულია“. თუ მამის თვისებები პირდაპირ გადმოეცა, დედისამ წინააღმდეგ იმოქმედეს მასზე. ყოველი დედის თვისება ზიზღსა ჰგვრიდა, დედა სულ სხვა ჯურის არსებად მიაჩნდა. ყოველთვის უმალავდა მას თავის მოქმედებას. თავდაპირველად უმალავდა, იმიტომ რომ ეშინოდა და ერიდებოდა, შემდეგ კი სიამაყე ნებას არ აძლევდა მისი, კაცობრიობის უმაღლესი ჯიშის, აზრები და გრძნობები ვიღაც უბადრუკისათვის გაეზიარებინა. „თუ ვერ ბედავ,—თავი აჩვენო ვისმე, მაშინ უნდა განცალკევდე და თუ განცალკევდი, მაშინ მალე შენი თავის არჩევასა და ტრფიალებას დაიწყებ“. ჯერ დედას ეტყოდა ასე, მერე ამხანაგები და ოსტატიც კი აღარ დაინდო. მათგანაც განირჩეოდა, მათზეც მაღლა იდგა თავისი აზრით: „ვგრძნობდი, რომ მათგან განვირჩეოდი აი რითა: მე მესმოდა მათი და მე კი მათთვის გაუგებარი რამ ვიყავი“. ასე რომ, მალე თავისი თავის მეტი აღარავინ არაფრად მიაჩნდა, ამიტომაც სრული და უსაზღვრო ეგოისტი გახდა, რომელიც ენერგიული ზიზღით და მედიდურებით ექცეოდა ყოველთა და ყოველივეს. ერთში მისდევდა იგი მხოლოდ დედის რჩევას. ეს იყო აღსარების თქმა. ის თითქმის გატაცებული იყო ამ მოქმედებით, რადგან „თავის შინაგანი თვისების ჩხრეკა და ძიება შეადგენდა მისთვის ბავშვობიდანვე

ძალიან სასიამოვნო თავისშესაქცევს“. „ჩემი აზრისა და გრძნობის შიშითა და კრძალვით ძიებამ და ყურებამ, ჩემი შინაგანი არსების უფრო დამალული კუთხეების გამოჩენამ იმდენად გამიტაცა, რომ აღარაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი. ჩემმა ანალიტიკურმა გონებამ ძლივს იშოვა სამუშაო საგანი!“ ამ დროს ისეთ აღტაცებაში მოდიოდა და მერე ისეთნაირ დაღლილობასა და მოდუნებას გრძნობდა თავისი ნერვებისას, რომ თითქმის ავადმყოფს ემსგავსებოდა, მაგრამ ამგვარი სარწმუნოებრივი მოქმედება უფრო ურწმუნოების მომასწავებელი იყო და მალეც გაქრა, პირველ შეტაკებისთანავე სკოლაში გაგონილ ათეისტურ ფილოსოფიურ აზრებთან. ამ დროს კიდევაც დავაკაცდება. თანამედროვე ლიტერატურამაც დროზე მოუსწრო, მიუსეს გონების ამშლელმა პოემებმა და სხვა მსგავსმა გაუღვიძეს მამაკაცის ინსტინქტი და ის პირველ შეხვედრილ ქალთან დაიჭერს კავშირს, რომელიც შემდეგ აღარ შეწყდება. ასე მომზადებული იყო ეს კაცი ზნეობრივად და გონებრივად, როცა გადავიდა იმ კლასში, საცა ფილოსოფიაა ასწავლიან. ხელში ჩაუვარდება სიქსტის თხზულებანი. ამ თხზულებათა მის აზრთა დენაში იგივე გავლენა იქონიეს, რაც მიუსეს ლექსებმა მის ფიზიოლოგიურ თვისებაზე. „თქვენ დაინახავთ, — წერს თავის აღსარებაში ის, — როგორ შევადგინე მე თქვენი ნაწერებიდან სრული ეთიკა, რომელმაც დააწყო სხვადასხვა არეულ-დარეული ელემენტები ჩემ გარშემო“. სიქსტმა დაუმტკიცა, რომ ყოველი აზრი შესახებ პირველი მიზეზისა არის შეუსაბამო და უგუნურება: მისმა ფილოსოფიამ ამცნო, რომ ღმერთი არ არის. „მე რაღაც ფიზიკურ სიხარულსა ვგრძნობდი, — ამბობს ის, — როცა თქვენი წიგნებით ხალხში ვარღვევდი მთელ შენობას სარწმუნოებისას, რაზეც აღვიზარდე“. მან დაუმტკიცა, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი პირადობის, ჩვენი არსების განშორებაო, რომ ყოველივე კავშირი ორ არსებას შორის ილუზიაზეა დამყარებულიო; თავისი ორბუნებოვანება მას ეგონა გულწრფელობის უქონლობის მიზეზი, მაგრამ სიქსტმა დააჯერა, რომ ეს შთამომავლობის ბრალია. მან მისცა ეს საზარი სიტყვები გრელუს ხელში, რომლითაც ხელმძღვანელობდა მთელ შემდეგ მოქმედებაში: „ყოველი სული მეცნიერმა უნდა მიიჩნიოს, როგორც ბუნებისაგან გაჩენილი ექსპერიმენტი, აქ ექსპერიმენტი ზოგი სასარგებლოა საზოგადოებისათვის და მაშინ წარმოთქმენ ხოლმე სიტყვას — „სათნოება“, ზოგი კი მისთვის მავნებელია და ამას აღნიშნავენ სიტყვით — „ბიწიერება“,

ანუ დანაშაულობა. ამ უკანასკნელთ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ და მეცნიერებას მოაკლდებოდა ერთი უსაჭიროესი ელემენტი, რომ, მაგალითად, ნერონი ან რომელიმე ტირანი იტალიაში XV საუკუნეში არ დაბადებულიყო!“ გესმით ეს თუ არა? დავანებოთ თავი ზნეობრივი სიტურფის მოთხოვნილებას, სარწმუნოებასა და სხვა ამგვარებს, რომელთანაც მეცნიერებას ხელი არა აქვს. ავიღოთ მეცნიერებისაგან აღიარებული უტილიტარული თეორია. ეს მაინც უნდა იყოს მიჩნეული საჭიროდ, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლოა, რაც სასარგებლოა გვარისათვის. სიქსტი კი არცერთ ამას ყურადღებას არ აქცევს. კაცი, საზოგადოება, ყოველივე განძევებულია და საუკეთესო ქურუმს მეცნიერებისას წამოუყენებია რაღაც აბსტრაქცია, მეცნიერება, რომლის გამოსაცდელად უფრო საჭიროა ნერონი, ვინემ იესო ქრისტე, ამისათვის, რასაკვირველია, უნდა ეცადოს ნერონების გამრავლებას. მეცნიერება მაშინ არის კარგი, მაშინ არის სანატრელი, თუ იგი ემსახურება კაცობრიობას, თუ იგი ეხმარება და შველის მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თორემ მეცნიერება — მეცნიერებისათვის, ხელოვნება — ხელოვნებისთვის — ეს სწორედ უაზრო რამ არის. მაგრამ სიქსტს ოცი და ოცდაათი წლის განყენებულმა ცხოვრებამ სრულიად გადაავიწყა კაცობრიობა. ის იჯდა თავის ოთახში, რომლის სარკმლიდან მხოლოდ ცა თუ მოჩანდა, სწერდა ასეთ საშინელ სიტყვებს და ის კი არ იცოდა, რომ ეს თეორიები, ცხოვრებაში ისეთივე სისასტიკით გაყვანილნი, როგორც ქაღალდზეა დაწერილი, ისეთ რამეს მოახდენდა, რაც თვით სიქსტს გონებას აურევდა. ამ ფრაზას მან შესწირა ექვსი და შვიდი სტრიქონი და ერთი ნაფლეთი ქაღალდი. გრელუმ კი, რომელიც ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, სამი და ოთხი ადამიანი შესწირა მას და ზედ თავისი თავიც გადაატანა. სწორედ ამ ეთიკით აღჭურვილი გრელუ ჩავარდება მარკიზ დე ჟიუსას ოჯახში და აი აქ ყოველ მის საზიზღარ და საზარელ მოქმედებას ხსნის სიქსტის თეორიებით. დაინახავს თუ არ მარკიზის შვილს ანდრეს, შეეზიზღება, და ეს ადვილი გასაგებია: თუ სულს სულთან თვისტომობა აქვს, უთვისტომობაც ექნება და ამისთანა უთვისტომონი ერთად მგონი არასოდეს არ შეყრილან. ანდრე იყო ომში გამოჩენილი მამაცი, ენერგიით სავსე სამხედრო კაცი, რომლის სიტყვა— საქმე იყო, რომელიც სულ მოძრაობდა და ძალიან ცოტას კი აზროვნებდა. ერთი სიტყვით, დამჯდარი ბუნება იყო. გრელუ კი უარ-

მყოფელი ყოველივე ფიზიკური გარჯისა, მარტო აზროვნებას შეტრ-ფოდა. მგონი სულის მოთქმაც კი ეზარებოდა, რადგან მოძრაობა იყო. მისი მოძრაობა, მისი საქმე — აზროვნება იყო. თანაც დამაშხ-ბელი ნიჰილისტი იყო. გასაგებია, რად არ მოეწონა მას ანდრე. მაგ-რამ ზიზღით ყურება და სიძულვილი სრულიად საჭირო არ იყო. მაგრამ წარმოვიდგინოთ, როგორც ავადმყოფი გრძნობის პატრონს არ მოეწონა და კიდევაც შეზიზღდა. მასზე ხომ ყველაფერს გადამე-ტებული გავლენა ჰქონდა. ამის მეცნიერულად ახსნა და მით ამაყობა სრულიად უსაფუძელო და უმნიშვნელოა, ამ ფაქტში ის ხედავს ატავიზმს. აი როგორ: თურმე ჟიუსა ეკუთვნის დამმარცხებელ რასას და თვით გრელუ კი დამარცხებულს. რასაკვირველია, დამარ-ცხებულთ სძაგთ დამმარცხებელნი. გრელუს, როგორც ჩამომავალს პირველთა, ატავიზმის მიზეზით შესძულდა უკანასკნელთა ჩამომავა-ლი. ძლიერ ორიგინალური და გაბედული ახსნაა, მაგრამ ძლიერ ცო-ტა მეცნიერება კია აქ. ატავიზმი, მემკვიდრეობა — ეს ჰიპოტეზა არის, და ასეთ სიმკაცრეს ხომ, როგორსაც აძლევს გრელუ, მათემა-ტიკური კანონებიც კი მოკლებულნი არიან.

მარკიზ დე ჟიუსას ქალის სილამაზე მოხიბლავს მას და გაუღვი-ძებს მხეცურ გრძნობებს. ის გრძნობს მისდამი მხოლოდ მხეცურ მიმზიდველობას, მაგრამ, არა, აქაც მეცნიერება უნდა მოეხმაროს. განა ეკადრება გრელუს, ინტელექტუალისტს, რაიმე მოიქმედოს ისეთი, რაც სხვადასხვა მეცნიერულ თეორიებზე არ იყოს დამყარე-ბული? „მე გადავწყვიტეო, — ამბობს ის, — სრულიად გულგრილად ამ ქალის მოხიბვლა, ისე რომ არც კი მყვარებია, მხოლოდ ფსიქო-ლოგიური ცნობისმოყვარეობისათვის, უბრალოდ, თავის შესაქცე-ვად, რომ მეთამაშებინა ეს გულუბრყვილო სული და მე კი შორიდან მეჭვრიტა ამ ვნებათაღელვის მეხანიზმისათვის, რომელსაც დღევან-დელ დღემდე მხოლოდ წიგნებიდან თუ სწავლობენ. მხოლოდ ერთი სურვილი მიტაცებდა მე, გამემდიდრებინა გონება ახალი გამოცდი-ლებით... დიახ, მე ასე მსურდა და არც შემეძლო, რომ ასე არა მსურ-ვებოდა, (მოიგონეთ დე-კერნი), რადგან მემკვიდრეობამ და აღზრდამ ისეთ კაცად შემქმნა, რომ იმ წრეში, სადაც მე ჩავვარდი შემთხვევის წყალობით, საშინელი ზიზღით სავსე გულით იმ ჩემს მოწინააღმდე-გე ყმაწვილ-კაცისადმი, სწორედ ასე უნდა მოვქცეულიყავ“... „შეიძ-ლება მოხიბვლის წადილში იმალებოდა ბოროტი წადილი ამ ჯარის-კაცის დამცირებისა, ამ კეთილშობილი კაცისა და ამ მორწმუნეს

წმიდათაწმიდის შებღალვისა“. ეს, რასაკვირველია, ერთი მიზეზთა-განია იმის მოქმედებისა, ისე, როგორც „შარლოტას რომანტიული სიტურფე“, ისე, როგორც პირადად მისი გაცვეთილობა და გარყვნილება. საკვირველია, ამბობს ის ერთ ადგილას, თუმცა ზიზღით ვუყურებ რევოლუციის დოქტრინებს, მაგრამ ჩემში პლებეისა ვხედავდიო, როცა წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ შესაძლებელია მე, შვილიშვილმა მიწის მუშათა, მივაღწიო და მოვხიბლო შვილისშვილი დიდი მებატონისა მხოლოდ ჩემი გონიერების ძალითაო. ამ დღიდან თავისი მოქმედების გეგმას, „ფილოსოფიურ ტექსტებზე დამყარებულს“, დიდი გულდასმითა და ენერგიით ასრულებს. არ ზოგავს არც სიცრუეს, არც ორპირობას, არც ფარისევლურ ცრემლებს, რომ გამოიწვიოს შარლოტას გულში ჯერჯერობით მარტო სიბრალული. მან კარგად იცოდა, რომ სიბრალული ასეთი ქალის გულში დასაწყისია და წინამორბედი სიყვარულისა. უნდოდა თავი შეეცოდებინა და ამით შეეყვარებინა თავი. განა სიქსტის თეორია რას ეუბნებოდა? „სიბრალულში არის ფიზიკური ელემენტი, რომელიც განსაკუთრებით ქალებში სქესის გაღვიძებასთან ერთად იბადება“. შემდეგ ისა ცდილობს აკითხოს შარლოტას ისეთი წიგნები, რომელნიც ხელს შეუწყობენ მის ვნებათაღელვის გაღვიძებას. ბოლოს იქამდეც მიაღწევს, რომ ტყეში ერთხელ თავდავიწყებულ ქალს ტუჩებს ჩაუკოცნის. საქმე სერიოზულ მიმართულებას ღებულობს, გრელუს კი ეს არ შეაჩერებს. ამ ქალის უბიწოება, მისი პატიოსნება და ანგელოზური თვისებანი, თუ ხანდახან რაიმე პატივისცემის მსგავსს გამოიწვევენ მის გულში, თავს ასეთი სიტყვებით დაიმშვიდებს: „თითქო არ ვიცოდე, რა ფასიცა აქვს სიტყვას — „პატივისცემა“, რომელიც ჩვენი უგუნურობის ნაყოფია; ნუთუ პატივსა ვცემთ იმ მოთამაშეს, რომელიც ათჯერ იგებს რულეტკაზე? მაშ, ამ ქვეყნის ლატარიაში კეთილი და ბოროტი იგივეა, რაც რულეტკის წითელი და შავი. პატიოსან ქალიშვილს და იღბლიან მოთამაშეს ერთი და იგივე ღირსება აქვთ“. შარლოტა კი პირველი დამარცხების შემდეგ გონს მოდის, ხედავს თუ რა დიდი ზღვარი უძევს შუაში მას და გრელუს. ხედავს, რომ შეუძლებელია მათი შეუღლება, რომელსაც ყოველნაირად წინააღუდგებიან მშობლები და განსაკუთრებით ძმა. ნერვებაშლილი, თითქმის ავად ხდება და მოჰყავთ პარიზში. ბევრსა სწერს გრელუ, მაგრამ პასუხი არ მოსდის. გრელუმ კარგად იცის, რისთვის წავიდა შარლოტა პარიზში, კარგად იცის, რა საშინელი ბრძოლა

არის მის გულში ატეხილი. თვითონაც საშინლად იტანჯება. ხანდახან მისი სევდა შეყვარებულის სევდას მოგაგონებთ. უნდა დაგვაჯეროს, რომ მხოლოდ „აზრით იტანჯება“, მაგრამ გულითაც ხვნეშის და ოხრავს. მას აწუხებს, ბრაზსა ჰგვრის ამ ქალიშვილის სულიერი ძალა. ერთ დღეს მარკიზს წერილი მოუვა, სადაც ატყობინებენ, რომ მისი ქალიშვილი თანხმდება გაჰყვეს ცოლად ანდრეს მეგობარს, რომელსაც უწინ უარი უთხრა. გრელუს სიბრაზეს საზღვარი აღარა აქვს, მისთვის ყოველივე დაკარგულია. მაგრამ ბედიც თითქო ეხმარება. მისი შეგირდი ავად გახდება და შარლოტა დაბრუნდება სოფელში. გრელუ მაინც ვერაფერს აწყობს. მაშინ უკანასკნელ ხერხს მიმართავს, სწერს შარლოტას, რომ გადაწყვიტა თავის მოკვლა. ამ გარდაწყვეტილებაში სიწრფელის ნაწილიც ერია, ასე გასინჯეთ, საწამლავიც კი მოამზადა; თვითონვე ამბობს, რომ ამ ხანაში ჩემი თავისა არა გამეგებოდა რაო. დანიშნულს დროს გულისცემით უცდის შარლოტას შემოსვლას. კარგად იცოდა, გამოანგარიშებულიც ჰქონდა, რომ გადაწყვეტილება შარლოტას მიიყვანდა მის ოთახში. გულუბრყვილო ქალი, დარწმუნებულია, რომ გრელუ მართლა მოიკლავს თავს, თვითონაც გადაწყვეტს თავის მოკვლას. გრელუ ემუდარება, რომ დაიკმაყოფილონ მაინც თავიანთი გული ერთმანეთით, რაკი სიკვდილი გადაწყვეტილი აქვთ. როცა შარლოტა ამაზე დაეთანხმება და, ამასთან ერთად, სიცოცხლის მოსპობის სურვილს გამოუცხადებს, ისიც შეჰფიცავს: „ოხ! მოვკვდეთ ერთად, უთუოდ მოვკვდეთ ერთად, გეფიცები, რომ ჰო!“ მხეცური სურვილების დაკმაყოფილების შემდეგ, გრელუ გამოფხიზლდება და სულ სხვა ჰანგზე დაუწყებს ბაასს შარლოტას და არა თუ თვით არ იწამლავს თავს, ასაც არ დაანებებს — გამწარებული და გაბრაზებული შარლოტა გარეთ გამოვარდება ამ სიტყვებით: „უპატიოსნო, ფლიდო და ბინძურო კაცო!“ ამის შემდეგაც გრელუ სდევს შარლოტას. ის კი დღეიდან მკვდარია. მაგრამ მისი პატიოსნებითა და სათნოებით სავსე გულს ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია ასეთი სიბინძურე კაცისა. ის ამ ურიგო ქცევას ჩაიდენს, რომ წინააღმდეგში დარწმუნდეს: გრელუს ჰქონდა დღიური, რომელზეც შარლოტას თვით მისგან გაუგონია, ქალი შეიპარება მის ოთახში და გადაიკითხავს დღიურს. იქ ნახვს, თუ რა აზრითა და გრძნობით გატაცებული მისულა მასთან გრელუ და სასოწარკვეთილი ქალი თავს იწამლავს. მაგრამ გრელუს რა უჭირს? ის ყოველთვის იშოვის თავის გამამხნევებელსა და მანუგეშებელ თეორიებს: „თქვენ კარგად

იცით, — სწერს ის აღსარებაში — ფატალურად აუცილებელი იყო ჩემი ასეთი მოქმედება, საზოგადოებას კი, სიცრუითა და ორპიროობით შეზავებულს, სურს იცხოვროს თვინიერ მეცნიერებისა—იმ მეცნიერებისა, რომელიც ერთადერთი ხელმძღვანელი იყო მთელ ჩემს მოქმედებაში". ის ხანდახან თავის თავს ამგვარ კითხვასაც კი მისცემს: „ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ გაქვს კი უფლება მოექცე შარლოტას, როგორც უბრალო საგანს შენი ექსპერიმენტისას?" ამაზე სპინოზა ეუბნება: „ჩვენი უფლების საზღვარი ჩვენი ძალა და ღონეაო". გადაშლის სიქსტის „ვნებათა თეორიას" და ამოიკითხავს. „ბუნების კანონი ითხოვს, რომ ყოველივე არსებობა იქნეს ძალით მოპოვებული, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ძლიერისაგან სუსტის დამარცხების შემწეობით. ამ კანონს ექვემდებარება, როგორც მორალური, ისე ფიზიკური მხარე ჩვენი ცხოვრების". „არის მტაცებელი სული, — დასძენს გრელუ, — როგორც მტაცებელი მგელი, ვეფხი და არწივი. მე ვარ მტაცებელი სული, დიახ, მტაცებელი სული". ეს ყველა გრელუს ჯურის კაცების გამამართლებელია. ამასვე ამბობს დე-კერნი, მაგრამ თვითვე გრძნობენ, რომ ძალიან სუსტი საბუთია, და ერთი რამ, რაც სიბრალულს გვიბადებს ამგვარი ვაჟბატონებისადმი ეს კიდევ ისაა, რომ მათ აქვთ ჩარჩენილი გულში „რაღაც", რომლის ამგვარი საბუთებით მოტყუება და დარწმუნება არ შეიძლება. თვით მის მიერ ჟინითა და სისასტიკით გამეორება, რომ ჩვენ მტაცებელნი ვართო, ამტკიცებს, რომ მათ ეს შეიძლება გონებით სწამდეთ, მაგრამ მთელი მათი არსება კი ვერ დაუჯერებიათ. განა ვამბობთ ჩვენ, რომ დღე— დღეა და ღამე — ღამე, რომ ჩვენ ორი თვალი გვაქვს და ერთი ცხვირი? თუ რამეში ხართ დარწმუნებული, მას ასჯერ და ათასჯერ გამეორება აღარ სჭირდება. ეს ასე მოუხდა დე-კერნს, ასევე მოუხდა გრელუს. თავისი აღსარების თავში იგი დეტერმინისტულ თეორიას გამოთქვამს და მერე დასძენს: „ვაჰმე, რომ ამ აზრს ასე მკაფიოს და ასე ნათელს ჩემთვის, როცა რიგიანად ვსჯი, ვერ ძალუძს მოსპოს ჩემში ერთგვარი უცნაური ტანჯვა, რომლითაც ივსება ჩემი გული, როცა მაგონდება ჩემგან განვლილი საშინელი დრამა, როცა მაგონდება ჩემი მოქმედებანი ზოგნი ნებსითნი და ზოგნი უნებლიეთნი... მე გამრიეს ჟიუსას ქალიშვილის მოწამვლაში, მტანჯავს სინდისის მხილება, მაშინ როდესაც ჩემგან აღიარებული დოქტრინები, ის ჭეშმარიტებანი, რომელნიც ვიცი და ის რწმუნებანი, რომელნიც ჩემს შინაარსს შეად-

ბენენ, მიმტკიცებენ, რომ სინდისის მხილება უშინაარსო ილუზია რამ არის. მაგრამ ამ რწმუნებათ ვერ ძალუძთ მომიპოვონ ჩემი ჩვეულებრივი, ნამდვილი სიმშვიდე. ის, რაც თავს მიაჩნია ჭეშმარიტებად, გულს მიაჩნია საეჭვოდ". რა კარგია ეს უკანასკნელი სიტყვები! მაშ ყოფილა რაღაც, რაც მარტო გულის სამეუფოს ეკუთვნის განსაკუთრებით? მაშ ყოფილა გრძნობა, სინდისი, სინდისის მხილება და ესეც შეიძლება იმ დეტერმინიზმის კანონს ექვემდებარებოდეს, რომლითაც გრელუ უწინ თავისი გულის სიმშრალეს ხსნიდა და ამართლებდა? მართლაც, თუკი რამეა აუცილებელი, კაცის გულიც აუცილებელია, და ტყუილად ეცდება ვინმე განაშოროს იგი კაცსა, უკეთა ვთქვათ, ბუნებას. გრელუმ კი დიდი ხანია უყურადღებოდ დასტოვა ეს ერთი მხარე კაცისა, დიდი ხანია გული საპყრობილეში ჰყავდა. ეხლა მასაც მოუვიდა დრო და იმდენად სტანჯავს მას, რომ თავის მოძღვარს ემუდარება უშველოს: „თქვენს ხელთ არის ჩემი შველა, დამიხსენით, დიდებულო მცოდნე კაცის სულის ავადმყოფობისა, გაიმეტეთ ჩემთვის ერთი სიტყვა და ამიხსენით, რის ახსნაც ვერ მომიხერხებია. დამანახვეთ, რომ არა ვარ საშინელება. მომაწოდეთ სიტყვა, რომელიც ღუზად ექნეს ჩემს არეულ-დარეულ გონებას, სიტყვა მომაშველეთ, სიტყვა, რომელმაც დამიმტკიცოს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არა ვცდებოდი მით, რომ მივეკედლე ახალ რწმუნებასა გულწრფელი არსების სრული ძალითა და ღონით. და ბოლოს, ჩემო ძვირფასო მოძღვარო, ერთობ უბედური ვარ და საჭიროდ ვთვლი ჩემი უბედურება გაგაგებინოთ. მაშ ვისკენ მივიქცე, ვის მივმართო, თუ არა თქვენ, მე ხომ წარმოდგენაც არ შემიძლია, რომ ვინმე გამიგებს იმ ფსიქოლოგის მეტი, რომლის მოწაფეცა ვარ". ამგვარი კვნესით ათავებს აღსარებას. ის რამდენიმე სტრიქონი, სადაც საშინელი ტანჯვით ემუდარებოდა მოძღვარს შველას, სავსეა ისეთი ჭეშმარიტებით, ისეთი სინამდვილით და კაცის ისეთი ღრმა ცოდნით, რომ მსგავსს ძვირად შეხვდებით ლიტერატურაში „სიჩუმე მახრჩობს. მეტი აღარ შემიძლიან, თანაც სიმძიმე მაწევს გულზე და სულს მიხუთავს ყოველს წუთში... მტანჯავს სინდისის მხილება. მე მჭირდება ვინმემ გამიგოს, მანუგეშოს, სიყვარულით მომეპყროს. მე მჭირდება შემბრალებელი და მანუგეშებელი ხმა, რომელსაც შეეძლება განაბნიოს ეს ლანდები, რომლებიც წამდაუწუმ თვალწინ გამირბენენ ხოლმე და მიტანჯავენ სულსა და გულს... მომწერეთ, მიწინამძღვრეთ, ძვირფასო მოძღვარო, განმიმტკიცეთ ის რწმუნება, რო-

მელიც იყო და ეხლაც არის ჩემი რწმუნება. დამაჯერეთ, რომ არის მსოფლიო აუცილებლობა, დამაჯერეთ, რომ ჩვენი უსაზიზღრესნი და უბოროტესნი მოქმედებანი აუცილებელი შედეგია მსოფლიო კანონებისა, დამაჯერეთ, რომ თვით ეს გულგრილად შედგენილი და აღსრულებული გეგმა მოხიბვლისა, თვით ჩემი სისუსტე სიკვდილის აღთქმის წინ, აუცილებლად დაკავშირებულნი იყვნენ ამ მსოფლიო კანონებთან. მითხარით, რომ მე არა ვარ საშინელი არსება, რომ არამც თუ მე, საზოგადოდ არ არის საშინელება, რომ თქვენ კიდევ მიმიღებთ მოწაფედ, თუ ამ საქმეს გადავურჩი. განა ექიმი რომ იყოთ და თქვენთან დაჭრილი მოვიდეს, არ გამოიჩენთ კაცთმოყვარეობას და არ შეუკრავთ ჭრილობას? მაშ თქვენ ასეთივე ექიმი ხართ, დიადი ექიმი სულისა. ვაჰმე, ჩემს სულს ღრმა წყლული აქვს, იგი სისხლისაგან იცლება. მე თქვენა გთხოვთ ერთ სიტყვას, რომელმაც შემიმსუბუქოს ტკივილი, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარით და საუკუნოდ კურთხეული იქნებით თქვენი მოწაფისაგან". ეს გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები დიდმნიშვნელოვანია. მხოლოდ ამათ შეეძლოთ სიქსტისათვის პასუხისმგებლობის აზრი ჩაეწვეთებიათ ყურში, და იმგვარად, რომ საუკუნოდ მისგან დატანჯული უნდა დარჩენილიყო. იგი ჩასწვდა მას გულის სიღრმეში და ძალზე შეანძრია. მარტო იმ სიტყვებმა, საცა გრელუ მასთან კავშირზე ამბობს, ააძაგძაგა ფილოსოფოსი: ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე თავიდან ფეხებამდე, როცა მის ან მისი თხზულებების სახელს შეხვდებოდა ხოლმე ამ აღსარებაში, რადგან მთელი აღსარება უმტკიცებდა, რომ ამ საზიზღარ, ბოროტმომქმედ მომხიბვლელს ნება ჰქონდა ეთქვა მისთვის შენი მოწაფე ვარო. რამდენს გადაშლიდა აღსარების ფურცლებს, იმდენად უფრო და უფრო რწმუნდებოდა, თუ რა საშინელ მოქმედებებთან არის დაკავშირებული მისი საყვარელი იდეები, მისი საყვარელი მეცნიერება. მერე ტყუილა კი არ იყვნენ ნახსენები. თავში საცემი ის არის, რომ გრელუ ამ თეორიებს თვლიდა თავისი დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად. მერე რა უცნაური და საშინელი მოქმედების მიზეზად რაცხდა მათ! „რამდენსაც უფრო კითხულობდა სიქსტი აღსარებას, იმდენად უფრო გრძნობდა, რომ მის შინაგან არსებას რაღაც ტალახი და ჩირქი ეცხებოდა, რაღაც უცნაური სნეულება ედებოდა, რადგან ამ ყმაწვილ კაცში თავის თავსა პოულობდა. „თავის თავსა, რომელიც, რაღაცა საიდუმლოების მიზეზით, ასეთ, მისთვის უსაზიზღრეს, გრძნობებში გაერიათ". თურმე ეს განყენებ-

ული კაცი, ქვეყნისგან წასული და დამალული, მარტო ქაღალდზე იყო უარმყოფელი. გამბედავსა და მოუდრეკელ ინტელექტუალურ ნიჰილისტში თურმე კეთილშობილებით სავსე, გულუბრყვილო კაცი იყო დამალული, მაშინ როდესაც, „ეს საზარელი ამბავი საზიზღარი მოხიბვლისა, ბნელით მოცული ღალატისა, მელანქოლიური თავისმოკვლისა მას თვალწინ უხატავდა მის აზრს, გამრყვნელსა და მაცდურს და თვითონ კი ცხოვრობდა თავგანწირულებითა და იდეალური უბიწოებითა“.

რა საშინელი რამ არის ამ საბრალო კაცისათვის ის ფიქრი, რომ ოცის და ოცდაათის წლის შრომამ და ტანჯვამ ამრიგად ჩაუაფა. ამდენი ხანი შესწირა მან თავის ფილოსოფიას და რა ნაყოფი გამოიღო მან? — გრელუ, — რომლის აღსარებამ თავზე მეხი დასცა სიქსტსა. ეს აღსარება იყო „უტყუარი და ნამდვილი. როგორც თვით ცხოვრება, საბუთი, რომ მისმა ნაშრომმა მოწამლა სული, რომ მის თხზულებაში იყო სიკვდილის პრინციპი, რომელსაც ავრცელებს ეხლა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორემდე, ახ! რა საშინელი ტანჯვა, რა ღრმა ჭრილობაა, თუ გინდა ეს ტანჯვა და ეს ჭრილობა ერთი საათის მეტი არ გაგრძელდეს“. რვა დღე იყო ამ ტანჯვაში ეს დიდებული, მაგრამ უბედური კაცი, რვა დღე ჰალუცინაციების მფლობელობაში იყო, ნიადაგ, ყოველ წუთსა და წამში მას წარმოუდგებოდა მოწაფე, რომელიც ამ საშინელ ფრაზას ჩასძახოდა ყურში, საყვირის მსგავსი ხმით: „მე ვცხოვრობდი თქვენი აზრებით, დიახ, თქვენი აზრებით გატაცებული ჩემი არსება მისი ყურმოჭრილი ყმა იყო“. ეს იყო მისთვის ყველაზე უფრო უძლეველი საბუთი თავისი დანაშაულობისა. როცა გამომძიებელმა უთხრა რაღაც მის ზნეობრივ პასუხისგებაზე, ზიზღით შეხედა. დატანჯული დედის ცხარე სიტყვებს დინჯი პასუხი უგო. ეს სიტყვები კი მას აბრაზებდა, გულს უკლავდა და გონებას ურევდა. მართალია, გრელუ, როგორც ფსიქოლოგიური ნიადაგი, უკვე მზად იყო, მას ბუნება გარყვნილი ჰქონდა, მაგრამ სიქსტის თეორიებმა აღმოაცენა ამ ნიადაგზე საშინელი, სიკვდილის გამომღებელი მცენარე. გრძნობდა რა ამას, ეს „უარმყოფელი ყოველგვარი მორალური თავისუფლებისა, ეს ფატალისტი, რომელიც ბიწიერებასა და სათნოებას ნაწილებად შლიდა ისეთი სიმკაცრით, თითქო ქიმიკოსი იყოს და გაზს ანაწილებდესო. ეს თაჰამი წინასწარმეტყველი მსოფლიო მექანიზმისა, რომელიც აქამდე ყოველთვის გრძნობდა სრულ ჰარმონიას გულსა და აზრს შორის, იტანჯებოდა ტანჯვით,

რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა მისგან აღიარებულ დოქტრინებს... მას სინდისის მხილება ტანჯავდა, იგი თავის თავს პასუხისმგებლად რაცხდა!“.

როგორც მოგეხსენებათ, სასამართლოსგან გამართლებულ გრელუს, ანდრეს დამბაჩა მიანიჭებს სამართალს. აი აქ, იმის ცხედრის წინ, მთავრდება მთელი ტანჯვა სიქსტისა, ეს ტანჯვა უფრო რბილდება, უფრო შენანებაში გადადის და საშინელი სევდა, რომლითაც მოცულია მისი ბუნება, გვარწმუნებს, თუ რა დიდ დამნაშავედ მიაჩნია მას თავი. დიდი უარმყოფელი უყურებდა მხურვალე და მომტირალ გრელუს დედასა, ხედავდა მაგიდაზე დასვენებულ თავის მოწაფეს, რომელმაც საუკუნოდ დაიძინა, და პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო, რომ მისი ყოვლისშემძლე გონება და აზრი ვეღარ იკავებს მას. ეს კაცი, რომლის ლოგიკის ძლიერება და სისასტიკე, რომლის სითამამე და გაბედულება უფრო მწვავ კითხვებში უბრალო მომაკვდავთაგან განარჩევდა მას, მორჩილად თავს იხრიდა და მუხლებს იყრიდა ამ საიდუმლოების წინაშე. „ერთად-ერთი ლოცვის სიტყვები აგონდებოდა,—მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, რომელიც ენაზე ადგებოდა“. — როცა დედა წამოდგა, დაინახა, რომ ეს კაციც ცრემლებსა ღვრიდა.

სიქსტის სულის მოძრაობის აღწერა გვიჩვენებს, რომ იგი გრძნობს თავის თავს დამნაშავედ. სინდისის ქენჯნა უწინ, მორჩილი თავის მოდრეკა ცხოვრების საიდუმლოების წინაშე და ცრემლები, გრელუს ცხედართან დანთხეულნი, გვიმტკიცებენ ამას. საზოგადოება ხომ გამომძიებელის, გრელუს დედისა და მარკიზის ოჯახობის პირით მას ხდის პასუხიმგებლად. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ბევრს კიდევ არ მიაჩნია ეს ფილოსოფიის პასუხისგება ნათლად გამორკვეული და მრავალ მწერალს სხვადასხვა აზრი წარმოათქმევინა [1]. ბურ-

---

[1] როგორც ნათქვამი გვქონდა, ბურჟეს „Le disciple“-მა მთელი ლიტერატურა გამოიწვია. გარდა მრავალი წერილებისა რუსულ ჟურნალებში, იხილეთ ბრუნეტიერის წერილი Revue des deux mondes-ში, 1889, 1 ივლისისა და სექტემბრის ნომრები; პოლ ჟანესი — Revue Bleue-ში, 1890, 12 და 19 აპრილის ნომრები; უცნობი ავტორის—Revue scientifique-ში, 1889, 17 აგვისტო; ზემოთ დასახელებული თხზულება როდისა; პელისიეს — Essai de literature contemporaine; აგრეთვე, ფრანგულ პრესაში გაბნეული სხვადასხვა წერილები, განსაკუთრებით ანატოლ ფრანსისა 1889 წლის Temps-ის ნომრებში. იხ. აგრეთვე არსენიევის სტატია—Вестник Европы-ში და მიხაილოვსკის „Литература и жизнь“.

ჟეს გამოურკვეველობამ აქაც იჩინა თავი. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟანე, თუმცა თვითონ კი ხდის ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს პასუხისმგებლად, თანახმაა, რომ „ნაყოფთა რამე მათთაგან იცნობიან ხენი“, მაგრამ ბურჟეს რომანში ამ კითხვას ვერა ხედავს ნათლად გამორკვეულს. თუ უნდოდა ეჩვენებინა თეორიების გავლენა კაცზე, მაშინ ბურჟეს გრელუ ბუნებითად გაფუჭებული და სულით ავადმყოფი კი არ უნდა გამოეყვანა, არამედ ისეთი, რომლის გარყვნის მიზეზი მარტო აზრი ყოფილიყოო. ბრუნეტიერიც თვლის კაცთა აზრის მზრდელთ პასუხისმგებლად მავნე აზრის გავრცელებისათვის და ფიქრობს, რომ ბურჟემაც ნათლად გამოხატა ეს. „ის ფილოსოფოსნი, — ამბობს ბრუნეტიერი, — რომელნიც ბედავენ ყოველივეს შეეხონ, ყოველივეს დაეტაკონ და ყოველივე უარჰყონ, ისეთივე დამნაშავენი არიან, თუ არა მეტად, როგორც გრელუ. ნუ მეტყვით, რომ მეცნიერი თავის ლაბორატორიაში და ფილოსოფოსი თავის კაბინეტში სრულიად არ აქცევენ ყურადღებას მას, თუ ბრბო რა აზრს მისცემს მათ თეორიებსა და მათ მეცნიერულ გამოკვლევებსაო! კმარა, ბატონებო, ამის ლაპარაკი, დროა ეს ინდიფერენტიზმი განვაძეოთ. მეცნიერნი პასუხისმგებელნი არიან მათი ნაწერებისათვის“.

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისა არიან რუსი მწერლები (მიხაილოვსკი, არსენიევი) და საფრანგეთის ზოგიერთი კრიტიკოსები (ანატოლ ფრანსი). არცერთს მათგანს არ მიაჩნია პასუხისგება მეცნიერთა საფუძვლიანად. პირიქით, მიაჩნიათ იგი მავნებლად კაცთა ვარჯიშობისა და წინსვლისათვის. არსენიევი მხოლოდ ურჩევს, როგორც ბურჟე თავის წინასიტყვაობაში, რომ ახალგაზრდობა ერიდოს ამგვარ დამამხობელ თეორიებს. .

ჩვენ კი გვგონია, რომ რომანში სიქსტი თვითვე აღიარებს თავის თავს დამნაშავედ და ჩანს პასუხისმგებლობასაც კისრულობს. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც კი გადაათვალიერებს რომანს [1] (ბურჟე წინასიტყვაობაში ამ რომანს უწოდებს ეტიუდს მორალური პასუხისგების შესახებ). კიდევაც გვგონია, რომ მეცნიერნი და ფილოსოფოს-

[1] ამას ნათლად გვიმტკიცებს ეს სიტყვები ამ რომანის წინასიტყვაობისა: „რას შეიძენ შენ და შენი ამხანაგები ჩვენის თხზულებიდან? თუკი ამას წარმოიდგენს, არ მოიძებნება ისეთი უპატიოსნო ლიტერატორი, რაც უნდა უბადრუკი იყოს იგი, რომ არ ათრთოლდეს, იგრძნობს რა თავის ვალს, თავის პასუხისგებას თქვენს წინაშე“.

ნი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ, მაგრამ ისე არა თავისი აზრებისთვის, როგორც იმ განყენებული ცხოვრებისათვის, რომელიც მათ ჩვეულებად აქვთ. მეცნიერებმა უნდა იცოდნენ, რომ ცხოვრების სარკმლიდან ყურება არ შეიძლება, უნდა იცოდნენ, რომ მათი თხზულებანი ცოცხალ არსებათა შორის დატრიალებს, იძენს ზოგის აღტაცებას და ზოგის ზიზღს, პოულობს თავის მორწმუნეთა და მოწაფეთა გუნდს. ამიტომ, იგინი ცხოვრებას არასოდეს არ უნდა განუკერძოვდნენ, თორემ უთუოდ იგივე მოუვათ, რაც სიქსტს. სიქსტი უბიწო კაცი იყო და სიყვარულზე ათას უცნაურ თეორიებს სწერდა, რასაკვირველია, მას არც კი შეეძლო წარმოედგინა, რომ მოიძებნებოდა ვინმე ისეთი, რომელსაც უბიწოება დიდი ხნიდან დაკარგული ეჭნებოდა და ბიწიერებას ჩაიდენდა გრელუს მსგავსად. სიქსტს სკამისთვისაც კი არ უხლია ხელი. მაგიდასთან გაატარა თავისი სიცოცხლე და, რასაკვირველია, არც სიძულვილი და არც სიყვარული არ გამოუცდია. აქ კი სიხარბეზე და მემკვიდრეობით გადმოცემულ სიძულვილზე თეორიებს ადგენს, რომელნიც გრელუს დაეხმარებიან ანდრესადმი თავისი ზიზღის ასახსნელად. თუ ის გამოსულიყო ცხოვრებაში, თუ ენახა, რომ არის ტანჯვა, არის ცრემლები მის გარშემო, არის კვნესა და ოხვრა; რომ იმ ბავშვებს, რომლის ექსპერიმენტად მოხმარებაც მას უნდოდა, ჰყავთ დედა, რომელიც ცრემლებს დააფრქვევს მათთვის, — მაშინ იგრძნობდა, რომ ყოველი გრძნობისა და ზნეობრივი მოქმედების უარყოფა არის უაზრობა და შეუძლებელია კაცისათვის. მაგრამ ის განყენებული იყო და ყოველივე მისი ბრალი იმაშია, რომ მისი თეორიები კარგად შეგნებულნი და კარგი კაცისაგან აწონილ-დაწონილნი გამრყვნელნი არ არიან, ამას თვით სიქსტის პირადობა გვიმტკიცებს. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ის შენიშვნა, რომ ბურჟეს თუ უნდოდა მეცნიერების პასუხისმგებლობა და დანაშაულობა ეჩვენებინა, მაშინ გრელუ მარტო აზრების პროდუქტი უნდა ყოფილიყო (ჟანე). რომანი მათემატიკა არ არის, რომანს უნდა ჰქონდეს კავშირი ცხოვრებასთან, უნდა სინამდვილეს გვიჩვენებდეს, ამიტომაც ბურჟემ მოძებნა მშვენიერი ნიადაგი ამ აზრების ნაყოფის გამოსაღებად და დიდებულადაც მიაღწია თავის განზრახვას. ჩვენთვის საკმარისია, რომ გრელუს გარყვნის ერთ-ერთ მიზეზად ეს აზრები იყვნენ, ესეც დიდი დანაშაულია.

ამით ვამთავრებთ ჩვენს ბაასს ბურჟეს შესახებ. ეს რომანი, ამას გარდა, სხვა შესანიშნავ მოვლენასაც წარმოადგენს. მრავალი მწერ-

ლის ნაწერებთან აქვს ესა თუ ის კავშირი, მაგრამ ყველა მათზე მაღლა დგას, როგორც აზრის, ისე მხატვრობის მხრით. ბალზაკის „La recherche de L'absolu" წარმოგვიდგენს სიქსტის მსგავსი მეცნიერებისათვის თავგანწირულსა, მაგრამ უფრო მახიაკსა და ცხოვრების სინამდვილეზე დაშორებულს. მეორე კიდევ, ბალზაკს ასეთი ფსიქოლოგია არა აქვს, მისი გმირის სულიერი მხარე მკითხველთათვის ძალიან ბუნდოვნად არის ნაჩვენები, მაშინ როდესაც ბურჟემ ნათლად დაგვანახვა მთელი შინაარსი ყველა თავისი გმირებისა. „ამ რომანში გამოყვანილ პირებს ისეთი ინტენსიური ცხოვრება აქვთ, რომ მსგავსი არ ნახულა. ძვირად თუ ვისმე კაცის აზრი, კაცის გონება უჩხრეკია, უძიებია და დაუნაწილებია ასეთი სიღრმითა და ძალით". გრელუ ვითომ ჰგავს სტენდალის „Le rouge et le noir"-ის გმირს სორელს, მაგრამ მათშიაც დიდი განსხვავებაა. მას მაინც რაიმე იტაცებს, აქვს სურვილი სამსახურში წარმატების, სრულიად არ ეზარება მოქმედება, გრელუ კი სრული ინდიფერენტისტია, ცარიელი, გამოფიტული კაცია. მას არ აინტერესებს არც სამსახური, არც პოლიტიკა, არც მამული. რასკოლნიკოვი დოსტოევსკის რომანისა უფრო საბრალო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატიოსანი დამნაშავეა, ბოროტმოქმედებას თუ ჩაიდენს, ერთი ბეწო პირადი ინტერესისა შიგ არა ურევია რა. ის თავს სწირავს თავის მახლობელს, რომელიც გრელუს სასაცილოდაც არ ეყოფოდა; ამასთან ერთად, სულით ავადმყოფია, ნამდვილი სულით ავადმყოფი, რომელზეც ძლიერ შორსა დგას გრელუ. ვითომ აზრი და სიუჟეტი ფელიეს „La morte"-ს ჰგავს[1], და განა სენკევიჩის დიდებული რომანის („უდოგმატოდ")[2] გმირის პლოშოვსკის ნათესავი კი არ არის გრელუ? მაგრამ ყველა ამათ მხოლოდ წააგავს: ეს ამტკიცებს მხოლოდ სიდიადეს ტიპთა შექმნისას, მათ სინამდვილეს, რომელნიც მარტო დღევანდელი დღის წარმომადგენელნი კი არ არიან. გრელუსთანა ტიპები, ამა თუ იმ ფორმით, ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში იშვიათი მოვლენა არ არის და იგინი ბევრში ჰგვანან ერთმანეთს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ტიპის ძლიერი შექმნა ბურჟეს ეკუთვნის.

---

[1] იხილე პელისიეს Essaisde la literature contemporaine.

[2] „უდოგმატოდ" სენკევიჩისა და „მოწაფე" ბურჟესი თითქმის ერთსადროიმავე დროს გამოვიდა.

ამ რომანით ბურჟეს განვითარების ციკლი დამთავრდა. სიქსტის პასუხისგებაში მიცემით, მისი ტრაგიკულ-კომიკური მდგომარეობის აღწერით ბურჟემ ხელჯაგვი გადაუგდო თავის ძველ ოსტატებს, თვითონ მათვე აღიარებინა მათი თეორიების უსაფუძვლობა.

„კეთილი და ბოროტი მათი თეორიით სულ ერთია“, გრელუს ბოროტმოქმედება კი ბრაზსა ჰგვრის სიქსტსა; „სინდისის მხილება, სინდისის ქენჯნა სისულელე და ილიუზიაა“, თვითონ სიქსტი კი ნამდვილ მოწამედ ხდება სინდისის ქენჯნისა. ღმერთი მათთვის არ არის, მაგრამ უმაღლეს დრამატიულ მდგომარეობაში ისინი გრძნობენ საჭიროებას ღვთაებისას, საჭიროებას ლოცვისას (სიქსტი გრელუს ცხედართან). „თუ არ სუფევდეს ეს ზეციური მამა, განა მოგვწყურდებოდა ამ წუთში მასთან მიმართვა? ამბობს ბურჟე თავისი რომანის ბოლოს. მისი უკანასკნელი რომანები „La terre promise“. და „Cosmopolis“ გამოცხადებული აღსარებაა სარწმუნოებისა. ჩვენ არ შევუდგებით მის გარჩევას, თუ რამდენად მართალია ბურჟე თავის თეოლოგიურ ფილოსოფიაში, რამდენად აქვს საფუძველი, რომ მორალს ამყარებს სარწმუნოებაზე, ჩვენ ის გვაინტერესებს მხოლოდ როგორც მორალისტი. რაზეც უნდა იყოს მორალი დამყარებული, ყოველი მორალისტის ვალდებულებაა კეთილი გვიქადაგოს და ბოროტი შეგვაძაგოს. თუ მთელ თავის თხზულებაში ამას ცდილობს ბურჟე, მეტი ჩვენ არა გვინდა რა. მისდა სადიდებლად უნდა ვთქვათ, რომ თავის უკანასკნელ და საუკეთესო რომანებში იგი ამას სინდისიერად ასრულებს. უმეტესი ნაწილი მისი რომანებისა მეშვიდე მცნებას შეეხება; ის გვიჩვენებს, თუ რა დამამხობელი შედეგი მოჰყვება მის დარღვევას ამა თუ იმ შემთხვევაში. თვით სახელი ერთი მისი რომანისა — „ცოდვა სიყვარულისა“ — შეგვიძლია ბურჟეს ყველა ნაწარმოებს დავარქვათ. მართლაც, რა არის, თუ არ ცოდვა სიყვარულისა, Cruelle enigme-ში რომ კაცს გაამხეცებს. რა არის, თუ არ იგივე ცოდვა სიყვარულისა, „ანდრე კორნელში“ მეგობრისგან მეგობრის მოკვლა იმისათვის, რომ მისი ცოლი დაესაკუთრებია? Mensonges-შიაც ხომ ცოდვა სიყვარულისა ღუპავს საცოდავ რენეს და კინაღამ თავს არ მოაკვლევინებს.

Le Disciple-ში გრელუ მხეცური სიყვარულით გატაცებული, და მეცნიერების სხვადსხვა თეორიებით თავის გამმართლებელი, ჰკლავს ანგელოზის მსგავს ქალს, ჩაიდენს უსაშინლეს ცოდვას სიყვარულისას, და თვითონ ცოდვა სიყვარულისა ხომ გვიჩვენებს, რა ცეცხლში

ჩააგდო ამ ცოდვამ თვით მოქმედნი (რენე და დე-კერნი) და, მათი წყალობით, გულითმოყვარული კაცი (ელენეს ქმარი). მხოლოდ მის ორ რომანში (Mensonges და Le Disciple) არის, ამას გარდა, კიდევ სხვა საზოგადო აზრი გატარებული. პირველი ბრალსა სდებს ყმაწვილ კაცს (აბბე ტაკონეს სიტყვით) და სჯის მისთვის, რომ სამშობლოს გაჭირვების დროს იგი სიბინძურეს მიჰყვება. მეორე სჯის ფილოსოფოსს, რომელსაც დავიწყებია თავისი უდიადესი მნიშვნელობა კაცთა აზრისა და გონების მზრდელისა, ჩაკეტილა თავის ოთახში და მხოლოდ თავის გონებას ასიამოვნებს სხვადასხვა დამამხობელის აზრების წერით.

სწორედ ამ მორალურმა ქადაგებამ (მიუხედავად საძირკველისა, რომელზეც ის აშენებს თავის მორალს) ბურჟესამ მიგვიზიდა ჩვენ, როცა ამ წერილის დაწერას შევუდექით. ჩვენშიც შეგხვდებათ პატარა დე-კერნები, პატარა გრელუები, თითქო ქარს მოეტანოს ჩვენამდეც მათი შემქმნელი პირობები. ჩვენშიც გაუგონიათ ნაწყვეტ-ნაწყვეტად აზრები ეხლანდელ მოძღვართა, რომლითაც ხშირად ამართლებენ თავის გულგრილსა და ხშირად საძაგელ ქცევას. პატიოსანი კაცის, ერთგული მამულიშვილის მოვალეობაა ეცადოს ამისთანა დამამხობელ სენს თავშივე ბოლო მოუღოს. თუ ამას ცოტათი მაინც არის მიაღწევს ჩემი წერილი, მე სრულიად დაჯილდოებული ვიქნები..

60. საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე

ისეთი უნუგეშო ხვედრი, როგორც მთარგმნელებს, მგონი, არცერთ მოხელეს არა აქვს ლიტერატურაში. საზოგადოდ მთარგმნელები მიჩნეულნი არიან შავ მუშად და, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან ყოველ ლიტერატურულ პატივს, რომელიც ფიანდაზად ეშლებათ ხანდახან სრულიად უნიჭო ორიგინალური თხზულებების მჯღაბნელებს. მართალი რომ ვთქვათ, ცოტათი კი დაიმსახურეს დღევანდელმა მთარგმნელებმა ასეთი უმართებულო მოქცევა, რადგან თარგმნა ჯიბის გასავსებ და კუჭის გასაძღომ იარაღად მიაჩნიათ, და ხშირად თარგმნიან ხოლმე ისეთ თხზულებებსაც კი, რომელიც არც წაუკითხავთ მთლად, არავითარი აზრი არ შეუდგენიათ არც თვით წიგნზე და არც მის ავტორზე. (ხშირად შეხვდებით რუსულს ჟურნალებში, რომ ჯერ ორიგინალში არ დათავებულა თხზულება და თარგმანი უკვე ნაწილ-ნაწილად იბეჭდება)...

ამგვარ მოქმედებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ეხლანდელი თარგმანები სრულიად აფუჭებენ ხოლმე ორიგინალს და იმდენად ასახიჩრებენ მას, ჯერ რომ თარგმანი წაიკითხოთ და მერე ორიგინალი, გეგონებათ სხვადასხვა თხზულებას ვკითხულობთო.

იყო კი დრო, ის დრო, როცა ყოველ საზოგადო საქმეს მოწიწებით ეკიდებოდნენ, უმაღლეს მოვალეობად და საგნად მიაჩნდათ იგი, რომლის აღსასრულებლადაც ღვთისგან მოწოდებულად რაცხდნენ თავის თავს. ამ ხანას ეკუთვნიან სასულიერო წიგნების თარგმანები და ტყუილად კი არ უთქვამს გეტეს, რომ „ვისაც უნდა რომელიმე ენა შეისწავლოს, მან უნდა იმ ენაზე დაბადება წაიკითხოსო“. ან სხვისი მოწმობა რაღა საჭიროა? აიღეთ ჩვენი სახარება და დავითნი, რომელნიც დღემდეც თითქმის ერთერთი დაუშრეტელი წყაროა და საუნჯე ჩვენი ენისა.

ჩვენში, მართალი რომ ვთქვათ, არავითარი ლიტერატურული შრომა არ არის დაჯილდოებული, არა თუ თარგმანი, და ამას თუ ბევრი გლახა შედეგი აქვს, ეს მაინც კარგი აქვს, რომ არსად ისეთი

წმინდა და იდეალური სარჩული არ უდევს ლიტერატურულ შრომას, როგორც ჩვენში. ჩვენი ლიტერატორები ძალიან შორს არიან იმ საზღვარგარეთელი მწერლებიდან, რომელთაც თავიანთი შრომით სასახლეები აუგიათ და კაპიტალი შეუძენიათ, იგინი ნამდვილი წამებულნი არიან, ტანჯულნი ზნეობრივად და მატერიალურად.

ამის მიზეზია ისიც, რომ ჩვენში ფულისათვის თარგმნა იშვიათია, უკეთა ვთქვათ სულაც არ არის. აქ ყველა თარგმნის მას, რაც თვით მოსწონს, რაც მისი სულიერი განწყობილების დამაკმაყოფილებელია. ამიტომაც, ჩვენში ადვილად შეგიძლიათ თარგმანების შემწეობით, ისე როგორც ორიგინალური თხზულების შემწეობით, შეიგნოთ და შეადგინოთ ფსიქოლოგია მთარგმნელისა, რომელიც, რასაკვირველია, ორიგინალი ავტორის ფსიქოლოგიას ემსგავსება.

სწორი გითხრათ, დიდი ბედია ჩვენთვის, რომ ასეთი გულითა და სულით მთარგმნელები გვყავს, რადგან, შეიძლება არცერთ ქვეყანას არა სჭიროდეს ისე უცხოეთის ლიტერატურის შესწავლა, როგორც ჩვენსას, არა იმიტომ, რომ იგი ყველაზე უფრო ღარიბი და დაქვეითებული იყოს, არამედ იმიტომ, რომ მეტად ღარიბია თარგმნილი ლიტერატურით. ჩვენ არა თუ მსოფლიო ლიტერატურისათვის შესანიშნავ და საინტერესო თხზულებებს ვერ მივაწვდენთ საზოგადოებას, ისეთი დიდებული ნაწარმოებებიც კი არა გვაქვს თარგმნილი, რომლის უქონლობაც, უდრის ლიტერატურის უქონლობას. მხოლოდ ი. მაჩაბლის წყალობით გვაქვს შექსპირის ხუთიოდე (უნდა ვთქვათ, რომ ესენი საუკეთესონი არიან) დრამის ჩინებული თარგმანი, თორემ ჩვენ არა გვაქვს გეტეს უკვდავი „ფაუსტი", შილერის დრამები (ლექსად), დანტეს დიდებული პოემა, ბაირონისა და ჰეინეს ნაწარმოებნი, ჰიუგოსა და მიუსეს თხზულებები, ბალზაკისა და ჟორჟ ზანდის, დიკენსის, თეკერეისა და ელიოტის რომანები.

„მოამბის" დაარსებამ, სხვათა შორის, ის იმედიც მოგვცა, რომ შეიძლება ეს ნაკლი უცხოეთის ლიტერატურის შესახებ შეავსოსთქო, რადგან ორიგინალური თხზულებები ცოტანი იბეჭდებიან და შეუძლებელიც არის სამმა ან ოთხმა კაცმა ხუთი ან ექვსი მოთხრობა გამოაცხოს წელიწადში და ამით მთელი წლის სარჩო მისცეს ჟურნალს, მეტი კი არავინა გვყავს ჯერ-ჯერობით. ხოლო თარგმანების შესახებ, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობისა, ისე საზოგადოდ ისტორიული და ლიტერატურული ნაწარმოებებისა, „მოამბის" რედაქციას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ლიტერატურას

ამას კიდევაც ასრულებს ჯერ-ჯერობით, თუ მივიღებთ სახეში, რომ ერთი წლის განმავლობაში გადაგვითარგმნა სენკევიჩის მშვენიერი მოთხრობები და მის წარჩინებულ რომანს გვითარგმნის, გადაგვითარგმნა ბურჟეს, დოდეს, ვალტერ სკოტის და სხვათა გამოჩენილთა ნაწერები. მხოლოდ საჭიროა დიდი გარჩევით მოეპყროს და დაბეჭდოს ხოლმე ის ნაწარმოები გამოჩენილი მწერლისა, რომელიც საუკეთესო მის თხზულებათაგანს ეკუთვნის, რადგან წვრიმალის დევნა ეხლა ჩვენთვის შეუძლებელია [1]. მაკვირვებს, მაგალითად, თუკი გადათარგმნიდნენ და დაბეჭდავდნენ რასმე ბელლამისას, რატომ არ უნდა გადაეთარგმნათ ყველაზე პირველად მისი „ასი წლის შემდეგ", რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და რომელიც ყველა ევროპულ ენაზე არის გადათარგმნილი.

ეხლა კი ყურადღება მივაქციოთ იმ წიგნაკებს, რომელთაც ეს ჩვენი წერილი გამოიწვიეს.

ნ. ს. ნიკიტინის პატარა წიგნაკმა, უნდა გითხრათ, დიდად გვასიამოვნა. იმას კი არ ვიტყვი, რომ ყველა მოთხრობა მაინცა და მაინც იმდენად ღირსეული იყოს, არა, მხოლოდ ასეთ ქართულ ენას ჩვენ ძვირად შევხვედრივართ, არა თუ თარგმანებში, ორიგინალშიაც კი. ისეთი მუსიკალური ენაა, ისეთი კლასიკური სტილია, კლასიკური კონსტრუქცია ფრაზებთა, რომ უკეთესის ნატვრაც აღარ შეიძლება...

თეთრი ლექსებით, რომელთაც მხოლოდ რითმა აკლიათ აქა-იქა, სავსეა ყოველი მოთხრობა. მოთხრობები, რასაკვირველია, პროზით არის დაწერილი [2]. ნეტავ თუ გგონიათ, ნიკიტინი თითებს იღლიდეს მარცვლების თვლით და ამას განგებ შვრებოდეს. არა, ეს ნიჭია, ისეთივე ნიჭი, როგორიც ლექსის დაწერაა და რომელიც შრომით არ მოიპოვება...

მეორე დიდი ნიჭი ნიკიტინისა იხატება მასში, რომ მშვენივრად გაუგია თვით სული და გული მწერლისა, რამდენადაც იხატება იგი მთელ თხზულებაში, ყოველ ფრაზაში და ყოველ სიტყვაში, და დიდის სინამდვილითა აქვს იგი გადმოცემული. თუ რისამე „შექმნა"

---

[1] კარგი იქნებოდა, ვინმე რომ აიღებდეს თავზე და შეადგენდეს სიას, თუ რა მწერლები და რომელი მათი ნაწარმოებები არის საჭირო ჩვენთვის, ანდა რომელი გვაქვს გადაუთარგმნელი. ეს მრავალ მთარგმნელს უჩვენებდა გზას და შრომას ტყვილა არ დააკარგვინებდა.

[2] ეს ლექსის მსგავსება ნიკიტინის პროზისა მარტო ჩვენ არ შეგვიწიშნავს, თითქმის ყოველ დაკვირვებულ მკითხველს შეუმჩნევია ეს თვისება მთარგმნელისა.

ტალანტის მომასწავებელია, მე მგონია, არა ნაკლებ ნიჭად უნდა ჩაითვალოს ეს სიმპათიური თვისება მწერლისა, რომელიც სხვისაგან გამოხატულ გრძნობას ასე შეიგნებს, ასე შეითვისებს და გადასცემს მკითხველს. ამიტომ, დიდად დასაფასებელია ჩვენთვის ასეთი მთარგმნელის გამოჩენა.

სასიამოვნო იქნებოდა მხოლოდ, რომ ნიკიტინი უფრო შესანიშნავი მწერლების თარგმნას მოკიდებდეს ხელს. მე მწამს, რომ უკეთესი მთარგმნელი მოპასანისა და ჟორჟ ზანდის მოთხრობებისა ჩვენ არ გვეყოლება, და არ თუ ჩვენ, იქნება ჩვენი მეზობელი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორისაც არ იყოს. სულითა და გულით ვუსურვებთ მას გამარჯვებას, მკითხველებს კი ვურჩევთ მისი წიგნაკის გაცნობას: გარდა იმისა, რომ ეს წიგნაკი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, საჭიროა წაქეზება მუშაკისა, რომ კვლავ უკეთესი გადმოთარგმნოს, რადგან ამისთვის მას ძალაც შესწევს და ხელოვნებაც. მაგრამ შეიძლება საზოგადოების გულგრილობამ ახალგაზრდა მწერალს გული გაუტეხოს.

მეორე ძვირფასი მთარგმნელი და „მოამბის" გამამშვენებელი გ. ყიფშიძე გახლავთ. ამ მწერალს მშვენივრად აქვს ქართული ენა შესწავლილი და ენის ისეთი მოხელე არის, რომ, არა მგონია, რაიმე წიგნის გადათარგმნა გაუჭირდეს. სწორედ სული აქვს ენისა შესწავლილი, რომ იტყვიან. ტყუილად კი არა სჩიოდა ჩვენი ენის გარყვნაზე ამას წინათ „მოამბეში". მარტო ისეთი თხზულების, ისე კარგად თარგმნა, როგორც ბურჟეს რომანებია, ამტკიცებს, თუ რა კარგი მცოდნეა ენისა გ. ყიფშიძე. ბურჟეს რომანები ფსიქოლოგიურია და ფილოსოფიური, მისი გმირები ყოველნაირ ფილოსოფიურ სისტემებს ეხებიან თავიანთ ლაპარაკში, თუ ფიქრში და მის ქართულ ენაზე გადმომცემს დიდი მადლობა ეკუთვნის და მისი მთარგმნელის მაღალ ესთეტიურ გრძნობასა და განვითარებას გვიმტკიცებს. მერე კიდევ იმ რომანს, რომელიც ეხლა ცალკე წიგნად გამოუცია გ. ყიფშიძეს, ისეთ დროს მიაქცია ყურადღება, როცა ბურჟეს სახელი ისე არა ქუხდა, როგორც დღეს, ეს კიდევ უფრო პატივსა სდებს მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებას.

მართალი რომ ვთქვათ, ამ რომანების თარგმნის შემდეგ უნდა მოისპოს ის უსამართლო ჩივილი და ყვედრება, რომ ქართულ ენაზე ყველაფერი არ ითქმის ისე თავისუფლად, როგორც სხვა ენებზე და მძიმე, განყენებულ აზრებს ვერ შეეხებიო.

თვით ეს „ცოდვა სიყვარულისა“ — კი ბურჟეს ერთი საუკეთესო თხზულებათაგანია „ეს ის წიგნიაო, — ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში“ — რომელშიც მე გამოვთქვი გულახდილად ჩემი აზრები ჩვენი დროის ზოგიერთი უმწვავესი საგნების შესახებაო“. ამ რომანზე ჩვენ სხვა ადგილას ბევრი ვილაპარაკეთ. ეხლა მხოლოდ არ შეგვიძლია ერთი რამ არ შევნიშნოთ გ. ყიფშიძეს.

ჩვენ მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩნია რომელიმე მწერლის ნაწერებიდან რისამე გამოკლება, თუ გინდ სრულიად უმნიშვნელო სტრიქონებისა. თუ ყოველმა მთარგმნელმა შალაშინი უსვა მწერლის ნაწერებს და თავის გემოზე ასწორა, მაშინ ორიგინალური თხზულება სრულიად ფერს იცვლის და მწერალზე სულ სხვა აზრს შეგვადგენინებს. განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ შემთხვევაში ფრანგ მწერლებს. მათ ფორმის ტრადიციული თაყვანისცემა გამჯდარი აქვთ ძვალსა და რბილში, რაც უნდა ნიჭით მდაბალი იყოს მწერალი, კომპოზიცია თხზულებისა ჩინებული აქვს. იგი ყოველთვის აცილდება ხოლმე იმ უმნიშვნელო ადგილებს, რომელიც ტყუილუბრალოდ აგრძელებს მოთხრობასა და ყოველთვის სახეში აქვს მკითხველის მოთმინება. ეგ სიფრთხილე კიდევ უფრო დიდად საჭიროა ისეთი მწერლის შესახებ, როგორც ბურჟეა. მისი რომანები ფსიქოლოგიურია და აქ ყოველ სტრიქონს დიდი მნიშვნელობა აქვს ტიპის დასახასიათებლად.

ვერაფრით ვერ მივმხვდარვართ, მაგალითად, როგორ იკისრა გ. ყიფშიძემ არმან დე-კერნის დღიურის გამოშვება. ეს რამდენიმე გვერდი საუკეთესო დამახასიათებელია ამ სიყმაწვილიდანვე გაცრცვნილი ვაჟ-ბატონისა.

არ უნდა გამოეშვა მთარგმნელს არც ის ადგილი, სადაც არმანისა და ელენეს პირველი ცოდვაა აღწერილი. ფრანგი მწერალი აქ მეტისმეტ სინამდვილისმოყვარეობას იჩენს. ეს საზოგადო თვისებაა ფრანგი მწერლებისა და ისეთი თვისება, რომელიც აიხსნება როგორც ლიტერატურული ტრადიციით, ისე ხალხის ენებით აღსავსე ბუნებით. ამ გადამეტებულის „ჭეშმარიტების მოყვარეობით“ ზოგიერთ ფრანგ კრიტიკოსს (მაგალითად, ჟულ ლემეტრს) თავი მოსწონს და საქებრადაც კი მიაჩნია, თუ ეს მთარგმნელის ლიტერატურულ მორიდებულობასა და კრძალულებას გვიჩვენებს, სამაგიეროდ ორიგინალის ავტორის თამამობასა და გაბედულობას გვიმალავს და ცრუ აზრს გვადგენიებს მასზე.

ბევრი ადგილია გამოშვებული შესანიშნავ მეათე თავში, სადაც სამაგალითოდ არის აღწერილი მოთხრობის გმირის სულის ტანჯვა.

ერთს ვფიქრობთ ჩვენ გ. ყიფშიძის გასამართლებლად. მან უთუოდ ეს მოთხრობა რუსულიდან თარგმნა, რუსეთის მთარგმნელებმა კი თუ თავის გემოზე არ გადააკეთეს უცხოელი მწერლის ნაწერი, არ შეუძლიათ. თვით ბურჟეს Disciple-ში („მოწაფე") ბოლო მოაკვეცეს და მთელი მოთხრობა დაასახიჩრეს. სრულიად აღარა სჩანს ის იდეა, რომელიც ავტორს უნდოდა თავის მოთხრობაში გაეტარებინა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ეს იდეა მთარგმნელს არ მოსწონდა. ანკი სხვა რაღა გასაკვირია, როცა უოლესის თხზულებას ასწორებენ. მაგრამ ეს ცუდი ჩვეულებაა და არც მისაბაძია იგი, ამიტომ გ. ყიფშიძეს ვურჩევთ, თუკი რაიმენაირად შესაძლებელია, აცდეს ამგვარი თარგმანებიდან თარგმნას.

ერთი კიდევ უნდა შევნიშნოთ. გ. ყიფშიძეს მოეხსენება, რომ ბურჟეს სალონის მწერალს უძახიან და მისი მოთხრობები რამღენადაც შეიძლება თავაზიანი კილოთი არის დაწერილი. ამიტომ ისეთი ფრაზა, როგორც „ელენემ თავზედ ლაფი დაისხაო", ბურჟეს ენას არ შეესაბამება, აი, ის როგორ ამბობს: elle lui appartient complétément—სულ ერთიანად დაემორჩილაო. ეს თუმცა არაფერია, მაგრამ ავტორის სტილზე შეიძლება სხვა აზრი შეადგენიოს მკითხველს.

ეხლა სასურველია გ. ყიფშიძემ ბურჟეს Disciple-იც გადაგვითარგმნოს და მაშინ მისი წყალობით ერთი საუკეთესო ეხლანდელი მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები გვექნება ჩვენს ენაზე. გარდა ამისა, იმედია მრავალ კარგ სხვა თარგმანებსაც მოგვცემს და ისეთი სერიოზული ნაწერებისას, როგორსაც აქამდე სთარგმნიდა. საჭიროა ჩვენი მკითხველი საზოგადოება მიეჩვიოს პონსონ დე ტერალისა და კსავი დე მონტეპენის რომანებზე უფრო დინჯი და ტვინის გამაღვიძებელის რისამე კითხვას. საჭიროა, აგრეთვე, მივაქციოთ ყურადღება იმ წრეს, რომლის მოთხოვნილებაც უფრო დიდია, ვინემ ზემოხსენებული მწერლების ნაწარმოებით თავის შექცევა.

61. მარსელ პრევოს — „Les demi-vierges“

საფრანგეთის ლიტერატურაში ამჟამად ახალგაზრდა მწერალთ შორის თავი იჩინეს და ევროპის ყურადღება მიიქციეს მარსელ პრევომ, პოლ მარგერიტმა და ჟან რონიმ. მათი თხზულებები მით არიან შესანიშნავნი, რომ მარტო იმას კი არა ცდილობენ ფოტოგრაფიული სურათი გადმოგცეთ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენისა, არამედ ამ მოვლენას მსჯავრსა სდებენ და მის ზნეობრივ მხარეს აფასებენ[1]. ამ მხრით მათი ნაწარმოებები ახალ ხანას შეადგენენ საფრანგეთის ლიტერატურაში. მათგან, პრევო და მარგერიტი გვიხატავენ ზნეობრივ მდგომარეობას ეხლანდელი საფრანგეთის უმაღლესი საზოგადოებისას და ცდილობენ რაიმე წამალი აღმოაჩინონ მათი ზნეობრივი სენისაგან განსაკურნებლად, რონი კი თავის მოთხრობებში ეხლანდელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას ეხება, მასში ხედავს ზნეობის დაცემის მიზეზსა და მის მოსასპობად სხვადასხვა გზას უჩვენებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ამ ცოტა ხნის წინათ რომანისტი, თუ კრიტიკოსი იმას ქადაგებდა, მწერლობა მხოლოდ სარკე უნდა იყოს, რომელმაც ცხოვრება სრული სინამდვილით დაგვანახვოსო და ავტორს არავითარი უფლება არა აქვს თავისი „მე“ გამო

კეთესო ნაწარმოებად ის იყო მიჩნეული, რომელიც ყოველივე ზნეობრივ ტენდენციას იყო მოკლებული, რადგან ეს ხომ ავტორის მსჯავრი, მისი აზრი იქნებოდა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. რამდენად ახერხებდა ამას ამ დოქტრინების მოძღვარი ფლობერი, ანდა ახერხებს ზოლა ეს არხი-რეალისტი, ეს მკითხველისათვის მიმინდვია განსასჯელად.

არც იმაზე არის საჭირო ბაასი, თუ რამდენად ძნელია და შეუძლებელი ავტორმა თავისი თავი, თავისი გრძნობები და აზრები დამალოს და არ გამოაჩინოს. წარმოვიდგინოთ შეძლოს მწერალმა და მიაღწიოს, რომ სულ ფოტოგრაფის აპარატს დაემსგავსოს, ცხოვრება მხოლოდ ფოტოგრაფიულად გამოხატოს, მაინც ცხოვრების ყოველ მოვლენას თან სდევს თავისი მსჯავრი, და ყოველი მკითხველი მის სასტიკსა და პირუთვნელ მსაჯულად იქცევა. მერე რატომ უნდა ვიქონიოთ ფოტოგრაფიულ სურათზე ისეთი წარმოდგენა თითქო გაშალაშინებული ფიცარი იყოს და ან ასპიდის დაფა, რომელზეც რაც გენებებათ იმას დასწერთ. დახედეთ ფოტოგრაფიულ სურათს, თუ არ შეამჩნიოთ, რომ ესა და ეს პირი ამ წუთში ასეთ თუ ისეთ განწყობილებაზე ყოფილა, და ხანდახან იმ ზომამდე მიდის ზოგიერთის ნიჭი, რომ სურათზე სახის გამომეტყველების შემწეობით შეიძლება მიხვდეს რა ხასიათის არის ესა და ეს კაცი საზოგადოდ. ზოგიერთი სურათი საზიზღრად გეჩვენებათ, ზოგი კი უცნაურის სიმპატიით მოგხიბლავთ ხოლმე. რასაკვირველია, სახის კარგად გადაღებაც ფოტოგრაფის ხელოვნებაზე არის დამოკიდებული, მაგრამ ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ვერცერთ ფოტოგრაფს ვერ გადაუღია სახე მათემატიკურის სინამდვილით. ზოგი ასახიჩრებს მას და ზოგი ამშვენიერებს. ამნაირად, რაც უნდა ფოტოგრაფიულად გამოგვიხატოს მწერალმა ცხოვრება, მაინც, ცოტა არ იყოს, თავისებურად გარდაქმნის მას; რაც არ უნდა ეცადოს, მაინც ასეთსა თუ ისეთს შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე და ამგვარ თუ იმგვარ აზრსა და გრძნობებს აღძრავს მასში. გარდა ამისა, არცერთი ცხოვრების მოვლენა, თუ სრულიად და ღრმად დაგვიხატავს მწერალი მის სურათს, არ არის მოკლებული ზნეობრივ შინაარსს, რაიმე ზნეობრივ მაგალითს წარმოადგენს ყოველთვის და ყოველთვის გონების გამწრთვნელია და ზნეობრივი მცნების მასწავლებელი, პირდაპირ იქნება თუ გადაკვრით.

გარემოებათა ქარიშხალმა გონს მოიყვანა საფრანგეთის მოწინავე რაზმი და აგრძნობინა, თუ რა ძნელია ზნეობრივი ცხოვრებისა და ღვთიური იდეალის მივიწყება. დღეს საუკეთესო წარმომადგენელი ხელოვნებისა თუ ფილოსოფიისა, ჰგოდებს ზნეობის დაცემაზე და ყოველ ღონესა ხმარობს მის აღსადგენად. მათ შეიგნეს, რომ ზნეობით დაცემულსა და გათახსირებულ საზოგადოებას გულში უზის ჭია, რომელიც ღრღნის მას და ადრე იქნება თუ გვიან, სულაც მოსპობს პირისაგან ქვეყნისა. მათ შეიგნეს, რომ მხოლოდ ზნეობით მაღალ და განსპეტაკებულ საზოგადოებას შეუძლია ხელში აიღოს დროშა სამშობლოს დიდების დასაცავად, რომ ეს დროშა წმინდაა, რომელიც ვერ იგუებს უწმინდური ხელის შეხებას.

ანკი რა ადამიანური აზრი უნდა ტრიალებდეს იმ საზოგადოებაში, რომელშიც სიყვარული, მეგობრობა, მამა-შვილური კავშირი, პატიოსნება, ერთი სიტყვით ყოველი წმინდა გრძნობა შებღალულია და გაყიდული ოქროს ნაპოლეონოდორებად? განა შეუძლია იმ ხალხს, რომელსაც უმაღლეს კერპად ოქროს ხბო ჰყავს არჩეული, შეიგნოს უმაღლესი პრინციპი სამშობლოსა და კაცობრიობის სიყვარულისა? განა შეუძლია მას არ გაჰყიდოს რამდენიმე ვერცხლად თავისი ღმერთი და თავისი ქვეყანა, რომელიც ჩირადაც არ მიაჩნია და განა ასე არ იქცეოდნენ საფრანგეთის დამცველნი უკანასკნელ ომში? დიახ, ბატონებო, მხოლოდ ზნეობრივ საზოგადოებას შეუძლია დიადი პრინციპების შეგნება, მხოლოდ ამგვარ საზოგადოებაში შეიძლება აღიზარდოს ხე ძმობისა, ერთობისა, თავისუფლებისა და უამისოდ ხომ ცხოვრებაც შეუძლებელია, განწირულია ადრე თუ გვიან მოსასპობად. თანაც მარტო იმ საზოგადოებას შეუძლია ზნეობრივი ცხოვრება, რომელსაც რაიმე დიადი იდეალი ასულდგმულებს... ეხლანდელი მწერლები სწორედ ამნაირი ცხოვრების განმტკიცებასა ცდილობენ საზოგადოებაში. დაეხსენით ამ საძაგელ მრუშებას. ნუ კარგავთ მშვენიერ დროს ქალების დევნასა და შეცდენაში, მოეხმარეთ თქვენს დაჩაგრულ სამშობლოს, აღამაღლეთ იგი ქვეყნის თვალში, როგორც უწინ იყო ამაღლებულიო, ნუ დაუკარგავთ მას პირველ ადგილს კაცობრიობის წინმსვლელობაშიო; თქვენი ნიჭი და თქვენი გრძნობა, რომელთაც საზიზღარსა და უმნიშვნელო მოქმედებებს ახმართ, მოახმარეთ ამ დიად საქმესო, — ამბობს ერთი. დაიცავით ოჯახის სიწმინდე და შესწირეთ თქვენი თავი თქვენი შვილების ადამიანურად და რიგიანად აღზრდას. დაიმორ-

ჩილეთ თქვენი წუთიერი მავნე და ბიწიერი გრძნობები და აღასრულეთ ღვთისაგან და საზოგადოებისგან თქვენზე დადებული მოვალეობაო, — ამბობს მეორე. შეამცირეთ თქვენი აღვირწახსნილი ეგოიზმი, გახსოვდეთ, რომ თქვენ გარშემო არიან თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენისთანავე ადამიანნი, რომელნიც იტანჯებიან ფიზიკურად და სულიერად. მოეხმარეთ ამ დაჩაგრულთ და ტანჯულთ, მოსწმინდეთ მათ ჭირის ოფლი, მაშინ დროც აღარ დაგრჩებათ უშინაარსო და უაზრო ცხოვრებისათვისაო,—ამბობს მესამე. ერთიც, მეორეც და მესამეც გვიხატავს, თუ რა მომავალი ექნებათ უმაღლესი მოვალეობის არ აღმსრულებელთ და ბინძური ცხოვრებით გატაცებულთ.

გარყვნილ ცოლ-ქმარს, ზნეობა დაცემულ დედ-მამას და ყოველ ადამიანურ გრძნობას, — სიყვარულს და სიბრალულს მოკლებულ კაცსა და ქალს ელის ზიზღი მთელი საზოგადოებისა, სინდისის ქენჯნა და სულიერი ტანჯვა, ელის დამარცხება ცხოვრებისათვის გაფაციცებულ ჭიდილში. ერთ სამაგალითო თხზულებად, რომელშიც გამოხატულია ზნეობა დაცემული და ხასიათგაფუჭებული საზოგადოება, უნდა ჩაითვალოს ის შესანიშნავი მოთხრობა მარსელ პრევოსი, რომლის სახელით ეს წერილი იწყება [1].

მოდ დე რუვრი ახალგაზრდა ქალია, პარიზის უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნის და წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა ქალთა, რომელთაც პრევომ დაარქვა უცნაური სახელი demi-vierges — ნახევრად ქალწულნი. მას გაგიჟებით უყვარს ერთი ყმაწვილი კაცი— ჟულიენ სუბერსო, საუკეთესო ახალგაზრდა პარიზის უმაღლეს საზოგადოებაში, როგორც მშვენიერი შეხედულობით, თავისი ქცევითა და მიხვრა-მოხვრით, ისე მახვილი და ცოცხალი ჭკუა-გონებით. ზნეობით კი, რასაკვირველია, როგორც ყველანი ისიც დაქვეითებულია. ამასაც, გაგიჟებით უყვარს მოდი, მაგრამ მათ შეერთებას წინ ეღობება სიღარიბე: ათი თუ ოცი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, რომელიც მოდსა აქვს ეტლის ქირისთვისაც კი არა ყოფნის. მაგ-

---

[1] ამ რომანმა მთელი განათლებული ქვეყანა აალაპარაკა, და მასში გამოხატულმა ჰეშმარიტმა სურათმა ბევრი გააოცა და თავზარი დასცა. მით უფრო მივაქციეთ ამ თხზულებას ყურადღება, რომ არა გვგონია ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო რამ იყოს იქა თუ ჩვენმა მწერლებმა არ იტვირთეს და ან ვერ შეძლეს ჩვენი საზოგადოების ბიწიერება გამოექვეყნებინათ, უცხო მწერლებს მაინც მიკმართოთ, რომ დავანახვოთ საზოგადოების საზიზღარი სურათი, რომლის შესახებაც იმას ვერ იტყვის, ეს ჩვენ არ გვეხებაო.

·რამ იგინი თავის სიყვარულსა და სურვილებს იკმაყოფილებენ მით, რომ ცხოვრობენ, როგორც საქმრო და საცოლე, მოდი თითქმის ყველაფრის ნებას აძლევს ჟულიენს; ასე წარმოიდგინეთ, კიდევაც დადის მასთან ჩუმ-ჩუმად. რამდენი საათი გაუტარებიათ ერთად მარტო, ერთმანეთის ხვევნა-კოცნაში. მხოლოდ იმის ნებას არ აძლევს მოდი, რასაც შეიძლება გლახა შედეგი ექნეს, არ აძლევს მის ნებას, რის აღსრულებაც მარტო ქმარს ეკუთვნის. ამიტომაც, დაარქვა მას ავტორმა „ნახევრად ქალწული". მოდი არწმუნებს ჟულიენს, რომ იგი მხოლოდ სიმდიდრისათვის თხოვდება, თორემ სიყვარულით მის მეტი არავინ ეყვარება და გათხოვებისთანავე საყვარლად გაუხდება.

ამ დროს მოდის დედას გაეცნობა ვიკონტ დე შანტელის სახლობა, რომელიც შედგება დედისაგან და და-ძმისაგან. მაქსიმე დე შანტელს (ძმას) გაგიჟებით შეუყვარდება მოდი. იგი დიდი მდიდარი კაცია, ატარებს დიდ სახელს, არის პატიოსანი, მეტის-მეტი კეთილშობილი და ღირსეული კაცი, ზნეობით დაცულია ისე, როგორც ქალიშვილი. თავისი ხასიათით იგი სრულ კონტრასტს წარმოადგენს პარიზის ახალგაზრდობისას. როცა დე-შანტელი განაცხადებს სურვილს მოდის შერთვისას, ეს, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დათანხმდება. მაგრამ ეხლა ჟულიენს უცნაური ეჭვი დაებადება. ის ვეღარაფრით ვერ უძლებს ტანჯვას იმ ფიქრით გამოწვეულს, რომ მოდი სხვისი იქნება. მას აღეძვრება სრულიად სამართლიანი და კეთილშობილური ზიზღი თავისი საყვარელი არსების ამგვარი გაზიარებისა. ერთ დღეს ადგება და დე-შანტელს ეტყვის, რომ მოდი მისი საყვარელი იყო. მოდი, რომელიც ამ ლაპარაკში იქ არის, გაანჩხლდება და თავზედ ქოლგას გადაამტვრევს. მაქსიმე დე-შანტელი კი განაცხადებს სურვილს შენდობისას, რადგან „წარსული მე არ მეკუთვნისო". მაგრამ მოდის იმდენი ჭკუა კიდევ შერჩენოდა, რომ ამგვარი ფრაზებისთვის მნიშვნელობა არ მიეცა. მან კარგად იცოდა რამდენი საყვედური შეხვდებოდა ცხოვრებაში „წარსულისათვის" და ის არჩია არ დათანხმებულიყო და არ მიეღო შენდობა. ჟულიენი მერე ბევრს ემუდარება აპატიოს და შეურიგდეს, თავის მოკვლასაც კი ემუქრება, მაგრამ მოდი შეუბრალებელია. ბოლოს ჟულიენისაგან მიიღებს უკანასკნელ წერილს, რომელშიც უცხადებს, რომ თავს იკლავს. მოდი კი ადგება და ხასად დაუჯდება ვიღაც საზიზღარ ცოლიან ბანკირს, რომელიც იძიებდა ჟამსა მარჯვესა, როცა მოდი გაჭირვებაში ჩავარდებოდა, რათა მაშინ ხელში ჩაეგდო.

აი, რა უცნაურ სენს გაუდგამს ფესვი საფრანგეთის (და რატომ ყოველი ქვეყნის არა?) წარჩინებულ საზოგადოებაში. ფრანგი მწერლები იმას სტიროდნენ, ქმრიანი ქალები უწესოდ იქცევიანო და თურმე უარესი—ქალიშვილებიც ისე იქცევიან, როგორც გათხოვილები და წინდაწინვე პირობას დებენ გათხოვდებიან თუ არა გარყვნილების მორევში შეცურონ. მათ ჰყავთ საყვარლები, ანდა უკეთა ვთქვათ ნახევრად საყვარლები, რომლებსაც წამდაუწუმ სახლში უვარდებიან, კისერზე ეხვევიან და ტყუილუბრალოდ სისხლს უღელვებენ, აძლევენ პირობას, რომ რაკი ქმარს იშოვნიან, მერე მათ საყვარლად გახდებიან, მანამდე კი მათ რაღაც ვაჭრული ანგარიშით არ მიჰყვებიან. „თავის დღეში არ შემიძლია გავყვე ჟულიენისთანა კაცს, — ეუბნება მოდი ერთ თავის ჰეგობარ ქალს, —იმიტომ რომ არ მინდა ჩემს წრეს გავშორდე, გესმის!? უფრო ადვილად შემიძლია გავხდე უბრალო კოკოტკა, მე ვარჩევ გავხდე არონის (მოხუცებული და საძაგელი ბანკირი) ხასად, ვინემ მის ცოლად“. სიყვარულით კი გაგიჟებით უყვარს ჟულიენი: „ყოველი კაცი მეზიზღება და მძაგს, გარდა ჟულიენისა. მე მიყვარს მისი ხელები, მისი ტუჩები, მისი თვალები. მე მსურს ისა... არავინ არ მიყვარს იმ ერთის მეტი და ის კი მიყვარს, მიყვარს საშინლად, უცნაურად“. მაგრამ განა გრძნობას სიყვარულისას შესწირავს სურვილს ბრილიანტებისა და ეტლების მოპოვებისას ისეთი ქალი, რომელიც ამას ეუბნება თავის საყვარელ კაცს: „სწორედ მიტომ, რომ შენ მიყვარხარ, მინდა ვიყო მდიდარი და თავისუფალი. შენ თუ გიყვარვარ უნდა გინდოდეს, რომ დედოფალი შევიქნე. ჩვენ უნდა დავატრიალოთ ჩვენი ბედის ბორბალი! და ამ ბორბლის ტრიალმა ქვეშ მოიტანოს ის ადამიანები, რომლებიც ჩვენზე უღირსნი არიან, ის ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან ჩვენზე უმდაბლეს გვარს და რომლებითაც ჩვენ უნდა ვისარგებლოთ სრულიად უსირცხვილოდ, ისე უსირცხვილოდ თითქოს ცხენს ლაგამს უდებდეთ და უნაგირს ვადგამდეთ“. ეს საშინელი ქმნილება არის შვილი დღევანდელი უსაქმური საზოგადოებისა. ყმაწვილი კაცები მეტს არას ეძებენ, რომ ქალები ატყუონ, მათი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ქმარს მოასწრონ და მასზედ უწინ იგემონ ყოველივე სიტკბო ქალიშვილებისაგან. მთელი გუნდია თურმე ყმაწვილკაცთა, რომელნიც მარტო ამას მისდევენ. მათ პრევომ ჩინებული სახელი უწოდა dèflorateur-უბიწოების შემბღალველნი, იგინი არიან

დამწყებნი, ინიციატორები, მერე მოჰყვება ქმარი და მთელი ლეგიონი საყვარლებისა.

რატომ დედები არ უგდებენ ყურს თავის ქალებს, რატომ არ არიდებენ ასეთ კაცებს? ოჰ, დედები! მათ დიდად ეწყინებოდათ, რომ მათი ქალიშვილები ამ კაცებს უყურადღებოდ დარჩეთ. ყველაზე უწინ ისინი არიან დამნაშავენი და პასუხისმგებელნი მათი ქალების გარყვნისათვის. მათ სიხარულით აღარ იციან რა ქნან, როცა მათი ქალების ირგვლივ ბუზებივით ირევიან ახალგაზრდანი და მით უფრო თავი მოსწონთ, რამდენს უფრო მეტს ესხმება თავბრუ მათი ასულების შემწეობით.

ქალიშვილებს ერთი აზრი აქვთ გათხოვების დროს, რაც შეიძლება მდიდარს წაჰყვნენ, რომ ყოველი ბიწიერი სურვილი აღისრულონ. დედებს თავიანთი შვილები თაფლად მიაჩნიათ, რომლითაც იტყუებენ, რაც შეიძლება მეტ ფულიანს და სწირავენ თავიანთი სისხლისა და ხორცის ბედსა და იღბალს თავისი უწესო და ურიგო სურვილების აღსრულებისათვის. დღევანდელი საზოგადოების მიმზიდველი და წამქეზებელი, ღმერთი და იდეალი ფული გამხდარა. ფული გამეფდა დღეს და იმდენად გაძლიერდა, რომ ვეღარავინ და ვერაფერი ვერ უბედავს შებმას. თვით უძლიერესი მეფეები თავს იხრიან მის წინაშე და როტშილდები დღეს ფაქტიურად ძლევამოსილ მეფეებად გამხდარან. ფულების სიმრავლემ კაცს მისცა ნება და შეძლება ყოველი უცნაური, პირუტყვული სურვილები დაეკმაყოფილებინა. ამიტომაც, თვით ამ სურვილებმაც იმატეს და ისე გაიზარდნენ, რომ დღევანდელი კაცობრიობის უმეტესი ნაწილი მარტო არაადამიანურის გრძნობისა და მისწრაფების ჭურჭელი გამხდარა. ამ სურვილების დაკმაყოფილება მხოლოდ ფულს შეუძლია, — ფული პირველ იდეალად გამხდარა. ქმარი ცოლს ჰყიდის, დედა—შვილს, და—ძმას და მეგობარი—მეგობარს, ყოველი ადამიანი კი — თავის სინდისსა და ღირესებას ფულის გულისათვის. საზოგადოება გახრწნილია და მოსე კი არსად არის, რომ ოქროს ხბო დაამტვრიოს და აღმოუჩინოს საზოგადოებას დიადი პრინციპები ცხოვრებისა. დღევანდელი საზოგადოება რომის უკანასკნელ დღეებს მოგაგონებთ. მაგრამ ქრისტე არსად არის, რომ განახლება მოახდინოს და კაცობრიობა გარდაბადოს და გარდაქმნას. გარეგანი შეხედულება იმ უსირცხვილო ვაკხანალიასი, რომელშიც დღეს მთელი საზოგადოების წევრები ჩაბმულან, უპირველეს მდიდრიდან დაწყებული უკანასკნელ ღარი-

ბამდე, გონების წარმტაცია, მისი შინაგანი შხამიანი არსების შემგნებელი კი ერთობ ცოტაა. დღევანდელი საზოგადოება მთელ ქვეყანაში უსაშინლეს კრიზისშია, მის ქაჯურ, თავბრუდამსხმელ ცეკვა-თამაშს იგი უფსკრულის ნაპირას მიჰყავს. თუ გვინდა იგი კრიზისს გადავარჩინოთ, თუ გვინდა დამსხვრევისა და გაცამტვერებისაგან ვიხსნათ, ყველამ უნდა ვეცადოთ ამ მდგომარეობის გამომწვევი ძალები შევმუსროთ, საზოგადოება გამოვაფხიზლოთ, უმაღლესი იდეალები დავუსახოთ და ახალი მცნებები შევუდგინოთ.

მარსელ პრევომ თუმცა გულისმომწყვლელი, მაგრამ ჭეშმარიტი სურათი დაგვიხატა ეხლანდელ მავნე სულით შეპყრობილი საზოგადოებისა (არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელის ქვეყნისა. კიდევ ვიმეორებთ, მათთვის ვინც იფიქრებს, რომ ეს სურათი ჩვენს ცხოვრებას არ შეეხება), —საშუალება კი ვერა-გვიჩვენა რა, ვინაიდან საზოგადოების ასეთი მდგომარეობიდან გამოხსნისათვის არა კმარა ჟანნასთანა ქალები (მაქსიმ დე-შანტელის და), რომელიც ავტორს იდეალად მიაჩნია, და რომლის ღირსებაც იმაშია მხოლოდ, რომ არაფერ ურიგოს არა შვრება, პასიურად პატიოსანია, მაგრამ რაიმე თვალსაჩინო კეთილის გაკეთებაც, ვგონებ, არ შეუძლია (რომანიდან მაინც არა სჩანს ესა). ეხლანდელ ცხოვრებაში საჭირო არიან ზნეობით ფაქიზნი, მაგრამ აქტიურად პატიოსანნი, ენერგიულნი დედანი და დანი, რომელნიც თავგანწირულებით უნდა მსახურობდნენ სამშობლოსა და ოჯახს და არა ისეთი ცხვარის მსგავსი ადამიანი, რომელიც ჭიასაც ვერ გააღვიძებს, მაგრამ ჭიასაც ვერ მოაშორებს თავის მოძმეს, თუმცა მოდის მსგავს ქალებთან ჟანნა იდეალია, მაგრამ მაინც არ არის ისეთი იდეალი, რომელიც საჭიროა ცხოვრებისათვის.

ვერაფერი საშუალებაა ვერც მონასტერში ქალების აღზრდა, რომელსაც ავტორი ქადაგებს წინასიტყვაობასა და თვით რომანში ერთ-ერთი გმირის პირით. იმიტომ, რომ ეგ საშუალება ნაცადია, მაგრამ უნაყოფო და უხეირო გამოდგა: ეს წამალი მეტისმეტად ძველია და უვარგისი. ჩვენის აზრით, ავტორი კარგს იზამდა სულაც არ შეხებოდა ამ კითხვას (ქალების აღზრდას), რადგან სულაც არ შესძლებია იმისი ხეირიანად გადაწყვეტა. რამდენადაც მშვენიერად ახასიათებს და მსჯავრსა სდებს გახრწნილ საზოგადოებას ბ-ნი პრევო, იმდენად უხერხულ გზებს გვიჩვენებს ხსნისას. კარგად შეუგნია ავტორს მიზე-

ზები ასეთი უცნაური გარეგნილებისა, მშვენიერად შეუსწავლია სული და გული დღევანდელი საზოგადოებისა, მაგრამ წინასწარმეტყველად და მოძღვრად მაინც არ ვარგა. ამ წინასწარმეტყველსა და მოძღვარს ყველა გაფაციცებით ელის. ბევრი რამ გვაძლევს იმედს, რომ უნდა გამოჩნდეს გენიოსი, რომელიც ახალი ცხოვრების დამწყები და სულისჩამდგმელი იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერა ვხედავთ. ადრე იქნება თუ გვიან, ეს ვინ იცის, მხოლოდ მეტისმეტად თუ დაიგვიანა, სწორედ პეტრეს მოსვლამდე... იქნება...

62. „მარგარიტა გოტიე“, დრამა ალ. დიუმა-შვილისა

(ერთი თავი ეტიუდიდან დიუმას შესახებ)

ამ დღეებში თბილისში წარმოადგინეს დიუმას დრამა „მარგარიტა გოტიე“. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დამწერი ამ მშვენიერი და დიდაზროვანი დრამისა გარდაიცვალა. საფრანგეთმა დაჰკარგა მასში ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლიტერატურისა, ერთი დიდებული წარმომადგენელთაგანი ნაპოლეონ III-ის მეფობის დროში აღზრდილი ლიტერატურისა.

დიუმას ნაწარმოებთა დაწვრილებით გარჩევა დიდად საინტერესო უნდა იყოს ყველასათვის, ვისთვისაც საინტერესოა ეხლანდელი ლიტერატურისა და აზროვნების მიმართულების შეგნება. მაგრამ ამ ვრცელ საგანს ჯერ-ჯერობით დავეხსნათ და განვიხილოთ ზემოხსენებული დრამა.

მარგარიტა გოტიე ერთი გაუბედურებული ქალია. უძლეველ გარემოებას, შემთხვევას, თუ თავდავიწყებულ გატაცებას გრძნობით ეს არსება იქამდე მიუყვანია, რომ თავისი სხეულით ვაჭრობს. ღვთისაგან მინიჭებული სიმშვენიერე, რომელიც მხოლოდ სიამოვნებასა და ბედნიერებას უნდა ჰფენდეს გარშემო, ცხოვრების იარაღად გაუხდია და დასდგომია იმ გზას, რომელზეც მიმავალი უხვად სთესს ყოველ მხრივ ტანჯვასა და ვაებას. მაგრამ შემთხვევით დაცემული არსება სულით მაღალი დარჩენილა, მასში ადამიანობა არა თუ ვერ მოუსპია გარეგან ბინძურ ცხოვრებას, წინააღმდეგ, თითქოკიდეც განუმტკიცებია. და აი, პირველსავე შემთხვევაში გამოიჩენს გარეგანი უზნეობის ქვეშ დამალულ ღვთიურ სულს, მაშინვე მიაგნებს გზას ჭეშმარიტებისას, როგორც კი შეხვდება გულითა და სულით სპეტაკ არსებას, რომელსაც იგი უყვარს ნამდვილი, ადამიანური სიყვარულით. იგი გატაცებით და თავგანწირულად დაემორჩილება წმინდა გრძნობას, მიატოვებს ყოველივე ბიწიერს... მაგრამ რა, უწყალო, ულმობელი და ბოროტი ბედი მოსვენებას არ აძლევს ამ,

რაღაც უცნაური განგებისაგან განწირულ არსებას და ცოტა ხნით რომ მოაჩვენებს ბედნიერებას, მერე უეცრად წარსტაცებს მას. მარგარიტას ცხოვრება მითოლოგიური ტანტალის წამებას მოგაგონებთ! ტანტალის საშინელი ტანჯვა იმაში მდგომარეობდა, რომ სწყუროდა, თვით მუხლამდე წყალში იდგა და როგორც კი დაიხრებოდა წყლის დასალევად, წყალი დაშრებოდა; ტანტალს შიოდა, მისი თავის ზემოთ ათასნაირი ხილი იყო ჩამოკიდებული, მაგრამ გაიწვდიდა თუ არა ხელს, ხილი სულ ზევით და ზევით აიწეოდა. მარგარიტას გაწამებული სიცოცხლე სიზიფის ტანჯვასა ჰგავდა! სიზიფი ღმერთებმა დასაჯეს. ეს სასჯელი კი გამოიხატებოდა იმაში, რომ ქვა უნდა აეგორებია მთის წვერზე, მაგრამ მიაგორებდა თუ არ მთის წვერამდე, ქვა ისევ ძირს დაგორდებოდა. ეს ყველაფერი მითია, ზღაპარი, არაკი, მაგრამ შიგ იხატება ღრმა ცოდნა კაცის ტანჯული ცხოვრებისა; ეს პოეტური სიმბოლოა, რომელიც სურათებით გამოხატავს უბედური კაცის ცხოვრების შინაარსს. განა ყოველთვის ასე არ ემართება ბედისაგან არ შეწყნარებულს, ბედისაგან დასჯილს (იმას ნუ შევეხებით, სამართლიანია ეს დასჯა, თუ უსამართლო) ადამიანს? წვალობს, შრომობს და ბოლოს, როცა ჰგონია ეს არის მივაღწიე ჩემს მიზანსო, ამ დროს ფეხი წაუცურდება და დაეცემა, მიზანიც სადღაც გადაეკარგება და ისევ ხელახლა უნდა დაიწყოს ტანჯვა-წამება, სანამ გაჯახირებულ სულს არ განუტევებს.

ასეთი გახლდათ მარგარიტას ცხოვრებაც. აუსრულდა საწადელი და რიგიანად ცხოვრება დაიწყო, ამ დროს გამოტყვრება მამა მისი საყვარლისა, — არმანისა. ეს კაცი ჯერ მკვახე, მერე კი დინჯი და „გონივრული“ ლაპარაკით, რომელიც ხანდახან ვედრებადაც გადაიქცევა ხოლმე, დააჯერებს მარგარიტას, რომ თავისი სიცოცხლე მსხვერპლად უნდა შესწიროს არმანის ბედნიერებას... წმინდა, ღვთიური გრძნობა და ამ გრძნობაზე აგებული ცხოვრება უნდა შესწიროს დახავსებულ, გამოფიტულ, უგრძნობელ, ულმობელ და უაზრო მოთხოვნილებას ეგრეთ წოდებული „საზოგადოებისას“. მარგარიტა თანხმდება ამაზე და ხდება მსხვერპლი გულქვაობისა. იგი მიატოვებს არმანს და დაიწყებს უწინდელ ურიგო ცხოვრებას. არმანს— კი არ ატყობინებს ნამდვილს მიზეზს ასეთი მოქმედებისას. ბოლოს მრავალტანჯული ადამიანი სულიერი ტანჯვითა და ამგვარი ცხოვრებით დაუძლურებული და დასუსტებული სულსაც დალევს. მხოლოდ რამდენიმე წუთით სიკვდილის წინ ნახავს არმანს, რომელსაც

უკვე გაუგია მისი დიდსულოვანი მოქმედება და ბოდიშით მოდის მასთან, მაგრამ გვიანღა არის.

ეს დიდებული დრამა, ერთის მხრით, თაყვანსა სცემს და აღმერთებს ადამიანის სულის სიმშვენიერეს. იგი გვიმტკიცებს, რომ გარეგან პირობებს შეუძლია... სიმშვენიერე ერთის წუთით მიაძინოს. შეუძლია ცოტა ხნით ჩვენთვის უჩინარი გახადოს, მაგრამ მთლად ერთიანად კი მისი მოსპობა არ შეუძლია. მეორეს მხრით, კრიტიკაა მთელი ეხლანდელი გათახსირებული და უგრძნობელი საზოგადოების ცხოვრებისა; ბრალმდებელი ოქმია იმ საზოგადოების შესახებ, რომელსაც ყოველი წმიდა და დიდებული გრძნობა არშინით გაუზომავს და გირვანქით აუწონია, რომელიც ჰყიდის ფულად ყველაფერს, რაც კი კაცის შემამკობელ სიტურფეს შეადგენს. ეს მხარე დრამისა ბევრად უფრო საინტერესოს ხდის მას და ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს. იშვიათად თუ ვისმეს გამოეთქვას ასეთი წრფელი ზიზღი პირუტყვული ცხოვრებით გატაცებული საზოგადოების მიმართ; იშვიათად, თუ რომელიმე ნაწარმოებს დაეხატოს ასე სავსებით, თუ რა ბოროტმოქმედია ეს საზოგადოება. იშვიათად ნახავთ ნაწარმოებს, რომელსაც ასეთი ხელოვნებით აღეძრას მკითხველში. თუ მაყურებელში ორი ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობა. დრამა იწვევს, ერთის მხრით, ღრმა საყვედურს, ზიზღს მტარვალი საზოგადოების მიმართ, რომლის წევრიც თვითონაც არის, რომლის მძიმე დანაშაულში თვით მასაც წილი უდევს, მეორეს მხრით კი, გვიძრავს სიბრალულს, უგულითადეს თაყვანისცემად გადაქცეულს, რომელიც ეკუთვნის უბრალო მსხვერპლს საზოგადოების გათახსირებისას. იღუპება სული ჭეშმარიტი ადამიანისა, და ამ დაღუპვის თავი და ბოლო საზოგადოებაა.

საზოგადოებას არც იმაზედ უმტვრევია თავი, რომ ყოველი თავისი წევრის ცხოვრება უზრუნველეყო და არც იმაზე, რომ, უშველოს მაინც და დაღუპვისაგან იხსნას უმწეოდ და უნუგეშოდ დარჩენილი წევრი, რომელიც ბინძურ მორევს ჩაუთრევია და დანთქმას უპირებს. წინააღმდეგ, ხედავს, რომ მისი დაუდევრობის წყალობით ადამიანი, მისივე წევრი, კლდეზე იჩეხება და მის მაგიერ, რომ ეხლა მაინც ხელი მიაშველოს, ფეხსა ჰკრავს და აჩქარებს მის დამტვრევასა და გაცამტვერებას; დაე, მომშორდეს, გულს ნუ მიწუხებსო. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ძმის მიშველება თუმც წმინდა მოვალეობაა ყოველი კაცისა, მაგრამ ესეც ვაპატიოთ ადამიანის ბუნების სისუ-

სტეს. სავალალო და თავში საცემი ის არის, რომ დაღუპული სასაცილოდ გაუხდია, ზიზღით იხსენიებს მას, არცკი იკადრებს ხელი გაუწოდოს. უნებლიეთ დაცემული არავითარ სიბრალულს არ იწვევს მასში. თავხედობა კიდევ უფრო შორს მიდის და საზოგადოების ბედნიერი წევრი აცხადებს, ვინც დაჩაგრულ წევრს ხელს გაუწვდის, მიეკარება, იმან ხელი აიღოს ჩემს ნაცნობობაზე, მეგობრობაზე, ჩემთან ნულარავითარი კავშირი ნუ ექნებაო. განა, შესაძლებელია უმეტესი გარყვნილება საზოგადოებისა, უმეტესი მისი უტიფრობა და გაკადნიერება, რომელიც იხატება მისი წარმომადგენლის, ბ. დიუვალის (არმანის მამის) სიტყვებში, როცა პირში ეუბნება მარგარიტას, ამ საზოგადოების დაუდევრობის მსხვერპლს, ჩემი ქალიშვილი გაუბედურდება, თუ არმანმა თქვენთან ცხოვრებას თავი არ დაანებაო? დიახ, სასიძო თავს ანებებს საცოლეს, თუ ამ საცოლეს ძმა ვიღაც გაუბედურებულს, ოფიციალურად „როსკიპად“ წოდებულს იცნობს. ამავე დროს კი, შეიძლება, ფარულად, საქმროს გათხოვილ დას, მის ხანს გადასულ დედას, რამდენიმე საყვარელი ჰყავდეს; იქნება ამ საყვარლების, „ოჯახის მეგობრების“ წყალობით მთელი ოჯახი ცხოვრობდეს და აქაც ბევრად უფრო საზიზღარი ვაჭრობა ხდებოდეს (ამგვარები ხშირია ეხლანდელი საზოგადოების „პატიოსან ოჯახებში“), მაგრამ ეს ყველაფერი ხომ საიდუმლოდ ხდება, ამის მოწმეებით დამტკიცება შეუძლებელია.

სულ სხვაა, როცა ობლად დარჩენილი, უდედმამო და ქუჩაში დაგდებული, მარგარიტა გოტიესთანა ქალი, ძალაუნებურად შედგომია თავისი მშვენიერებით ვაჭრობას. იგი საზიზღრად არის აღიარებული, მასთან გავლა ჩირქსა სცხებს ადამიანს. მაგრგარიტა არავის ატყუებს, არც ქმარს, არც შვილს, არც ნათესავს, არც მეგობარს და არც ნაცნობს. ყველამ იცის, რომ მისი ყიდვა ამდენი და ამდენი ათასი ფრანკი ღირს. სავაჭრო გამოფენილია, გნებავთ იყიდეთ, თუ არა და არა. მას თვით ეზიზღება თავისი თავი, თვით გრძნობს რა ბოლოცა აქვს ამგვარ ცხოვრებას; კვნესის და ჰგოდებს, სევდით მოცულია და ეძიებს დროს, რომ ადამიანურად იცხოვროს, მაგრამ გარშემო ვერას ხედავს ხელის ჩასაჭიდებელს, ვერას ხედავს იმისთანას, რომელიც მისი ბედკრული ცხოვრების ნავთსადგურად გამოადგეს. ყველა ვინც მას იცნობს, ვინც მასთან დაახლოებულია — ჩარჩია, ჩარჩი,

რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მოატყუოს გამყიდველი, რაც შეიძლება მოგებული დარჩეს ვაჭრობაში.

როცა პირველად შეხვდებიან მარგარიტა და არმანი ერთმანეთს და არმანი ეუბნება თავს გაუფრთხილდიო, აი რას უპასუხებს: „დალოცვილო, თავს რომ გავუფრთხილდე, ხომ შიმშილით მოვკვდები... თავის გაფრთხილება შეუძლია მხოლოდ კარგი საზოგადოების ქალს, რომელსაც ოჯახი აქვს და მეგობრები ჰყავს. ჩვენისთანების საქმე კი წასულია იმ დღიდან, როცა ველარავის ვასიამოვნებთ. ჩვენ მიგვატოვებენ და მთელი დღე და ღამე მარტოდ-მარტო უნდა ვეგდოთ. მე კარგად გამოვცადე ეს ჩემი ორი თვის ავადმყოფობის დროს. სამი კვირა რომ გავიდა ყველას თავი მოვაბეზრე და ერთიც არავინ მოსულა ჩემდა სანახავად“. კარგადა გრძნობს ამას მარგარიტა, მაგრამ რა ქნას? ამგვარ ცხოვრებასაც ხომ თავისებური დაღი დაუსვამს მასზედ: ისეთი რამეებისათვის მიუჩვევია, რასაც სხვა მდგომარეობაში ვერ იშოვიდა. კარგად ჩაცმა-დახურვა, კარგი ჭამასმა, ეტლებით სეირნობა, თეატრებში და ბალებში სიარული, ყველა ეს, თუ მაინცა და მაინც დიდ სიამოვნებას არ აძლევდა, თავის დავიწყება მაინც შეიძლებოდა მათი წყალობით და ესეც კარგი ნუგეში იყო იმის მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს ცხოვრების შინაარსი მოიპოვოს, მაგრამ აქაც წინ ეღობება უწინდელი მისი ცხოვრება. „ჩვენ, — ეუბნება ის არმანს, — ბედნიერად გვთვლიან და ხანდახან კიდევაც უხარიათ ჩვენი ბედი. მართლაც, ჩვენა გვყავს საყვარლები, რომელნიც მთელ თავის ქონებას ფლანგავენ, მაგრამ ჩვენთვის კი არა, თუმცა თვით კი ამას ამბობენ. ამის მიზეზი მათი თავმოყვარეობაა. ჩვენი ერთი ბეწო პატივისცემაც კი არ აქვთ, მაგრამ თუ თავმოყვარეობის დაკმაყოფილებაზე მივარდა საქმე მაშინ დიდი რამა ვართ. ჩვენ მეგობრებიცა გვყავს, რომელნიც, თუ გვინდა, მონობასაც გაგვიწევენ, მაგრამ მათ მოქმედებაში თავგანწირულების ნატამალიც კი არ მოიპოვება. მათთვის სულ ერთია რასა ჩავდივართ, ოღონდ კი ჩვენი ლოქითა და ეტლით ისარგებლონ. ასე, რომ ჩვენ გარშემო მეფობს მხოლოდ დამღუპველი და სამარცხვინო ცხოვრება. მე ვოცნებობდი, ვფიქრობდი ხანდახან, თუმც არავის კი არ გავტეხივარ, იქნება შემხვდეს ისეთი სულმაღალი არსება, რომელმაც ჩემი წარსულის ანგარიში არ მომთხოვოს და მოისურვოს ჩემი შეყვარებამეთქი... მაშინ შეგხვდი შენ, გატაცებულს, ბედნიერებით სავსე ახალგაზრდას... ყოველივე შენი მოქმედება მაძლევდა

ნებას მეფიქრა, რომ სწორედ შენ იყავი ის კაცი, რომელსაც ვეძებდი და ვეძახოდი ჩემი ოცნების დროს. ერთ წუთს როგორც გიუმა, მთელი მომავალი შენს სიყვარულზე აღვაგე, მე ვფიქრობდი სოფელში ცხოვრებას, მინდოდა დამეწყო წმინდა და შეუმწიკვლელი ცხოვრება... მაგრამ, ეჰ, ეს თურმე შეუძლებელის სურვილი იყო, ერთმა შენმა სიტყვამ დამიმტკიცა“...

დიახ, მთელმა წარსულმა ნიშანი დაასვა საბრალო ქალს, ისეთი ნიშანი, რომელიც ყველას, რაც უნდა მისი სიყვარულით გატაცებული ყოფილიყო, თვალში ეჩხირებოდა. არმანიც, ეს საუკეთესო ყმაწვილი კაცი, ნამდვილი წრფელი სიყვარულით აღსავსე, ესეც კი ეჭვიანობით მოსვენებას არ აძლევს საბრალო ქალს და თავისი მოქმედებით იმედის კოშკს უნგრევს.

როგორც იყო, ერთი ორი თვით მაინც კარგად და თანხმობით ცხოვრობენ მარგარიტა და არმანი და შეიძლება სამუდამოდაც ასე კარგად მოწყობილიყო მათი ცხოვრება, მაგრამ საზოგადოება აქაც ხელს უშლის მის ხსნას. თავდაპირველად, საზოგადოების წყობილებამ, მისმა არაადამიანურმა პრინციპებმა უპატრონო ქალი მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე. ბუნებას მთლად არ მოუძულებია ეს ქალი და ფრიად მაღალი სულით დაუსაჩუქრებია. ამ სულს, ადამიანობის საიმედო ღუზას, სურს მისი ჩირქის მომცხები, დამტანჯველი გარემოება სძლიოს, მაგრამ ამ დროს კიდევ საზოგადოება უსპობს უკანასკნელ იმედს. მართალია, მარგარიტას კეთილმა ბუნებამ უკვე თავი იჩინა და აღარაფერს აღარ შეუძლია ამ ბუნების გაცამტვერება, გაქრობა, მაგრამ ცხოვრება და სიცოცხლე ხომ მაინც დაეტანჯა.

მობრძანდება არმანის მამა ბ. დიუვალი, ბურჟუაზიული სიქველით აღვსილი, ულმობელი საზოგადოების ღვიძლი შვილი და მისივე ჩინებული წარმომადგენელი. მას ტყვილა ფიქრადაც არ მოსვლია, თუ მარგარიტასთანა ქალს კიდევ შეიძლება ადამიანობა შერჩეს და ისე ეპყრობა, რაც, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო თავისი ზრდილობისათვის არ უნდა ეკადრებია. შემდეგ, როცა დაინახავს, რომ მარგარიტას სრულიად არავითარი დანაშაული არა აქვს, რომ თვითონ არმანმა შეიყვარა და მასთან ცხოვრება გადასწყვიტა, დაუწყებს პრაქტიკული მეცნიერების ლექციების კითხვას. შეიწყნარეთ ჩემი ქალიშვილი, საქმრო აღარ შეირთავს, თუ გაიგო, რომ არმანს თქვენთან კავშირი აქვსო. მარგარიტას ძალიან ეძნელება არმანის დაშორება ერთი წუთითაც, მაგრამ მაინც დათანხმდება მოშორდეს, სანამ მისი

და ჯვარს არ დაიწერს. არმანის მამა ამით არ კმაყოფილდება და ეუბნება: ეს არა კმარა, მე სხვა რამ უნდა გთხოვო, სულ უნდა მოშორდეთ არმანსაო. თქვენ ყმაწვილი ხართ, თქვენი სიყვარული მალე გაქრება. რაში იღუპავთ ან თქვენ თავს და ან ჩემს შვილს რად ღუპავთო. მაგრამ როცა მარგარიტა საშინელი სიწრფელით არწმუნებს ჩემს დღეში არმანზედ გული არ გამიგრილდებაო, მოხერხებული, გაქნილი ბურჟუა დახავსებულ მოსაზრებებს წარუდგენს და არმანის გრძნობის ხანმოკლეობაზე დაუწყებს ლაპარაკს. ის ყმაწვილია, სისხლი უდუღს, გულისთქმას აჰყოლია და ვნებათაღელვას შეცდომაში შეუყვანიაო. ბუნება ცვალებადია, კაცის გული და. მით უმეტეს ასეთი ყმაწვილისა, მეტად დაუდგრომელია, ასე რომ ბოლოს აღმოჩნდება ორივეს შეცდომაო. არმანი ისარგებლებს თქვენი სიყმაწვილით, სილამაზით და ბოლოს, თუ ჩვეულებრივი ადამიანია, მიგატოვებს, ხოლო თუ მეტად პატიოსანია შეგირთავს, ანდა ასე იცხოვრებთ ყოველთვისაო. ვთქვათ შეგირთოთ, რა უნდა მიუტანოთ თქვენ მას, უბიწოებაც კი აღარა გაქვთ, რომელიც აუცილებელია ოჯახის ზნეობრივი სიმტკიცისათვისაო. შეიძლება დღეს-დღეობით ამას ყურადღება არ მიაქციოს ჩემმა შვილმა, მაგრამ მერე და მერე ძალიან დაიტანჯებაო. მე კი ხომ სულ გაუბედურებული ვიქნები და ჩემი ოცი წლის შრომა და ღვაწლი ტყუილ-უბრალოდ ჩამივლისო. თქვენს კავშირს წმიდა სიყვარული არ უძევს საფუძვლად, იგი მოკლებულია ყოველივე იდეალურს, მხოლოდ პირუტყვული გატაცებაა და როცა მოხუცდებით, რაღა დაგრჩებათ თქვენი დამოკიდებულების საძირკვლადაო. „ვინ დაგარწმუნებთ, რომ პირველივე ჭაღარა თქვენ თმაში არ აუხსნის თვალებს ჩემს შვილს და რომ არ გაუქრება ყოველივე მისი წარმოდგენა თქვენს შესახებ თქვენს სიყმაწვილესთან ერთად. ამას გეუბნებათ თქვენ ცხოვრების მცოდნე კაცი“. დიახ, მხოლოდ ცხოვრების მცოდნე და გამოცდილ ბურჟუას შეუძლია ასე ლაპარაკი და მარგარიტაც მიაყვირებს: „ოჰ, სინამდვილეო“. დიახ, თითქოს ამ მოხუცში განხორციელებულიყოს სინამდვილე თავისი სიმკაცრით, თავისი ულმობელი გულგრილობით, თავისი რკინის კანონით, თავისი უმოწყალო მოთხოვნილებებით; თითქოს მთელ საშინელებას ცხოვრების სინამდვილისას ეს კაცი ამოერჩიოს თავის მოციქულად, თავისი სურვილების აღმასრულებელ ჯალათად. მისი ენა მეტად მჭრელი აღმოჩნდა, მისმა სიტყვებმა საშინლად იმოქმედეს საცოდავ ნაზ ადამიანზე და აი ენის უთქმელად, აღუშფოთებლად,

ლრმა სევდით მოცული თავს მიიტანს მსხვერპლად სინამდვილის საკურთხეველზე. ამ დღიდან მოისპო მისი სიცოცხლე, ამ დღიდან გაწყდა მისი სიცოცხლის ძაფი. დაეცა მსხვერპლი უსამართლობისა და უსამართლობა გამარჯვებული გამოვიდა.

მართალია, არმანი ბოლოს მოვიდა მამისავე ნებართვით, რომელიც ეხლა ბოდიშს იხდიდა ნარგარიტას წინაშე, მაგრამ რა გამოვიდა, ვაი თუ აქაც ბ. დიუვალის „ცხოვრების ცოდნა“ იყოს მიზეზი. უთუოდ კარგად იცოდა, რომ იმ დღეს აქეთ, რაც არმანი მოაშორა მარგარიტას და შემდეგ იმისა, რაც არმანმა მას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა, როცა საზოგადოებაში ფული ესროლა ცხვირ-პირში. მისი დღეები დათვლილი იყო. კიდევ კარგი, თუ ბოლოს მაინც მოლბა ეს მოციქული „მკაცრი სინამდვილისა“, მაგრამ რაღაც საეჭვოა და მეტად გვიანიც, კაცმა რომ თქვას.

დიუმას ძალიან უწყრებოდნენ, ურიგო ყოფა-ქცევის ქალი იდეალურ არსებად გამოიყვანეო. მაგრამ ამას მხოლოდ უგუნური და ფარისეველი თუ იტყვის. მართალია, მარგარიტას უწესო ყოფა-ქცევის ქალს უძახოდა საზოგადოება, მართალია მარტო მარგარიტა კი არა, მისი მეგობარი, იმისთანავე ქალი ნიშეტაც სიმპათიურად გამოიყვანა ავტორმა, მაგრამ სიცუდე კი არ გაუხდია იდეალად დიუმას. არა, მან გვაჩვენა მხოლოდ, რომ გარემოებას შეუძლია ბევრი ტალახი მოაცხოს სულით მაღალ არსებას, მაგრამ მისი წმინდა სული, მისი ღვთიური გული მაინც შეუბღალველი რჩება. გარემოებას უბედურად გაუხდია იგი, გაუხარებელი ცხოვრება მიუნიჭებია მისთვის, მაგრამ სულს კი ვერ ურყვნის, ვერ უსახიჩრებს. გარემოებას და ამ გარემოების შემქმნელ საზოგადოებას დიდი დანაშაული მიუქლვის იმაში, რომ მრავალი ასეთი ნამდვილი ადამიანი უადამიანო ცხოვრებაში სულს დალევს ხოლმე და მათი მშველელი, შემბრალებელი, გამგები კი არავინ არის. საზოგადოება საზიზღარია, ცბიერების მონა, უგუნური და უზნეო, როცა ტაშის ცემით ეგებება და ქებადიდებას ასხამს ისეთს ვაჟბატონებს, რომელნიც ყოფილან ამგვარი ადამიანების დაღუპვის თავი და ბოლო, რომელნიც სარგებლობენ ასეთი ქალებით და ნამდვილ საჯარო ვაჭრობასა მართავენ ხოლმე, ამგვარი ქალების ხელში მოსაგდებად, მათი დაღუპვისაგან დაბინისათვის კი თითსაც არ გაანძრევენ. საზოგადოება ფურთხის ღირსია, როცა ხელს აფარებს და კიდევაც აქეზებს დამალულ მრუშობას, როცა ამგვარივე სხეულითა და სულით ვაჭრობა სამარცხვინოდ არ

მიაჩნია, თუკი ფარულად ხდება იგი. საზოგადოება წყევლისა და კრულვის ღირსია, როცა თვით იგი ხდება საშინელი, სულის მომწამვლელი სნეულების გამავრცელებელ მიზეზად: კანონიერის ხასიათს აძლევს ამ ვაჭრობას, ყიდულობს სახელოვან სიძეს, ფულად ჰყიდის ლამაზ ქალიშვილს და ვისაც ბევრი ფული აქვს იმას მიაჩენს საუკუნო მონად, სამუდამო საქონელად, რომელსაც ეხლანდელი „მეუღლე“ ჰქვია. საზოგადოებას სირცხვილის უნარიც კი დაკარგვია, როცა მარგარიტა გოტიესთანა ქალებს ზიზღით უყურებს, როცა არ უნდა მათი დაღუპული ცხოვრების მიზეზად თავისი თავი აღიაროს და როცა ხელსაც კი არ უწვდის ამ ცხოვრებიდან დასახსნელად.

შეადარეთ ასი „კანონიერი მეუღლე“, საზოგადოებისაგან პატივცემული პირი, რომელიც ადამიანობას მხოლოდ გარეგნულად იჩენს და სულში კი ბინძური პირუტყვია, მატყუარა და ცბიერი, სულით სპეტაკს და გულით წრფელ არსებას მარგარიტა გოტიესას, რომლისთვისაც გარემოებას მხოლოდ გარედან მოუცხია ტალახი, შეადარეთმეთქი, და დამეთანხმებით, რომ ის საზოგადოება, რომელიც პირველს აღტაცებული „ვაშას“ ძახილით ეგებება და მეორეს ზიზღსა და ფურთხსაც კი არ აკმარებს, თვით ეს საზოგადოებაა ზიზღის ღირსი, გადაგვარების გზას ადგია, რადგან ცბიერების ღმერთი გაუხდა სათაყვანებლად, ამგვარი საზოგადოების იმედი, მისი ხსნა იმგვარ წევრებშია, როგორიც დიუმა იყო, რომელმაც მთელი კაცობრიობისა და ისტორიის წინაშე შეინანია ცოდვა საზოგადოებისა და ამ შენანების, საზოგადოების ბოროტმოქმედების შეგნების ნაყოფია ეს ღრმა გრძნობებით და აზრებით აღსავსე დრამა.

დიუმას დრამაზე ლაპარაკს ისე ვერ დაიწყებ, რომ საფრანგეთის მეორე დიდებული მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს დრამა „მარიონ დე ლორმი“ არ მოგაგონდეს. ამ დრამების შედარება მრავალნაირად საინტერესოა. ჰიუგოს დრამა რომანტიულია, დიუმასი კი რეალური, თუმც რომანტიული ფერიც დაჰკრავს ხანდისხან. ეს შეიძლება იმისი ბრალიც იყოს, რომ დიუმას დრამა იმ დროსაა დაწერილი, როცა რომანტიზმი ჯერ კიდევ ძლიერი იყო (დაწერილია 1849 წელს). მარიონ დე ლორმიც გარყვნილი დედაკაცია, რომელსაც შერჩენია თავგანწირული სიყვარულის უნარი. სხვა ჩვენ არა ვიცით რა. მარიონ დე ლორმის შესახებ ვიცით, რომ იგი განხორციელებაა ქალის თავდავიწყებული სიყვარულისა. დიუმამ კი დაგვანახვა ყოველი კუნ-

ჭული მარგარიტას სულიერი არსებისა; მისი ბუნებრივი კეთილობა, მისი სიმართლისმოყვარეობა და ტყუილის ზიზღი, აღშფოთებული წინააღმდეგობა, რომელსაც უწევს იგი მის დამტანჯველ გარემოებებს.

მარიონ დე ლორმი შეხვდება ვიღაც დიდიეს და შეუყვარდება. დიდიე ერთ დღეს დუელში გამოიითხოვს უწინდელ საყვარელს მარიონისას. დიდიემ სრულიად არ იცის მარიონი რა ქალია, იგი უბიწო არსება ჰგონია და მარიონიც არ უმხელს თავის ვინაობას. მარიონის საყვარელსაც მიტომ გამოიწვევს ხმალში, რომ ხედავს რა თავისუფლად ეკიდება. ხოლო სწორედ ამ დროს გამოვა მეფის (ლუი XIII) ბრძანება, რომლითაც ხმალში გაწვევა აიკრძალება. და ვინც ხმალში გამოიწვევდა, ან გაჰყვებოდა ვისმე, სიკვდილით დაისჯებოდა. პირველად ეს კანონი დიდიეზე უნდა აღსრულდეს და აი აქ იწყება მარიონის თავგანწირული მოქმედება. დაემორჩილება საპატიმროს მცველს და გამოაპარებს დიდიეს. შემდეგ, როცა ხელმეორედ დაიჭერენ გაქცეულებს და მეფესთან თხოვნა არ გადის, მარიონი დანებდება საზიზღარ კარისკაცს, რომელიც განაგებდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას და ამგვარად იშოვის მისგან ნებას დიდიეს გაპარებისას. მაგრამ დიდიე აღარ თანხმდება. იმას ეგონა მარიონი ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან შეუმწიკვლელი არსება იყო და როცა წინააღმდეგს გაიგებს იმისავე უწინდელი საყვარლისაგან (ესენი ორივე ერთად დაპატიმრებული იყვნენ), იმისთანა სასოწარკვეთილებას მიეცემა, რომ სიკვდილს არჩევს. ბოლოს, მართალია, გამოერკვევა და შეიგნებს მარიონის სიყვარულის ძლიერებას, მაგრამ რაღა დროსია. სახრჩობელა უკვე მზად არის და სასჯელის აღსრულების დანიშნული წამიც მოვიდა.

მარიონის მოქმედებაც თავგანწირულია, მაგრამ იმდენად ძნელი, იმდენად დიადი არ არის ეს მსხვერპლი, როგორც მარგარიტა გოტიეესი. ვინ არ იცის, რომ სიყვარულისათვის, გრძნობის დასაკმაყოფილებლად რამდენ უცნაურს არ ჩაიდენს ხოლმე კაცი: თავსაც მოიკლავს, სხვასაც მოჰკლავს, მრავალ გმირულ საქმეს აღასრულებს და სხვ. ყოველივე ამას გმირული, რაინდული ხასიათი აქვს. მარიონიც თავს გაწირავს, მაგრამ ძალას აძლევს და ღონეს უმატებს ის იმედი, რომ ოდესმე მიაღწევს მიზანს და დიდიე მისი იქნება. თავისი აზრის განსახორციელებლად, ის სხვას დანებდება, სხვის პირუტყვულ გრძნობებს დააკმაყოფილებს. ესეც არ არის დიდი რამ საძ-

ნელო და საგმირო. განა ცოტა ყოფილა ამგვარიეე შეყვარებული, რომ ასეთივე იარაღი უხმარია? განა ასე არ მოიქცა მანონ ლესკო, და კიდევ უარესად, როცა სხვებს თავისი სხეული მიჰყიდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი გულით საყვარლის ყოფა-ცხოვრება კარგად მოეწყო. ყოველივე ამგვარ მოქმედებას ერთი აზრი აქვს, საყვარელის დასაკუთრება, სიყვარულის დაკმაყოფილება. მომავლის იმედი საყვარელთან სამუდამოდ დაკავშირებისა, ბევრად უფრო ადვილს ხდის თავგანწირულებას. მარგარიტა გოტიეს კი სხვაგვარი მსხვერპლი მიაქვს, ის განწირავს თავს იმ იმედით კი არა, რომ ამით არმანთან კავშირს განიმტკიცებს. არა, მას უნდა მისი საყვარელი არსება ბედნიერი იყოს. აქ ალტრუიზმი, მოყვასის სიყვარული, მოყვასისათვის თავის დადება უმაღლეს ხარისხამდე მიდის. კარგად იცოდა ამ თავგანწირულების შემდეგ არმანი მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო და მისი სიცოცხლის ძაფი შეწყვეტილი, მაგრამ საყვარელი არსების ბედნიერებას სწირავს ყოველიფერს. ეს მეტად უფრო დიდებულია და არაჩვეულებრივი: ეს მოქმედება თაყვანსაცემ არსებად ხდის მარგარიტას. გარეგანი სამოსელი ამ მოქმედებისა სრულიად უბრალოა და სადა, მაგრამ შინაგანი, არსებითი მხარე— გმირული და მამაცური. რამდენად სტყუოდა თურმე არმანის მამა, როცა ეუბნებოდა მარგარიტას — თქვენი სიყვარული პირუტყვული გატაცებაა, ყოველივე იდეალურ მხარეს მოკლებული ვნებათღელვაა. სტყუოდა იმიტომ, რომ ამაზე უფრო იდეალური სიყვარული შეუძლებელია, სიყვარული, რომლითაც გატაცებული სატრფო თავს შესწირავს სატრფოს ბედნიერებასა და კეთილდღეობას. მაგრამ თუ, ერთის მხრით, სიხარულითა და აღტაცებული თანაგრძნობით გვივსებს გულს ადამიანის ასეთი იდეალური მოქმედება, მეორეს მხრით, როგორც ყოველივე კეთილი, ეჭვს იწვევს ჩვენში და ავტორის ფანტაზიად მიგვაჩნია. რას იზამ, როცა ამგვარი პესიმიზმით აღსავსე ურწმუნოებას კეთილისადმი ღრმად გაუდგამს ფესვი ეხლანდელ გაქსუებულ, გავერანებულ, უპრინციპო საზოგადოებაში. თითქო იგრძნო იგი ურწმუნოება და მისი საფუძვლის მოსპობა მოინდომაო ავტორმა, ეს თავგანწირულება ღრმა ფსიქოლოგიურ, რეალურ ნიადაგზე დაამყარა. მართლაც, არმანის მამამ, რომელიც სასტიკი სინამდვილის პირით ებაასებოდა მარგარიტას, ბევრი ეჭვი აღუძრა საბრალო ქალს, მოაგონა ერთი წუთით დავიწყებული მდგომარეობა, საზოგადოებისაგან ექსორია ქმნილი ადამიანისა და ყოველივე მისი

ნაკლულევანება ნათლად დაანახვა, გაახსენა და ცივი მახვილით ამოუჭრა გულზე კაცთა გრძნობის დაუდგრომელობა, ცვალებადი ხასიათი ადამიანისა და ცხოვრებისა, ყოველივე სიმწარე ცხოვრებისა თვალწინ დაუყენა და შხამით სავსე ფიალა დაალევინა. ამით გამოწვეული სულის განწყობილების დროს, რასაკვირველია, უფრო ადვილი იყო ამგვარი მსხვერპლის მიტანა. ხოლო, ასეთი ახსნა და ეს საფუძველი მარგარიტას მსხვერპლს არ უკარგავს იდეალურ სახეს და არც მის ხასიათს ართმევს დიდებულებას. ჯერ ერთი, რომ სიყვარულისათვის თავგანწირულებას აქ მაინც ძლიერ დიდი წილი უდევს და, მეორე, იმგვარი ქადაგება, რომელიც არმანის მამამ წაუკითხა საბრალო მარგარიტას, სხვას, ბუნებით გარყვნილს სულ სხვა გრძნობას აღუძრავდა, შურისძიების მახვილს ააღებინებდა ხელში და გააფთრებულ ადამიანად გარდაქმნიდა. მე რას დავეძებო, იტყოდა; თუ მე არ ვყოფილვარ, ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო. შეიძლება, ზოგში ესეც მართალი ყოფილიყო. მარგარიტა კი, რომელმაც ყველას შეუნდო, რომელსაც სიკეთის მეტი არავისთვის არა ნდომებია რა და რომელიც, საშინელი სინამდვილით გულდათუთქულიც კი, თავისი საყვარლის ბედნიერებაზე ჰფიქრობს, იმას სწირავს სიცოცხლეს. ბედისაგან დაჩაგრული და ზნეობრივი ცბიერებით აღვსილი საზოგადოებისაგან უარყოფილი მარგარიტა მეტად არაჩვეულებრივი ტიპია გულკეთილობისა და გულმოწყალეობისა, მეტად ჭეშმარიტი ადამიანური ქმნილებაა. მისი მოქმედება უფრო დამსჯელია და დამტანჯველი ყველასი, ვისაც კი რაიმე წილი უდევს მის უბედურებაში და ვისაც სინდისის ნატამალი მაინც შერჩენია, რომ იგრძნოს რა დიდი დანაშაულობა მიუძღვის საზოგადოებას მარგარიტასა და მრავალთა სხვათა, მის მსგავსთა, დაღუპვაში.

63. ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო

ახლანდელი ჩვენი სულის მდგომარეობა მეტად აღელვებულია. ჩვენ ისეთ ტრაგედიულ ხანას განვიცდით ცხოვრებაში, რომ სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედიები, თავისი შინაარსით, დაახლოებითაც ვერ შეედრება მას. აუტანელი ცხოვრების გამო, არცა ვართ ისეთ გუნებაზე, რომ ხელოვნებით დატკბობა შეგვეძლოს თავისუფლად და ჩვეულებრივად. მაგრამ ნიჭის ძალა დიდი რამ არის. ნიჭი და გენიოსობა ისეთი რაღაც დიდებულია, რომ ყოველ ჩვეულებრივ მოვლენას უჩვეულო სახეს მისცემს და გარდაქმნის თავისებურად. ის, რაც არ შეუძლია უბრალო მომაკვდავს, უბრალო კაცს თავის ნიჭითა და მოხერხებით, შეუძლია ზეკაცს, დიდი ნიჭითა და აზრით შემოსილს, დიდი ოცნების მქონეს...

ერთი ამგვარი დიადი ნიჭის პატრონია გერჰარდ ჰაუპტმანი, გერმანელი დრამატურგი, რომელსაც მთელ ევროპაში სახელი აქვს განთქმული და რომლის „ჰანნელე“ და „ჩაძირული ზარი“ ყოველმა ჩვენგანმა უთუოდ იცის.

ჰაუპტმანი, ბელგიელ დრამატურგ მეტერლინკთან ერთად, ახალი დრამის წარმომადგენელია, — ახალი დრამის მეთაური. ამ ორი მწერლის ნიჭმა ახალ დრამას ისეთი გზა გაუკაფა, ისეთი ადგილი დააჭერია მსოფლიო სცენაზე, და ისე ძლევამოსილად გამოიყვანა კაცობრიობის წინაშე, რომ დღეს ძველი დრამები ვეღარავის ვერ აკმაყოფილებენ, რაც უნდა ხელოვნებითა და ნიჭით იქნენ დაწერილი. ახალმა დრამამ შეასრულა დრამატიულ სცენაზე ის, რაც ვაგნერის ოპერებმა მუსიკაში მოახდინეს. მან შეაერთა და შეადუღა ერთად მუსიკა და დრამატიული პოეზია, დრამატიული ხელოვნება და მხატვრობა. ახლანდელი დრამა აღსავსეა მუსიკით არა მარტო იმიტომ, რომ დრამატიულ სცენებს მართლაც მუსიკა ახლავს თან და დრამატიული მონოლოგები მუსიკის აკომპანიმენტებით არის ხოლმე ასრულებული, არამედ იმიტომაც, რომ თვით მონოლოგები, სიტყვები, სახელები აღსავსეა მუსიკითა და რითმით. ახლანდელი დრამა მდიდარია მხატვრული ხელოვნებით არა მარტო იმიტომ, რომ დეკ-

ორაციები და ძოქმედების ადგილები მართლაც მხატვრობითი ნაწარმოებია, არამედ იმიტომაც, რომ თვით მოძრაობა სცენაზე, მოქმედი პირნი, მათი ჩაცმულობა — ყოველივე მხატვრობით არის აღბეჭდილი. თანაც ახალი დრამა ცდილობს, და ახერხებს კიდევაც, საოცარი ხელოვნებით (ჰაუპტმანისა და მეტერლინკის დრამები) თვით ცხოვრების უღრმესი შინაარსის გამოხატვას, ცხოვრების დედააზრის, მთავარი საგნის დასურათებას.

აქაც დრამა ცხოვრების ბრძოლის გამომხატველია, მაგრამ იგი ხატავს ამ ცხოვრების ბრძოლის არა ზედაპირს, არამედ თვით საძირკველსა და საფუძველს. იგი გვაჩვენებს ადამიანს, მის სურვილებს, აზრებს, მისწრაფებას და მოქმედებას, რომელიც დაპირისპირებულია ცხოვრებისა და ბუნების უხილავ, მძლავრ და სასტიკ ძალებთან, რომელთა ფატალური საშინელება ადამიანის ცხოვრებას სევდის სუდარით ჰფარავს. ამ ძალებთან ბრძოლა ადამიანისა ყოველთვის თავდება ისე, როგორც ცხოვრებაში, ე. ი. ფატალური ძალა, განგება, გინდ ბედი, უხილავი, გამოუცნობელი და გამოურკვეველი, იმარჯვებს ბედკრულ ადამიანზე და მას თავისი ძალა, რაგინდ დიდი იყოს იგი, ვერ შველის. მაგრამ, თანაც, აქ ვხედავთ ტრაგედიულ სიმშვენიერეს ადამიანის ბრძოლისას, მისი სულის ძალისას. ვხედავთ მისი სულისკვეთებების მომხიბვლელობას, ვგრძნობთ მის ოცნებათა, აზრთა და ფიქრთა წარმტაც ძალას. დაე, დაეცეს იგი ამ ბრძოლაში, იგი მაინც მხოლოდ მაშინ არის ყურადღების ღირსი როცა იბრძვის, როცა არ მორჩილდება არავითარ ძალას და კანონს, გარეშე თავისი პირადობისა, გარეშე თავისი არსებისა; მხოლოდ მაშინ არის იგი ღირსი ჭეშმარიტი ადამიანობის სახელისა, როცა თავის ინდივიდუალური ძალ-ღონის მოკრებას ცდილობს და ამ ძალის შემწეობით უნდა დაიმორჩილოს საიდუმლო სასტიკი ბუნებისა.

ამგვარ ნაწარმოებს ეკუთვნის ჰაუპტმანის ახალი დრამა „პიპა კი ცეკვავს", რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ წარმოადგინა ქ-ნ იავორსკის დასმა არტისტულ თეატრში. პირველი მოქმედების სცენა წარმოადგენს ყავახანას. ერთ მაგიდასთან ზის შუშის ქარხნის დირექტორი და სვამს; მეორე მაგიდასთან სხედან ქარხნის მუშები და ბანქოს თამაშობენ. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ბებერი ჰუნი, რაღაც უცნაური არსება, რომელიც ბუხართან ჯდება, ცეცხლს აღვივებს და თვალყურს ადევნებს მოთამაშეებს და უფრო კი — მშვენიერ პიპას; შემოდის აგრეთვე მოგზაური მიხელი, ყოფილი მუშა. ბანქოს მო-

თამაშეებში პირველი ადგილი პიპას მამას უჭირავს, რომელიც თაღლითობს და ყვლეფს ამხანაგებს. დირექტორი პიპას ეარშიყება და მის მამას სასყიდელს აძლევს, ოღონდ პიპა მაჩვენეო. ნამძინარევი პიპა გამოჰყავთ და აცეკვებენ. ცეკვის დროს მას ბებერი ჰუნი დასდევს, მაგრამ ვერ დაიჭერს. დირექტორიც ცდილობს, რომ ნაყიდი საქონელი ხელში ჩაიგდოს, მაგრამ პიპა სულ მცირე ალერსის მეტის ნებას არ აძლევს. პიპას გული და გრძნობა მიხელისაკენ არის მიპყრობილი. მიხელი, რომელიც ტრუბადურსა ჰგავს, იპყრობს მთელ მის ყურადღებას. დირექტორს თანდათან უსხლტება ხელიდან, ბებერი ჰუნი კი თანდათან უფრო უახლოვდება პიპას. დირექტორი სასაცილოდ იგდებს მიხელს და მოშაირეობას სწამებს.

ყავახანაში აყალ-მაყალი იწყება. პიპას მამას თაღლითობას შეამჩნევენ და გამოეკიდებიან დანებით. აყალ-მაყალზე ყველა გარეთ გარბის, — რჩება მძინარე პიპა და ბებერი ჰუნი, რომელიც პიპას მოიტაცებს და სადღაც გააქროლებს.

აი, ჩვეულებრივი ზედაპირი ცხოვრებისა. გარყვნილება და გათახსირება ღარიბის და მდიდრისა, ვაჭრობა სინდისით, სხეულით, ადამიანობით. რაიმე იდეალურის ნასახი ამ საზოგადოებაში მარტო დაცინვასა და ზიზღს იწვევს. მისული ტრუბადური და პოეტი მიხელი მწარე ირონიას იწვევს ბ-ნი დირექტორის მხრით, რომლის რწმენა ის არის, რომ ფულით ყველაფრის შეძენა შეუძლია კაცს. პიპას მამა იმ რწმენისა არის, რომ ფულისათვის კაცი, შეიძლება, ყველაფერს შეელიოს, — მშვენიერ ქალიშვილს და სინდისსაც. ასეთია ეს ცხოვრება მათთვის, ვინც ცხოვრების მარტო ზედაპირს ხედავს. სულ სხვაა იგი შორსმხედველი მგოსნისათვის, — ცხოვრების ზედაპირი მისთვის მარტო წარმავალი, უმნიშვნელო რამ არის. მაგრამ, რაც უნდა უმნიშვნელო, ჩვეულებრივი იყოს ეს ზედაპირი, მას ღრმა ფესვები აქვს, მისი სარჩული უცნაური ქსოვილია, რომლის გამოცნობა კი არა, შემჩნევაც ძნელია უბრალო ადამიანისათვის.

პირველ მოქმედებაში ნაჩვენები ზედაპირის სარჩული გადაგვეშლება მეორე, მესამე და მეოთხე მოქმედებაში.

მეორე მოქმედების სცენა უღრანი ტყეა, კლდეებითა და ღრეებით სავსე. აქ ყოფილა ბებერი ჰუნის სამფლობელო, აქ მოჰყავს მას პიპა, ბუხართან დააწვენს და ბალახით დაფარავს. ტყე სავსეა სხვადასხვა ცხოველებით... სიცოცხლის სიმშვენიერით — პიპათი გატა-

ცებული პოეტი მიხელი თან მოსდევს მის განხორციელებულ იდეალს — პიპას და ჰუნის სამფლობელოშიც მიაგნებს. ასეთია ძალა მაღალი გრძნობისა, — მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, იგი ძლიერია, ვით სიკვდილი, მას ვერ დაიჭერს „გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი". პოეტის — მიხელის — ფანტაზია შეპყრობილია პიპას არსებით. პოეტი დაუკრავს სალამურზე იმ ხმას, რომელზეც პიპა ცეკვავდა. ნაცნობი მუსიკის ხმაზე პიპა გამოიღვიძებს და დაიწყებს ცეკვას. პოეტი განცვიფრებულია, რომ მისი ოცნება განხორციელდა. ასეთია ძალა დიდი გრძნობისა, — იგი თვით ოცნებასაც კი ცხადსა ჰყოფს. პოეტი, — ცხოვრების იდეალური ოცნების წარმომადგენელი მიხელი, — და ცხოვრების ჰარმონია, მშვენება. ცხოვრების პლასტიური სიმშვენიერე — პიპა — ერთმანეთს დაუახლოვდებიან, ერთმანეთს ბაგეთი შეეხებიან და ნეტარებას იგემებენ. მათი გული ძგერს, მათი არსება აღტაცებულია რაღაც უჩვეულო, არაამქვეყნიური გრძნობით; პოეტი თანდათან რწმუნდება თავისი ოცნების სიძლიერეში, მის ცხოველმყოფელ ძალაში. ისა და პიპა მარტო არიან, მაგრამ უძლეველნი არიან, — პიპას აქ არაფრის არ უნდა ეშინოდეს. აი, პოეტი აჩვენებს მას თავის იარაღებს, — უბრალო „პრაქტიკულ" ნივთებს: კბილის სახეხებს, ფრჩხილების ქლიბს, დასაძინებელ წამალს. ეს სხვისთვის არის უბრალო რამ, პოეტისათვის კი იგი უხილავი ძალით არის აღსავსე, — ამის შემწეობით იგი ყველაფერს გაუმკლავდება, — თვით ქაჯსა და ეშმაკს. განა ბებერი ჰუნი შეაშინებს მას? პიპას კი არა ესმის რა. მას მხოლოდ ალერსი უნდა, იგი — გრძნობის დედოფალია და, ვითარცა ასეთი, იგი გულზე ეკვრება პოეტს. პოეტიც პიპას შეხებით ახალ ძალას გრძნობს თავის არსებაში, იგი იწვევს პიპას მზისკენ, განთიადისკენ, სინათლისკენ და მიჰყავს კიდეც. ამგვარად შეკავშირდა ცხოვრების ოცნება, ცხოვრების ფანტაზია — პოეზია და ცხოვრების ძალა, სიცოცხლის წყარო, სიყვარულის საგანი, ცხოვრების ცქრიალა, მშვენიერი არსება, მოხდენილი და გრაციით აღსავსე, მოცეკვავე პიპა.

მესამე მოქმედებაში მშრალი გონების სამფლობელოში ვართ. განდეგილის ოთახია. მაგიდაზე მრავალი სამეცნიერო წიგნი აწყვია. თვით მოხუცი განდეგილი მშვენიერ სპეტაკ სამოსელშია გახვეული. მის გამოქვაბულში მხოლოდ ბაწრით შეიძლება ასვლა, რადგან ეს გამოქვაბული მაღალ კლდეშია. იგი ცხოვრებას ზევიდან დაჰყურებს, ცხოვრებას იცნობს, ცხოვრების ძალებს სწავლობს და მარტო ერთი

გზა უპოვნია ცხოვრების ბნელეთის და უკუნეთის გასანათებლად,— განყენებული გონება და განყენებული შრომა მეცნიერების ნიადაგზე; მაგრამ არა მშრალ, უარმყოფელი მეცნიერების, არამედ პანთეისტური, ყოვლის შემგნებელი ცოდნის ნიადაგზე. ამ განდეგილის ცოდნას ფესვები ცხოვრებაში აქვს, მაგრამ, ამასთანავე, მისი თვალები ღვთაებისაკენ არის მიპყრობილი, გამოუცნობელი ძალისაკენ, რომელიც ამოძრავებს მთელ სიცოცხლეს. ხალხმა იცის, რომ იქ, სადღაც მაღლა, დგას საარაკო არსება, რაღაც ჯადოქარი, უცნაური ადამიანი და გაჭირვების დროს მასთან მირბიან.

მასთან მიდის ქარხნის დირექტორიც, რომელსაც დაეკარგა პიპა... პიპა მისთვის მხოლოდ ხორციელი სიამოვნების საგანია, ისეთივე მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, როგორიცაა სიგარა, გინდ კონიაკი. მისი აზრი და გრძნობა, მისი პრაქტიკული გონება შაურსა და ალაბზე შორს არ მიდის. იგიც საშველად მიდის განდეგილთან. განდეგილი გამჭრიახი კაცია, გულთმისანი, თავისი ცოდნის წყალობით, და კარგად ხედავს საქმის ვითარებას. „განიკურნე შენი ბიწიერებისაგან და მაშინ შეგიძლია მორჩეო“, — ეუბნება ის.

აქვე, ამ დროს, შემოდის პიპა. მისი თანამგზავრი გაყინულა და განდეგილს შველასა სთხოვს. განდეგილი დირექტორსაც მოიშველიებს, გაყინულ მიხელს შემოიტანენ და გრძნობაზე მოიყვანენ სხვადასხვა საშუალებით. დირექტორი ხედავს, რომ პიპას გული სხვას ეკუთვნის, ცდილობს მისი გული მოიგოს, მაგრამ ამაოდ: პიპა ახალ ცხოვრებაშია, მისთვის „ზედაპირი“ უმნიშვნელო და უბრალო მოვლენაა ცხოვრებისა. იგი ახლა ცხოვრების ღრმა მორევში ცურავს, ცხოვრების უხილავ ძალთა სამეუფოშია, იგი მონაა გრძნობისა, სიყვარულისა და ოცნებისა. სადღა ახსოვს მას ვიღაც გარყვნილი დირექტორი, რომელიც ფულით ყიდულობდა პიპას ცეკვას მამისაგან გარყვნილების ბუდე — ყავახანაში! მისთვის ახლა მარტო მიხელი არსებობს, მარტო მისი სალამური, მარტო მისი ტკბილი ხმა.

მიხელი გაცოცხლებულია. ახლა მას მარტო პიპას ალერსი სწყურია, უნდა კიდევ მეტად განიხორციელოს ოცნება, უნდა სიცოცხლის წყურვილი მოიკლას. გამოცდილი და განსწავლული მეცნიერი, რომელმაც სავსებით იცის სიტკბოების მწარე ძირი, წინაღუდგება მიხელის სურვილს და მოაშორებს პიპას, — მას ცალკე გაგზავნის მოსასვენებლად, ხოლო პიპას, უკვე დაღლილსა და დაძინებულს, ცალკე ოთახში შეიყვანს.

ჰუნიც გაჭირვებულია, იგიც პიპას დაეძებს, დიდი ხნის ცდის შემდეგ მოტაცებული მშვენიერი ტიკინა, როგორც ის პიპას ეძახის, მას წაართვეს. მაგრამ იგი არავის შესახვეწად არ მოდის, მას ძალა აქვს და გრძნობს ამ ძალას: იგი მამაცია და შეუდრეკელი, ვით ის სამეფო, სადაც იგი ბატონობს. მისი დევიზია: ძალით ყველაფრის მოპოვება შეიძლება; და აკი მოიტაცა პიპა! ახლაც უნდა არავის დაანებოს, უთვალთვალებს განდეგილს, სად დამალავს პიპას, და მიდის მის მოსატაცებლად. მაგრამ განდეგილიც ძლიერი არსებაა, იგი კაცის გონების სიმბოლოა, კაცის მაღალი აზროვნების გამომხატველია. შეეტაკება ბებერ ჰუნს და დასცემს, დასჭრის კიდეც და საშინელ ტანჯვას მიაყენებს. ბებერი ჰუნი პირუტყვული ძალაა, იგი ბუნების ბნელი ძალაა, თავისი შეურყეველი და შეუდრეკელი მოთხოვნილებით, თავისი საოცარი სისასტიკით, უსაზღვრო ვნებით. ეს არის რაღაც უხილავი ძალა, რომელიც იზიდავს თავისკენ ცხოვრების მშვენებას; იგიც სიკვდილივით, სიყვარულივით ძლიერია, გონებასა და ოცნებასავით მომხიბვლელია. ამიტომაც, გონიერება აფრთხილებს პიპას და მიხელს, — ცხოვრების ამ უმანკო ნაყოფთ, — ერიდეთ მაგას, თუმც დაჭრილია, მაგრამ საშიშია. იგი ურჩევს მიხელსა და პიპას, წადით, გადით გარეთ და აუწყეთ ქვეყნიერებას, რომ მოდის „ის“, — ნათელის მაუწყებელი, ჭეშმარიტების მოციქული, რომელსაც ელის კაცობრიობა დღიდან თავის გაჩენისა, „ის“, რომელსაც ყოველი ხალხი თავისებურ მესიად სახავს, მოდის ის განხორციელებული იდეალი, ის სამეუფო, სადაც იქნება მარტო გონება, ფილოსოფიასა და სარწმუნოებასთან შეერთებული, დაკავშირებული ოცნება-პოეზიასთან, დაკავშირებული ჰარმონიასა და მშვენებასთან, სადაც ბნელ ძალებს აღარ ექნებათ ადგილი და მათგან გამოწვეული სევდა და ოხვრა მოისპობაო. მაგრამ პიპა და მიხელი ბუნების ძალით მოხიბლული არიან, იგინი ვერ გამორკვეულან იმ მშვენიერი შეხებიდან, რომელმაც იგინი გარდაქმნა, ცხოვრება ოცნებას დაუკავშირა და ოცნება განახორციელა. მაშინ თვით განდეგილი გადის ქვეყნისათვის საქადაგებლად და კიდევ არიგებს ბუნების გამოუცდელ მსხვერპლთ, — არ აგაცეკვოთ, არ გათამაშოთ მაგ ბებერმა ჰუნმაო. მაგრამ, მეცნიერება, სარწმუნოება, ადამიანის გონებაც უბადრუკია ბუნების ძალების წინაშე: ბებერი ჰუნი საოცარი სინაზით ხიბლავს და პიპას აცეკვებს, პოეტს კი სალამურს დააკვრევინებს.

ამგვარად, ჰუნი გამარჯვებულია. ერთხელ კიდევ ბუნება დაკმაყოფილებულია, პოეზია მიწაზე განართხულია, მშვენებას თავისი ჰაეროვნება დაეკარგა და მარტო უსულო გვამიღა დარჩა. პიპა უსულოდ დაეცემა, ბებერი ჰუნი მოისვენებს. იგი ბედნიერი და კმაყოფილია. გონება ისევ მწარედ იტანს თავის დამარცხებას, პოეზია თავის მშვენიერებას ჰკარგავს, თავის ღვთაებრიობას ეთხოვება, თითქმის ბრმავდება და განაგრძობს სალამურის დაკვრას. განდეგილი, ბედის მორჩილი, მიხელს ურჩევს, — წადი, დაუკარი იმ ყურთათვის, რომელთაც არ ესმით ღვთაებრივი სიმღერა ბუნების წყაროებისაო: წადი უქადაგე იმ ბრმათ, რომელთაც ვერა დაუნახავთ რა, გარდა ცხოვრების ზედაპირისაო. კი, მაგრამ როგორ, პიპა სად არის: „პიპა ხომ ცეკვავსო“, და ამ სიტყვებით მოხიბლული პოეტი გზას გაუდგება...

და ასე, ბუნებამ თავისი წაიღო, ბნელმა ძალამ თავისი გაიტანა, გაიმარჯვა. პიპა აათამაშა, ჰუნებრივი გრძნობები აღუძრა და ამ გრძნობის დაკმაყოფილება პოეზიას მიანდო. მშვენება, ჰარმონია — პიპა—ვერ გაექცა ბნელ ძალას. რაღაც იზიდავს მისკენ; მეშინია, მაგრამ რაღაც მიზიდავს მისკენო, — გაიძახოდა პიპა, როცა ცეკვა დააპირა. ოცნებამ, პოეზიამაც ვერ აუხვია გვერდი ამ ძალას, თვითონ დატკბა, თვითაც იგემა მშვენიერება, რომელიც არის დამალული იმ ძალაში, რომელიც გონებას მიაჩნია ბნელ ძალად და ნამდვილად კი ცხოვრების ჩარხი და ენერგიაა. გონიერებამაც, მეცნიერებამაც ვერა მოუხერხა რა ბნელ ძალას და თვით დარჩა დამარცხებული, თუმცა არა გულგატეხილი. იგი განაგრძობს ქადაგებას და ბრძოლას, ურჩევს პოეტს იქადაგოს, გაამზადოს მომავალი ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორივე დამარცხებული არიან: „პიპა ხომ მაინც ცეკვავს!“. გონიერმა განდეგილმა კარგად იცის, რომ ბედსა და განგებას უნდა დაემორჩილოს ადამიანი: „ხომ უნდა დაანებო პიპა, როცა იქნება, ბედსა და ღმერთსო“, — ეუბნებოდა იგი მიხელს. მაშ მას ვერაფერი შეიყვანს სასოწარკვეთილებაში, იგი თავის საქმეს განაგრძობს, იგი გამოიკვლევს ბუნების ძალებს; მან იცის, როგორ შეასუსტოს ბნელი ძალები და იმედს არა ჰკარგავს, — იმედი აქვს. რომ მოვა სამეუფო იდეალისა. მოვა სამეუფო „იმისი“, რომელიც ნათელს მოგვფენს და დააკავშირებს საუკუნო კავშირით ერთმანეთთან ცხოვრების სინამდვილეს და მშვენებას,—ჰარმონია—მუსიკას (პიპა), ოცნება — პოეზიას (მიხელ) და გონება — აზროვნებას (განდეგილი). და შეერთებული სამება — სინამდვილის მშვენიერება, ოცნება და გონება,

განსწავლული, მეცნიერებით აღჭურვილი და უმაღლესის სარწმუ-ნოებით გაცისკროვნებული — ერთად სძლევენ ცხოვრების ბნელ ძალებს და მაშინ დამკვიდრდება ქვეყნად ბედნიერება...

ასეთია ჰაუპტმანის ახალი პიესა, რამდენადაც შესაძლებელია ასეთი ღრმა პიესის გადმოცემა ერთი ნახვით. ეჭვი არ არის, მრავალი სხვა ახსნაც შეიძლება ამ პიესისა, მაგრამ სიმშვენიერე და სიღრმე მისი, როგორც თვით ცხოვრებისა, იმაშია, რომ მრავალმხრივ შეიძ-ლება მისი გაგება და შესწავლა. იგი არის რთული, მშვენიერი და სა-იდუმლოებით მოცული, როგორც თვით ცხოვრება.

64. აისედორა დუნკანის გასტროლების გამო

ის, ვინც ცოტათი მაინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ თეატრს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით,—ე. ი. დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებს, შეამჩნევდა, რა ღრმა ცვლილება ხდება დღეს ხელოვნების ამ დარგში. დრამატული ხელოვნება ყოველთვის, ასე ვთქვათ, წინამორბედის როლს ასრულებდა ხელოვნების განვითარებაში და ახალი მიმართულება ხელოვნებაში დრამატულ სფეროში ჩნდებოდა. რომანტიზმის მეუფება ჰიუგოს რომანტიული დრამებით დაიწყო, რეალიზმი დიუმა-შვილის დრამებით, ხოლო სიმბოლიზმის დამწყები ვაგნერის ოპერები, ანდა, უკეთა ვთქვათ, მისი მუსიკალური დრამებია.

დღევანდელი სცენის მეუფენი დრამატულ ხელოვნებაში იგივე სიმბოლისტები არიან — მეტერლინკი და ჰაუპტმანი, ანუნციო, მუსიკაში — იგივე ვაგნერი მთელი მისი მიმდევრებით. რადიკალურად შეიცვალა დრამატული ხელოვნების გარეგანი გამოსახულება, ინტერპრეტაცია, ახსნა დრამატული ნაწარმოებისა არტისტთა თამაშით. ეს ახალი მიმართულება სასცენო ხელოვნებაში შემოიღო საფრანგეთში ანტუანმა, რომელმაც სახელი გაითქვა სიმბოლური დრამების ახალი მანერებით გამოსახვაში; გერმანიაში — შესანიშნავმა მეინინგის თეატრმა, ხოლო რუსეთში — მოსკოვის მხატვრულმა თეატრმა [1]. ახალი წარმოდგენა ამა თუ იმ დრამისა ისე საოცრად განსხვავდება ძველი სტილისაგან, რომ სრულიად ახალ ხელოვნებას წარმოადგენს. ძველი მანერა სასცენო ხელოვნებისა იმდენად მობეზრდა საზოგადოებას, იმდენად მოჭამა მან თავისი დრო, რომ დრამის წარმოდგენები ხალხს სრულიადაც ვეღარ იზიდავდა და, ძალაუნებურად, ანტრეპრენიორები კოტრდებოდნენ და თეატრი დღითი-დღე ცარიელდებოდა. ეჭვი არ იყო, იბადებოდა ახალი მოთხოვნილება, და დაიბადნენ ამ ახალი მოთხოვნილების ალღოს ამღებნი, რომელ-

[1] ტფილისის საზოგადოება, მეიერხოლდის წყალობით, ცოტათი იცნობს ამ მანერას სცენის ხელოვნებისას.

თაც სასცენო ხელოვნება მკვდრეთით აღადგინეს და ბრწყინვალე მომავალი დაუსახეს. დღეს იმ სიმაღლემდე მიაღწია ამ ხელოვნებამ, რომ „მხატვრული თეატრი“ მოსკოვსა და პეტერბურგში აუარებელ ხალხს იზიდავს და აღტაცებაში მოჰყავს; თეატრი გაჭედილია და მას კონკურენციას ვეღარ უწევს ვეღარც ეგრეთ წოდებული „იტალიანური ოპერა“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსოფლიო მომღერალნი. არ შემიძლია გაკვრით არ აღვნიშნო აქვე ჩვენი სცენის შესახებაც. კარგა ხანია ამავე კრიზისს განიცდის ჩვენი თეატრიც და თან ჩვენი საზოგადოებაც. ჩვენა ვართ ერთი უსუსტესი წევრი მსოფლიო ბაზრისა — ვაჭრობა-მრეწველობის ბაზარია ეს, თუ ხელოვნებისა და მეცნიერებისა. ჩვენი განათლებული საზოგადოება განიცდის იმავე კრიზისს და მასაც იგივე სურვილები უხვევს თავბრუს, რომელიც იწვევს ევროპულ საზოგადოებაში ღრმა ცვლილებებს. „სხვისი“ შემწეობით განვითარებულ გემოს ჩვენი საზოგადოებისას ვეღარ აკმაყოფილებს, და თავის დღეშიაც ვეღარც დააკმაყოფილებს, ის ჩვენი სცენა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთ წერტილზე დგას და ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს წინ. ის ხანა წავიდა, როცა ერთ არტისტს, ნიჭით მომადლებულს, შეეძლო აეტანა მთელი ტვირთი სასცენო ხელოვნებისა. თუ ჩვენი სცენის კეთილმსურველთ ვერ გაიგეს დღევანდელი მოთხოვნილება, გარწმუნებთ ვერავითარი ქველმოქმედება, ვერავითარი სრა-სასახლე, კერძოდ მათთვის აშენებული, და ვერავითარი სურვილი საზოგადოებისა მას ვერ უშველის. ეს ის ღრმა მიზეზია, ის ძირითადი აუცილებელი საგანია, — ჩვენს თეატრში ახალი სულის შეტანა, — რომლის გაუგებრობამ შეიძლება საუკუნოდ მოუსპოს სიცოცხლე ჩვენს ხელოვნებას.

მაგრამ განვაგრძოთ...

ახალი მანერი სასცენო ხელოვნების ყოველ დარგს ერგო. თუ მართალი გინდათ გაიგოთ, ყველაზე დიდად ,იმ დარგს შეეხო ახალი სიო, რომელიც უფრო დამპალი და დახავსებული იყო — ეგრეთ წოდებულ ბალეტს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბალეტი თეატრის თითქმის სამარცხვინო ნაწილად იყო მიღებული და, მართლაც, იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომ ბალეტს სრული უარყოფით და თითქმის ზიზღით არ ეპყრობოდეს. ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმას, რომ ცეკვა, რომლის გამომსახველი ვითომდა ბალეტია, ერთი უმშვენიერესი დარგი იყო ხელოვნებისა. ეს ხელოვ-

ნება დიდ პატივისცემაში ჰქონდა იმ ხალხს, რომელიც ხელოვნების მეფედ უნდა ჩაითვალოს — ძველ ბერძნებსა და რომაელებს. მათთვის ცეკვა განუყრელი ნაწილი იყო არა თუ სასცენო ხელოვნებისა, არამედ რელიგიური წესებისა. იქ ცეკვას ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა, ისეთივე, როგორც სხვა დრამატულ ხელოვნებას — მუსიკასა და ლოცვას. დროთა ვითარების გამო საქრისტიანო კულტურა გამეფდა და ამ კულტურის უკიდურესმა დამახინჯებულმა პრინციპებმა მოიცვა მსოფლიო. სულის ბატონობა აღიარებულ იქნა მთავარ პრინციპად და ეს სულიერი სამეუფო უცნაურად იქნა გამორკვეული: ყოველი სიმშვენიერე, ყოველი სიხარული, ყოველი ცეკვა-თამაში კაცის, სიმხიარულის გამომხატველი, დაგმობილ და დატუქსულ იქმნა. აქედან მთელმა სასცენო ხელოვნებამ უკუღმართი მიმართულება მიიღო, სახალხო ფართო დემოკრატიული ნიადაგიდან იგი სასახლეების ნებადართულ თავგასართობად შეიქნა და ისიც ახალი სარწმუნოების ფანატიკური სამოსელით შეიძლებოდა გამოჩენილიყო. სასცენო ხელოვნება შეიქნა თავისებურ ჯამბაზობად, სასახლის კაცთა „სათრეველად და სალაღობოდ". ასე დაემართა ცეკვასაც... სულ გვერდი ვერ აუხვიეს „უქრისტიანესმა მეფეებმაც" თავიანთი ხორცის მოთხოვნილებას, მშვენიერების ძლიერებას ვერ დააღწიეს თავი. სამაგიეროდ, თავიანთ მოძღვარსაც არ უღალატეს და სიმშვენიერე დამახინჯებული სახით მოგვცეს. ნახევრად და ხანდახან მთლად გაშიშვლებული მშვენიერი სხეულის ნაცვლად, რომელიც ძველ ბერძნებს სათაყვანებელ საგნად მიაჩნდათ და რომელთა პლასტიური მოძრაობა ზრდიდა ამ ხალხის შეუდარებელ ესთეტიურ გემოსა და გრძნობას, ახალი სარწმუნოების ზეგავლენის ქვეშ შიშველ სხეულს ჭუჭყიანი ხორცის ფერი ნაქსოვი გადააფარეს, რომელიც სხეულის აზრს იწვევდა, მაგრამ ძირითადად ამახინჯებდა ამ აზრს. ნაცვლად პლასტიური მოძრაობისა, რომლითაც გაჟღენთილი იყო ცეკვა და რომელიც ათასგვარი მშვენიერი მიხვრა-მოხვრით ათასნაირ გრძნობას ხატავდა, შემოღებულ იქმნა ცეკვა, მარტო ერთი მხრის გამომხატველი, ცეკვა, რომელიც ჯამბაზობად გარდაიქცა და რომლის აზრად და საგნად მანჭვა-გრეხა შეიქნა. ვნებათა ღელვით აღვსილი, პლასტიური, დინჯი და ნაზი მოძრაობის მაგიერ ვნებათა ღელვის აღმძვრელი და გამომწვევი მიხვრა-მოხვრა შეიქნა ახალი დროის ცეკვის შინაარსი; შიშველი სხეულის გაღმერთების მაგიერ — მისი უბადრუკი გამოსახულება, ვნება-გრძნობით აღსავსე პლასტიური

მოძრაობის მაგიერ — ჯამბაზობა და მანჭვა-გრეხა. დღეს იმ ბალერინას უფრო მეტი ჯამაგირი და ბრილიანტები ეძლევა, ვინც ფეხს თავზე დაიდებს ანდა ხელში დაიჭერს და ისე ცალფეხა შემოივლის სცენაზე, ვინც ცერებზე შედგება და ისე ჩამოუვლის და სხვა ამგვარ აკრობატულ მანჭვას მოახერხებს, რომელიც ყოველივე ესთეტიკის დარღვევაა და ესთეტიური გრძნობის დამღუპველი. მათი სამოსელი არაფრით არ გაირჩევა კლოუნის სამოსელისაგან და მოკლებულია თვით ნასახსაც მშვენიერებისას. სადა, მარტივი და მშვენიერებით აღსავსე ტანისამოსი, რომელიც სიმშვენიერის დასამალავად კი არ იყო, მარტო სიმშვენიერის ჩარჩოდ იყო შექმნილი, ამ ხელოვნების პაროდიაში შეიქნა სიმშვენიერის დამამახინჯებელი და დამასახიჩრებელი. ამგვარად, კანონიერი გრძნობა ადამიანისა, რომელიც ისე საოცრად ბრძნულად და ღვთაებრივად იყო დაკმაყოფილებული საბერძნეთში, ახალმა კულტურამ ვერა თუ ვერ დააკმაყოფილა, დატანჯა კიდეც.

მაგრამ ადამიანის ძირითადი მოთხოვნილების მოსპობა არავითარ კულტურას არ შეუძლია; ის კულტურაა მარტო ხანგრძლივი, ის კულტურაა სიცოცხლით აღვსილი, რომელიც ცდილობს ამ მოთხოვნილების ბუნებრივად დაკმაყოფილებას. უნდა ვიცოდეთ კი, რომ ბუნებრიობა, რომელიც „გამოურკვეველი და გამოუცნობელი“ ძალაა, შეიცავს ყოველივე სიმშვენიერეს, ყოველივე კეთილს, რაც ცხოვრებას აცისკროვნებს და შველის მის გაფართოებასა და გამდიდრებას. ცეკვა—ბალეტში გამოსახული, საზიზღარი შეიქნა. ბალეტი არა თუ ვეღარავის იზიდავდა, ყველა მას თანდათან გაურბოდა. ბალეტის ხანგრძლივობა ათიოდე თუ ოციოდე გახრწნილი ბურჟუას გაფუჭებულ მიდრეკილებაზე იყო დამყარებული.

ასე არ შეიძლებოდა დიდ ხანს ყოფილიყო, და აი გამოჩნდა აისედორა დუნკანი, რომელმაც თავს იდვა ძველი ბუნებრივი ცეკვის აღდგენა, და დიდებულად შეასრულა კიდეც ეს აზრი. თავის სფეროში იგი გენიოსად უნდა ჩაითვალოს, თუკი გენიოსობის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ ძველი ელემენტებიდან ჰქმნის ისეთ ახალს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაიქცევა ადამიანთა გრძნობებისა და მიდრეკილებების უფლად. აისედორა დუნკანმა სიტყვას თავისი დაკარგული მნიშვნელობა მოუპოვა და მისი მაღალი როლი მიუჩინა სასცენო ხელოვნებაში. იმის ცეკვას ნატამალიც, ხსენებაც კი აღარ ამჩნევია ბალეტური ჯამბაზობისა. მისი ტან-

საცმელი სხეულის სიმშვენიერის სამკაულია, ცეკვა გამომხატველია ყოველნაირი გრძნობისა — სიმამაცის, სიხარულის, აღტაცების, თავგანწირულების, ნეტარების, სევდისა და სიამოვნება-მწუხარებისა. ერთ წუთს ვერ გაივლებთ თავში, რომ ის ცეკვა, რომელიც დუნკანმა აღგვიდგინა საფლავიდან, ისეთივე სერიოზული, ისეთივე დიდებული გამომსახველი არ იყოს კაცის გრძნობისა, ადამიანის მიდრეკილებისა, როგორც სიმღერაა, ანდა ლაპარაკი. გრძნობა იხატება ყოველ მის მოძრაობაში, მშვენიერება გამოსჭვივის ყოველ მის ესთეტიურ-პლასტიურ მიხვრა-მოხვრაში. ცეკვავს დუნკანი ფეხებით კი არა, მთელი სხეულით, პირის სახით, ღიმილით, თვალებით. მთელი სხეული მონაწილეობას იღებს იმ ხელოვნებაში, რომელსაც ერთ დროს ცეკვა ერქვა და რომელიც უეჭველად აღდგენილია ამ ჩინებული ქალის წყალობით.

დუნკანს დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა ძველი ტრადიციების დასარღვევად, დასამხობად და ახალი მანერების განსამტკიცებლად. რამდენიმე წელიწადია ეს ქალი იბრძვის თავგამოდებით და დღეს მან სძლია ძველ დახავსებულ აზრს და ახალი ცეკვა ყველას შეაყვარა, ყველასათვის აღსატაცებელ საგნად გაჰხადა. ყველგან იმის სახელს იხსენიებენ, როგორც ახალი ეპოქის შემქმნელს სათეატრო ხელოვნებაში, დიდად მშვენიერი დარგის მკვდრეთით აღმდგენელს. ამ ზამთარს პეტერბურგსა და მოსკოვსაც ეწვია დუნკანი და ყველგან გამოიწვია დიდი აღტაცება და სიხარული. რუსი კრიტიკოსები მის სახელს ვაგნერისა და იბსენის გვერდით აყენებენ და დიდ მნიშვნელობას აძლევენ მის ყოველმხრივ მშვენიერ ცეკვას ახალი ხელოვნებისათვის.

65. კამილ ლემონიეს ტრაგედია „ხელები“ ქართულ სცენაზე

კამილ ლემონიე ბელგიელი მწერალია. იგი უფრო ცნობილია, როგორც რომანისტი და კრიტიკოსი, ვიდრე დრამების მწერალი. ამ სფეროში მეტერლინკი, ვერჰარნი კი არა, ვან ლერბერგიც კი ბევრად უფრო მაღლა დგას მასზე.

კამილ ლემონიე მოხუცობაში შესული მწერალია (იგი 1844 წელსაა დაბადებული). მის თხზულებათა 65-ე ტომის გამოსვლა იდღესასწაულეს ბრიუსელში დიდის ამბით, და სწორადაც იდღესასწაულეს მისი სალიტერატურო დღეობა, როგორც რომანისტისა და კრიტიკოსის. ლემონიეს ტრაგედია „ხელები“ განვითარებაა მისი ტრაგედიული ფარსისპანტომიმისა, როგორც თვით უწოდებს, და რომელსაც სახელადა ჰქვია „მკვდარი“. არაკი ამ „ტრაგედიისა“ ასეთია: ორი გლეხ-კაცი, ძმები ბალტი და ბასტი მოკლავენ თავიანთ ბიძაშვილ ჰენრიხს, რომელსაც ფულები მოუგია ლატარიაში, სხვათა შორის იმ აზრით, რომ ამ ფულით შეიძინონ მიწა თავისი მეზობლისაგან, მაგრამ იმ წუთს შემდეგ, რაც ეს მკვლელობა ჩაიდინეს, მათი სულის მშვიდობაც დაიღუპა. განსაკუთრებით ბალტის, რომელმაც აღასრულა ეს ბოროტმოქმედება ბასტის ნაჩურჩულებითა და ჩაგონებით. მაგრამ ბოროტმოქმედება კაცს თანდათან ჩაითრევს თავის მომწამვლელ მორევში. ბასტმა ეჴლა თავის ძმის ბალტის მოკვლა მოინდომა, რათა მთელი ფულები თვით ჩაიგდოს ხელში და ბალტის საყვარელი ტონიაც დაისაკუთროს. მაგრამ ბალტმა, რომელმაც თავი მოიმძინარა, გაუგო ძმას ეს საზიზღრობა და თან, სინდისის ქენჯნისაგანაც დატანჯულმა, ხალხს შეატყობინა თავისი საშინელი დანაშაული.

უნდა გითხრათ მართალი, პიესა ხელოვნურად არის დაწერილი, მაგრამ ბელგიელი მწერალი მეტად შაბლონურ თემას იღებს. კაცის მკვლისაგან გამოწვეული სინდისის ქენჯნა ეს ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მეტად დიდი ხელოვანია საჭირო, ამისთანა ამბებში რამე ახალი ჩააქსოვოს და მით საინტერესო გახადოს. მარ-

თალია, პიესაში სინამდვილე გლეხ-კაცის ცხოვრებისა, მდაბიო ხალ-ხის ცხოვრების სურათები ძალიან რეალურად არის გადმოცემული, მაგრამ ეს არას შველის მას, და პიესა ერთობ მოსაწყენი და მეტად უფერულია. თვით ლემონიე გვარწმუნებს თავისი „ტრაგედიის“ წინა-სიტყვაობაში, რომ „ხელები“ ტრაგედიაა, აქ გლეხები ყვირიან ისე, როგორც ძველი ქვეყნების მეფენიო, მთავარი მომქმედი პირი აქ სინ-დისიაო. თანახმა ვართ, რომ ამ დრამაში სინდისის ქენჯნაა მთავარი ძარღვი ტრაგედიისა, მაგრამ ის კი ვერსადა ვნახეთ, რომ გლეხები მთელი ქვეყნის მეფეებსავით იქცეოდნენ ან იძახოდნენ. მეტერლინ-კის და იბსენის, ჰაუპტმანისა და ჰამსუნის პიესებთან, ლემონიეს პიესა პირდაპირ რაღაც არხაულს მოგაგონებთ. ცოტა არ იყოს, მელოდრამატიული ელფერიც ადევს. მთელი სცენა დამნაშავის გი-ლიოტინით დაიჭირა, თვით ეს სინდისი ჰენრიხის აჩრდილში გამოხ-ვეული, უსათუოდ მელოდრამატიული ხერხია.

ყოველ ამასთან, პიესა მაინც თავისებურ ინტერესს მოკლებუ-ლი არ არის. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ რეჟისორს და მსახი-ობთ ყველაფერი ღონე დაუდევთ ამ პიესისაგან რაიმე შეექმნათ. ბ-ნი შალიკაშვილი ბასტის როლში საუცხოო იყო და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი ნიჭიერება. ცოტა არ იყოს უკანასკნელ მოქმე-დებაში ზომიერებას უსუსტა და ამგვარ პიესაში საკმარისია ერთი ბეწო გადაგცდეს ზომიერებას, რომ ვოდევილური ხასიათი მიეცეს ტრაგედიას. ბ-ნი გამყრელიძე ბალტის როლში კარგი იყო. ეს პირ-ველ მოქმედებაში ღალატობდა ზომიერებას, მეტად აკანკალებდა ხმას, — სამაგიეროდ მეხუთე მოქმედებაში ნამდვილ ტრაგედიულ კი-ლოს მიაგნო. საუცხოოდ იყო დადგმული მეოთხე მოქმედება, სადაც დასურათებულია ბრბო, რომელიც დამნაშავის სიკვდილის დასჯას ელის. ასეთი სცენები მეტად მძიმე დასადგმელია და მით უფრო სასიამოვნოა, რომ სიძნელე დაუძლევია რეჟისორს. როცა ბრბომ დაინახა, რომ თავი მოკვეთეს დამნაშავეს, ისეთი ხმით წამოიძახა „ეეეო“, რომელშიაც იხატებოდა „შიშიც, სიმხეცეც, პირუტყვული სისხლის წყურვილიც“. იმდენად ახასიათებდა ეს დაძახება ბრბოს, რომ მარტო ეს წუთია საკმარისი, რომ იგრძნოთ, რა გამამხეცებელი გავლენა აქვს ბრბოზე კაცის სიკვდილით დასჯას.

მეორე პლიუსად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეორეხარისხოვან-როლებს თვით საუკეთესო არტისტები თამაშობდნენ: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვ. გუნია, გედევანიშვილი, ჩერქეზიშვილი და სხვ. ასეთ დროს

პიესა თავიდან ბოლომდე მწყობრად არის ხოლმე აღსრულებული, რაც კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს ხოლმე მაყურებელზე. ესლანდელი რეფორმა თეატრისა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ მეორეხარისხოვანი როლები აღარ არსებობს რეჟისორისათვის. მისთვის ყველა ერთ ხარისხზე დგას და ერთად ასრულებენ მძიმე მოვალეობას მწერლის გულისნადების გამოაშკარავებისას.

სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენი თეატრიც ცდილობს ახალს ყური დაუგდოს და თვითონაც არ ჩამორჩეს ახალ მოთხოვნილებას. ამ გზაზე კიდევ უფრო გაბედულად უნდა გასწიოს რეჟისორმა.

ლაც, თუ ისეთი ვარ, როგორც ბ. ფურცელაძე მასურათებს, პირველი მე შემზიზღდება ჩემი თავი და პირველი მე ვესვრი ტალახს ჩემს თავს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ასე არავის გაუგია ჩემი ორიოდე ნაწერი, თუკი ვინმეს წაუკითხავს და არა გადაუთვალიერებია მარტო თითო სტრიქონი თითო გვერდზე და თითო სიტყვა თითო გაზეთის სვეტში.

საიდან გამოიყვანა ბ. ფურცელაძემ, რომ მე „ხელოვნება ხელოვნებისათვის" თაყვანისმცემელი ვარ. უთუოდ იქიდგან, რომ მე „მოამბის" მორალისტებზე ვამბობდი: „ყოველ შემთხვევაში, საძიებელ მოთხრობა დიდი სიამოვნებით იკითხება და მათი კითხვა სულის საჭირდოს იძლევა, სწორედ იმიტომ, რომ მორალური ტენდენცია კარგად არის გატარებულითქო". ანდა უფრო ნათლად აქ ვიცავ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის": „მეცნიერება მაშინ არის კარგი, მაშინ არის სანატრელი, თუ იგი ემსახურება კაცობრიობასა, თუ იგი ეხმარება და შველის მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა, თორემ მეცნიერება მეცნიერებისათვის, ხელოვნება ხელოვნებისათვის — ეს სწორედ უაზრო რამ არის" („მოამბე", № 8, გვ. 18). ნუთუ ნათელი არ არის, რომ მე სიტყვაკაზმული მწერლობისაგან მხოლოდ ეიკვეკსა და გალობას არ ვთხოულობ და ხელოვნებას ხელოვნებისათვის არ ვიცავ?

სცდება ბ. ფურცელაძე იმაშიც, რომ მე ვითომ ბინდა კაცის გულიდან მეცნიერება განვაძევო და სარწმუნოება — დავამყარო: ვითომ მინდოდეს ინკვიზიცია აღვადგინო, ტორკვემადას იდეალად ვუსახავდე კაცობრიობას; ვითომ ყოველივე ჩვენს ცოდვას „ჩვენს უსჯულოებას ვაწერდე". მე ვამტყუნებდი იმ ვაჟბატონებს, რომელნიც თავის გარყვნილებას, გულგრილობას, უსაქმურობას მეცნიერებას აბრალებდნენ, მეცნიერებაზე ამყარებდნენ თავის გამხეცებას და თავის გადაგვარებას, თავის ყოველივე კაცობრიული მოვალეობის უარისყოფას. ნუთუ ასე გაიგეთ ჩემი სიტყვები: „გვგონია, რომ მეცნიერნი და ფილოსოფოსნი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ, მაგრამ ისე თავის აზრებისთვის არა, როგორც იმ განყენებული ცხოვრებისათვის, რომელიც მათ ჩვეულებათა აქვთ. მეცნიერებმა უნდა იცოდნენ, რომ ცხოვრების სარკმლიდან ყურება არ შეიძლება, უნდა იცოდნენ, რომ მათი თხზულებანი ცოცხალ არსებათა შორის დატრიალებენ, იძიებენ ზოგის აღტაცებას და ზოგის ზიზღს, პოულობენ

66. საფრანგეთის თანამედროვე დრამატიული ლიტერატურა

არა გვგონია, რომელიმე ქვეყნის ლიტერატურა განვითარების გზას ისეთი თანდათანობით ადგას, როგორც საფრანგეთისა. ამ ლიტერატურის ერთი დიდმნიშვნელოვანი თვისება ისიც არის, რომ იგი განუწყვეტლივ გამომხატველია საზოგადოების ახალი მიმართულებისა და აზრისა. ფრანგი მწერალი ყოველთვის ყნოსვამახვილი ყოფილა და წინათუგრძვნია ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენა. მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული საფრანგეთის სიტყვაკაზმული ლიტერატურა მოწინავე აზრების მქადაგებელია. პოლიტიკური რეაქციის სიძლიერისა და სიმწვავის დროს ეს ლიტერატურა ცდილობდა უარყოფითად მოჰკიდებოდა თანამედროვე ცხოვრებას და ხანდახან ამ ცხოვრებით გულმოკლულს ეს უარყოფა მთელ მსოფლიოსა და მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე გადაჰქონდა. ხოლო რეაქციის შესუსტების დროს ახალ აზრთა და გრძნობათა აღტაცებული მქადაგებელი გამოდიოდა. ასეთი იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტერატურა: მოლიერი და ლაფონტენი, დეკარტი და პასკალი, კორნელი და რასინი. ყველანი თავისებურად, ზოგი მედგრად, ზოგი უფრო სუსტად და ნაზად, გვამცნობდა მთელ სისასტიკესა და აუტანლობას პოლიტიკური დესპოტიზმისას. ასეთი იყო მე-18 საუკუნეში ლიტერატურა ვოლტერისა და რუსოსი, მონტესკიესი, ჰელვეციუსისა და ჰოლბახისა, დიდროსი და ბომარშესი, რომელნიც გატაცებული ენერგიითა და ნაყოფიერი შრომით დიდი რევოლუციის ნიადაგს ამზადებდნენ, კიდევ მეტიც, ეს ლიტერატურა ნამდვილი წინამორბედი იყო რევოლუციისა, მისი ეპილოგი, მისი პირველი მოქმედება. ის, რაც აზრთა სამეუფოში ვოლტერმა და რუსომ მოახდინა, მერე, ცხოვრებასა და პოლიტიკაში, მირაბომა და რობესპიერმა მოახდინეს.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგში პოლიტიკურმა რეაქციამ შატობრიანიც კი აღაშფოთა და ქ-ნი სტალი მედგრად აამხედრა. მერე ჰიუგო და ჟორჟ-სანდი შეიქმნენ ახალი აზრების მოქადაგეებად.

ხოლო ნაპოლეონ მესამის რეჟიმს ჰიუგოს პიროვნებაში ისეთი დაუძინებელი და შეუდრეკელი, უძლეველი მტერი გაუჩნდა, რომ ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი არა იცის რა.

ნაპოლეონ მესამის რეჟიმმავე შექმნა და აღზარდა რეალიზმი და ნატურალიზმი, რომელთაც, წინააღმდეგ თავისი არსებისა, ცხოვრების უარყოფა უკიდურეს წერტილამდე მიიყვანეს.

საფრანგეთის ეხლანდელი ლიტერატურაც, თავისი საუკეთესო წარმომადგენლების პირით, ამ უარყოფის გზას ადგია. დახელოვნებულ დოსტაქარის ნესტარით იგი დღევანდელი სენით შეპყრობილი საზოგადოების წყლულსა და იარას თვალწინ გვიყენებს და მათი წამლობის აუცილებლობაში გვარწმუნებს, თან მომავლის გზის გარკვევასა ცდილობს და ახლის მოციქულობას ჩემულობს. ასეთია მწერლობა მოპასანისა და ანატოლ ფრანსისა, ბურჟესი (პირველი ხანის ბურჟესი) და მირბოსი, რემი-დეგურანისა და პრევოსი, პოლ მარგერიტისა და სხვ.

საზოგადოდ, ეს ნიშანდობლივი თვისება საფრანგეთის ლიტერატურისა ფრანგულ თეატრსაც ნათლად ემჩნევა. შესაძლოა საფრანგეთს არა ჰყავდეს არც შექსპირი, არც შილერი და გეტე, არც იბსენი, მაგრამ, სამაგიეროდ, საფრანგეთს ჰყავს მოლიერი და ბომარშე, უდიდებულესნი შემოქმედნი პოლიტიკური და სოციალური სატირისა. ამასთანავე, საფრანგეთის მთელი დრამატიული ლიტერატურა მწყობრი და შეუწყვეტელი გამომსახველია საზოგადოების აზრთა ბრძოლისა, საზოგადოების მისწრაფების მაჩვენებელია, ახლის მოსარჩლეა, ძველის მედგარი მებრძოლი. ასეთი გახლდათ მოლიერისა და ბომარშეს უკვდავი სატირები, ასეთია ჰუგოს ტრაგედიები, დიუმა-შვილის დრამები და სხვათა მრავალთა ნაწარმოებნი.

1

აზრადა გვაქვს მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ საფრანგეთის დრამატიული მწერლობა ამ ათიოდე წლის განმავლობისა.

დღევანდელი ფრანგული დრამატიული ლიტერატურა საოცრად გაიზარდა. აუარებელი ახალი თხზულებები ცხვება და გამოდის თეატრის ბაზარზე. მარტო ერთმა ფრანგმა ჟურნალმა („ილიუსტრასიონმა“) თავის ხელის მომწერლებს ხუთი წლის განმავლობაში დაურიგა (1906—1910 წწ.) ასორმოცდაათ დრამაზე მეტი. ეს დრამები

პარიზის უპირველეს თეატრებში იყო წარმოდგენილი. მრავალმა მწერალმა გაითქვა სახელი ამ ათი წლის განმავლობაში და მრავალი მათგანი შედარებით ადვილად ეღირსა აკადემიკოსობას (ედმ. როსტანი, დონნეი, პორტო-რიში, ლავე დანი, პოლ ჰერვიე). ხოლო, რა-საკვირველია, ამ აუარებელ ნაწარმოებში და ურიცხვ მწერალთა შორის, არა ყველაა „რჩეული". ის კი არა, რიცხვის მიხედვით სულ მცირე ნაწარმოები იქცევს ყურადღებას და ორიოდე მწერალმა დაიმსახურა საერთო პატივისცემა და სახელი (ჰერვიემ, როსტანმა), მაგრამ საერთო ხასიათი საფრანგეთის ლიტერატურისა, მაინც სავსებით დაცულია ამ ნაწარმოებში და საერთოდ ყველანი ემსახურებიან საზოგადო ზნე-ჩვეულებათა დახასიათებას, ცხოვრებაზე ახალი აზრის გამორკვევასა და შექმნას. არის ერთი საგანი, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევს ფრანგული უკანასკნელი ნახევარი საუკუნის დრამა. ეს გახლავთ ქალ-ვაჟის ურთიერთობა, ოჯახის მდგომარეობა და ის კანონმდებლობა, ის დრამატიული ზნე-ჩვეულება, რომელიც ერთგვარ ფარგალში სვამს ამ ურთიერთობას. მართლაც, ქალ-ვაჟის კავშირი ისეთი ძლიერი გარდუვალი და ფატალური მოთხოვნილებისა და ძალის გამომხატველია, რომ ვერც ერთი მოაზრე, ვერც ერთი მოციქული, სოციალური რეფორმატორი მას გვერდს ვერ აუხვევს. ეგრეთ წოდებული ოჯახი, ქალ-ვაჟს შორის განწყობილება, ქვაკუთხედია პიროვნებისა და საზოგადო ცხოვრებისა.

ცხოვრების წინსვლა, აზრთა განვითარება შეუძლებელია ისე, რომ სქესთა შორის განწყობილებასა და კავშირსაც არ შეეხოს და თავისებური ახალი შეხედულება არ დაიბადოს და არ შეიქმნას ამ საგნის შესახებ.

დღეს-დღეობით პიროვნების, მისი აზრ-ფიქრის, სურვილისა და მისწრაფების სრული თავისუფლებაა იდეალად მიჩნეული, ვითარცა ერთადერთი და აუცილებელი გზა ადამიანის სრული ბედნიერებისაკენ. ამისდა შესაფერად, ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების ერთ-ერთ პირობად მიჩნეულია სქესთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც მოკავშირეთა პირად სურვილსა და ნებაზე იქნება დამყარებული და სხვა ყოველივე გარეშე მოსაზრებასა და მოთხოვნილებაზე დამოუკიდებელი.

ამგვარად შეხედულება ქალ-ვაჟის დამოკიდებულებაზე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ფეხს იკიდებს, თვით უფრო ზომიერ მოაზრეთა შორისაც.

დიდად საინტერესოა გავითვალისწინოთ, თუ რანაირად განვითარდა აზრი — სქესთა ურთიერთობის სრული თავისუფლებისა საფრანგეთის დრამატიულ ლიტერატურაში.

ორმოცის-ორმოცდაათი წლის წინათ ალ. დიუმა (შვილი) შეიქნა სასტიკი და შეუბრალებელი ბრალმდებელი მრუშობისა ოჯახში, და შეურაცხყოფილსა და გაბიაბრუებულ მეუღლეს დამნაშავე მეუღლის სიკვდილით დასჯის ნება მისცა: „მოჰკალო!“ ურჩია და ზნეობრივი დასტური დართო ამგვარ ქცევას. მთელი დრამაც კი დასწერა— „კლოდის ცოლი“, საცა გარყვნილსა და პირუტყვად ქცეულ დედაკაცს, ოჯახის ლაფის დამსხმელსა და მეუღლის კავშირის დამრღვეველს, ქმარი სიცოცხლეს უსპობს და ამნაირად გაითავისუფლებს თავს სულისშემხუთველი და შემარცხვენელი უღელისაგან.

მორალისტის ამგვარმა სიმკაცრემ შეაშფოთა ნაპოლეონ მესამის რეჟიმში აღზრდილი საზოგადოება, რომლისთვის ოჯახიც, როგორც ყოველივე სხვა, სავაჭრო საგნად გადაიქცა. იმ დროის ოჯახში, ორის მაგიერ „სამი“ მბრძანებლობდა ხოლმე: ორი მეუღლე და ერთიც საყვარელი; ხანდახან კი ორი და სამი საყვარელიც, რომელთაგან ერთი გულის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მეორე—ფულისას და მესამე ხარისხისას (გაიხსენეთ ბურჟეს „სიყალბე“).

მე რომ შვილი მყოლოდა, — ამბობს ალ. დიუმა (შვილი) ერთ-ერთ თავის წიგნში („დედაკაცი და მამაკაცი“), — ამგვარ რჩევას მივცემდი: „თუ მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე შენი გაგიფრთხილებია, გაგიზიარებია მისთვის შენი ცოდნა ადამიანისა და ცხოვრებისა, მიუხედავად შენი კეთილშობილური ქცევისა, შენი მოთმინებისა და სათნოებისა, მოტყუებული დარჩი შენის მეუღლის ორჭოფულის ქცევითა და მოქმედებით; თუ შენი ცხოვრება დაუკავშირე ულირს არსებას; თუ ყოველივე შენმა ცდამ, რომ იგი ღირსეულ მეუღლედ გადაგექცია, ამაოდ ჩაგიარა; თუ ვერ იხსნა იგი ვეღარც დედის გრძნობამ, რომელიც ამქვეყნიური მხსნელია და მფარველი სქესისა; თუ აღარა სურს დაგიჯეროს ან როგორც ქმარს, ან მამას მისი შვილებისას, ან მეგობარს, არ ოჯახის ბატონს და ტოვებს თავის შვილებს და მიყვება ქუჩაში შეხვედრილ პირველსავე მამაკაცს, რათა განაგრძოს მასთან სხვაგვარი ცხოვრება და გაამრავლოს ამ ქვეყნად თავისი წყეული თესლი; თუ ვეღარაფერი ვერ წინააღუდგება და ვერ შეაჩერებს მისი ხორცის გარყვნილებას, რაც შენს სახელს

ჩირქსა სცხებს და ტალახში სვრის; თუ შენი ადამიანური ცხოვრება შელახულია ამგვარი მოქმედებით და ხელს გიშლის შენი ღვთიური დანიშნულების აღსრულებას; თუ ამასთანავე კანონი, რომელმაც მიიკუთვნა უფლება თქვენი განუყრელად შეკავშირებისა, ნებას არ გაძლევს მოშორდე და თავი გაინთავისუფლო ასეთი მეუღლისაგან, და ამგვარი სისასტიკით კანონი მარტო თავის უძლურებას ამტკიცებს, განაცხადე თავი შენი, შენის გამჩენის სახელით, ამგვარი არსების მოსამართლედ და ჯალათად. ეს ქალი კი არ ყოფილა, არც ცოლი ყოფილა, ეს ღვთის ნასახი ადამიანი კი არა, ნამდვილი პირუტყვი ყოფილა, ნამდვილი დედალი, კაენის ჩამომავალი და, მაშ, „მოჰკალ იგი“!.

ამნაირი სასტიკი და ულმობელი გადაწყვეტილება საგნისა გამოიწვია იმან, რომ იმ დროში (1872—73) საფრანგეთში არ არსებობდა ცოლ-ქმრის განქორწინების წესი. კანონი არ აძლევდა ნებას ერთხელ და სამუდამოდ შეუღლებულ ქალ-ვაჟს რაიმე მიზეზის გამო ერთმანეთს დაშორებოდნენ. ამგვარი კანონის უაზრობამ აამხედრა სხვა მოწინავე მოაზრეთა შორის ალ. დიუმაც(შვილი), რომელმაც თავისი დიდი დრამატიული ნიჭი მოანდომა ამ წესისა და კანონის, უკეთა ვთქვათ, უკანონობისა და უწესოების წინააღმდეგ ბრძოლას, და რომელმაც მაღალნიჭიერ ნაწარმოების მთელ წყებაში დაანახვა საზოგადოებასა და ქვეყანას, რომ ასეთი მდგომარეობა, ასეთი წესი, მოუთმენელია და ყოველივე ნიადაგს მოკლებული.

განსაკუთრებულად შესანიშნავია დიუმას დრამების წინასიტყვაობა. დიუმა ყოველთვის იმის მოსარჩლეა, რომ ცოლ-ქმრის კავშირი და ურთიერთობა ყოველ რეგლამენტაციას უნდა ყოფილიყო მოშორებული. მარტო ქალ-ვაჟის, ერთმანეთის თავისუფალი და დამოუკიდებელი გრძნობა უნდა იყოს ოჯახის ქვაკუთხედიო. ის ამტკიცებს, რომ ეხლანდელი ოჯახი მეტად ყალბ საფუძველზეა აშენებული. გვარწმუნებს, რომ ეკლესიისაგან ძალდატანებული უღელი, გინდ მთავრობისაგან და სახელმწიფოსაგან იარაღითა და სასტიკი კანონებით დაცული დამოკიდებულება, ოჯახში თავგასულ და აღვირწახსნილ გარყვნილებას ბადებს: ცოლი ატყუებს ქმარს, ქმარი ღალატობს ცოლს. გარეგნულად ვითომ და კიდევაც ემორჩილებიან „კანონებს“, არსებითად კი ამ კანონების დაქცევასა და დარღვევას უწყობენ ხელს, და ეს ასეც უნდა იყოს: დახავსებულ კანონს თვითვე აქვს ძირი მომპალი. უბედურობა ის არის, რომ ამგვარი წესი გა–

აბოროტებს ხოლმე ოჯახის წევრებს და მათი საქციელი ხანდახან საზოგადოებას ჰრყვნის და საძირკველს აცლის.

და იმ დროს, როცა კანონისაგან კეთილსაიმედოდ აღიარებული კავშირის მწარე სურათებს გვიხატავს შესანიშნავი დრამატურგი, იმავე დროს თავისუფალი სიყვარულის გულწარმტაცი მაგალითით გვხიბლავს მისი მარგარიტა გოტიე („ქალი კამელიებით"), რომელიც ერთი საუკეთესო და მშვენიერი ძეგლია დამოუკიდებელ, მხოლოდ გრძნობის თავისუფლებაზე აგებული სიყვარულისა და კავშირისა.

დიუმას დრამებმა დიდი სამსახური გაუწია განქორწინების გაადვილების საქმეს.

2

დღეს საფრანგეთში განქორწინება ისე ადვილია, როგორც არსად ევროპაში. ადვილია კანონით, ადვილია საზოგადოების თვალშიაც, რომელიც ამ მოვლენას სრულიად ჩვეულებრივად თვლის და განქორწინებულთ არავითარი დევნა და ზურგის შექცევა არ მოელის საზოგადოებისაგან.

ეს ასეა, მაგრამ ადამიანის ცხოვრება რთულია, ადამიანის სურვილი და მოთხოვნილება უსაზღვრო. დღევანდელი განქორწინების კანონი ვეღარ შველის საქმეს, ვეღარ აკმაყოფილებს განვითარებულ სულისკვეთებას ადამიანისას. სქესთა შორის კავშირი კიდევ მეტ თავისუფლებას თხოულობს.

კანონი შეიცვალა, მაგრამ ცხოვრებაც შეიცვალა. ოჯახობრივ ცხოვრებაში ათასგვარმა ახალმა მოვლენამ იჩინა თავი. დიუმას შემდეგ დრამატიული ლიტერატურა იმავე მრუშობის სხვადასხვაგვარად დახატვას უნდებოდა. დრამა კი არა, რომანიც მარტო ამ საგანს უტრიალებდა გარშემო და ოჯახის წევრთა, კავშირის დამრღვევ მეუღლეთა გასამართლებას უნდებოდა. რაკი ცოლ-ქმარს ადვილად შეეძლო ერთმანეთის მოშორება ახალი კანონისა და წესის მიხედვით, მორალისტები უფრო სასტიკად მოეკიდნენ დამნაშავეთ. იგინი შეუბრალებლად ჰგმობდნენ კავშირის შეურაცხმყოფელთ, რომელთა საზიზღარი მოქმედების მოტივები გარეგანი რიგიანობის დაცვა იყო, ქონებისა და ფულის სიყვარული, ფუფუნებისა და განცხრომის თაყვანისცემა: ქალს სხვა უყვარს, მაგრამ „სხვა" ღარიბია, ქმარი კი

მდიდარი და ამის გამო იმას არჩევს, ქმარს ჩუმჩუმად უღალატოს პატივისა და დიდების შესანარჩუნებლად, „სხვა“ კი გულისგამართობელ მიჯნურად იყოლიოს. ამის გარდა, ცხოვრებაზე დაკვირვებამ ის აღმოაჩინა, რომ მარტო კანონი კი არ აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან, არამედ სხვადასხვა გარემოება, რომელიც ბევრად უფრო უძლეველია, ვიდრე დრომოჭმული კანონი. კანონი კაცის შექმნილია, მასვე შეუძლიან სძლიოს, შეცვალოს, გარდაქმნას, ფაქტიურად გააუქმოს იგი. მაგრამ არის ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, ისეთი ფატალური ძალა, რომელთა ძლევა ასე ადვილი როდია. არსებობს თავმოყვარეობა და ცრუმორწმუნეობა; არის ფუფუნებისა და განცხრომის დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც უფრო ძნელი დასამარცხებელია ადამიანში, ვიდრე კანონის მორჩილება. ყოველივე მხარე ცხოვრებისა, რომელსაც კი ძლიერი, ხანდახან უძლეველიც, გავლენა ჰქონია სქესთა კავშირზე — ეს ყოველივე შესწავლილი აქვს საფრანგეთის დრამას.

დიუმას შემდეგ, სულ უკანასკნელ დროში, მის გზას დაადგა პოლ ერვიე, დრამების წყალობით აკადემიკოსად არჩეული. ერვიეს „ბრჭყალები“ ქართული თეატრის რეპერტუარშიაც შედის. ამ ირონიული სახელით მონათლა მან დღევანდელი ოჯახი ქალისათვის.

ერვიეს აზრით, ქალი სუსტი ქმნილებაა. მისი ბედის განმკარგულებელი ჯერ დედ-მამაა, მერე ქმარი, რომლის „ბრჭყალებშიაც“ ვარდება და რომელიც მისი ულმობელი ბატონ-პატრონი ხდება. ქალმა რომ ქმრის მიტოვება მოინდომოს, შვილს არ დაანებებს, გინდაც ეს შვილი ფაქტიურად ქმარს კი არა, საყვარელს ეკუთვნოდეს. დედის გრძნობა ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც მეტოქეობას უწევს სქესობრივ გრძნობას და დედა-კაცი, რომელმაც უნდა გაწიროს ან შვილი, ან გულის სატრფო, ნიადაგ ტანჯვაშია, ნიადაგ წამებაშია. რას უშველის აქ განქორწინების სიადვილე, თუკი კანონი დედა-კაცს საუკუნოდ მამა-კაცის „ბრჭყალებში“ აგდებს. „მამა-კაცის კანონი“ (ერვიეს მეორე დრამის სახელია), მამაკაცისგანვე შექმნილი, მამაკაცის სასარგებლოდ არის დაწერილი და გამოცემული: ცოლს არ შეუძლია ისარგებლოს თავისი ქონებით, არ შეუძლია გადამწყვეტი როლი დაიჭიროს შვილების ბედის გადაჭრაში და სხვ.

ჰგავს, განქორწინების გაადვილება ცალმხრივია, ცალი ფეხით კოჭლობს, მამაკაცი თავისუფლდება, ქალი კი მამა-კაცის ხელში რჩება, მისი „კანონების“ ტყვედ, მისი „ბრჭყალების“ მსხვერპლად.

მაშასადამე, სქესთა შორის კავშირს კიდევ მეტი თავისუფლება ჭირდება.

მაგრამ აქაც კიდევ ერთი კითხვა იბადება, რომელსაც საფრანგეთის დრამა ყურადღებას აქცევს.

საკმარისია თუ არა ადამიანისათვის, მისი ოჯახური ბედნიერებისათვის, მისი სქესობრივი დამოკიდებულების იდეალისათვის მხოლოდ შეკავშირებისა და განქორწინების თავისუფლება? დიახ! ცოლქმრობისათვის, ოჯახისათვის კავშირის აბსოლუტური თავისუფლება აუცილებელი პირობაა ბედნიერებისა. თავისუფალ, მხოლოდ თავისუფალ კავშირს შეუძლია გამოსცადოს, რამდენად ღრმაა ქალ-ვაჟის გრძნობა, რამდენად საფუძვლიანია და მტკიცე მათი სიყვარული. მხოლოდ დამოუკიდებელ გრძნობასა და სიყვარულს, ყოველივე სანქციისა და რეგლამენტის გარეშე დაბადებულსა და ყოველივე შემბოჭველი გარემოების გარეშე აღზრდილს, შეუძლია ორთავე მხარისათვის კეთილი ნაყოფი გამოიღოს. ნაძალადევი სიყვარული, სიყვარული და უღელი, რომელიც შიშისაგან არის გამოწვეული, სიყვარული კი არაა, ერთმანეთის მოტყუებაა, თავის თავისა და თავის მეუღლის გაბიაბრუება და ტანჯვაა.

განა განქორწინება ფორმალური, განშორება გარეგანი, შველის რასმე გრძნობის საქმეს? რას გააკეთებს განქორწინება, თუ ერთი მხარის სული და ხორცი არსებითად დაკავშირებულია მეორესთან, თუ ერთის ბედნიერებას მარტო მეორესთან ყოფნა შეადგენს და ეს მეორე კი მის გრძნობას ან ძალიან გულგრილად ეკიდება, ანდა, სრულებით გაურბის ამ გრძნობას? და აი, ზემოხსენებული პოლ ერვიე დაგვიწერს დრამას, რომელსაც სახელად „დედალს“ [1] უწოდებს, ე. ი. საჭირბოროტო საქმედ მიაჩნია, მეტად ძნელ საგნად სქესთა შორის დამოკიდებულების გამორკვევა. ამ დრამის შინაარსად, პირველი შეხედვით, უცნაური შემთხვევაა აღებული, მაგრამ ყოვლად

---

[1] ძველი საბერძნეთის მითოლოგიაში ცნობილი პირი, რომელმაც ააშენა ლაბირინთი, ისეთი დიდი და ვეებერთელა სახლი, იმდენი ოთახებით, კაცი რომ შეკიდოდა, გზას ვეღარ გაიგნებდა. აქ ეს დრამა სიმბოლურად არის „დედალად“ წოდებული, ე. ი. გამოურკვეველ საგნად, სახიფათო გადასაწყვეტად მიაჩნია ავტორს დრამის საგანი.

შესაძლებელი დრამაა, -და მოსალოდნელი ტრაგედია ქალ-ვაჟის კავშირზე აღმოცენებული. ცოლი (მარიანნა) ქმარს (მაქსს) გაეყრება იმიტომ, რომ ქმარს ატყობს ცუღლუტობასა და ღალატს. შემდეგ განქორწინებისა, მარიანნა ცოლად ერთ კაცს (გუილიომს) გაჰყვება, რომელიც მას აღმერთებს, თუმცა თვით მარიანნას გული და გრძნობა ისევ წინანდელ ქმარს ეკუთვნის, მისი სიყვარული გულში ღრმადა აქვს ჩამარხული და პირველსავე შემთხვევაში ეს გრძნობა მზადაა გადმოსკდეს გულიდან. ასეთი შემთხვევა პირველი ქმრის ხელში შეძენილი შვილის ავადმყოფობაა. დედ-მამა ავადმყოფის სარეცელთან ხელახლა დაუახლოვდებიან ერთმანეთს და ქალი და კაცი, მოზღვავებული გრძნობით დამონებულნი, ერთმანეთს დანებდებიან. ამას მოჰყვება საშინელი ტრაგედია. პირველი და მეორე ქმარი ერთმანეთს შეეტაკებიან უფსკრულის ნაპირზე და ორივე გადაიჩეხება საშინელ კლდეზე.

აქ განქორწინების თავისუფლებაა. ეს წესიც სისრულეშია მოყვანილი. ქალი სარგებლობს. თხოვდება, ირთავს მაღმერთებელ ადამიანს. მაგრამ გრძნობა კი ხელშეუხებელი დარჩა. მაქსსაც და მარიანნასაც ერთმანეთი უყვართ და ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს სიყვარული უსათუოდ ერთმანეთს დაუახლოვებდა მათ. მაგრამ გაუსწორებელი შეცდომაა ჩადენილი. სცენაზე მესამე კაცის გრძნობა გამოდის და ამ სამი ადამიანის ბედისა და გრძნობის შეტაკება საშინელ უბედურებასა ჰბადებს. ერვიეს დრამაში სხვა არ არის ისეთი შემთხვევა, რომელიც უფრო მწვავედ, უფრო აშკარად კვეთდეს სქესთა შორის ურთიერთობის ზოგიერთ ფატალურ მხარეს.

მართლაც და, რა ძალა ედგა მარიანნას ქმარი მიეტოვებია, როცა უყვარდა და გრძნობით მასთან დაკავშირებული იყო. ვითომდა მოღალატე ქმართან ცხოვრება თავის შეურაცხყოფად მიიჩნია? ანდა პრინციპს დაემორჩილა? გრძნობის სამეუფეოში პრინციპებს ძალიან ცოტა გასავალი აქვს და თუ მაინცა და მაინც პრინციპის აყოლა უნდოდა, სხვებს რაღას ემართლებოდა, იმ ადამიანს, რომელიც აღმერთებდა მის სახელს? შებრალებითა და პატივისცემით საუკუნო კავშირის გაჭედვა, როცა იცი, რომ გული სხვისაკენ გიწევს, პირდაპირ თავზე ხელაღებული სიბეცეა, ანდა ბოროტებით აღსავსე შეცდომა. მაგრამ უარს ვერა ვყოფთ, რომ ასეთი შემთხვევა, ასეთი კაზუსი, იურისტების ენით რომ ვთქვათ, შესაძლებელია და მისი გადაწყვეტა უბრალო განქორწინების კანონებით მოუხერხებელია.

3

ქვევით ვნახავთ გრძნობათა საბედისწერო განწყობილების ისეთ სურათებს, რომელთაც ვერავითარი სოციალური წამალი, ვერავითარი საზოგადოებრივი კანონი ვერ შემოუვლის.

წარმოიდგინეთ, რომ მამაკაცს (დაე, ამ მამაკაცს სახელად ერქვას ჟერმენ საბრიე) გაგიჟებით უყვარს თავისი ცოლი (ანტუანეტა საბრიე), უყვარს მთელი თავისი არსებით; მთელ თავის სიცოცხლეს, მოქმედებას ამ ქალს სწირავს, მზად არის თავი მსხვერპლად შესწიროს ამ ქალის სიყვარულის საკურთხეველზე; „არ შემეძლო არც შრომა, არც მუშაობა, არც რაიმე საქმის დაწყება, არც ასეთი უცნაური თავზეხელაღებული შემთხვევებით აღსავსე ცხოვრების ატანა: არ შემეძლო გამარჯვება მეძია, საქმის გაჩარხვისა, საქმის შექმნის თავი არ მექნებოდა, რომ ჩემ სახლში სხვა ქალი იყოს და არა ეს. მხოლოდ ამ ქალის გულისათვის ვებრძვი ბედს, სისხლს ვიშრობ და მილიონებს ვათამაშებ. პირადად მე არავითარი საჭიროება არა მაქვს, პურზედ და წყალზე კარგად გადვივლიდი, ჩარდახში ვიცხოვრებ. მე მხოლოდ ისა მსურს, რომ ეს ქალი ბრწყინვალედ ცხოვრობდეს, ყველა მას შეხაროდეს, მის ცხოვრებას შენატროდეს. მხოლოდ ისა მსურს, ეს ქალი დედოფლურად ვაცხოვროო“, ეუბნება ეს კაცი თავის მეგობარს. ხოლო თავის ცოლს ასე მიმართავს მძიმე წუთის დროს: „თქვენ არ იცით, რა ხართ ჩემთვის. თავის დღეში არ მითქვამს თქვენთვის ის, რისი თქმაც მწყუროდა, იმიტომ, რომ... იცით რა გითხრათ? თუმც ძალიან გამბედავი კაცი ვარ ყოველ საქმეში, თქვენს წინაშე კი მორცხვი და მშიშარა ვარ. და ბოლოს, თქვენ თავის დღეში ეჭვადაც არ აგიღიათ, რა რიგ მიყვარხართ, ანტუანეტა... ჩემი სურვილი იყო თქვენთვის ფუფუნებითა და განცხრომით აღსავსე ცხოვრება შემექმნა. მე მსურდა თქვენთვის მომენიჭებინა, არ ვიცი, რაღაც არაჩვეულებრივი ძალა, რომელსაც უნდა დაებადნა ჩვენს შორის იდუმალებით მოცული კავშირი. ეს იყო მთელი ჩემი სიცოცხლე. მთელი ჩემი იმედი, მთელი ჩემი გულის ნადები, საიდუმლო“.

აი, ამნაირად უყვარს კაცს თავისი ცოლი, იგი მისი ცხოვრების იდეალია და საგანი.

წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ასე გაღმერთებული ცოლი თავის ქმარს ღალატობს და შორდება. კანონი შესაძლოდ სცნობს მათ განქორწინებას. ქალს ადვილად შეუძლია საყვარელს გაჰყვეს.

განა ამგვარი გადაწყვეტილება საგანს სავსებით არკვევს? განა ასეთი გადაწყვეტილება ყველა მოქმედ და დაინტერესებულ პირს დააკმაყოფილებს? განა ჟერმენ საბრიე საკმაოდ ინუგეშებს თავს, რომ მოიშორა თავიდან ცოლი, რომელსაც სხვა უყვარდა, დასჯერდება იმას, რომ სუსტ კავშირს ადვილად გასწყვეტს და მოსპობს? მისი ტანჯვა და სევდა ერთი ბეწოთიც არ შემსუბუქდება იმით, რომ ადვილი განქორწინების წესები არსებობს: მისი სიცოცხლე ხომ იმ დღიდან მოწამლულია, მისი პირადი ცხოვრება გათელილია, საუკუნო ვაება და სამარადისო სიმწარე ნიადაგ მისი განუყრელი თანამგზავრი იქნება ცხოვრებაში. ამგვარია ბედი მამაკაცისა.

მაგრამ, ან თვით დედაკაცმა რა ქნას და ან რას იზამს იგი? ნუთუ ის კი სრულ ბედნიერებას მოიპოვებს, ნუთუ მას, გნებავთ სინდისი დაარქვით, გნებავთ სიბრალული ადამიანისადმი, არ დატანჯავს და არ მოუშხამავს თვით უბედნიერეს წამებს? ნუთუ ის მოსაზრება, რომ იგი უნებლიეთ მიზეზია კაცის გაუბედურებისა, სრულიად თავისუფალს ჰყოფს ყოველივე სევდის მომგვრელ ფიქრებისაგან? თუ ქალს ერთი ბეწო გრძნობა და ადამიანობა მაინცა აქვს, ყოველთვის გულში ჩარჩება მღრღნელი ჭია, რომელიც ხშირად გაახსენებს მის, თუ გინდ, უნებლიეთ დანაშაულს, რომ იგი გახდა ადამიანის სულისა და ხორცის დაღუპვის მოუფიქრებელი მიზეზი.

ეს მოსალოდნელია ყოველ შემთხვევაში, ხოლო თუ განსაკუთრებული პირობებია, თუ არაჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ ქალის (თუ გინდ კაცისაც) მდგომარეობა ერთიორად უფრო მძიმეა და მწვავე. მაგალითად: ქმარს (ჟერმენ საბრიე), რომლის ცხოვრების მიზანი, მანათობელი ვარსკვლავი ცოლი იყო (ანტუანეტა), უბედური შემთხვევა ეწვია. მისი სავაჭრო საქმეები ჩაიშალა და გაკოტრების გზას დაადგა. ამგვარად, მთელი მისი მოქმედება უნაყოფოდ რჩება, მთელ მის ცხოვრებას გზა ეკარგება და შესაძლოა სასიკვდილოდაც განწიროს თავი. აქვს თუ არა უფლება, შეუძლია თუ არა, შესწევს თუ არა ქალს ძალა ისეთი სიმკაცრე და სისასტიკე გამოიჩინოს, რომ ამნაირ უბედურებაში ჩავარდნილი მსასოებელი ქმარი მიატოვოს და გაჭირვების დროს ზურგი უჩვენოს? „არა“, გვიპასუხებს რომენ კოოლიუსი, ავტორი იმ დრამისა, რომლიდანაც ამოვიღეთ ზემომოყვანილი მაგალითები. ამ დრამასა ჰქვია გმირი ქალის სახელი „ანტუანეტა საბრიე.“ აი, ამ დრამის შინაარსიც: როგორც უკვე მოგახსენეთ, ჟერმენ საბრიეს გატაცებით უყვარს თავისი მეუღლე ანტუანეტა.

ჟერმენი დიდ სავაჭრო საქმეებშია გაბმული და დიდ ფულს ატრიალებს. მთელ მის მოღვაწეობას ერთადერთი სატრფიალო საგანი აქვს: ანტუანეტას შეუქმნას და მიანიჭოს ბედნიერება, განცხრომა, ფუფუნება და კმაყოფილება.

ანტუანეტა, ეჭვი არ არის, საბრიეს „სხვა და სხვა მოსაზრების“ გამო გაჰყვა, ისე როგორც დიდი უმეტესობა დღევანდელ ბურჟუაზიულ წრეში აღზრდილი ქალებისა. და გათხოვების დროს უთუოდ არ იყო სიყვარულის იმ მაღალი გრძნობით გამსჭვალული, რომელიც მხოლოდ შექმნის ხოლმე სქესთა შორის მჭიდრო და შეურყეველ კავშირს. რაღა გასაკვირველია, თუ ქმრის „საქმიანობამ“, ცოტა არ იყოს, თავი მოაბეზრა, თუმცა კი დიდად პატივსა სცემს და მის სახელს წმინდად ინახავს. მრავალგვარ უსაქმო მოარშიყეთ ვერა გააწყვეს რა მასთან და თვით სიყმაწვილითვე გულით მოტრფიალე ყმაწვილმა ვაჟმა ვერ მოხიბლა და ვერ შეაცდინა იგი. ანტუანეტა მეტად რიგიანი შეხედულების ქალია: „მე ძლიერ მიყვარს ჩემი ქმარი, თუმცა ჩვენს შორის არ არსებობს არავითარი გატაცებული და საიდუმლო ღრმა გრძნობებით მოცული განწყობილება... გულით მეჯავრება რომანტიული ქალები, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში „სხვას“ ეძიებენ. ჩემი ცხოვრება მივიღე, როგორც დიდი და მძიმე მოვალეობა და რამდენადაც შემიძლია ამ მოვალეობას ვასრულებ. თუ კი სხვა ვინმე შემიყვარდება და თავს ვეღარ შევიკავებ, იმას დავნებდები, იმ წამსვე ამ სახლიდან გადავიკარგები, ამ ოჯახს იმავე დღესვე მივატოვებ. თავის დღეში არ დავთანხმდები ორ კაცთა შუა ცხოვრებას. თავის დღეში ვერ ავიტანდი და ვერ მოვითმენდი სიცრუით, სიყალბით, ცბიერებითა და ღალატით აღსავსე ცხოვრებას. ვერ ავიტანდი ნიადაგ იმის შიშში ყოფნას, ვაითუ ქმარმა მომასწროს და შეურაცხყოფა მომაყენოსმეთქი. თავის დღეში ვერ მოვითმენდი სირცხვილს, ვერ მოვითმენდი არა თუ პირადად მე, ვერ ავიტანდი ჩემი საყვარლისათვის სირცხვილი მიმეყენებინა... მე მიჭირავლია დედაჩემისაგან, თუ გინდა პატიოსანი ქალის სახელი შეინარჩუნო, უნდა იქონიო გამბედაობა, შენს პირადობას არ უღალატო, შენი გრძნობები საქვეყნოდ აღიარო და არ ეცადო დამალო არც გრძნობა სიყვარულისა და არც გრძნობა მეგობრობისა. თუკი ვინმე შემიყვარდება, იმავე დღესვე აშკარად, საქვეყნოდ იმისი გავხდები და იმავე წამს საჯაროდ განვუცხადებდი ჩემს ქმარს, რომ მას აღარ ვეკუთვნი“. ასე სჯის ანტუანეტა და ავიწყდება, რა რთული და მრავალ-

შხრივია ცხოვრება, რა ძნელია მისი მარტივ თეორიულ, განყენებულ ფორმულებში ჩამოყალიბება.

ანტუანეტას ნორჩ გულს სიყვარული სწყუროდა, თანაც იმგვარ ცხოვრებაში იყო გართული, რომელიც გრძნობებს მეტად ამახვილებს, თუ არ აზვიადებს. ამგვარ პირობებში შემთხვევა ყოველთვის მზად არის.

ქალს ვინმე რენე დანჟენი გამოუჩნდება, ლამაზი, მშვენიერი, დარდიმანდი, დიდი შეძლების პატრონი და ბევრის მნახველი. რასაკვირველია, რენე მეძებრის ყნოსვით იგრძნობს ანტუანეტას მღელვარე გულს და შეიყვარებს მას, თავსაც შეაყვარებს. დანჟენი ყოველ ღონესა და ხერხს ხმარობს ანტუანეტას დასამორჩილებლად. ანტუანეტა თავის პრინციპებს არ ღალატობს და ეუბნება: ჩემი ქმრის ოჯახიდან გამიტაცეო. დანჟენი დათანხმდება. დრო დანიშნულია, როცა საბრიე საქმის გამო ინგლისში იმყოფება. ანტუანეტა სამგზავროდაა მომზადებული, როცა მისი ქმარი ბრუნდება. საქმეები წაუგია და გაკოტრებას აღარა უკლია რა. მისი ხსნა მხოლოდ ფულს შეუძლია.

მაგრამ ასეთ უბედურებასა და სახიფათო მდგომარეობაში, ანტუანეტა ვეღარ ტოვებს ქმარსა და მხურვალე გრძნობით აღგზნებულ მიჯნურს, მის დაჟინებულ თხოვნაზე, გავიქცეთო, შემდეგს უპასუხებს: „მე შემეძლო მიმეტოვებინა ქმარი, როცა იგი იყო ბედნიერი, ძლიერი, მდიდარი. ეხლა კი ეს ყოვლად შეუძლებელია. მეტად დიდი მეხი დაატყდა თავზე: ნუ დაგავიწყდებათ ამასთანავე, რომ მე ვუყვარვარ მას. შეუძლებელია კიდევ ეს თავზარდამცემი ამბავი მივუმატო მის უბედურებას. ეს საზიზღრობა იქნებოდა. უნდა დავრჩე მასთან კიდევ რამოდენიმე ხანს. ეს ჩემი მოვალეობაა სიბრალულისა და თანაგრძნობისაგან ნაკარნახევი.“ სასოწარკვეთილი დანჟენი ემშვიდობება და აპირობს წასვლას. სუსტი ქმნილება კი თავის პრინციპებს უღალატებს. ერთის მხრით, ამისთანა საშინელ მდგომარეობაში ქმრისა და ოჯახის მიტოვება მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია, მეორეს მხრით, სიყვარულის ძალას ვეღარ ებრძვის, ვეღარ უძლებს და დანჟენს ეუბნება: „აღარ შემიძლია წინააღმდეგობა, შენი ვიქნები, როცა გინდა. ჩემს გულს მეტის ატანა აღარ შეუძლია. შენ გაღმერთებ, შენი ვარ“, და ამგვარად გულწასული დანჟენს ხელში ჩაუვარდება. რენე დანჟენი ეხლა იმასა ცდილობს ჟერმენ საბრიე გაჭირვებისაგან იხსნას და, ამნაირად, ანტუანეტას გაუადვილოს თავისთან დაახლოვე-

ბა; ფულს შეაძლევს საბრიეს, რომელსაც ეს მოქმედება ცოტა არ იყოს გააკვირვებს. უწინ რენე ყოველთვის წინააღმდეგი იყო რაიმე საქმეში ფულის დაბანდების. საბრიეს თანდათან ეჭვი აღეძვრის და ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, ანტუანეტასა და რენეს გამოკითხვის საშუალებით, დარწმუნდება, რომ იგინი ერთმანეთის საყვარლები არიან. მაშინ ანტუანეტას წინადადებას აძლევს ან საყვარელი მოიშოროს თავიდან, ან ქმრის ოჯახი მიატოვოს. ანტუანეტასათვის ეს მოუხერხებელი და შეუძლებელია, რადგან უყვარს რენე, მაგრამ დიდ პატივსა სცემს ქმარს და მის წინაშე თავი მოვალედ მიაჩნია: „მე შევუკავშირე ჩემი ცხოვრება თქვენსას, — ეუბნება ანტუანეტა ჟერმენს, — იმ დროს, როცა ბედნიერები ვიყავით. უბედურების დროს მე არ შემიძლია თქვენ განგშორდეთ და მიგატოვოთ ისეთ მდგომარეობაში... მაგრამ რენეს მოშორებაც მეტად ძნელია ჩემთვის... ცხოვრება მიმდინარეობს აქ, ჩვენს წინაშე, მთელი თავისი სისასტიკითა და სიმძლავრით. ნუთუ, წინააღმდეგი ხართ იმისა, რომ ერთმანეთს გაუადვილოთ ამ უბედური ცხოვრების მძიმე უღლის ტარება. მე შემოვდივარ თქვენს სახლში, ჩემი ადგილი აქაა, თქვენს ოჯახში, რომელიც მგლოვიარებით არის მოცული. მე არა მსურს ასეთ ყოფაში დაგაგდოთ, ვიდრე ძალით არ გამაძევებთ აქედან.“ ამ სიტყვების შემდეგ ჟერმენი დამბაჩას დაიცემს და თავს მოიკლავს.

ამნაირია სინამდვილიდან ამოგლეჯილი ცხოვრება, რომელიც წინ აღემართება განყენებულ პრინციპსა და მშრალ კანონს. დიახ, განქორწინება სულ ადვილი საქმეა, მაგრამ ადამიანობა, გულკეთილობა, გრძნობიერება ნებას არ აძლევს ანტუანეტას ქმარი იმდროს მიატოვოს, როცა მთელი მისი საცხოვრებელი უფსკრულმა შთანთქა. რენე დანჟენი კი უყვარს და არ ძალუძს მისი სიყვარული გულში ამოიგლიჯოს. ამ უცნაურ მდგომარეობაში ანტუანეტა ძალაუნებურად ღალატობს იმ იდეალურ პრინციპს, რომლითაც თავი მოსწონდა: თავისდა უნებურად, უნდა გაჰყოს ცხოვრება, იძულებულია „ორ მამაკაცთა შუა“ იცხოვროს. ამისთანა ცხოვრების ატანა არ შეუძლია მას, ვისაც სიყვარულსა და თანაგრძნობას შესთავაზებენ, როგორც მოწყალებას და არა როგორც ნამდვილ, ჭეშმარიტ გრძნობას. ჟერმენ საბრიე ამგვარ ნაწყალობევ სიბრალულის გრძნობას ვერ მიიღებს, უარს ჰყოფს და თანაც სიცოცხლეს ისპობს.

მაშ სად არის ხსნა?

დიდი ღირსება ამ დრამისა, სწორედ ის არის, რომ იგი ისეთივე რთულია და საიდუმლო, ვით ცხოვრება ჩვენი. ამ დრამაში აღებული საგანი, ისეთივე ძნელი გასარკვევია და გადასაწყვეტი, როგორც ცხოვრების უმძიმესი მოვლენანი. ამ საკითხის გადაწყვეტა ისეთივე ძნელია, როგორც საკითხი სიკვდილ-სიცოცხლისა; ისეთივე მოუხერხებელია და საძნელო, როგორც ცხოვრების თვით უაღრესად მწვავე და წყეული საგნებისა.

ავტორი სრულიადაც ვერ კისრულობს ასეთი შემთხვევის გარკვევას, მისგან წამოყენებულ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის მიცემას. მისი ნაწარმოები მაგალითებით გვაჩვენებს და ნათლად გვიმტკიცებს, რომ მარტო განქორწინების კანონები ვერ შემოფარგლავენ იმ რთულსა და მრავალმხრივ მოვლენას, რომელსაც სქესთა შორის კავშირი ეწოდება. განქორწინება მაშინ არის ხელსაყრელი, როცა ორთავეს ერთმანეთი მობეზრებული ჰყავთ. მაგრამ თუ ერთს მეორე უყვარს თავგანწირული სიყვარულით, თუ მეორე ამასა გრძნობს და იცის, რომ ეს გრძნობა არის იმის ცხოვრების ერთადერთი მანათობელი ვარსკვლავი, მაშინ რა ქნას ან ერთმა და ან მეორემ?... „ღმერთმა ერთი რით აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს“, მაგრამ ღმერთისათვის შესაძლოა ადვილი იყოს ვისიმე წაწყმედა, მეორეს საცხონებლად, ხოლო სუსტი, ჩვილი და გრძნობიერი გულის პატრონი ადამიანისათვის ასეთი სასტიკი ოპერაციის მოხდენა არც თუ ისე ადვილია!

შესაძლებელია, როცა ძირითადად, არსებითად შეიცვლება დღევანდელი წესწყობილება, რომელიც კერძო საკუთრების ინსტინქტზეა აგებული, როცა გამოიცვლება ადამიანის ფსიქოლოგია, ზნე და ჩვეულება, იმავე კერძო საკუთრების შემეცნებაზე აღმოცენებული და აღზრდილი, მოსალოდნელია, მაშინ გამოიცვალოს ადამიანის შეხედულება სიყვარულისა და საზოგადოდ სქესთა შორის დამოკიდებულებაზე. ვინ იცის, იქნებ ჩვენი დღევანდელი სიცხარე სიყვარულის სამეუფოში, იჭვნეულობა და ტანჯვა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის წარმოშობილი იყოს? ვინ იცის, იქნებ ჩვენი შეხედულება სქესთა შორის კავშირისა და ურთიერთობის შესახებ, იმავე საზომით განიზომება, როგორითაც ქონებრივი საკუთრება?

ეს ნივთი ჩემია, ეს ადგილი ჩემია, ეს სახლი ჩემია, არ ახლო ხელი, თორემ მოგკლავ, — ეს წარმოდგენა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი დღევანდელ საზოგადოებას იმ ზომამდე, რომ ცნობილი მეცნიერები და ფილოსოფოსები ადამიანის სახელის უღირსად და-

ლაჩრად აღიარებენ იმ მესაკუთრეს, რომელიც თვით უმცირეს ნაწილს თავისი საკუთრებისას მთელი თავისი ძალ-ღონით არ დაიცავს. დედის ძუძუსთან ერთად შეზრდილმა ამგვარმა აზრმა საკუთრების შესახებ, შესაძლოა ისეთივე მიდრეკილება შექმნა ჩვენში სქესთა შორის ურთიერთობაშიაც: ქალს, თუ ვაჟს, თავის საკუთრებად სახავს მეორე წყვილი და მის ნებას, მის სურვილს, მის გრძნობებს ანგარიშში არ ღებულობს ისევე, როგორც არავის ფიქრადაც არ მოუვა, რომ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, რაიმე სურვილი და ნება ჰქონდეს; და სულიერი არსებაც ისე ხელშეუხებელ ქონებად მიაჩნია ადამიანს, როგორც სხვა ყოველივე უძრავი საკუთრება.

ჩვენი აზრის საფუძვლიანობა, სხვის გარდა, იმითაც მტკიცდება, რომ ქალი ამ საგანში ბევრად უფრო თავისუფლად, ბევრად უფრო დიდი მოთმინებით ეკიდება ვაჟის საქციელს. ქმრის „ღალატი" ეს თითქმის აუცილებელი მოვლენაა დღევანდელი ოჯახისათვის, მაგრამ დედა-კაცი არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს მას, ვიდრე იგი არ გადაცდება ყოველ შესაძლებელ საზღვარს. რითი აიხსნება ასეთი განსხვავება ორ სქესთა ფსიქიკისა, თუ არა იმ გრძნობებით, რომელიც აღზარდა მათში საუკუნეებით გაჭედილმა წესწყობილებამ, რომლის ერთი უდიდესი საფუძველი საკუთრება არის. ქალი მონა იყო, საკუთრება მამა-კაცისა, ვით საქონელი. მამა-კაციც ნიადაგ ქალს ასე უყურებდა და ამაზე აღმოცენდა მთელი სქესობრივი ფსიქოლოგია მამა-კაცისა. მაშინ, როდესაც ქალს, დედა-კაცს ყოველთვის ისე უნდა მიეღო ვაჟი, მამაკაცი ვითა ბატონი, და ამიტომ ყოველივე მისი მოქმედება მარტო მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. აქედან წარმოიშო სქესობრივი ფსიქოლოგია დედა-კაცისა, რომელიც მამა-კაცის თავისუფალ მოქმედებას ამ სფეროში თითქმის გულგრილად უყურებს და თითქმის კანონიერად მიაჩნია. მომავალი უეჭველად იმ შეხედულებას უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ყოველ ადამიანს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, სრულ მეფედა და ბატონად ჩათვლის თავისი სქესობრივი საქციელისას.

უნდა აღვიაროთ, რომ თუმცა ასეთი ახსნა მარტივია და ადვილი, მაგრამ დიდი თავხედობა იქნება დავკმაყოფილდეთ ასეთი ცალმხრივი განმარტებით ისეთი დიდი და არსებითი მოვლენისა, როგორიც არის გრძნობა სიყვარულისა და საზოგადოდ სქესობრივი გრძნობა. და რამდენადაც უფრო გვეადვილება ამგვარი განმარტება, იმდენად უფრო ვშიშობთ ყალბ გზაზე არ ვიდგეთ და ფეხი არ მოგ-

ვისხლტეს. თუმცა იმასაც უარს ვერა ვყოფთ, რომ იმ საფუძველს, რომელზეც აგებულია დღევანდელი საზოგადოება, კერძო საკუთრებას, უეჭველად დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკასა და მისი აზრისა და ფიქრის შემოქმედებაზე.

როგორიც უნდა იყოს კაცობრიობის მომავალი, ეჭვი არ არის, ყოველთვის იქნება უთანხმოება ამ სფეროში, ყოველთვის იქნება მოურიდებელი დავა, თვით იმით გამოწვეული, რომ პირადობის უფლება, მით უმეტეს გრძნობაში და კიდევ მეტად სქესობრივ გრძნობაში, უსაზღვრო უნდა იყოს და შეურყეველი, ვინაიდან აუცილებელია ადამიანთა ბედნიერებისათვის, რომ ადამიანმა ვინც უნდა ის შეიყვაროს და ვისაც უნდა მას დანებდეს, მანამდე უყვარდეს, ვიდრე მისთვის ეს შესაძლებელია და მოსახერხებელი, და როცა არ უყვარს, არ გაშორდეს, თუ უნდა, ძველ საყვარელს.

ეს ასეა, მაგრამ თუ, ვთქვათ, ქალს აღარ უყვარს ვაჟი, რასაკვირველია მეტად გულგრილად მოეკიდება მას, რაც უნდა უყვარდეს ვაჟს. ვერავითარი ძალა, ვერავითარი კანონი, ვერავითარი მოსაზრება ვერ მოახერხებს სიყვარული ვისმე დააავალოს, ძალით დააკისროს. მაშასადამე, შეყვარებული ადამიანი, რომელიც თანაგრძნობას ვერა პოვებს, უბედურად რჩება და დაუკმაყოფილებლად, და თუ მისი გრძნობა უკმაყოფილებისა უმაღლეს სიმწვავეს განიცდის, მაშინ მეტი არა დარჩენია რა, თუ არა ჟერმენ საბრიესავით თავი მოიკლას. ეს დრამა ისეთ აზრსაც კი აღგიძრავთ, რომ თითქო ერთადერთი გადაწყვეტა იქ აღძრული საკითხისა ის იყოს, რასაც ანტუანეტა ურჩევს ქმარს: „მივიღოთ ეს მძიმე და ულმობელი ცხოვრება და ერთად გავწიოთ მისი საბედისწერო უღელიო“, ე. ი. თითქმის ემუდარება ქმარს, დააკანონე status quo და „ორთა-შუა“ ცხოვრებას შენც დაყაბულდი და მეც ნება დამრთეო. ადვილად შესაძლოა, სხვა დროის ადამიანმა ეს მიიღოს ერთ-ერთ ნამდვილ პასუხად მძიმე და დახლართული საგნისა და დაემორჩილოს ამგვარი საქმის დაბოლოებას, მაგრამ არა მგონია ასეთმა „ნაჩუქარმა“, „მოწყალებად მოღებულმა“ გრძნობამ დააკმაყოფილოს. არა მგონია, ამისთანა გადაწყვეტილებამ სულის სიმშვიდე მოუპოვოს, იგი უთუოდ ყოველთვის დატანჯული იქნება, რომ სარგებლობს ადამიანის გულკეთილობითა და გულმოწყალეობით. ამ სიბრალულში მოიპოვება რაღაც დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ადამიანისა, რომელსაც იგი დიდხანს ვერ მოითმენს და ვერ აიტანს. ყოველი სხვაგვარი ბოლო ამ შემ-

თხვევისა ასეთივე უხერხული და ცალმხრივი იქნება: ანტუანეტას გაქცევა და ქმრისა და ოჯახის ასეთ უბედურებაში მიტოვება პირუტყვობა იქნებოდა და გულქვაობა. საბრიეს თავისმოკვლა ზედმეტი თავმოყვარეობაა და მეტის-მეტი ულმობლობა: საუკუნოდ სიცოცხლე მოუშხამა საბრალო ქალს და სინდისის სამარადისო ქენჯნაში ჩააგდო. გარეშე იმისა, რომ ეს სასტიკი ეგოიზმია, ამგვარი კატასტროფით საქმის გადაწყვეტა არ არის ცხოვრების შესაფერისი: ამგვარი მოქმედება უარყოფაა ცხოვრებისა და სიცოცხლისა, საწინააღმდეგოა ცხოვრებისა და სიცოცხლის კანონიერი მოთხოვნილებისა.

4

ასეთი ტრაგიკული კატასტროფით არა თავდება, მაგრამ ასევე გამოურკვევლად და ყველა მოქმედ პირთათვის საუბედუროდ თავდება მეორე დრამაც საფრანგეთის თეატრის რეპერტუარისა, რომელიც იმავე საგანს — სქესთა შორის ურთიერთობის საგანს ეხება.

ეს დრამა ეკუთვნის კარგად ცნობილ დრამატურგს ალფ. კაპიუბს[1] ამ დრამას ეწოდება „მეტოქე". თვით სახელივე გვამცნობს, რომ შინაარსად აღებულია მეტოქეობა სქესის წარმომადგენელთა შორის. ეს უფრო ცხადად ჩანს იმ ბაასიდან, რომელიც აქვს დრამის ერთ-ერთ მოქმედ პირს დრამის მთავარ გმირთან, ქალ-ვაჟის სქესობრივი საუკუნო ურთიერთობის შესახებ: „შესაძლებელია ყოველ ქალში, რომელიც კი გვიყვარს, იმალებოდეს ჩვენი მეტოქე. აუცილებელია ან დავძლიოთ, ან დაგვძლიოს. ხანდახან ქალი რჩება გამარჯვებული, ხანდახან კი ჩვენ. ყოველ შემთხვევაში, დამარცხებული უთუოდ არის ვინმე."

მორის დარლეი პარიზში დიდად ცნობილი ვექილია. მას ჰყავს მშვენიერი ცოლი მარიანა, რომელსაც აცხოვრებს ფუფუნებასა და განცხრომაში. პატივისმოყვარეობით გატაცებულ ქალს ეს არ აკმაყოფილებს. მორისმა თავისი ვექილობა მიატოვა და ეხლა სამეცნიერო შრომას მიჰყო ხელი. მისი სახელი, როგორც ვექილისა, რო-

---

[1] კაპიუბს ამ ნაწარმოების შექმნაში თანამშრომლად ჰყავდა ჟურნალისტი ემმანუელ არენი.

გორლაც ჩრდილში მიიმალა, გაზეთებში მის სახელს აღარ იხსენიებენ. მარიანას, ამ პარიზის საზოგადოების გაზრდილ ჩიტუნიას, მშვიდი და წყნარი ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებს, მას უნდა სახელი, დიდება, თაყვანისცემა. მის ამ ცუდ მიდრეკილებას კიდევ უფრო ხელს უწყობს ერთი მისი ნაცნობი ქალი, ქ-ნი ბრეოტენისა, რომლის ოჯახი-სალონი თითქმის გრძნობათა სავაჭრო სახლია. დიასახლისი დიდი დახელოვნებული და გაიძვერა მაჭანკალია, რომელიც ყოველგვარი ინტრიგების ქსელს აბამს თავის სასტუმრო ოთახში და ბეც, მარიანასთანა თავდაკარგულ მწვრს ქსელში უგდებს იმ ობობას, რომელიც მეტ ფასს გაიღებს. ამ სალონში დადის შემთხვევით, ისევე შემთხვევით, როგორც დარლეის ოჯახობა, ახალგაზრდა ვექილი ჰანრი ლანგლადი. ჰანრიმ ერთი უკანასკნელი პროცესის დროს დიდად გაითქვა სახელი და ამომავალ ვარსკვლავად გამოაცხადეს გაზეთებმა. გამოცდილი მაჭანკალი ბრეოტენისა, მარიანას ხშირად წასჩურჩულებს ლანგლადის შესახებ. თვით ლანგლადსაც აღუძრავს ინტერესს მარიანასადმი. მორისი შეამჩნევს ქ-ნი ბრეოტენის ოინბაზობას და გააფრთხილებს ცოლს, ერიდოს: როცა გაფრთხილება არას შველის, უფრო სასტიკ ზომებს მიიღებს: აუკრძალავს მარიანას გარყვნილ ოჯახში სიარულს. თანაც გადაწყვეტს პარიზიდან სოფელში რამდენიმე ხნით გახიზვნას. მარიანა თავბრუდასხმულია და ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს ქმარს. ისე გაჩარხავს საქმეს, რომ სოფელში მათთან ხშირად დაიარება ეს ხალხი და ყველაზე უფრო, რასაკვირველია, ლანგლადი, რომლის საყვარელია უკვე მარიანა. მათ დამოკიდებულებას მორისი მალე შეამჩნევს და ზოგი ალერსით, ზოგი მუქარით, გამოსტეხს მარიანას. ამის შემდეგ განქორწინების წინადადებას აძლევს, ვინაიდან წარსულის წარხოცა და დავიწყება ყოვლად შეუძლებელიაო, — ამბობს მორისი. ხოლო დროებით შენდობა კომედიაა საზიზღარი და ჩვენთვის შეუფერებელიაო.

დრამა ამ სახით არავითარ განსაკუთრებულს არას წარმოადგენს და წააგავს ათას მსგავს დრამას. ხოლო მთელი ინტერესი დრამისა იმ ფიქრებშია, რომელთაც იგი აღგვიძრავს, იმ თავისებურ ელფერშია, რომელიც მას არაჩვეულებრივი ინტერესის ღირსადა ქმნის.

ყველაზე უწინ საქმე ის არის, რომ მარიანა ჩვეულებრივი ქალი არ არის. იგი გულწრფელი მოყვარულია ქმრისა და ერთგულია ოჯახისა. არც იმ ფუქსავატ ქალსა ჰგავს, რომლისთვისაც ოჯახი ფარდა

არის და რომელიც დღე-ნიადაგ ახალ-ახალ გასართობს ეძიებს სიყვარულის სამეფოში.

მარიანამ ქმარს უღალატა და ლანგლადის საყვარლად გადაიქცა. მაგრამ აქ არა თუ სერიოზული გრძნობა არა ყოფილა ქალის მხრით, არამედ წუთიერი გატაცებით თავის დაკმაყოფილების გადაწყვეტილი აზრიც არა ჰქონია. მარიანა პირდაპირ მოაჯადოვა, მოხიბლა იმ შეუჩვეველი გარყვნილების ატმოსფერომ, რომელშიც მოუხდა ყოფნა უკანასკნელ დროს. მისი ზომაზე გადასული პატივმოყვარეობა შეიქნა ის სასხლეტი ადგილი, რომელზეც ფეხი წაუცურდა ქალს. ლანგლადის სახელის განთქმა, დარლეის (მისი ქმრის) ვითომდა გაზარმაცება და დაძაბუნება (როგორც ეჩვენებოდა მარიანას), ეს ის ხაფანგი იყო, რომელშიც გაება ქალი და თავისდა უნებურად, გარეშე რაიმე ბოროტი განზრახვისა, უფსკრულში გადაიჩეხა.

მისი გულწრფელი აღსარება ქმრის წინაშე, მისი გრძნობიერი, ნამდვილი და ჭეშმარიტი სინანული, ყოველ ეჭვს გარეშე აყენებს მისგან ქმრის სიყვარულის სიღრმესა და სიმტკიცეს. და აი აქ იბადება მეტად სერიოზული კითხვა, თუ გნებავთ მთელი პრობლემა: უნდა შეუნდოს, აპატიოს, უნდა მოთმინებით მოეკიდოს თუ არა ქმარი ცოლის ასეთ უნებლიე შეცდომას, რომელსაც არავითარი ჩირქი არ მოუცხია ქმრისადმი გრძნობისათვის და არავითარი სამარცხვინო დაღი არ დაუსვამს მისი სახელისათვის? მარიანას ქმარი უყვარს უეჭველად, ღრმად, წრფელი გულით და თავგანწირულებით, სხვადასხვა გარემოების ზეგავლენის ქვეშ შეცდა ვითარცა ადამიანი, ვითარცა ასული ევასი და მერე გულითად სინანულს მიეცა. რა მართებს ამ შემთხვევაში ქმარს, ოჯახის „უფროსსა და ბატონს“, როგორც თვით დრამის გმირი ბრძანებს? “უნდა განაძევოს ცოლი“. გვეუბნება ძველი მორალი, თვით მარიანას დედის პირით, რომელიც თავისდა უნებურად იკისრებს შვილის სასტიკი მსაჯულის როლსა. მორის დარლეიც განაძევებს მარიანას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ თვით მას სწამდეს ამ მოქმედების სამართლიანობა, ამ მოქმედების სარგებლობა და ნაყოფიერება. მის გულში უკვე იბადება პროტესტი ამნაირი ულმობელი გადაწყვეტილების გამო. შესაძლოა მომავალ ჩვენს ცხოვრებაში, მამაკაცის გულში ამნაირმა პროტესტმა უფრო ღრმად გაიდგას ფესვები და ვერ დაკმაყოფილდეს ასეთი გარდაწყვეტილებით, რომლის მთელი ღირსება მარტო სისასტიკესა და სიმარჯვეშია. ამგვარი აზრი თვით მორისს ებადება, როგორც ჩანს

ერთი ადგილიდან, სადაც თავის გულის მეგობარს ებაასება. ამ ვაჟ-ბატონმა — შანტრენმა — ერთი ცოლი მოკლა სერიოზული ეჭვის გამო და მეორე შეირთო. მეორემ პირველსავე დღეებში შეამკო მისი შუბლი საარაკო რქებით, უსირცხვილოდ, უნამუსოდ. მაგრამ ამ მოვლენას შანტრენი უკვე მოთმინებით ეკიდება. აი, ამ მეგობარს გადაუხსნის გულს მორისი და ღრმა სევდის კილოთი ამცნობს თავის სულისკვეთებას: „როგორ გგონია, ნუთუ არ დადგება ისეთი დრო, შემდეგში, უფრო გვიან, როცა ცხოვრებას სათავეში ჩაუდგებიან ისეთი ადამიანები, რომელთა გონება იმდენად განათლებული იქნება და გრძნობა იმდენად გაფაქიზებული, რომ მათი აზრით ცოლის ღალატი უბრალო, სრულიად უმნიშვნელო შემთხვევა იქნება? ამნაირი შემთხვევა არავითარ ტანჯვას არ განაცდევინებს მათ, ცხოვრების ანგარიშში ჩასაგდებადაც კი არ ჩათვლიან და არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ექნება ამ უბრალო „ინცინდენტს“ საზოგადოებისათვის?“ „დიახაც“,—უპასუხებს ცხოვრებაში გამოცდილი და ცხოვრების სიმწარის მნახველი მეგობარი; „ღრმადა ვარ დარწმუნებული, თანდათან უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ ამგვარ მოვლენას და უეჭველია მე უკანასკნელი მათგანი ვარ, რომელნიც ამგვარ შემთხვევას მთელ ტრაგედიად აქცევენ ხოლმე. მეც ხომ პირველად შემემთხვა ასეთი ამბავი და უთუოდ იმიტომ დავკარგე გონება. დღეს კი მეორე ცოლის ღალატს თითქმის გულგრილად ვუყურებ და თუ რაიმე მიზეზის გამო მესამე შევირთე და იმანაც მიღალატა, იქნება სიამოვნებაც კი ვიგრძნო მისი ღალატის გამო. შესაძლოა კაცობრიობაც ამ გზით მიდიოდეს მომავლისაკენ.“ მთელი ინტერესი დრამისა სწორედ აქ არის. მორისი არსებული ზნე-ჩვეულებისა და წარსული ტრადიციის ზეგავლენის ქვეშაა აღზრდილი, მონაა ძველი შეხედულებისა და ამიტომ ცოლს განაძევებს, თუმც უყვარს ღრმა და წრფელი სიყვარულით, ისე, როგორც ცოლსაც უყვარს მთელი თავისი არსებით. ცოლს თავიდან მოიშორებს ერთი უნებლიე შეცდომისათვის, მაგრამ კაცის გულში უკვე იბადება სევდა ამგვარი გადაწყვეტილების გამო, მისი გრძნობიერი ბუნება ვერ კმაყოფილდება ამგვარი დაძველებული იარაღით და სასჯელით, და უკვე ეჭვი ებადება ამგვარი მოქმედების საფუძვლიანობაში. მას უკვე რწმენა ებადება და თითქმის უეჭველად მიაჩნია, რომ კაცობრიობა ამ საგნის გადაწყვეტაში უფრო დიდ ნაბიჯს წარდგამს წინ და დედაკაცი

ომის ნახევარი უფლებით მაინც ისარგებლებს ამ სფეროში, რამდენი-თაც, სრულიად წარბშეუხრელად, დაუსჯელად სარგებლობს მამაკაცი.

ის გადაწყვეტილება კი, რომელიც დარლეიმ მიიღო, არ აკმაყოფილებს არავის, გარდა კანონის განყენებული ლოგიკისა. პირობა დაარღვია ერთმა მხარემ — პირობა მოსპობილია და ორივე მხარე თავისუფალია იმის აღსრულებისაგან. მაგრამ ცხოვრების ლოგიკა კი დასჯილია. ცხოვრების ლოგიკა თხოულობს ყოველი ადამიანის ბედნიერებას. მორის დარლეიმ კი ამგვარი გადაწყვეტილებით მიწასთან გაასწორა მისი მოყვარული და ერთგული მეუღლე და თვითაც თავი გაიუბედურა. მისი გული სამუდამოდ მოწამლულია, ვინაიდან მისი სიყვარული იმ გრძნობას ეკუთვნოდა, რომელიც ერთხელ თუ ეწვევა ადამიანს თავის სიცოცხლეში. მორისის ხანში კი, რომელიც თითქმის სიცოცხლის საუკეთესო ხანის დასასრულია (38—40 წ), ახალი ცხოვრების შექმნა, გატეხილი, დაავადებული, ღრმად დასევდიანებული გულით, — ყოვლად შეუძლებელია.

ასე რომ, განქორწინება — ეს პირველი შესწორება მამაკაცისა და დედაკაცის კავშირისა, რომელიც ძველმა ცხოვრებამ რკინისა და ფოლადის ჯაჭვით გასჭედა, ეხლა აღარ კმარა, ეხლა ესეც ეცოტავება კაცობრიობას, რომელიც თანდათან მიისწრაფვის კავშირის სრული თავისუფლებისაკენ. იმ თავისუფლებისაკენ, რომელიც პრაქტიკულად თითქმის აღსრულებულია. მაგრამ ვინაიდან ამგვარი განხორციელება თავისუფლებისა, როგორღაც მალულად ხდება, მას თან ახლავს ათასგვარი საზიზღროება და სიცუდე.

მაგრამ რაც უნდა თავისუფლებით იყოს შემოსილი დღევანდელი სქესობრივი კავშირი, დღევანდელ პირობებში მაინც ვერ ძალგვიძს გადაჭრილი პასუხი ვუგოთ მრავალ რთულსა და მძიმე კითხვას, რომელსაც წამოგვიყენებს ხოლმე ათასნაირი სხვადასხვაგვარი შემთხვევა ამ სფეროში.

როგორ უნდა მოიქცეს კაცი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, რომელიც აქვს მოყვანილი ავტორს „ანტუანეტა საბრიესას“, ანდა ავტორს „მეტოქისას“. ამის გადაწყვეტა მორის დარლეის (გმირი „მეტოქისა“) არ იყოს, შეეძლება მომავალ კაცობრიობას, ახალ პირობებში აღზრდილს, ახალ ნიადაგზე მოქმედს, რომელიც ქალის „შეცდომას“ ისეთი სისასტიკითა და სიცხარით ვეღარ მოეკიდება, რო-

გორც ეპყრობა დღევანდელი კაცობრიობა. და ადამიანთა კრებულში თანდათან გამეფდება უსაზღვრო თავისუფლება გრძნობისა, რომელიც რამდენიც კი შეიძლება ამ ცოდვილ ქვეყნად, იმდენ სიხარულსა და ბედნიერებას მიანიჭებს ყოველ ადამიანს კერძოდ და ყველას საერთოდ.

5

ჩვენ ერთი საგნის გამომხატველ დრამატიულ ლიტერატურას მივაქციეთ უფრო დიდი ყურადღება, ვინაიდან ეს საგანი სავსებითა და თანდათნობით აქვთ შესწავლილი და გამორკვეული საუკეთესო დრამების მწერალთ, დიუმა-შვილიდან დაწყებული ერვიემდე. და თუ რამე დაწერილა ამ ათი წლის განმავლობაში საყურადღებო, ამ საგნის გარშემო ტრიალებს. ამ საგანს ეხება თვით პოლ ბურჟეს დრამა „განქორწინებაც", რომელიც ჩვენ არ მოვიხსენიეთ იმიტომ, რომ არა თუ სრულიად ყალბი და მოძველებული ტენდენციის წარმომადგენელია, ხელოვნების მხრივაც მისი მაღალნიჭიერი ავტორის შესაფერისი არ არის. ამ დრამაში ავტორი გმობს „განქორწინების" წესს, როგორც ნამდვილი მართლმორწმუნე კათოლიკე, და გვიმტკიცებს, რომ ყოველი ქალი, გინდ კაცი, რომელიც დაარღვევს წმინდა კავშირს ქორწინებისას, რა მიზეზითაც უნდა დაარღვიოს იგი, დაწყევლილია ღვთისაგან და წინადვე განწირულია ყოველივე უბედურებისათვის. ამიტომ, მისი აზრით, რაც უნდა შეგემთხვეს ადამიანს, განქორწინებას არ უნდა მიმართო, თუ არ გინდა დაიღუპო თავი, ოჯახი და შვილები. მოგახსენეთ, რომ ამგვარი აზრის დრამები შესაძლებელი იყო მე-17 საუკუნის საფრანგეთში და არა ეხლა, როცა, როგორც ვნახეთ, დღევანდელი დრამის მწერლები ეტანებიან სქესის თვით უმძიმესი პრობლემის გამორკვევასა და გადაწყვეტას.

დანარჩენი დრამები, რომელთაც ამ ათი წლის განმავლობაში სახელი გაითქვეს, ეხებიან, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სოციალურ პრობლემებს: კლასთა და წოდებათა შორის ურთიერთობა (პოლ ბურჟეს — „ბარიკადები", ანრი ბატაილის — „უგუნური ქალიშვილი"), საზიზღარი შედეგი, რომელიც თან სდევს წესწყობილებას ფულის გაღმერთებაზე აშენებულს (ჰერვიეს — „მეჩირაღდნეთა სირბილი", მირბოს — „საქმის კაცი").

ამას წინათ შესანიშნავმა ფრანგმა მწერალმა და აკადემიკოსმა ანატოლ ფრანსმა ძალიან გაამათრახა და მეტად სასტიკად მოეპყრო ფრანგულ დრამატიულ მწერლობას. ანატოლ ფრანსი დიდებული და სახელოვანი მწერალია, საუკეთესო გამომსახველი დღევანდელი სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოებისა; ამიტომ, მისი აზრი ყოველთვის საინტერესოა, თუმცა უსათუოდ გადაჭარბებულია. ანატოლ ფრანსის აზრით, დღევანდელი დრამის მწერლები (ფრანგები) მეტად დახელოვნებულნი არიან პიესის ტექნიკაში, სხვაფრივ კი სუსტები არიან. ფრანგული დრამა, მისი აზრით, დაქვეითების გზას ადგია და რასინისა და კორნელის შემდეგ არავითარი თვალსაჩინო არ შეუქმნია მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, თუ ბომარშეს არ ვიქონიებთ მხედველობაში. ჰიუგოს დრამები ცარიელი რახა-რუხია, ხოლო ოჟიეს ბურჟუაზიული დრამები გულისამრევი მეწვრილმანური სულით არის გაჟღენთილიო, — გვეუბნება ფრანსი. დიუმა (შვილი) რასინის აჩრდილსაც ვერ მიუახლოვდება და კორნელის ბადალი ხომ არავინ ყოფილა საფრანგეთის დრამატიულ ლიტერატურაშიო. დღევანდელი დრამების მწერლებში ერთადერთი პოლ ჰერვიე მიაჩნია ისეთ მწერლად, რომელსაც ძალა შესწევს ნამდვილ ვნებათა სურათი შექმნას და ამ ვნებათა ჭიდილისა და ბრძოლის დახატვის ჭეშმარიტი უნარი აქვსო.

გავიმეორებთ, რომ ასეთი მოპყრობა საფრანგეთის დრამატიული ლიტერატურისა პოლემიკური გატაცებით შეიძლება იყოს გამოწვეული, თორემ ყოველივე საფუძველს მოკლებულია. დიუმა (შვილი), სხვა თუ არა, პოლ ჰერვიეზე ნაკლები არ არის და პოლ ჰერვიე მხოლოდ ნიჭიერი შეგირდია დიუმასი, — მეტი არაფერი. უსამართლობაა, აგრეთვე, როსტანის სახელი არ ახსენოს კაცმა დღევანდელ საუკეთესო დრამატურგთა შორის. როსტანის საუკეთესო დრამები („არწივის მართვი", „სირანო დე ბერჟერაკი" და სხვ.) სამშობლოს საზღვარს გარეთაც ცნობილია და არც თუ ნაკლები ინტერესითაა მიღებული, ვიდრე მეტერლინკის, გინდ ანუნციოს დრამები.

ასეა თუ ისე, ან. ფრანსი დღევანდელ ფრანგ დრამატურგთა შორის პირველ ადგილს პოლ ჰერვიეს უთმობს და ჩვენც პირველად მისი დრამა გავარჩიოთ.

ეს დრამა („მეჩირაღდნეთა სირბილი"), ფრანგ კრიტიკოსებს შედევრად მიაჩნიათ, — სამაგალითო ნაწარმოებად. კაცმა თქვას,

არც თუ ასეთი გასაბერავია ეს დრამა, და არც თუ სხვა რამაა, თუ არა „მეწვრილმანურ“ ვნებათა შორის ქიშპობისა და შებრძოლების სურათი. საქმე აი რაშია: ქალიშვილის (მარიას) ქმარი (დიდი) საქმეებშია გაბმული და გაკოტრებამდე არის მისული, თუ სიდედრის დედა (ქ-ნი ფონტენესი) ხელს არ გაუმართავს და რამდენიმე ათას მანეთს არ შეეწევა. მოხუცი ქალი, დიდედა ქალიშვილისა (ქ-ნი ფონტენესი) ზედმეტ სისასტიკეს გამოიჩენს და არაფრისათვის არ დასთანხმდება ფულის გაცემას. კარგად ახსოვს, რომ მისი სიძე, საბინას ქმარიც ამნაირადვე მოიქცა, რაღაც საქმეებში გააბნია მთელი მათი დიდი საცხოვრებელი და ამ საქმეების გამოსწორებას გადაატანა მათი აუარებელი ქონება, მაგრამ ვერც თავს უშველა და მოყვრებიც დაღუპა. გადარჩა საცხოვრებლად რამდენიმე გროში, რომელსაც ქალბ. ფონტენესი ძალიან ხელს უჭერს, მით უმეტეს, რომ ქმარმა დააფიცა სიკვდილის წინ, არაფრის გულისათვის ამ თანხას ხელი არ ახლოს და არავითარი გარემოება სახეში არ მიიღოს, თუ არ უნდა, რომ მთელი სახლობა სიმშილით გაუწყდეს. დიდედის გულცივობა და სისასტიკე ცუდად მოქმედებს შვილიშვილ მარიაზე. მას ნერვები აეშლება, საშინელ და უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. ექიმები ურჩევენ სადმე მთებში წაიყვანონ. დედა, ქ-ნი საბინა თან მიჰყვება. მათ თან მისდევს დიდედაც, თუმცა ექიმმა გააფრთხილა ქ-ნი საბინა, დედათქვენს სუსტი გული აქვს და ადვილი შესაძლებელია და მოსალოდნელია მაღლობზე ცხოვრება მისთვის ცუდად გათავდესო. საბინას ქალის ავადმყოფობა უფრო ცეცხლს უკიდებს და დედის სიმრთელეს ადვილად სწირავს ქალიშვილს. ქ-ნი ფონტენესი მარტო დარჩენას არ მოისურვებს და მართლაც ეს მოგზაურობა მისთვის სასიკვდილოდ დამთავრდება. დიდედა გარდაიცვლება მთებში, ხოლო რაკი საბინა დარჩება ერთადერთ მემკვიდრედ, მთელი საცხოვრებლის გამგედ და პატრონად, თავისთავად ცხადია, სრულ ნებას აძლევს ქალიშვილს მოიხმაროს ეს ქონება თავისი სურვილისამებრ.

ამ დრამის სიმბოლიური სახელი გვარწმუნებს, რომ დრამის მთავარი ძარღვი, მთავარი ნასკვი იქ არის გაბმული, სადაც შეტაკებაა დედათა გრძნობისა. საბინას დედა, ქ-ნი ფონტენესი თავისი შვილის საბინას მომავლისთვის ზრუნავს და სრულებითაც არ მიიღებს ყურადღებაში სიძის (შვილიშვილის ქმრის) სინდისსა და ნამუსს; თითქმის გულგრილად ეკიდება მის გაკოტრებას. რა უჭირს თუ გა-

კოტრდება? ეს საცხოვრებელი მაინც დარჩება მთელ ჩვენს ოჯახს და ესეც რომ გაფლანგოს, ისიც და ყველა ჩვენ ხომ შიმშილით ამოვიხოცებითო. მარიას დედა საბინა კი დამწვარია სიძისა და ქალიშვილის მდგომარეობით და მარტო ქალიშვილის სულის სიმშვიდისთვის ილწვის და ფიქრობს. ის არავითარ წვრილმანს, თუმცა კი დიდად პრაქტიკულ ანგარიშს, სახეში არ მიიღებს, და ქალიშვილის სულის ტანჯვა ისე მოქმედებს მასზე, რომ დედასაც მსხვერპლად შესწირავს; საბინა, რომ დედასთან დარჩენილიყო, მაშინ დედა მთებში აღარ წაჰყვებოდა და ცოცხალი დარჩებოდა; ქალიშვილს კი ქმარი წაიყვანდა და უიმისოდაც იოლად წავიდოდა. მაშასადამე, საბინამ შვილის სიყვარულის საკურთხეველზე მიიტანა ზვარაკად დედა. დედამ კი საბინას ინტერესები დაიცვა და, სიძის უბედურების შემხედვარემ, გული გაიქვავა. საბინასაც კარგად ესმის თავისი საშინელი მსხვერპლი, როცა დედის უსულო გვამის წინაშე ამის მეტს ვერას იტყვის: „ჩემი ქალის გულისათვის, დედაჩემი მოვკალიო“.

„მეჩირაღდნეთა სირბილი“ („ალამპადოფორია“) ერთგვარი სარწმუნოებრივი წესი იყო ძველ საბერძნეთში, — ათინაში. საკურთხევლის წინ გამწკრივდებოდა ხალხი, პირველი აანთებდა ჩირაღდანს საკურთხეველზე დანთებულ ცეცხლზედ. ის გადასცემდა შემდეგს და ამნაირად ანთებული ჩირაღდნით ხელში, ყველანი გარს უვლიდნენ ტაძარს. ეს წესი სიმბოლური გამოსახვაა დედა-შვილური გრძნობისა, როგორც აგვიხსნის დრამის ერთ-ერთი მოქმედი პირი. ყოველი დედა მზად არის გასწიროს თავისი შვილისთვის თავისი ხორცი, სული, სილამაზე, სიმართლე და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც კი. ეს ბუნების კანონია, ბუნების მოთხოვნილებაა. პირველი დედის გულში გააჩაღა ბუნებამ ამგვარი ცეცხლი ისე, როგორც პირველი მეჩირაღდნე ანთებდა ჩირაღდანს ღვთაებრივ საკურთხეველზე. პირველმა დედამ ეს გრძნობა გადასცა შემდეგს, ბუნების წესისა და კანონის ძალით. ისე, როგორც პირველმა მეჩირაღდნემ გადასცა შემდეგს ცეცხლი სარწმუნოებრივი წესის აღსასრულებლად.

მართლაც, საბინამ შესწირა თავის ქალიშვილს არა მარტო დედა, მან შესწირა თავისი სიყმაწვილეც, თავისი სილამაზეც, თავისი გრძნობაც სიყვარულისა, და მთლად ბედნიერება. მიუხედავად იმისა, რომ ღრმა გრძნობით იყო გამსჭვალული თავისი მიჯნურისადმი, უარი უთხრა ცოლობაზე და თავიდან მოიშორა. საბინა შესწირავს მომავალში მთელ თავის ქონებას თავისი ქალის სულის შვიდობას. შვი-

ლები კი დედის მიმართ მარტო უგულობას იჩენენ, იგინი უსაზღვრო ეგოისტობის გზას ადგიან და თავის დღეში დედის სიყვარულს არ ანაცვალებენ თავის გრძნობებს და თავისი ოჯახის ინტერესებს. ასე მოიქცა საბინა. ასე მოექცევა მარიაც დედამისს, თუ ამას მოითხოვს მისი პირადი მდგომარეობა. თუ საჭირო იქნება, სრულიად ადვილად, დააგდებს დედას და ქმარს უცხო ქვეყანაში გაჰყვება.

აი, მთელი შინაარსი ამ დრამისა. ჩვენის აზრით, არავითარ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს ეს საგანი დრამისა. აზრი თითქმის შაბლონურია: ყოველი დედა მზად არის შვილს ანაცვალოს თავი და ყოველივე, რაც მისთვის ძვირფასია.

ერთადერთი საყურადღებო და საზოგადოებრივი მხრით საინტერესო ამ დრამაში არის სურათი ფულის გაღმერთებისა, რომელსაც ასე მაგრად აქვს გადგმული ფესვი დღევანდელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და რომელიც ყოველგვარ გრძნობას უქრობს მის მოსავს გულში. მართალია, საბინას ქმარს მშობლებმა თითქმის მთელი საცხოვრებელი გადააყოლეს, მაგრამ იმდენი კიდევ შეინარჩუნეს, რომ თითქმის მდიდრად ცხოვრობდნენ. და როცა ახალ მსხვერპლს (ქონებრივს) თხოულობს სახელი და პატიოსნება სიძისა და სულის მშვიდობა და ჯანმრთელობა შვილიშვილისა, დიდედა დიდ უარზედაა. ის მზადაა გასწიროს და საფრთხეში ჩააგდოს თავისი სიცოცხლე, მაგრამ ქონებას — ამ დღევანდელი წესწყობილების წმინდათა წმინდასა და კერპს — ხელს არ ახლებს. ამის შესახებ ის შეუდრეკელია ისე, ვით პირველი საუკუნეების ქრისტეს მორწმუნე. აქ შვილის სიყვარული უკანასკნელ პლანზე დგება, იმიტომ, რომ ქ-ნ ფონტენესას არ შეიძლებოდა არ ეგრძნო მთელი ტანჯვა და ვაება, რომელსაც განიცდიდა მისი შვილი თავისი სიძის მდგომარეობის გამო. მაგრამ ღმერთის ღალატი განა შესაძლოა, თუგინდ შვილისთვისაც? ფული კი ღმერთია დღევანდელი მეწვრილმანურად განწყობილი საზოგადოებისა.

და აი აქ, ამ მხრით ეს დრამა დიდად საინტერესოა, ვინაიდან იგი გვისურათებს დღევანდელი ფულისმოყვარული და მაღმერთებელი საზოგადოების ულმობელ სურათს.

ამნაირივე სურათი საზოგადოებისა, რომლის ყოველი გრძნობა, აზრი და ფიქრი ოქროს მამონათი იწყება და ოქროს ტომარით მთავრდება, მირბოს „საქმის ...“. ეს პიესა ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იყო და მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს. „საქმის

კაცი“, ბ-ნი ისიდორე ლეშა რაღაც სავაჭრო ხელშეკრულებასა სწერს და ყოველნაირ „ხრიკებს“ ურთავს შიგ, იმ დროს, როცა ამბავი მოუვა, რომ ერთადერთი მისი ვაჟი ავტომობილმა გასრისაო; შვილის სიკვდილი, თავზარდაცემული ცოლის გულის შემოყრა, ოჯახის უბედურება, დასახიჩრებული გვამი პირმშო, ოცდახუთი წლის ვაჟისა, —ამის საფიქრელად და სადარდელად სადღა მოიცალოს, ეხლა მარტო მაგარი პირობის შეკვრაზე უნდა იფიქროს. აი სანამდე, რა გულქვაობამდე, რა უცნაურ, შესაზარ უგულობამდე მიჰყავს ფულის სიყვარულს დღევანდელი „საქმის კაცი“.

რასაკვირველია, ამ დრამაში ეს აზრი ბევრად უფრო ნათლად არის დაცული, ვიდრე ჰერვიეს მოხსენებულ ნაწარმოებში. ფულის თაყვანისმცემელი საზოგადოების სურათი აქ უფრო საშინელია, უფრო გულის ამრევი და საზიზღარი, უფრო მეტი სისასტიკითა და მეტი სიღრმით დასურათებული.

6

ჩვენა გვგონია, რომ საფრანგეთის ეხლანდელ დრამატიულ ლიტერატურაში ერთი უფრო ღირსშესანიშნავი დრამა ბურჟეს „ბარიკადებია“.

პოლ ბურჟე ფრიად ნიჭიერი მწერალია და საფრანგეთის უკანასკნელი ოცი წლის მწერლობაში ერთი უპირველესი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ. მისი ფსიქოლოგიური რომანები („მოწაფე“, „ცოდვა სიყვარულისა“, „სიცრუე“) პირდაპირ შედევრებია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მისი დიდი ნიჭი მოწამლა უნიადაგო შოვინიზმმა და ხანსგადასულმა კათოლიციზმმა. წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ერთგვარი გატაცება იყო ნეო-ქრისტეანიზმით (დე-ჟარდენი, ბურჟე, ბრუნეტიერი, სეკრეტანი და სხვ.). ეს მოვლენა, ვითარცა ძიება ახალი გზისა ცხოვრებაში, არაფერს გასაკიცხავს არ შეიცავს და თვით უნიჭიერესი მწერლები და ფილოსოფოსები იყვნენ ერთ დროს ამ მიმართულებით გატაცებულნი. მაგრამ, საუბედუროდ, ახალი გზის მაძიებელნი ძველ დახავსებულ ბილიკს მიადგნენ, ძველ უვარგის ნავსადგურს შეაფარეს თავი და, ახალის აღმოჩენის მაგიერ, რომის პაპის ქოშებს დაუწყეს ლოკვა. ასე დაემართა პოლ ბურჟეს, ერთ დროს უცნაურ სკეპტიკს და უებრო ანალისტს თანამედროვე ახალგაზრდობის სულისკვეთებისას. იგივე მოუვიდა ფრიად

ნიჭიერ და განსწავლულ მეცნიერ-კრიტიკოსს ბრუნეტიერს, კრიტიკოს ლემეტრს, მწერალ ბარესსა და სხვათა. პოლ ბურჟემ ამ ბოლოს დროს რამოდენიმე რომანი დასწერა მეტად დამჟავებული ტენდენციებით აღსავსე, რომლებშიაც იმას გვიმტკიცებდა, რომ ვინც ოფიციალური კათოლიციზმის აღმასრულებელი არ არის და მისი დაძველებული ფორმების გამაღმერთებელი, — მას მოელის ყოველივე უბედურება, სირცხვილი, გაკოტრება ზნეობრივი და ქონებრივი; თუგინდ თვით ყოველი კეთილით აღსავსე იყო, ყოვლად პატიოსანი და ზნეობრიობის ყოველი მოთხოვნილების აღმასრულებელი (იხ. მისი რომანები — „ეტაპი“, „ემიგრანტი“, „განქორწინება“). მარტო ის ფაქტი, რომ რომელიმე ადამიანი არ არის სარწმუნოების ყოველი ფორმის აღმასრულებელი, უკვე მომაკვდინებელ ცოდვად აქვს მიჩნეული ბურჟეს ამ ნაწარმოებებში, და ამისთანა ადამიანისათვის ყოველგვარი სასჯელი აქვს გამზადებული.

ზევით უკვე მოვიხსენიეთ, რომ ბურჟე თავის დრამა „განქორწინებაში“ (ზემოხსენებული რომანიდან აქვს ამოღებული), იმ აზრს ადგია, რომ ქორწინება ისეთი მტკიცე და შეურყეველი კავშირია, ისეთი ღვთისაგან განწესებული უღელია, რომელსაც უნდა დაემორჩილნენ უსიტყვოდ მეუღლენი, თუ არ უნდათ სამარადისო უბედურებასა და ტანჯვაში ჩავარდნენო.

საქმე იქამდე მიდის, რომ პოლ ბურჟე განყენებული სარწმუნოების მომხრე კი არაა, სარწმუნოების ერთ-ერთი არსებული ფორმის თაყვანისცემა მიაჩნია ერთადერთ და ჭეშმარიტ მართლმორწმუნებად. ვითა ძველ ფანატიკოსს, კათოლიციზმის თვით ისეთი გაყინული ფორმები მიაჩნია კაცობრიობის ხსნის ღუზად, რომელნიც იძულებულია თავიდან მოიშოროს კათოლიკეთა ეკლესიამაც, ვითა გამომსახველნი ხანგადასული და მომპალი ჩვეულებებისა და მოთხოვნილებებისა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლ ბურჟემ თავისი ბოლოდროინდელი რომანები და დრამები პუბლიცისტიკის ასპარეზად გახადა და თვით მეომარ ჟურნალისტად გადაიქცა, რომელიც იარაღად სიტყვაკაზმულ მწერლობასა ხმარობს, — მისი ნაწარმოებნი დიდად საყურადღებონი არიან. ეს ნაწარმოებნი, ჯერ ერთი, ნიჭის მადლით შემოსილნი არიან და, მეორე, მწვავე საგანს ეხებიან ხოლმე.

ასეთია მისი ზემოაღნიშნული დრამა „ბარიკადებიც“. ამ დრამაში დაპირდაპირებულია პატრონი და მუშა. მუშები გაიფიცებიან

თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ პატრონებიც არა ჰყრიან იარაღს და იგინიც თავისებურ გაფიცვას მოახდენენ, ან როგორც ამას ეძახიან, — „ლოკაუტს“. ე. ი. გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებ მუშებს სამუშაოს აღარ აძლევენ. დიდი და ნიშანდობლივი ინტერესი და ღირსება ამ დრამისა, რომელიც მთელმა საფრანგეთის მწერლობამ აღნიშნა, იმაშია, რომ პოლ ბურჟე გულახდილად გამოდის კაპიტალისტების ინტერესების დამცველად და ურჩევს მათ იმავე იარაღით ებრძოლონ მუშებს, ე. ი. გაიფიცნენ მუშათა წინააღმდეგ. A la guerre comme à la guerre — ომის დროს ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეჰფერისო, და მაშასადამე არც სიბრალულს და არც არავითარ სენტიმენტალიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. რადგან ამ დრამამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში, ბურჟემ მთელი ლექცია წაიკითხა და განავითარა თავისი თეზისები:

„ჩემთვის არ არსებობს გრძნობანი გულ-მოწყალებისა და ქველობისა“ (როგორ მოგწონთ ქრისტიანე-კათოლიკე?). ასე გვიხსნის პოლ ბურჟე თავისი დრამის აზრს: „მე ვიცი მხოლოდ ჭეშმარიტი აზრი, ან ცრუ აზრი, და თუ კაცი სწერ რასმე, სწორედ იმიტომ, რომ ის აზრი გაავრცელო, რომელიც მიგაჩნია ჭეშმარიტების გამომსახველად. . . არის შეურყეველი ფაქტი: ეს ის, რომ არსებობს ორი ჯგუფი, კლასი მუშათა და პატრონთა, — კაპიტალისტთა, რომელთა შორის „ბარიკადებია“ ამართული. ამ „ბარიკადების“ გამართვაში არც მუშაა პასუხისმგებელი და არც კაპიტალისტი. ეს თვით ცხოვრებამ შექმნა და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ძირითადად შეიცვლება თვით ცხოვრება, როცა გარდაიქმნება თვით ის ცხოვრება, რომელმაც ეს პირობები წარმოშვა. საკითხავი ის კი არ არის, რა სჯობია საზოგადოებისათვის: მშვიდობა და მყუდროება, თუ ბრძოლა და ომი. საქმე ის არის, რომ არსებობს ეს ბრძოლა-ქიშპობა და ომი კაპიტალისტთა და მუშათა შორის და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ვინ მოგახსენათ, რომ ყოველი ჭეშმარიტება ნუგეშისმცემელი იყოს? ზოგი თავზარდამცემია, და ერთ ასეთს წარმოადგენს ის შეურყეველი ჭეშმარიტება, რომ კლასთა შორის ბრძოლა დღევანდელის ცხოვრების აუცილებელი პირობაა. და მეც გათვალისწინებული მაქვს რა ეს მოვლენა, მინდა ჩემს კლასს ვემსახურო, მისი ინტერესები დავიცვაო“. ასე ამთავრებს ბურჟე თავის ქადაგებას და ურჩევს თავის კლასს ე. ი. მესაკუთრე კაპიტალისტებს წინააღმდეგობას მუშისას, მუშათა ბრძოლას ბრძოლითვე გასცეს პასუხი, ხოლო

გულჩვილობისა და დათმობის გზა მიატოვოს და მარტო მოპირდაპირის დამარცხებაზე აშენოს მომავლის იმედი. ასე სასტიკად, ასე გულახდილად გამოთქმული აზრი ბრძოლისა, კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენლის მხრივ, თითქმის საარაკოა. და ყოველგვარი წახალისების ღირსია მწერალი, რომელიც ასე გულწრფელად, ასე აშკარად ჩამოაგლეჯს ნიღაბს თავისს კლასს. „კლასთა ბრძოლა“ იყო ლოზუნგი მშრომელი ხალხის ინტერესთა დამცველებისა. ეს ლოზუნგი საზოგადოების სიმდიდრის პატრონ კლასს ცრუდ და უნიადაგოდ მიაჩნდა. დღეს კი ერთი უნიჭიერესი მისი წარმომადგენელი, არა თუ აღიარებს ამ მოვლენის—კლასთა ბრძოლის არსებობას, მის აუცილებლობას და უეჭველობას სადაოდ აღარა ჰხდის და მთელ კლასს იწვევს საომრად და საბრძოლველად თავისი ქონებისა და ძალის დასაცავად. პოლ ბურჟე იმდენად გაუტაცნია თავისი კლასის ინტერესს, თავისი კლასის პოზიციის იმდენად სასტიკსა და თავგამოდებული დამცველის როლს კისრულობს, რომ ქრისტიანულ გულმოწყალებასა და სარწმუნოებრივ სიმშვიდეს სრულიად ივიწყებს, ის ნამდვილ გაშმაგებულ მეომრად გამოდის. და როცა მისი კლასის ბედ-იღბალზეა საქმე, სრულიადაც აღარ ახსენდება მაცხოვრის იგავი მდიდრისა და ორი პერანგის შესახებ. და ეს ის მწერალია, რომელიც სხვა დროს ქრისტეს მცნების დამრღვეველს ყოველგვარი სატანჯველის ღირსად სცნობს. მით უფრო საყურადღებოა, ვიმეორებ, და პატივსაცემი, ასეთი გულახდილობა მწერლისა.

მართალია, პოლ ბურჟეს ხელოვნურ ნიჭს ამახინჯებს პუბლიცისტიკა, მაგრამ მისი უეჭველი ნიჭი ამ დრამაშიც ჩანს. მას, როგორც მწერალს, ხელოვანს არ ძალუძს სინამდვილეს აუხვიოს და იქ, სადაც მისი გული ერთს უკარნახებს, გონება სულ სხვას ეუბნება.

ბრეშარი კაპიტალისტი დიდი ხელოვნებითა ჰყავს დასურათებული. ეს ფულის მაღმერთებელი, წვრილმანი გრძნობისა და აზრის ადამიანია, ბინძური, აღვირწახსნილი მიდრეკილების კაცია. ბრეშარი თავისი მდგომარეობით სარგებლობს და ერთ მუშა ქალს — ლუიზას — შეაცდენს. ეს მოხუცი, რომელსაც გასათხოვარი ქალი და საცოლე ვაჟი ჰყავს, ოცი წლის ქალიშვილს დაუახლოვდება და თავის გასართობად ჰყავს. ბოლოს, ზოგი თავისი ჟინიანობის გამო და ზოგიც ვაჟიშვილის ზეგავლენის ქვეშ, ლუიზას შერთვასაც კი აპირებს. მისი ვაჟი „სოციალისტობს“, რადგან მასზე დიდი გავლენა აქვს მისტოლს, მათ ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდა მუშას, ლანგუეს. ბრეშა-

რის ქალიშვილი კი იმდენად წინააღმდეგია მამისაგან ამ ქალის შერთვისა, რომ ცილისწამების შეთხზვასაც კი არ დაერიდება და მოუგონებს ლუიზას, ერთსა და იმავე დროს მამაჩემსაც ატყუებს და ლანგუესაც საყვარლად ჰყავსო. ეს ოინები სრულიად უადგილო იყო. თვით ლუიზა ცივ უარზედა დგას: არ შემიძლია ცოლად წაგყვეო ეუბნება ბრეშარს; მე მუშა-ქალი ვარ, იმ როლს ვასრულებ შენს წინაშე, რა როლიც მარგუნა ბედმა და გარემოებამ, შენს ცოლობას კი ვერ ვიკისრებ, ვინაიდან ეს შენი შვილების არასასიამოვნო საქმეც იქნება და არც მე მსურს — „ჩემ კლასს“ ვუღალატო და „ბურჟუას მეუღლე“ შევიქნეო. ამ დროს ბრეშარის მუშებიც გაიფიცებიან. ვაჟი ბევრს ემუდარება მამას, დაუთმე და დათანხმდი მუშათა მოთხოვნილებასაო, მაგრამ ბრეშარი ნამდვილად ქედმოუდრეკელი მესაკუთრეა, თავისი ინტერესების შეურყეველი დამცველი და შვილის ვედრებას ნახევრად დამცინავი კილოთი უპასუხებს: „ჩემო საცოდავო შვილო! მე რომ მათ დავუთმო, არავითარი პატივისცემა არ ექნებათ ჩემი. დამცინებენ კიდეც! მხოლოდ მაშინ მცემენ პატივს, თუ დაინახავენ, რომ მე ნამდვილი ბატონი ვარ მათი და პატრონი. და, გარწმუნებ, მე მათ ვაჩვენებ ჩემი ხასიათის სიმტკიცეს და ჩემი ნების ძლიერებასა“.

გაფიცვის დროს, ლანგუესა და ბრეშარს ცხარე ლაპარაკი მოუვათ და მოთმინებიდან გამოყვანილი ლანგუე ხელსაც კი აიღებს ბრეშარისათვის სილის შემოსაკრავად. ეს მოქმედება ლანგუესი სრულიად საკმარისი ხდება მისთვის, რომ ბრეშარის ვაჟმა უეცრად „სოციალისტობა“ მიატოვოს... ლუიზაც თავის კლასობრივ ინსტინქტს აღარ ღალატობს და ლანგუეს მიჰყვება ცოლად. ბრეშარი ყველას სამსახურიდან დაითხოვს, მაგრამ შემდეგ ერთი მეგობრის რჩევის მიხედვით, ამავე მუშებისაგან შემდგარ ამხანაგობას ფულს აძლევს სათადარიგო თანხის შესაქმნელად.

ავტორის მხატვრული ნიჭი გამოიხატება მოქმედ პირთა სულისკვეთებისა და ხასიათის მიუდგომელი დასურათებით. მთავარი მექანიზმი ყველა მათი მოქმედებისა, მათ კლასობრივ მისწრაფებაშია. ბრეშარი აღჭურვილია ყოველივე თვისებით, რომელიც კი მისი კლასის (კაპიტალისტთა) წარმომადგენელს შეეფერება: გამჭრიახი, მოქმედი, ენერგიული, სასტიკი და თანაც მოშიშარი; წვრილმანი სურვილების პატრონი, რომელიც ვერც კი ბედავს ამ სურვილებისა და მისწრაფების გულახდილად, გაბედულად დაკმაყოფილებას, რაც

უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას (ლუიზასთან კავშირი). მისი ქალიშვილი უსირცხვილო გეტერაა, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების შექმნილი, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავს მისთვის, რომ შეინარჩუნოს ხელუხლებლად მამის ქონება და დამალოს მისი „უხერხული“ კავშირი ლუიზასთან.

ბრეშარის ვაჟი, რომლისთვისაც „სოციალისტობა“ ერთგვარი სპორტია, ამ სპორტს უეცრად ჩამოეხსნება პირველი დაბრკოლებისთანავე. ის „სოციალისტი“ იმიტომ იყო, რომ მისი თანაშეზრდილი და მეგობარი ლანგუე ამ აზრებს უქადაგებდა და თვითაც არა ეხარჯებოდა რა, არავითარ მსხვერპლს არ იღებდა ასეთი „სოციალისტობისთვის“. ის ლანგუეს მეგობრობას იმდენად აფასებდა, რამდენადაც ლანგუე მისი გამრთობი სათამაშოს როლს კისრულობდა; ლანგუეს მეგობრობა სასპორტოდ სჭიროდა, მაგრამ საკმარისი იყო ლანგუეს ერთი მცირე შეცდომა ჩაედინა, ბრეშარის ღირსეულ ვაჟს, მეგობრობაც და სოციალიზმიც ისე გადაესროლა, ვითა ჭუჭყიანი ხელთათმანი. ამ ვაჟბატონებისათვის ყოველი გრძნობა და ყოველი აზრი იმდენად ფასობს, რამდენად მათი ინტერესებისა და კლასობრივი ინსტინქტების დამაკმაყოფილებელია, გარეშე ამისა მათ არც გრძნობა იციან, არც აზრი. მეგობარი მისთვის უნდათ, გაართოს, რაიმე როლი აღასრულოს მის გვერდით, რაიმე სარგებლობა მოუტანოს და ასიამოვნოს მას; თვინიერ ამისა, მისთვის მეგობარიც ზედმეტი ბარგია და მეგობრობაც დამპალი საქონელი, რომელიც მათ ბაზარზე არ გასაღდება ხოლმე. მისი ურგები მეგობრისა და ამხანაგის თავიდან მოშორება მის ვაჭრულ ანგარიშს შეადგენს და სავალდებულოდ მიაჩნია. ამნაირადვე ყოველი აზრი იმდენად სწამს, რამდენად ეს მის ნებიერობასა და ცხოვრების კმაყოფილებას არ არღვევს. გარეშე ამისა, მას ყოველი აზრი ფეხებზე ჰკიდია, აი რას ვხედავთ ჩვენ ხელოვანი ბურჟეს დრამაში; აი რა სურათებს გადაგვიშლის თვალწინ ეს დრამა, რომლის ავტორი, როცა პუბლიცისტობს, გვარწმუნებს, რომ მარილი ამ ქვეყნისა ეს კლასია, ჩემი კლასიო.

სამაგიეროდ, რამდენად უფრო კეთილშობილია ეს საბრალო მუშა-ქალი, ლუიზა. ის სრული მადლობითა და კეთილშობილი გრძნობით ეპყრობა მის შემაცდენელ, გადაბერებულ ბურჟუას. ერთ წუთსაც მისი ერთგულება არ დაუგდია და არ უღალატნია; მადლობის მაგიერ, ბრეშარი, ქალიშვილის უმართებულო ცილისწამებით წაქეზებული, უსაფუძვლო ეჭვებით შეურაცხყოფს მას.

ლანგუე, მართალია, ფიცხია, თავდაუჭერელი, მაგრამ თავგანწირული და ღრმა მორწმუნე თავისი აზრისა, თანაც მისი გული მეტად ნაზი და ღრმა გრძნობების საუნჯეა. თავისი რწმენისათვის ის ყოველიფერს გასწირავს, მაგრამ ვერავითარი პირადი ანგარიში ვერ დაავიწყებს მაღალ გრძნობას. უკანასკნელად, როცა ბრეშარის ვაჟი მამის მინდობილობით მიიწვევს ანგარიშის გასასწორებლად, ცხარე ლაპარაკი მოუვათ. ამ ბაასის დროს ბრეშარი-შვილი ყოველ თავის უწინდელ რწმენას უარჰყოფს და მუშათა წინააღმდეგ ბრძოლა და ლოკაუტი მიაჩნია ერთადერთ სამართლიან და საფუძვლიან მოქმედებად. მიუხედავად ასეთი უცნაური ცვლილებისა, ლანგუე, ეს გულწრფელი ფანატიკოსი თავისი საქმისა, მაინც სიყვარულით და ალერსით ხელს გაუშვერს მას: მართალია, აზრი გამოიცვალა მაგრამ, ლუიზას თქმისა არ იყოს, მისი მეგობრობა ლანგუესათვის ცხოვრების საუკეთესო სამკაული იყო და ამიტომაც გამოთხოვების დროს კეთილი გრძნობებით უნდა გაშორდნენ ერთმანეთს. მაგრამ გულზვიადი და ფუქსავატი ბრეშარი-შვილი ზურგს ცივად მიუბრუნებს და ხელს არ ჩამოართმევს, შენ მამაჩემი შეურაცხყვეო. მართალი თქვას კაცმა, როცა ბურჟეს დრამაში დააკვირდები ამ ორი კლასის წარმომადგენელის სურათს, ხედავ, რომ, ერთის მხრით, დაცემაა და გახრწნილება, მეორეს მხრით კი, სიცოცხლე და აყვავება; ერთის მხრით, ცარიელი და მშრალი ანგარიშია და ოქროს გაღმერთება, მეორეს მხრით, თავის ადამიანურ უფლებათა დაცვის მედგარი და მტკიცე სურვილი და გადაწყვეტილება, გაბედულება, სიმხნევე, და მასთან გული, ღრმა სიყვარულითა და ნაზი გრძნობებით აღსავსე. პოლ ბურჟეს მხატვრულ სინდისიერებასაც სწორედ ეს შეადგენს, რომ მისმა ნიჭმა, მისი გულის წინააღმდეგ, სულ სხვა სურათი მოგვცა დღევანდელ კლასთა წარმომადგენლებისა. ბურჟემ-ხელოვანმა უღალატა ბურჟე-პუბლიცისტს, და ხელოვანმა სულ სხვა დაგვანახვა, ისეთი სურათი დაგვიხატა, რომელსაც ვერაფრით ვერ დაემყარება ბურჟე-პუბლიცისტი. ბურჟე-პუბლიცისტი კულტურისა და ცივილიზაციის ხსნის სახელით იწვევს კაპიტალისტებს, გაუწიეთ ბრძოლა მშრომელ ხალხსო. ბურჟე-ხელოვანი კი გვეუბნება, რომ ვერავითარი ბრძოლა ვერ უშველის და, რომ უფსკრულში უნდა გადაიჩეხოს ის კლასი, რომლის მომავალი ბრეშარის ქალ-ვაჟია. ხოლო მომავალი უცილოდ ისეთი ხალხისაა, რომელსაც ასეთი ჯანსაღი, ნაზ-გრძნო-

ბიერი და გულმართალი წევრები ჰყავს, როგორიც ლუიზა და ლანგუეა.

მხატვრული მხარე ამ დრამისა მით არის შესანიშნავი, რომ გადაგვარებული ბურჟუაზიული კლასის გახრწნილების სიმპტომებს ნათლად გვიხატავს, ხოლო ცხოვრებაში ახლადგამოსული მშრომელი ხალხის კარგ თვისებებს მიუდგომლად გვისურათებს, თუ გნებავთ, ავტორის სურვილის გარეშე და წინააღმდეგ. ამ კლასის სულის ძლიერებას ცხადყოფს. სულ რამდენიმე თვეა მას აქეთ, რაც ბურჟემ ახალი დრამა დასწერა თავისი დამჟავებული აზრების გასავრცელებლად და დასაცავად. ამ დრამას სახელად ჰქვია „ტრიბუნი". ეხლა ბურჟემ ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. რასაკვირველია, იმ ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ვითომ „დღევანდელ რევოლუციონერები" ქადაგებენ. ბურჟემ მწარედ დასცინა „რევოლუციონერების" მთავარ მიზანს, რომელიც იცავს პირადობის ბედნიერებას, პირადობის განთავისუფლების და პირადობის უფლებების გაფართოვებასა და განმტკიცებას; ბურჟემ დამღუპავად და ბუნების წინააღმდეგად აღიარა თავისუფალ კავშირზე დაფუძნებული ოჯახი.

როგორც ყოველთვის, აქაც ბურჟე-ხელოვანი ვერ უწევს სასურველ სამსახურს ბურჟე-პუბლიცისტს, და ის მაგალითი, რომელიც მას დრამის არაკად აქვს აღებული, ან სრულიად არაფერს ამტკიცებს, ანდა სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს, რასაც ავტორი ელამუნება. მინისტრ-პრეზიდენტის პორტალის შვილი ჟორჟი, ოცი წლის ყმაწვილი კაცი, მიჰყიდის ძლიერ საჭირო საბუთებს მდიდარ „საქმის კაცებს". მინისტრ-პრეზიდენტი რადიკალია და სოციალისტი. მთელი პარტიის უმთავრესი მოვალეობაა, პარლამენტისაგან დანაკისრები იმ საქმის გამორკვევა, რომელსაც ხელი შეუშალა მინისტრ-პრეზიდენტის შვილმა, მისსავე მდივანმა. მამა, შვილის სიყვარულით და სიბრალულით დამორჩილებული, შვილის დანაშაულს ვერ გაამჟღავნებს, თვით კი სამსახურს თავს ანებებს...

კაცმა თქვას, ბურჟეს საკმაოდ ზომიერი შეხედულება ჰქონია „დღევანდელ რევოლუციონერთა" პროგრამის შესახებ და ის აზრები, რომელთაც წარმოათქმევინებს პორტალს, სულ უბრალო რადიკალური პროგრამაა.

„ჩვენს სამინისტროს, — ეუბნება თავის ამხანაგს ფოსტისა და დეპეშების მინისტრს, — როგორც მოგეხსენებათ, მიზნად აქვს განა-

ხორციელოს თავისი პროგრამით სამი დიდი კანონი: განქორწინების გაფართოება იმ საზღვრამდე, ვიდრე სქესთა კავშირი სრულ თავისუფალ კავშირად არ იქცევა; ბავშვების აღზრდისა და განათლების საქმეში მშობლების კონტროლი რადიკალურად მოსპობილი უნდა იქნეს, და მემკვიდრეობითი გადაცემა ქონებისა უნდა სულ, ან თითქმის სულ, მოისპოს... ჩვენი პროგრამა ამგვარად აშკარა ომს უცხადებს ოჯახს. რატომ? იმიტომ, რომ ოჯახი, გიმეორებთ, არის ძველი წესწყობილების ქვა-კუთხედი. თუ კი ქმარი პასუხისმგებელია ცოლის მოქმედების გამო, მაშასადამე ცოლი უნდა ემორჩილებოდეს მას და ეს კი ძველი ცოლ-ქმრობის კავშირი გახლავს. თუ კი მამა პასუხისმგებელია თავისი შვილის მოქმედების გამო, მაშასადამე თქვენ უნდა მამის უფლება აღადგინოთ, ნება მისცეთ მშობლებს აღზარდოს თავისი შვილები თავის გემოზე... ხედავთ, ამგვარად, სად მიექანებით? მთელი უსამართლობა დღევანდელი საზოგადოებრივი წესწყობილებისა მომდინარეობს დღევანდელი ოჯახებრივი წყობილებიდან.... ჩვენ უნდა თამამად განვაცხადოთ და აღვიაროთ, რომ ყოველი დანაშაული პირადია და მარტო ამ დანაშაულის ჩამდენს უნდა მოეთხოვოს პასუხი, ჩვენ ფეხებზე გვკიდია დღევანდელი ბურჟუას პატიოსნებისა და სინდისის შესახები აზრები, იმიტომ, რომ ჩვენ სულ სხვა შეხედულება გვაქვს: ჩვენ ვემსახურებით კაცობრიობის განთავისუფლების დიად საქმეს, ჩვენ ვართ მომავალი სამართლიანობის ერთგული მუშაკნი და ჩვენ ასპარეზს, მარტო მაშინ დავტოვებთ, თუ პირადად ჩავიდენთ რაიმე დანაშაულს". დიდი —„რევოლუცია" ამ სიტყვებში არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბურჟეს უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ეს აზრი ყალბსა და ანტიბუნებრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და მოწმედ თითქმის მთელ მეცნიერებას იწვევს (ოგიუსტ კონტს, ჰეკკელს, ბალზაკს და სხვ.), ბურჟე გვეფიცება როგორც პუბლიცისტი და უნდა დაგვარწმუნოს, როგორც ხელოვანმა, რომ ძველი ოჯახი, იმ სახით, როგორც იგი არსებობდა წარსულ საუკუნეებში, ბუნებრივია და მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული; მარტო ისეთი ოჯახია საზოგადოების ბედნიერების წყარო, რომლის წევრთა ინტერესები რკინის ჯაჭვით არის გადაბმული, სადაც ოჯახის უფროსი, მამაკაცი ყველას ბატონი და მბრძანებელია, სადაც მისი ნების მონა აღმსრულებელნი არიან ყველანი. არ არსებობს, მისი აზრით, არავითარი პირადი მოქმედება და პასუხისმგებლობა და ყოველი ოჯახის თითოეული წევრი განუწყვეტელი კავში-

რით არის გადაბმული ერთიმეორეზე და მარადის პასუხისმგებელი ერთიმეორის მოქმედების გამო. მამამ შვილისა და ცოლის მოქმედების გამო უნდა გასცეს პასუხი საზოგადოებას, შვილი მამის დანაშაულისათვის სწევს სასჯელს და სხვ. და ყოველივე ამას გვიმტკიცებს და ამყარებს მინისტრ-პრეზიდენტის მოქმედებაზე. თუ მართალი არის ბურჟეს აზრები, მაშინ მისი ოცნებისგანვე შექმნილ მინისტრს შვილი არ უნდა შებრალებოდა და სასამართლოში მიეცა, თვითონ კი სამსახურში დარჩენილიყო.

ჯერ ერთი, არცერთ სოციალისტს, არც ინდივიდუალისტს, არც ანარქისტს თავის დღეში ის არ უთქვამს, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ განთავისუფლება პირადობისა საუკუნეებისაგან დადებული ბორკილებისაგან, თავისუფლება სქესობრივი კავშირისა და მშობლიური დამოკიდებულებისა, ნიშნავდეს ყოველი გრძნობისაგან გაძარცვასა და ყოველი გრძნობის დამახინჯებას. . . წინააღმდეგ, დღევანდელი ჭეშმარიტი რეფორმატორი ცდილობს, სწორედ იმ მშვენიერი და წმინდა გრძნობების განმტკიცებას, რომელიც ეხლანდელმა ბილწმა და ბინძურმა ცხოვრებამ გარყვნილების მორევში გაყინა და ფულად დაახურდავა. ის თუ გეუბნება, გაათავისუფლეთ პირადობა ყოველგვარი პოლიტიკური, ოჯახობრივი და ეკონომიური დესპოტიზმისაგან, გეუბნება იმიტომ, რომ ღრმადა სწამს, და ეს მისი რწმენა შედეგია მეცნიერული კვლევა-ძიებისა, სწამს, რომ განთავისუფლებული პირადობა ადამიანისა განსპეტაკდება და გამშვენიერდება გრძნობითა და გონებით: იგი იქნება ნამდვილი მეუღლე, თავდადებული მშობელი, გრძნობიერი მეგობარი, ერთგული ძმა და სხვა. არავის თავის დღეში არ წარმოუდგენია კაცი გაანთავისუფლოს იმ გრძნობიერებისაგან, რომელიც ადამიანობის გვირგვინსა და მშვენებას შეადგენს. მაშასადამე, ვის ეომება აქ ბურჟე კაცმა არ იცის; თუ იმის დამტკიცება უნდოდა, რომ რადიკალები და სოციალისტები ყოველივე ადამიანურ გრძნობას მოკლებულნი არიან, და ამ გრძნობების საზოგადოდ მოსპობას ცდილობენო, სრულიად წინააღმდეგი დაამტკიცა, სწორედ ის, რომ ამ ჯურის ადამიანებს გრძნობა ფაქიზი და მეტად მახვილი აქვთ, ბევრად უფრო ნაზი, ვიდრე დღევანდელ საქმის კაცებს. პოლ ბურჟემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ყოველი გრძნობა სიყვარულისა და პასუხისმგებლობისა აკლიათ სწორედ იმ ვაჟბატონებს, რომლის კლასობრივი პრინციპების იდეოლოგიად და დამცველად ივი გამოდის. ზემოთ ვნახეთ მირბოს „საქმის კაცი“, ეს

სულით მახინჯი და გულით საზიზღარი, ყოველ ადამიანობას მოკლებული, რომელიც შვილის გასრესილ გვამს არც კი დახედავს და ამ დროს სავაჭრო პირობების საცეღლუტო მუხლებსა თხზავს. აბა, გვიჩვენოს ბურჟემ, სადა აქვს ამგვარ კაცს ან ბუნებრივი მშობლიური გრძნობა, ან სარწმუნოება, ან ტრადიციის პატივისცემა, ანდა სულ უბრალო პირუტყვის ოდენა ინსტინქტი? არა, დღევანდელი „ტრიბუნები“ და „მოციქულები“ კი არ ამახინჯებენ ადამიანის ბუნებას და მის გრძნობებს, ეხლანდელი „საქმის კაცები“ უთხრიან მიწას ადამიანობასა და მთელ საზოგადოებას. ხოლო თუ იმის დამტკიცება უნდოდა, რომ დღევანდელი სოციალისტები და რადიკალები პირად პასუხისმგებლობის შესახებ ლაპარაკობენ და აი მინისტრ-პრეზიდენტმა, მათი პარტიის კაცმა, შვილის ცოდვები კისრად იდვაო, ესეც სიმართლეს მოკლებულია. პორტალმა შვილი ვერ გასცა, შეებრალა და შეეცოდა, მაგრამ დაარღვია თავისი მოვალეობა: ან შვილი უნდა მიეცა სამართალში, ან თვით ედვა თავს დანაშაული და ასეთ საპასუხისმგებლო სამსახურისათვის თავი დაენებებინა. თვითონ პორტალი-მამა კი ყოვლად პატიოსანი და ღირსეული კაცია, ყოველგვარი პატივისცემის ღირსი, როგორც მას გვისურათებს ავტორი, და ჩვენში იწვევს ღრმა სიბრალულსა და თანაგრძნობას.

მართალია, ეს „სამწუხარო ინციდენტი“ დიდ საგონებელში ჩააგდებს პორტალს; კიდევაც წარმოათქმევინებს, ცოტა უნდა დავმშვიდდე და გადავსინჯო ჩემი რწმენა და მცნებაო, მაგრამ ეს სრულიად არ გვიმტკიცებს, რომ პორტალი უსათუოდ შეცვლის თავის მცნებას, და ასეც რომ იყოს, არც ეს დაგვიმტკიცებს არაფერს, გარდა იმისა, რომ პორტალი ხასიათით სუსტი კაცი ყოფილა, რომელიც სრულიად უბრალო შემთხვევასა და გამოცდასაც ვერ უძლებს.

ესეც კია, რომ პორტალს ძალიან კარგად შეეძლო შვილი სამართალში მიეცა და არც ეს იქნებოდა ბუნების კანონის წინააღმდეგი, პორტალის მტკიცებას და პატიოსან ხასიათს სწორედ ასეთი მოქმედება შეესაბამებოდა.

რომ ასეთი დამთავრება დრამის არაკისა სრულიად კანონიერია, და უფრო დაახლოვებულია სინამდვილესთან, ეს მშვენივრად დაგვიმტკიცა ერთმა თითქმის უცნობმა ავტორმა — პიაცინტ ლუაზონმა. ამ ახალგაზრდა მწერალმა სწორედ იმავე დროში, ბურჟეს დამოუკიდებლად, დასწერა დრამა, რომლის შინაარსი ძალიან წააგავს ბურჟეს დრამის შინაარსს და დრამის თვით სახელიც კი ენათესავება. ლუა-

ზონის დრამას სახელადა ჰქვია „მოციქული“ და იმავე შინაარსს ეხება. აქაც მინისტრ-პრეზიდენტის შვილი თავისი მდგომარეობით ისარგებლებს და ქრთამს აიღებს. მამა აქ ძველი რესპუბლიკანელია, პრინციპების დიდი თაყვანისმცემელი. იგი დიდ ტანჯვასა და სულიერ ბრძოლას განიცდის, მაგრამ ბოლოს შვილს მაინც სამართალში მისცემს, თვითონ კი სამსახურს თავს დაანებებს. მაშასადამე, ის დაბოლოება ამბავისა, რომელიც ბურჟესა აქვს თავის დრამაში, არ არის ერთადერთი, შესაძლებელია სხვაგვარი დამთავრება და აი მაგალითს, ლიტერატურულ მაგალითს, გვაძლევს ლუაზონის ნაწარმოები „მოციქული“. და თუნდაც ისე დააბოლოოთ დრამა, როგორც ბურჟემ ინება თავის „ტრიბუნში,“ ეს ხერხი ვერასდროს ვერ დააჯერებს ეხლანდელ რეფორმატორს და ვერ შეარყევს მის რწმენას, რომ მომავალი კაცობრიობის ბედნიერება იმაზე არის დამოკიდებული, რამდენად თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება პირადობა ადამიანისა. ბურჟეს დრამა, ისე, როგორც ლუაზონის, მარტო იმას გვიმტკიცებს, რომ დღევანდელი საზოგადოების ძირითადად გარდაქმნა აუცილებელია. ამ საზოგადოების გახრწნილება ისე ღრმად არის წასული, რომ წმინდა და გულწრფელ მოღვაწეთა ოჯახშიც კი საწამლავი და შხამი შეაქვს, ზნეობრივი სიდუხჭირის სენით შეაპარებს ხოლმე, ისე, რომ ვერავითარი დეზიფენქცია ვეღარ შველის. და თუ ყოველი ღირსებით შემკულ „მოციქულთა“ და „ტრიბუნთა“ დარაჯობაც ვერ შველის, რომ მათი მახლობელნი არ იქნენ ამ საზოგადოებაში დაბუდებული ჭუჭყისაგან შეთითხნილნი, მაშინ რაღა ითქმის სხვების შესახებ; ხოლო თუ მთელი საზოგადოების ცხრა მეათედი მინისტრ-პრეზიდენტის პორტალის შვილს წააგავს, დამერწმუნებით, ასეთი საზოგადოების მოსპობა კარზე გვადგია.

დიახ, ჰაერში ტრიალებს სუნი ბრძოლისა, მომავლის სუნი. ამას კარგად გრძნობს ბურჟეც და მის ნაწერებში სწორედ ის არის საინტერესო, რაც აღგვიძრავს აზრსა და ფიქრს მომავლის შესახებ, რაც დღევანდელი საზოგადოების იარებს თვალწინ გადაგვიშლის. ეს სნეულება საზოგადოებისა თითქმის ყველასაგან ერთხმად აღიარებულია, თითქმის ყველა ამჩნევს უკურნებელ სენს დღევანდელი წყობილებისას, რომელიც ვითა გაკოტრებული ვაჭარი, ჰყიდის ყოველივეს, რაც კი შერჩენია და საჯარო ვაჭრობაზე გამოაქვს ორიოდე გროშის გამოსარჩენად ყოველგვარი „საქონელი“, რაც კი აბადია: სინდი-

სი, პატიოსნება, გრძნობა სიყვარულისა და მეგობრობისა, დამოკიდებულება მშობლიური და ნათესაური.

განა შესაძლებელია კიდევ უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი ამისა? — თქვენ ნახეთ, რომ ორი მწერალი, ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე ფორმით გვისურათებენ ერთსა და იმავე მაგალითს დღევანდელი საზოგადოების გადაგვარებისას და ამ საზოგადოების გახრწნილობის სიმპტომებზე მიგვითითებენ.

7.

სულ სხვა ხასიათის არის ჰანრი ბატაილის დრამა „უგუნური ქალიშვილი", რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგ მწერლებსა და საზოგადოებაზე. ესეც „ტენდენციის" დრამა არის, ანუ დრამა „თეზისისა", როგორც ფრანგები იტყვიან. ასეთ დრამებს დიდი პატივისცემა აქვს ფრანგულ მწერლობაში და, თუ გნებავთ, ფრანგული დრამის წმინდა ტრადიციაა, უთუოდ რომელიმე პოლიტიკურ-სოციალური დებულების დამამტკიცებელი იყოს და რაიმე საზოგადოებრივი მიმართულების გამომსახველი. ასე მომდინარეობს ბომარშედან დაწყებული თვით დღემდე. დრამას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აზრის წვრთნაში, საკმაოა გავიხსენოთ, რომ დიუმა-შვილი, დრამების წყალობით, ნამდვილ ომსა სწევდა „განქორწინების" გაადვილებისათვის და უეჭველად გავლენა იქონია თვით კანონმდებლობაზეც. ჰანრი ბატაილი სულ ახალგაზრდა მწერალია და ეს ხუთი წელიწადია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და, მართალი რომ ვთქვათ, მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი „მამან კალიბრით" და „შიშველი ქალით". ფრანგებს რომ ჰკითხოთ, ბატაილი გაბედული ამორალისტია, ანუ დღევანდელის დახავსებული ზნეობრივობის წინააღმდეგ მებრძოლი, გრძნობათა თავისუფლების უკიდურესი მოსარჩლე და სხვ. სამწუხაროდ, ასეთი აზრი მარტო იმას ამტკიცებს, რომ ფრანგული ოფიციალური ბურჟუაზიული და მეწვრილმანური მწერლობა და საზოგადოება ერთ წერტილზედაა გაყინული და ამ სფეროში (ახალი ზნეობის ქადაგებაში) ძალიან ჩამორჩენილია მის სხვა მეზობელ ქვეყნებს. საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც მარტო ვედეკინდი, შნიცლერი და კნუტ ჰამსუნი... თვით საფრანგეთშიც მოღვაწეობს ანატოლ ფრანსი და რემი დეგურმანი,

რომელნიც ნაზი ხელებითა და მარილიანი ღიმილით დღევანდელ ზნეობას ძირს უთხრიან. მათ ნაწარმოებს გატაცებით ეწაფება, ვით უკვდავების წყაროს, „ახლის“ მოლოდინე მკითხველი. ასე რომ, თვით საფრანგეთშიც კი უფრო ღრმა მიმართულებაა დღევანდელი ზნეობის უარმყოფელი, მაგრამ ეს თითქო შეუმჩნეველი რჩებათ დღევანდელი საზოგადოების ბურჯთ, ასე ვთქვათ, ოფიციალურ მწერლებს.

ჰანრი ბატაილის ახალი დრამა, მართალია, თავისი მებრძოლი აზრით მკრთალია, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, როგორც ერთ-ერთი მოწონებული დრამა, რომელსაც ვერც მთლად უაზრობას დავწამებთ.

„უგუნური ქალიშვილის“ უგუნურება იმით გამოიხატება, რომ იგი, შთამომავლობით წარჩინებული, ახალგაზრდა და ლამაზი, შეიყვარებს ორმოც წლამდე მიღწეულ გამოჩენილ ვექილს და მასთან გაიქცევა. ვერც დედ-მამის მუქარა, ვერც ვედრება და მუდარა ვერავითარ გავლენას იქონიებს მასზე. ქალიშვილი გატაცებული მოტრფიალეა ვექილის და მასთან ერთად ლონდონში გაიპარება. ვექილი ცოლიანია. ცოლი, რასაკვირველია, დიდ წინააღმდეგობასა და ბრძოლას უწევს ქმარს. არც ქალიშვილის ოჯახი რჩება გულზე ხელდაკრეფილი. ქალიშვილის ძმა ეძიებს ვექილს, რათა შური იძიოს. ცოლი ორჯერ გადაარჩენს ქმარს გაჯავრებული ოფიცრის ტყვიისაგან. ცოლის ამგვარი საქციელი ვექილის გულს მადლობით აღავსებს, რომელიც თითქმის სინანულს უდრის. ყოველივე ამ დავიდარაბისაგან თავმობეზრებული „უგუნური ქალიშვილი“ თავს იკლავს. ვექილი თავის როლს დამცველისას მშვენივრად ასრულებს და საბრალო ქალიშვილის ცხედრის წინაშე ამ სიტყვებს წარმოთქვამს: „ჩვენ ოთხმა, თუ ხუთმა კაცმა, მოვკალით ეგ საცოდავი ქალიშვილი: მე ჩემი სიყვარულით, შენ (ცოლს ეუბნება) შენი სიბრალულითა და გულმოწყალეობით, იმან (ქალიშვილის ძმამ), თავისი სიბრაზითა და სიძულვილით.“

რაში ხედავენ აქ არსებული შეხედულების შებრძოლებას, ანდა თავისუფალი სიყვარულის ღაღადებას? თუ გნებავთ ერთიც არის და მეორეც, მაგრამ ძალიან გაუბედავად და დიდი სიფრთხილით არის გამოთქმული. პირველად ყოვლისა, თვით დრამის არაკი, მხოლოდ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს. ქალიშვილი, რომელიც მოინდომებს

თავისუფალი სიყვარულის განხორციელებას, თვითვე ამზადებს თავისთავისთვის კატასტროფას, ისეთ ბოლოს, რომელიც უსათუოდ მისი სიკვდილითა და უბედურებით გათავდება. მაშასადამე, მორალი ამ დრამისა გამაფრთხილებელია „უგუნური ქალიშვილებისა“, რომელნიც გრძნობას, და მარტო გრძნობას, დაემორჩილებიან. დღევანდელ პირობებში მაინც, როცა არსებობს ოჯახის ტრადიციები, არსებობს ცოლ-ქმრობის კავშირი, ამგვარი თავხედობა დაუსჯელი არ ჩაივლის. მართალია, — „უგუნური ქალიშვილის“ სიკვდილი შედეგია ერთის „სიყვარულის“, მეორის „გულმოწყალეობის“, და როგორც ასეთი, თვით ამგვარი „სიყვარულის“ და ამგვარი ცბიერების, „გულმოწყალეობის“ დაგმობაა, მაგრამ... ჩვენთვის „უგუნური ქალიშვილი“ მსხვერპლია „დღევანდელი“ სიყვარულის, „დღევანდელი“ სიბრალულის, საზოგადოდ დღევანდელი სიყალბით შეკავშირებული საზოგადოებისა. მაგრამ, აბა ნახეთ, როგორი აღტაცებით ეპყრობა ზოგიერთი ფრანგი მწერალი ვექილის ცოლს, რომელიც არავითარ საშუალებას ერიდება ქმარი დაიბრუნოს, და როცა აღარაფერი გაუვა ბრძოლით და ომით, მაშინ „გულკეთილობასა და გულმოწყალეობას“ მიმართავს, ვითა იარაღს, და კიდევაც გავა ფონს.

რა თქმა უნდა, ყოველ ნაწარმოებში ერთს ერთი მოსწონს, მეორეს მეორე, მაგრამ მწერალმა საბუთი უნდა მისცეს მტკიცე და შეურყეველი ამ მოწონება—დაწუნების. გაიხსენეთ ბურჟეს „ბარიკადები“. თქმა არ უნდა, ზოგი ბრეშარის (პატრონის) მომხრე იქნება, ზოგი კიდევ ლანგუესი (მუშისა), მაგრამ ორივეს თავისი საბუთი ექნება, ერთიმეორის საწინააღმდეგო და შეურიგებელი.

ზემოხსენებული დრამის გმირი ვერ არის საკმაოდ მკვეთრად გამოქანდაკებული. „უგუნური ქალიშვილი“ სრულიადაც არა ჰგავს პირველ მერცხალს, სქესთა შორის თავისუფლების კავშირის მოჭიკჭიკეს. მას არც ძალა შესწევს და არც ღონე დაამსხვრიოს უკვე დამპალი საფუძველი დღევანდელი ზნეობისა და ახალი მცნების ქომაგად გამოვიდეს. იგი პირველ დაბრკოლებისთანავე სიცოცხლეს მოისპობს. განა არ იცოდა (რასაკვირველია, კარგად იცოდა), რომ მისი მშობლები ყოველ ღონეს იხმარდნენ მის „მოსარჯულებლად“? ნუთუ წარმოდგენილი არა ჰქონდა, რომ კანონიერი მეუღლე ცნობილი ვექილისა, არავითარ ცდას არ დააკლებდა, თვით „თავგანწირულების კომედიასაც“ აღასრულებდა, ოღონდ კი ქმარი და ოჯახის პატრონი

დაებრუნებინა? ამ ორ დედაკაცთა ბრძოლაში გამარჯვებული დარჩა ცოლი, დამცველი და წარმომადგენელი ძველი, დახავსებული ჩვეულებისა, ხოლო ვითომდა ახლის, თავისუფალი გრძნობის მაუწყებელი სასტიკად დამარცხდა. და მთელი ნაკლულევანება დრამისა იმაშია, რომ ეს დამარცხება თითქმის კანონიერად მიგაჩნია, რაც სრულიად არა ჰქონდა ავტორს მიზნად. ავტორს სურდა დაეგმო „ეხლანდელი სიყვარული", ეხლანდელ სიყალბეზედ აშენებული გულმოწყალეობა, მაგრამ ვერ მიაღწია სავსებით თავის სურვილს. სამაგიეროდ, ავტორმა მშვენივრად დაგვისურათა წოდებათა შორის არსებული შეურიგებლობა. ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთია, სადაც ყოველი წოდებრივი წარჩინება ქაღალდზე ას წელიწადზე მეტია რაც მოსპობილია, ამ წოდებრივ გათიშვას პრაქტიკულად ღრმად აქვს ცხოვრებაში გადგმული ფესვები, და „უგუნური ქალის" მოქმედებას ვერაფრით ვერ შერიგებია, მისი ძმა, ოფიცერი, ცნობილი გვარის წარმომადგენელი და იგი ხდება, ასე ვთქვათ მთავარ მიზეზად დის სიკვდილისა, ვინაიდან „უგუნურმა ქალიშვილმა" მისი დამბაჩით მოიკლა თავი.

არის ერთადერთი მწერალი, რომლის ნაწარმოები ჩვენ არ მოვიხსენიეთ და რომელსაც უეჭველად დღევანდელ დრამატიულ მწერალთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის, ვინაიდან იგი, მეტერლინკთანა და ჰაუპტმანთან ერთად, ახალი დრამის მამამთავართა შორის უნდა ჩაითვალოს. ეს გახლავთ ედ. როსტანი, რომლის „შანტეკლერმა" მართალია ისეთი აღტაცება ველარ გამოიწვია, როგორც მისმა უწინდელმა დრამებმა („სირანო დე ბერჟერაკი", „არწივის მართვი"), მაგრამ უეჭველია მაინც მას დღევანდელ ფრანგ დრამატურგთა შორის ბადალი არა ჰყავს. ჩვენ არ მოვიხსენიეთ ამ ჩინებული მწერლის წინანდელი ნაწარმოებები, ვინაიდან მათ შესახებ ვრცელი წერილი გვაქვს დასტამბული 1901 წლის „ცნობის ფურცელში", ხოლო „შანტეკლერის" შესახებ „სახალხო გაზეთში" იყო დასტამბული მეტად საყურადღებო წერილი ლ. მ.-ისა, რომლის შემდეგ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ დრამის შესახებ რისამე თქმა...

ასეთი გახლავთ დღევანდელი ფრანგული დრამატიული მწერლობა, მთელი მისი ღირსება-ნაკლულევანებით. ნიშანდობლივი თვისება ამ ლიტერატურისა ისაა, რომ საზოგადოების სულისკვეთების, საზოგადოების მიმართულების ყოველი საფეხურის გამომხატველია.

საფრანგეთში დრამას დღემდე პოლიტიკური როლი აქვს და სცენიდან იბრძვის საზოგადოებასა და ოჯახში ახალი აზრების განსამტკიცებლად და დასამყარებლად. მართალია, ეს აზრები ხანდახან გაუბედავია, მაგრამ მთელი ლიტერატურა მისაბაძი თანდათანობით, საბარბიელო სიბეჯითით მოლიერისა და ბომარშესაგან ერთხელ გაკეთებულ გაკვალულ გზაზე მიდის.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. **მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს (№ № 165, 166).

2. **მეცნიერება და სარწმუნოება** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს (№ № 42, 43).

3. **ცხოვრება და ხელოვნება** — დაიბეჭდა გაზეთ „მზეში“ 1903 წელს (№ 1).

4. **აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1910 წელს (№№ 66, 68). სათაურის ქვეშ, ფრჩხილებში, დაბეჭდილია: „ნაწყვეტი ესთეტიკისა“.

5. **ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა** — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1897 წელს (№ 231).

6. **„მოამბის“ მორალისტები** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს (№ 193).

7. **ნიმუში ჩვენებური პოლემიკისა** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს (№ 217).

8. **„ვარიპანიძიანთ ნინო“, მოთხრობა არ. ლეისტისა** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წელს (№ № 211, 212).

9. **ან. დეკანოზიშვილის ფსიქოლოგიური ეტიუდები** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წელს (№ 273).

10. **სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს (№ 13).

11. **თბილისი, 1896 წლის 9 თებერვალი** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს (№ 30).

12. **სალიტერატურო მიმოხილვა 1896 წლისა** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1897 წელს (№ 1).

13. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გ. სალარაძის „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“)** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერია-

ში“ 1897 წელს (№ №.10, 68). მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ გაერთიანებულია ორი წერილი: რეცენზია (გ. საღარაძის წიგნზე) და პასუხი რეცენზიის საპასუხოდ დაწერილ წერილზე.

14. ჩვენი თეატრი და მისი ბედ-იღბალი — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1897 წელს (№ №47, 48).

15. ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს) — დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1897 წელს (№ № 7, 10).

16. ერთი საგანი ზნეობისა — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1897 წელს (№ № 69, 70).

17. შ. არაგვისპირელის პირველი წიგნი — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ 1353).

18. თეატრის მატიანე — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1897 წელს (№ 232).

19. ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი — დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1899 წელს (№ 12).

20. ეკ. გაბაშვილის ნაწერები — დაიბეჭდა როგორც შესავალი კრიტიკული წერილი ეკ. გაბაშვილის თხზულებათა 1910 წლის გამოცემაში.

21. ეკ. გაბაშვილის საიუბილეოდ — დაიბეჭდა გაზეთ „კოლხიდაში“ 1911 წელს (№ 28).

22. 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა — დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1900 წელს (№ 2).

23. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ 1364).

24. XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ 1347).

25. „ხმა ახლოდან“ — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ 1376).

26. ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი ლიტერატურის შესახებ — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ 1366).

27. საქართველოს წარსული საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი — დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (№ № 1389, 1397, 1403, 1411, 1418).

28. ქართული ლიტერატურა 1907 წელს — დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“ 1908 წელს (№ 5).

29. **მ. ჯავახიშვილის მოთხრობები** — დაიბეჭდა გაზეთ „ფასკუნჯში“ 1908 წელს (№ 3), სათაურით — „მ. ადამაშვილი: „ჩანჩურა“,.., „უპატრონო“..., „მეჩექმე გაბო“,.., „თავდავიწყება“..

30. **ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის გამო** — დაიბეჭდა გაზეთ „ამირანში“ 1908 წელს (№ № 113, 116).

31. **1908 წლის სალიტერატურო მიმოხილვის მაგიერ** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს (№ 1).

32. **ქართული საბავშვო წარმოდგენა** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს (№ 4).

33. **აკაკის საღამო ქუთაისის გიმნაზიაში** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს (№ 48).

34. **მცირე განმარტება** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს (№ 17), სათაურით — „კომენტარები“.

35. **ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს (№ № 268, 274).

36. **ფრიად სამწუხარო სენი** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს (№ 370).

37. **დასაგმობი გულგრილობა** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს (№ 487).

38. **ი. გედევანიშვილის დრამა „მსხვერპლი“** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 510), სათაურით: „მსხვერპლი“ დრამა სამ მოქმედებად ი. გედევანიშვილისა ქართულ სცენაზე“.

39. **მ. საფაროვ-აბაშიძის დღესასწაული** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 511).

40. **ქართული თეატრი** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 770), ფსევდონიმით — „იმამ-ი“.

41. **ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანის დაბადების ასი წლის თავი** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 564).

42. **სიტყვა სუნდუკიანცის დასაფლავებაზე** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 559), სათაურით: „კიტა აბაშიძის სიტყვა“.

43. **არტემ ახნაზაროვი** — დაიბეჭდა როგორც წინასიტყვაობა 1912 წელს გამოცემულ არ. ახნაზაროვის თხზულებებში („ლექსები და სცენები ა. მ. ახნაზაროვისა“).

44. ილია ჭავჭავაძე — დაიბეჭდა როგორც შესავალი კრიტიკული სტატია მ. გედევანიშვილის მიერ 1914 წელს გამოცემულ „ილია ჭავჭავაძის თხზულებანში“.

45. ილიას ძეგლის საქმე — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს (№ 626).

46. ილიას ძეგლი — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1913 წელს (№ 887).

47. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1913 წელს (№№ 888, 889, 890, 891, 894, 901, 902, 904, 905). პირველი ხუთი წერილი დაიბეჭდა სათაურით „1912 წლის ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერ“, შემდეგი წერილები კი — „ჩვენი ახალგაზრდა მწერლები“.

48. ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ 1914 წელს (№ 3).

49. დიდი წიგნი — დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ 1916 წელს (№ 34).

50. მებრძოლი მგოსანი — დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ 1916 წელს (№ 51).

51. გონს მოდით! — დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ 1916 წელს (№ 15).

52. ილია და აკაკი (მოძღვარი და წინასწარმეტყველი) — დაიბეჭდა 1915 წელს გამოცემულ ბროშურაში — „ორი სიტყვა“.

53. აკაკი წერეთელი — დაიბეჭდა გაზეთ „მეგობარში“ 1916 წელს (№ 94).

54. ლ. ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“ — დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1900 წელს (№ 5).

55. ლეონიდ ანდრეევი — დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“ (1907 წელს, №№ 263, 264, 265), გაზეთ „ამირანში“ (1908 წ., №№ 53, 55) და გაზეთ „საქ. მოამბეში“ (1909 წ., № 6).

56. მ. არციბაშევის „სანინი“ — დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“ 1908 წელს (№№ 6, 8, 9).

57. ა. კუპრინი — დაიბეჭდა გაზეთ „ამირანში“ 1908 წელს (№№ 75, 76), სათაურით: „რუსული ლიტერატურული კრებულები: „ეიზნ“ № 1, „ზემლია“ № 1“.

58. **კ. ბალმონტს** — დაიბეჭდა გაზეთ „მეგობარში“ 1915 წელს (№ 9), სათაურით: „კ. ბალმონტის ბანკეტზე კიტა აბაშიძისაგან თქმული სიტყვა“.

59. **პოლ ბურჟე** — დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1894 წელს (№ № 8, 9).

60. **საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წელს (№ 189), სათაურით: „თარგმანთა „კრებული“ ნიკიტინისა. „ცოდვა სიყვარულისა“, რომანი ბურჟესი, თარგმანი გ. ყიფშიძის მიერ“.

61. **მარსელ პრევოს** „Les demi-vierges“ — დაიბეჭდა 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 198).

62. **„მარგარიტა გოტიე“, დრამა ალ. დიუმა-შვილისა** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს (№ № 61, 63).

63. **ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო** — დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1906 წელს (№ 7).

64. **აისედორა დუნკანის გასტროლების გამო** — დაიბეჭდა გაზეთ „ამირანში“ 1908 წელს (№ 58).

65. **კამილ ლემონიეს ტრაგედია „ხელები“ ქართულ სცენაზე** — დაიბეჭდა გაზეთ „ფასკუნჯში“ 1909 წელს (№ 3).

66. **საფრანგეთის თანამედროვე დრამატიული ლიტერატურა** — დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს (№ № 372, 373, 374, 375, 376, 377).

შინაარსი

ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის საკითხები

1. მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში 11
2. მეცნიერება და სარწმუნოება 23
3. ცხოვრება და ხელოვნება 37
4. აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული 40
5. ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა 55

ქართული ლიტერატურა და ქართული თეატრი

6. „მოამბის“ მორალისტები 61
7. ნიმუში ჩვენებური პოლემიკისა 67
8. „ვარიპანიძიანთ ნინო“, მოთხრობა არ. ლეისტისა 75
9. ან. დეკანოზიშვილის ფსიქოლოგიური ეტიუდები 86
10. სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა 94
11. თბილისი, 1896 წლის 9 თებერვალი 102
12. სალიტერატურო მიმოხილვა 1896 წლისა 105
13. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 112
14. ჩვენი თეატრი და მისი ბედ-იღბალი 115
15. ჩვენი ახალგაზრდობა 124
16. ერთი საგანი ზნეობისა 182
17. შ. არაგვისპირელის პირველი წიგნი 191
18. თეატრის მატიანე 198
19. ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი 202
20. ეკ. გაბაშვილის ნაწერები 213
21. ეკ. გაბაშვილის საიუბილეოდ 243
22. 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა 245
23. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა 271
24. XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის 273
25. „ხმა ახლოდან“ 280
26. ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი ლიტერატურის შესახებ 284

27. საქართველოს წარსული საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი 292
28. ქართული ლიტერატურა 1907 წელს 310
29. ადამაშვილის [მ. ჯავახიშვილის] ძოთხრობები („ჩანჩურა“. „უპატრონო“, „მეჩექმე გაბო“, „თავდავიწყება“) 314
30. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის გამო 318
31. 1908 წლის სალიტერატურო მიმოხილვის მაგიერ 324
32. ქართული საბავშვო წარმოდგენა 331
33. აკაკის საღამო ქუთაისის გიმნაზიაში 334
34. მცირე განმარტება . 336
35. ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი 340
36. ფრიად სამწუხარო სენი 359
37. დასაგმობი გულგრილობა . 365
38. ი. გედევანიშვილის დრამა — „მსხვერპლი“ 368
39. მ. საფაროვ-აბაშიძის დღესასწაული 377
40. ქართული თეატრი 379
41. ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანის დაბადებიდან ასი წლის თავი 384
42. სიტყვა სუნდუკიანცის დასაფლავებაზე 386
43. არტემ ახნაზაროვი 388
44. ილია ჭავჭავაძე 394
45. ილიას ძეგლის საქმე 431
46. ილიას ძეგლი 433
47. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები . 435
48. ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა 505
49. დიდი წიგნი 507
50. მებრძოლი მგოსანი 512
51. გონს მოდით! 514
52. ილია და აკაკი 517
53. აკაკი წერეთელი 526

რუსული მწერლობა

54. ლ. ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“ 533
55. ლეონიდ ანდრეევი 552
56. არციბაშევის „სანინი“ 583
57. ა. კუპრინი 602
58. კ. ბალმონტს 612

59. პოლ ბურჟე . . 617
60. საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე 672
61. მარსელ პრევოს — „Les demi-vierges“ 678
62. „მარგარიტა გოტიე“, დრამა ალ. დიუმა-შვილისა 687
63. ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო 699
64. აისედორა დუნკანის გასტროლების გამო 707
65. კამილ ლემონიეს ტრაგედია „ხელები“ ქართულ სცენაზე 712
66. საფრანგეთის თანამედროვე დრამატიული ლიტერატურა 715
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 759

ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
მხატვარი ა. ჩხაიძე
კორექტორი ე. კენკიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-71
ქაღალდის ფორმატი 60×84
ნაბეჭდი თაბახი 54,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38,4

შეკვეთა 1007 უე 01976 ტირაჟი 5000
ფასი 4 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1.